გელა სულაძე

# ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

გელა სულაძე

# ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები

მეორე გამოცემა, თბილისი, 2012

სამეცნიერო რედაქტორი – საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
**ვახტანგ გურული**

მეცნიერ-კონსულტანტები პროფესორები:
**რუსუდან დაუშვილი და რუსუდან ნიშნიანიძე**

კონსულტანტები:
**გენერალ-მაიორი ანზორ მაისურაძე,**
**პოლკოვნიკები: ენვერ კალანდაძე, გაიოზ ჩუბინიძე,**
**გოჩა გუნიავა, ანგია ჯანელიძე, გია ფირცხალავა**

©გელა სულაძე, 2010, 2012

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
დავით აღმაშენებლის 150, თბილისი 0112
ელფოსტა: info@sulakauri.ge

www.sulakauri.ge

ISBN 978-9941-15-578-9

Gela Suladze

# GEORGIAN ANTI-SOVIET EMIGRATIONS AND SECRET SERVICE

Bakur Sulakauri Publishing, 2012

©Gela Suladze, 2010, 2012
All Right Reserved.

Printed in Bilnet Printing Company Turkey/Istanbul

ავტორი მადლობას უხდის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საარქივო სამმართველოს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საისტორიო ცენტრალურ არქივს და მათ ცალკეულ თანამშრომლებს მხარდაჭერისა და თანადგომისათვის, აგრეთვე იმ პირებს, რომლებმაც ენერგია არ დაიშურეს საქმიანი შენიშვნებისა და წინადადებების, საინტერესო ინფორმაციისა და დოკუმენტური მასალის მოწოდებისათვის.

ფოტოების მოწოდებისათვის ავტორი მადლობას უხდის ქალბატონებს: რუსუდან დაუშვილს, რუსუდან კობახიძეს, მანანა მენაღარიშვილს, თინათინ ნადირაძეს, ეკა ლომიძეს და იზო ნამგალაძეს; ბატონებს: გიორგი მამულიას, იოსებ ცინცაძეს, ირაკლი მენაღარიშვილს, რობერტ თავაძეს, რევაზ ნამიჭეიშვილს, ალეკო ასლანიშვილს, სანდრო ლაზაშვილს, თენგიზ ჭანუყვაძეს, შოთა შარაშენიძეს, გოჩა მიქაუტაძეს, გიორგი ჩიკვილაძეს, ელგუჯა ჩავლეიშვილს, გიორგი გაჩეჩილაძესა და ჩოხატაურის რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს.

წინათქმა 7

**თავი I – ზოგი რამ სპეცსამსახურების შესახებ** 11

**თავი II – საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან მის ოკუპაციამდე**

დამოუკიდებელი საქართველოს სპეციალური სამსახური – საგანგებო რაზმი 26

ბრძოლა საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების წინააღმდეგ 35

საფუძვლების მომზადება საქართველოს ანექსიისთვის 47

საქართველოს ოკუპაცია, საბჭოთა საქართველოს ხელისუფლების და მისი სპეცსამსახურების მიზნები და ამოცანები 53

საქართველოს დემოკრატიული მთავრობის და ქართველი პატრიოტების საზღვარგარეთ იძულებით გახიზვნა 61

ოკუპირებულ საქართველოსთან არალეგალური კავშირების დამყარების პირველი მცდელობა 64

**თავი III – ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის (1921-1924)**

საბჭოთა ხელისუფლება და მისი სპეცსამსახურები 67

ანტისაბჭოთა იატაკქვეშა ორგანიზაციების და ქართველი პატრიოტების წინააღმდეგ 67

1924 წლის აგვისტოს აჯანყების დამარცხება და საბჭოთა სპეცსამსახურების სისასტიკე 83

**თავი IV – 1921-1930 წლებში ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში საბჭოთა ხელისუფლებისა და მისი სპეცსამსახურების მიზნები და ამოცანები**

საბჭოთა წარმომადგენლობების და დაზვერვის რეზიდენტურების ორგანიზაცია ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაციის წინააღმდეგ საბრძოლველად 95

გაზეთი „ახალი საქართველო“ საბჭოთა იდეოლოგიის სამსახურში და გრიგოლ ვეშაპელის მკვლელობა 104

საბჭოთა ხელისუფლების და მისი სპეცსამსახურების წარმომადგენელთა მონაწილეობით საზღვარგარეთ წარმოებული პროსაბჭოთა საქმიანობა 115

საინფორმაციო ბრძოლა 130

**თავი V – ანტისაბჭოთა საქმიანობის აღმავლობა 30-იან წლებში და საბჭოთა სპეცსამსახურების კონტრამოცანები**

პოლონეთი – ანტისაბჭოთა საქმიანობაში ქართული ემიგრაციის ერთ-ერთი მთავარი მხარდამჭერი 136

საბჭოთა საქართველოს წარმომადგენლები სპეცსამსახურების ავანგარდში 152

ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი 157

საბჭოთა სპეცსამსახურების როლი ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაციის წარმომადგენელთა დისკრედიტაციის და ურთიერთდაპირისპირების საქმეში 160
ლ. ბერიას 1930 წლის 11 აგვისტოს საპროგრამო მოხსენება 183

**თავი VI – ნოე რამიშვილის მკვლელობა**

ნ. რამიშვილი – პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე და მასთან დაპირისპირებული ძალები 193
წინასწარი გამოძიება 204
სასამართლო პროცესი 218
მკვლელობის მოტივები, მკვლელობასთან პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებული პირები 224

**თავი VII – ანტისაბჭოთა საქმიანობის ახალი სტრატეგია ნოე რამიშვილის მკვლელობის შემდეგ**

საქართველოში ფარული საქმიანობისთვის ემისართა შეგზავნის მორიგი მცდელობა 241
საბჭოთა ხელისუფლებისათვის არასასურველი პირების, მათ შორის ანტისაბჭოთა ემიგრაციის წარმომადგენლების საზღვარგარეთიდან მოტაცება და მოტაცების მცდელობა 246
ანტისაბჭოთა ქართული ემიგრაცია ნაცისტურ გერმანიაში 255
ნაციონალ-სოციალისტური ხელისუფლების და უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების დაინტერესება გერმანიაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტებით 261

**თავი VIII – მეორე მსოფლიო ომი და ქართველები საზღვარგარეთ**

საბჭოთა სპეცსამსახურების მზადება ომისათვის 271
შალვა ბერიშვილის ანტისაბჭოთა სადაზვერვო საქმიანობა 275
ქართველი ემიგრანტები უცხო ქვეყნების სამსახურში 299
ქართული ანტისაბჭოთა ორგანიზაციები და ქართველი ემიგრანტები – ნაცისტური გერმანიის ინტერესების გამტარებლები 304
ქართული ნაციონალური ლეგიონები და სპეციალური დანიშნულების რაზმები. შალვა მაღლაკელიძე 327
გერმანიის დაზვერვის „აგენტ პარაშუტისტთა“ საქართველოში გადმოსროლა და გატარებული კონტრლონისძიებები 338
ოპერატიულ-სადაზვერვო „რადიოთამაშები“. ოპერაცია „განადგურება“ 370
ქართველი მზვერავი „შახოვსკი“ ნაცისტების ზურგში 381

**თავი IX – ქართული ეროვნული ფასეულობა საფრანგეთში და სპეცსამსახურები**

ეროვნული საგანძურის იძულებით გატანა საფრანგეთში 400
ქართველები ეროვნული საგანძურის დაცვის სამსახურში 409
სტალინის, დე გოლისა და საბჭოთა სპეცსამსახურების როლი ქართული ეროვნული განძეულობის საქართველოში დაბრუნების საქმეში 423
ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა საბჭოთა წნეხის პირობებში 440

**თავი X** – მეორე მსოფლიო ომის დასასრული და კაცობრიობა ახალი დაპირისპირების წინაშე

სპეცსამსახურები ცივი ომის ავანგარდში 444

ქართველები კვლავ უცხო ქვეყნების, მათ შორის, საბჭოთა სპეცსამსახურების ინტერესთა სფეროში 451

ქართველ ემიგრანტთა მოტაცება-გამოტყუების სპეციალური სადაზვერვო ღონისძიებები 475

ანტისაბჭოთა და სადაზვერვო საქმიანობის ორგანიზაცია თურქეთის ტერიტორიიდან და საბჭოთა სპეცსამსახურების კონტრღონისძიებები 483

საბჭოთა ხელისუფლებას და მის სპეცსამსახურებს ზვარაკად შეწირული ქართველები 490

საბჭოთა დაზვერვის როლი და მნიშვნელობა რეემიგრაციულ პროცესებში. საბჭოთა მზვერავები, ცოლ-ქმარი ვარდო მაქსიმელიშვილი და დავით მატარაძე. ილია თავაძე. პეტრე შარია 503

**თავი XI** – ომისშემდგომი პერიოდი და მორიგი საბჭოთა ტერორი

„ემისრისა და ამერიკის დაზვერვის აგენტის“ გ. გაბინაშვილის მხარდამჭერთა საქმე“ 519

სისხლიანი შოუ – „მეგრელ ნაციონალისტთა ჯგუფის საქმე“ 530

„დიადი ეპოქის“ დასასრულის დასაწყისი 559

გოლოთქმა 575

ფოტოარქივი 577

ბიბლიოგრაფია 619

საძიებელი 634

## წინათქმა

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საბჭოთა პერიოდზე და მის სპეცსამსახურებზე რუსეთში და საზღვარგარეთ ბევრი საინტერესო ლიტერატურული თუ პუბლიცისტური ნაწარმოები გამოიცა. მათში უნიკალურ საარქივო მასალებზე დაყრდნობით გაანალიზებულია საბჭოური ცხოვრების წესი და საბჭოთა სპეცსამსახურების საქმიანობის ავ-კარგი. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობენ საბჭოთა დაზვერვის მიერ საზღვარგარეთ ჩატარებული სპეციოპერაციები, რომლებიც სპეცსამსახურებისათვის საინტერესო პიროვნებების გადმობირებასთან, სპეციალური ღონისძიებების გატარებასთან და პოლიტიკური მოწინააღმდეგეების ანგარიშსწორებასთან, მათ ფიზიკურ ლიკვიდაციასთანაა დაკავშირებული.

მკითხველში დიდ ინტერესს იწვევს გასული საუკუნის 20-30 წლებში რუსეთის იმპერიიდან საზღვარგარეთ დევნილთაგან ჩამოყალიბებულ ანტისაბჭოთა პოლიტიკურ ემიგრაციაში განვითარებული მოვლენები და სამშობლოდან იძულებით გადახვეწილთა მიმართ სპეცსამსახურების მიერ გატარებული სპეციალური ღონისძიებები.

რუსეთის საგარეო დაზვერვამ თავდაპირველად დიდი ყურადღება დაუთმო წარსული ამბების სამსჯავროზე გამოტანას, გაუხსნა რა გზა საბჭოთა დაზვერვის არქივებისაკენ შესაბამისი დარგის სპეციალისტებს და ისტორიკოს-მეცნიერებს. მათ შორის უმეტესობა დაზვერვის ყოფილი მუშაკი იყო. 2000 წლის 5 იანვარს, რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახურის დირექტორის ბრძანებით, საუკეთესო ნამუშევრისათვის დაარსდა პრემია ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში.

2000 წლის 20 დეკემბერს, რუსეთის (სსრ კავშირის) საგარეო დაზვერვის 80 წლისთავთან დაკავშირებით, პრემიები გადაეცათ პირველ ლაურეატებს: თ.ქ. გლადკოვს, მწერალს, ნ.ი. კუზნეცოვზე შექმნილი დოკუმენტური თხზულებისათვის „С места преступления скрылся...“; რუსეთის საგარეო დაზვერვის ვეტერანს ვ.ა. კირპიჩენკოს მემუარული ჟანრის წიგნისათვის „Разведка: лица и личности“ და ე.ე. პოტიევსკის, კინორეჟისორს, რუსეთის საგარეო დაზვერვის ისტორიისადმი მიძღვნილი დოკუმენტური ტელეფილმების ციკლისათვის.

სამწუხაროდ, საქართველოში არათუ დაზვერვის, არამედ, ზოგადად, სპეცსამსახურების საქმიანობის, განსაკუთრებით საბჭოთა პერიოდის, შესწავლას არ მიეცა ორგანიზებული ხასიათი და არ მოხდა ამ მიმართულებით სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საარქივო სამმართველოს მხარდაჭერით გამოცემულ ჟურნალს „საარქივო მოამბეს“, რომელიც მცირე ტირაჟის გამო საზოგადოების ფართო ფენებისათვის, ჯერჯერობით, ხელმიუწვდომელია.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას მოჰყვა ბოლშევიკური რეპრესიები, რამაც აიძულა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა და მისი მომხრეები საზღვარგარეთ გადახვეწილიყვნენ იმ იმედით, რომ მეგობარი ქვეყნების მხარდაჭერითა და საკუთარი მცდელობით დაიბრუნებდნენ ძალით წართმეულ ქართულ სახელმწიფოებრიობას. თუმცა, ასე არ ფიქრობდნენ ბოლშევიკები, რომლებმაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე დღეებიდან დაიწყეს ბრძოლა ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაციის წინააღმდეგ. ისინი ფიქრობდნენ, რომ ანტისაბჭოთა საქმიანობა საქართველოში იკვებებოდა საქართველოს სოციალ-დემოკრატთა საზღვარგარეთის ბიუროსა და სხვა დევნილი ანტისაბჭოთა პოლიტიკური ძალების მიერ, რომელთაც ზურგს უმაგრებდნენ უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები. აქედან გამომდინარე, საბჭოთა ხელისუფლება ყველა ღონეს ხმარობდა ქართული ემიგრაციის დისკრედიტაციისათვის, დაშლისათვის, ისედაც დაპირისპირებულ ქართველთა კიდევ უფრო დაქსაქსვისათვის და ემიგრანტი-ლიდერების ფიზიკური განადგურებისათვისაც კი. „... Я слышком много знал об операциях, которые он (იგულისხმება ბოგდან ქობულოვი – გ.ს.) и Берия проводили против грузинских емигрантов в Париже"*, – იტყვის მოგვიანებით თავის მემუარებში (1997 წ.) გენერალი პაველ სუდოპლატოვი.

მიუხედავად მსოფლიოში და საბჭოთა კავშირში არსებული ვითარებისა, ქართული ემიგრაცია ფარ-ხმალს არ ყრიდა და ცდილობდა, რითაც შეეძლო, ხელი შეეწყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. მათი ერთი ნაწილი ამ კეთილშობილური მიზნის ასრულებაში მთავარ როლს საზღვარგარეთის ქვეყნების პოლიტიკურ, სამხედრო და ფინანსურ მხარდაჭერას ანიჭებდა. შესაბამისად, მათგან სუბსიდიების მიღება და ცალკეულ სპეციალურ ღონისძიებებში მონაწილეობა ქართველ ემიგრანტთა ამ ნაწილს ყველა თვალსაზრისით გამართლებულად მიაჩნდა, მაგრამ როგორც ისტორიამ არაერთგზის დაადასტურა, დიდი „დერჟავების" მიზნები პატარა ქვეყნებთან მიმართებაში ხშირად ამ უკანასკნელთა სურვილს არ ემთხვევა.

წლების მანძილზე ქართული ანტისაბჭოთა პოლიტიკური ემიგრაციით არაერთი ქვეყანა და მათი სპეცსამსახურები იყვნენ დაინტერესებულები. ყველაფერი დამოკიდებული იყო ამა თუ იმ ისტორიულ ეტაპზე შექმნილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებაზე და იმაზე, თუ რა მიზნები ამოძრავებდათ მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს.

შესაბამისი ინფორმაციის ნაკლებობის გამო, ძნელია სრულად აღწერა და ზედმიწევნით ზუსტად გაშუქება რამდენიმე ათეული წლის წინანდელი მოვლენებისა, თუმცა, მომავალში, მეცნიერთა და სპეციალისტთა აქტიური მონაწილეობით, ბევრი რამის დაზუსტება და გარკვევა იქნება შესაძლებელი.

წიგნში მოთხრობილი ამბები, ცალკეული პუბლიკაციების სახით, ქვეყნდებოდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, რასაც არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. სხვადასხვა ისტორიულ ბატალიებში მონაწილე ქართველების ბედით ბევრი მათი ნათესავი და ახლობელი დაინტერესდა. იყო უსიამოვნო სატელეფონო ზარიც,

* მე ძალიან ბევრი რამ ვიცოდი იმ ოპერაციების შესახებ, რომლებსაც ის და ბერია პარიზის ქართული ემიგრაციის წინააღმდეგ ატარებდნენ.

თუმცა ვფიქრობთ, რომ ისტორიული სიმართლე, როგორი მწარეც არ უნდა იყოს ის, ერთხელ აუცილებლად უნდა ითქვას.

ამის გაკეთება მნიშვნელოვანია თუნდაც იმიტომ, რომ აუცილებელია შევიგრძნოთ უახლესი ისტორიული წარსული და არ დავუშვათ ის შეცდომები, რომლებიც ჩვენმა წინაპრებმა, ნებსით თუ უნებლიეთ, თუნდაც სამშობლოს სიყვარულით დაუშვეს. თუმცა, არც მათი თავდადება და მამულიშვილობა უნდა დაგვავიწყდეს.

მკითხველისათვის შემოთავაზებული მოკრძალებული ჩანაფიქრის მიზანი საქართველოს უახლესი ისტორიის ურთულეს ლაბირინთებში გარკვევის მცდელობაცაა. თემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, საზოგადოების სამსჯავროზე წარმოდგენილი ეს ნაშრომი უნებლიე შეცდომებისა და სუბიექტური მოსაზრებებისგან არ არის დაზღვეული.

თავი I

# ზოგი რამ სპეცსამსახურების შესახებ

Tibi et igni.*
*რომაელნი*

კაცობრიობის განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე, განსაკუთრებით სახელმწიფოთა ჩამოყალიბების პროცესში, ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური ძლიერების მიღწევისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საიდუმლო საქმიანობას, რომლის დანიშნულებაც იყო მოწინააღმდეგე მხარის ღია თუ ფარული ზრახვების თაობაზე ზედმინევნით ზუსტი ინფორმაციის მოპოვება და მტრის დეზინფორმირება.

მსოფლიოში ჯაშუშის (მზირის)** პროფესია ერთ-ერთ უძველეს პროფესიად მიიჩნევა.

დაზვერვა, როგორც განსაკუთრებული სახის საქმიანობა, სათავეს იღებს ჯერ კიდევ პირველყოფილი თემური წყობილებიდან, როცა ცალკეული ტომები ფიზიკური გადარჩენის მოტივით მიავლენდნენ ხოლმე თავიანთ წარმომადგენლებს ახალი, უკეთესი ადგილსამყოფელის საძებრად – დასაზვერად. ამ დროს გამოიკვეთა ძებნის – დაზვერვის – პირველი ფუნქცია: ტომისათვის სასიცოცხლო ამბის – ინფორმაციის – მოპოვება.

ახალი ადგილების ძებნის პროცესში მალე თავი იჩინა ტომებს შორის კონკურენციამ ტერიტორიების დაუფლების თვალსაზრისით, რასაც მოჰყვა ხელჩართული ბრძოლები, შემდგომში – შეიარაღებული შეტაკებები. აქედან გამომდინარე, სადაზვერვო საქმიანობას გაუჩნდა ახალი ფუნქცია – „ეკონომიკურის“ გარდა, ინფორმაციის მოპოვება მოწინააღმდეგის სამხედრო პოტენციალის შესახებ.[88]

სპეციალური სამსახურები სახელმწიფოს მსგავს წარმონაქმნებთან ერთად გაჩნდა – ამას მოწმობს უძველესი წყაროები და არქეოლოგიური გათხრები, ქვებზე გაკეთებული ძველი წარწერები და პაპირუსები, რომლებზეც აღწერილია ეგვიპტელ ფარაონთა მეფობის ისტორია. აღნიშნულის თაობაზე იტყობინება ისტორიის მამა ჰეროდოტეც.

ერთ-ერთ ყველაზე ადრეულ წყაროს, სადაც მინიშნებულია დაზვერვის ფორმებსა და მეთოდებზე, წარმოადგენს ძველი და ახალი აღთქმა. ძველი აღთქმის მეორე წიგნში, რომლის სახელწოდებაცაა „რიცხვნი“, აღწერილია ეგვიპტიდან

* „შენთვის და ცეცხლისთვის“, „ნაიკითხე და დანვი“.

** ჯაშუში სხვათა ენაა, ქართულად მსტოვარი და გუშაგი პქვია. მზირი – ყაზახი, გინა მსტოვარი, გინა ჯაშუში, ნ. ემზირობ, იმზირა, სამზირალი. [57]

ისრაელელთა ხანგრძლივი და გაჭირვებით გაელილი გზის დასასრულის შესახებ სინას ნახევარკუნძულის ცენტრში არსებულ უდაბნო ფარანში. ისრაელიანები, რომელთაც ხელმძღვანელობდა მოსე, ღმერთისადმი მიცემული პირობის თანახმად, უნდა შეჭრილიყვნენ უცხო ქვეყანაში, დაეძლიათ ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობა, დაემორჩილებინათ ისინი და დაპატრონებოდნენ ტერიტორიას, რომელსაც ერქვა ქანაანი.

ღმერთმა დაარიგა მოსე: „გაგზავნე კაცები, რომ დაზვერონ ქანაანის ქვეყანა, რომელიც მივეცი ისრაელიანებს. მამათა შტოდან თითო კაცი გაგზავნეთ, ყველა თავკაცი იყოს მათში“ (რიცხვ. 13, 2). მოსემ შეასრულა ღმერთის მითითება და შეადგინა ჯგუფი 12 ებრაული საგვარეულოს წარმომადგენლებისაგან. ეს გარემოება მიგვითითებს, რომ სპეციალური საქმიანობისათვის იმთავითვე გამოიყენებოდნენ წარჩინებული გვარის წარმომადგენლები, რომლებიც იმ საზოგადოებისათვის ავტორიტეტულ პიროვნებებად ითვლებოდნენ.

„გააგზავნა ისინი მოსემ ქანაანის ქვეყნის დასაზვერავად და უთხრა მათ: გაემართებით სამხრეთით და ახვალთ მთაზე. მიმოიხილავთ ქვეყანას, როგორია და რა ხალხი ცხოვრობს იქ, ძლიერი თუ სუსტი, ცოტანი თუ ბევრნი, როგორი ქვეყანაა, სადაც ისინი ცხოვრობენ – კარგი თუ ცუდი; როგორი ქალაქებია, სადაც ისინი სახლობენ, ბანაკები თუ ციხესიმაგრეები; როგორი მიწაა, ნოყიერი თუ მწირი, იზრდება თუ არა იქ ხე; იმარჯვეთ და წამოიღეთ მიწის ნაყოფები“ (რიცხვ. 13-17, 18, 19, 20). მოსეს დარიგება აშკარად შეიცავს სადაზვერვო დავალებას, რომელიც მისმა მზვერავებმა წარმატებით შეასრულეს, თუმცა მოხდა ის, რაც ზოგადად ნებისმიერ ეპოქაში ახასიათებს სადაზვერვო ინფორმაციის ლეგალიზებას, ანუ გამოყენებას. ბიბლიის მიხედვით, მზვერავთა აზრი ორად გაიყო. 12 მზვერავიდან ათმა „ცუდი ხმები გაავრცელა ისრაელიანებში მათ მიერ დაზვერილ ქვეყანაზე. ერთმანეთს ჭამენო იმ ქვეყანაში, რომელიც ჩვენ მოვიარეთ დასაზვერად; მთელი ხალხი, რომელიც იქ ვნახეთ, ბუმბერაზიაო. იქ ვნახეთ დევკაცები, ყანაკის ძენი, დევკაცთა შთამომავალნი. კალია გვეგონა ჩვენი თავი და ასეც ვჩანდით მათ თვალში“ (რიცხვ. 13-32, 33).

თორმეტი მზვერავიდან მხოლოდ ორმა – იესო ნავეს ძემ და ქალებ იეფუნის ძემ – დაუჭირა მხარი მოსეს: „ქვეყანა, რომელიც ჩვენ მოვიარეთ დასაზვერად, ძალზე კარგი ქვეყანაა . . .“ (რიცხვ. 14-7, 8, 9). დანარჩენებმა კი დაზვერილ ქვეყანაზე უარყოფითი ინფორმაციის გავრცელება დაიწყეს და მოითხოვეს ხსენებული ორი მზვერავის ჩაქოლვა. ეს პრაქტიკულად იყო ამბოხება ხელისუფლების წინააღმდეგ, რაც აღკვეთა კიდეც მოსემ. რაც შეეხება – იესო ნავეს ძესა და ქალებ იეფუნის ძეს, მათი ვაჟკაცური შემართება დაფასდა და ხალხში პატივი და ღირსება მოიპოვეს.

მოსეს გარდაცვალების შემდეგ იესო ნავეს ძე გახდა (მოსეს ხელდასმით) ისრაელიანთა საზოგადოების ხელმძღვანელი. მეორე ერთგულ მზვერავს – ქალებს გადაეცა მამული ქანაანთა მიწაზე.[6] სადაზვერვო საქმიანობის მრავალ ელემენტს შეიცავს თქმულება „ოქროს საწმისის“ შესახებ, რომლის მთავარი მოქმედება ძველ კოლხეთში – აიეტის სამფლობელოში და ძველ საბერძნეთში ხდება, ხოლო მთავარი მოქმედი პირები მეფე აიეტი, უფლისწული ფრიქსე, თესალიელი უფლისწული იასონი და აიეტის უმცროსი ასული – მედეა იყვნენ. ოქროს

საწმისისათვის ბრძოლაში ფართოდ იყო გამოყენებული სადაზვერვო ფორმები და მეთოდები.

მემატიანეთა გადმოცემით, დაზვერვამ დიდი როლი ითამაშა ბერძენ-სპარსელთა ომის დროსაც. სადაზვერვო პროცესის ჯარგად ორგანიზების პირობებში, სპარტელებმა პირწმინდად დაამარცხეს სპარსელები. დაზვერვის არარსებობამ კინაღამ დაღუპა ალექსანდრე მაკედონელის ძლევამოსილი ლაშქარი. დაზვერვას უმადლოდა თავის გამარჯვებებს სახელოვანი ჰანიბალი, რომელმაც არაერთგზის დაამარცხა რომაელები. კარგი სადაზვერვო სამსახური ჰქონდათ პონტოს მეფე მითრიდატე მეექვსეს და რომაელ იმპერატორებს, ტიბერიუსსა და დომიციანს.

სადაზვერვო საქმიანობის განსაკუთრებული როლის მიუხედავად, ანტიკური ეპოქის არც ერთ დოკუმენტში სადაზვერვო სამსახური დამოუკიდებლად მოქმედი სტრუქტურად არ არის დაფიქსირებული.[31]

დაზვერვა სახელმწიფოს არსებობისათვის ერთ-ერთი სასიცოცხლო მნიშვნელობის ინსტიტუტია. არც ერთ დიდ თუ მცირე ქვეყანას არ შეუძლია არსებობა დაზვერვის გარეშე. ისტორიას არ ახსოვს კამათი იმის თაობაზე, საჭიროა თუ არა დაზვერვა. იყო მისი აქცენტების შეცვლის, ანდა ზოგიერთი მეთოდის უარყოფის მცდელობაც, მაგრამ უარის თქმა დაზვერვაზე – არასოდეს.

თავიანთი ქვეყნების სადაზვერვო სამსახურებთან წლების მანძილზე იყვნენ დაკავშირებული ცნობილი მეცნიერები, პოლიტიკოსები, ხელოვნებისა და კულტურის წარმომადგენლები, მაღალი რანგის სახელმწიფო მოღვაწეები და თვით ქვეყნის პირველი პირები.

ცნობილია, რომ რუსი მწერალი, დრამატურგი და დიპლომატი ალექსანდრე გრიბოედოვი (1795-1829) ამავდროულად იყო რუსეთის იმპერიის დაზვერვის რეზიდენტი. ის 1822 წელს მივლინებული იყო თბილისში, საქართველოს მთავარმართებლის, ა.პ. ერმოლოვის შტაბში. შემდგომში ა.ს. გრიბოედოვი აყვანილი იყო რუსეთის სრულუფლებიანი მინისტრის რეზიდენტის რანგში. მის ამოცანას წარმოადგენდა ირანთან და მის მეზობელ ქვეყნებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოპოვება საქარავნე გზებზე, რომლებიც გადაჭიმული იყო კასპიის ზღვიდან ინდოეთამდე, აგრეთვე ინგლისის მისწრაფებებზე კავკასიასა და შუა აზიაში. ცნობილი მოგზაური, გეოგრაფი, ცენტრალური აზიის მკვლევარი ნიკოლოზ მიხეილის ძე პრჟევალსკიც ამავდროულად იყო რუსეთის სამხედრო დაზვერვის თანამშრომელი, გენერალ-მაიორი.[32] საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ერთ-ერთ საარქივო საქმეში, რომელიც, სამწუხაროდ, განადგურებულია, ამოვიკითხე, რომ რუსეთის იმპერიის სპეცსამსახურის (შსს პოლიციის დეპარტამენტის – ჟანდარმერიის) თანამშრომლები იყვნენ საბჭოთა ენათმეცნიერი, ფილოლოგი, ორიენტალისტი, არქეოლოგი, კულტურის ისტორიკოსი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ნიკო მარი (1864-1934) და ქართველი ფილოლოგი და ისტორიკოსი ალექსანდრე ცაგარელი (1844-1929), ორივე გენერალ-მაიორი.

არსებობს ბევრი სხვა მაგალითი იმისა, თუ როგორ წარმატებულად თანამშრომლობდნენ, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ცნობილი პიროვნებები თავიანთი ქვეყნების სადაზვერვო სამსახურთან. ბევრისათვის უცნობია ის ფაქტი, რომ სათავგადასავლო რომანის „რობინზონ კრუზოს“ ავტორი დანიელ

დეფო ბრიტანეთის დაზვერვის ერთ-ერთი დამაარსებელი და ამ საქმის კარგი ორგანიზატორი იყო; ბოლშევიკური რუსეთის დაზვერვის შექმნასთან დაკავშირებით სამკაციანი კომისიის ერთ-ერთი მთავარი წევრი თვით იოსებ სტალინი იყო.

კაცობრიობის განვითარებასთან ერთად დაზვერვის წინაშე დაისვა პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო-სტრატეგიული ხასიათის ინფორმაციის მოპოვების აუცილებლობის საკითხი გეოპოლიტიკური და ოპერატიული ვითარებიდან, აგრეთვე საკუთარი ქვეყნის სტრატეგიული მიმართულებებიდან გამომდინარე. შესაბამისად, გამოიკვეთა დაზვერვის დაინტერესების ობიექტები. ესენია: პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, სამეცნიერო-ტექნიკური, მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის და სხვა დარგის ინსტიტუტები; ცენტრები, საწარმოო-დანესებულებები. სუბიექტებად კი გვევლინებიან სახელმწიფო-მმართველობითი ორგანოები, შეიარაღებული ძალები, პარტიულ-საზოგადოებრივი, რელიგიური და სხვა ორგანიზაციები და გაერთიანებები.

დაზვერვის როლის გაზრდამ გამოიწვია საპირისპირო კონტრქმედებების აუცილებლობა. დაზვერვასთან ერთად წარმოიშვა მისი საპირწონე სტრუქტურა, რომელსაც დღემდე კონტრდაზვერვა ეწოდება.

თუ დაზვერვის ამოცანაა ფარულად ინფორმაციის მოპოვება უცხო ქვეყნების ზრახვების თაობაზე, კონტრდაზვერვას ევალება საკუთარი ქვეყნის საიდუმლოების დაცვა, ბრძოლა უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების, მტრულად განწყობილი ცენტრებისა და ორგანიზაციების წინააღმდეგ.

თავისი ტაქტიკური და სტრატეგიული ამოცანებით, ფორმებითა და მეთოდებით კონტრდაზვერვა ახლოსაა დაზვერვასთან. მის საქმიანობასაც საფუძვლად უდევს ინფორმაციის მოპოვება (ღია და ფარული წყაროებიდან) მოწინააღმდეგე ან მტრულად განწყობილი ქვეყნის ქმედებათა და მათ სადაზვერვო სტრუქტურებთან დაკავშირებულ ცალკეულ პირთა შესახებ. ამასთან ერთად, იგი დაზვერვისაგან განსხვავდება იმით, რომ კონტრდაზვერვის მთავარ ამოცანას წარმოადგენს მოწინააღმდეგის ძირგამომთხრელი საქმიანობის აღკვეთა. დაზვერვის და კონტრდაზვერვის მოღვაწეობის არეალიც სხვადასხვაა. თუკი დაზვერვა მოქმედებს ძირითადად საზღვარგარეთ – უცხო ქვეყნების ტერიტორიაზე, კონტრდაზვერვა თავის საქმიანობას ეწევა საკუთარ ქვეყანაში.

სახელმწიფოში არსებული ვითარების შესაბამისად, კონტრდაზვერვას და დაზვერვას შეიძლება დაეკისროს სხვა ამოცანების გადაწყვეტაც, იმის გათვალისწინებით, თუ რა სახის დანაშაულთან ბრძოლაა იმ პერიოდში მეტ-ნაკლებად აქტუალური: ექსტრემიზმთან, ტერორიზმთან, დივერსიულ ქმედებებთან, ზოგადად, ორგანიზებულ დანაშაულთან და ა.შ.

დაზვერვის ამოცანები და მიზნები, აგრეთვე ფორმები და მეთოდები უძველესი დროიდან ყალიბდებოდა და იხვეწებოდა. მათში უპირველესი ადგილი ადამიანს და მის მგრძნობელობით ორგანოებს ეკავა. აქტიურად გამოიყენებოდა ისეთი საშუალებებიც, როგორებიცაა შიფრი, საფოსტო მტრედები და სხვა. თანამედროვე ცივილიზაციის პირობებში, მიუხედავად საკმარისად განვითარებული ტექნოლოგიებისა (კოსმოსური დაზვერვა, ულტრათანამედროვე მოსასმენი, აუდიო-ვიდეო და სპეციალური აპარატურა და სხვა), სადაზვერვო საქმიანობის მთავარ სუბიექტად ისევ ადამიანი რჩება.

როდესაც ჩვენი ქვეყანა, არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ან ბედის უკუღმართობით, ძლიერებისა და განსაკუთრებით სახელმწიფოებრიობის დაკარგვის წინაშე იდგა, ან იქმნებოდა საშიშროება სხვებს დამორჩილებოდა, აუცილებელი ხდებოდა მოწინააღმდეგის შესახებ ყოვლისმომცველი და უტყუარი ინფორმაციის მოპოვება, რისთვისაც საჭირო იყო განსაკუთრებული საქმიანობა.

საქართველოს სპეცსამსახურების მუშაობაზე, მსტოვართა ინსტიტუტზე, დაზვერვაზე, სპეციფიკურ ტერმინოლოგიაზე და ა. შ. შეიძლება ვიმსჯელოთ ქართველი მემატიანეების, ქართველი და უცხოელი სპეციალისტების ნაშრომების მიხედვით, რაც ქართული სპეცსამსახურების მუშაობაზე გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნის.

ამ მხრივ დიდ ინტერესს იწვევს დავით აღმაშენებლის დროინდელი ფეოდალური საქართველოს „სპეციალური სამსახურების“ ჩამოყალიბება და მათი საქმიანობა.

დავით აღმაშენებლის ტახტზე ასვლისას (1089 წ.) ქვეყანა თურქსელჩუკებისაგან დარბეული, ეკონომიკურად და პოლიტიკურად დასუსტებული, დაუძლურებული და დემორალიზებული იყო. დაშლილ და დაქუცმაცებულ საქართველოს გარს ეხვია უამრავი მტერი, რომელიც მთელი სისასტიკით აწიოკებდა ქვეყანას. ამას ემატებოდა შიდაშალილობა და ისეთ მომძლავრებულ ფეოდალთა ღალატი, როგორებიც იყვნენ კლდეკარის ერისთავი ლიპარიტ ბაღვაში, ერისთავი ძაგან აბულეთის ძე, მისი ძმა ეპისკოპოსი მოდისტოსი და სხვ. ეს წარჩინებულნი შეთქმულებებში ხშირად მოსყიდვით, მოტყუებითა და სხვა ხერხებით დაბალი ფენის წარმომადგენლებსაც ითრევდნენ.

დავით აღმაშენებელმა, ქვეყანაში წესრიგის დამყარებისა და ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფოს ჩამოყალიბების მიზნით, 1103 წელს გაატარა ისტორიული მნიშვნელობის რეფორმა: გააერთიანა ჭყონდიდელისა და მწიგნობართუხუცესის თანამდებობები. ამით, სახელმწიფოს ხელში მოაქცია საერო და სასულიერო ძალაუფლება. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის თანამდებობაზე დანიშნა თავისი აღმზრდელი და ცნობილი მოღვაწე, ჭყონდიდის მთავარეპისკოპოსი გიორგი. ამით მიღწეულ იქნა სამეფო ხელისუფლებისა და ეკლესიის ინტერესების ერთიანობა. დავით აღმაშენებლის ერთ-ერთ წარმატებულ რეფორმად ითვლება ასევე მუდმივი ჯარის შექმნა და საზღვრების გამაგრება.

რეფორმის პირველი ნაბიჯები საკმაოდ რთული და მძიმე აღმოჩნდა. ერთიანი და მძლავრი სახელმწიფოს შექმნის მოწინააღმდეგენი, მეფის პოლიტიკით უკმაყოფილონი („მაბრალობლები“) სულ უფრო და უფრო მრავლდებოდნენ.

შექმნილი რთული ვითარებიდან გამომდინარე, აუცილებელი იყო ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით ზუსტი და უტყუარი ინფორმაციის მოპოვება, რისი მიღწევაც ძლიერი სადაზვერვო-საინფორმაციო ქსელის ჩამოყალიბების გარეშე შეუძლებელი იყო. ამ მიზნით, დავითმა მნიშვნელოვანი რეფორმა გაატარა. კერძოდ, მანდატურთუხუცესის დაქვემდებარებაში შექმნა „მსტოვართა“ (მზვერავთა) მძლავრი აპარატი, რომლის მეშვეობითაც, დავითის დროის ისტორიკოსის აზრით, „მეფემ თვით მონაზვნების ბოროტი და კეთილი საქმეებიც კი იცოდა“.

მთელ საინფორმაციო ქსელს ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ

ხელმძღვანელობდა მანდატურთუხუცესი, რომელიც ამავე დროს შინაგან საქმეთა ვაზირი (მინისტრი) იყო.

მსტოვართა ინსტიტუტის მეშვეობით წყდებოდა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა მტრულად განწყობილ ქვეყნებთან დაკავშირებით სამხედრო-სტრატეგიული და პოლიტიკური ხასიათის ინფორმაციის მოპოვება, ქვეყნის შიგნით ოპოზიციური ძალების, დავითის მოწინააღმდეგე და მოძულე ფეოდალებისა და სასულიერო პირების ბოროტ განზრახვათა გამოაშკარავება და სხვა.[26]

სწორედ ასეთი სამსახურის წყალობით დავით აღმაშენებელმა შეძლო შიდა და გარე მტრებისაგან აოხრებული ქვეყნის ქცევა უძლიერეს სახელმწიფოდ.

დავითისდროინდელი ეპოქის დაზვერვისა და ძებნის სამსახურების როლი და გავლენა მაშინდელ საზოგადოებაზე იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მათმა ფორმებმა და მეთოდებმა თავისებური ასახვა ჰპოვეს ქართული აღორძინების ხანის გენიალურ ქმნილებაში – შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანშიც“ კი. კერძოდ:

ნესტან-დარეჯანის მოსაძებნად ავთანდილმა ოსტატურად გამოიყენა ვაჭრები, მათი მდგომარეობა და თვით ვაჭრის სამოსი:

„ჟამამდის ჩემსა ნუ იტყვით არ თქვენსა პატრონობასა,
თქვით, თავადია ჩვენი-თქვა, ნუ მიხმობთ ჭაბუკობასა.
მე სავაჭროსა ჩავიცვამ, დავიწყებ ჯუბაჩობასა,
თქვენ შემინახეთ ნამუსი, თქვენსა და ჩემსა ძმობასა“.

ამ გზით ავთანდილმა მოახერხა ფატმანის ნდობის მოპოვება და მისგან სასურველი ინფორმაციის მიღება. ხოლო, როდესაც საჭიროებამ მოითხოვა, გაუმხილა მას საკუთარი ზრახვები:

„ავთანდილ ბრძანა: ჰე ფატმან, ვიცი ეს საქმე შენია,
დაჰკრთები ამა ამბავსა, მართ ვითა მგელ-ნაკბენია,
გგონივარ ვინმე ვაჭარი, პატრონი ქარავანისა;
მე ვარ სპასპეტი მაღლისა მეფისა როსტევანისა...“
„მომგვარე, ქაჯეთს გავგზავნოთ იგივე მონა გრძნეული...“

საინტერესოა ერთი მომენტიც – სამთა თათბირზე, მტკიცედ გამაგრებული ქაჯეთის ციხის ასაღებად ავთანდილმა, წინასწარი დაზვერვისა და ციხეში ფარულად შეღწევის მიზნით, კვლავ ვაჭრის მდგომარეობის გამოყენების იდეა წამოაყენა:

„სავაჭროთა შევეკაზმვი, ვიქმ საქმესა მე მუხთალსა,
ერთსა ჯორსა გარდავკიდებ მუზარადსა, ჯაჭვსა, ხრმალსა,“
„სამთავე შესვლა არ ვარგა, თუ გვიგრძნან არს სათუები;
მე მარტო შევალ ვაჭრულად და კარგად შევეტყუები“.[80]

სტრუქტურული თვალსაზრისით, მსგავსი ერთიანი და მონოლითური საიდუმლო სამსახურის არსებობის სხვა მაგალითები საქართველოს ისტორიაში, ჯერჯერობით, არ არის მოძიებული. სადაზვერვო ინსტიტუტი საკუთარ ფუნქციას ვეღარ ასრულებდა და ქრებოდა, როდესაც საქართველო დამოუკიდებლობას კარგავდა და ამა თუ იმ ფორმით იმპერიათა შემადგენლობაში განაგრძობდა არსებობას.

სერიოზულად შესასწავლია მეფე ერეკლე მეორის მიმართ რუსეთის იმპერიის მაშინდელი საჯაშუშო სტრუქტურებისა და ცალკეულ მსტოვართა მიზნები და ამოცანები, რომლის ძირითადი დანიშნულებაც მეფეზე რუსეთისთვის სასარგებლო ზეგავლენის მოხდენა და საბოლოოდ, გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერის იძულება იყო. ერეკლე მეორეზე რუსეთის იმპერიის სერიოზულ ზემოქმედებად უნდა განვიხილოთ 1770 წელს ასპინძის ბრძოლაში რუსეთის საექსპედიციო კორპუსის მეთაურის, გენერალ გ. ტოტლებენის მხრიდან მეფისა და ქართული მხედრობის მიტოვება და შემდგომში ერეკლეს ტახტიდან ჩამოგდების მცდელობა. 1776 წელს ზაალ ორბელიანის მიერ ერეკლე მეორის საწინააღმდეგო შეთქმულების ორგანიზებაში უშუალოდ მონაწილეობდა რუსეთის ჯაშუში ბაკუნინი. რუსეთი, თავისი მსტოვრების მეშვეობით, მუდმივად აგულიანებდა ერეკლე მეორის საწინააღმდეგოდ ბატონიშვილ ალექსანდრე ბაქარის ძეს და სხვა.

რუსეთის სადაზვერვო-ჯაშუშურმა სამსახურებმა მიზანში ამოიღეს დედოფალი დარეჯანიც, რომელიც 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერის და შემდგომში საქართველოს მიმართ რუსეთის იმპერიის მოღალატური პოლიტიკის, რაც აღა-მაჰმად-ხანის მიერ 1795 წელს თბილისის აოხრებაში გამოიხატა, წინააღმდეგი იყო. მას შემდეგ, რაც საქართველოში რუსის ჯარმა მტკიცედ მოიკიდა ფეხი, რუსებმა „ქვრივ დედოფალს ჯაშუშები მიუჩინეს, იმ დღიდან მოყოლებული, დარეჯანსა და მის შვილებს არ მოჰკლებიათ აგენტები, ჯაშუშები, მზვერავები...".[207]

რუსეთის მაშინდელ სპეცსამსახურებს უყურადღებოდ არც ქართველთა უკანასკნელი მეფე, გიორგი მეთორმეტე (1798–1800 წწ.) დაუტოვებიათ. მას თანაშემწედ რუსთა აგენტი, ლაზარევი ჰყავდა მიჩენილი.

მას შემდეგ, რაც რუსეთმა დაარღვია გეორგიევსკის ტრაქტატი და 1801 წელს გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფო, მოგვიანებით კი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, ჩვენი ქვეყანა იქცა რუსეთის იმპერიის კოლონიად, რომლის მმართველობითი სისტემაც მხოლოდ ერთ მიზანს – იმპერიის ძლიერებას დაექვემდებარა. სახელმწიფოებრიობის დაკარგვასთან ერთად საქართველომ დაკარგა სუვერენული სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ატრიბუტი – საინფორმაციო-სადაზვერვო ქსელი, რომელიც საფიქრებელია, რომ არსებობდა მეფე ერეკლეს დროსაც.

მიუხედავად ამისა, ტერმინი – „უშიშროება" („უსაფრთხოება") ქართულ სახელმწიფოებრივ აზროვნებაში არ გამქრალა, თუმცა, სულ სხვა დატვირთვა შეიძინა. მაგალითად, ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე სოლომონ დოდაშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთებას პროგრესულ მოვლენად მიიჩნევდა და აღნიშნავდა: „მტკიცე მარჯვენა მეფისა ჰზრუნავს უშიშროებისათვის ჩვენისა, ყოველივე დაბრკოლებას აღხოცავს".[3]

რუსეთის იმპერია ნელ-ნელა ძალას იკრებდა. მისი ძლიერება დიდად იყო დამოკიდებული სადამსჯელო-პოლიციური და სადაზვერვო სტრუქტურების ეფექტურობაზე.

რუსეთში საჯაშუშო და ძებნის სამსახურების ჩამოყალიბება დაიწყო ჯერ კიდევ მეფე ივანე მრისხანემ, რომელმაც 1565 წელს შექმნა ოპრიჩნინა, რათა ბოი-

არები თავისი მმართველობისათვის დაემორჩილებინა. ოპრიჩნიკები იბრძოდნენ ბოიარების პოლიტიკური ორიენტაციის, ანუ მათი მისწრაფების – ყოფილიყვნენ დამოუკიდებელნი – წინააღმდეგ. დროთა განმავლობაში ოპრიჩნინა გარდაიქმნა სახელმწიფოს პოლიტიკურ სტრუქტურად. პეტრე პირველის დროს პოლიცია წარმოდგენილი იყო ყველა სახელმწიფო სტრუქტურაში.

რუსეთის სპეცსამსახურები ორგანიზაციულად ყალიბდებიან XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დამდეგს, როდესაც შეიქმნა პოლიტიკური პოლიცია – რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და უშიშროების განყოფილება (ოხრანკა). მასთან თანამშრომლობდა ათასობით ინფორმატორი.

ოხრანკას კარგად ჰქონდა ორგანიზებული სადაზვერვო საქმიანობა საზღვარგარეთ. პირველ მსოფლიო ომამდე ამ პროცესს ხელმძღვანელობდა პეტერბურგში განთავსებული ოხრანკის საზღვარგარეთის სააგენტო. მას გააჩნდა ფილიალები ლონდონში, რომში, ბერლინში, ბალკანეთში, შუა აზიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. მთელი სადაზვერვო ინფორმაცია სხვადასხვა ხერხებით გროვდებოდა პარიზში განთავსებული ოხრანკის სპეციალურ განყოფილებაში.

ოხრანკის საზღვარგარეთის სააგენტოს უმთავრესი დანიშნულება იყო თვალყურის დევნება საზღვარგარეთ, განსაკუთრებით, გერმანიასა და საფრანგეთში მცხოვრები რევოლუციონერებისათვის. ინფორმაციის ძირითადი მომწოდებლები სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, უმეტესად ადგილობრივი მოსახლეობა იყო. ოხრანკის საზღვარგარეთის ბიუროს თვალთახედვის არეში მუდმივად იმყოფებოდნენ ქართველი რევოლუციონერებიც, მომავალი პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწეები. მათ ქმედებებს თვალყურს ადევნებდნენ გერმანიის და საფრანგეთის სპეცსამსახურებიც.[31]

რუსეთი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და ყურადღებას აქცევდა კავკასიაში ფორმირებულ რეგიონალურ სპეციალურ სამსახურებს, მათ ორგანიზაციულ-ფინანსურ მხარდაჭერას. რეგიონში მოქმედებდა ორი ძლიერი სპეცსამსახური – თბილისის ოხრანკა და კავკასიის ოხრანკა. ამ ისტორიულ მონაკვეთში რუსეთის სპეცსამსახურების უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენდა კავკასიაში, განსაკუთრებით საქართველოში, ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის დასუსტება, რევოლუციური იდეების დაკნინება და საერთო ჯამში ცარიზმის, როგორც პოლიტიკური სისტემის განმტკიცება. აღნიშნულ პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა კავკასიის სამხედრო ოლქის მთავარ შტაბში შემავალი ე.წ. სტატისტიკური დანაყოფი, რომელსაც დაკისრებული ჰქონდა ძირითადი საფაზვერვო ფუნქცია რეგიონში (პოტენციურ მოწინააღმდეგეთა მიმართებაში *საბჭედრო-სტრატეგიული ინფორმაციის შეკრება და დამუშავება; სადაზვერვო მიზნით, ოფიცერთა საზღვარგარეთ მივლინება; სამხედრო სფეროში ახალი მიღწევების და ტექნოლოგიების მოპოვება და სხვა).*

*სანამ გადავიდოდეთ საბჭოთა სპეცსამსახურების ისტორიაზე, მკითხველს გვსურდა რამდენიმე განმარტება მივცეთ სპეცსამსახურების ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით.*

*„სპეცოპერაცია“* რუსული ტერმინია და ნიშნავს მოწინააღმდეგე ქვეყნების *ხელისუფალი, ძირითადად,* პოლიტიკური ნიშნით, განხორციელებულ ცალკეულ პირთა

ლიკვიდაციას, საჭირო ადამიანებისა და მნიშვნელოვანი დოკუმენტური მასალის მოტაცებასა და მოწინააღმდეგე ქვეყნის მიმართ კანონსაწინააღმდეგო საქმიანობას. რაც შეეხება ტერმინს „საიდუმლო ოპერაციები", რომელიც ასევე ხშირად იხმარება, მასში იგულისხმება სპეცსამსახურების მიერ ფარული ან შენიღბული ფორმით ჩატარებული ღონისძიებები იმ მიზნით, რომ გართულდეს (ან საერთოდ შეუძლებელი გახდეს) მათი ორგანიზატორების მონაწილეობის თაობაზე მტკიცებულებების შეგროვება.

**აგენტი,** სადაზვერვო საქმიანობისადმი მიძღვნილი რუსული წყაროების მიხედვით, როგორც წესი, უცხოელია, რომელიც არ არის დაზვერვის შტატიანი თანამშრომელი, თუმცა მოქმედებს მისი დავალებით. სადაზვერვო საქმიანობაში აგენტებს ყოფენ კატეგორიების მიხედვით: აგენტი – ინფორმატორი; აგენტი – დეზინფორმატორი; აგენტი, რომელიც საქმიანობს მოწინააღმდეგის კონტროლის ქვეშ და მისი კარნახით; ორმაგი აგენტი; აგენტი – არალეგალი; აგენტი – ჯგუფის ხელმძღვანელი (წარმმართველი); საიდუმლო აგენტი; ზეგავლენის აგენტი.

სპეცსამსახურებისადმი მიძღვნილ ლიტერატურაში ხშირად გამოიყენება ასევე ტერმინი ინფორმატორი, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა პიროვნება, რომელიც ნებისთ თუ უნებლიეთ ამარაგებს სადაზვერვო ორგანოებს საიდუმლო ან სამსახურებრივი ინფორმაციით.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ხშირად ხმარობენ ტერმინს – წყარო, რომელიც აღნიშნავს იმ კონკრეტულ ადამიანს, რომლისგანაც მომდინარეობს ამა თუ იმ სახის ინფორმაცია. თუმცა, რუსულ ლიტერატურაში „წყარო" განმარტებულია, როგორც ზოგადად სადაზვერვო ორგანოებისა და უსაფრთხოების სამსახურების ხელთ არსებული ინფორმაციის წყარო (ადამიანი ან ტექნიკური საშუალებები), რომელიც ოპერატიული მიზნებისათვის გამოიყენება.

**ლეგალური მზვერავი** ეს არის დაზვერვის შტატით განსაზღვრული თანამშრომელი, რომელიც მივლენილია საზღვარგარეთ, როგორც თავისი ქვეყნის ოფიციალური წარმომადგენელი, ანუ მსახურობს საზღვარგარეთის დიპლომატიურ ან სავაჭრო წარმომადგენლობებში, რომელიც მისთვის შეფარების უწყებას წარმოადგენს. დაზვერვასთან ლეგალური მზვერავის კავშირი ცნობილი უნდა იყოს მხოლოდ ამ წარმომადგენლობების ხელმძღვანელობისათვის. ლეგალური მზვერავების სტრუქტურულ ერთობას ლეგალური რეზიდენტურა ეწოდება.

**შეფარების უწყება** ნებისმიერი სამართლებრივი ფორმის სამთავრობო ან არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელთანაც ოფიციალურად (არა როგორც მზვერავი) თანამშრომლობს ესა თუ ის პირი, უკავია შტატით განსაზღვრული თანამდებობა და აღჭურვილია შესაბამისი უფლება-მოვალეობებით.

**ოპერატიული დამუშავების საქმე** – ამა თუ იმ პირზე ან პირთა ჯგუფზე შექმნილი სრულიად საიდუმლო გრიფის საქმე, რომელშიც თავს იყრიდა საიდუმლო შეტყობინებები და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგები, აგრეთვე სხვადასხვა საცნობარო და ანალიტიკური მასალა (გეგმები, ანგარიშები და სხვ.)

საქართველოს ისტორიის სინამდვილეში ლეგალური რეზიდენტურების მაგალითად შეიძლება დასახელდეს ქართული კულტურის ცენტრები საზღვარგარეთ: კონსტანტინოპოლში, ათონის მთაზე, პეტრიწონში, შავ მთაზე, პალესტინაში, სინას მთაზე. აღნიშნულ ცენტრებში ითარგმნებოდა უცხო ენებიდან ქართუ-

ლად სხვადასხვა ლიტერატურა, ორიგინალური თვალსაზრისები ფილოსოფიაში, თეოლოგიასა და ფილოლოგიაში. ამავდროულად, ამ ცენტრებიდან ქართველი მეფეები იღებდნენ პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო-სტრატეგიული ხასიათის ინფორმაციებს მოწინააღმდეგე ქვეყნებზე.

**არალეგალი (არალეგალური მზვერავი)** არის დაზვერვის თანამშრომელი, რომელიც იმყოფება საზღვარგარეთ, ეწევა ოპერატიულ-სადაზვერვო საქმიანობას და თავს ასაღებს იმ ქვეყნის, სადაც ის იმყოფება, ან უცხო ქვეყნის მოქალაქედ. არალეგალური მზვერავების ერთობლიობას **არალეგალური რეზიდენტურა** ჰქვია.

არალეგალური რეზიდენტურის მაგალითად შეიძლება დასახელდეს ქართული სათვისტომოები ბიზანტიაში, თურქეთში, ირანში, ეგვიპტეში, ერაყში, რუსეთსა და სხვა ქვეყნებში. ცნობილი ფაქტია, რომ ერეკლე II სადაზვერვო ხასიათის ინფორმაციას იღებდა თურქეთიდან, სადაც ინფორმაციის ძირითად წყაროს წარმოადგენდნენ სულთნის ჰარამხანაში მყოფი ქართველი ქალები.

**არალეგალური რეზიდენტურა** არის აგენტების ჯგუფი, რომელიც ემორჩილება არალეგალურ რეზიდენტს და რომელიც დაკავებულია სადაზვერვო ინფორმაციის (მოწინააღმდეგე მხარესთან მიმართებაში საერთო ან კონკრეტულ პრობლემებთან ან საკითხებთან დაკავშირებული სადაზვერვო მონაცემების) შეგროვებით.

**რეზიდენტი** რუსული ტერმინია და აღნიშნავს პიროვნებას, რომელიც ხელმძღვანელობს საზღვარგარეთ აგენტთა ქსელს, ან მზვერავთა ჯგუფს.

**რეზიდენტურა** ასევე რუსული ტერმინია და ნიშნავს სადაზვერვო ჯგუფს, რომელიც მოქმედებს საზღვარგარეთ და რომელსაც ხელმძღვანელობს რეზიდენტი.

სპეციალური სამსახურების, განსაკუთრებით დაზვერვათა არსენალში, ფართოდ გამოიყენება ტერმინი **დეზინფორმაცია**. ეს უკანასკნელი ინგლისური ტერმინია და მასში იგულისხმება მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანის მიზნით სპეცსამსახურების მიერ გამოყენებული ზომების ერთობლიობა.

სპეციალური სამსახურები ხშირად მიმართავენ **„ოპერატიულ თამაშებს"**, რომელშიც იგულისხმება დაზვერვის თანამშრომლის მიერ, რომელიც თითქოსდა წარმოადგენს მოწინააღმდეგის აგენტს, მტრისათვის ცრუ ინფორმაციის მიწოდება, ხოლო მათგან ზუსტი ცნობების მიღება.

რუსეთის იმპერიის სპეციალურ სამსახურებს 1917 წლის ოქტომბრამდე ჰქონდათ როგორც სადამსჯელო (რეპრესიული), ასევე საინფორმაციო უზრუნველყოფის ფუნქცია და ისინი იმპერიული მმართველობითი სისტემის მძლავრი და განუყოფელი ნაწილი იყო საკუთარი მასშტაბურობით, ორგანიზებულობით და ფინანსური უზრუნველყოფით.

განახლებული რუსეთის იმპერიის – საბჭოთა კავშირის წარმატებები თუ წარუმატებლობები, ასევე მჭიდროდ იყო დაკავშირებული მის სპეციალურ სამსახურებთან, რომლებმაც თავიანთი არსებობა დაიწყეს ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალების პირველივე დღეებიდან. საქართველო აღნიშნული პროცესების თანამონაწილე გახდა მას შემდეგ, რაც გარეშე ძალთა სამხედრო-პოლიტიკური ზეგავლენითა და საკუთარი უსუსურობით დაკარგა დამოუკიდებლობა და საბ-

ჭოთა კავშირის ნაწილი გახდა, ქვეყნისა, რომლის კეთილდღეობასაც არაერთი თაობა გულწრფელად ემსახურა. მიუხედავად ამისა, იყვნენ ისეთებიც, რომელთაც მუდამ სწამდათ მომავლის, საქართველოს დამოუკიდებლობის, რაც არ იყო დროის ადეკვატური.

1917 წლის ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ რუსეთში უმძიმესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება ჩამოყალიბდა. პირველმა მსოფლიო ომმა, მონარქიის კრახმა, დროებითი მთავრობის უუნარობამ, საბჭოების ხელში ძალაუფლების გადასვლამ გამოიწვია რევოლუციის მიმდინარეობის პერიოდში ძველი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურების დაშლა და ნგრევა.

დემორალიზებული სახელმწიფო აპარატი საკუთარ ფუნქციას ვეღარ ასრულებდა. რუსეთს, როგორც სახელმწიფოს და მის ტერიტორიულ მთლიანობას, საფრთხე დაემუქრა. საჭირო გახდა ახალ პრინციპებზე დაფუძნებული სახელმწიფო სისტემის შექმნა, ახალი სახელისუფლო ინსტიტუტების ჩამოყალიბება, რომელთა უმთავრესი მიზანი უნდა ყოფილიყო „რევოლუციის მონაპოვრის“ შენარჩუნება ნებისმიერი გზით, თვით ადამიანთა განადგურების ხარჯზეც კი.

1917 წლის 20 დეკემბერს, კონტრრევოლუციასთან და საბოტაჟთან საბრძოლველად შეიქმნა Всероссийская черезвычайная комиссия*, რომელსაც უმოკლეს პერიოდში დაემატა კონტრდაზვერვითი და დაზვერვითი ფუნქცია.

თავდაპირველად დაზვერვის ფუნქციას ასრულებდა ახლადჩამოყალიბებული უცხოეთის განყოფილება, რომელიც საგანგებო კომისიის შიგნით არსებული სამხედრო კონტრდაზვერვის (საგანგებო განყოფილების) შემადგენლობაში შედიოდა.

1920 წლის 18 ივნისს საგანგებო კომისიის კოლეგიის მიერ დამტკიცებული იქნა „უცხოეთის განყოფილების საზღვარგარეთის ქვეგანყოფილების შესახებ“ დებულება, რომლითაც განისაზღვრა საზღვარგარეთ სადაზვერვო საქმიანობის ამოცანები – ესენია:

- გამოვლენა საზღვარგარეთის ქვეყნებში მოქმედი იმ კონტრრევოლუციური ორგანიზაციებისა, რომელთა საქმიანობაც მიმართული იყო საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ და რომლებიც ეწეოდნენ სამხედრო, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ჯაშუშობას;
  თითოეული სახელმწიფოს და მათი მთავრობების პოლიტიკური მიმართულებების გაშუქება, რუსეთის მიმართ მათი მიზნების გამოაშკარავება;
  საქმიანობის ყველა მიმართულებით დოკუმენტური მასალის მოპოვება, მათ შორის ისეთებისაც, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელი იქნებოდა კონტრრევოლუციური ჯგუფების კომპრომეტირებისათვის.

დებულებასთან ერთად დამტკიცდა ინსტრუქციაც, რომელიც არეგულირებდა აღნიშნული ქვედანაყოფის საქმიანობის ცალკეულ მიმართულებებს. მასში მითითებული იყო, რომ კაპიტალისტური ქვეყნების თითოეულ დიპლომატიურ და სავაჭრო მისიაში იქმნებოდა რეზიდენტურები, რომელთაც სათავეში ჩაუდგებოდნენ რეზიდენტები. ისინი დიპლომატიურ წარმომადგენლობებში

* სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია

დაიკავებდნენ ოფიციალურ თანამდებობებს. რაც შეეხება მათ სადაზვერვო სტრუქტურებთან კავშირს, აღნიშნულის თაობაზე უნდა სცოდნოდა მხოლოდ დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელს.

რეზიდენტს ევალებოდა დაზვერვისათვის საინტერესო ობიექტებში (ორგანიზაციები, დაწესებულებები, პარტიები და სხვა) საბჭოთა სპეცსამსახურების აგენტთა შეღწევისათვის და შესაბამისი ოპერატიული საქმიანობის წარმართვისათვის ხელშეწყობა და, ზოგადად, სადაზვერვო პროცესის ორგანიზება.

სადაზვერვო პუნქტები შეიქმნა უკრაინაში – სამხედრო ნაწილების ზურგში, ბელორუსიაში და ბალტიისპირეთში, აგრეთვე შუა აზიასა და კავკასიაში.

იმ პერიოდში საბჭოთა რუსეთს გააჩნდა დიპლომატიური ურთიერთობები თურქეთთან და გერმანიასთან, ხოლო მას შემდეგ, რაც 1920 წელს ურთიერთობის ნორმალიზაციის თაობაზე ხელი მოეწერა შეთანხმებებს ესტონეთთან, ლატვიასთან, ლიტვასთან და ფინეთთან, ამ ქვეყნების დედაქალაქებშიც გაიხსნა რსფსრ-ს დიპლომატიური წარმომადგენლობები. მათში ჩამოყალიბდა საგარეო დაზვერვის რეზიდენტურები. იმ ქვეყნებში, რომლებთანაც საბჭოთა რუსეთს არ გააჩნდა დიპლომატიური ურთიერთობები, შეიქმნა არალეგალური რეზიდენტურები.

შექმნილი რთული საშინაო და საგარეო ვითარებიდან გამომდინარე, მოხდა საბჭოთა რუსეთის სპეცსამსახურების მორიგი რეორგანიზაცია. 1921 წლის 14 იანვარს სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიაში შეიქმნა საიდუმლო-ოპერატიული სამმართველო, რომელშიც შევიდა: უცხოეთის განყოფილება, საგანგებო განყოფილება, საიდუმლო განყოფილება, ოპერატიული განყოფილება და საინფორმაციო განყოფილება. უცხოეთის განყოფილება (დაზვერვა და კონტრდაზვერვა საზღვარგარეთ) აწარმოებდა საქმიანობას საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატთან კოორდინირებულად; საგანგებო განყოფილება იბრძოდა პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ხასიათის შპიონაჟის (ჯაშუშობის) წინააღმდეგ; საიდუმლო განყოფილების ფუნქციას წარმოადგენდა ბრძოლა შიდა კონტრრევოლუციასთან; ოპერატიულ განყოფილებაში თავს იყრიდა საგანგებო კომისიის და მისი ადგილობრივი ორგანოების საქმიანობასთან დაკავშირებული მასალები; საინფორმაციო განყოფილება ამუშავებდა და სისტემატიზაციას უკეთებდა იმ მასალებს, რომლებიც დაკავშირებული იყო ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობასთან და მათ საფუძველზე ადგენდა განზოგადებულ საინფორმაციო ცნობებს.

შემდგომში, რუსეთში განვითარებული მოვლენების საფუძველზე, რაც უპირველეს ყოვლისა გამოიხატა პოლონეთის დასაპყრობად შეტევაზე გადასული წითელი არმიის ნაწილების დამარცხებაში, 1920 წლის სექტემბერში რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დაზვერვის კარდინალური რეორგანიზაციის თაობაზე. იმავე წლის 20 დეკემბერს საგანგებო კომისიის თავმჯდომარის ფ. ძერჟინსკის N169 ბრძანების თანახმად, ცალკე, დამოუკიდებელ სტრუქტურად ჩამოყალიბდა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის უცხოეთის განყოფილება. ეს თარიღი ითვლება სსრ კავშირის (რუსეთის) საგარეო დაზვერვის დაარსების დღედ. საბჭოთა რუსეთის საგარეო დაზვერვა ფეხს სწრაფი ტემპებით იდგამდა. ჯერ კიდევ 1921 წლის 29 აპრილს სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის ეკონომიკურმა სამმართ-

ველომ საგანგებო კომისიის პრეზიდიუმს წარუდგინა მოხსენება „О создании коммерческо-промышленной разведки*". აღნიშნულ დოკუმენტში პირველად იქნა დასმული საბჭოთა რუსეთში არსებული ეკონომიკური პრობლემები და ეკონომიკური დაზვერვის არსებობის აუცილებლობა არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, ვინაიდან უცხოური კაპიტალი მრავალი ძაფით იყო დაკავშირებული რუსეთის ეკონომიკასთან და მისი ინტერესები, ხშირ შემთხვევაში, არ შეესაბამებოდა ქვეყნის ეროვნულ ინტერესებსა და მის ეკონომიკურ უსაფრთხოებას.

რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1922 წლის 6 თებერვლის დეკრეტით, სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია გაუქმდა და მის ბაზაზე რსფსრ-ის სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში ჩამოყალიბდა Государственное политическое управление – ГПУ**. მის შემადგენლობაში შევიდა უცხოეთის განყოფილება (საგარეო დაზვერვა). სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს უცხოეთის განყოფილების დებულებაში განისაზღვრა დაზვერვის პრიორიტეტული მიმართულებები: უცხოეთის ტერიტორიაზე მოქმედი კონტრრევოლუციური ორგანიზაციების გამოვლენა; საზღვარგარეთ სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური შანტაჟით დაკავებული სამთავრობო და კერძო ორგანიზაციების დადგენა; საერთაშორისო პოლიტიკის ძირითად საკითხებთან დაკავშირებით საზღვარგარეთის ქვეყნების ხელისუფალთა პოლიტიკური მმართველობის გაშუქება, მათი ეკონომიკური მდგომარეობის თაობაზე ცნობებისა და მონაცემების შეგროვება, საზღვარგარეთ საბჭოთა ორგანიზაცია-დანესებულებებისა და საბჭოთა მოქალაქეების კონტრდაზვერვითი უზრუნველყოფა. საბჭოთა კავშირის შექმნის შემდეგ (1922 წლის 30 დეკემბერი) სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო გარდაიქმნა გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოდ. უცხოეთის განყოფილება შევიდა საიდუმლო-ოპერატიული სამმართველოს შემადგენლობაში და ეწოდა Иностранное секретно-оперативное управление объединённого государственного политического управления (ИНОСОУОГПУ)***.[5] სწორედ ამ უკანასკნელს დაეკისრა საზღვარგარეთ სადაზვერვო ფუნქციები.

საბჭოთა რუსეთის დაზვერვა, მისი დაარსების პირველივე დღეებიდან რთულ ვითარებაში აღმოჩნდა. ქვეყანა პოლიტიკურ იზოლაციაში იყო მოქცეული და სადაზვერვო საქმიანობის თვალსაზრისით საინტერესო ქვეყნებში უშუალო ფუნქციების შესრულება გართულებული იყო. აქედან გამომდინარე, გადაწყდა ჩამოყალიბებულიყო საკავშირო სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენლობები ამიერკავკასიაში, იმიერბაიკალეთში, შუა აზიაში, შორეულ აღმოსავლეთსა და ზღვისპირეთის მხარეში და სადაზვერვო პროცესისათვის ორგანიზაცია გაეწიათ საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან. ასე და ამგვარად, სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს წარმომადგენლობა შორეულ აღმოსავლეთში ეწეოდა სადაზვერვო საქმიანობას იაპონიაში პეკინისა

* სამრეწველო-კომერციული დაზვერვის შექმნის შესახებ

** სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო

*** გაერთიანებული სახელმწიფო-პოლიტიკური სამმართველოს უცხოეთის საიდუმლო-ოპერატიული სამმართველო

და ხარბინის რეზიდენტურების მეშვეობით. სრულუფლებიანი წარმომადგენლობა ამიერკავკასიაში (ცენტრი თბილისი) სადაზვერვო საქმიანობის ორგანიზაციას ახდენდა თურქეთის, ირანის, ახლო აღმოსავლეთისა და ბალკანეთის ქვეყნების მიმართულებით. ანალოგიური ამოცანები იდგა სხვა სრულუფლებიანი წარმომადგენლობების წინაშეც. წარმომადგენლობების უმთავრესი დანიშნულება იყო შეიარაღებული ემიგრაციისა და ემიგრანტული ორგანიზაციების, იმ ქვეყნების, რომელთაც შეიკედლეს დევნილები, სპეციალური სამსახურების წინააღმდეგ ბრძოლა, აგრეთვე, მათი შეიარაღების ოდენობის, ძალებისა და საშუალებების დადგენა, ანტისაბჭოთა გეგმების გამოაშკარავება.

1922 წლის 28 ივნისს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს კოლეგიამ დაამტკიცა „Положение о закордонном отделении ИНО*“, რომლითაც განისაზღვრა საზღვარგარეთ სადაზვერვო საქმიანობის ამოცანები. პოლიტიკური, სამხედრო და კონტრდაზვერვითი ხასიათის ამოცანების გარდა ინსტრუქცია ითვალისწინებდა საზღვარგარეთის პირობებში დაზვერვის არალეგალური შესაძლებლობების გამოყენებას.[5]

საბჭოთა რუსეთის, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურები დაარსების დღიდან ქვეყნის პოლიტიკური კურსის აქტიური გამტარებლები იყვნენ და მოქმედებდნენ პოლიტიკური დაკვეთის საფუძველზე. ნაკლებად დასაჯერებელია ის მოსაზრება, თითქოსდა უშიშროების სტრუქტურები, მათი არსებობის ამა თუ იმ ეტაპზე, პარტიული ორგანოების კონტროლიდან გამოდიოდნენ და დამოუკიდებელ მოქმედებებს იწყებდნენ. სხვა საკითხია კომპარტიის შიგნით პერიოდულად წამოჭრილი იდეური, თუ პიროვნული დაპირისპირებების ფონზე განვითარებული მოვლენები. საშინაო და საგარეო პოლიტიკური კურსი არცთუ იშვიათად იმის მიხედვით იცვლებოდა, თუ რომელი პარტიულ-ნომენკლატურული დაჯგუფება მოიპოვებდა დაპირისპირებულ მხარესთან გამარჯვებას, ამის შესაბამისად იცვლებოდა სპეცსამსახურების ამოცანებიც.

საბჭოთა რუსეთის სპეცსამსახურებს იმთავითვე ბევრი საქმე გაუჩნდათ. საქმე ის იყო, რომ გასული საუკუნის 20-იან წლებში რუსეთის იმპერიიდან ემიგრირებულთა რაოდენობა ევროპასა და ჩინეთში რამდენიმე მილიონს აღწევდა. საზღვარგარეთ გაქცეულ ემიგრანტთა ნაწილი, რომელსაც ეშინოდა საბჭოთა ხელისუფლების, არ აპირებდა მისთვის პრობლემების შექმნას. ნაწილი კი, რომელიც აქტიურად იბრძოდა ბოლშევიკების წინააღმდეგ სამოქალაქო ომის ფრონტზე, საბჭოთა რუსეთის მიმართ მტრულად განწყობილი ქვეყნებისა და მათი სპეცსამსახურების მხარდაჭერით, საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მიზნით გაერთიანდა საბრძოლო ორგანიზაციებში. ემიგრანტთა ძირითადმა ანტისაბჭოთა ნაწილმა საფრანგეთში მოიყარა თავი, საბჭოთა რუსეთის მიმართ ამ ქვეყნის უარყოფითი განწყობის გამო.

რუსეთის ბოლშევიკური ხელმძღვანელობა მიიჩნევდა, რომ კონტრრევოლუციური, საზღვარგარეთული ორგანიზაციები, რომელთა დიდი ნაწილი უცხო ქვეყნების სადაზვერვო სამსახურების პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა და მათი ინსტრუქციებით მოქმედებდა, წარმოადგენდა დიდ საფრთხეს ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოსათვის.

* უცხოეთის განყოფილების საზღვარგარეთის ქვეგანყოფილების დებულება

რუსეთიდან დევნილი ემიგრანტები, მათ მიერ საზღვარგარეთ სხვადასხვა პოლიტიკური და შეიარაღებული ორგანიზაციების შექმნით, სერიოზულ პრობლემებს უქმნიდნენ თვით იმ ქვეყნებს, რომლებმაც მათ თავშესაფარი მიცეს. რუსი ემიგრანტები საფრანგეთის პოლიციას რევოლუციამდეც უჩენდნენ თავსატეხს, თუმცა პარიზის პოლიციისა და რუსეთის სპეცსამსახურის (ოხრანკის) აქტიური ურთიერთქმედებების შედეგად პრობლემები სწრაფად და ეფექტურად გვარდებოდა, რასაც ვერ ახერხებდა საფრანგეთის მთავრობა 1922 წლისათვის.[110] სწორედ ამიტომ, საბჭოთა რუსეთის ხელისუფლებამ ანტისაბჭოთა საზღვარგარეთული ორგანიზაციების წინააღმდეგ ბრძოლა დაისახა ერთ-ერთ მთავარ ამოცანად, რაშიც დიდი იყო მისი სადაზვერვო სტრუქტურების როლი – „В этой борьбе за выживание страны трудно переоценить роль внешней разведки. Она сумела проникнуть с помощью своей агентуры практически во все, без исключения крупные активные белоэмигрантские центры, добывали материалы о деятельности белоэмигрантских и иностранных разведывательных организации, вела разложение антисоветских сил*» – მინიშნებულია საბჭოთა საგარეო დაზვერვის ისტორიაში.[59]

ზემოაღნიშნული ამოცანის გადაჭრა სპეცსამსახურების, განსაკუთრებით დაზვერვის გარეშე შეუძლებელი იყო და რადგან მისი ძირითადი ფუნქცია საზღვარგარეთ ოპერატიული საქმიანობა იყო, სწორედ დაზვერვამ აიღო საკუთარ თავზე ანტისაბჭოთა ემიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლა.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მნიშვნელობა კარგად ესმოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებასაც, რის თაობაზეც ოდნავ ქვემოთ გვექნება საუბარი.

* ქვეყნის გადარჩენისთვის ამ ბრძოლაში ძნელია არ დააფასო დაზვერვის როლი. მან შეძლო, თავის აგენტთა მეშვეობით, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, თითქმის ყველა მსხვილ, აქტიურ თეთრემიგრანტულ ცენტრში შეღწევა, ისინი მოიპოვებდნენ მასალებს თეთრემიგრანტული და უცხოეთის სადაზვერვო ორგანიზაციების საქმიანობაზე, განხეთქილება შეჰქონდა ანტისაბჭოთა ძალებში.

თავი II

## საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან მის ოკუპაციამდე

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში შემოანათა ნითელმა ვარსკვლავმა...[117]

### დამოუკიდებელი საქართველოს სპეციალური სამსახური – საგანგებო რაზმი

1915 წელს ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვის ნაცვლად კავკასიის მეფისნაცვლად დაინიშნა დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვი. სიტუაცია რუსეთის იმპერიაში დღითი დღე იძაბებოდა.

„Мтавробадзе скончался, сообщите родным и знакомым*", – კარლო ჩხეიძის მიერ პეტროგრადიდან გამოგზავნილი ამ დეპეშის შემდეგ ნოე ჟორდანია და ნოე რამიშვილი ნიკოლოზ რომანოვს აუდიენციაზე ეწვივნენ.

რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ, 1917 წლის მარტში, დროებითი მთავრობის გადაწყვეტილებით, მეფისნაცვლის ინსტიტუტის მაგივრად მე-4 სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატების მონაწილეობით ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი (ოზაკომი), რომელიც რუსეთის დროებითი მთავრობის დაქვემდებარებაში იყო. მას უნდა ემართა ამიერკავკასია.

სულ მალე, საქართველოს რიგ ქალაქებსა და რაიონებში ჩამოყალიბდა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატთა საბჭოები, რომელთა უმეტესობასაც სოციალ-დემოკრატები და ესერები შეადგენდნენ. პარალელურად მოქმედებდა ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი. რუსეთის მსგავსად, საქართველოშიც დამყარდა ორხელისუფლებიანობა.

1917 წლის ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, სიტუაცია ამიერკავკასიაში საკმაოდ დაიძაბა. არსებული ვითარებიდან გამომდინარე, იმ პოლიტიკური პარტიების გადაწყვეტილებით, რომლებმაც არ ცნეს საბჭოთა ხელისუფლება, 1917 წლის ნოემბერში შეიქმნა დამოუკიდებელი მმართველობითი ორგანო – ამიერკავკასიის კომისარიატი. 1918 წლის თებერვალში, რუსეთის დამფუძნებელი კრების ან უკვე განდევნილი კავკასიელი დეპუტატებისაგან შეიქმნა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო – ამიერკავკასიის სეიმი. ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის ფედერაცია, რომელიც სულ მალე დაიშალა პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებით მასში შემავალი სუბიექტების განსხვავებული შეხედულებებისა და ინტერესების გამო.[58]

* მთავრობაძე გარდაიცვალა, შეატყობინეთ ახლობლებსა და ნაცნობებს.

ბრესტ-ლიტოვსკის სამშვიდობო ხელშეკრულების (1918 წლის 3 მარტი) დადების შემდეგ, სიტუაცია ამიერკავკასიაში კიდევ უფრო დაიძაბა. თურქეთის არმიამ, მიუხედავად ქართული არმიის დიდი წინააღმდეგობისა, 1918 წლის აპრილში დაიკავა ბათუმი, ოზურგეთი და ახალციხე. თურქეთმა 1918 წლის მაისში ბათუმის კონფერენციაზე ახალი ტერიტორიული პრეტენზიები წამოაყენა. ასეთ რთულ ვითარებაში საქართველოს ეროვნულმა საბჭომ გადაწყვიტა, დახმარება გერმანიისათვის ეთხოვა. ამ უკანასკნელის დაჟინებული მოთხოვნით, რაც არსებული სიტუაციით იყო ნაკარნახევი, ჯერ კიდევ 1917 წელს პირველი ეროვნული ყრილობის მიერ არჩეულმა ეროვნულმა საბჭომ, 1918 წლის 26 მაისს გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა და შექმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. მანამდე დაიშალა ამიერკავკასიის სეიმი. ეროვნულ საბჭოს დაეკისრა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ფუნქცია. ჩამოყალიბდა კოალიციური მთავრობა.

მთავრობის თავმჯდომარედ და შინაგან საქმეთა მინისტრად არჩეულ იქნა ნოე რამიშვილი; საგარეო საქმეთა მინისტრად – აკაკი ჩხენკელი; სამხედრო მინისტრად – გრიგოლ გიორგაძე; ფინანსთა და ვაჭრობის მინისტრად – გიორგი ჟურული; განათლების მინისტრად – გიორგი ლასხიშვილი; მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრად – ნოე ხომერიკი; იუსტიციის მინისტრად – შალვა მესხიშვილი და გზათა მინისტრად – ივანე ლორთქიფანიძე.

ახალგაზრდა რესპუბლიკა, შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და გეოსტრატეგიული ვითარებიდან გამომდინარე, იძულებული იყო, გერმანული ორიენტაცია აერჩია: „დღეს, რუსეთისგან მოწყვეტილი და განთავისუფლებული საქართველოს რესპუბლიკა სხვა ორინტაციას გაჰყვა და გერმანიის მფარველობას ამოეფარა".[94] ამ ისტორიული მისიის შესრულებაზე უარი არც იმდროინდელ გერმანიის მთავრობას უთქვამს და, რითაც შეეძლო, დახმარებას უწევდა დემოკრატიული საქართველოს მშენებლობას. „ჩვენმა მთავრობამ, ეროვნული საბჭოს ნებართვით, გერმანელი მრჩეველები და ინსტრუქტორები მოიწვია სამხედრო, საფინანსო საქმეთა მოსაწესრიგებლად," – იტყობინებოდა გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" თავის 1918 წლის 30 ივლისის ნომერში.[95]

შინაგან საქმეთა სამინისტროს ფუნქციებში შედიოდა: ბრძოლა რევოლუციური გამოსვლებისა და ბოლშევიკური აგიტაციის წინააღმდეგ; საგუბერნიო და სახაზინო ადმინისტრაციის მტკიცე აპარატის შექმნა სათანადო მოხელეთა შერჩევით; ბრძოლა სახაზინო ქონების დატაცების წინააღმდეგ; ხელმძღვანელობისა და კონტროლის გაწევა სამაზრო ერობების მუშაობისთვის. აღნიშნულ ფუნქციათა შესასრულებლად სამინისტროსთან ჩამოყალიბებული იყო ცენტრალური სამმართველო, რომელშიც შედიოდა ადმინისტრაციული, საერო, საანგარიშო, ადგილობრივი მეურნეობის, საერობო და საბეითლო განყოფილებები. 1918 წლის სექტემბრიდან ჩამოყალიბდა აგრეთვე ლტოლვილთა ცენტრალური კომიტეტი და სამიჯნო განყოფილება. თითოეულ განყოფილებას ევალებოდა განსაზღვრული ფუნქციის შესრულება. ადმინისტრაციულ განყოფილებას ევალებოდა თვალყური ედევნებინა ადმინისტრაციული დაწესებულებებისა და ადმინისტრაციული თანამდებობის პირთა მუშაობისათვის და კანონთა, ბრძანებათა, განკარგულებათა ცხოვრებაში გატარებისათვის. საანგარიშო განყოფილების ფუნქცია განისაზ-

ღვრებოდა ფინანსური ანგარიშების მოწესრიგებითა და კონტროლით თანხების ხარჯვაზე. ადგილობრივი მეურნეობის განყოფილების ფუნქცია განისაზღვრებოდა ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯების განაწილებით; სანიტარული განყოფილების მოვალეობას შეადგენდა ბრძოლა ეპიდემიურ სნეულებათა წინააღმდეგ და პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება.

1918 წლის სექტემბრიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს ლტოლვილთა ცენტრალური კომიტეტი გაუქმდა და მის ნაცვლად დაარსდა სამზრუნველო განყოფილება, რომლის ამოცანასაც შეადგენდა საქველმოქმედო სამზრუნველო საზოგადოების მუშაობისათვის თვალყურის დევნება. საბეითლო განყოფილებას ევალებოდა ბრძოლა საქონლის ეპიდემიისა და სხვა დაავადებათა წინააღმდეგ.[70]

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 1918 წლის 26 მაისიდან სათავეში ჩაუდგა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის პირველი თავმჯდომარე ნოე რამიშვილი და მან ეს პოსტი ოფიციალურად შეინარჩუნა ბოლშევიკების მიერ საქართველოს ოკუპაციამდე.

სახაზინო ქონების დატაცების, რევოლუციური გამოსვლებისა და ბოლშევიკური აგიტაციის წინააღმდეგ საბრძოლველად საჭირო იყო განსაკუთრებული საქმიანობის წარმოება, რაც სპეციალური სტრუქტურის სასწრაფოდ ჩამოყალიბებას გულისხმობდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიამ 1918 წლის 6 ივლისს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის კანცელარიაში გადააგზავნა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ნ. რამიშვილის მოხსენება. მასში ნათქვამი იყო:

„საქართველოს რესპუბლიკაში დიდათ გახშირდა ამ ჟამად ყოველგვარი ბოროტმოქმედება – მკვლელობა, გაძარცვა, ბოროტი სპეკულაცია, საკრედიტო დაწესებულებებიდან ყალბი საბუთების საშუალებით ფულის გამოტანა, სახელმწიფო ქონების გატაცება და დარბევა.

უკანასკნელი სახე ბოროტმოქმედებისა, სახელდობრ სახელმწიფო ქონების დატაცება და სპეკულაცია განსაკუთრებით ვრცელდება, ბოლო დროს მასიურ ორგანიზაციულ ხასიათსაც იღებს.

მძარცველ-დამრბეველთ ხელთ აქვთ დიდი ფული, რომლის საშუალებით ისინი ცდილობენ დაწესებულებათა მოხელეების შესყიდვას. ბოროტმოქმედთ, რომელთა შორის დიდათ პასუხის მგებელი პირნიც ირიცხებიან მოუწყვიათ დიდი აგენტურა მოხელეთა წრეში, რომელიც აცნობებს მათ საქმეთა მდგომარეობას. ამგვარი ქსელის ორგანიზაცია ეჭვს გარეშეა დიდს ხიფათს უმზადებს ჩვენს ახალგაზრდა რესპუბლიკას.

ამასთანავე, ჩვენ გვაქვს საიდუმლო ცნობები, რომ ერთ-ერთ ბოროტმოქმედ ორგანიზაციას განუზრახავს გაზიდვა მთელი სახელმწიფო ქონებისა, რომელთანაც კი მას ხელი მიუწვდება. ამ მხრივ მან მოასწრო უკვე რამდენიმე ათი და ასი მილიონის ქონება გაეტანა ტფილისიდან და ეხლაც მუშაობს მეორე ორგანიზაციის დახმარებით, რომელიც მოპარულ ნივთებს აწოდებს მას. ასეთივე ცნობები გვაქვს კიდევ სხვა ორგანიზაციის შესახებ, რომელსაც გადაუწყვეტია აფეთქება სახაზინო თეატრისა, სასახლისა, რკინის გზის სამმართველოსა და სხ. ამ ორგანიზაციის მოქმედება უკვე გამოიხატა საინტენდანტო საწყობის დაწვასა და სააეიაციო პარკის დარბევაში.

არა ნაკლებ საშიშია სახელმწიფო წესწყობილებისა და საზოგადო მშვიდობიანობისათვის მოქმედება ცალკე პირთა და ორგანიზაციებისა, მიმართული ანარქიის გაღვივებისა, კონტრრევოლუციურ იდეების გავრცელებისა და საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ უნდობლობის დამკვიდრებისაკენ.

ამგვარი მოვლენები პოლიტიკურ და ეკონომიკურ დარღვევას უქადის საქართველოს რესპუბლიკას, და, ვინაიდან მილიციას არ ძალუძს ზემოხსენებულ მოვლენებთან ბრძოლა, საჭიროა, რათა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან დაარსდეს განსაკუთრებული რაზმი, რომელსაც მიზნად ექნება აღმოაჩინოს ყოველგვარი სპეკულაცია, ძარცვა-მოპარვა, დაწვა, სასურსათო საწყობების დარბევა და აგრეთვე კონტრრევოლუციასთან და მასთან დაკავშირებულ პოლიტიკურ და სხვა გვარ ბოროტმოქმედებასთან ბრძოლა. რაზმი დაექვემდებარება შინაგან საქმეთა მინისტრს და მის უფროსს. ვალდებული იქნება ყოველ დღე თავის მოქმედების ანგარიში წარუდგინოს მინისტრს.

რაზმი დაარსდება 6 თვის ვადით, ვინაიდან იმედია, რომ თვით საბრძოლველი მოვლენა მეტს არ გასტანს. ამასთანავე, რაზმის უფროსს ეძლევა დიდი ძალაუფლება. მაგ. მას უნდა მიეცეს უფლება საეჭვო და ბრალდებულ პირთა შეპყრობისა თანამდებობისა და საზოგადოებრივი მდგომარეობის და მიუხედავად. მასვე უნდა მიენიჭოს უფლება საჭირო საბუთების ამოღებისა კერძო ბინებიდან თუ დანესებულება-კანცელარიებიდან.

რაზმის მოქმედება უნდა გავრცელდეს სრულიად საქართველოს ტერიტორიაზე. საჭირო შემთხვევაში მას უნდა აღმოუჩინოს ყოველგვარი დახმარება რკინის გზის დამცველ მილიციამ, სახალხო გვარდიამ და სამხედრო რაზმელებმა თუ ჯარის ნაწილებმა. დანესებულებათა უფროსები ვალდებული უნდა იყვნენ დაუშვან კანცელარიებსა და საეჭვო კანტორებში, როგორც რაზმის უფროსი, ისე მისი თანამშრომელნი".

ნოე რამიშვილის მოხსენებას თან ერთვოდა „კანონპროექტი შესახებ განსაკუთრებული რაზმის დაარსებისა შინაგან საქმეთა მინისტრის უწყებაში საბრძოლველად კონტრრევოლუციის, სპეკულაციის და მტაცებლობის წინააღმდეგ საქართველოს საზღვრებშიდ", რომელშიც ნათქვამი იყო:

„1. დაარსდეს საბრძოლველად სპეკულაციის, მტაცებლობის და კონტრრევოლუციის წინააღმდეგ საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში, დროებით, ექვსი თვის ვადით, პირველი ივლისიდან, ამა 1918 წ. განსაკუთრებული რაზმი თანახმად ამასთანავე განმარტებული შტატისა.

2. საქმიანობა აღნიშნული რაზმისა მოწესრიგებულია შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ინსტრუქციით.

3. ამ რაზმის შესანახავი კრედიტი 240 000 მან. უნდა გადადებულ იქნას ათი მილიონი ფონდიდან.

4. ეს კანონი შედის ძალაში დღიდან იმის მოწონებისა ეროვნული საბჭოს მიერ."

კანონპროექტს თან ახლდა აგრეთვე საგანგებო რაზმის საშტატო ნუსხა და ხარჯთაღრიცხვა, რომლის თანახმადაც რაზმის უფროსის ყოველთვიური ხელფასი შეადგენდა – 900 მანეთს, თანაშემწის (2) – 800 მან. უფროსი თანამშრომლის (20) – 500 მან. ხოლო უმცროსი თანამშრომლის (40) – 450 მან. ამას გარდა, ფარულ

თანამშრომელთათვის ექვსი თვის მანძილზე გამოიყო 30 000 მან., საკანცელარიო ხარჯებისათვის 15 000 მან. და სამივლინებო – 12 000 მან.

მთელი საშტატო ოდენობა შეადგენდა 63 თანამშრომელს.[252]

როგორც აღინიშნა, საგანგებო რაზმი დაარსდა 6 თვით, თუმცა, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მისი მოქმედების ვადამ 1919 წლის 31 დეკემბრამდე გადაინია.

აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა დამფუძნებელი კრების მიერ 1919 წლის 30 დეკემბრის სხდომაზე დღის წესრიგით: „შინაგან საქმეთა სამინისტროსთან დაარსებულ განსაკუთრებულ რაზმის განგრძობის შესახებ სპეკულაციისა, კონტრრევოლუციის და მძარცველების წინააღმდეგ საბრძოლველად".[101]

1918 წლის 26 ივლისს გაიმართა საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა. დღის წესრიგში იყო 10 საკითხი. მე-5 საკითხად ფიგურირებდა კანონპროექტის – „შინაგან საქმეთა სამინისტროსთან კონტრრევოლუციის, სპეკულაციის და ძარცვა-გლეჯის წინააღმდეგ საბრძოლველად განსაკუთრებული რაზმის დაარსების შესახებ" განხილვა. კანონპროექტი შედგებოდა ინსტრუქციის, საშტატო ნუსხისა და ხარჯთაღრიცხვისაგან.

კანონპროექტი განსახილველად გამოიტანა სოციალ-დემოკრატმა, შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის საქმის მწარმოებლის თანაშემწემ (1920 წლის 27 იანვრის N 8 ბრძანებით გადაყვანილ იქნა სახალხო გვარდიაში[102]) კონსტანტინე მურზაყანის ძე საბახტარაშვილმა, რომელმაც ისაუბრა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან განსაკუთრებული რაზმის დაარსების აუცილებლობაზე. რაზმის წინაშე სამი ძირითადი ამოცანა უნდა ყოფილიყო გადასაწყვეტი: ბრძოლა კონტრრევოლუციასთან, სპეკულაციასთან და ძარცვა-გლეჯასთან. კ. საბახტარაშვილის შემდეგ სიტყვა აიღო საბჭოს წევრმა, ეროვნულ-დემოკრატმა რევაზ გაბაშვილმა, რომელმაც რაზმის შექმნის იდეა და დაფინანსების მოცულობა მოიწონა, თუმცა გაუგებრად მიიჩნია „კონტრრევოლუციის", როგორც დანაშაულის ცნება და წამოაყენა ამ ორგანიზაციის დასახელების მისეული ვარიანტი – „შინაგან საქმეთა სამინისტროსთან სახელმწიფოს დამრღვეველ ელემენტების წინააღმდეგ საბრძოლველი რაზმი". რ. გაბაშვილმა წაიკითხა რუსულ ენაზე შესრულებული საგანგებო რაზმის ინსტრუქციის პროექტი. მან დამსწრეთ სთხოვა განსაკუთრებული ყურადღება გაემახვილებინათ ინსტურქციის მე-3 მუხლზე: „ – Начальнику отряда и его сотрудникам представляется право в необходимых случаях подвергать аресту отдельных лиц, а ровно производить обыски и высилки~*.

რ. გაბაშვილმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა აღნიშნული მუხლი და მოითხოვა როგორც კანონპროექტის, ასევე ინსტრუქციის დაბრუნება იურიდიულ კომისიაში ხელახალი განხილვისათვის.

განმარტებებისათვის სიტყვა აიღო შინაგან საქმეთა მინისტრმა ნ. რამიშვილმა, რომელმაც ინსტრუქციის ზოგიერთი ჩანაწერი სტილისტური და იურიდიული თვალსაზრისით დააზუსტა და აღნიშნა, რომ განსაკუთრებული რაზმის შექმნის ძირითადი მიზანი იყო საქართველოში კონსტიტუციური გარანტიების

* რაზმის მეთაურსა და მის თანამშრომლებს უფლება ეძლევათ, აუცილებლობის შემთხვევაში, დააპატიმრონ ცალკეული პირები, ჩაატარონ ჩხრეკა და უზრუნველყონ ქვეყნიდან მათი გასახლება.

განმტკიცება. მან ასევე აღნიშნა, რომ „კონტრრევოლუციისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი რაზმი" უმეტესად შედგებოდა სხვადასხვა, ძველი, მაგრამ სანდო პირებისგან.

კვლავ გაგრძელდა კამათი. თითქმის ჩხუბამდე მივიდა ალექსანდრე ლომთათიძისა და რევაზ გაბაშვილის „სამართლებრივი დუელი" ინსტრუქციის მე-3 მუხლთან დაკავშირებით. ვნებათაღელვის ოდნავ ჩაცხრობის შემდეგ სიტყვა მისცეს სოციალ-რევოლუციონერ ფაჩუაშვილს, რომელმაც აღნიშნა, რომ 63 კაციანი საგანგებო რაზმი ვერ შეძლებდა ფართომასშტაბიან ბრძოლას სხვადასხვა სახის დანაშაულის წინააღმდეგ და საჭიროდ მიიჩნია არა ახალი სამართალდამცავი სტრუქტურის შექმნა, არამედ არსებული ოპერატიულ-საგამოძიებო ძალებისა და საშუალებების გონივრულად გამოყენება. აქედან გამომდინარე, კენჭისყრისგან მისი ფრაქცია თავს შეიკავებდა.

იურიდიულ ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები გამოთქვა გრ. ვეშაპელმა. ამ უკანასკნელთან კამათში ჩაერთო და ოპონირება გაუწია ა. ლომთათიძემ.

საბოლოოდ, ეროვნულმა საბჭომ ინსტრუქციის მე-3 მუხლს ცალკე უყარა კენჭი. ინსტრუქციასთან ერთად დამტკიცდა განსაკუთრებული რაზმის საშტატო ნუსხა და წლიური ბიუჯეტი. დამტკიცებული ინსტრუქციის თანახმად, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საგანგებო რაზმს შემდეგი ფუნქციები დაეკისრა:

„1. ხსენებული რაზმი იმყოფება მთლიანად შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგებლობაში და მოქმედებს მისი პირადი ხელმძღვანელობით;

2. რაზმის მოქმედება სრულდება საქართველოს რესპუბლიკის სრულ ფარგლებში შემავალ ტერიტორიაზე;

3. რაზმის უფროსს და მის თანამშრომლებს უფლება ეძლევათ, აუცილებლობის შემთხვევაში დააპატიმრონ ცალკეული პირები და ჩაატარონ ჩხრეკა;

4. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას რაზმის უფროსს უფლება აქვს მიმართოს დახმარებისათვის, როგორც საერთო, ისე სარკინიგზო მილიციას, სახალხო გვარდიას და სამხედრო ნაწილს;

5. რაზმის თანამშრომლების მიერ წარმოებული მოკვლევები გადაეცემა საგამოძიებო ნაწილს შემდგომი წარმოებისათვის, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანხმობით;

რაზმს აქვს განსაკუთრებულად დადგენილი ნიშნების მქონე ბეჭედი".

ამავე წლის 30 ივლისს ეროვნული საბჭოს სხდომამ რიგით მე-7 საკითხად განიხილა კანონპროექტი „არსებულ მფრინავ რაზმების შტატების გადიდების შესახებ". საქმე ის იყო, რომ ჯერ კიდევ ამიერკავკასიის სეიმის მიერ იყო მიღებული კანონი „მფრინავი რაზმების შესახებ", რომელსაც ძალა არ ჰქონდა დაკარგული. მისი მთავარი ამოცანა, რეგულარული არმიის შექმნამდე, შინაურ ანარქიასთან ბრძოლა იყო. კანონპროექტი სულ 7 მუხლს შეიცავდა.

მფრინავი რაზმები სტრუქტურულად ექვემდებარებოდნენ გუბერნიის კომისარიატებს. იმ პერიოდისათვის ქუთაისისა და თბილისის რაზმებში მათი რიცხვი 602 მებრძოლს შეადგენდა, ხოლო სოხუმის ოლქში 302-ს. კანონპროექტი ითვალისწინებდა მათი რაოდენობის 2500 კაცამდე გაზრდას. ამ კანონპროექტის განხ-

ილვასთან დაკავშირებითაც ცხარე კამათი გაიმართა. საკითხი ძირითადად იდგა ასე – რა უფრო საჭირო და აუცილებელი იყო – რეგულარული ქართული არმია, თუ მფრინავი რაზმები. კანონპროექტის კატეგორიული წინააღმდეგი იყო გრ. ვეშაპელი. საბოლოოდ, კანონი მაინც იქნა მიღებული. მათი რაოდენობა 600-დან 1000 კაცამდე გაიზარდა. ხელფასის ოდენობა რაზმის უფროსს 600, ხოლო თანაშემწეს 500 მანეთით განესაზღვრათ.[97]

**სწორედ განსაკუთრებული რაზმი უნდა მივიჩნიოთ დამოუკიდებელი საქართველოს სპეცსამსახურად.** მასში ოპერატიული დანაყოფის გარდა, როგორც ვნახეთ, შედიოდა სპეციალური დანიშნულების შეიარაღებული ფორმირება – ანუ მფრინავი რაზმი, რომელიც უშუალოდ მინისტრს ექვემდებარებოდა. რაზმი, როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩამოყალიბებული იყო ექვსი თვის ვადით, მაგრამ ვინაიდან ინტერვენციის საფრთხე დიდი იყო, მისი დაშლა არ მოხერხდა თვით სამინისტროს ლიკვიდაციამდე.

მას შემდეგ, რაც 1920 წლის დეკემბერში გააქტიურდნენ საქართველოს მეზობელი ქვეყნების სპეცსამსახურები, მოხდა განსაკუთრებული რაზმის რეორგანიზაცია და მას ეწოდა „განსაკუთრებული რაზმის სამმართველო".[238]

განსაკუთრებულ რაზმს, შინაგან საქმეთა მინისტრის 1918 წლის 17 აგვისტოს 225-ე ბრძანების თანახმად, სათავეში ჩაუდგა მელქისედეკ (მექი) მიხეილის ძე კედია. ამავე ბრძანებით დაინიშნა საგანგებო რაზმის მთელი პირადი შემადგენლობა.

მექი კედია დაიბადა 1878 წელს, გარდაიცვალა 1945 წელს ემიგრაციაში, დაკრძალულია ლევილის სასაფლაოზე.

1920 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით, განსაკუთრებული რაზმის სტრუქტურა ასეთი იყო: რაზმის უფროსი (1), თანაშემწე (2), კანცელარიის მმართველი (1), საქმის მწარმოებელი (1), რეგისტრატორი (1), მემანქანე (2), უფროსი თანამშრომელი (40), უმცროსი თანამშრომელი (78), მსახური (2), შიკრიკი (2). სულ 130 საშტატო ერთეული.

იმავე წლის 26 ივლისს შედგენილი სიის თანახმად, რაზმის სტრუქტურამ გარკვეული ცვლილებები განიცადა: რაზმის უფროსი (1), თანაშემწე (3), კანცელარიის მმართველი (1), საქმის მწარმოებელი (1), თანაშემწე (1), რეგისტრატორი (1), მემანქანე (2), იურისკონსული (1), უფროსი თანამშრომელი (36), უმცროსი თანამშრომელი (80), მსახური (2), შიკრიკი (2), შტატს გარეშე დაქირავებული (16). სულ 131 შტატით გათვალისწინებული და 16 შტატგარეშე თანამშრომელი.

1920 წლის 17 სექტემბრის მონაცემებით (ამ დღეს, დამფუძნებელი კრების დეკრეტის თანახმად, ჯამაგირი გაეზარდათ რაზმის თანამშრომლებს), განსაკუთრებული რაზმის უფროსს ჰყავდა ოთხი თანაშემწე: ჯანელიძე იონა ლუკას ძე, ჩიკვაიძე ალექსანდრე ვლადიმერის ძე, ჯაყელი ნიკოლოზ ქაიხოსროს ძე და ჟვანია გრიგოლ ერასტის ძე. რაზმს ჰყავდა კანცელარიის მმართველი – ქუთელია სოლომონ კერენდუხის ძე, საქმის მწარმოებელი, პირადი შემადგენლობის გამგე, თანაშემწე, რეგისტრატორი, მემანქანეები (2). აგრეთვე შიკრიკნი (2) და მსახურნი (2).

განსაკუთრებულ რაზმში, ზემოაღნიშნული თანამშრომლების გარდა, ირიცხებოდა 40 უფროსი თანამშრომელი და 81 თანამშრომელი. განსაკუთრებულ რაზმში მსახურობდა აგრეთვე მექი კედიას ვაჟიშვილი – მიხეილ კედია.

1920 წლის 9 და 13 ოქტომბრის სახელფასო უწყისების თანახმად, რაზმის სტრუქტურა ასეთი იყო: რაზმის უფროსი (1), თანაშემწე (3), კანცელარიის მმართველი (1), საქმის მწარმოებელი (1), თანაშემწე (1), რეგისტრატორი (1), მემანქანე (2), უფროსი თანამშრომელი (39), უმცროსი თანამშრომელი (80), მსახური (2), შიკრიკი (2). სულ 133 თანამშრომელი.[250]

1919 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში, შინაგან საქმეთა მინისტრის თავმჯდომარეობით გაიმართა თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ მაზრების კომისრები, ერთობის წარმომადგენლები და ქალაქის მილიციის უფროსები. თათბირზე გადაწყდა, განსაკუთრებული რაზმის ნაცვლად, რომელმაც იმ პერიოდში თავისი ფუნქცია ამოწურა, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან დაარსებულიყო საზოგადოებრივი მშვიდობიანობის უზრუნველყოფის განყოფილება. აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი მიმართვა გაიგზავნა საქართველოს მთავრობის საქმეთა მმართველობაში, რომელმაც წამოყენებული წინადადება განიხილა იმავე წლის 25 დეკემბერს.

განყოფილებაში სულ 135 საშტატო ერთეული შედიოდა: განყოფილების გამგე, თანაშემწე (4), უფროსი მოხელე (40) უმცროსი მოხელე (80), კანცელარიის მმართველი (1), საქმისმწარმოებელი (1), საქმისმწარმოებლის თანაშემწე (1), რეგისტრატორი (1), მემანქანე (2), დარაჯი (2), შიკრიკი (2).

საქართველოს მთავრობის საქმეთა მმართველობაში გაგზავნილ დოკუმენტს თან ახლდა „კანონპროექტი საზოგადოებრივ მშვიდობიანობის უზრუნველყოფის განყოფილების დაარსებისა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან". მასში კერძოდ ნათქვამი იყო:

„1. დაარსდეს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან მშვიდობიანობის უზრუნველყოფის განყოფილება.

2. დამტკიცებულ და 1920 წლის იანვრიდან 1 ივლისამდის შემოღებულ იქნას ამ კანონთან დართული ხარჯთაღრიცხვა და შტატი პირველ მუხლში აღნიშნული განყოფილებისა.

3. გადაიდოს სახელმწიფო ხაზინიდან ამ კანონის მეორე მუხლში აღნიშნული შტატით და ხარჯთაღრიცხვისათვის ორი მილიონ ხუთას ოცდაჩვიდმეტი ათასი (2 537 000) მანეთი.

4. კანონი ძალაში შევიდეს 1920 წლის 1 იანვრიდან.

შსს მინისტრის ამხანაგი ჭიჭინაძე".

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით, 1919 წლის 25 დეკემბერს დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულ იქნა კანონი „შინაგან საქმეთა სამინისტროსთან სისხლის სამართლის მილიციის ცენტრალური ბიუროს დაარსების შესახებ" (შესაბამისი შტატებითა და ხარჯთაღრიცხვით). ამით საგანგებო რაზმისაგან გაიმიჯნა კრიმინალური და პოლიციური ფუნქციები.[251]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ დიდი დახმარება გაუწია მთავრობას ბოლშევიკური გამოსვლების ჩახშობისას გორში, დუშეთში, ბორჩალოში, სენაკში, ზუგდიდში, ლეჩხუმში, სამხრეთ ოსეთში, აფხაზეთსა და აჭარაში. აკაკი რამიშვილი (ნოე რამიშვილის ვაჟიშვილი) თავის წიგნში „ჩვენი შეცდომები 1918-1921 წლებში" მიანიშნებს განსაკუთრებული

რაზმის რაოდენობაზე – 2500 კაცი. იქვე ა. რამიშვილი აღნიშნავს, რომ „სამინისტროში იყო სახელმწიფო კონტრდაზვერვის განყოფილება, რომელიც ზედმიწევნით შედეგიანი გამოდგა. როცა კონტრდაზვერვის დეპარტამენტი ნოე რამიშვილს წარუდგენდა ხოლმე საბუთს ბობოლა ბოლშევიკების საქციელზე, იგი დაუყოვნებლივ აპატიმრებდა მათ ადმინისტრაციული წესით და ასამართლებდა საველე სასამართლოში, რომელიც მის დაქვემდებარებაში იყო".[65]

განსაკუთრებული რაზმის უმთავრესი დანიშნულება, რომელსაც იგი კარგად ახორციელებდა, საქართველოს დამოუკიდებლობის, მისი ტერიტორიული მთლიანობისა და სახელისუფლო სისტემის დაცვის უზრუნველყოფა, ბოლშევიკური აგრესიის მოგერიება, ქვეყნის გარედან ინსპირირებული ეთნოკონფლიქტების თავიდან აცილება და საზღვარგარეთის, ძირითადად რუსეთის სპეცსამსახურების აგრესიული ზრახვების გამოაშკარავება იყო.

საქართველოში ბოლშევიკური მმართველობის დამყარების შემდეგ განსაკუთრებული რაზმის წევრთა უმეტესობა, ხელმძღვანელობასთან ერთად, ემიგრაციაში წავიდა. ისინი ერთი პერიოდი თურქეთში, კერძოდ, სტამბოლში იმყოფებოდნენ, პარალელურად კი ინგლისის კონტრდაზვერვას ეხმარებოდნენ. მექი კედიას, თავის მოადგილეებთან ერთად, თითქოსდა, სტამბოლში რესტორანიც კი გაუხსნია.. რაზმის წევრები თავს დროებით აფარებდნენ ქართულ კათოლიკურ მონასტერს. შემდგომში ისინი გაემგზავრნენ სხვადასხვა ქვეყანაში და საკუთარი ცხოვრებით განაგრძეს არსებობა. ერთი მცირე ნაწილი ტრაპიზონში განთავსდა ანტისაბჭოთა საქმიანობის საწარმოებლად. ნაწილი საქართველოშიც დაბრუნდა და რეპრესიებს ვერ ასცდა.[349]

განსაკუთრებული რაზმის ყოფილი წევრები მცირე ჯგუფის სახით თავისი მოვალეობის შესრულებას განაგრძობდნენ პარიზშიც, ემიგრანტული მთავრობის შემადგენლობაში. ისინი უშუალოდ ნ. რამიშვილს ემორჩილებოდნენ.

რაზმის ყოფილი წევრები: ჩაუჩიძე ვასილ გიორგის ძე, ებრალიძე სიმონ სიმონის ძე და გალაჯევი გიორგი ალექსანდრეს ძე საგანგებო კომისიამ 1921 წლის მაისში დააპატიმრა. გ. გალაჯევი შემდგომში დახვრეტილ იქნა. ვ. ჩაუჩიძე საქართველოდან 5 წლით იქნა გასახლებული. ხეირი საგანგებო რაზმის არც საქართველოში დარჩენილ სხვა წევრებს დაადგათ.[347]

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 1918-1921 წლებში საქართველოს ეროვნული გვარდიის შტაბის სტრუქტურაში არსებობდა სამხედრო დაზვერვა და კონტრდაზვერვა, რომელსაც საინფორმაციო-პოლიტიკური განყოფილება ეწოდებოდა. მისი უმთავრესი დანიშნულება იყო გამოვლენა სამხედრო სფეროში მოღვაწე იმ პირებისა, რომლებიც დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის მონინააღმდეგეები იყვნენ. განყოფილება ოპერატიულ საქმიანობას ეწეოდა და ჰყავდა თავისი აგენტები სხვადასხვა სამხედრო ქვედანაყოფში.

ზემოაღნიშნულ განყოფილებას სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ ლეო რუხაძე და გოგიტა ფაღავა. განყოფილებასთან თანამშრომლობდნენ ევგენი ჭკადუა, ნიკოლოზ შარაბიძე, ვინმე სკობოლევი (სახალხო გვარდიის განსაკუთრებული ბატალიონის ოფიცრები), აგრეთვე აკაკი ურუშაძე, ვასილ დუმბაძე და სერგო ვაშაძე. აკაკი ურუშაძე შემდგომში რეპრესირებულ იქნა და გარდაიცვალა გადასახლებაში.

## ბრძოლა საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების წინააღმდეგ

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალისხმევის შედეგად, სერიოზული წინააღმდეგობების მიუხედავად, ქვეყნის დიდ ქალაქებში ვითარება სტაბილური იყო, ხოლო სხვა რაიონებში წესრიგი ნელ-ნელა თავის კალაპოტს უბრუნდებოდა. თუკი რაიმე ექსცესებს ჰქონდა ადგილი, ეს, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეული იყო საქართველოს მოსაზღვრე (ყოფილი რუსეთის იმპერიის) რეგიონებში შექმნილი ვითარებით. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საქართველოში ბოლშევიზმის იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლას, რომელიც ძირითადად გარედან იყო თავსმოხვეული.

ბოლშევიკები ძალას და ენერგიას არ იშურებდნენ, რათა რუსეთის პოლიტიკურ ორბიტას არ ჩამოცილებოდა ამიერკავკასია და მისი ხალხი. ამიერკავკასიის სეიმის გახსნის დღეს ქ. თბილისში, ალექსანდრეს ბაღში ბოლშევიკების მიერ ორგანიზებულ იქნა მიტინგი, რომლის მიზანიც იყო სახელმწიფო თეატრის შენობაში მიმდინარე ამიერკავკასიის სეიმის სხდომის ჩაშლა. მომიტინგეთა მიმართ გამოყენებულ იქნა ძალა და მათ საწადელს ვერ მიაღწიეს. შეიარაღებული შეტაკებისას დაიჭრა რამდენიმე ბოლშევიკი. ამ დღიდან დაიწყო ბოლშევიკების აგრესიული ქმედებების წინააღმდეგ გადამჭრელი ზომების მიღება. აიკრძალა მათი ბეჭდვითი ორგანოს გამოცემა. დაპატიმრებულ იქნენ ბოლშევიკთა ლიდერები შაუმიანი, კუზნეცოვი და სხვები, აიკრძალა მიტინგები და დემონსტრაციები.[244]

მოვლენები საქართველოს მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანში საქართველოს ანალოგიურად განვითარდა.

1919 წლის მარტში ჩატარებული არჩევნების შედეგად, რომელშიც მოსახლეობის 60%-ზე მეტმა მიიღო მონაწილეობა, ეროვნული საბჭო შეცვალა დამფუძნებელმა კრებამ. როგორც ეროვნულ საბჭოში, ასევე დამფუძნებელ კრებაში არჩეულ იქნენ ყველა ეროვნების დეპუტატები.

ქვეყანას სოციალ-დემოკრატიული პარტია მართავდა. სოციალ-დემოკრატები დამფუძნებელი კრების 80 პროცენტს შეადგენდნენ. მათი ასეთი წარმატება მოსახლეობაში განპირობებული იყო მათი მრავალრიცხოვნობით და თითქმის ოცდახუთწლიანი ავტორიტეტით. რუსეთის ოთხივე სათათბიროს წევრებადაც საქართველოდან სწორედ ქართველი სოციალ-დემოკრატები ირჩეოდნენ.

მოსახლეობა დიდი ენთუზიაზმით შეხვდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას. ქვეყანაში ამოქმედდა დამოუკიდებელი სახელისუფლებო სტრუქტურები. დაიწყო საზღვრების მოწესრიგება; დამოუკიდებელი არმიის შექმნა; ეროვნულ უმცირესობათა ინტერესების დაცვა; სახელმწიფო ენად გამოცხადდა ქართული და სხვა. 1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია.

მას შემდეგ, რაც დემოკრატიულმა საქართველომ გერმანული ორიენტაცია აირჩია, საქართველოს ახალგაზრდა რესპუბლიკამ სათანადო რწმუნებებით აღჭურვა სამთავრობო დელეგაცია ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეების ირაკლი წერეთლის, აკაკი ჩხენკელის, სპირიდონ კედიას, ნიკო ნიკოლაძის, ზურაბ ავალ-

იშვილის, იოსებ გობეჩიას, ვლადიმერ ახმეტელის შემადგენლობით და 1918 წლის ზაფხულში მოლაპარაკებისათვის ბერლინს მიავლინა.[1]

საქართველო-გერმანიის მოლაპარაკებების მიმდინარეობის პერიოდში ანტანტამ გერმანია დაამარცხა (1918 წლის ნოემბერი) და, შესაბამისად, მათთან მოლაპარაკების პროცესი შეწყდა. საქართველოს დელეგაციის წევრთა ნაწილი დაბრუნდა სამშობლოში, ნაწილი კი, მთავრობასთან შეთანხმებით, შეეცადა მოლაპარაკებების გაგრძელებას გამარჯვებულებთან. თუმცა, ეს უკანასკნელნი დიდხანს არ ღებულობდნენ საქართველოს წარმომადგენლებს იმ მოტივით, რომ დელეგაციის წევრთა უმეტესობა პროგერმანულად იყო განწყობილი. გერმანიის ახალი ხელისუფალი საერთოდ წინააღმდეგი იყო რაიმე ურთიერთობის დამყარებისა მათი მოკავშირის – რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე წარმოქმნილ სახელმწიფოებთან.

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, აუცილებელი გახდა მხარდამჭერი მეგობარი ქვეყნების მოძიება, რომელთა გარეშეც საქართველოსთვის წარმატების მიღწევა, სახელმწიფოებრიობის მშენებლობის თვალსაზრისით, შეუძლებელი იყო. გადაწყდა საქართველოში მეორე ინტერნაციონალის მესვეურების მოწვევა. ინტერნაციონალის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ ინგლისელები: რამზეი მაკდონალდი, სნოუდენი და არტურ ჰენდერსონი მეუღლეებითურთ; ფრანგები: პიერ რენოდელი და ანდრიან მარკე, დე ბრუკერი, ჰიუსმანი და სხვები 1920 წლის 14 ოქტომბერს ეწვივნენ საქართველოს. მოგვიანებით დელეგაციას შეუერთდა კარლ კაუცკი მეუღლითურთ.

დელეგაცია საქართველოში დიდი ზარ-ზეიმით მიიღეს. მასპინძლობას ორგანიზებას უწევდა ევგენი გეგეჭკორი. მან შეძლო უცხოელებთან სასურველი ურთიერთობების დამყარება. უცხოელების საქართველოში ჩამოსვლის თაობაზე იტყობინებოდა გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“.[105] ინტერნაციონალის დელეგაციამ იმოგზაურა ბათუმში, კახეთში, იმერეთში, სამეგრელოში, გურიაში. მეორე ინტერნაციონალის წარმომადგენლებმა საქართველო კმაყოფილებმა დატოვეს. მათ საქართველოს მთავრობას აღუთქვეს ყოველმხრივი დახმარება და მხარდაჭერა, თუმცა ეს დახმარება იმ მომენტში ნაკლებმნიშვნელოვანი აღმოჩნდა. სამაგიეროდ, მეორე ინტერნაციონალის ამ წარმომადგენლებმა დიდი დახმარება გაუწიეს უკვე ემიგრაციაში მყოფ ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას ანტისაბჭოთა საქმიანობაში.[19]

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ფაქტმა და ორიენტაციის აღებამ ევროპაზე, განსაკუთრებით გერმანიაზე, იმთავითვე გააღიზიანა საბჭოთა რუსეთი, რომელმაც გერმანიის სამხედრო ნაწილების ყოფნა საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ ჩათვალა და კატეგორიულად მოითხოვა, არ აღიარებულიყო საქართველო საერთაშორისო დონეზე.

მიუხედავად ამისა, გართულებული საერთაშორისო ვითარების ფონზე, რუსეთმა არაპირდაპირ მაინც ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, როდესაც ის 1918 წლის 27 აგვისტოს „რუსეთ-გერმანიის დამატებითი ხელშეკრულების“ მე-13 მუხლის თანახმად, დაეთანხმა გერმანიის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას.[1] საქართველოში არსებული სტაბილური ვითარების მიუხედავად, საბჭოთა რუსეთი და დასავლეთის სახელმწიფოები, რუსეთის ფაქტო-

რიდან გამომდინარე, არ ჩქარობდნენ საქართველოს საერთაშორისო დონეზე აღიარებას. გამონაკლისს წარმოადგენდა არგენტინა, რომელმაც 1919 წლის 13 სექტემბერს ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა.

პირველ მსოფლიო ომში გერმანელთა დამარცხების შემდეგ, ქართველმა ხალხმა გერმანიის სამხედრო ნაწილები თბილისიდან და ფოთიდან დიდი ზარ-ზეიმით გააცილა ქვეყნის დამოუკიდებლობის საკითხში მათი დიდი წვლილის გამო.[74]

1918 წლის ბოლოს საქართველოში ინგლისელების სამხედრო შენაერთები შემოვიდნენ. საქართველოს მთავრობა შეეცადა ინგლისელთა დახმარებით დაკარგული ბათუმისა და ბათუმის ოლქის დაბრუნებას, რაც შესაძლებელი გახდა კიდეც 1920 წლის ზაფხულში.

ინგლისს საქართველოს დახმარების სურვილის გარდა, საკუთარი მიზნებიც ამოძრავებდა. ის აჭარას თავის სამოქმედო არეალად მიიჩნევდა და მოსახლეობაში ანტიქართული განწყობის დამკვიდრებას ცდილობდა. ინგლისელთა პოლიტიკური და სამხედრო სტრატეგია ეფუძნებოდა მათ დამოკიდებულებას საბჭოთა რუსეთის მიმართ, რაც ძლიერი რუსეთის შენარჩუნების სურვილში გამოიხატებოდა. აქედან გამომდინარე მოქმედებდნენ ინგლისის სპეცსამსახურები, რომლებიც მრავალეროვანი აჭარის მოსახლეობას თავისი მიზნებისთვის იყენებდნენ. საქართველოს წინააღმდეგ ძირგამომთხრელ საქმიანობას აწარმოებდა ბათუმის ინგლისელი გუბერნატორი, გენერალი კუკ-კოლისი. ინგლისელთა მხრიდან მტრული საქმიანობა იმაშიც გამოიხატა, რომ მათ აჭარიდან ჯარების გაყვანის წინ ააფეთქეს ბათუმის პორტი. ინგლისელები აჭარაში ყოფნის პერიოდში ისეთ ეკონომიკურ წინაპირობებს ქმნიდნენ, რომლებიც მთლიანობაში უარყოფითად მოქმედებდა ახალგაზრდა, დამოუკიდებელი ქვეყნის ეკონომიკაზე.

საქართველოს, დამოუკიდებლობის დაკარგვის ბოლო წუთამდე, მტრობდა ოსმალეთი, რომლის სპეცსამსახურების წაქეზებით მოხდა თავდასხმა ბორჩალოს მაზრაზე, რასაც მოჰყვა, განსაკუთრებით, სომხური მოსახლეობის დარბევა. ცუდი როლი ითამაშეს ოსმალეთის მთავრობის წარმომადგენლებმა 1918 წლის 1 ივლისს ოსმალეთის მთავრობის ინიციატივით აჭარაში რეფერენდუმის ჩატარებისას, რომლის დროსაც ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების თანახმად, უნდა გარკვეულიყო აჭარის სახელმწიფოებრივი კუთვნილების საკითხი. ოსმალეთის სინდისზეა 1918 წლის 18 აგვისტოს აბასთუმანში მოწყობილი პროვოკაციის შედეგად ოსმალების მხრიდან ადგილობრივი მოსახლეობის დარბევა-გაძარცვა და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებელმა საქართველომ სომხეთი სტრატეგიულ მოკავშირედ გამოაცხადა, ეს უკანასკნელი სულ მალე კონფრონტაციის გზას დაადგა და მისმა სპეცსამსახურმა ძირგამომთხრელი საქმიანობა დაიწყო, რითაც თავისივე ქვეყნის სახელმწიფოებრიობის დასამარებას შეუწყო ხელი.

სომხური მოსახლეობა საქართველოს თავის სამშობლოდ არ აღიქვამდა და შესაბამისად არ მონაწილეობდა მის კულტურულ-სამეურნეო და თავდაცვით საქმიანობაში. თავს არიდებდა სამხედრო სამსახურში გაწვევას და, რუსეთის სპეცსამსახურების წაქეზებით, მონაწილეობდა სხვადასხვა პროვოკაციულ, ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებში. უფრო მეტიც, 1918 წლის დეკემბერში სომხ-

ეთმა საქართველოს ომიც კი გამოუცხადა, თუმცა მალევე დამარცხდა. ძირგამომთხრელ საქმიანობაში განსაკუთრებით აქტიურობდნენ საქართველოს ტერიტორიაზე დროებით მცხოვრები სომეხი ეროვნების ლტოლვილები.[45]

1918 წლის 20 დეკემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულმა განსაკუთრებულმა რაზმმა მიიღო „აგენტურული შეტყობინება" იმასთან დაკავშირებით, რომ ქ. თბილისში, არამიანცის სახლში (გოლოვინის პროსპექტისა და ბარათაშვილის ქუჩის კუთხეში), სადაც განთავსებული იყო სომეხთა ეროვნული საბჭო, მიმდინარეობდა სომეხი ახალგაზრდობის ჩაწერა სომხურ არმიაში. ეს უკანასკნელი ბრძოლებს აწარმოებდა დემოკრატიული საქართველოს წინააღმდეგ. აღნიშნულ სამხედრო შენაერთში ძირითადად ეწერებოდნენ თბილისის მილიციის სომეხი ეროვნების ყოფილი თანამშრომლები.

ინფორმაციის გადასამოწმებლად, განსაკუთრებული რაზმის უფროსის, მ. კედიას უშუალო განკარგულებით, ადგილზე გაიგზავნნენ რაზმის თანამშრომლები სარალიძე და ლაპარტია, რომლებმაც ფარულად შეაღწიეს არამიანცის სახლში და საკუთარი თვალით იხილეს ის, რაც იქ ხდებოდა. აქედან გამომდინარე, აუცილებელი გახდა სომეხი ახალგაზრდებისა და ყოფილი მილიციელების მიმართ გადამჭრელი ზომების მიღება.

იმავე დღეს, მექი კედია, თავის თანაშემწესთან პლ. ფაჩულიასთან,[106] განსაკუთრებული რაზმის წევრებთან და მილიციის ჯგუფთან (ხელმძღვანელი მე-4 კომისარიატის კომისარი ასათიანი) ერთად სასწრაფოდ მივიდა არამიანცის სახლში, სადაც ჯერ კიდევ იმყოფებოდნენ მოხალისეები და ის ორი აგიტატორი, რომელიც სომეხ ახალგაზრდობას დემოკრატიული საქართველოს საწინააღმდეგო საქმიანობისაკენ მოუწოდებდა. ეს უკანასკნელები აღმოჩნდნენ ალექსანდრე ვასილის ძე ბარხუდარიანი და გიორგი პოღოსის ძე ჯამაგოსიანცი.

ზემოაღნიშნულ კრებას ესწრებოდა 500-მდე (საარქივო დოკუმენტში ეს ციფრია მითითებული) ადამიანი, მათ შორის ქალებიც, თუმცა დაპატიმრებულ იქნენ მხოლოდ ბარხუდარიანი, ჯამაგოსიანცი და ზოგიერთი აქტიური მილიციელი. აქტივისტებმა საგანგებო რაზმის მისვლისთანავე გაანადგურეს სხვადასხვა დოკუმენტაცია და კრების ოქმები მოხალისეთა სიებთან ერთად, ამოღებულ იქნა ცეცხლსასროლი იარაღი. ბარხუდარიანსა და ჯამაგოსიანცს თან ჰქონდათ ბოლშევიკური ორგანიზაციის წევრობის დამადასტურებელი მოწმობები და სხვადასხვა მიმონერები.

შემდგომმა ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებებმა აჩვენა, რომ სომეხთა ეროვნული საბჭოს შენობაში 20 დეკემბერს სომეხი ახალგაზრდობის მობილიზაციას სომხური ეროვნული არმიისათვის, სომხეთის მთავრობის დავალებით, ორგანიზებას უწევდა (იბირებდა საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ არა მარტო სომეხ, არამედ რუსი ეროვნების ჯარისკაცებსა და ოფიცრებს) პოლკოვნიკი დოლუხანოვი და მისი თანამშრომლები.

თბილისის გენერალ-გუბერნატორის მიერ გაცემული ორდერის საფუძველზე, ბარხუდარიანი და ჯამაგოსიანცი დაპატიმრებულ და მოთავსებულ იქნენ გუბერნსკის N 2 ციხეში.[245]

სამწუხაროდ, დამოუკიდებელი საქართველოს მიმართ ერთგულებით არც აზერბაიჯანი გამოირჩეოდა, პირიქით, მისი სპეცსამსახურები ძირგამომთხრელ

საქმიანობასაც კი არ თაკილობდნენ. აზერბაიჯანი ფორმალურად, თითქოსდა, ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდა, თუმცა ხელს უწყობდა აჭარაში აქტიური ანტიქართული პოლიტიკის წარმოებას. უარყოფითი როლი ითამაშა აზერბაიჯანმა საქართველოსა და მთიელთა რესპუბლიკას შორის ურთიერთობის დამყარებაში.

ამიერკავკასიაში შექმნილი რთული ვითარების გამოყენებას ცდილობდნენ საბჭოთა რუსეთში ახლადჩამოყალიბებული სპეცსამსახურები.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით, თავის 1918 წლის 28 ივლისის ნომერში იტყობინებოდა საქართველოში ფარული საზოგადოების დაარსების შესახებ.[95] აღნიშნული ორგანიზაცია სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფების წარმომადგენლებისაგან შედგებოდა. მასში შედიოდნენ ბოლშევიკები, ზოგიერთი ყოფილი რუსი მოხელე, რუს ოფიცერთა ნაწილი და სხვები. მისი მიზანი ყოფილა: „სახელმწიფოს სხვადასხვა დაწესებულებების განადგურება და აფეთქება, ტერორისტული აქტების მოხდენა და დასასრულ, მთელს რუსეთში და საქართველოში, როგორც რუსეთის ყოფილ ნაწილში, მონარქიული წესწყობილების აღდგენა".

ზემოაღნიშნულ ორგანიზაციაში შედიოდა ის ჯგუფიც, რომელიც „სპეკულაციის საშუალებით ძირს უთხრის რესპუბლიკის კეთილდღეობას". ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შედეგად აღმოჩენილა ასაფეთქებელი მასალის საწყობი. დაუტყვევებიათ ბ. ბ. რუბენაუ, ჯუნკოვსკი, დურნოვი და სხვები.

გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, 1918 წლის დეკემბერში დაპატიმრებულ იქნენ: თბილისში მცხოვრები, დაშნაკთა პარტიის წევრი ნერსეს ალექსანდრეს ძე საფარიანცი; აგრეთვე: გიორგი ივანეს ძე ხატისოვი, ივანე ეგორის ძე ადონცი, ბახჩო ივანეს ძე არუთინოვი, ლევან დავითის ძე ღოღობერიძე, გიორგი ალექსანდრიანცი, ამასპა გეორქის ძე განჯიანცი, ტერენიკ ლევანის ძე აბრამიანცი, ვარდკეს მიკირტიჩის ძე ტიჟოიანცი, სარქის გრიქურის ძე მუჟანიანცი, გასპარ აკიმის ძე მეკონიანცი. 1919 წლის იანვარში დააპატიმრეს: სიმონ ეგორის ძე ოსიპოვი, აიკ გრიგორის ძე ტერ-აზარიანცი, მიხეილ გიორგის ძე ჯანიაშვილი, 29 სომეხი (ბორჩალოს მაზრის მცხოვრებნი). 1919 წლის 21 იანვარს ვლადიკავკაზში გადასახლებულ იქნენ პატიმრობაში მყოფი ბოლშევიკები: ჰაიკ ხირხორიანი, სომინ გოგიშვილი, ივანე ზუბკოვი, ვლადიმერ ასათიანი, ანდრო ლაფაჩიძე, დიმიტრი თაქთაქოვი, ვასილ ლაშქარაშვილი, ნასყიდა ნონიკაშვილი, ლავრენტი სმოტრიკოვი, ივანე ჩერნი და სხვა მრავალი (მათ შორის უმეტესობა სომეხი და რუსი ეროვნების). 1919 წლის 6 ოქტომბერს დაპატიმრებულ იქნა ალექსანდრე (საშა) ალექსანდრეს ძე გეგეჭკორი. 1919 წლის 14 ნოემბერს, 18 კაციან ჯგუფთან ერთად – ტიტე ილარიონის ძე ლორთქიფანიძე.[246]

1918 წლის 20 ივნისს თბილისის საქალაქო მილიციის დადგენილების საფუძველზე, კონტრრევოლუციური საქმიანობისათვის დაპატიმრებულ იქნენ ჟანდარმერიის ყოფილი პოლკოვნიკი ივანე ოსიპის ძე პასტრიულინი, თბილისის სამხედრო გიმნაზიის ყოფილი დირექტორი გენერალ-მაიორი სერგო სერგოს ძე დურნოვი და კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე გენერალ-ლეიტენანტი ივანე ივანეს ძე იგნატიევი. ი. ო. პასტრიულინი 21 აგვისტოს გაანთავისუფლეს. მას ერთ კვირაში უნდა დაეტოვებინა საქართველო.[247]

1920 წლის 18 ივნისის მონაცემებით, განსაკუთრებულმა რაზმმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში – მრავალი კანონდარღვევა გამოავლინა. ამოღებულ იქნა გადამალული, აღურიცხავი პროდუქცია დაახლოებით 50 მილიონი რუბლის ოდენობით. დაპატიმრებულ იქნა 44 პიროვნება, რომლებიც ეწეოდნენ მსხვილ სპეკულაციურ ოპერაციებს. მაგალითად: მანთაშოვის ქარვასლაში აღმოჩენილ იქნა მოპარული საქონლის საწყობები, რომელიც ეკუთვნოდა „ერობათა კავშირს" საერთო ღირებულებით 30 000 რუბლი. გატარებული ღონისძიებების შედეგად საწყობებიდან ამოღებულ იქნა რუსეთის სადაზღვეო და სატრანსპორტო საზოგადოების კუთვნილი პირველი მოთხოვნილების 15 867 647 რუბლის ღირებულების საქონელი, რომელიც ფარულად, სპეკულაციურ ფასებში იყიდებოდა და სხვა.

გარდა ამისა, განსაკუთრებული რაზმი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ბანდიტიზმისა და ყალბი მონეტების ფალსიფიკატორთა წინააღმდეგ ბრძოლას. ამ მიმართულებითაც შედეგები საკმაოდ შთამბეჭდავი იყო.

პროფ. ვახტანგ გურული მიიჩნევს (რაშიც სრულად ვეთანხმებით), რომ 1918-21 წლებში დემოკრატიული საქართველოს წინააღმდეგ საბჭოთა რუსეთის ძირგამომთხრელი საქმიანობის წარმატებებს მეტწილად განსაზღვრავდა ქვეყანაში არსებული რუსთა მეხუთე კოლონა, რომელმაც დაუფარავი ბრძოლა გამოუცხადა ახალგაზრდა ქვეყნის დამოუკიდებლობას. „1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ საქართველოში მცხოვრებმა რუსებმა ცხადად იგრძნეს, რომ მათ პრივილეგირებულ მდგომარეობას რუსეთის დროებითი მთავრობა ვეღარ დაიცავდა. ასეთ ვითარებაში ამიერკავკასიაში მცხოვრები რუსების ინტერესების დაცვის მიზნით იქმნება თავისი ხასიათით შავრაზმული ორგანიზაცია – «Закавказский Русский Национальный Совет*», რომლის ცენტრალური მმართველობა თბილისში იმყოფებოდა. ამიერკავკასიის რუსთა ეროვნული საბჭოს წამყვან ძალას წარმოადგენდა რუსი სამღვდელოება, ოფიცრობა და ჩინოვნიკები. ამიერკავკასიის დიდ ქალაქებში მოქმედებდა რუსთა ეროვნული საბჭოები, რომლებიც ფაქტიურად ამიეკავკასიის რუსთა საბჭოების ფილიალებს წარმოადგენდნენ. დიდი ქალაქების გარდა, თუკი სადმე რუსული მოსახლეობა კომპაქტურად იყო დასახლებული, იქმნებოდა „რუსთა ეროვნული მმართველობები", რომლებიც ასევე ამიერკავკასიის რუსთა ეროვნული საბჭოს ფილიალებს წარმოადგენდნენ", მიანიშნებს ბატონი ვ. გურული თავის ნაშრომში.[14]

მას შემდეგ, რაც 1917 წლის 12 მარტს აღდგა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, ხოლო რუსეთის დროებითმა მთავრობამ 1917 წლის 25 ივლისს ცნო საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა, რუსეთის სამღვდელოებამ პრივილეგირებული მდგომარეობა დაკარგა და თბილისსა და ქვეყნის სხვა რეგიონებში მყოფმა რუსმა სასულიერო პირებმა აშკარა ბრძოლა გამოუცხადეს ქართულ ეკლესიას და ქართულ სახელმწიფოებრიობას. მიუხედავად ამისა, ქართულმა ავტოკეფალურმა ეკლესიამ წარმატებით გაართვა თავი სასულიერო სასწავლებლების ნაციონალიზაციას, ქართულ ენაზე სწავლების დამკვიდრებასა და საეკლესიო ქონებრივი საკითხების მოგვარებას.

რუსეთის ეკლესიის ძირგამომთხრელ საქმიანობას მხარს უბამდა ამიერკავკა-

* ამიერკავკასიის რუსთა ეროვნული საბჭო

სიის რუსთა ეროვნული საბჭო, რომელმაც თავისი საქმიანობა გააააქტიურა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 1918 წლის იანვარში რუსეთის არმიამ საქართველო (ამიერკავკასია) დატოვა. თავისი არსით ამიერკავკასიის რუსთა ეროვნული საბჭო მონარქისტულ-კლერიკალური ორგანიზაცია იყო და მათ ლიდერებს არც რუსეთის დროებითი მთავრობა ესიმპათიურებოდათ და არც საბჭოთა, თუმცა მოქმედებდნენ ველიკოდერჟავული იდეოლოგიის საფუძველზე. რუსთა მეხუთე კოლონის დასაყრდენს იმ პერიოდში წარმოადგენდნენ: რუსი ეროვნების ოფიცრები, საჯარო სამსახურში მყოფი ან გადამდგარი ჩინოვნიკები, რუსი სოციალისტები, რუსი ლტოლვილები, შექმნილი ვითარებით უკმაყოფილო სომხები, ოსები და ქართველი ბოლშევიკები.

1918 წლის გაზაფხულისათვის დასრულდა ამიერკავკასიის რუსთა ეროვნული საბჭოს ოფიცერთა კორპუსის შექმნა, რომელიც, როგორც პროფესიული თვალსაზრისით, ასევე შეიარაღებითა და ფინანსირებით საკმაოდ მობილური და საშიში ძალა გახლდათ. ამიტომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ამიერკავკასიის რუსთა ეროვნული საბჭოს ოფიცერთა კორპუსი დაშალა. მოგვიანებით, რუსთა მეხუთე კოლონა შეეცადა, საკუთარი მიზნებისათვის ინგლისელთა გამოყენებას და მათ წარმომადგენლებს მფარველობისათვის არაერთგზის მიმართა.

რუსთა ეროვნული საბჭოსათვის სერიოზულ დასაყრდენ ძალას წარმოადგენდნენ აფხაზი და ოსი სეპარატისტებიც. ცუდი როლი ითამაშა რუსთა ეროვნულმა საბჭომ აჭარაში. „ანტიქართული პოზიცია დაიკავა ამიერკავკასიის რუსთა ეროვნულმა საბჭომ 1918 წელს საქართველო-სომხეთის ომის დროს, ხოლო 1918-1919 წლებში შიდა ქართლში (სამაჩაბლოში) ოსი სეპარატისტებისა და საბჭოთა რუსეთის ძალებით გაჩაღებული კონფლიქტის დროს აშკარად ოსი სეპარატისტების მხარეს იდგა. 1920 წლის 7 მაისს საქართველოს და საბჭოთა რუსეთს შორის ხელშეკრულების დადების შემდეგ ამიერკავკასიის რუსთა ეროვნულმა საბჭომ ახალი ძალით გააჩაღა მეხუთე კოლონისათვის დამახასიათებელი მოღვაწეობა. ამჯერად მას მფარველად ს. კიროვი და ს. ორჯონიკიძე მოევლინენ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იძულებული იყო, შეგუებოდა ამიერკავკასიის რუსთა ეროვნული საბჭოს ძირგამომთხრელ საქმიანობას, თუმცა სრულიად აშკარა იყო, რომ მეხუთე კოლონა გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებოდა...".[294]

და მაინც, განსაკუთრებული რაზმის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა კონტრრევოლუციისა და ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლა იყო. რაზმის შექმნიდან 1919 წლის 1 იანვრამდე დაპატიმრებულ და ქვეყნიდან გაძევებულ იქნა 84 პირი, რომელთა საქმიანობაც მიმართული იყო ახალგაზრდა რესპუბლიკის საზიანოდ. დაპატიმრებულ იქნენ: ყოფილ თავადთა და მემამულეთა ჯგუფი ბაგრატიონ-დავიდოვის მეთაურობით; ერთ-ერთი აგიტატორი, რომელიც ქართულ ჯარში მობილიზაციის ხელის შეშლას ცდილობდა, ხოლო მეორე გლეხთა აჯანყების მოწოდებით გამოდიოდა. დაკავებულ იქნა აგრეთვე 11 აქტიური პროპაგანდისტი, რომლებიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის საწინააღმდეგოდ მოქმედებდნენ.

1918 წლის ნოემბერში საქართველოს მოძულე და მოწინააღმდეგე ძალებმა,

ახალგაზრდა ქვეყნის დასუსტების მიზნით, აიფეთქეს ძეგვის რკინიგზის ხიდი. განსაკუთრებული რაზმის დროული და აქტიური ქმედებების შედეგად დაპატიმრებულ იქნენ ამ დივერსიული აქტის ორგანიზატორები და შემსრულებლები: პოლკოვნიკი შმაგაილოვი, კუჩერიანცი, მელიქ-გაიკიაზოვი, ჩალხუიანი, ტერ-აბრამიანცი, კიურალიანი და ანტონოვი.

სომხეთ-საქართველოს ომის დროს განსაკუთრებულმა რაზმმა დააპატიმრა 2000-მდე სომეხი ეროვნების ახალგაზრდა, რომელიც სომხურ ჯარში ფარულად ეწერებოდა და დემოკრატიული საქართველოს საზიანო ქმედებებისათვის ემზადებოდა.

მეტად შედეგიანი იყო განსაკუთრებული რაზმის საქმიანობა ბოლშევიკების წინააღმდეგ, როგორც თბილისში, ისე ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში. კარგად იყო ორგანიზებული ფარული მეთვალყურეობა, რის შედეგადაც დაპატიმრებულ იქნა 246 კომუნისტი. ნებისმიერი ბოლშევიკური ორგანიზაცია ჩანასახშივე ნადგურდებოდა და არ ეძლეოდა აქტიური მოქმედების საშუალება.

სოჭის მოვლენებთან დაკავშირებით, როდესაც 1919 წლის თებერვალ-ივნისში ვითარება საკმაოდ დაიძაბა, განსაკუთრებულ რაზმს სხვადასხვა პირებზე მეთვალყურეობა უწევდა ქვეყნის გარეთაც, რაც არ იყო იოლი საქმე. მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, ა. დენიკინის არმიასთან კონტაქტში მყოფი 500-მდე ადამიანი იქნა დაპატიმრებული და ქვეყნიდან გაძევებული.

მიუხედავად განსაკუთრებული რაზმის მიერ გატარებული ზომებისა, ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე ფარულად არსებობდა კომუნისტური დაჯგუფებები, რომელთა მიზანი შეიარაღებული გზით არსებული ხელისუფლების დამხობა იყო, მაინც მოდიოდა. ბოლშევიკები იყენებდნენ ქვეყანაში შექმნილ მძიმე ეკონომიკურ ვითარებას, დამწაშავედ სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას მიიჩნევდნენ და მოუწოდებდნენ მოსახლეობას, განსაკუთრებით, სამხედრო შენაერთებს, აჯანყებისკენ და არსებული ხელისუფლების დამხობისაკენ. აგიტაცია-პროპაგანდისათვის ბოლშევიკები იყენებდნენ პროკლამაციებსა და ბროშურებს, რომელთა უმეტესობა საქართველოში არალეგალურად იბეჭდებოდა.

განსაკუთრებული რაზმის მიზანმიმართული და კარგად ორგანიზებული ფარული (აგენტურული) საქმიანობის შედეგად დიდი რაოდენობით პროკლამაცია და კომუნისტური ლიტერატურა იქნა ამოღებული. დაპატიმრებულ იქნენ ანტიქართული (ანტისახელმწიფოებრივი) საქმიანობის ლიდერები: კლარდოვი (ელერდაშვილი) – სამხარეო კომიტეტის ხაზინადარი, რკპ (ბ) სამხარეო კომიტეტის წევრები: გიორგი ჩხეიძე, ალექსანდრე გეგეჭკორი, რაჟდენ კალაძე, აგრეთვე აქტიური პროპაგანდისტები ელიზბარ და გიორგი კალანდაძეები და სხვები.

დაპატიმრებები განხორციელდა ალექსანდრეს ბაღში და საბურთალოზე იმ მომენტში, როდესაც საქართველოში ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის საბჭოთა რუსეთის მთავრობის მიერ გამოყოფილ ფულს ურიგებდნენ როგორც ბოლშევიკ აქტივისტებს, ასევე დაპატიმრებულ ბოლშევიკთა ოჯახის წევრებს.

თბილისის აეროპორტში დააკავეს 30 ჯარისკაცი, რომლებიც ბოლშევიზმის პროპაგანდას ეწეოდნენ. განსაკუთრებული რაზმის მიერ დაპატიმრებულ და

ქვეყნიდან გაძევებულ იქნა ქართულ სამხედრო შენაერთებში მოქმედი ფარული აგენტები, რომელთა სიაც აღმოაჩნდათ მორიგი ამბოხების ორგანიზატორებს.

1919 წლის 16 სექტემბერს დაპატიმრებულ იქნენ გენერლებზე – ბარათაშვილზე და ოდიშელიძეზე განხორციელებული თავდასხმის მონაწილენი და ორგანიზატორები: დიმიტრი კორენშტეინი, მამედ მამდი იბრაგიმ აკა-ოღლი, ნინა ნიკიტას ასული ალაჯანოვა, აღნიევი, გახოკია და სხვები.

სამხედრო მოსამსახურეთა შორის აქტიური პროპაგანდისათვის 1919 წლის 14 ნოემბერს დაპატიმრებულ იქნენ ჯარისკაცები: წივწივაძე, ლორთქიფანიძე, აკოფოვი და სხვები.

აგენტურული შეტყობინების შედეგად ფარული ზედამხედველობა დაწესდა ნავთლუღის დასახლებაში მდებარე სამხედრო ჰოსპიტალზე, რის შედეგადაც დააკავეს 5 თანამშრომელი, რომლებიც აქტიურ ბოლშევიკურ პროპაგანდას ეწეოდნენ.

1920 წლის იანვარში განსაკუთრებული რაზმის მიერ დაპატიმრებულ იქნა 15 კომუნისტი, რომლებიც ამზადებდნენ წინაპირობებს საქართველოში არსებული წეს-წყობილების დასამხობად. ესენი იყვნენ: კანდელაკი (ქორიძე) ვასილი, კილასონია ვასილი, მათითაშვილი შალვა, მატიცი ანდრო, რუხაძე დავითი, ლომიძე სერაფიონი, ბუჯიაშვილი ალექსანდრე, ვაკლიძე ილია, ტერ-პეტროსიანი სიმონ (კამო), კუთალაძე პაველ, აკოფოვა არუსიაკი, ნოვიკოვა ვერა, მარიავსკაია ანნა, კობახიძე არისტოტელი, ჯუღელი სიმონი.

საქართველოს სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე ოპერატიული საქმიანობის ორგანიზების მიზნით, ადგილებზე მივლინებულ იქნენ განსაკუთრებული რაზმის თანამშრომლები, რომელთა ძალისხმევის შედეგად საგრძნობლად იკლო სასაზღვრო რეჟიმის დამრღვევთა და განსაკუთრებით რუსეთიდან ბოლშევიკთა ფარულად შემოღწევის ფაქტებმა.

1920 წლის თებერვლიდან საქართველოში მოქმედმა კომუნისტურმა ორგანიზაციებმა ისარგებლეს შექმნილი ვითარებით და გააძლიერეს ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა და აგიტაცია. მათი მთავარი სამიზნე ახალგაზრდა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები და გვარდიის დანაყოფები იყო. ბოლშევიკი აქტივისტები ავრცელებდნენ ბოლშევიკურ ლიტერატურასა და პროკლამაციებს, რომელშიც ლაფს ასხამდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას და გაშმაგებით ლანძღავდნენ დამფუძნებელ კრებასა და ზოგადად დემოკრატიულ მთავრობას. ამ შემთხვევაშიც განსაკუთრებული რაზმი მოწოდების სიმაღლეზე იდგა. 1920 წლის 1 თებერვლიდან 1920 წლის 31 მაისამდე დაპატიმრებულ იქნა 250 „პოლიტიკური დამნაშავე". ამავე პერიოდში კომუნისტებს ჩამოერთვათ: არსენალის და სხვადასხვა სახელმწიფო (სამოქალაქო და სამხედრო) დაწესებულებების გეგმები; რკინიგზის ხაზებისა და ხიდების ნახაზები, აგრეთვე სხვადასხვა იატაკქვეშა კომიტეტების ოქმები, რომლებიც ადასტურებდნენ საქართველოში ანტისახელმწიფოებრივი, იატაკქვეშა, კომუნისტური ორგანიზაციების არსებობას.[251]

განსაკუთრებულ რაზმს მეთვალყურეობა ჰქონდა დაწესებული საქართველოში ჩამოსულ იმ უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე, რომლებიც სხვადასხვა სახის კანონდარღვევებში იყვნენ შემჩნეულები. საარქივო მონაცემებით, 1920 წელს თბილისში ჩამოსულა 12815 უცხოელი. მათგან ჩადენილი ქმედებებისათვის

„პერსონა ნონგრატად" გამოცხადებული ყოფილა და ქვეყნიდან გაუძევებიათ საზღვარგარეთის 749 მოქალაქე.

განსაკუთრებული რაზმის საქმიანობას, როგორც ჩანს, თან სდევდა უარყოფითი მოვლენებიც, რის თაობაზეც მოსახლეობა დროულად იქნა ინფორმირებული. კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული განსაკუთრებული რაზმის მიერ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 1919 წლის 18 თებერვლის ნომერში გაკეთდა შემდეგი შინაარსის განცხადება: „უკანასკნელ დღეებში ქ. ტფილისში ადგილი აქვს ძარცვას, ამასთანავე, მძარცველები შედიან მოქალაქეთა ბინებში განსაკუთრებული რაზმის თანამშრომელთა სახელით, რომლებიც ადგენენ გენერალ-გუბერნატორის სახელით ყალბ მოწმობას, რომ მათ უფლება აქვთ გაჩხრეკისა. ასეთ შემთხვევებს რომ ადგილი არ ექნეს, თუ განსაკუთრებული რაზმის წევრები მოვლენ ბინის გასაჩხრეკად, ბინის პატრონმა უნდა მოსთხოვოს მათ გარდა შინაგან საქმეთა მინისტრის, გენერალ-გუბერნატორის და განსაკუთრებული რაზმის უფროსის ორდერისა, აგრეთვე მათი პიროვნების მოწმობაც ფოტოგრაფიული სურათით, და თუ საეჭვო იქნება, შეიძლება ცნობების მიღება ტელეფონით N 53 ან N 13-59".[100]

გაზეთმა „საქართველო რესპუბლიკამ" 1919 წლის 29 ოქტომბრის ნომერში გამოაქვეყნა მთავრობის განცხადება, რომელშიც მითითებული იყო, რომ მაისის პირველ რიცხვებში შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის ცნობილი გამხდარა საბჭოთა რუსეთის მთავრობის მიერ მოსკოვიდან საქართველოში რამდენიმე გავლენიანი აგენტის გამოგზავნის თაობაზე. მათ თან ჰქონიათ „დიდი ძალი თანხა" და მათი მიზანი საქართველოსა და აზერბაიჯანის გენერალ დენიკინის წინააღმდეგ საომარ მოქმედებებში ჩათრევა ყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით სოფლად და ქალაქად კომუნისტური პროპაგანდა გაძლიერებულა, საქართველოს მთავრობა ანკესზე არ წამოგებულა და დენიკინთან ხანგრძლივვადიანი კონფლიქტი თავიდან აუცილებია.[99]

„ნორჩი, ჯერ კიდევ გაუმტიცებელი საქართველოს სახელმწიფო" საჭიროებდა ანარქიასთან ბრძოლას და მორღვეული საზღვრების განმტკიცებას. „საჭირო იყო ხმლით ჩაქრობილიყო ამბოხებანი, რომელნიც რესპუბლიკის სხვადასხვა ადგილებში წარმოიშვა, სახელდობრ: საჩხერისა და ლეჩხუმის რაიონებში, ბორჩალოსა და დუშეთის მაზრებში და აგრეთვე მთელ თბილისში..." – მითითებულია დემოკრატიული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთი წლის (1918-19 წ.წ.) ანგარიშში.[248]

ვითარება რთული იყო აფხაზეთშიც. გატარდა მთელი რიგი ღონისძიებებისა, რომელთა მიზანიც იყო ადგილებზე მტკიცე ხელისუფლების დამყარება გუბერნიისა და მაზრის ადმინისტრაციის მოხელეთა შერჩევითა და მათთვის ისეთი პირობების შექმნით, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ მთავრობის პროგრამის ცხოვრებაში გატარებას. დამტკიცდა გუბერნიის, ქალაქისა და მაზრის ადმინისტრაციისა და მილიციის ახალი შტატები გაზრდილი ჯამაგირებით, რომლებიც შეესატყვისებოდა არსებულ სოციალ-ეკონომიკურ პირობებს. ქვეყნის ყველა რეგიონში შემოღებული იქნა მუდმივი სასოფლო ადმინისტრაცია და დამნაშავეობის წინააღმდეგ მებრძოლი ხუთკაციანი მილიციის ჯგუფი, რომელიც ექვემდებარებოდა არჩეულ სოფლის კომისრებს. მათი ხელფასები გაიცემოდა ცენტრალური სახელმწიფო ხაზინიდან.

გუბერნიისა და მაზრის ადმინისტრაციის დასახმარებლად ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში წარმოქმნილი ექსცესებისა და ამბოხებების დროულად ჩახშობისათვის და საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად უკვე არსებულ ცხენოსან მფრინავ რაზმთა რიცხოვნობა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში 600 კაციდან 1000-მდე, ხოლო სოხუმის ოლქში 300-დან 400-მდე გაიზარდა. მფრინავი რაზმის გაბედული მოქმედებების შედეგად ჩახშობილ იქნა ბოლშევიკთა მიერ ინსპირირებული აჯანყებები საჩხერესა და თელავის მაზრაში.

არსებული ვითარებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა საქართველოს სამხედრო გზის დაცვასა და მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ვინაიდან ის იყო ყველაზე მოკლე გზა, რომელიც საქართველოს აკავშირებდა საბჭოთა რუსეთთან. აქედან გამომდინარე, სწორედ ეს გზა იყი ყველაზე მოხერხებული „ბოლშევიკური მოძრაობისათვის". ამ ამოცანების გადასაჭრელად შეიქმნა დროებითი, სპეციალური საყარაულო რაზმი მისი უფროსის, ორი თანაშემწის, 15 უფროსი და 255 უმცროსი ყარაულის შემადგენლობით. რაზმი განაწილებული იყო მცხეთაში, დუშეთში, ანანურში, ყაზბეგში და დარიალის ხეობაში.

მას შემდეგ, რაც 1919 წლის ზაფხულიდან ბოლშევიკებმა საქართველოში გააძლიერეს კომუნისტური პროპაგანდა, შინაგან საქმეთა მინისტრმა ყველა სამაზრო კომიტეტს, ქ. ფოთის მილიციის უფროსს, ადმინისტრაციის ინსპექტორის „ქუთათურის" თანაშემწეს, ყველა მაზრის ერობათა თავმჯდომარეებს შემდეგი სახის სასწრაფო მითითებები (დაშიფრული დეპეშები) დაუგზავნა: „ყველა აგიტატორი და პროპაგანდისტი ბოლშევიკი თქვენს რაიონში გაჩხრიკეთ, დააპატიმრეთ და მოათავსეთ ციხეში ჩემ სახელზე ჩარიცხვით".[246]

შინაგან საქმეთა მინისტრი განკარგულებებს იძლეოდა ძირგამომთხრელ საქმიანობაში შემჩნეული კონკრეტული პირების დაპატიმრებისა და გაჩხრეკის თაობაზეც. მაგალითად:

1. „ქუთაისის ადმინისტრაციის თანაშემწეს:

დამატებით ჩემი N 241 დეპეშისა დაუყოვნებლივ გაჩხრიკეთ და დაატუსაღეთ ცხაკაია, ოკუჯავა და ორახელაშვილი და აგრეთვე სამტრედიაში ვანო სტურუა და ვასილ კვანტალიანი.

შეპყრობილები გამოგზავნეთ თბილისის ციხეში ჩემ სახელზე ჩარიცხვით".

2. „ოზურგეთის მილიციის უფროსს ღლონტს:

დამატებით ჩემი N 241 დეპეშისა დაუყოვნებლივ დაატუსაღეთ თედორე და ვარდენ კალანდაძეები და გრიგოლ მგალობლიშვილი ან გამოგზავნეთ თბილისის ციხეში ჩემ სახელზე ჩარიცხვით".

ანალოგიური ბრძანებები გაეგზავნათ სოხუმის (კუხალეიშვილის, ურუშაძის, პოლიაკოვის დასაპატიმრებლად), ფოთის (გოგიას), ზესტაფონისა და სხვა რაიონების მილიციის უფროსებს.

დამოუკიდებელი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი დამნაშავეთა და ამბოხებულთა მიმართ დაუნდობელი და უკომპრომისო იყო. ამას მოწმობს ორი დეპეშის ასლი, დათარიღებული 1919 წლის 23 და 26 ივლისით.

6. რამიშვილი მიმართავს ოზურგეთის მაზრის შეიარაღებული ძალების უფროსს ცომაიას: „Считаю невозможным сделать снисхождение

злоумышленникам. Исполнить полностью приговор военного суда по отношению всех восьми обвиняемых*." მას შემდეგ, რაც მინისტრის ეს მითითება, როგორც ჩანს, არ შესრულდა, ის ახლა უკვე მკაცრი ტონით მიმართავს ცომაიას: „Председатель правительства получил сведение, что приостановили мой приказ, на счет исполнения приговора суда. Я отдал приказ о предании Вас к суду, за неисполнение приказа военного министра.

Вторично предлагаю, немедленно привести в исполнение приговор суда, по отношению всех восьми повстанцев. Об исполнении приказа срочно сообщить**".[313]

1919 წლის 18 ნოემბერს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულ იქნა დეკრეტი „ანარქიის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შესახებ". ამ დეკრეტის თანახმად: ა) აიკრძალა საქართველოს ტერიტორიაზე იმ პოლიტიკური ორგანიზაციის – პარტიის – არსებობა, რომლის ნაწილიც უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე იყო რეგისტრირებული და იქიდან იმართებოდა; ბ) საქართველოდან განდევნას ან დაპატიმრებას ექვემდებარებოდნენ ის პირები, რომელთა საქმიანობასაც ზიანი მოჰქონდა რესპუბლიკის ინტერესებისათვის და საფრთხეს უქმნიდა ქვეყნის მთლიანობას.

ამ დეკრეტის თანახმად, გაიზარდა განსაკუთრებული რაზმის ფუნქციები, რამაც დადებითი შედეგები გამოიღო: „...только при помощи этого отряда правительство находилось в курсе планов и намерений большевиков и знало все их главные предположения. И в настоящее время – говорит Рамишвили: опасность выступления врагов республики ещё не устранена, ибо в случае необходимости каждый деникенец превращается в большевика и наоборот***".[311] – მინიშნებულია დოკუმენტში. ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობისათვის ამა თუ იმ პირთა დაპატიმრება ხდებოდა დადგენილების საფუძველზე, რომელსაც ხელს აწერდა განსაკუთრებული რაზმის უფროსი მექი კედია. ზოგიერთ ასეთ დადგენილებას ხელს აწერდა პლ. ფაჩულიაც – როგორც კრიმინალური პოლიციის უფროსი. რაც შეეხება „...лиц вредных для общественного порядка и государственного спокойствия****", მათ ასახლებდნენ ქ. ვლადიკავკაზში.

ზემოაღნიშნული დეკრეტის საფუძველზე 1919 წელს დაპატიმრებულ იქნენ აქტიური ბოლშევიკები თენგიზ ჟღენტი (ცხოვრობდა დასთან, ალექსანდრეს ბაღთან) და ფილიპე მახარაძე. საგანგებო რაზმის მიერ 1920 წლის 1 იანვრიდან

---

* შეუძლებლად ვთვლი ბოროტმოქმედთა მიმართ შემწყნარებლობის გამოჩენას. სრულად შეასრულეთ რვავე ბრალდებულის მიმართ სამხედრო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი.

** მთავრობის თავმჯდომარემ მიიღო ინფორმაცია, რომ შეაჩერეს ჩემი ბრძანება სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის აღსრულებასთან დაკავშირებით. მე გავეცი ბრძანება სასამართლოზე თქვენი გადაცემის შესახებ სამხედრო მინისტრის ბრძანების შეუსრულებლობისათვის. ხელმეორედ გთავაზობთ, სასწრაფოდ მოიყვანოთ სისრულეში სასამართლოს გადაწყვეტილება რვავე ამბოხებულთან მიმართებაში. ბრძანების შესრულების თაობაზე მაცნობეთ სასწრაფოდ.

*** მხოლოდ ამ რაზმის დახმარებით მთავრობა საქმის კურსში იყო ბოლშევიკთა გეგმებზე და განზრახვებზე და იცოდა ყველაფერი მათი ჩანაფიქრების შესახებ და ამჟამად, – ამბობს რამიშვილი: რესპუბლიკის მტრების გამოსვლების საფრთხე ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა, ვინაიდან, აუცილებლობის შემთხვევაში, თითოეული დენიკინელი გარდაისახება ბოლშევიკად და პირუკუ.

**** იმ პირებს, რომლებიც საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფოებრივი სიმშვიდის საქმეში მავნებლობდნენ.

1 ივნისის ჩათვლით დაპატიმრებულ იქნა 249 პიროვნება. მათ შორის იყვნენ: ზუბოვი პეტრე იაკობის ძე, ენუქიძე ალექსანდრე (აბელ) პავლეს ძე, ქიქოძე ნატალია პლატონის ასული, ტერ-სააკოვი ნაპოლეონ სერგოს ძე და სხვები. მათ უმეტესობას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრა: ბოლშევიკური აგიტაცია-პროპაგანდისათვის, დამოუკიდებელი ქვეყნის საწინააღმდეგო (ჯაშუშური) საქმიანობისათვის, პროკლამაციების გავრცელებისათვის, როგორც ქვეყნის მავნე ელემენტს, როგორც საქართველოს კონსტიტუციური წყობილების წინააღმდეგ მოქმედი უცხო ქვეყნის პარტიის წევრს, სხვადასხვა არასწორი ინფორმაციისა და ცრუ ხმების გავრცელებისათვის და სხვა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დაპატიმრებულთა შორის 87 ქართველი, 49 სომეხი, 88 რუსი, ხოლო დანარჩენი სხვა ეროვნების წარმომადგენელი იყო. ამავე პერიოდში საგანგებო რაზმის მიერ კრიმინალური დანაშაულისათვის დაპატიმრებულ იქნა 55 პიროვნება.251 დაპატიმრებულთა შორის ასევე აღმოჩნდნენ: ლევან ღოღობერიძე, თვით ახალგაზრდა ლავრენტი ბერია და სხვები. ისინი მალევე გაათავისუფლეს და ქვეყნიდან გააძევეს. ამ პერიოდისათვის დაპატიმრებულ ბოლშევიკთა და წითელი რუსეთის სპეცსამსახურების აგენტთა რიცხვმა 500-ს გადააჭარბა.

### საფუძვლების მომზადება საქართველოს ანექსიისთვის

პოლიტიკური ვითარება ამიერკავკასიაში სულ უფრო და უფრო იძაბებოდა. საბჭოთა რუსეთის წითელი არმია ახალ-ახალ წარმატებებს აღწევდა. 1920 წლის აპრილში წითელი არმიის მეშვეობით საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა აზერბაიჯანში. შეიქმნა საფრთხე იმისა, რომ იგივე მოხდებოდა საქართველოშიც. ნოე ჟორდანიას მთავრობამ გადაწყვიტა, პოლიტიკური მანევრირებისათვის დროის მოგების მიზნით, საბჭოთა რუსეთთან „სამეგობრო“ ხელშეკრულების დადება. ამიერკავკასიის შემდგომი ოკუპაციის საქმეში გარკვეული შესვენება სჭირდებოდათ ბოლშევიკებსაც, ვინაიდან საბჭოთა რუსეთი დასავლეთიდან, კერძოდ, პოლონეთიდან სერიოზულ სამხედრო-პოლიტიკურ ზეწოლას განიცდიდა. სწორედ ამიტომ, 1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომელსაც ლენინმა უწოდა „Договор о дружбе“.

აღნიშნული ხელშეკრულება წარმოადგენდა უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო-სამართლებრივ აქტს, რომლის მიხედვითაც რუსეთი დე იურე ცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას და აღიარებდა მის შინაურ საქმეებში ჩაურევლობას. ხელშეკრულებას ახლდა განსაკუთრებული, საიდუმლო დამატება, რომელიც მენშევიკთა ოფიციალურ ორგანოში, გაზეთ „ერთობაში“ და იმ დროს მოქმედ სხვა გაზეთებში არ გამოქვეყნებულა. რუსეთის მთელი მზაკვრობაც სწორედ ამ საიდუმლო დამატებაში მდგომარეობდა. განსაკუთრებული პუნქტების მიხედვით, საქართველო სცნობდა მის ტერიტორიაზე მოქმედ კომუნისტურ ორგანიზაციებს და მათ კრებების მოწყობისა და თავისუფალი გამომცემლობების უფლებას აძლევდა.[173]

ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან ბოლშევიკ-კომუნისტებ-

სა და მათ ახლადდაარსებულ სპეცსამსახურებს ხელ-ფეხი გაეხსნათ და დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ დაიწყეს აშკარა და დაუფარავი ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული განყოფილების 1920 წლის მონაცემებით, საქართველოს საპატიმრო დაწესებულებიდან განთავისუფლებულ იქნა 608 ბოლშევიკი (განთავისუფლებულთა სია იწყება ვასი ფარულავათი და მთავრდება ელენე ჩხეიძით).[253]

როგორც კი ბოლშევიკებს საქართველოში ლეგალური საქმიანობის შესაძლებლობა მიეცათ, საბჭოთა რუსეთმა და მისმა სპეცსამსახურებმა გააააქტიურეს კომუნისტური პროპაგანდა და არალეგალური საქმიანობა.

რუსეთსა და საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან მოკლე ხანში, თბილისში, რტიშევის ქუჩაზე გაიხსნა საბჭოთა რუსეთის საელჩო, რომელსაც ცნობილი ბოლშევიკი ს. კიროვი ჩაუდგა სათავეში. საელჩო, იმ პერიოდში არსებულ პრაქტიკასთან შედარებით, საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო და 60-მდე თანამშრომელს ითვლიდა. მისი ფუნქცია იმთავითვე იყო საქართველოში რუსეთის სამხედრო ნაწილების შემოჭრისათვის საფუძვლების მომზადება. ამავე მიზანს ემსახურებოდნენ საბჭოთა რუსეთის სპეცსამსახურებიც, რომლებიც, საელჩოს ლეგალურ საფარს ამოფარებულები, დაკავებულები იყვნენ სადაზვერვო საქმეებით, რომლის ძირითად ამოცანასაც წარმოადგენდა მოსახლეობაში ღიად, თუ ფარულად ბოლშევიკური იდეების პროპაგანდა, ცალკეულ პირთა მოსყიდვა და პროვოკაციები, რაც საშუალებას მისცემდა საბჭოთა რუსეთს, უმოკლეს ვადაში დაეპყრო საქართველო და დაემხო დემოკრატიული წესწყობილება.

საქართველოს საკითხით უშუალოდ იყვნენ დაინტერესებულები ვ. ი. ლენინი და ქართველი ბოლშევიკები. მათ არაერთგზის მიიღეს გადაწყვეტილებები საქართველოში შეჭრისა და კანონიერი ხელისუფლების დამხობის თაობაზე, მაგრამ ამისათვის შესაბამისი პირობები ჯერ არ იყო მომზადებული. მაგალითად, 1920 წლის 17 მარტს ლენინმა ს. ორჯონიკიძეს შემდეგი შინაარსის დეპეშა გამოუგზავნა: „Взять Баку нам крайне, крайне необходимо. Все усилия направить на это, причём обязательно в заявлениях быть сугубо дипломатичными и удостовериться максимально в подготовке твердой местной Советской власти. То же относится к Грузии, хотя к ней относиться советую ещё более осторожно. О проблемах условьтесь с Главкомом*".[48] რაც დრო გადიოდა, მით უფრო შეუძლებელი ხდებოდა საქართველოს შიგნიდან ამბოხების ორგანიზება და ამ მოტივით საქართველოს ოკუპაცია. როგორც ჩანს, ამ პროცესზე გარკვეული ზეგავლენა მოახდინა საქართველო-რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაისს გაფორმებულმა ხელშეკრულებამ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალისხმევის შედეგად, 1920 წლის დასაწყისისათვის ანტისახელმწიფოებრივმა ქმედებებმა ქვეყნის ტერიტორიაზე შედარებით იკლო. აქედან გამომდინარე, საქართველოს დემოკრატიული

* ბაქოს აღება უკიდურესად, უკიდურესად აუცილებელია. ყველა ძალისხმევა აქეთ მივმართოთ, თანაც ისე, რომ განცხადებებში ვიყოთ ძალიან დიპლომატიურები და მაქსიმალურად დარწმუნებული მყარი ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლების მომზადებაში. ეს ეხება საქართველოსაც, თუმცა, მის მიმართ, გირჩევთ, კიდევ უფრო მეტი სიფრთხილის გამოჩენას. პრობლემებზე შეუთანხმდით „გლავკომს".

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა 1920 წლის 27 თებერვალს შემდეგი შინაარსის დადგენილება გამოსცა: „მე, შინაგან საქმეთა მინისტრმა, მივიღე მხედველობაში, რომ საგრძნობლად შეიცვალა ის პირობები, რომლის მიხედვითაც გამოწვეული იყო გამოცემა ჩემ მიერ გასული წლის 14 ნოემბრის სავალდებული დადგენილებისა ქალ. ტფილისის უცხო და ზედმეტ ელემენტებისგან გაწმენდის შესახებ, დავადგინე: აღნიშნული დადგენილება გაუქმებულ იქნეს დღეის რიცხვიდან თანახმად ქ. ტფილისის საბჭოს სურვილისა“.[103]

1920 წლის ზაფხულიდან ბოლშევიკური გამოსვლები საქართველოში პრაქტიკულად შეწყდა. როგორც საბჭოთა რუსეთის ახალი ელჩი საქართველოში ა. შეინმანი ატყობინებდა მოსკოვს, მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიულ საქართველოს უჭირდა, ქვეყნის შიგნით პრაქტიკულად არ არსებობდნენ ძალები, რომლებიც ხელისუფლებას დაამხობდნენ. აქედან გამომდინარე, საჭირო იყო საქართველოში შეჭრის საბაბის სასწრაფოდ პოვნა.

ბაქოში დაბანაკებული ბოლშევიკები ს. ორჯონიკიძის თავკაცობით ყველა ღონეს ხმარობდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ძირგამომთხრელი საქმიანობის ორგანიზებისათვის, აგზავნიდნენ ქვეყანაში ბოლშევიკ-აგიტატორებს, რომელთაც ანტისახელმწიფოებრივი აქციების მოსაწყობად უზრუნველყოფდნენ ყველა საშუალებით. მიუხედავად ამისა, საგანგებო რაზმი და სახალხო მილიცია ქვეყნის გარეთ დაგეგმილ და განხორციელებულ პროვოკაციებს ღირსეულად უმკლავდებოდნენ.

ამგვარი საქმიანობის შესახებ ინფორმაციას ს. ორჯონიკიძე სისტემატურად აწვდიდა კრემლს, ლენინსა და სტალინს, რომლებიც შემდგომ ახალ-ახალ დირექტივებს იძლეოდნენ.

1920 წლის 8 მაისს ს. ორჯონიკიძემ კრემლში მორიგი დეპეშა აფრინა (სტილი დაცულია, ზოგიერთი წინადადება გაუგებარია):

„Самой лучшей кандидатурой считаю тов. Кирова. Второй кандидатурой Мдивани. Предконтрольной комиссии НАКАВДЖАЗЕ (ალბათ – ქავთარაძე – გ. ს.), членами комисии Думбадзе и Цинцадзе. Еще дадим фронта. Телеграмма Ленина произвела колоссальное впечатление. Сегодня произведено оперативное, административное, организационное подчинение азербайджанской армии нашему командованию. Большой недостаток работников для совнархозе. Только что получаю по прямому проводу из Владикавказа выдержки письма Краевого комитета Назаретянца. Второго мая на почве возмущения солдат на желающих направляться на фронт была попытка захвата власти в Тифлисе, но неудачно. С нашей стороны один убит, два ранены, три арестованы. Генерал-губернатор СУЛАКВИДЗЕ (ალბათ – სულაქველიძე – გ. ს.) вчера ночью их расстрелял. САНДРО МАХАРАДЗЕ, руководящий операцией спасся. Правительсто вводит сегодня осадное положение. Работа теперь весьма затруднительна но настроение масс и частей воиск растёт ежедневно. Ожидается переворот в Батуми. Английское командование идёт на уступки. Батумские рабочие в подавляющем большинстве за нами. 30 апреля тремя молодцами убит генерал. ГУБЕЛИ был за это арестован, но по требованию рабочих, английское командование

его освободило и первого мая на английском автомобиле доставило прямо из тюрьмы на митинге. На другой день приехал к нам. Сообщите об этом Центру. В Абхазии выступления ожидаются с 10 мая. Напирает через Северную Осетию на горийский. Это распыляет окончательно силы правительства. М. Цхакая вновь арестован в Кутаиси. Всех тифлисских заключённых перевели в Кутаиси 1 мая. Наши ораторы привлекли большую массу слушателей. 4 груз. автомобилей, разукрашенных нашими лозунгами и плакатами вышли на головинском. На них напали часть особого отряда и милиции. 55 человек избито до полусмерти, ранено и арестовано. Официальные сведения о 2 коммунистов. Во всей Армении с объявления советской власти в Баку сопутствовало торжественное и радостное настроение в массах в ЕРИМАНИИ (ალბათ – ერევანში – გ.ს.) и Александрополе были разгромлены все дашнакские партийные помещения. Портреты лидеров разорваны и сожжены. Орджоникидзе.*"[249]

შეწუხებული ქართველი ბოლშევიკები 1920 წლის 30 სექტემბრის საღამოს საბჭოთა აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში „ცენტრალურ მუშათა კლუბის ბინაზე" შეიკრიბნენ, სადაც გაიმართა საქართველოდან ჩამოსული კომუნისტების კრება.

კრებას ესწრებოდა 85 კომუნისტი (თავმჯდომარე – დ. ლორთქიფანიძე, მდივანი – ა. მიქაძე). დღის წესრიგში იყო ერთადერთი საკითხი – ფ. მახარაძის მოხსენების „საქართველოს კომპარტიის მორიგი ამოცანები"-ს განხილვა. მომხსენებელმა ისაუბრა საქართველოს კომუნისტური პარტიის მიღწევებზე წინა წლებში და აღნიშნა, რომ 1919 წლის ოქტომბრის წარუმატებელი ამბოხების შემდეგ საქართველოს კომუნისტთა ავტორიტეტი დაღმავალი გზით წასულა. ამ პროცესისათვის განსაკუთრებით შეუწყვია ხელი რუსეთ-საქართველოს შორის 1920 წელს გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც მომხდარა მათი

---

* ყველაზე საუკეთესო კანდიდატურად მიმაჩნია ამხ. კიროვი. მეორე კანდიდატურაა მდივანი, საკონტროლო კომისიის თავმჯდომარედ ნაკაფაძე (ალბათ ქავთარაძე – გ.ს.), კომისიის წევრებად დუმბაძე და ცინცაძე. Еще дадим фронта. ლენინის დეპეშამ კოლოსალური ზეგავლენა მოახდინა. დღეს ჩვენს ხელმძღვანელობას დაექვემდებარა აზერბაიჯანის არმიის ოპერატიული, ადმინისტრაციული და ორგანიზაციული მართვა. ძალიან გვაკლია სახალხო მეურნეობის საბჭოსათვის თანამშრომლები. ახლახან პირდაპირი ხაზით ვლადიკავკაზიდან მივიღე სამხარეო კომიტეტიდან, ნაზარეთიანცის წერილის ამონაწერიდები. ორ მაისს, იმ ჯარისკაცების, რომელთაც არ სურდაც ფრონტზე გამგზავრება, უკმაყოფილების საფუძველზე ადგილი ჰქონდა თბილისში ხელისუფლების ხელში ჩაგდების მცდელობას, თუმცა წარუმატებლად. ჩვენი მხრიდან მოკლულია ერთი, დაჭრილია ორი, დაპატიმრებულია სამი. გენერალ-გუბერნატორმა სულაქველიძემ გუშინ ღამეს ისინი დახვრიტა. ოპერაციის ხელმძღვანელმა სანდრო მახარაძემ თავს უშველა. დღეიდან მთავრობამ უნდა შემოიღოს საგანგებო მდგომარეობა. ამჟამად საქმიანობა საკმაოდ გართულებულია, თუმცა მასების და სამხედრო ნაწილების განწყობილება ყოველდღიურად იზრდება. მოსალოდნელია გადატრიალება ბათუმში. ინგლისის სამხედრო ხელმძღვანელობა დათმობებზე მიდის. ბათუმის მუშები უმეტესობა ჩვენს მხარესაა. 30 აპრილს სამი ახალგაზრდის მიერ მოკლულ იქნა გენერალი გუბელი. ამისათვის დაპატიმრებულ იქნა, თუმცა მშრომელების მოთხოვნით ინგლისის მთავრობამ გაათავისუფლა და პირველ მაისს ინგლისური ავტომობილით ის ციხიდან პირდაპირ მიტინგზე მიიყვანა. მეორე დღეს ის ჩვენთან მოვიდა. ამის თაობაზე აცნობეთ ცენტრს. აფხაზეთში გამოსვლები მოსალოდნელია 10 მაისიდან. შემოტევაა გორზე ჩრდილო ოსეთიდან. ეს საბოლოოდ დაანაწევრებს სამთავრობო ძალებს. მ. ცხაკაია ქუთაისში კვლავ დაუპატიმრეს. 1 მაისს ყველა თბილისში მყოფი პატიმარი ქუთაისში გადაიყვანეს. ჩვენმა ორატორებმა უამრავი მსმენელის ყურადღება მიიპყრეს. გოლოვინის პროსპექტზე გამოვიდა ოთხი ავტომობილი მორთული ჩვენი პლაკატებითა და ლოზუნგებით. მათ თავს დაესხნენ განსაკუთრებული რაზმის ნაწილი და მილიცია. სიკვდილის პირამდე ნაცემია, დაჭრილია და დაპატიმრებულია 55 ადამიანი. ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებას მთელ სომხეთში თან სდევდა მასებში საზეიმო და სასიხარულო განწყობა. ერევანში და ალექსანდროპოლში დარბეულ იქნა დაშნაკების ყველა პარტიული შენობა. ლიდერების პორტრეტები ჩამოხეულია და დამწვარი. ორჯონიკიძე

პარტიის ლეგალიზება. ლეგალურ პირობებში საქმიანობა კი ქართველ კომუნისტებს ძალზე უჭირდათ, ვინაიდან მათ ქმედებებს მკაცრად აკონტროლებდა დამოუკიდებელი საქართველოს სპეცსამსახური – საგანგებო რაზმი. „საქართველოს მთავრობა დღეს უფრო ძლიერია, ვიდრე ხელშეკრულებამდე იყო. ის გაძლიერდა ჩვენი პარტიის დასუსტების დროს, და ჩვენ ჩვენი პარტიის გახრწნის ფაქტის წინ ვიმყოფებით ...კრიზისი იმაში მდგომარეობს, რომ პარტია ლეგალურათ კვდება." – აღნიშნა მომხსენებელმა.

მოხსენების ირგვლივ აზრი გამოთქვა იქ დამსწრე ზოგიერთმა ქართველმა კომუნისტმა. კრებამ მიიღო რვაპუნქტიანი რეზოლუცია, რომლის უმთავრესი პუნქტი იყო: „ყველაზე უსაჭიროეს და გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს დღეს არალეგალური პარტიული აპარატის მოწყობა როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე მთელი პარტიული მუშაობის – როგორც ლეგალურის, ისე არალეგალურის ხელმძღვანელობის გასაწევათ. ამასთან ერთად პარტია უარს ამბობს გამოიყენოს მუშაობისათვის ყველა ლეგალური შესაძლებლობანი, მაგრამ საქმის სათავეში კი არალეგალური მუშაობა იქნება". კრებამ ასევე დაადგინა პარტიული უჯრედების დაარსების, არმიაში მათი საქმიანობის გააქტიურების, მასებთან დაახლოების, პარტიის გაწმენდის და ხელმძღვანელი მუშაკების გადახალისების აუცილებლობის საკითხი. კრების გადაწყვეტილებით, საჭირო იყო დაუყოვნებლივ დაარსებულიყო საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ორი ბიურო – ერთი ბაქოში, ხოლო მეორე ვლადიკავკაზში.[309]

შეხვედრის პათოსიდან გამომდინარე და საბჭოთა რუსეთისა და მისი სპეცსამსახურების მხარდაჭერით, ბოლშევიკები დამოუკიდებელ საქართველოში თავიანთ ფარულ საქმიანობას აგრძელებდნენ და საქართველოში შეჭრისათვის ყველა საშუალების გამოყენებას ცდილობდნენ.

1921 წლის 1 თებერვალს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო განყოფილების უფროსმა მექი კედიამ საქართველოში რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სრულუფლებიან წარმომადგენელს შემდეგი შინაარსის წერილით მიმართა:

„Г-м Министром Внутренних дел Грузинской Демократической Республики мне было дано распоряжение выслать из пределов Республики арестованных иностранно-подданых, уличенных в нелегальной работе, направленной к насильственному свержению существующего строя, при чем было указано, что пропуска будут даны Вами.

Я об этом своевременно оповестил арестованных, подлежащих высылке и предложил приготовиться.

С того времени прошло около полумесяца, но арестованные никак не могут получить от Вас пропусков и ко мне пристают за таковыми.

Посему прошу Вас выдать мне пропуска на имя лиц, помещенных в прилагаемом при сем списке или же распорядиться, чтобы пограничники Вашей власти приняли их и пропустили дальше.

Остаюсь в ожидании Вашего положительного ответа*".[291]

რა შედეგი მოჰყვა მექი კედიას რსფსრ-ის სრულუფლებიანი წარმომადგენლისადმი გაგზავნილ ამ წერილს – უცნობია.

როგორც ჩანს, საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელობა არ ჩქარობდა და შეგნებულად აჭიანურებდა საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი თავისი მოქალაქეებისათვის საშვების გაცემას და რუსეთში გამგზავრებისათვის საჭირო პროცედურების მოგვარებას, რაც საფიქრებელია, რომ ბოლშევიკურ რუსეთს საქართველოს სამხედრო ძალის გამოყენებით გასაბჭოებისათვის დამატებით სტიმულს აძლევდა. თუმცა, ამაში არც არაფერი იყო გასაკვირი, ვინაიდან რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1921 წლის 12 იანვრის პლენუმს საქართველოს „დაუყოვნებელი გასაბჭოების" მიზანშეწონილობის შესახებ გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდა.[91]

საბჭოთა რუსეთის თავხედურ ნაბიჯებზე იმოქმედა იმ პერიოდში შექმნილმა საერთაშორისო ვითარებამ, კერძოდ, 1921 წლის 19 იანვარს პარიზში ანტანტის უმაღლესი საბჭოს სპეციალური სხდომის გადაწყვეტილებებმა, რომელზედაც დაფიქსირდა დასავლეთის წამყვანი ქვეყნების, განსაკუთრებით დიდი ბრიტანეთის, პოზიცია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ: ისინი საქართველოს საკითხს თვლიდნენ რუსეთის შიდა საქმედ. სხდომამ, რომელსაც თავმჯდომარეობდა საფრანგეთის პრემიერი ჟორჟ კლემანსო და ესწრებოდნენ: ინგლისის პრემიერი ლოიდ ჯორჯი, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდი კერზონი, სამხედრო მინისტრი უინსტონ ჩერჩილი, გენერალი ჰენრი ვილსონი, ფრანგი მარშალი ფოში, ჟიულ კამბინი, გენერალი სერტელო, იტალიის პრემიერი ფრანჩესკო ნიტი, სკილოჯა და სხვები, აგრეთვე ქართველებისა და აზერბაიჯანელების მცირერიცხოვანი დელეგაციები, დაადგინა შემდეგი:

„1. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა დიდი სახელმწიფოების მიერ უნდა იქნეს ცნობილი „დე ფაქტო";

2. ანტანტის სახელმწიფოები არ არიან მზად, გაგზავნონ ამიერკავკასიაში სამი დივიზია, რაც ადრე იყო ნავარაუდევი;

3. მიღებულ იქნეს გადაწყვეტილად ამიერკავკასიის რესპუბლიკებისათვის იარაღის, სამხედრო აღჭურვილობისა და, შესაძლებლობების მიხედვით, სურსათის გაგზავნის საკითხი;

4. მარშალი ფოში და გენერალი ჰენრი ვილსონი ითხოვენ, გადაწყდეს საკითხი ამ დახმარების ოდენობისა და გადაგზავნის საშუალებების შესახებ".[198]

სწორედ წამყვანი ქვეყნების ასეთი დამოკიდებულების გამო საქართველო არ იქნა მიღებული ერთა ლიგაში.

---

* საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა მომცა განკარგულება, დაპატიმრებული უცხო ქვეყნის ქვეშევრდომები, რომლებიც იმხილებიან არალეგალურ საქმიანობაში და რომლებიც გამოგზავნილნი არიან ძალის გამოყენებით არსებული სახელმწიფოებრივი წყობილების დასამხობად, გასახლებულ იქნან. ამასთან, მითითებული იყო, რომ საშვები გაიცემოდა თქვენს მიერ. აღნიშნულის თაობაზე ვაცნობე დაპატიმრებულებს, რომლებიც გასახლებას ექვემდებარებოდნენ და შევთავაზე მომზადებულიყვნენ. აღნიშნული დროიდან გავიდა ნახევარი თვე, მაგრამ დაპატიმრებულები ვერ ღებულობენ თქვენგან საშვებს, რასაც ითხოვენ ჩემგან. ამიტომ გთხოვთ, გადმომცეთ საშვები თანდართულ სიაში ჩამოთვლილ პირებზე, ანდა გაეცით განკარგულება, რათა თქვენმა მესაზღვრეებმა მიიღონ ისინი და გაატარონ. ველი თქვენს დადებით გადაწყვეტილებას.

დემოკრატიული საქართველოს მთავრობა მაინც ოპტიმისტურად იყო განწყობილი. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 1921 წლის 6 თებერვლის მოწინავე სტატია სათაურით „დიდი დღესასწაული“ იტყობინებოდა: „ამა წლის იანვრის 27-ს დაგვირგვინდა საქართველოს რესპუბლიკა. ამ დღიდან ითვლება ის ნამდვილ სახელმწიფოდ, გაიმარჯვა ჩვენი მთავრობის სწორმა, ბრძნულმა პოლიტიკამ“.[107] თუმცა, ასე არ ფიქრობდნენ საბჭოთა რუსეთი და მისი სპეციალური სამსახურები.

## საქართველოს ოკუპაცია, საბჭოთა საქართველოს ხელისუფლების და მისი სპეცსამსახურების მიზნები და ამოცანები

1921 წლის 11 თებერვალს, საქართველოს საზღვართან, ლორეს ნეიტრალურ ტერიტორიაზე, მოხდა აჯანყების პროვოცირება, უფრო სწორად იმიტაცია, რაც რუსეთის XI არმიის საქართველოში შემოჭრის საფუძველი გახდა.საქართველოს ხელისუფლება ცდილობდა, არ გაეღიზიანებია მოსახლეობა, პანიკა არ დაეთესა და მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით საჯარო განცხადების გაკეთებას არ ჩქარობდა. თუმცა, გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“ 15 თებერვლის ნომერში მაინც მოათავსა გენერალური შტაბის მიერ მოწოდებული მოკლე ცნობა: „12 თებერვლის განმავლობაში ჩვენი ჯარები ვორონცოვკის სამხრეთით და სადახლოს სამხრეთით აწარმოებდნენ ბრძოლას. წამოყვანილია ტყვეები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებენ სომხეთ-რუსეთის საბჭოთა ჯარები“.[108] ფორმალურად, საბჭოთა რუსეთისაგან სამხედრო დახმარება მოითხოვა 16 თებერვალს შექმნილმა საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა, თუმცა წითელი არმიის ნაწილები, რომლებიც ქვეყანას თითქმის ყველა მხრიდან უტევდნენ, უკვე ოთხი დღის განმავლობაში აწარმოებდნენ გააფთრებულ ბრძოლებს საქართველოს წინააღმდეგ. მეკავშირეებისაგან მიტოვებული ქართული სამხედრო შენაერთების მხრიდან დიდი წინააღმდეგობის გაწევის მიუხედავად, წითელი არმიის ნაწილები თბილისში შეიჭრნენ და 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს გასაბჭოება გამოცხადდა.

საბჭოთა ისტორიოგრაფია ათეული წლების მანძილზე საზოგადოებას არწმუნებდა ქართველი მშრომელების მიმართ საბჭოთა რუსეთის ამ გადაწყვეტილების ჰუმანურობაში და აცხადებდა: „25 февраля 1921 года грузинские трудящиеся при помощи Красной Армии Советской России свергли меньшевистско-националистическое правительство Ноя Жордания и установили в Грузии рабоче-крестянскую власть. Грузинский народ получил подлинную свободу и настоящую независимость*“.[25] საქართველოს გასაბჭოების საქმეში ლომის წილი ქართველ ბოლშევიკებს, უპირველეს ყოვლისა ი. სტალინსა და ს. ორჯონიკიძეს მიუძღოდათ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ნოე ჟორდანიას მეთაურობით ჯერ თბილისი, ხოლო შემდეგ საქართველო დატოვა.

* ქართველმა მშრომელებმა 1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის მეშვეობით დაამხეს ნოე ჟორდანიას მენშევიკურ-ნაციონალისტური მთავრობა და საქართველოში დაამყარეს მუშურ-გლეხური ხელისუფლება. ქართველმა ხალხმა მიიღო ჭეშმარიტი თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ძალდატანებით დამყარების პირველ დღეს, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის „რევოლუციონური კომიტეტის N 2 ბრძანების“ თანახმად, კონტრრევოლუციასთან, სპეკულაციასთან, საბოტაჟთან და თანამდებობის პირთა ბოროტმოქმედებასთან საბრძოლველად, როგორც თბილისში, აგრეთვე მთელი საქართველოს ტერიტორიაზე შეიქმნა Чрезвычайная комиссия – ЧК*. საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარის დროებითი მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა ი. სტალინის უახლოესი მეგობარი გიორგი ელისაბედაშვილი.[30]

საგანგებო კომისიის უმთავრესი ამოცანა რევოლუციის მონაპოვრის – საბჭოთა ხელისუფლების, როგორც პოლიტიკური სისტემის დაცვა იყო. საბჭოთა საქართველოს „ჩეკამ“ თავისი საქმიანობა შემდეგი ძირითადი მიმართულებით წარმართა: ქვეყნის შიგნით ანტისაბჭოთა ორგანიზაციების გამოვლენა, დაშლა, ლიკვიდაცია; მათი ცალკეული ლიდერების გადმობირება და საზღვარგარეთ დევნილი ხელისუფლების – ემიგრაციაში მყოფი მთავრობის გეგმებისა და ზრახვების გამოვლენა-გამოაშკარავება, მათი დაშლა-ლიკვიდაცია, სპეცლონისძიებების გატარება და საინფორმაციო-ოპერატიული საქმიანობა.

ხელისუფლებას, რომელმაც იარაღის ძალით დაამხო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წეს-წყობილება, არანაირად არ აწყობდა ქვეყანაში მოწინააღმდეგე პოლიტიკური, მით უმეტეს, ეროვნული თვითშეგნების ძალების არსებობა. ბოლშევიკები განსაკუთრებით ვერ იტანდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ ოპოზიციას, რომელსაც ბანდიტებად და კონტრრევოლუციონერებად ნათლავდნენ.

გასაბჭოების შემდეგ, საბჭოთა საქართველოს რევკომი სხვადასხვა დეკრეტებით, პირველსავე დღეებში, შეეცადა ლიბერალური დამოკიდებულების გამოხატვას დამხობილი ხელისუფლების მიმართ. ამის დამადასტურებელი პირველი დოკუმენტი იყო საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციური კომიტეტის მიერ 1921 წლის 25 თებერვალს გამოცემული დეკრეტი N 1 ,,ამნისტიის შესახებ“. ამნისტია ეხებოდათ იმ პოლიტიკურ პარტიებს, ჯგუფებსა და პირებს, რომლებიც აქტიურად გამოდიოდნენ საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებისა და ბოლშევიკური პარტიის წინააღმდეგ. „ამ ამნისტიის ძალით არც ერთი წევრი ამგვარი პოლიტიკური პარტიებისა და საერთოდ, არავინ, არ უნდა იქნენ დატუსაღებულნი, მიცემულნი სამართალში, და ან ადმინისტრაციულად დევნილი იმ ბოროტ მოღვაწეობისათვის, რომელიც მიმართული იყო საბჭოთა ხელისუფლების და საქართველოს კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ.“ – ნათქვამი იყო დოკუმენტში.[47]

საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებამ კარგად იცოდა, რომ საკმაოდ რთულად იდგა მისი ლეგიტიმაციის საკითხი, ვინაიდან ნოე ჟორდანიამ, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის მეთაურმა, ემიგრაციაში წასვლის წინ უფლებამოსილება არ მოიხსნა, მიუხედავად ბოლშევიკების დაჟინებული მოთხოვნისა და, აქედან გამომდინარე, ისინი შეეცადნენ ნ. ჟორდანიასთან და მის თანამებრძოლებთან საერთო ენის გამონახვას, რის თაობაზეც ლენინი ჯერ კიდევ 1921 წლის 2 მარტს წერილობით მიმართავდა სერგო ორჯონიკიძეს: ,,...უაღრესად დიდი მნიშვნელობა

* საგანგებო-საგამომძიებლო კომისია

აქვს იმას, რომ გამოინახოს მისაღები კომპრომისი ბლოკისათვის ჟორდანიასთან და მის მსგავს ქართველ მენშევიკებთან, რომლებიც ჯერ კიდევ აჯანყებამდე აბსოლუტურად მტრულად არ იყვნენ განწყობილნი, გარკვეული პირობებით საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების აზრისადმი"[46], თუმცა ნ. ჟორდანიამ და ემიგრაციაში მყოფმა საქართველოს მთავრობამ კომუნისტების არც ერთი წინადადება არ მიიღეს.

1921 წლის 8 მარტს საქართველოს რევკომმა გამოაქვეყნა მიმართვა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისადმი საომარი მოქმედების შეწყვეტის თაობაზე. უკვე 12 მარტს საქართველოს კომუნისტური (ბ) პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება, რითაც გამოხატა თანხმობა, შეეყვანათ მთავრობაში ქართველი სოციალ-დემოკრატები და სოციალისტური მიმართულების სხვა პარტიების წარმომადგენლები იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელები საჯაროდ აღიარებდნენ საბჭოთა ხელისუფლებას. დამარცხებულმა პოლიტიკურმა ძალებმა ბოლშევიკების ამ წინადადებასაც უარით უპასუხეს და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა იატაკქვეშეთში გააგრძელეს.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ დედაქალაქი მწუხარებამ მოიცვა. დაცარიელდა ქალაქი, ნაწილი ქართველობისა შინ ჩაიკეტა. ქალაქში მხოლოდ უცხოელები და სხვადასხვა ჯურის ავანტურისტები დააბიჯებდნენ. ქართველი მოსახლეობა რუს სამხედრო შენაერთებს ზიზღით უყურებდა.

პატრიოტები დაჭრილ და დახოცილ მამულიშვილებს ქუჩა-ქუჩა ეძებდნენ და ცდილობდნენ მათთვის მზრუნველობა არ მოეკლოთ.

ქართველების პირველი საჯარო შეკრება კოჯორთან და ტაბახმელასთან დაღუპულების დასაფლავების დღეს მოხდა, როდესაც საავადმყოფოდან რამდენიმე ათეული ქართველი გამოასვენეს და რუსთაველის გამზირით დიდუბის ტაძრის გალავანში დაასვენეს. მგზნებარე იყო პანაშვიდზე კათალიკოს-პატრიარქის ლეონიდის მიერ წარმოთქმული სიტყვა, რომელშიც მან სამშობლოსათვის თავდადებული გმირები და განდევნილი მთავრობა მოიხსენია.

თბილისში მასობრივი ძარცვა-გლეჯვა დაიწყო, რასაც ძირითადად რუსეთიდან შემოჭრილი დამშეული ჯარისკაცები აკეთებდნენ. ისინი იპარავდნენ ყველაფერს, რისი მოპარვა-წაღებაც შეეძლოთ ძვირფასეულობიდან დაწყებული ავეჯით დამთავრებული. ნადავლს მანქანებზე აწყობდნენ და რკინიგზით რუსეთისკენ აგზავნიდნენ. გაიძარცვა სამხედრო საწყობები. დაარბიეს ევგენი გეგეჭკორისა და სხვა ქართველი პოლიტიკური თუ საზოგადო მოღვაწეების სახლები. ქალაქში შიმშილი დაიწყო, დეფიციტური გახდა პირველადი მოხმარების საგნები, დაცარიელდა მაღაზიების დახლები და საწყობები.

ახლადდაარსებულ საქართველოს საგანგებო კომისიას, რომლის საკადრო შემადგენლობა საკმაოდ ჭრელი იყო და რომელშიც ბევრი საეჭვო რეპუტაციის პირი მოხვდა, ძალზე ეშინოდა ქართველთა მასობრივი თავშეყრისა, მით უმეტეს პოლიტიკური მოტივებით გაჟღენთილი შეკრებებისა და მანიფესტაციების. ჩეკისტები ღიად თუ ფარულად მუდმივად ქალაქში მიმოდიოდნენ და მათთვის საეჭვო პირებს იმ წუთსავე აპატიმრებდნენ. მოსახლეობა სიძულვილით უყურებდა ამ უკანასკნელთ და ზოგჯერ მათთან ფიზიკურ შეხლა-შემოხლასაც არ ერიდებოდა.

ჩეკისტები ქალაქში და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს გულდასმით აკვირდებოდნენ. ადგილზე გადაწყვეტილებების მიღება მათ ხშირად უჭირდათ და განკარგულებების მისაღებად პარტიულ და სახელისუფლო უმაღლეს ორგანოებში დარბოდნენ.

პირველი სერიოზული შეტაკება დემონსტრანტებსა და ჩეკისტებს შორის მოხდა კოჯორთან და ტაბახმელასთან დაღუპული ქართველი პატრიოტების ორმოცი დღის თავზე გადახდილ პანაშვიდზე.[49]

შექმნილი რთული ვითარების მიუხედავად, საქართველოში დარჩენილი პოლიტიკური ძალები ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლას აგრძელებდნენ. საქართველოს ოკუპაციიდან დაახლოებით თვე-ნახევრის შემდეგ, 1921 წლის 10 აპრილს შედგა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის შეკრება, რომელსაც 3000 დელეგატი დაესწრო. შეკრებას თავმჯდომარეობდა ვლადიმერ ჯიბლაძე, მისი მოადგილე კი ვასო ნოდია იყო. საქართველოს სოციალ-დემოკრატების ერთ ნაწილს ჯერ კიდევ ჰქონდათ იმის ილუზია, რომ საქართველოს რევკომი საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის აქტიური მიმდევარი იქნებოდა და ის უახლოეს პერიოდში შექმნიდა საქართველოს წითელ არმიას – ერთადერთ სამხედრო ძალას ქვეყანაში; ჩატარდებოდა თავისუფალი არჩევნები და ყველა პარტიას, მათ შორის სოციალისტური ყაიდისას, მიეცემოდა თავისუფალი მოქმედების საშუალება და ა.შ. თუმცა როგორც მოვლენების შემდეგომმა განვითარებამ აჩვენა, ისინი მწარედ ცდებოდნენ.

აბობოქრებული თბილისის დამშვიდებას თვით ი. სტალინიც შეეცადა, როდესაც ის 1921 წლის ივლისში თბილისში, ნაძალადევის რაიონში, პლეხანოვის სახელობის მუშათა სახლში თბილისელ მშრომელებს შეხვდა. ჩეკისტების გარემოცვაში მყოფი სტალინის გამოსვლა მათ წინაშე იმდენად უსუსური იყო, რომ ის პრაქტიკულად გაძევებულ იქნა ამ შეკრებიდან. ხალხის კეთილგანწყობა კვლავ მენშევიკი სოციალ-დემოკრატების და მათი ლიდერების მხარეზე იყო. ეს შეკრება გაბოროტებულმა სტალინმა შემდგომ წლებში საქართველოს არაერთგზის გაუხსენა.

ქართველი სოციალ-დემოკრატებისა და მათი მომხრეების საპროტესტო განწყობა არადა არ ცხრებოდა.

1921 წლის 29 აგვისტოს, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის თბილისის მეორე საუბნო კონფერენციას დეკლარაციით მიმართა რკინიგზის სამმართველოს მენშევიკურმა ფრაქციამ (სულ 13 კაცი), რის შემდეგაც მათ დატოვეს კონფერენცია. დოკუმენტში ნათქვამი იყო, რომ საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან ხალხისათვის მიცემული პირობის მიუხედავად, რომ დაიცავდნენ ქვეყნის დამოუკიდებლობას და სუვერენიტეტს, ადგილობრივი შეიარაღებული ძალის მეშვეობით, ამასთან, უზრუნველყოფდნენ „ყოველ თავისუფალ სიტყვას, წერას და კრებას კანონიერ ფარგლებში“, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან ექვსი თვე იყო გასული, დანაპირები კი არ ჩანდა.[312]

საბჭოთა ხელისუფლებას ისღა დარჩენოდა, მუშათა და ინტელიგენციის, ზოგადად, საზოგადოების გამოსვლებისათვის რეპრესიებით ეპასუხა. საგანგებო კომისიის ციხეში, უფრო სწორად, მის ბინძურ სარდაფებში აღმოჩნდა უამრავი სხვადასხვა კლასის, საზოგადოებრივი მდგომარეობისა და პროფესიის ადამიანი. ყველაზე ურჩები და თავის დროზე ბოლშევიკების წინააღმდეგ აქტიური

მებრძოლები ღამით ხელბორკილდადებულები ქალაქგარეთ გაჰყავდათ და გაუსამართლებლად ხვრეტდნენ. ასე იქნენ დახვრეტილნი თბილისში დარჩენილი განსაკუთრებული რაზმის ყოფილი წევრები და დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო მოსამსახურეები. მეტეხის ციხეში უმძიმეს პირობებში ყოფნისას გარდაიცვალა დამოუკიდებელი საქართველოს უკანასკნელი სამხედრო მინისტრი პარმენ ჭიჭინაძე, რომლის დასაფლავება გრანდიოზულ მოვლენად გადაიქცა.

საგანგებო კომისია განსაკუთრებით ერჩოდა სხვაგვარად მოაზროვნე ინტელიგენციას, რომელთაც, მოთვინიერების მიზნით, საკნებში ათავსებდა და ამ გზით მორალურ-ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენდა. მათ, ვინც, ფორმალურად მაინც, საბჭოთა ხელისუფლების მიმართ ლოიალობას გამოხატავდა, გარკვეული პერიოდის შემდეგ, პატიმრობიდან ათავისუფლებდნენ და საზღვარგარეთ ასახლებდნენ. ამ კონტიტგენტის ნაწილს, ჩეკისტთა აზრით, სადაზვერვო პერსპექტივის თვალსაზრისით საინტერესო პიროვნებებს, საგანგებო კომისია აიძულებდა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ საკუთარი პოზიციის შეცვლის დამადასტურებელი ხელწერილის შედგენას. ერთ-ერთ ასეთ „წარმატებულ ჩეკისტურ ღონისძიებად“ საბჭოთა საქართველოს ხელისუფლება, მისი დამყარების პირველივე დღეებში თვლიდა ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის გრიგოლ (გრიშა) ურატაძის ეგრეთ წოდებული „პოლიტიკური მოთვინიერების“ პროცესს. პატიმრობაში მყოფი გრ. ურატაძე ჩეკისტებმა დაარწმუნეს საბჭოთა ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობის აუცილებლობაში, რის სანაცვლოდაც თავისუფლებასა და ხელშეუხებლობას შეჰპირდნენ. აღნიშნულთან დაკავშირებით, მომზადდა შესაბამისი დოკუმენტიც.

ასლი

„ხ ე ლ ი ს წ ე რ ი ლ ი

ვაძლევ ამ ხელის წერილს საქართველოს ს.ს. რესპუბლიკის საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს მას შინა, რომ მე არ ვიღებ არავითარ მონაწილეობას რაიმე შეიარაღებულ აჯანყებაში საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ და არც ერთ იმ ორგანიზაციაში, რომელიც მიზნად დაისახავს აჯანყების მოწყობას, თუ ცხოვრებაში გატარებას ყოველგვარი ძალადობის, როგორც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ან ცდა მისი ჩამოგდების შესახებ. მე ჩემთვის მიუღებლათ ვსთვლი და არც რაიმე მონაწილეობას მივიღებ ასეთ ორგანიზაციებში.

2 ივლისი

გ. ურატაძე

დედანთან სწორია:

მეოთხე განყოფილების უფროსი კ. ცინცაძე

3/VIII 21 “.[308]

(სტილი დაცულია – გ. ს.)

გრ. ურატაძე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან მოკლე ხანში ემიგრაციაში, კერძოდ, საფრანგეთში წავიდა. იყენებდა თუ არა „მონანიების ხელწერილს“ საბჭოთა საგარეო დაზვერვა გრ. ურატაძის შანტაჟისათვის და აიძულებდა თუ არა მას ეთანამშრომლა საბჭოთა სპეცსამსახურებთან – უცნობია.

1922 წელს მეტეხის ციხიდან საბჭოთა ხელისუფლებამ გაათავისუფლა და საზღვარგარეთ გაასახლა ქართული ინტელიგენციის 62 წარმომადგენელი. მათ შორის იყვნენ: კალისტრატე სალია, ალფეზ ხელაძე, ერეთეოზ რამიშვილი, აკაკი მეუნარგია, სპირიდონ კედია და სხვები.[19]

ერთი სიტყვით, საბჭოთა საქართველოს საგანგებო კომისია ბოლშევიკური პარტიის სადარაჯოზე მთელი „შეგნებით" იდგა და დიადი მომავლის იდეით ფრთაშესხმული უამრავ ცოდვას ჩადიოდა, მომავალ თაობებს კი განსასჯელსა და საფიქრალს უტოვებდა.

იმის გამო, რომ 1921 წლის შემოდგომისათვის ანტიბოლშევიკური წინააღმდეგობის მოძრაობა ქართველ პატრიოტთა მხრიდან გაძლიერდა, ანტისაბჭოთა საქმიანობასთან დაკავშირებით შესაბამისი ინფორმაციის ნაკლებობისა და ინფორმატორთა დაბალი კვალიფიკაციის გამო საგანგებო კომისია პანიკამ მოიცვა. საჭირო იყო გადამწყვეტი ზომების მიღება. ამ მიზნით, 1921 წლის 25 ოქტომბერს საქართველოს საგანგებო კომისიაში შედგა სხდომა საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის, საიდუმლო-ოპერატიული სამმართველოს მდივნის, საიდუმლო განყოფილების უფროსისა და მე-4 განყოფილების რწმუნებულის მონაწილეობით.

სხდომამ გადაწყვიტა, რომ მიემართა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) თბილისის კომიტეტისათვის და დაჟინებით მოეთხოვათ ყველა მოქმედი პარტიის წევრისათვის საიდუმლო ცირკულარული წერილის შემუშავება, რომლის მიხედვითაც პარტიის ყველა წევრს მოეთხოვებოდა ყოფილიყო бдительный информатор* ანტისაბჭოთა საქმიანობის გაშუქებაში არა მარტო თავისი სამუშაო ადგილის მიხედვით, არამედ ნებისმიერ გარემოში და ნებისმიერ ვითარებაში. პარტიის წევრების ხელთ არსებული, შეძლებისდაგვარად ზუსტი ინფორმაცია უნდა გადასცემოდათ პარტიული უჯრედების ხელმძღვანელებს, რომლებიც, თავის მხრივ, გადამოწმებულ და სისტემატიზებულ მასალას, შეტყობინების სახით, კვირაში ორჯერ, საიდუმლო პაკეტებით გადასცემდნენ საქართველოს კპ (ბ) რაიკომის მდივნებს. ეს უკანასკნელნი კი ამ ინფორმაციებს გადაუგზავნიდნენ საგანგებო კომისიის მე-4 განყოფილებას.

ზემოაღნიშნული სხდომის ოქმის თანახმად, ჩეკისტები დაჟინებით მოითხოვდნენ საქართველოს კპ (ბ) თბილისის ორგანიზაციისაგან, სასწრაფო წესით, რაიონული კომიტეტების მეშვეობით, თითოეული პარტიული უჯრედიდან გამოცდილი კომუნისტების გამოყოფას, რომლებიც, როგორც ინფორმატორები, გადავიდოდნენ საგანგებო კომისიის მე-4 განყოფილების განკარგულებაში და იმუშავებდნენ მისი მითითებებით. ამავდროულად, მე-4 განყოფილების რწმუნებულს პარტიული უჯრედების მდივნებისა და გამოყოფილი კომუნისტებისათვის უნდა შეემუშავებინა ზემოაღნიშნული პროცესის სამართლებრივი რეგულირებისათვის შესაბამისი ინსტრუქცია. მთელი პროცესი უნდა ყოფილიყო ღრმად კონსპირირებული. ინფორმატორები დავალებებს მიიღებდნენ მე-4 განყოფილების რწმუნებულის მიერ, როგორც წერილობითი, ისე ზეპირი წესით.[110]

აღნიშნული სხდომის გადაწყვეტილებებმა, როგორც ჩანს, დადებითად იმოქმედა საგანგებო კომისიის საქმიანობაზე და ჩეკისტები უფრო მოზანსწრაფულები და სასტიკნი გახდნენ.

* ფხიზელი ინფორმატორი

პროფესიონალი კადრების თვალსაზრისით საგანგებო კომისიაში რომ არასახარბიელო სიტუაცია იყო, ამის თაობაზე საიდუმლო-ოპერატიული ნაწილის უფროსმა ლავრენტი ბერიამ 1921 წლის შემოდგომაზე წერილობით მიმართა საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს ეპიფანე კვანტალიანს. მიმართვაში საუბარია იმაზე, რომ საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტიდან და ქ. თბილისის პარტიული ორგანიზაციიდან საგანგებო კომისიაში იგზავნებოდნენ სამუშაოდ ისეთი პარტიული ამხანაგები, რომლებიც საერთოდ გამოუსადეგარნი იყვნენ საგანგებო კომისიაში სამუშაოდ, არადა, მათ სწავლებას ბევრი დრო და ენერგია სჭირდებოდა. ლ. ბერია იქვე მიანიშნებს „აგენტურულ-ოპერატიული“ საქმიანობის დიდ მნიშვნელობაზე: „Несмотря на неоднократно принимаемые меры – никак не удаётся заполучить некоторых работников, хорошо знакомых с агентурно-осведомительной разработкой дел, ибо это специальность работы – является солью всей деятельности Ч.К.*“. საბოლოოდ, ლ. ბერია მოითხოვდა, რომ ახალბედა თანამშრომლები მივლენილ ყოფილიყვნენ კვალიფიკაციის ასამაღლებლად აზერბაიჯანის საგანგებო კომისიაში და საერთოდ, დანერგილიყო თანამშრომელთა ეგრეთ წოდებული „გაცვლის პრაქტიკა“, რაც შესამჩნევ შედეგს გამოიღებდა პროფესიული ზრდის თვალსაზრისით.[308] უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ „ჩეკისტთა გაცვლის“ ბერიასეულ მეთოდს (პრაქტიკას) საბჭოთა სპეცსამსახურები წლების მანძილზე, თითქმის საბჭოთა კავშირის დაშლამდე იყენებდნენ.

საბჭოთა საქართველოს სპეცსამსახურში იყო სხვა მნიშვნელოვანი პრობლემებიც. კერძოდ: საგანგებო კომისიასთან დაკავშირებული პირებისათვის, რომელთაც ფარული საქმიანობა უწევდათ და რომლებიც ჩართულები იყვნენ ანტისაბჭოთა ორგანიზაციებსა, ცენტრებსა თუ სხვადასხვა დაჯგუფებებში, დასარეგულირებელი იყო მათი როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრების აღრიცხვიანობის საკითხი. ამ პრობლემის მოსაგვარებლად (სამართლებრივი მოწესრიგებისათვის), კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი პირებისაგან მოლოტოვისა და ოხლოპკოვისაგან ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის სახელზე მოვიდა საიდუმლო დაშიფრული დეპეშა, რომელშიც მითითებული იყო, რომ ის საიდუმლო თანამშრომლები, რომელთაც, ოპერატიული აუცილებლობიდან გამომდინარე, უნდა დაემალათ კომუნისტური პარტიის წევრობა, პარტიულ აღრიცხვაზე უნდა დამდგარიყვნენ უშუალოდ საგანგებო კომისიების პირველ პირებთან, ან ამა თუ იმ ორგანიზაციის პარტიულ ხელმძღვანელებთან. ისინი პარტიულ საწევროსაც ასევე მხოლოდ ხსენებულ პირებთან გადაიხდიდნენ პარტიული ბილეთის წარდგენის შემდეგ. ვინაიდან ზემოაღნიშნული კატეგორიის საიდუმლო პირები პარტიული საწევრო შენატანის საერთო უწყისში არ ფიგურირებდნენ, საგუბერნიო კომიტეტის მდივანს, საგუბერნიო ანგარიშზე მათი საწევრო ანარიცხები უნდა შეეტანა გრაფის, „случайные поступления**“-ს, შესაბამისად.

საქართველოს საგანგებო კომისიის შექმნის პირველსავე პერიოდში სერიოზუ-

* მიუხედავად მიღებული არაერთი ზომისა, ვერ ხერხდება ჩართვა ზოგიერთი იმ მუშაკებისა, რომელთათვისაც კარგად არის ცნობილი საინფორმაციო-აგენტურული დამუშავების საქმეების წარმოება. ვინაიდან ამაშია საგანგებო კომისიის საქმიანობის მთელი ლაზათი.

** შემთხვევითი შენატანი

ლი პრობლემები წარმოიშვა აგენტურულ (ფარულ) საქმიანობასთან დაკავშირებით, რაც საიდუმლო ინფორმატორთა ლეგალიზაციის მხრივ. მაგალითად: 1922 წლის 12 სექტემბერს საგაზეთო ტრესტის ადმინისტრაციამ დაიბარა „ჩეკას“ ინფორმატორი „შამილი“, რომელსაც აუწყა, რომ ტრესტის ხელმძღვანელობა ძალზე უკმაყოფილო იყო იმით, რომ ის მათი ორგანიზაციის საქმიანობის ყველა დეტალზე ფარულად საქმის კურსში აყენებდა საგანგებო კომისიას.

ვინაიდან მსგავსი შემთხვევები საკმარისზე ბევრი იყო, საგანგებო კომისიამ გადაწყვიტა სასწრაფოდ შესაბამისი ზომების მიღება.

იყო შემთხვევები, როდესაც ინფორმატორები ბოროტად იყენებდნენ საგანგებო კომისიასთან ფარული საქმიანობის ფაქტს, ორპირობდნენ და ზოგჯერ დამნაშავეთა სამყაროსთან და ავანტურისტებთან დანაშაულებრივ ალიანსში შედიოდნენ. ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია საიდუმლო შინაარსის წერილი, რომელიც საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველმა ზირაქიშვილმა მისწერა საქართველოს სსრ სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს უფროსს ე. კვანტალიანს: „При сём препровождается протокол Комфракции Батумского парткомвода от 23/VIII о злоупотреблениях агентов местной ЧК и Угрозыска для расследования и принятия соответствующих мер*“.[308]

საბჭოთა სპეცსამსახურების ფორმირების პროცესში და ზოგადად, ხელისუფლებაში არსებული უამრავი პრობლემის მიუხედავად, საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ გააფთრებული ბრძოლა დაიწყო ქართული ანტისაბჭოთა პოლიტიკური ემიგრაციის წინააღმდეგ. ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია, აღიარებდა საერთაშორისო სამართლის ნორმებს და ეფუძნებოდა მსოფლიოს ხალხთა ცხოვრებაში კლასობრივი თუ ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის პროცესში ცალკეულ ადამიანთა ჯგუფების მშობლიური მიწა-წყლიდან სხვა ქვეყნებში გადასახლების ლოგიკას და განასხვავებდა პოლიტიკური ემიგრაციის ორ ძირითად სახეობას: ემიგრაციას – პროგრესულს, რევოლუციურს და ემიგრაციას – რეაქციულს, კონტრრევოლუციურს.[47]

საბჭოთა ხელისუფლება და მისი სპეციალური სამსახურები წლების მანძილზე ცდილობდნენ ქართული პოლიტიკური ემიგრაციის დაშლას, ანტისაბჭოთა ძალების დაქსაქსვას და ემიგრანტი ლიდერების ფიზიკურ განადგურებას.

საბჭოთა პროპაგანდა ხშირად ეწეოდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენებით ქართული ემიგრაციის დისკრედიტაციას. უფრო მეტიც, საბჭოთა ისტორიოგრაფია იმასაც კი ამტკიცებდა, რომ თითქოს, საქართველოს არასოდეს ჰქონია სახელმწიფოებრიობა. ამის ნათელი დადასტურებაა წიგნის ავტორის „Уроки грузинского восстания**“ ე. კვირინგის განცხადება: „Мы, конечно знаем, что Грузия никогда не была независимой***“.[40] კომენტარი, რომ იტყვიან, მართლაც ზედმეტია. სხვადასხვა სტატიებით, დოკუმენტური თუ მხატვრული ფილმების

* წერილთან ერთად, გიგზავნით ბათუმის პარტიული ორგანიზაციის კომუნისტური ფრაქციის 1923 წლის 23 აგვისტოს სხდომის ოქმს ადგილობრივი საგანგებო კომისიის და კრიმინალური პოლიციის აგენტების მხრიდან ნდობის ბოროტად გამოყენების ფაქტებზე შემდგომი გამოძიების წარმოებისა და შესაბამისი ზომების მიღებისთვის.

** ქართული აჯანყების გაკვეთილები

*** ჩვენ, რა თქმა უნდა ვიცით, რომ საქართველო არასოდეს ყოფილა დამოუკიდებელი.

მეშვეობით საბჭოთა იდეოლოგია აზიზღებდა საზოგადოებას საზღვარგარეთ 1921 წლიდან საქართველოს ანექსიის შედეგად განდევნილ მამულიშვილებს და მათ მტრებად და უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების დამქაშებად მოიხსენიებდა. უცხოეთიდან მიღებული ინფორმაციების საფუძველზე, ძირითადად ისეთების, რომლებშიც აღწერილია, თუ როგორი უთანხმოებები არსებობდა ქართულ პოლიტიკურ ორგანიზაციებსა და ცალკეულ პირებს შორის, საბჭოთა საქართველოს გაზეთებში „კომუნისტსა“ და „ზარია ვოსტოკაში“ წლების მანძილზე პერიოდულად იბეჭდებოდა ქართული პოლიტიკური ემიგრაციის საქმიანობის „მამხილებელი“ სტატიები, ცალკეულ პირთა განცხადებები და თვით ბრალდებულთა ჩვენებებიც კი. აღნიშნულ პროცესში საბჭოთა სპეცსამსახურები აქტიურად იყენებდნენ საზღვარგარეთიდან დაბრუნებულ რეემიგრანტებს ან ჩეკისტთა მიერ გადმობირებულ ცალკეულ ყოფილ პოლიტიკურ მოღვაწეებს, მეცნიერებისა და ხელოვნების წარმომადგენლებს. ასე გაჩნდა პრესაში კ. სულაქველიძის, ვ. ალიხანაშვილის, გრ. ვეშაპელის, ალ. ჭაბუკიანის, ნ. მიწიშვილის, ბ. ილურიძის, შ. ბერიშვილის, კ. ანჯაფარიძის, მიხ. კახიანის, გ. გეგელიას, გ. ციციშვილის და სხვათა სტატიები, მოგონებები და მიმართვები. მთელი ამ პროპაგანდისტული სისტემის უკან საბჭოთა იდეოლოგიური მანქანა და სპეციალური სამსახურები იდგნენ.

1970 წელს პარიზში გამოიცა თამარ პაპავას წიგნი „გაბნეული საფლავები“, რომელშიც ქართველ ემიგრანტთა განსვენების ადგილები და რამდენიმე მათგანის ცხოვრება და მოღვაწეობაც არის აღწერილი.[40] როგორც იმ პერიოდის იდეოლოგიისათვის იყო დამახასიათებელი, წიგნის გამოცემას „დროულად“ გამოეხმაურა მაშინდელი გაზეთი „სამშობლო“ თავის 1970 წლის აპრილის ნომერში კრიტიკული წერილით „დამსხვრეული ილუზიები“. სტატიის პათოსის საილუსტრაციოდ ერთი აბზაცის მოყვანაც კმარა: „განა შეიძლება პატრიოტმა ქართველმა ქალმა გულწრფელად დაიტიროს ისეთი ადამიანი, როგორც მეფის არმიის პოლკოვნიკი, თავადი ქაქუცა ჩოლოყაშვილი იყო? თავისი მოთარეშე რაზმით ამ „კნიაზმა“ (როგორც თქვენ მას უწოდებთ), ბევრი ზიანი მიაყენა საქართველოს, ბევრი პატიოსანი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. და ახლა, ძმათა სისხლში ხელგასვრილ კაცს ერის ერთგულ შვილად გვიხატავთ“. სტატიის ბოლოს ავტორი ცინიკურად მიმართავს ქ-ნ თამარ პაპავას: „თუ თქვენი სამშობლო ნამდვილად გიყვართ, გამოეშურეთ სამშობლოში, აქ, საქართველოში ემსახურეთ მშობლიურ ხალხს“.[203]

სამწუხაროდ, საბჭოურ ლიტერატურაში ადამიანები, რომლებიც საზღვარგარეთ უმძიმეს სიტუაციაშიც კი თავგამოდებით იბრძოდნენ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, მოიხსენიებოდნენ განწირულებად, მათი ერთობა კი ხროვად – განწირულთა ხროვად.[42]

### საქართველოს დემოკრატიული მთავრობის და ქართველი პატრიოტების საზღვარგარეთ იძულებით გახიზვნა

საქართველოში საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის შემოჭრის შემდეგ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ნოე ჟორდანიას მეთაურობით, 1921 წლის 17 მარტის დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებით,

იძულებული იყო ბათუმის პორტიდან უცხოეთის გემებით (იტალიური „კირალი“, ფრანგული „ვესტა“ და „მარია“) საზღვარგარეთ გახიზნულიყო.

მთავრობას ბევრი ჩინოსანი და საქმიანი წრის წარმომადგენელი გაჰყვა. გახიზნულთა პირველი ნავსაყუდელი სტამბოლი აღმოჩნდა. ლტოლვილების პირველი ნაკადი ქართულმა კათოლიკურმა მონასტერმა შეიფარა.

1921 წლისათვის სტამბოლში დისლოცირებული იყო ფრანგულ-ინგლისურ-ამერიკული საოკუპაციო სამხედრო შენაერთები. თურქეთის სათავეში ჯერ კიდევ იმყოფებოდა სულთანი. ასე რომ, როგორც საოკუპაციო, ისე სულთნის ხელისუფლებამ საქართველოდან დევნილებს უყოყმანოდ მისცა თავშესაფარი.

თავდაპირველად ემიგრანტული მთავრობა სამშობლოდან განდევნას მიიჩნევდა დროებით მოვლენად და სტამბოლიდან სხვაგან წასვლას არ ფიქრობდა. დევნილთაგან ზოგიერთმა ბიზნესი წამოიწყო, შექმნა მეურნეობები და საბანკო დაწესებულებებიც კი გახსნა. სამშობლოდან გახიზნულ მთავრობის წარმომადგენლებთან ურთიერთობა უცხო სახელმწიფოთაგან პირველმა თურქეთმა დაამყარა. იმავდროულად ქართველ ემიგრანტებს, კონსტანტინოპოლში ქართული კათოლიკური მონასტრის მეშვეობით დაუკავშირდა ვატიკანი, რომელიც დიდად იყო დაინტერესებული საქართველოში მიმდინარე მოვლენებით. ამ უკანასკნელის სტამბაში დაიწყო გაზეთების – „დამოუკიდებელი საქართველო“, „ბრძოლა“ – ბეჭდვა და საქართველოში შეგზავნა. სტამბა საქართველოს დევნილ მთავრობას საფრანგეთში გადასვლის შემდეგაც ემსახურებოდა.

სტამბოლში, ერთ-ერთ პრესტიჟულ უბანში, ფერიკოიში, ღვთისმშობლის სახელობის ქართველ კათოლიკეთა მონასტერი („ღვთისმშობლის უმანკო ჩასახვის“ მამათა ლავრა) ახალციხელმა მღვდელმა პეტრე ხარისჭირაშვილმა დააარსა მე-19 საუკუნის 50-60-იან წლებში მონასტერში წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე აღევლინებოდა. იქვე არსებობდა სასწავლებელი, ბიბლიოთეკა და სტამბა.

სტამბოლის ქართული კათოლიკური მონასტერი იქცა ანტისაბჭოთა საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად ბაზად. ანტისაბჭოთა საქმიანობაში აქტიურად ჩაერთვნენ მღვდელმსახურები შალვა ვარდიძე, პიო ბალაძე და სხვები. ისინი ირგვლივ იკრებდნენ კათოლიკეებსა და მართლმადიდებლებს მსოფლიოს ყველა კუთხიდან, გააჩნდათ დიდი კავშირები და შესაძლებლობები ყველა მიმართულებით.[279]

მონასტერში, ერთ პატარა მიწურში ცხოვრობდა მოხუცი ქართველი ემიგრანტი სიმონ ჟღენტი, რომელსაც საბჭოთა კავშირიდან ემიგრირებულ პირებთან მჭიდრო კონტაქტში იმყოფებოდა და ანტისაბჭოთა საქმიანობის კარგ მცოდნედ და ამ პროცესის უბადლო ორგანიზატორად ითვლებოდა. მონასტერთან კონტაქტები გააჩნდათ სტამბოლში მცხოვრებ ანტისაბჭოთა განწყობის ქართველებს: ოსმან კახიძეს, მემედ კახიძეს (ოსმან კახიძის შვილს), ოსმან თედორაძეს, შალვა და თედო კალანდაძეებს, იუსუფ ბაღათურს (ბიბინეიშვილს), ვასილ როყვას, ვახტანგ მაჭავარიანს.

ნ. ჟორდანიას მთავრობამ, უპირველეს ყოვლისა, 1921 წლის ბოლოს კონტაქტი დაამყარა ვატიკანთან ქართული კათოლიკური მონასტრის მღვდელმსახურის პიო ბალაძისა და ბერ შალვა ვარდიძის ხელშეწყობით თავისი წარმომადგენლის კონსტანტინე საბახტარაშვილის მეშვეობით, რაც მილანში მყოფ კარდინალ შუს-

ტერთან შეხვედრის შედეგი იყო. კარდინალმა ნ. ჟორდანიას აღუთქვა ვატიკანისა და პირადად რომის პაპის მხრიდან ყოველმხრივი დახმარება. ამავდროულად, კარდინალმა სთხოვა ნოე ჟორდანიას საქართველოზე სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება. ამ ურთიერთობამ მჭიდრო ხასიათი მიიღო 1924 წლის ბოლოდან ნ. ჟორდანიას მიერ ვატიკანში ე. წ. პერმანენტულ წარმომადგენლად რაფიელ ინგილოს (ივანიცკის) წარგზავნის შემდეგ.

ანალოგიური მისიით საქართველოში მივლინებულ იყო ბერი შალვა ვარდიძე. სწორედ შ. ვარდიძე გახლდათ ის პიროვნება, რომელმაც 1922 წელს საქართველოდან ფარულად გაიტანა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ამბროსი-I-ის (ხელაიას) ცნობილი მემორანდუმი, რომელშიც აღწერილი იყო გასაბჭოების შემდეგ საქართველოში არსებული რეალური ვითარება და რომელიც შემდგომ წაკითხულ იქნა რომის პაპის დელეგატის მიერ გენუის კონფერენციაზე. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ეს მოწოდება დაიბეჭდა გენუის გაზეთ „კაფფარას“ 1922 წლის 5 მაისის ნომერში. აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია სწრაფად გახდა ცნობილი საბჭოთა საქართველოს საგანგებო კომისიისათვის, რასაც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის დაპატიმრება მოჰყვა. ფიზიკურად დაუძლურებული, მაგრამ სულიერად გაუტეხელი კათალიკოს-პატრიარქი განთავისუფლების შემდეგ მალე გარდაიცვალა. „სული ჩემი ღმერთს ეკუთვნის, გული – ჩემს სამშობლოს, მძორი, ჯალათებო, თქვენ და რაც გინდათ, ის უყავით...“ – ასეთი იყო ამბროსი ხელაიას პასუხი გააფთრებული ჩეკისტი-გამომძიებლების შეკითხვებზე.[243] საბჭოთა იდეოლოგია შ. ვარდიძეს „ანაფორიან ჯაშუშს“ უწოდებდა და თვლიდა, რომ მან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართველი ემიგრანტების უცხოურ სადაზვერვო სამსახურთან დაკავშირების საქმეში.[47]

ვატიკანის პარალელურად, საქართველოს დევნილ მთავრობასთან კონტაქტში შევიდნენ სხვა ქვეყნებიც მათი სპეციალური ორგანოების წარმომადგენლების მეშვეობით. ქართველი ემიგრანტებით განსაკუთრებით იყო დაინტერესებული პოლონეთი. ამის გამოხატულება იყო ქართველი გენერლების ალექსანდრე ზაქარიაძისა და ვლადიმერ ბაქრაძის, აგრეთვე ქართველი იუნკრებისა და ოფიცრების ჩარიცხვა პოლონეთის არმიაში.

პოლონელთა გარდა ქართველებით საბერძნეთიც დაინტერესდა და ხელი შეუწყო ქართველი იუნკერების მცირე ჯგუფის სამხედრო სასწავლებლებში ჩარიცხვას. რაც შეეხება საფრანგეთს, იმის გამო, რომ ნ. ჟორდანიას დევნილი მთავრობა აპირებდა საფრანგეთში გადაბარგებას და იქ დამკვიდრებას, საკუთარი გეგმები მან ამ პერიოდისათვის გადადო.

1921 წლის ბოლოს და 1922 წლის დასაწყისში საქართველოს დევნილი მთავრობის ძირითადი ბირთვი სტამბოლიდან საფრანგეთში გაემგზავრა, ხოლო ქართველ ემიგრანტთა ნაწილი თურქეთში დარჩა.

უსახსროდ და მატერიალური მხარდაჭერის გარეშე დარჩენილმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ სამშობლოდან ჩამოტანილი 69 ყუთი ძვირფასეულობიდან 39 ყუთი სახაზინო ნივთებისა გაყიდა და მიღებული თანხით შეიძინა დაბა ლევილის მამული და ორსართულიანი სასახლე „შატო“, სადაც ბინა დაიდეს კარლო ჩხეიძემ, ნოე რამიშვილმა, გიორგი ერაძემ, მიხეილ არსენიძემ, ვლადიმერ გოგუაძემ და სხვებმა.

## ოკუპირებულ საქართველოსთან არალეგალური კავშირების დამყარების პირველი მცდელობა

დევნილი მთავრობის საფრანგეთში გამგზავრების შემდეგ დემოკრატიული საქართველოს რწმუნებულად სტამბოლში დაინიშნა კონსტანტინე გვარჯალაძე, რომელსაც საკმაოდ რთული მისია დაეკისრა: „მას მუდმივი ურთიერთობა უნდა ჰქონოდა კომისრებთან, რათა მათი საშუალებით ხმა იმ ქვეყნების მთავრობებისათვის მიეწვდინა. ამავე დროს, მას თვალყური საქართველოში მიმდინარე ამბებისთვისაც უნდა ედევნებინა. ამ მიზნით შეიქმნა სტამბოლის პოლიტიკური კომისია თავისი საიდუმლო საინფორმაციო ცენტრით. კ. გვარჯალაძე სულთნის მინისტრებთან დაახლოებასაც ცდილობდა. ანგორის ხელისუფლების აშკარა თანაგრძნობა მოსკოვისადმი 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულებით დამთავრდა".[19]

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ საქართველოში ველარ დაბრუნდნენ ერთ დროს მთავრობის ინიციატივით, თუ საკუთარი ნებით საზღვარგარეთ სასწავლებლად წასული ქართველები – ხელოვნების მუშაკები და სხვადასხვა სამეურნეო დარგის სპეციალისტები. ბედის უკუღმართობის გამო ქართველები აღმოჩნდნენ ირანსა და ჩინეთში (მანჯურიაში, ხარბინში), დევნილთა დიდი ნაწილი გერმანიაში, პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიაში დაფუძნდა.

იმ პერიოდში მსოფლიოში ჩამოყალიბებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, საზღვარგარეთის ქვეყნები დიდ ინტერესს ამჟღავნებდნენ ანტისაბჭოთა განწყობის ძალების და, მათ შორის, დამოუკიდებელი საქართველოს დევნილი ხელისუფლების მიმართ და ღებულობდნენ სხვადასხვა ზომას, მათთვის დახმარებისა და მხარდაჭერის აღმოჩენისთვის. პროცესში ჩართულნი იყვნენ ამ ქვეყნების სპეცსამსახურებიც.

ქართული ემიგრაციის განსაკუთრებულ როლზე როგორც საზღვარგარეთ, ისე ამიერკავკასიაში მიანიშნებს ძველი სოციალ-დემოკრატი (შემდგომ გაბოლშევიკებული) ვ. ალიხანაშვილიც: „...არც საზღვარგარეთის სახელმწიფოებში და არც ამიერკავკასიის რესპუბლიკებში არავითარი გავლენის მოხდენა ანდა პოლიტიკურად არავითარი მნიშვნელობის მქონენი არ არიან ქართველ ემიგრანტებთან შედარებით სომხისა, თათრისა და რუსის ემიგრაცია. მათ იქ იმდენ ყურადღებას და პოლიტიკურ ღირებულებას არ აძლევენ! აქვე ჩვენს რესპუბლიკებში არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენენ, ვინაიდან როგორც რუსეთში, ისე აზერბეიჯანში და სომხეთში საბჭოთა ხელისუფლება დიდი ხნის დამყარებულია! მხოლოდ თუ დაშნაკცაკანები და მუსავატელები იქ კვლავ მოქმედობენ, იგინი უსათუოდ იმყოფებიან ქართველ მენშევიკურ ემიგრაციის გავლენის ქვეშ და მათი შემწეობით იბრძვიან! უნდა ვეცადოთ, ის ძალა დავშალოთ, რომელნიც ხელს უწყობენ სხვა და სხვა რეაქციონერებს, შოვინისტებს, თეთრ გვარდიელებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამიტომ საჭიროა ქართული ემიგრაციის დაქსაქსვა, დაშლა და მისი სახლში მოყვანა საჩქაროდ დღესვე!".[255]

საქართველოსთან მიმართებაში სადაზვერვო საქმიანობის ორგანიზებისას ქართული ანტისაბჭოთა პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენლებს გააჩნდათ

კონკრეტული მიზნები, მაგრამ გასათვალისწინებელი იყო იმ ქვეყნების სპეცსამსახურების მოთხოვნებიც, რომლებისგანაც ისინი ფინანსურ, ორგანიზაციულ და ტექნიკურ დახმარებას იღებდნენ.

საქართველოში საიდუმლო კავშირურთიერთობის დასამყარებლად და ანტისაბჭოთა საქმიანობისათვის, სტამბოლში დაარსდა განსაკუთრებული ორგანო, რომელსაც ხელმძღვანელობდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ვასო წულაძე. სადაზვერვო პროცესის ორგანიზებისათვის საქართველო-თურქეთის საზღვრის შორიახლოს შეიქმნა სპეციალური სადაზვერვო ცენტრი, რომლის მიზანიც იყო საქართველოში დარჩენილ არალეგალურ იატაკქვეშა ორგანიზაციებთან კავშირის დამყარება, მათთვის შესაბამისი ლიტერატურისა და ფოსტის მიწოდება, ემისრების მომზადება და საქართველოში შეგზავნა. ცენტრს ხელმძღვანელობდა იოსებ ცინცაძე (1889-1960), სპეციალობით ექიმი, მაღალი კულტურისა და ერუდიციის ადამიანი, თავაზიანი, ამასთან ერთად, მეტად მიმზიდველი გარეგნობითა და პიროვნული თვისებებით. მოსაზღვრე მუსლიმ ქართველებში და თვით თურქულ მოსახლეობაში ის სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით, რასაც იმსახურებდა პაციენტების უფასო მომსახურებით და მათ მიმართ გამოჩენილი ყურადღებით. ის ცნობილი იყო უბრალოდ როგორც „გიორგი", ან „გიორგი გურჯი" ან „ექიმი გურჯი". სწორედ მან მოახერხა საქართველოში არალეგალური ლიტერატურისა და პირველი ემისრების შეგზავნა. პარალელურად, საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებდა ამ ცენტრის სრულუფლებიანი წარმომადგენელი, ეგრეთ წოდებული გურიის კომიტეტის აგენტი ფსევდონიმით „დურსუნი", რომელიც აწარმოებდა მეტად რთულ და დელიკატურ სამუშაოებს. ცენტრთან თანამშრომლობდნენ სპეციალური კოორდინატორები, რომლებიც ასრულებდნენ შუამავლის როლს ცენტრსა და საკუთარი ქვეყნის სპეცსამსახურებს შორის. საქართველოში არსებული იატაკქვეშა ორგანიზაციები მუდმივად ფლობდნენ ინფორმაციას, განსაკუთრებით სამხედრო ხასიათის ცნობებს, წითელი არმიის რაოდენობის, დისლოკაციის ადგილის, ჯარების სახეობისა და პერსონალის შესახებ. მიღებული მასალა მუშავდებოდა და მიეწოდებოდა პოლონეთის, საფრანგეთისა და სხვა დაინტერესებული ქვეყნების სპეცსამსახურებს. ხშირად ქართველების მიერ მოპოვებული ინფორმაცია არ აკმაყოფილებდათ უცხოელებს და ისინი ითხოვდნენ სპეციალური პიროვნებების შერჩევას, რომელთაც, შესაბამისი მომზადების შემდეგ, აგზავნიდნენ საქართველოში.

იმ პერიოდში საქართველოსთან კავშირურთიერთობის ყველაზე კარგი საშუალება იყო საზღვაო ტრანსპორტი. ბათუმიდან სტამბოლში სისტემატურად მოძრაობდნენ იტალიური და ფრანგული გემები. ეკიპაჟის შემადგენლობაში იყვნენ კურიერები, რომელთაც გადაჰქონდათ ფოსტა ბათუმში დათქმულ კონსპირაციულ მისამართებზე.

ანტისაბჭოთა საქმიანობისათვის კავშირის ამ ფორმამ დროთა განმავლობაში ეფექტურობა დაკარგა. ამის შემდეგ საზღვარგარეთიდან საფოსტო გადაზიდვა საქართველოში ძირითადად ხორციელდებოდა საზღვართან ახლოს, დაბა ხოფაში ორგანიზებული სადაზვერვო პუნქტის მეშვეობით, დაქირავებული ლაზების დახმარებით.

1922 წლის მიწურულს, ოსმალეთში (თურქეთში) სულთანის ხელისუფლების დამხობისა და ქემალ-ფაშას გამარჯვების შემდეგ, სულთანმა გაქცევით უშველა თავს. მას მიჰყვა თურქეთში განლაგებული საოკუპაციო ჯარებიც. თურქეთის ხელისუფლებას არ მოეწონა ქვეყნის ტერიტორიაზე რუსეთის სხვადასხვა რეგიონებიდან წამოსული მრავალრიცხოვანი ემიგრანტების არსებობა და დღის წესრიგში დასვა მათი უმრავლესობის თურქეთიდან უმტკივნეულოდ, მაგრამ აუცილებლად წასვლის საკითხი.

„ახალი თურქეთის“ სპეცსამსახურებს არ მოსწონდათ მუსლიმთა შორის ქრისტიანი „გიორგი გურჯის“ ავტორიტეტის ზრდა და ის და მისი თანამოაზრე ანტისაბჭოთა საქმიანობაში კონია სულაქველიძე, რომელთაც ნ. ჟორდანიას დევნილი მთავრობის მანდატი გააჩნდათ, ჯერ ხოფიდან რიზეში გაასახლეს, ხოლო შემდეგ სთხოვეს თურქეთის ტერიტორიის დატოვება. „გიორგი გურჯიც“ იძულებული იყო ბედს დამორჩილებოდა და საფრანგეთში გამგზავრებულიყო, სადაც კვალიფიკაციის ასამაღლებლად ჩააბარა გამოცდები სამედიცინო ინსტიტუტში, რომლის დამთავრების შემდეგაც სამუშაოდ გაემგზავრა ჩრდილოეთ აფრიკაში, ქ. დაკარში. „გიორგი გურჯის“ სანაცვლოდ სტამბოლში 1925 წლის მარტში გაიგზავნა იესე კეჭაყმაძე, რომელსაც თურქეთის სპეცსამსახურებმა სრული თავისუფლება მიანიჭეს და მაქსიმალური დახმარება აღმოუჩინეს.[350] რაც შეეხება კ. სულაქველიძეს, ის 1925 წლის მარტის დასაწყისში ხოფაში გაემგზავრა, საიდანაც არალეგალურად საქართველოში გადავიდა. მისი ანტისაბჭოთა საქმიანობა საგანგებო კომისიას მხედველობის არედან არ გამორჩენია და ის მალე დაპატიმრებულ იქნა. სულაქველიძის დაპატიმრებამ ემიგრაციაში მყოფ ქართველ სოციალ-დემოკრატებს დიდი დარტყმა მიაყენა. მათი აზრით, სულაქველიძე იყო ერთ-ერთი ყველაზე უფრო აქტიური და გამორჩეული მოღვაწე კავკასიაში ფარული, იატაკქვეშა საქმიანობის პროცესში კავშირურთიერთობების დამყარების თვალსაზრისით.

2011 წელს მქონდა პატივი გავცნობოდი იოსებ ცინცაძის ძმისშვილს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს, იოსებ ცინცაძეს, რომლისთვისაც ბიძასთან დაკავშირებული ინფორმაცია სასიამოვნო მოულოდნელობა აღმოჩნდა.

ბატონ ი. ცინცაძის მამა – შალვა რაჟდენის ძე ცინცაძე, ქართველი ქიმიკოსი და აგროქიმიკოსი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სსრ კავშირის გარდა 1927-1935 წლებში მუშაობდა გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისის და აშშ-ს სამეცნიერო დაწესებულებებში. [93] სავარაუდოდ, სწორეს იოსებ ცინცაძის აქტიური ანტისაბჭოთა მოღვაწეობა და შალვა ცინცაძის საზღვარგარეთული მივლინებები გახდა 1937 წელს ამ უკანასკნელის რეპრესირების ერთ-ერთი მიზეზი.

თავი III

# ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის (1921-1924)

...ჩემი სიკვდილი გამარჯვებას მოუტანს საქართველოს...
*კოტე აფხაზი* [243]

## საბჭოთა ხელისუფლება და მისი სპეცსამსახურები ანტისაბჭოთა იატაკქვეშა ორგანიზაციების და ქართველი პატრიოტების წინააღმდეგ

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ბოლშევიკები პირველ ხანებში აცხადებდნენ, რომ საქართველოში მოხდა მხოლოდ ხელისუფლების ცვლილება – ბურჟუაზიული წყობილება შეიცვალა მუშურ-გლეხური, პროლეტარული მმართველობით და რომ საქართველო კვლავ დამოუკიდებელ ქვეყნად რჩებოდა. შემდგომმა მოვლენებმა ცხადყო, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას წერტილი დაესვა. რუსეთის სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმის დამყარებას მოჰყვა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის შემდგომი აზვირთება. „ამ დიდი საქმის შემზადებას თავისი ეტაპები ჰქონდა – მარტი ბათუმში, მაისი – თბილისში. შემდეგ მოდის თვით ბრძოლათა ეტაპები. სვანეთის აჯანყება, ოცდაორი წლის გაზაფხულიდან კახეთ-მთიულეთში აქტიური ბრძოლის დაწყება, რომელიც ივლის-აგვისტოში დიდ აჯანყებად გადაიქცა..." – აღნიშნავს თავის მოგონებებში ალექსანდრე ასათიანი.[218]

საქართველოში ამ პერიოდის (1921-1922 წწ.) აჯანყების სულისჩამდგმელები და ორგანიზატორები ეროვნულ-დემოკრატები და ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი იყვნენ. მებრძოლები წითელ სამხედრო ნაწილებს ტოლს არ უდებდნენ და ბოლშევიკურ ხელისუფლებას უამრავ პრობლემას უქმნიდნენ. აჯანყება დამარცხდა, მაგრამ მან დიდი სტიმული მისცა ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას საქართველოს სხვა რეგიონებში. დანებებას არც საზღვარგარეთ განდევნილი პოლიტიკური ძალები აპირებდნენ.

მიუხედავად საქართველოში და საზღვარგარეთ შექმნილი რთული ვითარებისა, საქართველოს დევნილმა მთავრობამ გადაწყვიტა, არ შეენელებინა პოლიტიკური აქტივობა და გაეგრძელებინა ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. პირველი, რაც მთავრობამ გააკეთა, იყო ის, რომ კარლო ჩხეიძის (თავმჯდომარე), ექვთიმე თაყაიშვილის, სიმონ (სოსიკო) მდივნის და ნოე ჟორდანიას მონაწილეობით შეიკრიბა დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი, რომელმაც გამოაცხადა მთავრობის განახლება – კოალიციური მთავრობისა და სხვადასხვა

პოლიტიკური პარტიებისგან პოლიტიკური ცენტრის შექმნა. მთავრობის შემადგენლობაში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან შეყვანილ იქნა გრიგოლ ვეშაპელი (სულ მალე ის შეცვალა საქართველოდან ჩასულმა სპირიდონ კედიამ), სოციალ-ფედერალისტებიდან იოსებ მდივანი (შემდგომში ის შეცვალა სამსონ ფირცხალავამ) და სოციალ-რევოლუციონერებისაგან – იოსებ გობეჩია. „პოლიტიკური ცენტრი – საერთო ფრონტი" ჩამოყალიბდა შემდეგი შემადგენლობით: ნოე რამიშვილი (თავმჯდომარე), იოსებ მდივანი (თავმჯდომარის მოადგილე), გრ. ვეშაპელი (მდივანი), წევრები: ევგენი გეგეჭკორი, კარლო ჩხეიძე, აკაკი ჩხენკელი, ირაკლი წერეთელი. ნოე ჟორდანია აღნიშნული კომიტეტის საქმიანობაში მონაწილეობას ღებულობდა გადამწყვეტი ხმის უფლებით, როგორც მთავრობის თავმჯდომარე.

ზემოაღნიშნული პოლიტიკური გადაწყვეტილებებით საქართველოს დევნილმა მთავრობამ მსოფლიოს პოლიტიკურ წრეებს დაანახა, რომ მათ უნარი შესწევდათ მოეხდინათ პოლიტიკური ძალების კონცენტრაცია ერთი მიზნის – საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მისაღწევად. მთავრობას ამავდროულად სურდა დაემტკიცებინა, რომ ქართველი ერი მათი და არა ბოლშევიკების მხარეზე იყო და რომ საქართველოს მოსახლეობაში სოციალ-დემოკრატთა (მენშევიკთა) ავტორიტეტი კვლავ დიდი იყო.

არსებული საზოგადებრივ-პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, პოლიტიკურ ემიგრაციაში გაჩნდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო აჯანყების ორგანიზების იდეა. ერთ-ერთი ვერსიით, ეს მოსაზრება ეკუთვნოდა ნოე რამიშვილს, რომელმაც თავისი შეხედულებები ნოე ჟორდანიასა და ევგენი გეგეჭკორს გაუზიარა და მათაც უყოყმანოდ დაუჭირეს მხარი. თავდაპირველად მოსინჯეს, თუ რამდენად დაეთანხმებოდნენ საქართველოში ამბოხების ორგანიზების იდეას დევნილი მთავრობისა და „პოლიტიკური ცენტრის" წევრები. უარყოფითი დამოკიდებულება საქართველოში აჯანყების მოწყობის თაობაზე გამოხატეს კარლო ჩხეიძემ, ირაკლი წერეთელმა, სპირიდონ კედიამ (საფრანგეთში ჩავიდა 1923 წელს) და სამსონ ფირცხალავამ. გადაწყდა, რომ აჯანყების ორგანიზება მათ გარეშე მომხდარიყო, თუმცა საქართველოში ჯერ კიდევ მრავალრიცხოვანი და ავტორიტეტული (სოციალ-დემოკრატების შემდეგ) იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რომლის მხარდაჭერის გარეშეც აჯანყება ნაკლებეფექტური ან სულაც შეუძლებელი იქნებოდა. ზემოაღნიშნულმა სამეულმა, ეროვნულ-დემოკრატთა მხარდაჭერის მისაღწევად, გადაწყვიტა მთავრობის შემადგენლობიდან გამოყვანილი, განაწყენებული გრ. ვეშაპელის გამოყენება.

კ. ჩხეიძე, სპ. კედია, ირ. წერეთელი და სხვები ხვდებოდნენ, რომ მათ ზურგს უკან საქართველოში რაღაც მზადდებოდა. სპ. კედიამ ისარგებლა ნიკო ნიკოლაძის საქართველოში დაბრუნებით და გადასცა მას ეროვნულ-დემოკრატთა იატაკქვეშა არალეგალური ცენტრალური კომიტეტისათვის განკუთვნილი სადირექტივო წერილი. წერილში მითითებული იყო, რომ არ დაეშვათ საქართველოში არანაირი აჯანყება, ვინაიდან არ არსებობდა იმედი საზღვარგარეთის ქვეყნების მხარდაჭერისა. ნ. ნიკოლაძეს წერილი (ავტორი გრ. ვეშაპელი) გადასცა ჟორდანია-რამიშვილ-გეგეჭკორის სამეულმაც. მასში აღნიშნული იყო საპირისპირო,

რომ უცხო ქვეყნები მზად იყვნენ აღმოეჩინათ დახმარება საქართველოსათვის, თუკი აჯანყება დაიწყებოდა შიგნიდან, რითაც დადასტურდებოდა ქვეყნის მოსახლეობის ნება – ლტოლვა დამოუკიდებლობისაკენ.

ორივე წერილი საქართველოში ჩასვლისთანავე ნ. ნიკოლაძემ გადასცა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის არალეგალური ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს შალვა ამირეჯიბს, რომელიც გაოცებული იყო ქართულ ემიგრაციაში აზრთა რადიკალური სხვადასხვაობით, თუმცა მხარი მაინც აჯანყების იდეას დაუჭირა.

საქართველოში და საზღვარგარეთ მოქმედი პოლიტიკური ძალები დარწმუნდნენ, რომ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში წარმატების მიღწევა შესაძლებელი იყო მხოლოდ ერთიანობით და საერთო პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობით, რაც არ აღმოჩნდა იოლი, თუმცა 1922 წლის აპრილში შესაძლებელი გახდა საქართველოში ჯერ კიდევ მოქმედი პოლიტიკური პარტიების გაერთიანება. ამ გაერთიანებულ ორგანიზაციას ეწოდა ,,საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი" (დამკომი). ის მოიხსენიებოდა ასევე, როგორც ,,პარიტეტული კომიტეტი" და ,,ინტერპარტიული კომიტეტი". ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების ტექსტი „დამკომის" თავმჯდომარემ გოგიტა ფაღავამ პარიზში ნ. ჟორდანიას გაუგზავნა 1922 წლის 5 მაისს.[91] სახელდება დამკომის შექმნის სხვა თარიღებიც: 1924 წლის აგვისტო[25] და 1922 წლის სექტემბერი.[243] დამკომმა თბილისში დააარსა სხვადასხვა კომისიები, მასში შედიოდნენ: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული, ეროვნულ-დემოკრატიული, სოციალ-ფედერალისტთა, სოციალ-რევოლუციონერთა პარტიების წარმომადგენლები და სხვიელები. 1922 წლის აგვისტოში ,,დამკომთან" შეიქმნა გაერთიანებული სამხედრო ცენტრი, რომელიც კოორდინაციას უწევდა სამხედრო ოპერაციებს. ის პასუხისმგებელი იყო სამხედრო რესურსებზე და საომარი მოქმედებების დაგეგმვაზე. მისი ხელმძღვანელები იყვნენ ჯერ ნარიკელაძე, შემდეგ კი დათა ვაჩნაძე.

აღნიშნული ორგანიზაციის სტრუქტურაში ფუნქციონირებდა კონტრდაზვერვის სამსახური. ის სამხედრო-სტრატეგიული ინფორმაციის მიღებას ცდილობდა ამიერკავკასიაში დისლოცირებული სამხედრო ნაწილებიდან, დაზვერვის სამმართველოდან, საქართველოს სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატიდან და სხვა სამოქალაქო თუ გასამხედროებული უწყებებიდან. სამხედრო კომისიამ ფუნქციონირება შეწყვიტა მას შემდეგ, რაც დააპატიმრეს გოგიტა ფაღავა, გიორგი წინამძღვრიშვილი და ნაპოლეონ კახიანი.

სხვადასხვა ტაქტიკურ, თუ სტრატეგიულ საკითხებთან დაკავშირებით, საზღვარგარეთ და საქართველოს იატაკქვეშეთში მოქმედ პოლიტიკურ პარტიებს შორის არსებული უთანხმოების მიუხედავად, ერთიანი ხელმძღვანელობით (ქ. ჩოლოყაშვილი, კ. აფხაზი) 1922 წლის აგვისტოში კახეთსა და ხევსურეთში აჯანყება მაინც მოხდა. მართალია, ის სტიქიურ ხასიათს ატარებდა, მაგრამ საქართველოს პატრიოტებმა გმირულად იბრძოლეს და რამდენიმეათასიან რუსულ სამხედრო შენაერთს ტოლი არ დაუდეს, თუმცა მაინც დამარცხდნენ.

საქართველოს საგანგებო კომისია აჯანყებასთან დაკავშირებით მეტ-ნაკლებად კარგად იყო ინფორმირებული, მიუხედავად იმისა, რომ ის ახალი შექმნილი და

შესაბამისად, პრობლემებით დატვირთული იყო. ინფორმაციის მომწოდებლები „მოხალისე პატრიოტები“ და საგანგებო კომისიის საიდუმლო პირები იყვნენ. ამასთან ერთად, აქტიურად გამოიყენებოდა მასობრივი დაპატიმრებები და მუქარით, შანტაჟითა და ფიზიკური ზემოქმედებით პატიმრებისგან ჩვენებების გამოძალვის მეთოდი.

საქართველოში ანტისაბჭოთა, იატაკქვეშა საქმიანობისა და ამბოხების ორგანიზატორთა ერთი ნაწილის დაპატიმრების შემდეგ, ქაქუცა ჩოლოყაშვილი 1922 წლის 10 თებერვალს (შალვა ამირეჯიბის მონაცემებით, ქ. ჩოლოყაშვილი ტყეში გაიხიზნა 12 მარტს[86]) თავის მომხრეებთან ერთად, იძულებული იყო, ტყეში გახიზნულიყო და იქიდან ეწარმოებინა ბრძოლა ბოლშევიკების წინააღმდეგ. საგანგებო კომისია ცდილობდა მოეპოვებია ინფორმაცია ქ. ჩოლოყაშვილისა და მისი რაზმის საქმიანობისა და სამომავლო გეგმების თაობაზე, რისთვისაც ინტენსიურად დაიწყეს ქაქუცას ახლო გარემოცვაში საიდუმლო აგენტების შეგზავნის პერსპექტივების შესწავლა. საგანგებო კომისიამ სცადა ჯერ ქ. ჩოლოყაშვილის შემორიგება, უფრო სწორად, მიტყუება. მაგალითად, 1922 წლის მაისში საგანგებო კომისია შეეცადა იატაკქვეშა სამხედრო ცენტრის წევრის გიორგი (გოგი) ხიმშიაშვილის დარწმუნებას ქაქუცას მიმართ ხელისუფლების ლოიალობაში და შესთავაზა ეკისრა შუამავლის როლი მისი შემორიგების საქმეში. საგანგებო კომისია ამ კომბინაციით იმდენად იყო დაინტერესებული, რომ გ. ხიმშიაშვილს მანქანაც კი გამოუყვეს ქაქუცასთან შესახვედრად. საგანგებო კომისიის მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი გ. ხიმშიაშვილი შეეცადა შემოთავაზებული წინადადება თავის სასარგებლოდ გამოეყენებია და ამ გზით მოხვედრილიყო ქაქუცას რაზმში. ის დაუკავშირდა ეროვნულ-დემოკრატ შალვა ამირეჯიბს და სთხოვა, თავისი ეს მოსაზრება ქ. ჩოლოყაშვილისთვის გადაეცა. შ. ამერიჯიბი და ქ. ჩოლოყაშვილი გ. ხიმშიაშვილს დათქმულ ადგილას დაელოდნენ, თუმცა მოგვიანებით გაირკვა, რომ ეს უკანასკნელი საგანგებო კომისიის მიერ დაპატიმრებული ყოფილა. 1923 წელს გ. ხიმშიაშვილი დაუხვრეტიათ. გ. ხიმშიაშვილის მაგალითი მოწმობს, რომ დიდი იყო ქ. ჩოლოყაშვილის და მისი რაზმის ავტორიტეტი აჯანყებულ ქართველ პატრიოტთა შორის და, აქედან გამომდინარე, რა რთული იყო საბჭოთა საქართველოს სპეცსამსახურისათვის შეფიცულთა შორის ფარული ოპერატიული საქმიანობის ორგანიზება.[4]

აჯანყების დამარცხების შემდეგ, საქართველოში მასობრივი რეპრესიები დაიწყო.

1922 წლის 6 სექტემბერს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საგანგებო კომისიის (ხელს აწერენ: მოგილევსკი, პანკრატოვი, ზონოვი, მახნოვსკი, კვანტალიანი, ორახველიძე, შალვა ელიავა, ლ. ბერია და ლომინაძე) დადგენილების საფუძველზე, დახვრეტილ იქნენ: ნიკოლოზ შატბერაშვილი, ნიკოლოზ გაგრენაშვილი, ლევან შაშიევი, ნიკოლოზ კაპელაშვილი, ანდრია კიკნაძე, ვარლამ მიქელაძე, ზურაბ მთიული, ბარტკემოს კასპარიანი; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ცხენოსანი დივიზიონის I ასეულის ყოფილი უფროსის ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის რაზმის წევრები: არჩილ ვაჩნაძე, ზაქარია ვაჩნაძე, ივანე ჯამასპიშვილი, იროდიონ ბოსტიაშვილი, გიორგი წიკლაური, მიხეილ ბალიაშვილი, ქარუმ მაძგარაშვილი, ალექსანდრე გელაშვილი, გიგო

ლაპიაშვილი, ალექსანდრე გომელაური, კონსტანტინე ჩოლოყაშვილი, ტრიფონ თამაზაშვილი. 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ: ალექსი მოსულიშვილს, ქრისტეფორე მოსულიშვილს, დავით შანშიაშვილს, არსენ მენთეშაშვილს, ლევან გომელაურს.[111]

სადამსჯელო ღონისძიებების გარდა საბჭოთა ხელისუფლებამ ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიების, განსაკუთრებით, სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ ფართო იდეოლოგიური საქმიანობაც გააჩაღა, ძირითადად, გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებიდან. მაგალითად, 1922 წლის 10 დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა ვრცელი სტატია სათაურით: „რას უმალავდნენ მშრომელ ხალხს საქართველოს მენშევიკები“.[112]

საბჭოთა ხელისუფლების სისასტიკის მიუხედავად, 1923 წლის იანვარში ანტისაბჭოთა საქმიანობა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ხელახლა გაჩაღდა. აჯანყებულთა მთავარ ცენტრად საქართველოს დედაქალაქში, ქალაქებში და სოფლადაც კვლავ იქცა დამკომი, რომელმაც დააარსა გაერთიანებული ორგანოები და დანიშნა დამკომის და სამხედრო ცენტრის წარმომადგენლები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ქ. ჩოლოყაშვილის ნაწილობრივ დაყოლიება და მისი რაზმის დამკომის განკარგულებაში გადასვლა. მომავალ აჯანყებასთან დაკავშირებით, საქართველოს საგანგებო კომისია საკმაოდ შემაშფოთებელ ინფორმაციას ღებულობდა. საბჭოთა ხელისუფლება თვლიდა, რომ საჭირო იყო მეტი სისასტიკე და მოსახლეობის მასობრივი დაშინება. შესაბამისი მიზეზიც მოიძებნა.

საგანგებო კომისიის არნახული განრისხება მოჰყვა 1923 წლის 10 თებერვალს ქ. ოზურგეთში ორმხრივი შეტაკების შედეგად ჩეკისტების: ს. ობოლაძის, დ. ჩუბინაშვილის და პ. სანიკიძის მკვლელობას.[113] ამ ფაქტმა უბიძგა საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებას, ანტისაბჭოთა პარტიების მომხრეთა წინააღმდეგ მორიგი ფართომასშტაბიანი რეპრესიების განხორციელებისკენ. საგანგებო კომისიამ ორი დღის (13-14 თებერვალს) განმავლობაში საგანგებო სხდომაზე იმსჯელა მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით და დაადგინა: „ქვემოთ ჩამოთვლილ პირებს, როგორც მრავალჯერ აღრიცხულებს და ბანდიტიზმისათვის, მკვლელობებისათვის, ძალადობისათვის, დაწვისათვის და ტყუილებისათვის და სხვა გასამართლებულებს, მიესაჯოთ უმაღლესი სასჯელი – დახვრეტა“. დახვრეტილთა სია მოიცავდა 92 ადამიანს, იწყებოდა ვ. სლეპიანით და მთავრდებოდა ბ. გოჩიაშვილით. სისასტიკით გამოირჩეოდა საგანგებო კომისიის მიმართვაც, რომელსაც ხელს აწერდნენ საქართველოს საგანგებო კომისიის კოლეგიის წევრები: კვანტალიანი, მიქელაძე, ბერია, პანკრატოვი, ნასარიძე და ქავთარაძე:

– „საქართველოს საგანგებო კომისია, აცხადებს რა ამას, მიმართავს მოწოდებით მშრომელ მასებს, აღმოუჩინონ მას ყოველგვარი დახმარება ბანდიტიზმის სასწრაფოდ ლიკვიდაციის საქმეში და საბოლოოდ მოიპოვონ მშვიდობიანი აღმშენებლობის შესაძლებლობა მუშათა და გლეხთა ხელისუფლების ნიადაგზე. ამავე დროს საგანგებო კომისია უკანასკნელად აფრთხილებს ყველა ბოროტმოქმედ – ბანდიტურ ელემენტს, რომ ყველა ის პირები, რომლებიც დაპატიმრებულ არიან ბანდიტიზმისა და კონტრრევოლუციისათვის, გამოცხადებულ არიან მძევლებად და ამგვარი მკვლელობის განმეორების შემთხვევაში ათობით იქნებიან დახვრეტილი“.[114]

სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრთა მიმართ განხორციელებული სასტიკი რეპრესიები დაუფარავად იქნა მოწონებული საბჭოთა საქართველოს ხელისუფლების მიერ და ის, როგორც ძალადობრივი მეთოდი, საფუძვლად დაედო მენშევიზმის „მასობრივ გახრწნას" საქართველოში: „Незадолго до начала массового разложения меньшевизма, советская власть применила высшую меру наказания над теми меньшевиками, которые принимали участие в бандитских шаиках, оперировавших тогда в Грузиии. Эта репрессия сыграла прогрессивно-революционную роль*." – მიანიშნებს ძველი ბოლშევიკი რუბენი.[66]

ბოლშევიკებმა მას შემდეგ, რაც პოლიტიკური მოწინააღმდეგეები ფიზიკურად ვერ გაანადგურეს, გადაწყვიტეს მენშევიზმის, როგორც იდეოლოგიის კომპრომეტირება, რაც მდგომარეობდა საბჭოთა პრესის მეშვეობით ქვეყნის მოსახლეობისათვის სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან, მის აქტიურ წევრებთან და პარტიის ლიდერებთან დაკავშირებული ტენდენციური და ხშირ შემთხვევაში ცრუ ინფორმაციის გავრცელებაში.

კომპრომეტირების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულნი სპეცსამსახურები, რომლებიც, ამ საკითხთან დაკავშირებით გარკვეული წესების დაცვას ცდილობდნენ. პრესაში ამა თუ იმ მასალის (ფარულად მოპოვებული მემორანდუმები, თუ გადაწყვეტილებები, პირადი მიმოწერა, ინდივიდუალური და ჯგუფური განცხადებები და სხვა) გამოქვეყნებას საქართველოს საგანგებო კომისია ორგანიზებას უწევდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს გამოწვეული იყო ანტისაბჭოთა ემიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობით. ყველა შემთხვევაში, ნებართვას ამ მასალების გამოქვეყნებაზე იძლეოდა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი. ასეთი გადაწყვეტილებების მიღებას ზოგჯერ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის წევრებიც ესწრებოდნენ.[313]

საბჭოთა გაზეთებში „კომუნისტი" და „ზარია ვოსტოკა" სისტემატურად ქვეყნდებოდა ინფორმაცია საქართველოს სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) პარტიის რიგებიდან პარტიის წევრების „ნებაყოფლობითი" გასვლის თაობაზე კონკრეტული პიროვნებებისა და ორგანიზაციების მითითებით. განსაკუთრებული გულმოდგინებით საზოგადოებას აცნობდნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყოფილი ლიდერების „მონანიების" და საბჭოთა პლატფორმაზე მათი გადასვლის შესახებ „ნებაყოფლობით" გაკეთებულ განცხადებებს. მაგალითად, გაზეთ „კომუნისტის" 1923 წლის 2 მარტის ნომერში დაიბეჭდა მოწინავე სტატია: „მენშევიკური პარტიის ცნობილი მოღვაწეების ვიქტორ (ბიქტორ) თევზაიას და პეტრე გელეიშვილის განცხადებანი". მენშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის ვ. თევზაიას მიერ 1923 წლის 28 თებერვალს ხელმოწერილი განცხადება მიმართული იყო გაზეთ „კომუნისტის" რედაქციისადმი, ხოლო დამფუძნებელი კრების ყოფილი წევრის პ. გელეიშვილის განცხადება, დათარიღებული 1923 წლის 20 თებერვლით კი – მიხა ცხაკაიასადმი. ორივე მიმართვაში დაგმობილი იყო მენშევიზმი, უარყოფილი იყო მენშევიკთა პოლიტიკური კურსი

* მენშევიზმის მასობრივი გახრწნის დაწყებამდე რამდენიმე ხნით ადრე, საბჭოთა ხელისუფლებამ გამოიყენა სასჯელის უმაღლესი ზომა იმ მენშევიკების წინააღმდეგ, რომლებიც მონაწილეობდნენ ბანდიტურ ხროვებში, რომლებიც მოქმედებდნენ საქართველოში. აღნიშნულმა რეპრესიებმა ითამაშა პროგრესულ-რევოლუციური როლი.

და დეკლარირებული იყო განმცხადებელთა გასვლა პარტიის რიგებიდან და ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან. ამავე გაზეთში მოთავსებული იყო სტატია სათაურით „რღვევის პროცესი". საბჭოთა ისტორიოგრაფია მიიჩნევს, რომ „ეს იყო ბიძგი (იგულისხმება პრესაში გელეიშვილის და თევზაიას საჯარო გამოსვლები – გ. ს.), რითაც დაიწყო მენშევიკური პარტიის თანდათანობითი დაშლა".[118]

ამ პირველი განცხადებით საბჭოთა საქართველოს ხელისუფლება იმედოვნებდა, რომ სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) პარტიის დაშლის საქმეში ვ. თევზაია, იდეოლოგიური თვალსაზრისით, ბევრს გააკეთებდა, რაც არ გამართლდა.

ცხადია, რომ ბ. თევზაიას და პ. გელეიშვილის „მონანიების" განცხადებები ჩეკისტების და მათი ფარული საქმიანობის შედეგი იყო, თუმცა გულხელდაკრეფილნი არც იატაკქვეშელები იყვნენ. 1923 წლის 24 იანვარს საქართველოს საგანგებო კომისიის აგენტმა „ჟორდანიამ", რომელსაც ვ. თევზაიაზე ფარული მეთვალყურეობა ჰქონდა დავალებული, ამ უკანასკნელისაგან მიიღო მნიშვნელოვანი მასალები, რომლებიც დროულად გადაუგზავნა ამიერკავკასიის საგანგებო კომისიას. იმ პერიოდში საბჭოთა საქართველოს საგანგებო კომისიასა და ამიერკავკასიის საგანგებო კომისიას შორის ბევრი პარალელიზმის გამო არაჯანსაღი კონკურენციის ატმოსფერო იყო შექმნილი, რაც მათ საერთო საქმეს ენებდა. უდავოდ ამის შედეგი უნდა ყოფილიყო ის, რომ უკვე 2 თებერვალს „ჟორდანიას" საცხოვრებელ ბინაში ესტუმრა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული იატაკქვეშა ცენტრალური კომიტეტის წევრი გოგიტა ფაღავა თავის ორ თანამებრძოლთან ერთად და საგანგებო კომისიის აგენტი პროვოკატორობაში დაადანაშაულა. ხანმოკლე მწვავე საუბრის შემდეგ გ. ფაღავამ „ჟორდანიას" მუცლის არეში ხანჯლით სამი ჭრილობა მიაყენა. საგანგებო კომისიამ მოახერხა აგენტის გადარჩენა და მისთვის სიცოცხლის შენარჩუნება. გ. ფაღავას მიმართ თვალყურის დევნებას საგანგებო კომისია მაინც აგრძელებდა, თუმცა მორიგი ასეთი მცდელობა ტრაგიკულად დასრულდა. იმავე წლის 10 მარტს, საგანგებო კომისიის საიდუმლო პირს ფარულ შეხვედრაზე გ. ფაღავას ნაცვლად დახვდა მისი თანამოაზრე, რომელმაც ის სიცოცხლეს გამოასალმა.[313]

სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში განსაკუთრებით „ნაყოფიერი" გამოდგა მარტის თვე. გაზეთ „კომუნისტის" 1923 წლის მარტის ნომრებში მრავლად იყო სოციალ-დემოკრატთა ინდივიდუალური, თუ ჯგუფური განცხადებები პარტიიდან გასვლასა და საბჭოთა ხელისუფლების აღიარების თაობაზე. მაგალითად, „კომუნისტი", 1923 წლის 7 მარტი – „გახრწნილი მენშევიკური პარტიის „საიდუმლოებანი" (მასწავლებლის ა. ე. ბენდელიანის მიმართვა), „რა ხდება მენშევიკურ პარტიაში";[119] 1923 წ. 15 მარტი – „გარბიან მენშევიკური პარტიიდან" (წერილები რედაქციის მიმართ)";[120] 1923 წლის 23 მარტი – „მენშევიკ მუშების და გლეხების განცხადება";[123] 1923 წლის 30 მარტი – „მენშევიკ მუშების განცხადება"[125] 1923 წლის 17 მარტი – „შრომის შვილნი ისევ უბრუნდებიან მშრომელთა რევოლუციონურ ოჯახს";[121] 1923 წ. 28 მარტი – „მენშევიკების განცხადება".[124] ანალოგიური განცხადებები გაკეთდა „კომუნისტის" 1 და 21 მარტის ნომრებში. 1925 წლის 4 მაისს გაიმართა რუსეთის კომუნისტური პარტიის

(ბ) XII ყრილობა, რომელზეც სიტყვით გამოვიდა ი. სტალინი. სხვა საკითხებთან ერთად მან ისაუბრა „ველიკორუსულ შოვინიზმზე" და „ადგილობრივ ნაციონალიზმზე", რომლებიც ხელს უშლიდნენ სხვადასხვა ერებს გაერთიანებასა და პარტიულ და სახელმწიფო მშენებლობაში (გაზეთი „კომუნისტი", 1923 წ. 5 მაისი).[127]

ხელისუფლება შეეცადა „მენშევიზმის გახრწნის" პროცესში ასევე ცნობილი მენშევიკის კაპიტონ გოგოლაძის გამოყენებას. გაზეთ „კომუნისტის" 1923 წლის 7 ივლისის ნომერში დაიბეჭდა კ. გოგოლაძის წერილი, რომელშიც დაგმობილი იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს ტაქტიკა და დასახული იყო კომუნისტებთან შერიგების გზების ძიება. თითქოსდა, ეს იყო საქართველოში დარჩენილი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ახალი პლატფორმა. თუმცა არც ამ იდეას ეწერა ასრულება. მას შემდეგ, რაც პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა კ. გოგოლაძე მკაცრად გააფრთხილა, ამ უკანასკნელმა უკან დაიხია და საბოლოოდ მარტო დარჩა.[131]

საბჭოთა პრესა მუდმივად იტყობინებოდა მშრომელი მასების მიერ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) პარტიიდან გასვლასთან დაკავშირებით კრებებისა და მიტინგების მოწყობის თაობაზე. იყო ცალკეული პირების კერძო განცხადებები გაზეთის რედაქციის მიმართ. ერთი სიტყვით, ყველაფერი კეთდებოდა იმისათვის, რომ რაც შეიძლება სწრაფად და შედეგიანად მომხდარიყო მოსახლეობის თვალში სოციალ-დემოკრატიული პარტიის და ემიგრაციაში მყოფი საქართველოს მთავრობის დისკრედიტაცია.

პრესა საქართველოს საზოგადოებას ხელისუფლების მორიგ წარმატებას ამცნობდა. 1923 წლის 13 აპრილს დააპატიმრეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სპეცსამსახურის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, კონტრდაზვერვის უფროსი ჩიქოვანი. მისი ბინის ჩხრეკისას აღმოჩენილ იქნა დაშიფრული წერილები (ინსტრუქციები). ჩიქოვანი დუმდა, კრიპტოგრაფები კი ინტენსიურად ცდილობდნენ ამოღებული დოკუმენტების წაკითხვას.[30]

საბჭოთა ხელისუფლება პოლიტიკურად არასაიმედო პირების მიმართ აქტიურად იყენებდა ქვეყნის გარეთ მათი გაძევების მეთოდს. 1923 წლის 2 მაისს საქართველოს საგანგებო კომისიის პრეზიდიუმმა (კვანტალიანი, ბერია, მიქელაძე) მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც საქართველოს ფარგლებს გარეთ გაძევებულ იქნა მენშევიკური პარტიის 78 წევრი. ამავე დადგენილებით, გაძევებულ იქნა დაშნაკთა პარტიის 7 წევრი.[128]

ხელისუფლებამ 1923 წლის გაზაფხულ-ზაფხულში, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრთა მიმართ კიდევ ერთ ძალადობრივ მეთოდს მიმართა. იმ შემთხვევაში, თუკი დაპატიმრებულები უარს იტყოდნენ პარტიის წევრობაზე და ამის თაობაზე გაზეთ „კომუნისტში" განაცხადებდნენ, რასაც ხელის მოწერით დაადასტურებდნენ, მათ თავისუფლებას „უბოძებდნენ". გადაწყვეტილებებს დაპატიმრებისა და განთავისუფლების თაობაზე ღებულობდა საქართველოს საგანგებო კომისიის პრეზიდიუმი.

1923 წლის 21 მარტს გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნდა ინფორმაცია პატიმრობაში მყოფი სოციალ-დემოკრატიული პარტიის 117 წევრის პარტიიდან გასვლის თაობაზე. იმ დღესვე ყველა გაათავისუფლეს.[122] ცოტა ადრე, იმავე წლის 10 მარტს დააპატიმრეს 148 კაცი. ისინიც მოგვიანებით გაათავისუფლეს. 1923 წლის

28 მარტს შედგენილ დაპატიმრებულთა 30 კაციან სიაში 22 სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი იყო, დანარჩენი კი უპარტიო. მოგვიანებით ყველა გაათავისუფეს. იმავე წლის 10 აპრილს დააპატიმრეს 150 კაციანი ჯგუფი. პარტიიდან გასვლის თაობაზე ხელმოწერის გაკეთების შემდეგ ისინიც გაათავისუფლეს.[126] ეს პროცესი შემდგომშიც გაგრძელდა.

საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებისა და სპეცსამსახურების ძალისხმევის შედეგად, საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ დაშლა დაიწყო, შეუძლებელი იყო შექმნილ პირობებში არსებობა. აღნიშნულის თაობაზე გაზეთი „კომუნისტი" კვლავ დიდი ენთუზიაზმით ამცნობდა მოსახლეობას. მაგალითად, „კომუნისტის" 1923 წლის 20 ივლისი – „მენშევიკური პარტის აღსასრულის წინ";[138] 1923 წლის 23 ივლისი – „ქ. გორის ყოფილი მენშევიკების კრება".[139] 1923 წლის 24 აგვისტო – „მენშევიკური პარტიის დაშლა – ყოფილი მენშევიკების შორაპნის სამაზრო კონფერენცია";[134] 1923 წლის 5 აგვისტო – „მენშევიკური პარტია აღსასრულის წინ";[132] 1923 წლის 31 აგვისტო – „საქართველოს სოციალ-დემოკრატიის თვითლიკვიდაცია";[140] 1923 წლის 1 სექტემბერი – „მენშევიკური პარტიის ლიკვიდაცია".[135]

1923 წლის აგვისტოში თბილისში ჩატარდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სრულიად საქართველოს ყრილობა, რომელსაც ესწრებოდა 200-ზე მეტი დელეგატი – პარტიიდან გასული 12 ათასამდე მენშევიკის წარმომადგენელი.[320] აღნიშნულ შეკრებაზე მოხდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის გაუქმება. ყრილობამ გააკეთა მიმართვა ნოე ჟორდანიასადმი, რათა მას ეღიარებინა საბჭოთა ხელისუფლება, პარტიის შეცდომები და შერიგებოდა კომუნისტებს. ყრილობამ მიიღო აგრეთვე მიმართვა სოციალისტური ინტერნაციონალის ბიუროსადმი. „Сопоставив поведение меньшевистского правительства в Грузии с поведением сменившего его Советского правительства, мы убедились, что первое загоняло пролетариат под ярмо буржуазии, а второе выводит его на широкую дорогу к социализму. Поэтому, и только поэтому, мы решили покинуть ряды меньшевистской партии*".[25] გაზეთი „კომუნისტი" 1923 წლის 7 და 9 ოქტომბრის ნომრებში, აქვეყნებს ინფორმაციებს „ახალგაზრდა მარქსისტების" და „დემოკრატიული პარტიის" დაშლის თაობაზე და სხვა.[136, 137]

ამავე პერიოდში, 1923 წლის თებერვლიდან, საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ და მისმა სპეცსამსახურმა ფართომასშტაბიანი „ანტისარწმუნოებრივი კამპანია" გააჩაღეს. მიღწეული შედეგების თაობაზე ინფორმაციას გაზეთი „კომუნისტი" რეგულარულად აწვდიდა მოსახლეობას. საბჭოთა ხელისუფლებას მიაჩნდა, რომ რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობა იმაში მდგომარეობდა, რომ „სამღვდელოება მარჯვენა ხელია სარწმუნოებისა..."[115]

1923 წლის 5 სექტემბერს ღამით, ნაძალადევში გამართულ თბილისის სოციალ-დემოკრატების (მენშევიკების) არალეგალურ საერთო-საქალაქო კონფერენციაზე გადაწყდა, რომ გაგრძელებულიყო პარტიის წევრთა არალეგალური საქმიანობა.

---

* მენშევიკური მთავრობისა და მისი შემცვლელი საბჭოთა ხელისუფლების ქმედებების შედარების შედეგად ჩვენ დავრწმუნდით, რომ პირველი პროლეტარიატს ბურჟუაზიის უღელქვეშ ერეკებოდა, ხოლო მეორეს გამოჰყავს ის სოციალიზმის ფართო გზაზე. აი, ამიტომ და მხოლოდ ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ მენშევიკური პარტიის რიგების დატოვება.

საბჭოთა ხელისუფლების რეპრესიებს ვერც საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და მისი წევრები გადაურჩნენ. 1922 წლის 12 თებერვალს დააპატიმრეს პარტიის თავმჯდომარე 1917 წლიდან სპირიდონ კედია. 1923 წელს სპ. კედია ექვს-ექვსი თვე ჯერ მეტეხის, ხოლო შემდეგ საგუბერნიო ციხეში ყოფნის შემდეგ განთავისუფლებულ იქნა იმ პირობით, რომ პარტიულ საქმიანობას საქართველოში აღარ გააგრძელებდა და საზღვარგარეთ – ემიგრაციაში წავიდოდა. სპ. კედია იძულებული იყო, ჩეკისტების წინადადებას დათანხმებოდა და უცხოეთში გადახვეწილიყო. მის საზღვარგარეთის პასპორტში ასეთი ჩანაწერი გაკეთდა: „გთხოვთ მთავრობის წარმომადგენელთ, რომელთაც დავალებული აქვს წესიერების დაცვა, თავისუფალი გზა მისცენ ბატონ სპირიდონ კედიას (მეუღლითურთ) საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს, რომელიც სცხოვრობს საქართველოში და მიემგზავრება უცხოეთს".[344] საქართველოში დარჩა მისი მეუღლე – სოფიო ჩიჯავაძე და ორი წლის ქალიშვილი თეო. მხოლოდ 1928 წელს, როგორც იქნა მოხერხდა (მოსკოვის გავლით) სპ. კედიას ცოლ-შვილის გამგზავრება საფრანგეთში.[89]

საქართველოში დატრიალებული სასტიკი რეპრესიების მიუხედავად, ვითარება საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ არ იცვლებოდა. ხელისუფლება ხვდებოდა, რომ ანტიკომუნისტური და პატრიოტული ძალები ასე ადვილად არ დათმობდნენ და აქტიური კონტრრევოლუციონისძიებების გატარებაზე გადავიდნენ. ბოლშევიკური მოწოდებებით შეთამამებული ჩეკისტები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, რათა არ დაეშვათ აჯანყება საქართველოში. ამისათვის ისინი ძალადობის უმკაცრეს მეთოდებს იყენებდნენ „...Грузинская ЧК работала прекрасно, что, в общем, мы знали очень много о том, что делается у меньшевиков и у всей контр-революции. Грузинская ЧК арестовывала одного за другим меньшевикских организаторов. Она знала, что восстание назначается со дня на день, но разбить всю организацию она всё же не смогла*".[40]

ჩეკისტების „კარგ მუშაობაზე" მიუთითებს ქ-ნი ს. ჩიჯავაძე-კედია მეუღლის, სპ. კედიას მონათხრობზე დაყრდნობით: „მე რომ საქართველოდან მოვდიოდი, ერთმა ცნობილმა სოციალ-დემოკრატმა გ. გიორგაძემ მინახულა და დამავალა: „გადაეცით იქ, რომ ემიგრაციამ თავი დაგვანებოს, რამდენჯერაც მთავრობა იმედიან წერილს გვიგზავნის: „არასოდეს ჩვენი საქმე ისე კარგად არ ყოფილა, როგორც ეხლაო", ამას მოსდევს ხალხის დაჭერა და ციხე. გარდა ამისა, იცოდნენ, რომ რასაც იქ სამი კაცი, ნოე ჟორდანია, ნოე რამიშვილი და ევგენი გეგეჭკორი გადასწყვეტდნენ, მეორე დღესვე აქ ჩეკამ იცის, არ ვიცი რა ვიფიქროვო"!!! ეს მართლა ასე იყო, ყოველ ჟორდანიას მოწერილ წერილს საქართველოში დიდი რეპრესიები მოსდევდა, ამიტომ ემიგრაციას აღარ ენდობოდნენ ქართველები, „ემიგრაციამ გაგვანებოს თავი"-ო, ბევრჯერ გამიგონია".[89]

კავკასიის ხალხები და მათ შორის უპირველესად საქართველო, საბჭოთა ხელისუფლებას რომ არ ურიგდებოდნენ და მასობრივი აჯანყებისათვის

* საქართველოს საგანგებო კომისია მუშაობდა შესანიშნავად, მთლიანობაში ჩვენ ვიცოდით ბევრი რამ იმის თაობაზე, თუ რა ხდებოდა მენშევიკებთან და მთელ კონტრრევოლუციაში. საქართველოს საგანგებო კომისია ერთი ერთმანეთის მიყოლებით აპატიმრებდა მენშევიკურ ორგანიზატორებს. მან იცოდა, რომ ამბოხება ინიშნებოდა დღე-დღეზე, თუმცა მთელი ორგანიზაციის განადგურება მან მაინც ვერ შეძლო.

ემზადებოდნენ, საბჭოთა მთავრობისათვის იმთავითვე ცნობილი იყო. ხელისუფლებას ეშინოდა საქართველოში ფართომასშტაბიანი ამბოხების დაწყებისა და ცდილობდა ნ. ჟორდანიასთვის ხმის მიწვდენას, რათა ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას უარი ეთქვა საქართველოში ანტისაბჭოთა საქმიანობაზე და ამით თავიდან ყოფილიყო აცილებული სისხლისღვრა.

მას შემდეგ, რაც საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარეობიდან გაათავისუფლეს კოტე ცინცაძე (სიმონ ტერ–პეტროსიანის (კამოს) სიძე), მის ადგილზე დაინიშნა კოლია ოკუჯავა, რომელმაც თავის გიმნაზიელ მეგობარს, ჰიტლერული გერმანიის მომავალ გენერალს – შალვა მაღლაკელიძეს, რომელიც ციხიდან განთავისუფლების შემდეგ პრაღაში მიემგზავრებოდა, სთხოვა, თავისი არხებით, ხმა მიეწვდინა ნოე ჟორდანიასთვის, რათა ამ უკანასკნელს ხელი აეღო საქართველოში ამბოხების მოწყობისგან. იყო ნოე ჟორდანიასთან და მის თანამებრძოლებთან კონტაქტების დამყარების სხვა მცდელობებიც. ნ. ჟორდანია შუამავლის, სსრკ „სახბანკის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილის და სტალინის ცოლისძმის ალექსანდრე სვანიძის მეშვეობით გააფრთხილა თვით ი. სტალინმაც.[5]

როგორც ჩანს, ალექსანდრე სვანიძეს საბჭოთა ხელისუფლებისაგან და პირადად სტალინისაგან სხვა (კონფიდენციალური) დავალებაც ჰქონდა მიღებული. ამის თაობაზე აკ. ჩხენკელი 1924 წლის 19 ივლისით დათარიღებული წერილით მიმართავს ნოე ჟორდანიას:

„...ის (ახმეტელი – გ. ს.) მწერს – ბერლინში ჩამოვიდა სვანიძე მოსკოვიდან, ყოფილი კომისარი ჩვენში, სტალინის ცოლისძმა. მას ორჯერ უნახავს ახმეტელი და მისთვის გადაუცია საიდუმლოთ შემდეგი: სტალინთან ლაპარაკისაგან გაირკვა, რომ ბოლშევიკები საქართველოს საკითხში დათმობენ, თუ მაკდონალდი მტკიცედ მოითხოვს ამასო. მისივე სიტყვით, სესხის საკითხი მათთვის არსებობის საკითხია და მისი შედეგებისათვის ყველაფერზე წავლენო. დღეს საქართველოს საკითხში ისეთ შეურიგებლობას არ იჩენენ, როგორც წინეთ, ოღონდ თუ მას მაკდონალდი, მეორე ინტერნაციონალი ან სხვა დიდი ძალა წამოაყენებს. თვითონ საქართველოს წარმომადგენელს ლაპარაკს არ დაუწყებენო. აქ საყურადღებოა ის, რომ სტალინის მისვლა ახმეტელთან და ასეთი ცნობის მიცემა, ეს გავს არაოფიციალურად შემოთვლას. რა მიზნით! ან თავის საქმეს იკეთებენ ჩვენთან მომავლისათვის, ან გვაფრთხილებენ და გზას გვიჩვენებენ, ანდა ეს საკითხი ყელზე ადგიათ და სურთ, იქიდან წმინდათ გამოვიდნენ. სვანიძის აზრით, დღევანდელი მართველები არარუსებია, არ სურთ ველიკორუსული პოლიტიკა აწარმოვონ, მარა ეშინიათ გავლენის დაკარგვის და საჭიროებენ მაგარ მოპირდაპირეს დათმობის საკითხში ველიკორუსების წინაშე თავის გასამართლებლათო. ერთი ცხადია, მაკდონალდზე არ დაიწყებდნენ ლაპარაკს მოსკოვში, რომ მართლაც ამ საგანზე სადმე ლაპარაკი არ იყოს. ეს სვანიძის მოტანილი ამბავი და მაკდონალდის ნათქვამი: თქვენი საქმე არც ისე ცუდად არისო – ერთმანეთს ეთანხმება. სამწუხაროა, ჩვენ კი არ ვართ საქმის კურსში. შეიძლება მივიღოთ რაიმე ზომა გასაგებათ, რადგან ბოლდვინი ამოურჩევია თვით მაკდონალდს შუაკაცათ, შეიძლება მისი საშუალებით რაიმე გავიგოთ! ყოველ შემთხვევაში ბადე გადავისროლოთ იმით, რომ ეს სვანიძის ცნობა ვამცნოთ მაკდონალდს. იმავე ბოლდვინის საშუალებით

მისწერე შენ სუმბათაშვილს გადასაცემათ დაახლოებით ასეთი ვერსია: მოსკოვიდან ჩამოვიდა ამ დღეებში ცნობილი ბოლშევიკი და ჩვენ წარმომადგენელს ახმეტელს საიდუმლოთ გადასცა პირადად, რომ მოსკოვი თანახმაა საქართველოს საკითხში დათმონ, თუ ამას მაკდონალდი მაგრათ მოითხოვსო..."[174]

ძნელია დაიჯერო საქართველოსთან დაკავშირებით სტალინის და მისი პირადი წარმომადგენლის გულწრფელობა, ვინაიდან ბოლშევიკები არაფრის დათმობას, მით უმეტეს, ძალით გასაბჭოების შემდეგ, არ აპირებდნენ. ეს ვფიქრობთ, საქართველოში აჯანყების მზადების წინ და ამ პროცესში ევროპის წამყვანი ქვეყნების, განსაკუთრებით ინგლისის როლის შესუსტებაზე იყო გათვლილი.

საქართველოს საგანგებო კომისიას მუდმივად სჭირდებოდა აჯანყებულებთან, იატაკქვეშა ანტისაბჭოთა ორგანიზაციების საქმიანობასთან და შეიარაღებულ რაზმებთან დაკავშირებული ინფორმაცია, რათა გაეტარებინა შესაბამისი აღმკვეთი ღონისძიებები. მთელი ეს პროცესი განიხილებოდა, როგორც ბრძოლა საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართული „მტრული ხასიათის სხვადასხვაგვარი საქმიანობის" გამოსაელენად და გასანეიტრალებლად.

ჩეკისტები ცალკეულ პირებთან, ძირითადად, შანტაჟისა და მუქარის საფუძველზე, რიგ შემთხვევაში იდეური მოსაზრებებიდანაც გამომდინარე, ამყარებდნენ ფარულ ურთიერთობებს და ამ გზით იღებდნენ სასურველ ინფორმაციას.

საგანგებო კომისიას ფარული აგენტები ჰყავდა საზოგადოების სხვადასხვა ფენაში, ინტელიგენციაში, ორგანიზაცია-დაწესებულებებში, თვით ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმშიც კი.

წარმატებული აღმოჩნდა ჩეკისტებისათვის ფარული თანამშრომლობა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სტუდენტთა კომიტეტის წევრთან კალე მისაბიშვილთან. კ. მისაბიშვილი საგანგებო კომისიის მიერ დაპატიმრებულ, ხოლო 1923 წლის დასაწყისში გათავისუფლებულ იქნა ციხიდან. ის, როგორც აქტიური პარტიული მუშაკი, იმთავითვე ჩართეს არალეგალურ საქმიანობაში, თუმცა მის მიმართ უნდობლობა სამხედრო კომისიაში უკვე გაჩენილი იყო. იმავე წლის თებერვალში დააპატიმრეს პარიტეტული კომიტეტის წევრი მიხ. ჯავახიშვილი და დუშეთის აჯანყების ყველა მონაწილე. ამ საქმეშიც კ. მისაბიშვილის ხელი ერია. ქართველ იატაკქვეშელებს კ. მისაბიშვილის მიმართ ეჭვი უკვე აღარ ეპარებოდათ, თუმცა გადამჭრელი ზომების მიღებას არ ჩქარობდნენ. მას შემდეგ, რაც საგანგებო კომისიამ დააპატიმრა კოტე აფხაზი, ვარდენ წულუკიძე და სხვა შეთქმულები, აშკარა გახდა, რომ პარიტეტულ კომიტეტზე და მის ფარულ გეგმებზე საგანგებო კომისიას ინფორმაციას სწორედ კ. მისაბიშვილი აწვდიდა. საიდუმლო თათბირზე, რომელსაც ესწრებოდნენ იასონ ჯავახიშვილი, გიორგი წინამძღვრიშვილი, პატარიძე, ნიკო კეცხოველი და კიდევ ერთი პიროვნება, გადაწყდა მისაბიშვილის ფიზიკური განადგურება. კ. მისაბიშვილმა იას. ჯავახიშვილის და გ. წინამძღვრიშვილის წინაშე აღიარა, რომ პატიმრობაში მყოფი იძულებული იყო ეკისრა საგანგებო კომისიასთან საიდუმლო თანამშრომლობის ვალდებულება იმ მოტივით, რომ თითქოსდა ის ნაწილობრივ დადგა საბჭოთა პლატფორმაზე, თუმცა მოგვიანებით მისგან მოითხოვეს ინფორმაცია პარიტეტულ კომიტეტში მიმდინარე პროცესებზე. კ. მისაბიშვილმა აღიარა, რომ საგანგებო კომისიის

ხრიკებს ის დათანხმდა შიშის გამო. კედელთან მიმწყვდეული სასონარკვეთილი კ. მისაბიშვილი ჩადენილი დანაშაულის გამოსყიდვას ითხოვდა: „Сейчас конечно я в ЧК больше идти не могу: давайте будем скрываться. Дайте мне денег, чтобы отослать куда либо свою жену, дайте мне револьвер и какие угодно задачи, совершить экспроприяцию, я это исполню*“.[313] კალე მისაბიშვილი რომ ბოლშევიკების ნებას დაჰყვა და მოღალატური ქმედება ჩაიდინა, ამის თაობაზე ეროვნულ-დემოკრატი სევერიან ჭირაქაძე 1929 წლის 10 თებერვლით დათარიღებული წერილით პარტიის თავმჯდომარეს სპ. კედიას ატყობინებდა.[44]

1923 წლის აპრილში ეროვნულ-დემოკრატთა სამხედრო კომისიაში გადაწყდა შექმნილიყო სპეციალური რაზმი, რომელიც, იმ შემთხვევაში, თუკი პატიმრობაში მყოფ კ. აფხაზსა და სხვა პატრიოტებს სიკვდილს მიუსჯიდნენ, ორგანიზებას გაუწევდა მათ განთავისუფლებას. მაისისთვის სპეცრაზმი როტმისტრ ვ. ყარანგოზაშვილის მეთაურობით უკვე მზად იყო, თუმცა სპეცსამსახურებს არც მისი არსებობა გამოპარვიათ და ინტენსიურად იწყეს თბილისში ამ რაზმის წევრების ძებნა. ამ შემთხვევაში „წარმატებული“ აღმოჩნდა საგანგებო კომისიის ფარული ურთიერთობები ვ. ყარანგოზაშვილის რაზმის წევრთან შ. კანდელაკთან. ეს უკანასკნელი ფარულ საქმიანობას აგრძელებდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმშიც. მისი აქტიურობის შედეგად ბევრი პიროვნება იქნა დაპატიმრებული და დახვრეტილი. საგანგებო კომისიის ინფორმაციაზე დაყრდნობით, ჩაუსაფრდნენ ვ. ყარანგოზაშვილს, რომელიც ჩეკისტებთან შეტაკებას შეეწირა.[27]

ვ. ყარანგოზაშვილთან არის დაკავშირებული საგანგებო კომისიის კიდევ ერთი წარმატებული ღონისძიება. როტმისტრი, ქართველი ამბოხებულების სახელით, 1923 წლის გაზაფხულზე მოლაპარაკებას აწარმოებდა ჩეჩენ პატრიოტებთან, რომლებიც მზად იყვნენ მონაწილეობა მიეღოთ ერთიან კავკასიურ აჯანყებაში. ამ შემთხვევაში პრობლემა მხოლოდ ფინანსები იყო. ეს საკითხიც მალე მოგვარდა, თუმცა საგანგებო კომისიის ხრიკებმა ამჯერადაც გაჭრა და ჩეჩნებისაგან მხარდაჭერა ქართველებმა ვეღარ მიიღეს. საქმე ის იყო, რომ ივნისის თვეში აჯანყებულებმა ნ. ჟორდანიასაგან მიიღეს მორიგი სადირექტივო წერილი, რომელშიც ქართველ სოციალ-დემოკრატთა ლიდერი ამბოხების ორგანიზებაში ჩეჩენთა განსაკუთრებულ როლზე მიუთითებდა. წერილი ჩეკისტების ხელში მოხვდა. ჩეკისტებმა ჩეჩნებს წერილში ასახული ინფორმაცია იმგვარად მიაწოდეს, რომ, თითქოსდა, აჯანყებაში ქართველებს მათი გამოყენება სურდათ. ისინი წამოეგნენ „ჩეკას“ ამ მორიგ პროვოკაციაზე, ქართველებზე განაწყენდნენ და საერთო-სახალხო მოძრაობას განერიდნენ. ქართველებისა და ჩეჩნების გათიშვას ასევე ხელი შეუწყო ჩეჩენთა ლიდერის ალი მიტოევის დაპატიმრებამ.

საგანგებო კომისიის აქტიური საქმიანობის შედეგად 1923 წლის თებერვალში დაპატიმრებულ, ხოლო საგანგებო კომისიის 1923 წლის 19 მაისის კოლეგიის სხდომის გადაწყვეტილებით დახვრეტილ იქნენ: გენერლები კონსტანტინე (კოტე) აფხაზი, ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, ვარდენ წულუკიძე; პოლკოვნიკები: როსტომ მუსხელიშვილი, გიორგი (გოგი) ხიმშიაშვილი, ელიზბარ გულისაშვი-

* ეხლა მე, რა თქმა უნდა, საგანგებო კომისიაში ვეღარ ვნავალ: მოდით, მივიმალოთ. მომეცით ფული, რათა ჩემი მეუღლე სადმე გავხიზნო. მომეცით რეოლვერი და რანაირიც გინდა დავალება, ეკსპროპრიაციის მონყობა, მე ამას შევასრულებ.

ლი, ალ. მაჭავარიანი, დიმ. ჩრდილელი; როტმისტრები: სიმონ მუხრან-ბატონიშვილი და ფ. ყარალაშვილი; ლეიტენანტი ლ. კლიმიაშვილი, აგრეთვე მ. ზანდუკელი, ი. კერესელიძე, ს. ჭიაბრიშვილი და ივ. ქუთათელაძე.[27]

თბილისში, ვაკის პარკის მიმდებარედ, ქართველთა დახვრეტის წინ, კოტე აფხაზს შემდეგი სიტყვები წარმოუთქვამს: „მე ვკვდები სიხარულით, რადგან ღირსი გავხდი საქართველოს სამსხვერპლოზე ზვარაკად მიტანისა. ჩემი სიკვდილი გამარჯვებას მოუტანს საქართველოს".[28]

მიუხედავად ამ მძიმე დანაკლისისა და დიდი მწუხარებისა, აჯანყებისათვის მზადება მაინც გაგრძელდა. ამის თაობაზე ინტენსიურად იტყობინებოდნენ საგანგებო კომისიის აგენტებიც. ინფორმაცია მოდიოდა საბჭოთა საგარეო დაზვერვის პარიზის, სტამბოლის და ბერლინის რეზიდენტურებიდან.

საქართველოს სპეცსამსახურები ინტენსიურად ეძებდნენ მომავალი, უფრო ფართომასშტაბიანი აჯანყების ორგანიზატორებსა და სულისჩამდგმელებს, რომლებიც, მათივე ინფორმაციით, უკვე საქართველოში იმყოფებოდნენ. ამ ძალისხმევის შედეგად, 1923 წლის 9 ნოემბერს (სხვა მონაცემებით 8 ნოემბერს) დაპატიმრებული იქნა სამხედრო ორგანიზაციის ხელმძღვანელი, მენშევიკთა ცენტრალური კომიტეტის წევრი, დემოკრატიული საქართველოს მიწათმოქმედების ყოფილი მინისტრი, საქართველოში აჯანყების ორგანიზატორი ნოე ხომერიკი. ხანგრძლივი მცდელობის შედეგად, ჩეკისტებმა ამოიკითხეს დაშიფრული წერილები, რომლებიც ამოღებულ იქნა დაკავებულის ჩხრეკისას.

იმ დროის განსაკუთრებით წარმატებულ სპეცღონისძიებად ითვლება საქართველოს სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) პარტიის იატაკქვეშა ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის სეით დევდარიანის დაპატიმრება, რომელიც განხორციელდა 1923 წლის 18 ნოემბერს და მის მიმართ გატარებული ოპერატიული ღონისძიებები. „Говорю издали Ною Жордание – вернись, тебя завет рабочий класс приобщенный тобой к сознательной жизни и к борьбе за социализм. Говорю заключённым, высланным, ушедшим в горы, всем до кого только может дойти мой слабый голос, идите, отдайте свои способности, энергию той огромной работе, которая возможна на почве советской системы и верьте в будущее Грузии"* – ეს არის ნაწყვეტი სეით დევდარიანის მიერ ხუთ ნაბეჭდ ფურცელზე შესრულებული მოხსენებიდან („Что делать – заключённое слово**"), რომელიც, ეჭვს არ უნდა იწვევდეს, მთლიანად საგანგებო კომისიის ინიციატივით იქნა მომზადებული. ამის დასტურია ზემოაღნიშნულ დოკუმენტზე ლავრენტი ბერიას რეზოლუცია: „На доклад ЦК КПГ***". აქედან გამომდინარე, ს. დევდარიანი გახდა მენშევიკების „გახრწნის" ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი: „...Во главе этого движения стоял Девдариани – Сан. Он убедился в том,

---

* მივმართავ ნოეს შორიდან – დაბრუნდი, შენ გეძახის მშრომელი კლასი, რომელიც შენ შეგნებულ ცხოვრებასა და სოციალიზმისთვის ბრძოლას აზიარე. მივმართავ დაპატიმრებულებს, გაძევებულებს, მთებში გახიზნულებს, მათ ვისთვისაც კი შესაძლებელია ჩემი ხმის მიწვდენა, მოდით, მიუძღვენით თქვენი უნარი, ენერგია იმ დიდ საქმეს, რომელიც საბჭოთა სისტემის საფუძველშია და გჯეროდეთ საქართველოს მომავლის.

** რა გავაკეთოთ – შემაჯამებელი სიტყვა

*** საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს მოხსენებისთვის

что заграничные меньшевики фактически вели авантуристическую линию. Уже в 1923 году он не был согласен с курсом на вооруженное восстание. Сейчас Сан ведет довольно большую работу среди бывших меньшевиков...“*.[311]

საბჭოთა ხელისუფლებამ თავის მიზანს მაინც მიაღწია და საქართველოში დარჩენილი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები სრულ დაშლამდე მიიყვანა: „В течение 1923 г. из меншевистской партии Грузии ушло около 17 тысяч рабочих и крестян. На стороне бывшего ЦК меньшевиков осталось примерно 2 тысяч человек, главным образом выходцев из дворянских и буржуазных кругов**“[25]

როგორც საზღვარგარეთ, ისე ქვეყნის შიგნით, სოციალ-დემოკრატიული პარტიის და ზოგადად ანტისაბჭოთა ქართული ემიგრაციის მიმართ გატარებული ღონისძიებების თაობაზე საქართველოს საგანგებო კომისია ყოველკვირეულ ანგარიშს.ამზადებდა და აწვდიდა ზემდგომ პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებს. ქაქუცა ჩოლოყაშვილთან და მის რაზმთან დაკავშირებით საინტერესო ინფორმაციაა დაფიქსირებული საქართველოს საგანგებო კომისიის სრულიად საიდუმლო გრიფის 1924 წლის 14 იანვრის შეტყობინებაში:

„Из политбанд попрежнему выделяется банда Челокаева. Но в последнее время в ней наблюдаются все признаки разложения и деморализации. Активно она уже не выступает и лишь скрывается от преследования. Члены её весьма нуждаются в обмундировании. Из общего числа 38 активных бандитов, за последние 5 месяцев выбыло 52% убытками, арестованными и примирёнными. На 1 января в банде остаётся 14 человек. На положении банды отразилась потеря поддержки со стороны оперированных в районе её действия мелких полу-уголовных, полу-политических банд, которые ЧК ликвидировала. ЗАМ. ПРЕДЧЕКА Л. БЕРИА*** .[316]

საქართველოს საგანგებო კომისიას და ამიერკავკასიის საგანგებო კომისიას შორის დაპირისპირებამ კიდევ ერთხელ იჩინა თავი გოგიტა ფაღავას მიმართ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების გატარების საბოლოო სტადიაზე. აზერბაიჯანის საგანგებო კომისიიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენდა გოგიტა ფაღავას ლოკალიზება-დაპატიმრება. ოპერატიული დამუშავების საქმე მიჰყავდა ამიერკავკასიის საგანგებო კომისიას, რომელსაც საამისოდ მცირე რესურსები გააჩნდა, არადა გაცილებით

---

* ამ მოძრაობის სათავეში იდგა სეით დევდარიანი. ის დარწმუნდა, რომ საზღვარგარეთ მყოფი მენშევიკები პრაქტიკულად ატარებდნენ ავანტურისტულ ხაზს. უკვე 1923 წელს ის არ იყო შეიარაღებული აჯანყების მომხრე. ამჟამად სეითი აწარმოებს საკმაოდ დიდ სამუშაოს ყოფილ მენშევიკთა შორის.

** 1923 წლის მანძილზე საქართველოს მენშევიკური პარტიის რიგებიდან გავიდა დაახლოებით 17 ათასი მუშა და გლეხი. ყოფილი მენშევიკების ცენტრალური კომიტეტის მხარეს დარჩა დაახლოებით 2 ათასი ადამიანი, ძირითადად ბურჟუაზიული და თავადაზნაური წრის წარმომადგენლები.

*** პოლიტიკური ბანდებიდან კელავ ანგარიშგასაწევია ჩელოკაევის ბანდა. თუმცა ბოლო დროს მასში შეიმჩნევა გახრწნის და დემორალიზაციის ნიშნები. ის აქტიურად უკვე ვეღარ გამოდის და მხოლოდ ემალება დევნას. მისი წევრები ძალზე საჭიროებენ ჩაცმულობას. 38 აქტიური ბანდიტიდან, უკანასკნელი 5 თვის მანძილზე დანაკლისმა დაჰატმრებულების, შემორგებულების და გარდაცვლილების თვალსაზრისით 52% შეადგინა. 1 იანვრისთვის ბანდაში რჩება 14 ადამიანი. ბანდის მდგომარეობაზე გავლენა იქონია მხარდაჭერის დაკარგვამ რეგიონში მოქმედი წვრილი, ნახევრად კრიმინალური, ნახევრად პოლიტიზირებული ბანდებისგან, რომელთა ლიკვიდაციაც მოახერხა საგანგებო კომისიამ. საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ლ. ბერია.

ეფექტურად შეეძლო ემოქმედა საქართველოს საგანგებო კომისიას. 1924 წლის 8 თებერვალს ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის თანამშრომლები ზალპატერი და ურუშაძე სახლში ესტუმრნენ კომუნისტ დავით კილაძეს, რომელიც სამსახურებრივად მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოს საგანგებო კომისიასთან და გადასცეს ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოგილევსკის წინადადება – სათავეში ჩადგომოდა გ. ფაღავას დაკავების ოპერაციას. დ. კილაძემ პირად საუბარში მოგილევსკის განუცხადა, რომ ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის აპარატს არ შესწევდა უნარი მსგავსი ოპერატიული ღონისძიებების ჩატარებისა და შესთავაზა მას, ეს საქმე გადაეცათ საქართველოს საგანგებო კომისიისათვის, რაზეც უარი მიიღო. 8 თებერვალს გ. ფაღავას დაკავების ოპერაცია ვერ განხორციელდა, თუმცა, დ. კილაძის გონებამახვილური გადაწყვეტილებების შედეგად, მისი ჩავარდნა თავიდან იქნა აცილებული. 9 თუ 10 თებერვალს ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის გარე მეთვალყურეობის სამსახურმა მხედველობის არედან დაკარგა აზერბაიჯანიდან სპეციალურად ამ საქმისთვის მოვლენილი ინფორმატორი. ეს უკვე მეტისმეტი იყო და ამიერკავკასიის საგანგებო კომისია იძულებული იყო, გ. ფაღავას ოპერატიული დამუშავების საქმე საქართველოს საგანგებო კომისიისათვის გადაეცა. შედეგმაც არ დააყოვნა.[316]

საგანგებო კომისიის ძალისხმევის შედეგად, 1924 წლის 24 იანვარს (ს. ზალდასტანიშვილისა და გ. წერეთლის მონაცემებით, „აგვისტოს აჯანყების ზოგიერთ საკითხზე", ჟურნალი „გუშაგი"[219]), დააპატიმრეს გოგიტა ფაღავა. 1924 წლის 22 თებერვლის საგანგებო კომისიის N 14 ანგარიშის თანახმად, გ. ფაღავა დაპატიმრებული ყოფილა 1924 წლის 15 თებერვალს, ხოლო 18 თებერვალს „ნახალოვკის" დასახლებაში ამოღებული ყოფილა იატაკქვეშა სტამბა.[316]

გ. ფაღავას დაპატიმრებით კავშირი აზერბაიჯანის იატაკქვეშა ანტისაბჭოთა მოძრაობასთან პრაქტიკულად გაწყდა და საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბაქოს კომიტეტმა არსებობა შეწყვიტა. იმავე წლის 28 იანვარს დააპატიმრეს გიორგი წინამძღვრიშვილი. მისი დაპატიმრება მოხდა ჩეკისტების მიერ წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით. გ. წინამძღვრიშვილი ამზადებდა იარაღის პარტიას ქ. ჩოლოყაშვილთან გასაგზავნად. მასთან ამ მიზნით მისული ორი პიროვნებიდან ერთ-ერთი საგანგებო კომისიის ფარული თანამშრომელი იყო. დაპატიმრება განახორციელა შემთხვევის ადგილზე ჩასაფრებულმა საგანგებო კომისიის თანამშრომელმა ეჯიბიამ. მოგვიანებით დაპატიმრებულ იქნენ აჯანყების მონაწილენი ლ. ბელთაძე და ნ. კახიანი.

საგანგებო კომისია აქტიურად იყენებდა პატიმრობაში მყოფი პირების იდეური დამუშავებისა და მათი მეშვეობით აჯანყების მზადებაში მონაწილე პირებზე და ხელმძღვანელებზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების მეთოდებსაც. ასე გამზადდა საგანგებო კომისიის ჯურღმულებში მყოფი გიორგი წინამძღვრიშვილის წერილი აჯანყებულებისადმი, რომელშიც ის ითხოვდა ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების დაწყებას გარკვეული პირობებით: მენშევიკურ პარტიას უარი უნდა ეთქვა აჯანყებაზე, ყველა შეიარაღებული რაზმი დაშლილიყო და ქაქუცა ჩოლოყაშვილი ყველა ორგანიზატორთან ერთად საზღვარგარეთ წასულიყო. არც ამ „მიმართვაზე" მოუხდენიათ აჯანყების ორგანიზატორებს რეაგირება.

სოლომონ ზალდასტანიშვილი იგონებს: „კრებაზე (იგულისხმება 1924 წლის ივნისი – გ. ს.) განვიხილეთ „ჩეკადან“ გამოგზავნილი გიორგი წინამძღვრიშვილის წერილი, რომელიც ნებას თხოულობდა, „ჩეკასთან“ მოლაპარაკება დაეწყო შემდეგ პირობებში: აჯანყებაზე პარტიას უარი ეთქვა, სამოქმედოდ გამზადებული რაზმები დაგვეშალა და ყველა პასუხისმგებელი პირი და ქაქუცა ჩოლოყაშვილი თავისი რაზმით საზღვარგარეთ გავსულიყავით. ეს წინადადება მართლაც რომ გ. წინამძღვრიშვილისაგან ყოფილიყო და არა „ჩეკას“ ხრიკები, მაინც მხარს არავინ დაუჭერდა. თვითონ გ. წინამძღვრიშვილს კი ვაცნობეთ, რომ პირადად ის თავისუფალია, რა პირობებითაც და რა საშუალებითაც სურს, ისე დააღწიოს თავი „ჩეკას“.[27]

### 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დამარცხება და საბჭოთა სპეცსამსახურების სისასტიკე

იმ პერიოდში მიღებული ინფორმაციების შეჯერებისა და ანალიზის შედეგად ამიერკავკასიის საგანგებო კომისია საბოლოოდ დარწმუნდა, რომ სტამბოლში მიმდინარეობდა ანტისაბჭოთა პარტიებისა და ორგანიზაციების აქტიური მომზადება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ახალი ამბოხებისათვის, რომელიც იგეგმებოდა უცხო ქვეყნების მფარველობით.

მიუხედავად მნიშვნელოვანი დანაკლისისა, საქართველოში აჯანყებისათვის მზადება ინტენსიურად გრძელდებოდა. თავდაპირველად, საერთო-სახალხო ამბოხების დროდ „პარიტეტულმა კომიტეტმა“ 1924 წლის თებერვალი დაასახელა. „საქართველოში და საერთოდ კავკასიაში აჯანყების საკითხი 1924 წლის 23 თებერვლის სხდომაზე განიხილა ემიგრირებულმა მთავრობამ. 6 აპრილს პარიზში სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და მთავრობის გაერთიანებულ სხდომაზე კი მიღებულ იქნა რეზოლუცია საქართველოში აჯანყების მხარდასაჭერად“.[21]

საქართველოში მოქმედი არალეგალური ორგანიზაციები საზღვარგარეთ მყოფი პოლიტიკური ემიგრაციისაგან მოითხოვდნენ უცხო ქვეყნების მხრიდან დახმარების გაწევის თაობაზე გარანტიების მიღებას. ამის გასარკვევად და აჯანყების თარიღის დასაზუსტებლად პარიზში არალეგალურად გაგზავნილ იქნა დელეგაცია ვასილ ნოდიას მეთაურობით. აღნიშნულის თაობაზე ცნობილი გახდა სტამბოლში ნ. რამიშვილის წარმომადგენლისაგან, იოსებ მდივნისაგან. ნ. რამიშვილი ვ. ნოდიას მარსელში შეხვდა და დაარწმუნა იგი, რომ საქართველოში ამბოხების შემთხვევაში ქართველ ერს დასავლეთი თავისი პოლიტიკური და სამხედრო მხარდაჭერით აუცილებლად აღმოუჩენდა დახმარებას, რის დასტურადაც მას ნ. ჟორდანიას სადირექტივო წერილი გადასცა.

ქართული დელეგაცია სამშობლოში იმედიანად დაბრუნდა. ვ. ნოდიასთან, აგრეთვე ბ. ჩხიკვიშვილთან, ვ. მგელაძესთან, ვ. ცინცაბაძესთან და ბ. ცენტერაძესთან ერთად, აჯანყების ორგანიზაციისათვის, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის ბიურომ 1924 წლის მაისში თბილისში სასწრაფოდ მიავლინა გვარდიის ყოფილი სარდალი ვალიკო ჯუღელი. აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულ იქნა შექმნილი გარემოებებიდან გამომდინ-

არე. ნ. ხომერიკის დაპატიმრების შემდეგ საქართველოში ამბოხებისათვის მზადების ტემპი არ შენელებულა, თუმცა მასში ქართველი სოციალ-დემოკრატების როლი შესუსტდა. იმ პერიოდში საქართველოში დიდი ავტორიტეტი ჰქონდათ ქაქუცა ჩოლოყაშვილსა და მის შეფიცულებს. ამდენად, სოციალ-დემოკრატები შიშობდნენ, რომ აჯანყებას სათავეში ჩაუდგებოდა ქ. ჩოლოყაშვილი, რაც ხელს აძლევდა ეროვნულ-დემოკრატებს. შესაბამისად, საზღვარგარეთის ქვეყნები პოლიტიკური მხარდაჭერისა და ფინანსური სუბსიდირების თვალსაზრისით უფრო მეტად ემიგრაციაში მყოფი საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისაკენ გადაიხრებოდნენ, რაც ძალიან არ სურდათ სოციალ-დემოკრატებს. საქართველოს ემიგრანტული მთავრობა ვალიკო ჯუღელზე იმთავითვე დიდ იმედებს ამყარებდა. მას მალულად დაამთავრებინეს პარიზში სენ-სირის ცნობილი სამხედრო სკოლა. სწორედ ვ. ჯუღელი უნდა ჩადგომოდა სათავეში ამბოხებას სამხედრო თვალსაზრისით. ჩეკისტებს არც ვ. ჯუღელის სწავლის ფაქტი გამორჩენიათ მხედველობიდან. ამის თაობაზე იტყობინებოდა საბჭოთა საგარეო დაზვერვის პარიზის რეზიდენტურა.

რაც უფრო ახლოვდებოდა საქართველოში ამბოხების მოწყობის სავარაუდო პერიოდი, საქართველოს და ამიერკავკასიის საგანგებო კომისია მით უფრო აძლიერებდა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას. მოსალოდნელი გამოსვლების თაობაზე ინფორმაცია და შესაბამისი მითითებები (ცირკულარები) მუდმივად მიეწოდებოდა საგანგებო კომისიის რაიონულ და საქალაქო განყოფილებებს, აგრეთვე აჭარისა და აფხაზეთის სამმართველოებს. საქართველოს საგანგებო კომისია, რომლის თავმჯდომარის მოადგილე იმ პერიოდში გახლდათ ლავრენტი ბერია, კატეგორიულად მოითხოვდა მუდმივ სიფხიზლეს; საინფორმაციო-აგენტურული საქმიანობის, თვალთვალისა და თვალყურის გაძლიერებას; არალეგალური შეიარაღებული ორგანიზაციების, მილიციის და განსაკუთრებული დანიშნულების რაზმებში არასასურველი ელემენტების გამოვლენას; პარტიული ორგანოების წმენდას; ანტისაბჭოთა ორგანიზაციებისა და პარტიების ყოფილი წევრების მიმართ მეთვალყურეობის გაძლიერებას; ჩეკისტთა კოლექტივის მომზადებას მომავალი დაპატიმრებებისათვის და სხვა.

პარალელურად, საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა საქართველოს მოსახლეობაზე მისთვის სასურველი იდეოლოგიური ზემოქმედების მოხდენას და პრესაში ავრცელებდა საბჭოთა საგარეო დაზვერვის რეზიდენტურებიდან და საბჭოთა წარმომადგენლობებიდან მიღებულ ინფორმაციებს (ჭორსა და სიმართლეს) საზღვარგარეთ ანტისაბჭოთა ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით. მაგალითად, გაზეთმა „კომუნისტმა" 1924 წლის 16 მარტის ნომერში გამოაქვეყნა მოწინავე სტატია სათაურით: „ქართული კონტრრევოლუციონური ემიგრაციის გახრწნა საზღვარგარეთ – განხეთქილება მენშევიკებს შორის პარიზში. ქართველ კონტრრევოლუციონერთა ერთიანი ფრონტის დაშლა. ხელჩართული ბრძოლა კრებებზე „ძირს ჟორდანია!". გენ. კვინიტაძემ დუელში გამოიწვია ევგენი გეგეჭკორი (რა ხდება ემიგრაციაში – პარიზში მყოფ ერთი ამხანაგის წერილიდან)".[141]

საქართველოს საგანგებო კომისია ხვდებოდა, რომ მის წინაშე დასმული ამოცანების გადაწყვეტა მის უწყებაში არსებული კადრების მეშვეობით ძალზე ძნელი

იყო და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტს სთხოვა გამოცდილი პარტიული მუშაკების მობილიზაცია საგანგებო კომისიაში, რაც განხორციელდა კიდევაც უმოკლეს პერიოდში. საქართველოს საგანგებო კომისიაში მოიწვიეს ზოგიერთი ის პირი, რომლებიც ადრეც თანამშრომლობდნენ და მუშაობდნენ „ჩეკისტურ“ ორგანოებში და სხვადასხვა მიზეზთა გამო იყვნენ დათხოვნილნი.

საქართველოს საგანგებო კომისიამ თავისი საქმიანობა გააააქტიურა 1924 წლის გაზაფხულიდან. 1924 წლის მაისისათვის ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა გადაწყვიტეს 26 მაისისათვის მასობრივი გაფიცვების ორგანიზება, თუმცა წარუმატებლად.

ამასთან დაკავშირებით, 1924 წლის 28 მაისს საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო ორგანიზაციის მდივანმა მ. ორახელაშვილმა სტალინს დეპეშა გაუგზავნა, რომელშიც მოითხოვდა პატიმრობაში მყოფი ქართველი სოციალ-დემოკრატების რუსეთში გასახლების ადრე შეჩერებული გადაწყვეტილების განახლებას. ი. სტალინის პასუხმა ოდნავ დააყოვნა, თუმცა იმავე წლის 14 აგვისტოს მან ამიერკავკასიის სამხარეო პარტიულ ორგანიზაციას შემდეგი შინაარსის დეპეშა გამოუგზავნა: „В виду недопустимых колебаний ЦК КП Грузии по вопросу о меньшевиках и в виду еще более недопустимой пассивности Заккрайкома в деле высылки меньшевиков Цека РКП счел нужным утвердить высылку грузинских меньшевиков в заграницу.*“ აღნიშნულ დეპეშაში ისიც არის მითითებული, რომ გასახლების პროცესის საწყის ეტაპზე, როგორც მძევლები, პატიმრობაში უნდა დაეტოვებიათ ქართველ სოციალ-დემოკრატთა 15-20 კაციანი ჯგუფი. გატარებული ღონისძიებების თაობაზე მუდმივად უნდა ყოფილიყო ინფორმირებული საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი.[298]

მენშევიკების გააქტიურებას მოჰყვა მათი მასობრივი დაპატიმრებები ქუთაისში, ფოთში, თელავში, სიღნაღსა და საქართველოს სხვა რეგიონებში.

1924 წლის 12 ივლისს საბჭოთა საქართველოს საგანგებო კომისიის საიდუმლო-ოპერატიული ნაწილის უფროსმა ლ. ბერიამ სრულიად საიდუმლო ცირკულარული წერილი მისწერა საგანგებო კომისიის ყველა საგუბერნიო დანაყოფს, ხოლო ასლი გაუგზავნა საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს. ზემოაღნიშნულ წერილში საგანგებო კომისია ყველა იმ ორგანიზაციისა და უჯრედების ლიკვიდაციის რეკომენდაციას იძლეოდა, რომელთა მიზანიც იყო ყოფილ მენშევიკთა საკავშირო ყრილობის მოწვევა.[313]

1924 წლის ივლისის შუა რიცხვებში დამკომის გაფართოებულ სხდომაზე საქართველოში ამბოხების დღედ გამოცხადდა 17 აგვისტოს ღამე.[27] ამის თაობაზე ცნობილი გახდა საქართველოს საგანგებო კომისიისათვის და სადამსჯელო მანქანაც სწრაფად ამოქმედდა

1924 წლის 6 აგვისტოს, თბილისში დაპატიმრებულ იქნა პარტიულ კრებაზე დასასწრებად მიმავალი ვალიკო ჯუღელი, რომლის საქართველოში ჩამოსვლის თაობაზე იმთავითვე იყო ინფორმირებული საქართველოს საგანგებო კომისია. გამოძიების პროცესში საგანგებო კომისიის თანამშრომელმა მოროზოვმა ვ.

* მენშევიკების საკითხთან დაკავშირებით საქართველოს ცენტრალური კომიტეტის დაუშვებელი მერყეობის და უფრო მეტიც, ამიერკავკასიის სამხარეო ორგანიზაციის პასიურობის გამო რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროდ ჩათვალა, დაამტკიცოს ქართველი მენშევიკების საზღვარგარეთ გასახლება.

ჯუღელს წარუდგინა აჯანყების გეგმა, რომელიც ჩეკისტებს მიღებული ჰქონდათ, თითქოსდა, დამკომის სამხედრო კომისიის ერთ-ერთი წევრისგან. თუ რა მოხდა სინამდვილეში, ამას ოდნავ ქვემოთ ლ. ბერიას მიერ 1930 წელს გაკეთებული მოხსენებიდან შევიტყობთ.

ვ. ჯუღელი საგანგებო კომისიაში უმძიმეს პირობებში იმყოფებოდა და ძლიერ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას განიცდიდა. ტანჯვა-წამება რომ თავიდან აეცილებინა, მან თვითმკვლელობაც კი სცადა, მაგრამ თანასაკნელებმა იხსნეს სიკვდილისაგან.[33] მის საქმეზე პირადად მუშაობდნენ საქართველოს საგანგებო კომისიის მოადგილე ეპიფანე კვანტალიანი და ახალგაზრდა ლავრენტი ბერია. ვ. ჯუღელის დაკითხვებს და მასთან მოლაპარაკებებს უშუალოდ ეს უკანასკნელი ანარმოებდა. ჩეკისტების ოპერატიულმა ჩანაფიქრმა გაამართლა: ვ. ჯუღელმა შეთხზული ვერსია დაიჯერა და, თავიდან რომ აეცილებინა აჯანყების მონაწილეთა და უკვე დაპატიმრებულ პირთა რეპრესირება, დამკომს პატიმრობაში მყოფი სოციალ-დემოკრატის ვანო ღლონტის მეშვეობით „გაუგზავნა“ წერილი, რომელშიც ითხოვდა, აჯანყება არ დაწყებულიყო, რადგან ხელისუფლება აჯანყებულთა მიმართ დიდ სისასტიკეს გამოიჩენდა (მოგვიანებით ასეც მოხდა).

1924 წლის 9 აგვისტოს დუშეთის რაიონის კომუნისტთა თავკაცმა ხუხუაცმა ამიერკავკასიის საგანგებო კომისიას და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს სრულიად საიდუმლო წერილით მიმართა. მიმართვის ავტორი მიანიშნებს, რომ მას შემდეგ, რაც ცნობილი გამხდარა ვ. ჯუღელის დაპატიმრების ფაქტი, დუშეთის რაიონის პარტიული ორგანიზაცია აუცილებლად მიიჩნევდა გლეხებს შორის ფართომასშტაბიანი კამპანიის გაჩაღებას მისი დახვრეტის მოთხოვნის მიზნით. ხუხუაცი თვლიდა, რომ ეს პროცესი დიდი ენთუზიაზმით ჩაივლიდა, მას საერთაშორისო მნიშვნელობა ექნებოდა და შეარყევდა საქართველოში მოქმედი ანტისაბჭოთა პარტიების ავტორიტეტს. რაც შეეხება ჯუღელის დახვრეტის მოთხოვნის აგიტაციის წარმატებით ჩატარებას, ეს პრაქტიკულად გარანტირებული იყო, ვინაიდან დუშეთის გლეხობას, თითქოსდა, ახსოვდა ქმედებები გვარდიის სარდლისა, რომელმაც ცეცხლითა და მახვილით ჩაახშო ბოლშევიკთა გამოსვლები დუშეთის მაზრაში.

მიმართვის ბოლოს, მისი ავტორი ცენტრალურ კომიტეტს და საგანგებო კომისიას ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შესაბამის დირექტივებს სთხოვდა. მითითებამაც არ დააყოვნა. წერილზე გაჩნდა რეზოლუცია: „ЦК не возражает против проведения компании*“.[313]

დამკომმა ვ. ჯუღელს და საგანგებო კომისიის ხრიკებს არ დაუჯერა და აჯანყებისათვის მზადება ურთულეს პირობებში განაგრძო.[27]

20 აგვისტოს (სხვა მონაცემებით – 18 აგვისტოს[25] და 24 აგვისტოს[27]) შედგა დამკომის ბოლო სხდომა, რომელმაც აჯანყების დღედ 29 აგვისტო დაასახელა. მისი ორგანიზება დაევალათ: დამკომის თავმჯდომარეს კოტე ანდრონიკაშვილს, დამკომის მდივანს იასონ ჯავახიშვილს, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბიუროს თავმჯდომარეს ლ. ონიაშვილს, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ბიუროს თავმჯდომარეს შალვა ამირეჯიბს და გენერალ ს. ჭავჭავაძეს. სამხ-

* ცენტრალური კომიტეტი კამპანიის დაწყების წინააღმდეგი არ არის.

ედრო შტაბმა თბილისიდან ქ. ჩოლოყაშვილის რაზმის დისლოკაციის ადგილას გადაინაცვლა.[21]

მიუხედავად იმისა, რომ ძალები აშკარად არათანაბარი იყო, აჯანყება მაინც დაიწყო 1924 წლის 28 აგვისტოს დილის 4 საათზე ჭიათურაში და იგი საქართველოს უმეტეს რეგიონებს მოედო. ამ დღისათვის მობილიზებული აღმოჩნდა საქართველოს ხელისუფლება და, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს და ამიერკავკასიის საგანგებო კომისია. ხელისუფლების სისასტიკეზე მეტყველებს თუნდაც სადგურ ყვირილასთან ვაგონებში ჩაკეტილი ათობით ადამიანის ჩაცხრილვა. ბოლშევიკებმა განსაკუთრებული სიმხეცე გამოამჟღავნეს თელავის, სიღნაღის, გორის, ზუგდიდის, სენაკის მაზრებში. ხელისუფლებას ძალიან ეშინოდა და ამიტომ აჯანყებულების მიმართ დაუნდობლობას იჩენდა.

ქართველი აჯანყებულები გმირულად იბრძოდნენ. მათ შორის, ქაქუცა ჩოლოყაშვილი და მისი რაზმი, თუმცა აჯანყება მაინც დამარცხდა.

ხელისუფლება სასტიკად გაუსწორდა აჯანყებულებს. საქართველოს საგანგებო კომისიის 1924 წლის 31 აგვისტოს და შემდგომი დღეების კოლეგიის გადაწყვეტილებებით დახვრიტეს აჯანყების 44 აქტიური მონაწილე. ქ. ჩოლოყაშვილის რაზმის 18 წევრი.[196] „აჯანყების დაწყებამდე მძევლებად აყვანილი ნოე ხომერიკი, ბენია ჩხიკვიშვილი, გოგიტა ფაღავა, ვასო ნოდია და გიორგი წინამძღვრიშვილი სუზდალის ციხეში ჰყავდათ ჩამწყვდეული, ხოლო აჯანყების დაწყებისთანავე კავკასიისაკენ დააბრუნეს და გზაში, სადღაც მოსკოვსა და როსტოვს შუა, რომელიღაც სადგურზე ქურდულად დახვრიტეს".[84] 1924 წლის 4 სექტემბერს შიომღვიმის მონასტერში დააპატიმრეს „დამოუკიდებლობის კომიტეტის" თავმჯდომარე კოტე ანდრონიკაშვილი, „დამკომის" მდივანი იასონ ჯავახიშვილი, აგრეთვე მემარჯვენე ესერების პარტიის წევრი მიხეილ ბოჭორიშვილი, სოციალ-დემოკრატთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი გიორგი ჯინორია და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი მიხეილ იშხნელი. 5 სექტემბერს აჯანყების ორგანიზატორები საგანგებო კომისიამ, ჩვეული მეთოდების გამოყენებით აიძულა, ხელი მოეწერათ ე.წ. მიმართვისათვის ქართველი ერისადმი, რომლის მიხედვითაც თითქოსდა აზრი აღარ ჰქონდა აჯანყების შემდგომ გაგრძელებას და მოუწოდებდნენ ქართველ ხალხს დანებებისა და იარაღის ჩაბარებისაკენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელისუფლების მხრიდან მოსალოდნელი იყო სასტიკი რეპრესიები.[25]

ხელისუფლებამ ამბოხებულთა დასაყოლიებლად კიდევ ერთ მეთოდს მიმართა. კერძოდ, საქართველოს იმ რაიონებში, სადაც ქართველი პატრიოტები იმალებოდნენ, აეროპლანიდან გადმოყარეს ფურცლები, რომლებზეც დაბეჭდილი იყო დამორჩილების მოწოდების ტექსტი. ტყეში გასულმა მეამბოხეებმა ნელ-ნელა დაიჯერეს, რომ შესაძლებელი იყო საბჭოთა ხელისუფლებასთან შერიგება და საკუთარ ოჯახებს დაუბრუნდნენ.

მართალია, საბჭოთა ხელისუფლებამ აჯანყებულებს აღუთქვა, რომ „დაივიწყებდა მათს უნებლიე შეცოდებებს", პირობა სულ მალე დაარღვია და საგანგებო კომისიის ციხეები პატიმრებით გაავსო. იქიდან კი ან დასახვრეტად გაჰყავდათ, ანდა შორეულ ციმბირის ბანაკებში გზავნიდნენ.

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების საარქივო მონაცემებით,[21] საქართ-

ველოს საგანგებო კომისიამ 1924 წლის აჯანყებაში მონაწილე 857 ადამიანი დახვრიტა, მათგან 829 ქართველი, 9 აზერბაიჯანელი, 8 სომეხი, 5 რუსი, 6 სხვა ეროვნების წარმომადგენელი (სხვა წყაროების მონაცემებით, სახელდება დახვრეტილთა მეტი რაოდენობა. მაგალითად: გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ (1990 წლის 25 მაისი) მონაცემებით (ს. ორჯონიკიძის მოხსენებაზე დაყრდნობით), „აჯანყების ჩახშობისას სულ დახვრეტილი და მოკლულია 980 კაცი, აქედან სულ მცირე ოთხმოცდათხუთმეტი პროცენტი თავადაზნაურობაა...“).[208]

1924 წლის აგვისტოს აჯანყების წარუმატებლად დასრულების შემდეგ საქართველო კვლავ რეპრესიებმა მოიცვა. სამაგიეროდ, ზეიმობდა ხელისუფლება და საგანგებო კომისია.

აჯანყების ჩახშობაში აქტიურად მონაწილეობდნენ და იდეოლოგიურ და ორგანიზაციულ ღონისძიებებს ხელმძღვანელობდნენ ქართველი კომუნისტები სერგო ორჯონიკიძე, მამია ორახელაშვილი, მიხა ცხაკაია, ფილიპე მახარაძე, შალვა ელიავა, ალექსანდრე გეგეჭკორი, ვანო სტურუა და სხვები.

დახვრეტებს ახორციელებდნენ ე.წ. „სამეულები“ და „ხუთეულები“. გადაწყვეტილებები დახვრეტების შესახებ მათ, როგორც წესი, პასუხისმგებელი პარტიული და საბჭოთა მუშაკების თანდასწრებით გამოჰქონდათ სხდომებზე. საგანგებო კომისიის კოლეგიის გადაწყვეტილებების საფუძველზე დახვრეტებში მონაწილეობდნენ ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის თანამშრომლებიც. დადგენილებები დახვრეტების შესახებ ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის პრეზიდიუმსაც გამოჰქონდა. აღმასრულებლები, როგორც წესი, არაქართველები იყვნენ. ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის მხრიდან დახვრეტებში მონაწილეობდნენ პოპოვი (კომენდანტი), ზილე, შაშურკინი, ლისტენგურტი, ტარაიანი, ბაღდასაროვი, მიქაძე, მასლენიკოვი, ნიკიშინი“.[21] აგვისტოს აჯანყების დამარცხების მიზეზებზე მოგვიანებით საზღვარგარეთ ბევრი დაიწერა და ითქვა. ამ თემაზე თავისი გამოკვლევები ემიგრანტულ ბეჭდვით ორგანოებში გამოაქვეყნეს სოლომონ ზალდასტანიშვილმა, შალვა ამირეჯიბმა, ალექსანდრე ასათიანმა და სხვებმა. 1924 წლის აგვისტოს ამბოხების ირგვლივ ბევრს საუბრობდა საბჭოთა საქართველოს პარტიული და სახელისუფლებო ელიტაც პრესაში და პარტიულ მიტინგებზე.

აჯანყების დამარცხების შემდეგ სერგო ორჯონიკიძე საქართველოს მოსახლეობის წინაშე წარდგა „მზრუნველობის“ პათოსით გამსჭვალული მოხსენებით, რომელიც მძიმე შთაბეჭდილებას ქმნის საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების დამოკიდებულებაზე საბჭოთა საქართველოში მიმდინარე მოვლენებისა და ეროვნული პრობლემებისადმი.[56]

ახლა ყველასათვის ნათელია, როგორ „იზრუნეს“ სერგო ორჯონიკიძემ და კომუნიზმის იდეებით აღტკინებულმა ბოლშევიკებმა „პატარა ქვეყნის“ ასაყვავებლად. საკუთარი სამშობლოს ისტორიული ტერიტორიების გასხვისებამ, ხელოვნურად შექმნილმა ავტონომიურმა წარმონაქმნებმა, ეროვნული პრობლემების იგნორირებამ, რაც ბოლშევიკური იდეოლოგიის ნაყოფია, XX საუკუნის მიწურულს საქართველო ეთნოკონფლიქტებამდე და სამოქალაქო ომამდე მიიყვანა.

1924 წლის ოქტომბერში, საქართველო კპ (ბ) ცკ-ის სპეციალური კომისიის მიერ შესწავლილი მასალებისა და საგანგებო კომისიის მიერ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, საქართველო კპ (ბ) ცკ-ის პირველმა მდივანმა მიხ. კახიანმა ასევე გააკეთა ვრცელი მოხსენება 1924 წლის აგვისტოს აჯანყების გამომწვევ მიზეზებთან და შედეგებთან, აგრეთვე პარტიის სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით.

მიხ. კახიანი თვლიდა, რომ კომუნისტური პარტიის მიერ საქართველოში გატარებულ პოლიტიკასა და აგვისტოს მოვლენებს შორის არანაირი კავშირი არ არსებობდა და ბოლშევიკურ პარტიას არ დაუშვია ის შეცდომები, რომლებსაც შეეძლო მშრომელი მასების უკმაყოფილების გამოწვევა და აჯანყების ორგანიზება. აგვისტოს გამოსვლები იყო არა პარტიის მიერ გატარებული პოლიტიკის პროდუქტი და გამოწვეული მშრომელთა მასობრივი უკმაყოფილებით, რაც ნიშნავდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მასობრივ გამოსვლას, არამედ ის ორგანიზებული იყო საზღვარგარეთიდან იმპერიალისტებისა და II ინტერნაციონალის მიერ.

მოხსენებაში აგვისტოს აჯანყება ავანტიურად მოინათლა, რომელშიც კონტრრევოლუციური ძალები: სოციალ-დემოკრატები და ეროვნულ-დემოკრატები და მათი მხარდამჭერები: თავადები, აზნაურები, მემამულეები, ვაჭრები და ოფიცრები მონაწილეობდნენ.

მიხ. კახიანმა აღიარა, რომ სოციალ-დემოკრატები საზღვარგარეთ ძალზე აქტიურად საქმიანობდნენ, განსაკუთრებით ბოლო თვეების განმავლობაში და ამ პროცესს ორგანიზაციას უწევდა ნ. ჟორდანიას დევნილი მთავრობა, რომელსაც საკმაოდ კარგი და სერიოზული მხარდაჭერა ჰქონდა ინგლისისა და საფრანგეთის სამთავრობო წრეებისა და სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან, მათ შორის მატერიალურიც.

მიხ. კახიანი საკმაოდ თვითკრიტიკული იყო. მისი აზრით, საბჭოთა საქართველოს ხელისუფლება, მართალია, ელოდა აჯანყებას, მაგრამ თუ ის ასეთ მასობრივ ხასიათს მიიღებდა, არ ეგონა, უფრო სწორად, საგანგებო კომისიის მწვავე შეტყობინებების მიუხედავად, მოსალოდნელი საფრთხე ვერ განჭვრიტა. მოხსენების თანახმად, საქართველოს ჩეკისტებს ყველაზე საგანგაშო ინფორმაცია ხელისუფლებისათვის ჯერ კიდევ 1924 წლის მაისში მიუწოდებიათ. მას შემდეგ, რაც დააპატიმრეს ჯერ ნოე ხომერიკი და ბენია ჩხიკვიშვილი, ხოლო შემდეგ ვალიკო ჯუღელი, საქართველოს ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ აჯანყება აღარ მოხდებოდა. „ჩვენ ვერ შევაფასეთ მოწინააღმდეგე" – აღნიშნავდა მიხ. კახიანი. ამ უკანასკნელის ხელმოწერით ჯერ კიდევ 11 აგვისტოს დაგზავნილა გამაფრთხილებელი დაშიფრული დეპეშები სამაზრო და საოლქო პარტიული ორგანიზაციების მდივნების სახელზე. მეორე დღეს, 12 აგვისტოს, საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს ე. კვანტალიანს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ აჯანყება საქართველოში შეიძლება მომხდარიყო აგვისტოს 15-20 რიცხვების ფარგლებში, ასევე დაშიფრული დეპეშით უცნობებია ყველა პოლიტბიუროს (საქართველოს საგანგებო კომისიის რეგიონული განყოფილებების) თავმჯდომარისა და სამაზრო და საოლქო ორგანიზაციების მდივნებისათვის. საბოლოოდ, ე. კვანტალიანს 1924 წლის 27 აგვისტოს პირდაპირი სატელეფონო

კავშირით სამაზრო ორგანოებისათვის უცნობებია, რომ აჯანყება დაიწყებოდა 28 ან 29 აგვისტოს. ასე რომ, საქართველოს კპ (ბ) რაიონული და სამოქალაქო ორგანიზაციებისათვის აჯანყების დაწყება მოულოდნელობა არ ყოფილა. თუმცა, იმდენად თვითდაჯერებულები აღმოჩნდნენ, რომ შეტყობინებებს საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყების მოწყობის თაობაზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ. სწორედ ამაში ხედავდა საქართველოს კომუნისტთა ერთ-ერთი ლიდერი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების შეცდომას. ამას ისიც დაემატა, რომ 28 აგვისტოს მარიამობის საეკლესიო დღესასწაულს ზეიმობდა საქართველოს მორწმუნე მოსახლეობა, ხოლო „პარტიული ამხანაგების" უმეტესობა საზაფხულო შვებულებაში იმყოფებოდა. მიხ. კახიანი აგვისტოს მოვლენებთან მიმართებით განსაკუთრებულ კმაყოფილებას გამოხატავდა საქართველოს საგანგებო კომისიის საქმიანობის მიმართ. „Чека Грузии заработала по настоящему только с конца 22 года, когда партия занялась вплотную вопросами беспощадной борьбы с анти-советскими... и теперь ни для кого не тайна, что Грузчека работает великолепно*". მიხ. კახიანი გაოცებას ვერ მალავდა იმასთან დაკავშირებით, რომ აგვისტოს აჯანყების მზადებისა და რეალიზაციის პროცესი განსაკუთრებული კონსპირაციის პირობებში მიმდინარეობდა: „...меньшевики – искусные конспираторы, учившиеся этому десятки лет и они не такие глупцы...**" [315] საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გაითვალისწინა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში დაშვებული შეცდომები და პროცესების უკეთ მართვისა და მათზე დადებითი ზეგავლენის მოხდენის მიზნით, 1924 წელს ცენტრალურ კომიტეტთან შექმნა ყოფილ სოციალ-დემოკრატთა (მენშევიკთა) შორის მომუშავე განყოფილება. მისი უმთავრესი დანიშნულება იყო საქართველოში დარჩენილ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყოფილ წევრებს შორის იდეოლოგიური საქმიანობის გააქტიურება და საზღვარგარეთ, ემიგრაციაში მყოფ ყოფილ თანაპარტიელებთან კონტაქტების და მათი მხრიდან ნეგატიური ზემოქმედების შეზღუდვა. ზემოაღნიშნულ განყოფილებასთან აქტიურად თანამშრომლობდა საბჭოთა საქართველოს საგანგებო კომისია, რომელიც მას ოპერატიული ინფორმაციით მუდმივად ამარაგებდა.

1924 წლის აგვისტოს აჯანყების სასტიკად ჩახშობის შემდეგ საქართველო ტერორმა მოიცვა. რუსებისა და სხვა ეროვნების წარმომადგენლებისაგან შემდგარი წითელი არმიის ნაწილები მოსახლეობას შეესია და ძარცვა-გლეჯას მიჰყო ხელი. ხელისუფლება და საგანგებო კომისია ცალკეულ პირებს მუქარისა და შანტაჟის გზით, აიძულებდნენ სოციალ-დემოკრატებისა და აჯანყების ორგანიზატორების ყველაზე აქტიური ნაწილის მიმართ საწინააღმდეგო განცხადებების გაკეთებას. ვინც მათ შემოთავაზებულ წინადადებას არ დათანხმდებოდა – ადგილზე ხვრეტდნენ. საქართველოს საგანგებო კომისია განსაკუთრებით ცდი-

---

* საქართველოს საგანგებო კომისია რეალურად მხოლოდ 1922 წლის ბოლოდან ამუშავდა, როდესაც პარტია მტკიცედ დაინტერესდა ანტისაბჭოთა ელემენტების წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის საკითხებით.... ამჟამად არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ საქართველოს საგანგებო კომისია შესანიშნავად მუშაობს.

** მენშევიკები კონსპირაციის ოსტატები არიან, ამას რამდენიმე ათეული წლის მანძილზე სწავლობდნენ და არცთუ ისე სულელები არიან.

ლობდა საზღვარგარეთ ქართულ ემიგრაციასთან ამბოხებულების კავშირის დადგენას, რისთვისაც აპატიმრებდა და ჯურღმულებში ამწყვდევდა ანტისაბჭოთა ქართული პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენლების ახლობლებსა და ნათესავებს, მათზე სხვადახვა მეთოდებით ზემოქმედებდა და საგანგებო კომისიასთან ფარულ თანამშრომლობას აიძულებდა. საგანგებო კომისიამ გაამკაცრა ოპერატიული ზედამხედველობა იმ პირების მიმართ, რომლებიც თუნდაც ოდნავ მაინც იყვნენ შემჩნეული კონტაქტში ქართულ ემიგრაციასთან.

ქართველი სოციალ-დემოკრატების, როგორც მტრის ხატის ახლებური გააზრება, მოხდა 1925 წელს სოლომონ მოგილევსკის, საკავშირო საგანგებო კომისიის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ამიერკავკასიაში და ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის უფროსის ავიაკატასტროფაში დაღუპვის შემდეგ.

თუმცა, მანამდე, ჯერ კიდევ 1922 წლის ივლისში, საქართველოს ბოლშევიკებმა და ჩეკისტებმა ქართულ მიწას მიაბარეს და მხურვალედ დაიტირეს პროფესიონალი რევოლუციონერი და იატაკქვეშა საქმიანობის ერთ-ერთი გამორჩეული „მოღვაწე" კამო (სიმონ ტერ-პეტროსიანი), რომელიც ტრაგიკულად დაიღუპა თბილისში 1922 წლის 14 ივლისს. მისი დაკრძალვა, 18 ივლისს, გრანდიოზულ ბოლშევიკურ პროპაგანდისტურ ღონისძიებად იქცა. მის მოღვაწეობას მთელი ნომერი მიუძღვნა გაზეთმა „კომუნისტმა" 1922 წლის 18 ივლისს.[109] გარდაცვალებიდან სამი წლის თავზე, 1925 წლის 15 ივლისს, კამოს სახელის უკვდავსაყოფად თბილისში, პუშკინის ბაღში, გაიხსნა მისი ძეგლი.

1925 წლის მარტში სოხუმში უნდა გამართულიყო აფხაზეთის ასსრ საბჭოების ყრილობა, რომელზეც მიწვეული იყვნენ ამიერკავკასიის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ალექსანდრე მიასნიკოვი (მიასნიკიანი), საკავშირო გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი ამიერკავკასიაში, ამავდროულად ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარე სოლომონ მოგილევსკი და ამიერკავკასიის მუშურგლეხური ინსპექციის სახალხო კომისრის მოადგილე გიორგი ათარბეკოვი. 22 მარტს ავიასპეციალისტებმა განსაკუთრებულად მოამზადეს ასაფრენად „იუნკერს-13". 11.30 საათზე აეროდრომზე მიეიდნენ ალიოშა მიასნიკოვი, გეურქ ათარბეკოვი და სოლომონ მოგილევსკი. თვითმფრინავს მართავდნენ მფრინავები შპილი და საღარაძე. 11.45 საათისთვის თვითმფრინავი ცაში აფრინდა. ფრენა თითქოს ნორმალურად მიმდინარეობდა, მაგრამ უკვე 12.05 საათისთვის აეროდრომის მორიგეს თბილისის სატელეფონო სადგურიდან შეატყობინეს, რომ „იუნკერსი" ცაში იწვოდა. თვითმფრინავმა გეზი სამხრეთით, დიდუბის მიმართულებით, იპოდრომისკენ, აიღო. იპოდრომამდე არმისულმა „იუნკერსმა" მოულოდნელად ძირს იწყო ვარდნა. თვითმფრინავიდან გადმოხტომა მოასწრეს ათარბეკოვმა და მოგილევსკიმ, თუმცა, სხვების მსგავსად, სიკვდილს ვერც ისინი გადაურჩნენ. თვითმფრინავი მიწას დაენარცხა და აფეთქდა. აღნიშნულთან დაკავშირებით შეიქმნა ავიაკატასტროფის შემსწავლელი სამთავრობო კომისია კავკასიის არმიის სარდლის, ავგუსტ კორკის მეთაურობით.[5]

სოლომონ მოგილევსკის და მის თანმხლებ პირთა დაღუპვასთან დაკავშირებით ამიერკავკასიის საგანგებო კომისიამ 1925 წლის 24 მარტს გამოსცა N 80 ბრძანება, რომელშიც არაფერი იყო ნათქვამი ავიაკატასტროფის მიზეზებზე.[30]

პირველი დღეებიდანვე გავრცელდა ხმები იმის თაობაზე, რომ კატასტროფა სპეციალურად იქნა მოწყობილი. ი. სტალინის მითითებით, მოსკოვიდან თბილისში მივლენილმა კომისიამ დაადგინა, რომ კატასტროფა მოხდა არა აეროპლანის გაუმართაობით, არამედ მგზავრთა სალონში გაჩენილი ცეცხლის გამო. კომისიამ ისიც დაადგინა, რომ სამივე მაღალჩინოსანი საკმაოდ შეზარხოშებული იყო. დაინიშნა განმეორებითი კომისია – შედეგი ანალოგიური იყო. ლ. ბერიამ, რომელიც იმ დროს საქართველოს საგანგებო კომისიაში მუშაობდა, ისარგებლა ამ შემთხვევით და ბრალი კატასტროფის ორგანიზებაში ქართველ სოციალ-დემოკრატებს დასდო. ამ ვერსიის განმტკიცებას ხელი შეუწყო სოხუმში იმ პერიოდში დასასვენებლად მყოფმა ლევ ტროცკიმ. ამ უკანასკნელმა თბილისში ჩამოსვლისას განაცხადა, რომ პასუხი ავიაკატასტროფაზე უნდა მოეთხოვათ „სამი ამხანაგი ქართველი მენშევიკისათვის"[5], თუმცა არ დაუკონკრეტებია ვისთვის. იმ პერიოდში საზოგადოებაში მუსირებდა სხვა აზრიც, კერძოდ, თითქოსდა, ბობოლა ბოლშევიკების მიმართ ტერორისტული აქტი განახორციელა ახალგაზრდა პილოტმა საღარაძემ, რომელმაც შური იძია მათზე საქართველოში ჩადენილი ბოროტებისათვის.

ზემოაღნიშნული კატასტროფის შემდეგ, საფრანგეთის ქართულ ემიგრაციაში უცებ გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მოგილევსკის, ათარბეკოვისა და მიასნიკოვის ფიზიკური მოსპობით დაინტერესებული იყო ლ. ბერია, რომელმაც ყოველივე ოსტატურად დაგეგმა და განახორციელა თავისი მარჯვენა ხელის, საჯაიას მეშვეობით. ამ უკანასკნელს ღამით, თვითმფრინავის საწვავის ავზში, თითქოსდა, ჩაუყრია ქვიშა, რაც ავიაკატასტროფის მიზეზი გამხდარა.

ავიაკატასტროფიდან ერთი წლის თავზე გაზეთ „კომუნისტის" 1926 წლის 21 მარტის ნომერში დაიბეჭდა კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სამხედრო რევოლუციური საბჭოს წევრის, შალვა ელიავას მოკლე მოგონება, მიძღვნილი ამხანაგების: მოგილევსკის, მიასნიკოვისა და ათარბეკოვისადმი. მათი სიკვდილის მიზეზად შ. ელიავა „უაზრო შემთხვევას" ასახელებს. მოგონებაში, კერძოდ, ნათქვამია: „დღეს ერთი წელი სრულდება, რაც ჩვენს შორის აღარ არიან საუკეთესო ამხანაგები და მეგობრები. უაზრო შემთხვევამ გამოგვგლიჯა ისინი ჩვენი რიგებიდან, ისინი ჰაერში დაიწვნენ". „ჩვენ ისევე ულმობელი ვიქნებით მშრომელი ხალხის მტრების მიმართ, როგორც დაღუპული ამხანაგები იყვნენ".[155]

ისტორიკოს-მკვლევრები: ვ. ანტონოვი და ვ. კარპოვი ასევე თვლიან, რომ ზემოხსენებული კატასტროფის ორგანიზატორი იყო ლ. ბერია, რომელსაც გართულებული ჰქონდა ურთიერთობები თავის ხელმძღვანელებთან და ამ ფაქტის მანიპულირებით სურდა დაკარგული პრესტიჟის აღდგენა. მათი აზრით, მას შემდეგ, რაც 1930 წლის 13 აპრილს ამიერკავკასიის ფედერაციული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსად დაინიშნა ლ. ბერია, ამ უკანასკნელმა, კვალის მოსპობის მიზნით, ფიზიკურად გაანადგურა ყველა, ვისაც ავიაკატასტროფასთან რაიმე კავშირი ჰქონდა.[5]

1924 წლის აგვისტოს აჯანყების ჩახშობის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ ანტისაბჭოთა ემიგრაციის წინააღმდეგ მორიგი პროპაგანდისტული საქმიანობა გააჩაღა.

საბჭოთა საქართველოს ხელისუფლება, სპეცსამსახურების მიერ მოპოვე-

ბული ინფორმაციისა და დოკუმენტური მასალების საფუძველზე, გაზეთ „კომუნისტის“ მეშვეობით, აგრძელებდა რესპუბლიკის მოსახლეობის ინფორმირებას ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში მიმდინარე ნეგატიურ პროცესებზე. ამასთან, ქვეყნდებოდა ნოე ჟორდანიას და სხვა ცნობილ ქართველ სოციალ-დემოკრატი თეორეტიკოსების მოხსენებებისა და სტატიების კრიტიკული ანალიზი. საბჭოთა ხელისუფლება, საბჭოთა საგარეო დაზვერვის პარიზის, ბერლინის და სტამბოლის რეზიდენტურების მეშვეობით, ცდილობდა ქართულ ემიგრაციაში წარმოქმნილი იდეური თუ პიროვნული დაპირისპირებების ამსახველი დოკუმენტური მასალის მოპოვებას, რასაც შემდგომ კომუნისტურ პრესაში აქვეყნებდა. მაგალითად:

გაზეთ „კომინუსტის“ 1925 წლის 19 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა მოწინავე სტატია „გამოფხიზლების ხმები ჟორდანია-რამიშვილის ბანაკიდან“. მას თან ახლდა „პარიზში მყოფ ქართველ მუშა მენშევიკების დეკლარაცია“ („ქართულ კონტრრევოლუციონერი ემიგრაციის დაშლა“).[144]

„კომუნისტმა“ ვრცელი სტატია მიუძღვნა იმავე წლის 23 ივლისის ნომერში რუსეთის თეთრგვარდიელთა ემიგრაციაში მიმდინარე პროცესებს[145], ხოლო 26 ივლისის ნომერში დაბეჭდა ანალიტიკური სტატია „მენშევიზმის წინააღმდეგობანი“.[146] იდეოლოგიური ზემოქმედების მცდელობად უნდა განვიხილოთ 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მონაწილე 47 ბრალდებული („პარიტეტული კომიტეტის საქმის“) სასამართლო პროცესის ამსახველი მასალების (სტენოგრაფიული ჩანაწერების) გამოქვეყნება, რომელიც დაიწყო გაზეთმა „კომუნისტმა“ 1925 წლის 7 ივლისის ნომრიდან და გაგრძელდა 16 ივლისის ნომრის ჩათვლით.[147]

1925 წლის 9 ოქტომბრის გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა ძველი სოციალ-დემოკრატის, ივ. კაჩუხაშვილის 1925 წლის 20 სექტემბრით დათარიღებული წერილი – „რა მოხდა აგვისტოს აჯანყების შემდეგ (წერილი საფრანგეთიდან)“. წერილში ავტორი ლანძღავს ნოე ჟორდანიას, ნოე რამიშვილს, მიხეილ კედიას საქართველოში 1924 წლის აგვისტოს აჯანყების ორგანიზების გამო.[150]

იმავე ივ. კაჩუხაშვილის სტატია სათაურით „წერილები უცხოეთიდან. საბჭოთა საქართველოს მოქალაქეთა საზოგადოება პრაღაში. წერილი ჩეხო-სლოვაკიიდან. პარიზი 30 ოქტომბერი“ გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტის“ 1925 წლის 12 ნოემბრის ნომერში. ავტორი სასტიკად ლანძღავს ქართულ ემიგრაციას („ქართული კონტრრევოლუციონური ემიგრაცია სასოწარკვეთილებაშია...“, „ბოროტი სული მას მოსვენებას არ აძლევს...“ და სხვა) და საბჭოთა მკითხველს კმაყოფილებით ამცნობს პრაღაში საბჭოთა საქართველოს მოქალაქეთა საზოგადოების დაარსებას.[151]

ივ. კაჩუხაშვილი საბჭოთა ხელისუფლებას კიდევ ერთხელ „გამოადგა“, როდესაც 1927 წელს მოამზადა საზღვარგარეთ მყოფი ანტისაბჭოთა ემიგრაციის საქმიანობის მამხილებელი ბროშურა – „Старая и новая Грузия в картинках*“.

ამავე კონტექსტში უნდა იყოს განხილული გაზეთ „კომუნისტის“ 1926 წლის 15 და 17 ივლისის ნომრებში დაბეჭდილი მიხაკო კახიანის კრიტიკული წერილი, მიძღვნილი ირ. წერეთლის თეზისებისადმი, სათაურით – „ქართული ემიგრაციის დაშლა – ირაკლი წერეთლის „ოპოზიცია“ და ნოე ჟორდანიას პოზიცია“.[158]

საქართველოს დევნილი მთავრობის დისკრედიტაციის ერთ-ერთ წარმატე-

* ძველი და ახალი საქართველო ნახატებში

ბულ ღონისძიებად ითვლება ცნობილი სოციალ-დემოკრატების ირ. წერეთლის, ი. ქარსელაძის, კ. ჭუმბურიძის, მ. მახარაშვილის და ე. რამიშვილის წერილების „ხელში ჩაგდება“ და შემდგომ გაზეთ „კომუნისტის“ 1926 წლის 3 ივლისის ნომერში სათაურით: „რა ხდება ქართულ ემიგრაციაში – მარო მახარაშვილის, ისიდორე ქარსელაძის, ირაკლი წერეთლის, ერეთეოზ რამიშვილის და კოლია ჭუმბურიძის მიწერ-მოწერა – მენშევიკური ემიგრაციის ორგანიზაციული დაშლა და მორალურ-პოლიტიკური გახრწნა“, გამოქვეყნება. კერძო წერილებში ზემოაღნიშნული პირები ერთმანეთს საკუთარ მოსაზრებებს უზიარებდნენ ქართულ ემიგრაციაში მიმდინარე პროცესებზე, მწვავედ აკრიტიკებდნენ ჟორდანია-რამიშვილსა და სხვა პოლიტიკურ მოღვაწეებს.[157]

თავი IV

# 1921-1930 წლებში ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში საბჭოთა ხელისუფლებისა და მისი სპეცსამსახურების მიზნები და ამოცანები

> საჭიროა საქართველოს საბჭოთა მთავრობამ გადადგას ქართველი ემიგრანტების, კარიერისტულ რეაქციონერული ჯგუფების წინააღმდეგ გადამწყვეტი ნაბიჯი, რომ შესაძლებელი გახდეს მათი პოლიტიკის სასიკეთილო ლახვარის ჩაცემა, მათი მოსპობა და ქართველ მუშურ-გლეხურ ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი გაიძვერა, ეგოისტი ბელადების დასამარება.
>
> *ვ. ალიხანაშვილი* [255]

## საბჭოთა წარმომადგენლობებისა და დაზვერვის რეზიდენტურების ორგანიზაცია ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაციის წინააღმდეგ საბრძოლველად

XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში განვითარებული მოვლენების შედეგად ქართველ ემიგრანტთა პირველი ტალღის გამოჩენასთან ერთად, საზღვარგარეთ ჩამოყალიბება დაიწყო ქართულმა სათვისტომოებმა.

სათვისტომოების უმთავრესი დანიშნულება იყო ქართველების კონსოლიდაცია და იმ უმძიმეს პირობებში ერთმანეთისათვის დახმარების აღმოჩენა, აგრეთვე კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა და საერთაშორისო დონეზე ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.[19]

საბჭოთა საგარეო დაზვერვის ინტერესთა სფეროში, მის წინაშე მდგარი ამოცანებიდან გამომდინარე, იმთავითვე მოექცნენ ქართული კოლონიები, სადაც ნელ-ნელა საფუძველი ეყრებოდა ანტისაბჭოთა საქმიანობას. ჯერ კიდევ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე აქტიურად მიმდინარეობდა ფორმირება საზღვარგარეთ საბჭოთა რუსეთის საგარეო დაზვერვის „ლეგალური“ რეზიდენტურებისა, რომელთა ერთ-ერთი მთავარი დანიშნულება, იმ ისტორიულ ეტაპზე, ანტისაბჭოთა ორგანიზაციებისა და ცენტრების, აგრეთვე ცალკეულ აქტიურ ემიგრანტთა წინააღმდეგ ბრძოლა იყო. საბჭოთა კავშირის შექმნისა და ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ერთ ფედერაციად ჩამოყალიბების (1922 წ.) შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების ძალისხმევა ამ მიმართულებით კიდევ უფრო ინტენსიური გახდა.

მას შემდეგ, რაც 1922 წლის 16 აპრილს იტალიის ქალაქ რაპალოში ხელი მოეწერა ხელშეკრულებებს გერმანიასთან დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობების დამყარების თაობაზე, ბლოკადა საბჭოთა რუსეთთან მოიხსნა. საბჭოთა

საელჩოს გახსნასთან ერთად, ბერლინში საბჭოთა წარმომადგენლობის საფარქვეშ საბჭოთა საგარეო დაზვერვის რეზიდენტურა დამკვიდრდა.[5]

ანტისაბჭოთა კავკასიური (ქართული, აზერბაიჯანული და სომხური) ემიგრაციის წინააღმდეგ შესაბამის იდეოლოგიურ ღონისძიებებში აქტიურად იყო ჩაბმული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო ორგანიზაცია, საიდანაც მოდიოდა ძირითადი პარტიული დირექტივები და ამიერკავკასიისა და საქართველოს საგანგებო კომისიის უცხოეთის განყოფილებები, რომლებიც მითითებებს საბჭოთა კავშირის საგარეო დაზვერვიდან იღებდნენ.

ანტისაბჭოთა ემიგრაციის წინააღმდეგ საბრძოლველად ისეთ ქვეყნებში, როგორებიც იყო ინგლისი, საფრანგეთი, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, გერმანია, ირანი, თურქეთი, ჩინეთი და სხვა, საჭირო იყო სპეციფიკური ხასიათის საქმიანობის წარმართვა. ამ ქვეყნებში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს სადაზვერვო სამუშაოების შესასრულებლად არც კვალიფიკაცია ჰყოფნიდა და ეს არც მათ სამსახურებრივ მოვალეობაში შედიოდა. მაგალითად, ამ სპეციფიკური ხასიათის საქმიანობის აუცილებლობა 1923 წლის გაზაფხულისათვის სპარსეთსა და თურქეთში დამდგარა.

1923 წლის 20 აპრილს ვინმე ლეგრანმა შემდეგი შინაარსის სრულიად საიდუმლო დეპეშით მიმართა საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელს მ. ორახელაშვილს და ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს რუსანოვს: „Сами консула не могут заниматься этой работой но при них может и должен быть особый агент под видом секретаря или курьера для этой работы. Предложение Ротштейна не являются обязательными. Конкретные задания консулам прилегающих Закавказью в областях Персии и Турции можно давать через него непосредственно*". ამ შემთხვევაში საუბარია თურქეთსა და სპარსეთში საბჭოთა სრულუფლებიან წარმომადგენლობებში საგარეო დაზვერვის წარმომადგენლების („განსაკუთრებული აგენტების") დანიშვნის აუცილებლობაზე.[297]

სსრ კავშირის შექმნის პირველივე დღეებიდან დღის წესრიგში დადგა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანასთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დამყარების აუცილებლობა. ამ მიზანს ემსახურებოდა სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, რომელსაც საკუთარი წარმომადგენლობა ჰქონდა ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოში. ამ წარმომადგენლობის მეშვეობით ხორციელდებოდა საზღვარგარეთ საბჭოთა სავაჭრო წარმოადგენლების გრძელ და მოკლევადიანი მივლინებები. მაგალითად, არსებობდა ამიერკავკასიის ფედერაციის სავაჭრო წარმომადგენლობა თეირანსა და თავრიზში. ეს წარმომადგენლობები საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო ორგანიზაციის გადაწყვეტილებების საფუძველზე საკუთარი ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა და შესაბამის დირექტივებსაც მისგან იღებდა. ანგარიშვალდებულებაც ამავე პრინციპზე იყო აგებული.

საბჭოთა წარმომადგენლობებში დასაქმებულ მუშაკებს სხვადასხვა ფუნქცია

* თვით კონსულებს არ შეუძლიათ ამ სამუშაოების შესრულება, თუმცა მათთან შეიძლება და აუცილებელიც არის მდივნის რანგში განსაკუთრებული აგენტის ანდა კურიერის არსებობა აღნიშნული საქმიანობისთვის. როტშტეინის წინადადება არ წარმოადგენს აუცილებლობას. ამიერკავკასიის მოსაზღვრედ მყოფ თურქეთისა და სპარსეთის მხარის კონსულებს კონკრეტული დავალებები შეიძლება მიეცეს უშუალოდ მათი მეშვეობით.

ჰქონდათ დაკისრებული. მაგალითად, 1923 წლის თებერვალში რსფსრ-ის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ თურქეთში საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში დაინიშნა ბათუმში რსფსრ-ის ყოფილი კონსული კ. იუსტი. ამ უკანასკნელს გაზეთ „ზარია ვოსტოკას" წარმომადგენლის ფუნქცია უნდა შეესრულებინა. მის მოვალეობაში შედიოდა თურქეთთან დაკავშირებული საგაზეთო სტატიების მომზადება, რომლებიც შემდგომ დაიბეჭდებოდა საბჭოთა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში. მოგვიანებით, ამიერკავკასიის სავაჭრო წარმომადგენლობები დაფუძნდა გერმანიასა და საფრანგეთში.[296]

ანტისაბჭოთა ემიგრაციის თემატიკაზე მუშაობის პროცესში ვერ იქნა მოძიებული ზუსტი დოკუმენტური დადასტურება იმისა, თუ როგორ იყო ორგანიზებული საზღვარგარეთ საბჭოთა დიპლომატიური წარმომადგენლობები, როგორ იყო მათში წარმოდგენილი ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ფედერაცია, რა სტრუქტურით არსებობდა, რა პრინციპებს ეფუძნებოდა საბჭოთა საგარეო დაზვერვის რეზიდენტურების საქმიანობა, როგორი იყო საბჭოთა დაზვერვისა და წარმომადგენლობების ურთიერთქმედება და სხვა. ჩვენს ხელთ არსებული მწირი ინფორმაცია ამის შესახებ მხოლოდ ზოგად წარმოდგენას გვიქმნის.

საბჭოთა წარმომადგენლობებში ფუნქციები ანტისაბჭოთა ემიგრაციასთან მიმართებით ზოგადად ასე იყო განაწილებული: იდეოლოგიურ და ორგანიზაციულ საკითხებზე პასუხისმგებელი იყო სრულუფლებიანი წარმომადგენლობის ერთერთი მუშაკი, მაგალითად, პირველი მდივანი, ხოლო ოპერატიულ-სადაზვერვო საქმიანობას ორგანიზებას საგარეო დაზვერვის რეზიდენტი უწევდა.

საზღვარგარეთ საბჭოთა წარმომადგენლობების ის მუშაკები, რომლებსაც კონკრეტულად ემიგრაციასთან მუშაობა ჰქონდათ დავალებული, ძირითადად, ფუნქცია-მოვალეობების შესრულების პარალელურად, ვალდებულნი იყვნენ, საგარეო დაზვერვის დავალებით, სპეციფიკური ხასიათის ფარული საქმიანობა ეწარმოებინათ. ხშირ შემთხვევაში, დაზვერვის გამოცდილ მუშაკს საგანგებო კომისიის უცხოეთის განყოფილება საზღვარგარეთ გარკვეული პერიოდით მიავლენდა ხოლმე. ის საბჭოთა წარმომადგენლობებში იკავებდა შესაბამისი შტატით განსაზღვრულ თანამდებობას და ეს მისთვის შეფარების უწყებას წარმოადგენდა. ზოგჯერ კონკრეტული სადაზვერვო და იდეოლოგიური საკითხების გადასაწყვეტად ხანმოკლე მივლინებით საზღვარგარეთ გზავნიდნენ საბჭოთა ხელისუფლებისა და საგარეო დაზვერვის ცალკეული წარმომადგენლებს.

ანტისაბჭოთა ემიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში საბჭოთა ხელისუფლება უპირატესობას ანიჭებდა იმ პიროვნებებს, რომელთათვისაც ემიგრაციის თემა კარგად იყო ცნობილი. ასე აღმოჩნდნენ ჩართულნი ამ პროცესში ცნობილი ქართველი ბოლშევიკები და საგანგებო კომისიის ქართველი და სხვა ეროვნების მუშაკები. საკითხისადმი ასეთი მიდგომა უფრო პროდუქტიული და შედეგიანი იყო.

ანტისაბჭოთა ემიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, საბჭოთა ხელისუფლებისა და საგარეო დაზვერვის ამოცანები და მათი გადაჭრის გზები, ფორმები და მეთოდები იმდენად თანხვედრი იყო, რომ, ხშირ შემთხვევაში, თითოეული მათგანის მიერ წარმოდგენილი ანგარიშები იდენტური იყო. აქედან გამომდინარე, ზოგჯერ საკითხები მეორდებოდა და მოქმედებებიც არაკოორდინირებული იყო.

მას შემდეგ, რაც საფრანგეთმა სცნო რუსეთი, 1924 წლის 28 ოქტომბერს,

პარიზში გაიხსნა საფრანგეთში საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობა. მას სათავეში ლ. კრასინი ჩაუდგა. წარმომადგენლობის უმთავრეს დანიშნულებად იქცა ზოგადად ემიგრაციის, მათ შორის ქართული და სომხური ანტისაბჭოთა ემიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლა. სრულუფლებიან წარმომადგენლობაში პირველი მდივნის საფარქვეშ დაინიშნა ამიერკავკასიის გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს მიერ წარგზავნილი სიმონ ფირუმოვი (ფირუმიანი), რომელიც ემორჩილებოდა როგორც სსრკ გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს უცხოეთის განყოფილების რეზიდენტს გ. ელინსკის, ისე რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველ მდივან ა. მიასნიკოვს. [51]

სწორედ ს. ფირუმოვი გახლდათ საზღვარგარეთ ქართულ ანტისაბჭოთა ემიგრაციასთან მიმართებაში საბჭოთა ხელისუფლების და მისი სპეცსამსახურების მიერ 1924-28 წლებში განხორციელებული სადაზვერვო ღონისძიებების ერთ-ერთი ორგანიზატორი.

თავდაპირველად, როგორც ჩანს, ს ფირუმოვს – საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელს, ანტისაბჭოთა ემიგრაციაზე მუშაობა ჰქონდა დავალებული ბერლინში. მისი მეშვეობით ასევე ხდებოდა პროცესის ორგანიზება საფრანგეთში თავმოყრილ ემიგრანტთა შორის. გრ. ვეშაპელის მონაცემებით, ს. ფირუმოვი იყო „ამიერკავკასიის რესპუბლიკის წარმომადგენელი პარიზში“ და აქტიურად იყო ჩართული დიპლომატიურ საქმიანობაში. ს. ფირუმოვის მიერ მოწოდებული „საიდუმლო“ გრიფის ანგარიშებისა და დეპეშების შინაარსიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, ის მჭიდროდ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული საბჭოთა საგარეო დაზვერვასთან. ს. ფირუმოვი შეიძლება ყოფილიყო შეფარების უწყებაში მყოფი დაზვერვის კადრის ოფიცერი, ანდა ფარული აგენტი.

ს. ფირუმოვი, „ჩვეულებრივ“, ინფორმაციას გადასცემდა საელჩოში არსებული სატელეგრაფო კავშირის მეშვეობით. „საიდუმლო“ გრიფის მქონე დოკუმენტები კი დიპლომატიური ფოსტით იგზავნებოდა. როგორც არსებული მასალებიდან ჩანს, ს. ფირუმოვი ანტისაბჭოთა ემიგრაციის წინააღმდეგ საკმაოდ აქტიურ საქმიანობას ეწეოდა.[311]

იმ პერიოდში საგარეო დაზვერვა იტყობინებოდა ევგენი გეგეჭკორისა და რენოდერის, აკაკი ჩხენკელისა და დუმერგის, ირაკლი წერეთლისა და ერრიოს საქმიანი შეხვედრების თაობაზე. რეზიდენტურამ მოახერხა ერრიოს მიერ ირ. წერეთლისადმი გაგზავნილი წერილის ასლის ხელში ჩაგდება, თუმცა ცენტრს სთხოვდა, არ გამოექვეყნებინათ იგი საჯაროდ, ვინაიდან ამ შემთხვევაში გამჟღავნდებოდა ასლის გადამღები პიროვნების ვინაობა.

მართალია, პრესაში წერილი არ გამოქვეყნებულა, მაგრამ ამის თაობაზე მინიშნება მიხ. კახიანმა გააკეთა თავის 1924 წლის ოქტომბრის მოხსენებაში.

საზღვარგარეთ ქართველი მენშევიკების წინააღმდეგ პროპაგანდისტული საქმიანობის ორგანიზების მიზნით, საბჭოთა საგარეო დაზვერვის ბერლინის რეზიდენტურა შემდეგი სახის რეკომენდაციას იძლეოდა: „Для этого, хорошо-бы было, сейчас-же собрать все материалы, направить их сюда и предоставить небольшие средства, чтобы все это с надлежащим освещением появилось во Французской и Английской прессе. А если у нас будет человек в Париже,

то он может мобилизовать и ту часть грузин, которые пойдут с нами и, как раз противопоставить их путём публичных выступлений, статей, меморандумов и пр. группе Жордания. Прошу обдумайте все эти вопросы и сообщите Ваши соображения"[311] მაშასადამე, ამ პროცესის ორგანიზებისათვის საჭირო იყო პარიზში სპეციალური უფლებებით აღჭურვილი პიროვნება და შესაბამისი ფინანსები.

ბერლინის რეზიდენტურა იტყობინებოდა, რომ იმ პერიოდში სამშობლოში დაბრუნების სურვილი, თითქოსდა, გასჩენია ცნობილ დიპლომატს, პროფესორ ზურაბ ავალიშვილს, ცნობილ ეროვნულ-დემოკრატ გიორგი გვაზავასა და გენერალ კვინიტაძეს. ამ უკანასკნელის დაბრუნება საბჭოთა სპეცსამსახურებს შესაძლებლად მიაჩნდათ იმ შემთხვევაში, თუკი ის „...в европе выступит против Жордания"*"[290]

ანტისაბჭოთა ემიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში საბჭოთა წარმომადგენლობასა და საგარეო დაზვერვას პრობლემებიც გააჩნდა, რაც ოპერატიულ-სადაზვერვო საქმიანობას ზიანს აყენებდა. ბერლინში მყოფმა ს. ფირუმოვმა პარიზიდან, „საკუთარი ინფორმატორისაგან" მიიღო ასლი ერთი დოკუმენტისა —„Письмо боевой дружины Парижскому центру"**". ამ დოკუმენტში აღნიშნულია:

„Закавказским делегациям

Нам сообщают из Тифлиса, что у нас в центре есть предатели. Еркомаишвили, Гогоберидзе, Пирумов и другие получают точные сведения. Хотя и Вы противитесь нашим активным действиям, но после потери Валико Джугели и многих других товарищей – борцов за освобождение порабащённой родины, мы считаем своим гражданским долгом карать и уничтожать изменников. Мы обращаемся к Вам с просьбой помочь нам исполнить нашу прямую обязанность. Предъявителям настоящего письма даны инструкции в устной форме.

Исполнительный Комитет Боевой Дружины. Константинополь, 14 октября 1924 года. Приписка на грузинском языке (Копия прилагается)"***". [297]

წერილი ს. ფირუმოვს საეჭვოდ მოეჩვენა (დასათაურება, ტექსტში დაფიქსირებული გაურკვეველი გვარი, ხელმოწერა) და მისი ასლი გადასამოწმებლად ბერლინში გააგზავნა. ამავდროულად, სთხოვა თბილისს, კარგად შეესწავლათ წერილში მოყვანილი ფაქტები. თავად ს. ფირუმოვმა კი ამ დოკუმენტის ორიგინალის ან მისი ფოტოასლის მოპოვება იკისრა.

---

* კარგი იქნება, ახლავე მოგროვდეს ყველა მასალა, მოგვეწოდოს და, ამასთან, გამოიგზავნოს მცირედი თანხები, რათა ეს ყოველივე სათანადო ფორმით გამოქვეყნდეს ფრანგულ და ინგლისურ პრესაში. ხოლო თუკი ჩვენ გვეყოლება ვინმე პარიზში, მაშინ ის შეძლებს ქართველთა იმ ნაწილის მობილიზებას,რომელიც ჩვენ გამოგვყვება და რომლებიც საჯარო გამოსვლით, სტატიებით, მემორანდუმებითა და სხვ. დაუპირისპირდება ჟორდანიას ჯგუფს.

** ევროპაში გამოდიოდა ჟორდანიას წინააღმდეგ

*** წერილი პარიზული ცენტრის მებრძოლ რაზმს

**** ამიერკავკასიის დელეგაციებს.
თბილისიდან გვატყობინებენ, რომ ცენტრში გვყავს გამყიდველები. ერქომაიშვილი, ღოღობერიძე, ფირუმოვი და სხვები ღებულობენ ზუსტ ცნობებს. მართალია, თქვენ ეწინააღმდეგებით ჩვენს აქტიურ მოქმედებებს, მაგრამ ვალიკო ჯუღელისა და დაპყრობილი სამშობლოს განთავისუფლებისთვის სხვა მებრძოლების დაკარგვის შემდეგ, სამოქალაქო მოვალეობად ვთვლით, დავსაჯოთ და გავანადგუროთ გამყიდველები. მოგმართავთ თხოვნით, დაგვეხმაროთ, აღვასრულოთ ჩვენი პირდაპირი მოვალეობა. ამ წერილის წარმომდგენს გადაეცა ინსტრუქცია ზეპირი ფორმით.
მებრძოლი რაზმის აღმასრულებელი კომიტეტი. კონსტანტინოპოლი, 14 ოქტომბერი, 1924 წელი. მიწერილობა ქართულ ენაზე (ასლი ერთეის).

1924 წლის აგვისტოს აჯანყების შემდგომ პერიოდში საბჭოთა დიპლომატიური წარმომადგენლობა საბჭოთა საქართველოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ინფორმაციის ნაკლებობას განიცდიდა და სასწრაფოდ ითხოვდა საქართველოდან წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების გაგზავნას.

1924 წლის 25 ნოემბერს საქართველოს კპ (ბ) ცკ-ის მდივანმა კოსტანიანმა საიდუმლო წერილით (პირადად) მიმართა ამხ. ტერ-გაბრიელიანს (თანამდებობა არ ჩანს):

„Препровождая книги и газеты по прилагаемому при сём списку, ЦК КПГ просит в самом срочном порядке по аэропочте отправить их т. Пирумову*".[314]

საბჭოთა ხელისუფლება ევროპაში არსებულ ანტისაბჭოთა ემიგრაციასთან მუშაობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და ამისათვის სახსრებს არ იშურებდა, ამას მოწმობს ამონარიდები შემდეგი ორი დოკუმენტიდან:

„Распорядительное заседание ЗСНК от 11 декабря с.г. протокол № 55/с, по пункту «О средствах на работу среди эмиграции в Европе», постановило задолженность Парижского Представительства Упол. НКВТ СССР в ЗСФСР списать за счет нашего учреждения.

Управление УполНКВТ СССР в ЗСФСР своего представителя в Париже не имеет, а потому мы не имеем ни каких сведений о вышеуказанной задолженности."

Прошу сообщить сумму и происхождение этой задолженности**.

Аваков [4]

„В ответ на Ваш запрос от 29/XII– с.г. № 922/с сообщаю, что комиссия по работе среди эмиграции /Пирумов, Гоголеридзе/ задолжалась не «Парижскому Представительству», а Берлинскому Представительству, Упол. НКВТ в Закавказьи, в сумме около 1000 долларов – /точную цифру не помню/. В постановлении ЗКК РКП/б/ о списании этого долга было формулировано без указания суммы. Задолженность комиссии по работе среди эмиграции Берлинского Представительства Упол. НКВТ, на первое ноября 1925 г. – списать за счет Упол. НКВТ.

Л. ГОГОБЕРИДЗЕ.***" [311]

---

* გიგზავნით წიგნებს და გაზეთებს თანდართული სიის მიხედვით. სკპ ცკ ითხოვს ძალიან სწრაფად, საჰაერო ფოსტით გაუგზავნოთ ისინი ამხ. ფირუმოვს.

** „ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს გამწესრიგებელმა სხდომამ (ოქმი N 55/ც, ა.წ. 11 დეკემბერი) „ევროპაში ემიგრაციასთან მუშაობის სახსრების შესახებ „საკითხის განხილვის შემდეგ დაადგინა ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის პარიზის წარმომადგენლობის დავალიანების ჩამოწერა ჩვენი უწყების ხარჯზე.
ამიერკავკასიის სფსრ-ში სსრკ-ის საგარეო ვაჭრობის რწმუნებულობის სამმართველოს თავისი წარმომადგენლობა პარიზში არ გააჩნია. ამდენად, ჩვენ არ გვაქვს რაიმე ინფორმაცია ზემოალნიშნულ დავალიანებასთან დაკავშირებით.
გთხოვთ, გვაცნობოთ ამ დავალიანების ოდენობა და წარმომავლობა".
ავაქოვი.

*** თქვენი ამა წლის 29 დეკემბრის N 922/ც შეკითხვაზე გაცნობებთ, რომ ემიგრაციასთან მუშაობის კომისიას (ფირუმოვი, ღოღობერიძე) გააჩნია ამიერკავკასიაში საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლობის მიმართ არა პარიზის, არამედ ბერლინის წარმომადგენლობის

არქივში დაცული დოკუმენტებიდან ცალსახად ჩანს, რომ ს. ფირუმოვი (ლ. ლოლობერიძესთან ერთად იყო ემიგრაციასთან მუშაობის კომისიის წევრი) პასუხს აგებდა არა მარტო ანტისაბჭოთა ქართული ემიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზებასა და შესაბამისი ინფორმაციის მოწოდებაზე, არამედ, ზოგადად, ამიერკავკასიის ხალხთა ემიგრაციაში მიმდინარე მოვლენებზე.

საინტერესოა ს. ფირუმოვის მიერ საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო ორგანიზაციისადმი გაგზავნილი 1926 წლის 6 დეკემბრით დათარიღებული სრულიად საიდუმლო გრიფის ანგარიშის (ასლები 1927 წლის 13 იანვარს გაეგზავნათ აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს კპ (ბ) ცკ-ის მდივნებს კარაევს, იოანისიანს და კახიანს) ერთი მონაკვეთი, რომელიც აზერბაიჯანულ ემიგრაციასა და სხვა საინტერესო საკითხებს ეხება:

„Касаюсь этого вопроса только потому, что в Париж приехал Хосров-Бек-Султанов, который вместе с Рамишвили является самым деятельным руководителем новой Украйно-Кавказской комбинации. Но так как во Франции не существует никакой Азербаиджанской политической эмиграции, то надо полагать, что приезд Султанова связан с переговорами с Поляками, полковником Шевалье и др., поскольку Султанов является тем мостом, который перекидывается в этом деле из Варшавы в Константинополь.

Необходимо обратить самое серьезное внимание на нашу границу, особенно в аджаристане и серьезно «обработать» Хопу, которая по-видимому является главным пунктом всех операций против нас. Хорошая осведомительная работа в Хопе, принесет нам огромную помощь, парализует все шаги наших врагов и по настоящему обеспечит нашу границу, которая благодаря своему географическому положению очень трудно охраняема.

Хорошо поставлена сеть агентуры в Хопа и других значительных пунктах у нашей границы, является сейчас вопросом первостепенной важности*“.[312]

ს. ფირუმოვის მოხსენების ამ მონაკვეთიდანაც ჩანს, თუ როგორ კარგად იყო ის გათვითცნობიერებული აგენტურულ საქმიანობაში, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს საბჭოთა საგარეო დაზვერვასთან მისი მჭიდრო თანამშრომლობის ფაქტს.

---

დავალიანება დაახლოებით 1000 დოლარის ოდენობით (ზუსტი ციფრი არ მახსოვს). ზემოაღნიშნული დავალიანების ჩამონერასთან დაკავშირებით რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო ორგანიზაციის დადგენილება ფორმულირებული იყო თანხის მითითების გარეშე. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის წარმომადგენლობის დავალიანება ემიგრაციასთან მუშაობის კომისიის ბერლინის წარმომადგენლობის მიმართ 1925 წლის 1 ნოემბრისათვის ჩამოეწეროს საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულობას.

* აღნიშნულ საკითხს ვეხები მხოლოდ იმიტომ, რომ პარიზში ჩამოვიდა ხოსროვ-ბეკ-სულთანოვი, რომელიც რამიშვილთან ერთად წარმოადგენს ახალი, უკრაინა-კავკასიის კომბინაციის ყველაზე ქმედით ხელმძღვანელს. იმის გამო, რომ საფრანგეთში არ არსებობს არავითარი აზერბაიჯანული ემიგრაცია, უნდა ვივარაუდოთ, სულთანოვის ჩამოსვლა დაკავშირებულია პოლონელებთან, კერძოდ, პოლკოვნიკ ა. შევალიესთან და სხვებთან მოლაპარაკებების დაწყებასთან, ვინაიდან სულთანოვი წარმოადგენს იმ ხიდს, რომელიც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, გადაჭიმულია ვარშავასა და კონსტანტინოპოლს შორის. საჭიროა სერიოზული ყურადღება მიექცეს ჩვენს საზღვრებს, განსაკუთრებით აჭარისტანში და სერიოზულად „დამუშავდეს“ ხოფა, რომელიც, როგორც ჩანს, წარმოადგენს ჩვენს წინააღმდეგ წარმართული ოპერაციების მთავარ პუნქტს. ხოფაში კარგი საინფორმაციო საქმიანობის ორგანიზაცია გაგვიწევს ჩვენ საკმაოდ დიდ დახმარებას,მოახდენს ჩვენი მტრების მიერ გადადგმული ნაბიჯების პარალიზებას და რეალურად უზრუნველყოფს უსაფრთხოებას ჩვენი საზღვრისა, რომელიც მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ძნელად დასაცავია. ჩვენი საზღვრის შორიახლოს, ხოფასა და სხვა მნიშვნელოვან პუნქტებში აგენტთა ქსელის კარგად დაყენებას ამჟამად პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება.

საბჭოთა წარმომადგენლობისა და დაზვერვის რეზიდენტურის საქმიანობის ორგანიზაციული და ფინანსური უზრუნველყოფის ამსახველი ერთი საინტერესო დოკუმენტის ასლს მივაკვლიეთ საქართველოს შსს-ს არქივში. ეს არის პარიზში ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სრულუფლებიანი წარმომდგენლობის 1927 წლის ბიუჯეტის პროექტი (ნაბეჭდი ეგზემპლარი, ხელმოუწერელი). დოკუმენტი განკუთვნილია ვინმე ამხანაგ ჰუსეინოვისადმი, ასლი კი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისადმი. დოკუმენტის ავტორი უცნობია, თუმცა, ვფიქრობთ, ს. ფირუმოვი უნდა იყოს. ამის თქმის უფლებას გვაძლევს ის ფაქტი, რომ ზემოაღნიშნული დოკუმენტის შედგენა ემთხვევა ს. ფირუმოვის სასწრაფოდ გამოცხადებას თბილისში 1926 წლის ნოემბრის ბოლოს. დოკუმენტის ანალიზი საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ საფრანგეთში საბჭოთა კავშირის საელჩოს სტრუქტურაში არსებული ამიერკავკასიის ფედერაციის წარმომადგენლობა ფედერალური ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა. ამავე ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა დაზვერვის რეზიდენტიც.

აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, 1927 წლის ბიუჯეტი წინა წელთან შედარებით 60%-ით იყო შემცირებული. ირკვევა ისიც, რომ საზღვარგარეთ ფინანსურ ხარჯებთან დაკავშირებით ყველა გადაწყვეტილებას იღებდა სკკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო ორგანიზაცია.

ამიერკავკასიის წარმომადგენლობის ყოველთვიური ხარჯები საფრანგეთში 1927 წლისათვის შემდეგნაირად იყო განაწილებული:

„Дотация армянской газеты (постановление Закрайкома) – 910 долларов;

Содержание товарища Чубара (согласно ставки Полпредства и постановление Закрайкома) – 180 долааров;

Поддержка парторганизации (согласно постановления Заккрайкома) – 100 долларов;

Содержание отдельных лиц имеющих специальные задания (согласно постановления Заккрайкома) – 165 долларов (значительно меньше, чем ассигнование Зак. К.К.);

Армянской и Грузинской Совколонии (согл. пост. Зак. К.К ) – 200 долларов;

Резиденту (согл. пост. Зак. К.К ) – 500 долларов;

Вешапели продолжается выплачивание жалование мужа – основание совершенно понятны – 150 долларов;

Стипендия Ш. Мдивани (согл. пост. ГрузСовнаркома для поручении) – 50 долларов;

Единственному моему сотруднику и переводчику (Согласно ставки Полпредства) – 90 долларов;

Диппочта очень большая, ввиду необходимости посылать потребные Заккрайкому все Кавказские периодические издания и книги – около 30 долларов;

Телеграфные расходы, включая и шифровки – около 60 долларов;

Представительские – 100 долларов;

Поддержка Челокаевской организации (за исключением последнего месяца) – 180 долларов;

ИТОГО: 2 715 долларов*". [302]

დოკუმენტიდან ჩანს, რომ საფრანგეთში 1927 წლისათვის საბჭოთა წარმომადგენლობა უცხოური ვალუტის ხარჯვას გეგმავდა ქართული საბჭოთა კოლონიის, გრ. ვეშაპელის ქვრივის, ქ. ჩოლოყაშვილის ორგანიზაციისა და სპეციალური დავალების მქონე პირთა დასაფინანსებლად. ამ უკანასკნელში, ჩვენი აზრით, უნდა იგულისხმებოდნენ ის პირები (აგენტები), რომლებიც ემიგრაციაში ფარულ საქმიანობას ეწეოდნენ. დოკუმენტში ასევე მითითებულია, რომ აღნიშნულის გარდა, თვე არ გავიდოდა, წარმომადგენლობაში არ ყოფილიყო დაუგეგმავი ხარჯები, დაკავშირებული სტუდენტების სამშობლოში დაბრუნებასთან, ამიერკავკასიიდან საფრანგეთში საჭირო პირთა მივლინებასთან, სხვადასხვა ლიტერატურის შეძენასთან, ადვოკატების მომსახურებისათვის (აკოპიანის, ხირიანის, ვეშაპელის, ლიონის, 9 აგვისტოს საქმეები) და სხვა.

ანტისაბჭოთა ქართული ემიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში გასათვალისწინებელი იყო ის გარემოებაც, რომ საზღვარგარეთ ბედის უკუღმართობით გადახვეწილ ქართველებს ღია თუ ფარული ურთიერთობა საბჭოთა დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან მაინც ქართველის შუამავლობით ერჩიათ და ეადვილებოდათ. ამდენად, მათთვის ს. ფირუმოვის პიროვნება არცთუ ისე მისაღები იყო. ვ. ალიხანაშვილი ამასთან დაკავშირებით მიანიშნებს: „ჩემი იქ მუშაობის დროს მრავალჯერ მქონდა შემთხვევა, როდესაც ამხანაგები მეუბნებოდნენ, მაგ., ვლასა მგელაძე, გიორგი ფოფხაძე, არ. არავიაშვილი, გ. ერაძე და სხვები, „მიგვიყვანეთ ქართველთან და ჩვენ საწინააღმდეგო არა გვაქვს რა მოლაპარაკებების დასაწყებადო. იყო შემთხვევა, როდესაც მუშები მოითხოვდნენ, ა/კ წარმომადგენელ ფირუმოვთან ნუ მიგვიყვან, ჩვენ მიგვიყვანეთ ბუდუ მდივანთან და საბჭოთა ხელისუფლებას ჩვენ შევურიგდებითო! რასაკვირველია, ეს შოვინიზმს არ უნდა მივაწეროთ, არამედ ეს ერთგვარი ინსტინქტური თუ ფსიქოლოგიური ლტოლვაა უცხოეთში, რომ ქართველმა ქართველთან დაიწყოს თავის დედა-ენაზედ სადავო კითხვებზე მოლაპარაკება, ამით იგი უფრო ერთგვარ სულიერ კმაყოფილებას გრძნობს". [255]

---

* „სომხური გაზეთის დოტაცია (ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის დადგენილებით) – 910 დოლარი;
ამხანაგ ჩუბარის შენახვა (წარმომადგენლობის განაკვეთის თანახმად, ამიერკავკასის სამხარეო კომიტეტის დადგენილებით) – 180 დოლარი;
პარტორგანიზაციის მხარდაჭერა ( ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის დადგენილებით) – 100 დოლარი;
შენახვა ცალკეული პირებისა, რომელთაც აქვთ სპეციალური დავალებები (ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის დადგენილება) – 165 დოლარი;
სომხური და ქართული კოლონიები (ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის დადგენილება) – 200 დოლარი;
რეზიდენტს (ასკ-ის დადგენილებით) – 500 დოლარი;
გრძელდება ვეშაპელის მეუღლისათვის დახმარების გაწევა გასაგები მიზეზების გამო – 150 დოლარი;
შ.მდივნის სტიპენდია (საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით) – 50 დოლარი;
ჩემი ერთადერთი თანამშრომლისა და თარჯიმნისთვის (სრულუფლებიანი წარმომადგენლობის განაკვეთის თანახმად) – 90 დოლარი;
დიპლომატიური ფოსტა დიდია, იმის გამო, რომ საჭიროა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მიერ მოთხოვნილი კავკასიური პერიოდული გამოცემებისა და წიგნების გაგზავნა – დაახლ. 30 დოლარი;
სატელეგრაფო დანახარჯები, შიფრდეპეშების ჩათვლით – დაახლოებით 60 დოლარი;
წარმომადგენლობითი - 100 დოლარი;
ჩელოკაევის ორგანიზაციის მხარდაჭერა (ბოლო თვის გამოკლებით) – 180 დოლარი.
სულ – 2715 დოლარი".

## გაზეთი „ახალი საქართველო“ საბჭოთა იდეოლოგიის სამსახურში და გრიგოლ ვეშაპელის მკვლელობა

სსრ კავშირის შექმნიდან სულ მოკლე ხანში, საბჭოთა იდეოლოგიამ ფართომასშტაბიანი კამპანია გააჩაღა ემიგრანტების სამშობლოში დასაბრუნებლად, რაც მათი საშინაო და საგარეო პოლიტიკური კურსის ჰუმანურობის დადასტურება უნდა ყოფილიყო. შესაბამისი დავალებები მიიღეს საზღვარგარეთის საბჭოთა წარმომადგენლობებმა და საგარეო დაზვერვის რეზიდენტურებმა.

საბჭოთა ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი ემიგრანტების სამშობლოში დაბრუნება დაისახა მიზნად საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებამაც, რომლის მთავარი ამოცანა ნოე ჟორდანიასთან დაპირისპირებული ქართული პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენლების საქართველოში ჩამოყვანა და მათი პროპაგანდისტული ღონისძიებებისათვის გამოყენება იყო.

უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო საზღვარგარეთ, ქართულ ემიგრაციაში საბჭოთა იდეოლოგიის სასარგებლო საქმიანობის ორგანიზება, რასაც შესაბამისი ბაზის მომზადება სჭირდებოდა. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო ქართული საბჭოთა კოლონიების ფორმირება. საბჭოთა იდეოლოგია დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საზღვარგარეთ პროსაბჭოთა ბეჭდვითი ორგანოს – გაზეთის გამოცემას.

იმ ქვეყნების დედაქალაქებში, სადაც თავმოყრილი იყო ქართული პოლიტიკური ემიგრაცია (პარიზი, ბერლინი, პრაღა, ვარშავა), აკრედიტებულ საბჭოთა წარმომადგენლობებში მივლინებულ იქნენ ცნობილი ქართველი იდეოლოგიური მუშაკები, ხოლო საბჭოთა დაზვერვის რეზიდენტურებში საბჭოთა საქართველოს სპეცსამსახურების თანამშრომლები, რომლებიც ძალასა და ღონეს არ იშურებდნენ ქართველი ემიგრანტების საქართველოში დასაბრუნებლად და ანტისაბჭოთა ემიგრაციის წინააღმდეგ სპეცღონისძიებების გასატარებლად.

1924 წლის აგვისტოს აჯანყების დამარცხების შემდეგ, ქართველმა სოციალდემოკრატებმა ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში განვითარებულ რთულ პროცესებს თითქოსდა თავი დააღწიეს, მაგრამ დროებით. „მოულოდნელად“ საბჭოთა პოზიციებზე დადგა ცნობილი ქართველი ჟურნალისტი და პოლიტიკური მოღვაწე, დამფუძნებელი კრების ყოფილი წევრი გრიგოლ ვეშაპელი. ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ კონსტანტინოპოლში ყოფნისას მოუწოდებდა ქართველ ემიგრანტებს სამშობლოში, საბჭოთა საქართველოში დაბრუნებისკენ, იშველიებდა რა არგუმენტებად ბოლშევიკების მიერ გამოცემულ დეკრეტებს. თვით გრ. ვეშაპელი საბჭოთა პოზიციებზე დადგომას შემდეგნაირად ხსნიდა: „ჩემი თანამშრომლობა ძველ მთავრობასთან გათავდა 1924 წლის მაისის 18, როცა ნ. ჟორდანიამ მიიღო და ძალაში შესულად გამოაცხადა „დამოუკიდებლობის კომიტეტის“ დადგენილება პარიზში არსებული დამფუძნებელი კრების გაფართოებული პრეზიდიუმის“ გაუქმების შესახებ. ს. ფირუმოვის აზრით, გრ. ვეშაპელის ეს გადაწყვეტილება მოულოდნელი არ ყოფილა. მას საქართველოს ემიგრანტულ მთავრობასთან კონტაქტები გაუწყვეტია მას შემდეგ, რაც გაუგია საქართველოში აჯანყების მოწყობის შესახებ მენშევიკთა გადაწყვეტილების თაობაზე: „გრ. ვეშაპელმა გასწყვიტა ყოველგვარი კავშირი მის ყოფილ მოკავშირეებთან და 10 თვის განმავლობაში მუშაობდა პარიზის ერთ-ერთ ქარხანაში. 1924 წლის ივნისში ინახულა

პარიზში ერთი პასუხიმგებელი პირი, რომელსაც განუცხადა, რომ იგი მზადაა დაბრუნდეს საქართველოში".[24]

ზემოაღნიშნული ერთ-ერთი პასუხისმგებელი პირი გახლდათ ცნობილი ქართველი ბოლშევიკი ბუდუ მდივანი, რომელიც 1924 წლის დეკემბერში დაინიშნა ამიერკავკასიის ფედერაციის სავაჭრო-ეკონომიკურ წარმომადგენლად საფრანგეთში. ბ. მდივნის საზღვარგარეთ ყოფნას ადასტურებს გენერალი შალვა მაღლაკელიძეც თავის მემუარებში, თუმცა უცხოეთში მივლინების წლად მიანიშნებს 1923 წელს, ხოლო ადგილად – პრაღას.[64]

გრ. ვეშაპელმა ბუდუ მდივანთან საზღვარგარეთ კონფიდენციალური შეხვედრის თაობაზე 1924 წლის იენისში აცნობა პარიზში ჩასულ ი. სტალინის ცოლისძმას და მის პირად წარმომადგენელს ალექსანდრე სვანიძეს.

გრ. ვეშაპელის ამ გადაწყვეტილებაზე უნდა ემოქმედა მის განაწყენებას დევნილი მთავრობის მიმართ. ამის მიზეზი შეიძლება ყოფილიყო ქართული, განახლებული ემიგრანტული მთავრობიდან მისი გამოყვანა და მის მაგივრად სპ. კედიას არჩევა, თუმცა ის უკვე მანამდე არღვევდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შიდაპარტიულ დისციპლინას – არ ესწრებოდა კრებებსა და ეროვნულ-დემოკრატთა მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებს. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარმა კომიტეტმა 1923 წლის 12 დეკემბერს მისი პერსონალური საკითხიც კი განიხილა.

საბჭოთა ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდა საზღვარგარეთ გრ. ვეშაპელის მდგომარეობის გასამყარებლად და მას ყველა დონეზე, მათ შორის დიპლომატიურ დონეზე უწევდა მხარდაჭერას. გრ. ვეშაპელი მჭიდრო კონტაქტში იყო ს. ფირუმოვთან და ამ უკანასკნელის უშუალო მითითებით მოქმედებდა.

გრ. ვეშაპელის საქმიანობის მთავარი ამოცანა იყო ქართველების „ემიგრაციასთან იდეოლოგიური და ორგანიზაციული კავშირის გაწყვეტა ერთხელ და სამუდამოდ და გამონახვა გზებისა საბჭოთა საქართველოსკენ". ამ პროცესში საბჭოთა ხელისუფლება მთავარ დასაყრდენად თვლიდა ყველაზე უფრო ენერგიულ და გაბედულ მასას – სტუდენტობას, რომელიც „პოეტ ნ. მიწიშვილის მოხდენილი გამოთქმით, „თავისუფალი იყო მამათა პარტიული ცოდვებისაგან".[24]

საბჭოთა ხელისუფლების მხარდაჭერით, ანტისაბჭოთა ემიგრაციის დისკრედიტაციისა და ემიგრანტთა ნაწილის დაბრუნების იდეოლოგიური უზრუნველყოფისათვის, გრ. ვეშაპელმა საზღვარგარეთ 1924 წლის ნოემბერში დააარსა გაზეთი „ახალი საქართველო". რეემიგრაციის პროცესის გაშუქებასა და საბჭოთა საქართველოს მოსახლეობის ამ კუთხით ინფორმირებაში აქტიურად მონაწილეობდა გაზეთი „კომუნისტი", რომელიც სისტემატურად აქვეყნებდა გაზეთ „ახალ საქართველოში" დაბეჭდილ სტატიებს. გაზეთის პირველმა ნომერმა დიდი ინტერესი გამოიწვია ქართულ ემიგრაციაში. მის სახელზე მიდიოდა როგორც სოლიდარობის, ასევე საკუთარი შესაძლებლობების შეთავაზების სურვილის გამომხატველი წერილები. მის გამოცემას მომენტალურად გამოეხმაურა საფრანგეთის პროკომუნისტური პრესა.

ჯერ კიდევ 1924 წლის დეკემბრისათვის გაზეთ „ახალი საქართველოს" გამოცემას პარიზში სერიოზული პრობლემები შეექმნა. ერთადერთი ასოთამწყობი იმდენად იყო შეშინებული სოციალ-დემოკრატებისგან (საგანგებო რაზმის ყო-

ფილი წევრებისაგან), რომ შემდეგი ნომრის აწყობისაგან თავი შეიკავა. რთულ ვითარებაში აღმოჩნდა თვით გრ. ვეშაპელიც, რომელიც იძულებული იყო, ბერლინში გამგზავრებულიყო და შემდეგი ნომრის აწყობის ორგანიზაცია გერმანიაში განეხორციელებინა. გრ. ვეშაპელმა შექმნილი ვითარების თაობაზე მოახსენა ს. ფირუმოვს, რომლისგანაც შესაბამისი რჩევა-დარიგებები მიიღო. გადაწყდა, ახალი ასოთამწყობის მოძებნამდე, ან თბილისიდან ვინმე სხვა პიროვნების გამოძახებამდე, „ახალი საქართველოს" შემდეგი ნომერი ბერლინში გამოსულიყო. ეს აუცილებელი იყო იმდენად, რამდენადაც საბჭოთა ხელისუფლებას არ სურდა მათი იდეოლოგიის მთავარი ინსტრუმენტის – გაზეთის შეფერხებით დაფიქსირებულიყო სოციალ-დემოკრატების გამარჯვება. გაზეთის გამოცემის ხელშეწყობა მნიშვნელოვან ღონისძიებად მიაჩნდა საბჭოთა საგარეო დაზვერვასაც.[297]

ანტისაბჭოთა ქართული ემიგრაცია თვლიდა, რომ გაზეთი „ახალი საქართველო" მთლიანად საბჭოთა ხელისუფლების მიერ არალეგალურად ფინანსდებოდა და, შესაბამისად, მისი პოლიტიკური ნების აღმსრულებელი იყო. ასე არ ფიქრობდა გაზეთის რედაქტორ-გამომცემელი: „მოსკოვის ოქროთი ვაჭრობა ჩვენ არ გვჭირია – გაზეთი „ახალი საქართველო" ნება დართულია ლეგალურათ გასასყიდათ მთელ საქართველოში. ჩვენ იქ ვყიდით 1000 ცალამდე. თითო ცალი ხუთი ფრანკის ანგარიშით. სდგება ისეთი თანხა, რომელიც ჩვენს რედაქციასაც ყოფნის და სტამბასაც", – მიანიშნებს გრ. ვეშაპელი, თუმცა თბილისში პარიზიდან მიღებული ერთ-ერთი საიდუმლო შეტყობინებიდან ჩანს, რომ საქმე მთლად ასე არ უნდა ყოფილიყო. ავტორი გადაჭრით ამბობს: „Необходимо увеличить смету на грузинскую газету еще на долларов 100 в месяц, так-как фактический расход в Париже оказался выше предполагаемой в Тифлисе цифры*".[313]

ა. კოლპაკიდი და დ. პროხოროვი წიგნში „КГБ – Спецоперации Советской разведки**" პირდაპირ მიანიშნებენ, რომ „ახალი საქართველო" იყო საბჭოთა გაზეთი: „9 июня в Париже эмигрантом-меньшевиком Мерабишвили был убит редактор советской газеты «Новая Грузия» Г. Вешапели***.[38]

გაზეთის გამოცემასთან დაკავშირებით ქართველებში ატყდა ერთი მითქმა-მოთქმა, ვრცელდებოდა სხვადასხვა სახის ჭორი თუ სინამდვილე, იმატა ემიგრანტებს შორის ურთიერთქიშპობამ, რის გამოყენებასაც ცდილობდნენ საქართველოს ხელისუფლების სპეცსამსახურების წარმომადგენლები.

მართალია, ქართველების ერთმანეთისთვის წაკიდებაში გრ. ვეშაპელმა და გაზეთმა „ახალმა საქართველომ" დიდი როლი ითამაშეს, თუმცა მის გამოცემას ახლდა მთელი რიგი ხარვეზებისა. კერძოდ, გაზეთის საქმიანობაში არ იყო ჩართული ფართო მასები, ის მთლიანად იყო დამოკიდებული საბჭოთა ხელისუფლებაზე, მის ფინანსურ მხარდაჭერაზე და ემსახურებოდა ვიწროპარტიულ ინტერესებს. მიუხედავად ამისა, გრ. ვეშაპელი და მისი რედაქტორობით გამომავალი გაზეთი იყო ერთადერთი იდეოლოგიური საყრდენი საბჭოთა ხელისუფლებისა საზღვარგარეთ. გრ. ვეშაპელის პროსაბჭოთა აქტიურობა მხედველობიდან არ

---

* აუცილებელია ქართული გაზეთისთვის ხარჯთაღრიცხვის გაზრდა თვეში კიდევ 100 დოლარით, ვინაიდან პარიზში ფაქტობრივი დანახარჯები თბილისში დაგეგმილზე უფრო მეტი გამოვიდა.

** სუკ – საბჭოთა დაზვერვის სპეცოპერაციები

*** 9 ივნისს პარიზში მენშევიკმა ემიგრანტმა მერაბიშვილმა მოკლა საბჭოთა გაზეთ „ახალი საქართველოს" რედაქტორი გრ. ვეშაპელი.

გამორჩენია საფრანგეთის პოლიციასა და სპეცსამსახურებს. 1925 წლის დეკემბერში იყო მცდელობა გრ. ვეშაპელის ქვეყნიდან გაძევებისა, თუმცა საბჭოთა ხელისუფლება და მისი სპეცსამსახურები იმდენად იყვნენ დაინტერესებული ამ უკანასკნელის საზღვარგარეთული მოღვაწეობით, რომ მის შესანარჩუნებლად ყველა ზომას მიმართავდნენ.

ნოე რამიშვილი ცდილობდა წინ აღდგომოდა საბჭოთა ხელისუფლებისა და მისი სპეცსამსახურების ქმედებებს, მიმართულს დევნილი მთავრობისა და ზოგადად, ქართული ემიგრაციის დისკრედიტაციისა, დაშლისა და მათი ერთი ნაწილის „ნებაყოფლობით" სამშობლოში დაბრუნებაზე დაყოლიებისაკენ, რისთვისაც საჭირო იყო შესაბამისი ინფორმაციის მოპოვება. ამ ამოცანის გადასაჭრელად გრ. ვეშაპელის გარემოცვაში აღმოჩნდნენ ნ. რამიშვილის ნდობით აღჭურვილი პირები: ლ. ხაჩიძე, ვ. გაბელაშვილი და ტულუში. მიღებული ინფორმაციები ცხადყოფდა, რომ თუ გრ. ვეშაპელი და მისი მხარდამჭერები საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლო საქმიანობას კვლავ გააგრძელებდნენ, ქართულ ემიგრაციას დაშლა დაემუქრებოდა.

გრ. ვეშაპელთან და მის საქმიანობასთან მიმართებით ანტისაბჭოთა ქართულ ემიგრაციაში იმთავითვე დაისვა ვითარების მათ სასარგებლოდ შეცვლის გზების ძიების საკითხი. ეს იყო, უპირველეს ყოვლისა, ფართო კონტრპროპაგანდისტული ღონისძიებების ორგანიზება, გამორიცხული არ იყო ძალისმიერი მეთოდების გამოყენება. ამ თვალსაზრისით დიდი როლი ითამაშა ქართველ სოციალ-დემოკრატთა და ეროვნულ-დემოკრატთა საზღვარგარეთ გამომავალმა ბეჭდვითმა ორგანოებმა „ბრძოლამ" და „სამშობლომ", სადაც იბეჭდებოდა გრ. ვეშაპელისა და მისი გაზეთის საქმიანობის მამხილებელი სტატიები. ამას გარდა, როგორც ჩანს, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, აქტუალური რჩებოდა გრ. ვეშაპელის მიმართ ძალის გამოყენებაც.

1924 წლის მიწურულს ბერლინში გამოჩნდა ქართველი ემიგრანტი ავთანდილ მერაბიშვილი, რომელმაც თავისი მეგობრის, ემიგრანტ საღირაშვილის მეშვეობით აქტიურად დაიწყო კონტაქტის დამყარება ქართულ ანტისაბჭოთა პოლიტიკურ ემიგრაციასთან, წარმოაჩინა თავისი თავი, როგორც საბჭოთა კავშირის დაუძინებელმა მოწინააღმდეგემ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ა. მერაბიშვილი სწავლობდა თბილისის დრამატულ სტუდიაში, შემდეგ კი მუშაობდა საფეიქრო სინდიკატში. ემიგრაციაში ყოფნისას ბერლინის ქართველ ემიგრანტთა ერთმა ნაწილმა ა. მერაბიშვილი საბჭოთა სპეცსამსახურებთან კავშირში დაადანაშაულა და დაყენა მისი ქვეყნიდან გაძევების საკითხი. ახსნა-განმარტებებისათვის ა. მერაბიშვილმა ქართველ ემიგრანტებთან შეხვედრა ითხოვა. შეხვედრაზე მან აღიარა, რომ ის ბერლინში გაგზავნილ იქნა საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ სპეციალური დავალებით, რომლის მთავარი მიზანი იყო ემიგრაციაში მიმდინარე პროცესების, განსაკუთრებით ანტისაბჭოთა ქმედებების, შესწავლა და გამოაშკარავება. მისი განმარტებით, საბჭოთა დაზვერვასთან ფარული თანამშრომლობა მან იკისრა მხოლოდ იმ მოტივით, რომ საბჭოთა კავშირიდან ემიგრაციაში წასვლა მოეხერხებინა, ხოლო შემდგომ ებრძოლა საქართველოს მტრების წინააღმდეგ. ის საკუთარ დამსახურებად მიიჩნევდა გერმანიაში საბჭოთა საელჩოს თანამშრომლების ინტიმური ცხოვრების გამოაშკარავებას. მან

დაასახელა ზოგიერთი ქართველი ემიგრანტი, რომელსაც, თითქოსდა, კავშირი ჰქონდა საბჭოთა საელჩოსთან (სხვებს შორის მიანიშნა დავით ღამბაშიძეზე – ვახტანგ ღამბაშიძის ძმაზე).

ა. მერაბიშვილის ინციდენტმა ქართველებში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. ბერლინის ქართველ ემიგრანტებს შორის სიტუაცია იმდენად დაიძაბა, რომ სათვისტომოს თავმჯდომარემ გიორგი კერესელიძემ ა. მერაბიშვილი 1925 წლის დასაწყისში საფრანგეთში გაამგზავრა, რადგან პარიზში მის პიროვნებაში უკეთ გაერკვეოდნენ. საფრანგეთში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტთა უმეტესობა ა. მერაბიშვილთან ურთიერთობას გაურბოდა, ის პრაქტიკულად იზოლირებული იყო ქართველებისაგან. ა. მერაბიშვილი დარწმუნდა, თუკი იმ პერიოდში ქართული პოლიტიკური ემიგრაციის სასარგებლო რაიმე ქმედებას განახორციელებდა, მაგალითად, აქტიური პროსაბჭოთა აგიტაციით დაკავებულ გრ. ვეშაპელს ფიზიკურად გაუსწორდებოდა, ქართველ ემიგრანტთა თვალში მისი სრული რეაბილიტაცია მოხდებოდა.

ს. ფირუმოვი თვლიდა, გრ. ვეშაპელის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო, რაშიც ლომის წილი ნ. რამიშვილს ეკუთვნოდა. გრ. ვეშაპელის წერილების კრებულის წინასიტყვაობაში ს. ფირუმოვი წერდა: „რამიშვილმა დაიწყო მზადება მკვლელობისათვის". ამას თითქოსდა ყველა გრძნობდა. „თითონ ვეშაპელმა იცოდა ეს. როგორც დევნილი ნადირი, გადადიოდა ის ბინიდან ბინაზე, ფარავდა თავის კვალს და ამავე დროს, გაურბოდა საფრანგეთის პოლიციას, რომელმაც გადაწყვიტა დახმარებოდა სოციალ-დემოკრატებს და ქვეყნიდან გაეძევებია მათი ყველაზე შეურიგებელი მტერი.

ის თითქოსდა მარტოდ მარტო იყო ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში".[24]

1925 წლის 9 აგვისტოს პარიზში, თეატრ ოდეონის მოედანთან, კაფე „ვოლტერში", უნდა გამართულიყო პარიზის ქართული „საბჭოთა კოლონიის" დამფუძნებელი კრება, რომელზეც სიტყვით უნდა გამოსულიყო გრ. ვეშაპელი. შეკრება ჯერ არ იყო დაწყებული, როდესაც კაფეში შეიჭრა თეთრგიორგელთა ჯგუფი, რომელმაც, დაშლის მოტივით, იქ მყოფთ ხელჩართული ბრძოლა გაუმართა. დაგვიანებით მოსულმა პოლიციამ ინციდენტის ყველა მონაწილე, მათ შორის გრ. ვეშაპელი, დააკავა და პოლიციაში წაიყვანა. ახსნა-განმარტებების ჩამორთმევის შემდეგ ჩხუბის ყველა მონაწილე გაათავისუფლეს.

ზემოაღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გაზეთი „კომუნისტი" იტყობინებოდა: „კრებას, რომელზეც მონაწილეობას იღებდა 20 კაცი, თავს დაესხა 40 შეიარაღებული ქართველი კონტრ-რევოლუციონური ორგანიზაციების წევრი. თავდამსხმელებმა ქუჩაში გამოჰყარეს შეკრებილები და დაუწყეს ცემა ქალებსაც კი. პოლიციამ დააპატიმრა 16 კაცი.

თავდამსხმელთა შორის იყვნენ კინწურაშვილი, რომელიც იმყოფებოდა საფრანგეთის სამხედრო სამსახურში, ქართველ მენშევიკური ორგანიზაციის მდივანი პარიზში ლორდელი, რომელიც ამავე დროს არის ფაშისტურ ორგანიზაციის „თეთრი გიორგის" წევრი, ნიკოლოზ დგებუაძე, სტუდენტ-ემიგრანტთა კავშირის თავმჯდომარე და აგრეთვე საფრანგეთის პოლიციის აგენტი მიხეილ კედია – მენშევიკურ განსაკუთრებულ რაზმის ყოფილი უფროსის შვილი და ქართული ფაშისტური ორგანოს „სამშობლოს" რედაქტორის ძმისწული (იგულისხმება სპ.

კედია – გ. ს.), შემდეგ შოთა ქარცივაძე – მენშევიკურ შინაგან საქმეთა მინისტრის აგენტი, ლიპარტია – ყოფილი შოფერი, გერასიმე გეგეჭკორი, ბოლქვაძე, აკაკი მეფარიშვილი, ფერაძე, მერაბიშვილი, მოსიძე, სიანი (სანაია -?), ტარიაშვილი, ბერნიანი (?) (ალბად ბერეჟიანი – გ. ს.), გრიგოლია და ზამბახიძე. დანარჩენ თავდამსხმელთა პიროვნება გამორკვეული არ არის.

მათ შორის იმყოფებიან სხვათა შორის ჩოლოყაშვილის ბანდის წევრები, რომლებიც პარიზში ჩავიდნენ შარშანდელ აჯანყების შემდეგ. რადგან დაპატიმრებულთა შორის იმყოფებოდა საფრანგეთის ოფიცერი (კინწურაშვილი), ყველანი მეორე დღესვე გაანთავისუფლეს".[148]

„კომუნისტის" ინფორმაციით, „ახალი საქართველოს" დამფუძნებელ კრებას ესწრებოდა მისი ორგანიზატორი, საქართველოს წარმომადგენელი საბჭოთა ხელოვნების პავილიონში ნიკოლოზ (ნიკოლო) მიწიშვილი.

მომხდართან დაკავშირებით, ადგილობრივ გაზეთებში მეორე დღესვე გაჩნდა სტატიები სათაურებით: „ქართველ პატრიოტთა თავდასხმა წითელი კოლონიის შეკრებაზე", „ახალგაზრდა ქართველმა პატრიოტებმა ჭკუა ასწავლეს გამყიდველებს" და სხვ.

გრ. ვეშაპელმა და მისმა თანამოაზრეებმა, ს. ფირუმოვის მხარდაჭერით, მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით სარჩელი შეიტანეს საფრანგეთის სასამართლოში. ამასთან დაკავშირებით, გაზეთი „კომუნისტი" იტყობინებოდა: „ამ ინციდენტის შემდეგ, საფრანგეთის ბურჟუაზიული პრესა და მილიუკოვის „პოსლედნიე ნოვოსტი" ეწევიან კამპანიას საბჭოთა საქართველოს მოქალაქეთა წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, უკანასკნელებმა გადაწყვიტეს მოიწვიონ თავიანთი საზოგადოების ახალი კრება. გარდა ამისა, მათ მიმართეს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობას თხოვნით, მიიღოს ისინი თავის მფარველობის ქვეშ და მოეპოვოს ის უფლებები, რომლითაც სარგებლობენ სხვა უცხოელები საფრანგეთში. იმ პირებმა, რომლებსაც თავს დაესხნენ, მიმართეს სასამართლოს სათანადო საჩივრით და თავიანთი ინტერესების დაცვა მიანდვეს ცნობილ ვექილს ტორესს.

მომხდარი თავდასხმა მოამზადეს ქართველ ემიგრანტულ გაზეთების „ბრძოლის" და „სამშობლოს" აგიტატორებმა".[148]

ამ ინციდენტის მიუხედავად, 1925 წლის 21 აგვისტოს კიდევ ერთხელ სცადეს დაეარსებინათ „საბჭოთა კოლონია", თუმცა ისევ წარუმატებლად. საბოლოოდ, პარიზში საბჭოთა კოლონია მაინც დაარსდა ოქტომბრის მეორე ნახევარში საელჩოს შენობაში. მასში მონაწილეობა მიიღეს საფრანგეთში საბჭოთა საელჩოს თანამშრომლებმაც. შეკრებაზე განიხილეს და დაამტკიცეს „ახალი ქართული საზოგადოების" წესდება და აირჩიეს გამგეობა. კრებას სულ 25 კაცი ესწრებოდა. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ივანე კაჩუხაშვილი, წევრებად: ნ. ღოღობერიძე, გრ. ვეშაპელი და ალ. ჭაბუკიანი. საბჭოთა ხელისუფლება თვლიდა, რომ ამით საბჭოთა ქართული კოლონიის ორგანიზაცია დასრულებული იყო.

კაფე „ვოლტერში" მომხდარმა ამბებმა და შემდგომში ქართულ ემიგრაციაში განვითარებულმა მოვლენებმა მაინც ვერ დააცხრეს მოწინააღმდეგე მხარეები, რომლებიც საკუთარი პოზიციების დათმობას ჯიუტად არ აპირებდნენ. დაპირისპირებამ პიკს საფრანგეთის ქალაქ ოდენკურში განვითარებული მოვლენებისას მიაღწია.

ქალაქი ოდენკური წარმოადგენდა დუბსის რეგიონის ერთ-ერთ სამრეწველო ცენტრს, სადაც განლაგებული იყო საავტომობილო ქარხანა „პეჟო". სამშობლოდან დევნილი ქართველების უმეტესობამ ლუკმაპურის საშოვნელად ოდენკურს მიაშურა. იქ თავი მოიყარეს სხვადასხვა პოლიტიკური მრწამსისა და მიმდინარეობის ადამიანებმა. აქ იყვნენ სოციალ-დემოკრატები, ეროვნულ-დემოკრატები, „თეთრგიორგელები", ქ. ჩოლოყაშვილის „შეფიცულები" და სხვები. იკვეთებოდა პარტიული წინააღმდეგობები და პირადი დაპირისპირებები.

ქართველი ემიგრანტების „პეჟოს" ქარხნებში დასაქმების პროცესს ორგანიზებას უწევდა საქართველოდან დევნილი სოციალ-დემოკრატიული მთავრობა და ცდილობდა ამ საქმეშიც ლიდერის ფუნქცია ეტვირთა. სოციალ-დემოკრატებსა და ქ. ჩოლოყაშვილის შეფიცულებს შორის დაპირისპირებამ და უთანხმოებამ ოდენკურშიც იჩინა თავი. მიუხედავად ამისა, დევნილი მთავრობის საზღვარგარეთის ბიურო განაგრძობდა ქართველთა ერთიანი სათვისტომოს ორგანიზებას. ამ მიზნით, ოდენკურში მივლინებულ იქნა საქართველოს ლეგაციის ყოფილი მდივანი ვარშავაში ვლ. ბაქრაძე. ოდენკურში რამდენჯერმე იმყოფებოდნენ ვლასა მგელაძე და თვით ნოე რამიშვილი. ემიგრაციაში არსებულ დაპირისპირებას კარგად იყენებდნენ საბჭოთა სპეცსამსახურები და პროცესს უფრო და უფრო ამწვავებდნენ. ამ პერიოდში ოდენკურში ჩამოყალიბდა ჯგუფი, რომელიც მოითხოვდა ქართველი ემიგრანტების მხრიდან საბჭოთა ხელისუფლების აღიარებას და საბჭოთა პლატფორმაზე გადასვლას. აღნიშნული იდეის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა პირველი შეტაკება 1926 წლის 5 თებერვალს მოხდა. ერთ მხარეს იდგა უპარტიოთა ჯგუფი, ხოლო მეორე მხარეს – ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულები და სოციალ-დემოკრატები, ვინაიდან ორივენი ოდენკურში საბჭოთა კოლონიის დაარსების წინააღმდეგნი იყვნენ. დროებით დაზავებულ „თეთრგიორგელებსა" და სოციალ-დემოკრატებს შორის მორიგი, ახლა უკვე სისხლიანი შეტაკების პროვოცირება მაინც მოხდა 1926 წლის 28 თებერვალს, რომელიც ისტორიაში „ოდენკურის ამბებითაა" ცნობილი. ამ შეტაკების შედეგად, ადგილზე მოკლეს ეფრემ ქარცივაძე, მძიმედ დაიჭრა 17 კაცი, მათგან ორი მალევე გარდაიცვალა.

აღნიშნულ ინციდენტთან დაკავშირებით საბჭოთა ხელისუფლებამ მოკლე შეტყობინება გააკეთა გაზეთ „კომუნისტში" და ის ასე დაასათაურა: „ქართულ ემიგრაციაში სისხლისმღვრელი შეტაკებები მენშევიკებსა და ეროვნულ-დემოკრატებს შორის". შეტყობინებაში ნათქვამი იყო: „პარიზი. 10 მარტი. უკანასკნელ დროს ქართულ ემიგრაციაში ადგილი ჰქონდა მენშევიკებსა და ეროვნულ-დემოკრატებს შორის ურთიერთობების უაღრესად გამწვავებას. ეს გამწვავება, როგორც უკვე იტყობინებოდა საფრანგეთის პრესა, გამოიხატა შეიარაღებულ შეტაკებაში ეროვნულ-დემოკრატებსა და მენშევიკებს შორის. დამატებითი ცნობებით, შეტაკების დროს მოკლულია 4 კაცი, დაჭრილია 17".[153]

„ოდენკურის ამბებთან" დაკავშირებით, სსრ კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა საფრანგეთში სასწრაფოდ, 1926 წლის 22 მარტით დათარიღებული წერილით, ინფორმაცია საბჭოთა პრესისათვის მიაწოდა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის ორგანიზაციას.[301]

საბჭოთა იდეოლოგიამაც არ დააყოვნა. გაზეთ „კომუნისტის" 1926 წლის 26 მარტის ნომერში დაიბეჭდა ემიგრანტ ნიკოლოზ ღამბაშიძის სტატია „ვისი ბრა-

ლია – ოდენკურის ამბების გამო. ველური სცენები ქართულ ემიგრაციაში".[156] საბჭოთა საქართველოს საზოგადოებისათვის განკუთვნილ ამ მასალაში დეტალურად იყო აღწერილი ოდენკურში მომხდარი ინციდენტი, რომელზეც მთელი პასუხისმგებლობა ქართველ სოციალ-დემოკრატებზე იყო დაკისრებული.

საფრანგეთის პრესა ამ ამბებს აღშფოთებული აღწერდა და მხარს ქართველ სოციალ-დემოკრატებს უჭერდა.

ქართველთა შორის დაპირისპირებამ კულმინაციას 1926 წლის ივნისის დასაწყისში, კაფე „ვოლტერში" მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით გამართულ სასამართლო პროცესზე მიაღწია. განსასჯელთა სკამზე ისხდნენ: ნიკოლოზ დგებუაძე, მიხეილ კედია, შოთა ქარცივაძე, გიორგი ნოზაძე, სიმონიკა ბერეჟიანი და სხვები. მთელი ქართული ემიგრაცია, დაწყებული სოციალ-დემოკრატებით და უკიდურესი მემარჯვენე ძალებით დამთავრებული, ერთხმად იბრძოდა განსასჯელთა დასაცავად. სასამართლო პროცესზე ყველაზე მეტად ეროვნულ-დემოკრატები აქტიურობდნენ, სოციალ-დემოკრატები შედარებით სიდინჯეს ინარჩუნებდნენ.

განსასჯელთა დაცვის საქმეში დიდი როლი ითამაშეს საფრანგეთის კათოლიკურმა წრეებმა. პროცესის მთავარი ორგანიზატორი გახლდათ კათოლიკური გაზეთის, „პარიზის ექოს" რედაქტორის მოადგილე ანდრეი პირენო. სწორედ მან გაუკეთა მობილიზება ფრანგულ პრესას მონარქიული „აკსიონ-ფერანჟეს"-ით დაწყებული, რადიკალური „ოერ"-ით დამთავრებული. თავიანთი კავშირები ამ სფეროში ქართველმა სოციალ-დემოკრატებმაც გამოიყენეს. სასამართლო განხილვაზე დაცვის მხრიდან მოწმის სტატუსით სიტყვით გამოვიდნენ კათოლიკური ინსტიტუტის რექტორი კარდინალი ბოდრიარი და საფრანგეთის გენერალური შტაბის პოლკოვნიკი კოკე. დაცვას ახორციელებდა პარიზის ერთ-ერთი უნიჭიერესი ადვოკატი ვიქტორ ბატაი (პარლამენტის ყოფილი დეპუტატი). ასეთი მძლავრი დაცვის წინააღმდეგ ძალზე გაუჭირდათ გრ. ვეშაპელსა და მის ნიჭიერ ადვოკატს ჰენრიხ ტორესს.

სასამართლომ ბრალდებულებს სასჯელის ზომად განუსაზღვრა სიმბოლური სასჯელი – თითო-თითო ფრანკის გადახდა საზოგადოების თავშეყრის ადგილას ხმაურისათვის და თითო-თითო ფრანკი სამოქალაქო მოსარჩელის სასარგებლოდ მიყენებული მატერიალური ზარალის ასანაზღაურებლად.

სასამართლოს შენობიდან გამოსვლის შემდეგ, გრ. ვეშაპელმა ტაქსი გააჩერა და მეუღლესთან ერთად ავტომანქანაში მოთავსდა. ავტომანქანაში წინ მისი თანაშემწე, ასოთამწყობი და ამავდროულად მცველი ემიგრანტი ხაჩიძე ჩაჯდა. მოულოდნელად მანქანასთან იარაღმომარჯვებულმა ა. მერაბიშვილმა მიირბინა და ავტომანქანის საფეხურზე შემხტარმა დაიყვირა: „თავი დაიცავი" და რამდენიმე გასროლით გრ. ვეშაპელი სიცოცხლეს გამოასალმა. ა. მერაბიშვილი პოლიციამ იქვე დააპატიმრა და პროკურატურაში წინასწარი დაკითხვის შემდეგ საპყრობილე „სანტეში" გადაიყვანა.

საბჭოთა ხელისუფლება, მისი მომხრეები და ემიგრანტთა ნაწილი გრ. ვეშაპელის მკვლელობას, მისი პროსაბჭოური განწყობისა და ქმედებების გამო, მიაწერდა ნოე რამიშვილსა და მის „მარჯვენა ხელს" შ. ქარცივაძეს, რომელთაც, თითქოსდა, ეს აქცია განახორციელეს ა. მერაბიშვილის ხელით. ანტისაბჭოთა პოზიციაზე მყოფი ემიგრანტები კი თვლიდნენ, რომ გრ. ვეშაპელის მკვლელობა

განხორციელდა საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ დაქირავებული აგენტის მეშვეობით. ამ უკანასკნელთა არგუმენტი იყო ის, რომ გრ. ვეშაპელი მომხრე და აქტიური მონაწილე იყო საბჭოთა ხელისუფლების აღიარებისა და ემიგრანტების, განსაკუთრებით ემიგრანტ-ლიდერების საბჭოთა კავშირში მასობრივი დაბრუნებისა, რაც არ შედიოდა საქართველოს საგანგებო კომისიის და პირადად ლ. ბერიას გეგმებში. ეს რომ მართლაც ასე იყო, მოწმობს ლ. ბერიას მიერ 1930 წლის ზაფხულში გაკეთებული მოხსენების (მასზე ვრცლად ქვემოთ გვექნება საუბარი) ერთი მონაკვეთიც: „ჩვენ მოვითხოვდით, რომ ნებისმიერი ანტისაბჭოთა ორგანიზაციის აქტიური წევრების მიმართ არ გაცემულიყო საქართველოში უკან დაბრუნების ნებართვა, რამეთუ ჩვენ ისინი უფრო გვჭირდებოდა საზღვარგარეთ".[256]

ა. მერაბიშვილთან დაკავშირებით გენერალი შ. მაღლაკელიძე იგონებს: „აზრი ემიგრაციაში იყო, რომ მერაბიშვილი ჩავთვალეთ პროვოკატორად, საბჭოების მიერ დაქირავებულ კაცად, ე. ი. მერაბიშვილი ვეშაპელთან შევიდა განგებ. საბჭოთა მთავრობისგან ჰქონდა დავალებული ვეშაპელის მოკვლა. მისი უკან დაბრუნება არ იყო სასურველი, იმიტომ, რომ უკიდურესად მემარჯვენე იყო. გამოიყენეს ჟორდანიას წინააღმდეგ, მაგრამ ასეთი კაცის ყოლა მათთვის არ იყო სასურველი, გამოიყენეს და მოკლეს. რომ არც მოეკლათ – აქ დაბრუნებული კაცის საქმე გათავებულია. ცოცხალი თუ დარჩება, მადლობა ღმერთს, თუ არა და თავი უნდა მოიკლა".

„...მაშინ ვეშაპელის მოკვლა ჩვენგან დავალებით უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს ასე არ არის. რამიშვილს მისთვის ეს არ მიუნდვია. ეს ფაქტია. მერაბიშვილი არავის არ ეკარებოდა, მე არ ვიყავი იქ, მაგრამ გაგებული მაქვს ეს".[64]

ცხრათვიანი წინასწარი პატიმრობის შემდეგ ა. მერაბიშვილი სასამართლოს წინაშე წარდგა. მან დანაშაულის მოტივად დაასახელა 1924 წლის აჯანყების შედეგად მამისა და ძმის მკვლელობა. სასამართლო განხილვაზე ამჯერად ქართველი სოციალ-დემოკრატები აქტიურობდნენ და მომხდარ ფაქტს პოლიტიკურ ჭრილში განიხილავდნენ. პროცესზე სიტყვით გამოვიდნენ მეორე ინტერნაციონალის ცნობილი წარმომადგენლები პ. რენოდელი, ა. მარკე და გნუსმანი. სასამართლომ საბოლოოდ გაამართლა ავთანდილ მერაბიშვილი.

გრ. ვეშაპელის დაკრძალვის დღე – 1926 წლის 14 ივნისი (საბჭოთა საგარეო დაზვერვის პარიზის რეზიდენტურის მონაცემებით – 13 ივნისი) გადაიქცა სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ მიმართულ დემონსტრაციად.

დაკრძალვას ვერ დაესწრნენ გრ. ვეშაპელის მამა და ოჯახის სხვა ახლობლები. დამწუხრებულმა მამამ – გ. პ. ვეშაპიძემ – 1926 წლის 19 ნოემბერს საქართველოს კპ (ბ) ცკ-სთან არსებულ მენშევიკებსა და უპარტიოთა შორის მომუშავე განყოფილებას შვილის ნეშტის პარიზიდან საქართველოში გადმოსვენების ნებართვის მიღებაში შუამდგომლობის გაწევისათვის წერილობითი თხოვნით მიმართა. როგორც ჩანს, ვერ მიიღო ვერანაირი პასუხი და გ. პ. ვეშაპიძემ ანალოგიური თხოვნით ახლა უკვე საბჭოთა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს მიმართა. აღნიშნულ წერილში ნათქვამია, რომ შვილის ნეშტის გადმოსვენების თხოვნით გ. პ. ვეშაპიძეს ჯერ კიდევ „მარიობისთვის პირველ რიცხვებში" მიუმართავს. გრ. ვეშაპელის მამამ არაერთი დეპეშა გაუგზავნა ასევე პარიზში სსრ კავშირის საელჩოს მისი შვილის ნეშტის თბილისში გადმოსვენების მოთხოვნით, რამაც

გარდაცვლილის მეუღლე გაანაწყენა. ეს უკანასკნელი მოითხოვდა მეუღლის ნეშტის ამოსვენებასა და ბალზამირებას. სპეციალისტებს მიაჩნდათ, რომ დასაფლავებული სხეულის ბალზამირება შეუძლებელი იყო, თუმცა გრ. ვეშაპელის მეუღლის გადარწმუნება საკმაოდ ძნელი აღმოჩნდა, მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც საბჭოთა საქართველოს მთავრობიდან რაიმე მითითებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ ჩანდა. საბოლოოდ, დააკმაყოფილა თუ არა საბჭოთა ხელისუფლებამ გრიგოლ ვეშაპელის ჭირისუფალთა თხოვნა, უცნობია. თუმცა საფრანგეთში გარდაცვალებულ და დაკრძალულ ქართველთა სიაში[60] გრ. ვეშაპელი არ ჩანს.

გრ. ვეშაპელის მკვლელობის შემდეგ ემიგრაციაში ქართული, პროსაბჭოთა გაზეთის გამოცემას საბჭოთა ხელისუფლება კვლავ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ეს უკანასკნელი თვლიდა, რომ „ახალი საქართველოს“ გამოცემას სათავეში უნდა ჩასდგომოდა ისეთი პიროვნება, რომელიც გრ. ვეშაპელისაგან განსხვავებით, არ იყო „მტრული განწყობილებით მუშათა პარტიის მიმართ“.[255]

გაზეთ „ახალი საქართველოს“ რედაქტორად საბჭოთა ხელისუფლებამ დანიშნა საზღვარგარეთ, საფრანგეთში სამკურნალოდ მყოფი ძველი ბოლშევიკი კოტე ცინცაძე, რომელიც ამ გადაწყვეტილებით საკმაოდ განაწყენებული იყო და 1925 წლის 17 აგვისტოს უკმაყოფილებისა და პრაქტიკულად ლანძღვის წერილი მისწერა საქართველოს კპ (ბ) ცკ-ის სამდივნოს. „პირველი სიმხეცე და ნადირობა იმაში გამოიხატებოდა, რომ მე თქვენ არ ჩამთვალეთ ღირსად შემკითხებოდით, შემიძლია თუ არა რედაქტორობა „სმენავეხოველი“ გაზეთის (თუმცა თქვენ თუ დაადგენდით, ბალეტის ცეკვაც უნდა შევიძლო ალბათ არა!)“ – აღნიშნავს კ. ცინცაძე. წერილი სავსეა სხვა მსგავსი გამონათქვამებით.[319]

ავთანდილ მერაბიშვილი პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ ბელგიაში წავიდა. ის 1944 წლამდე, ინგლის-ამერიკული ნაწილების ნორმანდიაში გადმოსხმამდე ქ. ბრიუსელში ცხოვრობდა. შემდეგ იძულებული იყო ბერლინში დასახლებულიყო. ბელგიაში ა. მერაბიშვილი ფლობდა რამდენიმე ქარხანას და მისი ქონება საკმაოდ სოლიდური იყო. ომის დამთავრების შემდეგ ა. მერაბიშვილი ბელგიაში დაბრუნდა და ბიზნესი განაახლა. XX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს ის შეძლებულ ქართველად ითვლებოდა, რომელსაც საკუთარი რესტორანიც ჰქონდა. 60-70-იან წლებში ა. მერაბიშვილს სტუმრობდნენ საგასტროლოდ ჩასული ქართული კულტურის წარმომადგენლები, განსაკუთრებით ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დამუშავებისა და ფონდების დეპარტამენტის უფროსის, ბ-ნი ლევან თაქთაქიშვილის გადმოცემით, ა. მერაბიშვილის ინიციატივით სანტიაგოს ერთ-ერთი ქუჩისთვის თავის დროზე შოთა რუსთაველის სახელი დაურქმევიათ, მისივე ინიციატივით მომხდარა ჩილეში „ვეფხისტყაოსნისა“ და „ვეფხისტყაოსანზე“ დაწერილი ვიქტორ ნოზაძის ნაშრომის გამოცემა.

ბ-ნი ლ. თაქთაქიშვილის ინფორმაციით, 60-იან წლებში ა. მერაბიშვილთან სტუმრად ყოფილან პოეტი იოსებ ნონეშვილი, ცნობილი ქართველი ფეხბურთელები მიხეილ მესხი და სლავა მეტრეველი. ის ეწეოდა ქველმოქმედებას, ქართული მწერლობის პოპულარიზაციას. „სანტიაგოში“ მისი საფლავიც ცნობილია, ა. მერაბიშვილს შთამომავლობაც ჰყოლია...[195]

ა. მერაბიშვილთან დაკავშირებით საკუთარი შეხედულება დააფიქსირა გენერალმა შ. მაღლაკელიძემაც თავის მოგონებებში: „კაჩუხაშვილმა, თევზაიამ, ნიკო ინასარიძემ თავი მოიკლეს. მერაბიშვილი ბელგიაში გადაასახლეს, ვითომ მდიდარი ბელგიელი ქალი შეურთავს, მაგრამ ჩვენ ვეჭვობდით, რომ ეს მოსკოვის ფულია. მერე გადავიდა ჩილეში თავისუფლად. შვილები რომ შეეძინათ, ვიქტორ ნოზაძე აუყვანიათ ქართული ენის მასწავლებლად, ჩილეში წაიყვანა, ზოგიერთები მაინც პატრიოტად თვლიდნენ. მე კი კატეგორიულად ვამბობდი, რომ პროვოკატორიათქო. მერე ამერიკაში გადავიდა. გაუხსნია დიდი რესტორანი და ეს რესტორანია ბუდე ჩვენი სუხიშვილის და რამიშვილის".[64] აქვე შ. მაღლაკელიძე მიანიშნებს, რომ ა. მერაბიშვილს თბილისში ჰყოლია და, რომელიც მისულა მასთან და ძმის შესახებ დეტალურად გამოუკითხავს.

როგორც ცნობილმა ქართველმა ჩეკისტმა, ბატონმა გივი ჯორბენაძემ ამ რამდენიმე წლის წინ პირად საუბარში მითხრა, საბჭოთა საგარეო დაზვერვას ჰქონია ა. მერაბიშვილთან ოპერატიული კავშირის აღდგენის მცდელობა, რაც წარმატებით დასრულებულა.

გრ. ვეშაპელის მკვლელობამ და ქართველთა შორის არსებული კონფრონტაციის კიდევ უფრო გაღრმავებამ და მოწინააღმდეგე მხარეებად მათმა დაყოფამ მძიმედ იმოქმედა ზოგადად ქართულ ემიგრაციაზე. ეს იყო საბჭოთა სპეცსამსახურების მნიშვნელოვანი წარმატება. ზოგიერთი ქართველი ემიგრანტი სასოწარკვეთილებას მიეცა და სულიერად დაითრგუნა. საფიქრებელია, ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ საკუთარი სიცოცხლე 1926 წელს თვითმკვლელობით დაასრულა (ყელი გამოიჭრა) ცნობილმა ემიგრანტმა, პოლიტიკურმა მოღვაწემ კარლო ჩხეიძემ.

კ. ჩხეიძის გარდაცვალებამ დიდი დარტყმა მიაყენა ქართულ ანტისაბჭოთა პოლიტიკურ ემიგრაციას. მისი დასაფლავების დღეს უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. გაიმართა სამგლოვიარო მიტინგი და სვლა დაკრძალვის ადგილისკენ – პერლაშეზის სასაფლაოსკენ. საბჭოთა საგარეო დაზვერვას არც ეს გამორჩენია მხედველობდან და სამგლოვიარო სვლა და მიტინგი ფოტოზე აღბეჭდა. საბჭოთა საგარეო დაზვერვის პარიზის რეზიდენტურის მიერ გადაღებული რამდენიმე ფოტოსურათი საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს უფროსის მიერ ტრილისსერის ხელმოწერით (1926 წლის 2 ივლისი, N 37/305) 1926 წლის 19 აგვისტოს, გრიფით „ლიტერი-კ" გაეგზავნა ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს ივანე პეტრეს ძე პავლუნოვსკის: – „При сём препровождаются Вам снимки похорон Чхеидзе"*. ფოტომასალა, ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტში გაცნობის შემდეგ, არქივს გადაეცა.[30]

1926 წლის აგვისტოში, პრაღაში, თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე პრაღის ქართული საბჭოთა კოლონიის თავმჯდომარემ, სტუდენტმა ბაგრატ ილურიძემ. ბ. ილურიძემ, ესერთა პარტიის ყოფილმა წევრმა, პოლიტიკური საქმიანობა გორის მაზრაში დაიწყო. ის მეფის რუსეთის სტიპენდიანტი იყო და თავის დროზე სასწავლებლად პრაღაში იქნა მივლინებული. ბ. ილურიძე, პატიოსანი და ნიჭიერი ახალგაზრდა, საზღვარგარეთ უკიდურეს გაჭირვე-

* ამასთან ერთად გაახლებთ ჩხეიძის დაკრძალვის ფოტოებს.

ბაში ცხოვრობდა და თან ხშირად ავადმყოფობდა. ოფიციალური ვერსიით, ბ. ილურიძემ 1925 წლის დასაწყისში წერილობითი თხოვნით მიმართა პრაღაში მყოფ დავით ლომაძეს, რათა პრაღაში დაარსებულიყო ქართული სათვისტომო. ვფიქრობთ, სწორედ დ. ლომაძის ინიციატივით მომზადდა ზემოაღნიშნული მიმართვა.

ბ. ილურიძის თვითმკვლელობა სოციალ-დემოკრატებმა მთლიანად საბჭოთა ხელისუფლებასა და მის სპეცსამსახურებს დააბრალეს და მომხდარი საკუთარი იდეების პროპაგანდისათვის გამოიყენეს. რაც შეეხება საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებას, ამ ფაქტთან დაკავშირებით მას მოუწია გაზეთ „კომუნისტში“ თავის მართლება. გამოაქვეყნეს ამონაწერები ბ. ილურიძის მიერ ძმისადმი გაგზავნილი წერილიდან. წერილში ბ. ილურიძე მიუთითებდა, რომ „მთელი არსებით“ კომუნისტი იყო, თუმცა თვითმკვლელობის მიზეზად პირად მოტივებს, საკუთარი ცხოვრების მოუწესრიგებლობას ასახელებდა.[161]

### საბჭოთა ხელისუფლებისა და მისი სპეცსამსახურების წარმომადგენელთა მონაწილეობით საზღვარგარეთ წარმოებული პროსაბჭოთა საქმიანობა

პოლიტიკური ამინდი ევროპაში ხშირად იცვლებოდა, რაც ემიგრაციის განწყობაზე პირდაპირპროპორციულად აისახებოდა და აქედან გამომდინარე, საბჭოთა საქართველოს იდეოლოგიური საქმიანობა საზღვარგარეთ უსისტემო ხასიათს ატარებდა. ამის უმთავრესი მიზეზი იყო თბილისთან მყარი კონტაქტის უქონლობა, რაც ცენტრიდან კონკრეტული დავალებების მიღების შეფერხებას და საზღვარგარეთიდან გამოგზავნილ შეტყობინებებზე დაგვიანებულ რეაგირებას იწვევდა. მოსაგვარებელი იყო კოორდინაციის საკითხები საბჭოთა სრულუფლებიან წარმომადგენლობებსა და საბჭოთა საგარეო დაზვერვის რეზიდენტურებს შორის. ამდენად, არსებული პრობლემები არ იძლეოდა ზოგჯერ საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ ბუნებრივად წარმოქმნილი პროცესების მართვის საშუალებას. მიუხედავად ამისა, საბჭოთა პროპაგანდა იხტიბარს არ იტეხდა და ქართულ საზოგადოებას საზღვარგარეთ სიმართლენარევი სიცრუით ამარაგებდა და მათში ნიჰილისტური განწყობის დანერგვას ცდილობდა. მაგალითად, გაზეთი „ახალი საქართველო“ (1925 წ. 1 ნოემბერი, პარიზი) იტყობინებოდა: „საგარეო მდგომარეობა კიდევ უარესია: პოლონელები, თურმე ჩიჩერინს უკეთ დახვდა, ვიდრე ჩოლოყაშვილს; ინგლისი, რომლის იმედი აქვს სპ. კედიას (ისევე მოერევა ბოლშევიზმს, როგორც ნაპოლეონს მოერიაო), რაღაცა ზანტობს მესამე ინტერნაციონალის წინააღმდეგ ჯვაროსნული ომის დაწყებას!.. ლოკარნოც აგერ გახუნდება. მოდი და ნუ გახდები კაცი პესიმისტი“.[24]

1925 წლის გაზაფხულისათვის პროსაბჭოთა განწყობის თვალსაზრისით, ვითარება ქართულ ემიგრაციაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის არცთუ ისე სახარბიელო იყო. საბჭოთა იდეოლოგიური აპარატი განადგურებული იყო საფრანგეთის ხელისუფლების მიერ. სტუდენტური ორგანიზაცია პრაქტიკულად დაიშალა, ხოლო მისი მმართველობითი რგოლის წარმომადგენლები საფრანგეთიდან გააძევეს.

საბჭოთა სრულუფლებიან წარმომადგენლობას პარიზში სუსტი წარმოდგენა ჰქონდა საზღვარგარეთ საბჭოთა საქართველოს იდეოლოგიურ საქმიანობაზე. ასეთ პირობებში, საქართველოს ბოლშევიკურ ხელისუფლებას თითქმის დაკარგული ჰქონდა კავშირი ქართულ ემიგრაციასთან. ყველაფერი თავიდან იყო დასაწყები.[261] ანტისაბჭოთა ემიგრაციის წინააღმდეგ საბრძოლველად 1925 წლის გაზაფხულიდან პარიზში მივლინებით იმყოფებოდა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე, ცნობილი ქართველი ბოლშევიკი ლევან ღოღობერიძე, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელი იყო საფრანგეთში სსრკ-ს საელჩოში. ის შეეცადა შექმნილ რთულ ვითარებაში გარკვევას. მდგომარეობა მართლაც საგანგაშო იყო.

ლ. ღოღობერიძე, როგორც იმ პერიოდის კომუნისტებს სჩვეოდათ, სიძნელეების მიუხედავად, მთელი ენერგიითა და დიდი ენთუზიაზმით შეუდგა საკუთარი მოვალეობის შესრულებას – ქართული საბჭოთა სათვისტომოების ჩამოყალიბება-სათვის მხარდაჭერას და შესაბამისი იდეოლოგიური საქმიანობის ორგანიზებას. გრ. ვეშაპელმა და გაზეთმა „ახალმა საქართველომ" დიდი როლი ითამაშეს ბერლინში საბჭოთა სათვისტომოს (კოლონიის) შექმნის საქმეში. მასში უპარტიო ქართველებთან ერთად შევიდნენ ახალგაზრდა სტუდენტი-სოციალ-დემოკრატები, რის თაობაზეც შესაბამისი განცხადებაც კი გაკეთდა.

საბჭოთა კოლონიის ფორმირების თვალსაზრისით გაცილებით რთულად იყო საქმე პარიზში. აქ ძირითადი დასაყრდენი მაინც იყვნენ მუშა-სოციალ-დემოკრატები. ლ. ღოღობერიძემ მოახერხა პარიზში სამ მათგანთან შეხვედრა. ესენი იყვნენ: ალიხანაშვილი, სულუხია და ქარსელაძე. ამ ჯგუფს იმთავითვე მფარველობდა და მხარს უჭერდა ემიგრანტი სოციალ-დემოკრატი ერაძე. ყველა პარტიულ შეკრებაზე ზემოაღნიშნული ჯგუფი გამოდიოდა როგორც ოპოზიცია. ალიხანაშვილმა დიდი დახმარება გაუწია საბჭოთა ხელისუფლებას, როდესაც „მენშევიკთა მამხილებელი" სტატიები დაბეჭდა გაზეთ „ახალ საქართველოსა" და „კომუნისტში" და საზღვარგარეთ გამოსცა ბროშურა. მანვე ლ. ღოღობერიძეს გადასცა პარტიულ ამხანაგებთან კერძო მიწერ-მოწერა. სულუხია და ქარსელაძე საზღვარგარეთ სოციალ-დემოკრატიული პარტიის შიგნით მუშაობდნენ და შესაბამის მითითებებსა და პარტიულ თეზისებს ლ. ღოღობერიძისაგან იღებდნენ. ამას გარდა, ეს უკანასკნელი რომ ფარულ საქმიანიაბაშიც ყოფილა ჩართული, ანგარიშის ეს ამონარიდი მოწმობს: „...одно лицо (меньшевик) ведет по моему поручению в партии наблюдательную работу, и оно связано с соответствующим органом. Веду через одно лицо переговоры с секретарём грузинской легации, меньшевиком Асатиани. Что либо определённое сказать пока трудно, хотя его позиция в принципе советская*".[300]

ლ. ღოღობერიძეს კონფიდენციალური შეხვედრები ჰქონდა ქართველ ემიგრანტებთან: ზ. ავალიშვილთან, სოლ. წერეთელთან, ვ. ნოზაძესთან და სხვებთან. „Есть надежда установить в ближайшие дни связь с генералом Мазниашвили и некоторыми из сотоварищей Челокаева Залдастанишвили

* „...ერთი პიროვნება (მენშევიკი) პარტიაში, ჩემი დავალებით, აწარმოებს სადამკვირვებლო სამუშაოს და ის დაკავშირებულია შესაბამის ორგანოსთან. ერთ-ერთი პიროვნების მეშვეობით ვაწარმოებ მოლაპარაკებებს საქართველოს ლეგაციის მდივანთან, მენშევიკ ასათიანთან. რაიმეს გარკვევით თქმა ძნელია, თუმცა მისი პოზიცია, პრინციპში, საბჭოთაა".

и пр., желающих проделать то, что проделал Вешапели, но, конечно, нами принимаются во внимание индивидуальные достоинства и недостатки каждого из них*"[300] – აღნიშნავს ლ. ღოღობერიძე.

საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელს მიაჩნდა, რომ იმ პერიოდში პარიზში მყოფი ქართველი სოციალ-დემოკრატები დისციპლინირებულები და ორგანიზებულები იყვნენ. მათ ზურგს უმაგრებდა ქართველთა, ასე თუ ისე, პოლიტიკური თვალსაზრისით ყველაზე შეგნებული ნაწილი. ოპოზიციონერ სოციალ-დემოკრატთა გარკვეული რაოდენობა საბჭოთა პლატფორმაზე იდგა. საბჭოთა იდეოლოგიას აშკარა მხარდამჭერებიც ჰყავდა, თუმცა ისინი ვერ ახერხებდნენ ამ განწყობის გამოყენებას, ვინაიდან ხელისუფლებას მათთვის, იმ ეტაპზე, რაიმე სასარგებლოს გაკეთება არ შეეძლო – ვერ აძლევდნენ საბჭოთა პასპორტებს, ვერ ეხმარებოდნენ მატერიალურად და სხვა. „Остальная масса эмирнации в Париже, просто без всяких политических устоев. Тут нужны деньги и пр., чтобы отбить эту публику от активных политиканов**" – მიანიშნებს ლ. ღოღობერიძე.

აღნიშნული პერიოდისათვის საზღვარგარეთ ანტისაბჭოთა ემიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლაში მთავარ დასაყრდენს წარმოადგენდნენ პრაღაში მყოფი ივანე კაჩუხაშვილი (1918 წელს ქუთაისის საგუბერნიო კომისარი, სოციალ-დემოკრატიული პარტია დატოვა 1921 წლის 17 აპრილს)[293] და დამოუკიდებელი საქართველოს პროფკავშირების თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე ალფეზ ხელაძე, რომელთა ფინანსურ მხარდაჭერას ლ. ღოღობერიძე უზრუნველყოფდა. მათი მთავარი ამოცანა საზღვარგარეთ (პარიზი, ბერლინი, პრაღა, ვარშავა) საბჭოთა განწყობის დაჯგუფებების შექმნა და მათი ანტისაბჭოთა ქართულ ემიგრაციასთან დაპირისპირება იყო.

იმისათვის, რომ ქართველი ემიგრანტები საბჭოთა პლატფორმაზე გადმოეყვანათ, იდეოლოგიურ საქმიანობასთან ერთად, საჭირო იყო ზოგიერთი ორგანიზაციული საკითხის მოგვარება, კერძოდ, უნდა გადაწყვეტილიყო მათთვის პასპორტების გაცემა, მოქალაქეობის აღდგენა და სამშობლოში დაბრუნებულებისათვის მატერიალური დახმარების აღმოჩენა. აღნიშნული პრობლემები უნდა მოეგვარებინათ საბჭოთა წარმომადგენლებს: ბერლინში – ივანიშვილს, ხოლო პარიზში – ფირუმოვს.[300]

საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებასა და მის სპეცსამსახურებს ემიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლა საზღვარგარეთის პირობებში თავდაპირველად, ძალზე გაუჭირდათ, რის თაობაზეც ს. ფირუმოვი და ლ. ღოღობერიძე იტყობინებოდნენ. მთავარი მიზეზი ამისა იყო ის, რომ ქართულ ემიგრაციაში არ იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც შეძლებდნენ მერყევი პიროვნებების გაერთიანებას და დარაზმვას ქართული ემიგრაციის წინააღმდეგ. 1925 წლის აგვისტოს მონაცემებით, ბოლოს და ბოლოს, ასეთი ადამიანი მოიძებნა. ეს იყო ალფეზ ხელაძე, რომელიც იმ პერიოდში პრაღაში ცხოვრობდა.

---

* იმედია, უახლოეს დღეებში დამყარდება კავშირი გენერალ მაზნიაშვილთან და ჩელოკაევის თანამებრძოლებთან, ხალდასტანიშვილთან და სხვებთან, რომელთაც სურთ განახორციელონ ის, რასაც ასრულებდა ვეშაპელი, თუმცა, რა თქმა უნდა, მხედველობაშია მისაღები თითოეული მათგანის ინდივიდუალური ღირსებები და ნაკლი".

** ემიგრაციის დარჩენილი მასა უბრალოდ, ყოველგვარი პოლიტიკური საყრდენის გარეშეა. აქ საჭიროა ფული და სხვა, რათა ეს საზოგადოება ჩამოსცილდეს აქტიურ პოლიტიკანებს.

ა. ხელაძესთან მოლაპარაკებების საწარმოებლად, პარტიის დავალებით, თბილისიდან პრაღაში სპეციალურად იქნა მივლენილი დავით ვლადიმერის ძე ლომაძე. სხვადასხვა წყაროს მიხედვით, დავით ლომაძე საქართველოს სსრ გაერთიანებული პოლიტიკური სამმართველოს თანამშრომელი იყო და როგორც ზემოთ ვიხილეთ, სხვებთან ერთად მიელინებულ იყო საზღვარგარეთ საბჭოთა (ქართული) კოლონიების დაარსების, სამშობლოში ემიგრანტთა, განსაკუთრებით პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენელთა, დაბრუნების ხელშემწყობ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად. მისი საქმიანობა საზღვარგარეთ ქართველ ემიგრანტთა შორის ბოლშევიკური იდეების პროპაგანდის, ურთიერთქიშპის გაღვივებისა და ურთიერთწაკიდების თვალსაზრისით წარმატებულად იქნა მიჩნეული საბჭოთა ხელისუფლების მიერ. ერთთვიანი მუშაობის შედეგმაც არ დააყოვნა. ა. ხელაძემ არათუ წერილობითი განცხადება გააკეთა, არამედ „სრულებით შეიგნო“ ანტისაბჭოთა ქართულ ემიგრაციასთან ბრძოლის აუცილებლობა და საკუთარ თავზე აიღო ქართული ემიგრაციის საბჭოთა პლატფორმაზე გადაყვანა.

იმ პერიოდისათვის პარიზში მცხოვრებ ქართველებს, განსაკუთებით მუშებს შორის გამოიკვეთა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ კეთილგანწყობა, მაგრამ ამ პროცესის ორგანიზატორი – ლიდერი – არ ჩანდა. გადაწყდა პარიზში ა. ხელაძის გაგზავნა, რათა ის სათავეში ჩასდგომოდა ქართველი ემიგრანტების პროსაბჭოთა მოძრაობას.

ა. ხელაძე პრაღაში საბჭოთა სრულუფლებიან წარმომადგენლობაში ცხოვრობდა, შესაბამისად, მისი წერილობითი მიწვევაც ამ უწყებაში გაიგზავნა. აქ კვლავ იჩინა თავი უწყებათაშორისი დაპირისპირების სენმა. საქმე ის გახლავთ, რომ იმ პერიოდისათვის ივ. კაჩუხაშვილი და ა. ხელაძე აქტიურად თანამშრომლობდნენ პრაღის საბჭოთა წარმომადგენლობასთან. ისინი ამზადებდნენ წერილებსა და შეტყობინებებს, თუმცა პარიზის საბჭოთა წარმომადგენლობა და საბჭოთა დაზვერვის რეზიდენტურა პრაღიდან ვერანაირ მასალას ვერ ღებულობდნენ. პრაღაში დეპეშა დეპეშაზე იგზავნებოდა იმის თაობაზე, რომ იქნებ ხელაძის მიერ მომზადებული დეკლარაციის ტექსტი მაინც გაგზავნილიყო პარიზში, თუმცა კვლავ უშედეგოდ. მას შემდეგ, რაც პარიზის სრულუფლებიანი წარმომადგენლობამ დეკლარაციის ტექსტი მაინც მოიპოვა, პრაღაში გაიგზავნა დეპეშა წინადადებით, რომ აუცილებელი იყო ფრანგულ პრესაში მისი გამოქვეყნება. მხოლოდ ამას მოჰყვა პრაღიდან მკაცრი გაფრთხილება: „Декларацию не печатать, ибо это страшно волнует Хеладзе*“. ეს კი სრული გაუგებრობა იყო. სიმართლე მოგვიანებით გაირკვა, როდესაც ა. ხელაძე, ბოლოს და ბოლოს, პარიზში ჩავიდა.

საქმე ის იყო, რომ საბჭოთა საგარეო დაზვერვის პრაღის რეზიდენტურა ა. ხელაძეს ინფორმატორად იყენებდა და არ ჩათვალა საჭიროდ ამის თაობაზე პარიზის რეზიდენტურის, მით უმეტეს, სრულუფლებიანი წარმომადგენლობისთვის ინფორმაციის მიწოდება. მეტიც, პრაღამ უკმაყოფილება გამოთქვა პარიზის რეზიდენტურის მიმართ იმის გამო, რომ არ მიეცა ღირებული ინფორმატორის მაქსიმალურად გამოყენების საშუალება. საბოლოოდ, საქმეში მოსკოვი ჩაერია და დაძაბული სიტუაცია პარიზისა და პრაღის რეზიდენტურებს შორის განიმუხტა.[299]

ივ. კაჩუხაშვილისა და ა. ხელაძის პროსაბჭოთა აქტიურობა მხედველობიდან

* დეკლარაცია არ დაიბეჭდოს, ვინაიდან ეს ძალზე აღელვებს ხელაძეს.

არ გამორჩენიათ ნოე რამიშვილსა და მის მსტოვრებს. ემიგრანტი ერეთეოზ რამიშვილი ამასთან დაკავშირებით იტყობინებოდა: „ალფესი და კაჩუხაშვილი პარიზში არიან. კაჩუხაშვილი მიბეგვესო – სწერენ. ალფესის ეძებენო, ფაშიზმია აბა რა ჯანდაბაა“.[160]

საქართველოს გასაბჭოების პირველ წლებში ქართული ინტელიგენციის ზოგიერთ წარმომადგენელს საქართველოს მომავალზე განსხვავებული შეხედულება ჰქონდა, განსაკუთრებით დამოუკიდებლობის საკითხთან მიმართებით. მათ გულწრფელად სჯეროდათ კომუნისტური პროპაგანდისა და საბჭოთა ხელისუფლების დაპირებების. ამ ადამიანთა შორის იყო ქართველი პოეტი, გამომცემელი და მთარგმნელი, იმ პერიოდში ჯერ კიდევ დასაოჯახებელი, საშუალო განათლების მქონე და სამხედრო ვალდებული ნიკოლოზ (ნიკოლო) იოსების ძე მიწიშვილი (სირბილაძე) (დაიბადა 1896 წელს ქ. ქუთაისში), რომელიც საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებამ ქართული ემიგრაციის „გასახრწნელად“ გამოიყენა. ნ. მიწიშვილი ქართველ ემიგრანტთა საქართველოში დაბრუნების მიზნით აგიტაციის საწარმოებლად 1925 წლის დასაწყისში საზღვარგარეთ, კერძოდ, პარიზში გააგზავნეს. გრიგოლ ვეშაპელის გადმოცემით, ნიკოლოზ მიწიშვილი იყო „საქართველოს წარმომადგენელი საბჭოთა ხელოვნების პავილიონში“.[24]

ნ. მიწიშვილის საზღვარგარეთ მივლინების ორგანიზებაში რომ ლ. ბერიასა და მისი უწყების ხელი ერია, მოწმობს ერთი „საიდუმლო“ (პირადად) გრიფის წერილი, გაგზავნილი საქართველოს საგანგებო კომისიის პასუხისმგებელი პირების მიერ საქართველოს კპ (ბ) ცკ-ის მდივნის მიხ. კახიანისადმი (8 სექტემბერი, 1925 წ. N 11851/c):

„Согласно распоряжения тов. Берия, препровождаем загранпаспорт гр-на Мицишвили Николая для вручения последнему. Приложение: упомянутое*“.[313]

ნ. მიწიშვილის საზღვარგარეთულ პასპორტში დაფიქსირებული ინფორმაციის თანახმად, პასპორტი გაცემული იყო 1925 წლის 19 თებერვალს ერთი წლის ვადით, ანუ 1926 წლის 19 თებერვლამდე. მასში ასევე დაფიქსირებულია გერმანიის საზღვრის გადაკვეთის და უკან (პარიზში) დაბრუნების აღმნიშვნელი ჩანაწერი (აპრილი 1925 წ.). პასპორტის ფურცლებზე დასმულია ლატვიაში ყოფნის, ან ამ ქვეყანაში ტრანზიტული მგზავრობის შტამპიც. ნ. მიწიშვილის საზღვარგარეთულ პასპორტში არსებული ჩანაწერებიდან ასევე ირკვევა, რომ ის 1925 წლის 30 აგვისტოს გემით „იმერეთი II“-ით ჩამოსულა ბათუმში და გადმოუკვეთავს საბჭოთა კავშირის საზღვარი. ჩამოსვლის მიზანი უცნობია. როგორც ჩანს, თავდაპირველად იგეგმებოდა ნ. მიწიშვილის ხელახალი გამგზავრება საზღვარგარეთ (პასპორტში არსებობს 1925 წლის 20 სექტემბერამდე ნ. მიწიშვილისათვის ვიზის გაგრძელების დამადასტურებელი ინფორმაცია, თუმცა გაუგებარია ამ ჩანაწერის აუცილებლობა, ვინაიდან მასზე ვიზა, როგორც ზემოთ ვნახეთ, ერთი წლით, ანუ 1926 წლის თებერვლამდე იყო გაცემული), მაგრამ რაღაც გარემოებათა, სავარაუდოდ მისდამი დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვანი შესრულების გამო, ლ. ბერიამ უარი თქვა მის შემდგომ „გამოყენებაზე“ და პასპორტი თანმხლები წერილითურთ პარტიულ არქივს ჩაბარდა.

* ამხანაგ ბერიას განკარგულების თანახმად, გიგზავნით ნიკოლოზ მიწიშვილის უცხოეთის პასპორტს ამ უკანასკნელისთვის გადასაცემად. დანართი: ზემოაღნიშნული.

ნ. მიწიშვილს პარიზში კონტაქტები ჰქონდა სიმონ ფირუმოვთან და დავით ლომაძესთან. მათი საქმიანობა კოორდინირებულად ხორციელდებოდა.

ნ. მიწიშვილი აქტიურ მონაწილეობდა გაზეთ „ახალი საქართველოს“ გამოცემაში და ქართველ ემიგრანტთა შორის საბჭოთა იდეოლოგიის სასარგებლო საქმიანობაში. ის იყო პარიზში 1925 წლის 5 აგვისტოს კაფე „ვოლტერში“ საზოგადოება „ახალი საქართველოს“ დამფუძნებელი კრების ორგანიზატორი (გრ. ვეშაპელი), მონაწილეობდა სხვადასხვა სახის პროსაბჭოთა ღონისძიებებში. დევნილი მთავრობის ლეგაციას საფრანგეთში მხედველობიდან არ გამორჩენია ნ. მიწიშვილის აქტიურობა და საფრანგეთის პოლიციის წინაშე მთელი სიმკაცრით დააყენა მისი ქვეყნიდან გაძევების საკითხი. აკაკი ჩხენკელი საფრანგეთის „ოხრანკას“ 1925 წლის 8 თებერვალს (აქ აშკარა უზუსტობაა დაშვებული, ვინაიდან, როგორც ზემოთ ვნახეთ, ნ. მიწიშვილის ვიზის მოქმედება იწყება 1925 წლის 19 თებერვლიდან) წერილით ამცნობდა, რომ ნ. მიწიშვილი იყო „კომუნისტური პარტიის წევრი, გამოგზავნილი საბჭოთა ხელისუფლების მიერ საფრანგეთში აგიტაცია-პროპაგანდისათვის“. (გრ. ვეშაპელი).[24]

ნ. მიწიშვილი აქტიური კომუნისტური პროპაგანდისათვის სამჯერ გააძევეს საფრანგეთიდან. მას მუდმივად ერჩოდნენ ქართული ემიგრაციის ცალკეული წარმომადგენლები. „საბჭოთა მოქალაქეთა კრებაზე“ „მენშევიკი ფაშისტების“ თავდასხმის შემდეგ ნ. მიწიშვილს სასწრაფოდ ქვეყნის დატოვება მოსთხოვეს.[148]

საქართველოში დაბრუნების შემდეგ ნიკოლოზ მიწიშვილმა აქტიური ლიტერატურული და საზოგადოებრივი საქმიანობა გააგრძელა. 1926-1928 წლებში იყო სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ჟურნალ „ქართული მწერლობის“ რედაქტორი, 1932-1933 წწ. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო 1933-1934 წწ. მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი. ნ. მიწიშვილმა გამოსცა ლექსების კრებულები, ხშირად იბეჭდებოდა მისი სტატიები. 1931 წლის ახლადდაარსებულ „სალიტერატურო გაზეთის“ პირველ ნომერში დაიბეჭდა მისი წერილი „საბჭოთა მწერლობის ახალი ამოცანები“.

ნ. მიწიშვილი არ მალავდა საკუთარ შეხედულებებს და ხმამაღლა აცხადებდა, რომ ახალი მწერლები თავისებურ გარდაქმნას და ახალ ცხოვრებასთან შეგუების სიძნელეებს განიცდიდნენ, თუმცა მათ ხელისუფლების მიმართ მტრობა არ ამოძრავებდათ:

„როდესაც მწერალი იძლევა შემოქმედების ნიმუშს, ის ამ ნაწარმოებში გადმოგვიშლის არა მარტო ერთ რომელიმე თვისებას თავისი ბუნებისა, არამედ მოაქვს მთელი თავისი არსება, მოდის მთელი შინაგანი ბუნებით ძირფესვიანად და ეს მით უფრო ძნელია მწერლისათვის, სხვა სოციალური პირობების ზეგავლენით.

თუ მხედველობაში მივიღებთ მხატვრული შემოქმედების იმ რთულსა და თავისებურ სპეციფიკას, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ახლანდელი პერიოდის გამოხატვა და მისთვის საჭირო შემოქმედებითი ფაქტის მოცემა ძნელი უნდა იყოს მათთვისაც კი, ვინც აღიზარდა მხოლოდ ამ პერიოდში და სავსებით მისი ფსიქიკითაა გაჟღენთილი.

ამრიგად, ჩვენ წინაშე ისახება დიდი სიძნელე და წინააღმდეგობათა წყება, რომელიც საჭიროა დასძლიოს მწერალმა, რათა ნაწილობრივ მაინც შესძლოს საკუთარი შემოქმედების მთელი სიძლიერით გადმოგვიშალოს თანამედროვე

ეპოქის ჭეშმარიტი სახე – მომავლისაკენ შემობრუნებული... და ჩემის ფიქრით, სრულად მიუღებელი იქნება ხელოვნებაში ისეთი პოლიტიკა, რომელიც გვერდს აუხვევდა ამ გარემოებას და რომელიც მოითხოვდა მწერლისაგან ან სიკვდილს, ან ახლავე გამარჯვებას".[272]

ნ. მიწიშვილმა შემდგომში არაერთხელ გაილაშქრა პროლეტარული მწერლობის წინააღმდეგ. სწორედ მისი მოქალაქეობრივ-ფილოსოფიური მრწამსი იმ ავბედითი პერიოდის ქართულ საბჭოთა მწერლობასა და მწერლებზე, რაშიც ზოგიერთი ხელმძღვანელი პარტიული მუშაკი ანტიკომუნისტურ აზროვნებას ხედავდა, გახდა საფუძველი მისი დაპატიმრებისა 1937 წლის 1 ივნისს.

ნ. მიწიშვილი გამომცემლობა „ზარია ვოსტოკადან", სადაც იგი მხატვრული ლიტერატურის გამოცემას ხელმძღვანელობდა, შინსახკომში პირადად ლ. ბერიას მარჯვენა ხელმა ბოგდან ქობულოვმა წაიყვანა. ნ. მიწიშვილის საქმის გამოძიებაში მონაწილეობდნენ კარგად ცნობილი ჯალათები ნ. ა. კრიმიანი და კ. ს. სავიცკი.[188]

XX საუკუნის 50-60-იან წლებში ნ. მიწიშვილის საქმის გადასინჯვისას გაირკვა, რომ რეპრესიების მიზეზი არ ყოფილა მხოლოდ მისი მოქალაქეობრივ-მწერლური პათოსი და შეხედულებები იმ ავბედით პერიოდზე. ყველა დაკითხულმა მოწმემ ნ. მიწიშვილის დაპატიმრების მიზეზად დაასახელა მწერალ ს. შანშიაშვილის ოჯახში გამართულ ერთ-ერთ წვეულებაზე მისი მხრიდან ლ. ბერიას უშვერი სიტყვებით მოხსენიება ლიტერატურის სფეროში ჩარევისათვის. „ციხეში ამოვალ-პობო", – განუცხადებია გაცეცხლებულ ლ. ბერიას და აუსრულა კიდეც მუქარა. ფორმალურად ნ. მიწიშვილის დაპატიმრებას საფუძვლად დაედო საზღვარგარეთ მისი ყოფნისას თითქოსდა ორი უცხო ქვეყნის სასარგებლო ჯაშუშური და კონტრრევოლუციური საქმიანობა.

ნ. მიწიშვილის საქმის გამოძიება დიდხანს არ გაგრძელებულა. 1937 წლის 12 ივლისს მას სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის გამსვლელ დახურულ სხდომაზე სასჯელის ზომად განესაზღვრა დახვრეტა. განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი მეორე დღესვე. რეპრესიებს ვერ გადაურჩა ვერც ნ. მიწიშვილის მეუღლე, სამი მცირეწლოვანი შვილის დედა ქალბატონი თამარ ბაგრატიონ-მიწიშვილი, რომელიც იმავე წლის ოქტომბერში დააპატიმრეს. 1945 წელს კომის ასსრ-ში რვაწლიანი პატიმრობის შემდეგ ის დაინვალიდებული დაბრუნდა საქართველოში.[272]

საბჭოთა ხელისუფლებისა და მისი სპეცსამსახურების წარმომადგენლების აქტიური საქმიანობის შედეგად ქართველ ემიგრანტთა ერთი ნაწილი (ბუნებრივია, მათ შორის იყვნენ საბჭოთა სისტემის მიმართ გულწრფელად განწყობილი ქართველებიც) წამოეგო საბჭოთა პროპაგანდას და არათუ აქტიურად ფიქრობდა საბჭოთა საქართველოში დაბრუნებაზე, არამედ დაიწყო სოციალ-დემოკრატიული მთავრობისა და პოლიტიკური ემიგრაციის სხვადასხვა წარმომადგენლების ანტისაბჭოთა განწყობის დაგმობა და პროსაბჭოთა იდეოლოგიის პროპაგანდა. საბჭოთა ხელისუფლება ქართველთა ამ ნაწილის საქართველოში დაბრუნებას არ ჩქარობდა. მათ თავისი ფუნქცია ამონურული ჯერ არ ჰქონდათ. საბჭოთა სპეცსამსახურების რეკომენდაციები ასეთი იყო: „...сейчас их возвращать не следует, а как раз наоборот, надо заняться этой группой, перетянуть её на нашу сторону, чтобы именно здесь в Париже они могли-бы выступить с декларацией

против меньшевиков, что-бы они будучи сами высланными старые активные меньшевики – без всякого внешнего давления обратились-бы к общественному мнению рабочих Франции в «Бюро Интернационала и пр. с протестом и осуждением деятельности своих вождей*".

აღნიშნული იდეის გაზიარების შემთხვევაში, საბჭოთა დაზვერვა ითხოვდა გარანტიებს, რომ საჯარო გამოსვლებისა და ქართველი სოციალ-დემოკრატების „მხილების" შემდეგ, მუშათა ამ ნაწილს მიეცემოდა სამშობლოში დაბრუნების უფლება და აუნაზღაურდებოდათ მასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი. თუმცა, ქართველი ემიგრანტების ზემოაღნიშნული ჯგუფის სამშობლოში დაბრუნებაზე დაყოლიება არ იყო მთლად მარტივი საქმე. ქართველი მუშები სამშობლოდან სისტემატურად იღებდნენ ნახევრადდაშიფრულ წერილებს, რომლებშიც ეწერა: „თუკი თქვენ პარიზში არცთუ ისე ცუდად გრძნობთ თავს და შეგიძლიათ ჯერ კიდევ გაძლება – დარჩით მანდ, ვინაიდან აქ ამინდი სასტიკად შეიცვალა და დღე-დღეზე მოსალოდნელია ძლიერი სეტყვა".[290]

საბჭოთა სპეცსამსახურები, ანტისაბჭოთა პოლიტიკური ემიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლაში, დიდ როლს ანიჭებდნენ უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში მოღვაწე ქართველ სტუდენტებს, რომლებიც გაგზავნილები იყვნენ საზღვარგარეთ ჯერ კიდევ 1918—1921 წლებში. საბჭოთა ხელისუფლების ძალისხმევით, სწორედ ევროპაში სასწავლებლად გაგზავნილი ახალგაზრდები აუმხედრდნენ დევნილ მთავრობას მათი „დამღუპველი, მოღალატური პოლიტიკის" გამო. აღნიშნულ პროცესში აქტიურად იყო ჩართული ს. ფირუმოვი.

1923 წლის 9 ნოემბერს ს. ფირუმოვი ბერლინიდან იტყობინებოდა, როგორი გავლენა მოახდინა ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს საპასუხო დეპეშამ გერმანიაში მყოფ სტუდენტობაზე, რის შედეგადაც დაწყებულა მათი მასობრივად გადასვლა საბჭოთა პლატფორმაზე. რამდენიმე დღეში ს. ფირუმოვი ანალოგიური, სტუდენტთა გადმობირების მისიით უნდა გამგზავრებულიყო სტუდენტთა „ციტადელში" – პრაღაში, სადაც სტუდენტთა კავშირში 80-მდე სომეხი და ქართველი სტუდენტი (ფინანსდებოდნენ ჩეხეთის ხელისუფლების მიერ) ყოფილა გაერთიანებული. ს ფირუმოვი თელიდა, რომ „в сдвиге грузинской массы"** განსაკუთრებული როლი ჰქონდა ლევან ღოღობერიძეს.[296]

1923 წლის ბოლოს ბერლინში გაიმართა გერმანიის საუნივერსიტეტო ქალაქებში, აგრეთვე ვენის, პრაღის, პარიზისა და სხვა ქალაქების უმაღლეს სასწავლებლებში არსებულ ქართველ სტუდენტთა დამოუკიდებელი სექციების გამაერთიანებელი ყრილობა, რომელსაც ორმოცდაათამდე სტუდენტი დაესწრო. ყრილობის გადაწყვეტილებით, ქართველ სტუდენტთა ამ ნაწილმა გაწყვიტა კავშირი ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციასთან და აღიარა საბჭოთა საქართველო. ყრილობამ მიიღო „საბჭოთა საქართველოს სტუდენტთა კავშირის წესდება" და „მოწოდება უცხოეთში მყოფი ქართველი სტუდენტებისადმი", აირჩია გამგეობა.

---

* ამჟამად მათი დაბრუნება არ ღირს, პირიქით, ამ ჯგუფით უნდა დავინტერესდეთ, გადმოვქაჩოთ ისინი ჩვენს მხარეს, რათა აქ, პარიზში შეძლონ მენშევიკების წინააღმდეგ დეკლარაციით გამოსვლა. გამოძევებულმა ძველმა აქტიურმა მენშევიკებმა, ყოველგვარი ზენოლის გარეშე, მიმართონ საფრანგეთის მუშების საზოგადოებრივ აზრს, ინტერნაციონალის ბიუროს და სხვებს თავიანთი ბელადების საქმიანობის მიმართ პროტესტის გამოსახატავად და დასაგმობად.

** ქართული მასის დაძვრაში

1925 წლის 12 ივლისს პარიზში მიღებულ იქნა „პოლიტიკურ ემიგრანტ მუშათა დეკლარაცია". მასში ნათქვამია: „ამ მოკლე განცხადებით ვიგონებთ რა ჩვენს წარსულს, ვითვალისწინებთ რა მომავალს, ჩვენ გავდივართ პარტიიდან, ვდგებით რა ყოველივე პოლიტიკის გარეშე, სურვილს ვაცხადებთ დავუბრუნდეთ ჩვენს სამშობლოს და გავიზიაროთ ქართველი ხალხის როგორც ჭირი, ისე ლხინი". დეკლარაციას ხელს აწერდნენ: ნესტორ სულუხია, თედო ლევანის ძე დემეტრაშვილი, გიორგი სულაქველიძე, სილოვან ერასტის ძე კალანდაძე, მაქსიმე ვეკუა, გიორგი კრიჭაშვილი.[311]

1925 წლის ივლისში გერმანიაში მცხოვრებმა ახალგაზრდებმა ხელი მოაწერეს „გერმანიაში მცხოვრები ახალგაზრდების დეკლარაციას", რითაც დააფიქსირეს საკუთარი ლოიალური დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლებისადმი. დეკლარაციას ხელს აწერდნენ: იპ. ნარსია, მოსე იმნაიშვილი, შ. ჩოჩია, ირაკლი ურუშაძე, ზურაბ ელიავა, ნიკო ქადაგიძე (უპარტიო), ალექსანდრე ნიკურაძე, მიხეილ მგელაძე, სიმონ (სერგო) ნინუა, კონსტანტინე ნიკოლაიშვილი.[143]

1924 წლისათვის, საბჭოთა სპეცსამსახურების უშუალო მონაწილეობით, წარმატებით ხორციელდებოდა პრაღაში საბჭოთა კოლონიის ფორმირება, თუმცა პროცესი იოლი არ იყო. ქართველთა მორიგ შეკრებაზე, მას შემდეგ, რაც საბჭოთა იდეოლოგიის მომხრეთა ერთ-ერთი წარმომადგენელი შაქრო ორჯონიკიძე სოციალ-დემოკრატების სანინააღმდეგო რეზოლუციით გამოვიდა, ის მოწინააღმდეგეებმა მწარედ სცემეს. თავის მხრივ, ამ უკანასკნელმა ჩხუბის დროს დანით დაჭრა ემიგრანტი მგალობლიშვილი.

ინციდენტიდან მეორე დღეს ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა სასწრაფო კრება მოიწვიეს, რომელზეც განიხილეს პროსაბჭოთა „პუბლიკის" წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები. კრებას ესწრებოდა ემიგრანტი ა. ხელაძე, რომელმაც მომხდართან დაკავშირებით აცნობა საბჭოთა დაზვერვას. ამ პერიოდისათვის პრაღაში უკვე კარგად იყო ორგანიზებული: „дело внутренней информации, переданное соответствующему нешему органу в Праге*" – აღნიშნულია ერთ-ერთ საიდუმლო შეტყობინებაში. აქვე მინიშნებულია იხიც, რომ იმ პერიოდში საბჭოთა იდეოლოგიის სასარგებლოდ აქტიურად საქმიანობდნენ პრაღაში ჩასულები ივ. კაჩუხოვი (კაჩუხაშვილი) და ა. ხელაძე, რომელთა გაგზავნა შემდგომ, ანალოგიური საქმიანობის საწარმოებლად, იგეგმებოდა პარიზში.[313]

ქართულ ემიგრაციაზე საბჭოთა იდეოლოგიური ზემოქმედების მცდელობა ქართველთა ერთი ნაწილის უკმაყოფილებას იწვევდა და ისინი პროტესტის სხვადასხვა ფორმას მიმართავდნენ. თუმცა საბჭოთა საგარეო დაზვერვა ამ შემთხვევასაც თავის სასარგებლოდ იყენებდა.

1924 წლის ნოემბერში ბერლინის ქართველ სტუდენტთა შეკრებაზე შეიჭრა ბერლინის ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი ძინძიბაძე, რომელმაც დამსწრეთ სროლა აუტეხა. სროლის დროს მძიმედ დაიჭრა მისივე თანატოლი, ასევე სტუდენტი ყანდარელი. ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის მიუხედავად, ძინძიბაძე პოლიციას არ დაუპატიმრებია. საბჭოთა მხარემ ეს ფაქტიც მთლიანად ნოე რამიშვილსა და მის პროპაგანდისტულ საქმიანობას მიაწერა: „ამ პროპაგანდის შედეგი იყო, რომ ნოემბერში მენშევიკური დელეგაციის და მონპარნასის ვაგზლის

* პრაღაში, შესაბამისად ჩვენ ორგანოში გადაცემული შიდასაინფორმაციო საქმიანობა

„ასობოატრიადების" ტეხნიკური დარიგებით ძინძიბაძემ ხუთი ტყვია ხეთქა საბჭოთა საქართველოს სტუდენტთა ორგანიზაციის კრებას და შემთხვევით მარტო ყანდარელი დაჭრა".[24]

თავდაპირველად ქართველი სოციალ-დემოკრატები ყანდარელის სასამართლო პროცესის პოლიტიკური მიზნებისათვის გამოყენებას შეეცადნენ. გავრცელდა ხმები, რომ „მენშევიკი ტერორისტის" დაცვას ითავებდა ცნობილი ადვოკატი პოლ ბონკური. სოციალ-დემოკრატები სასამართლო პროცესზე ღიად გამოსვლას არ აპირებდნენ. ოფიციალურად მათ პოზიციას წარმოადგენდა პარიზის ქართული სათვისტომო.

ყანდარელის საქმესთან დაკავშირებით საბჭოთა წარმომადგენლობა პარიზში გაურკვეველობაში აღმოჩნდა, ვინაიდან მოსკოვიდან რაიმე კონკრეტული მითითება არ ჩანდა. სიტუაცია უცვლელი დარჩა მას შემდეგაც, რაც საფრანგეთის დედაქალაქში ცნობილი კომუნისტი-ფუნქციონერი შალვა ელიავა ჩავიდა. ამდენად, ს. ფირუმოვი, რომელიც ბერლინში იმყოფებოდა, იძულებული იყო ზემოაღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით დალაპარაკებოდა საფრანგეთში სსრკ-ის ელჩს პარიზში მიმავალ ლ. კრასინს (დაინიშნა 1924 წლის 13 დეკემბერს). შექმნილი ვითარების გაცნობის შემდეგ ეს უკანასკნელი დარწმუნდა, რომ საფრანგეთის ქართულ ემიგრაციაში მიმდინარე მოვლენები აშკარად ბოლშევიკების სასარგებლოდ არ ვითარდებოდა, და 1924 წლის აგვისტოს მოვლენების შედეგების ფონზე, სოციალ-დემოკრატები აუცილებლად გამოიყენებდნენ ყანდარელის სასამართლო პროცესს.

აქედან გამომდინარე, საბჭოთა ხელისუფლების ძალისხმევა იქით უნდა მიემართათ, რომ სასამართლო პროცესი პოლიტიკურად ანგაჟირებული არ ყოფილიყო და საქმე უბრალო კრიმინალურ სფეროს მიკუთვნებოდა. ამასთან დაკავშირებით, ლ. კრასინმა სასწრაფო დეპეშით მიმართა სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრს გიორგი ჩიჩერინს, რომლის პასუხზეც საბოლოოდ იყო დამოკიდებული ყანდარელის საქმის მიმართ საბჭოთა ხელისუფლების პოზიცია. როგორც ჩანს, ამ საკითხთან დაკავშირებით, განსხვავებული პოზიცია არსებობდა ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციის ხელმძღვანელობაში. ს. ფირუმოვს მიაჩნდა, რომ საჭირო იყო შეჯერებული პოზიციის ჩამოყალიბება.[297]

„იმ ძინძიბაძის ცნობილ პროცესზე, რომელსაც ქართულმა ლეგაციამ რევოლვერი ჩაუგდო ხელში მისთვის არა სასურველ საბჭოთა მოქალაქის მოსაკლავად – მკვლელის დასაცავად გამოვიდა ბატონი წერეთელი და პოლ ბონკურისა და რენოდელთან ერთად წარმოთქვა უაღრესად პოგრომული სიტყვა. რა თქმა უნდა ძინძიბაძე გაამართლეს და „ნაციონალურ გმირადაც" კი გამოაცხადეს..." – აღნიშნავდა ლ. ღოღობერიძე გაზეთ „კომუნისტის" ფურცლებზე.[152]

როგორც ჩანს, მოგვიანებით საბჭოთა ხელისუფლებამ „ძინძიბაძის საქმესთან" დაკავშირებით უკვე ტრადიციად ქცეული გადაწყვეტილება მიიღო, რაშიც უდავოდ ერია საბჭოთა საგარეო დაზვერვის ხელი. ოპერატიულ-იდეოლოგიური კომბინაციის მიზანი ქართველი სოციალ-დემოკრატების მორიგი დისკრედიტაცია იყო.

საქართველოში დაბრუნების სანაცვლოდ, ძინძიბაძე დაითანხმეს, განეცხადებინა, რომ ინციდენტში ქართველი სოციალ-დემოკრატები და ფრანგი სოციალისტები მონაწილეობდნენ. ს. ფირუმოვი თბილისში, საბჭოთა კავშირის საგარეო

საქმეთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენლის სახელზე 1926 წლის 10 მარტს გაგზავნილი საიდუმლო გრიფის დაშიფრულ დეპეშაში იტყობინებოდა:

„Из Парижа. Тифлис. Уполномоченному Н.К.И.Д. Для Заккрайкома, копия Гогоберидзе от Пирумова. Студент Дзиндзибадзе покушавшийся в прошлом году на убийство Кандарели готов сделать письменное разоблачение касательно участия меньшевиков, а также французских социалистов в этом деле. Свое выступление оговаривает правом въезда в Грузию. Телеграфируйте инструкцию. Поступают разные сведения о массовых арестах в закавказии, в частности Армении. Телеграфируйте, правда ли это, размер и причины арестов“*.[311]

საბჭოთა ხელისუფლება და მისი სპეცსამსახურები სტუდენტ ყანდარელის გამოყენებას რომ გეგმავდნენ, მოწმობს დავით ლომაძის მიერ 1928 წლის 13 ნოემბერს ბერლინიდან ვორონინისადმი (მისი სამსახურებრივი მდგომარეობა უცნობია) გაგზავნილი წერილიც. დ. ლომაძისათვის როგორც ამიერკავკასიის საბჭოთა სტუდენტთა საზღვარგარეთის კავშირის ცენტრალური ბიუროს წევრისათვის, ამიერკავკასიის სტუდენტთა პირველი კონგრესის დელეგატისათვის (ვენიდან) და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარისათვის დაუვალებიათ ყანდარელის საკითხის შესწავლა. ყანდარელის მიმართ არსებობდა ეჭვი სტუდენტთა მატერიალური დახმარების ღონისძიებებში მისი არაკეთილსინდისიერი მონაწილეობის გამო.

იმ პერიოდში ქართველ სტუდენტებს შორის დადიოდა ხმები ყანდარელის ასაკოვან, თუმცა მდიდარ ბარონესასთან ინტიმური კავშირის შესახებ. ეს უკანასკნელი ყანდარელს მატერიალურად უხვად ეხმარებოდა ჯერ კიდევ იმ პერიოდიდან, როდესაც ანტისაბჭოთა პოზიციებზე იდგა და შემდეგი ორი წლის მანძილზეც, როდესაც ის საბჭოთა სტიპენდიანტი იყო. შ. ელიავას, რომელიც იმ დროს უკვე საქართველოში ცხოვრობდა, განმარტებით, მას შემდეგ, რაც ყანდარელს მოუნდომებია ბარონესას ბრილიანტების გაყიდვა, ურთიერთობები მათ შორის სკანდალურად გაწყვეტილა.

დ. ლომაძის წერილიდან ირკვევა ისიც, რომ ამ უკანასკნელის ძალისხმევითა და რეკომენდაციით ყანდარელი შესულა გერმანიის კომუნისტური პარტიის რიგებში. რაც შეეხება მასზე 1925 წლის ნოემბერში განხორციელებულ თავდასხმას, ის არ ყოფილა პოლიტიკური მოტივით გამოწვეული, თუმცა ბოლშევიკებს ამ საქმისათვის პოლიტიკური ხასიათი მიუციათ.[305] როგორც ძინძიბაძის, ისე ყანდარელის შემდგომი ბედი უცნობია.

მიუხედავად არსებული პრობლემებისა, საბჭოთა ხელისუფლება და მისი სპეცსამსახურები კვლავ განაგრძობდნენ ქართველი ემიგრანტების სამშობლოში დაბრუნების დაყოლიებისათვის იდეოლოგიური და ოპერატიული ღონისძიებების გატარებას. ამ მიზნით, 1926 წელს ბერლინიდან პრაღაში ჩავიდა ვინმე მეგრელ-

* „პარიზი. თბილისი. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისათვის, ასლი ლოლობერიძეს ფირუმოვისაგან. სტუდენტი ძინძიბაძე, რომელიც გასულ წელს მოსაკლავად თავს დაესხა ყანდარელს, მზად არის გააკეთოს მამხილებელი განცხადება ამ საქმეში მენშევიკების, აგრეთვე საფრანგეთის სოციალისტების მონაწილეობასთან დაკავშირებით. ამ განცხადების გაკეთებას აპირებს საქართველოში დაბრუნების სანაცვლოდ. გვიდეპეშეთ ინსტრუქცია. ჩვენამდე მოდის სხვადასხვა ცნობა ამიერკავკასიაში მასობრივი დაპატიმრებების თაობაზე, კერძოდ, სომხეთში. გვიდეპეშეთ, არის თუ არა ეს მართალი, აგრეთვე დაჭრათა ოდენობა და მიზეზები“.

იძეც. ამის თაობაზე ემიგრანტი ერეთეოზ რამიშვილი წერილობით ატყობინებდა ემიგრანტ კოლია ჭუმბურიძეს: „აქ არის მეგრელიძე ბერლინიდან. ის, რაც ამის შესახებ მოგწერო – ჩვენს შორის უნდა დარჩეს უთუოდ. მე მან მომმართა წერილით, სადაც წინადადებას მაძლევდა დავბრუნებულიყავი საქართველოში და როგორც „სამეურნეო პრაქტიკოსი“ შევდგომოდი ჩემი სპეციალობის მიხედვით ამჟამად „მეტად საჭირო მუშაობას“. როგორც აღნიშნული წერილიდან ირკვევა, ე. რამიშვილი და მეგრელიძე ერთმანეთს პირადადაც შეხვედრიან. რით დამთავრდა მათი ეს კონტაქტი, უცნობია, მაგრამ ე. რამიშვილი რომ საქართველოში არ დაბრუნებულა, ცხადია. ამის მიზეზი შეიძლება ყოფილიყო ის, რომ ზემოაღნიშნული წერილი საბჭოთა სპეცსამსახურებმა ხელთ იგდეს და ქართველი ემიგრანტების მორიგი კომპრომეტირების მიზნით, ის გაზეთ „კომუნისტის“ 1926 წლის 3 ივლისის ნომერში გამოაქვეყნეს.[157]

ქართული ემიგრაციის დისკრედიტაციის საქმეში საბჭოთა ხელისუფლებას დიდი სამსახური გაუწია ერთ დროს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის აქტიურმა წევრმა ვანო ალიხანაშვილმა.

ვ. ალიხანაშვილის, ერთ დროს ნოე რამიშვილის თანამებრძოლისა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის ძველი მუშაკის ერთ-ერთი სერიოზული პარტიული დავალება გახლდათ „უსაშინლესი დიქტატორისა და ტირანის“, გენერალ-მაიორ ალიხანოვ-ავარსკის მიმართ 1907 წლის 2 ივლისს განხორციელებული ტერორისტული აქტი, რომელშიც ის აქტიურ მონაწილეობას იღებდა. მას შემდეგ, რაც მუშათა და გლეხთა მოძრაობამ რუსეთის იმპერიაში და, მათ შორის, საქართველოში პიკს მიაღწია, 1906 წლის დასაწყისში ხელისუფლებამ დასავლეთ საქართველოში თავისი სისასტიკით ცნობილი ალიხანოვ-ავარსკი და მისი დამსჯელი რაზმი მიავლინა. ეს უკანასკნელი 1906 წლის 8-9 იანვარს სურამის უღელტეხილიდან დასავლეთისკენ დაიძრა და ცეცხლითა და მახვილით ჩაახშო გლეხთა მოძრაობა იმერეთში, რაჭაში, ლეჩხუმში, სამეგრელოსა და გურიაში. მაშინ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბოლშევიკურმა ფრაქციამ მიიღო გადაწყვეტილება ალიხანოვ-ავარსკის ფიზიკური განადგურების თაობაზე, მაგრამ პირველი მცდელობა ქუთაისში წარუმატებლად დასრულდა. ალიხანოვ-ავარსკი მძიმედ დაიჭრა, თუმცა სიცოცხლე შეუნარჩუნდა. ვ. ალიხანაშვილი თავის მოგონებაში მიანიშნებს: „ქუთაისში დაჭრილმა გენერალმა ალიხანოვმა, თბილისში ნამესტნიკ ვორონცოვ-დაშკოვთან გააკეთა მოხსენება, რომ საქართველოს რევოლუციური მოძრაობა ტონს აძლევს მთელს რუსეთის იმპერიას! დადგება დრო, როდესაც საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშური პარტია რუსეთის რევოლუციის ავანგარდი შეიქმნებოდა, რომელიც იმპერატორის ტახტს პირქვე დაამხობსო და რათაც არ უნდა დამიჯდეს ეს მოძრაობა საქართველოში უნდა ჩავახშო...“ (სტილი დაცულია).

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მენშევიკური ფრაქცია ალიხანოვ-ავარსკის საკითხს სიფრთხილით ეკიდებოდა, ვინაიდან იცოდა, რომ საქართველოში მისი მკვლელობის შემთხვევაში მოსახლეობას უსასტიკესი რეპრესიები არ ასცდებოდა. ეს გაითვალისწინეს ბოლშევიკებმა და 1907 წლის 2 ივლისს ალიხანოვ-ავარსკი მოკლეს მაშინდელი სომხეთის ტერიტორიაზე, დაბა გიუმრის მახლობლად. ამ ტერორისტული აქტის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე ვ. ალიხანაშვილი იყო.

ტერორისტული აქტის მოხდენისთანავე ბოლშევიკებმა ხმები გაავრცელეს, რომ ალიხანოვ-ავარსკის მკვლელობა, თითქოსდა, სომეხმა დაშნაკებმა განახორციელეს. ამ ვერსიის საზოგადოებას დიდხანს სჯეროდა. ალიხანოვ-ავარსკის მკვლელობაში ბოლშევიკების მონაწილეობის საკითხს კარგა ხანს, გასაგები მიზეზების გამო, ტაბუ ჰქონდა დადებული.[292]

ვ. ალიხანაშვილი საქართველოს მთავრობას ემიგრაციაში წაჰყვა. ის სტამბოლში ყოფნისას დევნილი მთავრობისგან უსახსროდ და მორალური მხარდაჭერის გარეშე დარჩა, რამაც გაანაწყენა. ამის შემდეგ ვ. ალიხანაშვილმა გამოსცა „მენშევიკური პარტიის მამხილებელი" ბროშურა და 1923 წელს სტამბოლიდან პარიზში გაემგზავრა.[2] ქართული სათვისტომოს ერთ-ერთ შეკრებაზე ვ. ალიხანაშვილი სიტყვით გამოვიდა და თავისი პოზიციის დაცვას კიდევ ერთხელ შეეცადა, თუმცა ქართველი ემიგრანტების, განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატების მიერ ის მტრად იქნა შერაცხილი.

ვ. ალიხანაშვილი იმ პერიოდში ცხოვრობდა პარიზში, მონპარნასის რაიონში მეუღლესა და შვილებთან ერთად. მას ჯანმრთელობა შერყეული ჰქონდა.

ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა ვ. ალიხანაშვილს არ აპატიეს ყოფილი თანაპარტიელების წინააღმდეგ გალაშქრება და მას ალიხანოვ-ავარსკის მკვლელობაში აქტიური მონაწილეობა გაუხსენეს. 1925 წელს, მთელი ერთი თვის მანძილზე, საფრანგეთის პრესა ვ. ალიხანაშვილის მამხილებელ სტატიებს ბეჭდავდა და მისი, როგორც „მეფის გენერლის" მკვლელის, ქვეყნიდან გაძევებას მოითხოვდა. ვ. ალიხანაშვილს საზღვარგარეთ არ დაედგომებოდა. იგი საქართველოში დაბრუნდა.

1926 წლის 10 თებერვალს ვ. ალიხანაშვილმა გამოაქვეყნა ქართველი სოციალ-დემოკრატების სანინააღმდეგო წერილი: „ამხ. მიშა ლაშქარაშვილს... და ქართველ ემიგრაციას პარიზში", რითაც კიდევ ერთხელ დაიმსახურა ქართველ სოციალ-დემოკრატთა რისხვა.

საქართველოში დაბრუნებული ვ. ალიხანაშვილი ბოლშევიკური (კომუნისტური) პარტიის აპოლოგეტად იქცა და იდეოლოგიური ბრძოლის ფერხულში ჩაება. ის სტატიებსა და ანგარიშებს ზოგჯერ ვ. გურულის ფსევდონიმით აწერდა ხელს.

1933 წლისათვის ვ. ალიხანაშვილი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოში რევოლუციურ მოძრაობასთან და სამოქალაქო ომთან დაკავშირებული მასალების მოძიებაში. საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისადმი გაკეთებულ ერთ-ერთ ანგარიშში ის მიუთითებს 1908 წელს გურიის სოფელ ფარცხმაში ჩატარებულ სამოქალაქო მიტინგზე, რომელზეც „...тов. Сталин спорил с 17 меншевикскими главарями*".[313,311]

ვ. ალიხანაშვილი თავის ანგარიშებში ასევე მიუთითებს ღოღობერიძის, მიწიშვილისა და ლომაძის განსაკუთრებულ როლზე საზღვარგარეთ ქართული ემიგრაციის დაშლის საქმეში: „...3 წლის განმავლობაში სრულიად შეიძლებოდა ემიგრაციის დაშლა, მაგრამ ამას ხელს უშლიდა საბჭოთა საქართველოს წარმომადგენლის უყოლობა და ამის შემდეგაც რომ ღოღობერიძეს და მიწიშვილს არ ეწარმოებინათ მოლაპარაკება ჩვენთან, პირველ ჯგუფ მუშებთან, შეიძლება მდგომარეობა ესე არ შექმნილიყო. ამას ამტკიცებს ისიც, რომ ლევან ღოღობ-

* ამხანაგი სტალინი კამათობდა 17 მენშევიკ ლიდერთან

ერიძის ჩამოსვლამდე პარიზში ვერ მოხერხდა ფირუმოვის საშუალებით იმის გაკეთება, რაც ამ უამად გაკეთებულია (ასევე იქნებოდა პრაგაში, რომ იქ დათიკო ლომაძეს არ ეწარმოებინა დაუღალავი მუშაობა ქართველ ემოგრაციის შორის, რომელმაც, იქვე პრაგაში დააარსა საბჭ. საქართველოს მოქალაქეთა კოლონია და ბოლოს, პარიზშიც, ლ. ღოღობერიძის წამოსვლის შემდეგ მანვე, ლომაძემ შეძლო ემიგრაციაში დიდი მუშაობის ჩატარება, რასაც არა ქართველი არ გააკეთებდა)". „ჩვენ, რასაკვირველია, სრულებით წინააღმდეგი არა ვართ, რომ ფირუმოვი იყო წარმომადგენელი ა/კ მთავრობის სახელით; მხოლოდ მინდა მოგახსენოთ, რომ აუცილებლად საჭიროა ქართველი ბოლშევიკი ქართულ ემიგრაციაში სამუშაოდ".[20]

უკვე თბილისში მყოფმა ვ. ალიხანაშვილმა 1926 წლის 1 ივლისით დათარიღებული მოხსენებითი ბარათით („სასწრაფოდ გადავდგათ გადამწყვეტი ნაბიჯი ქართული ემიგრაციის დასაშლელად") მიმართა ამხანაგ სერგო ორჯონიკიძეს და, საზღვარგარეთული მუშაობის გამოცდილებიდან გამომდინარე, ქართულ ემიგრაციასთან მიმართებით საბჭოთა ხელისუფლებას შემდეგი რეკომენდაციები შესთავაზა:

„საჭიროა საქართველოს საბჭოთა მთავრობამ გადადგას ქართველი ემიგრანტების, კარიერისტულ რეაქციონერული ჯგუფების წინააღმდეგ გადამწყვეტი ნაბიჯი, რომ შესაძლებელი გახდეს მათი პოლიტიკის სასიკვდილო ლახვარის ჩაცემა, მათი მოსპობა და ქართველ მუშურ-გლეხურ ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი გაიძვერა, ეგოისტი ბელადების დასამარება. ამისათვის მიმდინარე ღონისძიებათ იქნება შემდეგი:

1) რამიშვილისა და ჟორდანიას კომპანია ატყუებს საქართველოში მენშევიკსა და ნაციონალისტს, მათ მომხრე ქართველ საზოგადოებას მეორე ინტერნაციონალისა და კაპიტალისტურ ევროპის ცრუ იმედებით, ხოლო მოტყუებულ ქართველ საზოგადოების ფსიხოლოგიურ მდგომარეობით და ილუზიებით იღებენ ინფორმაციას და ამ ყალბი ინფორმაციით ისინი, ე. ი. რამიშვილისა და ჟორდანიას კომპანია, ატყუებს კაუცკის, ვანდერვალდს, რენოდელს, მაკდონალდს და საერთოთ მეორე ინტერნაციონალს, ხოლო ამათ შემწეობით ბურჟუაზიული სახელმწიფოების მთავრობებს! ამნაირად ევროპაში მყოფ ემიგრაციასა და საბჭოთა ხელისუფლებას შორის არის სრულიად ყალბ ნიადაგზე აღმოცენებული უთანხმოება და მძულვარება, ამას ბოლო უნდა მოეღოს!

2) აუცილებლად საჭიროა, დაინიშნოს პარიზში ქართულ ემიგრაციაში მომუშავეთა ხელმძღვანელად და პასუხისმგებელ პირად ეროვნებით ქართველი. დიდი ავტორიტეტის მქონე რომელიმე ბოლშევიკი!

3) უნდა დავაარსოთ პარიზშივე ქართული ყოველკვირეული გაზეთი, რომლის რედაქტორი პიროვნება კი არა, მომზადებული მუშური კოლექტივი უნდა იყოს, რომელიც იქნება, სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, მარქსისტული თვალსაზრისით გამშუქებელი ყველა საკითხისა, რომ ამ კოლექტივს საზღვარგარეთ დაევალოს იდეური და პოლიტიკური მუშაობა!

4) საჭიროა უსათუოდ საბჭოთა პლატფორმაზე გადმოსვლა. მუშებს, გლეხებს და სხვა გულწრფელ მოქალაქეებს გაუადვილოთ სამშობლოში დაბრუნება, რომ შესძლონ დღიდან რწმენის შეცვლისა, სამ დღეში მაინც გამომგზავრება, რათა

ამით შესაძლებელი გახდეს, რომ ბევრი საღი ნაწილი ავანტურისტების ბანაკში არა რჩებოდეს ტერორის შიშის წყალობით!

5) ვინაიდან კარლო ჩხეიძის თვითმკვლელობით და გრ. ვეშაპელის სიკვდილით მეტის მეტი ხელსაყრელი მომენტია შექმნილი, ამიტომ საჭიროა საბჭოთა საქართველოს მთავრობამ დაუყოვნებლივ დაიწყოს დაკვრითი წესით მუშაობა ქართულ ემიგრაციაში ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების სასწრაფოდ განხორციელებისათვის!

6) ხაზს გასმით უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ წარმომადგენლობაში უსათუოდ უნდა იყოს ყველა დიდი და პატარა მოხელე, სულ უბრალო გადამწერი და შიკრიკიც კი, უმაღლესად ზნეობრივად სპეტაკი, თავგანწირული მუშა რკინისებური ხასიათით და პოლიტიკურად ძლიერ მომზადებული. გახსოვდეთ, რომ ყველა ფრანგი და ინგლისელი, გერმანელი და ამერიკელი თანამედროვე საბჭოთა ხელისუფლებას სჯის და აფასებს იმისდა მიხედვით, თუ როგორია მისი წარმომადგენელი მათ ქვეყნებში! თუ წარმომადგენლობა არ ვარგა, მაშასადამე, საბჭოთა ხელისუფლებაც არ ვარგა! თუ წარმომადგენლობა კარგია, მაშასადამე საბჭოთა ხელისუფლებაც კარგია! გვახსოვდეს ქართული ანდაზა, რომ „ერთმა მურტალმა თაგვმა ცხრა ქვევრი წაბილწა“-ო“.

კვლავ ვიმეორებ, რომ როგორც პარიზში, საზღვარგარეთ ემიგრაციაში, ისე საქართველოშიც არიან თვით საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე გადმოსულნი და ჩვენი მთავრობის ნდობით აღჭურვილნი მომუშავე პირები, რომელნიც, რაღაცა ფარული მოსაზრებებიდან და კომბინაციებიდან გამომდინარენი, ხელს უშლიდენ და ხელს უშლიან დღესაც ემიგრაციის დაშლას, მის სახლში დაბრუნებას და მის მოსპობას, რადგან მღვრიე წყალში ორგვარ თევზის ჭერას ფიქრობენ შოვინისტურს თვალსაზრისით და პირადი ჯიშის სასარგებლოთ!

ვ. ალიხანაშვილი, 1 ივლისი – 1926 წ., ქ. ტფილისი, ვ. ალ.[255]

საბჭოთა ხელისუფლებისა და სპეცსამსახურების ძალისხმევის შედეგად 1925 წლის აგვისტოში საბჭოთა საქართველოში გამოემგზავრა ქართველ ემიგრანტთა პირველი ჯგუფი. შემდეგი ჯგუფი სამშობლოში ქ. მარსელიდან გამოეშურა 1926 წლის 18 იანვარს. ქართველ რეემიგრანტებს შორის იყვნენ: ლელე ჯაფარიძე, ვანო კაჩუხაშვილი, სარგის გლახოიანი, სოსო გოგინაშვილი, ვანო იმნაძე, ვანო ნაცვლიშვილი და სხვები. ქართველთა მორიგი ჯგუფი ასევე მარსელიდან ბათუმის მიმართულებით დაიძრა 1926 წლის მარტში. სამშობლოში ბრუნდებოდნენ: ქეთო მაღალაშვილი (მხატვარი), შ. ჭანიშვილი (აგრონომი) და შ. ხუხუნი (იურისტი).

გაზეთი „კომუნისტი“ იტყობინებოდა, რომ საბჭოთა კავშირის მოქალაქეობის მიღების მსურველთა რეგისტრაცია გაგრძელებული იყო 1927 წლის 1 მარტამდე. რეგისტრაციას აწარმოებდა პარიზის „ახალი ქართული საზოგადოების“ გამგეობა.[156]

საბჭოური ცხოვრების წესმა მაინც ვერ აიტანა უცხოეთიდან დაბრუნებული ქართველები, რომლებიც ხელისუფლების და მისი სპეცსამსახურების მხრიდან მუდმივი კონტროლის ქვეშ იმყოფებოდნენ. მოგვიანებით მათი უმეტესობა რეპრესირებულ იქნა.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან (1918 წ.), ახალგაზრდა ქვეყნის ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ეცნოთ მსოფლიოს სახელმწიფოებს. ევროპაში იგზავნებოდნენ დელეგაციები, მზადდებოდა მემორანდუმები, მიმართვები და კერძო წერილები, ყალიბდებოდნენ საქართველოს საზღვარგარეთის წარმომადგენლობები, აქტიურად გამოიყენებოდა საქართველოს საკითხის გასატანად სოციალისტური ინტერნაციონალი და ყველა მისი სექცია.

ცნობილი ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის კონსტანტინე გვარჯალაძის გადმოცემით,[12] საქართველოს დელეგაციებს ევროპაში დიდი პატივისცემით იღებდნენ, განსაკუთრებით ევროპელი სოციალისტები. ასე იყო 1919 წლის დასაწყისში ბერლინში ინტერნაციონალურ-სოციალისტურ კონფერენციაზე. 1920 წლის აგვისტოში ჟენევაში ჩატარდა ინტერნაციონალურ-სოციალისტური კონგრესი, რომელზეც სპეციალური მოხსენება გააკეთა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის დელეგაციამ.

ქართული ლეგაცია თითქმის 2 წლის მანძილზე აქტიურად მუშაობდა ვერსალის კონფერენციაზე, თუმცა საქართველოს აღიარება საერთაშორისო დონეზე ფერხდებოდა. საქართველოს დამხობის მიზნით 1920 წლის სექტემბერში საქართველოში ჩავიდა სპეციალისტებისგან შემდგარი ინტერნაციონალური დელეგაცია ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეების შემადგენლობით.

საქართველოს აღიარების პროცესს პრაქტიკულად ყველა დონეზე აშკარად თუ ფარულად ხელს უშლიდა საბჭოთა რუსეთის იდეოლოგიური და სახელისუფლო აპარატი. პროცესში ჩართული იყო რუსეთის ახლადჩამოყალიბებული სპეცსამსახური, კერძოდ საგარეო დაზვერვა.

ემიგრაციაში მყოფი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთული ბიურო, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, ცდილობდა საზღვარგარეთ საინფორმაციო-პროპაგანტისტული საქმიანობის გაშლას, რათა დაერწმუნებია საზოგადოება იმაში, თუ რა მოხდა რეალურად საქართველოში და რა პროცესები ვითარდებოდა ოკუპირებულ ქვეყანაში. საბჭოთა რუსეთი კი კვლავ ჯიუტად განაგრძობდა ნებისმიერ საერთაშორისო დონეზე იმის მტკიცებას, რომ საქართველოს გასაბჭოება ქართველი ხალხის ნება-სურვილით იყო მომხდარი.

1917 წლის ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, საბჭოთა რუსეთის ხელისუფლებამ უდიდესი მნიშვნელობა მიანიჭა საგარეო პოლიტიკურ პროპაგანდას, როგორც სახელმწიფოებრივი საქმიანობის და საზოგადოებრივი მოძრაობების სპეციფიკურ ფორმას, რომელიც უნდა განვითარებულიყო საერთაშორისო არენაზე იდეოლოგიური ბრძოლის ფონზე. ამ საქმეში ცენტრალური როლი ეკისრებოდა ახალი, რევოლუციური ტიპის (რომლის ფუძემდებლებიც კ. მარქსი, ფ. ენგელსი და ვ. ლენინი იყვნენ) საერთაშორისო პროპაგანდის გენეზისს.

საგარეოპოლიტიკური პროპაგანდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის განსაკუთრებით აქტუალური გახდა სსრ კავშირის შექმნის შემდეგ. ყალიბდებოდა

სპეციალური იდეოლოგიური სტრუქტურები და ცალკეული ორგანიზაციები, რომელთა დანიშნულებაც სოციალიზმისა და კომუნიზმის იდეების დამკვიდრება და გავრცელება იყო. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და მისი მთელი იდეოლოგიური აპარატი პირველი სოციალისტური ქვეყნის დაშლის ბოლო წუთამდე სწორედ ამ საქმეს ემსახურებოდა. იდეოლოგიური ბრძოლის ავანგარდში იდგნენ საბჭოთა სპეცსამსახურებიც, რომელთაც ზურგს მყარი საკანონმდებლო ბაზა და ფარული საქმიანობისათვის საკმაოდ კარგად ორგანიზებული და განტოტვილი ქსელი გააჩნდათ არა მარტო სსრ კავშირში და სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში, არამედ დანარჩენი საზღვარგარეთის ქვეყნებშიც.

კომუნიზმის და საბჭოთა ქვეყანაში მიმდინარე პროცესების პროპაგანდისათვის საჭირო იყო იმ დროისათვის არსებული ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენება. ჯერ კიდევ 1838 წელს ფრანგმა გავარმა დააარსა მსოფლიოში პირველი ახალი ამბების ბიურო (სააგენტო სამსახური), რომელმაც დიდი როლი ითამაშა მე-19 საუკუნის პროგრესულ განვითარებაში. სპეციფიური ხასიათის საინფორმაციო საქმიანობის ორგანიზაციას საჭიროებდა საბჭოთა რუსეთიც.

საბჭოთა სატელეგრაფო საინფორმაციო სამსახურმა თავისი საქმიანობა დაიწყო პეტროგრადის სატელეგრაფო სააგენტოს (ПТА) ტექნიკურ ბაზაზე. ვ. ი. ლენინის მიერ 1917 წლის 1 დეკემბერს ხელმოწერილი სამთავრობო დეკრეტის თანახმად, ПТА გარდაიქმნა რუსეთის საბჭოთა, სოციალისტური, ფედერაციული რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ცენტრალურ საინფორმაციო ორგანოდ და 1918 წლის სექტემბერში მიიღო რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოს (РОСТА) სახელწოდება. 1925 წლის ივლისში დაარსდა საბჭოთა კავშირის სატელეგრაფო სააგენტოდ Т(ТАСС), რომლის მიზანიც იყო როგორც სსრკ-ში, ისე მის ფარგლებს გარეთ გაშუქება პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა სახის ინფორმაციისა, რომელიც შეეხებოდა სსრ კავშირსა და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე მოვლენებს. სატელეგრაფო სააგენტო აწესებდა ასევე კონტროლს მოკავშირე რესპუბლიკების სატელეგრაფო სააგენტოების საქმიანობაზე.[9]

საბჭოთა კავშირის მხრიდან მსოფლიოს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ორგანიზებული ხასიათი მიეცა მას შემდეგ, რაც 1923 წლის 11 იანვარს რკპ (ბ) ცკ-ს პოლიტბიუროს გადაწყვეტილებით, სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს სისტემაში შეიქმნა დეზინფორმაციის უწყებათაშორისი განსაკუთრებული ბიურო, რომლის მიზანიც იყო „Систематизация работы по введению в заблуждение иностранных государств о внутренней и внешней политики СССР, а также о состоянии его вооруженных сил и мероприятиях по обороне республики*". დეზინფორმაციის ბიუროში შედიოდნენ სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს[5], მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და რსფსრ-ს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენლები. აღნიშნული ბიუროს ფუნქციებში შედიოდა: „Разработка и информационное обеспечение акции тайного влияния, направленных на политическую и

* სსრ კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის, აგრეთვე მისი შეიარაღებული ძალების მდგომარეობის და რესპუბლიკის თავდაცვის ღონისძიებების თაობაზე უცხო სახელმწიფოების შეცდომაში შეყვანასთან დაკავშირებით წარმოებული საქმიანობის სისტემატიზაცია.

военно-стратегическую дезинформацию правительств и командования вооруженных сил иностранных государств*". ამასთან ერთად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სადაზვერვო მიზნებისათვის კომუნისტური ინტერნაციონალის გამოყენების თაობაზე. საბჭოთა დეზინფორმაციული მანქანა სამხედრო-სტრატეგიული მიმართულების გარდა ფართო პოლიტიკური ხასიათის დეზინფორმირების პროცესსაც მოიცავდა, რაც ძირითადად პოლიტიკური რეალობის სსრკ-ს სასარგებლოდ გამოყენებას და საზღვარგარეთის პოლიტიკური წრეების შეცდომაში შეყვანას გულისხმობდა. საინფორმაციო წნეხის ქვეშ აღმოჩნდა ემიგრაციაც, მათ შორის ქართული ემიგრაცია.[5]

საინფორმაციო ბრძოლის ფარგლებში ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას საბჭოთა იდეოლოგიისაგან თავის დაცვა ძირითადად ევროპაში გამომავალი გაზეთებისა და ემიგრანტული გამოცემების („ბრძოლა", „თავისუფალი საქართველო" და სხვა) მეშვეობით უწევდა.

უცხოთა თვალში საქართველოში მიმდინარე პროცესების ობიექტურად ასახვის მიზნით, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ლიდერები მოგზაურობდნენ ევროპის ქვეყნებში, ხვდებოდნენ საზოგადოების სხვადასხვა ფენების წარმომადგენლებს, ატარებდნენ ლექციებს, მართავდნენ დისკუსიებს.

საბჭოთა საგარეო დაზვერვის ვარშავის რეზიდენტურა 1923 წლის 11 მაისით დათარიღებულ „სრულიად საიდუმლო" შიფრდეპეშით იტყობინებოდა ვარშავაში, თავისუფალ მოაზროვნეთა საზოგადოებაში ცნობილი ქართველი მოღვაწის კარლო ჩხეიძის მიერ წაკითხული ლექციის თაობაზე.

კარლო ჩხეიძე რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის გამორჩეული ლიდერი იყო და საბჭოთა ხელისუფლებისათვის საზღვარგარეთ ანტისაბჭოთა საქმიანობის თვალსაზრისით საშიშ ძალას წარმოადგენდა. მისი დაწინაურება რუსეთის პოლიტიკურ ასპარეზზე იმთავითვე არ სიამოვნებდათ რუს შოვინისტებს (ან როდის სიამოვნებდათ!). ქართველი ემიგრანტი-მოღვაწის შალვა ბერიშვილის გადმოცემით, რუსეთის პარლამენტის IV სათათბიროს ერთ-ერთ სხდომაზე ცნობილ შავრაზმელ ვლ. პურიშკევიჩს უკითხავს: - რა ენაზე ლაპარაკობს ეს კავკასიელი მაიმუნიო. კ. ჩხეიძეს მოკლედ უპასუხია: „Когда Ваши предки по лесам бродили, наши – Евангелие переводили!**"[84] აღნიშნულ ღონისძიებას ესწრებოდნენ: მარშალი ი. პილსუდსკი, საგარეო საქმეთა ვიცე-მინისტრი, საგარეო საქმეთა სამინისტროს უმაღლესი რანგის ჩინოვნიკები, პოლონეთის სეიმის ცნობილი სამხედრო მოღვაწენი, სენატორები და სხვები, აგრეთვე პოლონეთის ქართული პოლიტიკური ემიგრაცია სრული შემადგენლობით. თავისი გამოსვლის დასაწყისში კ. ჩხეიძეს პოლონელი ხალხისათვის მოკითხვა გადაუცია უიღბლო, მაგრამ თავისუფლებამოყვარე ქართველი ერისაგან, რომელიც იმ მომენტისათვის რუსეთის მიერ იყო დაპყრობილი. პოლონეთს, რომელიც ასი წლის მანძილზე რუსეთის უღელქვეშ იმყოფებიდა, შეეძლო ქართველთა მდგომარეობის გაგება და აღმოეჩინა მათთვის ყოველმხრივი დახმარება – მიაჩნდა კ. ჩხეიძეს. მას თავის გამოსვლაში ძირითადი აქცენტი

* უცხო სახელმწიფოების მთავრობების და შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობის პოლიტიკური და სამხედრო სტრატეგიული დეზინფორმაციისკენ მიმართული საიდუმლო ზეგავლენის აქციების დამუშავება და ინფორმაციული უზრუნველყოფა.

** როდესაც თქვენი წინაპრები ტყეებში დაეხეტებოდნენ, ჩვენები ბიბლიას თარგმნიდნენ.

მორალურ მხარდაჭერაზე და საერთო სტრატეგიულ ინტერესებზე ჰქონდა გადატანილი. ლექციის ბოლოს, კ. ჩხეიძეს მადლობა მოუხსენებია პოლონეთისათვის ქართული ემიგრანტების გულთბილი მიღებისათვის.

კ. ჩხეიძის ლექციას დამსწრეებზე დიდი ზეგავლენა მოუხდენია. შეკრებაზე მყოფი მემარცხენე ნაწილი აშკარად კეთილგანწყობილი ყოფილა ქართველთა მიმართ. მათ გამოსვლებში აღინიშნებოდა, რომ „...хотя сейчас Польша и не может оказать реальной помощи Грузии но, во всяком случае, горячо ей сочувствует и надеется, что придёт время, когда поляки докажут свои симпатии на деле*".[308]

საბჭოთა იდეების პროპაგანდისათვის განსაკუთრებით „აქტიურობდა" გაზეთი „ჰუმანიტე". სოციალ-დემოკრატები ნოე ჟორდანიას თავკაცობით, პრაქტიკულად ყოველთვის დამაჯერებლად და არგუმენტირებულად ასაბუთებდნენ რეალობას, მაგრამ ბოლშევიკები ყველა დონეზე ურცხვად აცხადებდნენ, რომ საქართველოში მოხდა „მუშათა და გლეხთა რევოლუცია". შემდგომში მათ ტაქტიკა შეცვალეს და აღარ უარყვეს, რომ საქართველო რუსეთის მიერ იყო დაპყრობილი, მაგრამ შეეცადნენ იმის მტკიცებას, რომ „ეს დაპყრობა იყო რევოლუციური ნაბიჯი და არა იმპერიალისტური აქტი".

ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობის საწინააღმდეგო საინფორმაციო ომში ჩაერთო ცნობილი ბოლშევიკი – თეორეტიკოსი ლევ ტროცკიც, რომელმაც დაწერა წიგნი „იმპერიალიზმისა და რევოლუციის შუა". მისი ცალკეული თავები (საქართველოს საწინააღმდეგო სტატიები) დაბეჭდა გაზეთმა „ჰუმანიტემ". ლ. ტროცკი ცინიკურად აცხადებდა, რომ „ქართველ ხალხს დამოუკიდებლობა არ უნდოდა და მისი გამოცხადება მხოლოდ რამდენიმე პირის საქმე იყო".

ლ. ტროცკის დასაბუთებული პასუხი გასცა ნ. ჟორდანიამ ფრანგულ გაზეთ „სოციალისტურ ცხოვრებაში". სტატია სათაურით – „იმპერიალიზმი რევოლუციის ნიღაბის ქვეშ" - ევროპის მრავალმა გაზეთმა გადაბეჭდა.[12, 62] აღსანიშნავია, რომ ლ. ტროცკი ერთ-ერთი მთავარი მოწინააღმდეგე იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებისა და მოითხოვდა დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიას. სწორედ ამით იყო გამოწვეული ზოგიერთი ქართველი სოციალ-დემოკრატის მხრიდან მის მიმართ გამოხატული რადიკალურად საწინააღმდეგო დამოკიდებულება, რის გამოყენებასაც მოგვიანებით შეეცადა საბჭოთა დაზვერვა.

საინფორმაციო-პოლიტიკური ბრძოლა ახალ ფაზაში შევიდა 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დამარცხებისა და მისი მონაწილეების სასტიკად დასჯის შემდეგ. 31 აგვისტოს, მოსკოვის სატელეფონო სააგენტომ ევროპის პრესაში გაავრცელა ცნობა იმის თაობაზე, რომ თითქოსდა საქართველოში აჯანყება მოხდა კონტრრევოლუციური მიზნით და იგი განახორციელა „მცირერიცხოვანმა ბანდამ", რომელიც სწრაფად ალაგმა თვით მოსახლეობამ.

ევროპაში საბჭოთა დეზინფორმაციას კვლავ დიდი შემართებით დაუპირისპირდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგა-

* მართალია, ამჟამად პოლონეთს არ შეუძლია საქართველოსთვის რეალური დახმარების გაწევა, ყოველ შემთხვევაში, მხურვალედ თანაუგრძნობს და იმედი აქვს, რომ მოვა დრო, როდესაც პოლონელები საქმით დაამტკიცებენ საკუთარ სიმპათიებს.

რეთული ბიურო და ზოგადად ქართული პოლიტიკური ემიგრაცია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში აჯანყების მოწყობის წინააღმდეგნი იყვნენ ქართველ სოციალ-დემოკრატებთან დაპირისპირებული პოლიტიკული ძალები, რომლებიც ჟორდანია-რამიშვილის ჯგუფს ავანტურაში და ქართველი ერის გენოციდში ადანაშაულებდნენ, აქტიურ ანტიქართულ პროპაგანდაში არ ჩაერთვნენ და შესაბამისად, დასავლეთის პოლიტიკურმა ძალებმა ქართველი ერის აჯანყება ბოლშევიკური რუსეთის წინააღმდეგ დადებით მოვლენად აღიქვეს.

დროის ამ მცირე მონაკვეთში, საქართველოს ემიგრანტულმა მთავრობამ პრაქტიკულად მოუგო საინფორმაციო ბრძოლა ბოლშევიკებს, რისი შედეგიც იყო 1924 წლის 25 სექტემბერს ერთა ლიგის მიერ საქართველოს თანადგომის რეზოლუციის გამოტანა. ამას მოჰყვა იმავე წლის 28 სექტემბერს ლონდონში სოციალისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე ერთხმად მიღებული რეზოლუცია აჯანყების შემდეგ საქართველოში განხორციელებული ბოლშევიკური რეპრესიების თაობაზე და სხვა.

საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ იგრძნო რა ემიგრაციაში მყოფ საქართველოს დევნილ მთავრობასთან და სხვა პოლიტიკურ ძალებთან საინფორმაციო ომში დამარცხების საშიშროება, აგვისტოს აჯანყების შესახებ ყალბი ცნობების გავრცელების მიზნით, 1924 წლის 30 ნოემბერს, თბილისში, სულ 3 დღით, პერსელის ხელმძღვანელობით, ინგლისის ტრედუნიონების დელეგაციის გაგზავნა. დელეგაციის წევრებმა წინასწარ მისცეს ინტერვიუები გაზეთებს „კომუნისტი“ და „ზარია ვოსტოკა“, რომლებშიც დადასტურდა მათი ტენდენციური დამოკიდებულება საქართველოში მომხდარ აჯანყებასთან და სხვა პროცესებთან დაკავშირებით.

ამის საპასუხოდ, საქართველოს სოციალ-დემოკატიული მუშათა პარტიის საზღვარგარეთის ბიურომ 1924 წლის დამლევს გამოსცა ბროშურა სათაურით – „ინგლისის ტრედუნიონების დელეგაცია საქართველოში ქართული ბოლშევიკური გაზეთების გადმოცემით“, რომელსაც კარგი გამოხმაურება ჰქონდა საზღვარგარეთ.

ზოგადად პროპაგანდას, როგორც ადამიანის შეგნებაზე ზემოქმედების მეთოდს ცივილიზებული სამყარო მუდამ იყენებდა და იყენებს. ამ პროცესს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფართომასშტაბიანი კონფლიქტებისა და ომების დროს. ამის ერთ-ერთი ნათელი დადასტურებაა მეორე მსოფლიო ომში ჩართული მხარეების პროპაგანდისტული საქმიანობა. ყველაზე მეტად გავრცელებული მეთოდი იყო სხვადასხვა პროკლამაციების გავრცელება მოწინააღმდეგეზე, ანუ როგორც მას უწოდებენ კომპრომეტაციული პროპაგანდა, რომელიც მოწინააღმდეგე ქვეყნის ან ბანკის ხელმძღვანელობის დისკრედიტაციას ისახავდა მიზნად. მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში ჰიტლერული პროპაგანდა შეეცადა ინგლისის პრემიერის უ. ჩერჩილის დისკრედიტაციას საკუთარი მოსახლეობის თვალში. „იძებნება მკვლელობის ბრალდებისათვის“ - ასეთი სათაურით დამზადებული ფურცლები, რომელზედაც უ. ჩერჩილი ავტომატით იყო გამოსახული (ფოტომონტაჟი) მთელი ინგლისის მასშტაბით იქნა გადმოყრილი. ბრიტანეთის დაზვერვის МИ-6-ის მიერ გათამაშებული დეზინფორმაციული კომბინაციის თაობაზე საბჭოთა დაზვერვის ცნობილმა აგენტმა კიმ ფილბიმ სას-

წრაფოდ შეატყობია საბჭოთა დაზვერვის ცენტრს, რომელმაც თავის მხრივ მომხდარი ფაქტის შესახებ საქმის კურსში ჩააყენა ი. სტალინი. შედარებით წარმატებული იყო ინგლისელთა პროპაგანდა ჰიტლერის კომპრომეტირების მიზნით.[10]

„შავი" პროპაგანდის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება აგრეთვე იყო ჭორებისა და სხვადასხვა ხმების გავრცელება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მეორე მსოფლიო ომში იმ პერიოდის ტექნიკური შესაძლებლობები პროპაგანდისტულ საქმიანობაში რადიომაუწყებლობის აქტიურად გამოყენების საშუალებას იძლეოდნენ.

საუკეთესო პროპაგანდისტულ საშუალებად იქცა პრესა, რადიო და 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან ტელევიზია, რომელთაც უდიდესი როლი ითამაშეს არამარტო წმინდა პროპაგანდისტული თვალსაზრისით, არამედ ეკონომიკის, სამეცნიერო, ტექნიკური, კულტურული, განათლების და ხელოვნების სფეროში არსებული ინფორმაციის გაცვლის საქმეში.

იდეოლოგიური საქმიანობის შემდგომი სრულყოფის მიზნით, სსრ კავშირში, 1961 წელს შეიქმნა Агентство печати Новости (АПН)*. მისი დამფუძნებლები იყვნენ საბჭოთა მწერალთა კავშირი, ჟურნალისტთა კავშირი, საზოგადოება „ცოდნა" და საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირი. სააგენტოს მიზანი იყო საბჭოთა კავშირისა და სხვა ქვეყნების მეცნიერების, ტექნიკისა და ყოფა-ცხოვრების შესახებ ინფორმაციის გაცვლის საფუძველზე ხალხთა შორის ურთიერთობების გაღრმავებისათვის ხელშეწყობა. როგორც ТАСС, ისე АПН (განსაკუთრებით ამ უკანასკნელს) გააჩნდა თავისი წარმომადგენლობები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და მრავალრიცხოვანი საკორესპონდენტო პუნქტები თვით საბჭოთა კავშირში.[9]

პროპაგანდისტული საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი იყო და არის ის, რომ მასში აქტიურად არიან ჩართულები სპეციალური სამსახურები, რომელთა ამოცანაც ყოველთვის იყო ამ პროცესის მაქსიმალური ხელშეწყობა მათთვის დამახასიათებელი ფორმებითა და მეთოდებით.

საინფორმაციო ომის კიდევ ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება, თუმცა, საბჭოთა დეზინფორმაციის მძლავრმა მანქანამ ათეული წლების მანძილზე წარმატებით იმუშავა და საზოგადოებრივი აზრი, ანტისაბჭოთა ემიგრაციის, მათ შორის ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაციის მიმართ, რბილად რომ ვთქვათ არაკეთილგანწყობილი იყო.

* ახალი ამბების ბეჭდვითი სააგენტო

თავი V

# ანტისაბჭოთა საქმიანობის აღმავლობა 30-იან წლებში და საბჭოთა სპეცსამსახურების კონტრამოცანები

საბჭოთა კავშირის მასშტაბით საქართველოს მენშევიკური პარტია ყველაზე ძლიერი და გავლენიანია კონტრრევოლუციურ ორგანიზაციათა შორის.

*ლ. ბერია*[256]

## პოლონეთი – ანტისაბჭოთა საქმიანობაში ქართული ემიგრაციის ერთ-ერთი მთავარი მხარდამჭერი

1924 წლის აგვისტოს აჯანყებას საფრანგეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში დიდი რეზონანსი ჰქონდა. გაზეთები აჭრელებული იყო ქართველთა გმირობის ამსახველი სტატიებითა და პოლიტიკური შეფასებებით. გაიგეს თუ არა მომხდარის თაობაზე საქართველოში ამბოხების მოწყობის მოწინააღმდეგე პოლიტიკურმა ძალებმა (კ. ჩხეიძე, სპ. კედია და ირ. წერეთელი), სასწრაფოდ მოითხოვეს „პოლიტიკური ცენტრის“ მოწვევა და მომხდართან დაკავშირებით ახსნა-განმარტებების მიღება. შეხვედრაზე მწვავე კამათი გაიმართა. ნ. რამიშვილმა და ნ. ჟორდანიამ უარყვეს ქართველ სოციალ-დემოკრატთა მონაწილეობა აჯანყების ორგანიზებაში. ხანგრძლივი კამათი იმით დამთავრდა, რომ საქართველოს ემიგრანტული მთავრობა და „პოლიტიკური ცენტრი“ პროტესტის ნიშნად დატოვეს სპ. კედიამ და ირ. წერეთელმა.

1924 წლის აგვისტოს ამბოხების დამარცხების მიუხედავად, ემიგრაციაში მყოფმა ქართულმა პოლიტიკურმა ძალებმა გადაწყვიტეს ბრძოლის გაგრძელება, რის საფუძველსაც მათ საქართველოში დარჩენილი პატრიოტების განწყობა აძლევდა. ამ პროცესში, ქართველ სოციალ-დემოკრატებთან ერთად, აქტიურად ჩაერთვნენ ეროვნულ-დემოკრატებიც. ანტისაბჭოთა საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მხარდამჭერი პოლონეთი იყო.

უნდა აღინიშნოს, რომ პოლონეთი თითქმის მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე რჩებოდა ანტისაბჭოთა საქმიანობაში ქართული პოლიტიკური ემიგრაციის დასაყრდენად და ანტისაბჭოთა ღონისძიებების დამფინანსებლად, რაც გამოწვეული იყო საბჭოთა რუსეთთან პოლონეთის დამოკიდებულებით.

1918 წლის 29 აგვისტოს ვ. ი. ლენინის მიერ ხელმოწერილი დეკრეტის თანახმად, საბჭოთა რუსეთმა უარი თქვა მეფის რუსეთის მიერ დადებულ ხელშეკრულებაზე, რომელიც პოლონეთის დანაწევრებას ითვალისწინებდა. პოლონეთის სოციალისტური პარტიის „რევოლუციური ფრაქციისა“ და ქვეყანაში მოქმედი სხვა პარტიების ერთობლივი გადაწყვეტილებით, 1917 წლის სექტემბერში დაარსებ-

ულმა სარეგენტო საბჭომ 1918 წლის 11 ნოემბერს გენერალ იუზეფ პილსუდსკის გადასცა სამხედრო, ხოლო 14 ნოემბერს – სამოქალაქო ძალაუფლება. პოლონეთის მთავრობას სათავეში ჩაუდგა ე. მორაჩევსკი, რომელიც სულ მალე, 1919 წლის იანვარში შეცვალა ი. პადერევსკიმ. სწორედ ამ უკანასკნელმა მოაწერა ხელი ვერსალის შეთანხმებას.[93]

პოლონეთის ხელისუფლება დაადგა აშკარა ანტისაბჭოთა პოლიტიკას, რისი შედეგიც იყო მათ მიერ 1920 წელს საბჭოთა რუსეთისათვის ომის გამოცხადება. 1921 წლის რიგის საზავო ხელშეკრულების საფუძველზე პოლონეთს დასავლეთ უკრაინა და დასავლეთ ბელორუსია გადაეცა.

პოლონეთის მთავრობა, და მისი სპეცსამსახურები დიდად იყვნენ დაინტერესებულნი იმ ძალებთან ურთიერთობით, რომლებიც ვერ იტანდნენ ბოლშევიკებს და საბჭოთა რუსეთს. მათ შორის იყვნენ საქართველოს დევნილი მთავრობა, ქართული ანტისაბჭოთა ორგანიზაციები და ანტისაბჭოთა განწყობის ცალკეული ემიგრანტები.

პოლონეთის ხელისუფლებამ 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დამარცხების მიზეზების შესასწავლად, სტამბოლში მიავლინა თავისი სადაზვერვო უწყების წარმომადგენელი თადეუშ გოლუვკო. პირველი, ვისაც ის ქართული პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენელთა შორის შეხვდა, იყო ალ. ასათიანი. ამ უკანასკნელმა თ. გოლუვკოსთან საუბარში მინიმუმამდე დაიყვანა სოციალ-დემოკრატთა როლი აჯანყების ორგანიზებაში, სამაგიეროდ, ზომაზე მეტად მიანიშნა უკვე ეროვნულ გმირად ქცეული ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და შეფიცულთა დამსახურებებზე.

თ. გოლუვკოს დარჩა შთაბეჭდილება, რომ აჯანყება საქართველოში ორგანიზებული იყო ეროვნულ-დემოკრატთა მიერ, ვინაიდან დევნილ მებრძოლთა დიდი ნაწილი ამ პარტიის წევრები ან მისი მხარდამჭერები იყვნენ. მას შემდეგ, რაც ალ. ასათიანმა თ. გოლუვკო ქ. ჩოლოყაშვილსა და დ. მხეიძეს შეახვედრა, პოლონელი მზვერავი საბოლოოდ დარწმუნდა აჯანყებაში ქართველი სოციალ-დემოკრატთა არცთუ ისე მნიშვნელოვანი როლის თაობაზე. ამის შემდეგ ალ. ასათიანი თ. გოლუვკომ ვარშავაში მიიწვია.

ალ. ასათიანის პოლონეთში სტუმრობამ და ქართველი სოციალ-დემოკრატების აუგად მოხსენიებამ „შედეგი“ გამოიღო. სულ მოკლე ხანში, პოლონელთა დახმარებით, გამოვიდა გაზეთი „სამშობლოსათვის“. მის გამოცემაში მონაწილეობდნენ: სპირიდონ კედია (რედაქტორი), მიხეილ წერეთელი, ალექსანდრე ასათიანი, ზურაბ ავალიშვილი, ქაქუცა ჩოლოყაშვილი და სხვები. სპ. კედიამ და მისმა თანამებრძოლებმა სწორედ ამ გაზეთის მეშვეობით საგრძნობლად გააქტიურეს თავიანთი საქმიანობა. გაზეთს დიდი გავლენა ჰქონდა ქართულ ემიგრაციაზე. მისი ძალისხმევა, ძირითადად, ქართველი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ იყო მიმართული.

მეორე, რაც ვარშავის ფინანსური მხარდაჭერით მოხდა, იყო ემიგრანტების, ელიზბარ ვაჩნაძისა და სამსონ ყრუაშვილის არალეგალური შეგზავნა საქართველოში 1925 წლის ბოლოს. მათი საქართველოში ყოფნის მთავარი მიზანი იყო გაერკვიათ, თუ რა შესაძლებლობები არსებობდა საქართველოში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის იატაკქვეშა საქმიანობისათვის; ასევე საქართველოში

დარჩენილი ქ. ჩოლოყაშვილის რაზმის წევრების შემდგომი ბედი, მათ უნდა მოეძებნათ ისინი და ქაქუცას ოჯახთან ერთად წაეყვანათ ემიგრაციაში.

ე. ვაჩნაძე და ს. ყრუაშვილი საქართველოში ხანმოკლე და წარუმატებელი ყოფნის შემდეგ პარიზში დაბრუნდნენ. მათ ფაქტობრივად ვერც ერთი დავალება ვერ შეასრულეს, რაზეც ძალზე განაწყენდა ქ. ჩოლოყაშვილი.

ამ ფაქტის გამო ალ. ასათიანს პოლონელთა თვალში ავტორიტეტი შეელახა, თუმცა ის დანებებას არ აპირებდა და პოლონეთის სპეცსამსახურს ახალი სადაზვერვო გეგმა შესთავაზა. კერძოდ, გადაწყდა საქართველოში ლეგალურად გაგზავნა ქართველ სოციალ-დემოკრატთა ძველი გვარდიის წარმომადგენლის, იმჟამად სტამბოლში მცხოვრები ნესტორ მაღალაშვილისა, რომელიც ჩაატარებდა იმ სამუშაოებს, რაც ვერ განახორციელეს ე. ვაჩნაძემ და ს. ყრუაშვილმა. ქართველი ეროვნულ-დემოკრატების გასაკვირად, ნ. მაღალაშვილის მიერ საფრანგეთში საბჭოთა საელჩოს სახელზე მიმართულ განცხადებას დადებითი პასუხი მოჰყვა და მოკლე ხანში ის საქართველოში გაემგზავრა. ჩასვლისთანავე ნ. მაღალაშვილი საქართველოს სპეცსამსახურებმა დააპატიმრეს და, ემიგრანტთა მონაცემებით, სულ მალე დახვრიტეს კიდეც.

ის, რომ ეროვნულ-დემოკრატები დამოუკიდებლად ცდილობდნენ საქართველოში საკუთარი წარმომადგენლების საიდუმლოდ შეგზავნას და იქ ჯერ კიდევ დარჩენილი შეიარაღებული ჯგუფების მხარდაჭერასა და ინსტრუქტირებას; ამას მოწმობს ალ. ასათიანის მიერ 1925 წლის 15 აპრილს პარიზიდან სტამბოლში ხოსროვ-ბეგ სულტანოვისადმი გაგზავნილი წერილიც. ინფორმაცია აღნიშნულთან დაკავშირებით საბჭოთა საგარეო დაზვერვამ 1925 წლის ივლისში მიაწოდა ამიერკავკასიის დაინტერესებულ უწყებებს.

ალ. ასათიანი, გამოხატავს რა ღრმა პატივისცემას ქ. ჩოლოყაშვილის, სპ. კედიას, ჭავჭავაძისა და საკუთარი სახელით ხოსროვ-ბეგისა და მისი პოლიტიკური გუნდის მიმართ, აღწერს ამ დაჯგუფების ზოგად მიზნებს – ორგანიზება გაუწიოს საქართველოში იატაკქვეშა-ანტისაბჭოთა საქმიანობას. ალ. ასათიანი მათ სთხოვს დახმარების აღმოჩენას ერთი ან ორი ქართველი ემისრის თურქეთიდან საქართველოში საიდუმლოდ შეღწევის საქმეში.[313]

პოლონეთის დაზვერვასთან ეროვნულ-დემოკრატების დაახლოების ფაქტი, რაც ამ ქვეყნის სპეცსამსახურების თვალში ქართველი სოციალ-დემოკრატების პრესტიჟის დაცემას ნიშნავდა, მხედველობიდან არ გამორჩენიათ ნოე რამიშვილსა და ქართველ სოციალ-დემოკრატებს, რომლებიც შეეცადნენ სიტუაციის საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ შემობრუნებას.

პარიზში ჩასული ქაქუცა ჩოლოყაშვილი, დავით მხეიძე და შალვა ამირეჯიბი სპ. კედიას თანამოაზრეები გახდნენ და ქართველ სოციალ-დემოკრატთა ლიდერები აჯანყების ინსპირირებაში დაადანაშაულეს. 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში ქართველი სოციალ-დემოკრატების არა ავანტიურისტული, არამედ ქმედითი როლი რომ დაემტკიცებინათ, ნ. რამიშვილმა პარიზში ჩასვლა სთხოვა სოციალ-დემოკრატთა იატაკქვეშა ორგანიზაციის გურიის კომიტეტის წარმომადგენლებს მათითაიშვილის მეთაურობით და ისინი ამბოხებაში სოციალ-დემოკრატთა იატაკქვეშა ორგანიზაციების მნიშვნელობის წარმოჩენას შეეცადნენ.

შექმნილი რთული ვითარებიდან გამოსავლის ძიებაში ნ. რამიშვილი ვარშავაში

გაემგზავრა და გენერალ ალექსანდრე (სანდრო) ზაქარიაძესთან ერთად შეეცადა პოლონეთის დაზვერვის გადარწმუნებას, წარუდგინა რა მათ მათითაიშვილის მოხსენება საქართველოში მომხდარი ამბოხების თაობაზე.

თადეუშ გოლუვკომ ნ. რამიშვილს სთხოვა განემარტა, თუ რატომ ჰქონდა ასეთი კარგი ავტორიტეტი ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას და მის ბეჭდვით ორგანოს არა მარტო ემიგრაციაში, არამედ თვით საქართველოშიც. ეროვნულ-დემოკრატებთან იყო 1924 წლის აჯანყების გმირი ქაქუცა ჩოლოყაშვილიც. საზღვარგარეთ მცხოვრები ახალგაზრდების უმეტესი ნაწილიც ეროვნულ-დემოკრატიულ იდეებს იზიარებდა. მათი ავტორიტეტის ზრდაზე იმოქმედა სპ. კედიას ლონდონში გამგზავრებამ ნავთობის მაგნატთან, დეტერდინგთან მოლაპარაკებების საწარმოებლად. ქართველი სოციალ-დემოკრატები ნელ-ნელა ინიციატივას კარგავდნენ, რაც მათ ძალზე აფიქრებდა.

პოლონეთიდან დაბრუნებულმა ნ. რამიშვილმა გადაწყვიტა ქართველი ახალგაზრდობის სპ. კედიას გავლენისგან განთავისუფლება და „პოლიტიკური ერთობის“ სასწრაფოდ აღდგენას შეუდგა. სოციალ-დემოკრატებმა დაიწყეს მოლაპარაკებები ეროვნულ-დემოკრატთა ერთ ნაწილთან და ხანგრძლივი სამთავრობო კრიზისის შემდეგ ნ. ჟორდანიამ ემიგრაციაში მყოფი მთავრობის ახალი შემადგენლობა გამოაცხადა. ირ. წერეთლისა და სპ. კედიას ნაცვლად მთავრობის შემადგენლობაში შევიდნენ შ. ამირეჯიბი და გ. გვაზავა, ხოლო სოსიკო მდივანს ჩაუნაცვლა სამსონ ფირცხალავა. ამის შემდეგ ნ. რამიშვილი ვარშავაში გაემგზავრა და პოლონელებს ამცნო ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ერთიანობის აღდგენა და წარადგინა „პარიტეტული კომიტეტის“ ვიცე თავმჯდომარის, ეროვნულ-დემოკრატ შ. ამირეჯიბის მოხსენება, რომელშიც უმაღლეს დონეზე იყო შეფასებული აჯანყებაში ქართველ სოციალ-დემოკრატთა როლი. რამდენად უშველიდა ყოველივე ეს საქართველოს დევნილ მთავრობას, არავინ იცის, რომ არა მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა. კერძოდ: დაუესის 1924 წლის გეგმისა და 1925 წლის ლოკარნოს ხელშეკრულების ამოქმედების შემდეგ პოლონეთის საგარეო და საშინაო მდგომარეობა გართულდა. არსებული ვითარება კარგად გამოიყენეს ი. პილსუდსკის მომხრეებმა და 1926 წლის 12-14 მაისს სახელმწიფო გადატრიალების შედეგად დაამყარეს ეგრეთ წოდებული სანაციური რეჟიმი. ხელისუფლებას ფაქტობრივად სათავეში ედგა ი. პილსუდსკი, თუმცა 1939 წლამდე სახელმწიფოს ფორმალური მეთაური იყო პრეზიდენტი ი. მოსციცკი.[93] პოლონეთის ხელისუფლებამ საგარეო პოლიტიკაში პრიორიტეტად კვლავ ანტისაბჭოთა კურსი აირჩია. ქვეყნის სათავეში ი. პილსუდსკის მოსვლის შემდეგ, ვარშავაში სასწრაფოდ გაემგზავრა ევგ. გეგეჭკორი, რომელმაც მოძებნა თავისი პოლონელი მეგობრები – სოციალისტები, რომელთა მეშვეობით ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა გაიმყარეს პოზიციები პოლონეთის მთავრობაში, სამაგიეროდ, ავტორიტეტი დაკარგეს ეროვნულ-დემოკრატებმა.

აღსანიშნავია ალ. ასათიანის ანტისაბჭოთა საქმიანობა სხვა მიმართულებითაც. კერძოდ, მან შეადგინა პროექტი კომიტეტისა, რომელიც ითვალისწინებდა კავკასიის ხალხების გაერთიანებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საბრძოლველად. აზერბაიჯანისა და ჩრდილოეთ კავკასიის წარმომადგენლებთან შეთანხმებული პროექტი ალ. ასათიანმა მიაწოდა სტამბოლში პოლონეთის საელჩოს სამხედრო

ატაშეს შეტცელს, რომელმაც ეს დოკუმენტი სასწრაფოდ გადაუგზავნა პოლონეთის არმიის გენერალურ შტაბს.

პოლონეთის სპეცსამსახურმა (დაზვერვამ) ბიუროკრატიული პროცედურები სწრაფად მოაგვარა და, მისივე მხარდაჭერით, 1924 წლის ნოემბერში სტამბოლში კონფედერაციის საფუძველზე შეიქმნა „კავკასიის განმათავისუფლებელი კომიტეტი". „აქტზე ხელი მოაწერეს ქართველთაგან: მიხეილ წერეთელმა, დავით ვაჩნაძემ, ალექსანდრე ასათიანმა; აზერბაიჯანელთაგან – ხოსროვ სულთან-ზადემ, აბდულა ალი ემირ-ჯანმა, შეიხულ ისლამ-ზადემ; ჩრდილო კავკასიელთაგან – ვასან გირეიმ, ჯაბაგიმ (ჩეჩენი), ალიხან კანტემირმა (ოსი), ჰაიტეკ ნამიტოვმა (ჩერქეზი)". 1925 წელს კავკასიის კონფედერაციაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს სომხებმა.[19]

ალ. ასათიანის ანტისაბჭოთა ქმედებები თურქეთის ხელისუფლებას და მის სპეცსამსახურებს მხედველობიდან არ გამორჩათ და მას ქვეყნის დატოვება აიძულეს. მისი მოვალეობა გადაიბარა დავით ვაჩნაძემ, რომელსაც შემდგომი მოლაპარაკებები უნდა გაეგრძელებინა შეტცელთან.

კომიტეტის შექმნის პროცედურები მაქსიმალურად გასაიდუმლოებული იყო, დასაწყისში თვით თურქეთში პოლონეთის ელჩმაც კი არ იცოდა. მოგვიანებით ყოველივე გაცხადდა და 1925 წლის ივნისის დასაწყისში კომიტეტის საქმიანობა პოლონეთის ხელისუფლებამ 6 000 თურქული ლირით დააფინანსა. მიღებული სუბსიდიების შედეგად შესაძლებელი გახდა კონფედერაციის კომიტეტის წევრების მივლინება საზღვარგარეთ: დ. ვაჩნაძე – არდაგანში, ა. კანტემირი – ყარსში, ხ. სულტანოვი – ირანში.

იმთავითვე გამოჩნდა კომიტეტის საქმიანობის ნაკლი, რაც ძირითადად გამოწვეული იყო იმით, რომ მასში არ მონაწილეობდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები და აზერბაიჯანელი მუსავატელები.

1925 წლის ივლისში ალ. ასათიანი რუმინეთში მიემგზავრებოდა თურქეთის გავლით, თუმცა თურქეთმა ის ქვეყანაში არ შეუშვა. დაბრუნებისას ალ. ასათიანმა სტამბოლში მაინც მოახერხა შეხვედრა ხოსროვ-ბეგთან. ეს უკანასკნელი უკმაყოფილო იყო დ. ვაჩნაძისა და კანტემიროვის საქმიანობით (არამიზნობრივად ხარჯავდნენ გამოყოფილ თანხებს) და სიტუაციის შეცვლას მოითხოვდა.

პოლონეთის მხარე მიხვდა, რომ საჭირო იყო ვითარების რადიკალურად შეცვლა და კომიტეტს დაფინანსება დროებით შეუწყვიტა. მას შემდეგ, რაც კომიტეტის საქმიანობაში ჩაერთვნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები, კერძოდ, ნოე რამიშვილი, ჩამოყალიბდა ახალი „კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტი" და პოლონეთმა ანტისაბჭოთა საქმიანობისათვის კომიტეტის დაფინანსება კვლავ განაახლა.[350]

ალ. ასათიანს ისღა დარჩენოდა, პოლონელთა წინაშე კეკლუცობისათვის თავი დაენებებინა, თუნდაც დროებით, და პარიზში დაბრუნებულიყო.

მას შემდეგ, რაც პოლონეთის საათავეში მოვიდა ი. პილსუდსკი, ქართველი სოციალ-დემოკრატების ანტისაბჭოთა საქმიანობა გაცილებით მიზანმიმართული გახდა. ამაში დიდი იყო დამსახურება პოლონეთის დაზვერვისა, რომელიც მუდმივად აფინანსებდა სხვადასხვა არალეგალურ ღონისძიებებს საქართველოში. პოლონეთის დაზვერვას ზურგს უმაგრებდნენ ინგლისის სპეცსამსახურები. მიუხედავად იმისა, რომ პოლონეთის ხელისუფლებას ძირითადად ურთიერთობა

ჰქონდა საქართველოს დევნილ მთავრობასთან, ისინი ასევე ცდილობდნენ კონტაქტი არ გაეწყვიტათ ქართული ანტისაბჭოთა პოლიტიკური ემიგრაციის სხვა წარმომადგენლებთანაც.

ვარშავაში, პოლონეთის სპეცსამსახურში, საქართველოს დევნილი მთავრობიდან კოორდინატორებად მიავლინეს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს წევრები კოტე იმნაძე და იოსებ სალაყაია, რომელთა ამოცანასაც წარმოადგენდა ასევე პოლონეთში მოღვაწე ქართველ ოფიცრებთან, პირველ რიგში, გენერალ ალ. ზაქარიაძესთან კონტაქტის დამყარება.

პოლონეთის დაზვერვის ინიციატივით, ანტისაბჭოთა საქმიანობისათვის და საქართველოს იატაკქვეშა ორგანიზაციებთან კავშირის დასამყარებლად, 1925 წლის ივლისში, უკრაინის გავლით, საქართველოში არალეგალურად შეგზავნეს პოლონელი მზვერავი კონსტანტინე პენკოვ-პოლოჟნი და საქართველოს დევნილი მთავრობის წარმომადგენელი კაპიტონ ანჯაფარიძე. ეს უკანასკნელი დაუკავშირდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ახლადარჩეულ არალეგალურ ცენტრალურ კომიტეტს და შესაბამისი ამოცანები დაუსახა. დაბრუნებისას ორივე მათგანი უკრაინის ტერიტორიაზე დააპატიმრეს. ამის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლება კიდევ ერთხელ იყენებს ნაცად მეთოდს და კ. ანჯაფარიძე „ნებყოფლობით", ციხის საკნიდან, აკეთებს განცხადებას, რომელშიც ის გმობს სოციალ-დემოკრატების საქმიანობას.

კ. პენკოვ-პოლოჟნისა და კ. ანჯაფარიძესთან ერთად დააპატიმრეს უკრაინაში მცხოვრები სხვა ქართველი ემიგრანტები: გოგლიჩიძე, კოლონაშვილი, ს. შექეშვილი, ბერუაშვილი, შექეშვილი სოფიო, გოგორიშვილი, აგრეთვე უცხოელები: პროკოპ ულმერი, დრობოტი და ფეოდოროვი. აღნიშნული პირების სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა ქალაქ ხარკოვში 1927 წლის ივლის-აგვისტოში. საქართველოს ხელისუფლება ამ პროცესს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და გაზეთ „კომუნისტის" ფურცლებზე სისტემატურად აქვეყნებდა სხდომის სატელეფონო ანგარიშებს. საბოლოოდ, ბრალდებულებს სასჯელის სხვადასხვა ზომა განესაზღვრათ.[164]

1926 წლის დასაწყისში, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთულმა ბიურომ, სსრ კავშირისათვის საერთაშორისო ურთიერთობების გამწვავების ფონზე, საჭიროდ ჩათვალა ახალი შეტევის დაწყება და ანტისაბჭოთა საქმიანობისათვის საზღვარგარეთის ბიუროს რწმუნებულად საქართველოში პარმენ ფირცხალაიშვილი მიავლინა. პ. ფირცხალაიშვილი საქართველოში იმყოფებოდა 1926 წლის ივლისიდან დაპატიმრებამდე – 1928 წლის ივლისამდე. მის მიერ მოპოვებული სადაზვერვო ინფორმაცია საზღვარგარეთ ფოსტით იგზავნებოდა. შეგროვებული მასალა ოთხჯერ მიეწოდა ვასო წულაძეს რეზიდენტ ი. კეჭაყმაძის მეშვეობით, ხოლო სამხედრო ხასიათის ინფორმაცია გადაეგზავნა უშუალოდ საზღვარგარეთის ბიუროს პრეზიდიუმს.

1927 წლისათვის პოლონეთმა გააქტიურა ანტისაბჭოთა საქმიანობა, რაშიც მთავარ დასაყრდენად და მხარდამჭერად უკრაინულ და ამიერკავკასიის, ძირითადად, ქართულ ემიგრაციას მიიჩნევდა. ინტენსიური გახდა პარიზსა და ვარშავას შორის საქმიანი კავშირები. მიმდინარეობდა მოლაპარაკებები სხვადასხვა ანტისაბჭოთა ჯგუფსა და ცენტრს შორის. ვარშავაში ხშირად ჩადიოდნენ ქართული

ანტისაბჭოთა ემიგრაციის წარმომადგენლები – ნ. რამიშვილი, ირ. წერეთელი, ალ. ასათიანი და სხვები. ანტისაბჭოთა ქართულ ემიგრაციასთან აქტიურად თანამშრომლობდა და საფრანგეთის მხრიდან პრაქტიკულად მის კონსოლიდაციას ცდილობდა კავკასიაში საფრანგეთის ყოფილი წარმომადგენელი პოლკოვნიკი აბელ შევალიე. ანტისაბჭოთა საქმიანობისათვის პოლონეთის მთავრობამ სუბსიდიები გამოყო. მართალია, მათი რაოდენობა იმ ეტაპზე დიდი არ იყო, თუმცა გარკვეული პროგრამების დაფინანსება შეიძლებოდა.

პოლონეთის მთავრობამ კატეგორიულად მოითხოვა უკრაინელი და ქართველი ემიგრანტების ყველა პოლიტიკური პარტიისა და დაჯგუფების გაერთიანება და „ეროვნული ცენტრების“ შექმნა. მხოლოდ ასეთ პირობებში იქნებოდა შესაძლებელი პოლონეთის მხრიდან მათთვის ფართომასშტაბიანი მატერიალური დახმარების გაწევა.

მას შემდეგ, რაც მოლაპარაკებების შედეგად ქართული ემიგრაციის ერთობა შედგა, რაშიც დიდი იყო პოლკოვნიკ აბელ შევალიესი როლი, შესაძლებელი გახდა მუსავატელებისა და მთიელების გაერთიანება, „კავკასიის განთავისუფლების კომიტეტის“ შექმნა და ამ უკანასკნელის უკრაინულ ემიგრანტულ ცენტრთან დაკავშირება. ამის შედეგი იყო ის, რომ იმავე ა. შევალიეს აქტიური მხარდაჭერით, შესაძლებელი გახდა უკრაინულ-ქართული ემიგრანტული გაერთიანების ბეჭდვითი ორგანოს გამოცემა.

საბჭოთა ხელისუფლებამ, საგარეო დაზვერვისა და საკუთრივ მისი წარმომადგენლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად დაასკვნა, რომ მთელი ამ ანტისაბჭოთა მოძრაობის მიზანი იყო უკრაინასა და კავკასიაში შეიარაღებული აჯანყების მოწყობა, რაც სსრ კავშირის წინააღმდეგ პოლონეთის სამხედრო ოპერაციების დაწყებასთან პირდაპირ კავშირში იყო. მთელი ძალისხმევა მიმართული იქნებოდა სსრ კავშირის საზღვრებთან ანტისაბჭოთა საქმიანობის ორგანიზებისა, ხოლო ევროპაში მორალური მხარდაჭერის მოპოვებისკენ.

საქართველოში იატაკქვეშა ანტისაბჭოთა საქმიანობის გასაძლიერებლად, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთულმა ბიურომ 1927 წლის ივნისში საქართველოში მიავლინა ნოე რამიშვილის უახლოესი თანამებრძოლი ივანე ქარცივაძე, რომელსაც თან ჰქონდა ნოე ჟორდანიასა და ნოე რამიშვილის დაშიფრული სადირექტივო წერილები. ივანე ერდიშხანის ძე ქარცივაძე, 1920 წლის 26 იანვრის მონაცემებით,[102] იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული ნაწილის ინსპექტორის თანაშემწე. ოფიციალური ვერსიით, ი. ქარცივაძის გადაადგილებას საბჭოთა სპეცსამსახურები თვალყურს ადევნებდნენ და ის დააკავეს ბათუმის სასაზღვრო რაზმის საკონტროლო – გამშვები პუნქტის მესაზღვრეება.

ი. ქარცივაძისათვის ჩამორთმეული ნ. ჟორდანიასა და ნ. რამიშვილის სადირექტივო წერილების ფოტოასლები სრულად დაიბეჭდა გაზეთ „კომუნისტში“ 1927 წლის 19 და 26 ივნისის ნომრებში.[162] სხვადასხვა არხით, ეს ინფორმაცია სწრაფად გახდა ცნობილი ქართველი ემიგრანტებისათვის. ამ შემთხვევაშიც საბჭოთა ხელისუფლებამ კონკრეტულ მიზანს მიაღწია – ამ დოკუმენტების გახმაურება საზღვარგარეთ ქართველთა შორის კიდევ ერთი მძლავრი დაპირისპირების საბაბი გახდა.

განსაკუთრებული მღელვარება გამოიწვია ნოე რამიშვილის ამ მოსაზრებამ: „ასეთ ხელსაყრელ მომენტში ჩვენ ახალი მტერი გაგვიჩნდა. ეს არის ფაშისტთა ჯგუფი, რომელსაც მეთაურობდნენ: სპირიდონ კედია, ალექსანდრე ასათიანი, ლეო კერესელიძე, გენერალი კვინიტაძე, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, კოტე კომახიძე (ყოფილი სოც.-ფედერალისტი) და მიხაკო წერეთელი, პოლონეთში გენერალი ჩხეიძე და პოლკოვნიკი (ინჟინერი) კანდელაკი. მათ აიყოლიეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიმდევარი ახალგაზრდობა. მთელი ეს ჯგუფი დაკავშირებულია ფულით და საქმით შალვა ქარუმიძესთან, რომელიც ჩეკის აგენტია, ახალგაზრდათა შორის უთუოდ ბევრია ჩეკის აგენტი, თუმცა ასათიანი და კერესელიძე მაინც, თუ სხვები არა, ბოლშევიკთა აგენტების შთაბეჭდილებას ახდენენ“.[47] ამის შემდეგ სიტუაცია ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში ზომაზე მეტად დაიძაბა. დაპირისპირებული მხარეები ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაემტერნენ. ნ. რამიშვილის წერილთან დაკავშირებით საქართველოს გაერთიანებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ბერლინის ჯგუფმა 1927 წლის 17 ივლისს მიიღო ერთობლივი დადგენილება, რომელშიც დაგმო ნ. რამიშვილის დამოკიდებულება ეროვნულ-დემოკრატთა მიმართ.

ქართველთა დაპირისპირების თაობაზე ცენტრს ატყობინებდა საბჭოთა საგარეო დაზვერვის პარიზის რეზიდენტურაც: „ამა წლის 24 ივლისს, სპ. კედიას ჯგუფის მომხრეთა ინიციატივით, შედგა საერთო კრება ნ. ჟორდანიას და ნ. რამიშვილის წერილებთან დაკავშირებით. შეხვედრა გაიხსნა საინიციატივო ბიუროს სახელით, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: სპ. კედია, ქ. ჩოლოყაშვილი, ალ. ასათიანი, გ. კობახიძე და გ. კვინიტაძე.

ნაციონალისტურად განწყობილი ახალგაზრდობის, აგრეთვე ქართველი სამხედროების, ქართველი ფაშისტებისა და უპარტიოების, რომლებიც თანაუგრძნობდნენ ზემოაღნიშნულ ჯგუფს, გარდა, კრებას ესწრებოდნენ დ. ვაჩნაძე, რ. გაბაშვილი და შ. ამირეჯიბი.

დასაწყისში, ინფორმაციით წარდგა სპ. კედია, რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველოს განთავისუფლების საქმე კვდომის პირას მიჰყავს დღევანდელ ხელისუფლებას და რომ აუცილებელია ამ ხელისუფლების შეცვლა და იქიდან ავანტურისტ ნ. რამიშვილის გარიცხვა. ამ უკანასკნელის წერილი უნდა იქნეს განხილული როგორც პროვოკაციის ყველაზე ცუდი ვარიანტი, ხოლო მასში მითითებული დირექტივები კი უნდა შეფასდეს საქართველოს არასოციალისტური ორგანიზაციებისათვის სამოქალაქო ომის გამოცხადების ტოლფასად“.[283]

თავის გამოსვლაში ქ. ჩოლოყაშვილს აღუნიშნავს, რომ მას აქვს სამოქალაქო ომში ბრძოლის დიდი გამოცდილება და ამიტომ სიამოვნებით ღებულობდა მენშევიკთა ამ გამოწვევას, ამავდროულად ურჩევდა სოციალ-დემოკრატებს ქართული პოლიტიკისათვის მახის დაგებისაგან თავის დანებებას.

შემდგომი ორატორები მხოლოდ იმეორებდნენ წერილებისა და ნ. რამიშვილის პროვოკაციულობას. განსაკუთრებით მწვავედ გამოვიდა გიორგი კვინიტაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ მენშევიკთა მიერ გატარებული პოლიტიკა არ აძლევდა მას საქართველოს უსაფრთხოების ორგანიზების საშუალებას. გ. კვინიტაძემ კრებას აღუთქვა, დროულად განაცხადებდა იმ მუქარის ფაქტების თაობაზე, რომელთა არსებობის პირობებშიც მას უწევდა მუშაობა დემოკრატიულ საქართველოში.

ნაციონალისტური ორგანიზაციების წარმომადგენელთა გამოსვლის შემდეგ სიტყვა აიღო დავით ვაჩნაძემ. უპირველეს ყოვლისა, მან ბოდიში მოიხადა იმ საეჭვო მხარდაჭერისათვის, რასაც ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ახორციელებდა ნ. რამიშვილის პოლიტიკის მიმართ. დ. ვაჩნაძემ აღიარა გვაზავა-ამირეჯიბის შეცდომები და ითხოვა მათ მაგივრად პატიება. თუმცა, ვაჩნაძემ ასევე მოითხოვა ერთიანი ფრონტის შექმნა იმ პირობით, თუკი ნ. რამიშვილი ჩამოსცილდებოდა ყველა ხელმძღვანელ თანამდებობას.

კრებაზე მყოფ რ. გაბაშვილსა და შ. ამირეჯიბს თავისი მოსაზრებების დასაფიქსირებლად სიტყვაც არ დასცდენიათ. გამოსვლების დასრულების შემდეგ სპ. კედიამ წაიკითხა რეზოლუცია, რომელიც ერთხმად იქნა მიღებული. მასში მინიშნებულია: „საქართველოს ხელისუფლება რჩება როგორც სიმბოლო. ლეგაცია შენარჩუნებულ უნდა იქნას. როგორც ერთი, ისე მეორე არ უნდა იქნას გამოყენებული პარტიული მიზნებისათვის და არ უნდა იქცეს დამხმარე ინსტრუმენტად მენშევიკური ხელმძღვანელობისათვის საქართველოს განთავისუფლების საქმეში". ეროვნულ პატრიოტთა საერთო კრება კატეგორიულად მოითხოვდა როგორც სამთავრობო, ისე ინტერპარტიული ბიუროს საქმიანობისგან ნ. რამიშვილის ჩამოცილებას და მისთვის ანტისაბჭოთა საქმიანობაში ყველა იმპერატიული მანდატის ჩამორთმევას.

ეროვნულ-პატრიოტთა 1927 წლის 24 ივლისის კრების რეზოლუციას სასწრაფოდ გამოეხმაურნენ სოციალ-დემოკრატები.

ნ. რამიშვილმა გადაწყვიტა წარმოდგენა ყველა იმ დოკუმენტური მასალისა, რომელიც ადასტურებდა ალ. ასათიანისა და სპ. კედიას „ბრალეულობას".

ამ დოკუმენტების ნუსხა ასეთი იყო:

1. სპ. კედიას წერილი, რომელშიც ის გამოხატავს მხოლოდ საქართველოს ავტონომიის აღიარებით კმაყოფილებას;

2. სპ. კედიას წერილი გერმანელი ნაციონალისტებისადმი, კერძოდ გერმანელი გენერლისადმი, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ ანტისაბჭოთა მოძრაობას;

3. გერმანელი ნაციონალისტების საპასუხო წერილი სპ. კედიასადმი;

4. სპ. კედიას მიერ ლონდონში და ემიგრანტ კობახიძის მიერ ბულგარეთში მიღებული ფულადი თანხების დამადასტურებელი დოკუმენტური მასალა.

ყველა ზემოაღნიშნული დოკუმენტი წარმოდგენილ იქნა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის ბიუროსა და ინტერპარტიული კომიტეტის წინაშე. მათ საფუძველზე ნ. რამიშვილმა გადაწყვიტა სპ. კედიას ჯგუფისათვის პასუხის მოთხოვნა.

წარმოდგენილმა დოკუმენტებმა მსმენელებზე განსაკუთრებული ზეგავლენა მოახდინეს. ისინი, ვინც კიცხავდნენ ნ. ჟორდანიასა და ნ. რამიშვილს, სწრაფად შეიცვალეს დამოკიდებულება მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით. ი. გობეჩია, ს. ფირცხალავა და თვით რ. გაბაშვილი სრულად მიემხრნენ ნ. რამიშვილს.[283]

1927 წლის ოქტომბრის ბოლოს საბჭოთა საგარეო დაზვერვას „ხელში ჩაუვარდა" ნესტორ მაღალოვისადმი (მაღალაშვილისადმი) პარიზიდან გაგზავნილი ალექსანდრე ასათიანის წერილი, რომელშიც ის მოკლედ აღწერდა თავის საქმიანობას ემიგრაციაში. ნ. რამიშვილის ზემოაღნიშნულ განცხადებასთან დაკავშირებით, ალექსანდრე ასათიანს წერილი გაუგზავნია ნ. ჟორდანიას მთავრობი-

სათვის, რათა შესწავლილიყო მის მიმართ წაყენებული ბრალდებების სისწორე. მთავრობას უპასუხია, რომ ეს საკითხი მის კონპეტენციას სცილდებოდა და მას უნდა მიემართა ან დამფუძნებელი კრებისათვის ანდა ინტერპარტიული კომიტეტისათვის. მაშინ ალ. ასათიანს მოუთხოვია დანიშნულიყო ყველა პარტიის წარმომადგენლებისგან შემდგარი სასამართლო განხილვა.

საფრანგეთის სასამართლოში სარჩელი შეუტანია განაწყენებულ შ. ქარუმიძესაც, რომლისთვისაც უარი უთქვამთ, რადგან აღნიშნული საკითხის განხილვა მათ არ ეხებოდათ, ვინაიდან საბჭოთა პრესაში გამოქვეყნებული ნ. რამიშვილის წერილი არ იყო შედგენილი საფრანგეთში.

არ სურდათ რა სასამართლო განხილვებში მონაწილეობის მიღება, სოციალ-დემოკრატები შეტევაზე გადასულან და ეროვნულ-დემოკრატებისათვის ახალ-ახალი ბრალდებები წაუყენებიათ. ერთ-ერთი ასეთი ბრალდებით, თითქოს სპ. კედია და ქ. ჩოლოყაშვილი კავშირში იყვნენ რუს მონარქისტებთან, რომლებსაც დაეთანხმნენ მომავალში რუსეთის იმპერიაში საქართველოსთვის ავტონომიის მინიჭებაზე. ამაზე სპ. კედია ძალზე გაღიზიანებულა და ამ გამოსვლისათვის პროვოკაცია უწოდებია. გარდა ამისა, რუს მონარქისტებთან კავშირში სპ. კედიას სოციალ-დემოკრატები დაუდანაშაულებია. მეორე ბრალდება ეროვნულ-დემოკრატთა გერმანოფილობას ეხებოდა, თუმცა ესეც აშკარად პროვოკაციული და დაუსაბუთებელი ბრალდება აღმოჩენილა.

ამ წერილიდან ისიც ირკვევა, რომ იმ პერიოდისათვის ალ. ასათიანის ჯგუფს სურვილი ჰქონია სსრ კავშირში დაბრუნების მსურველთა ჯგუფის შეკონწიებისა, თუმცა ამისათვის სათანადო პირობები ჯერ არ დამდგარიყო. ასეთ ვითარებაში, წერს ალ. ასათიანი: „План наш сколотить группу для возвращения на родину провести сейчас не удастся: момент слишком для нас неблагоприятный. Если меньшевики иногда и пытались вести переговоры с большевиками, то мы относились к этому сдержанно, но теперь стоит только им заметить нас на версту от большевиков, как сейчас же поднимут вой*".[304]

საბჭოთა ხელისუფლებამ ქართველთა ზემოაღნიშნული შეკრების შედეგების თაობაზე ინფორმაცია მიაწოდა საბჭოთა საქართველოს მოსახლეობას გაზეთ „კომუნისტის" მეშვეობით.[166]

ურთიერთბრალდებებისა და შანტაჟის ფონზე რამდენიმეთვიანი დაპირისპირება ძირითადად ორ დაჯგუფებას (ჟორდანია-რამიშვილის და კედია-ასათიანის) შორის, დროებითი დაზავებით დასრულდა.

ივ. ქარცივაძის დაპატიმრების შემდეგ, მენშევიკთა საზღვარგარეთული ბიუროს წარმომადგენლად საზღვარგარეთ დაინიშნა ალექსანდრე ლორდელი. ეს უკანასკნელი 1927 წლის 5 სექტემბერს ჩავიდა პოლონეთში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს რწმუნებულთან იოსებ სალაყაიასთან. მისი მეშვეობით მიიღო პასპორტი იბრაგიმ რომანოვიჩის სახელზე. საქართველოში გამგზავრებამდე შეხვდა ვასო წულაძეს და მისგან მიიღო

* სამშობლოში დასაბრუნებელი ჯგუფის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით ჩვენი გეგმის განხორციელება ამჟამად შეუძლებელია: ვითარება ჩვენთვის ძალზე არახელსაყრელია. თუ მენშევიკები ხანდახან ბოლშევიკებთან მოლაპარაკებას ცდილობდნენ, ჩვენ ამას თავშეკავებით ვეკიდებოდით, მაგრამ ახლა, საკმარისია, ბოლშევიკების სიახლოვეს შეგვამჩნიონ, იმწუთას ატეხენ ჟივილ-ხივილს".

შესაბამისი დირექტივები. ა. ლორდელი საქართველოში ჩავიდა 1927 წლის დეკემბრის პირველ რიცხვებში და დაუკავშირდა პარმენ ფირცხალაიშვილს. შემდგომ ის ეცნობა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის არალეგალური ცენტრალური კომოტეტის აპარატს.

1928 წლის დასაწყისში, ა. ლორდელი დააპატიმრა საქართველოს გაერთიანებულმა პოლიტიკურმა სამმართველომ. იმავე წლის 14 ივლისს მისი ბედი გაიზიარა პარმენ ფირცხალაიშვილმაც.

საქართველოს ხელისუფლებამ, სპეცსამსახურების ხელშეწყობით, გაზეთ „კომუნისტის" 1928 წლის 15 დეკემბრის ნომერში გამოაქვეყნა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს რწმუნებულთა დაშიფრული წერილები აგრეთვე პარმენ ფირცხალაიშვილის 1928 წლის 4 ნოემბრის და ალექსანდრე ლორდელის 1928 წლის 13 ნოებრის დაკითხვის ოქმების ფოტოასლები.[167]

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს წარმომადგენელთა საქართველოში არალეგალურად გაგზავნის თაობაზე სწრაფად ხდებოდა ცნობილი საბჭოთა სპეცსამსახურებისათვის, რომელთაც კარგად ჰქონდათ ორგანიზებული საზღვარგარეთის პირობებში ფარული საქმიანობა და საინფორმაციო ქსელი. მიუხედავად ამისა, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის ბიურო, და ზოგადად, ქართული პოლიტიკური ემიგრაცია, ამ ურთულეს პირობებშიც კი აგრძელებდნენ ანტისაბჭოთა საქმიანობას.

ქართულ ანტისაბჭოთა პოლიტიკურ ემიგრაციასთან ურთიერთობის მიზნით პარიზში დაფუძნდა პოლონეთის დაზვერვის ოფიციალური წარმომადგენლობა. პირველ ასეთ წარმომადგენლად 1931 წლის დასაწყისში დაინიშნა დაზვერვის ოფიცერი გლინსკი. ეს უკანასკნელი პარიზში მეუღლესთან ერთად ცხოვრობდა და სისტემატურად ხვდებოდა როგორც „ქართულ ეროვნულ ცენტრში" გაერთიანებულ ემიგრანტ-მოღვაწეებს, ისე სხვა ქართული პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენლებსა და მათ ლიდერებს. აქედან გამომდინარე, ის ქართულ ემიგრაციაში მიმდინარე ყველა მოვლენის თაობაზე საქმის კურსში იყო.

პოლონეთის დაზვერვის თხოვნა იყო, ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას ოფიციალური კავშირი სხვა მეგობარი ქვეყნების, მაგალითად, საფრანგეთის სადაზვერვო სტრუქტურებთან ჰქონოდა მხოლოდ მათი შუამავლობით, ვინაიდან პოლონეთის სპეცსამსახური თვლიდა, რომ ანტისაბჭოთა საქმიანობის ძირითადი წარმმართველი ძალა იმ პერიოდში მისი ქვეყანა იყო. ამ თხოვნას თუ რეკომენდაციას უპირობოდ ემორჩილებოდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები. საზღვარგარეთ მყოფი სხვა ქართული პოლიტიკური ძალები, თვით ისინიც კი, რომლებიც არ შედიოდნენ „ქართულ ეროვნულ ცენტრში", არ იზიარებდნენ პოლონელთა ამ მოსაზრებას და დამოუკიდებლად ამყარებდნენ კონტაქტებს უცხო ქვეყნებთან მათი სპეცსამსახურების მეშვეობით, რითაც ზიანს აყენებდნენ არამარტო სოციალ-დემოკრატებს, არამედ საერთო ქართულ ეროვნულ საქმეს.

პოლონეთის დაზვერვა რეალურად აფასებდა ქართულ ემიგრაციაში შექმნილ ვითარებას და ქართველ სოციალ-დემოკრატთა პოლიტიკურად მოწინააღმდეგე მხარის მიმართ აშკარა უკმაყოფილებას არ გამოხატავდა, პირიქით, ცდილობდა ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ყველა წარმომადგენელთან ნორმალური

ურთიერთობები ჰქონოდა. პოლონეთის დაზვერვაში ფიქრობდნენ, თუკი ქართველ სოციალ-დემოკრატებთან და პირადად ნ. ჟორდანიასთან ურთიერთობა გაუფუჭდებოდათ, შემდგომ კავშირს მათ მოწინააღმდეგეებთან (ოპოზიციასთან) გააგრძელებდნენ.

გლინსკის წასვლის შემდეგ პარიზში პოლონეთის დაზვერვის ოფიციალურ წარმომადგენლად დაინიშნა დომბროვსკი. მას შემდეგ, რაც პოლონეთის დაზვერვას გამოეყო მეოთხე განყოფილება, რომელსაც მაიორი ტ. ზახარკევიჩი ხელმძღვანელობდა, დომბროვსკი დაბრუნდა ვარშავაში და დაინიშნა მის მოადგილედ, ხოლო პარიზში პოლონეთის დაზვერვის ოფიციალურ წარმომადგენლად მიავლინეს ვინმე პელცი.

პოლონეთის დაზვერვის ახლადდაარსებულ მეოთხე განყოფილებას დაევალა ხელმძღვანელობა ყველა იმ ანტისაბჭოთა პარტიისა და ორგანიზაციისა, რომლებიც შედიოდნენ ეგრეთწოდებულ „პრომეთეს მოძრაობაში“, აგრეთვე „კავკასიის კომიტეტში“. პოლონეთის დაზვერვის პარიზის წარმომადგენლობა მათთვის საჭირო და აუცილებელ ინფორმაციას სწორედ ზემოაღნიშნული ანტისაბჭოთა ორგანიზაციებისაგან იღებდა, ამუშავებდა და „ცენტრში“ აგზავნიდა. ქართული ანტისაბჭოთა ორგანიზაციების ლიდერები, გარკვეულწილად, კრძალვით იყვნენ განწყობილნი პოლონეთის სპეცსამსახურების წარმომადგენელთა მიმართ და ცდილობდნენ მათთან კარგი ურთიერთობების შენარჩუნებას. ემიგრაციის ლიდერები დიდ პატივად მიიჩნევდნენ, როდესაც მათ პოლონელი მზვერავები სტუმრობდნენ. ზოგჯერ პარიზში ინსპექტირებისათვის ჩადიოდა თვით მეოთხე განყოფილების უფროსი ტ. ზახარკევიჩი. პოლონელთა თხოვნით, საქართველოს ეროვნული ცენტრის შემადგენლობაში შეყვანილ იქნა ეროვნულ-დემოკრატთა მეორე დაჯგუფების ხელმძღვანელი ალექსანდრე ასათიანი. ამდენად, კვლავ ცენტრის გარეთ აღმოჩნდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი სპირიდონ კედია.

ალ. ასათიანთან დაკავშირებით პოლონელთა ზემოაღნიშნული თხოვნისათვის ნ. ჟორდანიას წინააღმდეგობა არ გაუწევია და მათ რეკომენდაციას „გაგებით“ მოეკიდა. სამაგიეროდ, პარიზში „პრომეთეს კლუბის“ შექმნით და მის ხელმძღვანელად (თავმჯდომარედ), იმავე პოლონელთა უპირობო გადაწყვეტილებით, ალ. ასათიანის დანიშვნას უკმაყოფილოდ შეხვდნენ არა მარტო სოციალ-დემოკრატები, არამედ ქართული ანტისაბჭოთა პოლიტიკური ემიგრაციის სხვა წარმომადგენლებიც, რის თაობაზეც ნ. ჟორდანიამ აცნობა მაიორ ტ. ზახარკევიჩს. ამ უკანასკნელმა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის მეთაურს ქედმაღლურად უპასუხა, რომ მას არ ჰქონდა მსგავსი შენიშვნის მიცემის უფლება. მართალია, მოგვიანებით ტ. ზახარკევიჩმა ამ ფაქტის გამო ნ. ჟორდანიას ოფიციალური წერილობითი ბოდიში მოუხადა, მაგრამ ეს შემთხვევა ქართული პოლიტიკური ემიგრაციის წარმომდგენლებს გულში ხინჯად დარჩათ.

აღნიშნული პერიოდისათვის, საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველებისაგან ჩამოყალიბებული იყო ორი კომპაქტური ანტისაბჭოთა ძალა: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტი და მასთან დაკავშირებული ცალკეული ემიგრანტები, რომლებიც სხვადასხვა პარტიასა და დაჯგუფებას მიეკუთვნებოდნენ, და სპირიდონ კედიასა და ქაქუცა ჩოლოყაშვილის

გაერთიანება და მათთან იდეურად ახლოს მყოფი ემიგრანტები, ძირითადად, სოციალ-დემოკრატების პოლიტიკით უკმაყოფილონი. მთელ ამ ანტისაბჭოთა პოლიტიკურ სპექტრში უდავო უპირატესობა ჰქონდათ სოციალ-დემოკრატებს, თუნდაც გავლენიანი კავშირებით საფრანგეთსა და პოლონეთში.[261]

ქართულ ემიგრაციაზე გავლენის მოპოვებისათვის ბრძოლამ ზემოაღნიშნულ ორ ანტისაბჭოთა პოლიტიკურ დაჯგუფებას შორის მწვავე და პერმანენტული ხასიათი მიიღო. სოციალ-დემოკრატები ცდილობდნენ მათი მეგობარი ეროვნულ-დემოკრატების გ. გვაზავასა და შ. ამირეჯიბის მეშვეობით სპ. კედია-ქ. ჩოლოყაშვილზე ზეგავლენის მოხდენას, თუმცა წარუმატებლად. დაპირისპირების გაღვივებაში ლომის წილი საბჭოთა ხელისუფლებას და მის სპეცსამსახურებს ედოთ.

სოციალ-დემოკრატებისა და მათი „პარიტეტული ცენტრის" მიმართ თბილისში გარკვეული გადაწყვეტილება უკვე მიღებული იყო. პროცესში აქტიურად იყო ჩართული საბჭოთა საგარეო დაზვერვის რეზიდენტურა. თავის ერთ-ერთ მოხსენებაში ს. ფირუმოვი აღნიშნავს: „В отношении меньшевиков и их паритетного центра, согласно нашему Тифлисскому решению и обстановке вполне оправдавшей это решение, работа пойдёт по специальной линии и передано мною целиком нашему Резиденту, который уже развернул довольно широкую работу, с которой, конечно сообщаем Вам по своей линии*".[302]

აღნიშნული პერიოდისათვის ანტისაბჭოთა საქმიანობის ეფექტურობა ბევრად იყო დამოკიდებული სსრ კავშირის მიმართ კეთილგანწყობილი ქვეყნების პოლიტიკურ ნებასა და პოზიციაზე. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების, გ. ჩიჩერინისა და რუშტი-ბეის ბოლო შეხვედრის შემდეგ საბჭოთა კავშირის გავლენა თურქეთზე გაძლიერდა, ამ ქვეყნის მხარდაჭერა ქართული და კავკასიური ანტისაბჭოთა საქმიანობისადმი, როგორც წულაძისა და ს. მდივნის მოხსენებებიდან ჩანდა, მაინც მნიშვნელოვანი იყო. ინგლისის მთავრობის პოზიცია საბჭოთა კავშირის მიმართ კვლავ მტრული იყო. საფრანგეთის სათავეში პუანკარეს მოსვლისა და საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკებების შეწყვეტის შემდეგ, ზოგადად, ანტისაბჭოთა ემიგრაციაში ახალი იმედი ჩაისახა. ქართველ ემიგრანტებს გულს უმაგრებდა ოკეანის გაღმიდან დ. დუმბაძის ოპტიმიზმი იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოსდა რეალური იყო ბოლშევიკებისაგან საქართველოს განთავისუფლების საქმეში ამერიკის შეერთებული შტატების მატერიალური მხარდაჭერა.

ასეთ ვითარებაში ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია იმედოვნებდა, რომ სსრ კავშირში შექმნილი რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების გამო, ქართველი ხალხი არ შეურიგდებოდა ძალადობას და კვლავ აჯანყდებოდა.

ამ პროცესის გასაღვივებლად ანტისაბჭოთა ქართული ემიგრაცია, პოლონეთისა და თურქეთის მხარდაჭერით, ვარაუდობდა საბჭოთა კავშირის საზღვრისპირა რეგიონებში სადაზვერვო პუნქტების ორგანიზებას და საქართველოში იატაკქვეშა მოძრაობის აღორძინებას.[302]

---

* მენშევიკებთან და მათ პარიტეტულ ცენტრთან დაკავშირებით, ჩვენი, თბილისის გადაწყვეტილების და ამ გადაწყვეტილების გამამართლებელი ვითარების თანახმად, საქმიანობა წარიმართება სპეციალური მიმართულებით და ის ჩემ მიერ მთლიანად გადაეცემა რეზიდენტს, რომელმაც უკვე გააჩაღა საკმაოდ ფართო საქმიანობა, რის თაობაზეც, რა თქმა უნდა, გეცნობებათ ჩვენი კავშირის მეშვეობით.

ამ პერიოდში საზღვარგარეთის „ცენტრსა" და საქართველოს იატაკქვეშა ანტისაბჭოთა ორგანიზაციებს შორის კავშირი კვლავ საფოსტო საშუალებებით მყარდებოდა. მიმოწერის ავტორები ამბის გადაცემის პროცესში ფსევდონიმებს იყენებდნენ. ჩეკისტებს ხელში „ჩაუვარდათ" 1928 წლის 7 მაისით დათარიღებული წერილი. მასში „მამუკა" მიმართავს „სერგოს": „დავკარგეთ ორი ყველაზე საუკეთესო ამხანაგი, რომლებიც მუშაობდნენ ფოსტის გადატანაზე, რომელმაც უკან დახევა არ იცოდა. მისი სიკვდილი ეფიქრობთ გამოწვეულია ერთ-ერთი ჩვენი საუკეთესო თანამშრომლის „ვასოს" ჩავარდნით".[311]

1930 წლის გაზაფხულზე ანტისაბჭოთა საქმიანობისათვის თურქეთში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთული ბიუროს წარმომადგენლად ვარშავიდან სტამბოლში გაიგზავნა სარდიონ მენაღარიშვილი, რომელმაც ამ პოსტზე შეცვალა იოსებ (სოსიკო) მდივანი. ეს უკანასკნელი დაინიშნა სოციალ-დემოკრატთა საზღვარგარეთის ბიუროს წარმომადგენლად პოლონეთის დაზვერვაში.

ს. მენაღარიშვილს ევალებოდა ოფიციალური კონტაქტების დამყარება საზღვარგარეთის, უპირველეს ყოვლისა, თურქეთის სპეცსამსახურებთან და ქართველი ემისრების მომზადებისათვის ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებების გატარება.

იმავე პერიოდში პოლონეთში გაემგზავრა ანტისაბჭოთა საქმიანობის ერთ-ერთი გამორჩეული ორგანიზატორი და პრაქტიკოსი, შალვა ბერიშვილი (მასზე და მის ანტისაბჭოთა საქმიანობაზე დაწვრილებით საუბარი ცალკე თავში გვექნება). პოლონეთის დაზვერვის სამსახურში სათანადო მომზადების გავლის შემდეგ, შ. ბერიშვილი, საბჭოთა პასპორტითა და შესაბამისი ეკიპირებით, რუმინეთისა და ბულგარეთის გავლით, სტამბოლში ჩავიდა.

ანტისაბჭოთა საქმიანობისთვის შესაბამისი კანდიდატების მოძებნა ქართველ ემიგრანტებს შორის ძნელი აღმოჩნდა. საბოლოოდ, გადაწყდა არალეგალური საქმიანობისათვის საქართველოში შ. ბერიშვილის, დ. ერქომაიშვილისა და ა. კიკვაძის გაგზავნა. აღნიშნული ღონისძიება თავიდან ბოლომდე პოლონეთის დაზვერვამ დააფინანსა.[263]

1930 წლის ზაფხულში სტამბოლში ჩასულმა ქართველებმა ძლივძლივობით იშოვეს მოტორიანი ნავი და თურქეთ-სსრკ საზღვრისაკენ მალულად გაემართნენ. ცუდი ამინდის გამო მგზავრობას თითქმის ერთი კვირა მოანდომეს. შემდგომ, დაახლოებით ოთხი კილომეტრი ფეხით იარეს და საბოლოოდ მიადგნენ ახალციხის სამხრეთით მდებარე დასახლებას – ფოცხოვს. გაიარეს გოდერძის უღელტეხილი და ადიგენის რაიონის ტერიტორიაზე აღმოჩნდნენ. საზღვარზე წინააღმდეგობის გაწევისას მესაზღვრეებმა მოკლეს არტემონ კიკვაძე.

საქართველოში ყოფნისას შ. ბერიშვილი და დ. ერქომაიშვილი გურიაში, სურების ზაფხულის საძოვრებზე, მომთაბარეთა ბინაში იმალებოდნენ. 1930 წლის ივნის-სექტემბერში მათ საკმაოდ ნაყოფიერი იატაკქვეშა საქმიანობა აწარმოეს. დაამყარეს კონტაქტები საქართველოს სოციალ-დემოკრატთა იატაკქვეშა ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარესთან თედო ქარცივაძესთან და პარტიის აქტიურ წევრთან ნესტორ ჩხიკვაძესთან. საფრანგეთში შ. ბერიშვილი და დ. ერქომაიშვილი პოლონეთის გავლით დაბრუნდნენ.

შ. ბერიშვილსა და დ. ერქომაიშვილს თან წამოჰყვათ შ. ბერიშვილის ძმა – ტიტე. ამ უკანასკნელმა შემდგომში საცხოვრებელ ადგილად პოლონეთი აირჩია.[288] შ. ბერიშვილმა საქართველოში მოპოვებული მასალა და გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა პოლონეთის დაზვერვას. მალე ის შეხვდა გენერალ ი. პილსუდსკის, რის შემდეგაც საფრანგეთში გაემგზავრა და სათანადო ანგარიშით წარდგა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის ბიუროსა და ეროვნული ცენტრის წინაშე.

ევგ. გეგეჭკორი და მისი მხარდამჭერები, როდესაც გაიგეს შ. ბერიშვილის საქართველოში არალეგალური გადასვლის ამბავი, აღშფოთდნენ იმ უნდობლობის გამო, რასაც ნ. ჟორდანია მათ მიმართ ამჟღავნებდა. თუმცა, ნ. ჟორდანიამ ასეთი დამოკიდებულება კონსპირაციის წესების დაცვის აუცილებლობით ახსნა. ევგ. გეგეჭკორი ხვდებოდა, რომ ს. მენაღარიშვილი მას რაღაც ინტრიგას უმზადებდა. მართლაც, შ. ბერიშვილის საქართველოდან დაბრუნების შემდეგ ემიგრაციაში ხმა გავრცელდა ბოლშევიკებთან ევგ. გეგეჭკორის „საეჭვო მოლაპარაკების“ თაობაზე მისი ნათესავის იონა ნამიჭეიშვილის (მასზე შემდგომ თავებში გვექნება დაწვრილებით საუბარი) მეშვეობით, რომელიც თითქოსდა უნდა ჩამოსულიყო, ანდა უკვე იმყოფებოდა პარიზში სპეციალურად ამ მისიით. დაძაბულობამ ქართულ ემიგრაციაში კვლავ მწვავე ხასიათი მიიღო. ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც მთელი ქართული პოლიტიკური ელიტა, თვით სპ. კედია ჯგუფ „კავკასიის“ წინააღმდეგ გააფთრებულ პოლემიკას აწარმოებდა. ამ ბრძოლაში კი მთავარი დამრტყმელი ძალა ევგ. გეგეჭკორი იყო. აქედან გამომდინარე, ნ. ჟორდანია იძულებული გახდა, დათმობაზე წასულიყო და განკარგულება გასცა, ს. მენაღარიშვილს შეეწყვიტა ევგ. გეგეჭკორის კომპრომეტირება.

საზღვარგარეთის ბიუროს მიერ ემისრების საქართველოში არალეგალური შეგზავნის ზემოაღნიშნულმა წარმატებულმა ღონისძიებამ საკმაოდ დიდი უსიამოვნება გამოიწვია საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოში, რომელსაც სათავეში ლ. ბერია ედგა. ჩეკისტებმა, რაკი ვერ ჩაიგდეს ხელში შ. ბერიშვილი და მისი თანამებრძოლი, შური მის ნათესავებსა და მხარდამჭერებზე იძიეს. დააპატიმრეს შ. ბერიშვილის უმცროსი ძმა, 13 წლის მამია და შედარებით უფროსი, ასევე არასრულწლოვანი ბიკენტი. თითქმის ორი წელი მოუწიათ ძმებს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ჯურღმულებში ყოფნა, რის ვაივაგლახით გაუძლეს წამებას და ცოცხლები გადარჩნენ.

შ. ბერიშვილზე გამწარებულმა ჩეკისტებმა ციხეში უკრეს თავი მის მამას და ბიძებს, გერონტისა და ნოეს. მათ 25-25 წელი მიუსაჯეს და მხოლოდ ნ. ხრუშჩოვის მმართველობის პერიოდში ეღირსათ თავისუფლება. დაპატიმრებას გადაურჩნენ შ. ბერიშვილის დედა და დები, რომლებიც, საბედნიეროდ, იმხანად სოფელში არ იმყოფებოდნენ. იმის გამო, რომ შ. ბერიშვილმა სურების ზაფხულის საძოვრებზე მოინახულა ბიძა ვასილ რამიშვილი, ეს უკანასკნელიც დააპატიმრეს და არხანგელსკში გადაასახლეს, სადაც მალე გარდაიცვალა.[288]

მხცოვანი ქართველი ემიგრანტი-მოღვაწე მამია ბერიშვილი დაპატიმრებას მწარედ იხსენებდა ჩემთან საუბარში 2002 წლის ზაფხულში. ფიზიკურ ზეწოლას მამია ბერიშვილზე თურმე უშუალოდ ლ. ბერიას მარჯვენა ხელი ბოგდან (ბახჩო) ქობულოვი ახორციელებდა. „ძირს, უგონოდ დაგდებულს, თავისი მძიმე ჩექმებით,

ზურგზე დამახტებოდა და ასე დიდხანს იდგა. საკანში კრიმინალებთან რამდენიმე თვე ვიმყოფებოდი. რომ არა მათი დახმარება, ალბათ, დღეს ცოცხალი არ ვიქნებოდი...“

საბჭოთა თუ საზღვარგარეთის ქვეყნების სპეცსამსახურების საარქივო მონაცემებზე დაყრდნობით, ფართო აუდიტორიისათვის ცნობილი გახდა იმ მეთოდების თაობაზე, რასაც მოწინააღმდეგე ქვეყნები, მათი სპეციალური სამსახურების სახით, იყენებდნენ ურთიერთსაწინააღმდეგო ფარულ ომში. ერთ-ერთმა ასეთმა მეთოდმა „კარგად იმუშავა“ XX საუკუნის 30-იან წლებში, რასაც საბჭოთა კავშირში არნახული რეპრესიები მოჰყვა.

ოპერატიული ჩანაფიქრის არსი შემდეგში მდგომარეობდა: სპეციალურ სამსახურებში იქმნებოდა ფალსიფიცირებული მასალები სსრ კავშირის ამა თუ იმ წონადი პოლიტიკური თუ სამხედრო მოღვაწის მიმართ მათი უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან (დაზვერვებთან) კონტაქტების თაობაზე. შემდგომში ეს მასალები სხვადასხვა ტექნოლოგიით მიეწოდებოდა საბჭოთა სპეცსამსახურებს და უმაღლეს სახელისუფლებო ეშელონების პირველ პირებს, თვით ი. სტალინის ჩათვლით. „მოპოვებული“ დოკუმენტური მასალა და ინფორმაცია ხშირ შემთხვევაში იმდენად ოსტატურად იყო შედგენილი, რომ ისედაც უზომოდ ეჭვიან და ხალხის მტრების ძიების მოყვარულებს სხვა არაფერი დარჩენოდათ ამა თუ იმ პიროვნების რეპრესირების გარდა და ხშირად არა მარტო მათ, მათ ახლო გარემოცვასა და ნათესავებსაც გადასწვდებოდნენ ხოლმე..

ხშირ შემთხვევაში, დაინტერესებული ქვეყნების სპეცსამსახურები ცრუ ინფორმირების საქმეში ფართოდ იყენებდნენ საზღვარგარეთ მოქმედ ანტისაბჭოთა ემიგრანტულ ორგანიზაციებსა და ცენტრებს, აგრეთვე, მათ ცალკეულ წარმომადგენლებს. სსრ კავშირის მოწინააღმდეგე ქვეყნებიდან დეზინფორმაციული მეთოდების გამოყენებას განსაკუთრებით აქტიურად ცდილობდნენ პოლონეთის სპეცსამსახურები. ამ უკანასკნელთ, XX საუკუნის 30-იან წლებში, ჰქონდათ ქართველი სოციალ-დემოკრატების მეშვეობით საბჭოთა საქართველოს უმაღლესი პარტიული და სამეურნეო თანამდებობების ხელმძღვანელ, აგრეთვე, საზღვარგარეთიდან რეემიგრირებულ პირთა მიმართ რეპრესიების პროვოცირების მცდელობა.

1927 წელს პარიზში ნოე რამიშვილმა თავისი დისშვილს შალვა ბერიშვილს აცნობა, რომ პოლონეთის დაზვერვისაგან ჰქონდათ მიღებული დავალება, სხვადასხვა პროვოკაციული მეთოდით ეცადათ საბჭოთა საქართველოს პასუხისმგებელ მუშაკთა შორის მტრობის ჩამოგდება და უნდობლობის დათესვა, რისი გაკეთებაც რთული არ იყო. საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) შიგნით იმ პერიოდში გააფთრებული პოლიტიკური დისკუსიები იმართებოდა. ტროცკიზმი აღზევების სტადიაში იყო. შიდაპარტიული ოპოზიცია აშკარად მძლავრობდა. ამდენად, არსებული წინააღმდეგობების გამოყენება პოლონეთისა და სხვა ქვეყნების სპეცსამსახურებს რეალურად მიაჩნდათ.

პოლონელებს ოპერატიული კომბინაცია, რომელიც მაქსიმალური გასაიდუმლოების პირობებში უნდა განხორციელებულიყო, შემდეგნაირად ჰქონდათ წარმოდგენილი: ემიგრანტ ქართველ სოციალ-დემოკრატებს საბჭოთა საქართველოში სოციალ-დემოკრატთა იატაკქვეშა ცენტრალური კომიტეტისათვის უნდა გაეგზა-

ვნათ დაშიფრული წერილი, რომელშიც მითითებული იქნებოდა ვინაობა იმ უმაღლესი რანგის პარტიული და სამეურნეო მუშაკებისა, რომლებიც თითქოსდა დაკავშირებულნი იყვნენ ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციასთან საზღვარგარეთ და რომლებიც მათ სხვადასხვა სახის დახმარებას უწევდნენ; იატაკქვეშა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას შეეძლო მიემართა დაშიფრულ წერილში მინიშნებული პირებისათვის, რომლებიც ვალდებულნი იყვნენ, აღმოეჩინათ მათთვის დახმარება. ასეთი წერილები უნდა მომზადებულიყო ისეთი შიფრით, რომლის გახსნაც არ იქნებოდა რთული. ამავდროულად, დაშიფრული წერილები უნდა გაგზავნილიყო იმ არხების მეშვეობით, რომელთაც საბჭოთა სპეცსამსახურები აკონტროლებდნენ. ამ უკანასკნელთა მიერ დაშიფრული წერილების ხელში ჩაგდების შემთხვევაში, მათში მითითებული პირების მიმართ რეპრესიები და დაპატიმრებები საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან გარანტირებული იყო. შ. ბერიშვილის ინფორმაციით, ამ პროვოკაციული მეთოდით არ უსარგებლიათ ნ. ჟორდანიასა და ნ. რამიშვილს, ვინაიდან ამ უკანასკნელებს მიაჩნდათ, რომ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის ამ ხერხის გამოყენების შემთხვევაში, ბევრი უდანაშაულო ქართველი და ნამდვილი პატრიოტი დაზარალდებოდა.[288]

### საბჭოთა საქართველოს წარმომადგენლები სპეცსამსახურების ავანგარდში

წლების მანძილზე ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეს საბჭოთა სპეცსამსახურის არაერთი თაობა ემსახურებოდა. ჩეკისტთა უმეტესობას გულწრფელად სჯეროდა, ანტისაბჭოთა პროცესები საბჭოთა საქართველოს წინააღმდეგ ორგანიზებული იყო საზღვარგარეთის სპეცსამსახურების მიერ. მათ მიაჩნდათ, რომ ქართული პოლიტიკური ემიგრაციისა და დევნილობაში მყოფი პოლიტიკური ორგანიზაციების დაშლა-დისკრედიტაციით, ემიგრანტი-ლიდერების ურთიერთწაკიდებით საბჭოთა საქართველოს უფრო მეტ სიკეთეს მოუტანდნენ და, იდეოლოგიური თვალსაზრისით, უფრო განამტკიცებდნენ.

ანტისაბჭოთა ემიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლა არ იყო იოლი საქმე. მყარი საკანონმდებლო ბაზისა და შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფის გარდა, ამ პროცესში მაღალინტელექტუალური კადრები უნდა ჩაერთოთ, რაც ყოველთვის პრობლემას წარმოადგენდა. XX საუკუნის 30-იან წლებში საბჭოთა საქართველოს სპეცსამსახურებში პროფესიონალი კადრების თვალსაზრისით არაერთგვაროვანი ვითარება იყო. გაუთავებლად მიმდინარეობდა სტრუქტურული რეორგანიზაცია, რასაც საკადრო ცვლილებები და, შესაბამისად, ოპერატიული საქმიანობის ეფექტურობის შესუსტება სდევდა თან. ჩვეულებრივი მოვლენა იყო, ხელმძღვანელობის წინაშე „კარგი ოპერატიული მუშაკის" იმიჯის შექმნის და კომუნისტური პარტიისადმი მგზნებარე ერთგულების დემონსტრირების მიზნით ერთმანეთის დაბეზღება. არაჯანსაღი კონკურენცია, კარიერისტული მიზნების მისაღწევად უღირსი ხერხების გამოყენება ლამის წესად იქცა. თანამშრომელთა უმეტეს ნაწილს არასრული საშუალო განათლება, ყველაზე კარგ შემთხვევაში კი მუშათა ფაკულტეტებისა და სხვადასხვა კურსების დამთავრების

დამადასტურებელი ატესტატი ჰქონდა. საკადრო შემადგენლობა, როგორც წესი, ინტერნაციონალური იყო. საქართველოს ჩეკისტთა შორის საკმარისად იყვნენ რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები. საქმის წარმოება, ძირითადად, რუსულ ენაზე ხორციელდებოდა, ხშირი იყო კადრების დენადობა და მათი რეპრესირება.

30-იან წლებში საზღვარგარეთ ანტისაბჭოთა ქართული ემიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში საქართველოს ბევრმა ჩეკისტმა „ისახელა თავი". მათგან ერთ-ერთი გამორჩეული იყო ტიტე ლორთქიფანიძე.[30] ტ. ლორთქიფანიძე ტიპური მაგალითია საბჭოთა ქვეყნისა და ბოლშევიკური პარტიის მგზნებარე და ერთგული კომუნისტისა, რომელიც სისტემამ მაქსიმალურად გამოიყენა და შემდეგ უმოწყალოდ გაწირა.

1921 წლის მარტიდან იწყება ტ. ლორთქიფანიძის აქტიური მოღვაწეობა საქართველოს და ამიერკავკასიის საგანგებო კომისიებში. ის 1925 წელს გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს უცხოეთის განყოფილების მიერ მივლინებულ იქნა პარიზში არალეგალური საქმიანობისათვის. მის ძირითად ამოცანას ქართული ემიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენდა. საბჭოთა ჩეკისტური ისტორიოგრაფია მიიჩნევს, რომ საფრანგეთში ორი წლის განმავლობაში ტ. ლორთქიფანიძემ განახორციელა მთელი რიგი სამუშაოები და მოიპოვა „უზარმაზარი მეტად ძვირფასი მასალა". 1927 წელს ტ. ლორთქიფანიძე მუშაობას აგრძელებს ამიერკავკასიისა და საქართველოს მთავარი პოლიტიკური სამმართველოს საიდუმლო-პოლიტიკურ განყოფილებაში. ტ. ლორთქიფანიძე 1932-1937 წლებში იყო ჯერ ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის, ხოლო ბოლოს ყირიმის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი.

ტ. ლორთქიფანიძე 1937 წლის 22 ივნისს დააპატიმრეს ხარკოვში და გადაიყვანეს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის განკარგულებაში. ტ. ლორთქიფანიძის დაპატიმრებით უშუალოდ ლ. ბერია იყო დაინტერესებული. მას ბრალად ედებოდა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრობა, რისთვისაც დახვრეტილ იქნა იმავე წელს.[282]

ლ. ბერიას რისხვას ვერ გადაურჩა ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაციის წინააღმდეგ მებრძოლი კიდევ ერთი ქართველი, საბჭოთა საქართველოს სპეცსამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი დავით კილაძე, რომელიც დაპატიმრებულ იქნა 1937 წლის 27 ივლისს ქ. თბილისში (იგი იმ პერიოდში საქართველოს საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის თანაშემწე იყო). მასაც კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრობა ედებოდა ბრალად. დ. კილაძე სულ ერთხელ დაიკითხა. მან თავისი ყოფილი კოლეგებისა და „მეგობრების" წინაშე „დანაშაული" არ აღიარა. იმავე წელს ისიც დახვრიტეს.[266]

ტ. ლორთქიფანიძე და დ. კილაძე შემდგომში რეაბილიტირებულ იქნენ.

ქართული ემიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ასევე წარმატებულ ჩეკისტად ითვლება პეტრე ზუბოვი. პ. ზუბოვი 1921-1927 წლებში მსახურობდა საქართველოს სპეცსამსახურებში საიდუმლო განყოფილების უფროსის მოადგილის თანამდებობაზე. აქტიურ მონაწილეობას იღებდა სოციალ-დემოკრატიული იატაკქვეშა, ანტისაბჭოთა ცენტრებისა და 1924 წლის აგვისტოს ამბოხებულთა შტაბის

განადგურებაში. პ. ზუბოვი 1927-1933 წლებში, გრიშინის გვარით, მივლინებულ იქნა ჯერ სტამბოლის, ხოლო შემდეგ პარიზის საბჭოთა საგარეო დაზვერვის რეზიდენტურებში. მისი ამოცანა საზღვარგარეთ ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლა იყო. პ. ზუბოვის დამსახურებაზე ჩეკისტურ ისტორიოგრაფიაში მინიშნებულია: „...Занимался разработкой антисоветской грузинской эмиграции, приобрел в тех кругах ряд ценных источников информации, в результате чего была сорвана крупная диверсионная операция на Кавказе под кодовым названием „Диверсия*“.[30] პ. ზუბოვი 1933-1937 წლებში მსახურობდა სსრკ საგარეო დაზვერვის ცენტრალურ აპარატში.

პ. ზუბოვთან დაკავშირებით საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის გენერალი პ. სუდოპლატოვიც: „სადაზვერვო სამსახურის უფროსის მოადგილედ 1939 წლის მარტში ჩემი დანიშვნის შემდეგ, მე ბერიას შევახსენე ზუბოვის ბედის თაობაზე, რომელიც ჯერ ისევ იმყოფებოდა ციხეში იუგოსლავიაში გადატრიალების ფინანსირების თაობაზე ბრძანების შეუსრულებლობისათვის. ეს ადამიანი, ვუთხარი მე ბერიას – არის ერთგული პიროვნება და დაზვერვის გამოცდილი ოფიცერი. ბერიამ, იცნობდა რა ზუბოვს ჩვიდმეტი წლის მანძილზე, ისეთი სახე მიიღო, თითქოს არაფერი გაუგონია, არადა, ბერიამ რომ ხელისუფლების მწვერვალებს მიაღწია, ამაში ზუბოვმა განსაკუთრებული როლი ითამაშა.

1922 წელს ზუბოვი ხელმძღვანელობდა დაზვერვის ქვეგანყოფილებას, რომელიც თვალყურს ადევნებდა ქართველ მენშევიკთა და მათი აგენტების კავშირებს თურქეთში. ზუბოვის ინფორმაციაზე დაყრდნობით, ბერიამ მოახსენა ძერჟინსკის და ლენინს ამბოხების მზადების და ჩანასახშივე მისი წარმატებით ჩახშობის თაობაზე. ეს მოხსენება იხილებოდა პარტიის ცკ-ის პლენუმზე და ის ფაქტობრივად საფუძვლად დაედო ბერიას ამიერკავკასიის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე დანიშვნას. ზუბოვს ახლო მეგობრული ურთიერთობები აკავშირებდა თვით ბერიასთან და მის მოადგილესთან ბოგდან ქობულოვთან. საქართველოდან მოსკოვში ჩასვლისას ქობულოვი აუცილებლად რჩებოდა ზუბოვის ბინაში“.[73] პ. ზუბოვი საბჭოთა სპეცსამსახურში აღდგენილ იქნა, თუმცა 1946 წელს, ავადმყოფობის გამო პენსიაზე გავიდა.[22]

საზღვარგარეთ ქართული პოლიტიკური ემიგრაციის წინააღმდეგ საბრძოლველად 1928 წლის მარტამდე სტამბოლში, საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობაში, მოლარის საფარქვეშ მსახურობდა საბჭოთა საგარეო დაზვერვის თანამშრომელი ევგენი ვასილის ძე დუმბაძე (ოპერატიული ფსევდონიმი „როკუა“). ე. დუმბაძე 1921 წლიდან ჯერ მუშაობდა ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის გარე მეთვალყურეობის ჯგუფის უფროსად, ხოლო შემდეგ საქართველოს საგანგებო კომისიის ქ. ფოთის საქალაქო განყოფილებაში. 1923 წლიდან საქმიანობდა საქართველოს „ცენტროსოიუზში“, სწავლობდა ქ. ლენინგრადში აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, რომლის დამთავრების შემდეგაც მივლინებულ იქნა სტამბოლში. 1928 წლის მარტში ე. დუმბაძე გაიქცა საფრანგეთში. მან 1930 წელს გამოსცა წიგნი „На службе ЧК и Коминтерна**“. ვ. დუმბაძემ საფრანგეთის სპეცსამსახუ-

* ახორციელებდა ანტისაბჭოთა ქართული ემიგრაციის დამუშავებას, მათ წრეში შეიძინა ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყაროები, რის შედეგადაც აღკვეთილ იქნა კავკასიაში დიდი დივერსიული ოპერაცია, კოდური სახელწოდებით „დივერსია“.

** საგანგებო კომისიისა და კომინტერნის სამსახურში.

რების დავალებით ორგანიზაცია გაუწია ბრიუსელში ვ. გ. ორლოვის არქივიდან დაახლოებით ათასამდე დოკუმენტის მოპარვას. მისი შემდგომი ბედი უცნობია.

საბჭოთა საგარეო დაზვერვაში და მის რეზიდენტურებში პერიოდულად სხვა ქართველები და საქართველოს (ამიერკავკასიის) საგანგებო კომისიაში გამობრძმედილი მუშაკებიც მსახურობდნენ. სტალინ-ბერიას ხელისუფლებიდან ჩამოცილების შემდეგ (1953 წ.), მათი რიცხვი საბჭოთა დაზვერვაში საგრძნობლად შემცირდა, თუმცა 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან ქართველების მონაწილეობა რეზიდენტურების საქმიანობაში კვლავ აქტუალური გახდა.

ბ-ნი გ. შარაძე თავის ერთ-ერთ ნაშრომში მიანიშნებს ორ ქართველ პიროვნებაზე, რომლებიც მას ინგლისში გაუცნია – ლონდონში საბჭოთა კავშირის საინფორმაციო გადაცემა „Время"-ს კორესპონდენტ იური კობალაძესა და ლონდონში მოსკოვის რადიოს კორესპონდენტი – ვალერი მაისურაძეზე. ბ-ნ გ. შარაძის გადმოცემით, ი. კობალაძეს მისთვის ქმედითი დახმარება აღმოუჩენია აკაკი რამიშვილის პირადი (ემიგრანტული) არქივის სსრ კავშირში ჩამოტანაში ისე, რომ საბჭოთა კორესპონდენტისათვის ცნობილი არ ყოფილა საარქივო დოკუმენტაციის თაობაზე, ვინაიდან ის ჩვეულებრივ ბარგად ყოფილა გაფორმებული. „...არ ვიცი იურამ თავი მოიტყუა თუ არა, ყოველ შემთხვევაში, მისი წყალობით, ასე ჩამოვიტანე პირველად აკრძალული ემიგრანტული ლიტერატურა საქართველოში 1981 წელს", – აღნიშნავს ბ-ნი გურამ შარაძე.[82]

საფიქრებელია, არც ბ-ნი გ. შარაძისათვის იყო ცნობილი, რომ ი. კობალაძეც და ვ. მაისურაძეც საბჭოთა საგარეო დაზვერვის თანამშრომლები გახლდნენ. თუმცა, ამას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინაიდან იმ პერიოდში და იმ კონკრეტულ ვითარებაში ქართველებმა თავიანთი პატრიოტული მისია შეასრულეს. ი. კობალაძე პენსიაზე გენერალ-მაიორის ჩინით გავიდა. შემდგომ ის რუსეთის ფედერაციის საგარეო დაზვერვის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ხელმძღვანელობდა და დღემდე აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობას ეწევა. რაც შეეხება ვალერი მაისურაძეს, ის გახლდათ საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის, ცნობილი ქართველი ჩეკისტის, ნოდარ მაისურაძის ვაჟი, რომელიც საბჭოთა დაზვერვის პოლკოვნიკის სამხრეებით გავიდა თადარიგში.

ენციკლოპედიური ხასიათის წიგნში „Россия в лицах – ГРУ дела и люди" ფიგურირებს სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს ორად ორი ქართველი თანამშრომელი.[18] ესენი არიან: ნამგალაძე დიმიტრი ბაგრატის ძე და შიოშვილი პანტელეიმონ შიოს ძე.

მკითხველისათვის საინტერესო უნდა იყოს ისიც, რომ საბჭოთა საგარეო დაზვერვის სასწავლო დაწესებულების პირველი ხელმძღვანელი ქართველი გახლდათ – ვლადიმერ შერმაზანიშვილი.

საბჭოთა საგარეო დაზვერვაში სხვადასხვა პერიოდში საქმიანობდნენ სხვა ქართველებიც, რომელთაც ასევე ცხოვრების საინტერესო და ფათერაკებით აღსავსე გზა განელეს.

დაზვერვის კადრის თანამშრომელთა გარდა, საბჭოთა წარმომადგენლობებში, განსაკუთრებით სტალინ-ბერიას მმართველობის პერიოდში, სამეურნეო დარგის სხვადასხვა სპეციალისტი მსახურობდა. ისინი ძირითადად იკავებდნენ საბჭოთა

სრულუფლებიან წარმომდგენლობების სტრუქტურაში არსებული დიპლომატიური აგენტის თანამდებობას.

მათი კანდიდატურები ჯერ სპეცსამსახურების ხელმძღვანელ ორგანოებში იხილებოდა, ხოლო შემდეგ კომუნისტური პარტიის უმაღლეს ინსტანციებში მტკიცდებოდა. მაგალითად, 1932 წლის მონაცემებით საზღვარგარეთ გრძელვადიან მივლინებაში უნდა გამგზავრებულიყვნენ შემდეგი პირები:

ხოშტარია კირილე გიორგის ძე, ბოლქვაძე დავით ნიკოლოზის ძე, კალანდაძე იესე სერაფიონის ძე, ბლაგიძე დავით იოსების ძე, მდივანი გიორგი ბუდუს ძე, დოლიძე იოსებ მალაქიას ძე, ერგემლიძე შალვა ტროფიმეს ძე, გურჯიშვილი დავით ივანეს ძე, გოგოლაშვილი არსენ პეტრეს ძე, ხორბალაძე დავით იოსების ძე, ცომაია ნიკოლოზ თევდორეს ძე, მიქელაძე არდალიონ აპოლონის ძე, ნოდია გიორგი იაკობის ძე, აჩხარაშვილი ნიკოლოზ ივანეს ძე, ქაჯაია ალექსანდრე ივანეს ძე.[306]

აღნიშნული პიროვნებებიდან ვინ მიავლინეს საზღვარგარეთ საბჭოთა წარმომადგენლობებში სამუშაოდ, ჩვენთვის უცნობია. მათი უმეტესობა აუცილებლად მოხვდებოდა უცხოეთში და საბჭოთა საგარეო დაზვერვას ქმედით დახმარებასაც გაუწევდა.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლება დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ახალგაზრდების მივლინებას საზღვარგარეთ სწავლის გასაგრძელებლად. ეს ტენდენცია შენარჩუნდა 30-იანი წლების დასაწყისისათვისაც. ახალგაზრდათა ნაწილი საკუთარი ხარჯებით სწავლობდა უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში, ხოლო ნაწილზე სახელმწიფო ზრუნავდა, თუმცა ნებართვას განათლების სახალხო კომისარიატი იძლეოდა. კანდიდატურებს, როგორც წესი, აქტიურად იხილავდნენ და სწავლობდნენ სპეცსამსახურები.

საკავშირო მთავრობამ 1932 წლის 1 აპრილიდან ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს საზღვარგარეთ სტუდენტთა სწავლისათვის შემდეგი სახის ყოველთვიური სავალუტო ლიმიტი დაუწესა:

1. საზღვარგარეთ სამართალმცოდნეობის სწავლისათვის – 150 მანეთი;

2. მათთვის, ვინც საზღვარგარეთ სწავლობდა საკუთარი ხარჯებით, მაგრამ განათლების სახალხო კომისარიატის ნებართვით – 200 მანეთი;

3. დანახარჯები სსრ კავშირში დაბრუნებაზე, საზღვარგარეთ მცხოვრები ახლობლების დახმარებაზე, მკურნალობაზე, მგზავრობაზე და სხვა – 150 მანეთი.

1933 წლის მონაცემებით, საქართველოდან საზღვარგარეთ საკუთარი ხარჯებით სწავლობდნენ:

გაჯინსკი ანუშევანი, გომართელი არჩილ ივანეს ძე, დიასამიძე არჩილ ლეონის ძე, ჯაფარიძე დიმიტრი კონსტანტინეს ძე, დედერერი ერიხ სამუელის ძე, კარდენახიშვილი ივანე, ყიფშიძე გაიოზ ზაქროს ძე, ქიქოძე ეკატერინე ტიტეს ასული, ნაკაშიძე ლევან ერმილეს ძე, რუხაძე გიორგი, რამიშვილი ანანია თ., სობესტიანსკი ედმუნდ ედმუნდის ძე, ცხომელიძე ვლადიმერ თევდორეს ძე, ჭეიშვილი ლეონიდ პორფილეს ძე, იაკიმოვი ანატოლი ალექსანდრეს ძე.[307]

## ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი

საფრანგეთში ყოფნის პირველსავე წლებში საქართველოს ემიგრანტულ მთავრობაში და, საერთოდ, ქართულ ემიგრაციაში გაჩნდა ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან შესაძლო მორალური და პოლიტიკური მხარდაჭერის აღმოჩენის იმედი. ამის საფუძველს იძლეოდა აშშ-ის მიერ გადადგმული პრაქტიკული ნაბიჯები.

ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, მან თავის წარმომადგენლად დანიშნა „მორგანების ბანკის ფინანსისტი" ვასილ დუმბაძე, რომელიც აქტიურად ჩაერთო პოლიტიკურ პროცესებში.

პარიზიდან თბილისში 1924 წელს მოწოდებული საიდუმლო შეტყობინების თანახმად, მოკლევადიანი მივლინებით ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოფილა ნოე რამიშვილი, რომლის თანამოაზრეებიც იმედოვნებდნენ, რომ ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ნაწილი სოლიდურ მატერიალურ მხარდაჭერას მოიპოვებდა. „Таким образом, эмигрантские верхи хотят опереться в своей работе на страны, наиболее враждебно относящиеся к СССР"* – აღნიშნავდა შეტყობინების ავტორი.[343] ვ. დუმბაძის ქმედებებს საბჭოთა ხელისუფლება და საგარეო დაზვერვა მუდმივად აკვირდებოდა და აანალიზებდა. ერთ-ერთ „სრულიად საიდუმლო" გრიფის 1924 წლის შეტყობინებაში აღნიშნულია:

„კავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენელმა დუმბაძემ პარიზიდან მიიღო დადასტურება იმასთან დაკავშირებით, რომ ყოფილი თავადი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე საფრანგეთის გენერალური შტაბის თანხმობითა და დახმარებით ამზადებს თეთრი არმიის ინტერვენციას რუსეთში, ეყრდნობა რა პოლონეთის ტერიტორიულ და მატერიალურ მხარდაჭერასა და უზრუნველყოფას. დუმბაძემ საგარეო საქმეთა მინისტრს წარუდგინა საპროტესტო მოხსენებითი ბარათი ჰარიმანისათვის ჭიათურის მარგანეცის საბადოს საბჭოთა ხელისუფლების მიერ კონცესიის წესით გადაცემასთან დაკავშირებით.

მისი რწმენით, ახლოვდებოდა კავკასიაში კანონიერი ხელისუფლების აღდგენის საქმეში ამერიკელთა მხრიდან მატერიალური დახმარების აღმოჩენის საკითხის გადაწყვეტა. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის მოსალოდნელი გამოსვლა იძლევა იმის განსაზღვრის უფლებას, რომ კავკასიაში ამბოხების ორგანიზებისათვის დაჩქარდება 10 მილიონი დოლარის სესხის გამოყოფისა და შეიარაღებული ძალების მომზადება.

დუმბაძემ შესთავაზა მედვედევს მიიღოს მისგან წარმომადგენლობა და გაემგზავროს პარიზში არმიის ნაწილების კავკასიის ფრონტზე გადასასროლად სამხედრო ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების საწარმოებლად. მედვედევის ეს მივლინება განხორციელდება ახლო მომავალში".[313]

საბჭოთა ხელისუფლებას ძალზე აღიზიანებდა ამერიკული ფინანსებით ანტისაბჭოთა საქმიანობის შესაძლო დაფინანსების საკითხი და ცდილობდა ამ თემასთან დაკავშირებით საბჭოთა საგარეო დაზვერვისაგან მუდმივად ჰქონოდა ინფორმაცია.

---

* ამგვარად, ემიგრაციის სათავეში მდგომთ თავის საქმიანობაში სურთ, დაეყრდნონ იმ ქვეყნებს, რომლებიც ყველაზე მტრულად არიან განწყობილნი საბჭოთა კავშირის მიმართ.

1924 წლის 3 დეკემბერს ბერლინიდან გამოგზავნილ ერთ-ერთ შეტყობინებაში ს. ფირუმოვი მიანიშნებს, რომ ქართველ სოციალ-დემოკრატებს ფული უკვე მიღებული ჰქონდათ ამერიკის შეერთებული შტატებიდან. აშშ-დან ასევე მიღებული ჰქონდათ თანხა რუს მონარქისტებს. ეს უკანასკნელნი ინტენსიურად ეძებდნენ კავშირს ანტისაბჭოთა ქართულ ემიგრაციასთან ერთობლივი ანტისაბჭოთა ღონისძიებების განსახორციელებლად. [297]

ამერიკელი გავლენიანი პირების მხარდაჭერით, საქართველოს საკითხი 1927-1929 წლებში რამდენჯერმე იყო განხილული აშშ-ის სენატისა და წარმომადგენელთა პალატის სხდომებზე. სამწუხაროდ, არ გაგვაჩნია დოკუმენტები ამ სხდომების მიმდინარეობის, საკითხების განხილვებისა და მათი შედეგების თაობაზე, თუმცა პარიზში გამომავალი საქართველოს ემიგრანტული მთავრობის გაზეთის „დამოუკიდებელი საქართველო“ (ივნისი 1929 წ. N 42) ერთ-ერთი პუბლიკაციიდან ნათლად ჩანს ამ საკითხისადმი აშშ-ის მმართველი ორგანოების დამოკიდებულება.[211]

1927 წლის 13 ივლისს ვ. დუმბაძის საფრანგეთში ჩასვლის შემდეგ, მისი მოღვაწეობის შესახებ ემიგრანტულ მთავრობასა და მთლიანად ემიგრანტულ წრეებში გავრცელდა აზრი, რომ იმჯერად ვ. დუმბაძემ შეძლო არა სუბსიდიების მიღება ქართული პოლიტიკური ემიგრაციისათვის, არამედ საქართველოს საკითხის მიტანა აშშ-ის სახელისუფლებო ორგანოებამდე, რასაც მოჰყვა საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების საკითხის სენატისა და წარმომადგენელთა პალატის სექტემბრის სესიის დღის წესრიგში შეტანა. „В сентябре независимость демократической Грузии будет признана и соответствующим образом оформлена актом правительства*“ – იტყობინებოდა 1927 წლის 3 აგვისტოს სრულიად საიდუმლო შიფრშეტყობინებით გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს უცხოეთის განყოფილება (საგარეო დაზვერვა).[284]

აღნიშნული სესიისათვის თვით ვ. დუმბაძეც უნდა მომზადებულიყო, რისთვისაც საჭირო იყო საქართველოზე, მის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე შესაბამისი მასალის მომზადება. ამ მიზნით დაიგეგმა ვ. დუმბაძის მივლინება გერმანიაში. სესიის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, რაშიც ვ. დუმბაძეს ეჭვი არ ეპარებოდა, აშშ-ში დაფუძნდებოდა ქართული ლეგაცია შესაბამისი უფლებებითა და რწმუნებებით. მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე აშშ-ის მთავრობის გადაწყვეტილება 1927 წლის სექტემბერში ამერიკის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში 100 ქართველი სტუდენტის ჩარიცხვის თაობაზე.

ვ. დუმბაძე აშშ-ში მოლაპარაკებებს აწარმოებდა საქართველოს დევნილი მთავრობის სახელით. სწორედ საქართველოს დევნილ მთავრობას ცნობდნენ ოკეანის გაღმა ემიგრანტთა ლეგიტიმურ ორგანოდ და არა რომელიმე სხვა ანტისაბჭოთა პარტიასა თუ ორგანიზაციას.

მიუხედავად იმისა, რომ ვ. დუმბაძე ყოველთვის სპ. კედიას იდეებს იზიარებდა, ამ შემთხვევაში ის არ მიეკედლა ეროვნულ-დემოკრატებს, პირიქით, ეს უკანასკნელნი დაარწმუნა, რომ კეთდებოდა მნიშვნელოვანი ეროვნული საქმე, რისთვისაც ყველა საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველი ერთად უნდა დამდგარიყო. ამჯერად, ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ეროვნულ-დემოკრატებმა

* სექტემბერში მოხდება დემოკრატიული საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება, რაც სათანადო წესით გაფორმდება ხელისუფლების შესაბამისი აქტით.

პოლიტიკური სიბრძნე გამოიჩინეს და სოციალ-დემოკრატებსა და დევნილ მთავრობას არ დაუპირისპირდნენ.

ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის საკითხში ვ. დუმბაძის („ამერიკელ სპეკულიანტის" – გ. ს.) ქმედებებს საბჭოთა ხელისუფლება იმთავითვე ირონიითა და დაცინვით შეხვდა, რაც გამჟღავნდა კიდეც გრ. ვეშაპელის მეშვეობით გაზეთ „ახალი საქართველოს" ერთ-ერთ ნომერში („დამოუკიდებელი საქართველოს" ამერიკელი ბიძია"): „ჯერ-ჯერობით მოქალაქე დუმბაძემ ერთი საქმე გააწყო: ამერიკის შ. შტატების სენატის წევრს კოპლენდს ა.წ. 11 მარტს, წინადადება შეუტანია საგარეო საქმეთა კომისიაში – „პარიზში გადმოხვეწილ საქ. დემ. რესპ. მთავრობასთან წარმომადგენლის დასანიშნავად გაღებულ იქნას თანხა, ხოლო ...თვით წარმომადგენელი მაშინ დაინიშნოს, როცა ამერიკის პრეზიდენტი ამას მიზანშეწონილად დაინახავსო..." გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო (N 4) დიდი ამბით აცნობს ამ ამბავს თავის მკითხველთ, ხოლო მენშევიკების ნუგეშისმცემელნი დაძრწიან პარიზის ემიგრანტებში და ქადაგებენ „დაგვაცალეთ, ბატონებო, ცოტა კიდევ და ამერიკა გვიშველისო".[24]

მოსკოვი ამერიკის შეერთებულ შტატებთან ვ. დუმბაძის მოლაპარაკებების შედეგებს და აშშ-ის დამოკიდებულებას საქართველოს აღიარების საკითხისადმი გასაგები მიზეზების გამო, არ ახმაურებდა. ამას ემატებოდა ისიც, რომ რუსები ვ. დუმბაძეზე ისედაც გაბრაზებული იყვნენ. საქმე ის გახლდათ, რომ პირველი მსოფლიო ომის მიმდინარეობისას ვასილ დუმბაძემ და გიორგი მაჩაბელმა გააბრიყვეს რუსი სამხედრო ჩინოვნიკები და შეპირდნენ რუსეთის არმიისათვის ამერიკული ყუმბარების მიწოდებას, რისთვისაც მიიღეს 15 მილიონი ოქროს მანეთი. სინამდვილეში, ყუმბარები გერმანიიდან წამოიღეს. აღმოჩნდა, რომ ყუმბარები რუსეთის არმიის სტანდარტებს არ აკმაყოფილებდა, რითაც რუსეთის სამხედრო ძლიერებას დიდი ზიანი მიადგა.[47] ამის გამო, რუსეთის კონტრდაზვერვამ ვ. დუმბაძე ფინეთის ვაგზალზე გაქცევის მცდელობისას დააკავა. ვ. დუმბაძეს სასამართლომ სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მიუსაჯა, თუმცა მოგვიანებით, თავისი კავშირების წყალობით, ის იმპერატორმა შეიწყალა და სასჯელი ოცწლიანი კატორღით შეუცვალა. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ვ. დუმბაძე კატორღიდან გაათავისუფლეს.

სამწუხაროდ, იმ პერიოდში მსოფლიოში შექმნილი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, აშშ-მა ვერ შეძლო საქართველოსათვის ქმედითი დახმარების აღმოჩენა დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხში.

რაც შეეხება ვასილ დუმბაძეს, ის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დევნილი მთავრობის არაოფიციალური წარმომადგენლის (ელჩის) ფუნქციას ამერიკის შეერთებულ შტატებში, წლების მანძილზე, პრაქტიკულად, გარდაცვალებამდე (1943 წ.) ასრულებდა.[19]

## საბჭოთა სპეცსამსახურების როლი ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაციის წარმომადგენლელთა დისკრედიტაციისა და ურთიერთდაპირისპირების საქმეში

ანტისაბჭოთა ემიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა საზღვარგარეთ მოქმედი ანტისაბჭოთა პარტიების, ცენტრებისა და ორგანიზაციების ლიდერების ერთმანეთთან დაპირისპირება, მათ შორის ხელოვნური შუღლის ჩამოგდება და ამ გზით ანტისაბჭოთა ემიგრაციის პოლიტიკური აქტივობის შესუსტება.

საბჭოთა სპეცსამსახურებმა, უპირველეს ყოვლისა, მიზანში ამოიღეს 1924 წლის აჯანყების გმირი ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი, რომელიც ქართველ ემიგრანტებს შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა.

1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში განცდილი მარცხის შემდეგ, ქ. ჩოლოყაშვილმა და მისმა შეფიცულებმა დროებით კვლავ ტყეს შეაფარეს თავი. ისინი დანებებას არ აპირებდნენ. უკან დახევას არც საგანგებო კომისია (შემდგომში გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო) ფიქრობდა და ქ. ჩოლოყაშვილის ოჯახის წევრებსა და ნათესავებს სასტიკად ექცეოდა. დააპატიმრეს მისი მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი (3 წლის ქეთევანი და 7 წლის თამარი). თელავის მილიციის მაშინდელი უფროსი ჭურღულია ქაქუცას ცოლ-შვილს კასრით ცეცხლზე შემოდგმას უპირებდა, რაც შემდეგ გადაიფიქრა. დახვრიტეს ქ. ჩოლოყაშვილის სიმამრი ილია მელვინეთუხუცესი. დააპატიმრეს აგრეთვე ქაქუცას დედა და სიდედრი. ქ. ჩოლოყაშვილის ნათესავების რეპრესიები, სხვადასხვა ფორმით, დიდხანს გრძელდებოდა.

ლავრენტი ბერიას, რომელიც აჯანყების ჩახშობის ოპერატიულ-ჩეკისტურ ღონისძიებებს ხელმძღვანელობდა, აღარ სურდა გამარჯვების ეიფორიით შეპყრობილი საბჭოთა საქართველოს პარტიული ელიტისაგან ქ. ჩოლოყაშვილის გამო საყვედურების მოსმენა და გადაწყვიტა მასთან მოლაპარაკების წარმოება. მოლაპარაკების მიზანი იყო შეფიცულთა დაყოლიება, რათა ამ უკანასკნელთ შეეწყვიტათ წინააღმდეგობა, დაეტოვებინათ საქართველოს ტერიტორია და ემიგრაციაში წასულიყვნენ. ამასთან, ლ. ბერიამ დაარწმუნა ხელისუფლება, ქ. ჩოლოყაშვილი, რომლის ოჯახი პრაქტიკულად მძევლად რჩებოდა საქართველოში, შესაძლოა უფრო მეტად „სასარგებლო" ყოფილიყო ემიგრაციაში. შუამავლების მეშვეობით მოლაპარაკებას ქ. ჩოლოყაშვილთან და მის რაზმთან აწარმოებდა ლ. ბერიას მარჯვენა ხელი – საჯაია. როგორც ზემოთ ვნახეთ, საგანგებო კომისიის და პირადად ლ. ბერიას მხრიდან ქ. ჩოლოყაშვილისა და მისი რაზმისათვის საზღვარგარეთ უპრობლემოდ გასვლის შემოთავაზება პირველი შემთხვევა არ იყო.

ლ. ბერია ემიგრაციაში წასვლის სანაცვლოდ ქ. ჩოლოყაშვილს ჰპირდებოდა 6 000 ოქროს გადაცემას, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ ხელისუფლებას ეს თანხა გაეღო. ეს ბოლშევიკების პროპაგანდისტული ტრიუკი უფრო იყო.

როგორც ჩანს, კონფიდენციალურმა მოლაპარაკებებმა წარმატებით ჩაიარა. ქ. ჩოლოყაშვილის რაზმს ჩეკისტებმა კორიდორი გაუხსნეს და შეფიცულები თურქეთში გადავიდნენ.

ქაქუცა ჩალოყაშვილთან ერთად საქართველო დატოვეს: სპირიდონ ჭავჭავაძემ, ელიზბარ ვაჩნაძემ, რაფიელ ერისთავმა, ალექსანდრე სულხანიშვილმა, სერგი მაისურაძემ, ალექსანდრე ბადურაშვილმა, ილია ქარუმიძემ, ალ. ცხვედაძემ, გოლა პავლიაშვილმა, მერაბ ჯორჯაძემ, შალვა ნებიერიძემ, ლელო ჩიქოვანმა, მიხეილ ლაშქარაშვილმა, დავით რევაზიშვილმა, გაბო ბერბიჭაშვილმა, ვასო მარჯანიშვილმა, ალექსი ფეიქრიშვილმა, სიკო ალიმბარაშვილმა, შალვა ჯავრიშვილმა, ლევან ჯავრიშვილმა, შალვა ამირეჯიბმა, ელიზბარ მაყაშვილმა, ჯორჯი დადიანმა, სარდიონ კუჭავამ, თომა ბექაურმა და ალ. კარგარეთელმა.[36]

სოციალ-დემოკრატები მარსელში ქაქუცა ჩოლოყაშვილის ღირსეულად დახვედრისათვის ემზადებოდნენ და ეროვნულ საქმეში მისი შესაძლებლობების სრულად გამოყენებას ფიქრობდნენ. გარკვეული დაძაბულობა შეიმჩნეოდა მთლიანად ქართულ სათვისტომოში, რომელსაც სურდა აგვისტოს აჯანყებაზე სიმართლის მოსმენა. ქ. ჩოლოყაშვილის საფრანგეთში ჩასვლა, ყველა შემთხვევაში, საგრძნობლად გააძლიერებდა საზღვარგარეთ ანტისაბჭოთა საქმიანობას. საბჭოთა საგარეო დაზვერვამ ქ. ჩოლოყაშვილისა და მისი რაზმის წევრებზე ოპერატიული მეთვალყურეობა დააწესა ჯერ კიდევ მათი სტამბოლში ყოფნის პერიოდში. დაზვერვამ იმთავითვე თვალი დაადგა ქ. ჩოლოყაშვილის უახლოესი გარემოცვის ერთ-ერთ წარმომადგენელს მიხეილ ლაშქარაშვილს – „Этот последний, повидимому, имеет некоторое колебания и в Константинополе высказывался очень резко против заграничных руководителей, может быть, поэтому меньшевики задержали ему визу. Наш Карумидзе сообщает, что он лично очень близок с Лашкарашвили и не сомневается, что может его обработать в необходимом направлении. Если это удастся, то мы сами получим визу для Лашкарашвили и добудем его в Париж, как в противовес Чолокашвили. Тем более, что Лашкарашвили крестьянин и в своих специфических кругах величина более значительная, чем Чолокашвили, опирающийся преимущественно на дворянские-офицерские группы. Если Лашкарашвили действительно выступит против меньшевиков с лозунгом примирения с Советской Властью, то ему нужно будет обеспечить амнистию. Сообщите об этом*" – ამ წინადადებით მიმართავს ბერლინიდან 1924 წლის 3 დეკემბრით დათარიღებული წერილით ს. ფირუმოვი ვინმე ალექსანდრ ფეოდოროვიჩს.

მიხეილ ლაშქარაშვილის გმირობის ამბებზე მის მშობლიურ სოფელ ქვემო ხანდაკში დღესაც ლეგენდებს ჰყვებიან. ის აქტიურად მონაწილეობდა 1922 წლის ზაფხულში ხევსურეთისა და 1924 წლის აგვისტოს აჯანყებებში. საზღვარგარეთ, ემიგრაციაში მიხეილ ლაშქარაშვილი ქაქუცა ჩოლოყაშვილთან ერთად გაიხიზნა.[377] გაითვალისწინა თუ არა საბჭოთა საგარეო დაზვერვამ

* ეს უკანასკნელი, ჩემი აზრით, მერყეობს. კონსტანტინოპოლში ყოფნისას ემიგრანტი ხელმძღვანელების წინააღმდეგ ძალზე მწვავედ გამოდიოდა, იქნებ ამიტომაც მენშევიკებმა მას ვიზა დაუგვიანეს. ჩვენი ქარუმიძე იტყობინება, რომ პირადად ის ძალზე ახლოს არის ლაშქარაშვილთან და ეჭვი არ ეპარება, შეძლებს მის დამუშავებას საჭირო მიმართულებით. თუკი ეს მოხერხდება, მაშინ ჩვენ თვითონ მოვიპოვებთ მისთვის ვიზას და პარიზში განვათავსებთ, როგორც ჩოლოყაშვილის საპირწონეს. მით უმეტეს, რომ ლაშქარაშვილი გლეხია და თავის სპეციფიკურ წრეში ეს უფრო ანგარიშგასაწევია, ვიდრე ჩოლოყაშვილი, რომელიც მეტწილად ეყრდნობა თავადაზნაურ ოფიცერთა დაჯგუფებებს. თუკი ლაშქარაშვილი მართლაც გამოვა მენშევიკების წინააღმდეგ საბჭოთა ხელისუფლებასთან შერიგების ლოზუნგით, მაშინ ის უზრუნველყოფილ უნდა იქნას ამინისტიით. გვაცნობეთ აღნიშნულის შესახებ.

ს. ფირუმოვის რეკომენდაციები, ჩვენთვის უცნობია, ისე როგორც უცნობია ლაშქარაშვილისა და მისი მეუღლის ელენე ჩივაძის შემდგომი ბედი. თუმცა, საფრანგეთში გარდაცვლილ, ლევილის სასაფლაოზე დაკრძალულ ქართველთა შორის არის ვინმე მიხეილ ლაშქარაშვილი (დაბ. 1884 წ.), რომლის გარდაცვალების თარიღადაც მითითებულია 1952 წელი.[60]

ქარუმიძეს კომუნისტები „ნაშ ჩელავეკად" თვლიდნენ. ამას მოწმობს ს. ფირუმოვის წერილის ერთი აბზაცი: „Н. Элиава посетил нашего Карумидзе, которому сказал, что он на 90% разделяет позицию газеты «Новая Грузия» и, что, конечно, единственное решение эмигрантского вопроса это признание советской власти и возвращение на Родину*".[297]

„Наш Карумидзе" უნდა იყოს არა ქ. ჩოლოყაშვილის რაზმის წევრი ილია ქარუმიძე, არამედ ეროვნულ-დემოკრატი შალვა ქარუმიძე, რომელიც იმ პერიოდში გერმანიაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. მის მიმართ ეჭვი საბჭოთა სპეცსამსახურებთან კონტაქტის თაობაზე ქართულ ემიგრაციაში იმთავითვე არსებობდა.

ემიგრაციაში გამოჩენის პირველი დღეებიდანვე საბჭოთა საგარეო დაზვერვა სხვადასხვა ხმის გავრცელებითა და ინტრიგების ხლართვით ცდილობდა ქ. ჩოლოყაშვილისა და ქართული ემიგრაციის ლიდერების ერთმანეთთან დაპირისპირებას, ამ გზით მათი ავტორიტეტის შელახვას და აქტიური პოლიტიკური საქმიანობიდან ჩამოცილებას. დაზვერვა აქტიურად იყენებდა ქართულ ემიგრაციაში ბუნებრივად წარმოქმნილ პრობლემებს და, რომ იტყვიან, ცეცხლზე ნავთს ასხამდა.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი და მისი შეფიცულები ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის, ასე ვთქვათ, მებრძოლ ფრთას წარმოადგენდნენ და 1924 წლის აგვისტოს აჯანყების გმირებად ითვლებოდნენ. ემიგრაციაში ისინი დაპირისპირებული აღმოჩნდნენ ქართველ სოციალ-დემოკრატებთან. ქ. ჩოლოყაშვილის უკმაყოფილება სოციალ-დემოკრატების მიმართ იმანაც გამოიწვია, რომ ოდენკურში ქართულ კოლონიაში შექმნილმა სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ ჯერ კიდევ „ოდენკურის ამბებამდე" ფართო მასშტაბის საქმიანობა გააჩაღა ქ. ჩოლოყაშვილის ჯგუფის დასაშლელად, თუმცა ეს ორი მხარე ოდენკურში საბჭოთა კოლონიის დაარსების სასტიკი წინააღმდეგი იყო.

მას შემდეგ, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ და მისმა სპეცსამსახურებმა მოახერხეს ქართველ მუშათა ჯგუფების საქართველოში დაბრუნება, ხოლო ნაწილის გადასვლა „на обывательское положение**", საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, დასაყრდენი უპარტიო, ნაციონალური თვითშეგნების ქართველებს შორის ეძებნა.

1925 წლიდან დაწყებული, ქართულ ემიგრაციაში გამოიკვეთა რამდენიმე მებრძოლი დაჯგუფება, რომლებზეც დიდი გავლენა ჰქონდა ქ. ჩოლოყაშვილს. ესენი იყვნენ: ქ. ჩოლოყაშვილის შეფიცულები, „სამხედრო კავშირი" და „თეთრი გიორგი". აღსანიშნავია, რომ ქ. ჩოლოყაშვილის ეროვნულ გმირად აღზევების საქმეში დიდი წვლილი მიუძღოდათ ქართველ სოციალ-დემოკრატებს, რომლებიც

* ნ. ელიავა ეწვია ჩვენს ქარუმიძეს, რომელმაც უთხრა, რომ ის 90%-ით იზიარებს გაზეთ „ახალი საქართველოს" პოზიციას და, რა თქმა უნდა, ემიგრანტთა საკითხის მოგვარების ერთადერთი გზა არის საბჭოთა ხელისუფლების აღიარება და სამშობლოში დაბრუნება.

** ობივატელურ მდგომარეობაზე

შეეცადნენ ამ ფაქტის თავიანთ სასარგებლოდ გამოყენებას. თუკი ქართველი სოციალ-დემოკრატები ზემოაღნიშნულ ორგანიზაციებსა და თვით ქ. ჩოლოყაშვილი გადაიბირებდნენ, ქართველთა ეს ერთობა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საშიში ხდებოდა როგორც საზღვარგარეთ, ისე საბჭოთა საქართველოში. აქედან გამომდინარე, საბჭოთა ხელისუფლებამ და მისმა სპეცსამსახურებმა მიზნად დაისახეს, არ დაეშვათ ამ ჯგუფების სოციალ-დემოკრატების მხარეზე გადასვლა, უფრო მეტიც, რაც შეიძლება დაეძაბათ და გაემწვავებინათ მათ შორის ურთიერთობა. ასეთი ტაქტიკა შედეგს გამოიღებდა იმ თვალსაზრისითაც, რომ ქართული ემიგრანტული ორგანიზაციების სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდება აკაკი ჩხენკელის მეთაურობით მეტად აქტიური ქართული ლეგაციის დისკრედიტაციას გამოიწვევდა, რასაც საბოლოოდ მისი გაუქმება მოჰყვებოდა.[261]

ანტისაბჭოთა ქართული ემიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის პირველი ეტაპი საბჭოთა ხელისუფლებასა და მის სპეცსამსახურებს უკვე წარმატებით ჰქონდათ დასრულებული, როდესაც საქართველოს დევნილი მთავრობის ბირთვის გათიშვა და ნაწილობრივ დაშლა მოხერხდა. მეორე ეტაპის ამოცანას მთავრობისაგან მებრძოლი ჯგუფის ჩამოცილება წარმოადგენდა. საქართველოს დევნილი მთავრობის იზოლაცია ემიგრაციაშიც და საქართველოშიც აუცილებლად „ნაციონალისტურად განწყობილი წრეების“ სრულ დისკრედიტაციას გამოიწვევდა. მას შემდეგ, რაც სოციალ-დემოკრატ ლიდერებს საყრდენი გამოეცლებოდათ როგორც მუშათა მასებში, ისე წვრილბურჟუაზიულ ფენებში, ის ვეღარ იქნებოდა ქმედუნარიანი ძალა და რეალურ საფრთხეს ვეღარ შექმნიდა – მიიჩნევდა საბჭოთა ხელისუფლება. არსებული ვითარების ანალიზმა საბჭოთა ხელისუფლება და მისი სპეცსამსახურები (საგარეო დაზვერვა) დაარწმუნა იმაში, რომ ეს არ იყო იოლი საქმე, თუმცა, როგორც ჩანს, მათ რაღაც ეტაპზე მიზანს მაინც მიაღწიეს. ძნელი წარმოსადგენი არ არის მდგომარეობა საზღვარგარეთ უსახსროდ და უსახლკაროდ დარჩენილი, პოლიტიკურად იმედგაცრუებული და მორალურად დაცემული კაცისა, რომელსაც საყვარელი ცოლ-შვილი, პრაქტიკულად მძევლების რანგში, ბედის ანაბარად საქართველოში ჰყავდა მიტოვებული. ასეთ ადამიანს, სრულიად ბუნებრივია, სამშობლოში დაბრუნების სურვილი გასჩენოდა, თუნდაც საკუთარ სინდისთან გარკვეულ კომპრომისებზე წასვლის ხარჯზე. „Приблизительно месяц тому назад, этот контакт удалось осуществить и переговоры с Челокаевым закончились его полным согласием порвать с эмиграцией и вместе со своими лидерами и поддерживающими его организациями перейти на нашу сторону, оговоривая это получением амнистии и восстановлением в правах грузинского гражданства. Челокаев брался не только ликвидировать все активные организации за границей, но и повести решительную борьбу с меньшевиками, как здесь, так и в Грузии. Челокаева поддерживали в этом, как Военный союз во главе с Квинитадзе, так и националистическая молодёжь из «Белого Георгия» и лично Спиридон Кедия. Вот почему прекратились также террористичекие выступления против наших сторонников, ибо до сих пор меньшевики для этой деятельности

использовали как раз челокаевцев и военные организации*"[301] – მიანიშნებს ს. ფირუმოვი თავის ერთ-ერთ საიდუმლო მოხსენებაში.

„ოდენკურის სისხლიანი ამბების" შემდეგ ს. ფირუმოვმა 1926 წლის 28 თებერვალს თბილისში სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ამიერკავკასიის წარმომადგენლის სახელზე მორიგი საიდუმლო შიფრდეპეშა აფრინა:

«Из Парижа в Тифлис. Уполномоченному Н.К.И.Д., Заккрайкому, копия Т. Гогоберидзе от Пирумова.

В результате обострения отношений между меньшевиками и челокаевцами произошло кровавое столкновение – четверо убитых и 17 раненных. Еще до кровавых событий Челокаев обратился с просьбой амнистии признанием соввласти.

В интересах дела требую пока сохранить в полной тайне позицию Челокаева. Переход Челокаева со своими людьми означает окончательную ликвидацию массовой эмиграции и уничтожения активных офицерских организаций, а так же дезорганизация Белого Георгия. Телеграфируйте разрешение амнистировать Челокаева, а также и его людей. В связи с этим делом переведите две тысячи долларов. №136»**.[311]

ქ. ჩოლოყაშვილისა და მისი მომხრეების საბჭოთა დაზვერვის ინტერესებისათვის გამოყენების მცდელობისათვის ხელი შეუშლია „ოდენკურის ამბებს", რომელიც სოციალ-დემოკრატებისა და ქაქუცა ჩოლოყაშვილის მხარდამჭერთა დაპირისპირების ლოგიკური შედეგი იყო და მას აშკარად პოლიტიკური მოტივები ედო საფუძვლად. ისეთ პირობებში, როდესაც დევნილმა მთავრობამ საზოგადოებას ქართველთა ახალი ერთობის თაობაზე აუწყა, მათთვის „ოდენკურის ამბების" შედეგები კატასტროფის ტოლფასი იყო. სოციალ-დემოკრატები იძულებულნი იყვნენ გაეერცელებინათ ხმები ქართველთა სისხლიან შეტაკებაში ბოლშევიკების მონაწილეობის თაობაზე. „ოდენკურის ამბების" შემდეგ, როგორც ჩანს, გეგმები შეეცვალა საბჭოთა დაზვერვასაც. ს. ფირუმოვი აღნიშნავს: „Это обстоятельство задержало открытое политическое выступление Челокаева, ибо тогда не трудно было бы установить связь между «Большевицкой провокацией» и оденкурской

---

* დაახლოებით ერთი თვის წინ ეს კონტაქტი შედგა და მოლაპარაკებები ჩელოკაევთან დასრულდა მისი სრული თანხმობით, გაწყვიტოს კავშირი ემიგრაციასთან, მის ლიდერებთან და მხარდამჭერ ორგანიზაციებთან ერთად გადმოვიდეს ჩვენს მხარეს ამნისტიის მიღებისა და საქართველოს მოქალაქეობის უფლებების აღდგენის წინასწარი აღთქმით. ჩელოკაევი აპირებდა არა მარტო უცხოეთში მოქმედი აქტიური ორგანიზაციების ლიკვიდაციას, არამედ გადამწყვეტი ბრძოლის წარმოებას მენშევიკების წინააღმდეგ, როგორც აქ, ისე საქართველოში. ამ საქმეში ჩელოკაევს მხარს უჭერს როგორც სამხედრო კავშირი კვინიტაძის მეთაურობით, ისე „თეთრი გიორგის" ნაციონალისტური ახალგაზრდობა და პირადად სპირიდონ კედია. აი, რატომ შენყდა ასევე ჩვენი მომხრეების წინააღმდეგ ტერორისტული გამოვლინებები, ვინაიდან მენშევიკები ამ საქმიანობისათვის იყენებდნენ სწორედ ჩელოკაევის მომხრეებსა და სამხედრო ორგანიზაციებს.

** პარიზიდან თბილისში. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს, ამიერკავკასიია სამხარეო კომიტეტს, ასლი ამხ. ლოლობერიძეს ფირუმოვისაგან.
მენშევიკებსა და ჩელოკაევის მომხრეთა შორის ურთიერთობების გამწვავების შედეგად მოხდა სისხლიანი შეტაკება — ოთხი მოკლულია და 17 დაჭრილი. ჯერ კიდევ სისხლიანი მოვლენების წინ ჩელოკაევმა ამნისტიის და საბჭოთა ხელისუფლების აღიარების თხოვნით მოგვმართა.
საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, მოვითხოვ, რო ჩელოკაევის პოზიცია სრულიად საიდუმლოდ დარჩეს. ჩელოკაევის გამოსვლა თავის ხალხთან ერთად ნიშნავს მასობრივი ემიგრაციის საბოლოო ლიკვიდაციას და აქტიური სამხედრო ორგანიზაციების განადგურებას, აგრეთვე „თეთრი გიორგის" დეზორგანიზაციას. გვიდეპეშეთ ჩელოკაევის და მისი ხალხის ამნისტიის ნებართვის შესახებ. ამასთან დაკავშირებით გადმოგვიგზავნეთ ორი ათასი დოლარი. N136.

дракой. С другой стороны, это ухудшило бы положение Челокаева, как в глазах французского общественного мнения, так и даже своих сторонников, которые в серьёз могли бы поверить, что Челокаев «пролил грузинскую кровь», будучи в тайных отношениях с большевиками. Обстоятельства эти вынуждали задержать открытое выступление Челокаева, чтобы дать ему возможность на суде (по делу об оденкурских событиях арестованы челокаевцы, которые предаются суду) – выступить против меньшевиков совершенно «незапятнанным» и с репутацией «национального героя». В этом ему также обеспечивается поддержка всей французской несоциалистической общественности, а выступление его людей в суде с обвинением Чхенкели в террористической деятельности серьёзно скомпрометирует меньшевиков, тем более, что эти обвинения будут раздаваться не со стороны большевиков, а со стороны «грузинских патриотов» и «национальных героев»*".[301]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ისევ ქართველთა მონაწილეობით, მათივე დისკრედიტაციის მიზნით, გაჩნდა გეგმა – ქ. ჩოლოყაშვილი არ იმოქმედებდა ღიად და მოახდენდა სასამართლო პროცესის ფორსირებას. სასამართლო სხდომაზე ის და მისი მომხრეები იტყოდნენ ყველაფერს სოციალ-დემოკრატების საქმიანობაზე როგორც საზღვარგარეთ, ისე საქართველოში, განსაკუთრებით 1924 წლის აგვისტოს აჯანყებასთან დაკავშირებით. რა შედეგითაც არ უნდა დამთავრებულიყო სასამართლო პროცესი, Челокаев делает его исходным (перед глазами грузинского общественного мнения) – для официальной и публичной «смены вех».[301]

ამ ჩანაფიქრით უნდა მიღწეულიყო შემდეგი:

1. მოხდებოდა აკაკი ჩხენკელისა და მისი ოფიციალური ლეგაციის კომპრომეტირება;

2. საფრანგეთის საზოგადოებრიობის თვალში დაინგრეოდა ანტისაბჭოთა ქართული ემიგრაციის ერთიანობის მითი;

3. ემიგრანტული მთავრობის ელიტაში გზა გაეხსნებოდათ ქაქუცა ჩოლოყაშვილის მომხრე პოლიტიკოსებს.

ს. ფირუმოვი ამასთან დაკავშირებით საბჭოთა ხელისუფლებას შემდეგ გეგმას სთავაზობდა:

„За это время приходится поддерживать Челокаева и его людей, что бы меньшевики их не «купили», пользуясь затруднительным материальным положением, оказывать ему помощь для лечения ранении и ведения судебного

---

* „ამ გარემოებამ შეაფერხა ჩელოკაევის ღია პოლიტიკური გამოსვლა, რადგან მაშინ ადვილი იქნებოდა კავშირის დადგენა „ბოლშევიკურ პროვოკაციასა" და ოდენკურის ჩხუბს შორის. მეორე მხრივ, ეს გააუარესებდა ჩელოკაევის მდგომარეობას, როგორც ფრანგული საზოგადოებრივი აზრის, ისე თავის მომხრეთა თვალშიც კი. ამ უკანასკნელთ სერიოზულად შეიძლებოდა ერწმუნათ, ჩელოკაევმა ბოლშევიკებთან ფარული ურთიერთობის დროს „დაღვარა ქართული სისხლიო". ყველა ამ გარემოებამ აიძულა ჩელოკაევი, შეეჩერებინა აშკარა გამოსვლა, რათა მას შესაძლებლობა ჰქონოდა, სასამართლოზე მენშევიკების წინააღმდეგ გამოსულიყო სრულიად „სუფთა", „ეროვნული გმირის" რეპუტაციით (ოდენკურის მოვლენებთან დაკავშირებით დაპატიმრებული ჩელოკაეველები სასამართლოზე იყვნენ გადმოცემულნი). ამით მას აგრეთვე განაღდებული აქვს მთელი ფრანგული არასოციალისტური საზოგადოებრიობის მხარდაჭერა, მისი ხალხის გამოსვლა სასამართლოზე ტერორისტულ საქმიანობაზე. ჩხენკელის ბრალდებით კი სერიოზული კომპრომეტირება იქნება მენშევიკებისა, მით უმეტეს, რომ ეს ბრალდება ნამოვა არა ბოლშევიკების მხრიდან, არამედ „ქართველი პატრიოტებისა" და „ეროვნული გმირების მხრიდან".

процесса. Всё это стоит довольно дорого. Поэтому я у Вас просил выслать единовременно хотябы 2000 долларов, которые, кстати сказать, я до сих пор не получил. В противоположность нашему плану меньшевики имели намерение представить оденкурские события, как простую драку, и убедив Челокаева в ненужности судебного процесса – обещали освободить его людей от всякой ответственности и материально вознаградить, как их, так и его. Однако Челокаев остался непреклонным*".[301]

საბჭოთა საგარეო დაზვერვის ინფორმაციით, ქ. ჩოლოყაშვილთან „ოდენკურის ამბების" შემდეგ სტუმრად მისულან აკაკი ჩხენკელი, ევგენი გეგეჭკორი და ნოე რამიშვილი, რომელთაც მისთვის შერიგებისკენ მოუწოდებიათ და უთხოვიათ, არ დაესამარებინა „ეროვნული საქმე", ვინაიდან სასამართლო პროცესზე წარმოჩინდებოდა კონფლიქტის გამომწვევი პოლიტიკური მოტივები, რაც ეროვნული ფრონტის საქმიანობაზე ცუდად აისახებოდა და საბოლოოდ მოახდენდა „საქართველოს საქმის" კომპრომეტირებას. ქ. ჩოლოყაშვილის პასუხი, თითქოსდა, ასეთი ყოფილა: „Челокаев ответил, что ему не о чём говорить с меньшевиками, что раз пролилась кровь, то он доведёт дело до конца**".

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ს. ფირუმოვმა საბჭოთა საქართველოს ხელისუფლების წინაშე შემდეგი მოთხოვნები წამოაყენა:

ა) სასწრაფოდ გადაწყვეტილიყო ქ. ჩოლოყაშვილისა და მისი მომხრეების ამნისტირების საკითხი, თუკი ეს უკანასკნელი საბჭოთა პლატფორმაზე გადასვლის შესახებ საჯარო განცხადებას გააკეთებდა; ბ) ქ. ჩოლოყაშვილისათვის გაეგზავნათ 2000 აშშ დოლარი და გ) ქ. ჩოლოყაშვილის ორი თანამებრძოლისათვის მიეწოდებინათ სსრ კავშირში გამგზავრებისათვის შესაბამისი ვიზები.[301]

ქ. ჩოლოყაშვილმა და მისმა ჯგუფმა მერყეობა დაიწყეს და საბჭოთა იდეოლოგიის სასარგებლო განცხადების გაკეთებას არ ჩქარობდნენ. აქედან გამომდინარე, საბჭოთა წარმომადგენლობა თავს იკავებდა შემდგომში მათთვის რაიმე მატერიალური დახმარების გაწევისაგან, მიუხედავად იმისა, რომ სუბსიდიები მათთვის პარიზის საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლობის 1927 წლის ბიუჯეტში, როგორც ვნახეთ, გათვალისწინებული იყო.

საბჭოთა საგარეო დაზვერვა ქ. ჩოლოყაშვილის ჯგუფთან ოპერატიულ თამაშს აგრძელებდა და ქართველ პატრიოტთა ამ ნაწილის მეშვეობით მთლიანად ანტისაბჭოთა ემიგრაციის კომპრომეტირებასა და დაშლას ცდილობდა. საბჭოთა ხელისუფლებამ, რაღაც პერიოდში, გარკვეული ზეგავლენა მოახდინა სპირიდონ კედიაზეც. ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან მის გვერდით მუდმივად იმყოფებოდა ემიგრანტი გიორგი გეგელია, რომელიც საბჭოთა დაზვერვის „დიდი იმედი" იყო.

---

* ამ ხნის მანძილზე იძულებული ვართ, დავუჭიროთ მხარი ჩელოკაევს და მის ხალხს, რათა მენშევიკებმა ისინი არ „იყიდონ", არ ისარგებლონ მისი მძიმე მატერიალური მდგომარეობით, რაც დაკავშირებულია ჭრილობების მოშუშებასთან და სასამართლო პროცესის წარმართვისათვის. ყოველივე ეს ღირს საკმაოდ ძვირი. ამიტომ გთხოვეთ, გამოგვგზავნათ ერთჯერადად 2000 დოლარი მაინც, რომელიც, სხვათა შორის, დღემდე არ მიმიღია. ჩვენი გეგმების საწინააღმდეგოდ, მენშევიკებს უნდოდათ, რომ ოდენკურის ამბები წარმოეჩინათ როგორც უბრალო ჩხუბი და, დაარწმუნეს რა ჩელოკაევი სასამართლო პროცესის გამართვის არასასურველობაში – დაჰპირდნენ მისი ხალხის გათავისუფლებას ყველა სახის პასუხისმგებლობისგან და მატერიალურად დაჯილდოებას როგორც ამ უკანასკნელთ, ისე პირადად მას. თუმცა ჩელოკაევი დარჩა უდრეკი.

** ჩელოკაევმა უპასუხა, რომა მას არაფერი აქვს სათქმელი მენშევიკებთან და რადგან დაიღვარა სისხლი, ის საქმეს ბოლომდე მიიყვანს.

საქართველოს ხელისუფლება სპ. კედიასა და ქ. ჩოლოყაშვილის ჯგუფისაგან ემიგრაციასთან კონტაქტის განყვეტას და ამის თაობაზე საჯარო განცხადების გაკეთებას ითხოვდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს უკანასკნელი მათგან მატერიალურ მხარდაჭერას ვეღარ მიიღებდა.

როგორც ჩანს, სპ. კედიას დაყოლიება არცთუ ისე ადვილი საქმე იყო. ს. ფირუმოვი მიანიშნებს: „Челокаев, который очень легко шел на это, сейчас под влиянием Кедия проявляет некоторое колебание, стараясь доказать, что своей непримиримой борьбой против меньшевиков и тактики восстания, он приносит нам больше помощи и вообщем честно выполняет свои обязательства. Однако, при нынешней ситуации, у нас должна быть твёрдая уверенность, тем более, что поведение его людей в Тифлисе было предательски, поэтому для возобновления сношения с ними, мы требуем твёрдой и реальной гарантии*“.[201] ს. ფირუმოვის აზრით, სპ. კედიასა და ამ უკანასკნელის ზეგავლენით ქ. ჩოლოყაშვილის მერყეობა განპირობებული იყო ახალი პოლიტიკური გარემოებებით, იმ პერიოდში ევროპაში პოლონეთის როლის გაძლიერებითა და პოლონეთ-სსრ კავშირის შესაძლო კონფლიქტით. ამდენად, ს. ფირუმოვი თვლიდა, რომ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. ჩოლოყაშვილი ფრთხილად ეკიდებოდა საბჭოთა ხელისუფლებასთან კონტაქტების დამყარების საქმეს.[202]

ქ. ჩოლოყაშვილის ირგელივ სიტუაციის ოდნავ ჩაცხრომის შემდეგ ინტრიგები მის გარშემო კვლავ განახლდა, როდესაც ის საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ დაგებულ მორიგ მახეში – „ჩერვონცებად“ წოდებულ საქმეში – გაება.

1927 წლის 14 თებერვალს საკუთარ საცხოვრებელ სახლში საფრანგეთის პოლიციამ დააპატიმრა ქაქუცა ჩოლოყაშვილი და ემიგრანტი ნესტორ ერისთავი. ეს უკანასკნელი გახლდათ ქაქუცას ახლო მეგობარი, ყოფილი სამხედრო მოსამსახურე და რეპუტაციაშელახული პიროვნება, რომელიც მუდმივად ქაქუცასთან ცხოვრობდა. ქართველი ემიგრანტების დაპატიმრების მიზეზი შემდეგი ისტორია გახდა:

ნ. ერისთავი დაუკავშირდა თავის ძველ ნაცნობს სიმანოვიჩს და შესთავაზა თითქოსდა ქ. ჩოლოყაშვილის კუთვნილი „ჩერვონცების“ გადახურდავება. ამასთან, დასძინა, რომ აღნიშნული თანხა ქ. ჩოლოყაშვილს მიღებული ჰქონდა საბჭოთა კავშირიდან. ამ ოპერაციის წარმატებით დასრულების შემთხვევაში ნ. ერისთავი სიმანოვიჩს გასამრჯელოს სახით გადასცემდა 1000 ფრანკს. ეს უკანასკნელი დათანხმდა შეთავაზებულ წინადადებას და რამდენიმე საათის შემდეგ მიიტანა 150 ცალ გაყიდულ „ჩერვონცზე“ 22000 ფრანკი. რამდენიმე დღის შემდეგ აღმოჩნდა, რომ „ჩერვონცები“ იყო ყალბი. ყოველგვარი ხმაურის გარეშე, ბანკმა მოსთხოვა სიმანოვიჩს უკან წაეღო თავისი „ჩერვონცები“ და თანხა სასწრაფოდ დაებრუნებინა. ორდღიანი ძებნის შემდეგ სიმანოვიჩმა მიაგნო ნ. ერისთავს, რომელმაც კატეგორიულად უარყო „ჩერვონცების“ გადახურდავების ფაქტი და ურცხვად განაცხადა, რომ საერთოდაც არ იცნობდა მას. ამ უკანასკნელს ისღა

* ჩელოკაევი, რომელიც ძალიან თავისუფლად მიდიოდა ამაზე, ამჟამად კედიას გავლენით, ყოყმანობს, ცდილობს რა დაამტკიცოს, რომ მენშევიკების წინააღმდეგ თავისი უკომპრომისო ბრძოლით და ამბოხების ტაქტიკით, ის მეტად გვეხმარება და რომ, საერთოდ, პატიოსნად ასრულებს თავის მოვალეობას. თუმცა დღევანდელ სიტუაციაში ჩვენ მყარად უნდა ვიყოთ დარწმუნებულები, მით უმეტეს, რომ მისი ხალხის ქმედებები თბილისში იყო გამყიდველური, ამიტომ მასთან ურთიერთობის გასაახლებლად ჩვენ ვითხოვთ მყარ და რეალურ გარანტიებს.

დარჩენოდა, დახმარებისათვის ბანკის ადმინისტრაციისათვის მიემართა, ბანკმა კი სასწრაფოდ პოლიცია ჩართო საქმეში.

ქ. ჩოლოყაშვილის დაპატიმრებით ძალზე შეწუხდა ქართული პოლიტიკური ემიგრაცია და სიტუაციაში გასარკვევად ლევილიდან დევნილი მთავრობის ორი წევრი – კანდელაკი და ფირცხალავა მიავლინა. დევნილმა მთავრობამ ქ. ჩოლოყაშვილისა და ნ. ერისთავის დასაცავად სასწრაფოდ დაიქირავა ცნობილი ფრანგი ადვოკატი ბატაი. ადვოკატს ნ. ერისთავმა პირველივე შეხვედრაზე აგრძნობინა, რომ კავშირი ჰქონდა საბჭოთა საელჩოსთან, კერძოდ, საელჩოს მდივანთან ს. ფირუმოვთან.

1927 წლის 3 მარტს ქ. ჩოლოყაშვილი განთავისუფლებულ იქნა წინასწარი პატიმრობიდან.

სასამართლო პროცესზე ქ. ჩოლოყაშვილისა და ნ. ერისთავის ადვოკატებმა საქმე იმდაგვარად წარმართეს, რომ ყალბი „ჩერვონცების“ საქმე მთლიანად დაბრალდა სიმანოვიჩს, რომელიც, თითქოსდა, საბჭოთა ხელისუფლების დავალებით მოქმედებდა.[287]

ყალბ „ჩერვონცებთან“ დაკავშირებით შემდგომში ცნობილი გახდა, რომ ისინი მიუნხენიდან პარიზში იყო ჩატანილი ემიგრანტ შალვა ქარუმიძის მიერ. გაზეთმა „კომუნისტმა“ „ყალბ ჩერვონცებთან“ დაკავშირებით ინფორმაცია საბჭოთა მკითხველს მოგვიანებით, 1929 წლის 2 თებერვალს ამცნო სათაურით „კუზიანს სამარე გაასწორებს“.[168] მასში ყალბი საბჭოთა ჩერვონცების დაბეჭდვისა და გავრცელების აქტიურ მონაწილედ დასახელებულია საქართველოს დევნილი მთავრობის აგენტი, სტამბოლის კათოლიკური მონასტრის ყოფილი ბერი „დახელოვნებული შანტაჟისტი სადათიერაშვილი“, ხოლო ორგანიზატორებად „დეტერდინგები“ და „გოფმანები“, რომელთა მიზანიც ყოფილა საბჭოთა ეკონომიკისათვის ძირის გამოთხრა. სტატიაში არაფერი იყო ნათქვამი „ყალბი ჩერვონცების საქმის“ ერთ-ერთ აქტიურ მონაწილეზე შ. ქარუმიძეზე და პროცესში მონაწილე სხვა პირებზე. ნ. ერისთავისა და ქ. ჩოლოყაშვილის დაპატიმრების შემდეგ შალვა ქარუმიძე პარიზიდან გაქრა. ემიგრანტულ წრეებში ცნობილი იყო შ. ქარუმიძის კავშირები საბჭოთა სპეცსამსახურებთან. ამის თაობაზე, როგორც ზემოთ ვნახეთ, ნ. რამიშვილიც მიუთითებდა 1927 წლის დამდეგს ი. ქარცივაძის ხელით საქართველოში გაგზავნილ სადირექტივო წერილში. „Наш Карумидзе*“ ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში პერიოდულად ჩნდებოდა და მუდამ სკანდალებში ეხვეოდა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ როდესაც 1945 წლის ბოლოს ბერლინში ოპერატიული ჯგუფის ხელმძღვანელად იმყოფებოდა მომავალი საბჭოთა საქართველოს უშიშროების მინისტრი ნიკოლოზ რუხაძე, მან „ცენტრს“ შესთავაზა შალვა ქარუმიძესთან (მის თანაკლასელთან და საბჭოთა სპეცსამსახურების ყოფილ აგენტთან) ოპერატიული კავშირის აღდგენა, თუმცა კატეგორიული უარი მიიღო მისი, დიდი ხნის გაშიფვრის გამო.[376]

შ. ქარუმიძის შემდგომი ბედი ჩვენთვის უცნობია, თუმცა გენერალ შ. მაღლაკელიძის გადმოცემით: „შალვა ქარუმიძეს რაც შეეხება, მერე გავიგე, რომ წასულა ჟენევაში, იქ დაავადმყოფდა და მოთავსებულ იქნა ფსიქიატრიულ კლინიკაში. იმ საავადმყოფოში დაასრულა სიცოცხლე“.[64]

* ჩვენი ქარუმიძე.

საბჭოთა დაზვერვას, როგორც ჩანს, დაგეგმილი ჰქონდა ყალბი „ჩერვონცების“ საქმით მაქსიმალურად დაეძაბა ურთიერთობა ისედაც ერთმანეთზე გადაკიდებულ ქართული ემიგრაციის ლიდერებსა და მათ მომხრეებს შორის. საიდუმლო პირების მეშვეობით, საბჭოთა სპეცსამსახურები ავრცელებდნენ ცრუ ინფორმაციებს „ჩერვონცების“ აფიორაში ამა თუ იმ ქართველი ემიგრანტი-ლიდერის მონაწილეობის თაობაზე. ამ გზით შეეცადნენ იმ პერიოდისათვის აქტიურად მოქმედი ორი გამორჩეული ანტისაბჭოთა მოღვაწის, ლეო კერესელიძისა და სპირიდონ კედიას ერთმანეთზე წაკიდებას, თუმცა, როგორც მათი მიმოწერიდან ირკვევა, სპეცსამსახურების ეს ხრიკები არცთუ წარმატებული აღმოჩნდა. 1930 წლის 25 აპრილით დათარიღებულ წერილში სპირიდონ კედია ლეო კერესელიძეს მიმართავს:

„ბატონო ლეო, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა პირმა გადმომცა, როგორც თქვენი ნათქვამი:

– რომ მე თქვენ გაგანდევით ჩერვონცების მოჭრის განზრახვა და გთხოვეთ, როგორც გამოსადეგ კაცს ამ საქმეში მონაწილეობა მიგეღოთ.

– რომ თქვენ ამ წინადადებაზე კატეგორიულის უარით მიპასუხეთ და თქვენის მხრივ შეეცადეთ დაგერწმუნებიეთ, რომ მეც ხელი ამეღო ამ განზრახვაზე.

მაგრამ მე თურმე ჩემი არ მოვიშალე და საქმეს შევუდექი, რომ ამრიგად თქვენ ყველაფერი იცოდით, მაგრამ არაფერს ამბობდით, სანამ საქმეს სასამართლო არჩევდა. – გთხოვთ მიპასუხოთ, ზემოდხსენებულს თქვენს ნათქვამად სცნობთ თუ არა, ან საზოგადოდ რა იცოდით და პირადათ რას ფიქრობდით, ამ საქმეში ჩემი მონაწილეობის შესახებ“.

პასუხმაც არ დააყოვნა და იმავე წლის 4 აგვისტოს წერილით ახლა უკვე ლ. კერესელიძე მიმართავს დიდი პატივისცემით სპ. კედიას. მასში ნათქვამია:

„გიორგიმ (იგულისხმება გ. მაჩაბელი – გ.ს.) გადმომცა, რომ შენთვის ვიღაცას მოუტანია ენა, ვითომ მე მეთქვას, რომ შენ ერიე ყალბი ფულების საქმეში. სავსებით ტყუილია, პირიქით, მე მეუბნებოდნენ და მიმტკიცებდნენ, რომ შენ რუსის მონარქისტებთან გქონდა საქმე და მათგან იღებდი ფულს. ამას მეუბნებოდნენ უმთავრესად შ. ამირეჯიბი, რ. გაბაშვილი და სხვები. თვით ასათიანი, სწორედ მაშინ, როდესაც ის ვითომდა შენთან ერთად იყო, მეუბნებოდა, რომ შენ ყალბი ფულის საქმეში ერიე. თუ გინდა სიმართლე, მე მხოლოდ მაშინ დავიჯერე ეს საქმე, რადგან არ წარმომედგინა, რომ შენი მოკავშირე მოგიგონებდა ამნაირ საქმეს. ის მიმტკიცებდა, რომ შენ ერიე ამ საქმეში და, რომ ეს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას ავნებდა. თუმცა მე კარგათ ვიცოდი, რომ ასათიანი ორპირობდა და მატყუებდა, რომ მას შენი ღალატი ედო გულში, მაგრამ მაინც ვერ წარმოვიდგენდი, რომ უსაბუთოთ იტყოდა ამისთანა რამეს. შენ ალბათ გახსოვს, რომ ერთხელ მოგიტანეს ამბავი, ვითომ მე მეთქვას, რომ შენ რუსის მონარქისტებთან კავშირი გქონდეს. ეს შ. ამირეჯიბის ინტრიგა იყო. მას სურდა მე და შენს შორის უსიამოვნება ჩამოეგდო, მაგრამ მე საჯაროთ და მოწმეების თანდასწრებით ვამხილე, რომ თვითონ მან მითხრა შენს შესახებ ეს და მე ვუპასუხე, რომ არა მჯეროდა. გთხოვ არავითარ მაგისთანას არ დაუჯერო ხოლმე. ალბათ კიდევ ბევრ ამბავს მოგიტანენ და გთხოვ არ დაუჯერო. ხომ იცი რა ინტრიგანები არიან. მე რომ შენს შესახებ რ. გაბაშვილსა და გ. ვაჩნაძისაგან ლანძღვა-გინება და ბოროტების

ბრალდება გამიგია, ასაწერადაც ძნელია, მაგრამ არც კი გამიმეორებია. მე გცნობ შენ პატიოსან ქართველად, კაცათ, რომელთან შესაძლებელია ლოიალური თანამშრომლობა და მეგობრობა და ამიტომ ცუდს არც ვიტყვი და არც სხვას დაუჯერებ...“[44]

საბჭოთა საგარეო დაზვერვა თვლიდა, რომ „ყალბ ჩერვონცებთან“ დაკავშირებულმა სკანდალმა, მიუხედავად ქართველი სოციალ-დემოკრატებისა და ანტისაბჭოთა პოლიტიკური ემიგრაციის სხვა წარმომადგენლების დიდი მცდელობისა, ქ. ჩოლოყაშვილისა და მისი შეფიცულების ავტორიტეტი, უპირველეს ყოვლისა, ფრანგული საზოგადოების თვალში ძირს დასცა. „Можно считать, что отныне этой группировки в эмиграции уже нет. Её начисто скомпрометировала история с фальшивыми деньгами*“.[302]

ქართული ანტისაბჭოთა პოლიტიკური ემიგრაცია შეეცადა, რომ ინფორმაცია „ჩერვონცების საქმეში“ ქ. ჩოლოყაშვილის მონაწილეობის თაობაზე ფრანგულ პრესაში არ გავრცელებულიყო, თუმცა საბჭოთა ხელისუფლებამ და მისმა სპეცსამსახურებმა მაინც მოახერხეს საზოგადოებრიობის ინფორმირება, რამაც საერთო ქართულ მოძრაობას დიდი მორალური დარტყმა მიაყენა. ამავე კონტექსტში განიხილებოდა საფრანგეთში საბჭოთა წარმომადგენლობის მცდელობა, „ჩერვონცების საქმეში“ სასამართლოზე გამოსულიყო სამოქალაქო მოსარჩელედ, როგორც თითქოსდა დაზარალებული მხარე. აღნიშნულის თაობაზე, პარიზის საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლობა შესაბამის მითითებებს მოსკოვიდან ელოდა.

1927 წელს პარიზიდან საქართველოში გამოგზავნილ სრულიად საიდუმლო ანგარიშში მინიშნებულია: „Так или иначе, Челокаевская группа ликвидирована. Весь год своей внутренней борьбой против меньшевиков она была полезна, а с момента своих колебаний благоприятным случаем, совершенно снята с политической арены, да ещё компрометирует тех же меньшевиков**“.[302] ამის შემდეგ, ცხადია, რომ საბჭოთა საქართველოს პარტიული ელიტა და სპეცსამსახურები არ მოისურვებდნენ მეამბოხე პატრიოტების საქართველოში დაბრუნებას, ჯერ ერთი, იმის გამო, რომ ისინი პრობლემებს შეუქმნიდნენ საბჭოთა ხელისუფლებას და მეორეც – მათი ყოფნა საზღვარგარეთ, პოლიტიკური ემიგრაციის შემდგომი დაშლა-განადგურების მიზნით, უფრო სასარგებლო იქნებოდა.

საბჭოთა საგარეო დაზვერვის ძალისხმევით ქ. ჩოლოყაშვილი კიდევ ერთხელ გაეხვია სკანდალში 1927 წლის ზაფხულში „ქართველ მეომართა კავშირთან“ დაკავშირებით. ქ. ჩოლოყაშვილისა და სპ. კედიას ახლო მეგობარმა, ყოფილმა პოლკოვნიკმა ალიკო ამილახვარმა, საფრანგეთის სამხედრო წრეებთან კავშირების წყალობით, მოახერხა საფრანგეთის სამხედრო სამინისტროდან „ქართველ მეომართა კავშირისათვის“ მუდმივი სუბსიდირების მიღების საკითხის გადაწყვეტა. ამის თაობაზე საქმის კურსში არ იყო საქართველოს დევნილი მთავრობა. მთავრობამ შემდგომში ჩათვალა, რომ გამოყოფილი ფულადი სახსრები ხმარდებოდა

---

* შეიძლება ჩაითვალოს, რომ ამიერიდან ემიგრაციაში ეს დაჯგუფება უკვე აღარ არსებობს. ის ნამდვილად იქნა კომპრომიტირებული ფალსიფიცირებულ ფულთან დაკავშირებული ისტორიით.

** ასე თუ ისე, ჩელოკაევის ჯგუფი ლიკვიდირებულია. მენშევიკებთან ერთწლიანი შიდა ბრძოლით ის სასარგებლო იყო, მაგრამ მერყეობის დანყებიდან, ხელსაყრელი შემთხვევის წყალობით, სრულიად მოიხსნა ის პოლიტიკური არენიდან. ამასთან, ახდენს იმავე მენშევიკების კომპრომეტირებას.

არა „ქართველ მეომართა კავშირს“, არამედ პირადად ქ. ჩოლოყაშვილსა და ალ. ამილახვარს. ამის თაობაზე 1927 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში იტყობინებოდა საბჭოთა საგარეო დაზვერვის პარიზის რეზიდენტურა.[287]

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ქართველი სოციალ-დემოკრატები აპირებდნენ ქ. ჩოლოყაშვილისა და სპ. კედიას მხილებას, თუმცა საბოლოოდ თავი შეიკავეს.

საბჭოთა დაზვერვა მზაკვრობას არ იშლიდა და ქ. ჩოლოყაშვილის დისკრედიტაციას აგრძელებდა. 30-იანი წლების მიწურულს ქართულ ემიგრაციაში გავრცელდა ხმები იმის თაობაზე, რომ ქ. ჩოლოყაშვილს, თითქოსდა, ჩაფიქრებული ჰქონდა ნოე ჟორდანიას, ნოე რამიშვილისა და ვასილ დუმბაძის ფიზიკური ლიკვიდაცია. ნ. ჟორდანიას, ნ. რამიშვილისა და ვ. დუმბაძის თითქოსდა მკვლელობის განზრახვის მცდელობის ინტრიგაში ჩართული აღმოჩნდა სპ. კედიაც, რაც კარგად ჩანს ვასილ დუმბაძის მიერ 1928 წლის 3 დეკემბერს სპ. კედიასადმი მიწერილი წერილიდან:

„ძვირფასო ძმაო სპირიდონ,

ერთი ვერსია – ვითომც მე მენახოს შენ მიერ გიორგი მაჩაბლისადმი მიწერილი წერილი, რომელშიაც მოხსენიებული იყო ბ-ნ ნ. ჟორდანიას, ბ-ნ რამიშვილის და ჩემი მოკვლის განზრახვა, არის ნაყოფი ვისიმე ავადმყოფი ფანტაზიისა ან განძრახ შეთხზული, რომ განხეთქილება ჩამოაგდოს მეგობართა და სხვადასხვა ნრეებს შორის. მე არც ამნაირი წერილი მინახავს და არც ოდესმე გიორგი მაჩაბელთან ამაზე საუბარი მქონებია. შენ რომც მოგეწერა რაიმე ამნაირი საიდუმლოება (და რომ არ მოგიწერია მე ამაში დარწმუნებული ვარ), დამერწმუნე, გიორგი ისეთი ლაჩარი არ არის რომ საიდუმლოება გასცეს და ამით წმიდათაწმინდა პრინციპი რაინდისა დაარღვიოს. პრინციპი საიდუმლოების შენახვისა და ნამუსიანობისა. ვინც გიორგის იცნობს ამაზე ბევრი ლაპარაკი არ უნდა.

თუ მე ეს ამბავი ამერიკიდან ჩამოვიტანე, რა საჭირო იყო შენი და ალექსანდრეს ქაქუცასთან მიგზავნა? მაშინ ხომ პირდაპირ შენ გთხოვდი დახმარებას.

მეორე ვერსია, გუშინ ი. ხოჭოლავამ გადმომცა – კეთილის გულით და არა საინტრიგნოთ – ვითომც ქაქუცა უკმაყოფილოა მით, რომ მე ეს ამბავი ლონდონიდან ჩამოვიტანე და სხვა.

ლონდონი უფრო ახლოა, მაგრამ იქ არც ვყოფილვარ და მაშასადამე არაფერი ჩამომიტანია.

მაშ არის ვიღაცა – იდუმალი პირი, რომელსაც ვინმედგან დავალებული აქვს წყალის ამღვრევა და აქ ჩვენის ახლანდელი დროის სულმოკლეობის და სიჩქარის მაგიერ – სულგრძელობა, სიდინჯე და სიბრძნე უნდა გამოვიჩინოთ, რომ ნამდვილმა მტერმა არ გეიხაროს“.[44]

ჟორდანია-რამიშვილის ჯგუფსა და ქაქუცა ჩოლოყაშვილს შორის ურთიერთობა იმდენად გართულდა, რომ ამ უკანასკნელმა 1929 წლის 2 იანვარს შემდეგი შინაარსის წერილით მიმართა აკაკი ჩხენკელს.

„საქართველოს წარმომადგენელს პარიზში აკაკი ჩხენკელს,

ბატონ ნოე რამიშვილს მოუხსენებია მთავრობის წრეში და შემდეგ ბატონ კალე ქავთარაძისათვის დაუვალებიათ ასეთივე განცხადება გაეკეთებია პარიტეტულ კომიტეტში, რომ თითქოს მე მომეწყოს შეთქმულება: ბატონ ნოე ჟორდანიას, ნოე რამიშვილს და ვასო დუმბაძის მოკვლის მიზნით. ნოე რამიშვილს განუცხადებია

კატეგორიულად, რომ მას უტყუარი საბუთები აქვს არამცთუ ამისა, რომ მე ასეთი ამბავი განვიზრახე, არამედ იცის ის პირები, რომელთაც ნოე ჟორდანიას, ნოე რამიშვილის და ვასო დუმბაძის დახოცვა ჰქონდათ დაკისრებული.

ვინაიდან საზღვარი არ უჩანს ამ პირთა ყოვლად უკადრის და უღირს მოქმედებებს ჩემს წინააღმდეგ, მე იძულებული ვარ მივიღო საჭირო ზომები ასეთი მოქმედებების ასალაგმავად. გთხოვთ მოიძიოთ ამონაწერი ნოე ჟორდანიას და ნოე რამიშვილის განცხადებისა.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი".[256]

როგორც ამ დოკუმენტიდან ჩანს, მიმართვაში საუბარია არა უბრალო დაპირისპირებაზე, არამედ ქაქუცა ჩოლოყაშვილის მხრიდან, თითქოსდა, მკვლელობის მუქარაზე. საინტერესოა, თუ ვის გულისხმობდა ნოე რამიშვილი იმ პირებში, რომელთაც მონაწილეობა უნდა მიეღოთ ნ. ჟორდანიას, ნ. რამიშვილისა და ვ. დუმბაძის მკვლელობაში და ის, თუ რა „საჭირო ზომების" მიღებას აპირებდა ქაქუცა ჩოლოყაშვილი? ჩვენთვის უცნობია ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნაბიჯები აღნიშნული მიმართვის შემდეგ. ნოე რამიშვილის მკვლელობამდე ექვსი თვით ადრე, 1930 წლის 27 ივნისს ოტსაუს სანატორიუმში უკურნებელი სენის შედეგად გარდაიცვალა საქართველოზე უზომოდ შეყვარებული, სამშობლოსათვის თავგანწირული პატრიოტი – ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი.

ცნობილია, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილის გარდაცვალების მიზეზი იყო ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს მიღებული ფილტვის ტრავმა და მისი ჯანმრთელობისათვის მიუღებელი პარიზული ჰავა. ამ მოსაზრებას ქაქუცას რაზმის წევრები ალექსანდრე სულხანიშვილი და ალ. კარგარეთელიც იზიარებენ:

„აქ დაეწყო მას ავადმყოფობა, რომელიც მისთვის საბედისწერო გახდა: გაეხსნა ძველი ჭრილობა, გაუჩნდა შიგ იარა. გაგზავნილი იქნა მთებში საექიმოდ, საიდანაც წერილებს ხშირად იწერებოდა..."

„...ევროპაში შემოსვლა გადაექცა ქაქუცას საბედისწეროდ. საშინლად ცუდად იმოქმედა მასზე პარიზის ჰავამ. საუბედუროდ, ჩვენ არ გვქონდა შეძლება, რომ ქაქუცასათვის რიგიანად მოგვვევლო;

...ერთხანს სანატორიუმში გავგზავნეთ, ოტსაუში, სადაც იგი რამდენიმე თვეს დარჩა და ძალიან მოუხდა კიდეც. ჭრილობისაგან მას მარჯვენა ფილტვის თავი ჰქონდა დაზიანებული; აი, ეს გადაექცა კაჟივით მაგარ ვაჟკაცს მომაკვდინებელ ჭლექად..."ქაქუცა ჩოლოყაშვილის გარდაცვალების მიზეზების თაობაზე განსხვავებულ ვერსიას გვთავაზობს გენერალი შალვა მაღლაკელიძე.[68]

ერთ დღეს, ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი და ხმლით დამშვენებული ქაქუცა, შალვა ქარუმიძესთან ერთად, მოსალხენად პარიზის ემიგრანტულ რესტორან „კორნელოს" სწვევია. იმავე რესტორანში, თურმე, ქეიფობდა პარლამენტის დეპუტატი საფრანგეთის კომუნისტური პარტიიდან და ამავდროულად პარიზის პოლიციის უფროსი კიაფი. ამ უკანასკნელს თვალში არ მოსვლია ქართველები და ოდნავ მოგვიანებით ქაქუცასთვის შინ პოლიციელები (ნაპოლეონიდან მოყოლებული პარიზის პოლიციაში სისასტიკით განთქმული, წარმოშობით სიცილიელები მსახურობდნენ) მიუგზავნია. პოლიციელებს ჩოლოყაშვილისათვის კარი შეუმტვრევიათ და, როდესაც ეს უკანასკნელი არ დანებებულა, სასტიკად უცემიათ. სწორედ ცემის შედეგად მიყენებულ დაზიანებას და შემდგომ ციხეში ყოფნას

უნდა გამოეწვია ჭლექის განვითარება, რაც საბოლოოდ ქალუცა ჩოლოყაშვილის გარდაცვალებით დასრულდა – მიაჩნია შ. მაღლაკელიძეს.[64]

რამდენად შეეფერება სიმართლეს ქ. ჩოლოყაშვილის გარდაცვალების შალვა მაღლაკელიძისეული ვერსია, ძნელი სათქმელია. მთავარი ისაა, რომ ქართულმა ემიგრაციამ და ქართველმა ერმა ქ. ჩოლოყაშვილის გარდაცვალებით დიდი დანაკლისი განიცადა. შვებით ამოისუნთქეს საბჭოთა ხელისუფლებამ და მისმა სპეცსამსახურებმა.

ტრაგიკული აღმოჩნდა 1924 წლის აგვისტოს აჯანყების ერთ-ერთი გმირის, დავით მხეიძის ბედიც. დ. მხეიძემ, რომელსაც ოჯახი საქართველოში ჰყავდა, ვეღარ გაუძლო ემიგრანტულ ცხოვრებას და საბჭოთა პროპაგანდას აჰყვა. ამაში კი ლომის წილი საბჭოთა დაზვერვას, კერძოდ კი ს. ფირუმოვს ეკუთვნოდა. შესაბამისად, საბჭოთა წარმომადგენლობებში სიარულს მოუხშირა. საბჭოთა საკონსულოში დ. მხეიძე პირველად 1925 წლის დეკემბერში „გამოჩნდა". 1925 წლის 5 იანვრის (N 17) გაზეთ „ახალ საქართველოში" ქართველი ემიგრანტებისადმი გაკეთებულმა მისმა მონოდებამ, რომელშიც ის 1924 წლის აგვისტოს ამბოხებას ავანტიურას უწოდებდა და მის შედეგებზე პასუხისმგებლობას მთლიანად სოციალ-დემოკრატებს აკისრებდა, ემიგრაციაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. წერილის ბოლოს მხეიძე მიმართავდა საბჭოთა მთავრობას, დაერთოთ მისთვის საქართველოში დაბრუნების ნება, რათა შემდგომ წარმდგარიყო საბჭოთა სასამართლოს წინაშე. სსრკ-ის საელჩომ საფრანგეთში დ. მხეიძის საბჭოთა საქართველოში დაბრუნების სამართლებრივი პროცედურები სწრაფად მოაგვარა, თუმცა ის საქართველოში დაბრუნების ნაცვლად სანატორიუმის ტიპის სამედიცინო დაწესებულებაში აღმოჩნდა.[153]

ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა დ. მხეიძე „არანორმალურ პიროვნებად" გამოაცხადეს. მის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით გაზეთი „ახალი საქართველო" იტყობინებოდა: „14 დეკემბერს მასთან (დ. მხეიძესთან – გ. ს.) მივიდა ოტელში მთელი ჯგუფი და იგი ავტომობილით წაიყვანეს ჯერ ერთი ცნობილი მეგრელი პოლიტიკური მოღვაწის ბინაზე და შემდეგ კი, როგორც გაზეთმა „მატენ"-მა გამოააშკარავა, დ. მხეიძე გადაყვანილ იქნა ერთ-ერთ ფრანგულ სანატორიუმში". „თუ რა ხასიათის იყო ეს „საექიმო" რეჟიმი, ნათლად გამოირკვა, როცა რამდენიმე დღის შემდეგ მეორე ფრანგულმა გაზეთმა „პეტი-პარიზიენ"-მა გვაცნობა, რომ დ. მხეიძე გაქცეულა სანატორიუმიდან (იგი გადამხტარა 3 მეტრის კედელზე), შემდეგ ისევ ამ „მეგობრების" წყალობით დ. მხეიძე დაუჭირავთ და გადაუყვანიათ სხვა სანატორიუმში (ალბათ პირველში მობეზრდათ ეს ხათაბალა). ჩვენი ინფორმაციით კი დ. მხეიძეს გაულახავს ერთ-ერთი იმ არამკითხე „პოლიტიკური მეგობართაგანი", რომელნიც გაზეთის ცნობით დღე და ღამე გარს ერტყნენ დ. მხეიძეს, რომ იგი კვლავ არ გაქცეულიყო. ამ სკანდალის შემდეგ, „მატენის" ცნობით დ. მხეიძე გადაყვანილ იქნა სრული იზოლაციის რეჟიმზე. „სრული იზოლაციის რეჟიმი" – ეს საგიჟეთი გახლავთ".[24]

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს აღძრული ჰქონდა სისხლის სამართლის საქმე. გაზეთი „ახალი საქართველო" ქართულ საზოგადოებას და მკითხველს დ. მხეიძის უფლებების დაცვისკენ მოუწოდებდა. დ. მხეიძის „საგიჟეთში" მოთავსების შემდეგ, მას საფრანგეთში

საბჭოთა საელჩომ, როგორც გრ. ვეშაპელის შემთხვევაში, ცნობილი ადვოკატი ჰენრიხ ტორეზი დაუქირავა, თუმცა ამ უკანასკნელმა ქართველ ეროვნულ-დემოკრატთან შეხვედრა ვერ მოახერხა. გარკვეული სიძნელეების გადალახვის შემდეგ დ. მხეიძესთან დაკავშირება ს. ფირუმოვმა შეძლო. გაირკვა, რომ მხეიძე კვლავ თავის ძველ, საბჭოთა პოზიციაზე რჩებოდა და მზად იყო გაქცეულიყო სამკურნალო დანესებულებიდან. ამასთან დაკავშირებით ს. ფირუმოვი ცენტრს ატყობინებდა: „Теперь, благодаря связи с Челокаевым, вытащить его (იგულისხმება მხეიძე – გ. ს.) оттуда очень легко*".

ს. ფირუმოვმა მხეიძის გამოხსნის ორი ვარიანტი შეიმუშავა:

1. საქართველოში მცხოვრები დ. მხეიძის ახლო ნათესავები პარიზში დეპეშას გაუგზავნიდნენ ქ. ჩოლოყაშვილს და სთხოვდნენ დახმარებას. ამ დეპეშით ქ. ჩოლოყაშვილი ეახლებოდა ა. ჩხენკელს, ქართული ლეგაციის ხელმძღვანელს და მოითხოვდა „პატიმრის" განთავისუფლებას.

ს. ფირუმოვს ეს გეგმა მაინცდამაინც არ მოსწონდა, ვინაიდან, მისი აზრით, ქ. ჩოლოყაშვილს გადაჭარბებული წარმოდგენა ჰქონდა ქართულ ემიგრაციაზე საკუთარი გავლენის თაობაზე და ვერ აფასებდა სოციალ-დემოკრატებს, რომელთაც კარგად იცოდნენ, თუ რას მოასწავებდა მათთვის დ. მხეიძის ემიგრანტული მთავრობის საწანააღმდეგოდ გამოსვლა.

2. განხორციელებულიყო დ. მხეიძის გაქცევა დაცვასთან ერთად ამ უკანასკნელის მოსყიდვის გზით. გაქცევის ორგანიზება უნდა მომხდარიყო ქ. ჩოლოყაშვილის მომხრეების მეშვეობით, რათა არ დაფიქსირებულიყო საბჭოთა ხელისუფლებისა და მისი დაზვერვის კვალი ამ საქმეში. რაც შეეხებოდა სოციალ-დემოკრატებს, ამ შემთხვევაში ისინი ხმაურს ვერ ატეხდნენ და საფრანგეთის მთავრობას ვერ გაუმხელდნენ იმ ფაქტს, როგორ გაუწია ერთმა ეროვნულმა გმირმა ორგანიზება მეორის გაქცევას.

ორივე გეგმას ჰქონდა დადებითი და უარყოფითი მხარე. ყოველივე კარგად უნდა აწონილ-დაწონილიყო და სასწრაფოდ განხორციელებულიყო დ. მხეიძის გამოხსნის სპეცოპერაცია, ვინაიდან საბჭოთა მხარეს ამ პრობლემის მოგვარების ოფიციალური შესაძლებლობები უკვე ამოწურული ჰქონდა.[301]

თუ რით დამთავრდა დ. მხეიძის საქმე და რა ბედი ეწია თვით ამ უკანასკნელს, ჩვენთვის უცნობია. ქ-ნ თ. პაპავას წიგნში („გაბნეული საფლავები") მოყვანილ სიაში იმ გარდაცვალებულთა შორის, რომელთა დასაფლავების ადგილი ვერ იქნა გამორკვეული, მოხსენიებულია ვინმე დავით მხეიძე, რომლის გარდაცვალების თარიღად მინიშნებულია 1934 წ. გადაჭრით იმის თქმა, არის თუ არა ეს უკანასკნელი ზემოაღნიშნული ბატალიების მონაწილე დ. მხეიძე, შეუძლებელია.

საბჭოთა სპეცსამსახურების ხრიკებს ვერც ცნობილი ქართველი სამხედრო მოღვაწე, თავისი ქვეყნის ერთგული და მისი დამოუკიდებლობისათვის თავდადებული მებრძოლი, რუსეთ-იაპონიისა და პირველი მსოფლიო ომის მონაწილე გენერალი გიორგი მაზნიაშვილი გადაურჩა. სამხედრო ოპერაციებში მიღწეული წარმატებებისათვის გენერლის ჩინი გ. მაზნიაშვილმა ჯერ კიდევ 1917 წლის რევოლუციამდე მიიღო. მას პირადად იცნობდა მეფე ნიკოლოზ II და მისი ოჯახი.

---

* ამჟამად, ჩელოკაევთან კავშირის წყალობით, იქიდან მისი (იგულისხმება მხეიძე – გ.ს.) გამოყვანა ძალიან იოლია.

1917 წლის სექტემბერში, საქართველოში დაბრუნების შემდეგ, გ. მაზნიაშვილი აქტიურად ჩაერთო ქართული საჯარისო შენაერთების ფორმირების პროცესში. აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს მტრების წინააღმდეგ წარმოებულ სამხედრო ოპერაციებში და წარმატებით ართმევდა თავს მის წინაშე დასმულ ამოცანებს.

გ. მაზნიაშვილმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწია საქართველოში საბჭოთა რუსეთის მე-11 არმიის შემოჭრას, თუმცა თავს ზევით ძალა არ იყო და მსოფლიოსგან მიტოვებული დამოუკიდებელი ქვეყანა რუსულმა ჩექმამ გადათელა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო. ბათუმამდე მის უსაფრთხო გადაადგილებას გ. მაზნიაშვილი უზრუნველყოფდა. თვით ეს უკანასკნელი უცხოეთში არ გახიზნულა, სამშობლოში დარჩა. „მე ხელისუფლებას კი არა, საქართველოს ვემსახურებიო," განუცხადებია გენერალს.[21]

გ. მაზნიაშვილი ბოლშევიკების მოწოდებით საბჭოთა ხელისუფლების სამსახურში ჩადგა და მისი ძალისხმევით ბათუმსა და გურიას მომდგარი ოსმალები ქიაზიმ-ბეის მეთაურობით სასტიკად დაამარცხა. საგანგებო კომისიამ 1923 წელს გ. მაზნიაშვილი დააპატიმრა, გაასამართლა და დახვრეტაც მიუსაჯა. გამოძიების პროცესში გ. მაზნიაშვილს თავი ღირსეულად ეჭირა. მოგვიანებით ბოლშევიკებმა გ. მაზნიაშვილს „დამსახურება დაუფასეს" და დახვრეტა 3 წლით საქართველოდან ირანში გადასახლებით შეუცვალეს. 1923 წლის 23 აგვისტოს გ. მაზნიაშვილი თბილისიდან სპარსეთში გაემგზავრა. ის მცირე ხნით ცხოვრობდა თავრიზში უკიდურეს გაჭირვებაში, შემდეგ საფრანგეთში გადავიდა საცხოვრებლად. გენერალ გ. მაზნიაშვილის ვაჟი, მეორე მსოფლიო ომის ინვალიდი ბორის მაზნიაშვილი მამის გადასახლების საინტერესო ვერსიას გვთავაზობს: „1926 წელს მამა საზღვარგარეთ გაემგზავრა, სადაც ორი წელი დაჰყო. სავარაუდოდ, სერგო ორჯონიკიძისაგან მას საგანგებო დავალება ჰქონდა. თუმცა, ქართულმა ემიგრაციამ გიორგი მაზნიაშვილი არ მიიღო".[342]

მიუხედავად იმისა, რომ დევნილი მთავრობა გ. მაზნიაშვილს ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობების მოგვარებაში დაეხმარა და 500 ფრანკის ოდენობის ყოველთვიური სუბსიდიაც დაუნიშნა, მთლიანობაში ანტისაბჭოთა ქართული ემიგრაცია მას უნდობლობით შეხვდა ძირითადად ბოლშევიკებისათვის აღმოჩენილი დახმარებისათვის. განსაკუთრებით ნოე რამიშვილი იყო მის მიმართ არაკეთილგანწყობილი.

როგორც ჩანს, გ. მაზნიაშვილმა საბჭოთა ხელისუფლების და პირადად ს. ორჯონიკიძის „საგანგებო დავალება" ვერ შეასრულა (ანდა ნაწილობრივ შეასრულა) და ის საზღვარგარეთ საჭირო აღარ იყო. მიუხედავად ამისა, საბჭოთა ხელისუფლება და მისი სპეცსამსახურები თვლიდნენ, რომ გ. მაზნიაშვილს დიდი ავტორიტეტი ჰქონდა როგორც საქართველოს შიგნით, ისე ქართულ ემიგრაციაში და, აქედან გამომდინარე, მიზნად დაისახეს მისი დისკრედიტაცია.

გ. მაზნიაშვილზე გავრცელდა ხმები იმასთან დაკავშირებით, რომ გენერალმა, თითქოს საგანგებო კომისიას მიაწოდა 1924 წლის აგვისტოს აჯანყების გეგმა, რამაც საშუალება არ მისცა ქ. ჩოლოყაშვილის რაზმს უფრო ეფექტურად ემოქმედა. გ. მაზნიაშვილი ამას ძალიან განიცდიდა და ყველგან ცდილობდა თავისი

სიმართლის დამტკიცებას. ამასთან დაკავშირებით, მან 1925 წლის 18 იანვარს განცხადებით მიმართა საქართველოს დევნილი მთავრობის თავმჯდომარეს ნ. ჟორდანიას და საქართველოს დამოუკიდებელი კომიტეტის წარმომადგენლებს უცხოეთში. პასუხმაც არ დააყოვნა. 1925 წლის 24 იანვარს – საქართველოს დევნილი მთავრობისა და საზღვარგარეთ დამოუკიდებელი კომიტეტის დელეგაციის გაერთიანებულმა სხდომამ დაადგინა – „მიეწეროს საქართველოს მოქმედ ორგანიზაციებს, რომ თუ არსებობს ხმები, ვითომაც გ. მაზნიაშვილს გაეცეს აჯანყების გეგმა, ეს ყოვლად უსაფუძვლოა და მიიღონ ზომები ამ ხმების გასაბათილებლად".[44]

საგანგებო კომისიის ხრიკების „შედეგი" უნდა იყოს ის, რომ გენერალი მაზნიაშვილი რაღაც ფინანსურ გაუგებრობასა და სასიყვარულო ინტრიგებშიც აღმოჩენილა, რის თაობაზეც საბჭოთა საგარეო დაზვერვის კონსტანტინოპოლის რეზიდენტურა 1925 წლის 7 თებერვალს თბილისს ატყობინებდა:

О ГРУЗИНАХ (Мазниев, Асатиани, Амилахвали)

„Как выясняется, эта группа приезжала сюда на средства и по поручению Николая Николаевича. История этого дела такова: Амилахвали – близко знакомый по Петербургу с княгиней Марией Павловной работал у нее в мастерской в Париже; Через нее он будет представлен Ник.Ник., которому она его рекомендовала, а он в свою очередь рекомендовал Ник.Ник. Мазниева и Асатиани. В Шамоньи состоялось свидание между Ник.Ник и этой группой. Они получили от него 30.000 франков и поручение быть возможно ближе к восставшему Кавказу, в случае удачи, проникнуть в новое правительство. Деньги эти Мазниев ухлопал на местных балерин, особенно большую сумму потратил он на некую Полякову. Амилахвари неоднократно в интимной беседе высказывал опасение, как бы его не выгнали за эту растрату. В результате так и вышло. После того, как их вызвали в Париж, и они не могли отчитаться в суммах, Амилахвали был выгнан со службы и в данное время предполагает открыть красильную мастерскую. 7 февраля 1925 г*.[313] არქივში დაცულია სრულიად საიდუმლო გრიფის მქონე სამ ნაბეჭდ ფურცელზე შესრულებული ერთი დოკუმენტის ასლი, რომელიც ასეა დასათაურებული: „Доклад генерала Мазниева"** (თუ ვისთვის არის განკუთვნილი ეს მოხსენება, არ ჩანს). დოკუმენტი შესრულებულია 1925 წლის 10 ოქტომბერს ქ. პარიზში. ჩვენი აზრით, გენერალ მაზნიაშვილის ეს

---

* ქართველების (მაზნიევი, ასათიანი, ამილახვარი) შესახებ.

„როგორც გაირკვა, ეს ჯგუფი აქ ჩამოვიდა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის სახსრებითა და დავალებით. ამ საქმის ისტორია ასეთია: ამილახვარი, რომელსაც პეტერბურგიდან ახლო ნაცნობობა აკავშირებდა კნეინა მარია პავლეს ასულთან, მუშაობდა მასთან სახელოსნოში პარიზში. ამ უკანასკნელმა ის წარადგინა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის წინაშე, რომელსაც მარია პავლეს ასულმა გაუწია რეკომენდაცია, ხოლო ამილახვარმა თავისთავად ნიკოლოზ ნიკოლოზის ძესთან რეკომენდაცია გაუწია მაზნიევსა და ასათიანს. შამონიში შედგა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის შეხვედრა ამ ჯგუფთან. მათ მიიღეს მისგან 30 000 ფრანკი და დავალება, რომ რაც შეიძლება ახლო ურთიერთობებში ყოფილიყვნენ კავკასიაში ამბოხებულებთან, წარმატების შემთხვევაში შეეღწიათ ახალ მთავრობაში. ეს თანხა მაზნიევმა გაანიავა ადგილობრივ ბალერინებში, განსაკუთრებით დიდი ოდენობის თანხა დაახარჯა ვინმე პოლიაკოვას. ამილახვარი ინტიმურ საუბრებში არაერთგზის გამოთქვამდა საშიშროებას, რომ ამ გაფლანგვისთვის ის არ გაეძევებინათ. შედეგად, საბოლოოდ ასედაც მოხდა. მას შემდეგ, რაც ისინი პარიზში გამოიძახეს და მათ ვერ შეძლეს თანხების ანგარიშსწორება, ამილახვარი სამსახურიდან გაგდებულ იქნა და ამ პერიოდისათვის ვარაუდობს სამღებრო საამქროს გახსნას. 7 თებერვალი. 1925 წ."

** გენერალ მაზნიევის მოხსენება

ანგარიში „საგანგებო დავალების" გამოძახილი უნდა იყოს. ვფიქრობთ დოკუმენტი საინტერესო იქნება მკითხველისათვის.

„15-го августа 1923 года я выехал из Тифлиса в Персию, где прожил около трех месяцев в г. Тегеране, а затем на присланные мне деньги от правительства Жордания приехал в Париж. Немедленно, по прибытии, я ознакомил членов правительства и представителей политических партий о положении в Грузии; я поставил их в известность о тех надеждах, которые возлагают в Грузии на эмиграцию в смысле поддержки на случай восстания. Ознакомившись здесь с той работой, которая велась правительством Жордания и увидев, что никаких реальных надежд на какую-либо поддержку со стороны иностранных правительств не существует и не может быть, я определенно заявил, что всякая попытка устроить в Грузии восстание обречена на неуспех; вызовет кровопролитие и превратится в авантюру.

Когда в мае 1924 г. мне стало известно, что в Грузии были пойманы Джугели и Чхиквишвили, мне это показалось очень странным и опасным по следующим соображениям: еще до их отъезда я по поручению членов правительства, посетил 2-е отделение военминистерства Франции, познакомив полк. Фурнье с имеющимися у правительства информациями о положении дела в Грузии. Полковник Фурнье указал мне на карту и сказал: «Вот колоссальная Россия и вот ваша маленькая Грузия – можете ли Вы с Вашими маленькими силами победить ее. При современном международном соотношении и внутреннем положении Франции ни на какую-либо помощь с нашей стороны Вы не можете рассчитывать. Я вполне был солидарен с ним. О нашей беседе я немедленно поставил в известность и членов правительства и в частности Рамишвили и Джугели, лиц, наиболее воинственно настроенных. Джугели и Чхиквишвили все же уехали, вскоре уехал и Рамишвили. После провала Чхиквишвили было опубликовано в Тифлисск. газетах письмо Жордания, где он развивал руководящий план действий для антисоветстких сил Грузии, и согласно которому Грузия должна была восстать, но лишь в том случае, если предварительно восставшие горцы и азербайджанцы одержали бы победу. Означенное письмо вызвало колоссальное возбуждение в эмиграции и Жордания через вернувшегося к тому времени Рамишвили заявил, что о посылке означенного письма он не помнит. Рамишвили также в частной беседе заверил меня, что о восстании сейчас не может быть и речи, если бы таковое готовилось бы, то он не вернулся бы.

Но не смотря на все заверения, восстание произошло. Не только для меня, но и для большинства эмиграции и ответственных политических деятелей было оно совершенно неожиданным – штаб Рамишвили выполнил свою работу конспиративно и только после восстания я узнал, что он ездил в Марсель навстречу присланного из Грузии Нодия – и дал ему согласие заграничного центра на восстание.

Еще в конце июля близко стоящих к русским монархистским кругам мне

сообщили, что в Грузии готовится восстание и что им достоверно известно, что через Хопе провозится оружие – об этих сведениях немедленно довел до сведения правительства и Рамишвили вновь категорически заверил меня, что эти сведения лишены всякого основания и что, наоборот, у правительства нет денег для текущих надобностей. Но восстание вспыхнулою Из Константинополя и пограничных турецких пунктов от меньшевистских эмиссаров полетели телеграммы о всеобщем характере восстания. По поручению правительства я выехал в Константинополь 20-го сентября, по прибытии туда я быстро ориентировался и увидел картину явной и необдуманной провокации, в которую был введен грузинский народ.

Я возвратился в Парижю. С этого момента никакого отношения к деятельности правительства Жордания не имею. Я забыл выше указать, что во время моего пребывания заграницей мне два раза пришлось по поручению правительства видеться с в.к. Н. Н. – первый раз после прибытия из Персии мне было сообщено желание Н. Н. видеться со мной; я ездил к нему и наша беседа носила чисто информационный характер. Второй раз я виделся с ним перед отъездом в Константинополь 18 сентября 24 г. Я поставил его в известность об имеющихся у нас сведениях относительно происходящих в Грузии событиях. Н. Н. не одобрил этих действий и высказал сожаление, что грузинский народ понесет слишком большие жертвы в неравной борьбе и считает восстание нецелесообразным, т.к. путем сепаратного восстания Грузия ничего не достигнет; при этом же предложил мне, если я нуждаюсь, то он сделает распоряжение выдать мне некоторую сумму. Я немедленно же поставил правительство об этой беседе в известность и с санкции правительства получил из казны Н.Н. 10 тысяч франков для моей поездки в Константинополь.

Из вышеизложенного совершенно ясна моя роль в событиях, развернувшихся в Грузии; я не только не разделял точку зрения инициаторов этого восстания, но был глубоко возмущен, узнав, что сподвижники Рамишвили бесцеремонно распоряжались моим именем и авторитетом, обманывая народ, будто ген. Мазниев с нагруженными пароходами готовит десант у берегов Грузии; а после неудачного восстания реабилитировать себя, пустили слух будто я выдал большевикам план их восстания; своевременно я протестовал против этих гнусных слухов и правительство Жордания официально уведомило меня, что ими приняты соответствующие меры для ликвидации этих слухов. Но мне неизвестно до сих пор осведомлен ли грузинский народ о том, что его обманули моим именем и несуществующим десантом.

В случае надобности я готов дать Раб. Кр. Правительству Грузии всякое разъяснение о моей деятельности за границей.

12-го сентября 1925 г. Париж.

ГЕОРГИЙ ИВАНОВИЧ МАЗНИЕВ*“.[313]

---

* „1923 წლის 15 აგვისტოს მე თბილისიდან გავემგზავრე სპარსეთში, დაახლოებით სამი თვე დავყავი ქ. თეირანში, ხოლო შემდეგ ნ. ურრდანიას მთავრობის მიერ გამოგზავნილი ფულის წყალობით ჩავედი პარიზში. ჩასვლისთანავე, სასწრაფოდ მთავრობის წევრებს და პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებს გავაცანი საქართველოში არსებული ვითარება. ჩავაყენე ისინი საქმის

კურსში იმაზე, თუ რა იმედებს ამყარებდნენ საქართველოში ემიგრაციაზე შესაძლო ამბოხებასთან დაკავშირებით. როცა გაეცანი აქ იმ სამუშაოებს, რასაც აწარმოებდა ჟორდანიას მთავრობა და ვნახე, რომ უცხოეთის სახელმწიფოთა მთავრობების მხრიდან არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს არანაირი იმედი რაიმე სახის დახმარებისა, გარკვეეით განვაცხადე, რომ საქართველოში ამბოხების მოწყობის ნებისმიერი მცდელობა განნირულია დამარცხებისათვის; ის სისხლისღვრას გამოიწვევს და ავანტიურად გადაიქცევა.

1924 წლის მაისში ჩემთვის ცნობილი გახდა ჯუღელისა და ჩხიკვიშვილის დაპატიმრების ფაქტი, მე ეს ძალიან უცნაურად და საშიშად მეჩვენა შემდეგი მოსაზრებების გამო: ჯერ კიდევ მათ გამგზავრებამდე მთავრობის წევრების დავალებით ვესტუმრე საფრანგეთის სამხედრო სამინისტროს მეორე ქვეგანყოფილებას, გავაცანი პოლკოვნიკ ფურნიეს საქართველოში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით მთავრობის ხელთ არსებული ინფორმაცია. პოლკოვნიკმა ფურნიემ მიმანიშნა რუკაზე და მითხრა: „აგერ კოლოსალური რუსეთი და აგერ თქვენი პატარა საქართველო – შეძლებთ კი თქვენი მცირედი ძალებით მის დამარცხებას? თანამედროვე საერთაშორისო თანაფარდობისა და საფრანგეთის შიდა მდგომარეობის გათვალისწინებით, თქვენ იმედი არ უნდა გქონდეთ საფრანგეთის მხრიდან რამე სახის დახმარებისა". მე სრულიად სოლიდური ვიყავი მის მიმართ. ჩვენი საუბრის თაობაზე სწრაფად ჩავაყენე საქმის კურსში მთავრობის წევრები – პირადად რამიშვილი და ჯუღელი. აგრეთვე ის პირები, რომლებიც საბრძოლველად იყვნენ განწყობილნი. ჯუღელი და ჩხიკვიძეილი მაინც გაემგზავრნენ, მალევე გაემგზავრა რამიშვილიც. ჩხიკვიშვილის ჩავარდნის შემდეგ თბილისის გაზეთებში დაიბეჭდა ჟორდანიას წერილი, რომელშიც ის საქართველოს ანტისაბჭოთა ძალების მოქმედებისათვის ავითარებდა სამოქმედო გეგმას და რომლის თანახმადაც საქართველო უნდა ამბოხებულიყო, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი წინასწარ აჯანყებული მთიელები და აზერბაიჯანელები მიაღწევდნენ წარმატებას. აღნიშნულმა წერილმა კოლოსალური მღელვარება გამოიწვია ემიგრაციაში და ჟორდანიამ იმ პერიოდისათვის უკვე დაბრუნებული რამიშვილის მუშვეობით განაცხადა, რომ ამ წერილის გაგზავნის ფაქტი მას არ ახსოვდა. ასევე რამიშვილმა პირად საუბარში დამიდასტურა, რომ ამჟამად ამბოხებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. თუკი ასეთი რამ მზადდებოდა, ის უკან აღარ დაბრუნდებოდა.

მიუხედავად ყველა დაპირებისა, ამბოხება მოხდა. არამარტო ჩემთვის, არამედ ემიგრაციის უმეტესობისა და პასუხისმგებელი პოლიტიკური მოღვაწეებისათვის ეს იყო სრული მოულოდნელობა – რამიშვილის შტაბმა თავისი სამუშაო კონსპირაციულად შეასრულა და მხოლოდ აჯანყების შემდეგ გაეიგე, რომ ის მარსელში იმყოფებოდა თბილისიდან გამოგზავნილ ნოდიასთან შესახვედრად, რომელსაც აჯანყების მოწყობაზე საზღვარგარეთის ცენტრს დასტური მისცა.

ჯერ კიდევ იელისის ბოლოს, ვიმყოფებოდი რა ახლო ურთიერთობაში რუსულ მონარქისტულ წრეებთან, მაცნობეს, რომ საქართველოში მზადდებოდა ამბოხება და მათთვის სარნმუნოდ იყო ცნობილი, რომ ხოფის გაელით გადაპქონდათ იარაღი – ამის თაობაზე სასწრაფოდ მოვახსენე მთავრობას და რამიშვილმა კვლავ კატეგორიულად დამარწმუნა, ეს მონაცემები მოკლებული იყო ყოველგვარ საფუძველს და პირიქით, მთავრობას არ გააჩნდა სახსრები მიმდინარე საჭიროებისათვისაც კი. მაგრამ ამბოხებამ მაინც იფეთქა. კონსტანტინოპოლიდან და თურქეთის მოსაზღვრე პუნქტებიდან მენშევიკთა ემისრებისაგან დეპეშა დეპეშაზე იგზავნებოდა აჯანყების საერთო-სახალხო ხასიათის თაობაზე. მთავრობის დავალებით, 20 სექტემბერს მე კონსტანტინოპოლში გავემგზავრე. მისვლისთანავე გავერკვიე ვითარებაში და ვიხილე აშკარა და მოუფიქრებელი პროვოკაციული სურათი, რომელშიც ქართველი ხალხი იქნა ჩათრეული.

დავბრუნდი პარიზში. ამ მომენტიდან ჟორდანიას მთავრობის საქმიანობასთან არანაირი ურთიერთობა არ გამაჩნდა. დამავიწყდა აღმენიშნა, რომ საზღვარგარეთ ყოფნის დროს, მთავრობის დავალებით, ორჯერ შევხვდი დ.კ.ნ.ნ-ს – პირველად, როდესაც სპარსეთიდან ჩამოვედი და როგორც მაცნობეს ნ.ნ.-ის ჰქონდა ჩემთან შეხვედრის სურვილი, ვესტუმრე მას. ჩვენი საუბარი ატარებდა წმინდა ინფორმაციულ ხასიათს. მეორედ მას შევხვდი 1924 წლის 18 სექტემბერს კონსტანტინოპოლში ნასვლის წინ. მე ის საქმის კურსში ჩავაყენე ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის თაობაზე, რომელიც საქართველოში მომხდარ პროცესებს შეეხებოდა. ნ.ნ.-მ არ მოინონა ეს ქმედებები და გამოთქვა მწუხარება, რომ ქართველი ერი განიცდის ძალიან დიდ დანაკარგს არათანაბარ ბრძოლაში და ამბოხებას თვლის მიზანშეუწონლად, ვინაიდან სეპარატული აჯანყებით საქართველო ვერაფერს მიაღწევს, ამასთან შემომთავაზა, თუკი მე ვსაჭიროებ დახმარებას, განკარგულებას გასცემს ჩემთვის გარკვეული სახსრების გამოყოფასთან დაკავშირებით. ამ საუბრის თაობაზე სწრაფად ჩავაყენე საქმის კურსში მთავრობა და მთავრობის სანქციით მივიღე ნ.ნ.-ის ხაზინიდან 10 ათასი ფრანკი კონსტანტინოპოლში ჩემი გამგზავრებისთვის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სრულიად გასაგებია ჩემი როლი საქართველოში მომხდარ პროცესებში. მე არამარტო არ ვიზიარებდი ამბოხების ინიციატორთა შეხედულებებს, არამედ სილრმისეულად ვიყავი აღშფოთებული, როცა გავიგე რა, რომ თითქოსდა გენერალი მაზნიევი დატვირთული გემებით ამზადებდა დესანტს საქართველოს ნაპირებთან, ხოლო წარუმატებელი აჯანყების შემდეგ, საკუთარი თავის რეაბილიტაციისთვის, გაავრცელეს ხმები, თითქოსდა, ბოლშევიკებს გადაეცი ამბოხების გეგმა. თავის დროზე გავაპროტესტე ეს საზიზღარი ჭორები და ჟორდანიას მთავრობამ ოფიციალურად მაცნობა, რომ მათ მიერ მიღებულია შესაბამისი ზომები ასეთი ჭორების გაქარწყლებისთვის. მაგრამ ჩემთვის დღემდე უცნობია, არის თუ არა ქართველი ერი ინფორმირებული იმაზე, რომ ის მოატყუეს ჩემი სახელით და არარსებული დესანტით. აუცილებლობის შემთხვევაში, მზად ვარ, ჩემი საზღვარგარეთ ყოფნასთან დაკავშირებით საქართველოს მუშურ-გლეხურ მთავრობას მივცე შესაბამისი განმარტებები.

1925 წლის 12 სექტემბერი. პარიზი. გიორგი ივანეს ძე მაზნიევი".

წერილში მინიშნებული В.К. Н.Н. უნდა იყოს დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე (Великий Князь – Николай Николаевич), რომელზეც საბჭოთა საგარეო დაზვერვის წინა შეტყობინებაში იყო საუბარი.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის მოპოვებაში (ან იქნებ შედგენაშიც?) რომ საბჭოთა სპეცსამსახურების ხელი ერია, მოწმობს ის ფაქტი, რომ ამიერკავკასიის გაერთიანებულმა სახელმწიფო პოლიტიკურმა სამმართველომ (ბერია, ლორთქიფანიძე, გულბისი) პარიზიდან გენერალ გ. მაზნიაშვილის მიერ გამოგზავნილი ამ მოხსენების ასლი, „სრულიად საიდუმლო" თანმხლები წერილით, სასწრაფოდ გადაუგზავნა ამიერკავკასიის პარტიულ ელიტას (ს. ორჯონიკიძეს, მ. ორახელაშვილს, ა. ნაზარეთიანს, ლ. ქართველიშვილს, მ. კახიანს, შ. ელიავასა და ფ. მახარაძეს):

„Препровождается при сём копия заявления генерала Мазниева, высланного из Грузии в 1923 году по делу «Военного Центра»". Приложение: Упомянутое на 3 листах*.[313]

გ. მაზნიაშვილმა ემიგრაციაში ინტრიგებსა და მძიმე ყოფას ვეღარ გაუძლო, საბჭოთა საქართველოში დაბრუნდა და ცხოვრება მშობლიურ კასპის რაიონის სოფ. სასირეთში განაგრძო.

30-იანი წლების ბოლშევიკურმა რეპრესიებმა არც 80 წელს მიტანებული (დაიბადა 1872 წელს თბილისში) გ. მაზნიაშვილი დაინდო. საქართველოს ერთგული მამულიშვილი 1937 წელს ჯერ დააპატიმრეს, შემდეგ კი დახვრიტეს.

გენერლის ვაჟი ბატონი ბ. მაზნიაშვილი მიიჩნევს, რომ „...გიორგი მაზნიაშვილი ლავრენტი ბერიას მოწოდებით დააპატიმრეს, რომელიც სერგო ორჯონიკიძის შესახებ მაკომპრომეტირებელ მასალებს აგროვებდა. გიორგი მაზნიაშვილს კი, როგორც უკვე აღვნიშნე, ს. ორჯონიკიძე ენდობოდა".[342]

საბჭოთა ხელისუფლება და მისი სპეცსამსახურები, მიუხედავად არსებული რთული ვუთარებისა, ძალ-ღონეს არ იშურებდნენ და საზღვარგარეთის პირობებშიც აგრძელებდნენ მათ წინაშე დასმული ამოცანების გადაწყვეტას, იყენებდნენ რა ბუნებრივად თუ ხელოვნურად წარმოქმნილ ნებისმიერ პრობლემას. მაგალითად, ნ. რამიშვილისა და ევგ. გეგეჭკორის დაპირისპირებასთან დაკავშირებით საბჭოთა საგარეო დაზვერვის ერთ-ერთ ანგარიშში მინიშნებულია: „...но мы пристально следим за этими процессами, чтоб в нужный момент можно было ударить по трещине**" – მინიშნებულია საბჭოთა საგარეო დაზვერვის ერთ-ერთ ანგარიშში.[310]

საბჭოთა საგარეო დაზვერვის პარიზის რეზიდენტურა მუდმივად ფლობდა ინფორმაციას საზღვარგარეთ ქართული ემიგრაციის საქმიანობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ინფორმაცია მიეწოდებოდა ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ხელისუფლებას. იმ პერიოდში საბჭოთა სპეცსამსახურები იმდენად იყვნენ შერწყმულნი პარტიულ ორგანოებს, რომ ხშირ შემთხვევაში პარიზიდან მოწოდებული „აგენტურული შეტყობინებები" უცვლელი სახით მიეწოდებოდათ უმაღლეს პარ-

* ამასთან, გეგზავნებათ განცხადება გენერალ მაზნიევისა, რომელიც გასახლებულ იქნა საქართველოდან 1923 წელს „სამხედრო ცენტრის" საქმესთან დაკავშირებით. დანართი: ზემოაღნიშნული 3 ფურცლად.

** ჩვენ დაჟინებით ვაკვირდებით ამ პროცესს, რათა საჭირო მომენტში შესაძლებელი იყოს გაბზარულ ადგილას დარტყმა".

ტიულ ინსტანციებს. მაგალითად: 1925 წლის 23 ივნისს საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარის ე. კვანტალიანის, საიდუმლო-ოპერატიული ნაწილის უფროსის ლ. ბერიას და კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსის ტ. ლორთქიფანიძის ხელმოწერით საბჭოთა საქართველოს ხელმძღვანელობას (მახარაძეს, ქართველიშვილს, ოკუჯავასა და კახიანს) შემდეგი შინაარსის სრულიად საიდუმლო თანმხლები წერილი გაეგზავნა: „ЧКГ при сём препровождает агентданные №860 о жизни Парижской грузинской колонии*".[313]

საქართველოს შსს არქივში დაცულია ოთხ ნაბეჭდ გვერდზე შესრულებული უცნობი ავტორის ერთი საინტერესო დოკუმენტის ასლი, დათარიღებული 1927 წლის 15 იანვრით. დოკუმენტი ასე იწყება: „Многоуважаемый товарищ! – Должен начать с оговорки. Прошу считать это письмо частным за исключением тех мест, которые подчеркнуты красным карандашом. Ещё просьба никаких организационных выводов не делать**."[311]

წერილის პირველი ფურცლის ზედა მარცხენა კუთხეში საბჭოთა საქართველოს საგანგებო კომისიის უფროსის ლ. ბერიას 17 იანვრით დათარიღებული წითელი ფანქრით შესრულებული მინაწერია: „Лично т. Кахиани", პირადად ამხ. კახიანს (მ. კახიანი იმ პერიოდში იყო საქართველოს კპ ცკ-ის მდივანი – გ. ს.), რაც იმის მაუწყებელია, რომ აღნიშნული დოკუმენტი საბჭოთა სპეცსამსახურებს ჰქონდათ მიღებული და, ალბათ, მათივე წარმომადგენლის მიერ იყო შედგენილი. წერილის შინაარსიდან ირკვევა, რომ მისი ავტორი, რომლის მიზანს წარმოადგენდა კავკასიური ანტისაბჭოთა, კონტრრევოლუციური ორგანიზაციებისა და ცალკეული პირების საქმიანობის გამოვლენა, თითქმის ექვსი თვე პარიზში სპეციალური დავალებით იმყოფებოდა. ავტორი იტყობინება, რომ საზღვარგარეთის უმაღლეს ემიგრაციულ პარტიულ ელიტაში მას ინფორმატორები იმ მომენტისათვის არ ჰყავდა, თუმცა პარტიული გადაწყვეტილებების შესრულების დონეზე, მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით, კარგად იყო ინფორმირებული. დოკუმენტის ავტორი მიანიშნებს, რომ ინფორმატორთა რაოდენობის თვალსაზრისით შეზღუდული იყო, ეს კი არ აძლევდა ქვედა ეშელონებიდან მოწოდებული ინფორმაციის დაზუსტებისა და გადამოწმების საშუალებას. მაგალითად, ერთ-ერთ წყაროს მიუწოდებია ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას ბელგიიდან მიუღია ასი ათასი ფრანკი, თუმცა კონკრეტულად ვისგან და რა მიზნებისათვის, ამის დაზუსტება შეუძლებელი ყოფილა. შემდგომში წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ მას უცდია შედარებით მაღალი დონის საინფორმაციო წყაროს მოძებნა, რისთვისაც ცნობილი ემიგრანტის – ლიდერი ევგენი გეგეჭკორის კანდიდატურა შეურჩევია („Объектом был избран Евгений Гегечкори***"). ამის მიზეზი ყოფილა ის, რომ – „...он все допытывался узнать, кто я такой и согласился со мной вести беседу культурным, более открытым способом. Он согласен при более благоприятных условиях вести переговоры с более

---

* საქართველოს საგანგებო კომისია ამასთან ერთად გიგზავნით პარიზის ქართული კოლონიის ცხოვრებასთან დაკავშირებით N 860 აგენტურულ მონაცემებს.

** ღრმად პატივცემულო ამხანაგო! – მინდა გითხრათ და წინასწარ გთხოვოთ, ჩათვალოთ ეს კერძო წერილად იმ ადგილების გამოკლებით, რომლებიც წითელი ფანქრით არის ხაზგასმული. კიდევ ერთი თხოვნა – არ გააკეთოთ არავითარი ორგანიზაციული დასკვნა.

*** ობიექტად შერჩეულ იქნა ევგენი გეგეჭკორი

ответственными представителями с нашей стороны, но не неизвестными ему «революционерами*»".[311]

ავტორის აზრით, ევგ. გეგეჭკორი თითქოს მზად იყო, ხელი აეღო ანტისაბჭოთა საქმიანობაზე, თუმცა დამოუკიდებლად, პარტიასთან და ძველ მეგობრებთან შეუთანხმებლად ამის გაკეთება ძალზე უჭირდა. ურთიერთობის პროცესში ევგ. გეგეჭკორზე მას შემდეგი აზრი ჩამოჰყალიბებია: „Сам я заметил его усталость, упадок духа и полную апатичность. Я утверждаю, что при соответствующем подходе к нему более ответственными п/работниками, т.е. грузинскими деятелями нашей партии Евгений Гегечкори будет первый, который пробьет брешь в этой цитадели груз. к-р меньшевистской партии. И вот более ясным стал вопрос для меня политической работы среди грузинской эмиграции. Здесь нужен товарищ весьма ответственный, которого знали-бы старые меньшевики и он был бы способен иметь разговоры с верхушкой эмиграции. Это вопрос большой политической важности и разрешение его имело для нас окончательные и существенные результаты**."[311]

წერილის ავტორს ემიგრაციის დაშლა და გახრწნა არც თუ ისე ძნელ საქმედ მიაჩნდა, ისე, რომ ანტისაბჭოთა ემიგრაციის ლიდერები წინააღმდეგობის გაწევასაც კი ვერ შეძლებდნენ. რაც შეეხება სპირიდონ კედიასა და ქაქუცა ჩოლოყაშვილს, მათ მიმართ ის ასეთ დასკვნას აკეთებს: „Относительно Сп. Кедия и Чолокаева, по моему достаточен был бы тот разговор с ними, если только можно было выявить свою физиономию для таких дел***".[311] მოხსენების ავტორი შემდგომ მიანიშნებს ევგ. გეგეჭკორის მძიმე სულიერ მდგომარეობაზე. ემიგრანტი-ლიდერები შიშობდნენ, რომ რაც ცნობილ მოღვაწეს, კარლო ჩხეიძეს დაემართა, იგივე არ დამართოდა ევგენი გეგეჭკორსაც. ამიტომ მასთან მუდმივად იმყოფებოდნენ თანაპარტიელი მეგობრები და მის ქცევას აკვირდებოდნენ. კარგ ცხოვრებას მიჩვეულ ევგ. გეგეჭკორს თავი ცუდად რომ არ ეგრძნო, ემიგრაციის ლიდერებს, ვიღაც ქალის მეშვეობით, მისი მეუღლისათვის 50.000 ფრანკი უშოვიათ მოდური სალონის გასახსნელად.

ზემოაღნიშნული ინკოგნიტო წერილის შინაარსი გვაფიქრებინებს, რომ მისი ავტორი არის საბჭოთა საქართველოს სპეცსამსახურებთან მჭიდროდ დაკავშირებული პიროვნება, რომელმაც კარგად იცის, თუ რას წარმოადგენს „აგენტურული საქმიანობა" და „ემიგრაციის დამუშავება". ის აღნიშნავს: „Я и ставлю вопрос о дальнейшей работе в такой плоскости: продолжать ли агентурную работу

* ის სულ ცდილობდა, გამოერკვია, ვინ ვიყავი და დათანხმდა, ეწარმოებინა ჩემთან საუბარი კულტურული, შედარებით ღია ფორმით. ის უარს არ ამბობს, შედარებით ხელსაყრელ პირობებში ანარმოოს მოლაპარაკებები უფრო მეტად პასუხისმგებელ პირთან ჩვენი მხრიდან, თუმცა არა მისთვის უცნობ „რევოლუციონერებთან".

** პირადად მე შევამჩნიე მას დაღლილობა, სულის დაცემა და სრული აპათიურობა. ვამტკიცებ, რომ მასთან შედარებით მაღალი რანგის პასუხისმგებელი პარტიული მუშაკების, ანუ ჩვენი პარტიის ქართველი მოღვაწეების მხრიდან შესაბამისი მიდგომის შემთხვევაში, ევგენი გეგეჭკორი იქნება პირველი, რომელიც შექმნის ნაპრალს ამ ციტადელში – ქართულ კონტრრევოლუციურ მენშევიკურ პარტიაში. მაშ ასე, ჩემთვის შედარებით უფრო გარკვეული გახდა ქართულ ემიგრაციაში პოლიტიკური საქმიანობის საკითხი. აქ საჭიროა განსაკუთრებულად პასუხისმგებლიანი ამხანაგი, რომელსაც ეცოდინება ძველი მენშევიკები. ეს საკითხი დიდი პოლიტიკური მნიშვნელობისაა და მისი გადაწყვეტა საბოლოო და არსებით შედეგებს მოგვიტანდა.

*** სპ. კედიასთან და ჩოლოკაევთან დაკავშირებით, ჩემი აზრით, საკმარისი იქნებოდა მათთან ის საუბარი, თუკი შესაძლებელი იქნებოდა, ასეთი საქმეებისთვის საკუთარი (ჩვენი) სახის გამოჩენა.

на основе весьма подпольной и таким образом дальше работать здесь, или же приступить к более интенсивной обработке эмиграции без уверенности быть расконспирированным во время этой работы. Обо мне уже имеют у них сведения, якобы, полученные из Тбилиси*".[311]

წერილში საუბარია აგრეთვე იმ მძიმე პირობებზე, რომლებშიც მას უხდებოდა მუშაობა. როგორც ჩანს, საფრანგეთის სპეცსამსახურებს მასზე ინტენსიური მეთვალყურეობა ჰქონდათ დაწესებული და, თუ თავისი ძირითადი საქმიანობიდან თუნდაც ოდნავ მაინც გადაუხვევდა, ქვეყნის დატოვება მოუწევდა. აქედან გამომდინარე, ის ითხოვდა შემცვლელს, ვინაიდან არ ჰქონდა ფართო ასპარეზი სამოქმედოდ, ამასთან, ჯანმრთელობაც შერყეული ჰქონდა. წერილის ბოლოს ავტორი მიანიშნებს: „Я надеюсь на то, что по возвращении буду иметь возможность иметь разговор с нашими двумя соотечественниками в Москве И.М. и С**". [311]

გაიზიარეს თუ არა უცნობი ავტორის ეს მოსაზრებებები საბჭოთა ხელისუფლებამ და მისმა სპეცსამსახურებმა, ჩვენთვის უცნობია, ისევე როგორც ინკოგნიტოდ დარჩა ზემოაღნიშნული დოკუმენტის ავტორი.

ევგენი გეგეჭკორთან დაკავშირებით ეჭვები, როგორც ჩანს, იმთავითვე იყო ქართულ ემიგრაციაში. გენერალი შ. მაღლაკელიძე იგონებს: „მოკლედ, მივედი ნოესთან. იქ, მის ბუხართან ოთახში ნოე მეკითხება: შალვა, როგორ გადაეცი შენ სპირიდონს ის პროგრამა? მე მოვუყევი დაწვრილებით. ნოემ მითხრა: დაწყნარდი, შალვა, ნუ ღელავ. მე ის პროგრამა სამ ეგზემპლიარად დავამზადე. ერთი ჩემთანაა, ხოლო ერთ პროგრამაში სიტყვა „და" განგებ გამოვტოვე. სწორედ ეს ვარიანტი, რომელიც თქვენთვის არ მომიცია, არამედ ჩემს მარჯვენა ხელს მიეცი, სწორედ ეს ჩაუვარდა ხელში ჟანდარმერიას და თქვენ არაფერ შუაში არა ხართო.. ვ. რ.: ვინ იგულისხმა ნოე ჟორდანიამ ამ „მარჯვენა ხელში"? შ. მ.: „არ ვიცი, არ უთქვამს. პირადად მე ეჭვი მაქვს ევგენი გეგეჭკორზე, მაგრამ სულზე ცოდვას ვერ დავიდებ – შეიძლება ევგენის ის კიდეე ვიღაცამ მოპარა".[64]

## ლ. ბერიას 1930 წლის 11 აგვისტოს საპროგრამო მოხსენება

XX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისისათვის საბჭოთა საქართველოს ხელმძღვანელობამ ჩათვალა, რომ ქართული ანტისაბჭოთა პოლიტიკური ემიგრაციის საქმიანობა მათთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენდა, რის გასანეიტრალებლადაც გადამჭრელი ზომების მიღება იყო აუცილებელი – უპირველეს ყოვლისა, საბჭოთა სპეცსამსახურებისათვის – სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოსათვის ახალი ამოცანების დასახვა და მისთვის შესაბამისი იდეოლოგიური და მატერიალური მხარდაჭერის გამოხატვა.

საქართველოს დევნილი მთავრობის არქივში დაცულია ფრანგულ ენაზე შეს-

---

* შემდგომი საქმიანობის საკითხს ვაყენებ ასეთ სიბრტყეში: გაგრძელდეს თუ არა აგენტურული საქმიანობა განსაკუთრებულ იატაკქვეშა საფუძველზე და ამგვარად ვიმუშაოთ აქ, თუ შეეუდგეთ ემიგრაციის უფრო ინტენსიურ დამუშავებას იმ რწმენის გარეშე, რომ კოსპირირებული აღარ იქნება ეს საქმიანობა. მათ ჩემს შესახებ უკვე აქვთ ცნობები, თითქოსდა მიღებული თბილისიდან.

** იმედი მაქვს, დაბრუნებისთანავე საშუალება მექნება ვესაუბრო ჩვენს ორ თანამემამულეს მოსკოვში И.М. და С.

რულებული ცამეტფურცლიანი ნაბეჭდი დოკუმენტის ასლი, რომელიც ეხება 1930 წლის 11 აგვისტოს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურ კომიტეტში გამართულ ქართველი მენშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიული და ტაქტიკური საკითხებისადმი მიძღვნილ თათბირს. თათბირზე მიწვეულნი ყოფილან საქართველოს სსრ მთავარი პოლიტიკური სამმართველოს ხელმძღვანელები და პასუხისმგებელი მუშაკები. სიტყვით გამოსულა ლ. ბერია. როგორც ამ დოკუმენტის მინაწერიდან ირკვევა, ის კონფიდენციალური ხასიათისა იყო და სოციალ-დემოკრატებს საქართველოდან მიუღიათ 1930 წლის 14 სექტემბერს.[256]

დიდი მცდელობის მიუხედავად, აღნიშნული დოკუმენტის დედანს ვერსად მივაკვლიეთ, თუმცა ის იმდენად საინტერესოა, რომ მკითხველს სრულად ვთავაზობთ მის ქართულად ნათარგმნ ვარიანტს.

შეკრება გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა სამსონ მამულიამ:

„ამხანაგებო, მენშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი ყოველთვის იდგა პარტიის დღის წესრიგში და დღეს, ამდენი წლის შემდეგ, იგი კიდევ უფრო ძლიერ გვაღელვებს ჩვენ. უნდა ვაღიაროთ, რომ ქართული მენშევიზმი დღეს უკვე ნამდვილი რეალობაა და იგი სულაც არ არის დამარცხებული როგორც იდეოლოგიურად, ისე ფიზიკურად. ამდენად, ნათელია, რომ იგი ჩვენთვის დიდ საშიშროებას წარმოადგენს დღეს, სწორედ მაშინ, როცა ჩვენი პარტია უამრავი პრობლემით ჩიხშია მოქცეული. ჩვენ არა გვაქვს უფლება დავმალოთ ის, რომ გასული წლის გაზაფხულზე ბრძოლის სულის ჩამდგმელები სწორედ კონტრრევოლუციონერი მენშევიკები და კულაკები იყვნენ და ამ ბრძოლაში, რომელიც ჩვენ მათ წინააღმდეგ გავმართეთ, დამარცხებული ჩვენ აღმოვჩნდით. ჩვენ სერიოზულად უნდა ჩავუფიქრდეთ ამ ფაქტს, თითოეულმა ჩვენთაგანმა საკმაოდ გაიაზროს მოვლენები, მენშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი მთელი თავისი სიღრმით უნდა იქნას შესწავლილი.

ამხანაგებო, მენშევიკებმა თავისი გავლენის ქვეშ მოაქციეს არა მარტო კულაკობა და შეძლებული გლეხობა, არამედ თვით ზოგიერთი კომუნისტიც კი და საკმაოდაც ფართოდ. ეს უკანასკნელნი კულაკებთან ერთად იბრძოდნენ კოლექტივიზაციის წინააღმდეგ და ღიად გვაკრიტიკებდნენ კიდეც. ასეთი ოპოზიცია ვლინდება და მეორდება იმ მომენტში, როცა გლეხებს ხორბალს ართმევენ, და იმ დროსაც, როცა გადასახადების აკრეფა მიდის. ასევე უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ ვიმყოფებით დიდი საშიშროების წინაშე, იმდენად, რამდენადაც იზრდება მათი გავლენა მუშათა კლასზე. ეს გამოიხატება როგორც უწყვეტი საბოტაჟებით, ისე სამუშაო ადგილებზე. უკმაყოფილება და უნდობლობა დღითი დღე იზრდება. ყველას ესმის, რომ ჩვენი ეკონომიკური პრობლემებითა და მოსახლეობის სურსათით მომარაგების საკითხში სიძნელეებით ჩვენ უნდა გვეშინოდეს კონტრრევოლუციონერების, რომლებიც მოძრაობაში მოვიდნენ ჩვენი პარტიის მიმართულების შეცვლის მომხრეებთან ერთად და ასე, ისინი ჩვენზე იერიშისათვის ემზადებიან. ამ მოძრაობის სათავეში, როგორც ყოველთვის, ქართველი მენშევიკებია, რომლებისთვის ჩვენ თავები არ წაგვიცლია, და რომლებსაც ჯერ კიდევ შესწევს წინააღმდეგობის გაწევის უნარი. თქვენ იცით, თუ როგორი ძალ-

ისხმევით წარვმართეთ ჩვენ მათ წინააღმდეგ ბრძოლა და რა დაგვიჯდა ჩვენ ეს ბრძოლა! მაგრამ ჩვენ მაინც ვერ შევძელით მათ მიერ მონამლული ატმოსფეროს მთლიანად გაწმენდა. მათი გავლენა ღრმად იყო ფესვგადგმული ქართველ ხალხში და ასეთი გავლენის მოსპობა არც თუ ისე ადვილი აღმოჩნდა, როგორც ამას ფიქრობდა ზოგიერთი ჩვენი ამხანაგთაგანი. ჩვენ არ ვუარყოფთ იმას, რომ ჩვენმა ორგანიზაციებმა, მენშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი ღვაწლი გასწიეს, განსაკუთრებით იმ ორგანიზაციებმა, რომელთა წარმომადგენლებიც თქვენა ხართ. მაგრამ ჩვენ ვერ დავმალავთ იმასაც, რომ ბრძოლა ბოლომდე არ მისულა და დღეს, თუ ჩვენ არ მივიღებთ გადამწყვეტ ზომებს, ხვალ უკვე გვიან იქნება. სწორედ ამიტომ შევიკრიბეთ ჩვენ აქ ამ ორგანიზაციის თაოსნობით, რომელიც წარმართავს საქართველოს მუშათა კლასს და, რომელიც თქვენგან მოითხოვს მთელს თქვენს ძალისხმევას ჩვენთვის ყველაზე უფრო საშიში მტრის წინააღმდეგ.

თავის მხრივ, საქართველოს კომუნისტური პარტია დარწმუნებულია, რომ თქვენ გადალახავთ ყველანაირ სიძნელეებს და თქვენი რკინის ხელებით შეძლებთ ქართული მენშევიზმის ამოძირკვას, გაწმენდთ მათ მიერ მოწამლულ გარემოს. საქართველოს კომუნისტური პარტიის სამდივნოს აუცილებლად მიაჩნია მიღებულ იქნას დღეს, ამ კრებაზე, გადამწყვეტი ზომები კონტრრევოლუციონერების წინააღმდეგ, ხოლო ჩვენ კი, პირობას ვიძლევით მხარში ამოვუდგეთ მას ყოველნაირად".

შემდეგ სიტყვით გამოვიდა საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს უფროსი ლავრენტი ბერია:

„ამხანაგებო, მენშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი ყოველთვის იპყრობდა ჩვენ ყურადღებას, რამეთუ მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით საქართველოს მენშევიკური პარტია ყველაზე უფრო ძლიერი და გავლენიანია კონტრრევოლუციურ ორგანიზაციათა შორის. სწორედ ამიტომაც მენშევიკების წინააღმდეგ ბრძოლა დიდ ენერგიას მოითხოვს, ისინი ჯერ კიდევ არ არიან დამარცხებულნი და ჩვენც აუცილებლად გვმართებს მივიღოთ მათ წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებელი ზომები. ეს იმდენად აუცილებელია, რამდენადაც მენშევიზმი გავლენას ახდენს ჩვენი პარტიის გენერალური ხაზის ყველა მიმართულებაზე, რამდენადაც სწორედ ის კვებავს ტროცკიზმს და მემარჯვენეთა მთელ ოპოზიციას. ლენინური პარტია არ დაუშვებს სხვადასხვა კონტრრევოლუციონერთა ნებისმიერ იერიშს, და, როგორც ყოველთვის, ჩვენი ვალია გავერთიანდეთ ჩვენი პარტიის ირგვლივ და აღვმართოთ რკინის ბარიერი, რათა პარტია დავიცვათ ყოველგვარი შემოტევებისაგან. სწორედ ამიტომ ვუჭერთ მხარს ამ საკითხში პარტიის სამდივნოს ინიციატივას და ვფიქრობთ აუცილებელია, რომ პარტიის მებრძოლი ორგანო „ჩეკა" ვითარების საქმის კურსში იყოს და მიიღოს გადამწყვეტი ზომები კონტრრევოლუციონერების წინააღმდეგ.

ამხანაგებო, ქართული მენშევიზმი არსებობს კვლავ და მხოლოდ ეს კმარა, რომ ყველაფერი გასაგები იყოს. მართალია, ეს ფაქტი ჩვენთვის ცნობილია და ჩვენც ასე გამუდმებით ვიბრძვით მის წინააღმდეგ, მაგრამ ამ ბოლო დროს მან უფრო განსაკუთრებულად და აქტიურად წარმოაჩინა თავი. სწორედ ესაა შედეგი იმისა, რომ ჩვენ ვაწყდებით ამდენ სიძნელეებს დღეს როგორც ქვეყნის

შიგნით, ისე მის გარეთაც. თქვენ იცით ამხანაგებო, ქართველი მენშევიკები ბრძოლას ჩვენს წინააღმდეგ წარმართავენ ორი ძირითადი მიმართულებით: შიგნიდან და გარედან. ეს ორი მიმართულება კოორდინირებულია და ჩვენს წინააღმდეგაა მიმართული. ჩვენ კი, ჩვენის მხრიდან, წინააღმდეგობა უნდა გავუწიოთ მათ ერთიანი ძალით – ერთიანი ფრონტით. ეს უფრო გაადვილებს ჩვენს ამოცანას. სამწუხაროდ, ყველაფერი ასე არ არის სინამდვილეში და ჩვენს მტერსაც სწორედ ეს უქმნის უპირატესობას. საქართველოს შიგნით, ქართველი მენშევიკების წინააღმდეგ ბრძოლას წარმართავენ ჩვენი პარტია და ჩვენი გპუ – მაგრამ უცხოეთში ამ ბრძოლას სათავეში უდგას დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომელიც საბჭოთა კავშირის გპუ-ს ექვემდებარება. თქვენ მიხვდებით, რომ ეს არც თუ ისე ნორმალურია, და ვიდრე ყოველივე ეს ასეთნაირად გაგრძელდება, ჩვენთვის ძნელი იქნება საშიში მტრის დამარცხება. მენშევიკების საქმიანობა ქვეყნის შიგნით საქმიანობის ერთგვარი შემავსებელია და, ამიტომაც, გვმართებს ჩვენ, რომ მათ წინააღმდეგობა როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ, გაერთიანებული ორგანიზაციით გავუწიოთ. სწორედ ასე დავამარცხებთ ჩვენ მათ. ცხადია, ზოგჯერ მიღებული ზომები არაეფექტურია, ამიტომ სარგებლობს ძლიერი მტერი და ადვილად გვიწევს წინააღმდეგობას. მაგალითად, საქართველოს მდგომარეობის გათვალისწინებით, ჩვენ არ მოვინდომეთ, რომ პარიზში ქართული მენშევიკური პარტიის ზოგიერთი ოპოზიციონერი წევრი საქართველოს დაბრუნებოდა, მაგრამ ნებართვა დაბრუნებაზე მაინც იქნა გაცემული მათზე 1925 წელს. ჩვენ წინააღმდეგი ვიყავით მათი დაბრუნებისა, რამეთუ მათ ყოფნას პარიზის მენშევიკურ ორგანიზაციაში შეეძლო გამოეწვია ამ ორგანიზაციის დაშლა და ჩვენის ღრმა რწმენით, იგი უკვე გაუჩინარდებოდა დიდი ხნის უკან. ჩვენ წერეთლის ოპოზიციურ დაჯგუფებას, რომელიც ებრძოდა მენშევიკების მომხრეებს, გამოვტაცეთ პარტიის ყველაზე აქტიური წევრები, რის შემდეგაც, ეს ჯგუფი საკმაოდ დასუსტდა და ადვილად იქნა დამარცხებული რამიშვილის მიერ. ასევე მოხდა ვეშაპელთან დაკავშირებითაც. რომ დარჩენილიყო იგი ემიგრანტების რიგში და ამით მათ წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობა გაეწია, ჩვენი მდგომარეობა გაცილებით უკეთესი იქნებოდა დღეს. იგი ბევრად უფრო ენერგიული და ჭკვიანი იყო, ვიდრე ასათიანი და სხვები. 10 წლის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კონტრრევოლუციონერების წინააღმდეგ ბრძოლა უნდა წარიმართოს შიგნიდან, რათა ხელი შევუშალოთ კავშირს მათ შორის. ჩვენი დასაყრდენი იყო და იქნება ყოველთვის სხვადასხვა პარტიებს შორის უთანხმოების მიღწევა, ისევე, როგორც ერთი და იგივე პარტიის შიგნით თვით წევრებსაც შორის. ამ მეთოდმა ჩვენ დიდი სამსახური გაგვიწია და მომავალშიც ამ მიმართულებით უნდა ვიმუშაოთ. დასაწყისში, ჩვენ ამას ვთხოვდით იმ ამხანაგებს, ვინც საზღვარგარეთ მოღვაწეობდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი ამას ყურადღებას არ აქცევდნენ. ისინი უფრო ცდილობდნენ ზოგიერთების საბჭოთა „პლატფორმაზე" გადმობირებას და მათ უკან საქართველოში გამობრუნებას, როგორც ეს მოხდა ზემოთხსენებული ოპოზიციის წევრების შემთხვევაში. ჩვენ მოვითხოვდით, რომ ნებისმიერი ანტისაბჭოთა ორგანიზაციის აქტიური წევრების მიმართ არ გაცემულიყო საქართველოში უკან დაბრუნების ნებართვა, რამეთუ ჩვენ ისინი უფრო გვჭირდებოდა საზღვარგარეთ.

სამწუხაროდ, არავინ ყურად არ იღო ჩვენი განცხადება და დღესაც კი ეს საკითხი კვლავ გადაუწყვეტელი რჩება. მე თქვენ მოგიყვანთ რამდენიმე მაგალითს და თქვენ მიხვდებით, თუ რაოდენ დიდი სარგებლობა შეუძლია მოგვიტანოს გახლეჩის („უთანხმოების") მიღწევამ ჩვენდამი ოპოზიციურად განწყობილ ორგანიზაციებში. დავიწყოთ საქართველოთი: თქვენ იცით ის შემთხვევები, როცა რომელიმე ანტი-საბჭოთა ორგანიზაციის მმართველი ორგანოს ერთი რომელიმე წევრი ჩვენ გვაწვდიდა ინფორმაციას მეორეზე იმ მიზნით, რომ ჩამოეშორებინა იგი, როგორც მოწინააღმდეგე და დაეკავებინა მისი ადგილი.

ჩვენ ვღებულობდით წერილობით ინფორმაციებს, სადაც გვატყობინებდნენ, რომ ესა თუ ის პირი მუშაობდა ამა თუ იმ ადგილას, ამა თუ იმ ორგანიზაციაში. ე. ი. ჩვენ ვაღწევდით ჩვენს მიზანს. შედეგად ჩვენ დავაპატიმრეთ მრავალი გავლენიანი პირი სხვადასხვა პარტიებიდან. ასევე გვაქვს ბევრი შემთხვევა, როცა ერთი პარტია, მაგალითად, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია გვაწვდიდა ინფორმაციას მეორე პარტიის წევრებზე მათი ჩამოშორების მიზნით.

თქვენ კარგად გახსოვთ, რომ ეროვნული აჯანყების დროს ეროვნულ-დემოკრატებს სურდათ მოქცეულიყვნენ მოძრაობის სათავეში პოლიტიკური ჰეგემონიის მიღწევის მიზნით. ამიტომაც იყო, რომ ისინი იბრძოდნენ მენშევიკების წინააღმდეგ ზემოთმითითებული მეთოდების მეშვეობით. უპირველესად, ჩვენ მათგან ვიღებდით ინფორმაციას წინამძღვრიშვილზე, მათი კომიტეტის წევრზე, რომელიც მკაცრად ქადაგებდა ერთობლივ მუშაობას მენშევიკებთან ერთად. შემდეგ, დაისახეს რა მიზნად მენშევიკური სამხედრო ორგანიზაციების განადგურება, მათ მოგვაწოდეს ინფორმაცია ნოდიაზე, რომელიც კავშირში იყო ამ სამხედრო ორგანიზაციებთან. რა თქმა უნდა, ისიც დაკავებული იქნა. მათი მეშვეობით შევძელით ჩვენ ჯუღელის დაკავება, და სწორედ მათ მოგვაწოდეს ჩვენ ფოსტით შეთქმულების გეგმა, რისი დახმარებითაც ჯუღელს ყველაფერი ვაღიარებინეთ. პირველი გეგმის თანახმად, ჯანყი უნდა დაწყებულიყო ძველ ტიფლისში, და თუ იგი მიზანს მიაღწევდა, ჩვენ აღმოვჩნდებოდით საკმაოდ ძნელ სიტუაციაში, რამეთუ ყველა მენშევიკური შეიარაღებული ძალები იქ იყო ზუსტად კონცენტრირებული. ეროვნულ-დემოკრატებს ეს არ გამოჰპარვიათ და შეეცადნენ მოეწყოთ აჯანყება სხვა გეგმით. მათ სურდათ დაყრდნობოდნენ ჩოლოყაშვილს, რაც მართლაც გააკეთეს და ამიტომაც ჩვენ გაგვიადვილდა ამ აჯანყების ჩაქრობა.

თქვენ ამჩნევთ, ალბათ, თუ რა დიდი სამსახური გაგვიწია უთანხმოებამ, რომელიც ამ ორი ანტი-საბჭოურ პარტიას შორის არსებობდა.

ჩვენ დარწმუნებული ვართ ამჟამად, რომ ეს ინფორმაცია ჩვენ მოგვდიოდა ეროვნულ-დემოკრატებისაგან. შემდგომში, ჩვენ ვცდილობდით შეგვექმნა პარალელურად, უკვე არსებული ორგანიზაციებისა ახალი ორგანიზაციები, რომლებიც ოპოზიციას გაუწევდნენ მათ წინამორბედებს და აქაც ჩვენ საუკეთესო შედეგს მივაღწიეთ.

გასულ წელს, მენშევიკურ პარტიაში, ჩვენგან დამოუკიდებლად, შეიქმნა მეორე ცენტრალური კომიტეტი. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ ვისარგებლეთ მათი სამსახურით, რადგან გვიან გავიგეთ მათ შესახებ, მაგრამ ცხადია, ამ ორი კომიტეტის არსებობა აშკარად აფერხებდა მენშევიკების მუშაობას.

დღეს ვითარება შეიცვალა: მათ მიაღწიეს ამ ორი კომიტეტის გაერთიანებას. მომავალში, ჩვენ აუცილებლად უნდა ვისარგებლოთ სხვადასხვა ორგანიზაციების ოპოზიციური საშუალებებით და შედეგებიც დამაკმაყოფილებელი გვექნება.

გადავიდეთ ეხლა ემიგრაციის საკითხზე. სურათი დღეს ასეთია: ჩვენს წინააღმდეგ მიმართული ყველანაირი მუშაობა წარიმართება საზღვარგარეთ მყოფი ეროვნული მთავრობისა და საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბიუროს მიერ. სწორედ ამ ორგანიზაციების ირგვლივ იკრიბება ყველა კონტრრევოლუციური ძალა კავკასიაში. ამას გარდა არსებობს კიდევ მენშევიკური პარტიის ორგანიზაციები. პარიზის მენშევიკურ ორგანიზაციაში არსებობს ოპოზიცია, რომელსაც წერეთელი უდგას სათავეში. სამწუხაროდ ეს ოპოზიცია აქტიური არ არის და მისი მუშაობა საკმაოდ არაენერგიულია. მე ვიმეორებ, რომ ამ ოპოზიციის ყველაზე აქტიური წევრები უკვე დაბრუნდნენ საქართველოში 1925 წელს. მიუხედავად ამ სისუსტისა, ამ ორგანიზაციას შეეძლო ჩვენთვის გაეწია დიდი სამსახური, ჩვენ რომ ჩვენს ხელში გვქონდეს კონცენტრირებული მენშევიკური ემიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლა და არ ყოფილიყო შუამავალი ორგანიზაცია, როგორც დღეს ამას აქვს ადგილი. ოპოზიციის უმრავლესობა ყველანაირი მეთოდით ცდილობს ხელი შეუშალოს ჟორდანიას და რამიშვილის მუშაობას. რამიშვილის პოზიცია მთლად მყარი არ არის, თუნდაც თვით წევრებს შორის. მაგრამ იგი მაინც ახერხებს საქმეების მოგვარებას. რამიშვილის მომხრეებს შორის უთანხმოება თანდათანობით უფრო ღვივდება, და, ცოტა ხანში, შესაძლებელია მოხდეს კიდეც გახლეჩა. ამას ადასტურებს თვით ინფორმაციებიც, რომელთაც ჩვენ ვუწოდებთ „ნებაყოფლობითი ინფორმატორების ინფორმაციას".

ამხანაგებო, ჩვენ სისტემატურად ვიღებთ პარიზიდან სხვადასხვა ხასიათის ინფორმაციას და ძალიან ხშირადაც სრულ ანგარიშებს სხვადასხვა კრებების შესახებ. ეს ინფორმაცია უდაოდ სწორია და მას შეეძლო ჩვენთვის დიდი სამსახურის გაწევა, ჩვენ რომ ვიცოდეთ მათი გამოყენება. ინფორმაცია ემთხვევა ჩვენი სპეციალური აგენტების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, მაგრამ ამ უკანასკნელთა ინფორმაციას ჩვენ მოგვიანებით ვიღებთ. ის, რომ ჩვენ ვიღებთ ინფორმაციას სრულიად უცხო პირებისაგან კიდევ ადასტურებს, რომ ვითარება მენშევიკურ ორგანიზაციაში სრულიად არეულია. ის, რომ ეს ინფორმაცია მოწოდებულია სრულიად უცხო პირებისაგან, ამას მათი ნაწერების ექსპერტიზაც ადასტურებს. ჩვენ ინფორმაციას ვიღებთ ყოველთვის, როგორც კი რომელიმე პირი ჩამოდის პარიზიდან საქართველოში. მაგალითად, ჩვენ მიღებული გვაქვს სამი წერილი, რომლებიც ეკუთვნის სამ სხვადასხვა პირს და, რომლებიც ჩვენ გვაცნობენ ინფორმაციას ფერშელაიშვილზე (ალბათ ფირცხალაიშვილზე – გ. ს.). შემდგომ, ჩვენ მივიღეთ 7 წერილი, რომელთაც გვწერენ 4 სხვადასხვა პირი, ლორდელისა და ღლონტის თაობაზე. ეს ორი ინფორმაცია გადამოწმდა და მათში მითითებული პირებიც მართლაც ჩამოვიდნენ საქართველოში.

ხოლო რაც შეეხება ინფორმაციას ინწკირველზე და შარაშიძეზე, რომელსაც შეიცავდა 5 ავტორისაგან მოწოდებული 14 წერილი, სწორი არ აღმოჩნდა. ასევე ინფორმაციაც ბერიშვილზე და გოგიბერიძეზე (7 ავტორის 15 წერილი). ბერიშვილი მხოლოდ წელს ჩამოვიდა და მასზე ჩვენ 26 წერილი მივიღეთ 15 პირიდან. ერქომაიშვილი, ცნობილი ბანდიტი, და ვინმე კიკვაძე მასთან ერთად ჩამოვიდნენ.

ამ ბოლო პირებზეც იყო ლაპარაკი იმ წერილებში. ეს წერილები და სხვადასხვა ინფორმაცია ადასტურებს იმას, თუ რამდენია იმ პირთა რიცხვი, რომელიც არ იზიარებს მენშევიკური პარტიის უმრავლესობის პოლიტიკას. შესაძლებელია, რომ ამ პირებს შორის არის ისეთებიც, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ღიად ოპოზიციას, მაგრამ არც იზიარებენ უმრავლესობის აზრს.

საერთოდ, ეს სურათი ჩვენ ნათლად მიგვითითებს იმაზე, თუ რაოდენ დემორალიზებულია პარიზის მენშევიკური ორგანიზაცია და რამდენად ადვილია მათი სრული განადგურება ჩვეული და ენერგიული მუშაობის შედეგად.

ასევე აღვნიშნავთ, რომ ჩვენ ინფორმაციას გვაწვდიან „ნებაყოფლობითი ინფორმატორები" ოპოზიციის მუშაობაზე და მათი დეტალური ანგარიშებიდან ვიგებთ, რომ ვითარება მათთან არასახარბიელოა. იქაც არ არის ერთსულოვნება, რაც საშუალებას აძლევს უმრავლესობას თავისუფლად იბრძოლოს სიძნელეების აღმოსაფხვრელად.

ახლა შევეხოთ ვითარებას სხვა პარტიებში: ფედერალისტების რიცხვმა იკლო, მათი მდგომარეობა არც თუ ისე საგანგაშოა. მათი გავლენა იმდენად მწირია, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ, რომ მათზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. უფრო ბევრნი არიან ეროვნულ-დემოკრატები და მათი გავლენაც მნიშვნელოვანია. მაგრამ აქ მათი ძალა მინიმალურია და ჩვენ ხელს ვერ შეგვიშლის მუშაობაში. მათი ხელმძღვანელები ისე არიან დაშინებული, რომ ვერც კი ბედავენ თავის გამოყოფას. საზღვარგარეთ ეროვნულ-დემოკრატები საკმაოდ სერიოზულ ძალას წარმოადგენენ და 2 ჯგუფადაა გაყოფილი. ერთ ჯგუფს სათავეში უდგათ ისეთი გავლენიანი პირები, როგორიცაა გვაზავა, თაყაიშვილი, ხოლო მეორე ჯგუფი მხარს უჭერს ეროვნულ მთავრობას და გვერდიგვერდ მუშაობს მასთან, სხვაგან კი ასათიანის დაჯგუფება უფრო მრავალრიცხოვანია, იგი განცალკევებულად და დამოუკიდებლად საქმიანობს. ეს დაჯგუფება კავშირშია ოპოზიციასთან, რომელშიც შედის „გამორჩეულები" და მთიელები და უშვებენ საკუთარ გაზეთს სახელწოდებით „სამშობლო". დროდადრო ისინი აქვეყნებენ ბროშურებსაც. მათი მუშაობა მიმართულია მხოლოდ მენშევიკების წინააღმდეგ. ჩვენთვის ადვილია მათი გამოყენება და მათდამი ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვიჩენთ. ასათიანის ირგვლივ გაერთიანებულია ამირეჯიბი, ვაჩნაძე, გაბაშვილი და სხვები.

არსებობს კიდევ სხვა დაჯგუფებები, მაგრამ ისინი ჩვენთვის უმნიშვნელოა.

სპირიდონ კედია სრულიად იზოლირებულია და არავითარ აქტიურ საქმიანობას არ მისდევს.

ასათიანის ოპოზიციას შეუძლია ჩვენ გაგვიწიოს მნიშვნელოვანი სამსახური თავისი დეტალური ინფორმაციებით მენშევიკური ემიგრაციის მუშაობაზე. ნათელია, რომ ისინი საქმის კურსში არიან მათი საქმიანობის შესახებ და კიდევაც კარგად ახერხებენ იმის გაგებას, თუ რა ხდება მათთან. ისინი ასევე გვაწვდიან ჩვენ ინფორმაციას კავკასიის კომიტეტის საქმიანობის შესახებ. ეს ინფორმაციები გადამწმდა ჩვენს მიერ რამდენჯერმე და საკმაოდ დამაჯერებელი აღმოჩნდა. განა ჩვენი სიყვარულის გამო გვაწვდიან ისინი ამ ინფორმაციას, ამით ისინი ბრძოლას განაგრძობენ „პოზიციის" წევრების წინააღმდეგ.

მათ მიერ მოწოდებული ცნობების მიხედვით, ასევე „ჩვენების" ინფორმაციით,

მენშევიკების მეთაურებს შორისაც არ არის ერთსულოვნება. გამონაკლისს წარმოადგენს წერეთელი, რომელიც ასე დიდი ხანია ებრძვის ჟორდანია-რამიშვილს.

ამ ინფორმაციებზე დაყრდნობით, ჩვენ ვიცით, რომ ჩხენკელიც აუჯანყდა ჟორდანიას და უკვე არც ემორჩილება მას. როგორც ჩანს, მისი სიმპათია უფრო ასათიანისკენ იხრება.

ამხანაგებო, ერთი სიტყვით ემიგრაციაში ანარქიაა გამეფებული და ჩვენ უნდა ვისარგებლოთ ამით, რომ ჩავახშოთ სრულიად ეს დაწყევლილი მენშევიზმი და ეს ისე, რომ მათ არასდროს შეძლონ კვლავ ფეხზე წამოდგომა. ამისათვის საჭიროა ემიგრაციის დეზორგანიზაცია, გახლეჩა, რის შემდეგაც ჩვენი ბრძოლა უფრო გაგვიადვილდება. საქართველოში მენშევიზმი ემიგრაციიდან იღებს საკვებს და, როგორც კი შეწყდება კავშირი მათ შორის, ჩვენ მივაღწევთ იმ ორგანიზაციების განადგურებას, რომლებიც აქ არსებობენ.

ნუ დაგვავიწყდება, რომ საერთაშორისო მენშევიზმს და მოღალატე სოციალისტებს კვებავს თვით ქართული მენშევიზმი და ამ უკანასკნელის განადგურება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. დიდი ხანია ჩვენი ყურადღება ამ ფაქტზეა გამახვილებული და სწორედ ჩვენი წყალობით იქნა მიღწეული, რომ ბოლო ორი წელი კავშირი საქართველოსა და ემიგრაციას შორის გაწყვეტილია.

ძნელია იმუშაო აქედან, ეს მოითხოვს უამრავ თანხებს და ძალას, მაგრამ ჩვენ შევძელით ყველანაირი სიძნელეების გადალახვა. თუმცა მენშევიკების ერთმა ემისარმა მაინც მოახერხა საქართველოში შემოღწევა ამ ზაფხულს. ის ფაქტი, რომ საზღვარგარეთ მყოფმა მენშევიკთა მეთაურებმა საქართველოში გამოაგზავნეს ისეთი უკიდურესად ენერგიული პიროვნება, როგორიც შალვა ბერიშვილია, მეტყველებს იმაზე, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ისინი საქართველოში მუშაობას და მასთან კავშირს. ბერიშვილმა, რომელიც ასეთი დიდი გავლენით სარგებლობს საქართველოს ახალგაზრდობაში, თავის ორ მცველთან ერთად შეაღწია ჩვენს სასაზღვრო დაცვაში და დაუკავშირდა მენშევიკთა ბანდებს. ეს მათი საოცარი წარმატებაა, ჩვენთვის კი – დიდი მარცხი, რამეთუ მათ შესძლეს აღედგინათ კავშირი საზღვარგარეთ და ჩვენც ამ კავშირის ფაქტის წინაშე ვდგევართ. ჩვენი ინფორმაციით, მათ ჩაატარეს კონფერენცია და აირჩიეს ახალი ცენტრალური კომიტეტი. სამწუხაროდ, ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ მათ ჩამოაყალიბეს ორგანიზაციის ახალი სახე, რომელზეც ჩვენ ჯერ-ჯერობით არავითარი ინფორმაცია არ გაგვაჩნია. იმედია, რომ მენშევიკები მალე წააწყდებიან ჩვენი მხრიდან გააფთრებულ წინააღმდეგობას და ასე თავისუფლად ვერ შეძლებენ მუშაობას. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენს წინააღმდეგ დარაზმულია მთელი კავკასიის კონტრრევოლუციონერები და, რომ მენშევიკები მჭიდრო კავშირში იმყოფებიან „გამორჩეულებსა" („მუსავატელები") და მთიელებთან.

გასულ ზაფხულს მათმა გაერთიანებულმა ბანდებმა ჩვენს წინააღმდეგ დაიწყეს გამოსვლები, ეს იმ წყეული მენშევიკების საქმეა კვლავ.

ჩვენი ინფორმაციით, მენშევიკებს განზრახული აქვთ ჩამოაყალიბონ აქ, საქართველოში, კავკასიის კომიტეტის ქვეკომიტეტები, რომელთაც აფინანსებენ ჩვენს წინააღმდეგ მებრძოლი ევროპელი იმპერიალისტები. ყოველივე აქედან გამომდინარე, მენშევიკებისა და კავკასიურ კონტრრევოლუციასთან ბრძოლის საკითხი განა მხოლოდ ჩვენი მსჯელობის საგანი უნდა იყოს, იგი უნდა გადაიქცეს

მთელი საბჭოთა კავშირის რევოლუციური ორგანიზაციის განხილვის ობიექტად. ჩვენ უნდა მოვითხოვოთ ცენტრალური პოლიტბიუროდან სპეც. თანხები, რათა ვიმოქმედოთ მათ წინააღმდეგ. ხაზი უნდა გაესვას მხოლოდ იმას, რომ ქართულ კონტრრევოლუციასთან ბრძოლა, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, უნდა განხორციელდეს გაერთიანებული ორგანიზაციის ძალებით. ამის გარეშე ჩვენ ვერაფერს მივაღწევთ. უნდა გავაერთიანოთ ჩვენი საქმიანობა აქაც და საზღვარგარეთ და მივიღოთ ზომები საჭიროებისამებრ. ხშირად, ესა თუ ის ვითარება ჩვენგან მოითხოვს კონკრეტულ ნაბიჯს, მაგრამ ხომ შესაძლებელია, რომ მათ, ვინც საზღვარგარეთაა იმოქმედონ საწინააღმდეგო მიმართულებით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს უთანხმოებას, რომელიც უკვე არსებობს პარტიებს შორის და ამ უთანხმოებით არსებობის საკითხს.

ამას მივაღწევთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ეს საქმე ჩვენზე იქნა დაკისრებული მთლიანად.

ამასთან დაკავშირებით, საქართველოს კომუნისტური პარტიის სამდივნო წინამდებარე საკითხი უნდა წარუდგინოთ ცენტრალურ ორგანოებს. სხვა დანარჩენი პრობლემების გადაწყვეტა დამოკიდებულია სწორედ ამ საკითხზე და თუ იგი გადაწყდა ჩვენი წინადადების შესაბამისად და ჩვენს სასარგებლოდ, ჩვენ უნდა დავსვათ საკითხი სპეციალურ თანხებზე, რომლებიც საჭიროა ამ მიმართულებით საზღვარგარეთ სამუშაოდ.

ნაწილი ამ თანხებისა, ბუნებრივია, უნდა მოგვაწოდოს იმ ორგანიზაციამ, რომელიც ასრულებს ამ საქმეს და რომელიც საკმაოდ დიდ თანხებს ხარჯავს არც თუ ისეთ ჭკვიანურ საქმეებზე; ყოველგვარი რეზოლუციის გარეშე, როგორიცაა „კუტეპოვი", „პეტლურა" და ყალბი „ჩერვონცების" საქმე. ჩვენ რომ რაღაც მინიმალური თანხა დაგვეხარჯა იქედან, რაც დაიხარჯა „კუტეპოვის" საქმეზე, ან „პეტლურას" მკვლელობაზე პარიზში მყოფი ქართველი მოხეტიალეების მოსასყიდად, ჩვენ ნამდვილად შევძლებდით იქ მყოფი მენშევიკების მეთაურების მოცილებას და განადგურებას".[256]

ლ. ბერიამ თავისი გამოსვლა საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტისადმი თხოვნით დაამთავრა, რათა საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოსათვის სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ საბრძოლველად გაეზარდათ უფლებები როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ და ამისათვის საჭირო თანხები გამოეყოთ.

საქართველოს კომუნისტთა ერთ-ერთი თავკაცის – სამსონ მამულიას (შემდგომში ის რეპრესირებულ იქნა) და საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ხელმძღვანელის, ლავრენტი ბერიას პათოსიდან გამომდინარე, „ჩეკისტები" მზად იყვნენ მათ წინაშე პარტიის მიერ დასმული განსაკუთრებული ამოცანების შესასრულებლად ქართული ანტისაბჭოთა პოლიტიკური ემიგრაციის წინააღმდეგ საბრძოლველად, რაც არ იყო იოლი საქმე. ლ. ბერიას საზღვარგარეთ მოქმედი ანტისაბჭოთა ემიგრანტული ორგანიზაციების წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ მეთოდად მიაჩნდა მათი ლიდერების ერთმანეთზე სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადამტერება, ამ ნიადაგზე წინააღმდეგობების გამძაფრება, ფიზიკური ლიკვიდაციითაც კი. დაქსაქსული, პოლიტიკურად უუნარო და ერთმანეთზე გადამტერებული ქართველები საბჭოთა ხელისუფლებისათვის საფრთხეს ვეღარ

შექმნიდნენ. ლ. ბერიას მიაჩნდა, რომ ამისათვის აუცილებელი იყო ფინანსები, განსაკუთრებით „ქართველი მოხეტიალეების მოსასყიდად“.

ლ. ბერიას ზემოაღნიშნული მოხსენებიდან სამი თვეც არ იყო გასული, რომ „ქართველი მოხეტიალის“ ხელით პარიზის ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანზე აღესრულა ქართული პოლიტიკური ემიგრაციისა და ანტისაბჭოთა საქმიანობის გამორჩეული ლიდერი ნოე რამიშვილი.

თავი VI

# ნოე რამიშვილის მკვლელობა

„ღამე თბილისიდან ჩამოვიდა ჩვენი პრემიერი რამიშვილი, რომელიც მე პირველად ვნახე, წარმოსადეგი ფიგურაა, არც პენი და ლაზათი აკლია, მაგრამ რა იმალება ამ ფასადს უკან...“

*ზ. ავალიშვილი*[1]

## ნ. რამიშვილი – პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე და მასთან დაპირისპირებული ძალები

1930 წლის 7 დეკემბერს, შუადღისას, პარიზის ქუჩებს მიუყვებოდნენ ნოე რამიშვილი და ემიგრაციის ასევე ცნობილი მოღვაწე, სოციალ-დემოკრატი სანდრო მენაღარიშვილი.

ქ-ნი თამარ კახელიძე-თაყაიშვილი იგონებს:

„ბიძაჩემი, როგორც ჩვეულებრივ მოემზადა კრებაზე წასასვლელად. ისადილა, გამოემშვიდობა მაროს და ბავშვებს და კარებისაკენ წავიდა – ბაღის კარებიდან ორჯერ მობრუნდაო – მოგვიყვა დეიდაჩემი – ხელი დამიქნიაო. და ეს ხელის დაქნევა უკანასკნელი იყო ბიძაჩემისა, მას კრებაზე მისვლა არ დასცალდა, მას ერთმა მტრის ტყვიამ მოუსპო სიცოცხლე, დაუობლა ოჯახი“.[220]

ამ ამბის შემსწრე და უშუალო მონაწილე სანდრო მენაღარიშვილი დეტალურად აღწერს ტრაგიკული 7 დეკემბრის შემთხვევას.

„შაბათ საღამოს სახლში ნოეს წერილი დამხვდა, რომელშიც პარტიული კრების გამო, კვირას, თოთხმეტ საათზე და თხუთმეტ წუთზე „პორტ ორლეანზე“ შეხვედრას მთხოვდა. იქ შევხვდეთ ერთმანეთს და იქიდან კრებაზე წავიდეთო – მწერდა. სრულ თოთხმეტ საათზე და თხუთმეტ წუთზე მივედი „კაფე მარეშალ ჟურდენ“-ში, სადაც ნოე ახლადმოსული დამხვდა და პალტოს იძრობდა. დავსხედით. კრების ზოგიერთ საკითხზე ვიმუსაიფეთ. სამის ნახევარზე მეტროში ჩავჯექით და კრებაზე წავედით. გზაში განსვენებული სულ პარტიულ და ეროვნულ საქმეებზე მსჯელობდა; მომავალ საქმიანობას ითვალისწინებდა, საქართველოში მუშაობის გაცხოველებაზე თავის აზრს მაცნობდა.

ამ მუსაიფში ამოვედით „პლასე დე იტალი“-ზე და „გობლენის“ ქუჩას დავყევით. ნოე მარჯვნივ მომყობა. როდესაც გავუსწორდით მეცამეტე უბნის თვითმართველობასთან მიწის სამუშევარისათვის აგებულ ჯებირებს, ნოე მეკითხება: – სანდრო! რას ფიქრობ საქართველოში მუშაობის შესახებ? ...და უცებ ორჯერ გავარდა რევოლვერი. ქუჩა ხალხითაა გაჭედილი. ხალხი დაფრთხა და ჩვენს

ირგვლივ ქუჩა დაცარიელდა... ვხედავ, ნახევარი მეტრის მანძილზე რევოლვერით ჭანუყვაძეს. აღარ მიფიქრია და რაც ძალი და ღონე მქონდა თავი ვაძგერე ნიკაპზე. ამ დროს გავარდა მესამე და შუბლში დამიზნებული ტყვია თავის მარცხენა მხარეს გამეკრა. ვფიქრობ დაჭრილი ვარ, მაგრამ მკვლელი ხომ ჩემს ხელშია. ერთმანეთს დავეტაკეთ, ვცდილობ იარაღი ავართვა, ის კი ეძებს შესაფერის მდგომარეობას, რომ ტყვია მომიძღვნას, მომკლას და გაიქცეს (ჩუსტები ეცვა, გასაქცევად მომზადებული იყო). მარცხენა ხელით იარაღიან ხელს ვუჭერ, მარჯვენა ხელით კი სახეში ვურტყამ, მინდა დავასუსტო და განვაიარაღო. ნოეს რა დაემართა არ ვიცი; მე ის დაჭრილი მგონია და აი ამ დროს, ამ ჭიდილში თვალი მოვკარი, რომ ჩემი ნოე ქვაფენილზე გაშხლართულიყო, ერთი წამით თვალთ დამიბნელდა... ამით ლაჩარმა მკვლელმა ისარგებლა და მომინდომა რევოლვერის ტუჩის საფეთქელზე მოდება, მაგრამ ჩემი დაბნევა წამიერი იყო; ნახულის შთაბეჭდილებით ხელი აუკარი და მეოთხეც და მეხუთეც ჩემს თავზე გავარდა. ეხლა, უკვე ცემით მისუსტებული ჭანუყვაძე დიდ წინააღმდეგობას ვეღარ მიწევს; ერთი გაბრძოლებაც და ის ჩაიკეცა, რევოლვერი ხელთ ჩამივარდა... სიკვდილს უკვე ხალხმა გადაარჩინა. ეს ყველაფერი ოთხ-ხუთ წუთში გათავდა. გასისხლიანებული, ცხვირპირდამტვრეული, მაგრამ სამწუხაროდ ცოცხალი, ლაჩარი ჭანუყვაძე პოლიციამ წაიყვანა. მხოლოდ კომისარიატში გავიგე, რომ ჩემი ძვირფასი ნოე გარდაცვლილიყო, არც ამოიკვნესა, არც ძახილი მისგან არ გამიგონია ან რომც დაეკვნესა რას გავიგონებდი, ან რას ვუშველიდი მე უბედური. ვერც ვუშველე, ვერც თავი შევაკალი; ეს მწვავს და მდაგავს, ეს ტკივილებს მიძრავს და მახრჩობს".[220]

ნოე რამიშვილის ვერაგული მკვლელობით შოკირებული იყო ნოე ჟორდანია. პრაქტიკულად ჩაშლილი კრებიდან ჩაფიქრებული და დამწუხრებული თანამოაზრეებმა გააცილეს. გზაში ხმაამოუღებლად მიდიოდა. სახლში მისვლისას მას უთქვამს: „ცალი ხელი მომჭრესო" და დაუმატებია: „ვისაც მისი პატივისცემა გინდათ, მიჰყევით მის გზას".

ნოე რამიშვილის დაკრძალვის ცერემონიალი გაიმართა 1930 წლის 14 დეკემბერს, პარიზში, ბანიოს სასაფლაოზე, 14.00 საათზე. მის ცხედართან უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი, იქ იყვნენ რუსეთის, კავკასიის და სხვა ქვეყნების ემიგრანტული წრეების ცნობილი წარმომადგენლებიც.

ნოე რამიშვილის მკვლელობის ფაქტს ფართოდ გამოეხმაურა საფრანგეთისა და ევროპის საზოგადოებრიობა. მათ ზედმიწევნით ზუსტად აღწერეს მკვლელობის დეტალები და სავარაუდო მოტივები. პარიზის პრესა იმასაც კი იტყობინებოდა, რომ მოკლულს, დამოუკიდებელი საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრს დაკერილი (დაშტოფილი) წინდები ეცვაო. ქვეყნდებოდა სამგლოვიარო წერილები, მოგონებები, ტრაგედიასთან დაკავშირებული ვერსიები. დევნილმა მთავრობამ, სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ და ნოე რამიშვილის ოჯახმა მიიღო უამრავი სამძიმრის დეპეშა თუ წერილი ქართველთა ყველა სათვისტომოდან, რუსული ემიგრაციის სოციალისტური პარტიებისგან და გამოჩენილი უცხოელი პოლიტიკური მოღვაწეებისაგან. ამ გამოხმაურებებში ყველა ერთხმად ვარაუდობდა, რომ ნ. რამიშვილის მკვლელობაში აშკარად მოსკოვისა და მისი სპეცსამსახურების ხელი ერია. ნ. რამიშვილის გარდაცვალებას ვრცელი

სამგლოვიარო წერილი მიუძღვნა საკუთარ ბეჭდვით ორგანოში საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ლიდერმა ლეონ ბლიუმმა. საინტერესო სტატიები დაიბეჭდა ბრიუსელისა და გერმანიის სოციალისტთა ჟურნალებში. აღნიშნულ მოვლენებს სპეციალური პუბლიკაცია მიუძღვნა რენოდელმაც. ნოე რამიშვილის მკვლელობაში რომ უცხოთა ხელი ერია, მტკიცედ იყო დარწმუნებული ქართველი ემიგრანტების დიდი ნაწილი.

ნოე რამიშვილი, ქართული სოციალ-დემოკრატიის ცნობილი თეორეტიკოსი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამორჩეული სახელმწიფო მოღვაწე ემიგრაციაში ერთ-ერთი ყველაზე აქტიური და ავტორიტეტული პოლიტიკური ფიგურა გახლდათ. ის პრაქტიკულ ნაბიჯებს დგამდა, რათა არ შენელებულიყო საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. მისი აქტიური მოღვაწეობა სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა საბჭოთა ხელისუფლებასა და მის სპეცსამსახურებს.

საბჭოთა სპეცსამსახურები მუდმივად ფლობდნენ ინფორმაციას საზღვარგარეთ, ქართულ ემიგრაციაში მიმდინარე პროცესებზე და, გარკვეულწილად, გააჩნდათ მასზე ოპერატიული ზემოქმედების ბერკეტები. მიუხედავად ამისა, საბჭოთა ხელისუფლება თვლიდა, რომ პოლიტიკური საფრთხე დევნილი ქართველების მხრიდან მაინც დიდი იყო. სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა თვით ნოე რამიშვილიც, ვინაიდან ის იყო საქართველოში ანტისაბჭოთა საქმიანობის, პირველ რიგში, საქართველოში ემისრების არალეგალური გაგზავნისა და იატაკქვეშა მოძრაობის მთავარი ორგანიზატორი. მასვე ჰქონდა დამყარებული ოფიციალური კონტაქტები ინგლისის, საფრანგეთის, თურქეთისა და პოლონეთის სპეცსამსახურებთან. ამას ემატებოდა იოსებ სტალინის პირადი მტრობა ადვილი შესაძლებელია, ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ თეთრგვარდიული, ემიგრანტული ორგანიზაციების სხვა ლიდერების მსგავსად, ნოე რამიშვილის ფიზიკური ლიკვიდაციის გადაწყვეტილება მიღებულიყო.

როგორი იყო საბჭოთა ისტორიოგრაფიის და, შესაბამისად, საბჭოთა ხელისუფლების ოფიციალური დამოკიდებულება ნოე რამიშვილის პიროვნების, მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობის მიმართ? პირადაპირ უნდა ითქვას, რომ ათეული წლების განმავლობაში ნ. რამიშვილი მხოლოდ უარყოფითად მოიხსენიებოდა. ასე მაგალითად: 1927 წელს საქართველოში გამოცემული მიხ. კახიანის ბროშურის „ქართული ემიგრაციის შესახებ“[32] პირველი თავი უმეტესად ნოე რამიშვილის საბჭოურ სტილში დახასიათებას ეძღვნება. ავტორი მიანიშნებს, რომ ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის, გრ. ვეშაპელის ფუნქცია საზღვარგარეთ ყოფილა ქართული ემიგრაციის დაშლისათვის ხელის შეწყობა იყო. რაც „არ უნდა მოსწონებოდათ მებრძოლი მენშევიზმის ბელადებს – ნოე რამიშვილის ტიპის ფაშისტებს, რომელთაც გადაწყვიტეს მოესპოთ ის, ვინც ხელს უწყობდა ემიგრაციის დაშლას. ასეთი ფიგურა უეჭველად იყო გრ. ვეშაპელი. ასეთი არჩევანი შემთხვევით არ ყოფილა“. შემდგომ ავტორი არაერთგზის მოიხსენიებს ნოე რამიშვილს „ფაშისტად“, „დიქტატორად“, მის მეგობრებს კი – „ფაშისტ თანამოძმეებად“ და „საგანგებო“ რაზმის ფაშისტებად“. ავტორი ნ. რამიშვილს ადანაშაულებს ოდენკურის ინციდენტშიც, სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში „რამიშვილის პროტექციით ბანდიტების“ მიღებასა და ვინმე მიშა გიორგაძის მკვლელობაში.

შემდეგ ის ეხება ნოე რამიშვილის პირად თვისებებს და მას „აღმაშფოთებელ“ და „აუტანელ“ პიროვნებად ახასიათებს.

საბჭოთა პროპაგანდა შეეცადა (მიაღწია კიდევაც), ნოე რამიშვილის მკვლელობა უბრალო შურისძიებად მონათლულიყო. უფრო მეტიც, ნ. რამიშვილი საბჭოთა ისტორიოგრაფიამ „ჯალათად“ მოიხსენია, ხოლო მისი მკვლელი პ. ჭანუყვაძე „მუშური ოპოზიციის“ გაწამებულ წარმომადგენლად.

ვინ იყო სინამდვილეში ნოე რამიშვილი?

ნოე რამიშვილი დაიბადა 1881 წელს ჩოხატაურის რაიონის სურების საზოგადოების სოფელ დიდ ვანში. მისი მამა, ბესარიონ (ბესო) რამიშვილი, ხის ოსტატი, საკმაოდ განათლებული პიროვნება იყო. დედა – გვარად მგელაძე, წარმოშობით ოზურგეთის რაიონის სოფ. შემოქმედიდან გახლდათ. რამიშვილებს ჰყავდათ ექვსი ვაჟიშვილი და ერთი ქალიშვილი – მართა. პირველი ვაჟი, ვასილი, მესაქონლეობას მისდევდა; მეორე – დავითი, ფერშალი იყო, ცხოვრობდა ქ. ბათუმში; მესამე – ისიდორე, კომერსანტი იყო; შემდეგ მოდიოდნენ ნოე და ანთიმოზი (ფარმაცევტი). ყველაზე უმცროსი ვაჟიშვილი – იაკობი – სურებში ცნობილი ხარაზი გახლდათ. ნოე რამიშვილის და გათხოვილი იყო სოფელ სურებში ნესტორ ბერიშვილზე. მათ თორმეტი შვილი ეყოლათ.

ნოეს და, მართა, 83 წლის ასაკში შუა აზიაში გადასახლებაში გარდაიცვალა. შუა აზიაში გარდაიცვალა უფროსი ძმა ვასილიც, ისიდორე უგზოუკვლოდ დაიკარგა. ანთიმოზი ტიფით გარდაიცვალა 1921 წელს, იაკობის ბედი გაურკვეველია. ძმებიდან მხოლოდ დავითმა დალია სული საკუთარ ოჯახში.

ნოე რამიშვილმა დაწყებითი განათლება სოფელ დიდი ვანის სკოლაში მიიღო. შემდეგ სწავლა განაგრძო ჯერ ოზურგეთის სასწავლებელში. შემდეგ – ქუთაისის სასულიერო სემინარიაში, რომლის დამთავრების შემდეგაც შევიდა იურიევის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობის გამო, იძულებული გახდა შეეწყვიტა სწავლა (1902 წ.) და დაბრუნებულიყო საქართველოში. 1902-1903 წლებში ის ბათუმსა და გურიაში ხელმძღვანელობდა მუშათა და გლეხთა მოძრაობას. 1903 წელს მისი ინიციატივით მოწვეულ იქნა გურიის მშრომელთა ყრილობა. 1904 წელს ნოე რამიშვილი დააპატიმრეს, თუმცა ჟანდარმერიას დაუსხლტა და როსტოვში გაიქცა, სადაც არალეგარული საქმიანობა განაგრძო. ერთი პერიოდი ის, ნოე ჟორდანიასთან ერთად, ხელმძღვანელობდა გაზეთ „სოციალ-დემოკრატს“. 1905 წლის დასაწყისში კვლავ დაბრუნდა სამშობლოში.

ნ. რამიშვილი აქტიურად მონაწილეობდა 1905 წლის რევოლუციაში. 1907 წლის მიწურულს ნ. რამიშვილი სწავლის გასაგრძელებლად შევიდა ლაიფციგის უნივერსიტეტში. 1908 წელს დაესწრო შვეიცარიაში გამართულ რსდმპ ცენტრალური კომიტეტის სხდომას, რომელშიც მონაწილეობდნენ: ლენინი, პლეხანოვი, მარტოვი, ზასულიჩი, აქსელროდი, ლუნაჩარსკი, ჩიჩერინი და სხვები.

1910 წელს ნოე რამიშვილი საზღვარგარეთიდან (გერმანიიდან) დაბრუნდა და სექტემბერში გურიაში, სოფ. ხიდისთავში არალეგალურ პარტიულ კონფერენციაზე ეროვნულ საკითხზე სიტყვით გამოვიდა. ორი თვის შემდეგ ის დააპატიმრეს და გადაასახლეს ქ. როსტოვში. მოგვიანებით როსტოვში ჩაიყვანა ცოლ-შვილიც. გადასახლებაში ნ. რამიშვილი სათავეში ჩაუდგა სოციალ-დემოკრატთა საკმაოდ მძლავრ და მრავალრიცხოვან ორგანიზაციას.

1913 წელს ნოე რამიშვილი მიდის პეტროგრადში და აქტიურად თანამშრომლობს რსდმპ ცენტრალურ ორგანოებში. ის იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყველა უმაღლესი ორგანოს წევრი, თბილისის ქალაქის თვითმმართველობის ხმოსანი, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კომიტეტის წევრი. პირველი მსოფლიო ომის დროს ნ. რამიშვილი იყო პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და პარტიის ცენტრალური ორგანოს რედაქტორი. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ გახდა მუშათა, გლეხთა, ჯარისკაცთა და დეპუტატთა საბჭოს წევრი, რუსეთის დამფუძნებელი კრების დეპუტატი, შემდეგ ამიერკავკასიის სეიმის წევრი, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მთავრობის თავმჯდომარე, შემდეგ – შინაგან საქმეთა მინისტრი.

ნოე რამიშვილი – როგორც პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე – ქართული საზოგადოებრიობისათვის თითქმის უცნობია. შესაძლოა იმიტომ, რომ 1918–1921 წლების საქართველოს ხელისუფლება გაიგივებულია ერთ კაცთან – ნოე ჟორდანიასთან და მის მოღვაწეობასთან. არადა, ნოე რამიშვილი იყო 1918 წლის 26 მაისიდან 23 ივნისამდე დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის პირველი თავმჯდომარე. სწორედ 23 ივნისს მოხდა ეგრეთწოდებული ხავერდოვანი რევოლუცია საქართველოს ხელისუფლებაში, რის შედეგადაც მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია გახდა.

ნოე რამიშვილმა და ნოე ჟორდანიამ გაცნობისთანავე კარგი ურთიერთობა დაამყარეს ერთმანეთთან და ბოლომდე შეინარჩუნეს კიდეც. „თუ განსვენებული ნოე ჟორდანია იყო ტვინი ჩვენი მოძრაობისა, ნოე რამიშვილი იყო ხერხემალი, რკინის ნების სიმბოლო და შეუდარებელი ორგანიზატორი," იგონებს მისი ერთ-ერთი თანამებრძოლი გრიგოლ წერეთელი.[220] როდესაც ნოე ჟორდანია დაპატიმრებული იყო, იმალებოდა ანდა საზღვარგარეთ იმყოფებოდა, ნოე რამიშვილი ყოველთვის მას ცვლიდა. როგორც მეგობრები და თანამოაზრენი მიანიშნებენ, მათ ურთიერთობებში არსებობდა „სრული ჰარმონია", თითქოსდა „ეს ორი ადამიანი ერთი გულით ცხოვრობდა, ერთნაირად გაჟღენთილი სამშობლოს და ქართველი ხალხის სიყვარულით". ამგვარი თანამშრომლობა მათ შორის კიდევ უფრო გაღრმავდა საფრანგეთში, ემიგრაციაში ყოფნის დროს.

აი როგორ ახასიათებენ თანამოაზრენი ნოე რამიშვილს:

„ნოე რამიშვილი იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელმაც გამოაღო საქართველოს მთვლემარე პოლიტიკური ქარვასლის ბჭეკარი და შიგ შეუშვა მთელი ქართველის ერის აზღვავებული ნება-სურვილი: იყოს თავისუფალი, იყოს დამოუკიდებელი, იყოს სუვერენული და ქართველმა ერმა ნიშნად პატივისა, სწორედ მას ჩააბარა ახალშობილ საქართველოს ბედ-იღბალი და მას მიანდო პირველი ეროვნული მთავრობის შედგენა" (ლევან ფაღავა).[220]

„ნოეს ყავდა, უსათუოდ, მოწინააღმდეგეები და მოკრიტიკენი, მაგრამ ყოველ გაჭირების დროს მისკენ ეჭირათ თვალი, აფასებდნენ მას, როგორც ღირსეულ და მაგარ სახელმწიფო მოღვაწეს. უცხოეთში მან სხვა პოლიტიკურ მოღვაწეებთან ერთად ჩამოიარა დიდი სახელმწიფოები, სადაც გამოქონდათ რეზოლუციები, მოითხოვდნენ საოკუპაციო ჯარების გაყვანას. მან დასწერა „ისტორიული მატერიალიზმი". ხელმძღვანელობდა ყველა პარტიულ გამოცემებს ნოე ჟორდანიას მეთაურობით. მან წარუდგინა პოლონეთის გმირს პილსუდსკის ყველა პარტიების

წარმომადგენელნი, რომელსაც შემდეგ ეთქვა: „სამშობლოს, რომელსაც ასეთი შვილი ჰყავს, არ დაილუპებაო". ამ მოლაპარაკების შემდეგ იყო ჟურნალ „პრომეთეს" დაარსება".

„გაკვირვებული ვიყავით იმ სიყვარულით და გამხნევებით, რომელსაც ის იჩენდა ახალგაზრდობის მიმართ. მან ღრმად იცოდა მშობლიური და უცხო ლიტერატურა. უყვარდა ახალგაზრდებთან საუბარი, იყო იშვიათი მასწავლებელი. მე მომისმენია მისი იდეალური საქართველოს პოლიტიკური არქიტექტურა, სილამაზითა და იმედებით მომხიბლავი" (გრ. წერეთელი).[220]

„ნოე რამიშვილი იყო განსახიერება ქართველი მებრძოლი სულისა, მტერს რომ გამუდმებით ებრძოდა. რუსეთის ბოლშევიკებს ნოე რამიშვილი ისეთ დაუძინებელ მტრად მიაჩნდათ, რომ მოსკოვიდან შეატყობინეს ქართველ თითოეროლა ბოლშევიკებს – „არ გაიკაროთ სიახლოვეს ნოე რამიშვილის მომხრეებიო!" დამოუკიდებელი საქართველოს მტრებს ის შიშის ზარს სცემდა და ამიტომაც ნოე რამიშვილი დიდი ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობდა როგორც დიდი ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, როგორც რკინისებური ნერვების მქონე სახელმწიფო მოღვაწე" (კარლო ინასარიძე).[229]

ნოე რამიშვილის ნიჭი და უნარი განსაკუთრებით გაიფურჩქნა 1918-1921 წლებში შინაგან საქმეთა მინისტრის (ის ამავე დროს განათლების მინისტრიც იყო) თანამდებობაზე ყოფნისას. ის განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა სამინისტროს თანამშრომლების მიმართ. ნ. რამიშვილმა გამოიჩინა ჰუმანურობა და, მიუხედავად მოხელეთა პოლიტიკური მრწამსისა, სამსახურში მიიღო მეფისნაცვლის კანცელარიის რუსულენოვანი მოხელეები, თუმცა ის შემდგომ ცდილობდა მათ გაქართველებას, მათთვის ქართული ენის სწავლებას, საქმისწარმოების ქართულად წარმართვას.

ნოე რამიშვილი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მუშებსა და გლეხებში. ცნობილია, რა სიხარულით შეხვდნენ მის ერთსაათიან გამოსვლას თბილისში, ნავთლუღის პარტიული უჯრედის კრებაზე ადგილობრივი მუშები. დიდი სიყვარულით იხსენებდნენ ნ. რამიშვილს ჭიათურის მაღაროს მუშები და გურიის გლეხობა, მას დიდ პატივს სცემდნენ ბაქოს მუშები, რომელთაც 1904 წელს ერთერთ პარტიულ ფორუმზე გამოსვლისათვის ამზადებდა.

გასული საუკუნის დასაწყისში რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში ნოე რამიშვილი და ვლადიმერ ლენინის დაჯგუფება დაპირისპირებულები აღმოჩნდნენ, რისი მთავარი მიზეზიც იყო მათი დამოკიდებულება ტერორიზმისადმი.

ნოე რამიშვილმა ტერორის წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრა ჯერ კიდევ 1903 წლის ივნისის პირველ რიცხვებში ბათუმში გამართულ ბათუმისა და გურიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ყრილობაზე (ბათუმის და გურიის „სოფლად მომუშავეთა" ყრილობა). ყრილობაზე ნოე რამიშვილმა ერცელი სიტყვა წარმოთქვა და სასტიკად დაგმო ტერორიზმი, რაც არ უნდა „პარტიული ინტერესებიდან" გამომდინარე ის ყოფილიყო. მის წინააღმდეგ გამოვიდნენ „გლეხი დელეგატები და ზოგიერთი აქტიური მუშაკები". მიუხედავად ამისა, „ყრილობამ უარყო ტერორიზმის სისტემა, როგორც ბრძოლის ესერულ-ბუნტარული მეთოდი".[63]

ტერორიზმის თემა წამოწეული იყო 1904 წლის იანვრის პირველ რიცხვებში

„გურულების მეორე ყრილობაზეც“.

ძველი ბოლშევიკი თენგიზ ჟღენტი იგონებს: „ყველა იმ საკითხების გასარკვევად, რომლებმაც განხეთქილება გამოიწვია ლონდონის ყრილობაზე, გადაწყდა დისპუტის მოწყობა. დისპუტს დაესწრო სოსო (ამხ. სტალინი). ის ახალი დაბრუნებული იყო ციმბირიდან და მას პირველად ეცნობოდნენ ზოგიერთი გურული ამხანაგები. მე მას დავუახლოვდი ქუთაისის საგუბერნიო ციხეში 1903 წ.

სტალინმა გაარკვია უთანხმოების ძირითადი საკითხები, შეეხო ლენინის დებულებებს, დაასაბუთა იგი ძლიერი არგუმენტებით და ფარდა ახადა მარტოვ-პეტროსოვ-აქსელროდის დებულებათა უსუსურობას.

სტალინის წინააღმდეგ გამოვიდნენ გრიშა ლორთქიფანიძე და არსენიძე. კამათი ამ დღეს არ დასრულებულა, გადადებულ იქნა მეორე დღისათვის ჩოხატაურში, დიდმინდორზე. ჩოხატაურში მენშევიკებმა შეჰყარეს მთელი თავიანთი ძალები. კამათმა ცხარე ხასიათი მიიღო. დამსწრე გლეხები დიდად შეწუხებული იყვნენ პარტიაში მომხდარი უთანხმოების გამო და ამბობდნენ:

– ნეტავი შერიგდებოდნენ, ჩხუბს თავს დაანებებდნენ და სხვა არაფერი გვინდაო. კამათი დასრულდა საღამოს. კენჭის ყრის დროს მიტინგის აბსოლუტური უმრავლესობა მიემხრო მენშევიკებს. სტალინის მხარეზე დარჩა პატარა ჯგუფი“.[63]

ამ პერიოდში რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში საგრძნობლად გამოიკვეთა შიდაპარტიული დაპირისპირება. ბოლშევიკთა და მენშევიკთა ორგანიზაციები მწვავედ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, მათ შორის მიდიოდა გაუთავებელი კამათი და სჯა-ბაასი. ასეთივე განწყობა სუფევდა ამიერკავკასიისა და კერძოდ საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში. ამას დაემატა ისიც, რომ ბათუმში დაიკეტა როტშილდის საწარმო და უმუშევრად დარჩენილმა მუშებმა ბედ-იღბლის საძებნელად ჭიათურას მიაშურეს. მუშათა ამ ჯგუფს ბოლშევიკებიც ახლდნენ. ამ უკანასკნელებმა ადგილობრივი მენშევიკური ორგანიზაცია დისკუსიაში გამოიწვიეს. ბოლშევიკების ფავორიტი იყო იოსებ ჯუღაშვილი (კობა). ჭიათურის მენშევიკებმა კობასთან საპაექროდ თბილისის კომიტეტიდან გრიგოლ ლორთქიფანიძე და ნოე რამიშვილი მიიწვიეს.

ნოე რამიშვილი 1904 წელს ვალიკო ჩუბინიძესთან ერთად ჭიათურაში კონსპირაციულად ჩავიდა. მათ ღამე გრიგოლ ფხალაძის ოჯახში გაათენეს. კრება შედგა მეორე დღეს, 12 აპრილს, ჭიათურის საავადმყოფოს უკან, ერთ-ერთი ოსის (ბოლშევიკის) ოჯახის თავლაში. კრებას დაესწრო 28 კაცი, მათ შორის 6 ბოლშევიკი. ი. სტალინმა, რომელიც არ მოელოდა კრებაზე ნოე რამიშვილის მოწვევას, ამ უკანასკნელს მიმართა, მოხსენება თავდაპირველად მენშევიკებს გაეკეთებინათ, მაგრამ ნოემ უპასუხა, რომ მასპინძლები ისინი იყვნენ და დისკუსიაც იმათ უნდა დაეწყოთ. სტალინი იძულებული გახდა დათანხმებულიყო. ი. სტალინმა ისაუბრა ბოლშევიკების დამოკიდებულებაზე წვრილბურჟუაზიული პარტიებისადმი, მარქსისა და ლენინის ნაშრომებისადმი, რუსეთის პროლეტარიატზე, რომანოვების დინასტიის დასამარებაზე, ტერორზე, როგორც მეფის მთავრობის დამხობისა და ბოლშევიკების „გამაგრების“ ერთ-ერთ ძირითად საშუალებაზე და სხვა.

ი. სტალინის შემდეგ სიტყვა აიღო ნოე რამიშვილმა. მან მკაცრად გააკრიტიკა სტალინის გამოსვლა და პრაქტიკულად უარყო ყველა მისი არგუმენტი. განსაკუთრებული კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ბოლშევიკების საოლქო კომიტეტის

საქმიანობა, რომელიც იმ პერიოდში ატერორებდა ყველას და ძარცვავდა საფოსტო მატარებლებს.

ცხარე დისკუსიის შემდეგ შედგა კენჭისყრა, რომელიც ნ. რამიშვილის სასარგებლოდ დასრულდა. ბოლშევიკთა და მენშევიკთა პაექრობა ნოე რამიშვილის გამარჯვებით დამთავრდა. ნოე რამიშვილისათვის ეს იყო სტალინთან დაპირისპირებაში მორიგი გამარჯვება.

1905 წლის 12 ივნისს, ბათუმის ერთ-ერთ სკოლაში გურიის კომიტეტის მიერ მოწყობილ კონფერენციაზე, ნოე რამიშვილმა კვლავ დაგმო ტერორი, ეკლესიებზე თავდასხმა, ძარცვა, დივერსიები, რასაც თითქმის ყველა დელეგატი დაეთანხმა. ეს იყო ნოე რამიშვილის მორიგი წარმატება.

ბოლშევიკების მიერ აქცენტების გადატანამ ტერორზე, ექსპროპრიაციასა და ძალადობის სხვადასხვა ფორმაბზე საგრძნობლად მოშალა შიდაპარტიული დისციპლინა, დაამკვიდრა ანარქია, მომრავლდა შურისძიების მოტივით მკვლელობები და სხვა. აღნიშნული საკითხი სერიოზული განსჯის საგანი გახდა 1908 წელს რსდმპ ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე ჟენევაში, სადაც ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ვ. ლენინისა და ი. მარტოვის მომხრეები. ი. მარტოვი კარგად იყო ინფორმირებული ნოე რამიშვილის (პეტრე) პოზიციაზე ზემოაღნიშნულ საკითხისა და ნ. რამიშვილსა და ი. სტალინს შორის გამართული დისკუსიის თაობაზე. სწორედ ამის გამო, ი. მარტოვმა დეპეშით, თხოვნით მიმართა გერმანიაში მყოფ ნოე რამიშვილს, ჩასულიყო ჟენევაში რსდმპ ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე. ნ. რამიშვილი სხდომაზე დასასწრებლად მართლაც ჩავიდა და მის მუშაობაში აქტიური მონაწილეობაც მიიღო. ნოე რამიშვილის არგუმენტები და მაგალითები იმდენად დამაჯერებელი იყო მთელ რუსეთის იმპერიაში და განსაკუთრებით, კავკასიაში ბოლშევიკურ კანონსაწინააღმდეგო მეთოდების თაობაზე, რასაც მაშინდელი ხელისუფლების მხრიდან სასტიკი რეპრესიები მოჰყვა, რომ ლენინის, მიკიჩისა (კრასინის) და ტეშკოს ცდები, გაებათილებინათ მისი გამოსვლა, სრული კრახით დასრულდა. ამის შემდეგ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი იძულებული გახდა, დაეგმო და აეკრძალა ყოველგვარი ტერორისტული გამოვლინება და მასთან დაკავშირებული ნეგატიური პროცესები, ვინაიდან ისინი მიჩნეული იქნა „კერძო ინტერესების დამაკმაყოფილებელ საშუალებად". ცენტრალური კომიტეტის ამავე სხდომაზე მაინც დაუშვეს გამონაკლისი და ტერორისტული აქტები მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული იმ შემთხვევაში, როცა ისინი მიმართული იქნებოდა „საერთო-ეროვნული ინტერესების დასაცავად" და ამავდროულად იქნებოდა კონტროლირებადი.[220]

საზღვარგარეთ ქართული ემიგრაციის გაჩენისთანავე, პოლიტიკური პარტიები და დაჯგუფებები ერთმანეთთან იმთავითვე დაპირისპირებული აღმოჩნდნენ. პერიოდულად ეს დაპირისპირება მტრულ და აგრესიულ ხასიათს ღებულობდა. საქმეს ის ვერ შეელოდა, რომ ქართველ სოციალ-დემოკრატთა ლიდერები ნოე ჟორდანია და ნოე რამიშვილი ყველა ზომას ღებულობდნენ მოწინააღმდეგე მხარეთა შესარიგებლად და ხშირად მიდიოდნენ დათმობებზე, რაც პარტიის რიგით წევრებს მაინცდამაინც არ მოსწონდათ. ამ იძულებითი ნაბიჯის გადადგმა მათ იმის გამო უწევდათ, რომ შექმნილიყო ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ერთიანობის, თუნდაც, იმიტაცია მაინც, რაც ანტისაბჭოთა საქმიანობაში მათი

ერთ-ერთი მთავარი მოკავშირის – პოლონეთის – მოთხოვნა იყო. ქართველთა ერთიანობისათვის განსაკუთრებით ნოე რამიშვილი იღვწოდა. სამწუხაროდ, სოციალ-დემოკრატთა ლიდერების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა და ვერ ჩამოყალიბდა ქართველთა ერთიანი, ანტისაბჭოთა ფრონტი. ამის მთავარი მიზეზი იყო უთანხმოება წამყვან პოლიტიკურ პარტიათა ლიდერებს შორის.

1929-1930 წლებში ურთიერთდაპირისპირებამ სოციალ-დემოკრატებსა და მემარჯვენე ჯგუფებს შორის მწვავე ხასიათი მიიღო, რაც ემიგრაციაში „თეთრი გიორგის" გამოჩენასთან იყო დაკავშირებული.

ბრძოლა ძირითადად ქართველ ემიგრანტებზე პოლიტიკური ზეგავლენისა და საერთაშორისო არენაზე პრესტიჟის მოპოვებისათვის მიმდინარეობდა. მემარჯვენეთა აზრით, უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო ქართველი სოციალ-დემოკრატების იდეური დამარცხება. ეს მათ ავტორიტეტს სერიოზულ დარტყმას მიაყენებდა საერთაშორისო არენაზე და მათ ჩანაცვლებას შესაძლებელს გახდიდა. მხოლოდ ამის შემდეგ იქნებოდა შესაძლებელი სრულყოფილი ანტისაბჭოთა საქმიანობის ორგანიზება. დაპირისპირების ეპიცენტრში აღმოჩნდა ნოე რამიშვილი, რომელიც ანტისაჭოთა საქმიანობაში სოციალ-დემოკრატების ლიდერთა შორის ყველაზე ენერგიული პიროვნება იყო. იმ პერიოდში უკვე აშკარად საუბრობდნენ იმაზე, რომ სოციალ-დემოკრატებზე გამარჯვება და მათი ადგილის დაკავება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ ნოე რამიშვილის ფიზიკური განადგურების შემთხვევაში. ამდენად, ნოე რამიშვილის მკვლელობა არ იყო შემთხვევითი მოვლენა. ეს შემზარავი პროცესი იდეოლოგიურად დიდი ხნით ადრე მზადდებოდა და მასში უპირველესად, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მემარჯვენე ნაწილი აღმოჩნდა ჩათრეული.

ნოე რამიშვილის, როგორც პოლიტიკური მოღვაწისა და პიროვნების დისკრედიტაციაში თვით სოციალ-დემოკრატთა ოპოზიციურად განწყობილი ფრთა მონაწილეობდა ირაკლი წერეთლისა და რაჟდენ არსენიძის მეთაურობით, აგრეთვე პოლიტიკური ემიგრაციის ის წარმომადგენლები, რომლებიც მემარჯვენეთა მიმართ სიმპათიით იყვნენ განწყობილი. ასეთები იყვნენ: ვიქტორ ნოზაძე, ისიდორე მანწკავა, ედუარდ პაპავა და სხვები. ნ. რამიშვილის მოწინააღმდეგენი მასზე სხვადასხვა ჭორს ავრცელებდნენ, ბრალს სდებდნენ სოციალ-დემოკრატთა სხვადასხვა გადაწყვეტილების მიღებაზე ზემოქმედებაში, მათ შორის საქართველოში იატაკქვეშა საქმიანობასთან დაკავშირებით და სხვა.

ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ლიდერებს შორის დაპირისპირებასა და ნოე რამიშვილის მიმართ ზოგიერთი მათგანის უარყოფით დამოკიდებულებას კარგად იყენებდნენ საბჭოთა სპეცსამსახურები, რომლებიც ისედაც დაძაბულ ვითარებას კიდევ უფრო ამწვავებდნენ მათთვის დამახასიათებელი ფორმითა და მეთოდებით. ამის შედეგი იყო დაპირისპირება ნოე რამიშვილსა და ქაქუცა ჩოლოყაშვილს შორის, რომელმაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, თავის კულმინაციას 1929-1930 წლებში მიაღწია.

ნოე რამიშვილის მიმართ ნეგატიურად განწყობილი ქართული პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენლები შესაფერის მომენტს ელოდებოდნენ. მათ ხელფეხი გაეხსნათ მას შემდეგ, რაც რადიკალურად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს ნოე რამიშვილი და ევგენი გეგეჭკორი.

რუსეთის მესამე სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი წევრი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი, დევნილი მთავრობის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა, ემიგრაციაში არა მარტო პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწეოდა, არამედ სხვადასხვა სამეურნეო ხასიათის საქმიანობით იყო დაკავებული, რაც მისი პირადი მდგომარეობის გაუმჯობესებას ემსახურებოდა. ევგ. გეგეჭკორის სხვა საქმეებით გატაცება არ მოსწონდათ ქართველ სოციალ-დემოკრატთა სხვა ლიდერებს. ამის გამო ურთიერთობა ნოე რამიშვილსა და ევგენი გეგეჭკორს შორის დაიძაბა. ნოე რამიშვილი უკმაყოფილო იყო იმით, რომ ევგ. გეგეჭკორი თავისი კომერციული საქმიანობით ხშირად სკანდალში ეხვეოდა, რაც ზიანს აყენებდა ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას. ევგ. გეგეჭკორი დაუფარავად აცხადებდა, რომ მას არ ჰყოფნიდა თავისი პარტიული საქმიანობით მიღებული ანაზღაურება. ის დამატებით შემოსავალს ძირითადად მისი მეგობრებისაგან, დაშნაკთა პარტიიდან იღებდა, კერძოდ რუსეთის დუმის ყოფილი დეპუტატის (ბაქოდან), სომეხი ეროვნების აჯამოვისაგან. ამ უკანასკნელს პარიზში დაარსებული ჰქონდა „ინტერნაციონალური იურიდიული კომპანია". ევგ. გეგეჭკორი რომ უფრო კომერციული საქმიანობით იყო დაკავებული, ვიდრე პოლიტიკურით, საბჭოთა საგარეო დაზვერვაც მიანიშნებდა. შ. ფირუმოვი ცენტრს ატყობინებდა: „Гегечкори с помощью Аджемова больше занят спекулятивными делами и сейчас что-то налаживает с американской фирмой Стандарт Ойл по нефтяному вопросу*".[311]

აჯამოვის კომპანიის საქმეებში მონაწილეობდა ევგ. გეგეჭკორი. ეს უკანასკნელი აქტიურად იცავდა სომეხ დაშნაკთა ინტერესებს საქართველოს დევნილ მთავრობაში. რაში გამოიხატებოდა ამ ინტერესების დაცვა? დაშნაკები არ შედიოდნენ პოლონელთა მხარდაჭერით შექმნილ „კავკასიის კომიტეტში", რომლის წევრებიც იყვნენ ქართველები, აზერბაიჯანელები და მთიელები – ჩრდილოკავკასიელები. სომხები ქართველებისაგან ითხოვდნენ სამომავლოდ სომხეთის სასარგებლოდ ტერიტორიულ დათმობებს, რის სანაცვლოდაც ზემოაღნიშნულ ორგანიზაციაში შესვლის თანხმობას იძლეოდნენ. ტერიტორიულ დათმობებში ისინი გულისხმობდნენ იმას, რომ ნ. ჟორდანიას მთავრობას, რომელსაც პრაქტიკულად არანაირი ძალაუფლება საქართველოს საკითხების გადაწყვეტაში აღარ გააჩნდა, სომეხი დაშნაკებისათვის უნდა მიეცა პირობა, თუკი ოდესმე ქართველები და დევნილი მთავრობა სამშობლოში დაბრუნდებოდნენ და ქვეყანას კვლავ სოციალ-დემოკრატები უხელმძღვანელებდნენ, საქართველოს სომხეთისათვის უნდა დაეთმო ახალციხისა და ახალქალაქის ყოფილი მაზრები. იდეა იმდენად აბსურდული იყო, რომ მას მხარს, ევგ. გეგეჭკორის გარდა, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის არც ერთი ლიდერი, მათ შორის არც ნოე რამიშვილი არ უჭერდა. ევგ. გეგეჭკორი თვლიდა, რომ საქართველო ამ დათმობებზე უნდა წასულიყო და ამ საკითხს ის ხშირად აყენებდა ნ. ჟორდანიას მთავრობის წინაშე, თუმცა ყოველთვის წარუმატებლად. ამასთან დაკავშირებით ხშირი იყო საკმაოდ მწვავე შეხლა-შემოხლა ნ. რამიშვილსა და ევგ. გეგეჭკორს შორის. ნ. რამიშვილის მკვლელობამდე რამდენიმე ხნით ადრე ევგ. გეგეჭკორმა ნ. ჟორდანიას მთავ-

* გეგეჭკორი, აჯამოვის მეშვეობით, უფრო სპეკულაციური საქმეებით არის დაკავებული და ამჟამად აგვარებს რაღაც ურთიერთობას ამერიკულ ფირმა „სტანდარტ ოილთან" ნავთობის საკითხებთან დაკავშირებით.

რობისა და ნაციონალური ცენტრის გაერთიანებული სხდომის წინაშე კიდევ ერთხელ დააყენა სომეხი დაშნაკების მოთხოვნის განხილვის საკითხი. აქ კვლავ იფეთქა ნ. რამიშვილმა და, რომ არა იქ მყოფთა ჩარევა, ამ უკანასკნელსა და ევგ. გეგეჭკორს შორის ნამდვილი ხელჩართული ბრძოლა გაიმართებოდა. ევგ. გეგეჭკორი ლანძღავდა ნ. რამიშვილს და უყვიროდა, რომ ის უნდა მომკვდარიყო და ეს გაკეთდებოდა კიდეც. ამ ინციდენტის შემსწრენი და მონაწილენი, მათ შორის ევგ. გეგეჭკორი, გააფრთხილეს, რომ აღნიშნული ფაქტი არ გახმაურებულიყო, თუმცა, მოგვიანებით, თვით ევგ. გეგეჭკორმა უამბო ყოველივე თანამებრძოლებს, პირველ რიგში თავის უახლოეს მეგობარს, მეწარმე აკაკი ხოშტარიას. მალე ამბავი მთელ ქართულ ემიგრაციას მოედო. ამ საკითხში მეტად აქტიურობდნენ და ევგ. გეგეჭკორის ინტერესებს იცავდნენ მეგრული წარმომავლობის ემიგრანტები, განსაკუთრებით, თეთრგიორგელები. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით ხმები, ხშირ შემთხვევაში, სპეციალურად ვრცელდებოდა, რათა მომავალი მკვლელობისათვის „ზნეობრივი საფუძველი" მომზადებულიყო.

უნდა აღინიშნოს ერთი საინტერესო დეტალიც, კერძოდ, როდესაც ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ლიდერებს შორის ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბებოდა, ევგ. გეგეჭკორი მოდავე მხარესთან, განსაკუთრებით მეგრული წარმოშობის ლიდერებთან საუკეთესო ურთიერთობებს ინარჩუნებდა. ეს უკანასკნელი მათ „ჩვენს ევგენიდ" მოიხსენიებდნენ. ნოე რამიშვილის მკვლელობამ დიდად იმოქმედა პარტიის იმ წევრებზე, რომლებიც ჟორდანია-რამიშვილის ფრთას მიეკუთვნებოდნენ. ისინი ამ ამბავმა ძალზე დაამწუხრა. ოპოზიციონერების – ირ. წერეთლისა და რ. არსენიძის – თანამოაზრეები, მართალია, აშკარად არ გამოხატავდნენ კმაყოფილებას მომხდარი ფაქტის გამო, მაგრამ იმედი ჰქონდათ, ნ. რამიშვილის მხარდაჭერის გარეშე დარჩენილი ნ. ჟორდანია მათ წინააღმდეგობას ვეღარ გაუწევდა და პარტიაში გაბატონებულ მდგომარეობას თუ არა, ხელმძღვანელ თანამდებობებს მაინც დაიკავებდნენ.

ოპოზიციის ნაწილი – რუბენ ყიფიანი, ისიდორე ქარსელაძე და სხვები – არ მალავდა ნ. რამიშვილის მკვლელობით გამოწვეულ სიხარულს. სოციალ-დემოკრატებს შორის იყო იმ პირებისაგან შემდგარი მესამე დაჯგუფება, რომელთაც პრეტენზია ჰქონდათ, ყოფილიყვნენ პარტიის ხელმძღვანელ ბირთვში და ვერ მოხვდნენ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის ბიუროში. ესენი იყვნენ გრიგოლ უროტაძე და ივანე ჭავჭავაძე. მათ რიგებს ასევე მიეკუთვნებოდა ვასო წულაძე, რომელიც, მართალია, შეყვანილ იქნა მენშევიკთა საზღვარგარეთის ბიუროს შემადგენლობაში, თუმცა უფუნქციოდ დარჩა და ვერ მიიღო მატერიალური დახმარება. იყო კიდევ ერთი ოპოზიციურად განწყობილი ჯგუფი ვიქტორ ნოზაძის მეთაურობით, რომლის მიზანიც სოციალ-დემოკრატთა რიგებში განხეთქილების შეტანა გახლდათ.

ზემოაღნიშნულ მესამე ჯგუფს (გ. უროტაძე, ი. ჭავჭავაძე) სათავეში ედგა ევგენი გეგეჭკორი, რომელსაც უნდოდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ნ. რამიშვილის, ანუ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთული ბიუროს თავმჯდომარის ნ. ჟორდანიას მოადგილის ადგილის დაკავება. ამას გარდა, ევგ. გეგეჭკორს სურდა, ქართველ სოციალ-დემოკრატთა ხელმძღვანელობის წარუმატებლობა მთლიანად ნ. რამიშვილისათვის გადაებრალებინა და დაემტ-

კიცებინა, რომ უთანხმოება მასა და ნ. რამიშვილს შორის ამ უკანასკნელის ბრალი იყო. ევგ. გეგეჭკორის ამ ახალ ოპოზიციას ემიგრაციაში „ჭაობი" დაარქვეს. დასახელება, ემიგრანტების აზრით, მის შემადგენლობას ზუსტად შეეფერებოდა, ვინაიდან მასში თავმოყრილი იყო სხვადასხვა მრწამსის, მათ შორის რადიკალურად განსხვავებული შეხედულებებისა და საეჭვო რეპუტაციის ემიგრანტობა.

ნ. რამიშვილის სასამართლო პროცესის მიმართ დიდი ინტერესი გამოიჩინა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სპირიდონ კედიას დაჯგუფებამ. მათ უპარტიო ქართველი ემიგრანტები შალვა ბერიძე და ვახტანგ მაჩაბელი, დახმარების მიზნით, მიავლინეს პ. ჭანუყვაძის ადვოკატ ა. ტორესთან, რომელმაც, თავის მხრივ, ისინი გაგზავნა მეორე ადვოკატ დელატრისთან. ამ უკანასკნელმა ქართველებს განუცხადა, რომ უკვე ძალზე გვიანი იყო ბრძოლა და ნ. რამიშვილის მკვლელობასთან დაკავშირებით პოლიტიკური მოტივების წამოწევა. „ჩვენთვის ეს ძალზე სარისკოა, ვერ შევძლებთ პროცესის დაწყებამდე ერთ კვირაში მოვამზადოთ ყველა მასალა და გამოვძებნოთ დრო ყველა იმ მოწმის მონაცემების შესასწავლად, რომლებზედაც თქვენ მიუთითებთ. თქვენ მიერ დასახელებული მოწმეებიდან ჩვენ შეგვიძლია გამოვიძახოთ მხოლოდ ოთხი მათგანი: სპირიდონ კედია, ევგენი გეგეჭკორი, ალექსანდრე ასათიანი და გიორგი გეგელია," – განაცხადა დელატრიმ. ამის შემდეგ ადვოკატები ტორესი და დელატრი რამდენჯერმე ესაუბრნენ სპ. კედიასა და გ. გეგელიას სასამართლო პროცესზე მათი მოწმეებად შესაძლო გამოძახებასთან დაკავშირებით. გაცილებით მომზადებული შეხვდნენ სასამართლო პროცესს ქართველი სოციალ-დემოკრატები.[259]

### წინასწარი გამოძიება

საფრანგეთში საქართველოს საელჩოს დიდი ძალისხმევის მიუხედავად, ჩვენ ვერ მოვიძიეთ ნოე რამიშვილის მკვლელობასთან დაკავშირებით წინასწარი და სასამართლო გამოძიების მასალები (საბრალდებო დასკვნა, პროცესში მონაწილეთა გამოსვლები, სასამართლოს გადაწყვეტილება და სხვა, ჩვენ მიერ ვერ იქნა მოძიებული). პარიზის ცენტრალურ არქივში კატალოგიზებული აღმოჩნდა სასამართლო საქმეები დაწყებული მხოლოდ 1932 წლიდან. ფრანგული მხარე არ გამორიცხავს, რომ ნოე რამიშვილის მკვლელობასთან დაკავშირებული მასალები პარიზის ცენტრალური არქივის რომელიმე საცავში ინახებოდეს, მას გულმოდგინედ მოძიება სჭირდება.

მამის მკვლელობასთან დაკავშირებით არანაირი დოკუმენტური მასალა არ აღმოაჩნდა პარიზში მცხოვრებ ნოე რამიშვილის ქალიშვილს ქალბატონ ნინო რამიშვილს.

ქ-ნი დოდო ლაზარაშვილი ჟურნალ „პოლიტიკის" 1999 წლის მესამე ნომერში მიანიშნებს ნოე რამიშვლის საქმესთან დაკავშირებით „საბრალდებო აქტის" არსებობაზე, რომელზე დაყრდნობითაც მოკლედ აღწერს პარმენ ჭანუყვაძის სასამართლო სხდომის პროცესს.[224]

საქართველოს ისტორიის ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) მთავრობის

არქივში (პარიზულ ნაწილში) ნოე რამიშვილის მკვლელობასთან დაკავშირებით შეგროვებული დოკუმენტები, რომლებიც, როგორც ჩანს, არასრულია. მასში თავმოყრილია ფრანგულ ენაზე შესრულებული წინასწარი გამოძიების მასალების ასლები, ფრანგულად ნათარგმნი ლ. ბერიას მოხსენება, გაკეთებული თბილისში საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე 1930 წლის 14 სექტემბერს, აგრეთვე ქართველ ემიგრანტთა წერილები და ახსნა-განმარტებები.[256]

როგორც არსებული მასალებიდან ჩანს, პარიზის ქართულ სათვისტომოს, კონკრეტულად კი ქართული პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენლებს ს. მენაღარიშვილსა და კ. საბახტარიშვილს ნ. რამიშვილის მკვლელობასთან დაკავშირებით დამოუკიდებელი გამოძიება უწარმოებიათ, თუმცა საბოლოო დასკვნა არ არის გაკეთებული. ანდა, არსებობდა ასეთი დოკუმენტი, მაგრამ ჩვენამდე ვერ მოაღწია. ჩვენს ხელთ აღმოჩნდა სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს არქივში დაცული (დღეისათვის განადგურებულია) რამდენიმე დოკუმენტის ასლი, რამაც ნაწილობრივ ნათელი მოჰფინა ნ. რამიშვილის მკვლელობის მოტივებს და მასში მონაწილე პიროვნებების ზნეობრივ სახეს.

მიუხედავად დოკუმენტური მასალის სიმცირისა, შევეცადეთ გაგვეანალიზებინა ჩვენ მიერ მოპოვებული ყველა დოკუმენტი, რათა საბოლოო დასკვნების გამოტანისას მაქსიმალურად ობიექტურები და მიუკერძოებლები ვყოფილიყავით.

დავიწყოთ წინასწარი გამოძიებით, რომელიც 1931 წლის აპრილამდე გაგრძელდა.

1930 წლის 7 დეკემბერს, დაახლოებით 16.00 საათისათვის, დელა მეჟონ ბლანშის კვარტალის პოლიციის უბანში დაკითხეს პარმენ ჭანუყვაძე. დაკითხვას აწარმოებდა პარიზის პოლიციის კომისარი კამილ ფოგენი თარჯიმნის, მიშელ ვიეფის მონაწილეობით. პირველივე შეკითხვაზე პ. ჭანუყვაძემ წარადგინა საკუთარი თავი: „მე, პარმენ ჭანუყვაძე, დავიბადე 1895 წლის 14 ივლისს ოზურგეთში იოსებისა და ლუიზას ოჯახში, დღემდე ვცხოვრობ პარიზში მულენ დე ბიორის ქ. 20, ადრე სამართალში არმიცემული, ვარ ქართველი, ვფლობ მხოლოდ ქართულ ენას, ვმუშაობ შავ მუშად დე ლა შაპელის სადგურზე და გამოვიმუშავებ დღეში 27 ფრანკს“.

გამომძიებელი: „თქვენ დაკავებული იყავით დღეს, 15 საათისათვის, იმ მომენტში, როდესაც სასიკვდილოდ დაჭერით თქვენი თანამემამულე ნ. რამიშვილი, რომელსაც უთვალთვალებდით და შეხვდით შემართული რევოლვერით საამშენებლო მოედნის ღობის უკან. რევოლვერი შემდგომში ჩვენს მიერ ამოღებულ და წარმოდგენილ იქნა. თქვენ ბრალი გედებათ განზრახ მკვლელობაში“.

პ. ჭანუყვაძე: „დიახ, მე ეს ჩავიდინე შემდეგ მიზეზთა გამო:

1. დაახლოებით ერთი წლის წინ დავკარგე სამუშაო ადგილი დუბსას ქარხანაში. გამოვედი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან, რომელსაც ხელმძღვანელობდა ნ. რამიშვილი. სწორედ მისმა მომხრეებმა დამაკარგვინეს ადგილი ქარხანაში.

2. ვადანაშაულებ ნ. რამიშვილს მასში, რომ წააქეზა ქართველი ხალხი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ რამდენიმე ამბოხებაში, როდესაც არ არსებობდა გამარჯვების არავითარი შანსი.

3. ვადანაშაულებ აგრეთვე მასში, რომ ნ. რამიშვილმა დაამახინჯა ქართული

ანტიკომუნისტური მოძრაობა. მისი „დამსახურებაა" ამ მოძრაობის დანაწევრება მცირე ჯგუფებად".

დაკითხვის ბოლოს პ. ჭანუყვაძემ განაცხადა: „მე არ ვიმალებოდი, როდესაც ვესროლე რამიშვილს. მე, მივემართებოდი მისკენ პირდაპირ და ვესროლე იმდენჯერ, რომ ახლა ამის დაზუსტება არ შემიძლია. გული მწყდება, რომ შევასრულე შურისძიების ეს აქტი საფრანგეთში, მაგრამ მეტის მოცდა მე არ შემეძლო".

პ. ჭანუყვაძე იმავე დღეს კიდევ ერთხელ დაიკითხა. დასმულ კითხვებზე მან უპასუხა:

„ნ. რამიშვილს სიკვდილი მივუსაჯე დაახლოებით 8 თვის წინ. ამ მომენტისათვის ბ-ნმა ნ. რამიშვილმა უკვე გააგზავნა სხვა პატრიოტები არალეგალურად საქართველოში, მაშინ როცა მე ამისათვის დიდი ხანია ვიბრძოდი და ის მპირდებოდა კიდევაც გაგზავნას.

იარაღი ვიყიდე მეთევზეთა უბანში, დაახლოებით 6 კვირის წინ.

ნ. რამიშვილს ველოდებოდი ნახევარი საათის განმავლობაში. მან იცოდა, რომ ვეძებდი. მხოლოდ მისმა ქცევამ მაიძულა შემესრულებია ეს აქტი".

პ. ჭანუყვაძის შემდეგი დაკითხვა მოხდა 17 დეკემბერს. მის ინტერესებს უკვე იცავდა ანრი ტორეზი, საფრანგეთის კომპარტიის მაშინდელი ლიდერის მორის ტორეზის ძმა. აღნიშნულ დაკითხვას ტორეზი ვერ დაესწრო. მას ცვლიდა ვინმე ჟოლი. დაკითხვა დაიწყო პ. ჭანუყვაძის ბიოგრაფიული დეტალების დაზუსტებით, რის შედეგადაც გაირკვა შემდეგი:

1914 წელს პ. ჭანუყვაძე გაუწვევიათ მეფის რუსეთის არმიაში. 1917 წელს, უკვე ა. კერენსკის მთავრობის პერიოდში, მისთვის მიუნიჭებიათ ლეიტენანტის წოდება. საქართველოს დამოუკიდებლობის დღიდან უმსახურია საქართველოს სახალხო გვარდიაში, მონაწილეობა მიუღია პარტიზანულ ბრძოლებში ბოლშევიკების წინააღმდეგ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც, აგრეთვე 1924 წლის აჯანყებაში. 1924 წლის ნოემბერში ის გადასულა თურქეთში, იქიდან კი საფრანგეთში, კერძოდ, ქალაქ მარსელში. მარსელიდან, საქართველოს ელჩის ხელშეწყობით, პ. ჭანუყვაძე 1925 წლის იანვარში გაგზავნილი ყოფილა სამუშაოდ ქ. ოდენკურში, საავტომობილო ქარხანა „პეჟოში". 1926 წლის აგვისტოში პ. ჭანუყვაძე გადასულა ქალაქ ბელანკურში, დასახლებულა სენტ-კლუს ქუჩაზე და მუშაობა დაუწყია საავტომობილო ქარხანა „რენოში", საიდანაც მალევე წასულა. შემდგომ, პ. ჭანუყვაძეს მუშაობა დაუწყია მონპარნასის სადგურზე, სადაც უმსახურია 1927 წლის თებერვლამდე. შემდეგ პ. ჭანუყვაძეს უმუშავია სხვადასხვა ადგილას. შრომით მოწყობაში მისთვის დახმარება აღმოუჩენია საფრანგეთის არმიის თადარიგის პოლკოვნიკს კოკეს, რომელსაც ჰყავდა ქართველი მეუღლე. ამ უკანასკნელის დახმარებით, ის მოწყობილა ერთ-ერთ მაღაზიაში გარსონად, სადაც დარჩენილა 7 თვის განმავლობაში. შემდგომში პ. ჭანუყვაძეს, 1928 წლის ნოემბრამდე, უმუშავია სადგურ დე ლა შაპელში. ამის შემდეგ დაბრუნებულა „რენოს" ქარხანაში, სადაც დარჩენილა 1929 წლის ივნისამდე. მოგვიანებით პ. ჭანუყვაძეს ბელანკურში დაუწყია მუშაობა კონსერვების ყუთების ფაბრიკაში.

1929 წლის 18 დეკემბერს პ. ჭანუყვაძე, ვინაიდან ის ამ პერიოდისათვის უმუშევარი იყო, დაბრუნებულა ოდენკურში. სამსახური მაინც ვერ უშოვია.

პ. ჭანუყვაძე ოდენკურში კიდევ ერთ თვეს დარჩენილა სამუშაოს საშოვნელად,

მაგრამ უშედეგოდ. 1930 წლის იანვარში ის კვლავ პარიზში დაბრუნებულა. უმუშევრობის გამო, დანაზოგი თანხა თანდათან შემოხარჯვია. პ. ჭანუყვაძე 1930 წლის ივნისში მუშაობას იწყებს მონპარნასის სადგურში, თუმცა თვე-ნახევრის შემდეგ ის კვლავ უმუშევრად დარჩენილა. 1930 წლის 26 აგვისტოს პ. ჭანუყვაძეს ბინა უქირავებია მულენ დე ბიორის ქ. N 20-ში, სადაც ცხოვრობდა დანაშაულის ჩადენამდე. ამ პერიოდისათვის პ. ჭანუყვაძეს უმუშავია დე ლა შაპელის სადგურში.

პ. ჭანუყვაძის მორიგი დაკითხვა შედგა 26 დეკემბერს.

დასმულ შეკითხვაზე პ. ჭანუყვაძემ უპასუხა, რომ ის საფრანგეთში ჩასვლიდან ცხრა თვის განმავლობაში იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, რომლის გამოჩენილი მოღვაწეც, მისივე აზრით, ყოფილა ნ. რამიშვილი. შემდეგში მას მიუტოვებია ეს პარტია.

დაკითხვის პროცესში პ. ჭანუყვაძემ გამოხატა თავისი დამოკიდებულება ემიგრაციაში არსებული ქართული პოლიტიკური პარტიების მიმართაც:

„...1926 წელს გამიჩნდა სიმპათიები ეროვნულ-დემოკრატიული და განსაკუთრებით ბოლშევიკების პარტიების მიმართ. მე, ოფიციალურად, არ შევსულვარ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში, მაგრამ ვკითხულობდი მათ პუბლიკაციებს. ამ პარტიას გააჩნია ცენტრი და ბიურო, მაგრამ მე არ ვიცი მათი ადგილ-სამყოფელი. გარეგნულად ვიცნობდი ამ პარტიის ბევრ წევრს, მაგრამ არ ვიცნობდი არც-ერთს პირადად. არასდროს დავსწრებივარ ამ პარტიის კრებებს, თუმცა ამისათვის დროც არ მქონდა“.

ერთ-ერთი დაკითხვის ოქმის თანახმად, პ. ჭანუყვაძე 1929 წლის 18 დეკემბერს დაბრუნებულა ოდენკურში, „პეჟოს“ ქარხანაში, რათა მოწყობილიყო სამუშაოდ, მაგრამ ქართველ ემიგრანტთა ასოციაციის პრეზიდენტ ბაქრაძის ჩარევით, ის იმავე დღეს გაუთავისუფლებიათ სამუშაოდან. ბაქრაძეს განთავისუფლების მიზეზად დაუსახელებია ემიგრანტი შარაბიძე, რომელსაც ჭანუყვაძე პირად იდეურ მტრად მიიჩნევდა ჯერ კიდევ საქართველოში ყოფნისას. სამსახურიდან დათხოვნის მიუხედავად, ჭანუყვაძეს ოდენკური არ დაუტოვებია. ამის შემდეგ ამ უკანასკნელის ირგვლივ სიტუაცია იმდენად გართულებულა, რომ ქართული სათვისტომო იძულებული გამხდარა, პრობლემის მოსაგვარებლად ოდენკურში ჩასვლა ნოე რამიშვილისთვის ეთხოვა. ეს უკანასკნელი 1930 წლის 20 იანვარს მართლაც ჩასულა ოდენკურში. იმავე დღეს ჩატარებულა ქართული სათვისტომოს შეკრება ნ. რამიშვილის უშუალო მონაწილეობით, რომელზეც 20 ხმით 6-ის წინააღმდეგ გადაწყვეტილა ჭანუყვაძის გამგზავრება ოდენკურიდან, რის თაობაზეც მეორე დღესვე ამ უკანასკნელისათვის უცნობებია თვით ნ. რამიშვილს.

„გამგზავრების წინ მე ვთხოვე რამიშვილს, დავებრუნებიე საქართველოში, ვინაიდან არ მქონდა მუშაობის საშუალება. ბუნებრივი იქნებოდა, რომ იგი დამხმარებოდა საქართველოში დაბრუნებაზე. რამიშვილი დამპირდა, რომ შემისრულებდა თხოვნას. მან მითხრა, რომ მიმემართა მისი ნათესავისთვის – შალვა ბერიშვილისთვის, რომელიც ცხოვრობდა ბილანკურში სენტ-კლუს ქ. N 23-ში. ვფიქრობდი, რომ მასთან მომელაპარაკებია ჩემი რეპატრიაციის პროცესთან დაკავშირებით.

წავედი შ. ბერიშვილის სანახავად და მას ვკითხე მისი ბიძის – ნ. რამიშვილის მისამართი. მიპასუხა, რომ ეს მისთვის სირთულეს არ წარმოადგენდა, იგი დაკავე-

ბული იყო რეპატრიაციის გენერალური გეგმით და მითხრა, რომ მომაწვდიდა ცნობას რამდენიმე დღეში. მე გავაფრთხილე ნ. რამიშვილი, რომ ცოტა დაეჩქარებია პროცესი, ვინაიდან 1 აპრილის შემდეგ ვეღარ დავბრუნდებოდი საქართველოში. 20 დღის შემდეგ დავბრუნდი შ. ბერიშვილთან, მაგრამ მისგან ვერანაირი ინფორმაცია ვერ მივიღე. იქიდან დაბრუნებულმა, 1930 წლის 1 აპრილს, გავიგე, რომ შ. ბერიშვილი ჩავიდა საქართველოში ჩვენს ორ თანაპატრიოტთან ერთად. აღმოვჩნდი რა მოტყუებული უკვე დიდი ხნის განმავლობაში და დავრჩი რა უსახსროდ და უმუშევარი, მისიისაგან და მთავრობისაგან მოვითხოვე მიყენებული ზარალის ანაზღაურება ოდენკურიდან ჩემი გამოგდების გამო. ამასთან დაკავშირებით, მე არ მიმილია არანაირი პასუხი. მოვითხოვე, დაებრუნებიათ ჩემთვის ყველა ჩემი შეკითხვა და საჩივარი, რომლებსაც ვაგზავნიდი მისიაში და მთავრობაში საფრანგეთში ჩემი ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში. ყველა ეს დოკუმენტი დამიბრუნდა და მხოლოდ ამ მომენტიდან დაწყებული მე გამიჩნდა ნ. რამიშვილისათვის სამაგიეროს გადახდის სურვილი."

1931 წლის 5 იანვარს დაიკითხა ნიკოლოზ (კოლია) შარაბიძე. კ. შარაბიძე იყო 1924 წლის აგვისტოს აჯანყების ერთ-ერთი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი ოზურგეთის რაიონში. სწორედ ამ დროს გაუცნია მას პარმენ ჭანუყვაძე, რომლისთვისაც შეუთავაზებია ამბოხებაში მონაწილეობა. თანხმობის მიღების შემდეგ, ჭანუყვაძე ერთ-ერთ სოფელში დავალებითაც გაუგზავნიათ, მაგრამ „ჩემს მიერ საგანგებო მისიით ერთ-ერთ სოფელში გაგზავნილი ჭანუყვაძე გაქრა და მას საქართველოში შევხვდი მხოლოდ ჩვენი მოძრაობის დამარცხების შემდეგ. მე გამოვთქვი საყვედური მის მიმართ და ჩვენ ამით დავშორდით. მე გავემგზავრე საფრანგეთში და გარკვეული პერიოდის შემდეგ მას კვლავ შევხვდი ქ. მარსელში. სხვა მრავალ ქართველთან ერთად ჩვენ ჩავედით ოდენკურში სამუშაოს საძებრად. ორივენი მიგვიღეს ოდენკურში „პეჟოს" ქარხანაში. მაგრამ, მისი მძიმე ხასიათის და სამშობლოს დატოვებით გამოწვეული ნოსტალგიის გამო, ჭანუყვაძესთან ცხოვრება იყო საკმაოდ რთული და ხშირად ქონდა ადგილი კამათს მასსა და თანამემამულეთა შორის. ოდენკურში ჭანუყვაძის ქცევა ეწინააღმდეგებოდა ქართველთა მიერ დაწესებული ქცევის ნორმებს და ამიტომ მას შეთავაზეს დატოვებია ოდენკური. ეს იყო 1925 წელს, მაგრამ ჭანუყვაძემ, რომელიც მუშაობდა პეჟოში 1925 წლის იანვრიდან, არ მოინდომა წასვლა, მაგრამ იყო რა იგნორირებული თავისი მეგობრების მიერ, 1926 წელს ის მაინც გაემგზავრა ოდენკურიდან, ანუ მუშაობის დაწყებიდან წელიწადნახევრის შემდეგ" – აღნიშნა ნ. შარაბიძემ. კ. შარაბიძის განმარტებით, 1929 წლის ოქტომბერსა თუ დეკემბერში, პ. ჭანუყვაძე დაბრუნებულა ოდენკურში და დაუწყია მუშაობა „პეჟოს" ქარხანაში. საქართველოს ასოციაციას პ. ჭანუყვაძისათვის განუცხადებია, რომ ვინაიდან ის არ ემორჩილებოდა წესდების მოთხოვნებს, უმჯობესი იქნებოდა, თუკი დატოვებდა ოდენკურს.

„ჭანუყვაძის მუშაობის ერთი დღის შემდეგ, ბატონი ბაქრაძე მობრძანდა ქარხანაში, რათა დაესაქმებია ქართული კოლონიის სხვა წევრები. ამავდროულად, ბატონმა ბაქრაძემ გამოხატა თავისი მოსაზრება ჭანუყვაძის მძიმე ხასიათის გამო და ამის შემდეგ ჭანუყვაძე დაუყონებლივ იქნა განთავისუფლებული სამუშაოდან," – დასძინა ნ. შარაბიძემ.

1931 წლის 6 იანვარს დაიკითხა ემიგრანტი ვლადიმერ ბაქრაძე. მან აღნიშნა:

„ჩემს ჩამოსვლამდე ერთი დღით ადრე, ქართველთა წრემ ერთმნიშვნელოვნად ხმა მიცა ჭანუყვაძის გარიცხვას, ვინაიდან მას ქონდა მძიმე ხასიათი და ემტერებოდა შარაბიძეს, რომელსაც იცნობდა ჯერ კიდევ საქართველოდან, აქ კი იყო მისი თანამშრომელი-კომპანიონი. შარაბიძესვე დაევალა გადაეცა ჭანუყვაძისთვის ქართველთა გადაწყვეტილება, მაგრამ მან ამის გაკეთება არ ისურვა“.

ვ. ბაქრაძის აზრით, ნ. შარაბიძე, როგორც რუსული და ქართული არმიების სამხედრო ოფიცერი, საკმაოდ დაფასებული და თანამემამულეთა შორის ავტორიტეტული პიროვნება ყოფილა. იმის გამო, რომ მას პ. ჭანუყვაძე ემუქრებოდა, ნ. შარაბიძის პარიზელ მეგობრებს ურჩევიათ მისთვის, დაეტოვებინა საფრანგეთის დედაქალაქი და სამუშაოდ გადასულიყო ქ. სოშოში. 1929 წლის დეკემბერში ჭანუყვაძე დაბრუნებულა ოდენკურში.

„მისმა დაბრუნებამ გამოიწვია აღშფოთება თანამემამულეთა შორის. როგორც კი გავიგე ამბავი მისი ჩამოსვლის თაობაზე, მივიწვიე იგი ასოციაციის შტაბ-ბინაში, რათა კიდევ ერთხელ მიმეხვედრებია, რომ მის ყოფნას ოდენკურში შეიძლება უსიამოვნებები მოყოლოდა და ამიტომ კარგი იქნებოდა დაეტოვებია ოდენკური,“ – აღნიშნა ვ. ბაქრაძემ.

ვ. ბაქრაძის ამ წინადადებას პ. ჭანუყვაძე დათანხმებია, თუმცა იმ პირობით, რომ ბაქრაძე მას სამუშაოს მოუძებნიდა პარიზში. ბაქრაძეს აღნიშნულის თაობაზე იმავე დღეს მიუმართავს ქართველთა წარმომადგენლობისათვის პარიზში, საიდანაც სწრაფადვე უპასუხიათ, რომ პ. ჭანუყვაძეს დაასაქმებდნენ, როგორც კი ის პარიზში ჩავიდოდა. ამ გადაწყვეტილების თაობაზე ვ. ბაქრაძეს უცნობებია ჭანუყვაძისათვის, მაგრამ ამ უკანასკნელს გამგზავრებაზე გადაწყვეტილება არ მიუღია. სამაგიეროდ, ქართული სათვისტომოს გვერდის ავლით, ის მაინც გაფორმებულა სამუშაოზე „პეჟოს“ ქარხანაში. მეორე დღეს შემდგარა შეხვედრა ქარხნის ხელმძღვანელობასა და ვ. ბაქრაძეს შორის. არსებული წესის თანახმად, ვინაიდან სათვისტომო ვალდებული იყო საფრანგეთის ხელისუფლების წინაშე თითოეული ემიგრანტის ქცევაზე, ქარხნის ხელმძღვანელობას უკითხავს ბაქრაძისთვის, იღებდა თუ არა პასუხისმგებლობას ეს უკანასკნელი ჭანუყვაძის საქმიანობაზე, რაზეც ვ. ბაქრაძეს უარით უპასუხია. მეორე დღეს, პ. ჭანუყვაძე სამსახურიდან გაუთავისუფლებიათ. პ. ჭანუყვაძეს ამის შემდეგ ოდენკური მაინც არ დაუტოვებია. ბაქრაძე დაინტერესებულა, თუ რა გეგმები ჰქონდა ჭანუყვაძეს. ამ უკანასკნელს კი განუმარტავს, რომ დატოვებდა ოდენკურს მხოლოდ იმ პირობით, თუკი ასოციაცია მას აუნაზღაურებდა მგზავრობის საფასურს და ყოველდღიურ ხარჯებს. ბაქრაძის განმარტებით, ჭანუყვაძისათვის ქართულ სათვისტომოს მართლაც გამოუყვია 500 ფრანკი. „მინისტრი რამიშვილი ჩამოვიდა ოდენკურში, რათა მოენახულებია ქართველი თანამემამულენი, მაგრამ მისი ჩამოსვლისათვის ჭანუყვაძე უკვე დათხოვნილი იყო ქარხნიდან,“ – აღნიშნა ბოლოს ბაქრაძემ.

1931 წლის 8 იანვარს დაიკითხა მკვლელობის ერთ-ერთი თვითმხილველი ემილ ლეჟიონი, რომელმაც დაადასტურა, რომ პ. ჭანუყვაძემ ორთაბრძოლის პროცესში ს. მენაღარიშვილის მიმართულებით რამდენიმე გასროლა განახორციელა.

იმავე დღეს დაიკითხა მოწმე მათე ბოლქვაძე. მისი ჩვენების თანახმად, ის 1930 წლის 7 დეკემბერს, 14.45 საათისათვის გობელენების ქუჩით მიემართებოდა ქართველთა შეკრებაზე, როდესაც გაუგონია რევოლვერიდან ორი თუ სამი გას-

როლის ხმა, მოუხედავს და დაუნახავს ძირს დავარდნილი ადამიანი, რომელსაც უკვე ბევრი სისხლი ჰქონდა დაკარგული. მეორე თანამემამულეს, ბოლქვაძის ჩვენებითვე, მაგრად ეჭირა ადამიანი, რომელსაც გასროლა მოუხდენია.

1931 წლის 8 იანვარს დაიკითხა მოწმე მიხეილ კედია, რომელიც ცხოვრობდა იტალიის მოედანზე, ბინა N 18-ში. მიხ. კედიამ მიანიშნა, რომ 1930 წლის 7 დეკემბერს დანაშაულის ადგილზე ის არ იმყოფებოდა, თუმცა ერთ-ერთი თანამემამულის შეტყობინების შემდეგ, მისულა პოლიციაში და შეუსრულებია თარჯიმნის მოვალეობა. მიხ. კედია აღნიშნავს: „მე ვიცნობდი ნ. რამიშვილს 13 წლის განმავლობაში, როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს. იგი დამხობილი იყო საბჭოელთა მიერ 1921 წელს რუსეთის აგრესიის შემდეგ. 1918 წლის 26 მაისს საქართველომ გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობა და ბატონი რამიშვილი გახდა ამ მთავრობის საბჭოს პირველი თავმჯდომარე. მაგრამ 1921 წელს საბჭოელებმა ისევ მოახდინეს საქართველოს ოკუპაცია და მთელმა მთავრობამ ბატონ რამიშვილის ჩათვლით, დატოვა საქართველო, რათა არ ყოფილიყვნენ დასჯილნი ბოლშევიკების მიერ“. შემდეგ მიხ. კედია გამოთქვამს თავის მოსაზრებებს პ. ჭანუყვაძესთან და ნ. რამიშვილთან დაკავშირებით: „მე არ ვიცნობდი ჭანუყვაძეს. მე არ ვიცი, თუ რომელ პოლიტიკურ პარტიას მიეკუთვნებოდა იგი. მე არ ვიცი ზუსტად – არის, თუ არა ჭანუყვაძე საბჭოეთის აგენტი.

ნოე რამიშვილი იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა მათ შორის, ვინც იმყოფებოდა პარიზში, ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ მისი აქტიურობა არ გამოეპარა საბჭოეთს, რომელიც მას უთვალთვალებდა. მისმა მკვლელობამ მე არ გამაკვირვა და მე ვთვლი, რომ იმ დროისათვის ეს იყო ბოლშევიკების შურისძიება“.

იმავე დღეს დააპირისპირეს მიხ. კედია და პ. ჭანუყვაძე. ამ უკანასკნელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილ მოწმეს არ იცნობდა.

1931 წლის 13 იანვარს გამომძიებელს წერილობით მიმართა ნოე რამიშვილის ქვრივმა მარიამ რამიშვილმა:

„თქვენ, ამა წლის 8 რიცხვში, ხუთშაბათს, კეთილ ინებეთ და შემახსენეთ იმ განმარტებების თაობაზე, რომლებიც მე გავაკეთე პოლიციის კომისრის წინაშე, ჩემი მეუღლის მკვლელობიდან მეორე დღეს.

აღნიშნული განმარტებები ეხებოდა ბრალდებულის მხრიდან სახალხოდ ერთ-ერთი შეკრების დროს გაკეთებულ მუქარას მის მომავალ მსხვერპლთან დაკავშირებით. ინფორმაცია მე მომაწოდეს, როგორც მე ადრე განვაცხადე, მეგობრებმა, რომლებიც მოვიდნენ მკვლელობის დღეს, რათა გამოეთქვათ ჩემთვის სამძიმარი.

შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ ისინი არ შეესაბამებოდნენ სიმართლეს და ჭეშმარიტების დადგენის სურვილი მავალდებულებს განგიცხადოთ ამის შესახებ დროულად.

იმ პერიოდში, როდესაც მე მომეწოდა ზემოაღნიშნული ინფორმაცია, ვიმყოფებოდი ღრმა მწუხარების ვითარებაში და ფაქტიურად არ მქონდა დრო მათ გადასამოწმებლად, რის გამოც დავუშვი შეცდომები, რასაც გულწრფელად ვაღიარებ“.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში საკითხი შემდგომში მდგომარეობდა: ნოე რამიშვილის გარდაცვალების დღეს მის მეუღლესთან სამძიმრის სათქმელად იმყოფებოდნენ ქართული პოლიტიკური ემიგრაციის

წარმომადგენლები, დამოუკიდებელი საქართველოს ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის მეგობრები, რომელთაც საუბრისას დამწუხრებულ ქვრივს აუწყეს, რომ მკვლელობაში ბრალდებულ პ. ჭანუყვაძეს თითქოსდა ერთ-ერთ შეკრებაზე სახალხოდ გამოუთქვამს ნ. რამიშვილის მოკვლის სურვილი. სწორედ ეს უცნობებია ქ-ნ მ. რამიშვილს გამოძიების პირველსავე დღეებში პარიზის პოლიციისათვის, თუმცა უცნობია, თუ რამ ან ვინ აიძულა საწინააღმდეგო განცხადების გაკეთება.

როგორც წინასწარი, ასევე სასამართლო გამოძიების პროცესში ერთ-ერთ მთავარ მოწმედ ფიგურირებდა ქართველი ემიგრანტი დომენტი ქერქაძე, რომელიც განტევების ვაცად იქცა როგორც პ. ჭანუყვაძის მხარდამჭერთა, ისე მოწინააღმდეგე ქართველ ემიგრანტთა დაჯგუფებების ხელში. ამაში უფრო ღრმად დავრწმუნდებით, როდესაც დ. ქერქაძის დაკითხვის ოქმს და ემიგრანტთა დამოუკიდებელი გამოძიების მიერ დაფიქსირებულ რამდენიმე ურთიერთგამომრიცხავ ჩანაწერს გავეცნობით, თუმცა სასამართლომ საბოლოოდ მისი მოსაზრებები სარწმუნოდ არ მიიჩნია და ისინი არ გაიზიარა.

მოწმე დომენტი ქერქაძე, 25 წლის, დაბალი კვალიფიკაციის დამხმარე მუშა, მცხოვრები პერსელვალის ქ. N 6-ში დაიკითხა 1931 წლის 24 თებერვალს. დ. ქერქაძემ განაცხადა:

„1930 წლის დასაწყისში, მე, ორთვე-ნახევრის განმავლობაში, ვცხოვრობდი ერთ ჭერქვეშ ჭანუყვაძესთან ერთად. ჩვენ ვქირაობდით ოთახს სასტუმრო „პაკსში", სანტ-კლუს ქ. N 37-ში და ნაციონალურ მოედანზე ბელანკურში.

მე ის შევიკედლე, ვინაიდან იყო უსახსროდ. ჩვენ ყოველთვის გვქონდა კონტაქტები ქართველ თანამემამულეებთან და რუსებთან, რომლებიც ცხოვრობდნენ პარიზში. ერთხელ ჭანუყვაძემ ჩაიცვა ჩემი ლაბადა და როდესაც მან მე ის დამიბრუნა, მის ერთ-ერთ ჯიბეში აღმოვაჩინე პარიზში საბჭოთა რუსეთის საელჩოს, რომელიც მდებარეობს გრენელის ქ. N 79-ში, მოსაწვევი წერილი. აღნიშნულ წერილზე მინიშნებული იყო: „მობრძანდით აქ". მან მე ეს წერილი მომთხოვა ორი დღის შემდეგ და მე დავუბრუნე. მაშინ ჭანუყვაძემ აიღო „პარაბელუმის" სისტემის რევოლვერი და მკითხა „წამოხვალ შენ ჩემთან ერთად?". მე შემეშინდა და გაეყევი მას. ჩვენ ერთად მივედით საბჭოთა საკონსულოში. ვიღაცამ იკითხა ჩემი გვარი, წლოვანება და სხვადასხვა განმარტებები, მათ შორის რამდენი ხნის განმავლობაში ვიმყოფებოდი საფრანგეთში და ა.შ. მე მკითხეს – მინდოდა თუ არა დაბრუნება საქართველოში, რაზეც გავეცი დადებითი პასუხი. ჭანუყვაძემ, რომელიც ჩემთან ერთად იმყოფებოდა, მითხრა – „15 დღის ან 3 კვირის შემდეგ ჩვენ გავემგზავრებით საქართველოში!" მე ამის შემდეგ მას აღარ შევხვედრივარ, გარდა 1930 წლის 6 დეკემბრისა, როდესაც მას შევხვდი შემთხვევით, დაახლოებით 22.30 საათზე სოვაჟეოს ქუჩაზე. მან მკითხა, ვიცოდი თუ არა, სად ცხოვრობდა ნ. რამიშვილი. ვუპასუხე, რომ ამის თაობაზე არაფერი ვიცოდი და ჩვენ ერთმანეთს დავცილდით".

იმავე დღეს დააპირისპირეს დ. ქერქაძე და პ. ჭანუყვაძე. გაეცნო რა დ. ქერქაძის ჩვენებას, პ. ჭანუყვაძემ აღნიშნა: „ყველაფერი, რაც კი თქვა მოწმემ, ტყუილია. მართალია მხოლოდ ის, რომ 4,5 თვის მანძილზე ვცხოვრობდი მასთან ერთად, დანარჩენი ტყუილია. მის ტყუილზე მოწმობს ის, რომ მას ეშინია და არ ისურვა ჩემი თანდასწრებით მიეცა ჩვენება. ამასთან ერთად ის ბანდიტია, რომელმაც გაძარცვა საფოსტო განყოფილება თბილისში".

დ. ქერქაძემ, თავის მხრივ, განაცხადა, რომ პ. ჭანუყვაძე ცრუობდა.

1931 წლის 24 და 27 თებერვალს დაიკითხნენ მოწმეები ბენუა მოსიენი, მკვლელობის თვითმხილველი და ლუი ბაინი – პოლიციელი.

1931 წლის 18 მარტს დაიკითხა 50 წლის მარიუს კონში, რომელმაც განაცხადა:

„მე ვცხოვრობ ქალბატონ რამიშვილის თითქმის მოპირდაპირე მხარეს. მისი მეუღლის გარდაცვალებიდან რამდენიმე დღით ადრე, დღის მეორე ნახევარში, შორიახლოს შევნიშნე უცხოელი, რომელიც ჩვენი ვილის მახლობლად მიმოდიოდა.

დანაშაულის მოხდენიდან მეორე დღეს მომეჩვენა, რომ გაზეთებში გამოქვეყნებული მკვლელის პორტრეტში შევიცანი ზემოაღნიშნული პიროვნება".

იმავე დღეს კონშ მარიუსი დააპირისპირეს პ. ჭანუყვაძესთან. პ. ჭანუყვაძემ დაპირისპირებისას აღნიშნა, რომ არასდროს ყოფილა ფონტენეი ო როზიზე და საერთოდაც არ იცოდა მისი ადგილ-სამყოფელი: „მე არ შემიძლია ამოვიცნო წარმოდგენილ პიროვნებაში ის, ვინც ვიხილე ჩვენს კვარტალში. პიროვნება, რომელიც მე შევნიშნე, როგორც მე მომეჩვენა, იყო უფრო ღია ფერის სახის. მე ეს ადამიანი ვერ ამოვიცანი".

1931 წლის 18 მარტს დაიკითხა მოწმე ჟანა ხუბერტი, კონშის მეუღლე. მან განაცხადა შემდეგი:

„ჩემი ძაღლის ყეფამ მაიძულა შემემჩნია ადამიანი, რომელიც, როგორც მომეჩვენა, იყო უცხოელი. იგი კვარტალში აქეთ-იქით მიმოდიოდა. მომეჩვენა, რომ ამ ადამიანში ამოვიცანი რამიშვილის მკვლელი, რომლის ფოტოსურათებიც ქვეყნდებოდა გაზეთებში. ნათქვამს დავამატებ იმასაც, რომ მკვლელობიდან ერთი კვირის განმავლობაში ეს ადამიანი ჩვენს კვარტალში ორჯერ ვნახე".

1931 წლის 9 აპრილს საგამოძიებო ჯგუფის მუშაობის დასრულებასთან დაკავშირებით, ქ. პარიზში ჟანდარმერიის ქვეგანყოფილების უფროსმა ვუინომ ზემდგომი ინსტანციისათვის წარსადგენად მოამზადა პატაკი – დასკვნა პარმენ ჭანუყვაძის პიროვნებასთან დაკავშირებით. აღნიშნულ დოკუმენტში დეტალურად არის ასახული პ. ჭანუყვაძის ცხოვრება და საქმიანობა საფრანგეთში, მისი შემოსავლები და მონაცემები სამსახურისა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. მასში ასევე მინიშნებულია, რომ ის საფრანგეთის სპეცსამსახურისათვის, როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის წევრი, ცნობილი არ იყო და მას საფრანგეთში ყოფნის პერიოდში ამ თვალსაზრისით ყურადღება არ მიუქცევია.

ამით დასრულდა წინასწარი გამოძიება.

ნოე რამიშვილის მკვლელობის პირველივე წუთებიდან ცხადი გახდა, რომ მკვლელი ქართველი ემიგრანტი პარმენ ჭანუყვაძე იყო, რაც აღიარა კიდეც ამ უკანასკნელმა გამოძიების დასაწყისშივე და მიანიშნა მკვლელობის რამდენიმე მოტივზე. თუმცა, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენლებს, უპირველეს ყოვლისა, სოციალ-დემოკრატებს, იმთავითვე გაუჩნდათ აზრი, რომ მკვლელობა ბოლშევიკების წაქეზებით მომხდარა, რისი საფუძველიც, მათი აზრით, რეალურად არსებობდა, ხოლო რაც შეეხებოდა პ. ჭანუყვაძეს, ის საბჭოთა სპეცსამსახურების ხელში ბრმა ინსტრუმენტი ყოფილა. თუ რატომ გაჩნდა ასეთი ეჭვი პ. ჭანუყვაძის მიმართ, ქართველი ემიგრანტების მოსაზრებებშიც იკითხება. მკითხველს ვთავაზობთ ამონარიდებს მათი ახსნა-განმარტებებიდან:

1. შალიკო კალანდაძე წერილობით მიმართავს ძმას (8.02.31):

„...ამ ჭანუყვაძემ დამიწყო ლაპარაკი საქართველოს შესახებ და მახსოვს კარგად მისი ლაპარაკი, რომ ჩვენ ყველა უნდა „გავკომუნისტებულიყავით“ და ამ ჯოჯოხეთისაკენ არ წამოვსულიყავით, რომ კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლა უნიადაგოა და, როგორც მისი სიტყვებიდან სჩანდა, დანაშაულიცაა – „მოეტყუვდით და რაღა საჭიროაო“. ამის შესახებ მე ოდენკურში ველაპარაკე ამხანაგებს, მაგრამ ამაზე არავის ყურადღება არ მიუქცევია. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია სხვა მომენტი. ოდენკურში არ იქნა მიღებული ჭანუყვაძე, როგორც საშიში ელემენტი კოლონიისათვის. ბიუროს წინ იდგა და ვიღაცეებს გამოემშვიდობა. მე ამ დროს ქარხნიდან გამოვედი. მან მათ გააყოლა თვალები, მუშტები დაჭიმა და ჩაილაპარაკა: „დედას გიტირებთ, ჩეკისტი გავხდები და მაგას არ შეგარჩენთო“. მე ამისათვის სრულიად არ მიმიქცევია ყურადღება. გაბრაზებული კაცის შემთხვევით წამოსროლილი სიტყვები მივიჩნიე. შემდეგ კი – ასეთი უსაშინლესი ამბავი“.

2. არჩილ გედევანიშვილი (ქ. პარიზი, 18 დეკემბერი, 1930 წელი):

„...დადიოდა ყველთვის ჩაფიქრებული და ემდუროდა ბედს. ხშირად გამოთქვამდა სურვილს საქართველოში დაბრუნების შესახებ. ვიცი, რომ ეძებდა წყაროებს საქართველოში დაბრუნებაზე. ეს მას გამოუთქვამს ყველას წინაშე და აგრეთვე ჩემთანაც“.

3. ფილიპე შარაძე:

„1929 წლის მაისის დამლევს, თუ ივნისის დამდეგი იქნებოდა, საღამო ხანი იყო, მას შევხვედი „გეტეს“ ქუჩაზე. რამოდენიმე ქართველი იდგა მასთან და მუსაიფობდანენ. ვკითხე, თუ რას შვრება, მუშაობს თუ არა. ის მობრუნდა, ხელი გამომდო და მთხოვა გამევლო მასთან, რადგან ცოტა რამ საქმე მაქვსო. პირველად შემაქო და შემდეგ მითხრა, საქართველოში მივდივარ, ვიზა და ფული მივიღე და შეიძლება რამეს დამაბარებ სახლშიო, თან მთხოვა ერთი კოსტუმი მეყიდინებია და ბოლტებიანი ტრიკოს შალვარი. არ მომეწონა ეს და მაშინვე ვუთხარი, რომ იცი ბოლშევიკები შენ ასე ადვილად არ შეგირიგებენ. ისინი უთუოდ ჩეკისტობას მოგთხოვენ და ხომ იცი შენ იძულებული იქნები ის ხალხი, რომლებიც ჩვენ გვინახავდა და ჩვენთვის თავს სწირავდა, უნდა დაეპატიმრონ და შეავიწროვონ-მეთქი. არა, ასე არ არის საქმე – მიპასუხა. მამაჩემი კარგად იცნობს ფილიპე მახარაძეს და ის დამიდგება თავდებად. მე იმან უნდა გამიშვას, ვინც ჩემი პატრონია. თუ არალეგარულად არ გამიშვეს, მაშინ ვინმეს მოვკლავ უთუოდო. ამ დროიდან ის თითქმის სულ უმუშევრად ცხოვრობდა“.

4. ავთანდილ ურუშაძე (1930 წლის 15 დეკემბერი):

„შარშან, ე.ი. 1929 წლის დეკემბერში ჭანუყვაძე ჩამოვიდა ოდენკურში. ის არ მოდის საზოგადოებასთან ისეთ ჩერდება კაფეში, ქირაობს ოთახს და ამბობს, რომ ჩამოვედი სამუშაოდ. აქ არის შარაბიძე. ის ეწყობა ქარხანაში, მაგრამ იქნა დათხოვნილი ქარხნის დირექტორის მიერ. ჭანუყვაძე მიდის და კოლონიის თავმჯდომარეს ბაქრაძეს უთხრა, რომ შენ გამომაგდეო, ემუქრება კოლონიის გამგეობის თავმჯდომარეს. ამხანაგებმა, მე, პირადად დამავალეს – მიდი, მოელაპარაკე ჭანუყვაძეს, რომ წავიდეს აქედანო. მე წავედი, მოველაპარაკე და დაიწყო მუქრობა. ის წამოვიდა პარიზში და რამოდენიმე დღის შემდეგ ისევ დაბრუნდა უკან. რა საქმეზედ – არ ვიცი. მოდის ახლა და მიბარებს. მივედი და მითხრა: მე ოდენკურში

ჩამოსვლა ფული დამიჯდა, მომეცით ეს თანხა. ის ასახელებდა დაახლოებით 800 ფრანკს. იყო ჩემი პასუხი: „არავითარ შემთხვევაში ერთი ფრანკის გამლებიც არა ვართ...“ ეს იყო დაახლოებით იანვრის პირველ რიცხვებში. ამ დღეებში ჩვენთან ჩამოდის ბატონი ნოე რამიშვილი. ის ეცნობა ამ მდგომარეობას და მეუბნება, რომ მომიყვანეთ, მე მოველაპარაკები, შეიძლება დავაჯეროო რამე. ნოე რამიშვილი მას ვერ იცნობდა. გამოელაპარაკა. ჭანუყვაძემ წამოაყენა ეს მოთხოვნილებანი. ეს ფული დამეხარჯა და მომეცითო. მაშინ ნ. რამიშვილი წამოდგა და გვითხრა, თუ გსურთ უსიამოვნება მოიცილოთ თავიდან, მიეცით ამ კაცს რამდენიც შეგიძლიათ და ის წავა აქედანო. რამიშვილის რჩევით მივეცით 500 ფრანკი. ადგა ჭანუყვაძე და მადლობა გადაუხადა რამიშვილს, თქვენ რომ არ მობრძანებულიყავით, ასე ამ ფულს არ მომცემდენო. აქ იყო კოლია, კოლონიის თავმჯდომარე ბერაძე, ზოსიმე ჯორბენაძე და მე – ავთო ურუშაძე. ჭანუყვაძემ დატოვა ოდენკური. მე, კატეგორიულად ვამბობ – ჭანუყვაძე თავის დღეში არ ყოფილა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი საქართველოში“.

5. გრიგოლ ორაგველიძე (1930 წლის 17 დეკემბერი):

„უფროსი ამხანაგების დავალებით (ს. მენაღარაშვილი და კ. საბახტარაშვილი) მე მსურს სქემატურად დავახასიათო პარმენ ჭანუყვაძე და ეჭვს ქვეშ მყოფი დავით მუჯირი. პირველს – მკვლელს ვიცნობდი ძლიერ ცოტად. ოდენკურში მე ჩავედი სხვა მუშებთან ერთად. ის კიდევ იდგა რატომღაც მოშორებით ჩვენს წრესთან. ჩვეულებრივი ოხუნჯობით მე მას ერთხელ მივმართე – პარმენ რაშია საქმე ბიჭო, რომ თავი ეგრე გიჭირავს შორს. ეგრე იფიქრებენ, კაცი შენი შემხედვარე, თითქოს შენ იმყოფებოდე შენს ამხანაგებთან კი არა, არამედ შენს მტრებში. პასუხი დამახასიათებელი იყო, რაიც მე მომყავს სიტყვა-სიტყვით: „შენ ჯერ ახალგაზრდა ხარ. შენ არ იცი რა არის ცხოვრება. მე კი ჩემი დღე განვლე, რასაც ვცოცხლობ, თითქოს ეს კარტში მოგებული ცხოვრებაა. სანამ საჭირო ვიყავ მომიხმარენო, ოჯახი დამაქცევინეს, დღეს კი ყველანი ჩემს წინააღმდეგ არიან“. მეორედ ჩამოვბრუნდი. მკვლელი ისევ ისეთ ხასიათზე იყო. მდგომარეობა უფრო გამწვავებულიყო. ის უკვე აშკარად აგინებდა ყველას, სოციალისტებს და თავს აფარებდა შეფიცულთა სახლებს. როგორც მითხრეს შემდეგ, ის არც შეფიცულებმა მიიღეს და ასე, რომ დარჩა გაურკვეველ პოზიციებზე.

რაც შეეხება დავით მუჯირს. ეგ იყო საქართველოში ჩემი მეგობარი. ჩვენ ერთმანეთს დავშორდით მას შემდეგ, რაც ის გადავიდა საქართველოს ოკუპანტების ბანაკში. პიროვნება მუდამ საეჭვო იყო საქართველოს დაპყრობის შემდეგ. მიუხედავად ამისა უნდა ითქვას, რომ ამ პიროვნებამ ჩემს საქართველოში ყოფნის დროს ბევრჯერ ეწამა ციხეებში. ციხიდან ის გამოვიდა, უკვე სრულად გამოცვლილიყო. ის უკვე კომუნისტებისკენ იცქირებოდა. ჩვენ ერთმანეთს დავშორდით. აჯანყების შემდეგ, ერთი თვის შემდეგ, ის შემხვდა საღამოს სუფრაზე. საუბარი იყო პოლიტიკურ თემაზე. ის აშკარად აგინებდა მოძრაობის სულის ჩამდგმელებს „...какую мерзость они сделали*“. მე გულმოსულმა ისევ რუსულ ენაზე ვუპასუხე: „...эти произнесённые слова, тупость...**“ და ის წავიდა თბილისში. კომუნისტები ვერ დაატუსაღებდნენ, ვინაიდან მას ჯიბეში ჰქონდა რაღაც გამა-

* „...რა საძაგლობა გააკეთეს მათ“

** „...ეს წარმოთქმული სიტყვები, უაზრობაა...“

მართლებელი საბუთი. მე აქ გავიგე მისი ჩამოსვლა, შემატყობინა მისმა დედამ. გამიხარდა მოკლედ იმიტომ, რომ ჩემი მეგობარი დაბრუნდა თავის გზას. მე, მუდამ ვფიქრობდი: ნუთუ გულწრფელია მისი წამოსვლა? თუ სხვა მიზანი არა აქვს. მე გადავწყვიტე, რომ ის წამოვიდა ერთი მიზნისთვის – ესწავლოს... მე ის გამოცვლილი მეჩვენა".

6. გერონტი სურგულაძე (1930 წლის 8 დეკემბერი):

„ჭანუყვაძეს ვიცნობ, როგორც მეზობელს საქართველოდან. პარიზში მას ხანდახან ვხვდებოდი. მისი ლაპარაკიდან ვატყობდი, რომ ის უძლური იყო შეჩვეოდა აქაურ ცხოვრებას. იგი იმდენად იყო დაცემული სულიერად და ზნეობრივად, რომ მისი ლაპარაკიდან სჩანდა, რომ მზად იყო ყოველგვარი ზომები მიეღო სახლში დასაბრუნებლად. ემჩნეოდა, რომ ის ამ მიზნით ცდილობდა დაკავშირებოდა ბოლშევიკურ საელჩოს. ჩემის ღრმა რწმენით, ჭანუყვაძეს არ გააჩნდა არც გამბედაობა და არც ნივთიერი საშუალება ასეთი აქტის შესასრულებლად. ის შეიქმნა ბოლშევიკების ბრმა აირაღი".

7. ქრისტეფორე ინაიშვილი (1930 წლის 16 დეკემბერი, პარიზი):

„პარმენ ჭანუყვაძეს ვიცნობ მე საქართველოდან. ვმსახურობდით ერთად სამხედრო სამსახურში. ჭანუყვაძე არავითარ პოლიტიკურ პარტიას არ ეკუთვნოდა და არც საქართველოში და არც აქ არ ყოფილა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. ყველა ქართველი ოდენკურში საეჭვო თვალით უყურებდა ჭანუყვაძის მოქმედებას. თითქმის ოდენკურში მყოფი ქართველები ყველა გაიმიჯნა მისგან. იქაურ პოლიციის თვალში საეჭვო შეიქმნა ჭანუყვაძე. ის 1926 წელს გადმოვიდა პარიზში. აქ კი გავიგე, რომ მას ჰქონდა კავშირი ბოლშევიკების საელჩოსთან. როცა შევხვდებოდი, ვეტყოდი, თუ რას აკეთებ თქვა – მიპასუხებდა, არაფერსო. მუშაობით არ მუშაობდა და არც სურდა სამუშაოზე მოწყობა. ამა წლის დასაწყისში, ის წავიდა ქალაქ ოდენკურში. ჩემი დაკვირვებით, იქ ელოდებოდა ბ-ნ რამიშვილს და იქ აპირებდა სისრულეში მოეყვანა ГПУ*-ს დავალება. ბატონი რამიშვილი მას სულ ვერ იცნობდა. ჩემი შეხედულებით ჭანუყვაძე იყო ყოვლად უინიციატივო. მას, თავისი ინიციატივით არ შეეძლო არავითარი საქმის გაკეთება და ის შეიქმნა ბრმა იარაღი ГПУ-ს".

8. ვალიკო ინწკირველი (1930 წლის 9 დეკემბერი):

„აქ, პარიზში, ყველას, ვინც შეხვდებოდა, სახლში დაბრუნებას ურჩევდა. ჩემთან ლაპარაკის დროს კიდეც წამოცდა, რომ ის მალე დაბრუნდებოდა ბოლშევიკური საელჩოს მეშვეობით. სწორედ მე მას ამ ხანებში ხშირად ვხედავდი დავით მუჯირთან ერთად, რომელიც საეჭვოდ მიმაჩნია და რომელმაც, ჩემი ღრმა რწმენით, ბევრი იცის ჭანუყვაძის კავშირზე ბოლშევიკებთან. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჭანუყვაძე ჩვენი ქვეყნის მტრების მოსყიდულია და ამ საფასურით, რომელიც ბოლშევიკების წაქეზებით ჩაიდინა, სურდა საქართველოში დაბრუნება. ის იმდენად ლაჩარი და მშიშარაა, რომ თავისი გადაწყვეტილებით ასეთ მკვლელობას ვერ ჩაიდენდა".

9. პოლიკარპე ინწკირველი (1930 წლის 8 დეკემბერი):

„...ერთხელ მას ვუშოვე სამუშაო, მაგრამ დროებითი საქმე მაქვსო, თუ რა საქმე არ უთქვამს, მაგრამ როგორც ვეჭვობ, ეს მკვლელობა იყო მისი საქმიან-

* Государственное политическое управление – სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო

ობა. უკანასკნელი წლების განმავლობაში ისე ეჭირა თავი, სრულიად ადვილი იყო ბოლშევიკების აგენტებს მასთან დაეჭირათ საქმე და მიეცათ რაიმე დავალება. ქართველებისაგან მისი გამიჯვნა იყო გამონვეული იმით, რომ დადიოდა, სახლში უნდოდა წასვლა და ბოლშევიკების საელჩოში დადისო".

ყურადღებას იმსახურებს ემიგრანტ დომენტი ქერქაძის მიერ საკუთარი ხელით შესრულებული სამი წერილი, თუ ჩანაწერი.

1. დ. ქერქაძის წერილი, დათარიღებული 1931 წლის 28 იანვრით:

„ქალბატონო მარო, მაქვს პატივი დამატებით გაცნობოთ შემდეგი: ჭანუყვაძის მკვლელობის წინ სამი ოთხი დღისა, მითხრა, რომ ბიჭო, თუ რაიმე საქმე მომივიდეს და ჩავვარდი, მიმართე ალ. ასათიანს, ალიკა ამილახვარს, ლეო კერესელიძეს, სპირიდონ კედიას, სიმონიკა ბერეჟიანს და უთხარი, რომ დამეხმარონ, ვექილები დამიქირაონ".

2. დ. ქერქაძის უთარიღო წერილი, შესრულებული ნაგლეჯ ფურცელზე გაკრული ხელით და როგორც ჩანს ნაჩქარევად. იკითხება ძნელად:

„1930 წლის დეკემბერში მოხდა ნოე რამიშვილის მკვლელობა, რამაც თავისებური გავლენა მოახდინა ქართველ მენშევიკებზე. როგორც ირკვევა, მათ ეს არასასიამოვნო ამბავი – მკვლელობა, თავისი პარტიული მიზნების გასატარებლად გამოიყენეს, რისი მსხვერპლიც მე შევიქენი. საქმე შემდეგნაირად დაიწყო: ნ. რამიშვილის მოკვლის და დასაფლავების შემდეგ მივიღე ცნობა, რომ ქართველ ლეგაციაში მიბარებენ, სადაც დაუყოვნებლივ გამოვცხადდი. იქ დამხვდა ს. მენაღარაშვილი და შ. ბერიშვილი, ორი ცნობილი მენშევიკი. მათ მოურიდებლად მითხრეს, რომ მე უნდა ვიკისრო ცრუ მოწმის, ხოლო სასამართლოს წინაშე უნდა შევეცადო მტკიცება, რომ რამიშვილის მკვლელობა ჭანუყვაძის მიერ დანამდვილებით იყო ბოლშევიკების დავალებით ჩადენილი. ჩემს უარს ენერგიული მუქარა მოჰყვა და შემოტევა. რამდენადაც დიდი იყო წინააღმდეგობა ჩემს მხრიდან, იმდენად მეტი იყო გაკაპასება და მუქარა. დავრწმენდი, რომ საქმე უფრო სერიოზული იყო, ვიდრე მე მომეჩვენა და თვით ჩემი სიცოცხლეც საფრთხეში დავინახე. იძულებული შევიქმენი მათ მიერ წინდაწინ დამზადებული წერილი რამიშვილის ქვრივის სახელზე გადამეწერა და ხელი მომეწერა. ამის შემდეგ მივიღე საბახტრიშვილისაგან ცნობა, რომ დაბარებული ვარ სასამართლოში. პირზე დადგომის წინა წუთებამდე (...გაუგებარია – გ.ს.), თუ არა და მენშევიკური მთავრობა შურს იძიებდა და ჩემს თავს მოაკვლევინებდა, შიშისა და მუქარის ქვეშ ვიყავი როცა წარვუდექი სასამართლოს. გავიმეორე ადრე დაწერილი სიყალბე, რის შემდეგაც სახლში აღარ გამომიშვეს და დამაბინავეს ბიანკურში (გაუგებარია, არ იკითხება – გ.ს.). შემორტყმული ვიყავი მათთვის საიმედო ხალხით. შემდეგ გადის რამოდენიმე ხანი და სრულიად მოულოდნელად მეძახიან ტელეფონით და მაძლევენ მისამართს, სადაც ვითომ მელის ვექილი და უნდა დაუყოვნებლივ გამოვცხადდე. (გაუგებარია – გ.ს.) შევხვედროდი პოლ ბონკურს. ვუამბე ყოველივე რაც თქვენ გაუწყეთ. მან მიპასუხა, რომ განმეცხადებია სასამართლოში. ამით დასრულდა ჩემი მასთან საუბარი".

(შემდეგი აბზაცი გაუგებრად იკითხება. როგორც ჩანს, საუბარია ს. მენაღარიშვილზე და ტორესის მიერ ქრთამის შეძლევაზე... – გ. ს.).

3. დ. ქერქაძის, 1931 წლის 12 აგვისტოს წერილი:

„1930 წლის დეკემბრის თვეში იქნა ტრაგიკულად მოკლული ნოე რამიშვილი. მკვლელია ჭანუყვაძე, რომელიც მან კომუნისტების დავალებით მოკლა. ნოე რამიშვილის სიკვდილის ცოტა ხნის შემდეგ, მე ეს წერილობით ვაცნობე მის დამქვრივებულს, ვინაიდან მე კარგად ვიცოდი, თუ რა დამოკიდებულებაში იყო ჭანუყვაძე კომუნისტებთან და ვარ მოწამე იმისა, რომ მან არა პირადი განზრახვით მოკლა, არამედ ის ეწეოდა აგენტობას და მან შეასრულა კომუნისტების დავალება. სიკვდილამდის მე არ მჯეროდა, თუ ამ სისაძაგლეს ჩაიდენდა ჭანუყვაძე. როდესაც მე წერილი გავუგზავნე მის დამწუხრებულ მეუღლეს, წერილი იქნა მიტანილი სუდში, სადაც მე დამიბარეს და ყველასფერი სიმართლით პირდაპირ წარვუდექი ჭანუყვაძეს და განვუცხადე, რომ მან მოკლა ნოე რამიშვილი კომუნისტების დავალებით. ცოტა ხნის შემდეგ, მე რომ ჭანუყვაძეს პირადად წარვუდექი, ჭანუყვაძის ამხანაგებმა მე სიკვდილის მუქარით დამაძალეს და სადაც ჩემთან ერთად წამოვიდნენ პროზექტურაში და მათი განცხადებით და ძალდატანებით, მე ნებას დავყევი, ვინაიდან მე არავითარი ძალა არ მქონდა და არ მომეცა საშუალება სიმართლის ლაპარაკისა, სანამ ყველაფერი გამოაშკარავდება და ვილაპარაკო ყველაფერი ის, რაც სიმართლეს წარმოადგენს. ჩემთან ერთად, რომლებიც მოვიდნენ სიკვდილის დამუქრებით ესენი იყვნენ თომა ბექაური, ლილე ჩიქოვანი, სინჯიკაშვილი, გეგელია, რომლებმაც წინადადება მომცეს, რომ თუ არ გადავთქვი, სიკვდილი მომელოდა და მათმა მოაწყვეს ჩემი ტორეზთან მისვლა, ვითომ მე მეძახოდა ტორეზი, სადაც მე შეცდომით მიმიყვანეს. ამის შემდეგ ვუამბე, რომ ტორეზმა მე მასთან მიმიტყუა და ქრთამი შემომაძლია, რომ ეს ჭანუყვაძის საქმე გადამებრალებია და კომუნისტებს არ დაბრალებოდათ. ამის შემდეგ მე, სპირიდონ კედიამ მომცა წინადადება, რომ მე და საერთოდ უმრავლესობა, წინააღმდეგია, რომ ჭანუყვაძეს დაუმტკიცდეს კომუნისტების დავალებით რამიშვილის მკვლელობაო“.

ამ სამი დოკუმენტის მიხედვით შეუძლებელია იმის თქმა, თუ რა შემთხვევაში ამბობს სიმართლეს დ. ქერქაძე და როდის ცრუობს, თუმცა ფაქტია, რომ ეს დოკუმენტები არსებობენ და ნ. რამიშვილის მკვლელობის დოკუმენტური მასალის ანალიზისას მათ ანგარიში უნდა გაეწიოს.

ქართველ ემიგრანტთა მიერ გამოთქმული მოსაზრებებიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პ. ჭანუყვაძე საკმაოდ რთული ხასიათის პიროვნება ყოფილა. ხასიათით ზომაზე მეტად ფიცხს, ძალიან უჭირდა თანამემამულეებთან საერთო ენის გამონახვა, ქედმაღლობდა, განკერძოებულად ცხოვრობდა, უჩიოდა თავის ბედს, ვერ ეგუებოდა ემიგრანტულ ცხოვრებას, ხშირად იყო უმუშევარი. დიდხანს ერთ ადგილზე მუშაობას გულს ვერ უდებდა, პრაქტიკულად, არავისთან მეგობრობდა, მატერიალურად ძალიან უჭირდა, ხშირად ჰქონდა კონფლიქტური სიტუაციები ქართველ ემიგრანტებთან, მუდმივად გამოთქვამდა სამშობლოში დაბრუნების სურვილს და ეძებდა საამისო როგორც ლეგალურ, ისე არალეგალურ გზებს. პ. ჭანუყვაძემ ამ და სხვა პირადი თვისებების გამო ფეხი ვერ მოიკიდა ოდენკურში „პეჟოს“ ქარხანაში, სადაც ქართველ ემიგრანტთა ყველაზე დიდი კოლონია იყო. უფრო მეტიც – შეიქმნა კონფლიქტური სიტუაციები, რის შედეგადაც ის გამოძევებულ იქნა ოდენკურიდან ქართული სათვისტომოს თავკაცების მიერ. პ. ჭანუყვაძეს თანამემამულეები უინიციატივო პიროვნებად მიიჩნევდ-

ნენ, რის გამოც ისინი თვლიდნენ, რომ მას არ შეეძლო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერის მკვლელობის გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება.

გამოკითხულ ქართველ ემიგრანტთა უმეტესობა ადასტურებდა, რომ პ. ჭანუყვაძე ეძებდა გზებსა და საშუალებებს საფრანგეთში საბჭოთა დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან კონტაქტებისათვის. პოლიტიკური თვალსაზრისით, პ. ჭანუყვაძე აპოლიტიკური პიროვნება იყო, მიიჩნევდნენ ქართველი ემიგრანტები. ის არ ყოფილა რომელიმე პარტიის, მით უმეტეს, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. მისი სიმპათიები უფრო ეროვნულ-დემოკრატებისაკენ, მეტადრე თეთრგიორგელებისა და შეფიცულებისაკენ იხრებოდა. გამოკითხული ქართველი ემიგრანტები მიანიშნებენ პ. ჭანუყვაძის გამონათქვამებზე მისი მამისა და ცნობილი ბოლშევიკის ფილიპე მახარაძის მეგობრობაზე, რომ თუკი არ გაუშვებდნენ სამშობლოში – აუცილებლად ვინმეს მოკლავდა; მის მოსაზრებაზე, რომ ქართველები ემიგრაციაში არ უნდა წასულიყვნენ და „გაკომუნისტებულიყვნენ“ და სხვა.

### სასამართლო პროცესი

ნოე რამიშვილის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით სასამართლო პროცესი გაიხსნა 1931 წლის 12 ნოემბერს ქ. პარიზში, დღის ორ საათზე და მან სულ სამ დღეს გასტანა.

სენის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თავმჯდომარეობდა ბ. ბარნო. სახელმწიფო ბრალმდებლის როლში გამოდიოდა ბ. სირანი. ბრალდებულ პარმენ ჭანუყვაძის ადვოკატები იყვნენ ანრი ტორესი და გაბრიელ დელატრი. ნ. რამიშვილის ქვრივის, მარიამ რამიშვილის, როგორც სამოქალაქო მოსარჩელის, ინტერესებს იცავდა ვექილი მორო დე ჯიაფერი. აღსანიშნავია, რომ მორო დე ჯიაფერის ნაცვლად თავდაპირველად დაცვის ფუნქცია უნდა შეესრულებინა საფრანგეთის პარლამენტის ყოფილ წევრს პოლ ბონკურსა და მის სიძეს – დარსს. პ. ბონკურმა დატოვა სოციალისტური პარტია და შევიდა საფრანგეთის მთავრობის შემადგენლობაში, ქ-ნ მარიამ რამიშვილის დაცვა კი ადვოკატ მორო დე ჯიაფერის გადააბარა.

გარკვეული ფორმალური პროცედურების შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ გამოაქვეყნა საბრალდებო დასკვნა, რომლის თანახმადაც პ. ჭანუყვაძეს ბრალი ედებოდა შემდეგში:

1. 1930 წლის 7 დეკემბერს, დღის 3 საათზე, გობლენის ქუჩაზე იარაღიდან გასროლით მოკლა საქართველოს ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი;

2. მკვლელობა ჩაიდინა, მისივე განცხადებით, წინასწარი განზრახვით;

3. მკვლელობა მოხდა მსხვერპლის ხაფანგში წინასწარი შეტყუებით;

4. პ. ჭანუყვაძეს ასევე წინასწარი განზრახვით გადაწყვეტილი ჰქონდა სარდიონ მენაღარაშვილის სიცოცხლის ხელყოფა.

ამის შემდეგ სასამართლო შეუდგა მოწმეთა დაკითხვას. აღსანიშნავია,

რომ სასამართლო სხდომების მიმდინარეობის პროცესში ბრალდებულ პ. ჭანუყვაძეს, მთლიანობაში თავი მშვიდად ეჭირა და თავს დამნაშავედ არ ცნობდა.

თავდაპირველად დაიკითხა დოქტორი პოლიონი, რომელმაც სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დაადასტურა, რომ მკვლელობა ჩადენილი იყო ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით და მიბჯენით.

შემდგომ დაიკითხა სარდიონ (სანდრო) მენაღარიშვილი, რასაც მოჰყვა რამდენიმე გაუგებრობა, დაკავშირებული მოწმის მიერ სხდომაზე სასაუბრო ენის არჩევასთან დაკავშირებით. თავდაპირველად, ს. მენაღარიშვილს სხდომის თავმჯდომარემ შესთავაზა სათქმელი რუსულ ენაზე გამოეთქვა, რისთვისაც მორო დე ჯიაფერიმ თარჯიმნად პარიზის უნივერისტეტის სამართლის პროფესორის მიხეილ მუსხელიშვილის კანდიდატურაც კი წამოაყენა, თუმცა საბოლოოდ გადაწყდა, რომ ს. მენაღარიშვილი სასამართლო სხდომაზე ფრანგულად ისაუბრებდა. ს. მენაღარაშვილმა გაიმეორა წინასწარი გამოძიებისათვის მიცემული ჩვენება, რომ პ. ჭანუყვაძე მკვლელობის მომენტში მათთან მალულად მიიჭრა და ნ. რამიშვილს პირდაპირი მიბჯენით ესროლა, მკვლელი ასევე ცდილობდა თვით მის მოკვლასაც კი, თუმცა ხელჩართულ ბრძოლაში, და უკვე თავმოყრილი ხალხის თანდასწრებით, მას ეს ვეღარ მოუხერხებია. ს. მენაღარაშვილს შეკითხვები დაუსვეს როგორც პ. ჭანუყვაძის ადვოკატებმა, ისე მოწინააღმდეგე მხარემ.

შემდეგ დაიწყო პ. ჭანუყვაძის დაკითხვა. ჭანუყვაძემ მკვლელობის მოტივებად წინასწარი გამოძიებისას დასახელებული, ოდნავ განსხვავებული ვარიანტი წარმოადგინა, კერძოდ:

1. პირადი შურისძიება, დაკავშირებული „პეჟოს“ ქარხნიდან გამოძევებასთან, რაშიც ნ. რამიშვილს სდებდა ბრალს;

2. ნ. რამიშვილს შეეძლო პ. ჭანუყვაძის საქართველოში გაგზავნა, მაგრამ არ დაეხმარა;

3. ნ. რამიშვილი თავისი საქმიანობითა და მსოფლმხედველობით, საქართველოს მტერი იყო და ზრუნავდა მხოლოდ პირადი კეთილდღეობისათვის.

სხდომაზე, მოწმეთა ჩვენებების თანახმად, კიდევ ერთხელ დადასტურდა ბრალდებულის მოტივების უსაფუძვლობა. აღნიშნულის თაობაზე ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს მიერ მომზადებულ სრულიად საიდუმლო ანგარიშში მინიშნებულია შემდეგი: „Мотив убийства было установить юридическими данными. Те мотивы, которые приводит обвиняемый Чануквадзе, не могут объяснить совершенного им акта*“.[259]

სხდომის პირველ დღეს მოწმეებად იყვნენ დაკითხულები ჟან მარტენი და ანდრეა მარკე, რომლებმაც ისაუბრეს ნოე რამიშვილის პირად დადებით თვისებებსა და მის დამსახურებებზე საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხში.

სასამართლო სხდომის მეორე დღეს განსაკუთრებული ენებათაღელვა გამოიწვია მოწმე დომენტი ქერქაძის ახსნა-განმარტებებმა. ამ უკანასკნელმა გაიმეორა წინასწარი გამოძიების დროს მიცემული ჩვენება. კერძოდ, ნ. რამიშვილის მკვლელობიდან რამდენიმე დღის შემდეგ დ. ქერქაძეს წერილობით მიუმართავს ნ. რამიშვილის მეუღლისათვის. წერილში აღნიშნული ყოფილა, რომ დ. ქერქაძე

* მკვლელობის მოტივი დადგინდა იურიდიული მონაცემებით. ის მოტივები, რომლებიც მოჰყავს ბრალდებულ ჭანუყვაძეს, ვერ ხსნის მის მიერ ჩადენილ აქტს.

კარგად იცნობდა პ. ჭანუყვაძეს, ვინაიდან ბოლო თვეების განმავლობაში ერთად ცხოვრობდნენ. დ. ქერქაძე და პ. ჭანუყვაძე ორჯერ ყოფილან საფრანგეთში სსრკ-ის საელჩოში. ორივე შემთხვევაში დ. ქერქაძე თითქოსდა გარეთ უცდიდა პ. ჭანუყვაძეს. ამ უკანასკნელს შენობიდან გამოსვლისას დ. ქერქაძისთვის უთქვამს, რომ მისი საქართველოში დაბრუნების საკითხი წყდებოდა და შეპირებია, რომ ქერქაძესაც წაიყვანდა სამშობლოში.

ზემოაღნიშნული წერილის გადაცემიდან რამდენიმე დღის შემდეგ, დ. ქერქაძე, ემიგრანტ გ. გეგელიას თანხლებით, მისულა პოლიციაში, სადაც წერილობითი განცხადება გაუკეთებია იმასთან დაკავშირებით, რომ ნ. რამიშვილის ქვრივისადმი გაგზავნილი წერილი, თითქოსდა, ს. მენაღარიშვილისა და შ. ბერიშვილის მხრიდან ძალდატანებით ჰქონდა დაწერილი. რამდენიმე დღის შემდეგ დ. ქერქაძეს თავისი მეგობრებისათვის უცნობებია: „სპ. კედიას ტენდეციის ხალხი: გეგელია და მისი მეგობრები დამემუქრნენ, დამაშინეს, მოტყუებით მიმიყვანეს ჭანუყვაძის დამცველ ადვოკატ ტორესის კაბინეტში, სადაც მისმა თანაშემწემ მიმიღო და მის წინაშე აღნიშნული პირების ჩაგონებით უარი ვთქვი პირველ ჩვენებაზე, ჩვენება მენაღარიშვილის და ბერიშვილის მიერ მუქარით გამოტყუებულად გამოვაცხადე. ტორესის თანაშემწემ მირჩია, ჩემი ნაამბობი პოლიციაში განმეცხადებინაო".

დომენტი ქერქაძის ამ ჩვენების გამო პ. ჭანუყვაძის ადვოკატმა ტორესმა ს. მენაღარიშვილს არაკორექტულად მიმართა და სასამართლოს თავმჯდომარეს განუცხადა, რომ სწორედ ეს უკანასკნელი იყო ის პიროვნება, რომელმაც ზემოქმედება მოახდინა მოწმე დ. ქერქაძეზეო. ს. მენაღარიშვილმა კატეგორიულად უარყო მოდავე მხარის ეს მოსაზრება, ხოლო ქ-ნ ნ. რამიშვილის ადვოკატმა მორო დ'ჯიაფერიმ რეპლიკით უპასუხა: „თქვენ გინდათ, ამოდენა საქმე წვრილმანებზე დაახურდაოთო" .სასამართლოზე დ. ქერქაძემ დაბეჯითებით განაცხადა, რომ სწორი იყო მისი პირველი ჩვენება. რაც შეეხება ტორესთან მისვლას და პოლიციაში განცხადების გაკეთებას, ეს მომხდარა შანტაჟისა და მუქარის შედეგად, რომელიც განუხორციელებიათ გ. გეგელიას და „კედიას ხალხს". დ. ქერქაძემ თავისი საქციელი ახსნა იმით, რომ უნდოდა როგორმე თავი ცოცხლად მიეტანა სასამართლო პროცესამდე, სადაც სიმართლეს განაცხადებდა.

სხდომაზე მოხდა დ. ქერქაძისა და გ. გეგელიას დაპირისპირება. დ. ქერქაძემ კიდევ ერთხელ გაიმეორა ადრე მიცემული ჩვენება. გ. გეგელიამ ძალდატანების ფაქტი უარყო და განაცხადა: „ქერქაძე თვითონ მოვიდა ჩემთან ღამის პირველ საათზე და მითხრა, ძალა დამატანეს და ყალბი ჩვენება მიმაცემინესო. ჩემი რჩევით იგივე განაცხადა პოლიციაში, მე კი მას ვახლდი როგორც თარჯიმანი".

შემდეგ დაიკითხნენ მოწმეები პრადნე და ჟოკი, რომლებმაც დაადასტურეს გ. გეგელიას ჩვენებები. საბოლოოდ პროკურორმა და სამოქალაქო მოსარჩელემ უარი განაცხადეს მოწმე დომენტი ქერქაძეზე, როგორც პიროვნებაზე, რომელიც ნდობას არ იმსახურებდა.

სხდომის მესამე დღეს დაიკითხა მოწმე ვ. ბაქრაძეც, ოდენკურის ქართული კოლონიის თავმჯდომარე, რომელმაც ასევე დაადასტურა წინასწარი გამოძიებისას მიცემული ჩვენება.

სხდომაზე საინტერესო სიტყვით გამოვიდა დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი (მოადგილე) სიმონ მდივანი, რომელმაც საკმაოდ ვრცლად

ისაუბრა ნოე რამიშვილის პიროვნებასა და მის დამსახურებებზე.

სასამართლო განხილვაზე სიტყვით გამოვიდნენ უცხოელი მოწმეებიც: შვეიცარიელი ჟურნალისტი, „ჟურნალ დე ჟენევის" რედაქტორი ჟან მარტენი; საფრანგეთის პარლამენტის დეპუტატი და ქალაქ ბორდოს მერი ადრეან მარკე; ბელგიის ყოფილი განათლების მინისტრი კამილ ჰიუსმანი. მათ ისაუბრეს საქართველოზე, მის სწრაფვაზე თავისუფლებისაკენ, ნოე რამიშვილის პიროვნებაზე, მის დამსახურებაზე საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის ჩამოყალიბებისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმეში, მის საქმიან თვისებებზე, პატრიოტიზმსა და თვალსაჩინო ანტიბოლშევიკურ მოღვაწეზე.

სასამართლომ მოუსმინა აგრეთვე სამ მოწმეს სოფელ ლევილიდან, სადაც რამდენიმე წლის მანძილზე ცხოვრობდა ნ. რამიშვილი ოჯახითურთ. ესენი იყვნენ: ლევილის მერი ბ. გოდფრუა, ქალბატონები გრობი და ბურე. მათმა გამოსვლამ განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე.

შემდგომ დაიწყო მხარეთა კამათი.

პირველმა სიტყვა ითხოვა სამოქალაქო მოსარჩელის ადვოკატმა მორო დე ჯიაფერიმ. მან არგუმენტირებულად გააბათილა პ. ჭანუყვაძის მიერ დასახელებული მკვლელობის მოტივები, ვინაიდან, მისი აზრით, რეალურ მოტივსა და მიზანს ბრალდებული საგულდაგულოდ მალავდა. ადვოკატის შინაგანი რწმენით, პ. ჭანუყვაძე „იყო მოსკოვის ნების აღმსრულებელი." მორო დე ჯიაფერიმ თავის გამოსვლაში განცვიფრება გამოხატა იმის გამო, რომ მას ეგონა, დამნაშავის სკამზე იხილავდა ადამიანს, რომელსაც სინდისის ქენჯნა აწუხებდა და მომხდარს განიცდიდა. მოხდა პირიქით – სასამართლო სხდომის დარბაზში მსხდომი ნოე რამიშვილის ქვრივისა და მისი მცირეწლოვანი შვილების უმწეო მდგომარეობაში დანახვამაც კი ვერ აიძულა პ. ჭანუყვაძე, ბოდიში მოეხადა მათთვის. პ. ჭანუყვაძის ადვოკატის ა. ტორესის გამოსვლა უფრო პოლიტიკური ხასიათისა იყო. მან ვრცლად ილაპარაკა საქართველოს დამოუკიდებლობაზე, რომელიც თურმე ფიქცია ყოფილა და ის სულ რამდენიმე მოსკოვიდან გამოძევებული, ადრე პრორუსული ორიენტაციის პოლიტიკოსის, მათ შორის ნ. რამიშვილის, გამოგონილი ყოფილა. ტორესს მიაჩნდა, რომ პ. ჭანუყვაძე უმუშევრობის მსხვერპლი იყო და ამ მდგომარეობაში ის თითქოსდა, ხელოვნურად ჩააყენეს ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა.

ადვოკატმა დელატრმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ მკვლელობა მომხდარი იყო ძირითადად პირადი მოტივების გამო და შეეცადა ამ მოსაზრების მტკიცებას. სიტყვის დასასრულს მან ადვოკატ მორო დე ჯიაფერის შემდეგი სიტყვებით მიმართა: „თქვენ როგორ ფიქრობთ, ჩვენ ვერ შევძლებდით პოლიტიკურ არენაზე თქვენთვის მოგებას? რა თქმა უნდა, შეგვეძლო. თუკი თქვენ მოიყვანდით 40 მოწმეს, ჩვენ მოვიყვანდით 60-ს, ისეთებს, როგორებიც არიან ბატონი სპ. კედია – ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი და ეროვნული ოპოზიციის ბელადი. მაგრამ, იქ, სადაც ადამიანის ბედი წყდება, ჩვენ არ გვინდა პოლიტიკის კეთება".

სასამართლო სხდომის მიმდინარეობის პერიოდში ქართველ ემიგრანტთა შორის გავრცელდა აზრი, თითქოსდა მოწმეთა დაკითხვამდე, ადვოკატ მორო დე ჯიაფერის სასამართლოსათვის განუცხადებია, რომ თუკი სხდომის მიმდინარეობისას არ წამოიჭრებოდა პოლიტიკური საკითხები, ის უარს იტყოდა რამ-

დენიმე ქართველი ემიგრანტი მოწმის დაკითხვაზე. ამ წინადადებას თითქოსდა დათანხმებია პ. ჭანუყვაძის ადვოკატი დელატრიც. ამ შეთანხმების შედეგად, არ მომხდარა ემიგრანტების: სპ. კედიას, ბ. გვაზავასა და სხვათა დაკითხვა.

საბოლოოდ, სამდღიანი სასამართლო განხილვის შედეგად, პ. ჭანუყვაძეს მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, საპატიმრო ვადის მოხდის შემდეგ 20 წლით საფრანგეთში ცხოვრების აკრძალვით.

ნ. რამიშვილის მკვლელობის სასამართლო პროცესთან დაკავშირებით შეიქნა საინტერესო ვითარება:

პარმენ ჭანუყვაძის ადვოკატი ა. ტორესი დაქირავებული იყო საფრანგეთში საბჭოთა კავშირის საელჩოს მიერ. ეს უკანასკნელი იმ პერიოდის თითქმის ყველა დავაში სსრ კავშირის ინტერესებს წარმოადგენდა. ამდენად, მისი გამოსვლა სასამართლო პროცესზე ადვოკატის რანგში თავისთავად ბადებდა კითხვებს და ქართველ ემიგრანტებს, განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატებს, ეჭვს უჩენდა ნ. რამიშვილის მკვლელობის ნაქნებაში საბჭოთა სპეცსამსახურების აგენტთა შესაძლო მონაწილეობის თაობაზე.

პ. ჭანუყვაძის ინტერესებს იცავდა მეორე ადვოკატიც – მემარჯვენე ფრანგი ადვოკატი დელატრი. თუმცა, როგორც შემდგომ გაირკვა, ის დაქირავებული იყო ნ. რამიშვილის პირადი მტრის, აკაკი ხოშტარიას მიერ, რომელიც ამავდროულად ევგ. გეგეჭკორის უახლოესი მეგობარი იყო. აკ. ხოშტარია, ცნობილი მეწარმე და ქველმოქმედი, იმ მომენტში მატერიალურად არცთუ ისე სახარბიელო მდგომარეობაში ყოფილა, თუმცა ადვოკატის დაფინანსებაში მას დახმარებია ევგ. გეგეჭკორის სომეხი მეგობარი აჯამოვი, რომელსაც, როგორც ზემოთ ვიხილეთ, ცუდი დამოკიდებულება ჰქონდა ნ. რამიშვილთან. გამოდის, რომ დაშნაკი აჯამოვისა და ევგ. გეგეჭკორის ინტერესები ნ. რამიშვილთან მიმართებით ერთმანეთს დაემთხვა. ამიტომ ხომ არ იყო, რომ ევგ. გეგეჭკორი ასე ენერგიულად ცდილობდა, მკვლელი პ. ჭანუყვაძე გამართლებულიყო, რითაც მას გარკვეული ვალდებულებები მოეხსნებოდა?

გამოიკვეთა საკმაოდ უცნაური ვითარება – ნ. რამიშვილის მკვლელს იცავდა ორი თითქოსდა ურთიერთსაპირისპირო მხარე (იგულისხმება საბჭოთა ქვეყნის წარმომადგენლობა საფრანგეთში – საელჩო, პრაქტიკულად საბჭოთა დაზვერვის პარიზის რეზიდენტურა და ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ერთ-ერთი ცნობილი მოღვაწე ევგ. გეგეჭკორი მეგობრებითურთ – ხოშტარია-აჯამოვი) და ამ საკითხში მათი ინტერესები დაემთხვა, თუმცა ამან პ. ჭანუყვაძეს მაინც ვერ უშველა.

პ. ჭანუყვაძის მიმართ გამოტანილი განაჩენის სიმკაცრე ალბათ იმანაც განაპირობა, რომ სასამართლო პროცესზე მკვლელის დაცვა პრაქტიკულად არც ერთ ქართველს არ უცდია, ჯერ ერთი, შიშის და, მეორეც, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის შიგნით ფარული შეთანხმების გამო.

სასამართლოს გადაწყვეტილებით უკმაყოფილო იყო ეროვნულ-დემოკრატთა ის ჯგუფი, რომელსაც სპ. კედია ხელმძღვანელობდა, აგრეთვე „შეფიცულები", „საქართველოს სამხედრო კავშირი" და ორგანიზაცია „თეთრი გიორგი", რომელთაც შექმნეს პ. ჭანუყვაძის დახმარებისათვის მუდმივმოქმედი ორგანო. ისინი ერთი პერიოდი შეეცადნენ სასამართლო გადაწყვეტილების გადახედვასაც, თუმცა უშედეგოდ.

აკ. ხოშტარია ნ. რამიშვილის მკვლელობიდან სულ მოკლე ხანში მოულოდნელად გარდაიცვალა. მისი სიკვდილის შემდეგ ემიგრაციაში გავრცელდა ხმები, რომ პ. ჭანუყვაძის წამქეზებლების იდეური სულისჩამდგმელი სწორედ აკ. ხოშტარია იყო. ქართველი ემიგრანტები ასევე დიდ ეჭვს გამოთქვამდნენ მისი ასეთი მოულოდნელი გარდაცვალების გამო.

ქართული ემიგრაცია და მასთან დაახლოებული უცხოეთის საზოგადოება ღრმად იყვნენ დარწმუნებული, რომ პ. ჭანუყვაძეს გაამართლებდნენ. ამის საბაბს იძლეოდა თავის დროზე გრ. ვეშაპელის მკვლელის ავთანდილ მერაბიშვილისა და უკრაინელ ნაციონალისტთა ლიდერის ს. პეტლიურას მკვლელის შალომ შვარცბალდის გამართლება. მიუხედავად იმისა, რომ პ. ჭანუყვაძეს იცავდნენ საფრანგეთში ცნობილი ადვოკატები ანრი ტორეზი და გაბრიელ დელატრი, მას 10 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ფრანგულმა სასამართლომ პოლიტიკურ ნიადაგზე მკვლელობისათვის დამნაშავე ასე მკაცრად დასაჯა.

მკაცრმა სასჯელმა სასოწარკვეთილებაში ჩააგდო თავად პ. ჭანუყვაძე, რადგანაც, როგორც ჩანს, წამქეზებლებმა ის წინასწარ დაარწმუნეს, რომ არ დაისჯებოდა. მან სასამართლო დარბაზი თავზარდაცემულმა დატოვა. მალე პ. ჭანუყვაძე სასჯელის მოსახდელად საფრანგეთის სამხრეთში, კლერმონფერნში გადაიყვანეს და სულ მალე ის ყველას გადაავიწყდა.

პარმენ ჭანუყვაძემ საზოგადოებას თავი თვითონ შეახსენა. 1933 წელს ნ. რამიშვილის ვაჟიშვილმა აკაკი რამიშვილმა მიიღო დედის სახელზე ციხის ექიმის ხელით გამოგზავნილი, 1932 წლის შემოდგომით დათარიღებული პ. ჭანუყვაძის წერილი, რომელშიც ის ინანიებდა ჩადენილ დანაშაულს, წყევლით მოიხსენიებდა წამქეზებლებს და ითხოვდა შუამდგომლობას, რათა ხელახლა დაკითხულიყო სასამართლოს მიერ, რომლის წინაშეც პ. ჭანუყვაძე იტყოდა სიმართლეს და დაასახელებდა ყველა იმ პიროვნებას, რომლებიც მონაწილეობდნენ ნ. რამიშვილის მკვლელობის წაქეზებაში. იმავე ექიმმა, თითქმის ერთი წლის შემდეგ, აკაკი რამიშვილს შეატყობინა, რომ პ. ჭანუყვაძე ბოლო პერიოდი რელიგიურ ექსტაზში იყო ჩავარდნილი და წვერმოშვებული თითქმის გამუდმებით მუხლებზე დაჩოქილი ლოცულობდა. ასეთ მდგომარეობაში პ. ჭანუყვაძეს დიდხანს აღარ უცოცხლია და 1934 წელს გარდაიცვალა.

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ არც ნ. რამიშვილის ქვრივმა და არც მისმა ვაჟიშვილმა არ ისურვეს ხელახალი გამოძიება. ეს გამოწვეული უნდა ყოფილიყო იმით, რომ, ჯერ ერთი, მათთვის ალბათ კარგახნის ცნობილი იყო ნ. რამიშვილის მკვლელობის წამქეზებლები და ქართველ ემიგრანტთა ის ჯგუფები, რომლებიც იმთავითვე მტრობდნენ მათ და შიშისა თუ სხვა გარემოებათა გამო აღარ სურდათ მოშუშებული იარების განახლება, ანდა ისინი უბრალოდ დააშინეს, ან „სთხოვეს“, ნ. რამიშვილის მკვლელობის თემის ხელახალი წამოწევა დააზარალებდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საქმეს.

უცნაურია, რომ მამის მკვლელობაზე, მკვლელსა და წამქეზებლებზე არ საუბრობს არც აკაკი რამიშვილი თავის წიგნში „ჩვენი შეცდომები“.[65]

საბჭოთა საგარეო დაზვერვა პ. ჭანუყვაძის სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ იტყობინებოდა, რომ ატმოსფერო ქართულ ემიგრაციაში კვლავ

დაძაბული რჩებოდა. სოციალ-დემოკრატები იმათ, ვინც პ. ჭანუყვაძის დასაცავად გამოდიოდნენ, არც კი ესალმებოდნენ და აგრესიულად იყვნენ განწყობილნი ყველას მიმართ, ვისაც თუნდაც ირიბი შეხება მაინც ჰქონდა მკვლელობასთან.

საბჭოთა დაზვერვა მიიჩნევდა, რომ პ. ჭანუყვაძის დაცვა სასამართლო პროცესზე ჩავარდა. დაცვას შეეძლო ნ. რამიშვილის მკვლელის გამართლება, თუკი მკვლელობის მოტივების სიმძიმის ცენტრი გადავიდოდა პოლიტიკურ და არა პირად, ან საყოფაცხოვრებო მოტივებზე.[259]

### მკვლელობის მოტივები, მკვლელობასთან პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებული პირები

ნ. რამიშვილის მკვლელობის პირველი წუთებიდან საზოგადოებაში, განსაკუთრებით ქართველ ემიგრანტთა შორის, ინტენსიურად ვრცელდებოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ეს იყო საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ დაგეგმილი და განხორციელებული ოპერაცია. რა აძლევდა მათ ამის საფუძველს?

1. ნ. რამიშვილი, როგორც რუსეთისა და საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამორჩეული თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი მუდმივად უპირისპირდებოდა ბოლშევიზმს, განსაკუთრებით ისეთ მნიშვნელოვან საკითხში, როგორიც იყო ტერორიზმი.

2. ნ. რამიშვილის მიმართ პირადი მტრობა ჰქონდა ი. სტალინს, რომელიც დამარცხებით მიყენებულ გულისტკივილს და, მით უმეტეს ფიზიკურ შეურაცხყოფას არავის პატიობდა.

3. ნ. რამიშვილს ქართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერებს შორის ყველაზე მკაფიო პოზიცია ეკავა ეროვნულ საკითხში.

4. ნ. რამიშვილის აქტიური ძალისხმევით, 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. ის იყო დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის პირველი თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა უცვლელი მინისტრი.

5. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე (1918 წლის იანვარში) ნ. რამიშვილმა მტკიცე პოზიცია დაიკავა საქართველოში მყოფი რუსეთის სამხედრო დანაყოფების (კავკასიის არმიის) მიმართ და ისინი ქვეყნის ტერიტორიიდან უმტკივნეულოდ გაიყვანა.

6. ნ. რამიშვილის ძალისხმევით, საქართველომ საგარეო პოლიტიკის ვექტორები მიმართა ევროპისაკენ, რამაც რუსეთის გაღიზიანება გამოიწვია.

7. ნ. რამიშვილმა, როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა, ქაოსისა და ეკონომიკური პრობლემების ფონზე, მეტ-ნაკლებად მოახერხა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვა, ქვეყანაში წესრიგის დამყარება და საქართველოში ბოლშევიკების, განსაკუთრებით, ქართველი ბოლშევიკების, ანტიეროვნული საქმიანობის აღკვეთა.

8. დიდი იყო ნ. რამიშვილის, როგორც სოციალ-დემოკრატის, საერთაშორისო ავტორიტეტი. მას კარგი ურთიერთობა ჰქონდა საერთაშორისო ინტერნაციონალთან: პირადი მეგობრობა აკავშირებდა რუსეთის მტერთან, პოლონელი ხალხის ეროვნულ გმირთან იუზეფ პილსუდსკისთან და სხვებთან.

9. ნ. რამიშვილი 1921 წლის ბოლშევიკური ანექსიის შედეგად საზღვარგარეთ გადახვეწილი ერთ-ერთი ყველაზე ენერგიული ანტისაბჭოთა მოღვაწე იყო. მისი ძალისხმევით 1921-1930 წლებში იგეგმებოდა და ხორციელდებოდა ღონისძიებები, რომლებიც მოსვენებას არ აძლევდა საბჭოთა ხელისუფლებასა და მის სპეცსამსახურებს.

10. ნ. რამიშვილის მიმართ კეთილგანწყობილი არც ლავრენტი ბერია იყო. 1920 წელს ბაქოდან არალეგარული საქმიანობისათვის ბოლშევიკების დახმარებით თბილისში გამოგზავნილი საქართველოს ჩეკისტთა მომავალი თავკაცი, ნოე რამიშვილის განკარგულებით დააპატიმრეს, თუმცა, მოგვიანებით, სხვა ბოლშევიკებთან ერთად გაათავისუფლეს და გააძევეს საქართველოდან.

„შ. ბერიშვილი: 1928 თუ 1929 წელს მე და ბიძაჩემმა ნოე რამიშვილმა თბილისის გაზეთ „კომუნისტში“ წავიკითხეთ ცნობა რომელიღაც თანამდებობაზე ბერიას დანიშვნის შესახებ და ბიძაჩემს მყისვე გაახსენდა მისი დაპატიმრების ამბავი 1920 წელს. ნოეს თქმით, ბოლშევიკების დახმარებით ბაქოდან ჩამოსული ბერია მისი განკარგულებით დააკავა საგანგებო რაზმმა. რამიშვილმა იმ გამომძიებლის გვარიც კი გაიხსენა, რომელიც ბერიას დაკითხვებს აწარმოებდა. ეს ჭიაბრიშვილი გახლდათ...“

„გერასიმე ბერია, ლ. პ. ბერიას ბიძაშვილი: ლავრენტი მენშევიკებმა ბოლშევიკური პარტიის ცეკას შენობასთან დააკავეს, სადაც ნაზარეთიანს უნდა შეხვედროდა. მენშევიკების საგანგებო რაზმმა ალყა შემოარტყა ნაგებობას და ლავრენტი იქიდან გამოსვლისთანავე აიყვანა. ერთი დღე-ღამე ტფილისში გააჩერეს, შემდეგ კი ქუთაისის ციხეში გადაიყვანეს“.[187]

ნ. რამიშვილის მკვლელობის მოტივი „ი. სტალინსა და ნოე რამიშვილს შორის პოლიტიკური და პირადი დაპირისპირება რომ იყო, არაჩვეულებრივი დამაჯერებლობით და მიუდგომლობით აქვს დაწერილი ხ. შავიშვილს თავის წიგნში“.[84]

ლ. ბერიას 1930 წლის 11 აგვისტოს მოხსენების პათოსიდან გამომდინარე, არ არის გასაკვირი, რომ დღის წესრიგში დამდგარიყო ქართული ემიგრაციის ლიდერების არა მარტო იდეური, არამედ ფიზიკური განადგურების საკითხი და არჩევანი იმ პერიოდში ყველაზე აქტიურ ნოე რამიშვილზე შეჩერებულიყო. საბჭოთა ხელისუფლების გათვლა ცალსახა იყო – ანტისაბჭოთა საქმიანობაში პრაქტიკულად მარტო დარჩენილი ნოე ჟორდანია საბჭოთა ხელისუფლებისათვის დიდ პრობლემებს ვეღარ შექმნიდა. ნოე რამიშვილის ფიზიკური მოსპობა, იმ პერიოდში საბჭოთა სპეცსამსახურებში აპრობირებული მეთოდით – უცნობი მკვლელის მეშვეობით, ანდა მისი „უგზო-უკვლოდ გაუჩინარების“ გზით არაეფექტური იქნებოდა, მით უმეტეს საზღვარგარეთ თეთრგვარდიელი ემიგრანტი ლიდერების გახმაურებული მკვლელობებისა და მოტაცება-გამოტყუებების ფონზე. ამდენად, აუცილებელი გახდა უფრო მზაკვრული მეთოდის მოფიქრება და გამოყენება, რითაც საბჭოთა ხელისუფლება ერთდროულად რამდენიმე საკითხს გადაწყვეტდა.

თუკი ლ. ბერიას მოხსენებას სარწმუნოდ მივიჩნევთ, რაშიც მე ეჭვი არ მეპარება, მან პირდაპირ მოითხოვა საბჭოთა კავშირის მთავრობისაგან გამოეყოთ საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოსათვის შესაბამისი სუბსიდიები საზღვარგარეთ ქართველი ემიგრანტი-ლიდერების ფიზიკური განადგურებისათვის. მიიღეს თუ არა ასეთი ფინანსური მხარდაჭერა საბჭოთა

საქართველოს სპეცსამსახურებმა, უცნობია, თუმცა, შედეგი აშკარაა. ლ. ბერიას მიერ გაკეთებული მოხსენებიდან ნოე რამიშვილის მკვლელობამდე სულ რაღაც სამიოდე თვე გავიდა.

ნოე რამიშვილის მკვლელობა, პოლიტიკური თვალსაზრისით, გაცილებით მომგებიანი იქნებოდა, თუკი ის ქართველი თანამოძმის ხელით მოხდებოდა. საჭირო იყო შემსრულებლისა და შესაბამისი მიზეზის პოვნა, უფრო სწორად, მოძებნა ისეთი სუსტი ფსიქიკის პიროვნებისა, რომელსაც, საუკეთესო შემთხვევაში, პოლიტიკური მოტივით ან პირად და საყოფაცხოვრებო ნიადაგზე წააქეზებდნენ ნ. რამიშვილის წინააღმდეგ. ფსიქოლოგიური დამუშავება გაუაბნეული, უსახსროდ დარჩენილი და ნოსტალგიით შეპყრობილი ადამიანისა უკვე ადვილი საქმე იყო. ასეთი ვითარებისათვის ემიგრანტი პ. ჭანუყვაძე მართლაც რომ იდეალური კანდიდატურა იყო. გავიხსენოთ პარმენ ჭანუყვაძის აკვიატებული სურვილი, დაბრუნებულიყო საქართველოში (წინააღმდეგ შემთხვევაში „ვინმეს მოვკლავ უთუოდო..."), მისი მერყევი ხასიათი, ქართველ ემიგრანტებთან და ემიგრანტულ ცხოვრებასთან შეუგუებლობა და სხვ.

მიუხედავად საკმაოდ საფუძვლიანი ვერსიებისა და მოსაზრებებისა, რომ ნ. რამიშვილის მკვლელობა ორგანიზებული იყო საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ, ვერც წინასწარი და ვერც სასამართლოს გამოძიების პროცესში ამის დამადასტურებელი მტკიცებულებები ვერ იქნა მოპოვებული.

პ. ჭანუყვაძეს რომ ბოლშევიკები მართავდნენ, ამაში დარწმუნებული იყო თვით საფრანგეთის სენის რეგიონის პროკურორი სირამიც. ამ უკანასკნელმა სასამართლოს სხდომაზე სახალხოდ განაცხადა:

„...ბატონებო, ვთქვა, რომ ჭანუყვაძის ზურგს უკან დგანან ბოლშევიკები, არ შემიძლია, იმიტომ, რომ მე არ გამაჩნია საჭირო იურიდიული მტკიცებულობები. მოწმე ქერქაძე კი არ იმსახურებს ნდობას და მისი ჩვენება უარყოფილია. მაგრამ ის, რომ ვიღაც დგას ჭანუყვაძის უკან, ეს ეჭვსგარეშეა. ვის უნდოდა რამიშვილის სიკვდილი? ბოლშევიკებს. ჭანუყვაძეს სურს სამშობლოში დაბრუნება. მან შეიძლება მიმართა კიდეც საბჭოთა წარმომადგენლობას, მაგრამ იქ კომპენსაციის გარეშე არაფერს აკეთებენ". სიტყვის დასასრულს პროკურორმა პირდაპირ მიმართა ბრალდებულს: „...ხომ დაგპირდნენ რეპატრიაციას თქვენ, დამნაშავე ჭანუყვაძე?".[224]

იმ პერიოდში შექმნილი ვითარების, აგრეთვე არსებული დოკუმენტებისა და ცნობების ანალიზი, რომლებიც რაიმე კუთხით ეხებიან ნ. რამიშვილის მკვლელობას, გვაძლევს საშუალებას, სრულად გავიზიაროთ ფრანგი პროკურორის აზრი და მტკიცედ განვაცხადოთ: ნოე რამიშვილის ფიზიკურ განადგურებაში დაინტერესებული იყო საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა, რომლის მითითებითაც მოქმედებდნენ საბჭოთა სპეცსამსახურები. მათმა მზაკვრულმა განზრახვამ განსაკუთრებით იჩინა თავი საქართველოში 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მიმდინარეობისას, როდესაც ნ. რამიშვილი მიჩნეულ იქნა აჯანყების ერთ-ერთ მთავარ ორგანიზატორად. ეჭვს არ იწვევს ნოე რამიშვილის მკვლელობით ბოლშევიკების დაინტერესება. ცხადია, ნოე რამიშვილის ირგვლივ ვითარების დაძაბვის თაობაზე შესაბამისი დავალება უნდა მიეღო საბჭოთა საგარეო დაზვერვის პარიზის რეზიდენტურასაც. ნაკლებად სავარაუდოა, პ. ჭანუყვაძეზე პირდაპირი ზემოქმედება

საბჭოთა სპეცსამსახურებს შენიღბული დაზვერვის თანამშრომლების მეშვეობით განეხორციელებინათ. ეს დიდ რისკთან იქნებოდა დაკავშირებული. გარდა ამისა, ასეთი მოქმედების არანაირი აუცილებლობა არ არსებობდა, ვინაიდან იმ პერიოდისათვის ქართულ ემიგრაციაში საბჭოთა დაზვერვას საკმარისი ფარული ოპერატიული ძალები ჰყავდა. ვინ უნდა ყოფილიყო პიროვნება (ან პიროვნებები), რომელიც შეეცდებოდა ჭანუყვაძის წაქეზებას და რომელი პოლიტიკური დაჯგუფების წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო ის?

თუკი პ. ჭანუყვაძის წაქეზებაში საბჭოთა სპეცსამსახურების მონაწილეობას სარწმუნოდ მივიჩნევთ, რაშიც ასევე არ მეპარება ეჭვი, ისინი ამისათვის გამოიყენებდნენ ემიგრაციაში მყოფ ორ პოლიტიკურ დაჯგუფებას: ქართველ სოციალ-დემოკრატებსა და მემარჯვენე პოლიტიკურ ძალებს – ეროვნულ-დემოკრატებს, რადიკალურად განწყობილ თეთრგიორგელებსა და შეფიცულებს. ამ გზით საბჭოთა ხელისუფლება ნ. რამიშვილის ლიკვიდაციასაც განახორციელებდა და ემიგრაციაში მყოფი პოლიტიკური ძალების დისკრედიტაციასაც შეძლებდა.

ნ. რამიშვილსა და ევგ. გეგეჭკორს შორის მომხდარმა ინციდენტმა, მეგრული წარმოშობის ემიგრანტებისა და თეთრგიორგელების მიერ ამ ფაქტის გაზვიადებამ და პოლიტიზებამ გადამწყვეტი როლი ითამაშა ნ. რამიშვილის მკვლელობაში. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მომავალი მკვლელობისათვის იდეოლოგიური საფუძვლების მომზადების გარეშე, რაც, საბოლოოდ, დანაშაულის წაქეზებით გამოიხატებოდა, შეუძლებელი იყო პ. ჭანუყვაძეს ნ. რამიშვილის მკვლელობა გაებედა, მით უმეტეს, რომ მკვლელი ფსიქიკურად გაუწონასწორებელი და მხდალი პიროვნება იყო.

პ. ჭანუყვაძე დიდხანს, თითქმის ერთი წლის მანძილზე იმუქრებოდა, რომ ნ. რამიშვილს მოკლავდა, წამქეზებლები და პროვოკატორები კი ქართულ ემიგრაციაში საკმარისზე მეტნი იყვნენ. ერთხელ, პარიზის ახლოს, დაბა ბიანკურში, ნ. რამიშვილი და პ. ჭანუყვაძე ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ. ამ უკანასკნელს თავისი მომავალი მსხვერპლის ლანძღვა-გინება დაუწყია, თუმცა როდესაც ქართველ სოციალ-დემოკრატთა ლიდერი მას გამოდევნებია პასუხის გასაცემად, პ. ჭანუყვაძე უკანმოუხედავად გაქცეულა. ამის მიუხედავად, პ. ჭანუყვაძემ მაინც გაბედა ნ. რამიშვილის მოკვლა. ეს საშინელი გადაწყვეტილება, ცხადია, მან წამქეზებლების ზემოქმედებით მიიღო და დარწმუნებული იყო, მას გაამართლებდნენ და სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას არ დააკისრებდნენ ისე, როგორც ეს მოხდა გრ. ვეშაპელისა და ს. პეტლიურას მკვლელობის შემთხვევაში. ქართული ანტისაბჭოთა პოლიტიკური ემიგრაციის ერთ-ერთი ცნობილი მოღვაწე შალვა ბერიშვილი მიიჩნევს, რომ პ. ჭანუყვაძის წაქეზებაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი მიხეილ კედია, კალე სალია და თეთრგიორგელები, აგრეთვე ზოგიერთი ქართველი სოციალ-დემოკრატი, მაგალითად, ირ. წერეთლის ოპოზიციური ფრთის წარმომადგენელი რუბენ ყიფიანი. წამქეზებლები პ. ჭანუყვაძეს ნ. რამიშვილის მკვლელობისათვის ბევრ სიკეთეს ჰპირდებოდნენ.

შ. ბერიშვილი ირწმუნება, რომ ნ. რამიშვილის მკვლელობის გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მკვლელობამდე რამდენიმე ხნით ადრე, თეთრგიორგელების შეკრებაზე, რომელსაც ესწრებოდნენ მისი ხელმძღვანელი ლეო კერესელიძე, აგრეთვე მიხეილ კედია, კალე სალია და ნიკო დგებუაძე, თუმცა მის აღსრულებაში, ანუ

მკვლელის წაქეზებაში, მონაწილეობა მიუღიათ მხოლოდ მიხ. კედიას და კ. სალიას.

რამდენად შეეფერება სიმართლეს შ. ბერიშვილის ეს მოსაზრება, ძნელი სათქმელია თუნდაც იმის გამო, რომ როგორც სასამართლო გამოძიების პროცესში გაირკვა, მიხ. კედია მკვლელ პ. ჭანუყვაძეს ადრე არ იცნობდა, რაც ამ უკანასკნელმა დაადასტურა კიდეც. თუკი ეს მართალც ასეა, გამოდის, პ. ჭანუყვაძე უშუალოდ მიხ. კედიას არ წაუქეზებია და ამ საქმეში სხვა ქართველი ემიგრანტი გამოიყენეს. თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ მიხ. კედიას შესაძლო მკვლელობის ადგილის შორიახლოდან თვალყურის დევნება ჰქონდა დავალებული. ამის დასტური არის ის, რომ ტრაგედიიდან რამდენიმე წუთში ის უკვე მკვლელობის ადგილზე შეკრებილ ხალხთან ერთად იმყოფებოდა. წინასწარი გამოძიებისას მიხ. კედიამ ეს ფაქტი ახსნა იმით, რომ, თითქოსდა, ის გამოძახებული იყო, როგორც თარჯიმანი.

რაც შეეხება ნიკო დგებუაძეს, მოგვიანებით დაზუსტებულა, რომ მას დანაშაულის წაქეზების პროცესში უშუალო მონაწილეობა არ მიუღია, თუმცა კარგად იცოდა, ვინ იყვნენ პ. ჭანუყვაძის წამქეზებლები. იმის შიშით, რომ სოციალ-დემოკრატები მასზე შურს იძიებდნენ, ეს ფაქტი თავის დროზე უღიარებია კიდეც, რის გამოც დიდი უსიამოვნება მოსვლია თეთრგიორგელთა ხელმძღვანელობასთან, – მიანიშნებს შ. ბერიშვილი.

ანგარიშგასაწევია ის გარემოება, რომ ლ. ბერია მუდამ იმას ცდილობდა, მაქსიმალურად ესიამოვნებინა სტალინისათვის და თხზავდა ისეთ ოპერატიულ-საგამოძიებო საქმეებს, რომლებიც მას ბელადის თვალში დიდებას მოუტანდა. ნ. რამიშვილის ფიზიკური ლიკვიდაცია ლ. ბერიას წარმატებულ სპეცოპერაციად ჩაეთვლებოდა და ამით საბჭოთა ქვეყნის მეთაურის ყურადღებასაც დაიმსახურებდა. იმ პერიოდში მოარული ხმების თანახმად, მართლაც, ყოველივე ისე მოხდა, როგორც ლ. ბერიამ ჩაიფიქრა. ნ. რამიშვილის მკვლელობა მთლიანად საკუთარ დამსახურებად ჩათვალა, რითაც ი. სტალინი დიდად კმაყოფილი დარჩენილა.

ქართველის ხელით, ქართველების წაქეზებითა და ქართველებისვე კარნახით ჩადენილი მკვლელობით, საზღვარგარეთ ანტისაბჭოთა მოძრაობას ჩამოსცილდა ამ საქმეში ყველაზე ენერგიული და მიზანმიმართული პიროვნება – ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო ლიდერი ნოე რამიშვილი. ამ უკანასკნელის ადგილის დაკავების შანსი მიეცა ასევე ცნობილ, მაგრამ საეჭვო გარიგებებში გახვეულ და რეპუტაციაშელახულ ევგენი გეგეჭკორს.

ევგ. გეგეჭკორი, ნებსითა თუ უნებლიეთ, აღმოჩნდა ნ. რამიშვილის მკვლელობის ირიბი თანამონაწილე. უშუალოდ მკვლელობის ორგანიზება, რაც მკვლელის წაქეზებით გამოიხატა, განახორციელეს თეთრგიორგელებმა, მკვლელი კი აღმოჩნდა ამ უკანასკნელთა მიმართ სიმპათიით განწყობილი პ. ჭანუყვაძე. მთელ ამ პროცესს პირდაპირ ან ირიბად (გ. გეგელიას მსგავსი პირების მეშვეობით) აკონტროლებდა საბჭოთა საგარეო დაზვერვის პარიზის რეზიდენტურა. ცხადია, ნ. რამიშვილის მკვლელობაზე სანქცია საბჭოთა ქვეყნის პირველი პირისგან და შესაბამისად, სპეცსამსახურის ხელმძღვანელობისაგან იქნებოდა გაცემული. მკვლელობისათვის იდეური საფუძველი ბუნებრივადაც მზადდებოდა და ამ პროცესს ხელს უწყობდნენ ქართველი ემიგრანტები. მკვლელიც შესაბამისი ნიშნის მიხედვით შეირჩა. პ. ჭანუყვაძეს კონტაქტები საბჭოთა დაზვერვის წარმომადგენლებთან

უთუოდ ექნებოდა საბჭოთა საელჩოში სტუმრობის დროიდან, თუმცა, როგორც ჩანს, მასზე უშუალო ზემოქმედებას მაინც თეთრგიორგელები ახდენდნენ.

ერთი საინტერესო, მოკლე ჩანაწერი აქვს ნიკო ურუშაძეს 1980 წლის დეკემბერში ნოე რამიშვილის მკვლელობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ სტატიაში: „საფრანგეთის „ლიბერაციის" შემდეგ ერთი პარიზელი პარტიზანი თავის მოგონებებში, რომელიც „სამშობლოს ხმაში" მოათავსა, პირდაპირ თუ არა, გასაგებად წერს, რომ მას მონაწილეობა აქვს მიღებული ამ მკვლელობაში".[220]

ქართულ ემიგრაციაში დიდხანს დადიოდა ხმები იმის თაობაზე, რომ ნ. რამიშვილის მკვლელობის წაქეზებასთან დაკავშირებით იმთავითვე იცოდა ევგენი გეგეჭკორმა. ქართული ემიგრაციისთვის ცხადი იყო, თუ ვინ იყვნენ წამქეზებლები, რომლებიც გრძნობდნენ საკუთარ დანაშაულს თუ შეცდომას და შიშობდნენ, სოციალ-დემოკრატები შურს იძიებდნენ.

ნ. რამიშვილის გარდაცვალების შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ როგორც სოციალ-დემოკრატებს, ისე მემარჯვენე პოლიტიკურ ორგანიზაციებსა და დაჯგუფებებს ხელს არ აძლევდათ, რომ ანტისაბჭოთა მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ქართველების წაქეზებით ყოფილიყო მოკლული. ამით ილახებოდა ქართული ანტისაბჭოთა პოლიტიკური ემიგრაციის იმიჯი საერთაშორისო არენაზე, რაც ევროპის ქვეყნების მთავრობების პოლიტიკურ გადაწყვეტილებებსა და ანტისაბჭოთა საქმიანობის შემდგომ დაფინანსებაზე უეჭველად აისახებოდა. საბჭოთა სპეცსამსახურების მიზანიც ეს იყო. აქედან გამომდინარე, საზღვარგარეთ მყოფ პრაქტიკულად ყველა ქართულ პოლიტიკურ ძალას ხელს აძლევდა, რომ ნ. რამიშვილის მკვლელობის ორგანიზატორად საბჭოთა პოლიტიკური ხელმძღვანელობა და საბჭოთა სპეცსამსახურები გამოცხადებულიყო.

„ნოე რამიშვილის მკვლელობამ მთელი ქართველობა შეარყია და ღრმად ჩააფიქრა. მათ დაივიწყეს ყოველგვარი განსხეთქილება და ყველა გულწრფელი ქართველი, განურჩევლად პარტიული მიმართულებისა, ღრმა მწუხარებას განიცდიდა მებრძოლი ქართველი ერის ერთ-ერთ გამოჩენილ და დამსახურებულ ხელმძღვანელის მკვლელობით." – იტყვის მოგვიანებით ქართველი ემიგრანტი მოღვაწე ნიკო ურუშაძე.[220]

ნ. რამიშვილის დაკრძალვის დღეს, 1930 წლის 14 დეკემბერს, პოლონეთის გავლით საქართველოდან ხანმოკლე არალეგალური საქმიანობის შემდეგ დაბრუნდა მისი დისშვილი შალვა ბერიშვილი, რომელიც მკვლელობის რეალური მოტივებისა და მასში ქართველების მონაწილეობის ფაქტების მიჩქმალვამ და ყოველივეს ბოლშევიკებზე გადაბრალებამ ძალზე აღაშფოთა. მან თავისი დამოკიდებულება დაუფარავად გამოხატა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს ერთ-ერთ სხდომაზე, რომელსაც ევგ. გეგეჭკორიც ესწრებოდა. სხდომაზე შ. ბერიშვილმა განაცხადა, რომ ნ. რამიშვილის მკვლელობას ვერავინ გაბედავდა, რომ არა ინციდენტი ნ. რამიშვილსა და ევგ. გეგეჭკორს შორის, რამაც ხელ-ფეხი გაუხსნა წამქეზებლებსაც და მკვლელსაც. ევგ. გეგეჭკორს შ. ბერიშვილის განცხადებაზე პასუხი არ გაუცია. შ. ბერიშვილმა შემდგომშიც არაერთხელ გამოთქვა პროტესტი მომხდართან დაკავშირებით და დაემუქრა წაქეზების ორგანიზატორებს (მისი აზრით, მიხ. კედიას და კ. სალიას), რომ ბიძის ვერაგული მკვლელობისათვის მათზე აუცილებლად შურს იძიებდა. მიუხედავად იმისა, რომ

ნ. რამიშვილის მკვლელობა მთლიანად საბჭოთა სპეცსამსახურებს დაბრალდა, ქართულმა ემიგრაციამ კარგად უწყოდა, თუ რა როლი ეკისრებოდათ ამ ბინძურ საქმეში თვით ქართველებს. ამან, ცოტა არ იყოს, შეაშინა არა მარტო მიხ. კედია და კ. სალია, არამედ ამ უკანასკნელთა მეგობრები, ნათესავები და ახლობლები, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ შურისძიება, განსაკუთრებით შ. ბერიშვილის მხრიდან, რეალურად იყო მოსალოდნელი. ამიტომ იყო, რომ მიხ. კედია, კ. სალია და მათი მეგობრები – თეთრგიორგელები ნ. რამიშვილის მკვლელობის შემდეგ საფრანგეთიდან კარგა ხნით გადაიხვეწნენ.

მიხეილ კედიას მამა – მელქისედეკ (მექი) კედია – საგანგებო რაზმის ყოფილი უფროსი, შეშინებული ეახლა ცნობილ ქართველ მოღვაწეს ექვთიმე თაყაიშვილს და სთხოვა, შ. ბერიშვილის მხრიდან მოსალოდნელი საშიშროების თაობაზე საქმის კურსში ჩაეყენებინა ნ. ჟორდანია. ანალოგიური თხოვნით მან სოციალისტ-ფედერალისტთა ლიდერს სამსონ ფირცხალავასაც მიმართა. ორივე მათგანი მალევე შეხვდა ნ. ჟორდანიას, რომელსაც გადასცეს შეწუხებული მამის თხოვნა და აუხსნეს, თუ რა სავალალო შედეგით შეიძლებოდა დამთავრებულიყო შ. ბერიშვილის მუქარა და რას მოუტანდა ის ზოგადად ქართულ ემიგრაციასა და მის პრესტიჟს.

შ. ბერიშვილი კომპრომისზე წასვლას არ აპირებდა, თუმცა ბოლოს ნ. ჟორდანიას ხათრი ვეღარ გაუტეხა და თავის განზრახვაზე – მოეკლა მიხ. კედია და კ. სალია, ხელი აიღო, ოღონდ იმ პირობით, რომ ე. თაყაიშვილი და ს. ფირცხალავა მიხ. კედიასგან და კ. სალიასგან მიიღებდნენ მონანიების წერილობით განცხადებას. ასეთი დოკუმენტი მართლაც შემდგარა. განცხადებაში მიხ. კედია და კ. სალია ადასტურებდნენ, რომ ისინი იყვნენ პ. ჭანუყვაძის წამქეზებლები და რომ ამ სიბინძურეში მათ გარდა არავინ მონაწილეობდა; აღიარებდნენ საკუთარ შეცდომებს, გამოხატავდნენ გულწრფელ მწუხარებას თავიანთი ქმედებების გამო და ითხოვდნენ პატიებას. ამას გარდა, მიხ. კედია და კ. სალია იძლეოდნენ დაპირებას, რომ პ. ჭანუყვაძის სასარგებლოდ სასამართლო პროცესზე როგორც ისინი, ასევე მათი თანამოაზრეები მოწმეებად არ გამოვიდოდნენ.

მას შემდეგ, რაც შ. ბერიშვილი დაშოშმინდა, სამეულმა – ნ. ჟორდანიამ, ე. თაყაიშვილმა და სამ. ფირცხალავამ – შ. ბერიშვილს წარუდგინეს მიხ. კედიასა და კ. სალიას მიერ ხელმოწერილი წერილობითი განცხადება და სთხოვეს, პატივი ეცა ბიძის ნათელი ხსოვნისათვის და მიეცა მათთვის სიტყვა, რომ ის წამქეზებლებზე შურს აღარ იძიებდა. შ. ბერიშვილი იძულებული გახდა, დათანხმებოდა. მიუხედავად ამისა, მიხ. კედიასა და კ. სალიას მაინც ეშინოდათ შ. ბერიშვილის, რომელიც ბოლომდე ინარჩუნებდა კარგ ურთიერთობებს ნ. ჟორდანიასთან, და ინტრიგების ხლართვით შეეცადნენ შ. ბერიშვილის საფრანგეთიდან გასახლებას, თუმცა მათი მცდელობა უშედეგოდ დასრულდა.[288]

სულ მალე წამქეზებლები დარწმუნდნენ, რომ ნ. რამიშვილის მკვლელობამ მათ ცუდის მეტი არაფერი მოუტანა. ამის თაობაზე ისინი ახლო გარემოცვაში ხშირად საუბრობდნენ და წუხდნენ მომხდარის გამო, თუმცა უკვე გვიანი იყო. მათ საქციელს ყველა გმობდა. ევგ. გეგეჭკორი გარეგნულად არ გამოხატავდა მწუხარებას ნ. რამიშვილის მკვლელობის გამო, თუმცა ამ ფაქტმა არც მას მოუტანა რაიმე სიკეთე. პირიქით, ამ საზარელი ამბის გამო ქართულ ემიგრაციაში ევგ.

გეგეჭკორი ყველას ეზიზღებოდა, რასაც ის კარგად გრძნობდა, თუმცა არაფერს იმჩნევდა. პ. ჭანუყვაძის წაქეზებაში ქართველი სოციალ-დემოკრატების მონაწილეობის დამადასტურებელი თუნდაც ირიბი მტკიცებულებები ვერც წინასწარი და ვერც სასამართლო გამოძიების პროცესში ვერ იქნა მოპოვებული. ქართველი სოციალ-დემოკრატები მიიჩნევდნენ, რომ მათი გამორჩეული ლიდერის – ნ. რამიშვილის მკვლელობის წაქეზებაში მონაწილეობდნენ ეროვნულ-დემოკრატები. ეს კარგად გამოჩნდა გამოძიების პირველი წუთებიდან, როდესაც მოწმე ემიგრანტ დ. ქერქაძის გამოყენებას ხან ერთნი – სოციალ-დემოკრატები და ხან მეორენი – ეროვნულ-დემოკრატები ცდილობდნენ.

ძნელი დასაშვებია, რომ ნ. რამიშვილის ფიზიკური ლიკვიდაციით დაინტერესებული ყოფილიყო პარტიის ლიდერი სპ. კედია, რომელიც ამ ფაქტით ძალზე შეწუხებულა, – მიანიშნებს მისი მეუღლე ქ-ნი ს. ჩიჯავაძე-კედია. მიუხედავად იმისა, რომ იდეოლოგიური თვალსაზრისით ეს ორი ქართველი პოლიტიკოსი ერთმანეთთან დაპირისპირებული ყოფილა, პირადი მტრობა მათ შორის არ არსებობდა. უფრო მეტიც, სპ. კედიას ნოე რამიშვილი ორჯერ გადაურჩენია: ერთხელ ბათუმში, როდესაც მთავრობა ემიგრაციაში მიემგზავრებოდა, ნოე ჟორდანიასთან დაპირისპირებულ ქართველ პოლიტიკოსთა ნაწილს გადაუწყვეტია მთავრობის წევრების დაპატიმრება, მათ შორის ნოე რამიშვილისაც. მეორედ სპ. კედიას ნოე რამიშვილი გადაურჩენია უკვე ემიგრაციაში, 1924 წლის აგვისტოს აჯანყების შემდეგ – „ერთ ემიგრანტ ქართველს (კვინიტაძე) გადაწყვეტილი ჰქონდა მისი მოკვლა, აქაც სპ. კედია გადაეღობა მის განზრახვას", – აღნიშნავს ქ-ნი ს. ჩიჯავაძე-კედია, რომელიც ასევე მიიჩნევს, რომ მის მეუღლეზე ლ. ბერიას მიერ იმთავითვე მიჩენილი ემიგრანტი გ. გეგელია ზომაზე მეტად აქტიურობდა პ. ჭანუყვაძის დაცვასთან დაკავშირებით როგორც წინასწარი, ისე სასამართლო გამოძიების პროცესში, რაც გარკვეულ ეჭვებს ბადებდა.

ყურადსაღებია მოწმე დ. ქერქაძის წერილებსა და ჩვენებებში არსებული ზოგიერთი ინფორმაცია. ის ემიგრანტებისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში გამოთქვამს პ. ჭანუყვაძის აზრს იმასთან დაკავშირებით, რომ „ჩავარდნის" შემთხვევაში მას დახმარების (ექილების დაქირავების) იმედი ჰქონდა ქართველი ემიგრანტებისაგან: ალ. ასათიანისაგან, ა. ამილახვრისაგან, ლ. კერესელიძისაგან, სპ. კედიასა და ს. ბერეჟიანისაგან.

საქართველოს დევნილი მთავრობის არქივში დაცულ სასამართლო მასალებში (უწყებაში) ფიგურირებენ მოწმეები, რომლებიც, აუცილებლობის შემთხვევაში, გამოძახებულ უნდა ყოფილიყვნენ სენის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში ნ. რამიშვილის მკვლელობის სასამართლო განხილვასთან დაკავშირებით. ესენი იყვნენ: სპირიდონ კედია, მცხ. ლამარტის ქ. N 58-ში, გიორგი გეგელია, მცხ. ღარის ქ. N 113-ში, ალექსანდრე ასათიანი, მცხ. ღარის ქ. N 4-ში, ევგენი გეგეჭკორი, მცხ. ღარის ქ. N 38-ში.

როგორც ვნახეთ, ზემოაღნიშნულ ქართველ ემიგრანტთა სასამართლო სხდომაზე გამოძახების აუცილებლობა, გარდა გ. გეგელიასი, არ დამდგარა.

ნ. რამიშვილის მკვლელობის შემდგომ განვითარებულ მოვლენებში საკმაოდ აქტიურად ფიგურირებს ემიგრანტი გიორგი გეგელია, რომელიც ემიგრანტთა თვალში კარგახნის გაშიფრული იყო, როგორც საბჭოთა დაზვერვის აგენტი,

უფრო სწორად, ლ. ბერიას აგენტი, თუმცა ამას მისთვის ხელი არ შეუშლია ახლო ურთიერთობა ჰქონოდა სპირიდონ კედიასთან. ქ-ნი სოფიო ჩიჯავაძე-კედია მიიჩნევს, რომ ქართული ემიგრაცია „მოსკოვის კლანჭებში იყო“ და ეს უკანასკნელი ყველაფერს აკეთებდა, რათა ემიგრაცია არ ყოფილიყო ერთიანი და ძლიერი. ამისათვის მათ თითქმის ყველა პარტიაში ჰყავდათ „თავისი კაცი“. გამონაკლისი არც ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ყოფილა. ქ-ნი სოფიოსა და მისი მეუღლის გარემოცვას იმთავითვე გასჩენია ეჭვი ემიგრანტ გიორგი გეგელიას მიმართ, რომელიც ზედმეტად აქტიურობდა სპ. კედიასთან მიმართებით. გ. გეგელია მეგობრებს ეუბნებოდა, რომ მუშაობდა საკონდიტრო ფაბრიკაში, რის დასამტკიცებლად ხშირად მოჰქონდა შოკოლადი და გულუხვად უმასპინძლდებოდა გაჭირვებულ ემიგრანტებს. ერთხელ, ერთ-ერთი ცნობისმოყვარე ემიგრანტი მალულად ასდევნებია გ. გეგელიას, რომელიც პარიზში საბჭოთა საკონსულოს კარებს მისდგომია. როდესაც ემიგრანტებს უკითხავთ, თუ რა უნდოდა საკონსულოში, გ. გეგელიას უპასუხია, რომ „საქართველოში მას ჰყავს ბიძა, რომელიც „დიდი კაცია“ და ის ამ საელჩოს საშუალებით პატარა თანხას აწვდის“. აღნიშნული ფაქტი საკმარისი ყოფილა იმისათვის, რომ გ. გეგელიას თანამემამულეების თვალში ნდობა დაეკარგა, თუმცა სპ. კედიას გ. გეგელიას „კომუნისტების აგენტობის“ დიდხანს არ სჯეროდა, ვინაიდან ამ მძიმე ბრალდებისათვის მას შესაბამისი მტკიცებულობები სჭირდებოდა.[89]

იცოდა რა საბჭოთა ქვეყნის ლიდერის და თვით ლ. ბერიას დამოკიდებულება ნ. რამიშვილისადმი, გ. გეგელიამ ნაწილობრივ თავის თავზე მიიწერა პ. ჭანუყვაძის წაქეზებაში მონაწილეობა და გამოძიების პროცესში და შემდგომში მკვლელობასთან დაკავშირებულ მოვლენებში აქტიურად ჩაერთო, რითაც „პატრონების“ წინაშე შერყეული რეპუტაციის აღდგენას შეეცადა. ქართველ ემიგრანტთა მცირედმა ნაწილმა მართლაც დაიჯერა, რომ გ. გეგელია იყო პ. ჭანუყვაძის წამქეზებელი. თვით აწ გარდაცვლილმა სოციალ-დემოკრატმა მამია ბერიშვილმა ჩემთან საუბარში 2002 წლის აგვისტოში, როდესაც ის უკანასკნელად იმყოფებოდა საქართველოში, ნოე რამიშვილის მკვლელობის წაქეზებაში გ. გეგელიას როლზე პირდაპირ მიანიშნა:

მ. ბ. – „...რამიშვილმა და სტალინმა გაარტყეს ერთმანეთს. რამიშვილი ხმელი იყო, მაგრამ მაგას ცალი ხელი ტკიოდა, რო გაარტყა, ქე წეიქცა მიწაზე და რამიშვილო გადაგიხდი მაგასო და გადაუხადა. გვარი აღარ მახსოვს მე, იმას დაავალა... (პაუზა).

გ. ს. – ჭანუყვაძეს?

მ. ბ. – არა, ემიგრანტი, რომ ჩამოვიდა მერე აქ, რა უქნენ არ ვიცი. იმან დაპირდა – სტალინმა, თუ მოაკვლევინებ შენ იმასო, შენ წახვალ საქართველოშიო და ბედნიერი კაცი გახდებიო და ქე წამოვიდა სხვათაშორის და რა უქნეს მერე არ ვიცი, პროფესორი იყო, მე მგონი უნივერსიტეტში.

გ. ს. – გეგელია ხომ არ იყო?

მ. ბ. – გეგელია! მაგან იქირავა ჭანუყვაძე, აბა. ჭანუყვაძეს დაპირდა, რომე ბედნიერი კაცი იქნებიო, თუ წახვალ საქართველოშიო, ყველაფერი გექნებაო“.

შ. ბერიშვილმა დამიდასტურა ასევე ნ. რამიშვილის ქვრივის სახელზე პ. ჭანუყვაძის მიერ გამოგზავნილი წერილის არსებობა. ნ. რამიშვილის მკვლელობის

საქმეში ჩახედული ქართველი ემიგრანტების ნაწილი მიიჩნევდა, რომ გ. გეგელიას თავისი ქედმაღლობისა და ამბიციურობის გამო ემიგრაციაში ვერ იტანდნენ. ასეთივე დამოკიდებულება ჰქონდა მის მიმართ პ. ჭანუყვაძესაც. ერთხელ პ. ჭანუყვაძეს გ. გეგელიას მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორებაც კი დაუპირებია. ამგვარად, გ. გეგელია პ. ჭანუყვაძის უშუალო ნამქეზებლად ვერ გამოდგებოდა.

ნიშანდობლივია ისიც, რომ მას შემდეგ, რაც გიორგი გეგელია დაპატიმრებულ იქნა „მეგრელ ნაციონალისტთა საქმესთან" დაკავშირებით, მან საბჭოთა უშიშროების ორგანოების ხელმძღვანელებს და თვით ლ. ბერიას მიმართა არაერთი მოხსენებითი ბარათით, რომლებშიც ჩამოთვლილი იყო მისი სადაზვერვო დამსახურებები. მათში მინიშნებული არ ყოფილა ნ. რამიშვილის მკვლელობის წაქეზებაში მისი მონაწილეობის ფაქტი.

1952 წლის 29 მაისს თბილისში დაკითხულმა ყოფილმა ემიგრანტმა ალექსანდრე კანკავამ, რომელსაც საბჭოთა მართლმსაჯულებამ 1943 წლის 11 სექტემბერს მიუსაჯა 20 წლით თავისუფლების აღკვეთა და იმყოფებოდა მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში, დაკითხვისას გაიხსენა ერთი ეპიზოდი ემიგრანტული ცხოვრებიდან, რომელიც მომხდარა პარიზში 1933-1935 წლებში. კერძოდ, ქართველთა სათვისტომოს ერთ-ერთ შეკრებაზე იხილებოდა ემიგრანტების გ. გეგელიას, გ. გამყრელიძისა და ვ. ჩუბინიძის საკითხი. მათ პარიზში საბჭოთა საელჩოსთან და საბჭოთა დაზვერვასთან თანამშრომლობაში ედებოდათ ბრალი. აღნიშნულ შეკრებაზე სიტყვით გამოსულა ს. მენაღარიშვილი, რომელიც ქართულ ემიგრაციაში ერთი პერიოდი კონტრდაზვერვით ფუნქციასაც ასრულებდა და ორგანიზებას უწევდა საბჭოთა საელჩოსა და სხვა საბჭოთა წარმომადგენლებზე ოპერატიულ მეთვალყურეობას. ს. მენაღარიშვილს განუცხადებია, რომ არსებობდა უტყუარი მონაცემები გ. გეგელიას საბჭოთა საელჩოს საფარქვეშ მოქმედ საბჭოთა საგარეო დაზვერვის წარმომადგენელთან, დემიდოვთან კონტაქტის თაობაზე. ს. მენაღარიშვილსა და სხვა ქართველ სოციალ-დემოკრატებს მოუთხოვიათ გ. გეგელიას ქართული სათვისტომოდან გარიცხვა და ქვეყნიდან გაძევება, თუმცა ეს გადაწყვეტილება საბოლოოდ არ ყოფილა მიღებული. გ. გეგელიას დაცვა აღნიშნულ შეკრებაზე უცდია ემიგრანტ ალექსანდრე (საშა) ცომაიას. ქართველ ემიგრანტთა ამ შეკრებას ესწრებოდა ეგე. გეგეჭკორიც, რომელსაც, მართალია, თავისი პოზიცია არ გამოუხატავს, მაგრამ კრების დამთავრების შემდეგ, გარეთ გამოსულს ალ. ცომაიასთვის უთქვამს, რომ არსებობდა უტყუარი დამამტკიცებელი მონაცემები გ. გეგელიას საბჭოთა საელჩოს თანამშრომლებთან ურთიერთობის შესახებ, თუმცა ამ საკითხის მწვავედ დაყენების შემთხვევაში გ. გეგელიას საფრანგეთიდან გაძევება არ ასცდებოდა, რაც მას არასასურველად მიაჩნდა.[278]

ნ. რამიშვილის მკვლელობის ირგვლივ და მკვლელობის შემდგომ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით გ. გეგელია რომ აქტიურობდა, მოწმობს შემდეგი ფაქტიც:

საბჭოთა კავშირის საგარეო დაზვერვიდან 1931 წლის 20 დეკემბერს საქართველოს გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ხელმძღვანელის, ტ. ლორთქიფანიძის სახელზე გამოგზავნილი საიდუმლო ცნობების თანახმად, გ. გეგელია „ცენტრს" ატყობინებდა, რომ მოწმე დ. ქერქაძის წინააღმდეგ დაწყებული პროცესი წინ მიიწევდა, თუმცა მას არა ეს უკანასკნელი, არამედ ს. მენაღარაშვილი

და შ. ბერიშვილი აინტერესებდა. ვინაიდან, გ. გეგელიას გადმოცემით, დ. ქერქაძე ქართველ სოციალ-დემოკრატებს კარგად ჰყავდათ გადამალული და პოლიცია მის ასავალ-დასავალს ვერ პოულობდა, შეუძლებელი იყო მისგან ს. მენაღარიშვილისა და შ. ბერიშვილის საწინააღმდეგო ჩვენებების მიღება, რაც ამ უკანასკნელთა მიმართ სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას დააყენებდა. გ. გეგელიას აზრით, მისი ინტერესების დამცველი ადვოკატი ჟერსენი ირწმუნებოდა, რომც არ მოხერხებულიყო დ. ქერქაძის აღიარებითი ჩვენების მიღება, ის მენაღარაშვილი-ბერიშვილის საწინააღმდეგო პროცესს მაინც მოიგებდა. სადაზვერვო შეტყობინებაში მინიშნებულია აგრეთვე ერთი საინტერესო დეტალიც, რომელიც, როგორც ჩანს, თვით გ. გეგელიასაც საფიქრალს უჩენდა. კერძოდ, ადვოკატ ჟერსენის აზრით, მისთვის გაუგებარი იყო პ. ჭანუყვაძის პროცესზე კოლეგების, ტორესისა და დელატრის ტაქტიკა, რომლებმაც მკვლელობის მოტივად არა საყოფაცხოვრებო, არამედ პოლიტიკური მოტივი აირჩიეს, რითაც ვერ მოიგეს გული მსაჯულებისა, რომელთა უმრავლესობა წვრილბურჟუაზიული წარმომავლობის იყო და უმუშევრობის პრობლემა კარგად ესმოდა. რაც შეეხებოდა მკვლელობის მოტივად პოლიტიკური ანგარიშსწორების არჩევას, ეს გაცილებით მომგებიანი იქნებოდა დაცვისათვის, ვინაიდან ამ შემთხვევაში მკვლელი წარმოდგენილი იქნებოდა იმ პიროვნებად, რომელმაც თავი გაწირა მაღალი პოლიტიკური იდეალების გამო. ასეთ შემთხვევაში ნაფიც მსაჯულთათვის პ. ჭანუყვაძის გამართლებისათვის ფსიქოლოგიური ფონი მომზადებული იქნებოდა. ჟერსენი გაოცებას ვერ მალავდა იმის გამო, რომ ისეთ ცნობილ ადვოკატს, როგორიც ტორესი იყო, არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა პარიზელი მსაჯულების ფსიქოლოგია.[259]

გენერალი პ. სუდოპლატოვი თავის მემუარებში ახსენებს ვინმე გიგელიას, როგორც საბჭოთა დაზვერვის გამოცდილ და კვალიფიციურ აგენტს. ცხადია, გიგელიას ნაცვლად უნდა იყოს ჩვენთვის კარგად ცნობილი გეგელია (გიორგი დიმიტრის ძე). გიორგი გეგელიაზე, როგორც საბჭოთა მზვერავზე, რომელიც „ოცი წლის მანძილზე ასრულებდა „სპეციალურ“ დავალებებს საფრანგეთში“, „ფარულ აგენტზე“ და „დავალების ზუსტ და აკურატულ შემსრულებელზე“, მიანიშნებს მწერალი კირილ სტოლიაროვიც.[72]

მკითხველის ყურადღება, შესაძლოა, ზომაზე მეტადაც, გვინდა შევაჩეროთ გიორგი გეგელიას პიროვნებაზე, რომელიც ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ წყვეტდნენ საბჭოთა სპეცსამსახურები მათ წინაშე დასმულ ამოცანებს, სადაზვერვო პროცესში როგორ იყენებდნენ ცალკეულ ემიგრანტებს და, პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე, როგორ წირავდნენ და რეპრესიულ წნეხში ატარებდნენ მათ.

გიორგი გეგელია დაიბადა 1904 წელს ფოთის რაიონის სოფელ ჭალადიდში. ის 1918-1921 წლებში აქტიურად იყო ჩართული საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. 1925 წელს გ. გეგელიამ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა, „თავისი ბედი“ დაუკავშირა საქართველოს სსრ მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს.

გ. გეგელიას გადმობირებას (განახორციელა პირადად ლ. ბერიამ) იმთავითვე მიზანმიმართული ხასიათი ჰქონდა. შემდგომში ის გამოყენებული უნდა ყოფილიყო საზღვარგარეთ სადაზვერვო ამოცანების გადასაწყვეტად. გ. გეგელიას გაყვანა

უცხოეთში მოხდა სწავლის გაგრძელების სურვილის მოტივაციით და ამ გზით შეინიღბა სპეცსამსახურის რეალური მიზანი. ის 1925 წელს ჯერ გერმანიაში, ხოლო შემდეგ საფრანგეთში წავიდა. სწავლობდა სორბონის უნივერსიტეტში. უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ გ. გეგელია, როგორც „ნევოზვრაშჩენეცი", საცხოვრებლად დარჩა პარიზში. საბჭოთა საქართველოს სპეცსამსახურების გეგმებით, გ. გეგელია საფრანგეთში უნდა ყოფილიყო სამი-ოთხი წლით, თუმცა შემდგომში განვითარებული მოვლენების გამო გეგმები შეიცვალა. გ. გეგელიამ, საბჭოთა დაზვერვის დავალებით, ემიგრაციაში ყოფნისას გააქტიურა საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში, ვინაიდან ქართული პოლიტიკური ემიგრაციის შიგნით სადაზვერვო საქმიანობის სერიოზულ ობიექტს სწორედ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია წარმოადგენდა. გ. გეგელიას წინადადება მიეცა, განსაკუთრებულად ახლო ურთიერთობაში ყოფილიყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერთან, მის ნათესავთან სპირიდონ კედიასთან. გ. გეგელია ახლოს იყო ქართული ემიგრაციული მთავრობის ლიდერებთან. იყო ანტისაბჭოთა ორგანიზაციების „მომავლის" და „კავკასიის" აქტიური წევრი. გ. გეგელია ემიგრაციის პერიოდში თანამშრომლობდა ემიგრანტულ, ანტისაბჭოთა გამოცემებთან: „ახალი ივერია", „საქართველოს გუშაგი", „თეთრი გიორგი", რომლებშიც მისი სტატიები იბეჭდებოდა.

გ. გეგელიამ სორბონის უნივერსიტეტში გაიცნო მომავალი მეუღლე, ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი, ლუსეტ სან-რემი. მათ მალევე ოჯახი შექმნეს, მოგვიანებით ტყუპებიც შეეძინათ. სამწუხაროდ, გეგელია-სან-რემის წყვილის ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელდა. დაბადებიდან დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, ტყუპები ერთსა და იმავე დღეს, რომელიღაც საყმაწვილო სენით მოულოდნელად გარდაიცვალნენ.

ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ გასული საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში სორბონის უნივერსიტეტში ანთროპოლოგიის სპეციალობას ეუფლებოდა ცნობილი საბჭოთა არალეგალური მზვერავი, არალეგალთა მეფედ ნოდებული ალექსანდრე კოროტკოვი (კარლო როშეცკი). საბჭოთა საგარეო დაზვერვის დავალებით ის სპეციალურად იქნა ზემოაღნიშნულ უნივერსიტეტში წარგზავნილი. სორბონაში შექმნილი იყო საუკეთესო პირობები სადაზვერვო პროცესის ორგანიზებისათვის სასარგებლო ნაცნობობისა და კავშირურთიერთობების დასამყარებლად.[15]

1934 წელს, სორბონის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, გ. გეგელიამ სწავლა განაგრძო პარიზის კრიმინალისტიკურ ინსტიტუტში.

გ. გეგელიას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ცნობილ ფრანგ მწერალთან ანრი ბარბიუსთან. ეს უკანასკნელი 1927-1928 წლებში საქართველოში ყოფნისას სტუმრობდა გ. გეგელიას ბიძას – ფარნაოზ გეგელიას.[71]

1940 წელს საყოველთაო მობილიზაციის გამოცხადებისთანავე საფრანგეთის არმის ქვეითთა პოლკში გაიწვიეს გიორგი გეგელიაც.[71]

პეტენის მთავრობის მიერ 1940 წლის 22 ივნისს ხელმოწერილი კაპიტულაციის შემდეგ, სამხედრო შენაერთი, რომელშიც გ. გეგელია მსახურობდა, დაიშალა. სხვა მებრძოლებთან ერთად გ. გეგელიასაც გაუმართლა, ვინაიდან მისი სამხედრო ნაწილი კაპიტულაციის დღეს აღმოჩნდა გერმანელების მიერ არაოკუპირებულ

ტერიტორიაზე. შეთანმების თანახმად კი იქ მყოფი სამხედრო მოსამსახურეები ტყვეებად არ ითვლებოდნენ.

გ. გეგელია პარიზში დაბრუნდა და აქტიურად ჩაერთო იატაკქვეშა ანტიფაშისტურ მოძრაობაში, რომელსაც საფრანგეთის კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობდა. არალეგალურად ავრცელებდა გაზეთ „იუმანიტეს" – „Впрочем где-то в глубине сердца он ждал и других задании*..."[71]. სწორედ ეს „другие задания**" უნდა ყოფილიყო სადაზვერვო დავალებები, რომლებსაც გ. გეგელია მუდმივად ელოდებოდა. ეს დროც დადგა. გ. გეგელიას განსაკუთრებული ფუნქცია დაეკისრა საფრანგეთის გერმანელი ფაშისტებისაგან განთავისუფლებისა და საფრანგეთში საბჭოთა საელჩოს აღდგენის შემდეგ. ის აქტიურად იყო ჩაბმული რეპატრიაციის პროცესებში და ასრულებდა საბჭოთა საგარეო დაზვერვის ცალკეულ დავალებებს.

1947 წელს გ. გეგელია მეუღლესთან და სხვა რეემიგრანტებთან ერთად დაბრუნდა საქართველოში, ცხოვრობდა თბილისში. გ. გეგელიას ურთიერთობა საქართველოს უშიშროების ორგანოებთან არ გაუწყვეტია, თუმცა 1951 წლის ნოემბერში ის „მეგრელ ნაციონალისტთა" საქმესთან დაკავშირებით დააპატიმრეს. ბრალი დასდეს, სახელმწიფო უშიშროების ორგანოებთან თანამშრომლობის პერიოდში ორპირობაში, 1944-1945 წლებში საფრანგეთის დაზვერვასთან ურთიერთობასა და ანტისაბჭოთა საქმიანობაში. დააპატიმრეს მისი მეუღლეც. ცოლ-ქმარი საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს შინაგან ციხეში უმძიმეს პირობებში რამდენიმე თვის მანძილზე იმყოფებოდა.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს (ამ პერიოდისათვის შსს და სუს უკვე გაერთიანებული იყო) პირველი განყოფილების (საგარეო დაზვერვა) 1953 წლის 14 დეკემბრის დადგენილებით, გ. გეგელიას მიმართ სისხლის სამართლის საქმე შეწყდა დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო. გ. გეგელია გაათავისუფლეს იმავე დღეს. გაასამართლეს მისი მეუღლე, რომელსაც საქართველოს სსრ სსკ-ის 58-10-I მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. თუმცა, საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის 1954 წლის 20 აპრილის დადგენილებით, გეგელია-სანრემი ლუსეტი უდანაშაულობის გამო განთავისუფლებულ იქნა პატიმრობიდან.[74]

გეგელია-სან-რემის ოჯახი ისევ ერთად იყო. მოგვიანებით გ. გეგელია კიდევ ერთხელ გამოიყენა საბჭოთა ხელისუფლებამ საზღვარგარეთ ქართული ემიგრაციის დისკრედიტაციისათვის, გამოაქვეყნა რა მისი „შეხედულებები" ქართულ ემიგრაციაზე საქართველოში გამოცემულ ბროშურაში „ქართული ემიგრაციის ისტორიიდან".[47]

გ. გეგელია წლების მანძილზე ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. საინტერესო იყო მისი ლიტერატურული და სამეცნიერო საქმიანობა. მან ქართულიდან ფრანგულად თარგმნა კონსტანტინე გამსახურდიას ნოველა „ხოგაის მინდია", გამოაქვეყნა მოთხრობა „ბაბუა ყარამანის ყალიონი", მუშაობდა ისტორიულ რომანზე და სხვა.

საზღვარგარეთ წარმატებული ფარული საქმიანობის სანაცვლოდ საბჭოთა

---

* თუმცა, სადღაც გულის სიღრმეში ის სხვა დავალებებსაც ელოდა...

** სხვა დავალებები

ხელისუფლება თავის დროზე დაჰპირდა გ. გეგელიას, რომ საქართველოში დაბრუნების შემდეგ მას საბჭოთა საქართველოს იუსტიციის მინისტრად დანიშნავდნენ, თუმცა დაპირება დაპირებად დარჩა.

თუკი, ნ. რამიშვილის მკვლელობისა და იმ პერიოდის სხვა გახმაურებული პოლიტიკური მკვლელობების, მაგალითად, ს. პეტლიურას მკვლელობის, შედარებით ანალიზს მოვახდენთ, გარკვეულ დასკვნებამდე მივალთ.

1926 წლის მაისში, პარიზში ვინმე შალომ შვარცბალდის მიერ, თითქოსდა უკრაინაში ებრაელთა გენოციდის საპასუხოდ, მოკლულ იქნა უკრაინელ ნაციონალისტთა გამორჩეული ლიდერი ს. პეტლიურა. აი, როგორ აღწერს ამ ფაქტს (ვერსიას) თავის წიგნში – „რუხ გენერლად" წოდებული ფრანგი ჟურნალისტი ალენ გერენი.

„Двадцать пятого мая 1926 года, вскоре после полудня, на углу бульвара Сан-Мишель и улицы Расин кто-то окликнул:

– Эй, пан Петлюра!

– Да, это я . . .

– Так получай же, убийца! Вот тебе за твою резню! Вот тебе за погромы!

– Шварцбард стрелял в Петлюру прямо на улице, прикончив его на тротуаре ещё одним выстрелом, когда тот упал..."*

შვარცბალდი 1927 წლის 26 ოქტომბერს პარიზში გამართულმა სასამართლომ, ნაფიც მსაჯულთა ოცწუთიანი თათბირის შემდეგ, გაამართლა.[65]

უკრაინელი „ნაციონალისტები" დღემდე ფიქრობენ, რომ ს. პეტლიურას მკვლელობა საბჭოთა სპეცსამსახურების სპეცოპერაციის შედეგი იყო. ისინი ემყარებიან 1954 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში გაქცეული საბჭოთა სპეცსამსახურების ყოფილი თანამშრომლის პეტრე დერიაბინის მოსაზრებებს. უკრაინელებს დღემდე მიაჩნიათ, რომ შვარცბალდი მოქმედებდა საბჭოთა დაზვერვის აგენტის მიხეილ ვოლოდინის ზეგავლენითა და დავალებით, რომელიც თითქოსდა სპეციალურად ჩავიდა ბერლინიდან საფრანგეთში ამ მკვლელობის ორგანიზებისათვის. ნ. რამიშვილისა და ს. პეტლიურას მკვლელობებს ბევრი საერთო ნიშანი აქვს:

– ორივე მოკლულ იქნა პარიზის ქუჩაში;

– მკვლელი ორივე შემთხვევაში ჩასაფრებული იყო;

– მკვლელობა ორივე შემთხვევაში ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოხდა;

– მკვლელი არც ერთ შემთხვევაში არ გაქცეულა;

– მკვლელობა ორივე შემთხვევაში მოხდა თითქოსდა „შურისძიების" მოტივით;

– პეტლიურას მკვლელი გამართლდა. ნ. რამიშვილის მკვლელი განაჩენის შემდეგ გადაყვანილ იქნა ციხეში, სადაც მალევე გარდაიცვალა, მაგრამ საბჭოთა

* „1926 წლის ოცდახუთ მაისს, ნაშუადღევს, სან-მიშელის ბულვარისა და რასინის ქუჩის კუთხეში ვიღაცამ დაიყვირა:
– ეი, ბატონო პეტლიურა!
– დიახ, ეს მე ვარ...
– მაშ, მიიღე, მკვლელო! აი, შენ ხოცვა-ჟლეტისათვის! აი, შენ დარბევებისთვის!
– შვარცბალდმა ესროლა პეტლიურას პირდაპირ ქუჩაში, ბოლო მოუღო ტროტუარზე კიდევ ერთი გასროლით, როცა ის დაეცა..."

იდეოლოგია პ. ჭანუყვაძესაც ამართლებდა და მიანიშნებდა, რომ „ჭანუყვაძის მოქმედება განპირობებული იყო პირადი შურისძიების გრძნობით";

– ორივე მკვლელობაში წამქეზებლის როლს ასრულებდნენ მათივე თანამებრძოლები და საბჭოთა სპეცსამსახურების საიდუმლო პირები;

– ორივე დამნაშავეს – შალომ შვარცბალდსა და პარმენ ჭანუყვაძეს, წინასწარი და სასამართლო გამოძიების დროს, ჰყავდათ ერთი და იგივე ადვოკატი – ა. ტორეზი, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის, მორის ტორეზის ძმა.

აშკარაა საბჭოთა ხელისუფლებისათვის მიუღებელი პოლიტიკური ფიგურის ფიზიკური მოსპობის იდენტური ტაქტიკა, მოქმედების ერთი სტილი, რაც მიანიშნებს საბჭოთა სპეცსამსახურებში იმ პერიოდში კარგად აპრობირებულ „მეთოდზე".

ნ. რამიშვილის მკვლელობის საქმეში მთავარი ფიგურა მაინც ამ საზარელი აქტის უშუალო შემსრულებელი პარმენ ჭანუყვაძე გახლდათ. ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო პ. ჭანუყვაძის პიროვნების დადგენა, საქართველოში მისი შთამომავლების მოძიება.

ამ საკითხის შესწავლის სურვილმა მიგვიყვანა ოზურგეთის რაიონის სოფელ შემოქმედში – ჭანუყვაძეთა გვარის ძირძველ კუთხეში. ჩვენდა საბედნიეროდ, მივაკვლიეთ პ. ჭანუყვაძის ერთადერთ ნათესავს, ძმისშვილს ბატონ თენგიზ ჭანუყვაძეს, რომელმაც წარმოგვიდგინა პ. ჭანუყვაძის რამდენიმე ფოტოსურათი, ორი წერილი და ბათუმის სახელოსნო სასწავლებლის დამთავრების დამადასტურებელი ატესტატი, რომელთაც ის რელიკვიად ინახავდა. თ. ჭანუყვაძის გადმოცემით, პ. ჭანუყვაძეს ჰყოლია სამი ძმა – გრიშა, პახუმი და ბესარიონი, აგრეთვე დები – მარო, თამარი და ნინა, რომლებიც 2003 წლისთვის ცოცხლები აღარ იყვნენ.

პ. ჭანუყვაძის მიერ 1926 წელს მშობლებისადმი გამოგზავნილ წერილებში გადმოცემულია ემიგრაციაში მყოფი ადამიანის მძიმე სულიერი მდგომარეობა და განწყობა.

ბ-მა თენგიზმა გაიხსენა ერთი საინტერესო დეტალი. კერძოდ, როგორც მან აღნიშნა, წლების მანძილზე მათი ოჯახისათვის ცნობილი ყოფილა, რომ პარმენ ჭანუყვაძე დაკავშირებული იყო საბჭოთა სპეცსამსახურებთან და ამ უკანასკნელის დავალებებს ასრულებდა საზღვარგარეთ, თუმცა ჩეკისტებს ის გამოუყენებიათ და საბოლოოდ ბედის ანაბარა მიუტოვებიათ...

ნ. რამიშვილის მკვლელობით დაინტერესებულმა პირებმა მიზანს ვერ მიაღწიეს. ნ. ჟორდანიამ ოპოზიციონერთა მიმართ უფრო მტკიცე პოზიცია დაიკავა, ვიდრე ნ. რამიშვილს ჰქონდა. პარიზში პარტიულმა დისკუსიამ, რომელმაც თითქმის ორ წელიწადს გასტანა, ვითარება ვერ შეცვალა. ისინი, ვინც ადრე სიხარულით შეხვდნენ ნ. რამიშვილის მკვლელობას, ახლა უკვე ნანობდნენ მომხდარს და ყველამ შექმნილი ვითარებიდან გამოსვლის საკუთარი გზების ძიება დაიწყო. რაც შეეხება საბჭოთა სპეცსამსახურებს, მათ თავიანთ მიზანს მიაღწიეს – პოლიტიკური არენიდან ჩამოიცილეს ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ერთ-ერთი აქტიური და თვალსაჩინო ანტისაბჭოთა მოღვაწე, რომლის სიკვდილმაც დიდი დარტყმა მიაყენა საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას. არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, კერძოდ რომელი პოლიტიკური და-

ჯგუფება და პიროვნებები გამოიყენა საბჭოთა დაზვერვამ მკვლელ პ. ჭანუყვაძის წაქეზებაში. ფაქტია, რომ მკვლელობა მოხდა ქართველის ხელით, ქართველისვე წაქეზებით, რითაც კიდევ უფრო გააღრმავა ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში უნდობლობა და ურთიერთდაპირისპირება. მართალია, საბჭოთა დაზვერვამ ვერ შეძლო პ. ჭანუყვაძის სასამართლო პროცესის პოლიტიზება, ანუ ნ. რამიშვილის მკვლელობის მოტივად პოლიტიკური და არა პირადი ან საყოფაცხოვრებო მიზეზების დაფიქსირება, მაგრამ საერთო შედეგს მიაღწია და ქართველებს კიდევ ერთხელ მწარე სირცხვილი აჭამა.

ნ. რამიშვილის მკვლელის, პ. ჭანუყვაძის სასამართლო პროცესის თემამ კიდევ ერთხელ წამოიწია ჯერ ემიგრანტული გაზეთების „ბრძოლის ხმასა“ და „დამოუკიდებელი საქართველოს“ ფურცლებზე, რომელსაც შემდგომ გამოხმაურება მოჰყვა 1931 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში ქართული სათვისტომოს ოპოზიციური ნაწილის (რეალურად სპ. კედიას მხარდამჭერების) მიერ ორგანიზებულ კრებაზე, რომელსაც 90-მდე ქართველი ემიგრანტი ესწრებოდა. მასზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ორგანიზაცია: „თეთრი გიორგი“, „შეფიცულები“, „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“, „სამხედრო კავშირი“ და ბევრიც უპარტიო.

კრების თავმჯდომარე იყო ბერი შალვა ვარდიძე, ხოლო მდივანი – შალვა ბერიძე. ძირითადი მომხსენებელი იყო ვახტანგ მაჩაბელი, რომელმაც სოციალ-დემოკრატთა ქცევასა და მათ სტატიებს, გამოქვეყნებულს ზემოაღნიშნულ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, პროვოკაციული უწოდა. მან დაგმო საქართველოს „ეროვნული ბელადის“, სპ. კედიასა და მისი თანამოაზრეების, სინჯიკაშვილისა და გეგელიას წინააღმდეგ სოციალ-დემოკრატების გალაშქრების ფაქტი. შემდეგ სიტყვით გამოვიდა გ. გეგელია, რომელმაც ახსნა, თუ რატომ ცდილობდა ნ. რამიშვილის მკვლელის პ. ჭანუყვაძის დაცვას სოციალ-დემოკრატთა ბრალდებებისაგან.

მგზნებარებით აღსავსე იყო მიხაკო წერეთლის გამოსვლა, რომელმაც სოციალ-დემოკრატებს შეახსენა ილია ჭავჭავაძისადმი მათი დამოკიდებულების თაობაზე მისი მკვლელობის წინა პერიოდში და აღნიშნა, რომ წერტილი უნდა დასმოდა მათ საქციელს. „ტერორს უნდა ვუპასუხოთ ტერორით, მკვლელობას – მკვლელობით და პროვოკაციას – პროვოკაციით“ – დაასრულა სიტყვა მ. წერეთელმა.

შეკრებაზე, აგრეთვე, სიტყვით წარდგნენ გრიგოლ ცხაკაია და სპირიდონ კედია. მათი გამოსვლაც ქართველი სოციალ-დემოკრატების მძაფრი კრიტიკით იყო განმსჭვალული. ქართველთა ეს თავყრილობა მორიგი, სამომავლოდ არაფრისმომცემი რეზოლუციის მიღებით დასრულდა.[260]

ნოე რამიშვილის ცხოვრების, მოღვაწეობის, აგრეთვე მისი ტრაგიკული ბედისადმი ქართული ემიგრაცია ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდა და რითაც შეეძლო, პატივს მიაგებდა მის ხსოვნას. ნოე რამიშვილის გარდაცვალებიდან 50 წლისთავთან დაკავშირებით უკვე „მობერებული“ ქართული ემიგრაცია შეეცადა მისი სახელის კიდევ ერთხელ უკვდავყოფას. 1980 წელს ჟურნალ „თავისუფალი ტრიბუნის“ დეკემბრის ნომერში გამოქვეყნდა ნიკო ურუშაძის მოგონებები ნოე რამიშვილზე. ამავე წელს ჟურნალ „დროშაში“ დაიბეჭდა ამ ტრაგიკულ მოვლენასათან დაკავშირებით მაშინდელი პრესის მოკლე მიმოხილვა.

1980 წლის 7 დეკემბერს პარიზის ქართულ ეკლესიაში დეკანოზმა ილიამ ნოე

რამიშვილის პანაშვიდზე წარმოთქვა ვრცელი სიტყვა, რომელიც ასე დაასრულა:

„ახლა ვილოცოთ ყველამ ერთად – ეროვნული ერთობით, იმ პირისათვის, რომელიც იყო თავდადებული მსახური ქვეყნისა და შეურიგებელი მტერი დამპყრობლებისა. მან განიცადა აღსასრული მოულოდნელი მძვინვარე ძალადობით და აღიმართა ვით სიმბოლო, რომელსაც ვერ გასცვეთს დროთა ბრუნვა. მისი მსხვერპლად გაღება უნაყოფო არ დარჩება და ღმერთმა მიიღოს მართალ საქმეთა ეს მისი ღვაწლი.

ვილოცოთ! ჩვენი ქვეყნისათვის და მისი ტანჯული ხალხისათვის – ჩვენი ემიგრაციისათვის, რომელიც არის განუყოფელი ნაწილი ჩვენი ერისა – თვითონაც რომ განიცდის წამებას“.[220]

თავი VII

# ანტისაბჭოთა საქმიანობის ახალი სტრატეგია ნოე რამიშვილის მკვლელობის შემდეგ

...ქართველო ხალხო, იცოდე და გწამდეს, რომ კვლავაც მხოლოდ და მხოლოდ ამ დამოუკიდებლობით მოიპოვებ შენ იმასა, რასაც ამაოდ ეძებდნენ ამის გარეშე შენიე ძენი – მშვიდობას, თავისუფალ მოქალაქეობას და კეთილდღეობასI..

*ივანე როსტომაშვილი*[81]

## საქართველოში ფარული საქმიანობისთვის ემისართა შეგზავნის მორიგი მცდელობა

ნოე რამიშვილის მკვლელობის შემდეგ ბრძოლა გავლენის მოპოვებისათვის ქართული პოლიტიკური ემიგრაციის სხვადასხვა დაჯგუფებებს შორის კიდევ უფრო გამძაფრდა. ქართველ სოციალ-დემოკრატებს, შიდა ოპოზიციის გარდა, შეუტიეს იმ პოლიტიკურმა გაერთიანებებმა და ორგანიზაციებმა, რომლებიც არ შედიოდნენ საქართველოს ეროვნულ ცენტრში და არ თანამშრომლობდნენ ნოე ჟორდანიას მთავრობასთან. ქართული პოლიტიკური ემიგრაციის თითოეულ ამ წარმომადგენელს საკუთარი მიზნები ამოძრავებდა, რაც დევნილ მთავრობაში პრივილიგირებული მდგომარეობის დამკვიდრების სურვილით იყო გამოწვეული. მათ არ გააჩნდათ ერთიანი ოპოზიციური პროგრამა და, აქედან გამომდინარე, ბრძოლა ნ. ჟორდანიასა და მის მხარდამჭერთა წინააღმდეგ სრული კრახით დასრულდა. ოპოზიციონერების იმედი, რომ ნ. რამიშვილის პოლიტიკიდან ფიზიკური ჩამოცილების შემდეგ ვითარება მათ სასარგებლოდ შემოტრიალდებოდა – არ გამართლდა. ისინი ნანობდნენ კიდეც, რომ ანტისაბჭოთა ბრძოლის არენაზე აღარ იდგა ისეთი აქტიური პოლიტიკური მოღვაწე, როგორიც ნოე რამიშვილი იყო.

ამ პერიოდიდან მოყოლებული, საქართველოს ეროვნულ ცენტრში, ორგანიზაციული თვალსაზრისით, პრაქტიკულად არაფერი შეცვლილა. ის წარმოდგენილი იყო ყველა იმ ანტისაბჭოთა პარტიითა და ორგანიზაციით, რომლებიც ნ. ჟორდანიას მთავრობასთან თანამშრომლობდნენ. ეროვნული ცენტრის შემადგენლობა ასეთი იყო: ცენტრის ხელმძღვანელი გახლდათ სოციალ-დემოკრატი კალე ქავთარაძე, მისი წევრები სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან იყვნენ აკაკი ჩხენკელი და სარდიონ (სანდრო) მენაღარიშვილი; სოციალ-ფედერალისტებიდან – სამსონ ფირცხალავა; ეროვნულ-დემოკრატებიდან – გიორგი გვაზავა და ივანე ზურაბიშვილი; სოციალ-რევოლუციონერებიდან – ილია ნუცუბიძე. ნ. ჟორდანიას მთავრობაში ნ. რამიშვილის ნაცვლად შეყვანილ იქნა ა. ჩხენკელი. მთლიანად მთავრობის შემადგენლობა ასეთი იყო: თავმჯდომარე – ნოე ჟორდანია; წევრები: აკაკი

ჩხენკელი, კონსტანტინე (კოწია) კანდელაკი, ევგენი გეგეჭკორი და ილია ზურაბიშვილი. სოციალ-დემოკრატთა ძველი ბირთვი უცვლელი დარჩა. ევგ. გეგეჭკორი და ვ. წულაძე იძულებულნი იყვნენ, თავიანთ პოზიციებზე დარჩენილიყვნენ, თუმცა ავტორიტეტი და პრესტიჟი შეელახათ. წერეთელი-არსენიძის ოპოზიციური ფრთა საერთოდ წავიდა პარტიიდან, სხვებთან ერთად შექმნა პარტიული ჯგუფი და დაიწყო ცალკე გაზეთის გამოშვება. მათ, მემარჯვენეებთან ერთად, ემიგრანტთა სხვადასხვა ფორუმზე პარიზში სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ დაიწყეს გამოსვლა. მალე ირაკლი წერეთელმა პარტიულ საქმიანობას საერთოდ დაანება თავი და ევგ. გეგეჭკორის სომეხ მეგობართან, აჯამოვთან დაიწყო მუშაობა. რაჟდენ არსენიძის წასვლის შემდეგ მისი მხარდამჭერი ათკაციანი ჯგუფი ვიქტორ ნოზაძის მეთაურობით თეთრგიორგელებს მიემხრო, თუმცა მათ მალევე გამოეყო იმის გამო, რომ „თეთრი გიორგი"-ში ხელმძღვანელი თანამდებობები ვერ დაიკავეს.[261]

ამასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება გააჩნდა გენერალ შ. მაღლაკელიძეს. ის აღნიშნავს: „ჩვენ მივდივართ ხოლმე, როგორც გითხარით, შპაკინასთან. შპაკინას ქმარი სუფრასთან არასოდეს არ ზის, ექიმია, რუსი შპაკინი. შპაკინი თავის დროზე იყო რუსული სანიტარული მატარებლის უფროსი, ნინო შპაკინა, როგორც დადასტურდა, იმ დროს საკმაო სიმდიდრის მფლობელი იყო, რომლის წყარო ნამდვილად საბჭოების ფული იქნებოდა, სხვანაირად, აბა რა გზით უნდა გამდიდრებულიყო. ნინოს ეს ქმარი მზარეულად ყავს. ე.ი. მონასავით ყავს, არც მალავს, რომ სალია მისი მეგობარია. ერთ საღამოს შპაკინმა კინოში დამპატიჟა და იქ მითხრა ყველაფერი. სალია ნინოსთან დარჩა. მერე ვნახე სალია და ვუთხარი ჩვენი ორგანიზაციის ერთ-ერთი დამაარსებელი, ყველაზე პასუხისმგებელი პირი ხარ სხვებთან შედარებით და ამას რას აკეთებ-თქო.

დავაყენე საკითხი ორგანიზაციაში. დავიბარე სალია და ვთქვი: ან უნდა ჩამოშორდეს სალია შპაკინას ან განთავისუფლებულ იქნას ორგანიზაციიდან-თქო. სალია გაეუშვით „თეთრი გიორგიდან".[64]

ვიქტორ ნოზაძის აღნიშნულმა ჯგუფმა შემდგომ შექმნა ფაშისტური ყაიდის ორგანიზაცია „ორნათი", რომლის ლიდერიც გახდა ვიქტორ ნოზაძე. მოკლე ხანში ამ ორგანიზაციაშიც წარმოიშვა უთანხმოება და ვ. ნოზაძემ თავის მხარდამჭერებთან ერთად, შექმნა ცალკე ორგანიზაცია. აღნიშნულმა ჯგუფმა დაიწყო ახალი ჟურნალის – საქართველოს ფაშისტური დარაზმულობის ორგანოს – „ქართლოსის" გამოცემა.[261]

ვ. ნოზაძე და შ. მაღლაკელიძე, სსრკ-გერმანიის ომის პერიოდში აქტიურ ანტისაბჭოთა საქმიანობას ეწეოდნენ. ომის დამთავრების შემდეგ ვ. ნოზაძე ჩილეში, ხოლო შ. მაღლაკელიძე საბჭოთა კავშირში აღმოჩნდა.

20-იანი წლების მეორე ნახევარში საბჭოთა ხელისუფლების მხარდამჭერი ქართველი ემიგრანტების საქმიანობა საფრანგეთში საკმაოდ გართულებულა. ამის მთავარი მიზეზი იყო აკ. ჩხენკელის მეთაურობით ქართული ლეგაციის მტკიცე პოზიცია, რომელსაც ზურგს საფრანგეთის მთავრობა და ფრანგი სოციალისტები უმაგრებდნენ. მაგალითად, მათი ძალისხმევით პროსაბჭოთა საქმიანობისათვის საფრანგეთიდან გაძევებულ იქნა საბჭოთა კოლონიის სამდივნოს წევრი ხუხუნია. მიუხედავად იმისა, რომ საქმეში ჩაერია საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენელი საფრანგეთში რაკოვსკი, რომელმაც პირადად მიმართა ქვეყნის მეთაურს

ბრიანს და პარლამენტის რამდენიმე დეპუტატს, გადაწყვეტილება გაძევებულის მიმართ არ შეცვლილა. უცვლელი დარჩა ქართული ლეგაციის პოზიციაც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭოთა ხელისუფლების და მისი სპეცსამსახურების წინაშე კიდევ უფრო დიდი სიმწვავით დაისვა საფრანგეთში საქართველოს ლეგაციის ოფიციალურად გაუქმების აუცილებლობის საკითხი, რაც უპირველესად, საფრანგეთის ხელისუფლების და საზოგადოების თვალში ამ ორგანიზაციის, და მისი ხელმძღვანელის კომპრომეტაციის გზით იყო შესაძლებელი. ამ მიზნის მისაღწევად საბჭოთა საგარეო დაზვერვამ, საბჭოთა ხელისუფლების მითითებით, სათანადო ღონისძიებები გაატარა.[301]

წარმატების მისაღწევად საჭირო იყო შესაბამისი პოლიტიკური ვითარების ჩამოყალიბება. ეს დროც დადგა. 30-იანი წლების დასაწყისში საფრანგეთში საკმაოდ რთული პოლიტიკური ვითარება შეიქმნა, რამაც საფრანგეთში საქართველოს ლეგაციას პრობლემები შეუქმნა. აღნიშნულის თაობაზე „ცენტრს" ატყობინებდა საბჭოთა საგარეო დაზვერვის პარიზის რეზიდენტურა:

„1932 წლის 23 ნოემბერს მოხდა სპ. კედიასა და გ. გეგელიას შეხვედრა საფრანგეთის პარლამენტის წევრებთან, რესპუბლიკურ-დემოკრატიული ბლოკის დეპუტატებთან ლუი მარენთან და ებერნაგერთან. შეხვედრაზე, რომლის ინიციატორიც იყო მარენი და რომელიც შედგა მისსავე საცხოვრებელ ბინაში (პარიზი, სან მიშელის ბულვარი N 95) გაირკვა სპ. კედიას ჯგუფის პოზიცია დეპუტატ ბლაკ-ბელლერის მიერ საქართველოს ლეგაციის დახურვის საკითხის წამოჭრასთან დაკავშირებით. სპ. კედიამ განაცხადა, რომ ის და მისი ჯგუფი იძულებულნი არიან დაიცვან ლეგაციის ინტერესები, ვინაიდან იგი წარმოადგენს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უკანასკნელ ბაირაღს.

თუმცა ჩვენი პოზიცია, – დაამატა სპ. კედიამ, – არ ავალდებულებს ჩვენს მეგობრებს საფრანგეთის პარლამენტიდან. ჩვენ ბევრს არ დავკარგავთ, თუკი პარლამენტის გადაწყვეტილება ლეგაციისათვის იქნება არასასურველი.

ჩვენთვის ცნობილია ბ-ნ სპ. კედიას მოსაზრება, – მიმართა ებერნაგერმა გ. გეგელიას, – თუმცა რას ფიქრობთ თქვენ, ახალგაზრდობის წარმომადგენლები".

გ. გეგელიამ უპასუხა: „ნათქვამს შემიძლია დავუმატო შემდეგი: ჩვენდა სამწუხაროდ, ლეგაცია, იმის მაგივრად, რომ დაიცვას ეროვნული ღირსება, ლახავს მას. იყო შემთხვევა, როცა ჰუმანური მოსაზრებებიდან გამომდინარე, ნაციონალისტურად განწყობილი ახალგაზრდობის გამო საჭირო გახდა პარიზის ნაფიც მსაჯულთა წინაშე დაცვა ერთ-ერთი ახალგაზრდისა ლეგაციის ყალბი ცილისწამებისგან, რომელიც შეთითხნილ იქნა ცრუ მოწმეთა მიერ. ეს ლეგაცია ანაგვიანებს იმას, რაც მან „უნდა დაიცვას".

ფრანგმა დეპუტატებმა განაცხადეს, რომ საქართველოს ლეგაციის დაცვის საკითხი ძალიან ძნელია და მათ მოუწევთ „გაწვალებული" საქართველოს პლატონური დაცვა, თუმცა ლეგაციაზე სიჩუმის შენარჩუნება.

სპ. კედიასა და გ. გეგელიას აზრი ისეთია, რომ რესპუბლიკურ-დემოკრატიული ბლოკი პარლამენტში კენჭისყრისას თავს შეიკავებს საქართველოს საელჩოს არსებობის საკითხთან დაკავშირებით". (დოკუმენტი თარგმნილია რუსულიდან. სტილი დაცულია (გ.ს.)[262]

1933 წელს, საფრანგეთის მიერ სსრ კავშირის ცნობისა და საფრანგეთ-საბ-

ჭოთა კავშირის ხელშეკრულების დადების შემდეგ დამოუკიდებელი საქართველოს ლეგაცია საფრანგეთში მაინც გაუქმდა და მის სანაცვლოდ ჩამოყალიბდა საქართველოს „ლტოლვილთა ოფისი", რომელსაც უნდა დაეცვა ქართველ ემიგრანტთა ინტერესები. მის ხელმძღვანელად დაინიშნა სოსიპატრე (ჭიჭიკო) ასათიანი, საქართველოს საელჩოს ყოფილი მდივანი. შესაბამისად, „ლტოლვილთა ოფისის" ფილიალებად გადაკეთდა დემოკრატიული საქართველოს საელჩოები შვეიცარიაში, იტალიაში, გერმანიასა და სტამბოლში. ზემოაღნიშნულ ცვლილებებს არანაირი გავლენა არ მოუხდენია ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ანტისაბჭოთა საქმიანობაზე.

აღნიშნული პერიოდიდან მოყოლებული, გააქტიურებას იწყებს ანტისაბჭოთა ყაიდის ემიგრანტული ორგანიზაცია „ქართლოსი", რომლის საქმიანობაც საბჭოთა საგარეო დაზვერვას მხედველობიდან არ გამორჩენია. ამის თაობაზე იტყობინებოდა პარიზის რეზიდენტურა დაშიფრული „სრულიად საიდუმლო" ერთ-ერთი შიფროგრამით.[258]

ემიგრაციაში ყოფნის პირველივე დღეებიდან ანტისაბჭოთა ქართული ემიგრაცია იძულებული იყო ანტისაბჭოთა საქმიანობის საწარმოებლად ოფიციალური ურთიერთობა ჰქონოდა უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებთან, უფრო მეტად – სადაზვერვო სტრუქტურებთან. სპეცსამსახურებთან დაკავშირებულ საკითხებს სიკვდილამდე განაგებდა ნ. რამიშვილი, რომლისთვისაც, როგორც ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრისათვის, სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობა უცხო არ იყო და მათში კარგადაც ერკვეოდა. მისი გარდაცვალების შემდეგ, გარკვეული მიმართულებების წარმართვა ნ. ჟორდანიამ შ. ბერიშვილს დაავალა, ხოლო მთლიანად სადაზვერვო საქმიანობის ორგანიზება და უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებთან ურთიერთობა ევგ. გეგეჭკორის ხელში გადავიდა. ამ პოსტზე მას მძლავრ კონკურენციას უწევდა სარდიონ (სანდრო) მენაღარიშვილი. აღნიშნულ პერიოდში, უცხოეთის დაზვერვათა ხელშეწყობით, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის ბიურომ საქართველოში რამდენიმე ემისარი გააგზავნა.

1930 წელს ირანის გავლით საქართველოში იმყოფებოდნენ ილია ზაქარაია და მიხეილ ნიკოლაიშვილი. ჩეკისტები მათ ინტენსიურად თვალყურს ადევნებდნენ და, არც პარტიის არალეგალური წევრების გიორგი ჭელიძისა და ვანო ხავთასის მათთან ერთად საზღვარგარეთ გამგზავრება გამორჩენიათ. გ. ჭელიძე სულ მალე ჩაირიცხა პარიზში „თეთრი გიორგის" შემადგენლობაში. 1931 წელს გ. ჭელიძე გაგზავნეს საქართველოში, საიდანაც უკან აღარ დაბრუნებულა („ჩაბარდა"). 1931 წელს ხელახლა იმყოფებოდა საქართველოში ი. ზაქარაიაც, რომელიც, დაბრუნების შემდეგ, კიდევ ერთხელ გაიგზავნა საქართველოში მომდევნო 1932 წელს და ისიც საქართველოს სპეცსამსახურს „ჩაბარდა".[270]

ევგ. გეგეჭკორის ავტორიტეტი და გავლენა, სადაზვერვო საქმიანობის თვალსაზრისით, უფრო და უფრო იზღუდებოდა. მას კონკურენციას უწევდა სარდიონ მენაღარიშვილი, რომელიც გაცილებით დიდი ნდობით სარგებლობდა. ამ პერიოდისთვის მას მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა საფრანგეთის თავდაცვის სამინისტროსთან და ამ ქვეყნის სადაზვერვო სტრუქტურებთან. მასზე, როგორც საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის აქტიურ წევრზე, ანტისაბჭოთა

საქმიანობის კარგ ორგანიზატორსა და პრაქტიკოსზე ქართულმა საზოგადოებამ თითქმის არაფერი იცის.

ალექსანდრე (სანდრო-სარდიონ) მენაღარიშვილი (მენაღარი) 1918-1921 წლებში სოციალ-დემოკრატთა ყველა პარტიული ფორუმის მონაწილე იყო. აქტიურად მონაწილეობდა სოციალ-დემოკრატთა (მენშევიკთა) გურიის, ზესტაფონისა და შორაპნის არალეგალური ორგანიზაციების საქმიანობაში. ს. მენაღარიშვილი იყო მონაწილე 1924 წლის აგვისტოს აჯანყებისა: კ. ანდრონიკაშვილის დავალებით, თბილისში აჯანყების ორგანიზებისათვის შექმნა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის თბილისის ფილიალი".

ამბოხების დამარცხების შემდეგ, ს. მენაღარიშვილმა, მიუხედავად სოციალ-დემოკრატთა დიდი დანაკლისისა, სოლომონ თელიასთან ერთად, სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების აღდგენის მიზნით, შექმნა „საორგანიზაციო კომიტეტი". აღნიშნულმა კომიტეტმა ს. მენაღარიშვილი, საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან კავშირის დასამყარებლად, 1925 წლის ბოლოს საფრანგეთში მიავლინა.

ს. მენაღარიშვილი პარიზში ჩავიდა 1926 წლის დასაწყისში. ეს ის პერიოდია, როდესაც წერეთელი-არსენიძის ჯგუფი გააფთრებით ებრძოდა ჟორდანია-რამიშვილის მომხრეებს. ს. მენაღარიშვილმა უკანასკნელთა ინტერესები დაიცვა და სიცოცხლის ბოლომდე მათი იდეების ერთგული დარჩა.

ს. მენაღარიშვილი იმთავითვე გახდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს ხელმძღვანელი ორგანოს წევრი და მისი აქტიური მონაწილე. მას პატივი ერგო ყოფილიყო საზღვარგარეთის პირობებში ქართველ სოციალ-დემოკრატთა და დევნილი მთავრობის მიერ წარმოებული საიდუმლო, ანტისაბჭოთა საქმიანობის ერთ-ერთი ორგანიზატორი და მთელი რიგი ანტისაბჭოთა ღონისძიებების მონაწილე. ამ მიზნით ს. მენაღარიშვილი ამყარებდა ოფიციალურ კონტაქტს საზღვარგარეთის ქვეყნების სპეცსამსახურებთან.[263] ნ. რამიშვილის გარდაცვალების შემდეგ, სოციალ-დემოკრატთა საიდუმლო საქმიანობა ს. მენაღარიშვილის ხელში გადავიდა. ასე იყო მეორე მსოფლიო ომამდე და მისი დასრულების შემდგომაც. ის იყო საზღვარგარეთ არსებული თითქმის ყველა ემიგრანტული ანტისაბჭოთა ორგანიზაციის წევრი, აქტიურად თანამშრომლობდა ანტისაბჭოთა გამომცემლობებთან. ს. მენაღარიშვილის სახელით ნ. ჟორდანია აწარმოებდა მიმოწერას საჭირო პიროვნებებთან, ორგანიზაციებთან და იყო მისი განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილი პირი. სწორედ ამის გამო ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ზოგიერთი წარმომადგენელი მტრობდა კიდეც მას.

1934 წლისათვის საზღვარგარეთის ბიუროს კავშირურთიერთობა საქართველოს იატაკქვეშა ორგანიზაციებთან საბჭოთა საქართველოს სპეცსამსახურების აქტიური საქმიანობის შედეგად, პრაქტიკულად, გაწყდა. სიტუაციის გამოსასწორებლად, 1935 წელს, პოლონეთის დაზვერვის მხარდაჭერით, როგორც პოლონელი ჟურნალისტი, ს. მენაღარიშვილი ირანში გაემგზავრა, რათა ორგანიზება გაეწია ამ ქვეყნის ტერიტორიიდან საქართველოში ემისართა არალეგალური შეგზავნისათვის. ირანში ჩასვლისთანავე მან მოძებნა ემიგრანტი ივანე (ვანო) ხავთასი, რომელიც სათანადო სწავლებისა და მომზადების შემდეგ საქართველოში გააგზავნა. ხავთასს საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ დაპატიმრებული ემიგრანტის,

გიორგი ჭელიძის მაგივრობა – მეკავშირის ფუნქცია უნდა შეესრულებინა, მაგრამ ხავთასიც დაპატიმრებულ იქნა. ამით ისარგებლეს ს. მენაღარიშვილის მტრებმა და ხმები გაავრცელეს, თითქოსდა, ხავთასი საკუთარი ნებით ჩაბარდა ადგილობრივ ორგანოებს, რის შემდეგაც რეპრესირებულ იქნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ძველი და ავტორიტეტული წევრები.

ს. მენაღარიშვილი ამ ამბიდან სულ მოკლე ხანში პარიზში დაბრუნდა და გაწეული საქმიანობის თაობაზე ანგარიში ჩააბარა ნ. ჟორდანიას და პოლონეთის დაზვერვას. მტრების მცდელობის მიუხედავად, ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციასა და პოლონეთის დაზვერვაში ს. მენაღარიშვილის რეპუტაცია კვლავ მყარი რჩებოდა.

ს. მენაღარიშვილი საკმაოდ ფრთხილი და შორსმჭვრეტელი პიროვნება იყო. ის ცდილობდა, მაქსიმალურად გაფრთხილებოდა საქართველოში მცხოვრებ ახლობლებს და მათ არასდროს იყენებდა იატაკქვეშა საქმიანობისათვის. ოჯახის წევრებთან, მეუღლესთან და შვილთან მიმოწერაშიც, რომელიც 1936 წლამდე გაგრძელდა, ს. მენაღარიშვილი ზომაზე მეტად თავშეკავებული იყო.

1937 წელს ს. მენაღარიშვილმა გაზეთ „კომუნისტის“ მეშვეობით შეიტყო მამის გარდაცვალება. იმავე წელს დაპატიმრებულ და გადასახლებულ იქნა მისი ერთ-ერთი ძმა, მიუხედავად იმისა, რომ ის სოფლად მცხოვრები უბრალო გლეხი და აპოლიტიკური პიროვნება იყო. ს. მენაღარიშვილს ჰყავდა კიდევ ერთი უმცროსი ძმა, რომელსაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული.[263]

მიუხედავად არსებული პრობლემებისა, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის ბიურო მაინც ცდილობდა საქართველოში ემისრების არალეგალურად შეგზავნასა და იატაკქვეშა, ანტისაბჭოთა საქმიანობის ორგანიზებას.

### საბჭოთა ხელისუფლებისათვის არასასურველი პირების, მათ შორის, ანტისაბჭოთა ემიგრაციის წარმომადგენლების საზღვარგარეთიდან მოტაცება და მოტაცების მცდელობა

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა რუსეთისა და შემდგომში საბჭოთა კავშირის საგარეო დაზვერვა და მისი რეზიდენტურები საზღვარგარეთ მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური კურსის განსაზღვრაში და ასრულებდნენ საბჭოთა ხელისუფლების დავალებებს, მათ შორის გეგმავდნენ სპეციალურ ღონისძიებებს, მაღალ პოლიტიკურ და სახელმწიფო დონეზე დაზვერვის პრიორიტეტების განსაზღვრა მოხდა 1930 წლის 30 იანვარს სკკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებით.

საგარეო დაზვერვის წინაშე დასმულ ამოცანათა შორის იყო ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთის, პოლონეთის, რუმინეთისა და იაპონიის სახელისუფლებო წრეების გეგმების გამოვლენა სსრ კავშირის მიმართ. ამ უკანასკნელი ქვეყნების სპეცსამსახურები აქტიურად იყენებდნენ ანტისაბჭოთა ემიგრაციას.[5]

საბჭოთა სპეცსამსახურები ქართულ ანტისაბჭოთა ემიგრაციასთან ბრძოლას

რუსეთის იმპერიიდან ემიგრირებულ ხალხთა ანტისაბჭოთა საქმიანობასთან კონტექსტში განიხილავდნენ.

სხვადასხვა ხასიათის ოპერატიული და ანალიტიკური საქმიანობა იგეგმებოდა „ცენტრში", ხოლო მის რეალიზაციას ახორციელებდნენ საბჭოთა საგარეო დაზვერვის რეზიდენტურები. ამდენად, დაზვერვის რეზიდენტურების კარგად ორგანიზებაზე იყო შემდგომში დამოკიდებული ანტისაბჭოთა ემიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლისა და სადაზვერვო საქმიანობის სხვა მიმართულებების ეფექტურობა.

XX საუკუნის 20-იანი წლების შუა პერიოდში, საკმაოდ დაძაბული საერთაშორისო ვითარების პირობებში, საბჭოთა საგარეო დაზვერვამ, მის წინაშე დასმული ამოცანებიდან გამომდინარე, შეძლო კარგი ოპერატიული პოზიციების შექმნა საფრანგეთში, ინგლისში, პოლონეთსა და განსაკუთრებით, გერმანიაში. ამ დროისათვის სსრკ საგარეო დაზვერვაში დაგროვდა საკმარისი გამოცდილება თეთრგვარდიული ემიგრანტული და ანტისაბჭოთა ორგანიზაციების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

„При Дзержинском ГПУ заслало во многие страны агентов из иностранного отдела своего политического аппарата, и в частности, во Францию и Польшу. Задачей этих агентов была нейтрализация эмигрантских организаций и внедрение своих посланцев в ряды антикоммунистического движения. По приказу Сталина приемники Дзержинского ставили своей задачей нейтрализовать оппозицию в многочисленных международных коммунистических организациях. В ГПУ были созданы новые международные отделы. В период между 1925 и 1935 годами сети советской секретной службы раскинулись по всему миру.*» – მინიშნებულია რუსეთის საგარეო დაზვერვის ისტორიაში.[59] საბჭოთა საგარეო დაზვერვის საკმაოდ სერიოზულ დასაყრდენს საზღვარგარეთ სადაზვერვო საქმიანობისათვის წარმოადგენდა როგორც ანტიფაშისტურად განწყობილი საზოგადოების ნაწილი, ასევე დემოკრატიული ინტელიგენცია. დაზვერვის ყურადღების ცენტრში იყო ეგრეთ წოდებული საბჭოთა ემიგრაციის ის ნაწილი, რომელსაც კარგი სადაზვერვო შესაძლებლობები გააჩნდა. მათ შორის იყვნენ ქართველი ემიგრანტებიც.

სადაზვერვო პროცესის ერთ-ერთ მთავარ ბაზისად ასევე ითვლებოდა საზღვარგარეთის კომუნისტური პარტიები.

XX საუკუნის 20-30-იან წლებში საბჭოთა დაზვერვა აქტიურად იყენებდა საზღვარგარეთის ქვეყნების კომუნისტური პარტიების წევრებსა და კომპარტიის ლიდერებს. მოგვიანებით ეს პრაქტიკა ფორმალურად აიკრძალა სსრკ-ის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ, ვინაიდან უცხოელი აგენტები – კომპარტიის წევრები ადვილად ექცეოდნენ ადგილობრივი კონტრდაზვერვის მხედველობის არეში. ამასთან, მათი სადაზვერვო შესაძლებლობები, გასაგები მიზეზების გამო,

* „ძერჟინსკის დროს, სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს მიერ თავისი პოლიტიკური აპარატის უცხოეთის განყოფილებებიდან ბევრ ქვეყანაში იქნენ შეგზავნილი აგენტები, კერძოდ, საფრანგეთსა და პოლონეთში. ამ აგენტთა ამოცანას წარმოადგენდა ემიგრანტული ორგანიზაციების ნეიტრალიზება და თავისი მსტოვრების ჩაწერგვა ანტიკომუნისტურ მოძრაობაში. სტალინის ბრძანებით, ძერჟინსკის შემკვიდრეები თავის ამოცანად ისახავდნენ მრავალრიცხოვან საერთაშორისო კომუნისტურ ორგანიზაციებში მოქმედი ოპოზიციის ნეიტრალიზებას. სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოში შეიქმნა ახალი საერთაშორისო განყოფილებები. 1925-1935 წლებში საბჭოთა საიდუმლო სამსახურის ქსელი გადაჭიმული იყო მთელ მსოფლიოში".

შეზღუდული იყო. მიუხედავად ამისა, სადაზვერვო პროცესის უზრუნველსაყოფად კვლავ გრძელდებოდა კომპარტიის წევრების გადმობირების ჩვეული პრაქტიკა.

აღნიშნულ პერიოდში საფრანგეთში „ლეგალურად" თუ არალეგალურად წარმატებით მოღვაწეობდა ბევრი საბჭოთა მზვერავი, რომელთა საქმიანობაც შემდგომში მრავალ მემუარულ თუ პუბლიცისტურ ნაწარმოებში აისახა. საბჭოთა საგარეო დაზვევის რეზიდენტურებში პერიოდულად საქმიანობდნენ ქართველებიც.

XX საუკუნის 20-30-იან წლებში ევროპაში, განსაკუთრებით, საფრანგეთსა და გერმანიაში, მაქსიმალურად იქნა კონცენტრირებული საბჭოთა კავშირის საგარეო დაზვერვის ძალები და საშუალებები, რომელთა უპირველეს მიზანსაც წარმოადგენდა საზღვარგარეთ არსებული ანტისაბჭოთა ემიგრანტული ორგანიზაციების დაშლა, მათი ცალკეული ლიდერების დისკრედიტაცია, გადმობირება და ზოგიერთი მათგანის ლიკვიდაციაც კი. ამისათვის იდეოლოგიური ფონი ნელ-ნელა მზადდებოდა. ემიგრანტული ორგანიზაციებისა და მათი ლიდერების ფიზიკური განადგურების მოწოდებები გაისმოდა სხვადასხვა საბჭოთა პარტიული ფორუმიდან. მაგალითად, „უკრაინელი ნაციონალისტების" მიმართ სტალინის გამონათქვამიც კმარა: „Наша цель – обезглавить движение украинского фашизма накануне войны и заставить этих бандитов уничтожать друг друга в борьбе за власть*".[59]

საბჭოთა სპეცსამსახურების სისტემაში, კერძოდ, დაზვერვის სტრუქტურაში არსებობდა განსაკუთრებული ჯგუფი, რომელიც ღრმად კონსპირირებული დანაყოფი იყო. მის ამოცანას წარმოადგენდა ომის შემთხვევაში ევროპაში, ახლო აღმოსავლეთში, ჩინეთსა და ამერიკაში არალეგალურად მოღვაწე მზვერავების სარეზერვო ქსელის შექმნა მტრის ზურგში დივერსიული ოპერაციების საწარმოებლად.

განსაკუთრებულ ჯგუფს არ ჰყავდა თანამშრომლები საზღვარგარეთ დიპლომატიურ და სავაჭრო მისიებში. მისი აპარატი შედგებოდა ოცამდე ოპერატიული მუშაკისაგან, რომლებიც პასუხს აგებდნენ საზღვარგარეთ არსებული აგენტების საქმიანობის კოორდინაციაზე. დანარჩენი თანამშრომლები საზღვარგარეთ არალეგალურად მუშაობდნენ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელობას შეეძლო გამოეყენებინა განსაკუთრებული ჯგუფის ძალები და საშუალებები მნიშვნელოვანი ოპერაციების, მათ შორის დივერსიებისა და საზღვარგარეთ სსრ კავშირის მოწინააღმდეგეთა მკვლელობების ორგანიზებისათვის.[73] საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ ბევრი პოლიტიკური მოწინააღმდეგე და საბჭოთა ქვეყნისათვის მიუღებელი პიროვნება იქნა საზღვარგარეთ ლიკვიდირებული. მათგან ზოგიერთ ფაქტზე შესაბამისი მტკიცებულებები არქივებში მიკვლეულია, ნაწილზე კი მხოლოდ მოსაზრებები და ვარაუდებია გამოთქმული არაერთი მკვლევრის მიერ.

საზღვარგარეთ განხორციელებული მკვლელობები ისეთი პიროვნებებისა, როგორებიც იყვნენ: სიმონ პეტლიურა, პეტრე ვრანგელი, ნესტეროვიჩი, ძევალტოვსკი, ლევ სედოვი, ჯულიეტა სტიუარტი პოინტცი და სხვ., ბევრ შეკითხვას ბადებს. ამავე კონტექსტში შეიძლება იქნას განხილული 1926 წლის ნოემბერში

* „ჩვენი ამოცანაა, ომის წინ უკრაინული ფაშიზმი უმეთაუროდ დავტოვოთ და ვაიძულოთ ეს ბანდიტები, ძალაუფლებისთვის ბრძოლაში გაანადგურონ ერთმანეთი".

პარიზში გენერალ კუტეპოვის ახლო თანამებრძოლის, გენერალ-მაიორ ნიკოლოზ მონკევიცის უკვალო გაუჩინარება და სხვა.

მკვლევრები კოლპაკიდი და პროხოროვი მონკევიცის გაქრობიდან რამდენიმე თვით ადრე, 7 ივნისს, პარიზის მახლობლად, დაბა ლევილში ქართული ემიგრაციის გამორჩეული ლიდერის ნიკოლოზ (კარლო) სიმონის ძე ჩხეიძის თვითმკვლელობასაც დიდი ეჭვის თვალით უყურებენ.[39] კარლო ჩხეიძის მკვლელობასთან დაკავშირებით ნიკო ურუშაძე წერდა: „ ...კარლო ჩხეიძის თვითმკვლელობამ ხალხი ჩააფიქრა და დააღონა. სათანადო და სანდო განმარტების უქონლობის გამო, ბევრი მას ხსნიდა, როგორც იმედიანი მომავლის უქონლობით გამოწვეულ ნაბიჯს". როგორც მისი მეუღლე მოწმობს: „ერთ დილით, როდესაც ლოგინში იწვა, საბანქვეშ რაღაცას აკეთებდაო..." აღმოჩნდა, რომ მას მათივე სამზარეულოს პურის დანით ჰქონდა ყელი გამოჭრილი. კ. ჩხეიძის თანამოაზრეები და ახლობლები ამბობდნენ, რომ ის ემიგრაციაში ცხოვრებას ვერ შეეგუა, სულ დაღვრემილი და უხასიათო დადიოდა და ამბობდა „ჩემს ცხოვრებას ფასი არა აქვსო".[220]

საბჭოთა საგარეო დაზვერვის აქტიურობაზე საზღვარგარეთ, კერძოდ, საფრანგეთში არსებული ემიგრანტული წრეების წინააღმდეგ, მიანიშნებენ საბჭოთა საგარეო დაზვერვის მიერ საზღვარგარეთ განხორციელებული სპეცოპერაციები.

1926 წელს პარიზში მოკლული იქნა ცნობილი ემიგრანტი-ლიდერი სიმონ პეტლიურა როტერდამში პ. სუდოპლატოვის მიერ (გადასცა შოკოლადის კოლოფი, რომელშიც ბომბი იყო დამონტაჟებული), მოგვიანებით, 1938 წლის 23 მაისს მოკლეს უკრაინელი ნაციონალისტების ლიდერი კონოვალეცი.

1926 წელს საბჭოთა საქართველოს გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარის ლ. ბერიას მითითებით იგეგმებოდა სტამბოლში საქართველოს დევნილი მთავრობის წარმომადგენლის თურქეთში სიმონ მდივნის ფიზიკური ლიკვიდაცია. აღნიშნულ სპეცღონისძიებას ამზადებდა ჩეკისტი შალვა წერეთელი (შემდგომში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი). მაღალ დონეზე დაგეგმილი ღონისძიების რეალიზაციაზე უარი მოსკოვმა თქვა.[51]

1930 წლამდე საბჭოთა დაზვერვამ საბჭოთა იდეოლოგიისათვის არასასურველი პიროვნების რამდენიმე მოტაცება განახორციელა, კერძოდ: ლონდონში მოტაცებულ იქნა კვიატოვსკი, რომელიც შემდგომ საბჭოთა სავაჭრო გემით გადაიყვანეს საბჭოთა კავშირში; კუზმინი მოტაცებულ იქნა თეირანში და სხვა.

1930 წელს საბჭოთა საგარეო დაზვერვის თანამშრომელთა სამკაციანმა ჯგუფმა, რომელსაც სერებრიანსკი ხელმძღვანელობდა, პარიზის ქუჩაში გააჩერა თეთრგვარდიული ორგანიზაციის – „Русский общевоинский союз (РОВС)"*-ის ერთ-ერთი გამორჩეული ხელმძღვანელი გენერალი კუტეპოვი. ფრანგი პოლიციელების ფორმაში გადაცმული ჩეკისტები შეეცადნენ კუტეპოვის მანქანაში ძალით ჩასმას, ამ დროს ის გულის შეტევით გარდაიცვალა. 1937 წლის სექტემბერში კუტეპოვის ბედი გაიზიარა მისმა მემკვიდრემ, გენერალმა მილერმა.[38] გენერალ მილერის მოტაცებასთან აკავშირებენ გენერალ ნიკოლოზ სკობლინს (სახოვი), რომელიც გადმობირებული იყო პარიზში ლეონიდ ეიტინგონის მიერ და მის მეუღლეს, ცნობილ მომღერალ ოლგა პლევიცკაიას. ეს უკანასკნელი ზემოაღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით დაპატიმრებულ იქნა საფრანგეთის

* რუსეთის საერთოსაჯარისო კავშირი

სპეცსამსახურების მიერ და ფრანგულმა მართლმსაჯულებამ მას 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. გარდაიცვალა ციხეში.[73]

XX საუკუნის 30-იანი წლების ბოლო პერიოდის საბჭოთა საგარეო დაზვერვის ერთ-ერთი ცნობილი სპეცოპერაცია დაკავშირებულია ი. სტალინის იდეოლოგიური მტრის, ლევ ტროცკის ლიკვიდაციასთან, რომელიც განხორციელდა 1940 წლის 20 აგვისტოს მექსიკაში.

ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს უცხოეთის განყოფილების (საგარეო დაზვერვის) 1927 წლის 19 დეკემბრით დათარიღებულ „სრულიად საიდუმლო" გრიფის შეტყობინებაში მითითებულია: „თურქეთის პრესამ 16 ნოემბერს მოათავსა ბერლინიდან მიღებული დეპეშა, რომ თითქოსდა ტროცკი მოკლულ იქნა. ამასთან დაკავშირებით, გაზეთმა „იკდამმა", 1927 წლის 16 ნოემბერს, ტროცკის, ტროცკის მომხრეებსა და სტალინის ბანაკს შორის არსებულ უთანხმოებაზე, აგრეთვე იმ მდგომარეობის ირგვლივ, რომელიც ტროცკის ეკავა სსრ კავშირში, ხანგრძლივი განმარტებების შემდეგ, განაცხადა: „ჩვენ არ გვჯერა, რომ რუსებმა ტროცკიზე განახორციელეს თავდასხმა. თუმცა, თუკი ტროცკი მართლაც მოკლულია, ამას არ ექნება სსრ კავშირისათვის მძიმე შედეგები". 17 ნოემბერს თურქეთის პრესამ უარყო ხმები ტროცკის მკვლელობასთან დაკავშირებით. პრესა ასევე იტყობინებოდა, რომ ტროცკის 76 მომხრე გარიცხულ იქნა პარტიის რიგებიდან.[304]

1928 წლის დეკემბერში ლ. ტროცკი ოფიციალურად გააფრთხილა გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს კოლეგიის წარმომადგენელმა იმასთან დაკავშირებით, რომ თუკი ეს უკანასკნელი არ შეწყვეტდა, თანამზრახველების მეშვეობით, კონტრრევოლუციურ საქმიანობას, მოხდებოდა მისი პოლიტიკური საქმიანობის სრული იზოლაცია და ქვეყნიდან გაძევება.

ლ. ტროცკიმ თავისი მაინც არ მოიშალა და სტალინის წინააღმდეგ იდეოლოგიური და პრაქტიკული საქმიანობა განაგრძო. შედეგმაც არ დააყოვნა. გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს კილეგიასთან არსებულმა განსაკუთრებულმა სათათბირომ 1929 წლის 18 იანვარს გამოიტანა ლ. ტროცკის სსრ კავშირის ფარგლებიდან გასახლების დადგენილება მის მიერ არალეგალურად ანტისაბჭოთა პარტიის ჩამოყალიბებისათვის და ანტისაბჭოთა საქმიანობის გამო. ლ. ტროცკისა და მისი ოჯახის მიღებაზე განაცხადი მხოლოდ თურქეთმა გააკეთა, ვინაიდან დევნილი საბჭოთა პოლიტიკური მოღვაწე ვ. ლენინთან ერთად „თურქეთის საპატიო მოქალაქე" იყო. მას შემდეგ, რაც ლ. ტროცკისა და მის შვილს ლევ სედოვს (იწერებოდა დედის გვარზე) საბჭოთა მოქალაქეობა ჩამოერთვათ, ისინი იძულებული გახდნენ, 1933 წლის ზაფხულში საფრანგეთში გადასახლებულიყვნენ. ლ. ტროცკი ჯერ პარიზის მახლობლად, ხოლო შემდეგ, 1933 წლის შემოდგომიდან, პატარა საკურორტო ქალაქ სენ-პალეში ცხოვრობდა. 1935 წლის ზაფხულში ლ. ტროცკი იძულებული იყო, ნორვეგიაში გადასახლებულიყო. სწორედ აქ დაწერა მან თავისი ცნობილი წიგნი „ჩემი ცხოვრება". ამის გამო ლ. ტროცკი 1936 წლის 19 დეკემბერს ნორვეგიის მთავრობამ აიძულა მექსიკაში გადასახლებულიყო.[39] ლ. ტროცკი გრძნობდა, რომ სტალინი მას არ მოეშვებოდა. მისი ფიზიკური განადგურების გადაწყვეტილების თაობაზე ინფორმაცია ჯერ კიდევ 1935 წლის დასაწყისში მიიღო. 1936 წლის ნოემბერში მოხდა ლ. ტროცკის არქივის მორიგი „გაქურდვა".

ნორვეგიიდან დეპორტირებული ლევ ტროცკი მეუღლესთან და შვილიშვილთან, სევასთან ერთად 1937 წლის 9 იანვარს მექსიკის საპორტო ქალაქ ტამპიკოში ჩავიდა. იქ ტროცკისტებმა მას გრანდიოზული დახვედრა მოუწყვეს. იმავე დღეს ის და მისი ოჯახის წევრები მეხიკოში დაბინავდნენ.

ქალბატონი სოფიო ჩიჯავაძე-კედიას აზრით, ლევ ტროცკის მკვლელობა ჯერ კიდევ მაშინ დაგეგმილა, როდესაც ის საფრანგეთში ცხოვრობდა და ამ ქვეყნის ხელისუფლების მფარველობით (ხელშეწყობით) სარგებლობდა. ტროცკის ლიკვიდაცია არც მეტი, არც ნაკლები ქართველი ემიგრანტების მეშვეობით უნდა განხორციელებულიყო. ამ აქციის სულისჩამდგმელი შალვა ქარუმიძე ყოფილა, შემსრულებელი კი – ირაკლი ზალდასტანიშვილი. ორივე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი იყო. იმ პერიოდში ტროცკი ცხოვრობდა პარიზთან, ბარბიზონის მახლობლად, ფონტენებლოს რაიონში, ცალკე პატარა ვილაში. მის შორიახლოს ეულად მდგარა პატარა სახლი, რომელშიც მომაკვდავ მოხუც ქალს უცხოვრია. სწორედ ამ სახლში დაუქირავებიათ ბინა ი. ზალდასტანიშვილისათვის. მას უნდა შეესწავლა ლ. ტროცკის ცხოვრების ყველა დეტალი, განსაკუთრებით, ეზოში სეირნობისა და დასვენების პერიოდი, მომავალი მსხვერპლის წეს-ჩვეულებები. ბრძანების მიღების შემდეგ ტროცკის მკვლელობა სავარაუდოდ სნაიპერის შაშხანიდან გასროლით უნდა განხორციელებულიყო. ირაკლი ზალდასტანიშვილს მიაჩნდა, რომ ლ. ტროცკის მკვლელობით დიდ პატრიოტულ ქართულ საქმეს გააკეთებდა, ვინაიდან ქართველ ემიგრანტთა ერთი ნაწილი მიიჩნევდა, რომ საქართველოს ანექსია-ოკუპაცია სწორედ ტროცკის „დამსახურება“ იყო. ირ. ზალდასტანიშვილს ლ. ტროცკის მკვლელობის სანაცვლოდ სთავაზობდნენ თვითმფრინავით სხვა ქვეყანაში გამგზავრებას და საცხოვრებელი თანხით უზრუნველყოფას.

საკუთარი განზრახვის შესახებ ირ. ზალდასტანიშვილს წერილობით მიუწერია მეგობარი გოგონასათვის, რომელსაც სასწრაფოდ საქმის კურსში ჩაუყენებია ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი დიმიტრი (მიტო) სინჯიკაშვილი. ამ უკანასკნელს ისღა დარჩენოდა, მოსალოდნელი ტერორისტული აქტის თაობაზე შეეტყობინებინა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე სპირიდონ კედიასათვის. სპ. კედია მიმხვდარა, ჯერ ერთი, სტალინის მთავარი ოპონენტის მკვლელობის ორგანიზება მის ზურგს უკან ხდებოდა და მეორეც, ამ აქტით ჩირქი მოეცხებოდა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიასა და პირადად მას. აქედან გამომდინარე, დაგეგმილი მკვლელობის დღეს, გამთენიისას სპ. კედიამ სასწრაფოდ თავისთან იხმო ირაკლი ზალდასტანიშვილი, რომელიც ხანმოკლე საუბრის შემდეგ დაარწმუნა, ხელი აეღო ტროცკის მკვლელობაზე, რომელიც მოსკოვისა და საბჭოთა სპეცსამსახურების უშუალო მონაწილეობით სტალინის მიერ იგეგმებოდა. შემდგომში ირ. ზალდასტანიშვილმა გულწრფელად აღიარა რომ, რომ არა სპ. კედიასთან მისი საუბარი, დიდ უბედურებას გადაეყრებოდა. ირ. ზალდასტანიშვილი მისი ამ გადაწყვეტილების გამო, შემდგომში არაერთგზის იქნა გაკიცხული ქართველი ემიგრანტების მიერ. მეორე დღეს სპ. კედიასთან გამოცხადებულა შ. ქარუმიძე, რომელსაც დიდი საყვედური გამოუთქვამს ამ უკანასკნელისა და ირ. ზალდასტანიშვილის გადაწყვეტილების გამო.[89] თუმცა, ფაქტია, ტროცკის მკვლელობა ქართველი ემიგრანტების მეშვეობით არ შედგა.

რაც შეეხება სტალინის იდეურ „მტერს" – ლევ ტროცკის, როგორც ჩანს, მისი მკვლელობის მცდელობის შესახებ ინფორმაციამ გაჟონა და ის იძულებული შეიქნა 1935 წელს ნორვეგიაში, ხოლო 1936 წელს მექსიკაში გადასახლებულიყო, თუმცა სტალინის მძლავრი კლანჭები იქაც მისწვდა – ამჯერად წარმატებით.

თითქმის ყველა მკვლევარი თვლის, რომ ლევ ტროცკის ლიკვიდაციის იდეა თვით ი. სტალინიდან მოდიოდა, ხოლო მისი ორგანიზება ვირტუოზულად განახორციელეს ლ. ბერიამ და მისმა უწყებამ. რამდენიმე წარუმატებელი მცდელობის შემდეგ სტალინისათვის სასურველი შედეგი მაინც დადგა.

სპეცლონისძიების მომზადებასა და დაგეგმვაში უშუალოდ მონაწილეობდნენ ცნობილი მზვერავები ორლოვი, სუდოპლატოვი და ეიტინგონი. მკვლელობის უშუალო შემსრულებლად შეირჩა ერთი შეხედვით უწყინარი და თავმდაბალი ახალგაზრდა, ესპანელი რესპუბლიკელი, ეიტინგონის საყვარლის, კარიდად მერკადერის შვილი – რამონ მერკადერი. საბჭოთა საგარეო დაზვერვის მცდელობის შედეგად, რამონ მერკადერმა ლ. ტროცკის პრესცენტრში სამუშაო ადგილი იშოვა, ხოლო მოგვიანებით განახორციელა კიდეც ამ უკანასკნელის მკვლელობა.

გენერალ პ. სუდოპლატოვის მონათხრობის თანახმად, მკვლელობის დღეს რამონ მერკედერი ლ. ტროცკის სამუშაო კაბინეტში მარტო იმყოფებოდა და ასევე მარტომ განახორციელა მისი მკვლელობა. რ. მერკადერი დაცვასთან შეტაკების შედეგად დაიჭრა და მექსიკის პოლიციამ ის სწრაფად დააპატიმრა. ლ. ტროცკის მკვლელს 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა ისე, რომ კარგა ხანს არ იყო ცნობილი მისი საიდუმლო კავშირები საბჭოთა დაზვერვასთან. რ. მერკადერი ციხიდან გამოსვლისა და სსრ კავშირში დაბრუნების შემდეგ დააფასა საბჭოთა ხელისუფლებამ და მას გასული საუკუნის 60-იან წლებში საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭა.[73]

საბჭოთა საგარეო დაზვერვა ასევე გეგმავდა ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაციის ზოგიერთი აქტიური მოღვაწის ფიზიკურ ლიკვიდაციას და საზღვარგარეთიდან გამოტყუება-მოტაცებას.

ქალბატონ ს. ჩიჯავაძე-კედიას მონათხრობის თანახმად, მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე არაერთხელ უცდიათ მისი მეუღლის – სპ. კედიას მოტაცება და მოკვლაც. ერთ შემთხვევაში მათ სახლში სადაზვევო კომპანიის თანამშრომლის სახელით მისულ მკვლელს ვერ გაუბედავს განზრახვის სისრულეში მოყვანა, ხოლო მეორე შემთხვევაში მკვლელობის მცდელობა ფრანგულ პოლიციას აღუკვეთავს, როდესაც კედიების სახლის შორიახლოს დაუკავებიათ უცნობი შეიარაღებული პიროვნება, რომელიც მათ სახლს უთვალთვალებდა. სპ. კედიას მკვლელობა, თითქოსდა, ემიგრანტ ჩუბინიძესაც შეუკვეთავს შეფიცული ვინმე გოლასთვის.[89] 1936 წელს „ჯაშუშური საქმიანობისათვის" თბილისში დახვრეტილი ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერმანული ენისა და ლიტერატურის პედაგოგის რეინოლდ ჩაკერტის საგამოძიებო-საარქივო საქმეში დაცული 1935 წლის 22 ივნისით დათარიღებული მისი დაკითხვის ოქმის თანახმად, XX საუკუნის 30-იან წლებში თითქოსდა იგეგმებოდა გერმანიიდან ცნობილი ქართველი მწერლის, ემიგრანტ გრიგოლ რობაქიძის მოტაცება. აღნიშნული მოსაზრება მან დააფიქსირა პროფესორ შალვა ნუცუბიძის მონათხრობზე დაყრდნობით, თუმცა ის, რომ გრ. რობაქიძის გამოტყუება და საბჭოთა კავშირში ჩამოყვანა იგეგმებოდა,

ამის თაობაზე ჭორები ქართულ საზოგადოებაში 30-იანი წლების დასაწყისში დიდხანს ვრცელდებოდა. გრ. რობაქიძის საზღვარგარეთიდან მოტაცება უნდა განხორციელებულიყო იმ პერიოდში გერმანიაში სსრკ სავაჭრო წარმომადგენლის, საბჭოთა საქართველოს განათლების ყოფილი მინისტრის დავით კანდელაკის მეშვეობით. გრ. რობაქიძესა და დ. კანდელაკს კარგი ურთიერთობები ჰქონდათ და მეგობრობდნენ კიდეც. შემდგომში დ. კანდელაკი, როგორც „ხალხის მტერი", დახვრეტილ იქნა.[383]

პუბლიცისტი ა. ასლანიშვილი თავის ვრცელ ნარკვევში „მეგრელთა საქმე – გამოძიება, რომელიც დიქტატორის სიკვდილმა შეწყვიტა" მიანიშნებს:

„შემდეგ სტალინს ასეთი რამ უამბია – ბერიამ გვითხრა, თუ როგორ გაუშვა პარიზში დემოკრატიული საქართველოს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი გეგეჭკორის ნათესავი (ლაპარაკია ი. ნამიჭეიშვილზე – ა. ა.) – მის გადმოსაბირებლად. მოხდა კი პირიქით, თვით ემიგრანტებმა გადაიბირეს ჩვენი ჯაშუში და ომის დროს აქეთ გადმოგზავნეს (ეს კაცი დაპატიმრების შემდეგ „მოულოდნელად" გარდაიცვალა უშიშროების სამინისტროს შინაგან ციხეში – ა. ა.)".[178]

იონა (ჭიჭიკო) ტარასის ძე ნამიჭეიშვილი დაიბადა 1892 წელს გეგეჭკორის რაიონის სოფელ მარტვილში. 1913 წელს შევიდა საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა პარტიაში. 1917—1918 წლებში მიემხრო მემარჯვენე ესერებს. ი. ნამიჭეიშვილი 1918 წლიდან ცხოვრობდა მოსკოვში. სწავლობდა მოსკოვის ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ის კარგად ფლობდა რუსულ, სპარსულ, თურქულ, ფრანგულ და გერმანულ ენებს. ი. ნამიჭეიშვილმა სწავლა ვერ დაასრულა, ვინაიდან ლ. ბერიამ ის თბილისში გამოიძახა და საზღვარგარეთ სამსახური შესთავაზა. იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ი. ნამიჭეიშვილი ევგენი გეგეჭკორისა და, შესაბამისად, ლ. ბერიას მეუღლის, ნინა გეგეჭკორის ახლო ნათესავი იყო. აქედან გამომდინარე, მას კარგი ურთიერთობა ჰქონდა საბჭოთა კავშირის მომავალ მთავარ ჩეკისტთან და ამ უკანასკნელის მხრიდან დიდი ნდობით სარგებლობდა. ი. ნამიჭეიშვილი 1923 წელს მივლინებულ იქნა ირანში „ცენტროსოიუზის" თავრიზის განყოფილებაში. ის სწორედ ამ პერიოდიდან უკავშირებს საკუთარ ბედს საბჭოთა დაზვერვას. 1925-1928 წლებში ი. ნამიჭეიშვილი მსახურობდა საბჭოთა კავშირის საავაჭრო წარმომადგენლად ტრაპიზონისა და სტამბოლის საკონსულოებში. ძირითადი საქმიანობის გარდა, ის აქტიურად ეხმარებოდა საბჭოთა საგარეო დაზვერვის თურქეთის რეზიდენტურას და მონაწილეობდა სხვადასხვა ოპერატიულ ღონისძიებებში. ი. ნამიჭეიშვილის ვაჟმა, ბატონმა რევაზ ნამიჭეიშვილმა (გარდაიცვალა 2008 წელს) შემდეგი რამ მიამბო: თურქეთის კონტრდაზვერვის სამსახურს ი. ნამიჭეიშვილის აქტიურობა არ გამორჩენია მხედველობიდან და მუდმივად თვალყურს ადევნებდა. არადა, ოპერატიული აუცილებლობიდან გამომდინარე, საჭირო იყო კონფიდენციალური შეხვედრების ორგანიზება, რაც კონსპირაციის წესების ზედმიწევნით ზუსტ დაცვას მოითხოვდა. თურქი მეთვალყურეებისათვის გზა-კვალი რომ აებნია, ი. ნამიჭეიშვილი ოპერატიულ ღონისძიებებზე გასვლის წინ იცვამდა სპეციალურ ლაბადას, რომელსაც ორივე მხარეს წაღმა პირი ჰქონდა. ასეთივე სპეცდანიშნულებისა ყოფილა მისი ქუდიც. მგზავრობისას და ქუჩებში მოძრაობისას, ჩაცმულობის ეფექტურად მანევრირებით, ის ადვილად ახერხებდა კონტრდაზვერვის

ყურადღების მოდუნებას. ასე გაგრძელდა რამდენიმე თვეს. საბოლოოდ თურქებმა ი. ნამიჭეიშვილს ეშმაკობა გაუგეს და აიძულეს, აქტიურობა შეენელებინა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ი. ნამიჭეიშვილი კარგად იცნობდა 1925-1926 წლებში საზღვარგარეთ მივლინებაში მყოფ ნიკოლოზ მინიშვილს. სწორედ ამ უკანასკნელის მეშვეობით (საბჭოთა საგარეო დაზვერვის რეზიდენტურის დავალებით) გაიცნო ბერი შალვა ვარდიძე. ი. ნამიჭეიშვილის თაობაზე 1937 წელს შინსახკომში დაიკითხა ნ. მინიშვილი.[375]

1938 წელს ი. ნამიჭეიშვილი მოსკოვში გამოიძახეს. დახვრეტის ნაცვლად მას სერიოზული სადაზვერვო დავალების შესრულება დააკისრეს. კერძოდ, სათანადო მომზადების შემდეგ, ი. ნამიჭეიშვილი საფრანგეთში უნდა გამგზავრებულიყო ევგ. გეგეჭკორთან და სხვა ემიგრანტ-ლიდერებთან საიდუმლო მოლაპარაკებების საწარმოებლად. ძირითადი მიზანი საქართველოში დაბრუნებაზე დაყოლიება იყო.

ი. ნამიჭეიშვილი მოსკოვში ოჯახთან ერთად დაბინავდა სასტუმრო „ინტერნაციონალში", იქვე გადიოდა ინდივიდუალურ სპეცმომზადებას. სწავლების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ფრანგული ენის სრულყოფას. ერთწლიანი მომზადების შემდეგ, 1939 წელს, ი. ნამიჭეიშვილი სამუშაოდ საფრანგეთში საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობაში გაემგზავრა.

ბატონ რევაზ ნამიჭეიშვილის მონათხრობის თანახმად, საფრანგეთში მისი მამა არაერთგზის შეხვედრია ევგ. გეგეჭკორსა და ქართული ანტისაბჭოთა პოლიტიკური ემიგრაციის სხვა წარმომადგენლებს. მისი დიდი მცდელობის მიუხედავად, საქართველოში დაბრუნებაზე მათი დაყოლიება ვერ მოუხერხებია. ამის შემდეგ „ცენტრში" გადაწყვეტილა საფრანგეთიდან ქართველი ემიგრანტ-ლიდერების მოტაცება. საბჭოთა საგარეო დაზვერვის სპეცლონისძიებაში ი. ნამიჭეიშვილთან ერთად მონაწილეობა მიუღიათ პარიზის რეზიდენტურის თანამშრომლებს და მოსკოვიდან მივლენილ სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფს. ბატონ რევაზ ნამიჭეიშვილის გადმოცემით, ევგენი გეგეჭკორი და ნოე ჟორდანია საბჭოთა მზვერავებს პარიზში ვიღაც სანდო პირის სახლში მიუტყუებიათ. ის იყო მზვერავებს ქართველი ემიგრანტების მიმართ ძალა უნდა გამოეყენებინათ, რომ მოულოდნელად (როგორც ჩანს, საფრანგეთის პოლიცია საბჭოთა მზვერავებს კარგა ხანია უთვალთვალებდა) შენობა ალყაში მოუქცევია საფრანგეთის პოლიციას (მათ შორის ქალებიც ყოფილან). ორმხრივი სროლის ფონზე, ჩეკისტებს მოახლოებული საფრთხე უგრძნიათ (სპეცლონისძიება პრაქტიკულად ჩაშლის პირას იყო მისული) და იქაურობისათვის გაცლა უცდიათ, თუმცა ამის გაკეთება არცთუ ისე იოლი აღმოჩენილა. მათ მაინც მოუხერხებიათ ალყის გარღვევა და შორიახლოს მდგარ საელჩოს მანქანამდე მიღწევა. ის იყო ავტომობილი ადგილიდან უნდა დაძრულიყო, რომ მოწინააღმდეგის ტყვიას მანქანის საბურავი დაუზიანებია და რამდენიმე ათეული მეტრის გავლის შემდეგ გაჩერებულა. მზვერავები არ დაბნეულან და თავი შეუფარებიათ პარიზის მიწისქვეშა საკანალიზაციო გვირაბში, სადაც რამდენიმე საათი გაუტარებიათ. მათთან ერთად ყოფილა ი. ნამიჭეიშვილიც.

საფრანგეთის ხელისუფლებას, ზემოაღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, ისევე როგორც მილერის შემთხვევაში, დიდი სკანდალი აუტეხია და მკაცრად (უკვე მერამდენედ) გაუფრთხილებია საბჭოთა მხარე მისი სპეცსამსახურების თავაშვებულობის გამო. ფორმალურად, პარიზში საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობა

„დაუტუქსავს" სსრკ ვაჭრობის მინისტრს ანასტას მიქოიანს და აუკრძალავს მსგავს აქციებში მონაწილეობა ი. ნამიჭეიშვილისა და სხვა თანამშრომლებისათვის. აღნიშნული სკანდალი ამით ამოწურულა.

ამ ამბიდან სულ მოკლე ხანში, ფაშისტურმა გერმანიამ მოახდინა საფრანგეთის ოკუპაცია და სსრკ დიპლომატიურმა წარმომადგენლობებმა დატოვეს საფრანგეთი. სამშობლოში დაბრუნდა ი. ნამიჭეიშვილიც.

მას შემდეგ, რაც ლ. ბერიას თავზე შავი ღრუბლები დატრიალდა და სახელისუფლო მწვერვალებიდან მის ჩამოსაგდებად „მეგრელ ნაციონალისტთა ჯგუფის საქმე" შეითითხნა, თბილისსა და მოსკოვში ერთიმეორის მიყოლებით დააპატიმრეს ლ. ბერიას ახლობლები. იონა ნამიჭეიშვილი დაპატიმრებულ იქნა 1952 წლის 7 იანვარს საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტრის მიერ „ორპირობისა და საეჭვო ჯაშუშური ქმედებებისათვის". ი. ნამიჭეიშვილმა, 60 წელს მიტანებულმა კაცმა, იმყოფებოდა რა სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს შინაგან ციხეში, მის მიმართ წაყენებული ყველა ბრალდება უარყო. აღნიშნულის თაობაზე საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრმა ნ. რუხაძემ სტალინისათვის განკუთვნილ ცნობაში მიუთითა: „О своей шпионской, предательской деятельности Намичеишвили признания пока не дал... – январь 1952 года*".[375] ი. ნამიჭეიშვილმა ვეღარ გაუძლო წამებას და ციხეში გულის შეტევით (ოფიციალური ვერსია) გარდაიცვალა. 1952 წლის აპრილში საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრ ნ. რუხაძის მიერ მოსკოვში სსრკ სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილის რიუმინის მისამართით გაგზავნილ საიდუმლო შიფროგრამაში ვკითხულობთ: „Намичеишвили И.Т., 7 апреля 1952 года скоропостижно скончался от паралича сердца"**.[375] რეპრესირების შემდეგ კარგი დღე არც მისი ოჯახის წევრებს დაადგათ. იმ პერიოდისათვის დამახასიათებელი „სამშობლოს მოღალატის" მეუღლისა და შვილის იარლიყით ცხოვრება მისი ოჯახისათვის საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა.

ქართული ანტისაბჭოთა პოლიტიკური ემიგრაციის აქტიურ წარმომადგენელთა საზღვარგარეთიდან მოტაცებას ადგილი ჰქონდა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგაც, რის თაობაზეც ოდნავ ქვემოთ გვექნება საუბარი.

### ანტისაბჭოთა ქართული ემიგრაცია ნაცისტურ გერმანიაში

ვერსალის სამშვიდობო ხელშეკრულებამ (1920 წ.) ვერ შეძლო მშვიდობიანი თანაცხოვრების დამკვიდრება. გერმანიაში სულ უფრო და უფრო იგრძნობოდა რევანშისტული და ნაციონალისტური განწყობილებები, რომელთაც ანტანტის ქვეყნები ოსტატურად ნარმართავდნენ აღმოსავლეთით – სსრკ-ის მიმართულებით. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, საბჭოთა დაზვერვის ძირითადი ყურადღება გადატანილი იყო გერმანიისა და იქ მიმდინარე პროცესების ანალიტიკურ-ოპერატიული კვლევისაკენ. გააქტიურდა საბჭოთა საგარეო დაზვერვის ბერლინის

* თავისი ჯაშუშური, გამყიდველური საქმიანობის თაობაზე ნამიჭეიშვილმა აღიარებითი ჩვენება ჯერჯერობით არ მოგვცა. 1952 წლის იანვარი.

** ი.ტ. ნამიჭეიშვილი 1952 წლის 7 აპრილს მოულონელად გარდაიცვალა გულის პარალიზებით

რეზიდენტურა, თუმცა 1933 წელს, გერმანიის სათავეში ჰიტლერის მოსვლის შემდეგ მისი მდგომარეობა გართულდა და საჭირო გახდა სადაზვერვო საქმიანობის სრული რეორგანიზაცია და არსებულ ვითარებასთან მორგება. გერმანიის სათავეში ნაციონალ-სოციალისტების მოსვლის შემდეგ, ჩქარი ტემპებით დაიწყო ნაცისტური გერმანიის სახელმწიფო აპარატის გარდაქმნა, რაც ნაციონალ-სოციალისტური პარტიის მონოპოლური მდგომარეობის უზრუნველყოფას გულისხმობდა. 1933-1935 წლებში სახელმწიფო და ადმინისტრაციული ორგანოების რეორგანიზაცია ჩატარდა. აღნიშნულ პერიოდში იქმნებოდა სახელმწიფო აპარატის ახალი სტრუქტურული დანაყოფები და განისაზღვრებოდა მისი საქმიანობის საფუძვლები. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ნაცისტური გერმანიის სახელმწიფო სისტემის საკანონმდებლო ბაზის მომზადებას და სახელისუფლო იერარქიაში სადამსჯელო და სადაზვერვო ორგანოების ადგილისა და როლის განსაზღვრას.

მძლავრი ნაცისტური პროპაგანდის ფონზე ტერორმა, ტოტალურმა თვალთვალმა მასობრივი ხასიათი მიიღო და გერმანია ერთ დიდ ყაზარმად იქცა.

იზრდებოდა სადაზვერვო სამსახურების როლიც. მათი შექმნა ხდებოდა ვაიმარის პერიოდის დაზვერვის რეორგანიზაციისა და ახალი სამსახურების წარმოქმნის გზით.

1933 წლის აპრილში პრუსიაში, გერინგის ბრძანებით, შეიქმნა უმაღლესი პოლიტიკური ორგანო – სახელმწიფო საიდუმლო პოლიცია – გესტაპო, რომელსაც პოლიტიკური პოლიციის ფუნქცია მიენიჭა. ნაცისტებმა იმპერიის სამსახურში ჩააყენეს გერმანიის ერთ-ერთი „ძველი" სადაზვერვო ორგანო „აბვერი", რომელსაც სათავეში ჩაუდგა ადმირალი კანარისი. ეს სამსახური იმთავითვე იყო სამხედრო სამინისტროს კონტრდაზვერვის განყოფილება, თუმცა, უკვე მაშინ ეკისრებოდა სადაზვერვო ფუნქციებიც. 1935 წლისათვის „აბვერი" გადაიქცა გერმანიის ძირითად სადაზვერვო ცენტრად, რომელმაც შექმნა აგენტთა მთელი ქსელი როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. „აბვერმა", კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მომიზეზებით, დაამყარა ოფიციალური კონტაქტი ინგლისისა (ინტელიჯენ სერვისი) და ამერიკის (სი-აი-სი) სადაზვერვო სამსახურებთან. „აბვერის" სადაზვერვო საქმიანობის ძირითადი ვექტორები მიმართული იყო სსრ კავშირისაკენ.

სადაზვერვო უწყებათა საერთო კოორდინაციას ახორციელებდა კავშირის გაერთიანებული შტაბი, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ: ჰესი (თავმჯდომარე), ჰებელსი, რიბენტროპი, როზენბერგი, ბოლე და ბორმანი. 1933 წლის აპრილში ბერლინში შეიქმნა ნაციონალ-სოციალისტური პარტიის საგარეო პოლიტიკის განყოფილება, რომელსაც სათავეში ჩაუდგა როზენბერგი. განყოფილება ხელმძღვანელობდა ნაცისტური პარტიისა და გერმანული მთავრობის ყველა საგარეო პოლიტიკურ საქმიანობას, იმავდროულად ახორციელებდა საზღვარგარეთ მოქმედ გერმანიის დიპლომატიური სამსახურების ხელმძღვანელი მუშაკების შეცვლას სანდო პირებით.[29]

როზენბერგის უწყებამ მიიღო დიდი უფლებამოსილება სადაზვერვო საქმიანობის ორგანიზებისათვის ევროპის სამხრეთით და აღმოსავლეთით. სადაზვერვო პროცესის ეფექტურობის ამაღლებასა და შესაბამისი ინფორმაციის მოპოვებაში განსაკუთრებით აქტიურობდა გერმანიის საელჩო მოსკოვში, აგრეთვე

დიპლომატიური და სხვა წარმომადგენლობები. გერმანიის დაზვერვა ცდილობდა გამოეყენებინა სსრ კავშირში მცხოვრები გერმანელებიც, თუმცა საბჭოთა სპეცსამსახურებმა აქაც ზომაზე მეტად იაქტიურეს და უსუსური ბრალდებებით მრავალი უდანაშაულო ადამიანი დასაჯეს.

ნაცისტური ტოტალური სადაზვერვო აპარატის შექმნის პროცესი და ვერმახტის ფორმირება დასრულდა 1935 წლისათვის. აგენტთა მასიური ქსელი ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ ქმნიდა გერმანიის იმპერიისა და მისი სადაზვერვო სისტემის სამომავლო წარმატებების გარანტიას.[29]

გერმანიაში ქართული ემიგრაციის პოლიტიკური საქმიანობის ორგანიზება 1921 წლიდან ძირითადად ხორციელდებოდა გერმანიაში საქართველოს ყოფილი ელჩის, ვლადიმერ (ლადო) ახმეტელის მეშვეობით.

1924 წლის დასაწყისში გაუქმდა საქართველოს საელჩო გერმანიაში. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ შესთავაზა ვლ. ახმეტელს, სათავეში ჩასდგომოდა „საქართველოს (კავკასიის) ნდობის უწყებას“, რაზეც ამ უკანასკნელმა უარით უპასუხა, თუმცა მას არაოფიციალურად მაინც უწევდა ქართველ ემიგრანტთა უფლებების დაცვა და მათი მეურვეობა. შემდგომში ახმეტელი მუდმივად გრძნობდა ზემოაღნიშნული უწყების შექმნის აუცილებლობას, მაგრამ საკუთარი ძალებით ამის გაკეთება ვეღარ შეძლო.

ვლ. ახმეტელი გასული საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევარში საფრანგეთში გაემგზავრა და იქიდან დაბრუნებულმა გერმანიაში მყოფ ქართულ ემიგრაციას საფრანგეთის ქართული ემიგრაციის გაერთიანებისათვის მზადყოფნის სურვილი გადასცა. ახმეტელი ვარაუდობდა, რომ ქართველ ემიგრანტთა გაერთიანება ბერლინიდან უნდა დაწყებულიყო. გაერთიანება სცადეს 1932 წელსაც, თუმცა წარუმატებლად.

გერმანიაში ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაციის საქმიანობას მნიშვნელოვნად განაპირობებდა თვით ამ ქვეყანაში არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება, აგრეთვე ევროპასა და მსოფლიოში მიმდინარე პროცესები და, განსაკუთრებით, საბჭოთა კავშირ-გერმანიის ურთიერთობები.

1921-1933 წლებში გერმანია, ისევე როგორც საბჭოთა კავშირი, ოპოზიციურად იყო განწყობილი ვერსალის ხელშეკრულების, ანტანტისა და ერთა ლიგის მიმართ. გერმანია უკმაყოფილო იყო მისი სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის ხელოვნული დასუსტებით, სხვადასხვა ოლქების გერმანიისგან მოწყვეტით და მეზობელ ქვეყნებთან მიერთებით, აგრეთვე მისგან ძველი აფრიკული კოლონიების ჩამოშორებით. 20-იანი წლების დასაწყისში გერმანიაში უმძიმესი ეკონომიკური ვითარება შეიქმნა. ერთადერთი ქვეყანა, რომელიც ეკონომიკური თვალსაზრისით ჯერ კიდევ ღიად რჩებოდა გერმანიისთვის, იყო რუსეთი (შემდეგ – საბჭოთა კავშირი). სხვა ქვეყნებმა გერმანიის მიმართ საკუთარი პოლიტიკას წარმოება დაიწყეს და ქვეყანა მაღალი ფასებით, საბაჟო გადასახადებით, ოქროთი ანაზღაურებითა და სხვა მეთოდებით პრაქტიკულად ჩუმ ბლოკადაში მოაქციეს. რუსეთის ნედლეული განსაკუთრებულად საჭირო იყო გერმანიის მრეწველობისათვის, ვინაიდან მხოლოდ დაჩქარებული ტემპით მომუშავე გერმანიის მრეწველობას შეეძლო გერმანიის მოსახლეობისათვის მიეწოდებინათ „პური ჩვენი არსობისა“, ხოლო რუსეთის დიდი ბაზარი საუკეთესო იყო გერმანიის ექსპორტისათვის.

რუსეთზე ორიენტაციის აღების პოლიტიკას იზიარებდა გერმანიის მოსახლეობის თითქმის ყველა ფენა. რუსეთთან მჭიდრო თანამშრომლობას მხარს უჭერდა გერმანიის სამთავრობო და პოლიტიკური წრეების ზოგიერთი ცნობილი წარმომადგენელიც, რომლებიც ამ გზით ვარაუდობდნენ პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის განმტკიცებას და გერმანიაში საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მიმართულებით გამოცოცხლებას.

თვითდაჯერება და იმედები გაიზარდა რურის რაიონში საფრანგეთის შეჭრის შემდეგაც, რამაც უფრო გააძლიერა გერმანულ პრესასა და საზოგადოებაში რუსოფილური ტენდენციები.

გერმანიის თანდათანობითმა დაახლოებამ მოსკოვთან დააჩქარა პოლიტიკური კურსის ცვლილებები საფრანგეთში, ხოლო შემდეგ ინგლისში, რაც გამოიხატა იმის აუცილებლობის აღიარებაში, რომ საჭირო იყო მოსკოვთან სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულების გაფორმება და საბჭოთა ხელისუფლების აღიარება, მიუხედავად ტრადიციული წინააღმდეგობებისა.

გერმანიას მტკიცედ სჯეროდა, მოსკოზე დაყრდნობით და მისი უშუალო მონაწილეობით შეძლებდა ვერსალის ხელშეკრულების გადახედვას. გერმანიაში იყვნენ აშშ-ის პოლიტიკის მომხრენიც, მაგრამ რაიხსკანცლერ კუნოს პროამერიკული ორიენტაციის წარმოების მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა.

პოლიტიკურმა კურსმა და დიდმა სურვილმა, განთავისუფლებულიყო ვერსალის ხელშეკრულებიდან, გერმანია ჯერ დაუესის (1924 წ.) გეგმამდე, ხოლო შემდეგ ლოკარნოს (1925 წ.) და კელლოგის ხელშეკრულებამდე მიიყვანა, თუმცა ამით სულაც არ შეცვლილა გერმანიის პრორუსული პოლიტიკური კურსი, მან თავისი საბოლოო გამოხატულება ჰპოვა ბერლინის ხელშეკრულებაში, რომელსაც ქვეყნების კიდევ უფრო უნდა დაეახლოვებინა, განსაკუთრებით ეკონომიკურ ურთიერთობებში: რუსეთი სამრეწველო შეკვეთებს აძლევდა გერმანიას, ხოლო მისგან ღებულობდა ყოველწლიურ კრედიტს 300 მილიონი გერმანული მარკის ოდენობით.[43]

ასეთ პირობებში უწევდა გერმანიის ქართულ ემიგრაციას თავისი საქმიანობა. ის წარმოდგენილი იყო ქართულ კოლონიად, რომლის წესდებაც ითვალისწინებდა მხოლოდ კულტურულ საქმიანობას და ურთიერთდახმარებას ყოველგვარი პოლიტიკური დატვირთვის გარეშე.

გერმანიის ქართულ ემიგრაციაში მეტნაკლებად გაერთიანებული იყო თითქმის ყველა პოლიტიკური დაჯგუფება: სოციალ-დემოკრატები – ვლ. ახმეტელი და 1922 წელს გერმანიაში გადასახლებული ქართველი სოციალ-დემოკრატების უმრავლესობა, რომელთა შორის სტაბილურობით გამოირჩეოდა ეგრეთ წოდებული „Медведовская группа" – ალექსანდრე კორძაია, ნიკო იმნაიშვილი, გიორგი საჯაია, დავით ბერძენიშვილი, მიხეილ წულუკიძე, ალექსანდრე ფაჩულია, გელა გელეზანია და სხვები; სოციალ-ფედერალისტები: მიხეილ ყაუხჩიშვილი, სოლომონ წერეთელი და დათიკო წერეთელი (რომლებიც მალე დაბრუნდნენ საქართველოში), ვალერიან ტოგონიძე; ჰეიდარ ბამატის ჯგუფი ვლ. ახმეტელისა და შალვა ამირეჯიბის მონაწილეობით; ეროვნულ-დემოკრატები: ტიტე მარგველაშვილი, რაფიელ ინგილო (ივანიცკი), ნიკო ნაკაშიძე, რომან მკურნალი და კორნელი ხოშტარია. ბერლინში არსებობდა ფაშისტური ორგანიზაცია „თეთრი გიორგიც", რომელსაც

ხელმძღვანელობდა მიხეილ წერეთლის შვილი ოთარ წერეთელი. მასში შედიოდნენ: არჩილ გომართელი, ლეო ჭეიშვილი, დიტო ჯაფარიძე, ალექსანდრე ალანია და სხვები.

ქართული ემიგრანტული ჯგუფები გერმანიაში პრაქტიკულად უმოქმედოდ იყვნენ, ვინაიდან მათ არ ჰქონდათ პარტიული და პოლიტიკური ხასიათის სამუშაო.

ზოგადად ქართველ ემიგრანტებს აერთიანებდა სათვისტომო, სადაც ქართველები ერთმანეთს ხვდებოდნენ წელიწადში რამდენჯერმე. შეკრებებზე კეთდებოდა მოხსენებები საქართველოს ისტორიისა და ქართული ლიტერატურის ისტორიის შესახებ, მაგრამ ეს შეხვედრები განსაკუთრებით საინტერესო სახეს ღებულობდა, როდესაც რაიმე სიახლე იყო საქართველოს ცხოვრებაში ქართველი მეცნიერ-არქეოლოგების, ისტორიკოსებისა და სხვათა მიღწევებთან დაკავშირებით.

ქართული ემიგრაცია გერმანიაში მუდმივად ცდილობდა ყველა პარტიული დაჯგუფების გაერთიანებას ერთიან ქართულ მოძრაობად, მაგრამ ეს პროცესი იშლებოდა სხვადასხვა „მოულოდნელ" მიზეზთა გამო, რაშიც ლომის წილი საბჭოთა სპეცსამსახურებს ედოთ, გაერთიანების მცდელობას დიდი დაღი დაასვა საზღვარგარეთ მყოფი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის საქართველოს იატაკქვეშა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისადმი მიმართულმა წერილებმა, რომლებიც გამოქვეყნებულ იქნა თბილისურ პრესაში, ამავე ხელმძღვანელთა გამოსვლებმა სხვა პოლიტიკურ მიმართულებათა, განსაკუთრებით, ეროვნულ-დემოკრატების წინააღმდეგ, რამაც 1932 წელს გამოიწვია ტიტე მარგველაშვილის მწვავე კრიტიკა ნოე ჟორდანიას მიმართ. დაპირისპირება განსაკუთრებით გაძლიერდა 1935-1936 წლებში.

1933 წელს ბერლინში ჩავიდა ა. ნიკურაძე, რომელიც შეეცადა ქართული ნაციონალ-სოციალისტური ჯგუფის შექმნას. გერმანიაში ქართული ემიგრაციის ლიდერებმა არ მოიწონეს ა. ნიკურაძის ეს ინიციატივა, ვინაიდან თვლიდნენ, რომ ეს პროცესი კიდევ უფრო დაანაწევრებდა ისედაც გახლეჩილ ქართულ ემიგრაციას და შესთავაზეს, თავად გაერთიანებულიყო ორგანიზაცია „თეთრ გიორგიში". ა. ნიკურაძის მხრიდან უარის მიღების შემდეგ, ს. ახმეტელმა და მ. წერეთელმა გადაწყვიტეს ხელში აეღოთ ინიციატივა და გაეერთიანებინათ გერმანიაში არსებული ყველა ქართული დაჯგუფება. ამ გაერთიანებას ეწოდა ქართველ ნაციონალისტთა ორგანიზაცია (ქნო). მასში შევიდნენ ეროვნულ-დემოკრატები, „თეთრი გიორგი", უპარტიოები. დასაწყისში ქნო-ში შესვლის სურვილი გამოთქვეს სოციალ-დემოკრატებმაც, თუმცა შემდგომში თავი შეიკავეს. ორგანიზაციას სათავეში უნდა ჩასდგომოდა ან ს. ახმეტელი ანდა მ. წერეთელი, მაგრამ ორივემ მტკიცე უარი განაცხადა. შემოთავაზებულ წინადადებას ხანგრძლივი თხოვნის შემდეგ დათანხმდა ტიტე მარგველაშვილი და ის გახდა გერმანიაში ქართველ ნაციონალისტთა ორგანიზაციის პირველი თავმჯდომარე. ქნო-ს გააჩნდა საკუთარი ბეჭდვითი ორგანო – ჟურნალი „კლდე", რომელიც დაარსდა 1934 წლის ივნისში. მისი რედაქტორი იყო კ. ხოშტარია.

ემიგრანტულ წრეებში ქართველ ნაციონალისტთა ორგანიზაციას იმთავითვე მკვდრადშობილად თვლიდნენ და მას სერიოზულად არ აღიქვამდნენ. „კლდე" ქართველი ემიგრანტების ერთი ნაწილის კრიტიკის ეპიცენტრში აღმოჩნდა. ჟურნალისა და მის ხელმძღვანელთა მიმართ გამანადგურებელი სტატიები დაიბეჭდა

ორგანიზაცია „თეთრი გიორგის“ ბეჭდვით ორგანოშიც.

„ქართველ ნაციონალისტთა ორგანიზაცია“ 1937 წელს დაიშალა.

ნაცისტური ხელისუფლების პირობებში გერმანიაში ნელ-ნელა აიკრძალა ყოველგვარი ანტისაბჭოთა გამოსვლა. პრესა და სხვადასხვა ინსტიტუტებში გაკეთებული მოხსენებები ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ჰიტლერი განახორციელებდა ბისმარკის პოლიტიკას და რუსეთი ხდებოდა გერმანიის მთავარი დასაყრდენი.

ს. ახმეტელი ხშირად მიუთითებდა გერმანელთა სურვილზე, შეეწყვიტათ ქართველ ემიგრანტებს ანტისაბჭოთა საქმიანობა. ანალოგიურ მოსაზრებას იზიარებდა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროც.

უცხოეთის პრესა (შვეიცარია, ინგლისი) მიუთითებდა გერმანიისა და რუსეთის ინტერესების თანხვედრაზე. ორივე სოციალისტური ქვეყანა იყო დიქტატორული რეჟიმებით და ეწინააღმდეგებოდნენ ვერსალის ხელშეკრულებას, ანტანტასა და ერთა ლიგას. ორივე მხარე მომხრე იყო მსოფლიოს ახალი გადანაწილებისა, ანუ ვერსალის ხელშეკრულების რევიზიისა და ა. შ. გერმანია-თურქეთს შორის შეიქმნა ანალოგიური ვითარება: გერმანია ქვეყნის შიგნით კრძალავდა ყოველგვარ კომუნისტურ მოძრაობას და ახშობდა მას, ამავდროულად, საგარეო პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ინტენსიურად ცდილობდა მოსკოვთან მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნებას.

ზუსტად ამ პერიოდში ბერლინში ბევრს წერდნენ 1914-1918 წლებში თურქეთ-გერმანიის მეგობრობაზე. თურქეთის ელჩი ძალზე ხშირად სტუმრობდა ჰიტლერს. გერმანია ინტენსიურად ამყარებდა ახლო ურთიერთობებს თურქეთთან, თუმცა ხაზი ესმებოდა იმასაც, რომ ეს იყო მხოლოდ ეკონომიკური ხასიათის კავშირები. ჰიტლერის შორსმჭვრეტელური პოლიტიკა ნაკარნახევი იყო იმით, რომ მის ქვეყანას საფრთხე ელოდა სხვადასხვა მხრიდან. მაგალითად, საფრანგეთი ემზადებოდა რურის ნეიტრალური ზონის დაკავებისათვის, ხედავდა რა ჰიტლერში პოტენციურ სამხედრო საფრთხეს.

ასეთ პირობებში ქართული ემიგრაციის ანტისაბჭოთა საქმიანობაზე გერმანიაში ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო, მით უმეტეს, რომ საბჭოეთის საწინააღმდეგო აქციების გატარების მცდელობისთვის გერმანიაში თითქმის ყოველთვე იხურებოდა რუსული ანტისაბჭოთა ორგანიზაციები. საფიქრებელია, ამ პროცესს ხელი შეუწყო მეტად უცნაურმა მოვლენამ, რომელზეც დღეს უკვე ბევრს საუბრობენ ექსპერტები და ისტორიკოსები. კერძოდ, 1938 წელს ოფიციალური (თუმცა ფარული) კონტაქტები დამყარდა ნაცისტური გერმანიის პოლიტიკურ პოლიციას – „გესტაპოსა“ და საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს შორის ურთიერთდახმარების მიზნით.[5] ეს დახმარება ძირითადად უნდა გამოხატულიყო ებრაელი მოსახლეობის წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებების მხარდაჭერაში. თუ მსგავსი შეთანხმება მართლაც მოხდა, გამორიცხული არ არის, გერმანელებს გარკვეული ვალდებულება აეღოთ მათ ტერიტორიაზე მოქმედი ყველა ანტისაბჭოთა ორგანიზაციისა და ცალკეული ანტისაბჭოთა განწყობის მქონე პირის აქტივობის გასანეიტრალებლადაც. მწერალი არსენ მარტიროსიანი კატეგორიულად უარყოფს და შემდგომ ცდილობს დეტალურად დაამტკიცოს, რომ 1938 წლის 11 ნოემბერს მოსკოვში ლ. ბერიასა და გ. მიულერს, როგორც

თავიანთი უწყებების უფლებამოსილი პირების მიერ დადებული გენერალური შეთანხმება თანამშრომლობისა და ურთიერთშეთანხმების თაობაზე მთლიანად ფალსიფიცირებულია. მისი აზრით, ამ მითს „საფუძვლად დაედო მოურჩენელი ქსენოფობიითა და ანტისემიტიზმით დაავადებული რუსული ნაციონალისტური ორგანიზაციის „პამიატის“ („ხსოვნა“) გამოცემული ამავე სახელწოდების გაზეთის 1999 წლის პირველ ნომერში დაბეჭდილი ინფორმაცია“.[193]

## ნაციონალ-სოციალისტური ხელისუფლებისა და უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების დაინტერესება გერმანიაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტებით

გერმანიის სათავეში ჰიტლერის მოსვლის შემდეგ სსრკ საგარეო დაზვერვის გერმანიის რეზიდენტურას, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი და ძლიერი სადაზვერვო ცენტრი იყო, პრობლემები შეექმნა. აქედან გამომდინარე, მთელი დატვირთვის აღება საკუთარ თავზე მოუწია საფრანგეთში მოქმედ პარიზის რეზიდენტურას, რომელიც ასევე რთულ ვითარებაში აღმოჩნდა, თუმცა, საბჭოთა საგარეო დაზვერვას 30-იანი წლების დასაწყისში უკვე დაგროვილი ჰქონდა საკმარისი გამოცდილება საფრანგეთში როგორც ლეგალური, ასევე არალეგალური სადაზვერვო საქმიანობის ორგანიზების თვალსაზრისით.

1934 წელს სსრკ საგარეო დაზვერვაში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საფრანგეთის რეზიდენტურის აგენტთა აპარატის რეორგანიზაციისა და საფრანგეთის ტერიტორიიდან გერმანიის მიმართულებით სადაზვერვო საქმიანობის გააქტიურების თაობაზე. ამის შედეგად საგრძნობლად გაუმჯობესდა მოპოვებული ინფორმაციის ხარისხი და გატარებული სპეცოპერაციების ეფექტურობა.[59]

გერმანიაში ნაცისტური ხელისუფლების მოსვლის პირველივე დღეებიდან ქართველ ემიგრანტებს ხშირად იბარებდნენ „გესტაპოში“ და მათგან ახსნა-განმარტებებს ითხოვდნენ.

1933 წელს „გესტაპო“ დაინტერესებული იყო ქართველი ემიგრანტებით: მიხეილ წულუკიძით, ნიკო იმნაიშვილით, ალექსანდრე ნიკურაძით. ბერლინში, პრინც ალბრეხტშტრასეს ქუჩაზე, „გესტაპოში“ იყვნენ დაბარებულები მიხეილ წერეთელი, რომან მკურნალი და არჩილ მეტრეველი, თუმცა მათ მიმართ რაიმე რეპრესიული მეთოდები არ ყოფილა გამოყენებული. „გესტაპო“ ასევე ინტერესდებოდა ვალერიან ტოგონიძითა და მიხეილ ყაუხჩიშვილით.

გერმანიისათვის არასასურველი ქართველი ემიგრანტების დასჯის ყველაზე აპრობირებული ფორმა იყო მათი გაძევება ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

1937 წელს „გესტაპოში“ დაიბარეს ქართველი ემიგრანტები და საბოლოოდ დახურულად გამოაცხადეს მათი ყველა ორგანიზაცია და დაჯგუფება, გარდა ქართული სათვისტომოსი, რომელიც წარმოდგენილი იყო ქართველ ნაციონალისტთა ორგანიზაციის სახით, თუმცა, სულ მალე ეს უკანასკნელიც დაიშალა და ქართული ემიგრაცია ხელმძღვანელი ორგანიზაციის გარეშე დარჩა.

ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაციისა და მისი ცალკეული აქტიური წარმომადგენლების მიმართ სპეცალური ღონისძიებების გატარების ინიციატორები,

ძირითადად, საბჭოთა საქართველოს სპეცსამსახურები იყვნენ, თუმცა ყველა საგარეო პოლიტიკური ღონისძიება მოსკოვთან შეთანხმებით იგეგმებოდა და მისივე დახმარებით ხორციელდებოდა.

თანამედროვე რუსულ წყაროების თანახმად, XX საუკუნის 30-იან წლებში ბერლინში მრავალრიცხოვან საბჭოთა კოლონიაში ყველაზე გავლენიანი პიროვნება ყოფილა გერმანიაში სსრკ სავაჭრო წარმომადგენელი, საქართველოს სსრ განათლების ყოფილი კომისარი დავით კანდელაკი. მისი ავტორიტეტი გაცილებით უფრო წონადი ყოფილა, ვიდრე ცნობილი საბჭოთა დიპლომატის, გერმანიაში საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის, იაკობ სურიცისა. საქმე ის იყო, რომ დავით კანდელაკი დაახლოებული ყოფილა იოსებ სტალინთან და, ამ უკანასკნელის დავალებით, საგანგებო მისიასაც ასრულებდა. კერძოდ, რაიხსბანკისა და ამავდროულად გერმანიის ეკონომიკის რაიხსმინისტრის იალმარ შახტის შუამავლობით დავით კანდელაკს დამყარებული ჰქონია კონფიდენციალური კონტაქტი გერმანიის უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლებთან.[39]

მიუხედავად იმისა, რომ დ. კანდელაკის მისია გერმანიაში მაქსიმალურად გაიაიდუმლოებული იყო, საბჭოთა საგარეო დაზვერვის კარგად აწყობილი ფარული ქსელის მეშვეობით ინფორმაცია მაინც გახდა ცნობილი საბჭოთა მზვერავისათვის (სავარაუდოდ, გერმანული წყაროებიდან) ნათან რეისისათვის (პორეცკისათვის), რომელმაც სსრ კავშირში მიმდინარე რეპრესიების გამო საზღვარგარეთ დარჩენა არჩია. „В конце 1936 года Рейсс получил сведения о начале переговоров между торговым представителем СССР в Германии Д. Канделаки и имперским советником по экономике Я. Шахтом, инициатором которых был И. Сталин. А в январе 1937 года к нему поступила информация о том, что на переговорах вырабатывается проект советско-германского соглашения*".[39]

ზემოაღნიშნული შეხვედრების კონფიდენციალურობა იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ინფორმაციის გაჟონვა არ აპატიეს არც ნათან რეისს, რომელიც 1937 წლის 4 სექტემბერს მისმავე ყოფილმა კოლეგებმა საზღვარგარეთ სიცოცხლეს გამოასალმეს, არც დავით კანდელაკს, რომელიც მოსკოვში ი. სტალინთან ერთ-ერთი მორიგი შეხვედრის შემდეგ დაპატიმრებულ და შემდგომ დახვრეტილ იქნა და არც 1933-1937 წლებში გერმანიაში საბჭოთა საგარეო დაზვერვის რეზიდენტს ბორის გორდონს, რომელსაც ზემოაღნიშნულ საიდუმლო შეხვედრებთან არანაირი შეხება არ ჰქონდა – ისიც მოსკოვში გამოიძახეს და დახვრიტეს.[39]

დ. კანდელაკს კარგი ურთიერთობები გააჩნდა გერმანიაში მოღვაწე ქართული პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენლებთან, როგორც ზემოთ აღინიშნა, მეგობრობდა სამშობლოდან გადახვეწილ გრ. რობაქიძესთან. დ. კანდელაკი, როგორც ტროცკისტი, მოხსენიებული იყო 1936 წლის 19 აგვისტოს გაზეთ „პრავდაში" გამოქვეყნებულ ლ. ბერიას სტატიაში „გავაცამტვეროთ სოციალიზმის მტრები".[216]

გერმანიაში დავით კანდელაკის საიდუმლო მისიას, რომელიც ითვალისწინებ-

* „1936 წლის ბოლოს რეისმა მიიღო ცნობები გერმანიაში საბჭოთა კავშირის წარმომადგენელ დ.კანდელაკსა და ეკონომიკის საკითხებში საიმპერიო მრჩეველ ი. შახტს შორის მოლაპარაკებების დაწყების თაობაზე, რომლის ინიციატორიც იყო სტალინი, ხოლო 1937 წლის იანვარში მას მიუვიდა ინფორმაცია, რომ მოლაპარაკებებზე საბჭოთა კავშირ-გერმანიის შეთანხმების პროექტი მუშავდებოდა ".

და საიდუმლო სავაჭრო-ეკონომიკური მოლაპარაკებების წარმოებას სტალინსა და ჰიტლერს შორის, გადაჭარბებულად მიიჩნევს ავტორი წიგნისა „სტალინი და დიდი სამამულო ომი“ არსენ მარტიროსიანი, რომელიც ამ იდეის რეანიმატორად ისტორიკოს-გერმანისტს და პუბლიცისტს ლევ ბეზიმენსკის მიიჩნევს. მისი აზრით, მას შემდეგ, რაც ინგლისმა ფაქტობრივად გერმანიის სათავეში ჰიტლერი მოიყვანა, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის მკვეთრად გაუარესდა. სსრ კავშირსა და გერმანიას შორის 1932 წლის 2 მაისს დადებული ხელშეკრულება ჰიტლერმა ძალადაკარგულად ჩათვალა. ამ ორი ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში ვაკუუმის სწრაფი ტემპებით შევსება ინგლისმა დაიწყო. განსაკუთრებით აქტიურობდა ნავთობის მაგნატი, მსოფლიოში ნავთობის „მეფედ“ წოდებული დეტერდინგი, რომელიც ჯერ კიდევ 1926 წელს შეეცადა სსრ კავშირისათვის დასავლეთის შეჯახებას. სწორედ ასეთ რთულ ვითარებაში იქნა მივლენილი გერმანიაში პირადად ი. სტალინის მიერ დ. კანდელაკი. ა. მარტიროსიანი მიიჩნევს, რომ დ. კანდელაკს არავითარი განსაკუთრებული და ზესაიდუმლო მისია არ ჰქონდა დაკისრებული. ეს უკანასკნელი საბჭოთა საგარეო დაზვერვის ბერლინის რეზიდენტურის მიერ იმართებოდა. ვინაიდან იმ პერიოდში სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა აშკარად გერმანოფილური განწყობილებით გამოირჩეოდა, ი. სტალინს სურდა დამოუკიდებელი და თავისუფალი პიროვნებისაგან, ისეთის, როგორიც დ. კანდელაკი იყო, მიეღო გერმანიაში რეალურ ვითარებასთან დაკავშირებით ზუსტი და მიუკერძოებელი ინფორმაცია.

ა. მარტიროსიანი თვლის, რომ მითი „დ. კანდელაკის საიდუმლო მისიის“ თაობაზე შეთხზული იყო ბრიტანეთის დაზვერვის მიერ, რომელიც ამ საქმეში ოსტატურად იყენებდა ეროვნებით ებრაელ სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრს მაქსიმ ლიტვინოვს (მეერ ვალახს). მთელი ამ ინტრიგის არსი, თვლის ა. მარტიროსიანი, მდგომარეობდა 1935 წლის გაზაფხულზე დ. კანდელაკის გერმანიის რაიხსბანკის ხელმძღვანელთან იალმარ შახტთან ერთ-ერთ შეხვედრაზე ამ უკანასკნელის მიერ ფიურერის დავალებით საბჭოთა კავშირისათვის ერთი მილიარდი მარკის ოდენობით კრედიტის მიცემის თაობაზე გაკეთებულ განცხადებაში.[193]

საბჭოთა სპეცსამსახურები სერიოზულად იყვნენ დაინტერესებული გერმანიაში მოღვაწე ქართველი პროფესორით, მიხეილ ყაუხჩიშვილითაც, რომელიც ანტისაბჭოთა განწყობის გერმანულ პოლიტიკურ და სამრეწველო წრეებთან დაახლოებული პიროვნება გახლდათ.

მ. ყაუხჩიშვილი მუშაობდა ცნობილ გერმანულ (მეტალურგიულ) საწარმო „სიმენსჰალსკეში“ და საკმაოდ დასაფასებელ პიროვნებადაც ითვლებოდა. ახლო და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა გერმანიის საქმიან და პოლიტიკურ წრეებთან, აგრეთვე ქართულ ემიგრაციასთან.

მ. ყაუხჩიშვილი, როგორც ქართული ემიგრაციის ერთ-ერთი ლიდერი, იყო ბერლინში საქართველოდან ჩასულ მეცნიერთა გერმანიის საქმიან და სამეცნიერო წრეებთან დაახლოების ორგანიზატორი. მისი სახლი იყო ქართველების თავშეყრის საუკეთესო ადგილი გერმანიაში. აქედან გამომდინარე, საბჭოთა საგარეო დაზვერვის ბერლინის რეზიდენტურა ინტენსიურად სწავლობდა მ. ყაუხჩიშვილს და მის გარშემო არსებულ ვითარებას. საქართველოს საგანგებო

კომისიამ თავისი დამოკიდებულება მ. ყაუხჩიშვილის მიმართ ჯერ კიდევ 1923 წელს გამოხატა, როდესაც გემიდან ჩამოსვლის უფლებას არ აძლევდა მივლინებიდან დაბრუნებულ მის ძმას, პროფესორ სიმონ ყაუხჩიშვილს, თუმცა შ. ნუცუბიძის ჩარევის შემდეგ პრობლემა დადებითად გადაწყდა. მოგვიანებით, 1925 წელს, სერგო ორჯონიკიძემ გერმანიაში მივლინებაში გამგზავრების წინ შ. ნუცუბიძეს დაავალა მ. ყაუხჩიშვილის საქართველოში დაბრუნებაზე დაყოლიება, თითქოსდა ერთ-ერთი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაში მონაწილეობის მისაღებად. მ. ყაუხჩიშვილი საქართველოში არ დაბრუნებულა.

1930 წლისათვის მ. ყაუხჩიშვილის პოზიციები გამყარდა ფირმა „სიმენსშიც". ამ დროისათვის მას კარგი ურთიერთობა ჰქონდა გერმანიის პოლიტიკურ და საქმიან წრეებთან.[90]

გერმანიის სათავეში ჰიტლერის მოსვლის შემდეგ არამარტო ამ ქვეყნის, არამედ ევროპისა და ამერიკის წამყვანი ქვეყნების პოლიტიკურ წრეებში გაჩნდა სამწუხარო მოსაზრება მეორე მსოფლიო ომის გარდუვალობის შესახებ. ფაშისტური გერმანიის პოლიტიკა ამის საბაბს სულ უფრო ხშირად იძლეოდა.

ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ნაწილი თვლიდა, რომ მსოფლიოში მოვლენათა შემდგომი განვითარება მათ საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის ხელისუფლების სათავეში კვლავ მოსვლის საშუალებას მისცემდა. ამიტომ ისინი ეძებდნენ გერმანელებთან დაახლოების გზებსა და საშუალებებს. ამ მიზნით ევგენი გეგეჭკორმა წამოაყენა ყველა ქართული პოლიტიკური მიმდინარეობის გაერთიანებისა და ერთიანი ფრონტით მოქმედების იდეა. ამ შემთხვევაში მხედველობაში იყო მისაღები მისი კარგი ურთიერთობა მემარჯვენე ქართულ პოლიტიკურ ძალებთან. აღნიშნული წინადადება განხილულ იქნა სოციალ-დემოკრატთა ერთ-ერთ პარტიულ შეკრებაზე პარიზში. დამსწრეთა უმრავლესობა თანახმა იყო ასეთი მოლაპარაკებების დაწყებისა. კონსულტაციები მართლაც შედგა, თუმცა სპ. კედიამ და სხვა მემარჯვენე ლიდერებმა წამოაყენეს რადიკალურად განსხვავებული იდეა, კერძოდ, ისინი თვლიდნენ, რომ უნდა მომხდარიყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიკვიდაცია და ყველა ქართველი ემიგრანტის გაერთიანება ერთ ორგანიზაციაში, რომელსაც მემარჯვენე ოპოზიციური ლიდერები უხელმძღვანელებდნენ. ამ წინადადებას, ბუნებრივია, ქართველი სოციალ-დემოკრატები კატეგორიულად არ დათანხმდნენ.

რაც დრო გადიოდა, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ერთი ნაწილი სულ უფრო და უფრო ცდილობდა ნაცისტური გერმანიის, იაპონიისა და ფაშისტური იტალიის პოლიტიკურ წრეებთან დაახლოებას, თუმცა ამ პროცესში ნაკლებად აქტიურნი იყვნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები. ქართველ სოციალ-დემოკრატთა მეგობარი ქვეყნების წარმომადგენლები კავკასიის კომიტეტიდან და პრომეთეს მოძრაობიდან, აგრეთვე პოლონელები ქართველი ემიგრანტებისაგან მოითხოვდნენ ანტისაბჭოთა საქმიანობის გააქტიურებას. ამისათვის ისინი ნ. ჟორდანიას სთავაზობდნენ, ფორმალურად მაინც, გადამდგარიყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის თანამდებობიდან, რაც გააააქტიურებდა ანტისაბჭოთა საქმიანობას. ეს უკანასკნელი მართლაც იძულებული გახდა დაეთმო თავისი პარტიული პოსტი და საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა კონსტანტინე (კონია)

გვარჯალაძე. ეს ცვლილება პარტიაში მართლაც ფორმალური ხასიათისა იყო, ვინაიდან სოციალ-დემოკრატიულ პარტიასაც და ანტისაბჭოთა საქმიანობასაც ფაქტობრივად ნ. ჟორდანია ხელმძღვანელობდა. ამით მისი ფრთხილი დამოკიდებულება ნაცისტური გერმანიისა და მისი მოკავშირეების მიმართ არ შეცვლილა.

ქართველი ემიგრანტების პოლიტიკურ საქმიანობას როგორც გერმანიაში, ისე საფრანგეთში მუდმივად თვალყურს ადევნებდნენ ამ ქვეყნის სპეცსამსახურები და პოლიცია.

საფრანგეთის ხელისუფლება თავის ტერიტორიაზე არ ზღუდავდა ანტისაბჭოთა საქმიანობას, რაც გარკვეულწილად დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ზეგავლენა იყო. ამის გათვალისწინებით, პოლიცია და სპეცსამსახურები (საფრანგეთის სამხედრო სამინისტროს მე-2 ბიურო და „სიურტე ნაციონალი") ლოიალურად იყვნენ განწყობილნი ქართული ანტისაბჭოთა პოლიტიკური ემიგრაციის მიმართაც და ცდილობდნენ მათ გამოყენებას საფრანგეთის ინტერესებისათვის.

გერმანია-საფრანგეთის გართულებული ურთიერთობის მიუხედავად, ამ ორ ქვეყანაში მცხოვრები ქართული პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენლებს ერთმანეთთან კონტაქტი არ გაუწყვეტიათ. საფრანგეთის სპეცსამსახურებს მხედველობიდან არ გამორჩენიათ (განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გერმანიის სათავეში ნაციონალ-სოციალისტები მოვიდნენ) გერმანიაში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტთა და მათ გერმანელ მეგობართა ხშირი სტუმრობა პარიზში.

გერმანიის დაზვერვის დაინტერესება საფრანგეთით და იქ მიმდინარე პოლიტიკური და სამხედრო-ეკონომიკური პროცესებით ცალსახა იყო, თუმცა შეიმჩნეოდა მათი მისწრაფებები, მიეღოთ პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული ინფორმაცია როგორც საბჭოთა კავშირთან, ისე პოლონეთთან და მის სამხედრო ძლიერებასთან დაკავშირებით. ამ საკითხში ისინი ცდილობდნენ პოლონეთში მცხოვრები ქართული პოლიტიკური ემიგრაციისა და პოლონეთის არმიაში მოღვაწე ქართველი ოფიცრების გამოყენებას.

ყველა ქვეყნის ემიგრანტთა შორის იყვნენ სხვადასხვა ჯგუფის ავანტურისტები, რომლებიც ცდილობდნენ უცხო ქვეყნების დაზვერვათა წინაშე საკუთარი შესაძლებლობების ზომაზე მეტად წარმოჩენას და ამ გზით პირადი სარგებლის მიღებას. მათ აღზევებას ხელს უწყობდნენ ის წარუმატებელი მზვერავებიც, რომლებიც ვერ აღწევდნენ რა დადებით შედეგებს პროფესიონალურ საქმიანობაში, თავად ეძებდნენ ავანტურისტებს, რომელთა მეშვეობითაც ქმნიდნენ წარმატებული სადაზვერვო საქმიანობის ილუზიას, რაც მათ სადაზვერვო ორგანოებიდან შესაბამისი სუბსიდიების მიღების საშუალებას აძლევდა. ერთ-ერთი ასეთი ქართველი ემიგრანტი-ავანტურისტი, წარმოშობით ხონელი, გახლდათ შალვა ოდიშარია. ემიგრაციაში შ. ოდიშარია გამოჩნდა როგორც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი და იმთავითვე მიემხრო გ. გვაზავას ფრთას.[378]

შ. ოდიშარიას ემიგრაციაში მუდმივი სამუშაო ადგილი არ გააჩნდა. მას პროფესიად ექცა უცხო ქვეყნის დაზვერვისაგან ფულის გამოძალვა. შ. ოდიშარიამ სხვა ქვეყნების სპეცსამსახურების მსგავსად, ავანტურაში საბჭოთა დაზვერვის ჩათრევაც კი მოახერხა. ემიგრაციაში მას, როგორც ცნობილ ავანტურისტს, ზედმეტსახელად „აშორდია" შეარქვეს.

1931 წელს ბერლინიდან პარიზში ჩავიდა ქართველი ემიგრანტი გუგული (გოგი) გამყრელიძე, წარმოშობით ჭიათურელი, ემიგრანტ ალიოშა გამყრელიძის ბიძაშვილი, რომელიც ამ უკანასკნელს გამოუტყდა, რომ იყო საბჭოთა დაზვერვის აგენტი. ა. გამყრელიძემ იცოდა რა შ. ოდიშარიას უცხო ქვეყნების დაზვერვის სამსახურებით დაინტერესების მისწრაფებები, შ. ოდიშარია და გ. გამყრელიძე ერთმანეთს გააცნო. როდესაც გ. გამყრელიძემ გაიგო, რომ ემიგრანტ შალვა ოდიშარიას სურდა საქართველოში არალეგალური საქმიანობის წარმართვა, მან ეს უკანასკნელი პარიზის ერთ-ერთ კაფეში შეახვედრა გერმანელ „ჟურნალისტს“, რომელმაც ოდიშარიას პოლონეთში გამგზავრება და პოლონეთში მოღვაწე ქართველი ოფიცრების მეშვეობით პოლონეთის არმიასთან დაკავშირებით ინფორმაციის მოპოვება შესთავაზა. გერმანელი მხოლოდ ამის შემდეგ იძლეოდა საქართველოში ოდიშარიას ანტისაბჭოთა არალეგალური საქმიანობის დაფინანსების გარანტიას. ოდიშარიამ მოფიქრებისათვის დრო ითხოვა. აღნიშნული შეხვედრის თაობაზე ოდიშარიამ, გ. გვაზავას რჩევით, საფრანგეთის სპეცსამსახურს აცნობა. ერთი კვირის შემდეგ შ. ოდიშარია კვლავ შეხვდა გერმანელ „ჟურნალისტს“ და შემოთავაზებულ წინადადებაზე უარი განუცხადა. მიუხედავად ამისა, კონტაქტი მათ შორის მაინც გაგრძელდა. შ. ოდიშარიასა და გერმანელ „ჟურნალისტს“ შორის ურთიერთობების დამყარებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ ქართველ ემიგრანტებში გავრცელდა ხმები გ. გამყრელიძის საბჭოთა დაზვერვასთან თანამშრომლობის ფაქტის შესახებ: ის, თითქოსდა, უნახავთ საბჭოთა საელჩოდან გამოსული, რისთვისაც ქართველ ემიგრანტებს სასტიკად უცემიათ. გ. გამყრელიძის საბჭოთა დაზვერვასთან შესაძლო კავშირის თაობაზე ჰამბურგიდან ბერლინის ქართულ ემიგრაციას ატყობინებდა სოციალისტ-ფედერალისტი აკაკი ფაღავა. ამის თაობაზე ტიტე მარგველაშვილმა 1933 წლის 20 მარტით დათარიღებული წერილით ინფორმაცია მიაწოდა სპ. კედიას. გ. გამყრელიძემ ოდიშარიასთან მორიგი შეხვედრისას მისი კავშირი საბჭოთა დაზვერვასთან კატეგორიულად უარყო, მაგრამ ეს ხმები ქართულ ემიგრაციაში უფრო და უფრო ფართომასშტაბიან ხასიათს ღებულობდა. მაშინ ოდიშარიამ დაჟინებით მოითხოვა „გერმანელ ჟურნალისტთან“ შეხვედრა. შეხვედრა მართლაც შედგა პარიზში, მეტრო „პირამიდა“-ში, თუმცა შეხვედრაზე გერმანელის ნაცვლად მივიდა საფრანგეთში საბჭოთა საელჩოს თანამშრომელი ნიკოლოზ დემიდოვი. საუბარი გაგრძელდა იქვე კაფეში. ეს უკანასკნელი გაკვირვებული იყო იმის გამო, თუ რატომ აწვდიდა ოდიშარია მათ გერმანელის მეშვეობით ცრუ ინფორმაციას. ოდიშარიას პასუხი მწვავე იყო: „Вам я ничего не передавал, а передавал сведения немцу, с которым меня познакомил Гамкрелидзе. Этот немец являлся журналистом, членом национал-социалистической партии, я никогда не думал, что этот немец сотрудничал с Вами*“. შემდეგ ოდიშარიამ და დემიდოვმა საუბარი ცალკე განაგრძეს. ამ უკანასკნელმა ოდიშარიას საბჭოთა დაზვერვასთან თანამშრომლობა შესთავაზა. საბჭოთა მზვერავს აინტერესებდა ინფორმაცია საფრანგეთის ქართულ ემიგრაციაში არსებულ ვითარებაზე საბჭოთა საქართველოში შესაძლო ამბოხების თაობაზე. შეთავაზებულ წინადადებაზე

* „მე თქვენთვის არაფერი გადმომიცია, ცნობები გადავეცი გერმანელს, რომელიც გამაცნო გამყრელიძემ. ეს გერმანელი იყო ჟურნალისტი, ნაციონალ-სოციალისტური პარტიის წევრი, ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ ეს გერმანელი თქვენთან თანამშრომლობდა“.

ოდიშარიამ უარი განაცხადა. საბჭოთა დაზვერვის მხრიდან მისი გადმობირების მცდელობის თაობაზე ოდიშარიამ „სიურტე ნაციონალს აცნობა“. როგორც შემდგომში გაირკვა, საფრანგეთში საბჭოთა საელჩოს თანამშრომლები დემიდოვი და ჟდანოვი, დიპლომატებისათვის შეუსაბამო საქმიანობის (სადაზვერვო) გამო, საფრანგეთის მთავრობის წარდგინებით, ქვეყნიდან გააძევეს. „სიურტე ნაციონალში“ დაიბარეს გ. გამყრელიძეც, სადაც ამ უკანასკნელმა განმარტა, რომ მოქმედებდა ნოე ჟორდანიას დავალებით, აწვდიდა რა საბჭოთა მხარეს დეზინფორმაციულ მასალას.

რა იძლეოდა აღნიშნული განცხადების საფუძველს და რატომ გაეხვა ნ. ჟორდანია ზემოაღნიშნულ სკანდალში?

გ. გამყრელიძის საბჭოთა სპეცსამსახურებთან კონტაქტების თაობაზე ცნობილი გახდა ნ. ჟორდანიას მსტოვრებისათვის, რომლებმაც გადაწყვიტეს, საბჭოთა სპეცსამსახურებთან ოპერატიული თამაში წამოეწყოთ: მათ გ. გამყრელიძისათვის უნდა მიეწოდებინათ საბჭოთა სპეცსამსახურებისთვის გათვლილი დეზინფორმაციული მასალა. გ. გამყრელიძის შესაძლო გადმობირების იდეის თაობაზე მოახსენეს ნ. ჟორდანიას, რომელიც ამ წინადადებას სკეპტიკურად შეხვდა და განაცხადა, რომ გ. გეგელიას კავშირი საბჭოთა სპეცსამსახურებთან სასარგებლო აღმოჩნდა მხოლოდ აკაკი ხოშტარიასა და სპირიდონ კედიასთვის და არა ზოგადად ქართული ემიგრაციისათვის. აქვე გამოთქვა სინანული, რომ თავის დროზე სპ. კედიას შუამავალ ევგ. გეგეჭკორს სიტყვა მისცა, რომ გიორგი გეგელიას კავშირს საბჭოთა დაზვერვასთან არ გაახმაურებდა, შეეცდებოდა ამ ფაქტის დამალვას. ნ. ჟორდანია ფიქრობდა, იგივე განმეორდებოდა გ. გამყრელიძის შემთხვევაშიც – მას გამოიყენებდნენ ეროვნულ-დემოკრატები, ხოლო სოციალ-დემოკრატები სკანდალში გაეხვეოდნენ. მიუხედავად ამისა, ნ. ჟორდანია მაინც დაითანხმეს გ. გამყრელიძესთან შეხვედრაზე, რაც ვალიკო ჩუბინიძის შუამავლობით მოხდა. ნ. ჟორდანია საბოლოოდ დარწმუნდა, რომ გ. გამყრელიძე „მზვერავად“ ვერ ივარგებდა და თავის ხელქვეითებს მასთან კონტაქტის განყვეტა მოსთხოვა. ყოველივე თითქოს ამით უნდა დასრულებულიყო, თუმცა შ. ოდიშარიამ და გ. გამყრელიძემ, საკუთარი პერსონების რეკლამირების მიზნით, გაავცელეს ხმები ნ. ჟორდანიასთან თითქოსდა წარმატებული მოლაპარაკებების თაობაზე, მათი, როგორც მზვერავებად გამოყენების თვალსაზრისით. ამ შემთხვევით ისარგებლეს ნ. რამიშვილის მკვლელობის შემდეგ აქტიურად ჩასაფრებულმა ოპოზიციონერებმა და ეს საკითხი განსახილველად პარიზის ქართული კოლონიის ერთ-ერთი შეკრების დღის წესრიგში შეიტანეს. კრებაზე განსაკუთრებით აქტიურობდნენ ვიქტორ ნოზაძე და მისი მეგობრები, აგრეთვე მიხეილ არსენიძის ჯგუფი, რომელიც მთლიანად გამოეყო ეროვნულ-დემოკრატებს და შექმნა განსაკუთრებული ჯგუფი. ვ. ნოზაძემ და რ. არსენიძემ ბრალი დასდეს ნ. ჟორდანიას ემიგრანტ გ. გამყრელიძის მეშვეობით, სოციალ-დემოკრატ ვ. ჩუბინიძისა და ეროვნულ-დემოკრატ შ. ოდიშარიას ხელშეწყობით, საბჭოთა დაზვერვასთან კავშირის დამყარების მცდელობაში. ასეთმა თავხედურმა გამოხტომამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ნ. ჟორდანიას მხარდამჭერებში და ქართველ ემიგრანტთა ამ კრებაზე ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა. საბოლოოდ მაინც ნ. ჟორდანიას თანამოაზრეებმა იმარჯვეს. თუმცა ვაი ამ გამარჯვებას. ქართველ ემიგრანტთა მორიგმა შეკრებამ კიდევ ერთხელ

დაადასტურა, თუ რაოდენ დაძაბული იყო სიტუაცია ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში.

ამ სკანდალის შემდეგ გ. გამყრელიძე საფრანგეთში აღარ გამოჩენილა. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ ის სწავლობდა გერმანიის სადაზვერვო სკოლაში და ეუფლებოდა ფარული ფოტოგადაღების ტექნოლოგიას.

1933 წელს ბერლინიდან გერმანიის დაზვერვის ოფიცერმა ერნსტ ბერგერმა წერილობით აცნობა შ. ოდიშარიას, რომ გ. გამყრელიძე, თანამემამულეთა დაბეზღებით, გერმანელებს დაუპატიმრებიათ. ე. ბერგერი მოგვიანებით გაგზავნილ წერილში თხოვდა, ოდიშარიას ეცნობებინა – იცოდა თუ არა რაიმე ფირმა „სიმენს-შუკერტში" მომუშავე ქართველი ინჟინრის მიხეილ ყაუხჩიშვილის საბჭოთა დაზვერვასთან კონტაქტების თაობაზე. როგორც ჩანს, ე. ბერგერი იმდენად იყო დაინტერესებული მ. ყაუხჩიშვილის პიროვნებით, რომ უარყოფითი პასუხის მიუხედავად, ის რამდენიმე დღეში პარიზში ჩავიდა და გაზეთით ხელში (პაროლი) დილის 10.00 სთ-ზე შეხვდა შ. ოდიშარიას სასტუმრო „დიუპონში". ე. ბერგერი კვლავ მ. ყაუხჩიშვილით ინტერესდებოდა, თუმცა ამავდროულად აღნიშნა, რომ მისი ეს დაინტერესება არამც და არამც არ ვნებდა საფრანგეთის ეროვნულ ინტერესებს. ეს იმას ნიშნავდა, რომ გერმანელ მზვერავს რაღაც ეჭვები შ. ოდიშარიას საფრანგეთის სპეცსამსახურებთან კონტაქტის თაობაზე უკვე გასჩენოდა. ე. ბერგერი ეძებდა ფოტოსურათს, რომელზეც თითქოსდა ყაუხჩიშვილი იყო აღბეჭდილი რომელიღაც ცნობილ საბჭოთა მზვერავთან ერთად. ოდიშარიამ ბერგერს აცნობა, რომ მ. ყაუხჩიშვილის კავშირი საბჭოთა დაზვერვასთან და ზემოაღნიშნული ფოტოსურათის არსებობა მისთვის უცნობი იყო.

შ. ოდიშარიას პიროვნება და მის ირგვლივ განვითარებული მოვლენები სპეცსამსახურებისთვის კიდევ ერთხელ გახდა აქტუალური მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას და მის დამამთავრებელ სტადიაში. შ. ოდიშარიას, ისევე როგორც ბევრი ქართველი ემიგრანტის ბედი, ტრაგიკული აღმოჩნდა.[275]

30-იანი წლების დასაწყისში ანტისაბჭოთა საქმიანობით დიდად იყო დაინტერესებული იაპონიის დაზვერვაც, რომელიც ასევე ცდილობდა ქართული პოლიტიკური ემიგრაციის გამოყენებას. იმ დროს პარიზში იაპონიის სამხედრო ატაშეს თანამდებობა ეკავა გენერალ-მაიორ იამაცუ ციციაჩის. ამ უკანასკნელთან, 1938 წლის მონაცემებით, ოფიციალური კონტაქტი ჰქონდათ ნოე ჟორდანიას წარმომადგენლებს. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მთავრობა სსრ კავშირთან იაპონიის ომის და ამ ომში გამარჯვების შემთხვევაში, იაპონიისგან ითხოვდა თანადგომას საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხში. სამაგიეროდ, საქართველოს ხელისუფლება პასუხისმგებლობას იღებდა, გაეტარებინა იაპონიის პოლიტიკური კურსი ახლო აღმოსავლეთში და მიენიჭებინა მისთვის საქართველოს მდიდარი წიაღისეულით სარგებლობის უპირატესი უფლება. ამის დასტურად იამაცუ ციციაჩის გადაეცა საქართველოს დევნილი მთავრობის მემორანდუმი ნოე ჟორდანიას, გიორგი გვაზავასა და შალვა ოდიშარიას ხელმოწერით.

საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ანტისაბჭოთა საქმიანობის მხარდაჭერისა და დახმარების სურვილი, რაც ქართველ ემიგრანტთა საქართველოში არალეგალურად შეგზავნით უნდა გამოხატულიყო, 1938 წელს პარიზში, ევროპისა და ახლო

აღმოსავლეთის ქვეყნების კონფერენციაზე იაპონიის სამხედრო ატაშემ ირანსა და თურქეთში კონფიდენციალურად გამოთქვა.[276]

XX საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევარში, არა მარტო ქართული, არამედ მთელი კავკასიური ემიგრაციის ისტორიაში ყველასათვის აღმაშფოთებელი შემთხვევა მოხდა.

1934 წელს პარიზში კავკასიის მთავარმართებლის ი. ვორონცოვ-დაშკოვის ყოფილი ჩინოვნიკის, მთიელთა რესპუბლიკის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის ჰეიდარ ბამატის (ბამატოვის) ინიციატივით, შეიქმნა ნაციონალისტური ორგანიზაცია „კავკასია“. ამ ორგანიზაციის წევრები სხვადასხვა დროს იყვნენ შალვა ამირეჯიბი, ზურაბ ავალიშვილი, ვლადიმერ ახმეტელი, დავით საღირაშვილი, გენერალი გიორგი კვინიტაძე, მიხეილ კედია და სხვები. აღნიშნულ ორგანიზაციაში ქართველებისა და აზერბაიჯანელების გარდა, შედიოდნენ კავკასიის სხვა ეროვნების (ლეკები, ჩეჩნები და სხვა) წარმომადგენლებიც. აშკარა ანტისაბჭოთა ხასიათის ორგანიზაცია პოლიტიკური და ორგანიზაციული თვალსაზრისით ორიენტირებული იყო ძირითადად თურქეთზე, თუმცა იმედებს გერმანიასა და იაპონიაზეც ამყარებდა. თავდაპირველად „კავკასიის“ შექმნას მხარი გერმანელებმაც დაუჭირეს. 1937 წელს ბერლინში ჩამოყალიბდა ამ ორგანიზაციის ფილიალი.

ჰ. ბამატმა, იაპონელთა დაზვერვის (პარიზში იაპონიის საელჩოს სამხედრო ატაშე – მაიორ იამაცუ ციციაჩის) მხარდაჭერით, ორგანიზაცია „ანტიკომინტერნისგან“ მიიღო ფინანსური მხარდაჭერა და ფართო მასშტაბიანი ანტისაბჭოთა საქმიანობა გააჩაღა.

ორგანიზაცია ქართულ ენაზე გამოსცემდა ჟურნალ „კავკასიას“, რომელშიც ისეთ სტატიებს ქვეყნებდა, რომლებიც დიდ უკმაყოფილებას იწვევდა მთელ ქართულ ემიგრაციაში. მაგალითად, ერთ-ერთ სტატიაში წამოყენებულ იქნა საქართველოს მაჰმადიანებით დასახლებული ტერიტორიების, კერძოდ – ბათუმის და ყოფილი ბათუმის ოლქის, აგრეთვე, ყოფილი ართვინის ოლქის, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების თურქეთისათვის დათმობის იდეის მხარდაჭერა. ასეთმა ურცხვმა გამოხტომამ, განურჩევლად პოლიტიკური მრწამსისა, თითქმის მთელი ქართული ემიგრაცია გააღიზიანა. ეწყობოდა ჰ. ბამატის თანამოაზრეთა საწინააღმდეგო შეკრებები, რომლებზედაც ღებულობდნენ საპროტესტო რეზოლუციებს. პრაქტიკულად ეს იყო იმ უიშვიათეს შემთხვევათაგანი, როდესაც ქართული ემიგრაცია ერთსულოვანი იყო.

ჟურნალი „კავკასია“ გამოდიოდა კავკასიის ხალხთა, აგრეთვე ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ და თურქულ ენებზე. ქართველი ემიგრანტები მიხვდნენ ჰ. ბამატოვის ავანტურისტულ მიზნებს და მასთან კონტაქტი გაწყვიტეს.

თურქეთის ხელისუფლებას მოსწონდა ჰ. ბამატისა და მისი თანამოაზრეების საქმიანობა, თუმცა იძულებული იყო განეცხადებინა, თითქოსდა მათ არანაირი ურთიერთობა არ გააჩნდათ ჰ. ბამატთან და მის ჯგუფთან, და რომ ორგანიზაცია უახლოეს ხანში თურქეთის ტერიტორიას დატოვებდა. სინამდვილეში მსგავსი არაფერი მომხდარა და ჟურნალი „კავკასია“ წარმატებით აგრძელებდა გამოსვლას თურქეთში არა მარტო თურქულ, არამედ აზერბაიჯანულ ენაზეც.

ჰ. ბამატის ორგანიზაციამ, საკუთარი არსებობა რომ გაემართლებინა და გაეხანგრძლივებინა, გადაწყვიტა ხელი შეეწყო ქართველი ემისრების ერთი ჯგუფის

(ბეჟან გიორგაძე, გიორგი ვარდოშვილი და მიხეილ ნიკოლაიშვილი) ირანის გავლით საქართველოში არალეგალურად შეგზავნისათვის. 1938 წლის 28 ივნისს ქართველ ემიგრანტთა ზემოალნიშნული სამკაციანი ჯგუფი გამყოლებთან ერთად თავრიზიდან გაემგზავრა. 4 ივლისისათვის ჯგუფის წევრებმა ირან-საბჭოთა კავშირის საზღვარი გადაკვეთეს და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გადავიდნენ, თუმცა შინსახკომის ორგანოებმა ისინი დააკავეს და თბილისში გადაიყვანეს.[270]

მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე, ბამატმა შეხედულებები შეიცვალა. მიხვდა, რომ ფაშისტური გერმანია კავკასიის ხალხებს დამოუკიდებლობას არ უბოძებდა და მთელი იმედები თურქეთზე გადაიტანა, თუმცა, წარუმატებლად. 1939 წელს ორგანიზაცია „კავკასია" დაიშალა. მანამდე კი, 1937 წელს, გერმანელებმა ამ ორგანიზაციას თავიანთ ქვეყანაში არსებობა აუკრძალეს, რაშიც დიდი იყო როლი ქართული პოლიტიკური ემიგრაციისა, რომელმაც ამისათვის მაქსიმალურად გამოიყენა თავისი კავშირები გერმანიაში.

თავი VIII

# მეორე მსოფლიო ომი და ქართველები საზღვარგარეთ

## საბჭოთა სპეცსამსახურების მზადება ომისათვის

საბჭოთა კავშირი, მისი მძლავრი იდეოლოგიური აპარატის მეშვეობით, შექმნის პირველი დღეებიდან ცდილობდა მსოფლიოს თვალში საბჭოთა სისტემის უპირატესობის, კაპიტალისტური ცხოვრების წესის უპერსპექტივობის და აგრეთვე, სსრ კავშირში შემავალი მოკავშირე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ერთიან, ძმურ ოჯახად ცხოვრების აუცილებლობის დემონსტრირებას. ის, რომ ეს უკანასკნელნი თითქოსდა დამოუკიდებელნი იყვნენ, ფორმალურად დაფიქსირდა კიდეც სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუციაში, რომლის თანახმადაც ყველა საბჭოთა რესპუბლიკას სსრ კავშირიდან გასვლის უფლება ჰქონდა, თუმცა ამ უსუსურ კონსტიტუციურ ჩანაწერს სერიოზულად არავინ აღიქვავდა. ყველასათვის ცხადი იყო, რომ საბჭოთა იმპერია მოკავშირე რესპუბლიკებისათვის, მათ შორის საქართველოსთვის დამოუკიდებლობასა და ცალკე სახელმწიფოდ აღიარებას არასოდეს შეეგუებოდა, ყოველ შემთხვევაში, უახლოეს ათწლეულებში მაინც.1934-1938 წლების რეპრესიებმა საბჭოთა კავშირს დიდი დარტყმა მიაყენა, გაწყდა პოლიტიკური, სამხედრო (სპეცსამსახურების) და ხელოვნების მოღვაწეთა საუკეთესო ნაწილი, საზოგადოება შიშმა მოიცვა. მიუხედავად ამისა, საბჭოთა იდეოლოგია ძალ-ღონეს არ იშურებდა და საკუთარ მოსახლეობას ნათელ მომავალზე გამუდმებულ იმედს უნერგავდა. მსოფლიოში კი პოლიტიკური ვითარება დღითიდღე იძაბებოდა. გერმანიის ფაშიზმი ძალას იკრებდა და ახალი მსოფლიო ომის გაჩაღებისათვის ემზადებოდა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ცდილობდა, თავიდან აეცილებინათ ომი გერმანიასთან, თუმცა ამის გაკეთება შეუძლებელი აღმოჩნდა.

მას შემდეგ, რაც მკვლევარებს საშუალება მიეცათ გასცნობოდნენ არქივებში დაცულ საიდუმლო მასალებს, ცხადი გახდა, საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობისათვის ზედმიწევნით ზუსტად იყო ცნობილი სსრ კავშირზე ფაშისტური გერმანიის თავდასხმის თარიღი, თუმცა, როგორც ჩანს, ბოლომდე ვერ ენდნენ საბჭოთა დაზვერვის მონაცემებსა და საიდუმლო შეტყობინებებს. არადა, საბჭოთა დაზვერვა ომის დაწყების თარიღს პრაქტიკულად ზუსტად ასახელებდა. როგორც ქვემოთ ვნახავთ, აღნიშნულის თაობაზე იტყობინებოდა შ. ბერიშვილიც იაპონიის სამხედრო ატაშეს ინფორმაციაზე დაყრდნობით.

ფაშისტური გერმანია სსრ კავშირის წინააღმდეგ ომის დაწყებას რომ 1941 წლის 14 ივნისს აპირებდა, მიანიშნებს გენერალი პ. სუდოპლატოვიც: „Окончательное решение о нападении Гитлер принял 14 июня 1941 года, на следующий день

после того, как немцам стало известно заявление ТАСС о несостоятельности слухов о германо-советской войне. Интересно, что заявление ТАСС сначала было распространено в Германии и лишь на второй день опубликовано в «Правде»*".[73]

სადაზვერვო საქმიანობაში ჩახედულ სპეციალისტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ომის დაწყების წინ საბჭოთა სამხედრო და პოლიტიკური დაზვერვა ვერ აღმოჩნდა თავის სიმაღლეზე. მართალია, სადაზვერვო ინფორმაცია მრავლად მოდიოდა, მაგრამ არ ხერხდებოდა მათი სისტემატიზაცია და დროული ანალიზი, მოწინააღმდეგე მხარის ოპერატიული კომბინაციების გამოცნობა და დეზინფორმაციულ პროცესებზე ადეკვატური რეაგირება. მხოლოდ ომის მიმდინარეობის პერიოდში საბჭოთა სადაზვერვო ორგანოებში ჩამოყალიბდა საზღვარგარეთიდან მიღებული ინფორმაციის მუდმივი დამუშავებისა და ანალიზის სტრუქტურები, რამაც სადაზვერვო პროცესი საბჭოთა სპეცსამსახურებში უფრო ეფექტური გახადა.

სსრ კავშირის წინააღმდეგ გერმანიის სადაზვერვო მანქანა ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე გააქტიურდა, რაზედაც საბჭოთა ხელისუფლება შესაბამისად რეაგირებდა. 1938 წლის თებერვალში, პოლიტიკური ზემოქმედების შედეგად ფუნქციონირება შეწყვიტა გერმანიის საკონსულოებმა ლენინგრადში, ხარკოვში, თბილისში, კიევში, ოდესაში, ნოვოსიბირსკსა და ვლადივოსტოკში. ამ გადაწყვეტილებას წინ უძღოდა რეპრესიები, რომლებმაც მოიცვა სსრ კავშირში მცხოვრები გერმანული კოლონიები. მათ ფაშისტური გერმანიის სადაზვერვო სამსახურთან თანამშრომლობა ბრალდებოდათ. ამ თვალსაზრისით, გამონაკლისი არც საქართველოში მცხოვრები გერმანელები იყვნენ, რომელთა ერთი ნაწილი დააპატიმრეს, დახვრიტეს ან ქვეყნიდან გააძევეს, ხოლო ომის დაწყებამდე მათი უდიდესი ნაწილი შუა აზიის სტეპებში გადაასახლეს. გერმანიის სასარგებლო ჯაშუშურ საქმიანობაში იმხილებოდნენ ის პირებიც, რომელთაც გააჩნდათ კონტაქტები ანტისაბჭოთა საზღვარგარეთულ ემიგრანტულ ორგანიზაციებთან და რომლებიც გერმანიის სპეცსამსახურების მიერ გამოიყენებოდნენ: „Ощутимые удары были нанесены по агентуре различных белоэмигрантских организаций, которые использовались немецко-фашистской разведкой для подрывной работы против СССР. Всего в 1940 в первом квартале 1941г. было раскрыто 66 резидентур германской разведки, разоблачено 1596 немецких агентов, из них в отдельных областях УССР, БССР и в Прибалтике-1338 **" – მინიშნებულია საბჭოთა სპეცსამსახურების ანგარიშებში.[59]

არსებული ვითარების ანალიზი ცხადყოფდა, რომ შესაძლო საომარი მოქმედებებისათვის უნდა მომზადებულიყო სსრ კავშირის მთელი სამართალდაცვის სისტემა და სპეცსამსახურები, მათ შორის საგარეო დაზვერვაც.

---

* თავდასხმაზე საბოლოო გადაწყვეტილება ჰიტლერმა მიიღო 1941 წლის 14 ივნისს, იმის მეორე დღეს, როდესაც გერმანელებისთვის ცნობილი გახდა საბჭოთა კავშირის სატელეგრაფო სააგენტოს (სკსს) განცხადება გერმანია-საბჭოთა კავშირის ომთან დაკავშირებით საეჭვო ხმების არარსებობის შესახებ. საინტერესოა ის, რომ სკსს-ის განცხადება თავდაპირველად გავრცელდა გერმანიაში და მხოლოდ მეორე დღეს იქნა ის გამოქვეყნებული გაზეთ „პრავდაში".

** მნიშვნელოვანი დარტყმა იქნა განხორციელებული ხვადასხვა თეთრემიგრანტული ორგანიზაციების აგენტებზე, რომლებიც გამოიყენებოდნენ გერმანელ ფაშისტთა დაზვერვის მიერ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ძირგამომთხრელ საქმიანობაში. სულ 1940 წელს და 1941 წლის პირველ კვარტალში გამომჟღავნებული იქნა გერმანიის დაზვერვის 66 რეზიდენტურა, გამოაშკარავდა 1596 გერმანელი აგენტი, მათ შორის ბელორუსიის სსრ-ის და უკრაინის სსრ-ის ცალკეულ მხარეებში და ბალტიისპირეთში 1338.

გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის ომის დაწყებამდე საბჭოთა კავშირის საგარეო დაზვერვის ფუნქციას ახორციელებდა სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს პირველი სამმართველო. ის შედგებოდა სხვადასხვა გეოგრაფიული მიმართულებისაგან. ომის პერიოდში დამატებით შეიქმნა საინფორმაციო-ანალიტიკური, ემიგრაციასთან მუშაობისა და სხვა დამოუკიდებელი ქვედანაყოფები. სადაზვერვო საქმიანობა ხორციელდებოდა როგორც „ლეგალური", ასევე არალეგალური პოზიციებიდან. საბჭოთა სადაზვერვო სისტემისათვის სერიოზულ ძალას წარმოადგენდა საბჭოთა წითელი არმიის შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველო, რომელიც მიზანსწრაფულობით, ფორმებისა და მეთოდების თავისებურებებით გამორჩეული იყო.

საზღვარგარეთიდან მიღებული შეტყობინებების თანახმად, ნაცისტური გერმანიის სპეცსამსახურებმა ჯერ კიდევ ომამდე, ხოლო შემდეგ ომის პერიოდში აქტიურად დაიწყეს გერმანიაში და ოკუპირებული ქვეყნების ტერიტორიაზე მცხოვრები სსრ კავშირიდან ერთ დროს დევნილი ანტისაბჭოთა განწყობის ემიგრანტთა გამოყენება.

გერმანიის ქ. პოტსდამის ცენტრალურ არქივში დაცულია 1941 წლის 23 ოქტომბრით დათარიღებული იმ გერმანელთა და ქართველთა ნუსხა, რომლებიც, გერმანელთა აზრით, კარგად იცნობდნენ კავკასიასა და კავკასიელ ხალხებს. ცხადია, გერმანიის დაზვერვა შეეცდებოდა ამ პიროვნებების გამოყენებას.[286]

სადაზვერვო საქმიანობის ორგანიზების პროცესში ანტისაბჭოთა ემიგრაციის მნიშვნელობა კარგად ესმოდათ საბჭოთა სპეცსამსახურებსაც, რომლებიც, თავის მხრივ, ცდილობდნენ საბჭოთა დაზვერვის ინტერესებისათვის ცალკეულ ემიგრანტთა აქტიურად ჩაბმას, განსაკუთრებით საგანგებო ვითარებაში – გერმანელთა ოკუპაციის პირობებში.

ზემოაღნიშნული თვალსაზრისით ძალიან საინტერესო იყო საფრანგეთი, სადაც საბჭოთა კავშირიდან დევნილ ემიგრანტთა, მათ შორის ანტისაბჭოთა განწყობის პოლიტიკურ ემიგრანტთა დიდი ნაწილი იყო თავმოყრილი.

1941 წლის ივნისის ბოლოს შექმნილმა სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა საბჭოთა დაზვერვის წინაშე ახალი ამოცანები დასვა:

1. ნაცისტური გერმანიისა და მისი მეკავშირეების სამხედრო-პოლიტიკური და სხვა სახის გეგმების გამოვლენა;

2. სადაზვერვო-დივერსიული საქმიანობის ორგანიზებისათვის სპეციალური ოპერატიული რაზმების შექმნა და მტრის ზურგში შეგზავნა;

3. მტრის ზურგში პარტიზანული მოძრაობის გააქტიურებისათვის პარტიული ორგანოებისათვის დახმარების აღმოჩენა;

4. სსრ კავშირთან დაკავშირებით, მისი მოკავშირეების, განსაკუთრებით, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების, რეალური გეგმებისა და ზრახვების გამოვლენა, აგრეთვე ომისშემდგომი მსოფლიოს მოწყობასთან დაკავშირებული საკითხების ოპერატიულ-ანალიტიკური კვლევა;

5. ნეიტრალურ ქვეყნებში (ირანი, თურქეთი, შვედეთი და სხვა) სადაზვერვო საქმიანობის ორგანიზება, რათა არ დაშვებულიყო მათი გადასვლა ფაშისტურ კოალიციაში; ამ ქვეყნებში მოქმედი გერმანიის დაზვერვის ძალებისა და საშუალებების პარალიზება;

6. სსრ კავშირის ეკონომიკური და სამხედრო ძლიერების განმტკიცებისათვის მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში სამეცნიერო-ტექნიკური დაზვერვის ორგანიზება.[59]

დაზვერვის წინაშე დასმული ამოცანების გადაწყვეტისათვის, საბჭოთა კავშირის პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელობის მიერ ომის დაწყების პირველ პერიოდში გატარებულ იქნა რიგი ღონისძიებებისა, რომელთა მიზანიც სადაზვერვო საქმიანობის ეფექტურობის უზრუნველყოფა იყო. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო 1941 წლის აგვისტოში სსრკ შსკ-სა და დიდი ბრიტანეთის სადაზვერვო სამსახურს შორის გერმანიისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ურთიერთდახმარების გაწევის თაობაზე ხელშეკრულების დადება.[5]

თვით ნაცისტურ გერმანიაზე რომ აღარაფერი ითქვას, სსრ კავშირისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა სადაზვერვო პროცესის ორგანიზებას საფრანგეთში, სადაც ამ თვალსაზრისით საკმაოდ რთული ვითარება შეიქმნა.

გერმანელთა მიერ საფრანგეთის ოკუპაციის შემდეგ, ამ ქვეყანაში საბჭოთა საგარეო დაზვერვისათვის სერიოზული გამოცდის დრო დადგა. დაირღვა კავშირი ბევრ ოპერატიულ წყაროსთან. ნაწილი, გერმანელების მიერ მათი ანტიფაშისტური განწყობის გამო, დააპატიმრეს, ზოგიერთმა მოახერხა ინგლისში, საფრანგეთის სამხრეთ რეგიონებსა და აფრიკის ჩრდილოეთში გაქცევა.

საფრანგეთის სამხრეთ ნაწილში, „თავისუფალ ზონაში", აღმოჩნდნენ საბჭოთა დაზვერვის ოპერატიული წყაროები, რომლებიც იძულებულნი იყვნენ გამოქცეულიყვნენ გერმანიიდან და ფრანკისტული ესპანეთიდან. ამდენად, ვიშიში შეიქმნა საბჭოთა საგარეო დაზვერვის რეზიდენტურის ახლებურად მოწყობის აუცილებლობა. რთული პირობების მიუხედავად, გერმანელების მიმართ ოკუპირებულ ჩრდილო საფრანგეთში საბჭოთა მზვერავები განაგრძობდნენ საქმიანობას მცირერიცხოვანი პარიზის საკონსულო განყოფილების საფარქვეშ.

საფრანგეთის ორ ნაწილად გახლეჩის პირობებში, მაშინ, როცა საფრანგეთის მთავრობა და ამ ქვეყანაში აკრედიტებული უცხო ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლობები (მათ შორის სსრკ-ს) იძულებულნი იყვნენ პარიზიდან ვიშიში გადასულიყვნენ, სსრკ-ის დაზვერვის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა საფრანგეთში საბჭოთა საგარეო დაზვერვის ძირითადი რეზიდენტურის გასაძლიერებლად კიდევ ერთი რეზიდენტურის შექმნა ვიშიში სსრკ-ის ოფიციალური წარმომადგენლის შენიღბვის ქვეშ. პარიზისა და ვიშის რეზიდენტურების უმთავრესი ამოცანა იმ პერიოდში იყო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გერმანიისა და საფრანგეთის სპეცსამსახურების მიერ ემიგრანტული, ანტისაბჭოთა ცენტრების გამოყენების ნეიტრალიზება და დაზვერვისათვის ჩვეული ფორმებითა და მეთოდებით სპეციალური ღონისძიებების გატარება.

საბჭოთა საგარეო დაზვერვის ვიშისა და პარიზის რეზიდენტურები იტყობინებოდნენ უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების მიერ საფრანგეთში არსებული რუსული, უკრაინული, კავკასიური და სხვა ეროვნების ემიგრანტული ორგანიზაციების ცალკეულ წარმომადგენელთა გადმობირების თაობაზე. მათი გამოყენება იგეგმებოდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მომავალი შეტაკებისათვის. საჭირო იყო კონტრღონისძიებების დაგეგმვა და აქტიურ ქმედებებზე გადასვლა, რაც საკმაოდ

რთული საქმე იყო. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება საფრანგეთში კი სულ უფრო და უფრო იძაბებოდა.[59]

მას შემდეგ, რაც ნაცისტურმა გერმანიამ ომი გამოუცხადა საბჭოთა კავშირს, გერმანელთა მხრიდან ევროპაში არსებულ სსრ კავშირის დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საბჭოთა მოქალაქეებზე ძალადობა დაიწყო. მაგალითად: 1941 წლის 22 ივნისს გერმანელთა სპეცრაზმი მოულოდნელად თავს დაესხა პარიზში სსრკ-ის საკონსულოს, რომლის შენიღბვითაც საქმიანობდა საბჭოთა კავშირის საგარეო დაზვერვის რეზიდენტურა. ამ პერიოდისათვის კონსული გახლდათ თბილისში დაბადებული გუკასოვი, რომელიც ამავდროულად საბჭოთა საგარეო დაზვერვის რეზიდენტიც იყო. საკონსულოს მუშაკები არ ელოდნენ გერმანელთა თავდასხმას და ვერ მოასწრეს ევაკუაცია, თუმცა იმარჯვა გამშიფრავმა მარინა სიროტკინამ და დაიწყო საიდუმლო შიფრბლოკნოტების დაწვა. დრო პრაქტიკულად აღარ რჩებოდა. შენობაში შემოჭრილმა ერთ-ერთმა გერმანელმა ჯარისკაცმა მოულოდნელად კედლიდან ი. სტალინის პორტრეტი ჩამოხია. ამით ისარგებლა გუკასოვმა და, დროის მოგების მიზნით, ხელჩართული ბრძოლა გააჩაღა მოძალადესთან. გუკასოვს სასტიკი ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, თუმცა ამ მოკლე პერიოდში გამშიფრავმა მოასწრო ყველა საიდუმლო მასალის განადგურება. გუკასოვი მოგვიანებით გერმანელებმა თურქეთში გაცვალეს სსრ კავშირიდან დეპორტირებულ გერმანიის დიპლომატიურ წარმომადგენლებზე.

1941 წლის 30 ივნისს პეტენის მთავრობამ გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა სსრ კავშირთან, რის გამოც საფრანგეთიდან გააძევეს ოფიციალური საბჭოთა წარმომადგენლები, მათ შორის საელჩოს საფარქვეშ მოღვაწე მზვერავებიც.

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ოკუპირებულ საფრანგეთში საბჭოთა საგარეო დაზვერვის საქმიანობა „ლეგალური" პოზიციებიდან ჩაშლის პირას მივიდა და მთელი ძალისხმევა არალეგალური რეზიდენტურის ფორმირებაზე გადავიდა. სწორედ ამ უკანასკნელის კარგად ორგანიზების წყალობით ოკუპირებულ საფრანგეთში მიმდინარე პროცესების თაობაზე საბჭოთა საგარეო დაზვერვა მუდმივად ფლობდა ინფორმაციას, რაც სწორი პოლიტიკური თუ სამხედრო-სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას იძლეოდა.[59]

### შალვა ბერიშვილის ანტისაბჭოთა სადაზვერვო საქმიანობა

1938 წელს გაჩნდა მეორე მსოფლიო ომის დაწყების საშიშროება, თუმცა შემდგომში განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა ეს პროცესი ერთი ნლით გადაწია.

საფრანგეთის დაზვერვასა და სამხედრო სამინისტროს მიაჩნდათ, რომ ომი გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის გარდაუვალი იყო და ჰიტლერი თავისი ძლევამოსილი არმიით აუცილებლად გაიჭრებოდა აღმოსავლეთისაკენ. აქედან გამომდინარე, საფრანგეთის სპეცსამსახურებმა გადაწყვიტეს წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოები ეწარმოებინათ. მათ ინტერესში შედიოდა ქართული ანტისაბჭოთა პოლიტიკური ემიგრაციის გააქტიურება და მისი ძალისხმევის მიმართვა სსრკ-ის წინააღმდეგ. ევგ. გეგეჭკორი მოულოდნელად საფრანგეთის სამხედრო

სამინისტროსთან დაახლოებული პირი და მისი მუდმივი სტუმარი გახდა. ამაში მას დახმარება გაუწია მისი ახლო მეგობრების: შრომის ყოფილი მინისტრის ანდრიან მარკეს და, მეტწილად, დაზვერვის ყოფილი ოფიცრის, რადიკალურ-სოციალისტური პარტიის დეპუტატის, ყოფილი და მომავალი მინისტრის (შინაგან საქმეთა მინისტრი პეტენის მთავრობაში) შარლ ფორინეს რეკომენდაციებმა.

ევგ. გეგეჭკორი იცნობდა შ. ფორინეს ჯერ კიდევ იმ დროიდან, როდესაც ეს უკანასკნელი დაზვერვის კადრის ოფიცერი, ხოლო შემდეგ რამდენიმე კვირის მანძილზე პეტენის მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრი იყო. სირიაში გენერალმა ვეიგანმა დაიწყო ჩამოყალიბება არმიისა, რომელიც გათვლილი იყო საბჭოთა კავშირზე შეტევისათვის. ფრანგების მიერ მობილიზებულ იქნა ემიგრანტული ახალგაზრდობაც. საფრანგეთის დაზვერვამ დაიწყო იმაზე ფიქრი, თუ როგორ გამოეყენებინა ემიგრანტები ვეიგანის არმიისათვის.

მთელი 1938 წელი და 1939 წლის პირველი ნახევარი დასჭირდა არმიის ჩამოყალიბებას. ყველა ქართველი ოფიცერი, რომელიც უცხოურ ლეგიონებში მსახურობდა, აღრიცხვაზე აიყვანეს. ქართველმა ახალგაზრდობამ, დევნილი მთავრობის მოწოდებით, მოხალისეებად ვეიგანის არმიაში დაიწყო ჩაწერა.

საქართველოს დევნილმა მთავრობამ საფრანგეთის ხელისუფლებას ოფიციალურად გადასცა ნ. ჟორდანიას, ევგ. გეგეჭკორისა და აკ. ჩხენკელის მიერ ხელმოწერილი მემორანდუმი, რომლითაც გამოხატული იყო მათ მიმართ სრული მხარდაჭერა.

1939 წლის 25 აგვისტოს პოლონეთმა და დიდმა ბრიტანეთმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც ეს უკანასკნელი ვალდებულებას იღებდა პოლონეთისათვის დახმარება აღმოეჩინა იმ შემთხვევაში, თუკი მის დამოუკიდებლობას საფრთხე დაემუქრებოდა. მსგავსი ხელშეკრულება პოლონეთს დადებული ჰქონდა საფრანგეთთანაც 1939 წლის 13 აპრილს.

გერმანიამ დაარღვია 1934 წლის შეთანხმება და 1939 წლის 1 სექტემბერს თავს დაესხა პოლონეთს, დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. საფრანგეთში მოღვაწე ქართული ანტისაბჭოთა პოლიტიკური ემიგრაციის ლიდერები აღაფრთოვანა ამ ფაქტმა. ისინი თვლიდნენ, რომ სულ მალე ინგლის-საფრანგეთის სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი გერმანია-სსრ კავშირს დაამარცხებდა და აქედან ხეირს ნახავდნენ ქართველებიც. ამიტომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის ბიურომ ქმედეთი ნაბიჯების გადადგმა გადაწყვიტა. მართალია დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა პოლონეთს დახმარება ვერ აღმოუჩინეს, თუმცა 3 სექტემბერს მათ გერმანიას ომი გამოუცხადეს. 28 სექტემბერს გერმანელები ვარშავაში შევიდნენ. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება პოლონეთში ძალზე გართულდა.

გერმანელთა მიერ პოლონეთის ოკუპაციის შემდეგ, ანტისაბჭოთა საქმიანობის ცენტრად ქართველი ემიგრანტებისათვის კვლავ საფრანგეთი იქცა, თუმცა ვითარება ამ ქვეყანაში რთული და არაპროგნოზირებადი იყო.

მას შემდეგ, რაც გერმანიის არმიამ საფრანგეთის ჩრდილოეთი ნაწილი, პარიზის ჩათვლით, თითქმის უპრობლემოდ დაიკავა, საფრანგეთის ხელისუფლების მხარდამჭერ ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას, კერძოდ, მათ ლიდერებს ნ. ჟორდანიას, ევგ. გეგეჭკორსა და აკ. ჩხენკელს პრობლემები შეექმნათ, თუმცა

ვითარება მალე შეიცვალა, ვინაიდან ქართული ემიგრაციის გამოყენებას ანტისაბჭოთა საქმიანობაში ნაცისტური გერმანიაც გეგმავდა.

შექმნილი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, 1938 წლიდან საქართველოს სოციალ-დემოკრატთა საზღვარგარეთის ბიურომ გააააქტიურა ანტისაბჭოთა საქმიანობა, რომლის ავანგარდშიც გამორჩეული ანტისაბჭოთა მოღვაწე შალვა ბერიშვილი იდგა.

შ. ბერიშვილი იყო ქართველ სოციალ-დემოკრატთა ერთ-ერთი ლიდერის, ნოე რამიშვილის დისშვილი, სარგებლობდა ნოე ჟორდანიას დიდი ნდობით და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სსრ კავშირში ემისრების შეგზავნაში. მისი უშუალო მონაწილეობით საქართველოში არალეგალურად იქნენ გადაყვანილნი: კაპიტონ ანჯაფარიძე, პარმენ ფირცხალაიშვილი, ალექსანდრე ლორდელი, როლანდ თალაკვაძე, ივანე ქარცივაძე, გიორგი ჭელიძე და ილია ზაქარაია. გარდა ამისა, შ. ბერიშვილი თავადაც არაერთგზის იმყოფებოდა არალეგალურად საქართველოში.[288]

ნოე რამიშვილის მკვლელობის შემდეგ, შ. ბერიშვილი ს. მენაღარიშვილთან ერთად, ფარული ანტისაბჭოთა საქმიანობის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა გახდა. ყველაზე რთულ დავალებებს ნ. ჟორდანია მას, როგორც უშიშარ, ენერგიულ, თავის ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებულ და საღად მოაზროვნე ახალგაზრდას ანდობდა. შალვა ბერიშვილისა და ს. მენაღარიშვილის მეშვეობით საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს დამყარებული ჰქონდა ოფიციალური კავშირები პოლონეთის, ინგლისის, საფრანგეთისა და თურქეთის სპეცსამსახურებთან, რომელთა მეშვეობითაც იგეგმებოდა და შემდეგ ხორციელდებოდა სხვადასხვა ხასიათის ანტისაბჭოთა ღონისძიებები.

ნაცისტური გერმანიის პოლონეთზე თავდასხმის შემდეგ ა. მარკემ შესთავაზა ნ. ჟორდანიას საფრანგეთის არმიის გენშტაბთან დაკავშირება და მეკავშირეებთან მოლაპარაკებების დაწყება ერთობლივი ანტისაბჭოთა ღონისძიებების დასაგეგმად, ვინაიდან მას მიაჩნდა, რომ შეიარაღებული კონფლიქტი საბჭოთა კავშირთან გარდაუვალი იყო. ნ. ჟორდანია დათანხმდა ა. მარკეს წინადადებას.

1939 წლის სექტემბერში ნ. ჟორდანიას საცხოვრებელ ბინაში შედგა შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ ნ. ჟორდანია, შ. ბერიშვილი, ა. მარკე, ინგლისელი პოლკოვნიკი სკოტი, საფრანგეთისა (გენერალი რერიკო და პოლკოვნიკი როშარი) და პოლონეთის (პოლკოვნიკი ნოვაჩეკი) გენერალური შტაბის წარმომადგენლები. ა. მარკემ ქართველი სოციალ-დემოკრატები სტუმრებს წარუდგინა როგორც ანტისაბჭოთა საქმიანობაში გამოცდილი მოღვაწენი, რომლებიც მომავალშიც აუცილებლად წაადგებოდნენ საერთო საქმეს, მით უმეტეს, რომ სამხედრო კონფლიქტი გერმანიასა და სსრ კავშირს შორის კარს იყო მომდგარი. გენერალური შტაბების წარმომადგენლებმა ნ. ჟორდანია და შ. ბერიშვილი გულწრფელად მიიღეს და განუცხადეს, რომ მეკავშირეები გენერალ ვეიგანის მეთაურობით აყალიბებდნენ გაერთიანებულ არმიას. იმედოვნებდნენ, ამ პროცესში აუცილებლად მიიმხრობდნენ თურქეთს. შეხვედრაზე ნ. ჟორდანიამ ცალსახად განაცხადა, რომ ქართველები ითანამშრომლებდნენ მათთან ანტისაბჭოთა საქმიანობის თვალსაზრისით იმ პირობით, რომ მოკავშირეები აღიარებდნენ საქართველოს დევნილ მთავრობას და დაეხმარებოდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაში.

შეხვედრაზე ქართველებმა კიდევ ერთი საკითხი დააყენეს. კერძოდ, მათ მოითხოვეს, რომ იმ შემთხვევაში, თუკი გაერთიანებული არმია საქართველოში შევიდოდა, წინა ფლანგში აუცილებლად ფრანგები უნდა ყოფილიყვნენ. თუკი საქართველოში დროებით ყოფნა თურქეთის არმიასაც მოუწევდა, მეთაურებად ასევე ფრანგები უნდა ყოფილიყვნენ.

შტაბების წარმომადგენლები ნ. ჟორდანიასა და შ. ბერიშვილს დაჰპირდნენ, რომ საკუთარი ხელისუფლების წინაშე ისინი აუცილებლად დააყენებდნენ ქართველების მოთხოვნებს და მხარს დაუჭერდნენ საქართველოს დევნილ მთავრობას. იქვე გადაწყდა, რომ შ. ბერიშვილი, როგორც მრჩეველი კავკასიის საკითხებში, მივლინებული იქნებოდა თურქეთში დისლოცირებულ მეკავშირეთა არმიის შტაბში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ვეიგანი, ხოლო კონკრეტულ ოპერატიულ დავალებებს მიიღებდა თურქეთში საფრანგეთის საელჩოს სამხედრო ატაშესაგან. აქვე განისაზღვრა გაერთიანებულ შტაბში შ. ბერიშვილის ხელფასი – 1000 აშშ დოლარი, მაშინ, როდესაც პოლონელები მას 250 აშშ დოლარს უხდიდნენ.[269]

1939 წლის სექტემბერში შ. ბერიშვილი პოლონელთა დახმარებით კოროლ ბერიკას სახელზე მიღებული პასპორტით პარიზიდან თურქეთში გაემგზავრა. 16 სექტემბერს ის უკვე სტამბოლში იყო. 17 სექტემბერს შ. ბერიშვილი საფრანგეთის საელჩოში შეხვდა სამხედრო ატაშეს ლელეს, რომელიც მას უკვე ელოდა. დაისახა სამომავლო გეგმები.

1939 წლის ოქტომბრის დასაწყისში შ. ბერიშვილმა ლელესგან შეიტყო, რომ ანკარაში მიმდინარეობდა მეკავშირეთა შტაბების წარმომადგენელთა თათბირი და სამოკავშირეო ხელშეკრულება თურქეთთან უკვე ხელმოწერილი იყო. აქვე უნდა მივანიშნოთ, რომ მსგავსი თათბირები და კონფერენციები იმ პერიოდში ხშირად იმართებოდა. მათზე თურქული მხარე პრინციპულად ხაზს უსვამდა თურქეთის საზღვრების ხელშეუხებლობას. ლელესგან ასევე ცნობილი გახდა, რომ ანკარაში იმყოფებოდა გენერალი ვეიგანი, რომელსაც სურდა შ. ბერიშვილთან, როგორც ექსპერტთან კავკასიის საკითხებში და საქართველოს დევნილი ხელისუფლების წარმომადგენელთან შეხვედრა.

სულ მალე საფრანგეთის საელჩოს ავტომობილით შ. ბერიშვილი ლელესთან ერთად ანკარაში გაემგზავრა და შეხვდა გენერალ ვეიგანს. ამ უკანასკნელმა საუბარში განაცხადა, რომ სსრ კავშირთან ომი გარდაუვალი იყო და ამ ომში ბოლშევიკური რუსეთი აუცილებლად დამარცხდებოდა. რაც შეეხებოდა საქართველოს, გენერალი პირობას იძლეოდა, საფრანგეთი მას დაეხმარებოდა და დევნილ მთავრობას ქვეყნის ხელისუფლების სათავეში დააბრუნებდა. ამასთან დაკავშირებით, ვეიგანმა სთხოვა შ. ბერიშვილს, მოემზადებინა მოხსენებითი ბარათი, რომელშიც აისახებოდა იმჟამად საქართველოში არსებული ვითარება, რა ძალები და საშუალებები იყო ქვეყნის შიგნით ანტისაბჭოთა საქმიანობის წარმართვისათვის, რომელი იატაკქვეშა ორგანიზაციები არსებობდა, როგორ შეიძლებოდა სადაზვერვო საქმიანობის ორგანიზება და სხვ. ამავდროულად, ვეიგანი დაინტერესდა, თუ რა სახის დახმარებას ითხოვდნენ ქართველები ფრანგებისაგან. მოხსენების მოსამზადებლად საფრანგეთის საელჩომ, კერძოდ, სამხედრო ატაშემ, შ. ბერიშვილს შესაბამისი პირობები შეუქმნა. 1939 წლის ნოემბრის ბოლოსათვის შ. ბერიშვილს დეტალური ანგარიში მზად ჰქონდა. ნ. ჟორდანიასთან შეთანხმებით, აღნიშნულ დოკუმენტში დაფიქსირებული იყო

ფრანგებთან ქართველ სოციალ-დემოკრატთა თანამშრომლობის მზადყოფნა და საქართველოში სოციალ-დემოკრატიული იატაკქვეშა ორგანიზაციების აღდგენისა და ანტისაბჭოთა საქმიანობის წარმართვის შესაძლებლობა, თუმცა ყოველივე ამისათვის აუცილებელი იყო ფინანსური მხარდაჭერა.

აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, ქართველები გენერალ ვეიგანისგან ითხოვდნენ, რომ ფრანგებს ქართველი სოციალ-დემოკრატებისათვის ქმედითი დახმარება აღმოეჩინათ ირანში, სირიასა და თურქეთში ემისრების მისავლენად, რათა ამ ქვეყნების ტერიტორიებიდან შესაძლებელი ყოფილიყო აქტიური ანტისაბჭოთა საქმიანობის ორგანიზება.

მოხსენების ძირითადი პათოსი ის იყო, რომ უკვე იმ ეტაპზე ფრანგებს უნდა ეცნოთ საქართველოს დევნილი მთავრობა, მისი ლეგაცია (საელჩო) და კავკასიის კომიტეტი, რომლის წარმომადგენლობასაც თურქეთში ყოფნის ნება დართეს.

გენერალი ვეიგანი, როგორც აღნიშნულ, ისე 1939 წლის დეკემბერში პარიზში ნ. ჟორდანიასთან გამართულ შეხვედრაზე დაჰპირდა საქართველოს დევნილ მთავრობას, რომ საფრანგეთის ხელისუფლება მათ ყველანაირ დახმარებას აღმოუჩენდა.

გაერთიანებული შტაბი და პირადად ვეიგანი დიდად იყვნენ დაინტერესებულები, ანტიჰიტლერული კოალიციის ფარგლებში, თურქეთის არმიის გაძლიერებითა და მისი ბრძოლისუნარიანობის ამაღლებით. ისინი თვლიდნენ, რომ მეკავშირეთა მცდელობები ამ თვალსაზრისით ფუჭი იქნებოდა, ვიდრე მთელი თურქეთი, განსაკუთრებით სტამბოლი არ გაიწმინდებოდა გერმანელი მზვერავებისაგან. გენშტაბმა საფრანგეთის სპეცსამსახურებს საკმაოდ მკაცრი დავალება მისცა თურქეთში მოქმედ გერმანიის აგენტთა გამოსავლენად. ამის მიღწევა შესაძლებელი იყო იმ შემთხვევაში, თუკი ფრანგები და ინგლისელები თურქეთის ხელისუფლებისგან გერმანიის მეხუთე კოლონის – თურქულ ბარებსა და კაბარე-რესტორნებში მომუშავე უცხოელი მსახიობების, რომლებიც გერმანიის დაზვერვაზე მუშაობდნენ, ქვეყნის ტერიტორიიდან გაძევებას მიაღწევდნენ. 1939 წელს თურქეთს ესტუმრა გერმანიის პროპაგანდის მინისტრი ჰებელსი, რომელმაც პირადად მოიარა ზემოაღნიშნული გასართობი დაწესებულებები, სადაც მუშაობდა დაახლოებით 300 მსახიობი ქალი გერმანიიდან, უნგრეთიდან, რუმინეთიდან, ბალკანეთიდან (ძირითადად, გერმანიიდან და უნგრეთიდან) და რომელთა დიდი უმეტესობა გერმანიის დაზვერვასთან თანამშრომლობდა.

საქმე ის იყო, რომ ყველასათვის კარგადაა ცნობილი თურქი მამაკაცების უცხოელი ლამაზმანების მიმართ მიდრეკილების შესახებ. თურქეთის გასართობ დაწესებულებებში, განსაკუთრებით, სტამბოლსა და ანკარაში, ხშირად სტუმრობდნენ თურქეთის სამხედრო მოსამსახურეები, რომლებსაც უცხოელ ქალბატონებთან ჰქონდათ როგორც მეგობრული, ასევე მოკლე თუ ხანგრძლივი სასიყვარულო ურთიერთობები. უცხოელი მსახიობები თურქეთის სამხედრო მოსამსახურეებს სძალავდნენ სამხედრო საიდუმლოებებსა და სხვადასხვა ხასიათის სადაზვერვო მონაცემებს. საჭირო იყო, რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, წერტილი დაესვათ ამ მოვლენისათვის და, მეკავშირეთა ინტერესებიდან გამომდინარე, გაეძევებინათ უცხოელი მსახიობების ეს კატეგორია. ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლებმა აღნიშნული საკითხი მართლაც, მთელი სიმწვავით დააყენეს

თურქეთის ხელისუფალთა წინაშე, თუმცა უშედეგოდ. უმთავრესი წინააღმდეგობა მოდიოდა ეროვნული კრების დეპუტატთა გარკვეული ნაწილის მხრიდან, რომლებიც რესტორნებისა და კაბარე-ბარების მეპატრონეები და ლობისტები აღმოჩნდნენ. მათ კი არ სურდათ უცხოელი ქალბატონების ქვეყნიდან წასვლით კომერციულად ეზარალათ. ამ საკითხთან დაკავშირებით, გენერალმა ვეიგანმა პირადად მისწერა თურქეთის გენშტაბის უფროსს ფ. ჩეკმატს და სასწრაფოდ ვითარებაში გარკვევა სთხოვა. ამ უკანასკნელმა თურქეთში საფრანგეთის საელჩოს სამხედრო ატაშეს მოსთხოვა მსახიობი ქალების გერმანიის დაზვერვასთან კავშირის დამადასტურებელი მტკიცებულობები, რის შემდეგაც მიიღებდა შესაბამის გადაწყვეტილებებს. ატაშემ – ლელემ, მიუხედავად იმისა, რომ მტკიცებულობების მოსაპოვებლად შვიდი ათას ლირამდე დახარჯა, შედეგს ვერ მიაღწია და დახმარებისათვის თურქეთში იმხანად მყოფ შ. ბერიშვილს მიმართა. თხოვნა-დავალება საკმაოდ რთული იყო.

1939 წლის დეკემბრის დასაწყისში სტამბოლში შვებულებით ჩავიდა შ. ბერიშვილის კარგი ნაცნობი, ქართველი მაჰმადიანი, ქ. ურფის პოლიციის კომისარი ომერ ბიბინეიშვილი, რომელიც ძველი ნაცნობ-მეგობრების წყალობით კარგად ფლობდა ოპერატიულ ვითარებას ამ ქალაქის ბარებსა და რესტორნებში. ო. ბიბინეიშვილმა შ. ბერიშვილს ოპერატიული საქმიანობისთვის შეურჩია ფრანგულად კარგად მოლაპარაკე თურქი მსახიობი გოგონა ნერმინ ეკბერი. ამ უკანასკნელის დახმარებით, რაც სულ 500 ლირა დაჯდა, ლელემ და შ. ბერიშვილმა (მოქმედებდა როგორც პოლონელი) უცხოელ მსახიობ გოგონებთან თურქი სამხედრო მოსამსახურეების ხანგრძლივი კავშირის შვიდი და ოფიცრების ხანმოკლე ურთიერთობების მრავალი შემთხვევა გამოავლინეს. ეს მონაცემები შემდგომში გადამოწმდა და დადასტურდა თურქეთის არმიის მთავარი შტაბის მიერ. ამის შემდეგ ფევზი ჩეკმატმა თურქეთის ხელისუფლებას არსებული საფრთხის თაობაზე ულტიმატუმის ტონით მიმართა, რის შემდეგაც მთავრობა იძულებული გახდა, გამოეტანა შესაბამისი დადგენილება, რის საფუძველზეც თურქეთიდან გააძევეს უცხოელი მსახიობები და მუსიკოსები, ხოლო კაბარე-რესტორნების მეპატრონეებს აეკრძალათ ამ ტიპის სამსახურში უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიღება. ზემოაღნიშნული ოპერატიული კომბინაციის რეალიზაცია ლელემ და შ. ბერიშვილმა ღრმა კონსპირაციის პირობებში განახორციელეს უმოკლეს ვადაში – 3 თვეში.

შ. ბერიშვილს თურქი მსახიობი გოგონა კიდევ ერთ საქმეში „გამოადგა". კერძოდ, მისთვის ცნობილი გახდა, რომ ნ. ეკბერთან კონტაქტში იყო თურქი ეროვნების, საბჭოთა საგარეო დაზვერვის ერთ-ერთი აგენტი. ამით ისარგებლა შ. ბერიშვილმა და ნ. ეკბერის თანდასწრებით მოამზადა დაშიფრული წერილი საქართველოს იატაკქვეშა ანტისაბჭოთა ორგანიზაციისათვის, რომელშიც მითითებული იყო გვარები იმ ჩეკისტებისა, რომლებიც, თითქოსდა, დახმარებას უწევდნენ ქართულ ანტისაბჭოთა ემიგრაციას. დაშიფრული წერილი ჯიბეში ჩაიდო, მისი შავი ვარიანტი კი სანაგვე ყუთში ჩააგდო. მისი გათვლა სწორი აღმოჩნდა. როგორც ჩანს, შავი ნაწერი აგენტმა ამოიღო სანაგვედან და საბჭოთა დაზვერვას გადასცა. შედეგმაც არ დააყოვნა, შ. ბერიშვილის მონაცემებით, ბოლშევიკებმა პროვოკაცია რეალობად მიიჩნიეს და გარკვეული პერიოდის შემდეგ დააპატიმრეს და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მისცეს სისასტიკით განთქმული 16 ჩეკისტი.

შ. ბერიშვილის ყოფნა თურქეთში მხედველობიდან არ გამორჩენიათ ამ ქვეყნის სპეცსამსახურებს. შ. ბერიშვილი თურქთა ფარულ ზედამხედველობას ყოველდღიურად გრძნობდა. ასეთ ვითარებაში სადაზვერვო საქმიანობის გაგრძელება შეუძლებელი ხდებოდა. აქედან გამომდინარე, ლელემ გადაწყვიტა შ. ბერიშვილი ოფიციალურად წარედგინა თურქეთის სპეცსამსახურებისათვის და ანტისაბჭოთა საქმიანობაში მათი ინტერესებიც გაეთვალისწინებინა.

1940 წლის თებერვალში ლელემ შ. ბერიშვილი შეახვედრა თურქეთის სპეცსამსახურების ხელმძღვანელებს: გენერალ ალიშიკრს, პოლკოვნიკ კუბანს, თურქეთის დაზვერვის უფროსს ნაჯიბეის და განუცხადა მათ, რომ ქართველი ემიგრანტი თურქეთის სპეცსამსახურებისთვის სასარგებლო იქნებოდა. მოგვიანებით შ. ბერიშვილი შეხვდა სტამბოლის დაზვერვის უფროსს ემინ-ბეისაც. თუმცა კონკრეტული დავალებები თურქეთის სპეცსამსახურებისაგან მას არ მიუღია. ეს იყო გაცნობითი შეხვედრა და მომავალი შესაძლო თანამშრომლობისათვის მზადყოფნის დაფიქსირება.1940 წლის თებერვალში, პოზიციების ზონდირების მიზნით, შ. ბერიშვილი ლელეს თანდასწრებით შეხვდა ინგლისის დაზვერვის წარმომადგენელს კაპიტან უილიამსს, რომელმაც განაცხადა, რომ მეკავშირეები ერთ დიდ საქმეს – სსრკ-ის წინააღმდეგ ბრძოლას ემსახურებოდნენ და იმ ეტაპზე ფრანგებთან ურთიერთობა ნიშნავდა ინგლისელებთან ურთიერთობას. აქედან გამომდინარე, შემდგომი შეხვედრა ვილიამსთან აღარ წარმოადგენდა აუცილებლობას.

ლელე იმდენად დაუახლოვდა შ. ბერიშვილს, რომ ის არ მალავდა მეკავშირეების ყველაზე მნიშვნელოვან სამომავლო გადაწყვეტილებებსაც კი. 1940 წლის მარტის ერთ-ერთ შეხვედრაზე ლელემ განუცხადა შ. ბერიშვილს, რომ თურქეთი ყველანაირად მზად იყო სსრ კავშირზე თავდასხმისათვის. იმჟამად მეკავშირეები ამზადებდნენ გეგმას ბაქოს, თბილისისა და ბათუმის დასაბომბად და საავიაციო დესანტის გადასასხმელად სამხრეთ კავკასიაში.

სულ მალე შ. ბერიშვილი შეხვდა ვეიგანის შტაბის უფროსს ლიოკრელს და ავიაციის სპეციალისტს დუბუას, რომლებმაც აუხსნეს, რომ ბაქოზე, თბილისსადა ბათუმზე საჰაერო თავდასხმის განხორციელებისათვის მათ ესაჭიროებოდათ უკანასკნელი ცნობები საბჭოთა აეროდრომებზე, მთებში ასაფრენ-დასაფრენ ბილიკებზე, პუნქტებზე, სადაც ყველაზე მოხერხებული იქნებოდა მცირე შეიარაღებული ჯგუფების გადასროლა და სხვ.

ლიოკრელი და დუბუა მიანიშნებდნენ, რომ სსრ კავშირზე თავდასხმა მეკავშირეების მხრიდან პრაქტიკულად გადაწყვეტილი იყო. ამ მიზნით თურქეთის არმია სრულ მზადყოფნაში იყო და ხდებოდა მისი ნაწილების კონცენტრაცია საბჭოთა კავშირის საზღვრის გასწვრივ. მათ წარმატებაში ეჭვი არ ეპარებოდათ. რაც შეეხება ქართულ ანტისაბჭოთა პოლიტიკურ ემიგრაციას, შ. ბერიშვილის სახით, მათ უნდა აემოქმედებინათ ანტისაბჭოთა იატაკქვეშა ცენტრები საქართველოში ომის დაწყებისთანავე, დაემყარებინათ მათთან კონტაქტი, შეექმნათ ახალი ორგანიზაციები. თვით შ. ბერიშვილი სასწრაფოდ უნდა გამგზავრებულიყო საბჭოთა კავშირ-თურქეთის საზღვრის მახლობლად, რათა მოემზადებინა სადაზვერვო პუნქტები.

1940 წლის მაისის დასაწყისში შ. ბერიშვილი ერზრუმში გაემგზავრა. თურქები მას კარგად შეხვდნენ და ნება დართეს, დაუბრკოლებლად გადაადგილებულიყო საზღვრის გასწვრივ იქ, სადაც თურქეთის არმია იყო კონცენტრირებული. შ.

ბერიშვილი ამ მოგზაურობის შემდეგ დარწმუნდა, რომ თურქეთი სერიოზულად ემზადებოდა საომარი მოქმედებებისა და სსრკ-ზე თავდასხმისათვის.

ლიოკრელთან და დუბუასთან შეხვედრისა და შემდგომ თურქეთ-სსრკ-ის საზღვრისპირა რაიონებში მოგზაურობის შემდეგ, შ. ბერიშვილი სასწრაფოდ დაუკავშირდა ნ. ჟორდანიას და ჰკითხა, თუ როგორ უნდა ემოქმედა საქართველოს ქალაქებზე მომავალი საჰაერო თავდასხმის და თურქეთის არმიის სამხრეთ კავკასიაში შეჭრის შემთხვევაში. ნ. ჟორდანიამ სწრაფადვე აცნობა, რომ შ. ბერიშვილს, ყველა მის ხელთ არსებული საშუალებით, როგორღაც წინააღმდეგობა უნდა გაეწია ამ პროცესისათვის, და, თუ საჭირო გახდებოდა, აღნიშნულის თაობაზე შეეტყობინებინა კიდეც საბჭოთა სპეცსამსახურებისათვის. ნ. ჟორდანიას ასეთი პოზიცია გასაოცარი იყო, თუმცა დავალება უნდა შესრულებულიყო. საქმე ის გახლდათ, რომ დიდი დაპირებების მიუხედავად, ფრანგები არ ჩქარობდნენ საქართველოს დევნილი მთავრობის აღიარებას. ამავდროულად, ქართველებისათვის კონფიდენციალურად ცნობილი გახდა, რომ მეკავშირეები ითვალისწინებდნენ თურქეთის გეოსტრატეგიულ მისწრაფებებს, აქეზებდნენ მას სსრ კავშირის წინააღმდეგ საომარი მოქმედებების დასაწყებად და ჰპირდებოდნენ სამომავლოდ კავკასიის რეგიონის მათთვის გადაცემას. სოციალ-დემოკრატები ფიქრობდნენ, რომ ასეთ ვითარებაში ისინი საქართველოს ხელისუფლებაში ვერ დაბრუნდებოდნენ და საომარი მოქმედებები კავკასიაში თურქეთის მონაწილეობით იქ მცხოვრები ერების ფიზიკურ განადგურებას გამოიწვევდა.

შ. ბერიშვილისათვის, როგორც ანტისაბჭოთა ბრძოლაში ნაცადი ქართველი ემიგრანტისათვის, ცხადი გახდა, რომ მოვლენათა ასეთი განვითარება საქართველოს კარგს არაფერს მოუტანდა და საქართველო კვლავ საერთაშორისო ღალატის მსხვერპლი ხდებოდა. აქედან გამომდინარე, მან მიიღო გადაწყვეტილება, როგორმე საბჭოთა ხელისუფლებასა და მის სპეცსამსახურებს დაკავშირებოდა და მომავალი შესაძლო საომარი მოქმედებების თაობაზე ინფორმაცია მიეწოდებინა, მით უმეტეს, როცა ეს ნ. ჟორდანიას მოთხოვნაც იყო.

შ. ბერიშვილმა ისარგებლა საზღვრის გასწვრივ დაუბრკოლებელი გადაადგილების უფლებით და 1940 წლის ივნისის დასაწყისში, ყველასგან მალულად, ორ გამყოლთან ერთად, არალეგალურად გადალახა თურქეთ-სსრკ-ის საზღვარი და კურორტ აბასთუმანში ჩავიდა. იქიდან მან მოსკოვში, სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის სახელზე, ჩვეულებრივი ფოსტით, გააგზავნა წერილი, რომელშიც მიუთითა, რომ უახლოეს პერიოდში მოსალოდნელი იყო ბაქოს, თბილისისა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების დაბომბვა. მეორე დღესვე შ. ბერიშვილი თურქეთში დაბრუნდა.

1940 წლის 14 ივნისს გერმანელები მარშით შევიდნენ „ღია ქალაქად“ გამოცხადებულ პარიზში. 17 ივნისს საფრანგეთის ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა პეტენის კაბინეტი. 22 ივნისს ვეიგანმა კაპიტულანტური განცხადება გააკეთა, რაც საომარი მოქმედებების გაგრძელებაზე ხელის აღებას ნიშნავდა.

გერმანიის ჯარებმა დროებით დაიპყრეს საფრანგეთის ტერიტორიის ორი მესამედი. არაოკუპირებულ ზონაში შეიქმნა მარიონეტული „ვიშის“ მთავრობა, რომელსაც სათავეში ჩაუდგნენ პეტენი და ლავალი. ფრანგულ პრესაში მოულოდნელად გაჩნდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ცოტა ხნის წინ ფრანგები

თურქეთის მხარდაჭერით და მისი ტერიტორის გამოყენებით ცდილობდნენ საბჭოთა კავშირის, კერძოდ, კავკასიის რესპუბლიკების ქალაქების დაბომბვას. თურქეთის მოსახლეობაში გაჩნდა პანიკა, რომ საბჭოთა კავშირი, შურისძიების მიზნით, მათი ქვეყნის წინააღმდეგ ომს დაიწყებდა. პოლიტიკური რეალობებით გამოწვეულმა მითქმა-მოთქმამ უცებ გაიარა და თურქეთის სპეცსამსახურებმა ახალი ენერგიით განაგრძეს ანტისაბჭოთა საქმიანობა.

იმ პერიოდში არსებული საერთაშორისო ვითარებიდან გამომდინარე, თურქებს მართლაც ეშინოდათ სსრ კავშირთან ომის დაწყებისა და სურდათ, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია ჰქონოდათ სსრკ-თურქეთის საზღვრების გასწვრივ სსრკ-ის სამხედრო მზადების თაობაზე.

თურქებმა დახმარებისათვის კვლავ შ. ბერიშვილს მიმართეს. ეს უკანასკნელიც საქართველოში არალეგალურ გადასვლას დათანხმდა.

1940 წლის აგვისტოს ბოლოს შალვა ბერიშვილმა დავით ერქომაიშვილთან და შალვა კალანდაძესთან ერთად გამყოლების სულეიმან ვექირ-ოღლის და ჰუსეინ კოს-ოღლის მეშვეობით მაჭახელას დასახლების მოდამოებში გადაკვეთა თურქეთ-სსრკ-ის საზღვარი და ბათუმისკენ გაეშურა. ათი დღის მომქანცველი სიარულის შემდეგ, 1 სექტემბერისათვის, ისინი ალმოჩნდნენ ბათუმის სიახლოვეს, დასახლება ახალშენში. იმის გამო, რომ ახალშენში მცხოვრებმა, გამყოლ სულეიმან ვექირ-ოღლის ნაცნობმა უარი განაცხადა მათ მიღებაზე, იძულებულნი გახდნენ იქვე, შორიახლოს, დაბურულ ტყეში დაბინავებულიყვნენ.

შ. ბერიშვილმა თანმხლებ პირებს განუცხადა, რომ მიღებული დავალების თანახმად, ის ბათუმში უნდა ჩასულიყო და ადგილობრივ ანტისაბჭოთა იატაკქვეშა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს დაკავშირებოდა. ბათუმის ბულვარში შ. ბერიშვილმა უკვე მეორედ დაწერა წერილი საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ლ. ბერიას სახელზე.[289] წერილში შ. ბერიშვილი, ვინაობის გაუმჟღავნებლად მიანიშნებდა, რომ იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს წარმომადგენელი თურქეთში და ასაბუთებდა თავისი გადაწყვეტილების მოტივაციას – ეთანამშრომლა საბჭოთა ხელისუფლებასთან, რაც ძირითადად დაკავშირებული იყო იდეურ მოსაზრებებთან და იმ პერიოდში მსოფლიოში შექმნილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებასთან. იქვე შ. ბერიშვილი გამოთქვამდა უკმაყოფილებას იმის გამო, რომ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა სათანადო რეაგირება არ მოახდინა მის 1940 წლის 9 ივნისის წერილზე, რომელშიც საბჭოთა ხელისუფლებას აფრთხილებდა მეკავშირეთა მხრიდან ბაქოს, ბათუმის, თბილისისა და სხვა ქალაქების შესაძლო დაბომბვის თაობაზე. შემდგომ ის აღწერდა თავის ოპერატიულ-სადაზვერვო შესაძლებლობებს და ითხოვდა საბჭოთა სპეცსამსახურებთან აუცილებელ შეხვედრას, რომელიც შემდეგი სქემით უნდა მომხდარიყო:

ქობულეთში ყოფნისას შ. ბერიშვილი ეცნობოდა გაზეთებს: „საბჭოთა აჭარა“, „ბათუმის მუშა“, „კომუნისტი“ და „ზარია ვოსტოკა“. შ. ბერიშვილის წინადადებით, რომელიმე ამ გაზეთში, ერთი კვირის განმავლობაში, უნდა გამოქვეყნებულიყო შემდეგი განცხადება: „ამხანაგ შიო ბალიძეს, გთხოვთ მობრძანდეთ ამა და ამ პიროვნებასთან ამა და ამ მისამართზე“, ან „ამხანაგ შიო ბალიძეს ვთხოვთ შეგვატყობინოს თავისი მისამართი“. განცხადება უნდა დაბეჭდილიყო ზედიზედ

სამი დღის განმავლობაში. სამი დღის შემდეგ, ხუთიდან შვიდ საათამდე, შინსახკომის საკონტაქტო პირი დათქმულ ადგილზე უნდა გამოცხადებულიყო გაზეთ „ზარია ვოსტოკით“ ხელში. შ. ბერიშვილი მას წარუდგებოდა როგორც N „59“. შ. ბერიშვილი კატეგორიულად მოითხოვდა, მაქსიმალურად დაცული ყოფილიყო კონსპირაციის წესები და მისი შეხვედრა მომხდარიყო მხოლოდ საბჭოთა სპეცსამსახურების უმაღლეს ხელმძღვანელ პირთა დონეზე. აღნიშნული საქმისათვის შ. ბერიშვილს თვით საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ა. რაფავას გამოყენებაც კი არ მიაჩნდა მართებულად, ვინაიდან ის თვლიდა, რომ ამ უკანასკნელის მიერ მომზადებული და თურქეთში შეგზავნილი მზვერავები სწრაფად უვარდებოდნენ ხელში ადგილობრივ სპეცსამსახურებს, რის მაგალითადაც ს. ჩიკვალაძისა და შ. ლორთქიფანიძის შემთხვევა მოჰყავდა. შ. ბერიშვილმა წერილი კონვერტში ჩადო და საფოსტო ყუთში ჩააგდო, თვითონ კი ახალშენის ტყეში დაბრუნდა.

შ. ბერიშვილმა შესთავაზა დ. ერქომაიშვილსა და შ. კალანდაძეს, თურქეთში დაბრუნება, ვინაიდან მას უკვე დამყარებული ჰქონდა კონტაქტები სოციალ-დემოკრატიულ იატაკქვეშა ორგანიზაციებთან და ელოდებოდა თბილისიდან მათი წარმომადგენლის ჩასვლას. თვითონ კი დარჩებოდა საქართველოში და გადაწყვეტდა მის წინაშე დასმულ ამოცანებს. ამის შემდეგ, დაახლოებით ერთ თვეში ის თურქეთში დაბრუნდებოდა. ერქომაიშვილი და კალანდაძე ბერიშვილის წინადადებას დათანხმდნენ, თუმცა თურქეთში გადასვლისას მესაზღვრეებს გადაეყარნენ და იძულებულნი გახდნენ, ისევ ახალშენის ტყეებისათვის შეეფარებინათ თავი.

წერილის გაგზავნიდან მოკლე ხანში ადგილობრივ გაზეთში გაჩნდა შ. ბერიშვილისათვის პირობითი მინიშნება, რომლის თანახმადაც საბჭოთა სპეცსამსახურები მას იბარებდნენ შეხვედრაზე ქ. ქობულეთში. შ. ბერიშვილმა ერქომაიშვილსა და კალანდაძეს აუხსნა, რომ იატაკქვეშა ორგანიზაციებთან კავშირის დასამყარებლად იგი აუცილებლად უნდა გამგზავრებულიყო ქუთაისსა და თბილისში. იმ შემთხვევაში, თუკი 15 დღის განმავლობაში არ დაბრუნდებოდა, ერქომაიშვილსა და კალანდაძეს უნდა ეფიქრათ, რომ შ. ბერიშვილი დაპატიმრებული ან მოკლული იყო და ისინი სასწრაფოდ თურქეთში უნდა დაბრუნებულიყვნენ.

1940 წლის 21 სექტემბერს შ. ბერიშვილი ქობულეთის რკინიგზის სადგურიდან გაეშურა და შეხვდა საქართველოს შინსახკომის პასუხისმგებელ მუშაკს ირაკლი ნიბლაძეს, რომელმაც ის ბათუმში ერთ-ერთ აგარაკზე მიიყვანა. მას იქ ელოდებოდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ა. რაფავა და საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მაღალი რანგის თანამშრომელი ილინი. იმავე დღეს შ. ბერიშვილი მათთან ერთად თბილისში გაემგზავრა, იქიდან კი მოსკოვში აღმოჩნდა.

ლავრენტი ბერიამ დიდი ინტერესით მოისმინა ინფორმაცია ანტისაბჭოთა ემიგრაციაში მიმდინარე პროცესებთან და იმ საქმიანობასთან დაკავშირებით, რასაც შ. ბერიშვილი უკანასკნელი წლების მანძილზე ეწეოდა. შ. ბერიშვილის სადაზვერვო შესაძლებლობები იმდენად საინტერესო იყო, რომ იქვე, ლ. ბერიას კაბინეტშივე გადაწყდა მისი გადმობირება და საბჭოთა ქვეყნისათვის სასარგებლო, მეტად სარისკო და სპეციფიკური საქმიანობის წარმოება. შ. ბერიშვილმა საზღვარგარეთ

ფარული სადაზვერვო საქმიანობისათვის ოპერატიულ ფსევდონიმად „ომერი“ აირჩია. ლ. ბერიამ „ომერისთან“ შემდგომი ოპერატიულ-სადაზვერვო საქმიანობის დაგეგმვა ქართველ ჩეკისტებს დაავალა. „ომერის“ მიეცა შემდეგი დავალება:

1. დაბრუნებულიყო თურქეთში და მუდმივ საცხოვრებლად სტამბოლში დამკვიდრებულიყო; გაეგძელებინა კავშირი თურქეთის დაზვერვასთან, ამავდროულად არ გაეწყვიტა ურთიერთობები ინგლისისა და საფრანგეთის სპეცსამსახურებთან, აგრეთვე ახლო აღმოსავლეთში მათ სამხედრო სარდლობასთან.

2. სტამბოლში ჩასვლისთანავე, დაკავშირებოდა ქართველ სოციალ-დემოკრატთა საზღვარგარეთის ბიუროს და პირადად ნოე ჟორდანიას, აგრეთვე განეახლებინა ურთიერთობები თურქეთის სამთავრობო წრეებთან, ინგლისისა და საფრანგეთის სადაზვერვო სტრუქტურების წარმომადგენლებთან: საფრანგეთის სამხედრო ატაშეს თანაშემწე პრიანიშთან, ინგლისის სამხედრო სამინისტროს წარმომადგენელთან, მაიორ ოლეარისთან, „ინტელიჯენ-სერვისის“ წარმომადგენელ ვიტოლთან და სხვებთან და მათთვის მოეხსენებინა ინფორმაცია საქართველოში განეული საქმიანობის შესახებ. ამასთან, მათთვის უნდა ეცნობებინა, თითქოსდა საქართველოში არალეგალურად მოქმედი „ქართველი მენშევიკების ცენტრალური კომიტეტისა“ და მის მიერ შექმნილი „საქართველოს ნაციონალური ცენტრის“ ფუნქციონირების შესახებ.

3. იმისათვის, რომ საქმის კურსში ყოფილიყო ქართული, სომხური, აზერბაიჯანული და ჩრდილოკავკასიური პოლიტიკური ემიგრაციის საქმიანობის თაობაზე, შ. ბერიშვილს ხელთ უნდა ეგდო „კავკასიის კონფედერაციის საბჭოსა“ და მასში მოღვაწე საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და ჩრდილოკავკასიის ანტისაბჭოთა ემიგრაციული ორგანიზაციების ლიდერობა.

4. განსაკუთრებულად უნდა დაინტერესებულიყო „პრომეთეს“ საქმიანობით, დაედგინა ამ ორგანიზაციის შემადგენლობა, მისი უახლოესი მიზნები და ამოცანები, დაფინანსების წყაროები, უზრუნველეყო მისი ნდობით აღჭურვილი წარმომადგენლების მუდმივი მონაწილეობა „პრომეთეში“, რათა სცოდნოდა ამ ორგანიზაციის მიერ წარმოებული ანტისაბჭოთა საქმიანობის ყველა ნიუანსი.

5. უფრო ახლო ურთიერთობები უნდა დაემყარებინა პოლონეთისა და უკრაინის ნაციონალისტური, ემიგრანტული ორგანიზაციების ლიდერებთან. შეესწავლა მათი ხელმძღვანელობით სსრკ-ში წარმოებული ანტისაბჭოთა საქმიანობა და ის კავშირები, რომლებიც ამ ორგანიზაციებს გააჩნდათ ანტისაბჭოთა იატაკქვეშეთთან დასავლეთ უკრაინასა და ბელორუსიაში.

6. განემტკიცებინა კავშირურთიერთობები გერმანიის დაზვერვასთან და მოეპოვებინა მათი კეთილგანწყობა, ამისათვის გამოეყენებინა ქართველ სოციალ-დემოკრატთა საზღვარგარეთის ბიუროს წარმომადგენლები ბერლინში: იმნაიშვილი, წულუკიძე და ე. რამიშვილი.[268]

მოსკოვში, საბჭოთა საგარეო დაზვერვის წარმომადგენლებთან, საუბარი იყო აგრეთვე რაღაც განძზე.

შალვა ბერიშვილი თავის ჩანაწერებში მიუთითებს, რომ ნ. რამიშვილის მკვლელობის შემდეგ ერთ-ერთი პირველი და საპასუხისმგებლო დავალება, რომელიც მან ნოე ჟორდანიასაგან მიიღო, იყო გენერალ ვრანგელის მიერ რუსეთიდან გატაცებული „განძის საქმის“ ხელმძღვანელობა. ძვირფასეულობა, რომელიც

დაახლოებით 45 ტონას იწონიდა, თითქოსდა, იახტით გადაუტანიათ და სადღაც სტამბოლის მახლობლად მინაში რამდენიმე ადგილას ღრმად ჩაუფლავთ. 30-იანი წლებისათვის „განძის საქმის“ მონაწილე სამი პიროვნება, ღრმად მოხუცებულები, ჯერ კიდევ ცოცხლები ყოფილან. ერთ-ერთ მათგანს, სასულიერო პირს, დეკანოზს – რუს ოფიცერთათვის განკუთვნილ ინვალიდთა სახლში, მეორეს გენერალ კრასნოვს – პარიზის მახლობლად, ხოლო პოლკოვნიკ ლიტვინოვს ქ. ბიანკურში უცხოვრიათ.

ქართველებს, ხანგრძლივი მცდელობის შედეგად ზემოაღნიშნულ პირთა პირად არქივებში შეუღწევიათ და მიუკვლევიათ რაღაც ნახაზებისთვის, თუმცა მათი მეშვეობით განძის ადგილსამყოფელის დადგენა შეუძლებელი ყოფილა. ამასთან დაკავშირებით საჭირო იყო სხვა სამუშაოების ჩატარება. შ. ბერიშვილი სტამბოლში შეხვედრია იმ ქართველებს, რომლებმაც, თითქოსდა, იცოდნენ განძის ადგილსამყოფელი. ესენი იყვნენ: სტამბოლის კათოლიკური მონასტრის წინამძღვარი ბერი პიო ბალაძე და მისი მეგობარი ილარიონ ჩიმაკაძე. სწორედ ამ უკანასკნელებს განუზრახავთ განძის თაობაზე საქმის კურსში ჩაეყენებიათ ნ. ჟორდანია და ნ. რამიშვილი – როგორც დევნილი მთავრობის მეთაურები. განძის მოძიების საქმეში მონაწილეობის მიღებაზე დაუყოლიებიათ აგრეთვე გენერალი სოლომონ ანდღულაძე, რომელიც ასევე ამ პროცესის მონაწილე ყოფილა. შ. ბერიშვილის გადმოცემით, ის 1933 წლის გაზაფხულისათვის სტამბოლში ჩასულა, რათა მოეგვარებინა ყიდვა იმ მიწის ნაკვეთისა, რომლის სიახლოვესაც განძი ყოფილა ჩაფლული. „განძი კი დამარხული იყო თავის დროზე სტამბოლში მაჩკაზე, როცა იქ იდგა რუსების ეკლესია და მას მონარქისტული რუსები პატრონობდნენ. მაგრამ შემდეგ, როცა ის ადგილი საბჭოთა საკონსულოს მფლობელობაში გადავიდა, მათ ის ტერიტორია და თვით ეკლესია მიუყიდიათ ვილაც მდიდარი თურქისა. იმ პირს კი ის ეკლესია დაუნგრევია და იმ ადგილას ქუჩის პირას აუშენებია დიდი ოთხსართულიანი სახლი, მაგრამ მის უკან არის კარგა მოზრდილი ეზო და სწორედ აქ აღმოჩნდა დამარხული იმ განძის ერთი ნაწილი. ამრიგად, სახლის მშენებლობა განძის ადგილმდებარეობას არ შეხებია. თანაც, რომ შეხებოდა, ის იმდენად ღრმად ყოფილა დამარხული, რომ სახლის სარდაფი მას ვერ მიწვდებოდა. მის გვერდზე მდებარე იმ მიწის ნაკვეთის შეძენა იმისათვის იყო გათვალისწინებული, რომ იმ ადგილას როდესმე შენობას, რაიმე ნაგებობას ან სახლს ააშენებდნენ და ეგების მოხერხებულიყო იქედან გვირაბის გაყვანა იმ ეზოს ქვეშ და განძის გამოტანა...“.

შ. ბერიშვილის მტკიცებით, ქართველ ემიგრანტებში მას ძლივს შეუკრებია ხუთი ათას დოლარამდე და ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთი ქართული კათოლიკური მონასტრის სახელზე უყიდია.

„ვრანგელის განძით“ დაინტერესებულან თვით თურქებიც, რომლებიც ჩაძირულ იახტას 1936 წლისათვის ინტენსიურად ეძებდნენ. ქართველ ემიგრანტებს, ერთი პერიოდი, განძის ადგილსამყოფელის თურქებისათვის გამხელა გადაუწყვეტიათ, თუმცა შემდგომში ამ განზრახვაზე ხელი აუღიათ, რადგან არ მოუსურვებიათ მოწინააღმდეგის ხელში დიდძალი ქონების ჩავარდნა.[288]

„ვრანგელის განძით“, შ. ბერიშვილის ინფორმაციაზე დაყრდნობით, როგორც აღინიშნა, დიდად დაინტერესდნენ საბჭოთა სპეცსამსახურები და თვით ლ. ბე-

რია შ. ბერიშვილის მოსკოვში პირველად, ზემოაღნიშნულ პერიოდში, ყოფნისას და გადაუწყვეტიათ განძის ამოსაღებად სპეცოპერაციის დაგეგმვა, თუმცა სირთულეების გამო, ჩანაფიქრი ჩანაფიქრადვე დარჩენილა.

განძის თაობაზე მიანიშნებს გენერალი პ. სუდოპლატოვიც: „Мне помнится, какие-то грузинские князьЯ долго морочили нам голову слухами о невероятных сокровищах, якобы спрятанных в тайниках по всей нашей стране*".[73]

განძის თემას კიდევ ერთხელ მიუბრუნდნენ ვ. მერკულოვი და ბ. ქობულოვი 1942 წლის მიწურულს, შ. ბერიშვილის მოსკოვში ხელახალი ყოფნისას.

საბოლოოდ, „ვრანგელის განძის" არსებობა საბჭოთა სპეცსამსახურებმა ნაკლებად სარწმუნოდ მიიჩნიეს და იმ პერიოდში ამ თემის ირგვლივ შემდგომი ღონისძიებების გატარებაზე ხელი აიღეს.

სათანადო მტკიცებულებების უქონლობის გამო ძნელია იმის მტკიცება – არის თუ არა განძთან დაკავშირებით შალვა ბერიშვილისა და პ. სუდოპლატოვის მონათხრობში რაიმე საერთო, თუმცა ფაქტია, რომ აღნიშნული თემატიკით საბჭოთა და უცხო ქვეყნების სპეცსამსახურები წლების მანძილზე ყოფილან დაინტერესებულები.

მოსკოვში გადაწყდა, რომ წინასწარ შემუშავებული ლეგენდის თანახმად, „ომერისთან" კონტაქტს დაამყარებდნენ საბჭოთა საგარეო დაზვერვის თანამშრომლები, ცოლ-ქმარი ვარდო მაქსიმელიშვილი და დავით მატარაძე, რომლებიც სპეციალურად ამ მიზნებისათვის მივლინებულ იქნებოდნენ სსრკ-ის სტამბოლის საკონსულოში. ამავდროულად, აქტიურად იქნებოდა შესწავლილი შ. ბერიშვილის პიროვნება საგარეო დაზვერვის აგენტის, გ. გეგელიასა და სხვათა მეშვეობით. მოსკოვიდან თბილისამდე შ. ბერიშვილმა მატარებლით, ხოლო ბათუმამდე ავტომობილით იმგზავრა, იქიდან კი ჩეკისტებმა ის ღამით ტყემდე მიაცილეს. ეს, დაახლოებით 10-15 ოქტომბერს ხდება. ერქომაიშვილსა და კალანდაძეს გადაწყვეტილი ჰქონდათ, ტყეში ბოლომდე დალოდებოდნენ შ. ბერიშვილს და „გაუმართლათ" კიდეც. ისინი ამ უკანასკნელის ხილვით ძალზე გახარებულები იყვნენ.

შემდგომში მოვლენები განვითარდა ისე, როგორც ეს მოსკოვში დაიგეგმა, კერძოდ, შ. ბერიშვილმა აუწყა ერქომაიშვილსა და კალანდაძეს, რომ მათთან შეხვედრა სურდა სოციალ-დემოკრატთა იატაკქვეშა ორგანიზაციის ერთ-ერთ ხელმძღვანელს, რომელიც იმჟამად ბათუმში იმყოფებოდა. ეს უკანასკნელები შემოთავაზებულ წინადადებას დათანხმდნენ. შეხვედრა სოციალ-დემოკრატთა იატაკქვეშა ორგანიზაციის ერთ-ერთ „ხელმძღვანელთან", რომლის როლშიც ზემოთხსენებული შინსახკომის თანამშრომელი ი. ნიბლაძე, ფსევდონიმით „მიტო" გამოდიოდა, მოხდა იმავე დღეს. შეხვედრა ხანმოკლე გამოდგა. ი. ნიბლაძემ დავით ერქომაიშვილსა და შალვა კალანდაძეს აცნობა, რომ საქართველოში, თითქოსდა, არსებობდა ძლიერი ანტისაბჭოთა იატაკქვეშა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, რომელიც ფართო ხასიათის საქმიანობას ეწეოდა. ამ უკანასკნელებმა ირწმუნეს საქართველოში ანტისაბჭოთა ძალების არსებობა. იქვე გადაწყდა, რომ ერქომაიშვილი და კალანდაძე თურქეთში უნდა დაბრუნებულიყვნენ. რაც შეეხებოდა შ. ბერიშვილს, ის საქართველოში კიდევ რამდენიმე ხნით უნდა დარჩენილიყო.

*მახსენდება, რომ ვიღაც ქართველი თავადები დიდხანს გვიმღერევდნენ ტვინს ხმების გავრცელებით რაღაც დაუჯერებელი განძის არსებობის შესახებ, რომელიც, თითქოსდა დამალული იყო საიდუმლო საცავებში მთელი ჩვენი ქვეყნის მასშტაბით.

ამ შეხვედრიდან მოკლე ხანში, შ. ბერიშვილი კიდევ ერთხელ აღმოჩნდა მოსკოვში, სადაც ჰქონდა შეხვედრები საბჭოთა საგარეო დაზვერვის ხელმძღვანელ მუშაკებთან. ამის შემდეგ შ. ბერიშვილი კვლავ ბათუმში ჩამოიყვანეს, ხოლო 1940 წლის 13 ნოემბერს ი. ნიბლაძემ ის ავტომობილით თურქეთის საზღვრამდე მიაცილა და ჩააბარა სასაზღვრო რაზმის უფროსს. ამ უკანასკნელმა უზრუნველყო შ. ბერიშვილის არალეგალური გადაყვანა თურქეთში, დასახლება მაჭახელას რაიონში.

საზღვრის გადაკვეთისას შ. ბერიშვილმა ფეხი დაიზიანა და გადაადგილება უჭირდა. მაჭახელაში მას დ. ერქომაიშვილი და გამყოლი სულეიმან ბექირ-ოღლი დახვდნენ.

შ. ბერიშვილი 1940 წლის 23 ნოემბერს სტამბოლში ჩავიდა და დაბინავდა სასტუმრო „ბრისტოლში“, სადაც ასევე მოეწყო სერვეთ-ბეი. უმოკლეს დროში შ. ბერიშვილმა სერვეთ-ბეის წარუდგინა ანგარიში (მოსკოვში წინასწარ შეთანხმებული) საქართველოში გაწეული საქმიანობის შესახებ.

დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ, სტამბოლში ჩავიდა კიდევ ერთი ანტისაბჭოთა ქართველი ემიგრანტი სიმონ გოგიბერიძე, რომელმაც განუცხადა შ. ბერიშვილს, რომ ემზადებოდა საქართველოში არალეგალური შეგზავნისათვის. მანამდე, 1940 წლის გაზაფხულზე, ს. გოგიბერიძე და დ. ერქომაიშვილი არალეგალურად უკვე იმყოფებოდნენ საქართველოში, ქობულეთსა და მახარაძის რაიონებში, თუმცა თურქეთის დაზვერვისათვის საინტერესო მასალა მათ ვერ მოიპოვეს. უფრო მეტიც, საბჭოთა სპეცსამსახურებს ხელში ჩაუვარდათ ს. გოგიბერიძის არალეგალური საქმიანობის ამსახველი დღიურები, რომლებიც მან შესანახად დედას გადასცა.[47]

აღნიშნული პერიოდიდან მოყოლებული, დროებით დაზავებული ურთიერთობები შ. ბერიშვილსა და ს. გოგიბერიძეს შორის, რაც ანტისაბჭოთა საქმიანობაში პირველობისთვის ბრძოლასთან იყო დაკავშირებული, განახლდა. შ. ბერიშვილისათვის დაპირისპირება ს. გოგიბერიძესთან პრობლემური აღმოჩნდა, ვინაიდან სწორედ ს. გოგიბერიძემ გაავრცელა ხმები შ. ბერიშვილის საბჭოთა დაზვერვასთან ფარული კონტაქტის თაობაზე. ამ უკანასკნელს თავის დასაცავად დიდი ძალისხმევა დასჭირდა. 1941 წლის დასაწყისში, წინასწარი შეთანხმებისამებრ, შ. ბერიშვილთან კონტაქტის დასამყარებლად და შესაბამისი სადაზვერვო საქმიანობის საწარმოებლად სტამბოლში ჩავიდნენ საბჭოთა საგარეო დაზვერვის თანამშრომლები, ცოლ-ქმარი ვარდო მაქსიმელიშვილი (ოპერატიული ფსევდონიმი „კლარა“) და დავით მატარაძე (ოპერატიული ფსევდონიმი „ლევანი“). ისინი თურქეთში სსრკ-ის საკონსულოს საფარქვეშ მოქმედებდნენ.[372]

ვ. მაქსიმელიშვილი თბილისში დაიბადა და გაიზარდა. სკოლის დამთავრების შემდეგ მისაღები გამოცდები ჩააბარა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში. კომკავშირულ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის, მეოთხე კურსის სტუდენტი, უკვე სკპ (ბ) წევრობის კანდიდატი იყო. ერთ-ერთ პარტიულ ფორუმზე მგზნებარე გამოსვლის შემდეგ, ვ. მაქსიმელიშვილის პიროვნებით დაინტერესდა საქართველოს კპ (ბ) ცკ-ს პირველი მდივანი ლავრენტი ბერია და რესპუბლიკის კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში მუშაობა შესთავაზა. მოგვიანებით, ლ. ბერიამ, უკვე სსრკ სახალხო კომისრის რანგში, ვ. მაქსიმელიშვილი სამუშაოდ მიიწვია საბჭოთა საგარეო დაზვერვაში. 1940 წელს ვ. მაქსიმელიშვილმა თავისი

ცხოვრება დაუკავშირა პროფესიით ინჟინერ-მეტალურგს, ასევე საბჭოთა საგარეო დაზვერვის თანამშრომელს დავით მატარაძეს.

დავით მატარაძემ 1937 წელს დაამთავრა თბილისის ინდუსტრიული ინსტიტუტი. შემდგომი ორი წლის მანძილზე, განაწილებით, მუშაობდა სტალინგრადის მეტალურგიულ ქარხანა „წითელ ოქტომბერში“ ინჟინრის თანამდებობაზე. 1939 წელს დ. მატარაძე გაიწვიეს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოებში. ის იმთავითვე მსახურობდა პირველ მთავარ სამმართველოში (საგარეო დაზვერვა). დ. მატარაძეს პერიოდულად უწევდა საზღვარგარეთ გრძელვადიან და მოკლევადიან მივლინებებში ყოფნა და სპეციალური დავალებების შესრულება.

ვარდო მაქსიმელიშვილისა და დავით მატარაძის ქორწილს თვით ლავრენტი ბერია და გენერალი პ. სუდოპლატოვი ესწრებოდნენ:

„Вардо Максимелишвили... прошла обучение азам разведки под руководством моей жены. Ходили слухи, что она стала любовницей Берии ещё в Тбилиси, будучи студенткой медицинского факультета, а после переезда в столицу он взял её на работу в свой секретариат, затем устроил так, что она вышла замуж за рядового сотрудника НКВД, тоже грузина. На свадьбу меня пригласили, чтобы я пригляделся к ней и её мужу и оценил их манеру поведения (например, не слышком ли много они пьют). Такая необходимость была вызвана тем, что молодожёнов собирались направить в Париж для работы в тамошней общине грузинских эмигрантов.“[73]

სულ მალე, მატარაძე-მაქსიმელიშვილის ოჯახს გამოუწერეს ორდერი საცხოვრებელი სახლისა, რომელიც ადრე ეკუთვნოდა თეატრის ცნობილ რეჟისორს, 30-იან წლებში რეპრესირებულ ვსევოლოდ მეიერხოლდს. ამ სახლს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი იყენებდა კონსპირაციული შეხვედრებისათვისაც.

წინასწარ შემუშავებული გეგმის თანახმად, 1941 წლის იანვრის შუა პერიოდში, ვარდო მაქსიმელიშვილი და დავით მატარაძე სტამბოლის ქართულ კათოლიკურ მონასტერს ესტუმრნენ. მონასტერში მოიკითხეს შ. ბერიშვილი, რომლისთვისაც მათ თითქოსდა საქართველოში მცხოვრები დისგან წერილი ჰქონდათ გადასაცემი. მონასტერში მცხოვრებმა ილარიონ ჩიმაკაძემ ცოლ-ქმარს უთხრა, რომ მეორე დღისთვის მისულიყვნენ და ამ დროისათვის ის უკვე მოახერხებდა შ. ბერიშვილის მოძებნას. მეორე დღეს, დღის ხუთ საათზე შ. ბერიშვილს მონასტერში დახვდნენ დ. მატარაძე და ვ. მაქსიმელიშვილი, რომლებმაც აუხსნეს მათი თურქეთში ჩასვლის რეალური მიზანი – მასთან ოპერატიული კონტაქტის აღდგენა. შექმნილი ვითარება არ იძლეოდა იმ მომენტში ოპერატიულ საკითხებზე საუბრის გაგრძელების საშუალებას და სადაზვერვო თემებზე საუბარი შემდგომი შეხვედრისათვის გადაიდო. მეორე დღეს, მონასტერში, რომელშიც შ. ბერიშვილი უკვე იმყოფებოდა, მხოლოდ ვარდო მაქსიმელიშვილი შევიდა. იქიდან ეს უკანასკნელი და შ. ბერიშვილი ერთად

---

[73] ვარდო მაქსიმელიშვილი დაზვერვის საფუძვლებს დაეუფლა ჩემი მეუღლის ხელმძღვანელობით. დადიოდა ხმები, რომ ის ბერიას საყვარელი გახდა ჯერ კიდევ თბილისში, როდესაც იყო სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი, ხოლო დედაქალაქში გადმოსელის შემდეგ ბერიამ ის აიყვანა სამუშაოდ თავის სამდივნოში. შემდეგ მოაწყო ისე, რომ მაქსიმელიშვილი ცოლად გაჰყვა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის რიგით თანამშრომელს – ქართველს. მე მიმიწვიეს მათ ქორწილზე, რათა დავკვირვებოდი მაქსიმელიშვილსა და მის მეუღლეს, შემეფასებინა მათი ქცევის მანერები (მაგალითად, ხომ არ სვამენ ისინი ზომაზე მეტად). ასეთი აუცილებლობა გამონვეული იყო იმით, რომ აპირებდნენ ახლად შეუღლებულების გაგზავნას პარიზში ქართველ ემიგრანტთა იქაურ სათვისტომოში სამუშაოდ.

გამოვიდნენ. გარეთ მათ ელოდებოდა დ. მატარაძე, რომელიც თურქეთის კონტრდაზვერვის შესაძლო მეთვალყურეობის გამოვლენას ცდილობდა. სულ მალე სამივე ქართველმა სასაუბროდ უსაფრთხო ადგილს – ტყეს მიაშურა.

ვ. მაქსიმელიშვილთან ზემოაღნიშნულ და შემდგომ შეხვედრებზე, შ. ბერიშვილმა საბჭოთა დაზვერვას დეტალურად მოახსენა თურქეთში თავისი კავშირების, აგრეთვე თურქეთის, ინგლისის, პოლონეთის სპეცსამსახურების ზრახვების თაობაზე, ასევე ანტისაბჭოთა ემიგრანტული წრეების მიზნებსა და ამოცანებზე. ოპერატიული შესაძლებლობებიდან გამომდინარე, შ. ბერიშვილმა შესაბამისი სადაზვერვო ხასიათის დავალებები მიიღო.

თურქეთის სპეცსამსახურებს მხედველობიდან არ გამორჩენიათ შ. ბერიშვილის კონტაქტი თურქეთში საბჭოთა საკონსულოს ახლადდანიშნულ თანამშრომლებთან.

შ. ბერიშვილთან საბჭოთა მზვერავების შეხვედრა საზღვარგარეთის პირობებში არაპროფესიონალურად დაიგეგმა, რის გამოც ლეგენდა მისი დის მიერ საქართველოდან გამოგზავნილი წერილის გადაცემის თაობაზე თურქეთის სპეცსამსახურებისა და ქართველი ემიგრანტების ეჭვიანობის საბაბი გახდა. შალვა ბერიშვილი იძულებული გახდა, საბჭოთა საკონსულოს ქართველი თანამშრომლებისა და საქართველოდან გამოგზავნილი წერილის თაობაზე მოეთხრო როგორც სიმონ გოგიბერიძისათვის, ისე სხვა ემიგრანტებისათვის, აგრეთვე თურქებისათვის. ემინ-ბემ იცოდა ქართველი ცოლ-ქმრის თურქეთში ჩასვლის შესახებ და სთხოვა შ. ბერიშვილს, მათთან უფრო მჭიდრო ურთიერთობები დაემყარებინა და გაეგო დ. მატარაძისა და ვ. მაქსიმელიშვილის რეალური მიზნები.

ემინ-ბეისთან ბოლო შეხვედრიდან ერთი კვირის თავზე, ანკარიდან დაბრუნებულმა თურქმა მზვერავმა შ. ბერიშვილს განუცხადა, რომ თურქეთის დაზვერვის ხელმძღვანელობის მითითებით, საჭირო იყო დ. მატარაძის, რომელიც საკონსულოს სამეურნეო ნაწილს ხელმძღვანელობდა, გადმობირება თურქეთის დაზვერვის სასარგებლოდ, რაშიც მას მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა.

1941 წლის თებერვლის დასაწყისში შ. ბერიშვილმა სასწრაფოდ მოითხოვა შეხვედრა ვარდო მაქსიმელიშვილთან, რათა ეცნობებინა ემინ-ბეის მოსაზრებები. შეხვედრა შედგა ქართული კათოლიკური მონასტრის სიახლოვეს ტრამვაის გაჩერება „შიშლისთან". საუბარი ხანმოკლე იყო, რის შემდეგაც ვ. მაქსიმელიშვილი ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე საკონსულოში დაბრუნდა.[288]

ამ პერიოდში სიმონ გოგიბერიძესა და შალვა ბერიშვილს შორის ურთიერთობები დაიძაბა და ამ უკანასკნელმა თურქეთის დაზვერვის წარმომადგენელს ემინ-ბეის განუცხადა, რომ ოფიციალურად უარს აცხადებდა თურქეთის სასარგებლო საქმიანობაზე, ვინაიდან ასეთ დაძაბულ პირობებში შეუძლებელი იყო რაიმე სერიოზული შედეგების მიღწევა. ემინ-ბეი შეეცადა სიტუაციის დარეგულირებას და შ. ბერიშვილს შესთავაზა, გამიჯნულიყო ფუნქციები მასა და ს. გოგიბერიძეს შორის, კერძოდ, ერთ-ერთი მათგანი გამგზავრებულიყო ანატოლიაში, ხოლო მეორე დარჩენილიყო სტამბოლში. ამ წინადადებას შ. ბერიშვილი არ დაეთანხმა.

სიმონ გოგიბერიძე არ ცხრებოდა და შალვა ბერიშვილის თვალთვალს არ იშლიდა. ერთხელ, მაგალითად, ვ. მაქსიმელიშვილთან ერთ-ერთი შეხვედრისას, მას და შ. ბერიშვილს ს. გოგიბერიძემ ორი ქართველი ებრაელი ემიგრანტი იაკობაშ-

ვილი და ელიგულაშვილი აადევნა, თითქოსდა მათი საუბრის მისაყურადებლად, თუმცა ამ უკანასკნელთ არაფერი გამოუვიდათ.

ს. გოგიბერიძის ავანტურისტული ქცევებით იმდენად შეწუხდა შ. ბერიშვილი, რომ მოსთხოვა ემინ-ბეის მისი საბჭოთა სპეცსამსახურებთან შესაძლო კავშირის შემსწავლელი კომისიის დანიშვნა. ემინ-ბეი ამ წინადადებას დათანხმდა. ს. გოგიბერიძე მაინც არ ისვენებდა. შ. ბერიშვილის საწინააღმდეგო აქციაში მან პოლონელთა დაზვერვის წარმომადგენელი ზალევსკიც ჩართო. შეხვედრაზე, რომელსაც ესწრებოდნენ თვით ზალევსკი, ქართველი ემიგრანტები ერქომაიშვილი და პატარიძე, აგრეთვე ს. გოგიბერიძე, ამ უკანასკნელმა შ. ბერიშვილს ახალი ბრალდება წაუყენა, კერძოდ, თითქოსდა ის საბჭოთა სპეცსამსახურების აგენტი იყო ჯერ კიდევ 1935 წლიდან და ამას ასაბუთებდა იმით, რომ ამ წელს შ. ბერიშვილმა საქართველოში არალეგალურად ყოფნისას დააბეზღა მისი ნათესავები, რომლებიც შემდგომში დააპატიმრეს. ამის თაობაზე ს. გოგიბერიძისათვის გამხდარა ცნობილი 1940 წლის მაისში, როდესაც არალეგალურად იმყოფებოდა საქართველოში.

თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრის ნებართვით, 1941 წლის აგვისტოში შეიქმნა შ. ბერიშვილის მიმართ გამოთქმული ბრალდებების შემსწავლელი კომისია, რომელმაც მუშაობა დაამთავრა იმავე წლის დეკემბერში და შ. ბერიშვილი სრულიად გაამართლა. აღსანიშნავია ისიც, რომ საფრანგეთიდან, კომისიის მოთხოვნით, ნდობის წერილი გამოაგზავნა ნ. ჟორდანიამაც.

ამ პროცესით თურქებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ პრაქტიკულად ბრმად ენდობოდნენ შ. ბერიშვილს, სჯეროდათ მისი და მასთან ურთიერთობას, ანტისაბჭოთა საქმიანობის თვალსაზრისით, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. შ. ბერიშვილს გარდა საფრანგეთის, თურქეთის, პოლონეთის, ინგლისისა და გერმანიის სადაზვერვო სამსახურებისა, კავშირი ჰქონდა იაპონიის სპეცსამსახურებთანაც, კერძოდ, თურქეთში იაპონიის საელჩოს სამხედრო ატაშესთან ხორიო თათეიშისთან. ხ. თათეიში შ. ბერიშვილს გააცნო ლელემ 1939 წლის დეკემბერში. მათი ურთიერთობა თავიდან მეგობრულ ხასიათს ატარებდა და სადაზვერვო ინტერესები არ იკვეთებოდა, თუმცა როდესაც ხ. თათეიშიმ გაიგო, რომ შ. ბერიშვილი აპირებდა 1940 წელს ერზერუმში გამგზავრებას, იქიდან კი საქართველოში არალეგალურად შელწევას, სთხოვა ამ უკანასკნელს, რომ დაბრუნებისთანავე შეხმიანებოდა და მიეწოდებინა მისთვის ინფორმაცია საბჭოთა კავშირში არსებული ვითარების თაობაზე.

შ. ბერიშვილმა, საბჭოთა დაზვერვის ინტერესებიდან გამომდინარე, მოსკოვში მომზადებული ინფორმაცია თურქეთის, საფრანგეთისა და ინგლისის სპეცსამსახურების მსგავსად, თათეიშისაც მიაწოდა. ურთიერთობა თათეიშისა და შ. ბერიშვილს შორის შემდგომშიც გაგრძელდა.

1941 წლის მაისში ხ. თათეიშიმ შ. ბერიშვილს აცნობა, რომ სულ მალე გერმანია თავს დაესხმებოდა საბჭოთა კავშირს. ეს ინფორმაცია ამ უკანასკნელმა სასწრაფოდ მოახსენა დ. მატარაძეს. საბჭოთა დაზვერვა სსრ კავშირზე გერმანიის თავდასხმის შემდეგაც სარგებლობდა ხ. თათეიშის ინფორმაციით, რომელიც შ. ბერიშვილის მეშვეობით თურქეთში საბჭოთა საგარეო დაზვერვის რეზიდენტურას მიეწოდებოდა. ინფორმაცია ძირითადად ეხებოდა მეორე მსოფლიო ომში იაპონიის შესაძლო მონაწილეობას და საბჭოთა კავშირზე სავარაუდო შეიარაღებულ თავდასხმას.

შ. ბერიშვილის საბჭოთა დაზვერვის სტამბოლის რეზიდენტურასთან ურთიერთობის ხასიათზე, მიწოდებული ინფორმაციის ხარისხსა და შეხვედრათა კონსპირაციულობაზე გარკვეულ წარმოდგენას ქმნის „ცენტრისათვის“ განკუთვნილი სრულიად საიდუმლო გრიფის შეტყობინება:

სრულიად საიდუმლოდ

„1941 წლის 16 ივლისი, „ვიქტორს“ „კოკისაგან“

15 ივლისს შეხვედრა მქონდა „ომერისთან“, რომელმაც შემატყობია შემდეგი:

„ომერი“ მიწვეული იყო იაპონელების მიერ. პირადად ჰქონდა საუბარი სტამბოლში იაპონიის სამხედრო ატაშესთან. ამ უკანასკნელმა შესთავაზა „ომერის“ მათთან თანამშრომლობა და აუწყა, რომ ორგანიზებას გაუწევდა მის შეხვედრას გერმანიის სამხედრო ატაშესთან. როგორც „ომერი“ იტყობინება, იაპონელებს სურთ მოამზადონ 200 კაცამდე რეზერვისტი საბჭოთა კავშირში ფარულად შესაგზავნად. იარაღი შემოტანილი იქნება რუმინეთიდან გერმანელთა დახმარებით. იაპონიის ატაშემ ჰკითხა „ომერის“, შეუძლია თუ არა მას უხელმძღვანელოს ამ საქმეს და არიან თუ არა კავკასიაში არალეგალური ორგანიზაციები, რომლებზედაც, ამბოხების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება დაყრდნობა. „ომერიმ“ უპასუხა, რომ ჯერჯერობით კავკასიაში, კერძოდ კი საქართველოში არ არსებობს ამბოხების წინაპირობა, თუმცა, ამის მიუხედავად, შესაძლებელია მოსამზადებელი სამუშაოების დაწყება, რისთვისაც საჭიროა ფული, იარაღი და თურქების თანხმობა. სამხედრო ატაშემ „ომერის“ უპასუხა, რომ შეუძლიათ ფულის და იარაღის მიწოდება. „ომერი“ დათანხმდა შემოთავაზებულ წინადადებას და ყოველივე შეატყობინა თურქებს. ამ უკანასკნელებმა აღნიშნეს, რომ მოცემულ მომენტში ისინი ამაზე, ანუ საბჭოთა კავშირში არალეგალურ შეგზავნაზე არ წავლენ, ვინაიდან ჯერჯერობით საჭირო იყო სიფრთხილის გამოჩენა. „ომერი“ დარწმუნებულია, რომ თურქები მართლაც ძალზე ფრთხილად იქცევიან. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ აიკრძალა მოწვევა კონფედერაციის კომიტეტის სათათბიროსი, რომელიც უნდა ჩატარებულიყო წინა კვირას მირ-იაკუბის ხელმძღვანელობით და გაფრთხილებულ იქნა ყველა ემიგრანტი იმასთან დაკავშირებით, რომ ყოფილიყვნენ ძალზე ზომიერები და არ ეწარმოებინათ არავითარი ანტისაბჭოთა საქმიანობა თურქებთან შეუთანხმებლად.

„ომერი“ გვატყობინებს, რომ სტამბოლის ოფიციალური წრეების აზრით, თურქები 2-3 თვეს კიდევ დაიცდიან, ვიდრე სიტუაცია ფრონტზე არ გაირკვევა, რის შემდეგაც განსაზღვრავენ თავის პოზიციას.

გამორიცხული არ არის, რომ თურქებმა გაწყვიტონ ურთიერთობები გერმანელებთან. ამას ადასტურებს, მაგალითად, ის ფაქტი, რომ ბოლო დროს, როდესაც ფონ-პაპენმა შესთავაზა თურქებს, რომ უახლოეს პერიოდში გერმანელთა დახმარებით დაეწყოთ შეტევა კავკასიაზე, მათ კატეგორიული უარით უპასუხეს და განუცხადეს, რომ კავკასიას დალაშქრავენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი გერმანელებს ექნებათ დიდი უპირატესობა და ეს რეგიონი აღმოჩნდება მოწყვეტილი რუსეთისაგან.

უკანასკნელ პერიოდში თურქებმა გააძლიერეს თურქეთ-ბულგარეთის საზღვარი და ბოსფორი, რაც ადასტურებს იმას, რომ ისინი ბოსფორს უბრძოლველად არ დათმობენ.

„ომერი“ გვარწმუნებს, რომ ბოლო პერიოდში არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა

საბჭოთა კავშირში არალეგალური გადასვლისა და მის გარეშე ეს არც მოხდება. სხვა ქვეყნებიდან აქ ჯერჯერობით არავინ ჩამოსულა. დაბრუნდა მხოლოდ ლეო პატარიძე, რომელმაც ვერ მოახერხა ვიშამდე ჩაღწევა. ამჟამად ლეო მჭიდროდ არის დაკავშირებული გოგიბერიძესთან და ერქომაიშვილთან. გერმანოფილთა ეს სამეული ყოველ დღე დადის თურქებთან, რათა მათ გასცენ სახსრები და ნებართვა საქართველოში გადასასვლელად. ესენი მათ არწმუნებენ, რომ საქართველოში არალეგალური საქმიანობისათვის შესაბამისი ბაზა არსებობს, ეს მაშინ, როცა „ომერის" მტკიცებით, არ არსებობს არავითარი დასაყრდენი ამ საქმიანობისათვის და ქართველებს არ ძალუძთ რაიმე სერიოზული ანტისაბჭოთა ღონისძიების ჩატარება.

როგორც „ომერი" გადმოგვცემს, იმის მიუხედავად, რომ ის ხშირად კამათობს ზემოაღნიშნულ სამეულთან, იძულებულია არ გაწყვიტოს მათთან ურთიერთობები, ვინაიდან ამ სამეულს თურქები საქართველოში გადასვლის ნებას არ რთავენ. მათ თხოვნით მიმართეს „ომერის" დართოს ნება, გაემგზავრონ და დაბანაკდნენ საზღვრის მახლობლად, საჭიროების შემთხვევაში საქართველოში გადასვლის მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ თურქებმა ამაზე უარით უპასუხეს, გამორიცხული არ არის, რომ ეს სამეული საქართველოში გადმოსვლის ნებართვას თურქებისაგან მაინც მიიღებს.

ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, „ომერი" იქნება ყველაფრის საქმის კურსში და ამის თაობაზე წინასწარ შეგვატყობინებს. ყოველ შემთხვევაში, „ომერი" ყურადღებას ამახვილებს შემდეგ გარემოებებზე: შესაძლოა სამეულმა საზღვარი გადმოკვეთოს მაჭახელას რაიონში. გურიაში, აკაკი სირაძის ძმას ცოლად ჰყავს პატარიძის და. ცხოვრობენ ან სოფელ ასკანაში ან აქთიში. შესაძლოა, რომ პატარიძე მათ ესტუმროს. აკაკი სირაძე მუშაობს ბათუმში ერთ-ერთ ორგანიზაციაში, რომელიც ახორციელებს სამხედრო ნაწილების ხორცით მომარაგებას.

თვით ლ. პატარიძე წარმოშობით ბორჯომის რაიონის სოფელ ახალდაბიდანაა.

დ. ერქომაიშვილი შეიძლება მივიდეს ილარიონ ღლონტთან, მოხუცთან და ძველ ტერორისტთან, რომელიც ცხოვრობს ოზურგეთის რაიონის სოფელ მელექედაურიანდუაბზოში. მისი ჩასვლის თაობაზე ეცოდინება მის დას ე. ხალვაშს, რომელიც ცხოვრობს ოზურგეთში, მგონი, მოსკოვის ქუჩაზე. უკანასკნელი – ერქომაიშვილის საცოლეა. ერქომაიშვილი შესაძლოა დაუკავშირდეს ოზურგეთში აკაკი დოლიძეს, მენშევიკს, ყოფილ ოფიცერს.

სამივე მათგანი, უპირველეს ყოვლისა, ჩავლენ ბახმაროში, გაივლიან ნათხილნართან დანდალოს ხიდის მახლობლად. როგორც „ომერიმ" აღნიშნა, მარშრუტის თაობაზე დეტალურად გადმოგვცემს მაშინ, როდესაც ზუსტად გადაწყდება მათი გადასვლის საკითხი.

„ომერი" გვამცნობს, რომ სტამბოლში აზერბაიჯანელებთან კონტაქტის დასამყარებლად სურს დატოვოს ყურბან ბაირამოვი, ასევე ჩიმაკაძე, გოგითაური და ვასო როკუა. ეს ადამიანები, როგორც აღნიშნავს „ომერი", საიმედონი არიან და ჭირდება მას მეკავშირეებად. მათ გარდა „ომერის" უნდა მეკავშირეებად გაგზავნოს თავისი ხალხი:

1. ყარსში – ნაგი ბაირამოვი (ყურბანის ძმა)
2. ბორჩხაში – მეველუდ კახიძე (ოსმან კახიძის ძმა)

ამ პირების დახმარებით, როგორც „ომერი" მიანიშნებს, საქმის კურსში

იქნება ყველა ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით. თუკი ისინი არ ეყოლება, „ომერის" არ ეცოდინება, რა ხდება ამ პუნქტებში.

„ომერიმ" მოითხოვა ფული ამ პირების გასამგზავრებლად და სხვადასხვა ხარჯებისათვის. მე გადავეცი „ომერის" 500 ლირა, ხოლო ამ ადამიანებთან დაკავშირებით დაგვპირდა, რომ პასუხს გაგვცემს შემდეგი შეხვედრის დროს.

როგორც „ომერიმ" გადმოგვცა, ისინი ფულს ამჟამად არავისგან ღებულობენ. ფულს არ იძლევიან არც ინგლისელები, არც პოლონელები (გასაგებია რატომაც), ხოლო თურქები გაწეული საქმიანობის საფასურს საერთოდ არავის აძლევენ. ამიტომ, ჩემი პირადი აზრი ასეთია: „ომერის" ყოველთვიურად უნდა მიეცეს 100 ლირამდე საკუთარი საჭიროებისათვის, ვინაიდან მას უწევს საჭირო პირებთან კავშირის დამყარება. „ომერიმ" შეგვატყობინა ასევე, რომ თურქების ზეგავლენით სულთანოვის და მირ-იაკუბის ჯგუფები თითქოსდა გაერთიანდნენ და შექმნეს კომიტეტი, რომელსაც ეწოდა „აზერბაიჯანის განთავისუფლების კომიტეტი". ეს გაერთიანება, „ომერის" აზრით, არ არის მტკიცე და მათ შორის კვლავ გრძელდება უთანხმოება.

„ომერიმ" გადმომცა ერქომაიშვილის, გოგიბერიძისა და პატარიძის ფოტოები, რომლებიც შეტყობინებას თან ერთვის.

ჩვენი შეხვედრები ტარდება ტყეში, ღრმად კონსპირაციის პირობებში და ჯერ-ჯერობით კარგად მიდის. შემდეგი შეხვედრა დანიშნულია 1941 წლის 22 ივლისს, სასწრაფო შეხვედრებისთვის დათქმულია სხვა პირობები.

„კოკი".[257]

ურთულესი პირობების მიუხედავად, შ. ბერიშვილი აგრძელებდა საბჭოთა საზვერვის სასარგებლო საქმიანობას.

1942 წლის თებერვალში სტამბოლში ჩავიდა ნ. ჟორდანიას წარმომადგენელი, ქართველი ემიგრანტი ქრისტეფორე იმნაიშვილი და შ. ბერიშვილს გადასცა დევნილი მთავრობის მეთაურის წერილი, რომელშიც სულ ეამდენიმე წინადადებით არის აღწერილი ქართულ პოლიტიკური ემიგრაციაში არსებული ვითარება.

(შეტყობინება თარგმნილია რუსული ვარიანტიდან, სტილი დაცულია – გ. ს.).

КОПИЯ

Перевод с грузинского

Дорогой Шалва!

Это письмо тебе передаст Христофор, он лично скажет все, что тебе необходимо знать.

Я давно старался связаться с тобой, но напрасно. Мне удалось послать тебе одно письмо, датированное 25 января. Получил ли ты его или оно задержалось в почте? Из того письма ты понял бы всё.

Предъявитель сего ознакомит тебя со своей миссией из Грузии, Кавказа, каково положение, настроение, о ходе войны на нашей территории, о позиции кавказцев и прочее. Одним словом всё. Мы здесь – в неведении.

Уничтожение большевизма, восстановление независимости грузии – вот наша линия.

Второй этап зависит от нас – насколько подготовленным встретит народ победителей. Мое мнение тебе известно.

Здесь грузинская эмиграция позорно разложилась, с нами ничуть не считаются. Наши фашисты же объединены и с ними считаются. Они особенно

стараются изолировать нас, не впустить в Грузию и проч. Одним словом, ничего национального, люди думают только о своем собственном благополучии.

Второй вопрос – это наше материальное положение. Оно – безвыходное, ничего у нас нет.Я, в особенности, постарел, не в состоянии работать. Может быть получится что-либо из дела ЧИМАКАДЗЕ? Подумай.

Как и на что живёшь ты? В хороших ли отношениях с твоими хозяевами? Пишу краткую записку, так как не уверен, что ты её получишь.

Твой Михаил

25 февраля 1942 г.

Примечание: Автором письма является НОЙ ЖОРДАНИЯ.

Перевод сделан правильно: Ш.БЕРИШВИЛИ.[267]

верно*:

1942 წლის 6 მაისს შ. ბერიშვილსა და ვ. მაქსიმელიშვილს შორის დაგეგმილი იყო მორიგი შეხვედრა. მასზე პირველი შ. ბერიშვილი გამოცხადდა. ვ. მაქსიმელიშვილის მოახლოებისთანავე შ. ბერიშვილმა შენიშნა, რომ საბჭოთა მზვერავზე ფარული მეთვალყურეობა იყო დაწესებული. სკანდალისა და ვითარების შესაძლო დაძაბვის თავიდან აცილების მიზნით, შ. ბერიშვილმა და ვ. მაქსიმელიშვილმა, მისალმების შემდეგ, შეხვედრა 12 მაისისათვის გადადეს და ერთმანეთს სასწრაფოდ დასცილდნენ. დათქმულ შეხვედრაზე ვ. მაქსიმელიშვილი აღარ მისულა და ამის შემდეგ შ. ბერიშვილის კონტაქტები საბჭოთა დაზვერვასთან გაწყდა.

1942 წელი, მიუხედავად ფრონტზე მიღწეული წარმატებებისა, გერმანელებისათვის იმედგაცრუებით დასრულდა. გერმანელები იძულებულები გახდნენ, ტაქტიკა შეეცვალათ და დახმარება ეთხოვათ საზღვარგარეთ მყოფი ქართველი სოციალ-დემოკრატებისათვის, რომელთაც ანტისაბჭოთა საქმიანობაში გაცილებით მეტი გამოცდილება ჰქონდათ, ვიდრე გერმანელებთან დაახლოებულ სხვა დანარჩენ ანტისაბჭოთა ქართული პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენლებს.

ამ საქმეში შუამავლობა გერმანელებმა გერმანიის დაზვერვის წარმომადგენელს ვებერს (ადრე პარიზში ქართული ემიგრაციის საკითხებს განაგებდა) და ანტისაბ-

---

* ასლი. ქართულიდან ნათარგმნი. ძვირფასო შალვა! ამ წერილს გადმოგცემს ქრისტოფორე. ის ყველაფერს, რისი ცოდნაც შენთვის საჭიროა, პირადად გეტყვის. მე დიდხანს ვცდილობდი შენთან დაკავშირებას, თუმცა უშედეგოდ. შევძელი შენთვის 25 იანვრით დათარიღებული ერთი წერილის გამოგზავნა. მიიღე თუ არა ეს წერილი, თუ ის შეყოვნდა ფოსტაში? იმ წერილიდან შენ ბევრ რამეს გაიგებდი.

ამ წერილის წარმომდგენი გაგაცნობს თავის მისიას, ვითარებას საქართველოში, კავკასიაში, თუ როგორია მდგომარეობა და განწყობა, ჩვენს ტერიტორიაზე ომის მიმდინარეობას, კავკასიელთა პოზიციას და ა.შ. ერთი სიტყვით, ყველაფერს. ჩვენ აქ არ ვართ ინფორმირებულები. ბოლშევიზმის განადგურება, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა – აი, ჩვენი ხაზი. მეორე ეტაპი დამოკიდებულია ჩვენზე, თუ რამდენად არის ერი მზად, შეხვდეს გამარჯვებულებს? ჩემი აზრი შენთვის ცნობილია.

აქ ქართული ემიგრაცია სამარცხვინოდ გაიხრწნა, ჩვენ საერთოდ არაფრად გვაგდებენ. ჩვენი ფაშისტები გაერთიანდნენ და მათ ანგარიშს უწევენ. ისინი განსაკუთრებით ცდილობენ ჩვენს იზოლირებას, არ შეგვიშვან საქართველოში და სხვა. ერთი სიტყვით, არაფერი ეროვნული, ხალხი ფიქრობს მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე.

მეორე საკითხი – ეს ჩვენი მატერიალური მდგომარეობაა. ის გამოუვალია, ჩვენ არაფერი გაგვაჩნია. მე მოვხუცდი, მუშაობის უნარი აღარ მაქვს. იქნებ რაღაც გამოვიდეს ჩიმაკაძის საქმიდან? დაფიქრდი. შენ რითიღა ცხოვრობ? ხარ თუ არა კარგ ურთიერთობაში შენს პატრონებთან? გწერ მოკლე ჩანაწერს, რადგან არ ვარ დარწმუნებული, რომ მათ შენ მიიღებ.

შენი მიხეილი.

25 თებერვალს. 1942 წ.

შენიშვნა: წერილის ავტორი ნოე ჟორდანიაა.

თარგმანი გაკეთებულია სნორად: შ. ბერიშვილი

ჭოთა საქმიანობაში ერთ-ერთ გამორჩეულ ქართველ ემიგრანტს მიხეილ კედიას დაავალეს. ეს უკანასკნელი 1942 წლის სექტემბერში სტამბოლში შ. ბერიშვილთან შესახვედრად მიავლინეს. მიხ. კედიას თან ჰქონდა ნ. ჟორდანიას წერილი.

მიხ. კედია სასტუმროში ესტუმრა შ. ბერიშვილს და გადასცა ნ. ჟორდანიას წერილი. აი, რას წერდა ნ. ჟორდანია სტამბოლში მყოფ შ. ბერიშვილს:

Копия. Перевод с грузинского.

Дорогой Шалва!

Предъявитель настоящего письма – Миша Кедия обличён доверием немцев и одновременно является сторонником сотрудничества с нами. Его сопровождает немец. Оба преследуют ту-же цель, что и мы: создать организацию для связи с Грузией, с Кавказом в целом и изыскать для этого все возможности. В этих целях мы отсюда направим соответствующих лиц, прежде всего САНДРО МЕНАГАРИ; сколько людей вам понадобится – определите сами на месте и вообще разработайте план работы, с которым они по возвращении нас ознакомят. Нельзя ли вернуть к работе тех трёх лиц, которые отвернулись от тебя и вели против тебя борьбу, если они только будут полезными. Во всяком случае, подробно поговори с господином Мишей по этому вопросу, передай ему все имеющиеся у тебя информации, ознакомь с атмосферой на той стороне. Одним словом, активно втянись в это дело.

О твоем брате уже выяснено: его и двух других подвёл под расстрел священник ПЕРАДЗЕ, который оказался давнишним агентом большевиков и арестован.

Другой твой брат – врач находится в плену – в Крыму, хорошо себя чувствует и связан с нашими (В. ИНЦКИРВЕЛИ и Т. ЦУЛАДЗЕ) .

Будь здоров и бодр, будем писать посредством г. КЕДИЯ.

29 августа 1942 г.

Перевод сделан правильно: Ш. БЕРИШВИЛИ*.[59]

верно: Ш. БЕРИШВИЛИ

ორი დევნილი, ანტისაბჭოთა საქმიანობით დაკავებული ქართველისათვის არ იყო იოლი პირისპირ შეხვედრა. შალვა ბერიშვილს ჯერ კიდევ ახსოვდა მიხეილ

---

* ასლი. ქართულად ნათარგმნი. ძვირფასო შალვა!
ამ წერილის წარმომდგენი – მიშა კედია გერმანელების მხრიდან ნდობით აღჭურვილი პირი და ამავდროულად ჩვენთან თანამშრომლობის მომხრეა. მას თან ახლავს გერმანელი. ორივეს ის მიზანი ამოძრავებს, რაც ჩვენ: შეექმნათ ორგანიზაცია კავშირის დასამყარებლად საქართველოსთან და მთლიანობაში კავკასიასთან და გამოიძებნოს ამისათვის ყველა შესაძლებლობა. ამ მიზნით, ჩვენ გამოვაგზავნით შესაბამის პიროვნებებს, პირველ რიგში, სანდრო მენაღარს; რამდენი ადამიანი დაგჭირდებათ, ადგილზე თქვენ თვითონ გაარკვიეთ და საერთოდ, შეიმუშავეთ მუშაობის გეგმა, რომელსაც ისინი გაგვაცნობენ. ხომ არ შეიძლება საქმიანობისათვის იმ სამი პიროვნების დაბრუნება, რომლებმაც შენ ზურგი შეგაქციეს და შენ წინააღმდეგ მოქმედებდნენ, თუკი ისინი სასარგებლონი იქნებიან. ყოველ შემთხვევაში, დეტალურად მოელაპარაკე ამ საკითხთან დაკავშირებით ბატონ მიშას, გადაეცი მას შენს ხელთ არსებული ყველა ინფორმაცია, გააცანი იქით მხარეს შექმნილი ატმოსფერო. ერთი სიტყვით, აქტიურად ჩაერთე ამ საქმეში.
შენს ძმაზე უკეე გაირკვა: ის და კიდევ ორი დახვრეტამდე მიიყვანა მღვდელმა ფერაძემ, რომელიც აღმოჩნდა ბოლშევიკების დიდი ხნის აგენტი და დაპატიმრებულ იქნა.
მეორე შენი ძმა – ექიმი იმყოფება ტყვეობაში – ყირიმში, თავს კარგად გრძნობს და ჩვენებთან არის კავშირზე (ვ. ინწკირველი და ტ. წულაძე).
იყავი მხნედ და ჯანმრთელად. ერთმანეთთან მიწერ-მოწერა ვანარმოოთ ბატონი კედიას შუამავლობით.
1942 წლის 29 აგვისტო.
თარგმანი გაკეთებულია სწორად: შ. ბერიშვილი"

კედიას როლი მისი ბიძის, ნოე რამიშვილის მკვლელობის საქმეში, თუმცა შექმნილი ვითარება მოითხოვდა, მათ ეთანამშრომლათ საერთო მიზნის – გერმანელთა მეშვეობით, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის – მისაღწევად.

შ. ბერიშვილის გადმოცემით, შეხვედრაზე მიხ. კედიას კიდევ ერთხელ უღიარებია პ. ჭანუყვაძის წაქეზებაში მისი და სხვა ემიგრანტების მონაწილეობა და მისთვის პატიება უთხოვია. მიხ. კედიას დაუდასტურებია, რომ ნ. რამიშვილის მკვლელობის იდეური სულისჩამდგმელი ემიგრანტი აკაკი ხოშტარია ყოფილა, ხოლო მკვლელ პ. ჭანუყვაძის წამქეზებლები – მიხეილ კედია და კალე სალია. მიხ. კედიას იქვე აღუნიშნავს, რომ ევგ. გეგეჭკორი მკვლელობასთან დაკავშირებით ყველაფრის საქმის კურსში ყოფილა და ერთადერთს მას შესწევდა ტრაგიკული პროცესის შეჩერების უნარი, თუმცა ამის გაკეთება არ მოუსურვებია. მოგვიანებით მიხ. კედიას ეს განცხადება გაუკეთებია სტამბოლში ქართული კათოლიკური მონასტრის წინამძღვრის, პიო ბალაძის, აგრეთვე ემიგრანტების, სიმონ გოგითაურისა და ილარიონ ჩიმაკაძის თანდასწრებით. აღიარება-მონანიება გაფორმებულა წერილობით. ეს დოკუმენტი თითქოსდა ინახებოდა შ. ბერიშვილის პირად არქივში, როდესაც ის სტამბოლში იმყოფებოდა. მისი შემდგომი ბედი უცნობია.

შ. ბერიშვილი დათანხმდა მიხ. კედიას გერმანელთათვის დახმარების აღმოჩენაზე, თუმცა რით გამოიხატებოდა ეს დახმარება, იმ ეტაპზე დაკონკრეტებული არ ყოფილა.

მოგვიანებით ერთ-ერთ შეხვედრაზე ვებერთან ამ უკანასკნელმა პირდაპირ განუცხადა შ. ბერიშვილს, რომ დღის წესრიგში იდგა ი. სტალინის ფიზიკური განადგურების საკითხი, წინააღმდეგ შემთხვევაში სსრ კავშირთან ძნელი იქნებოდა გამარჯვების მიღწევა. თან დაამატა, რომ ამისათვის გერმანელები სახსრებს არ დაიშურებდნენ და ამ საქმეში მონაწილეობა შ. ბერიშვილს შესთავაზა. ეს უკანასკნელი მიიჩნევდა, რომ თხოვნა საკმაოდ რთული იყო, თუმცა შეპირდა, რომ საკითხს შეისწავლიდა და საკუთარ მოსაზრებებს მოახსენებდა. აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით საუბარი შემდგომ აღარ ყოფილა. სწორედ ამ პერიოდში შ. ბერიშვილმა შეიტყო თავისი ძმის – ბიკენტის – რუმინეთის ტერიტორიაზე ტყვეობაში ყოფნის ამბავი, რამაც ძალზე შეაწუხა. მიუხედავად დიდი მცდელობისა, შ. ბერიშვილმა ძმის დახსნა ტყვეობიდან ვერ მოასწრო და ბიკენტი 1943 წელს გარდაიცვალა.

სტამბოლში მყოფ ქართველ ანტისაბჭოთა მოღვაწეებთან, შ. ბერიშვილთან და შემდგომ ს. მენაღარიშვილთან თანამშრომლობით დიდად იყო დაინტერესებული ესპანეთის დაზვერვა. სტამბოლში ესპანეთის საელჩოს პრესატაშეს საფარქვეშ საქმიანობდა ესპანეთის დაზვერვის რეზიდენტი თურქეთში, მეფის რუსეთის არმიის ყოფილი ოფიცერი ველიგოტნი დე ლა გარსია, რომელიც ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს ფრანკოს მხარეს იბრძოდა. დე ლა გარსია აქტიურად თანამშრომლობდა თურქეთისა და ინგლისის სპეცსამსახურებთან. ს. მენაღარიშვილთან ერთად, თითქოსდა, მონაწილეობა ჰქონდა მიღებული ქართველი ემიგრანტების, პოლიკარპე რუხაძისა და კონია მგელაძის 1948 წელს საქართველოში არალეგალურად შეგზავნაში.

სადაზვერვო საქმიანობის თვალსაზრისით შ. ბერიშვილს ბევრი პრობლემა დაუგროვდა. ის ინტენსიურად ეძებდა საბჭოთა დაზვერვასთან კავშირის აღდგენის საშუალებებს, თუმცა წარუმატებლად. საბოლოოდ შ. ბერიშვილი იმ დასკვნამდე

მივიდა, რომ აუცილებელი იყო საქართველოში არალეგალურად გადასვლა და სიტუაციაში ძირფესვიანად გარკვევა. ამისათვის, თურქი პარტნიორების თვალში აუცილებელი იყო შესაბამისი მიზეზის მოძებნა.

შ. ბერიშვილი შეეცადა დაესაბუთებინა ჯელალ-ბეისათვის, რომ შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, საჭირო იყო მისი კიდევ ერთხელ არალეგალურად გადასვლა საქართველოში შესაბამისი ანტისაბჭოთა საქმიანობის საწარმოებლად. ჯელალ-ბეი თავდაპირველად არ დაეთანხმა ამ მოსაზრებას, თუმცა, შემდგომ, ანკარიდან 1942 წლის 17 სექტემბერს მიღებული ნებართვის თანახმად, რასაც გერმანიის დაზვერვა და მიხ. კედიაც დაეთანხმნენ, გადაწყდა შ. ბერიშვილის საქართველოში არალეგალურად გაგზავნა.

1942 წლის 6 ოქტომბერს შ. ბერიშვილი უკვე თურქეთ-საქართველოს საზღვრის სიახლოვეს იმყოფებოდა. ის პირველად საქართველოში არალეგალური გადავიდა მაჭახელას რაიონში 1942 წლის 23 ოქტომბერს. საბჭოთა მესაზღვრეებთან შეხვედრის შემდეგ, შ. ბერიშვილი ჯერ ბათუმში, იქიდან კი თბილისში გადაიყვანეს. სულ მალე შ. ბერიშვილი უკვე მოსკოვში, ლ. ბერიას კაბინეტში იმყოფებოდა.

თავდაპირველად ნავარაუდევი იყო შ. ბერიშვილის დატვირთვა ახალი სადაზვერვო დავალებებით და სტამბოლში ხელახლა გაგზავნა, თუმცა შემდგომმა შეხვედრებმა საბჭოთა სპეცსამსახურების უმაღლესი ელიტის წარმომადგენლებთან (განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ბოგდან ქობულოვთან) შ. ბერიშვილი დაარწმუნა, რომ მას რაღაც დიდ ავანტიურაში ითრევდნენ და საზღვარგარეთ მისი გამოყენება სულ სხვა მიზნებისთვის იგეგმებოდა. მართალია, საბოლოოდ შ. ბერიშვილისათვის არ გაუმხელიათ, თუ რაში მდგომარეობდა მისი შესაძლო მისია, ის კარგად ხვდებოდა, რომ საკითხი ეხებოდა ი. სტალინის მომავალ მემკვიდრედ ლ. ბერიას კანდიდატურის წამოწევას და საზღვარგარეთიდან მის ფარულ მხარდაჭერას.

ინტენსიური მოლაპარაკებების მიუხედავად, ლ. ბერიას თანამზრახველებმა შ. ბერიშვილი ავანტიურაში ვერ ჩაითრიეს, ჩათვალეს, რომ მან უკვე ბევრი საიდუმლო იცოდა და მისი დაპატიმრება გადაწყვიტეს. მოგვიანებით, 1944 წლის 30 სექტემბერს შ. ბერიშვილი განსაკუთრებული სათათბიროს მიერ გასამართლებულ იქნა და მიესაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენის გამოტანის შემდგომ შალვა ბერიშვილთან კვლავ გრძელდებოდა ლ. ბერიას ახლო გარემოცვის წარმომადგენლების პერიოდული შეხვედრები ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, თუმცა უშედეგოდ.

შ. ბერიშვილი ვლადიმირის ციხეში თავდაპირველად მკაცრ იზოლაციაში იმყოფებოდა. ომის დამთავრების შემდეგ ის საერთო საკანში გადაიყვანეს, სადაც უცხო ქვეყნის მოქალაქეები – გერმანელები და ფრანგები იმყოფებოდნენ. მას შემდეგ, რაც ფრანგი პატიმრები გაათავისუფლეს, მათ საერთაშორისო ორგანიზაციის „წითელი ჯვრის" მეშვეობით განაახლეს კონტაქტი შ. ბერიშვილთან. ვინაიდან ეს უკანასკნელი საფრანგეთის მოქალაქე იყო და თან საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლად ითვლებოდა, ფრანგული მხარე ინტენსიურად ცდილობდა მის დახსნას, იქამდეც, რომ თვით საფრანგეთის პრეზიდენტ დე გოლსაც კი უთხოვია ამის თაობაზე ნიკიტა ხრუშჩოვისათვის. იმ შემთხვევაში, თუკი შ. ბერიშვილი საფრანგეთში დაბრუნებას მოისურვებდა, მას ფრანგები კომ-

პენსაციის სახით საკმაოდ სოლიდურ თანხას სთავაზობდნენ და თან საკადრისი პირობების შექმნას ჰპირდებოდნენ. შ. ბერიშვილმა ყველაფერზე ოფიციალური უარი განაცხადა და სიბერის საქართველოში გატარება ამჯობინა.

საქართველოში ჩამოსვლიდან კარგა ხნის შემდეგ შ. ბერიშვილმა მიიღო ბინა, დაოჯახდა, შეეძინა ქალიშვილი.[199] პატიმრობიდან ახლადდაბრუნებული შ. ბერიშვილი საბჭოთა იდეოლოგიამ და ხელისუფლებამ, სპეცსამსახურების დახმარებით, კიდევ ერთხელ გამოიყენა, ამჯერად ემიგრაციაში მყოფი ქართველების დისკრედიტაციისათვის.

1961 წლის 10 მაისს, დღის 12 საათზე საბჭოთა სომხეთის დედაქალაქიდან თბილისისაკენ გამოემგზავრა სკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნიკიტა ხრუშჩოვი საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად. იმავე დღეს, გაზეთ „კომუნისტში" დაიბეჭდა ვრცელი სტატია სათაურით „კვლავ სამშობლოში, საყვარელ საქართველოში", რომელსაც ხელს აწერდა ყოფილი ემიგრანტი შალვა ბერიშვილი. მკითხველისათვის საინტერესო უნდა იყოს ზოგიერთი ამონარიდი ამ სტატიიდან:

„უნდა გითხრათ, თანამემამულენო, რომ ამ აზრისაა დღეს ჩემი მეგობარი ლეო პატარიძე, რომელსაც ჩემსავით ძვირად დაუჯდა გზააბნეული ხეტიალი წარსულში. იგი ახლა საბჭოთა ქვეყნის მოქალაქეა ჩემსავით. ცხოვრობს, შრომობს და კმაყოფილია თავის ბედისა. მან დიდი ხნის წინათ დაკარგული თავისი ოჯახური ბედნიერება იპოვა, რაც გულით მახარებს."

„იმ ხანად საფრანგეთში არ ვყოფილვარ, მაგრამ შორიდან ვადევნებდი თვალს და გული მიკვდებოდა (გერმანელმა ნაცისტებმა ჯერ კიდევ ამაზე ადრე შემაძულეს თავი. 1939 წელს ვარშავაში ძმა დამიხვრიტეს, ტიტე ბერიშვილი, ის მცოდნე ინჟინერი და კარგი ადამიანი იყო. ნაცისტებმა ვარშავაში დახვრიტეს აგრეთვე სამოცდაათზე მეტი წლის ვასო ათაბეგაშვილი და იესე კეჭაყმაძე). გული მწყდება, რომ საფრანგეთისათვის ამ სამარცხვინო ომში მონაწილეობას იღებს ქართველი შალვა თაყაიშვილი".[172]

სტატიის დასასრულს ავტორი მადლობას უხდის საბჭოთა ხელისუფლებას და ხოტბას ასხამს მის სიდიადეს.

შ. ბერიშვილის სახელით გამოქვეყნებულ საბჭოთა ხელისუფლების მაამებლურ და დასაველეთის მაძაგებელ ამ სტატიას საზღვარგარეთ ქართველი ემიგრანტების აღშფოთება მოჰყვა. მათ შ. ბერიშვილი რენეგატად და სამშობლოს მოღალატედ გამოაცხადეს.

### ქართველი ემიგრანტები უცხო ქვეყნების სამსახურში

ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ნაწილი, როგორც ზემოთ აღინიშნა, მეორე მსოფლიო ომის დროს აგრძელებდა თავისი წვლილის შეტანას ანტისაბჭოთა საქმიანობაში, რაც, მათი აზრით, საბოლოოდ, საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენით უნდა დასრულებულიყო.

უცხოურ ლეგიონებში, სადამსჯელო ბატალიონებში, სპეციალური

დანიშნულების რაზმებში „დივერსანტ-პარაშუტისტთა“ სადაზვერვო ჯგუფებში მონაწილეობის გარდა, იგეგმებოდა ქართველ ემისართა საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის გზით არალეგალურად შეღწევა საქართველოში და იქ შესაბამისი სადაზვერვო სამუშაოების წარმართვა. ასეთი სახის ღონისძიებები, უპირველეს ყოვლისა, ხორციელდებოდა საზღვარგარეთის დაინტერესებული ქვეყნების სპეცსამსახურების მიერ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს აქტიური მონაწილეობით. საზღვარგარეთის ქვეყნების სპეცსამსახურების მისწრაფებებიდან გამომდინარე, საკუთარ ამოცანებს აყალიბებდნენ საბჭოთა სპეცსამსახურები. საბჭოთა დაზვერვა ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე რამდენიმე წლით ადრე შეეცადა მოწინააღმდეგე ქვეყნების ოპერატიული თვალსაზრისით საინტერესო ორგანიზაცია-დაწესებულებებში შეღწევას და, აქედან გამომდინარე, ოპერატიული და საინფორმაციო-ანალიტიკური საქმიანობის წარმართვას.

დაზვერვის კვლევის სფეროში შედიოდა საბჭოთა კავშირის მოსაზღვრე ქვეყნებთან მიმართებით ოპერატიული ინფორმაციის მოპოვება და მისი ანალიზი. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა სამხედრო-სტრატეგიული ინფორმაციის (საზღვრის გასწვრივ ჯარების განლაგება, მათი რაოდენობა, ჯარების სახეობა, სამხედრო საინჟინრო-საკომუნიკაციო ნაგებობების მშენებლობა, ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისადმი, ქვეყანაში შესაძლო შეღწევის სტრატეგიული სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო გზები და სხვ.) მიღებას. აღნიშნული ამოცანების შესრულება შესაძლებელი იყო მოსაზღვრე ქვეყნებში საბჭოთა სპეცსამსახურების მზვერავებისა და სპეციალურად მომზადებული აგენტების არალეგალური შეგზავნით. ამ პროცესში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ სპეცსამსახურები, რომლებიც ცდილობდნენ თავიანთი წვლილი შეეტანათ საერთო საქმეში. მათი ძალისხმევა მიმართული იყო თურქეთისაკენ, თუმცა ამ თვალსაზრისით ისინი მაინცადამაინც ვერ დაიტრაბახებდნენ. თურქეთის სპეცსამსახურები ფიქრობდნენ, რომ მცირერიცხოვანი სომხეთის სსრ სპეცსამსახური ათჯერ მეტ ზიანს აყენებდა თურქეთს, ვიდრე საქართველოს შინსახკომი. მათი ინფორმაციით, ქართველი აგენტების თურქეთის ტერიტორიაზე შეგზავნა იმდენად უსუსურად ხორციელდებოდა, რომ მათ ადვილად პოულობდა თურქეთის კონტრდაზვერვა.

ს. მენაღარიშვილის, მ. ბერიშვილის, დ. ერქომაიშვილისა და ს. გოგიბერიძის მსგავსად, ცნობილი ანტისაბჭოთა ქართველი ემიგრანტი გახლდათ ლ. პატარიძე, რომელიც საზღვარგარეთის ბიუროს რეკომენდაციით, 1939 წლიდან საზღვარგარეთის სპეცსამსახურებთან, კერძოდ, საფრანგეთის დაზვერვასთან თანამშრომლობდა. ლეონტი ესტატეს ძე პატარიძე, წარმოშობით ხაშურის რაიონიდან, 1919-1924 წლებში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის „ახალგაზრდა მარქსისტების“ აქტიური წევრი, რომელმაც 1930 წელს, იყო რა ხაშურის რაიონის სოციალური დაზღვევის სალაროს უფროსი, გაიტაცა 20 ათასი მანეთი და თურქეთში არალეგალურად გადავიდა. სტამბოლში რამდენიმედღიანი ყოფნის შემდეგ, ლ. პატარიძე საცხოვრებლად პარიზში გადასახლდა. მან 1932 წელს გახსნა რძის გადამამუშავებელი საკუთარი მცირე საწარმო, რომელიც 1939 წლამდე ფუნქციონირებდა.

საფრანგეთის დაზვერვასთან კონტაქტის დამყარების შემდეგ ლ. პატარიძემ საზღვარგარეთის ბიუროსაგან, ნ. ჟორდანიასთან, ს. მენაღარიშვილთან და ჭავჭავაძესთან საუბრის შემდეგ მიიღო დავალება, ემიგრანტ დავით ერქომაიშვილთან ერთად, გამგზავრებულიყო ირანში, რათა დაეფუძნებინა სანარმო, რომელიც ანტისაბჭოთა, არალეგალური საქმიანობისათვის საფარად გამოადგებოდა. რაც შეეხება საფრანგეთის დაზვერვისაგან მიღებულ ინსტრუქციას, ისინი თეირანში უნდა შეხვედროდნენ იქ ერთი წლის წინ ჩასულ სიმონ გოგიბერიძეს, რომელიც ლ. პატარიძესა და დ. ერქომაიშვილს შესაბამის დავალებებს მისცემდა. ლ. პატარიძე თეირანში უნდა მისულიყო ღვინით მოვაჭრე ქართველ ემიგრანტ იოსებ გეგენავასთან. ანტისაბჭოთა საქმიანობაში მას უნდა შეეცვალა სიმონ გოგიბერიძე, რომლის ქმედებებითაც საზღვარგარეთის ბიურო იმ პერიოდისათვის უკმაყოფილო იყო. ლეონტი პატარიძე და დავით ერქომაიშვილი თეირანში მართლაც შეხვდნენ ს. გოგიბერიძეს („ნიკო"), რომელმაც არ ჩათვალა საჭიროდ რაიმე საწარმოს გახსნა და თანამემამულეები პირდაპირ დააკავშირა საფრანგეთის სამხედრო ატაშეს, პოლკოვნიკ ალექსანდერს. ლ. პატარიძემ, დ. ერქომაიშვილმა და ს. გოგიბერიძემ, საფრანგეთის სამხედრო დაზვერვის მხარდაჭერით, დაიწყეს საქართველოში არალეგალური გადასვლისათვის მზადება.

იმ პერიოდში თეირანში ცხოვრობდნენ ქართველი ემიგრანტები: ალექსანდრე თურქია (ექიმი), ბორის წულაძე (ავტომანქანა „ზისის"-ის მძღოლი-მეპატრონე) და ვინმე ვანო კახეთიდან, რომლებიც ყველანაირად ცდილობდნენ საქართველოში არალეგალური გადასვლისათვის ქართველი ემისრების ხელშეწყობას. ირანის დედაქალაქში, აგრეთვე, ცხოვრობდნენ გრიშა საყვარელიძე (კინოთეატრის მფლობელი) და ედუარდ პაპავა. მოგვიანებით საბჭოთა სპეცსამსახურებმა ბ. წულაძე და ე. თურქია დააპატიმრეს.

1940 წლის იანვარში ლ. პატარიძე, ს. გოგიბერიძე და დ. ერქომაიშვილი თურქეთში გაემგზავრნენ. ისინი შეხვდნენ შ. ბერიშვილსა და სიმონ ჟღენტს. ამ უკანასკნელებმა სამეულის გეგმა მოიწონეს და მათ გამყოლად ქ. სამსუნის მცხოვრები ოსმან კახიძე შეურჩიეს. ამავდროულად, შ. ბერიშვილმა საფრანგეთის სამხედრო ატაშეს ლელეს გააცნო ს. გოგიბერიძე, რათა სადაზვერვო მოქმედებები კოორდინირებული ყოფილიყო.

იმჟამად საქართველოში მხოლოდ ს. გოგიბერიძე და დ. ერქომაიშვილი გადავიდნენ, ლ. პატარიძე კი დროებით სტამბოლში დარჩა.

1940 წლის მაისში საფრანგეთის დაზვერვისა და დ. ერქომაიშვილის დავალებით, ლ. პატარიძე სადაზვერვო საქმიანობისათვის, პიერ დაჩარის პასპორტით, გაგზავნილ იქნა რუმინეთში.

რუმინეთში ლ. პატარიძემ პოლონეთისა და საფრანგეთის სასარგებლო ანტისაბჭოთა სადაზვერვო პროცესში ჩააბა ქ. კონსტანცაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტები: ვასილ ჟღენტი, შალვა ჯაფარიძე და კაპანაძე. საჭირო იყო, გაერკვიათ შემდეგი საკითხები: როგორი იყო გერმანელთა გავლენა რუმინეთზე, რამდენად ბევრი გერმანელი ტურისტი სტუმრობდა რუმინეთს, რა პროდუქტები და პირველადი მოხმარების საგნები გაჰქონდათ გერმანელებს რუმინეთიდან და პირიქით, რა შემოჰქონდათ გერმანიიდან რუმინეთში, კონსტანციდან გაჰქონდათ თუ არა რუსული ნავთობი გერმანელებს და რა რაოდენობით, ჩადიოდნენ თუ

არა საბჭოთა კავშირიდან ანტისაბჭოთა განწყობის ადამიანები და შესაძლებელი იყო თუ არა სადაზვერვო მიზნებისათვის მათი გამოყენება, შეიძლებოდა თუ არა საბჭოთა ვალუტის შოვნა და სხვა.

ამას გარდა, შ. ბერიშვილთან შეთანხმებისამებრ, ლ. პატარიძე ბუქარესტში შეხვდა პოლონეთის დაზვერვის წარმომადგენელს ბანჩკოვსკის.

რუმინეთში ლ. პატარიძემ სულ 10 დღეს დაჰყო, რის შემდეგაც სტამბოლში დაბრუნდა. მას შემდეგ, რაც 1940 წლის მაისში გერმანელებმა დაამარცხეს საფრანგეთის არმია, ლელემ ლ. პატარიძის გამოყენება სადაზვერვო მიზნებისათვის საჭიროდ აღარ მიიჩნია და შესთავაზა მას სტამბოლში საფრანგეთის საელჩოს მძღოლად მუშაობა, რაზეც ეს უკანასკნელი იძულებული გახდა დათანხმებულიყო, რათა უსახსროდ არ დარჩენილიყო.[273] აღნიშნული პერიოდიდან მოყოლებული, შ. ბერიშვილის ინიციატივით, ლ. პატარიძე, დ. ერქომაიშვილი, ს. გოგიბერიძე და კალანდაძე ანტისაბჭოთა საქმიანობაში თურქეთის დაზვერვას აქტიურად ეხმარებოდნენ. 1940 წლის ივნისის ბოლოს ზემოაღნიშნულმა ჯგუფმა კავშირი დაამყარა ინგლისის დაზვერვასთანაც, რომელთათვისაც ცნობილი იყო მათი კავშირის თაობაზე საფრანგეთისა და პოლონეთის სადაზვერვო სამსახურებთან.

ლ. პატარიძე, დ. ერქომაიშვილი, ს. გოგიბერიძე და კალანდაძე სტამბოლის ქართული კათოლიკური ეკლესიის წინამძღვრის, შ. ვარდიძის შუამავლობით 1941 წლის ივლისში დაუკავშირდნენ ჯერ იტალიის, ხოლო შემდეგ გერმანიის დაზვერვებს, რომელთაგანაც ცალ-ცალკე მიიღეს დავალება, შეეღწიათ საქართველოში არალეგალურად და განეახლებინათ იატაკქვეშა ანტისაბჭოთა საქმიანობა.

1941 წლის აგვისტოს თვისათვის იგეგმებოდა იტალიის სპეცსამსახურების ემისრის, ქართველი ემიგრანტის სერგო ინასარიძის, აგრეთვე ს. გოგიბერიძისა და ლ. პატარიძის საქართველოში არალეგალური შეგზავნა, თუმცა თურქეთის კონტრდაზვერვის სამსახურმა ისინი დააპატიმრა. მათი ბედი გაიზიარეს „ქართული ფაშისტური კომიტეტის“ წევრებმა: გ. ბათმანაშვილმა და შ. ვარდიძემ, რომელთაც ჯერ დახვრეტა მიესაჯათ, ხოლო შემდეგ სასიკვდილო განაჩენი 25 წლიანი პატიმრობით შეუცვალეს. ს. გოგიბერიძემ და ლ. პატარიძემ რაღაც ხერხით თავი გადაირჩინეს (არ დაეკისრათ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა). კავშირი ამ ჯგუფისა იტალიის დაზვერვასთან შეწყდა, თუმცა ურთიერთობა თურქეთისა და გერმანიის სადაზვერვო სამსახურებთან კვლავ გრძელდებოდა.

ემისართა მორიგი შეგზავნა საქართველოში უნდა განხორციელებულიყო 1942 წლის გაზაფხულ-ზაფხულში. იმჟამად, საქართველოში არალეგალური საქმიანობისათვის ემზადებოდნენ: ლეონტი პატარიძე, სიმონ გოგიბერიძე და დავით ერქომაიშვილი (საგანგებო რაზმის ყოფილი წევრი, აქტიური ანტიბოლშევიკი).

საქართველოს სსრ სპეცსამსახურების მონაცემებით, ზემოაღნიშნული პირები საბჭოთა ქვეყნის მიმართ აქტიურ ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდნენ და დაკავშირებული იყვნენ საზღვარგარეთის ქვეყნების სპეცსამსახურებთან. ემიგრანტი-ემისრების საქართველოში არალეგალური შეგზავნის თაობაზე ინფორმაცია იმთავითვე გააჩნდათ ჩეკისტებს და შესაბამისი კონტრლონისძიებების გასატარებლად ემზადებოდნენ.

თავდაპირველად, ანტისაბჭოთა საქმიანობის საწარმოებლად საქართველოში არალეგალურად გადავიდა სიმონ გოგიბერიძე, რომელმაც თურქეთ-სსრკ

სახელმწიფო საზღვარი მალულად გადაკვეთა 1942 წლის 20-21 ივლისის ღამეს ჩიქვინეთსა და ყარა-ქესიუნის გორას შორის მიმდებარე ტერიტორიასთან. მას თურქი გამყოლი ჰუსეინ კოს ოღლი აცილებდა. მართალია, მესაზღვრეებმა დააფიქსირეს საზღვრის დარღვევა, მაგრამ დამრღვევის დაკავება ვერ შეძლეს. სიმონ გოგიბერიძემ საქართველოში დაახლოებით ერთი თვე დაყო. ამ ხნის მანძილზე არაერთი შეხვედრა ჩაატარა და შესაბამისი მასალაც მოიპოვა, შეეცადა რადიოგადამცემის გამოყენებასაც, თუმცა ვერ მოახერხა. არადა, გერმანელი მზვერავი დუპლიცერი, დაბანაკებული თურქეთის საზღვრის შორიახლოს, ყოველდღიურად ელოდა მისგან ინფორმაციას.

1942 წლის 24 ივლისს, როდესაც სიმონ გოგიბერიძე თურქეთში ბრუნდებოდა, იგი შეიპყრეს მესაზღვრეებმა. საბჭოთა სპეცსამსახურების ისტორიოგრაფიის მიხედვით, სიმონ გოგიბერიძე 1942 წლის 24 ივლისს შეუპყრიათ მესაზღვრეებსა და ჩეკისტებს იმ მომენტში, როდესაც „მას ეგონა, რომ უკვე გადავიდა თურქეთში აჭარის ასსრ-ის სოფელ უჩაბას მახლობლად". ამავე წყაროს მონაცემებით, ს. გოგიბერიძე სასჯელს იხდიდა ლეონტი პატარიძესთან ერთად.[30] სხვა მონაცემებით, ს. გოგიბერიძე შეუპყრია და საბჭოთა ორგანოებისთვის ჩაუბარებია ერთ-ერთი კოლმეურნეობის მეველეს, მოქალაქე ეფრემიძეს,[47] ხოლო ბ-ნი გ. კუტალაძის განმარტებით[11] ს. გოგიბერიძე თურქეთში გაბრუნებისას ნისლში მოულოდნელად წასწყდომია საბჭოთა საგუშაგოს და იგი დაუპატიმრებიათ. მისივე განმარტებით, ოცდაშვიდთვიანი წამების შემდეგ საბჭოთა მართლმსაჯულებას ს. გოგიბერიძისათვის ოცდახუთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსჯია სასჯელის ვლადიმირის ციხეში მოხდით.[277]

1956 წელს ს. გოგიბერიძე გაუთავისუფლებიათ, თუმცა თვე-ნახევრის შემდეგ ის კვლავ დაუპატიმრებიათ. საბოლოოდ, 25 წლიანი პატიმრობის შემდეგ ს. გოგიბერიძე 1967 წელს სამშობლოში დაბრუნებულა. მისთვის საბჭოთა ხელისუფლებას ჰუმანურობის ნიშნად „თემქის" დასახლებაში ერთოთახიანი ბინა უწუქებია. თავისუფლებისა და ახლობლების ნახვით გამოწვეული ბედნიერება ს. გოგიბერიძისათვის დიდხანს არ გაგრძელებულა. ის 1980 წლის 8 დეკემბერს მოულოდნელად გარდაცვლილა. დაუკრძალავთ კუკიის სასაფლაოზე დედისა და დების გვერდით.

წარუმატებლობის მიუხედავად, საქართველოს სოციალ-დემოკრატების საზღვარგარეთის ბიუროს ანტისაბჭოთა საქმიანობაზე ხელი არ აუღია და სულ მალე გადაწყდა საქართველოში ახლა უკვე ლეონტი პატარიძისა და დავით ერქომაიშვილის გაგზავნა.

1942 წლის 19 სექტემბერს ლ. პატარიძემ და დ. ერქომაიშვილმა არალეგალურად გადაკვეთეს თურქეთ-სსრკ-ის საზღვარი და საბჭოთა აჭარის ტერიტორიაზე აღმოჩნდნენ. მათ თან ჰქონდათ: 4 „მაუზერისა" და თითო-თითო „პარაბელუმისა" და „ბრაუნინგის" ტიპის პისტოლეტები, აგრეთვე „ვინტოვკა" ტყვიებითურთ, ასევე 3 ხელყუმბარა.

ლ. პატარიძე საქართველოს ტერიტორიაზე არალეგალურად იმყოფებოდა თითქმის ერთი წელი. ამ ხნის მანძილზე, თავისი მხარდამჭერებისა და თანამოაზრეების მეშვეობით შეაგროვა სხვადასხვა ხასიათის სადაზვერვო ინფორმაცია და ჰუსეინ კოს-ოღლის მეშვეობით საზღვრის იქით გააგზავნა.

საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საქართველოს სასაზღვრო ოლქის სამმართველოს მიერ საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნისა, კანდიდ ჩარკვიანისადმი მიწოდებულ ანგარიშში ლ. პატარიძესთან დაკავშირებით ნათქვამი იყო შემდეგი: „10 сентября совместными действиями Батумского пограничного отряда и Кедского РО НКГБ, в районе селения Дандало-Огриалы, что в 15 км северо-восточнее гор. Кеди, группой пограничников с помощью розыскной собаки и при содействии бойцов Истребительного батальона был задержан оказавший вооружённое сопротивление Патаридзе Леон Евстафьевич". „При личном обыске изъято: два пистолета с запасом боевых патронов, бинокль, 125 000 рублей денег советскими знаками и различная переписка*".[334] ლ. პატარიძე საბჭოთა მართლმსაჯულებამ გაასამართლა. თვრამეტწლიანი პატიმრობის შემდეგ ის, 1961 წელს საქართველოში დაბრუნდა. იმავე წლის ოქტომბრიდან მუშაობდა ახალდაბის ავეჯის ფაბრიკაში.

მოგვიანებით, ლეონტი პატარიძე, რომელმაც სასჯელი ციმბირის ბანაკებში მოიხადა, ისევე, როგორც ბევრი ყოფილი ემიგრანტი, ჩეკისტებმა საბჭოთა პროპაგანდისათვის გამოიყენეს და გაზეთ „სამშობლოს ხმის" (N 3) 1962 წლის მარტის ნომერში მოათავსეს მისი სტატია, რომლის პათოსი ასეთი იყო: „განა არ ვიყავი ყველაზე დიდი და მკაცრი სასჯელის ღირსი? მაგრამ საბჭოთა კანონმდებლობამ სიცოცხლეც შემინარჩუნა და არც ცხოვრების იმედი წაურთმევია. ჩემს მიერ ჩადენილი არაერთი მძიმე დანაშაულისათვის თვით საფრანგეთში ერთი კი არა, სასჯელად, ალბათ ათი სიცოცხლეც არ მეყოფოდა. მარტო მე კი არა, თვით ისინიც, ვინც წლების მანძილზე ცეცხლითა და მახვილით ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას, დღეს თავიანთ ოჯახებს დაუბრუნდნენ და ჩემზე კარგად იციან, რასაც წარმოადგენს საბჭოთა ქვეყანა".[206]

რაც შეეხება დავით ერქომაიშვილს, მისი შემდგომი ბედი უცნობია. ქ-ნ თ. პაპავას წიგნში გარდაცვლილ ქართველ ემიგრანტთა შორის მინიშნებულია ვინმე დ. ერქომაიშვილი (1900-1957), რომელიც დაკრძალულია ლევილში.[60]

## ქართული ანტისაბჭოთა ორგანიზაციები და ქართველი ემიგრანტები – ნაცისტური გერმანიის ინტერესების გამტარებლები

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის დაწყების წინ ი. სტალინის მთავარი იდეოლოგიური მოწინააღმდეგე ლევ ტროცკი, საბჭოთა სპეცსამსახურების „წყალობით", ცოცხალი აღარ იყო, ხოლო მისი თანამოაზრეები მთელი მსოფლიოს მასშტაბით დისკრედიტირებულები იყვნენ, ეგრეთ წოდებული

* „10 სექტემბერს ბათუმის სასაზღვრო რაზმისა და სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის ქედის რაიონული განყოფილების ერთობლივი ქმედებების შედეგად ქ. ქედიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით 15 კმ მანძილზე მდებარე დასახლება დანდალო-ოღრიალთან მესაზღვრეთა ჯგუფის მიერ, სამსახურებრივი ძაღლის მეშვეობით და გამანადგურებელი ბატალიონის მებრძოლების მხარდაჭერით დაკავებულ იქნა პატარიძე ლეონტი ესტატეს ძე, რომელმაც შეიარაღებული წინააღმდეგობა გაწია". „პირადი ჩხრეკისას ამოღებულ იქნა ორი პისტოლეტი სათადარიგო საბრძოლო ვაზნებით, ბინოკლი, 125 000 მანეთი ფული საბჭოთა ნიშნებით და სხვადასხვა მიმონერა".

თეთრი ემიგრაცია სტალინისა და საბჭოთა სისტემისათვის მაინც დიდ საფრთხეს წარმოადგენდა. საქმე ის იყო, რომ სამშობლოდან ერთ დროს დევნილების დიდი უმეტესობა არ იყო არც საბჭოთა და არც უცხო ქვეყნების მოქალაქეები. ისინი ეგრეთ წოდებულ „ნანსენის“ პასპორტებს ფლობდნენ და თავისუფლად გადაადგილდებოდნენ მთელ ევროპაში. ომამდე გერმანიაში ცხოვრობდა 150 ათასი თეთრი ემიგრანტი, საფრანგეთში – 400 ათასი; პოლონეთში – 100 ათასი; ჩინეთში (ძირითადად, მანჯურიასა და შანხაიში) – 70 ათასი; იუგოსლავიაში – 40 ათასი; ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთსა და ლატვიაში, თითოეულში – 30 ათასი ადამიანი, ხოლო რუმინეთში – 10 ათასი.[39] ამ ციფრებთან შედარებით პრაქტიკულად მიზერული იყო ქართველი ემიგრანტების რაოდენობა საზღვარგარეთ, რომელთა ნაწილს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის დაწყებამდე სამშობლოში დაბრუნების იმედი ჩაესახა, თუმცა რის ხარჯზე?

საბჭოთა საგარეო დაზვერვის მონაცემებით, 1941 წლის ოქტომბრისათვის ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში ასეთი ვითარება იყო:

ქართველ ემიგრანტთა ძირითადი ნაწილი თავმყრილი ყოფილა პარიზში. გერმანელთა მიერ საფრანგეთის ოპერაციის შემდეგ ქართველების უმეტესობა იქვე დარჩენილა. ემიგრაციის საქმეებს განაგებდა საქართველოს ოფისი და ფაშისტური განწყობის ემიგრანტებისაგან შემდგარი კომიტეტი. ნოე ჟორდანია, ოჯახთან ერთად საცხოვრებლად საფრანგეთის არაოკუპირებულ ნაწილში გადასახლებულა, რაშიც მას დახმარებია მისი მეგობარი, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე ანდრეან მარკე, რომელსაც ქართველ სოციალ-დემოკრეტთა ლიდერი ჯერ მის მშობლიურ ქალაქ ბორდოში გაუმგზავრებია, იქიდან კი კლერმონ-ფერხანში გადაუყვანია. ამ პერიოდისათვის ნ. ჟორდანიას ოჯახი გაჭირვებულ მდგომარეობაში ყოფილა. ერთადერთი, ვინც მუშაობდა და ოჯახს არჩენდა, ყოფილა მისი ქალიშვილი – პროფესიით ინჟინერი. ვაჟიშვილი ჯერ კიდევ დაწყებითი სასწავლებლის მოწაფე იყო.

პარიზში დარჩენილი პოლიტიკური ემიგრაციის ლიდერებიდან დაპატიმრებას გადარჩენია აკაკი ჩხენკელი და ევგენი გეგეჭკორი, რაშიც დიდი ყოფილა ლადო ახმეტელის როლი. დევნილი მთავრობის სხვა წევრები იმყოფებოდნენ ლევილში, პრაქტიკულად პატიმრობაში, „გესტაპოს“ მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ და არ ჰქონიათ იქიდან გამოსვლისა და პარიზში წასვლის უფლება. ლევილში იმ პერიოდისათვის უცხოვრიათ კ. კანდელაკს, ე. თაყაიშვილს, ს. ფირცხალავას, კ. ქავთარაძეს, ი. ზურაბიშვილს, კ. გვარჯალაძეს, ი. სალაყაიას, ი. ჭავჭანიძეს, გ. ერაძეს, ვ. მგელაძესა და სხვებს.

დაპატიმრებული ყოფილან გრიგოლ (გრიშა) უროტაძე, სარდიონ (სანდრო) მენაღარიშვილი, აგრეთვე კონსტანტინე გვარჯალაძე და სხვები. მოგვიანებით ყველა მათგანი გაუთავისუფლებიათ.

ქართული პოლიტიკური ემიგრაციის დემოკრატიულ ნაწილს არსებული ვითარებისათვის პროტესტის გამოთქმის არავითარი საშუალება არ ჰქონია.

პარიზში არსებული ფაშისტური კომიტეტი ფრიდონ წულაძის, გიორგი ჭაჭიაშვილის, ისიდორე მანწკავას, მიხეილ კედიას, ალექსანდრე ცომაიასა და სხვათა შემადგენლობით, დაკავებული იყო ქართული ნაციონალური ლეგიონის ჩამოყალიბებით. ბერლინში ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მდგომარეობა გაცილებით უკეთესი ყოფილა, ვიდრე პარიზში, ვინაიდან პოლიტიკური მოტივით

გერმანიაში ქართველებს არ დევნიდნენ და თუკი ასეთს ადგილი ჰქონდა, მათ გერმანელი მეგობრები ეხმარებოდნენ. პოლიტიკური საქმიანობით ძირითადად რამდენიმე ქართველი, ისიც ახალგაზრდა ყოფილა დაკავებული. მათ გერმანელთა უმაღლეს წრეებში ენდობოდნენ და დახმარების ხელს უწვდიდნენ. ესენი ყოფილან: კიტა ჩხენკელი (აკაკი ჩხენკელის ძმა), ნიკო იმნაიშვილი (სოციალ-დემოკრატი), პროფესორი ნიკურაძე (კავკასიის ოფისის მდივანი), ახალგაზრდა ახმეტელი და რუსიაშვილი. ძველი თაობიდან გერმანელები ანგარიშს უწევდნენ ვლადიმერ ახმეტელს, შალვა ამირეჯიბსა და მიხაკო წერეთელს.

პარიზის ქართული პოლიტიკური ემიგრაცია დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართული ლეგიონების ჩამოყალიბებას. ამ მიზნით მათ პარიზში გაუგზავნიათ სპეციალური რწმუნებულები: სამსონ ყრუაშვილი, სოსო გვარამაძე, საშა (ალექსანდრე) სულხანიშვილი. ამ საქმის ხელმძღვანელად ბერლინიდან დაუნიშნავთ: გენერალი კვინიტაძე, დათა ვაჩნაძე და საფრანგეთის არმიის ოფიცერი დათა შალიკაშვილი. მათ უცდიათ პოლონეთის არმიის ყოფილი ოფიცრების ჩართვა ქართულ ლეგიონებში, თუმცა იგრძნობოდა, რომ ამის მსურველები არც თუ ისე ბევრნი ყოფილან.

ლეგიონების შექმნით ქართველები ცდილობდნენ ნაცისტური გერმანიის უმაღლესი სახელისუფლებო წრეების საქართველოს თემატიკით დაინტერესებას.

გერმანიაში კარგი ავტორიტეტი ჰქონია აკაკი პაპავას ოჯახს.

ვარშავის ქართულ სათვისტომოს (კომიტეტს), სალაყაიას წასვლის შემდეგ, სათავეში ჩასდგომია სოციალ-დემოკრატი კოტე იმნაძე და სოციალ-ფედერალისტი გიორგი ნაკაშიძე, რომელთა საქმიანობასაც არათუ გაუერთიანებია ქართული პოლიტიკური ემიგრაცია, არამედ პირიქით, კიდევ უფრო დაუქსაქსავს და დაუშლია. გერმანელთა მიერ ვარშავის ოკუპაციის შემდეგ დიდად გახარებული ყოფილა ალშიბაია-კანდელაკის ჯგუფი და მათი უსიტყვო მიმდევარი გენერალი კონიაშვილი. განსაკუთრებით ამ პერიოდში, ქართველთა მხრიდან, ადგილი ჰქონია „გესტაპოში" ერთმანეთის დაბეზღებას.

პოლონეთის არმიაში მოღვაწე ქართველ ოფიცრებს კატეგორიული უარი განუცხადებიათ გერმანელებთან თანამშრომლობაზე, თუმცა ამის გამო ეს უკანასკნელნი ქართველებს ცუდად არ მოქცევიან. ქართველ ოფიცერთაგან დავით ქუთათელაძე, ჭოლაძე და ლაღიძე როგორღაც მოხვედრილან პოლონეთის არმიის იმ ნაწილში, რომელიც პალესტინაში იბრძოდა. მათ იქ საკმაოდ დიდი თანამდებობები ეკავათ.

პოლონეთის დედაქალაქის დაკავების შემდეგ იქ ჩასულა ვლ. ახმეტელი და დაუარსებია კავკასიის კომიტეტი, რომელსაც სათავეში ჩასდგომია გენერალი კონიაშვილი. აღნიშნული კომიტეტისათვის „გესტაპოს" გადაუცია ებრაელებისათვის წართმეული ოთხი ფაბრიკა, რომელთა შემოსავლებიდანაც უნდა ეარსება საქართველოსა და კავკასიის კომიტეტებს. სულ მალე კომიტეტს სათავეში მოქცევია დოქტორი ალშიბაია, რომელსაც ორი ფაბრიკა მიუთვისებია (ერთი უჩუქებია ქალიშვილისათვის, მეორე კი – ვაჟიშვილისათვის), ხალხი კი უსახსროდ და ულუკმაპუროდ დაუტოვებია ქუჩაში. ალშიბაია თავს თამამად იმიტომ გრძნობდა, რომ ბერლინში ჰყოლია გავლენიანი მფარველი, ცოლისძმა, ქართული სათვისტომოს ერთ-ერთი ხელმძღვანელი – კ. კიზირია. ირანში ადგილობრივი ქართული ემიგრაცია სუსტი ყოფილა. საფრანგეთის დამარცხების შემდეგ ქართველები

საერთოდ ინერტულები გამხდარან, რისი ძირითადი მიზეზიც ყოფილა პარიზთან კონტაქტების უქონლობა. მიუხედავად ამისა, ირანში მაინც საქმიანობდნენ ფაშისტების მხარდამჭერი ქართველები. პროცესს სათავეში ედგა ედუარდ პაპავა, რომელიც აკაკი პაპავას ფინანსური მხარდაჭერით პარიზიდან თურქეთში ჩასულა 1934 წელს. სწორედ ე. პაპავას ინიციატივით მომხდარა 1937 (?) წელს ქართველი ემისრების, მიხეილ ნიკოლაიშვილის, ბეჟან გიორგაძისა და გიორგი ვარდიაშვილის საქართველოში არალეგალური შეგზავნა. ე. პაპავას უშუალო კონტაქტი ჰქონია ისიდორე მანწკავასთან და თეთრგიორგელებთან. მისი უახლოესი თანამშრომელი თეირანში ყოფილა პოლკოვნიკი გამრეკელი. ე. პაპავა თითქოსდა ანტისაბჭოთა საქმიანობისათვის ფინანსურ სუბსიდიებს უშუალოდ თეირანში გერმანიის წარმომადგენლობისაგან ღებულობდა.[286]

ფაშისტური გერმანიის თემატიკისადმი მიძღვნილ მთელ რიგ უცხოურ გამოცემებში ნათლად არის დაფიქსირებული ის, რომ ადოლფ ჰიტლერს, ამზადებდა რა საომარი მოქმედებების გეგმებს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ზუსტად არ ჰქონდა განსაზღვრული ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ერების მიმართ გასატარებელი პოლიტიკა, კონცეპტუალური ხედვა.[51] სწორედ ამ მიზნით, აღმოსავლეთის დაპყრობილი ტერიტორიების ეფექტურად მართვისათვის, შეიქმნა გერმანიის აღმოსავლეთის ოლქების სამინისტრო, რომელსაც სათავეში ჩაუდგა გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური პარტიის საგარეო პოლიტიკის განყოფილების ხელმძღვანელი, წარმოშობით ესტონელი გერმანელი, ა. როზენბერგი. აღმოსავლეთისა და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროებმა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად 1941 წლის აპრილიდან დაიწყეს სსრ კავშირში მცხოვრები ერების მიმართ პოლიტიკური გეგმების შემუშავება.

1941 წლის 20 ივნისს გერმანიის სარდლობამ გამოსცა „ინსტრუქცია განსაკუთრებული ოლქების შესახებ N 21 დირექტივის („ბარბაროსას გეგმა“ – გ. ს.) გასავითარებლად“. მასში ჩამოყალიბებული იყო კავკასიაში, მათ შორის საქართველოში გასატარებელი საოკუპაციო გეგმის ხასიათი. პასუხისმგებლობა ამ გეგმის შესრულებაზე დაეკისრა აღმოსავლეთის ოკუპირებული ტერიტორიების საქმეთა სამინისტროს, უშუალოდ კავკასიაში კი – ადგილობრივ რაიხსკომისარიატს.

წარმოდგენილი დოკუმენტი მაინც ზოგადი ხასიათისა იყო და მასში საქართველოსა და კავკასიის რეგიონის მიმართ არ იყო გამოკვეთილი ნაცისტური გერმანიის პოლიტიკა. უფრო მეტიც, ჰიტლერი წინააღმდეგი იყო გერმანელთა სასარგებლო საქმიანობაში კავკასიის ხალხთა ემიგრაციის ჩართვისა. ამის უმთავრესი მიზეზი იყო ის, რომ გერმანიის პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობა ჯერ კიდევ 1941 წლის შემოდგომისათვის გეგმავდა სსრ კავშირისათვის სერიოზული დარტყმის მიყენებას.

მას შემდეგ, რაც გერმანიამ მოსკოვთან მწარე მარცხი იწვნია და ყველასთვის ნათელი გახდა, რომ მეორე მსოფლიო ომი დროში გაიწელებოდა, ფიურერის თანხმობით, გადაწყდა საბჭოთა კავშირიდან ერთ დროს ემიგრირებული ერების წარმომადგენლობის გამოყენება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ზემოაღნიშნულ საკითხში წამყვან როლს იჩემებდა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო, აღმოსავლეთისა და კავკასიის საკითხებში მთავარი ექსპერტის, ქართველთა ძველი მეგობრის, გრაფ შულენბურგის სახით. თუმცა, ასე არ

ფიქრობდა ა. როზენბერგის უწყება. მათ შორის დაპირისპირების მთავარი მიზეზი მაინც საბჭოთა კავშირში მცხოვრები ერების მიმართ გერმანიის პოლიტიკის განსხვავებული ხედვები იყო. შულენბურგი, გერმანიის გამარჯვების შემთხვევაში უფრო მომხრე იყო ველიკორუსული ყაიდის სამოკავშირეო სახელმწიფოს შექმნისა. რაც შეეხებოდა ა. როზენბერგს, ის, როგორც მცირე ერის წარმომადგენელი და ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ერთ-ერთი გამორჩეული და აქტიური წევრი, მომხრე იყო სსრ კავშირიდან უკრაინისა და კავკასიის გამოყოფისა და მათთან გერმანიის მხრიდან მჭიდრო ურთიერთობების დამყარებისა. ასეთი იყო შულენბურგისა და როზენბერგის ზოგადი კონცეპტუალური მიდგომა, თუმცა მათი შეხედულებები და გეოპოლიტიკური აზროვნება სსრ კავშირში მცხოვრები ერების მიმართ პერიოდულად იცვლებოდა.[51] თავდაპირველად, აღმოსავლეთის დაპყრობილ ტერიტორიებთან და ერებთან მიმართებით გერმანიის საგარეო საქმეთა და აღმოსავლეთის ოლქების სამინისტროები ერთმანეთთან აქტიურად თანამშრომლობდნენ, თუმცა მალე მათი აზრები რადიკალურად გაიყო.

დაპყრობილი და დასაპყრობი ტერიტორიების მიმართ საკუთარი ამოცანები ჰქონდა გადასაწყვეტი გერმანიის ერთ-ერთ სერიოზულ ძალას, სამხედრო დაზვერვას – „აბვერს“, რომელსაც კანარისი ხელმძღვანელობდა. „აბვერის“ მონაწილეობით დაიგეგმა და შემდგომში რეალიზებულ იქნა ბევრი სადაზვერვო ღონისძიება, მათ შორის ქართველი ემიგრანტებისა და ქართველი ტყვეების მონაწილეობით. როგორც კანარისის, ისე როზენბერგის უწყებასთან აქტიურად თანამშრომლობდა ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაციის ზოგიერთი წარმომადგენელი.

როზენბერგის უწყება იმთავითვე დაპირისპირებული აღმოჩნდა კანარისის სადაზვერვო ორგანოსთან, განსაკურებით მას შემდეგ, რაც აბვერის უფლებები ჰიტლერმა საგრძნობლად შეასუსტა. შესაბამისად, დაპირისპირებულები აღმოჩნდნენ ზემოაღნიშნულ უწყებებში დასაქმებული ქართველი ემიგრანტები. სიტუაციას ართულებდა ის გარემოება, რომ როგორც შულენბურგი, ისე როზენბერგი თავიანთ საქმიანობაში ეყრდნობოდნენ ემიგრაციის, მათ შორის ქართული ემიგრაციის სხვადასხვა დაჯგუფებას, რომლებიც ერთმანეთთან დიდი ხნის დაპირისპირებული იყვნენ.

გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შემდეგ, ქართველ ემიგრანტთა ნაწილი აქტიურად ჩაერთო მიმდინარე პროცესებში. მათსავით არ ფიქრობდა ქართველ ემიგრანტთა სხვა ნაწილი, რომელიც იდეურად დაუპირისპირდა პროფაშისტურად განწყობილ თანამემამულეებს, რითაც მათ შორის ჯერ კიდევ XX საუკუნის 30-იან წლებში ჩამოყალიბებული მწვავე ურთიერთობები კიდევ უფრო დაიძაბა.

საბჭოთა კავშირზე ნაცისტური გერმანიის თავდასხმიდან სულ მოკლე ხანში, გერმანელებმა ბერლინში ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან მიიწვიეს ქართული პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენელთა ერთი ნაწილი და დააბინავეს სასტუმრო „ადლონში“. ამ შეკრების ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო გრაფი ფონ შულენბურგი, რომელმაც მშვენივრად იცოდა საქართველოსა და ქართველი ერის ისტორია, მისი უახლესი წარსული. ვინ იყო გრაფი შულენბურგი და რატომ იყო ის ასე დაინტერესებული ზოგადად ქართული თემატიკით?

ფრიდრიხ ვერნერ ფონ დერ შულენბურგი, ცნობილი გერმანელი დიპლომატი,

ჯერ კიდევ 1911 წელს იქნა დანიშნული თბილისში გერმანიის ვიცე-კონსულის თანამდებობაზე. შულენბურგი ამავდროულად გერმანიის დაზვერვის თანამშრომელი იყო. გრაფი გახლდათ გერმანიის დაზვერვის ის ბრწყინვალე წარმომადგენელი, რომელმაც, საკუთარი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, სადაზვერვო პროცესი ხელოვნების დონეზე აიყვანა, თუმცა ნაცისტურმა ხელისუფლებამ ერთგულება არ დაუფასა და მისი სიცოცხლე ტრაგიკულად დასრულდა. მან კარგად შეისწავლა ამიერკავკასიის ისტორია და ეთნოგრაფია, მისი წარსული და აწმყო, გაიჩინა მრავალმხრივი კავშირები განსაკუთრებით, ქართულ და სომხურ მოსახლეობაში. შულენბურგი საქართველოში (ამიერკავკასიაში) არსებულ გერმანულ კოლონიებზე დაყრდნობით მრავალმხრივ ინფორმაციას ფლობდა. სადაზვერვო-საინფორმაციო საქმიანობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, შულენბურგმა ჩამოაყალიბა სხვადასხვა ორგანიზაცია, რომელთა მეშვეობითაც სულ უფრო და უფრო მეტ კონტაქტს ამყარებდა მისთვის საინტერესო პიროვნებებთან. ის აქტიურად იყენებდა გერმანული ფირმების „ზინგერის“, „დოიჩებანკისა“ და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლობებს.

შულენბურგი დიდი პატივისცემით სარგებლობდა გერმანოფილურად განწყობილ ქართულ ინტელიგენციაში, განსაკუთრებით მათში, ვისაც განათლება გერმანიის უმაღლეს სასწავლებლებში ჰქონდა მიღებული. შულენბურგის აქტიურობა მეფის რუსეთის სპეცსამსახურებს მხედველობიდან არ გამორჩენია. პეტერბურგი მის მიმართ რაიმე აქტიური ღონისძიების გატარებისაგან თავს იკავებდა გერმანიის იმპერატორის ვილჰელმ II-ის და რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ II-ის ნათესაური და გერმანია-რუსეთს შორის მეგობრული ურთიერთობების გამო.

იმ პერიოდის გერმანიის საგარეო-პოლიტიკური დოქტრინიდან გამომდინარე, ამ ქვეყნის დაზვერვის მიზანი, ომის დაწყების შემთხვევაში, რუსეთის იმპერიისგან კავკასიის მოწყვეტისათვის და გერმანიის პროტექტორატის ქვეშ დამოუკიდებელი სახელმწიფო ერთეულების შექმნისათვის წინაპირობების მომზადება იყო. ამ მისწრაფებებს გერმანიის დაზვერვა განსაკუთრებით საქართველოს მიმართ გამოხატავდა.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე შულენბურგი მოულოდნელად გერმანიაში გაემგზავრა შვებულებით. მალე მან აქტიური მონაწილეობა მიიღო ქართული ნაციონალური ლეგიონის ფორმირებაში, რომელიც თურქეთის ფრონტზე გერმანიის სასარგებლოდ იბრძოდა.

შულენბურგმა 1914-1916 წლებში ხელი შეუწყო „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის“ ჩამოყალიბებას. მასში შევიდნენ ქართველი არისტოკრატიის წარმომადგენლები და სამხედრო პირები. კომიტეტი და ნაციონალისტურად განწყობილი ქართული ინტელიგენციის ნაწილი აქტიურ მოლაპარაკებებს ანარმოებდა გერმანიის სამთავრობო წრეებთან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისათვის.

რუსეთის იმპერიის დამხობის შემდეგ, სულ მალე, შულენბურგი კვლავ საქართველოშია. ის გენერალ ფონ კრესის მეთაურობით შექმნილი გერმანიის საოკუპაციო ნაწილების დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელია.

შულენბურგმა აქტიური მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა სახის პოლიტიკურ კომბინაციაში, რომელთა მიზანიც რუსეთის იმპერიის ორბიტიდან ამიერკავკა-

სიის მოწყვეტა იყო. შულენბურგმა საქართველო 1918 წლის ბოლოს, პირველ მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხების შემდეგ, დატოვა.[86] საინტერესოა გრაფ შულენბურგთან დაკავშირებული ერთი პატარა, თუმცა თანამედროვეობისათვის ნიშანდობლივი ეპიზოდი. კერძოდ, გაზეთმა „რევოლუციურმა დროშამ" 1918 წლის 15 ივნისის ნომერში სათაურით „ოსების შუამდგომლობა" დაბეჭდა შემდეგი შეტყობინება: „სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის წარმომადგენლებმა მიმართეს გერმანიის რწმუნებულს, გრაფ შულენბურგს, რათა მან იშუამდგომლოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის შეერთებაზე საქართველოსთან ფედერაციულ პრინციპებზე".[212]

გამოცდილი დიპლომატი გრაფი შულენბურგი 1934 წელს საბჭოთა კავშირში გერმანიის ელჩად დაინიშნა. მკაცრი ზედამხედველობის მიუხედავად, ის მაინც აგრძელებდა სადაზვერვო საქმიანობას. დანიშვნიდან მოკლე ხანში, შულენბურგმა, ქალიშვილთან და სხვა უცხოელ თანმხლებ პირებთან ერთად, საქართველოში მოგზაურობაც მოახერხა და სადაზვერვო საქმიანობისათვის აჭარაში, ბათუმსა და ჩაქვის მიმდებარე ტერიტორიაზე ფოტოგადაღებებიც აწარმოა.[86]

ნაცისტური გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმისთანავე გრაფი შულენბურგი სამშობლოში დაბრუნდა და აქტიურად შეუდგა ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაციის მხარდაჭერას. შულენბურგი გარკვეულწილად ეწინააღმდეგებოდა ნაცისტური გერმანიის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე წარმოებულ პოლიტიკას, რაც არ აპატიეს ნაცისტებმა. გრაფი შულენბურგი, როგორც ჰიტლერის წინააღმდეგ 1944 წლის 20 ივნისის შეთქმულების ერთ-ერთი ორგანიზატორი, დააპატიმრეს, ხოლო სამი დღის შემდეგ, 23 ივნისს, დახვრიტეს.

ბერლინში გამართულ გერმანიაში მყოფ ქართველ ემიგრანტთა პარტიებისა და დაჯგუფებების წარმომადგენელთა ზემოაღნიშნულ შეხვედრებზე უპირველესად იხილებოდა გერმანელთა მხრიდან საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გარანტიების მიღების საკითხები და მომავალი თანაცხოვრების პრინციპები.

შულენბურგის მხარდაჭერით, 1941 წლის ბოლოსათვის ქ. ბერლინში დაფუძნდა „ქართული ნაციონალური კომიტეტის" საინიციატივო ჯგუფი, რომლის შტაბ-ბინაც განთავსდა გეგელპლაცის ქ. N 2-ში.

ქართული ნაციონალური კომიტეტის შექმნის აუცილებლობის საკითხი გრაფმა შულენბურგმა, რომელიც იმ პერიოდში გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმოადგენდა, კიდევ ერთხელ დააყენა 1942 წლის აპრილის შუა რიცხვებში, მას შემდეგ, რაც ადგილი ჰქონდა გერმანია-სსრ კავშირის ფრონტზე ქართველთა მასობრივად ტყვედ ჩავარდნას.

1942 წლის აპრილ-მაისში, გრაფ შულენბურგის ინიციატივით, ბერლინში მოეწყო კონფერენცია პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენლების მონაწილეობით. კონფერენციის მიზანი იყო საბჭოთა იმპერიაში შემავალი მცირე ერების მიმართ გერმანიის პოლიტიკის შემუშავება, ამ პროცესში ემიგრანტთა შესაძლო ჩართვის პერსპექტივებისა და ქართული ნაციონალური კომიტეტის შექმნის აუცილებლობის საკითხის განხილვა. სასტუმრო „ადლონში" შეკრებილთა შორის იყვნენ: საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი სპირიდონ კედია; ორგანიზაცია „თეთრი გიორგის" დამფუძნებლები მიხეილ (მიხაკო) წერეთელი და ლეო კერესელიძე; ქართულ-სომხური „უნიონის" ლიდერი

დავით ვაჩნაძე; თავადი ირაკლი ბაგრატიონი, აგრეთვე ცნობილი მეცნიერი ზურაბ ავალიშვილი და პოლკოვნიკი შალვა მაღლაკელიძე. კონფერენციაზე ასევე მიწვეული იყვნენ ჩრდილო-კავკასიური ემიგრაციის ლიდერები ჰეიდარ ბამატი და ალიხან კანტემირი, მუსავატელთა ლიდერი – ემინ რასულ-ზადე და იმამ შამილის შვილიშვილი სეიდ შამილი. კონფერენციაზე ქართული პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენლებმა ერთხმად აღიარეს, რომ საჭირო იყო ქართველი სამხედრო ტყვეებისაგან ცალკეული სამხედრო დანაყოფების შექმნა ქართული ნაციონალური კომიტეტის ხელმძღვანელობით; მათი სათანადო მომზადება გერმანიის ტერიტორიაზე კავკასიის განმათავისუფლებელი არმიის სულისკვეთებით და მათი გამოყენება აღმოსავლეთის ფრონტზე მხოლოდ შესაბამისი მომზადების შემდეგ.[51] ნიშანდობლივია, რომ ქართველები გერმანელებმა დააბინავეს იმ სასტუმროში, რომელშიც 1918 წელს გერმანელებთან მოლაპარაკებების საწარმოებლად ცხოვრობდა ქართული დელეგაცია (ზ. ავალიშვილი, აკ. ჩხენკელი, ნ. ნიკოლაძე, გ. მაჩაბელი და სხვები). კომიტეტის თავმჯდომარის კანდიდატურასთან დაკავშირებით და მომავალი გეგმების თაობაზე სჯა-ბაასი დიდხანს გაგრძელდა. თავდაპირველად, 1942 წლის მაისისათვის ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელად ირაკლი ბაგრატიონის კანდიდატურა იხილებოდა, თუმცა მას მხარი ქართული პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენლებმა არ დაუჭირეს. ამის შემდეგ ი. ბაგრატიონმა ბერლინი დატოვა. პარიზში დაბრუნება სურდა სპ. კედიასაც, რომელიც ხედავდა, რომ ამ საქმიდან არაფერი გამოდიოდა. 1942 წლის ზაფხულში ქართული ნაციონალური კომიტეტი, ბოლოს და ბოლოს, ამოქმედდა. პრაქტიკულად ეს იყო ნაციონალ-სოციალისტური გერმანიის მიერ საქართველოს პოლიტიკური წარმომადგენლობის აღიარების დასაწყისი. ხანგრძლივი დებატების შემდეგ „ქართულ ნაციონალურ კომიტეტს“ სათავეში ჩაუდგა ორგანიზაცია „თეთრი გიორგის“ ერთ-ერთი დამაარსებელი პროფესორი მიხაკო წერეთელი. კომიტეტის წევრები იყვნენ: სპირიდონ კედია, პროფესორი ზურაბ ავალიშვილი და გიორგი მაღალაშვილი. მიხ. წერეთელმა აღნიშნული კომიტეტის სახელით განუცხადა გერმანელებს, რომ ეს ორგანიზაცია იარსებებდა მხოლოდ ემიგრაციაში, ხოლო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ქართველი ერი თვითონ გადაწყვეტდა საკუთარი ხელისუფლების საკითხს.

„ქართული ნაციონალური კომიტეტის“ საქმიანობასთან დაკავშირებით თავი იჩინა გერმანიის ორი უწყების დაპირისპირებამ. გერმანიის მიერ დაპყრობილი აღმოსავლეთის ოლქების სამინისტრო, როზენბერგის მეთაურობით, სასტიკი წინააღმდეგი იყო კავკასიის საკითხის ცალკე პრობლემად გამოყოფისა და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი დაქვემდებარებისა. ამაში მათ დაარწმუნეს ჰიტლერიც, რომელმაც ქართული კომიტეტის ნაცვლად ნება დართო დაარსებულიყო „ქართული საკავშირო შტაბი“ (ძირითადად, ნაციონალური ლეგიონების შესაქმნელად) და ქართველთა საკითხი მთლიანად აღმოსავლეთ ოლქების სამინისტროს განკარგულებაში გადავიდა. ამ გადაწყვეტილებით უკმაყოფილო დარჩა გრაფი შულენბურგი.

კომიტეტის საქმიანობა არაეფექტური აღმოჩნდა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გრაფი შულენბურგი, რომელიც ლობირებდა ამ კომიტეტის შექმნის იდეას, ჩამოაცილეს პროცესებს და საკითხი მთლიანად გადაიბარა აღმოსავლე-

თის სამინისტრომ. მიხ. წერეთელი გერმანელების მიმართ მუდმივ პრეტენზიებს გამოთქვამდა მასზე, რომ ეს უკანასკნელნი არ აძლევდნენ მას ფართო უფლებებს. გერმანელები, თავის მხრივ, მიხ. წერეთელს უმოქმედობაში ადანაშაულებდნენ. ასეთ ვითარებაში, 1943 წლის ივლისის დასაწყისში სპ. კედიამ კომიტეტი დატოვა. მალე მას მიბაძა ზ. ავალიშვილმაც. კომიტეტისადმი მათი ასეთი დამოკიდებულების ძირითადი მიზეზი იყო იმედგაცრუება, რომელიც მათ ჩამოუყალიბდათ აღმოსავლეთის დაპყრობილი რეგიონების მიმართ გერმანიის პოლიტიკის და გერმანიის არმიის მიერ საქართველო განთავისუფლების უპერსპექტივობის გამო. ვინაიდან ქართული ნაციონალური კომიტეტის უფლება-მოვალეობები ზოგადი ხასიათის, ხოლო კომპეტენცია შეზღუდული იყო, მის არსებობას დიდი დღე არ ეწერა. 1943 წლის 25 ოქტომბერს ზემოაღნიშნული კომიტეტი პრაქტიკულად დაიშალა. მის სანაცვლოდ შეიქმნა ახალი, გაცილებით უფრო ორგანიზებული და მრავალმხრივი ფუნქციით აღჭურვილი ორგანიზაცია – „ქართული საკავშირო (სამოკავშირეო) შტაბი" (გეორგიშე ფერბინდუნგე შტაბ-ფერ-მა). შტაბი შედგებოდა პოლიტიკური, სამხედრო, პროპაგანდისა და საფინანსო-სამეურნეო განყოფილებებისაგან. შტაბს და ამავდროულად პროპაგანდის განყოფილებას ხელმძღვანელობდა მიუნხენის ახლოს მდებარე სოფელ ლოვცოვოს მსხვილი მემამულე, ქართველი ემიგრანტი გიორგი მაღალაშვილი. პოლიტიკურ განყოფილებას სათავეში ჩაუდგა მიხეილ კედია. სამხედრო განყოფილება ჩაიბარა ყოფილმა წითელარმიელმა, ობერ-ლეიტენანტმა გივი გაბლიანმა. საფინანსო-სამეურნეო განყოფილებას განაგებდა გრიგოლ ალშიბაიას შვილი მიხეილი. ქართული საკავშირო შტაბის აქტიური წევრები იყვნენ ალექსანდრე ცომაია, მიხეილ და ლადო ცხომელიძეები.[51]

შტაბი შეიქმნა აღმოსავლეთის სამინისტროს, „სდ"-ს, „გესტაპოსა" და სამხედრო სამინისტროს ინიციატივით და განაგებდა, ძირითადად, ქართული ლეგიონების საქმიანობას და პრაქტიკულად აწესებდა კონტროლს ევროპაში არსებული ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაციის საქმიანობაზე, რათა მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ყოფილიყო კოორდინირებული. მას სათათბირო ორგანოს ფუნქცია ჰქონდა.

სამოკავშირეო შტაბში პოლიტიკური წონადობით გ. მაღალაშვილსა და მიხ. კედიას არ ჩამორჩებოდა გივი გაბლიანიც.

გაბლიანი გივი (გოგი) ეგნატეს ძე, დაბადებული 1914 წელს, საბჭოთა არმიის ყოფილი პირველი რანგის სამხედრო ექიმი, საკუთარი სურვილით ტყვედ ჩაბარდა გერმანელებს 1941 წელს და დაიწყო აქტიური ანტისაბჭოთა საქმიანობა. ის მონაწილეობდა ქართული ლეგიონების ფორმირებაში, აგრეთვე ქართული და კავკასიური კომიტეტების შექმნაში.

მიხ. კედიასა და გ. მაღალაშვილის შემდეგ ქართულ კომიტეტში ერთ-ერთი გავლენიანი ფიგურა იყო მიხ. კედიას თანაშემწე, გერმანიის დაზვერვის სტაჟიანი თანამშრომელი – ალექსანდრე (საშა) ცომაია. მან გერმანიის სპეცსამსახურებსა და ზამბერგის სკოლაში საქმიანობით კარგი ურთიერთობები დაამყარა „ესეს"-სა და „გესტაპოსთან". ა. ცომაია, პროფესიით ჟურნალისტი, საქართველოდან პარიზში ემიგრირებული იყო 1929 წელს. 1943 წლიდან ცხოვრობდა ბერლინში.

კომიტეტის კიდევ ერთი გავლენიანი ფიგურა გახლდათ ვლადიმერ ცხომელიძე,

თბილისში ცნობილი სტომატოლოგის ვაჟი, რომელიც გერმანიაში იქნა ემიგრირებული 1928 წელს. თბილისში მას ჰყავდა და. ვ. ცხომელიძემ უმაღლესი განათლება ინჟინერ-ელექტრომექანიკოსის სპეციალობით ბერლინში მიიღო. საზღვარგარეთ დიდი ხნის ცხოვრების მანძილზე მას გერმანელთა შორის ნაცნობების ფართო წრე გააჩნდა. ვ. ცხომელიძე იმთავითვე გაერთიანდა ორგანიზაცია „თეთრი გიორგიში" და ბოლომდე მისი აქტიური წევრი იყო. ვ. ცხომელიძე კომიტეტში გ. მაღალაშვილის თანაშემწედ ითვლებოდა.

საბჭოთა დაზვერვის მონაცემებით კომიტეტთან აქტიურად თანამშრომლობდნენ: ბერეჟიანი შოთა, გაბუნია მიხეილი, ყალიჩავა კონსტანტინე, ალშიბაია აკაკი, ქავთარაძე მიხეილი, გამსახურდია აკაკი, მარგველაშვილი ლიზა.

გერმანელებმა ზემოაღნიშნულ შტაბთან სათანამშრომლოდ საპასუხისმგებლო პოლიტიკურ თანამდებობებზე არ მიიწვიეს ბერლინში მოღვაწე ნაწილი ქართველი ემიგრანტებისა, მათი საბჭოთა კავშირის მიმართ ლოიალობის გამო.

პროფესორი მიხ. წერეთელი გერმანელთა მისამართით მუდმივად გამოთქვამდა უკმაყოფილებას. ის 1943 წლის დასაწყისში საერთოდ წავიდა ბერლინიდან და გადასახლდა გარცში. ლეო კერესელიძე დაიღუპა 1944 წელს ბერლინის დაბომბვის შედეგად. ტიტე მარგველაშვილი ასევე ცნობილი იყო როგორც გერმანელთა მიმართ ოპოზიციურად განწყობილი. ბერლინის ქართული პოლიტიკური ემიგრაციის უმეტესობა იყო ან სოციალ-დემოკრატი ან უპარტიო, რომლებიც ასე თუ ისე დაკავშირებულნი იყვნენ თავის დროზე ან ებრაელებთან ან ბერლინის დემოკრატიულ საზოგადოებასთან. ომის მიმდინარეობის პერიოდში ყველა საკითხი, დაკავშირებული პოლიტიკურ, სამხედრო, ტექნიკურ საკითხებთან, აგრეთვე სამხედრო ტყვეებთან, ლეგიონერებთან და ა.შ. განიხილებოდა მხოლოდ საკავშირო შტაბში და აღმოსავლეთის სამინისტროს ქართულ განყოფილებაში, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობდა ამ შტაბთან.

გერმანიის აღმოსავლეთ ოლქების სამინისტროში ძირითადად პროფესიონალები და მეცნიერები მსახურობდნენ, ისეთები როგორებიც იყვნენ პროფესორები მენდე, ვენცლერი, გოლცი და სხვები.

გერმანიის აღმოსავლეთ ოლქების სამინისტროს ქართულ განყოფილებაში მსახურობდნენ ქართული პოლიტიკური ემიგრაციის სხვა ცნობილი წარმომადგენლები. განყოფილებას ხელმძღვანელობდა კავკასიაში დაბადებული გერმანელი ცაიტლერი. ქართულის გარდა არსებობდა სომხური, აზერბაიჯანული და ჩრდილოკავკასიური განყოფილებები, რომლებიც ერთიანობაში აწარმოებდნენ კავკასიელ საბჭოთა ტყვეთა აღრიცხვასა და სპეციალურ ბანაკებში მათ თავმოყრას.

ქართული, სომხური, აზერბაიჯანული და ჩრდილო კავკასიური კომიტეტები ერთი მთავარი მიზნის – კავკასიის დამოუკიდებლობის მიღწევის, ძალთა კონსოლიდაციისა და ერთობლივი ანტისაბჭოთა საქმიანობის ეფექტურობის გაზრდისათვის, გერმანიის სარდლობის მეთვალყურეობით, 1944 წლის ბოლოს გაერთიანდნენ ერთიან კავკასიურ კომიტეტში, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ცაინტლერი. კომიტეტის საბოლოო ფორმირება დასრულდა 1945 წლის აპრილის დასაწყისში.

ქართველებს, აზერბაიჯანელებს, სომხებსა და მთიელებს შორის იმთავითვე კარგი ურთიერთობა ჩამოყალიბდა. დიდი იყო მათში მიხ. კედიას ავტორიტეტი.

მიხ. კედია 1917 წლამდე სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში. საგანაგებო რაზმის მეთაურად მამის დანიშვნის შემდეგ, ის საცხოვრებლად და სასწავლებლად გადავიდა თბილისში. ემიგრაციაში ნასვლამდე მიხ. კედიამ ცოლად შეირთო დამოკრატიული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის უფროსის პლატონ ფაჩულიას ქალიშვილი ვალენტინა. სტამბოლში რამდენიმეთვიანი ყოფნის შემდეგ მიხ. კედია მეუღლესთან ერთად სასწავლებლად გერმანიაში გაემგზავრა. 1922-23 წლებში სწავლობდა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, თუმცა უსახსრობის გამო ვეღარ დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი და საფრანგეთში გაემგზავრა, სადაც მისი მშობლებიც დაფუძნდნენ.

მიხ. კედიამ პოლიტიკური საქმიანობა ჯერ კიდევ საქართველოში დაიწყო. ის იყო სოციალ-ფედერალისტთა ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრი. 1925 წლის დასაწყისიდან მიხ. კედია „თეთრი გიორგის" ერთ-ერთი აქტიური წევრია. ლეო კერესელიძესთან მომხდარი კონფლიქტის გამო, მან 1926 წელს დატოვა აღნიშნული ორგანიზაცია და შევიდა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში. 1929-1933 წლებში კვლავ „თეთრ გიორგიშია". 1933 წლიდან კვლავ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი გახდა. 1934 წელს აირჩიეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს წევრად. 1935 წელს ორგანიზაცია „კავკასიაში" გადავიდა.

მიხ. კედია საზღვარგარეთ მოქმედ თითქმის ყველა პარტიასთან თანამშრომლობდა. ამის მიუხედავად, ქართველი ემიგრანტების აზრით, სტაბილური პოლიტიკური მრწამსი, მას მაინც ვერ ჩამოუყალიბდა. როგორც სპ. კედიას მეუღლე ქ-ნი სოფიო ჩიჯავაძე-კედია აღნიშნავს თავის მემუარებში, მიხ. კედია ერთი პერიოდი სტალინის მოტრფიალეც კი ყოფილა და, თითქოსდა, საბჭოთა საქართველოში ცოლ-შვილის გაგზავნასაც კი აპირებდა.[89]

დაახლოებით 1937 წელს მიხეილ კედია დასახლდა პარიზის მახლობლად, დაბა კრაუსში. ემიგრანტთა წრეში დადიოდა ხმები იმის თაობაზე, თითქოსდა გერმანელთა დაზვერვას მიჰყიდა (მიხეილ ალშიბაიას მეშვეობით) ვარშავის ქართული ემიგრაციის პოლონეთის რეზიდენტურა, რისთვისაც საკმაოდ სოლიდური თანხა მიიღო. ამბობდნენ იმასაც, რომ მიხ. კედიას 1940 წელს პარიზში შეუძენია ქარხანა, რომელშიც ბევრი უმუშევარი ქართველი დაუსაქმებია.

ქართველ ემიგრანტთა აზრით, გერმანიის მიერ საფრანგეთის ოკუპაციის პირველივე დღეებიდან ჩანდა, რომ მიხ. კედიას მიმართ გერმანელები კარგად იყვნენ განწყობილნი.

მიხეილ კედიას კარგი ურთიერთობა ჰქონდა გემანელებთან, განსაკუთრებით, გერმანიის დაზვერვასთან. იმ ეტაპზე მას მოკრძალებული, განსაკუთრებით ქართველ ებრაელთათვის, მნიშვნელოვანი ფუნქცია დაეკისრა. მიხ. კედიას უნდა დაენესებინა მკაცრი კონტროლი ქართველი ებრაელებისათვის პირადობის მოწმობის გაცემაზე. ამისათვის მან შექმნა ქართველ-ებრაელთა კომიტეტი (Комитет грузин мойсейского вероисповедания),* რომელსაც სათავეში ჩაუყენა იოსებ ელიგულაშვილი. სწორედ ზემოაღნიშნული კომიტეტისა და „ქართველ ემიგრანტთა საქმეთა სამმართველოს" თანხმობის შემთხვევაში კომიტეტის

* მოსეს რწმენის მიმდევარ ქართველთა კომიტეტი (ქართველ ებრაელთა კომიტეტი).

თანამშრომელი, ქართველი ემიგრანტი ა. ქორქია გასცემდა დაინტერესებულ პირებზე „ეროვნების დამადასტურებელ მოწმობას". „გესტაპოსა" და ქართველებს შორის აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით ხშირი შეხლა-შემოხლის მიუხედავად, ეროვნების დამადასტურებელი მოწმობების გაცემა მაინც ისე ხერხდებოდა, როგორც ეს მიხ. კედიასა და მის გუნდს სურდათ. ამით მათ უამრავი ქართველი ებრაელი იხსნეს რეპრესირებისაგან, რაც დაუფასეს კიდეც ამ უკანასკნელებმა გერმანელთაგან საფრანგეთის განთავისუფლების შემდეგ.

საფრანგეთის ებრაელობამ, საფრანგეთის მთავარი რაბინის მეთაურობით, სასამართლო პროცესზე ერთხმად მხარი დაუჭირა მიხ. კედიასა და პატიმრობაში მყოფ ა. ქორქიას განთავისუფლებას. მადლიერ ებრაელებს მიხეილ კედიასათვის მატერიალური დახმარება არ შეუწყვეტიათ მისი შვეიცარიაში ცხოვრების დროსაც. ებრაელები ეხმარებოდნენ ქართული ანტისაბჭოთა პოლიტიკური ემიგრაციის სხვა წარმომადგენლებსაც.

მიხ. კედია ყველანაირად ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ქართველთაგან ის იყო ერთადერთი, ვისთანაც გერმანელებს უნდა ეწარმოებინათ მოლაპარაკებები საქართველოსა და ზოგადად კავკასიის საკითხთან დაკავშირებით. ამ მიზნით, მან სსრ კავშირთან ომის დაწყების პირველსავე დღეებში ჩამოაყალიბა „ქართველ ემიგრანტთა ბიურო", რომლის დანიშნულება იყო ყველა ქართველი ემიგრანტის მობილიზება და ერთიანი ძალით სსრ კავშირის წინააღმდეგ ბრძოლის წარმართვა. გერმანიის არმიის 1941 წლის ზაფხულის წარმატებების ფონზე მიხ. კედიამ, ნაციონალური ლეგიონებისათვის, დივერსიული სკოლებისა და გერმანიის საწარმოებისათვის შექმნა საბჭოთა (ეროვნებით კავკასიელების) ტყვეების გადმოსაბირებელი სპეციალური შტაბი.

მიხ. კედია განსაკუთრებით ეხმარებოდა გერმანელებს ქართველ სამხედრო ტყვეთაგან და ემიგრანტთაგან შექმნილი სადესანტო-დივერსიული ჯგუფების მომზადებაში. მასთან ერთად საქმიანობდნენ ქართველი ემიგრანტები სოსო გვარამაძე, მიტო სინჯიკაშვილი და ალექსანდრე ცომაია. აღნიშნული ჯგუფი საჭიროებდა ფინანსურ მხარდაჭერას, რისთვისაც „გესტაპოსგან" მიიღეს განსაკუთრებული რწმუნებები და კავშირები მთელ ევროპაში, რაც მათ ბიზნესისა და სხვადასხვა ფინანსური ოპერაციების წარმოების საშუალებას აძლევდა. ყველაზე წარმატებული ამ საქმეში მიხ. კედია აღმოჩნდა. სხვადასხვა გარიგებასა და კომერციული წინადადებების ლობირებაში მან გერმანელების ჩათრევაც მოახერხა, რითაც 1944 წლისათვის დიდი ქონება დააგროვა – თვლიდნენ ქართველი ემიგრანტები.

კომერციულ საქმიანობაში მიხ. კედიამ ჩააბა ევგ. გეგეჭკორიც. ამ უკანასკნელის შუამავლობით „გესტაპომ" მოახერხა მნიშვნელოვანი სავალუტო ოპერაციების ჩატარება და ამ გზით დიდძალი თანხის მიღება. ამით ევგ. გეგეჭკორმაც კარგად იხეირა და შეძლებულად განაგრძო ცხოვრება, ეპატიჟებოდა რა ხშირად საქეიფოდ თავის მეგობარ-თანაპარტიელებს. ეს მაშინ, როდესაც ნ. ჟორდანია და სხვა სოციალ-დემოკრატები ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით – შიმშილობდნენ.[279]

ერთხელ ი. ვალტერმა, მისმა შეფმა ვებერმა, ქართველ ემიგრანტთა ერთ ჯგუფთან (ევგ. გეგეჭკორი, სპ. კედია, მიხ. კედია, კ. კობახიძე და ს. ქორქია) ერთად მთელი ღამე მონმარტზე ერთ-ერთ კაფეში გაატარეს, ხოლო გამთენიისას

ქეიფის გასაგრძელებლად ელისეს მინდვრებზე გადაინაცვლეს. ეს დროსტარება მათ საკმაოდ სოლიდური თანხა დაუჯდათ. 1944 წლის შუა პერიოდიდან მიხ. კედია აქტიურად იყო ჩართული დიეერსანტ-პარაშუტისტთა ჯგუფების მომზადებისა და საქართველოში არალეგალურად შეგზავნის პროცესში. ის უშუალოდ მონაწილეობდა ზამბერგის სკოლაში მედესანტეთა მომზადებაში, ამუშავებდა მათთვის დავალებებს და აძლევდა კონკრეტულ მითითებებს.

მიხ. კედიასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ერთი გარემოება: ინგლის-ამერიკის გაერთიანებული ჯარების მიერ პარიზის დაკავების შემდეგ, მიხ. კედია და ალ. ცომაია სასწრაფოდ გაერიდნენ საფრანგეთს, დატოვეს რა პარიზში საკუთარი ოჯახები და უძრავ-მოძრავი ქონება. ეს მაშინ, როდესაც იყო იმის საშუალება, რომ საზღვარგარეთ თავიანთი ოჯახის წევრებიც უპრობლემოდ წაეყვანათ. ქართულ ემიგრაციაში ამ ფაქტის თაობაზე ბევრს საუბრობდნენ და ვარაუდობდნენ, რომ მიხ. კედიას ახლა უკვე ინგლისელებისაგან ჰქონდა მიღებული ხელშეუხებლობის გარანტიები, თუმცა, ბრიტანელებთან ურთიერთობის საკითხები მიხ. კედიას აუცილებლად გერმანელებთან უნდა ჰქონოდა შეთანხმებული – თვლიდნენ საქმეში ჩახედული ქართველი ემიგრანტები.

მიხ. კედიაზე საზღვარგარეთ, ქართველ ემიგრანტთა შორის წლების მანძილზე მოარული ხმები დადიოდა. ერთნი მას საბჭოთა დაზვერვასთან თანამშრომლობას აბრალებდნენ, მეორენი ინგლის-ამერიკის ალიანსთან აკავშირებდნენ და სხვა. მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობის პერიოდში მისი კავშირი გერმანიის სპეცსამსახურებთან აშკარა იყო. მიუხედავად ამისა, მიხ. კედია არ გამოირჩეოდა ნაცისტების მიმართ მოჭარბებული „სიყვარულით“ და თავის მისიას გერმანელთა მეშვეობით საქართველოს ბოლშევიკებისაგან განთავისუფლების ხელშეწყობაში ხედავდა. მიხ. კედია, როგორც ქართველი, მუდამ ცდილობდა ქართველი ტყვეების დახსნასა და მათ დახმარებას, თუმცა ერთნი ამაშიც რაღაც საეჭვოს ეძებდნენ.

გერმანიის მიერ საფრანგეთის ოკუპაციის მეორე დღიდან გერმანიის ხელისუფლებისათვის ქართველთაგან ყველაზე მიღებული პიროვნება მიხ. კედია გახდა. მიხ. კედია გერმანიის დაზვერვას უწევდა დახმარებას სადაზვერვო ცნობების მოწოდებაში ჯერ კიდევ გერმანია-პოლონეთის ომის დაწყების წინა პერიოდში. ამით მან გერმანელთა თვალში დიდი ნდობა და ავტორიტეტი მოიპოვა. თუკი გერმანელები მას საკუთარი გეგმების თაობაზე პირდაპირ არ ესაუბრებოდნენ, ქართველ ემიგრანტებთან დაკავშირებით მიხ. კედიასთვის მიცემული დავალებებიდან თავისუფლად შეიძლებოდა სათანადო დასკვნების გაკეთება. სწორედ გერმანელთა თხოვნით მიხ. კედიამ სსრ კავშირზე გერმანიის თავდასხმამდე რამდენიმე თვით ადრე ვენის დიეერსიულ სკოლაში მაიორ მიულერის განკარგულებაში მიავლინა ქართველ ემიგრანტთა ერთი ჯგუფი (შ. ნებიერიძე, სამსონ ყრუაშვილი, შალვა მაღლაკელიძე და სხვები). აღნიშნულმა ჯგუფმა გაიარა შესაბამისი სწავლება და მისგან შემდგომში ჩამოყალიბდა სადაზვერვო-დივერსიული დანაყოფი „თამარ-I“. ამ ჯგუფის ჩამოყალიბებაში მონაწილეობას არ ღებულობდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები. შესაბამისად, მასში არ ყოფილან ჩარიცხულები მათი პარტიის წარმომადგენლები. „თამარ-I“-ის უმრავლესობას შეადგენდნენ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრები და ქ. ჩოლოყაშვილის თანამოაზრენი. მას შემდეგ, რაც პარიზის მახლობლად, ორლეანში გაიხსნა

სადაზვერვო-დივერსიული სკოლა, საჭირო გახდა ახალი ჯგუფების ფორმირება და ამისათვის ახალი კადრების მოზიდვა. ეს პროცესი კი ქართველი სოციალ-დემოკრატების გარეშე ვეღარ ჩაივლიდა. ევგ. გეგეჭკორმა აღნიშნული მოსაზრება მიაწოდა მიხ. კედიას, რომელმაც გაიზიარა ძველი სოციალ-დემოკრატის წინადადება, რის შემდეგაც მოხდა საქმიანი შეხვედრა ნოე ჟორდანიასთან.

ბერლინიდან პარიზში დაბრუნებული მიხ. კედია ატარებდა თათბირებს ნ. ჟორდანიასა და ევგ. გეგეჭკორთან. ამ მჭიდრო თანამშრომლობის შედეგი იყო ის, რომ ორლეანის სადაზვერვო სკოლაში, გეგეჭკორი-ჟორდანიას პირდაპირი მითითებით, გაგზავნილ იქნა ქართველი სოციალ-დემოკრატი ახალგაზრდების ერთი ნაწილი (ჭირაქაძე, კანკავა, გრიგოლია, ბოლქვაძე და სხვ.). ს. მენაღარიშვილი მივლინებულ იქნა სტამბოლში თურქეთიდან საქართველოს ტერიტორიაზე ემისრების შეგზავნის ორგანიზებისათვის. მოგვიანებით მასთან გაიგზავნენ შ. ბერიშვილი, ს. გოგიბერიძე და ლეო პატარიძე. ასე რომ, ამ მომენტიდან დაწყებული ქართველ სოციალ-დემოკრატთა როლი ანტისაბჭოთა საქმიანობაში საგრძნობლად გაიზარდა და ეს იგრძნობოდა ორლეანის სადაზვერვო სკოლაშიც. სადაზვერვო-დივერსიული ჯგუფის „თამარ-II"-ის ბირთვს სწორედ რომ ქართველი სოციალ-დემოკრატები წარმოადგენდნენ.

1941 წლის 22 ივნისი ქართველ ემიგრანტთა ერთი ნაწილისათვის სასიხარულო აღმოჩნდა. საფრანგეთის სწრაფი დამარცხების შემდეგ ყველა ვარაუდობდა, რომ მის ბედს ასევე სწრაფად გაიზიარებდა საბჭოთა კავშირიც. საკითხი იდგა ასე – რამდენ კვირას გასტანდა ომი, რამდენ დღეში აიღებდნენ მოსკოვს და რა დროში შევიდოდნენ გერმანიის ჯარები საქართველოში.

პარიზში გერმანიის სსრ კავშირზე თავდასხმის ფაქტი გამოცხადდა რადიოთი 1941 წლის 22 ივნისის დღის 4.00 საათზე, დილის 8.20 საათისათვის მოსახლეობამ უკვე იცოდა ამის შესახებ, ვინაიდან საბჭოთა კავშირის საელჩო საფრანგეთში ალყაშემორტყმული იყო ღამის 4.00 საათისათვის. ამ ღამესვე დაპატიმრებულ იქნენ საფრანგეთში მცხოვრები საბჭოთა მოქალაქეები. მიხ. კედიას შტაბ-ბინაში, რომელიც განთავსებული იყო პარიზის ერთ-ერთ არისტოკრატიულ უბანში, „ელისეის მინდვრების" მიმდებარედ, ტევა არ იყო. ქართველი მოხალისეები ფრონტზე წასვლას ითხოვდნენ.

მიხეილ კედია გერმანიის დაზვერვის ოფიცრების ცუკრისტიანის, ენგალხაუტის, ვაგნერისა და სხვათა თანდასწრებით გამოვიდა თავისი რეზიდენციიდან და გარეთ თავმოყრილ ქართველებს აუწყა სსრ კავშირთან ომის დაწყება და განუცხადა, რომ მოხალისეთა რეგისტრაცია დაიწყებოდა მეორე დღეს, დილის 10 საათიდან. აღფრთოვანებული მასა ერთმანეთს ამხნევებდა შეძახილებით: „გაუმარჯოს გერმანიას", „გაუმარჯოს საქართველოს"

23 ივნისიდან დაიწყო მოხალისეთა რეგისტრაცია. პირველები „თეთრგიორგელები", შეფიცულები, ეროვნულ-დემოკრატები და მემარჯვენეები ჩაეწერნენ. სოციალ-დემოკრატებმა პარიზს, უფრო სწორად, ლევილს, მიაშურეს და ნ. ჟორდანიას ეახლნენ რჩევისათვის, მიეღოთ თუ არა მონაწილეობა ამ ომში გერმანელთა მხარდამხარ. ისინი სწუხდნენ, რომ საქართველოში შესვლის შემთხვევაში ნამყვან პოზიციებს სხვა პოლიტიკური დაჯგუფების წარმომადგენლები დაიკავებდნენ და სოციალ-დემოკრატებს არაფერი შეხვდებოდათ. ამ მოსაზრებას იზიარებდა ევგ.

გეგეჭკორი – „სირცხვილია ამის შეკითხვაც კი," – წარმოთქვა განრისხებულმა აკ. ჩხენკელმა. ამის შემდეგ მიხ. კედიას შტაბ-ბინას ქართველთა ახალი ნაკადი მიადგა.

რამდენიმე დღის შემდეგ ქართველთა პირველი შენაერთი ფრონტზე გასამგზავრებლად მზად იყო. თავდაპირველად ისინი გაშლილი დროშით, რომელზეც წარწერა იყო: „1924 წლის გმირს 1941 წელს ფრონტზე წამსვლელებისაგან", ქ. ჩოლოყაშვილის საფლავზე მივიდნენ და მუხლი მოიყარეს.

ქართველი მეომრები თითქმის მთელმა ქართულმა ემიგრაციამ ზარ-ზეიმით გააცილა. გამცილებელთა შორის არ იმყოფებოდა ნ. ჟორდანია. სადგურზე დემონსტრაციულად არ მივიდნენ ირ. წერეთელი, სპ. კედია და მიხეილ არსენიძე. ქართველთა შემდეგი ნაკადი გერმანიაში ორი კვირის შემდეგ გაემართა.

პარიზიდან გამგზავრებულმა ამ ორმა შენაერთმა შემდგომში შეადგინა უნტეროფიცრების ბირთვი ქართველი ლეგიონერებისათვის, რომლებიც გერმანიის არმიის შემადგენლობაში იბრძოდნენ.

მოაგვარა რა ზემოაღნიშნული შენაერთების გერმანიაში გამგზავრება, მიხ. კედია თვითონაც მალე გაემგზავრა ბერლინში. მან საფრანგეთში თავის მოადგილედ დატოვა აკაკი შავგულიძე, რომელიც ერთ დროს მისი ბიზნესპარტნიორი იყო. ა. შავგულიძე, პირადი და საქმიანი თვისებებიდან გამომდინარე, აღნიშნულ პოსტს ფორმალურად იკავებდა, ხოლო მიხ. კედიას ფაქტობრივი შემცვლელი მისი საფრანგეთში არყოფნის პერიოდში გახლდათ ევგ. გეგეჭკორი. ა. შავგულიძეს ჰყავდა თანაშემწეც – ყოფილი „თეთრგიორგელი" გიორგი ჯაყელი. ა. შავგულიძესა და გ. ჯაყელს მიხ. კედიამ გამოუყო სამუშაო კაბინეტი „ქართველ ემიგრანტთა საქმეთა სამმართველოს" შენობაში, სული-პრადონის ქუჩაზე.

რამდენიმე კვირაში პარიზში მოვიდა ცნობა, რომ ზემოაღნიშნული ქართული შენაერთები იმყოფებოდნენ ვენაში და შემოწმებას გადიოდნენ. შემდგომ ქართველები გაგზავნეს ბუქარესტში, სადაც კვლავ გაგრძელდა მათი შემოწმება-შესწავლა.

მიხეილ კედია ბერლინიდან მალე დაბრუნდა და, გერმანელებისაგან მიღებული დავალების თანახმად, დაიწყო მოლაპარაკებები ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ლიდერებთან „ქართული ნაციონალური კომიტეტის" შექმნის თაობაზე. იმ ეტაპზე კომიტეტის შექმნის იდეა ჩაიშალა. სანაცვლოდ, პარიზში ჩამოყალიბდა პოლიტიკური გაერთიანება „ერთობა". მიხ. კედია, ევგ. გეგეჭკორი და გერმანიის დაზვერვა იძულებული იყვნენ მხარი დაეჭირათ ამ გადაწყვეტილებისათვის. „ერთობაში" შეიქმნა ხელმძღვანელი საბჭო, რომელშიც ქართველი სოციალ-დემოკრატებიდან შევიდნენ: პავლე სარჯველაძე და ევგ. გეგეჭკორი; ეროვნულ-დემოკრატებიდან: დიმიტრი სინჯიკაშვილი, ალექსანდრე ცომაია, ელისე პატარიძე და ალექსანდრე ასათიანი; „თეთრგიორგელებიდან": ა. მანველიშვილი, ზ. აბაშიძე და კალისტრატე სალია. სოციალ-ფედერალისტებიდან: ნიკოლოზ ურუშაძე, ფ. შარაძე. საბჭოს ხელმძღვანელობდა „შტაბი". „ერთობის" ხელმძღვანელები გახლდნენ მიხ. კედია და ევგ. გეგეჭკორი. ამ გზით, გერმანიის დაზვერვამ საფრანგეთში მცხოვრები პრაქტიკულად მთელი ქართული ანტისაბჭოთა პოლიტიკური ემიგრაცია ჩართო ანტისაბჭოთა საქმიანობაში.

სადაზვერვო სკოლებისა და ლეგიონებისათვის საჭირო იყო სპეციალური ქართველი პროპაგანდისტების მომზადება. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო

რუმინეთიდან დაბრუნებულ ქართველებს დაემატნენ სხვა ქართველი ემიგრანტები და პროპაგანდისტთა ბირთვიც ჩამოყალიბდა. ესენი იყვნენ: ისიდორე მანწკავა, ვიქტორ ნოზაძე, მიხეილ ქავთარაძე, ზურაბ აბაშიძე, ალექსანდრე ჭეიშვილი, გიორგი ნოზაძე, აფრასიონ ხვედელიანი, ალექსანდრე ალანია, ალექსანდრე კიღურაძე, იოსებ გვარამაძე, დიმიტრი სინჯიკაშვილი, ვალიკო ტოგონიძე და სხვები. სწორედ ქართველი პროპაგანდისტების მეშვეობით ხდებოდა ქართველ ტყვეთა გადმობირება ნაციონალურ ლეგიონებსა და დივერსიულ-სადაზვერვო ფორმირებებში.

იმ პერიოდში გერმანელთა თვალში დიდი ნდობით სარგებლობდა ორგანიზაცია „თეთრი გიორგი". ამიტომ უმეტესწილად ამ ორგანიზაციის რიგებიდან არჩევდნენ გერმანელები კანდიდატებს სათანამშრომლოდ. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ „თეთრი გიორგი" იდგა საკმაოდ პირობით პოზიციაზე და არ იღებდა რაიმე პასუხისმგებლობას, არც საკავშირო შტაბის და არც გერმანიის აღმოსავლეთ ოლქების სამინისტროს საქმიანობაზე.

„თეთრი გიორგის" შექმნის იდეა გაჩნდა საზღვარგარეთ ემიგრაციაში მყოფ ქართველ ახალგაზრდობაში, რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისაგან საქართველოდან კომუნისტების განდევნისათვის გადამჭრელი ზომების მიღებას ითხოვდა.

ამ ჯგუფზე გარკვეული ზეგავლენა მოახდინა 1923 წლის შემოდგომაზე მიუნხენში ნაციონალ-სოციალისტთა ლიდერის – ჰიტლერისა და მის თანამზრახველთა ამბოხების ფაქტმა. მოგვიანებით ქართველი ემიგრანტები ჰიტლერის მიერ 1924 წელს ლამსდორფის ციხეში დაწერილ წიგნს „ჩემს ბრძოლას" გაეცნენ. სავარაუდოდ, სწორედ ამ მოვლენების გავლენით, 1925 წელს შეიქმნა ფაშისტური ყაიდის ორგანიზაცია „თეთრი გიორგი", რომლის პირველი ხელმძღვანელი იყო ვასილ (ვასო) ციცქიშვილი. მან ამ ორგანიზაციის საქმიანობაში ჩართო დამოუკიდებელი პოლკოვნიკი, „ქართველ გარიბალდად წოდებული" ლეო კერესელიძე, რომელმაც სულ მალე შეცვალა ვასო ციცქიშვილი. ორგანიზაცია „თეთრ გიორგის" მივმხრო მიხეილ კედია. ეს უკანასკნელი „თეთრი გიორგის" წევრებს შორის ყველაზე ახალგაზრდა და ენერგიული იყო.

„თეთრი გიორგი" თავის საქმიანობას ახორციელებდა ლოზუნგით – „საქართველო, უპირველეს ყოვლისა!" ეს ლოზუნგი გამოტანილი იყო ამ ორგანიზაციის პროგრამის გარეკანზე. ორგანიზაციის წევრები ატარებდნენ სპეციალურ სამკერდე ნიშანს. მასზე გამოსახული იყო „თეთრი გიორგი" (მხედარი, რომელიც დრაკონს ლახვარს სცემს) და ჰქონდა ქართულ ენაზე ამ ლოზუნგის – „საქართველო უპირველეს ყოვლისა" – ინიციალები.

ორგანიზაციაში შესვლა ნებაყოფლობითი იყო. მიღება ოფიციალურად ფორმდებოდა სექციის თავმჯდომარის სახელზე გაკეთებული სათანადო განცხადების საფუძველზე. ახლადმიღებულ წევრს გასაცნობად ეძლეოდა ორგანიზაცია „თეთრი გიორგის" პროგრამა.

დასაწყისში „თეთრმა გიორგიმ" შექმნა სპეციალური მებრძოლი ბრიგადები, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ ქართველ ემიგრანტებს, განსაკუთებით მათ, ვისაც ცალი თვალი საბჭოთა კავშირისაკენ ეჭირა და საქართველოში დაბრუნების სურვილს გამოთქვამდა. ორგანიზაცია „თეთრი გიორგის" მცირე ჯგუფი

პოლკოვნიკ ფრიდონ წულუკიძის მეთაურობით ესპანეთის სამოქალაქო ომში გენერალ ფრანკოს მხარეს იბრძოდა.

მთელი თავისი საქმიანობა „თეთრმა გიორგიმ" წარმართა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საბრძოლველად, ამართლებდა რა თავის საქციელს საქართველოს დამოუკიდებლობისა და გერმანიის პროტექტორატის ქვეშ მისი მოქცევის სურვილით.

ამ მიზნებისათვის „თეთრი გიორგი" აწარმოებდა აქტიურ მუშაობას იატაკქვეშეთში, ავრცელებდა ფაშისტურ ლიტერატურას საქართველოში, ცდილობდა ნაციონალისტური ზეგავლენის გაძლიერებას ემიგრანტებზე. მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე ორგანიზაცია „თეთრი გიორგი" არ იყო მრავალრიცხოვანი. მიუხედავად ამისა, ის მაინც ახერხებდა საკუთარი ორგანოს, გაზეთ „თეთრი გიორგის" გამოცემას, ჰყავდა წარმომადგენლები საფრანგეთში, გერმანიაში, ეგვიპტეში, სირიაში, პალესტინაში, იტალიაში, პოლონეთსა და მანჯურიაში.

„თეთრი გიორგის" ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენდა ე. წ. „დირექტორია" (ბიურო). მასში თავის დროზე შედიოდნენ: ლეო კერესელიძე, სტამბოლში არსებული ქართული მონასტრის წინამძღვარი – კათოლიკე ბერი შალვა ვარდიძე; ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი მიხაკო წერეთელი, აგრეთვე პარიზში მცხოვრები ქართველი ემიგრანტები: კალისტრატე (კალე) სალია, დიმიტრი (მიტო) კლდიაშვილი, ლევან ჯაყელი, მიტო კერესელიძე და სხვები.

ომის დაწყების პირველი დღეებიდან, „თეთრი გიორგის" ხელმძღვანელობა დაფუძნდა აღმოსავლეთ გერმანიის საქმეთა სამინისტროში, რომლის ნაწილიც შემდგომ შევიდა გერმანელების მიერ შექმნილ ქართულ კომიტეტში.

იმ პერიოდში „თეთრი გიორგის" ძირითადი მიზანი იყო:

სამხედრო ტყვე-ქართველების დამუშავება, მათი გადაბირება ნაციონალურ ფორმირებებში („ბერგმანი", „ბრანდენბურგის დივიზია", ნაციონალური ლეგიონები და სხვ.), ასევე სპეციალური სადაზვერვო-პროპაგანდისტული სკოლების შექმნა; სათანადო კადრების შერჩევა და მომზადება საქართველოს მომავალი პროგერმანული მმართველობისათვის; ორგანიზაციის წევრების სხვადასხვა ორგანიზაციებსა და სამხედრო ფორმირებაში ჩანერგვა და ა. შ.

„თეთრმა გიორგიმ" საკუთარი სექციების ჩამოყალიბება დაიწყო ყოფილი ქართველი ტყვეებით დაკომპლექტებულ პროპაგანდისტთა მოსამზადებელ სპეცსკოლებში, რომელთაც ძირითადად ამზადებდნენ ბერლინთან მიმდებარედ – ქ. ვუსტრაუში, კელცში (პოლონეთი), აგრეთვე ბატალიონ „ბერგმანში" და „ბრანდენბურგის დივიზიაში".

შუღლი იმთავითვე ამ ორგანიზაციის სენად იქცა. მიხ. კედია ვერ ეგუებოდა „თეთრი გიორგის" სათავეში ლ. კერესელიძის ყოფნას და დღენიადაგ ექიშპებოდა. გამორიცხული არ არის, რომ მათ შორის უთანხმოების ჩამოგდების „ინიციატორი" საბჭოთა სპეცსამსახურებიც ყოფილიყვნენ. ასეა თუ ისე, დარწმუნდა რა საკუთარი პოზიციების სისუსტეში, მიხ. კედიამ ემიგრანტებთან პატარიძესთან და დგებუაძესთან ერთად დემონსტრაციულად დატოვა ორგანიზაცია. მათი წამოსვლით „თეთრი გიორგი" საგრძნობლად შესუსტდა.

ლ. კერესელიძე წლების მანძილზე „თეთრი გიორგის" ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერი იყო. მან ეს მდგომარეობა შეინარჩუნა მაშინაც, როდესაც ის 30-იან

წლებში ოჯახთან ერთად ცხოვრობდა ჩრდილოეთ აფრიკაში – ალჟირსა და ტუნისში. ევროპაში ლ. კერესელიძე საკმაოდ სოლიდური კაპიტალით დაბრუნდა. ლ. კერესელიძე ავტორიტეტული პიროვნება გახლდათ გერმანელთათვისაც, რაც მიხ. კედიას აღიზიანებდა. აქედან გამომდინარე, ამ უკანასკნელმა გადაწყვიტა, კვლავ დაახლოებოდა ნოე ჟორდანიას და ამ გზით ებრძოლა ლ. კერესელიძის წინააღმდეგ.

ოფიციალური მონაცემებით, ლეო კერესელიძე დაიღუპა 1944 წლის ოქტომბერსა თუ ნოემბერში ინგლისელთა მიერ ბერლინის დაბომბვისას, თუმცა ემიგრანტთა წრეში  ლების მანძილზე მუსირებდა აზრი იმის თაობაზე, თითქოსდა მის სიკვდილში ერია მიხ. კედიას ხელი. ამაში დარწმუნებული იყო ლ. კერესელიძის ქალიშვილი, რის თაობაზეც ის ხშირად საუბრობდა ქართველ ემიგრანტთა შორის.

1944 წელს, ლეო კერესელიძის გარდაცვალების შემდეგ, მიხ. კედია კიდევ ერთხელ შეეცადა თეთრგიორგელების ურთიერთდაპირისპირებას, რამაც ორგანიზაციის კიდევ უფრო დასუსტება გამოიწვია. ამით ისარგებლა გიორგი მაღალაშვილმა და მოაწყო „თეთრი გიორგის" ბერლინის ორგანიზაციის შეკრება, რომელზედაც ის ამ ორგანიზაციის მეთაურად იქნა არჩეული.

ლ. კერესელიძის გარდაცვალებით და „თეთრი გიორგის" მეთაურად გ. მაღალაშვილის არჩევით მიხ. კედიას ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობაზე პრეტენზიები აღარ გამოუთქვამს. ქართული პოლიტიკური ემიგრაციის უმაღლეს ეშელონებში ვარაუდობდნენ, რომ მიხ. კედიას საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდა ნაცისტური პარტიის ერთ-ერთ ლიდერთან, ბორმანთან.

მიხ. კედია, როგორც გერმანელთა ერთ-ერთი ფავორიტი, ცდილობდა ქართული ემიგრაციის დაკავშირებას ანტისაბჭოთა ქართულ ემიგრანტულ ორგანიზაციებთან და ამ გზით ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობის ამაღლებას, თუმცა არცთუ ისე წარმატებით. ამის მიზეზი სხვადასხვა იყო.

ალფრედ როზენბერგის უწყების მიერ თანამდებობებზე დანიშნული ქართველები ქართული პოლიტიკური ემიგრაციისაგან დამოუკიდებლად საქმიანობდნენ და ანგარიშვალდებულნი იყვნენ მხოლოდ გერმანელთა, და არა ქართული ემიგრანტული ორგანიზაციების, წინაშე, რაც უკმაყოფილებას იწვევდა მთლიანად საზღვარგარეთის ქართულ საზოგადოებრიობაში.

მიუხედავად სამოკავშირეო შტაბის წევრების ენერგიული საქმიანობისა, ისინი ვერ ახერხებდნენ მათთვის საჭირო სრულყოფილი ინფორმაციის მოპოვებას. საქმე ის იყო, რომ შტაბმა თავისი არსებობა დაიწყო 1943 წლის ოქტომბერში. პირველი თვეები მოხმარდა ორგანიზაციული საკითხების მოგვარებას, მაგრამ 1943 წლის ნოემბრიდან დაიწყო ბერლინის ფართომასშტაბიანი დაბომბვა, განადგურებული აღმოჩნდა შენობა, რომელშიც განთავსებული იყო შტაბი. ბერლინი ნელ-ნელა ემსგავსებოდა ნანგრევებს, მოიშალა კავშირგაბმულობა, ფოსტა და ტელეგრაფი, დაიწყო საევაკუაციო სამუშაოები, ხშირი იყო მოსახლეობაში პანიკა. ასეთ პირობებში შტაბი ვერ ღებულობდა აუცილებელ ინფორმაციას, ამიტომ შტაბის წევრებს თვითონ უწევდათ სიარული და დაბომბვის შედეგად გაწყვეტილი კავშირების აღდგენა. გერმანელთა მიმართ უკმაყოფილება ქართული პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენლებს შორის  დღითიდღე იზრდებოდა. გერმანულ დანესებულებებში, მათ შორის აღმოსავლეთის სამინისტროში, იგ-

ზავნებოდა სამოკავშირეო შტაბის საწინააღმდეგო საჩივრები და საპროტესტო წერილები, თუმცა, ისინი საბოლოოდ მაინც თავს იყრიდა მიხეილ კედიასთან.

გერმანიის ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილებას გამოთქვამდა თვით მიხეილ კედიაც. მას ელემენტარული ორგანიზაციული საკითხების მოსაგვარებლადაც კი მუდმივი წინააღმდეგობა ჰქონდა გერმანელებთან. მათ შორის ურთიერთობები განსაკუთრებით დაიძაბა მას შემდეგ, რაც 1942 წლის ზაფხულში მიხ. კედია დაბრუნდა ფრონტის წინა ხაზიდან და არსებული რეალური ვითარების თაობაზე სიმართლე მოახსენა გერმანელებს. მიუხედავად ამისა, მიხ. კედია გერმანელთათვის ბოლომდე ერთგულ და საიმედო დასაყრდენ პიროვნებად დარჩა.

გერმანელებსა და ქართველებს შორის შეუთანხმებლობა იყო ეროვნულ საკითხებთან და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ერების მიმართ წარმოებულ პოლიტიკასთან დაკავშირებით. უმეტესობა იმ ქართველი ემიგრანტებისა, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით თანამშრომლობდნენ გერმანელებთან, თვლიდა, რომ თუ არა ათეულობით ათას სამხედრო ტყვესა და ქართველ ლეგიონერებზე ზრუნვა, მათი ფიზიკური გადარჩენის სურვილი და მორალური ვალდებულება, ბევრი დიდი ხანია შეწყვეტდნენ ურთიერთობას გერმანელებთან.

გერმანიის ხელისუფლება არაკეთილგანწყობით ხვდებოდა მსგავს საპროტესტო ქმედებებს და ამას უმადურობად აღიქვამდა. მიუხედავად ამისა, ქართველები დაჟინებით მოითხოვდნენ შტაბისაგან გარკვეული ინფორმაციის მიღებას. მაგალითად: როდესაც მოკავშირეები შეიჭრნენ საფრანგეთის ტერიტორიაზე, ქართული ემიგრაცია შეწუხებული იყო ჩრდილოეთ საფრანგეთში და საფრანგეთის კუნძულებზე დისლოცირებული ქართველი ლეგიონერების ბედით. ინფორმაციის არარსებობის გამო, შტაბისათვის მხოლოდ თვე-ნახევრის შემდეგ გახდა ცნობილი, რომ იქ განადგურებული იყო 4 ლეგიონი და რომ ბევრი ლეგიონერი ტყვედ იყო აყვანილი.

მეორე მსოფლიო ომის დროს ნაცისტური გერმანიის დაზვერვა ცდილობდა ქართული პოლიტიკური ემიგრაციის გამოყენებას არა მარტო ანტისაბჭოთა საქმიანობაში, არამედ ამა თუ იმ ქვეყნის ცალკეულ გავლენიან პოლიტიკოსებზე სასურველი ზეგავლენის მოხდენაში, რისი მაგალითიცაა ფინეთის პრემიერ-მინისტრისა და ევგ. გეგეჭკორის ურთიერთობების ერთი, თითქოსდა უმნიშვნელო, თუმცა საინტერესო ეპიზოდი.

მეფის რუსეთის ავტონომიურ მხარეს – ფინეთს – პირველი მსოფლიო ომის პერიოდში პროგერმანული ორიენტაცია ეკავა, რაც გამოწვეული იყო მეფის მთავრობის მიერ ფინეთის ავტონომიის გაუქმების პროექტის მომზადებითა და ამასთან დაკავშირებით ხელისუფლების მზადყოფნის დეკლარირებით.

1917 წლის მარტში ჰელსინკიში შეიქმნა სეიმი (მუშა დეპუტატების ანალოგია), რომელიც დროებითმა მთავრობამ მალე დაშალა. 1917 წლის 6 დეკემბერს ფინეთის ახლადარჩეულმა პარლამენტმა ფინეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადა. 1917 წლის 18 დეკემბერს საბჭოთა რუსეთის სახალხო კომისართა საბჭომ ცნო ფინეთის დამოუკიდებლობა, თუმცა თავისი ზეგავლენის გაძლიერების მიზნით ამ ქვეყანაში მუშათა აჯანყებებით მანიპულირებდა და ცდილობდა თავისი სასურველი სახელმწიფოებრივი სისტემის დამკვიდრებას. რევოლუციების

ჩახშობაში ფინეთს გერმანია ეხმარებოდა. 1918 წლის 1 აგვისტოს ფინეთში მონარქია დამყარდა, ხოლო 9 ოქტომბერს ფინეთის მეფედ არჩეულ იქნა გერმანელი პრინცი ფრიდრიხ კარლ ჰესენერი. 1919 წლის ივლისში ფინეთში რესპუბლიკა გამოცხადდა. არჩეულ იქნა პრეზიდენტი. 1920 წლის 14 ოქტომბერს რსფსრ-სა და ფინეთს შორის დაიდო საზავო ხელშეკრულება.

ფინეთის დაახლოება ნაცისტურ გერმანიასთან აქტიურად დაიწყო 30-იანი წლების შუა პერიოდიდან. მანამდე ქვეყანამ არაერთი ანტიკომუნისტური ხასიათის კანონი მიიღო. 1932 წელს შეიქმნა ფინეთის ფაშისტური პარტია. 1929-1933 წლებში ფინეთის ეკონომიკა მსოფლიო ეკონომიკის კრიზისის ფონზე სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა, თუმცა უკვე 1938 წლისათვის ფინეთის სამრეწველო განვითარებამ ომამდელი პერიოდის უმაღლეს დონეს მიაღწია. 1938 წელს ფინეთმა უარი თქვა სსრკ-ის შემოთავაზებაზე ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადების თაობაზე და საომარი მოქმედებებისათვის მზადებას შეუდგა.[93]

სსრ კავშირის ხელმძღვანელობა ხვდებოდა, რომ „ფინეთს კარგავდა" და მისთვის ჩვეულ უზნეო ხერხებს მიმართა. 1938 წელს, პირადად ი. სტალინის გადაწყვეტილებით, ფარულად, ორასი ათასი დოლარის ფინანსური დახმარება გადაეცა ფინეთის წვრილმეწარმეთა პარტიას, რომელსაც ქმედითი როლი უნდა ეთამაშა სასაზღვრო პრობლემების მოგვარებაში და საკუთარ მთავრობაზე მოეხდინა რუსეთის სასარგებლო პოზიტიური ზემოქმედება. ფინელებს თანხა გადასცა ფინეთში სსრკ-ის საელჩოს მდივნის საფარქვეშ მოქმედმა ცნობილმა მზვერავმა, პოლკოვნიკმა რიბკინმა, რომელიც იმხანად იარცევის გვარით მოქმედებდა. საბჭოთა მზვერავის ინსტრუქტირება პირადად ი. სტალინმა განახორციელა. რიბკინს ასევე მიეცა დავალება, ენარმოებინა საიდუმლო მოლაპარაკებები ფინეთის მთავრობის წარმომადგენლებთან თავდაუსხმელობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების შესაძლო გაფორმების თაობაზე. ფინეთის მთავრობისათვის მიწოდებული ეს წინადადება სახელმწიფოს მეთაურმა მანნერჰეიმმა არ მიიღო და აღნიშნულის თაობაზე საქმის კურსში ჩააყენა ა. ჰიტლერი.[73]

1939 წლის 28 ნოემბერს საბჭოთა მთავრობამ ფინეთთან თავდაუსხმელობის შესახებ ხელშეკრულების დენონსირება მოახდინა, ხოლო 30 ნოემბერს ფინეთსა და სსრკ-ს შორის დაიწყო საომარი მოქმედებები, რაც ფინეთის დამარცხებით დამთავრდა. 1940 წლის 12 მარტს მოსკოვში დაიდო სსრკ-ფინეთის ხელშეკრულება. მიუხედავად ამისა, ფინეთის მმართველმა წრეებმა მაინც განაახლეს გერმანიასთან ინტენსიური დიალოგი. 1940 წლის შემოდგომაზე ფინეთის მთავრობამ ფაშისტურ გერმანიას ამ ქვეყნის ტერიტორიაზე თავისი ჯარების შეყვანის ნება დართო.

1941 წლის 22 ივნისს გერმანიასა და სსრ კავშირს შორის დაწყებულ ომში ფინეთმა გერმანიის მხარე დაიჭირა და ფორმალურად სსრ კავშირს 26 ივნისს ომი გამოუცხადა. 1941 წელს ფინეთი შეუერთდა „ანტიკომინტერნულ პაქტს". იმავე წელს ფინეთთან დიპლომატიური ურთიერთობა განყვიტა დიდმა ბრიტანეთმა, ხოლო 1944 წელს – აშშ-მა.

ი. სტალინი დიდად იყო შეწუხებული გერმანია-ფინეთის სამოკავშირეო ურთიერთობებით, რომელიც ახალ ფაზაში შევიდა 1941 წლიდან. ყოველივე ეს შეიძლებოდა გერმანელებთან სეპარატისტული ხელშეკრულების ხელმონერით დამთავრებულიყო, ეს კი ბალტიის რეგიონში საბჭოთა კავშირის ინტერესების

იგნორირებას ნიშნავდა. თავის მხრივ, გერმანელები შიშობდნენ, რომ საბჭოთა კავშირი ფინეთის ოკუპაციას მოახდენდა. შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ იმ პერიოდში საბჭოთა კავშირი ფინეთში შეჭრას არ აპირებდა. მისთვის მთავარი იყო ამ ქვეყნის ნეიტრალიტეტის შენარჩუნება და პოლიტიკურ წრეებში ნეიტრალიტეტის იდეის დამკვიდრება. ამას კი საბჭოთა დაზვერვა წარმატებით ახორციელებდა ფინეთის წამყვანი პოლიტიკური პარტიების ლიდერებზე ზეგავლენის მოხდენით, ეგრეთ წოდებული ზეგავლენის აგენტების მეშვეობით. ფინეთის პარტიული ელიტა თანახმა იყო ეთანამშრომლა საბჭოთა დაზვერვასთან, თუკი საბჭოთა კავშირი უზრუნველყოფდა მათი ქვეყნის ნეიტრალიტეტს. ამასთან, ფინელებს ჰქონდათ ამბიცია, ეთამაშათ შუამავლის როლი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის.

1943-44 წლებში ფინეთში რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება შეიქმნა. ამით კარგად სარგებლობდა საბჭოთა საგარეო დაზვერვის სტოკჰოლმის რეზიდენტურა, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ზემოაღნიშნული დაზვერვის ოფიცერი რიბკინი და მისი მეუღლე, ასევე ცნობილი მზვერავი ზოია რიბკინა (ვოსკრესენსკაია – შემდგომში ცნობილი საბავშვო მწერალი). ზ. რიბკინა, შვედეთის ცნობილი მაგნატების ოჯახის წარმომადგენლის რაულ ვოლენბერგის მეშვეობით, შეეცადა ფინეთის ხელისუფლების დარწმუნებას სსრ კავშირთან მშვიდობიანი, სეპარატისტული ხელშეკრულების დადების აუცილებლობაში. საბჭოთა კავშირი, ამ შემთხვევაში, იძლეოდა ფინეთის სრული სახელმწიფოებრიობის გარანტიებს ომის დამთავრების შემდგომ პერიოდში. ამასთან, ვინაიდან ბალტიისპირეთში კვლავ მიმდინარეობდა საომარი მოქმედებები, საბჭოთა მხარე მოითხოვდა ფინეთის პორტებში საბჭოთა შეზღუდული სამხედრო (საზღვაო) კონტიგენტის ყოფნას. აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული საიდუმლო მოლაპარაკებები მიმდინარეობდა ფინეთში სსრკ-ის ელჩის, დერევიანკოს მონაწილეობის გარეშე, მისი ღრმად გასაიდუმლოების გამო.[73]

გერმანიის დაზვერვისათვის ცნობილი გახდა, რომ ფინეთის ხელისუფლება ინტენსიურად ფიქრობდა საბჭოთა კავშირთან მშვიდობიანი მოლაპარაკებების დაწყებას. თვით ფინეთის პრემიერ-მინისტრი ტანერიც „პორაჟენცული“ განწყობით იყო შეპყრობილი. გერმანიის დაზვერვისათვის ასევე კარგად იყო ცნობილი, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის და მეორე ინტერნაციონალის საქმიანობიდან გამომდინარე, მეგობრული ურთიერთობები ჰქონდათ ჩამოყალიბებული პრემიერ ტანერსა და ქართველ სოციალ-დემოკრატთა ერთ-ერთ ლიდერს, ევგენი გეგეჭკორს. მიხ. კედიამ სასწრაფოდ გამოიძახა ევგ. გეგეჭკორი ბერლინში. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში მას შეხვდნენ გრაფი შულენბურგი და გერმანიის დაზვერვის წარმომადგენელი მენდე, რომლებმაც სთხოვეს, სასწრაფოდ გამგზავრებულიყო ჰელსინკიში და გაეგო ტანერის რეალური დამოკიდებულება მიმდინარე ომთან დაკავშირებით და სამომავლო გეგმები და, თუკი მას მართლაც სურდა საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკებების დაწყება, მოეხდინა მასზე ზეგავლენა, გადაეფიქრებინებინა მისთვის ომის შეწყვეტის იდეა და გაეგრძელებინა გერმანიის სასარგებლო საქმიანობა.

ევგ. გეგეჭკორი მართლაც გაემგზავრა ჰელსინკიში და ტანერთან ორი კვირა დაჰყო. თუ რა სიტუაცია დახვდა მას ფინეთში და პირადად რა მოიმოქმედა, საი-

დუმლოდ დარჩა, თუმცა ფაქტია, რომ ფინეთმა ომი და გერმანიის მხარდაჭერა გააგრძელა.[288]

მას შემდეგ, რაც 1944 წლის სექტემბერში სსრ კავშირმა დაამარცხა ფინეთი, ამ უკანასკნელმა საომარი მოქმედებები შეწყვიტა, ხოლო 19 სექტემებრს მოსკოვში ხელი მოეწერა შეთანხმებას დაზავების შესახებ.

ქართული ანტისაბჭოთა ემიგრანტული საზოგადოება განსაკუთრებით იყო დაინტერესებული გერმანელთა მხარეზე 1942 წლის ბოლოს გადასული გენერლის, ანდრეი ვლასოვის პროგრამითა და მისი ქმედებებით, რათა შტაბს შესაბამისი პოზიცია დაეკავებინა მის მიმართ. სწორედ ვლასოვის არმია მიაჩნდა ქართული ანტისაბჭოთა პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენელთა ნაწილს ერთ-ერთ მთავარ დასაყრდენად ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, თუმცა ქართველებს იმედი აქაც გაუცრუვდათ.

1942 წლის ბოლოს ბერლინში გერმანიის დაზვერვის ეგიდით შეიქმნა ანტისაბჭოთა ორგანიზაცია „რუსული კომიტეტი", რომელსაც სათავეში გენერალი ანდრეი ვლასოვი ჩაუდგა. კავკასიის კავშირის შტაბსა და ა. ვლასოვს შორის იმთავითვე უთანხმოება ჩამოყალიბდა. საქმე ის გახლდათ, რომ ყოფილი საბჭოთა გენერლისათვის რუსეთი და საბჭოთა კავშირი ერთი და იგივე იყო. ა. ვლასოვი თვლიდა, რომ ი. სტალინის ხელისუფლებიდან ჩამოცილების შემდეგ, საბჭოთა კავშირს, იმავე საზღვრებში უნდა გაეგრძელებინა არსებობა.[51] 1944 წლის ოქტომბერში, ჰიტლერის ინიციატივით, გადაწყდა ყველა ნაციონალური კომიტეტის, მათ შორის ქართულისაც, გაერთიანება „რუსულ კომიტეტში". ამ გაერთიანებით უნდა დაფუძნებულიყო ერთიანი ანტისაბჭოთა ძალა – „რუსეთის ერების განთავისუფლების კომიტეტი". გერმანელთა დაჟინებული თხოვნის შემდეგ, გადაწყდა მიხ. კედიას შეხვედრა გენერალ ა. ვლასოვთან ანტისაბჭოთა ბრძოლაში ერთიანი პლატფორმის ჩამოსაყალიბებლად.

კარლსბადში, მიხ. კედიასთან ერთად, რომელიც „ქართული კომიტეტის" სახელით გამოდიოდა, ა. ვლასოვთან შესახვედრად გაფრინდა ემიგრანტი ცომაიაც. თავდაპირველად მიხ. კედია პირისპირ შეხვდა ა. ვლასოვს, რომელმაც განაცხადა, რომ ის საერთოდ არ აპირებდა სსრკ-ის რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხის განხილვას მომავალშიც კი, რამაც მიხ.კედია საკმაოდ გააღიზიანა. მთავარი თავყრილობა შედგა სასტუმრო „რიტცში". შეკრებას ესწრებოდნენ სსრ კავშირის სხვადასხვა ერების (ნაციონალური კომიტეტების) წარმომადგენლები.

პრეზიდიუმში ა. ვლასოვთან ერთად ისხდნენ: ერთი სასულიერო პირი, რომელიც მუდმივად ახლდა რუსეთის „მომავალ მეთაურს", გენერლები ტრუხინი, არხანგელსკი, კრასნოვი, შკურო და პოლკოვნიკი სახაროვი. წინა რიგში ისხდნენ მიხ. კედია და აღ. ცომაია. მოგვიანებით მათ ემიგრანტი გ. გაბლიანიც შეუერთდა.

მიხ. კედიას მიმართვა გენ. ვლასოვისადმი იყო პირდაპირი და მკაფიო:

„თქვენი საბჭო და მისი სხდომა მე არ მაინტერესებს. მე ვფიქრობდი, რომ გინდოდათ გეთქვათ, თუ რას ფიქრობდით თქვენ კავკასიის და საქართველოს დამოუკიდებლობის თაობაზე. თქვენი მანიფესტი ამ პუნქტში ჩვენ არ გვაკმაყოფილებს". ამაზე ვლასოვმა უპასუხა, რომ მას ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით უკვე ჰქონდა გამოთქმული საკუთარი მოსაზრება და რაიმე ახლის თქმას აღარ აპირებდა.

მიხ. კედია ამ შეხვედრებით ძალზე უკმაყოფილო დარჩა და ინანა კიდევაც, რომ საერთოდ მონაწილეობა მიიღო მასში, რის თაობაზეც უსაყვედურა გერმანელებს. ვლასოვის გამოსვლის პათოსიდან გამომდინარე, ქართველთა სამოკავშირეო შტაბმა კატეგორიული უარი განაცხადა ა. ვლასოვთან რაიმე ფორმით თანამშრომლობაზე.[13]

ა. ვლასოვის შემდგომი ბედი ტრაგიკული აღმოჩნდა.

თავდაპირველად, როდესაც სსრ კავშირში ერთ დროს ცნობილი და ი. სტალინთან დაახლოებული გენერალი ტყვედ ჩავარდა საკუთარ არმიასთან ერთად, მოსკოვს განსაკუთრებული ტრაგედია არ შეუქმნია. 1942 წლის 10 ოქტომბერს ანდრეი ვლასოვი გამოცხადდა უგზოუკვლოდ დაკარგულად. მას შემდეგ, რაც ვლასოვმა სსრ კავშირს პრობლემები შეუქმნა, საბჭოთა სპეცსამსახურებში შემუშავდა მისი ლიკვიდაციის რამდენიმე ვარიანტი, თუმცა მათი რეალიზაცია არ მომხდარა.

საბჭოთა დაზვერვა გენერალ ა. ვლასოვთან დაკავშირებით ინფორმაციის ნაკლებობას არ განიცდიდა, ვინაიდან მის ახლო გარემოცვაში ჰყავდათ დიდი ხნის გამოცდილი აგენტი – ვინმე კნიაზი გაგარინი, რომელსაც თავი ანტისაბჭოთა განწყობის ემიგრანტად მოჰქონდა. ის სისტემატურად აწვდიდა ცენტრს ინფორმაციას ა. ვლასოვისა და მისი სამხედრო შენაერთების გეგმებისა და მოქმედებების თაობაზე.

1945 წლის მაისში ანდრეი ვლასოვი აპირებდა ამერიკელებს ტყვედ ჩაბარებოდა ჩეხოსლოვაკიაში დისლოცირებული მისდამი დაქვემდებარებული არმიის პირველი დივიზიონის ნაწილებთან ერთად, მაგრამ საბჭოთა სამხედრო შენაერთებმა ის და მისი თანამებრძოლები დაატყვევეს. დაპატიმრების შემდეგ ა. ვლასოვი გადაიყვანეს მოსკოვში და მოათავსეს ციხეში ლუბიანკაზე, როგორც საიდუმლო ტუსაღი N 31. სასამართლო სხდომაზე ა. ვლასოვმა თავი დამნაშავედ არ ცნო და ხმამაღლა განაცხადა, რომ შეგნებულად იბრძოდა სტალინის ტერორისტული რეჟიმის წინააღმდეგ.1946 წლის 30 ივლისს ვ. ულრიხის თავმჯდომარეობით გამართულ სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის გადაწყვეტილებით ა. ვლასოვსა და მის 11 თანამებრძოლს სამშობლოს ღალატისათვის და ჯაშუშურ-დივერსიული საქმიანობისათვის მიესაჯათ სასჯელის უმაღლესი ზომა – სიკვდილი ჩამოხრჩობით. განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი 1946 წლის 1 აგვისტოს ღამეს ბუტირსკის ციხეში.[38]

1944 წლის სექტემბერში, ხანგრძლივი მცდელობის შედეგად, მოხერხდა საერთოკავკასიური გამაერთიანებელი შტაბის შეხვედრა, რომელზეც გერმანიის აღმოსავლეთის სამინისტროსგან ყველამ ერთხმად მოითხოვა შემდეგი: გერმანიის აღმოსავლეთის მინისტრ ალფრედ როზენბერგთან აუდიენცია; გერმანიის მიერ საქართველოსა და მთელი კავკასიის დამოუკიდებლობის ცნობა.

1944 წლის ბოლოს გერმანელები იძულებული იყვნენ, დაეკმაყოფილებინათ ზემოაღნიშნული მოთხოვნა. ა. როზენბერგმა და კავკასიურმა შტაბმა ხელი მოაწერეს შესაბამის დოკუმენტებს. მათში აღიარებული იყო კავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობა. აღნიშნული დოკუმენტები შემდგომში გამოქვეყნდა შტაბის ბეჭდვით ორგანოში და ნაწილობრივ – გერმანულ პრესაში.

აღსანიშნავია, რომ კავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობის აღიარება

მოუწია კაცს (იგულისხმება ა. როზენბერგი), რომელიც ადრე აუგად და არასწორ კონტექსტში მოიხსენიებდა კავკასიელ ხალხებსა და მათ მისწრაფებებს დამოუკიდებლობისაკენ.

1944 წლის მეორე ნახევარში მიხ. კედია დარწმუნდა საქართველოში, თითქოსდა, ანტისაბჭოთა დაჯგუფებების ამბოხებისათვის მზადყოფნაში და გერმანელთა მხარდაჭერით გადაწყვიტა თურქეთთან მოლაპარაკებების გამართვა, რათა ამ უკანასკნელთ საქართველოსაკენ დაძრული ქართული ლეგიონები გაეტარებინათ თურქეთის ტერიტორიაზე.

ამ იდეის რეალიზაცია დასაწყისშივე განწირული იყო, თუნდაც იმიტომ, რომ ამის თაობაზე საბჭოთა დაზვერვისათვის სწრაფად გახდა ცნობილი. მიუხედავად ამისა, მიხ. კედია სტამბოლში გაემგზავრა და თურქეთში გერმანიის დაზვერვის რეზიდენტის, ვიდმანის მეშვეობით და ქართველი სოციალ-დემოკრატების საზღვარგარეთის ბიუროს მუდმივი წარმომადგენლის, ს. მენაღარიშვილის უშუალო მონაწილეობით შეხვდა სტამბოლის ვილაეთის დაზვერვის უფროსს ჯელალ ბეი ქორალს, რომელმაც მიხ. კედიას ფორმალურად აღუთქვა დახმარება, თუმცა რეალურად არაფერი გაუკეთებია.

ქართველ ემიგრანტთა სურვილსა და მისწრაფებებზე, როგორმე აეხსნათ გერმანელთათვის საქართველოს, როგორც საუკუნოვანი ტრადიციების მქონე ქვეყნის ისტორიულ-კულტურული ღირებულებები, ნათლად მიანიშნებს მემორანდუმი, რომელიც ანტისაბჭოთა ქართული ემიგრაციის სახელით, ეროვნულ-დემოკრატ შალვა ქარუმიძის მეშვეობით გაეგზავნა გერმანიის მთავრობას.

დოკუმენტში აღწერილი იყო ქართველი ერის წარსული და აწმყო პოლიტიკური, ეკონომიკური და რელიგიური თვალსაზრისით.

თუ რა ბედი ეწია ამ მემორანდუმს, უცნობია (მემორანდუმის ტექსტის რუსული ვარიანტი ხუთ ნაბეჭდ ფურცლად ინახება ჩემს პირად არქივში – გ. ს.).

## ქართული ნაციონალური ლეგიონები და სპეციალური დანიშნულების რაზმები. შალვა მაღლაკელიძე

გერმანია-სსრკ-ს შორის გაჩაღებული ომის პირველ პერიოდში, საბჭოთა არმიის მარცხისა და წარუმატებლობის შემდეგ, გერმანელთა მიერ სპეციალურად შექმნილ ტყვეთა ბანაკებში უამრავმა ყოფილმა საბჭოთა სამხედრო მოსამსახურემ მოიყარა თავი. მათ შორის იყვნენ ქართველებიც, რომლებიც არასწორად დაგეგმილი სამხედრო ოპერაციების გამო მასობრივად ტყვედ ჩაცვივდნენ, განსაკუთრებით 1941-1942 წლების შემოდგომა-ზამთარში. ტყვედ ჩავარდნილი ქართველები სხვადასხვა ბანაკებსა და საკონცენტრაციო დანესებულებებში მოათავსეს. დასაწყისში ქართველ ტყვეთა მდგომარეობა უმძიმესი იყო.

შექმნილი რთული ვითარებიდან გამომდინარე, გერმანიის ხელმძღვანელობამ 1942 წლის 8 თებერვალს გამოსცა საიდუმლო განკარგულება ქართული ლეგიონის შექმნის თაობაზე. თავდაპირველად ნაციონალური ლეგიონების შექმნისა და გერმანიის ინტერესებისათვის მათი გამოყენების იდეის პრაქტიკული რეალიზაცია დაიწყო კანარისის უწყებამ. ლეგიონების პარალელურად იქმნე-

ბოდა სხვადასხვა დანიშნულების სამხედრო და დივერსიულ-სადაზვერვო ფორმირებები.

მეორე მსოფლიო ომში გერმანელთა მხარეს მებრძოლი ნაციონალური ლეგიონებისა და სპეციალური დანაყოფების საქმიანობას ბევრმა უცხოელმა მკვლევარმა მიუძღვნა ნაშრომი. აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდა განსაკუთრებით ბოლო წლებში გახსნილი საიდუმლო არქივების შემდეგ. ამჯერად გვინდა მკითხველს გავაცნოთ ის ინფორმაცია, რომელიც დაცულია საქ. შსს-ის არქივში და შევავსოთ ის ჩვენს ხელთ არსებული ამ თემისადმი მიძღვნილი სხვა მასალით. ძირითადი ინფორმაცია ეფუძნება 1948 წლის მონაცემებს.

1. „საქართველოს ნაციონალური ლეგიონის“ ფორმირება გერმანელებმა დაიწყეს 1942 წლის გაზაფხულზე ქ. ვარშავის ახლოს მდებარე დასახლება ვესოლასა და ზელიონკაში, სადაც, სპეციალურად ამ მიზნისათვის, თავმოყრილნი იყვნენ ქართველი სამხედრო ტყვეები. ლეგიონს მეთაურობდა ობერლეიტენანტი ბრაიტნერი, მისი თანაშემწე კი იყო შალვა მაღლაკელიძე. ლეგიონის (ბატალიონის) სამეთაურო შემადგენლობა დაკომპლექტებული იყო საბჭოთა სამხედრო ტყვეებისაგან. თითოეულ ასეულზე მიმაგრებული იყო ერთი გერმანელი მრჩეველი, რომელიც ფაქტობრივად ხელმძღვანელობდა ასეულს.

პირველი ასეული 1942 წლის 13 აგვისტოს დაბა ზელიონკიდან, ორთვიანი საბრძოლო მომზადების შემდეგ, გაგზავნილ იქნა ფრონტის წინა ხაზზე და მან 1942 წლის სექტემბრის ბოლოსათვის დაიკავა თავდაცვითი პოზიციები სტავროპოლის მხარის ნოვოპოლტავსკის რაიონში.

ზემოთ ხსენებული ბატალიონი (ლეგიონი) შედიოდა 23-ე გერმანულ სატანკო დივიზიაში, რომლის საბრძოლო ნომერიც იყო 18252. ბატალიონს ხელმძღვანელობდა ობერლეიტენანტი შირი, ხოლო შტაბს – ობერლეიტენანტი კნაბე. მას შემდეგ, რაც ლეგიონერთა ნაწილი 1942 წლის 10 ოქტომბერს გადავიდა და ჩაბარდა საბჭოთა მხარეს, ბატალიონი გერმანელებმა მოაცილეს ფრონტის წინა ხაზს, ხოლო შემდეგ დაშალეს.

მეორე ბატალიონი (ლეგიონი) ჩამოყალიბდა ვესოლაში, სადაც ლეგიონერები გადიოდნენ წინასწარ სამწყობრო და საცეცხლე მომზადებას. ლეგიონერთა სამხედრო სწავლება დასრულდა ბანაკში, სადგურ კრუშნაში (პოლონეთი), საიდანაც ბატალიონი 1942 წლის 20 სექტემბერს, ფიცის დადების შემდეგ, გაემგზავრა ჩრდილოეთ კავკასიაში, ქ. კრასნოდარის რაიონში. 1942 წლის 1 ნოემბრისათვის ბატალიონმა დაიკავა თავდაცვითი პოზიციები ხოდიჟენსკის მიმართულებით, გუნაიკის რაიონში.

ზემოაღნიშნულის გარდა, ქართული ლეგიონების ფორმირება მოხდა უკრაინასა და გერმანიაში. მესამე ათასკაციანმა ბატალიონმა (N 2/198) ჩამოყალიბება დაიწყო 1942 წლის სექტემბერში პოლტავის ოლქის ქ. ზენკოვოში. 1943 წლის იანვარში ბატალიონი გაემგზავრა ქ. ნოიხამერში, სადაც პირადმა შემადგენლობამ მიიღო სამხედრო ფორმა, დადო ფიცი და გაიარა შესაბამისი წვრთნა. 1943 წლის ივლისში ბატალიონი გაგზავნილ იქნა ქ. ბელგოროდის მიმართულებით, სადაც ის გამოიყენებოდა საევაკუაციო სამუშაოებში.

მეოთხე ბატალიონი ჩამოყალიბდა პოლტავის ოლქის ქ. გადიაჩში, საიდანაც

ის 1943 წლის თებრვალში გადაყვანილ იქნა ქ. ნოიჰამერში.

1943 წლის მაისში ბატალიონი გადაისროლეს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ქ. ბრიანსკის რაიონის დასახლება სმოროდინკაში, სადაც მისი პირადი შემადგენლობა გამოიყენებოდა სადამსჯელო ღონისძიებებში ბრიანსკის ტყეებში მოქმედი პარტიზანების წინააღმდეგ. გარკვეული პერიოდის შემდეგ, ბატალიონი გადაიყვანეს ფრონტის მიმართულებით სადგურ ზმიევკას რაიონში, სადაც მონაწილეობდა საბჭოთა სამხედრო ნაწილების წინააღმდეგ ბრძოლებში. იმის გამო, რომ ბატალიონი ბრძოლისუუნარო აღმოჩნდა, ის განაიარაღეს და შემდგომში გამოიყენებოდა საყარაულო, საბადრაგო და დაცვითი ნაგებობების მშენებლობის საქმეში.

1943 წლის მეორე ნახევარში, პარტიზანებისა და საბჭოთა არმიის ნაწილების მხარეს ქართველ ლეგიონერთა გადასვლის ფაქტების გამო, ქართული ლეგიონის ყველა ქვედანაყოფი გადაყვანილ იქნა დასავლეთ ევროპაში, სადაც ისინი გადაფორმირდნენ შემდგომში პარტიზანებისა და ინგლის-ამერიკის ნაწილების წინააღმდეგ საბრძოლველად.

795-ე ბატალიონი მოქმედებდა ქ. შერბურის (საფრანგეთი) რაიონში და ითვლიდა 900-მდე მებრძოლს. 796-ე ბატალიონი 1943 წლის დასაწყისში დაიშალა. 797-ე ბატალიონი დისლოცირებული იყო კუტანსის ჩრდილოეთით გრანვილეში. ბატალიონს მეთაურობდა უფროსი ლეიტენანტი შალიკაშვილი. 798-ე ბატალიონი დისლოცირებული იყო მორბიგაიში. მისი მეთაური იყო პოლონეთის არმიის ყოფილი ოფიცერი ბაქრაძე. 799-ე ბატალიონი მოქმედებდა კლერმონ-ფერანის რაიონში. ბატალიონს ხელმძღვანელობდა კაპიტანი რანტელნი. ბატალიონი N 11/193 1944 წელს იმყოფებოდა ჩრდილოეთ იტალიაში, იცავდა რკინიგზას. 1945 წლის თებერვალში ზემოაღნიშნული ბატალიონი მთლიანად ტყვედ აიყვანეს იტალიელმა პარტიზანებმა.

ერთ-ერთი ბატალიონი 1944 წლის ზაფხულში დისლოცირებული იყო ქ. ათენში. საბერძნეთიდან უკანდახევის პირობებში ბატალიონის პირადი შემადგენლობა გამოიყენებოდა ბერძენი პარტიზანების წინააღმდეგ საბრძოლველად. აღნიშნული ბატალიონი 1944 წლის ოქტომბერში მოქმედებდა ალბანეთში, მოგვიანებით კი – სერბეთში.

2. სპეციალური დანიშნულების ბატალიონი „ბერგმანი", რაც გერმანულად ნიშნავს „მთის კაცს", შეიქმნა 1942 წლის დასაწყისში ვ. კანარისის უშუალო მითითებით და „აბვერის" ოფიცრის, პროფ. თ. ობერლენდერის ინიციატივით. დაარღვიეს რა საერთაშორისო კონვენცია, რომელიც კრძალავდა სამხედრო ტყვეთა გამოყენებას მოწინააღმდეგის ინტერესების სასარგებლოდ, იგი დისლოცირებული იყო ქ. შტრანსში, რომელიც გერმანიის ქ. ნოიჰამერის მახლობლად მდებარეობდა. „ბერგმანის" დანიშნულება სამთო პირობებში საჰაერო-სადესანტო ოპერაციებში მონაწილეობა იყო.

ბატალიონ „ბერგმანის" ჯარისკაცები გადიოდნენ სამხედრო-ტაქტიკურ და საცეცხლე მომზადებას, ესწრებოდნენ ანტისაბჭოთა ხასიათის ლექციებს, რომლებსაც ქართველი ემიგრანტები ატარებდნენ. „ბერგმანის" აქტიური ანტისაბჭოთა აგიტატორები იყვნენ ემიგრანტები ბაგრატ ჭანტურია და ტარასი ნოზაძე.

1941 წლის ოქტომბერში კიროვოგრადის ბანაკში პარიზიდან ჩაიდნენ პარიზის

ქართული კომიტეტის წარმომადგენლები ტიტიკო სანაძე და არჩილ ახვლედიანი. მათი განცხადების თანახმად, გერმანელთა მხარდაჭერით შექმნილი ქართული კომიტეტის მიზანს წარმოადგენდა ყველა კავკასიელი სამხედრო ტყვის გაერთიანება სხვადასხვა ბანაკში და მათთვის კარგი საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა. სამაგიეროდ, ქართველებსა და კავკასიელებს მონაწილეობა უნდა მიეღოთ და დახმარებოდნენ გერმანიას ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

კიროვოგრადის ბანაკში იმ პერიოდში იმყოფებოდნენ გერმანიის არმიის ოფიცრები – ლეიტენანტი ფონ კუცშენბახი და ობერ-ლეიტენანტი ობერლენდერი. კიროვოგრადის ტყვეთა ბანაკში შესაძლებელი გახდა 300-მდე მებრძოლის შეგროვება. ისინი თავდაპირველად მოსავლის ასაღებად წაიყვანეს. კუცშენბახი, ობერლენდერი და მათთვის თარჯიმნად მიმაგრებული ყოფილი სამხედრო ტყვე შ. ა. ოქროპირიძე კიროვოგრადიდან პოლტავაში გაემგზავრნენ და იქ ეროვნულ ფორმირებაში 600-მდე ყოფილი წითელარმიელი ქართველი გააერთიანეს. პოლტავიდან მათ სულ მალე კრემენჩუკის ბანაკში გადაინაცვლეს და იქ გერმანული არმიისათვის 150 ჯარისკაცი გადმოიბირეს. ისინი გარკვეული პერიოდის მანძილზე გამოიყენებოდნენ მინდვრის სამუშაოებზე ოკუპირებული უკრაინის ტერიტორიაზე. ეს პროცესი გრძელდებოდა 1941 წლის ბოლომდე. ამ პერიოდისათვის უკვე დასრულებული იყო მოხალისეთა შერჩევა გერმანული არმიისათვის და ყველანი გაგზავნილ იქნენ შემკრებ პუნქტში ქ. პოლტავაში, იქიდან კი 1941 წლის 5 ნოემბერს გაამგზავრეს გერმანიაში, ქ. ნოიჰამერში.

ქ. ნოიჰამერში ყველას დაურიგეს ფორმა და იარაღი. ერთ მწკრივად მდგომ ჯარისკაცებს სიტყვით მიმართა ობერლენდერმა, მან აუწყა, რომ გერმანიის უმაღლესი სარდლობის გადაწყვეტილებით, იქმნებოდა სპეციალური დანიშნულების ბატალიონი „ბერგმანი“, რომელიც გარკვეული მომზადების შემდეგ, გაიგზავნა ფრონტზე, კერძოდ, კავკასიაში საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ საბრძოლველად. ბატალიონის მეთაურად დაინიშნა ობერლენდერი, ხოლო შტაბის უფროსად – ლეიტენანტი ფონ კუცშენბახი.

ბატალიონ „ბერგმანის“ I ასეულის, რომელიც მხოლოდ ქართველებისაგან შედგებოდა, უფროსად დაინიშნა ოქროპირიძე; II ასეულს (ჩრდილო კავკასიურს) ხელმძღვანელობდა ბეკმურად ლიანოვი; III ასეულს (აზერბაიჯანულს) – ქერიმ ალისკაროვი; IV ასეულს (ქართულს) – ცუცქირიძე და V ასეულს (სომხურს) – სარქის შახვერდიანი. ყველანი საბჭოთა არმიის ყოფილი სამხედრო მოსამსახურეები იყვნენ.[280]

ნოიჰამერში ბატალიონ „ბერგმანის“ წევრებმა მიიღეს ფიცი გერმანიის ერთგულებაზე.

1942 წლის მარტში, ხანმოკლე სპეციალური მომზადების შემდეგ ბატალიონი „ბერგმანი“ ნოიჰამერიდან გადაყვანილ იქნა ლიუთენზეეში, მიტენვალდთან, სამთო-საამშენებლო მომზადებისათვის. იმავე თვეში ბატალიონ „ბერგმანს“ შეუერთდნენ სადაზვერვო-დივერსიული დანაყოფები „თამარ-1“ და „თამარ-2“ (მათზე დაწვრილებით ოდნავ ქვემოთ ვისაუბრებთ).

სამთო მომზადების შემდეგ, „ბერგმანი“ 1942 წლის 1 ივლისს ფრონტისკენ დაიძრა. აგვისტოში „ბერგმანი“ ჩავიდა პიატიგორსკში და ჩაირიცხა გერმანიის 44-ე საარმიო კორპუსის შემადგენლობაში. მათთან ერთად „ბერგმანს“ სამი-

ოთხი თვის მანძილზე მოუწია საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ ბრძოლა მოზდოკის რაიონში. „ბერგმანის“ პირადი შემადგენლობა ასევე მონაწილეობდა სადაზვერვო საქმიანობაშიც, მისი წევრები გამოყოლებადაც გამოიყენებოდნენ.

1943 წლის 1 იანვარს, საბჭოთა ჯარების აქტიურობის შედეგად, „ბერგმანი“ იძულებული შეიქნა უკან დაეხია ქ. ტემრიუკში, საიდანაც გერმანელებმა ბატალიონი პლანერებით ყირიმში, კერძოდ, ბახჩისარაიში გადააფრინეს.

მოზდოკში წარმოებული ბრძოლების პერიოდში „ბერგმანი“, მიუხედავად დანაკარგისა, გიორგიევსკის, პროხლადნისკისა და პიატიგორსკის ტყვეთა ბანაკებიდან კიდევ 400 მებრძოლით შეივსო და მისმა საერთო რაოდენობამ ოთხი ათასს მიაღწია. აქედან გამომდინარე, ბატალიონი „ბერგმანი“ პოლკად გარდაიქმნა. ამას გარდა, საარმიო დაჯგუფების შტაბის უფროსის, ფონ კლაისტის გადაწყვეტილებით, „ბერგმანის“ ტოპოგრაფიულმა სამსახურმა, რომელსაც კაპიტანი შტრასერი ხელმძღვანელობდა, დაიწყო საქართველოს სამხედრო გზის ტოპოგრაფიული გადაღებები და შესაბამისად, ტოპოგრაფიული ატლასის მომზადება.

1943 წლის იანვარ-მაისში „ბერგმანის“ პირადი შემადგენლობა გადიოდა მომზადებას და მონაწილეობდა საბჭოთა დესანტის განადგურებაში ქერჩსა და ფეოდოსიაში, აგრეთვე იბრძოდა ქ. არმიანსკის მიდამოებში და პერეკოპის მიმართულებით.

1943 წლის მაისში პოლკ „ბერგმანის“ ოცეულის მეთაურები ოქროპირიძე, ირაკლი ალიმბარაშვილი, ქერიმ ალესკეროვი და პოლკის მრჩეველი გივი გაბლიანი სასწავლებლად იქნენ გაგზავნილი გერმანიის ქვეითთა სამხედრო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგაც, 1943 წლის 1 ნოემბერს მიენიჭათ გერმანიის არმიის ლეიტენანტის სამხედრო ჩინი. სკოლაში სულ 600 მსმენელი სწავლობდა.[220]

1944 წლის აპრილის დასაწყისში მოხდა „ბერგმანის“ ევაკუაცია ყირიმიდან, კერძოდ, სევასტოპოლიდან, რუმინეთში, საიდანაც ის საბერძნეთში იქნა გადასროლილი. აქ „ბერგმანი“ დაიყო დამოუკიდებელ ბატალიონებად, რომლებიც გამოიყენებოდნენ ბერძენი და იუგოსლაველი პარტიზანების წინააღმდეგ. ამ ბრძოლებში „ბერგმანმა“ დიდი დანაკლისი განიცადა, ამიტომ ის ხორვატიიდან სასწრაფოდ იქნა ევაკუირებული ბერლინში.

„ბერგმანელების“ უმეტესობა 1945 წლის მაისში, ქ. ცილში ტყვედ აიყვანეს იუგოსლაველმა პარტიზნებმა, ნაწილმა კი თავს გაქცევით უშველა.

3. ქართველ ტყვეთა მონაწილეობით კიდევ ერთი გერმანული დანაყოფი – „ბრანდენბურგის დივიზია“ ჩამოყალიბდა 1942 წელს ფრონტის სხვადასხვა ადგილზე ტყვედ ჩავარდნილი საბჭოთა ჯარისკაცებისაგან.

„ბრანდენბურგის დივიზია“ გამიზნული იყო საბჭოთა არმიის, პარტიზნებისა და ოკუპირებული ქვეყნების მოსახლეობის წინააღმდეგ სადამსჯელო ოპერაციებისათვის. ის შემდეგი ბატალიონებისაგან შედგებოდა:

– ბატალიონი „ალექსანდრ-აუხი“ დისლოცირებული იყო ქ. კრანეპოლში. ამ ბატალიონისათვის ტყვეების გადაბირება ხდებოდა 1942 წლის მაისში ყირიმის ტერიტორიაზე არსებული ფეოდოსიისა და სიმფეროპოლის სამხედრო ტყვეთა ბანაკებიდან. ის პირები, რომლებიც თანახმა იყვნენ ემსახურათ ამ დივიზიაში, გადაჰყავდათ კრანეპოლში შესაბამისი მომზადებისათვის.

1943 წლის მაისში ბატალიონი გადაგზავნილ იქნა უკრაინაში, სადაც სუმის და

ჟიტომირის ოლქებში 5 თვის განმავლობაში იბრძოდა საბჭოთა პარტიზანების წინააღმდეგ, ხოლო ფრონტის ხაზის მოახლოებისას „ალექსანდრე-აუხი“ დაბრუნეს კრანეპოლის მხარეში და დაშალეს.

ზემოთ ხსენებული დივიზიის ლიკვიდაციის შემდეგ, მებრძოლთა ერთი ნაწილი გაიგზავნა ქართულ ნაციონალურ ლეგიონში ქ. კასტრეში (საფრანგეთი), ხოლო მეორე ნაწილი – ქ. ბრანდენბურგში, გასამხედროებულ სახანძრო რაზმებში. მებრძოლთა მცირე, ხელახლა შერჩეული ნაწილი, გაგზავნილ იქნა სადაზვერვო-დივერსიულ სკოლაში, „Воффен“ СС-Ягфербанд“-ში, დასახლება ფრიდენტალში (გერმანია) ქ. ოხანიენბურგთან.

– „ბრანდენბურგის დივიზიის“ მეორე ბატალიონი მოქმედებდა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, იუგოსლავიელი პარტიზანების წინააღმდეგ.

– მესამე ბატალიონი იმყოფებოდა კალინინისა და ლენინგრადის ოლქებში. მას საბჭოთა არმიის ნაწილებთან და პარტიზანების წინააღმდეგ ბრძოლებში მონაწილეობა არ მიუღია. ბატალიონი შემდგომში გადაგზავნილ იქნა ლივადიაში (საბერძნეთი), სადაც ბერძენი პარტიზანების წინააღმდეგ იბრძოდა.

აღსანიშნავია, რომ მეორე მსოფლიო ომში ქართველები უკრაინის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საქმეშიც მონაწილეობდნენ, ამჯერად ბენდერელების შემადგენლობაში.

შერჩევა ხდებოდა როგორც ნაციონალური ლეგიონებიდან, ასევე „ბერგმანიდან“.[214]

დღემდე ნათლად არ არის ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი აზრი მეორე მსოფლიო ომში ქართული ლეგიონების შემადგენლობაში გერმანული დროშის ქვეშ მებრძოლი, ფაქტობრივად გერმანიის არმიაში იძულებით მყოფი ქართველებისადმი (ომში მესამე ძალად წოდებული), თუმცა, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ამ შემთხვევაში ტყვედ ჩავარდნილი ქართველი მებრძოლებისათვის უპირველესი აღმოჩნდა თვითგადარჩენის ინსტინქტი, სიცოცხლის შენარჩუნების სურვილი.

მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობის პერიოდში ქართული ეროვნული შენაერთების თაობაზე საუბრისას არ შეიძლება მოკლედ არ შევეხოთ შალვა მაღლაკელიძის პიროვნებას, რომლის ძალისხმევითაც შესაძლებელი გახდა გერმანელთა საკონცენტრაციო ბანაკებიდან მრავალი ქართველი მებრძოლის დახსნა და ეროვნულ ლეგიონებში გაერთიანებით მათთვის სიცოცხლის შენარჩუნება.

შ. მაღლაკელიძე 1918-1921 წლებში აქტიურ საქმიანობას ეწეოდა და მწარედაც დაამახსოვრა თავი საქართველოში იმ პერიოდში მოღვაწე ბოლშევიკებს, რისთვისაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე დღეებში მეტეხის ციხეში აღმოჩნდა. განთავისუფლების შემდეგ, 1923 წლიდან, ის ემიგრაციაში წავიდა. ერთხანს მოსკოვში ცხოვრობდა, შემდეგ ემიგრირებულ იქნა ჩეხოსლოვაკიაში. პრაღაში შ. მაღლაკელიძემ მიიღო დოქტორის ხარისხი იურისპრუდენციაში. შემდგომში, მცირე დროით, ის ჯერ საფრანგეთში, ხოლო მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე გერმანიაში ცხოვრობდა. 1934 წლიდან შ. მაღლაკელიძემ განაახლა ურთიერთობები გერმანელებთან. 1937 წლიდან ის გერმანიის სამხედრო დაზვერვის „აბვერის“ ოფიციალური თანამშრომელი იყო.[51] შ. მაღლაკელიძე იყო ორგანიზაცია „თეთრი გიორგის“ წევრი. მას უწოდებდნენ „ფაშისტ-მონარქისტს“, ხოლო გაზეთ „საქართველოს“ ერთ-ერთ მეწინავე სტატიაში

მოიხსენიებდნენ, როგორც „საქართველოს ფიურერს". შ. მაღლაკელიძეს საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჰქონდა ადმირალ ვ. კანარისთან. ის, ამ უკანასკნელისა და გერინგის დავალებით, სპეციალურ მისიას ასრულებდა პოლონეთში მეორე მსოფლიო ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე. გერმანელებმა შ. მაღლაკელიძეს, გამონაკლისის სახით, გენერალ-მაიორის წოდება მიანიჭეს.

სანამ ვ. კანარისის მდგომარეობა ჰიტლერის გარემოცვაში მყარი იყო, ქართული ეროვნული ლეგიონების ფორმირება მთლიანად შ. მაღლაკელიძის ორგანიზებით და გერმანელთა სამხედრო დაზვერვის „აბვერის" მხარდაჭერით ხორციელდებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც კულმინაციას მიაღწია დაპირისპირებამ კანარისსა და როზენბერგს შორის, ქართულ ეროვნულ ფორმირებათა საკითხი შ. მაღლაკელიძიდან მთლიანად გერმანიის აღმოსავლეთ ოლქების სამინისტროს ხელში გადავიდა. ამის გამო შ. მაღლაკელიძე არ მონაწილეობდა ქართული სადაზვერვო ბატალიონისა და „ცეპელინის" მიერ ორგანიზებული სადაზვერვო-დივერსიული ჯგუფების ჩამოყალიბებაში.

საბჭოთა სპეცსამსახურები გენერალ შ. მაღლაკელიძის პიროვნებით და ქართული ლეგიონებით ყოველთვის იყვნენ დაინტერესებული. 1942 წლის ბოლოს ქართული ეროვნული ბატალიონი,[795] რომელსაც შ. მაღლაკელიძე მეთაურობდა, ჩრდილო კავკასიას მოადგა და ოსურ სოფელ ურუხში დაბანაკდა. ზედა ურუხი თითქმის რაჭის ადმინისტრაციულ საზღვართანაა. ეს ქართული შენაერთი იქ 1943 წლის 3 იანვრამდე იმყოფებოდა. ქართველთა ზემოაღნიშნულმა ლეგიონმა წითელ არმიას ბევრი პრობლემა შეუქმნა. აქედან გამომდინარე, სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა გადაწყვიტა დაზვერვისთვის ჩვეული ფორმებითა და მეთოდებით (განსაკუთრებით საომარ ვითარებაში) მისი აქტიურობის სასწრაფოდ შენელება.

ბატონი გ. მამულია თავის ნაშრომში „Грузинский легион в борьбе за свободу и независимость Грузии в годы второй мировой войны" – Тбилиси, 2003 г.,* საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულ აგენტ „შახოვსკის" პირად საქმეში (N 16880 – 61 ტ.) არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მიანიშნებს, რომ სსრკ შსს-ის მეოთხე, სადაზვერვო-დივერსიული განყოფილების უფროსის, გენერალ პ. სუდოპლატოვის მოთხოვნით, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს ა. რაფავას ქართულ ლეგიონში დივერსიულ-სადაზვერვო საქმიანობისათვის წარუდგენია ორი აგენტის, შ. მაღლაკელიძის უახლოესი ნათესავის, კანდიდატურა. თუმცა, პ. სუდოპლატოვს ისინი დაუწუნებია. [51]

ზემოაღნიშნული ინფორმაცია ეჭვს არ უნდა იწვევდეს, თუმცა „შახოვსკის" პირადი საქმე საქართველოს შსს-ში არ ინახება და ის, თბილისში ცნობილი მოვლენების შედეგად, განადგურებულად არის მიჩნეული.

დაწუნებულ აგენტთა შორის იყო თუ არა „შახოვსკიც", ჩვენთვის უცნობია, თუმცა ფაქტია, რომ ეს უკანასკნელი ოპერატიულ-სადაზვერვო საქმიანობისათვის საბჭოთა სპეცსამსახურებმა მტრის ზურგში შეაგზავნეს 1943 წლის აგვისტოში, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

თავად შ. მაღლაკელიძე თვლის, რომ იმ პერიოდში მის წინააღმდეგ ტერორის-

* ქართული ლეგიონი მეორე მსოფლიო ომის წლებში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის — თბილისი, 2003 წ.

ტული აქტის განხორციელების ორ მცდელობას ჰქონია ადგილი. პირველ შემთხვევაში ლეგიონერებს წითელი არმიის სამკაციანი ჯგუფი გაუუვნებელყოფიათ, ხოლო მეორე შემთხვევაში მარტოხელა ტერორისტი დროულად დაუკავებიათ. საბჭოთა სპეცსამსახურებმა („სმერშმა“) სხვა ხერხსაც მიმართეს. ისინი შეეცადნენ შ. მაღლაკელიძისა და ქართული ლეგიონის შემოტყუებას საქართველოს ტერიტორიაზე, აგზავნიდნენ რა მასთან სპეციალურ ემისრებს. ეს უკანასკნელნი უმტკიცებდნენ გენერალს, თითქოსდა საქართველოს მოსახლეობა მზად იყო საბჭოთა რეჟიმის დასამხობად და ელოდებოდნენ შ. მაღლაკელიძის საქართველოში შესვლას. შ. მაღლაკელიძემ შექმნილ ვითარებას ალღო აუღო და არ აჩქარდა. ის ელოდებოდა მოვლენების შემდგომ განვითარებას სტალინგრადთან.

საბჭოთა სპეცსამსახურებმა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე ინტენსიურად დაიწყეს ოპერატიული თვალსაზრისით შალვა მაღლაკელიძის გამოყენების პერსპექტივების შესწავლა. სპეცსამსახურებს არც შ. მაღლაკელიძის იტალიასა და პაკისტანში „მოგზაურობები“ გამორჩენიათ მხედველობიდან, თუმცა ამაზე დაწვრილებით სხვა დროს...

სახელისუფლებო ოლიმპოდან ორი ქართველის ჩამოცილების შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლებამ შ. მაღლაკელიძის მიმართ გეგმები შეცვალა: გადაწყდა გერმანიიდან გენერლისა და მისი ოჯახის სსრ კავშირში „გამოტყუება“ და ამ ფაქტის პროპაგანდისტული მიზნებისათვის გამოყენება.

1953 წლის 31 აგვისტოს შ. მაღლაკელიძე მიუნხენის აეროდრომიდან ბერლინში გაფრინდა. აეროპორტში ის უფროსმა შვილმა – გაიოზმა გააცილა. ბერლინში გენერალი რატომღაც დაბინავდა სასტუმროში, რომელიც აღმოსავლეთ სექტორიდან ასიოდე მეტრით იყო დაშორებული. მეორე დღეს, დილის 8 საათზე, შ. მაღლაკელიძეს სასტუმროს შესასვლელთან „ორი ნაცნობი“ გერმანელი დახვდა. ამ უკანასკნელებმა ხელმკლავგაყრილი და გაოცებული გენერალი იქვე მყოფ საბჭოთა სამხედრო ექსკორტს გადასცეს. შ. მაღლაკელიძეს წინააღმდეგობის გაწევა არ უცდია. მალე საბჭოთა დაზვერვამ მასთან საბჭოთა მხარის მიერ კონტროლირებად ბერლინის აღმოსავლეთ სექტორში ცოლ-შვილიც მიიყვანა. უმოკლეს პერიოდში მაღლაკელიძეთა ოჯახი მოსკოვში გადააფრინეს და სასტუმრო „სოვეტსკაიას“ მოსასმენი და სათვალთვალო სპეცტექნიკით აღჭურვილ ნომერში მოათავსეს.

გაურკვეველ და უსიამოვნო ვითარებაში რამდენიმეთვიანი ყოფნისა და უძილო ღამეების შემდეგ, მაღლაკელიძეების ოჯახი თბილისში გამოამგზავრეს და სასტუმრო „რუსთავში“ დააბინავეს.[64] სწორედ თბილისში შეიტყო შ. მაღლაკელიძემ, რომ საბჭოთა ხელისუფლებას ის პროპაგანდისტულ ღონისძიებებში ბრძად გამოუყენებია. აღნიშნულის თაობაზე მას აუწყა საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის პასუხისმგებელმა მუშაკმა ნოდარ მაისურაძემ (ეს უკანასკნელი შემდგომ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გახდა და ეს პოსტი, სსრ კავშირის დაშლამდე, თითქმის ორი ათეული წლის მანძილზე ეკავა), რომელიც იმ პერიოდში ბერლინში იყო მივლინებული და შ. მაღლაკელიძის „მოტაცებისა“ და მისი აქტიურად გამოყენების ღონისძიებებში იყო ჩართული. საქმე ის იყო, რომ თბილისში შ. მაღლაკელიძის ჩამოყვანამდე, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მონაწილეობით მომზადდა

ერცელი საგაზეთო წერილი სათაურით „წერილი რედაქციას", რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „ზარია ვოსტოკასა" და „კომუნისტის" 1954 წლის 9 დეკემბრის ნომრებში. მიმართვაში აღნიშნული იყო, თუ როგორ დაამყარა შ. მაღლაკელიძემ 30 წლის წინ დანაშაულებრივი კავშირი თავისი „სამშობლოს უბოროტეს მტრებთან, ამერიკის, ინგლისის და ჰიტლერულ დაზვერვათა აგენტებთან – ჟორდანიასთან, გეგეჭკორთან, ჩხენკელთან და სხვებთან..." და როგორ იბრძოდა ის „საბჭოთა კავშირისაგან საქართველოს ჩამოშორებისათვის." მიმართვაში ბევრი ქართველი ემიგრანტი იყო მოხსენიებული უარყოფითად და აღწერილი იყო „იმპერიალისტური სახელმწიფოების დაზვერვებთან აქტიური თანამშრომლობით" მათი „საგმირო საქმეები". მიმართვა ასე მთავრდებოდა: „სავსებით შეგნებული მაქვს რა მძიმე დანაშაულობანი, რომლებიც სსრ კავშირის წინააღმდეგ ჩავიდინე, და, არა მსურს რა, რომ ამიერიდან ჩემს ბედს ვუკავშირებდე ემიგრაციის საბოლოოდ გაკოტრებულ ზედაფენას, ხანგრძლივი და ფხიზელი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე კავშირი გამეწყვიტა ემიგრანტულ წრეებთან და მეთხოვა საბჭოთა მთავრობისათვის მოეცა ჩემთვის შესაძლებლობა ჩემს ხალხში პატიოსანი შრომით გამოვისყიდო დანაშაული სამშობლოს წინაშე".[7] საბჭოთა სპეცსამსახურების მზაკვრობამ შ. მაღლაკელიძე ძალზე გააღიზიანა, მაგრამ უკვე გვიანი იყო. ამას გარდა, ნ. მაისურაძემ ის მამადავითის მთაზე აიყვანა, ახალი ლაბადა მოაცვა და თბილისზე ფუნიკულიორიდან მაცქირალ საბჭოთა ხელისუფლებით „კმაყოფილ" ემიგრანტ-გენერალს რამდენიმე ფოტოსურათი გადაუღო. ფოტოსურათები დასაელურ პრესაში მალე მოხვდა, რამაც ქართულ ემიგრაციაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.

საქართველოში ჩამოსვლიდან მოკლე ხანში გენერალ შ. მაღლაკელიძეს პირადად შეხვდა საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ალექსი ინაური. ამ უკანასკნელთან საუბრის შემდეგ შ. მაღლაკელიძისა და მისი ოჯახის ცხოვრება ჩვეულებრივ, საბჭოურ რიტმში ჩადგა. თუმცა, როგორც ვეტერანი ჩეკისტები იხსენებენ, ნაცისტური გერმანიის გენერალზე ოპერატიული ზედამხედველობა და კონტროლი საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს გარდაცვალებამდე არ შეუწყვეტია.

შ. მაღლაკელიძის საინტერესო ცხოვრებაზე მკითხველს სხვა დროს მოვუთხრობთ. იქვე გავარკვევთ, მოხდა თუ არა მართლაც მისი მოტაცება ბერლინიდან და ვინ იყო საბჭოთა დაზვერვის ღირებული აგენტი „ორიოლი".

დავუბრუნდეთ ისევ ქართველ ლეგიონერთა თემას.

ქართველ ლეგიონერთა უმეტესობა გერმანულ ფორმირებებში საკუთარი სიცოცხლის გადარჩენისათვის შევიდა, ამიტომ ისინი ნაცისტური გერმანიის მიმართ დიდი ერთგულებით არ გამოირჩეოდნენ და მათი ნაწილი ეძებდა შესაფერის მომენტს ტყვეობიდან თავის დასაღწევად. საბჭოთა არმიის ყოფილი სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც ტყვედ იმყოფებოდნენ გერმანულ საკონცენტრაციო ბანაკებში, ასევე ცდილობდნენ გაქცევით ეშველათ თავისთვის და პარტიზანულ მოძრაობას დაკავშირებოდნენ.

ყოფილი წითელარმიელი ტყვე ქართველები, რომელთაც მოახერხეს საკონცენტრაციო ბანაკებიდან გაქცევა, შეუერთდნენ წინააღმდეგობის მოძრაობას და იბრძოდნენ პოლონელი, იტალიელი, ფრანგი, იუგოსლაველი, ბერძენი და სხვა

ეროვნების პარტიზანებთან ერთად, ცდილობდნენ ქართველი ლეგიონერების გადმობირებას და წინააღმდეგობის მოძრაობაში მათ ჩართვას. მაგალითად, საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობაში მონაწილე ქართველი პარტიზანები ორგანიზებულად შეეცადნენ პერიგეში (საფრანგეთი) დისლოცირებულ ქართველ ლეგიონერთა გადმობირებას, რასაც მიაღწიეს კიდეც და პარტიზანების მხარეს რამდენიმე ათეული შეიარაღებული ქართველი გადავიდა.

ქართული ეროვნული ფორმირებებით იმთავითვე დაინტერესდნენ საბჭოთა სპეცსამსახურები, რომლებიც სხვადასხვა ოპერატიული გზით შეეცადნენ იქ მიმდინარე პროცესებზე ზემოქმედების მოხდენას და იატაკქვეშა საქმიანობის ორგანიზებას. ცხადია, ეროვნულ ლეგიონებში ბევრი საბჭოთა კავშირის მიმართ პატრიოტულად განწყობილი პიროვნება აღმოჩნდა. მათ რიგებში იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ომამდე თანამშრომლობდნენ საბჭოთა სპეცსამსახურებთან. იატაკქვეშა საქმიანობის ძირითადი მიზანი იყო ქართული ეროვნული ფორმირებების წევრებისა და საკონცენტრაციო ბანაკებში მყოფი სამხედრო ტყვეების დახსნა და გადაყვანა საბჭოთა მხარეს და ამ დანაყოფებში ოპერატიული ვითარების შესწავლა. ოკუპირებულ ტერიტორიებზე დისლოცირებულ ტყვეთა ბანაკებში, ეროვნულ ლეგიონებსა და სპეციალური დანიშნულების ბატალიონებში ანტიფაშისტური მოძრაობის ორგანიზება „გარედან" საბჭოთა სპეცსამსახურებისათვის საკმაოდ რთული საქმე იყო. თუმცა, არის ამის წარმატებული მაგალითებიც. ერთ-ერთი ასეთია ბატალიონ „ბერგმანში" მოქმედი ანტიფაშისტური იატაკქვეშა ორგანიზაციისა და მისი წევრების ისტორია, რომელთა საქმიანობაც კრახით დასრულდა. იმის მტკიცება, იყო თუ არა თავიდან ბოლომდე ეს ორგანიზაცია მართული საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ, სათანადო მასალის არარსებობის გამო, ძნელია. თუმცა აღნიშნულ პროცესებთან საკმაოდ ახლო მდგომ ქართველ ემიგრანტებს თავიანთ მემუარებში ეს მოსაზრება სარწმუნოდ მიაჩნიათ (გ. გაბლიანი, ვ. ნოზაძე, შ. მაღლაკელიძე).

მას შემდეგ, რაც ქართველი ტყვეებისა და ემიგრანტებისაგან შეიქმნა ბატალიონი „ბერგმანი", მის მეთაურად ფორმალურად დაინიშნა საბჭოთა არმიის ყოფილი კაპიტანი სიმონ წიკლაური (ტყვედ ჩავარდა დაჭრილი), ფაქტობრივად კი საქმეებს განაგებდა ჰაუპტშტურმფიურერი თეოდორ ობერლენდერი. ბატალიონის შტაბს ხელმძღვანელობდა ზონდერფიურერი ვალტერ ფონ კუცშენბახი. ეს უკანასკნელი დაბადებული იყო საქართველოში, ბორჩალოს (ბოლნისის) მაზრაში. მისი მამა, საკმაოდ შეძლებული კაცი, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ იძულებული გახდა ქვეყანა დაეტოვებინა და გერმანიაში გადასახლებულიყო. ვ. კუცშენბახი ფლობდა რამდენიმე უცხო ენას. საინტერესოა თვით თეოდორ ობერლანდერის პიროვნებაც.

ჯერ კიდევ 1941 წლის დეკემბერში „ბერგმანში", სიმონ წიკლაურის ინიციატივით, შეიქმნა იატაკქვეშა ორგანიზაცია, რომელსაც შეთქმულებმა უწოდეს „კომინტერნი". ორგანიზაციის წევრები ფარულად იკრიბებოდნენ და წყვეტდნენ ახლო და სამომავლო ამოცანებს, კონსპირაციულად უსმენდნენ აკრძალულ რადიოგადაცემებს, ადგენდნენ ოქმებს. გერმანელები და ნაცისტური გერმანიის სამსახურში ჩამდგარი ქართველი ემიგრანტები, გრძნობდნენ რა საბჭოთა სპეცსამსახურების დაინტერესებას ქართული ლეგიონებისა და სამხედრო ფორმირე-

ბებისადმი, ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს ლეგიონებში მიმდინარე პროცესებს. შედეგმაც არ დააყოვნა. ს. წიკლაურმა დაუშვა საბედისწერო შეცდომა, როდესაც დაიწყო დღიურის წარმოება და მასში ჩანაწერების გაკეთება. დღიური ს. წიკლაურის სეიფში ინახებოდა, იქიდან კი გერმანელთა ხელში მოხვდა, რაშიც ლომის წილი მიუძღოდა გივი გაბლიანს, რომელიც პრაქტიკულად ასრულებდა მეკავშირის ფუნქციას გერმანელებსა და ტყვე ქართველებს შორის. ამის შემდგომ ყველაფერს ნათელი მოეფინა და ზემოაღნიშნული იატაკქვეშა ჯგუფის წევრები 1942 წლის 1 ივლისს დააპატიმრეს.

1942 წლის 25 ივნისიდან 1 ივლისამდე გარმიშ-პარტენკირხენში, ლუთენზეედან 50 კილომეტრის დაშორებით, მე-4 სამთომსროლელთა დივიზიის ყაზარმაში გაიმართა სამხედრო ტრიბუნალის საჩვენებელი სასამართლო სხდომა, რომლის გადაწყვეტილებით, იატაკქვეშა ანტიფაშისტური ჯგუფის წევრებს სიმონ წიკლაურს, შალვა ტაბიძეს, გიორგი ცუცქირიძეს, მიხეილ გაბუნიას, აკაკი ბარბაქაძეს, თევდორე თედეევს, დიმიტრი ჯმუხაძეს, გიორგი ნინიკაშვილს, ალექსანდრე ჩოჩიშვილს, შალვა ბახტაძეს, ვლადიმერ არაბულს, გრიგოლ ხმელიძეს მიესაჯათ სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა. სასიკვდილოდ განწირულ ქართველთა გადარჩენას შეეცადნენ ქართული პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენლები, რომელთაც თხოვნით მიმართეს მიხ. კედიას, თუმცა, ამ უკანასკნელის დიდი მცდელობის მიუხედავად, ქართველ ტყვეთათვის გამოტანილი განაჩენი, უცვლელი დარჩა. განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი იმავე წლის 8 აგვისტოს.

ემიგრანტ ვიქტორ ნოზაძის გადმოცემით, სასამართლო პროცესზე სიმონ წიკლაურმა აღიარა, რომ მოქმედებდა საბჭოთა სპეცსამსახურების დავალებით. თუ რამდენად შეესაბამება ვ. ნოზაძის ნათქვამი რეალობას, ამის თქმა სათანადო დოკუმენტური მასალის არარსებობის გამო ძნელია. ზემოაღნიშნული სასამართლო პროცესის თვითმხილველების გადმოცემით, სხდომის მიმდინარეობისა და განაჩენის გამოცხადების პროცესში ს. წიკლაურისა და მისი თანამოძმეების სიმტკიცით თვით მოსამართლეც კი განცვიფრებულა.

სიმონ წიკლაური სიკვდილის შემდეგ გამოჩენილი მამაცობისათვის დაჯილდოვდა სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით.[54]

მკითხველისათვის საინტერესო უნდა იყოს კიდევ ერთი ქართველი ყოფილი წითელარმიელის – ვიქტორ ჭიჭინაძის – ტრაგიკული ბედი. მიუხედავად იმისა, რომ მან ოთხმოცამდე მებრძოლი, ყოფილი წითელარმიელი, საბჭოთა მხარეზე გადაიყვანა, საბჭოთა მართლმსაჯულებამ მაინც უნდობლობა გამოუცხადა და სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილებით ის 1944 წელს დახვრეტილ იქნა. მხოლოდ მოგვიანებით, უკვე 60-იან წლებში, საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის, ა. ინაურის ინიციატივით, გაირკვა სიმართლე და ვიქტორ მიხეილის ძე ჭიჭინაძე რეაბილიტირებულ იქნა.[30] საბჭოთა საქართველომ შემდგომში ჯეროვნად დააფასა ვ. ჭიჭინაძის დამსახურება და მას მწერალმა ვ. ურჯუმელაშვილმა ვერცელი რომანი მიუძღვნა.[77]

## გერმანიის დაზვერვის „აგენტ პარაშუტისტთა“ საქართველოში გადმოსროლა და გატარებული კონტრღონისძიებები

ჯერ კიდევ ნაცისტური გერმანიის სსრ კავშირზე თავდასხმის წინა პერიოდში, კანარისის მიერ გამოცემულ იქნა ბრძანება, სსრ კავშირის წინააღმდეგ ომის შემთხვევაში, საქართველოში აჯანყების ორგანიზების თაობაზე. ამ მიზნით, საბჭოთა კავშირზე გალაშქრებამდე, გერმანელთა ინიციატივითა და მიხ. კედიას მხარდაჭერით, ქართველი ემიგრანტებისაგან შეიქმნა განსაკუთრებული დანიშნულების დანაყოფი „თამარ—1“. იგეგმებოდა „თამარ-1-ის“ წევრების მცირე ჯგუფებად თვითმფრინავით საქართველოს ტერიტორიაზე გადასროლა.

1941 წლის ოქტომბერში, ყოფილი საბჭოთა ქართველი სამხედრო ტყვეებისაგან, რომლებიც გერმანელებმა ტყვედ აიყვანეს ომის დასაწყისში და იმყოფებოდნენ ქ. კრონშტატში, ბუეშსტსკის (რუმინეთი) სამხედრო ტყვეთა ბანაკში, შეიქმნა სადაზვერვო-დივერსიული ბატალიონი „თამარ-2“ (თამარა ცვაი), რომლის გამოყენებაც იგეგმებოდა სადაზვერვო-დივერსიული საქმიანობისათვის საბჭოთა ზურგში.

კანარისი თვლიდა, რომ ქართველი ემიგრანტების მომზადება და სსრ კავშირის ზურგში შეგზავნა ძვირადღირებული ღონისძიება იყო და შედეგს ვერ იძლეოდა, ვინაიდან ისინი დიდი ხნის მოწყვეტილი იყვნენ სამშობლოს და ადვილად ვარდებოდნენ საბჭოთა სპეცსამსახურების ხელში. მდგომარეობა გამოსწორდა მას შემდეგ, რაც „თამარ-2“ ქართველი ტყვეებისაგან, ყოფილი წითელარმიელებისაგან შეივსო.

ფრონტზე შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, გერმანიის დაზვერვამ „თამარ-1“ და „თამარ-2“ გააერთიანა და მათ დააკისრა საქართველოში აჯანყების ორგანიზება. ის დაიყო ორ ოპერატიულ ჯგუფად:

ა) „თამარ-1“ შედგებოდა 16 ქართველი მებრძოლისაგან და ის მომზადებული იყო საბოტაჟის ორგანიზებისათვის. მას ხელმძღვანელობდა უნტერ-ოფიცერი გერმანი. ბ) „თამარ-2“ წარმოადგენდა ოპერატიულ ჯგუფს, რომელიც შედგებოდა უჯრედებში გაერთიანებული 80 ქართველისაგან. ამ ჯგუფს ხელმძღვანელობდა ობერ-ლეიტენანტი დოქტორი კრამერი.

„თამარ-1“-ს და „თამარ-2“-ს მოგვიანებით დაემატათ პოლიციური ფუნქციები.

1942 წლის თებერვალში, ჰიმლერის ინიციატივითა და ჰიტლერის მხარდაჭერით, საბჭოთა კავშირის ზურგში ანტისაბჭოთა საქმიანობისათვის, შეიქმნა სპეციალური სადაზვერვო ორგანო კოდური დასახელებით „უნტერნემენი ცეპელინი“, რომელიც შედგებოდა 2 ქვედანაყოფისაგან „რუსლანდ-ზიუდი“ (Россия-юг) და „რუსლანდ-ნორდი “(Россия-север). სწორედ „რუსლანდ-ზიუდ“-ის დანიშნულება იყო კავკასიაში დივერსიული და სადაზვერვო საქმიანობის ორგანიზება.

„ცეპელინმა“ თავისი გეგმის სისრულეში მოყვანა დაიწყო 1942 წლის ზაფხულში, როდესაც გერმანული ნაწილები მიადგნენ ჩრდილო კავკასიას. სომხეთის, აზერბაიჯანის, ჩრდილო კავკასიის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ტერიტორიაზე გადასროლილ იქნა ბევრი „პარაშუტისტ-დივერსანტი“, რომელთა დანიშნულებაც იყო საბჭოთა ზურგში ამბოხების ორგანიზება, მოსახლეობაში პანიკის დათესვა, აგრეთვე სადაზვერვო და დივერსიული საქმიანობა, კავკასიაში ეროვნული თვითშეგნების გაღვივება, ამ ნიადაგზე ეროვნული მოძრაობის გააქ-

ტიურება და რეგიონის მთლიანად მოწყვეტა საბჭოთა კავშირისაგან.[69] ამ ამოცანების გადასაჭრელად „ცეპელინი“ ტყვეთა ბანაკებიდან არჩევდა შესაბამის კონტინგენტს, რომელიც შემდგომ მომზადებას გადიოდა სპეცსკოლებში.

„დივერსანტ-პარაშუტისტთა“ შესარჩევი პუნქტები და მოსამზადებელი ნინასწარი ბანაკები განთავსებული იყო ბუხენვალდში, ოსვენციმში, ზაკსენხაუზენში, ლიუბლიანაში, ლეგიონოვოში, ზანდბერგში, ბერდიანსკში, ოდესაში, სიმეიზში, ევპატორიაში, ორანიენბურგში.

მთლიანობაში, ომის პერიოდში სსრკ-გერმანიის ფრონტზე არსებობდა 190-ზე მეტი გერმანული სადაზვერვო სკოლა, სადაც მზადდებოდა დივერსიული და ტერორისტული აქტების მომწყობი სპეციალისტები.

1942 წლისათვის გერმანიის სპეციალურ სადაზვერვო სკოლებსა და კურსებზე სწავლებას ერთდროულად გადიოდა 1500 კაცი. სწავლა გრძელდებოდა 1,5 თვიდან („ჩვეულებრივი“ მზვერავებისათვის) 3 თვემდე (დივერსანტ-რადისტებისათვის). სკოლებმა და კურსებმა ერთად სულ გამოუშვეს 10 ათასი სპეცმომზადებაგავლილი კონტინგენტი.[25]

„ცეპელინთან“ აქტიურად თანამშრომლობდა ქართველი ემიგრანტების ნაწილი, „რუსლან-ზიუდის“ ზანდბერგის სკოლის უფროსის თანაშემწე გივი გაბლიანი და ქართული ნაციონალური კომიტეტის მუდმივი წარმომადგენელი თენგიზ ბეთანელი (ფერდინანდ ქართველიშვილი). ისინი საქართველოში გადასაგზავნად, შემდგომ ლეგალიზაციის გაიოლების მიზნით, არჩევდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლებს, რომლებიც ტყვედ ჩაცვივდნენ 1941-1942 წლებში.

„ცეპელინის“ გეგმის მიხედვით, გერმანელებმა ქართველ „დივერსანტ-პარაშუტისტთა" პირველი ჯგუფები საქართველოს ტერიტორიაზე გადაისროლეს 1942 წლის ზაფხულში. მცირე ჯგუფები დაკომპლექტებული იყო ქართველი ემიგრანტებისა და ყოფილი საბჭოთა წითელარმიელი ტყვე-ქართველებისაგან. ჯგუფის ძირითადი ნაწილი „თამარ-1“ და „თამარ-2“ წევრებისაგან შედგებოდა. „ცეპელინმა“ „დივერსანტ-პარაშუტისტთა" ამ გადასროლას კოდური დასახელება „ნინა" მიანაჭა.

საბჭოთა ისტორიოგრაფია „დივერსანტ-პარაშუტისტთა" პირველი ჯგუფის საქართველოში გადასროლის ფაქტს არსად მოიხსენიებდა საბჭოთა გამანადგურებელი ბატალიონების მხრიდან პარაშუტისტთა მიმართ გამოჩენილი სისასტიკის გამო. მწირია თვით „თამარ-1“ და „თამარ-2“-თან დაკავშირებული ინფორმაციაც. ცნობილია მხოლოდ ის, რომ „თამარ-1“-ის შექმნის იდეა ეკუთვნოდა და მისი ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო მიხეილ კედია, რომლის თაოსნობითაც ზემოაღნიშნულმა ჯგუფმა მომზადება გაიარა ორლეანისა და ვენის სასწავლო ცენტრებში. „მისი წვრთნა სპეციალური ხასიათისა იყო, როგორიც სადესანტო-სადივერსიო ნაწილს შეეფერება. მათ ასწავლიდნენ არა მარტო საომარი იარაღის ხმარებას, არამედ ყველაფერს, რისი ცოდნაც პარტიზანულ რაზმს მოეთხოვება“, – აღნიშნავს ემიგრანტი მიხ. ქავთარაძე. ისტორიას შემორჩა „თამარ-1“-ის ერთ-ერთი წევრის, ემიგრანტ იროდიონ ბეგიაშვილის მცირე მოცულობის მოგონება.[225] მასში მოკლედაა აღწერილი, როგორ ჩამოყალიბდა „თამარ 1“ ჯგუფი და როგორ დასრულდა მისი არსებობა. ამ ნაამბობის მიხედვით, საკითხი შემდგომში მდგომარეობდა:

საფრანგეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტებისაგან შემდგარი ჩვიდმეტკაციანი ჯგუფი 1941 წლის მაისის დასაწყისში გერმანიაში გასამგზავრებლად პარიზის ერთ-ერთ მოედანზე შეიკრიბა. ჯგუფში იყვნენ: ზურაბ აბაშიძე, მიხეილ ბახტაძე, დიმიტრი ბარათაშვილი, იროდიონ ბეგიაშვილი, გოგია ბერძენიშვილი, მიხეილ ბურძგლა, გიორგი გაბუნია, მიხეილ გრიგოლია (ასრულებდა თარჯიმნის მოვალეობას), გიორგი ივანიძე, შალვა მაღლაკელიძე (არა გენერალი შ. მაღლაკელიძე) და სხვები. აღნიშნული ჯგუფი იმავე დღეს შტუტგარდისკენ გაემგზავრა.

სსრ კავშირთან ომის დაწყებას „თამარ-1" გერმანიაში შეხვდა. ხანმოკლე მომზადების შემდეგ, „თამარ-1" (ზოგჯერ "თამარ პირველად" მოიხსენიებენ) 1941 წლის ივლისში ბუდაპეშტში ჩავიდა. შემდეგ იყო ბესარაბიის დედაქალაქი კიშინიოვი, ქალაქები: ნიკოლაევი, ხერსონი, მელიტოპოლი. ამ მომენტისათვის გ. ბერძენიშვილი და ვ. მონიავა გერმანელებმა არასაიმედო პიროვნებებად მიიჩნიეს და უკან, გერმანიაში დააბრუნეს, ხოლო გ. გაბუნია ავად გახდა და ჰოსპიტალში მოათავსეს (მოგვიანებით იქვე გარდაიცვალა).

1941-1942 წლების სუსხიანმა ზამთარმა „თამარ¬-1"-ს ყირიმში მოუსწრო. მას შემდეგ, რაც „თამარ-1" და „თამარ-2" გაერთიანდნენ და მათ დაემატათ ქართველ ტყვეთა ჯგუფი, უკმაყოფილება გერმანელებსა და ქართულ ასეულს შორის, საყოფაცხოვრებო თუ იდეურ საკითხებთან დაკავშირებით დღითიდღე იზრდებოდა. ქართველთა მხრიდან პროტესტის გამოხატვას მოჰყვა ის, რომ გერმანელებმა ასევე უკან გაიწვიეს ა. დადიანი და გ. ჩხეიძე (კ. ჩიხლაძესთან და ძმებ ქოჩაკიძეებთან ერთად ისინი ადრე „თამარ-2"-ის წევრები იყვნენ), შემდგომში მათი ბედი გაიზიარა მ. გოგორიშვილმაც.

1942 წლის მაისში ქართული დივერსიული ბატალიონისათვის ცნობილი გახდა, რომ უმოკლეს პერიოდში მოხდებოდა ცალკეულ მცირე ჯგუფებად მათი საჰაერო ტრანსპორტით საქართველოში გადასროლა. ღონისძიების დაწყების წინ გერმანელებმა კიდევ რამდენიმე სპეცმომზადებაგავლილ ქართველს გამოუცხადეს უნდობლობა. მათ მ. გრიგოლიასა და ლ. კაკულიას გაგზავნა საქართველოში არასასურველად მიიჩნიეს, ხოლო ექიმ ვარდენ ჩიტაძესა და მფრინავ სულიკო მერებაშვილში იმდენად დაეჭვდნენ (თუ რის გამო, უცნობია), რომ ისინი სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილებით, დახვრიტეს. ბრანდენბურგში დააბრუნეს თვით ი. ბეგიაშვილიც.

„გერმანიის დაზვერვის აგენტ-პარაშუტისტების" საქართველოში გადმოსროლა იყო გერმანიის სარდლობის მიერ კავკასიის დაპყრობის გეგმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. სწორედ ამ ფართომასშტაბიანი და მიზანდასახული ღონისძიების განეიტრალების მიზნით და კონტრღონისძიებების გასატარებლად სსრკ სახალხო კომისართა საბჭომ 1941 წლის 24 ივნისს მიიღო დადგენილება – „მოწინააღმდეგის საპარაშუტო დესანტებისა და დივერსანტების წინააღმდეგ საბრძოლველად სპეციალური გამანადგურებელი ბატალიონების ორგანიზების შესახებ." ამ დადგენილების საფუძველზე, 1941 წლის 25 და 26 ივნისს, სათანადო დადგენილებები მიიღეს საქართველოს კპ(ბ) აჭარისა და აფხაზეთის საოლქო კომიტეტებმა. შეიქმნა გამანადგურებელი ბატალიონები. მათი ხელმძღვანელობა დაევალა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს.

გერმანიის დივერსანტ-პარაშუტისტთა წინააღმდეგ ბრძოლის პასუხისმგებლობა და, ამასთან დაკავშირებით, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების გატარება მთლიანად დაეკისრა საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს ლავრენტი ბერიას.[323]

გასატარებელი იდეოლოგიური ღონისძიებების კონტექსტში უნდა იქნას განხილული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1941 წლის 25 ივნისს მიღებული გადაწყვეტილება: „О временной сдаче населением, проживающим на территории СССР, всех радио-приёмников, за исключением приёмников предназначенных для коллективного слушания*".[333]

1941 წლის შემოდგომაზე, მას შემდეგ, რაც გერმანია-სსრკ-ის ფრონტზე მოვლენები ამ უკანასკნელის საზიანოდ განვითარდა, დიდი ბრიტანეთის სამხედრო-პოლიტიკურ წრეებში გაჩნდა საბჭოთა კავშირისათვის სამხედრო ძალებით დახმარების სურვილი.

„ყველაზე მკაცრი რეზოლუცია, რომელიც დამასკინმა ნახა, იყო: თბილისი, კოზლოვს. გენერალ უეიველის წინადადების თაობაზე განუცხადეთ, რომ საკითხი შეიძლება გადაწყვიტონ მხოლოდ მთავრობებმა. მთავარი ბანაკი გიბრძანებთ ზრდილობიანად მოხიოთ უეიველი და მისდაგვარნი და გაგზავნეთ რაც შეიძლება შორს N 2220/321, 10.41.5.15.". ამ დეპეშაში ლაპარაკი იყო დიდი ბრიტანეთის გენერლის უეიველის წინადადებაზე საბჭოთა და ინგლისის ჯარების ერთობლივ მოქმედებაზე, რაც გულისხმობდა სტალინის თანხმობას ამიერკავკასიაში ბრიტანეთის ჯარების შემოყვანაზე. ბუნებრივია, სტალინი ამას არ დასთანხმებოდა", – მიანიშნებს მწერალი არსენ მარტიროსიანი.[193]

როგორც ზემოთ აღინიშნა, სსრ კავშირის წინააღმდეგ წარმოებულ ომში გერმანიის დაზვერვა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა სადაზვერვო-დივერსიული საქმიანობის ორგანიზებას საბჭოთა ზურგში. ძირითადი იმედი მყარდებოდა აგენტ-პარაშუტისტთა მცირე ჯგუფების გადმოსროლასა და იმ საქმიანობაზე, რაც მათ უნდა ეწარმოებინათ ადგილობრივ მოსახლეობაში.

1941 წლის 21 ივლისს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა, სახელმწიფო უშიშროების გენერალ-მაიორმა ვარლამ კაკუჩაიამ დაამტკიცა სრულიად საიდუმლო გრიფის დოკუმენტი: – «Инструкция о деятельности и порядке организации истребительных батальонов по борьбе с парашютистами-десантами и диверсантами, организуемых в районах гор. Тбилиси**».

გამანადგურებელი ბატალიონის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა მონინააღმდეგის მიერ საქართველოს დედაქალაქ თბილისის ტერიტორიაზე გადმოსხმული პარაშუტისტ-დესანტებისა და დივერსანტების განადგურება. მოთხოვნები საკმაოდ მკაცრი იყო და გულისხმობდა დივერსანტ-პარაშუტისტების უსწრაფეს ლიკვიდაციას საბჭოთა კავშირის დასავლეთ ნაწილში განვითარებული სასტიკი ბრძოლების ფონზე კავკასიის, კერძოდ, საქართველოს მიმართულებით 1941 წლის შემოდგომა – 1942 წლის გაზაფხულის პერიოდში გერმანელ დივერსანტ-

* „სსრ კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის მიერ ყველა რადიომიმღების, გარდა იმ მიმღებებისა, რაც განკუთვნილია კოლექტიური მოსმენისათვის, დროებით ჩაბარების შესახებ".

** ინსტრუქცია ქ. თბილისის რაიონებში მოქმედ პარაშუტისტ-დესანტებთან და დივერსანტებთან საბრძოლველად გამანადგურებელი ბატალიონების საქმიანობისა და ორგანიზაციის წესის შესახებ.

პარაშუტისტთა გადმოსროლის ფაქტებს ადგილი არ ჰქონია საომარი ფრონტის სიშორის გამო.

გერმანული დივერსიული ჯგუფების საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსხმისათვის მზადების თაობაზე ინფორმაცია საბჭოთა სპეცსამსახურებს უკვე ჰქონდათ 1942 წლის მაისის დასაწყისიდან.

1942 წლის 8 მაისს, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს კ. ჩარკვიანს შემდეგი შინაარსის საიდუმლო გრიფის წერილით მიმართა:

„გაცნობებთ, რომ ჩვენს მიერ ამა წლის 8 მაისს დაპატიმრებული მტრის პარაშუტისტ-მზვერავთა ჩვენების მიხედვით, გერმანელების მიერ გადმოსასროლად ქ. სიმფეროპოლში მომზადებულია 150 კაცი, უმეტესობა სომეხი ეროვნების. დაგეგმილია მათი გადმოსროლა 7 მაისის საღამოდან ოთხ-ოთხ კაციან ჯგუფებად შავი ზღვის სანაპირო ზოლის გასწვრივ, თან ექნებათ რადიოგადამცემები და შეიარაღება. მათი ამოცანაა თვითმფრინავების დაშვების ადგილების დადგენა, აჯანყებისათვის კადრების მომზადება, დივერსიული აქტების მოწყობა. ოპერაციებს ხელმძღვანელობს რუმინეთში მყოფი ცნობილი დაშნაკი ДРО. აღნიშნულმა ДРО-მ ამ ცოტა ხნის წინ თავად იფრინა შავი ზღვის სანაპიროს თავზე და მონიშნა დესანტის გადმოსხმის ადგილები. მათივე ჩვენების თანახმად, ორი-სამი დღის შემდეგ მოსალოდნელია ჯერ 1500, ხოლო შემდეგ 3000 კაციანი დესანტის ჩამოსმა.

დესანტთა ამოცანაა – ქ. სოხუმის დაპყრობა და კომუნიკაციების დაკავება. სავარაუდოა საზღვაო დესანტის გადმოსხმაც. დესანტის გადმოსხმა იგეგმება ფსოუზე, აგრეთვე სოხუმის რაიონის რიგ ადგილებში. იალტაში, რკინიგზის ხაზზე მათ დატვირთული აქვთ დაშლილ მდგომარეობაში წყალქვეშა გემები, რომლებიც უნდა იქნენ აწყობილნი და ჩაშვებულნი ზღვაში“.[327]

გენერალი „დრო“ იყო დაშნაკცუთუნის პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, სომხეთის დაშნაკური მთავრობის ყოფილი სამხედრო მინისტრი კანოიანი დრასტომატ მარტიროსის ძე. ეს უკანასკნელი 1920 წელს გაიხიზნა რუმინეთში, სადაც ნავთობის ერთ-ერთი სარეწის მფლობელი გახდა. თანამშრომლობდა „გესტაპოსთან“. იყო აბვერის საჯაშუშო-დივერსიული დანაყოფის „დრომედარ-114“-ის ერთ-ერთი ხელმძღვანელი.[17]

შავი ზღვის ზონაში, განსაკუთრებით ქ. სოხუმის მიმართულებით, მოწინააღმდეგე მხარის მიერ საჰაერო დესანტის შესაძლო გადმოსხმის თაობაზე არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ წერეთელმა წერილობითი თხოვნით მიმართა საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის მდივანს კ. ჩარკვიანს, რათა ამ უკანასკნელს ამიერკავკასიის ფრონტის წინაშე სასწრაფოდ დაეყენებინა დესანტთა სავარაუდო ჩამოსხმის ადგილებში საზღვაო და საჰაერო გზების პატრულირების გაძლიერებისა და უსაფრთხოების დამატებითი ზომების მიღების საკითხი. აღნიშნულთან დაკავშირებით შესაბამისი მითითებები გაეგზავნა სასაზღვრო ჯარების სამმართველოს უფროსს, გენერალ-მაიორ ლაბაძესაც.[327]

1942 წლის ივლის-აგვისტოში გერმანიის არმიამ მძლავრი შეტევა განახორციელა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებზე. მზადდებოდა მთელი რიგი ღონისძიებებისა აზოვისა და შავი ზღვის მიმართულებებით საბრძოლო დესან-

ტის გადასასხმელად. მათი უმთავრესი ამოცანა ბაქოსა და ბათუმის რაიონების ხელში ჩაგდება იყო.

ამ პერიოდისათვის გერმანულმა მხარემ გააძლიერა საავიაციო-სადაზვერვო საქმიანობა, რაც ამიერკავკასიის ფრონტის მიმართულებით პარაშუტისტთა გადმოსხმაში გამოიხატებოდა. მათი მიზანი საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, ძირითადად, შავი ზღვისა და თურქეთ-სსრკ-ის საზღვრის მიმდებარედ სადაზვერვო საქმიანობა, დივერსიების მოწყობა და ანტისაბჭოთა ჯგუფების ორგანიზება იყო. აქედან გამომდინარე, გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენდა სადაზვერვო საქმიანობისათვის შესაბამისი ბაზის მოსპობა, ანუ შავი ზღვის სანაპირო ზოლისა და თურქეთ-საბჭოთა კავშირის საზღვრის მიმდებარე ტერიტორიის დასახლებული პუნქტების გაწმენდა ანტისაბჭოთა განწყობის მოსახლეობისაგან.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო საბჭომ, საკუთარი დადგენილების საფუძველზე, თხოვნით მიმართა ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების: საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიების (ბ) ცენტრალურ კომიტეტებს, რათა უმოკლეს ვადაში განეხილათ შემდეგი ქალაქებიდან: სოჭი, ადლერი, გაგრა, გუდაუთა, სოხუმი, ოჩამჩირე, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ახალციხე, ახალქალაქი, ლენინაკანი, კიროვოკანი, ნახიჭევანი, ლენქორანი, აგრეთვე შავი ზღვის სანაპიროდან და თურქეთ-სსრ კავშირის საზღვრიდან სიღრმეში 25 კმ მანძილზე დაშორებელი დასახლებული პუნქტებიდან სოციალურად საშიში ელემენტებისა და მათი, ვინც პოლიტიკურად ნდობას არ იმსახურებდნენ, გასახლების საკითხი.[324]

ნაცისტური გერმანიის სამხედრო მანქანა წინ მიიწევდა და საკუთარი სიძლიერის დემონსტრირებას ცდილობდა, აწყობდა რა პერიოდულად მშვიდობიანი მოსახლეობის გამაფრთხილებელ (პანიკის მომცველ) დაბომბვებს. 1942 წლის 22 აპრილს, 09.30 საათზე ქ. ბათუმის თავზე გამოჩნდა გერმანელთა 4 თვითმფრინავი. საზღვაო არტილერიამ მტერს დროზე გაუხსნა ცეცხლი. ბათუმში გამოცხადდა განგაში. იმავე დღეს, 08.15 საათზე, მოწინააღმდეგის თვითმფრინავმა Ю-86 გადაუფრინა გაგრას, ანაკლიას, ცხაკაიას, ფოთს, ბათუმს. უკან გაბრუნებისას, ქობულეთის რაიონში მას შეუტია ორმა საბჭოთა გამანადგურებელმა.[328] 15 აგვისტოს, 16.15 საათზე, მოწინააღმდეგის სამმა თვითმფრინავმა საჰაერო შეტევა განახორციელა ქ. სოხუმზე და ჩამოაგდო 10 ფუგასური ბომბი. დაბომბვის შედეგად დაზიანდა დივიზიის შენობა, სოხუმის ერთ-ერთი სამხედრო სასწავლებელი და გამანადგურებელი ბატალიონის სოხუმის რაიონის შტაბი, ჩაიძირა ერთი სამხედრო კატარღა და ერთი ბარჟა. ქალაქის ცენტრში დაინგრა 5 საცხოვრებელი სახლი. დაბომბვის შედეგად დაიღუპა 13 და დაიჭრა 67 ადამიანი. კატარღასა და ბარჟაზე გარდაცვლილები არ აღნერილა. მტრის მოსაგერიებლად მხოლოდ სამი გასროლა განხორციელდა. საბჭოთა საავიაციო გამანადგურებლები უმოქმედოდ იდგნენ. იმავე დღეს, 18.50 საათზე, გერმანელთა 6-მა თვითმფრინავმა სოხუმზე ხელახლა განახორციელა შეტევა, რის შედეგადაც ჩაიძირა ერთი გემი, მეორე კი დაზიანდა. ქალაქის მახლობლად და ზღვაში ჩამოვარდა რამდენიმე ფუგასური ბომბი, რასაც მსხვერპლი არ მოჰყოლია.[330] 17 და 18 აგვისტოს გერმანელთა თვითმფრინავიდან ზუგდიდის, გეგეჭკორის, წყალტუბოსა და ამბრო-

ლაურის რაიონებში ჩამოყრილ იქნა „კონტრრევოლუციური პროკლამაციები“. 18 აგვისტოს, 8.50 საათზე, მოწინააღმდეგის 7-მა თვითმფრინავმა კიდევ ერთხელ განახორციელა შეტევა ქ. სოხუმზე. ქალაქის ცენტრში ჩამოგდებულ იქნა 8 ბომბი. ზოგიერთი ყუმბარა ღია ზღვაში ჩავარდა. დაბომბვის შედეგად გარდაიცვალა – 16, მძიმედ დაიჭრა 21, მსუბუქად დაიჭრა 15 ადამიანი, დაინგრა ოთხი საცხოვრებელი სახლი.[330] 3 სექტემბერს, 8.17 საათზე, ხაშურის თავზე, თბილისის მიმართულებით, გადაიფრინა გერმანელთა თვითმფრინავმა, რომელმაც სოფელ ჭანკვეტაძეების მიდამოებში, ხაშურიდან 4 კილომეტრში, ჩამოაგდო ერთი ფუგასური ბომბი, რომელსაც ადამიანთა მსხვერპლი და ნგრევა არ მოჰყოლია.[331] თბილისში დაიბომბა ხორცკომბინატის შენობა და ჭურვების დამამზადებელი ქარხანა, რის შედეგადაც 8 ადამიანი დაიღუპა. 18 სექტემბერს, 8.50 საათზე, ზესტაფონის თავზე გერმანელთა თვითმფრინავიდან ჩამოგდებულ იქნა ფუგასური ბომბი, რის შედეგადაც გარდაიცვალა 1 და დაიჭრა 3 ადამიანი, დაზიანდა სახალხო სასამართლოს შენობა და მიმდებარე ნაგებობები.[326] 1942 წლის 24 სექტემბერს ქ. გორის ცენტრში, პარკის ტერიტორიაზე გერმანელთა მიერ ჩამოგდებულ იქნა ერთი საავიაციო ბომბი, რომლის აფეთქებასაც ზარალი არ მოჰყოლია.[332] სამაგიეროდ, 26 სექტემბერს, 9.30 საათზე, ხაშურის თავზე, რკინიგზიდან 400 მეტრის დაშორებით, გერმანელთა თვითმფრინავიდან ჩამოგდებულ ბომბს ერთი ქალი ემსხვერპლა, დაიჭრა 6 ადამიანი. დაინგრა ორი ხის საცხოვრებელი სახლი, 1 დაზიანდა.[331] აღსანიშნავია ისიც, რომ 1942 წლის 22 აპრილს ზესტაფონის რაიონის სოფელ პირველ სვირში დაფიქსირდა უცნობი თვითმფრინავიდან ფანერისაგან დამზადებული გერმანულწარწერიანი კასრის გადმოგდება. ნაპოვნი იქნა ხის ნაწილები.[328]

ამას გარდა, გერმანიის დაზვერვამ 1942 წლის აგვისტოს თვეში საქართველოს საჰაერო სივრცეში რამდენიმე სპეციალური გაფრენა განახორციელა, რასაც ანტისაბჭოთა შინაარსის პროკლამაციებისა და მოწოდებების ჩამოყრა მოჰყვა. საქართველოს შინსახკომის მუშაკები და გამანადგურებელი ბატალიონის წევრები ამ შემთხვევაშიც აქტიურად ირჯებოდნენ და ჩამოგდებულ ანტისაბჭოთა მოწოდებებს ფურცელ-ფურცელ აგროვებდნენ, ისე, რომ მოსახლეობა წაკითხვასაც კი ვერ ასწრებდა. განსაკუთრებული ინტენსივობით გამოირჩეოდა 16-20 აგვისტოს პერიოდი. ამ ხნის მანძილზე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მთლიანობაში დაახლოებით 6-7 ათასი ფურცელი იქნა შეგროვილი.

16 აგვისტოს დილით რუსულ ენაზე ნაბეჭდი პროკლამაციები (ყოფილი წითელარმიელის მოწოდებები), 3 ათას ცალამდე აღმოჩენილ იქნა გორის რაიონის ტერიტორიაზე ისე, რომ თვითმფრინავის გადაფრენა საბჭოთა ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის სისტემას არ დაუფიქსირებია. ანალოგიური ფურცლები იმავე დღეს იქნა აღმოჩენილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე (66 ც.). 17 აგვისტოს, 12.30 საათზე მოწინააღმდეგის პროკლამაციები ნაპოვნი იქნა ზუგდიდის „ქაღალდკომბინატის“ ტერიტორიაზე (100 ც.). იმავე დღეს, 17.30 საათზე, ქუთაისის თავზე, 150-200 მეტრის მანძილზე გადაიფრინა მოწინააღმდეგის თვითმფრინავმა და საფიჩხიას თავზე დაახლოებით 3000 ცალი რუსულ, ქართულ, სომხურ, თურქულ და აფხაზურ ენებზე შესრულებული ფურცლები ჩამოყარა. 17 აგვისტოს, 16.00 საათზე, ამბროლაურის რაიონის თავზე დიდი სიმაღლიდან

თვითმფრინავმა ჩამოყარა ანტისაბჭოთა შინაარსის ფურცლები. იმავე დღეს იქნა ჩამოყრილი პროკლამაციები გეგეჭკორისა და აბაშის რაიონებში. მოწინააღმდეგის მიერ ფურცლები ჩამოყრილ იქნა 19 აგვისტოს ხაშურის რაიონის თავზე და 20 აგვისტოს თბილისის მახლობლად, დასახლება ნავთლუღში.[330]

1942 წლის ივლის-აგვისტოში კავკასიის ფრონტზე საბჭოთა ჯარებისათვის უმძიმესი ვითარება შეიქმნა. წითელი არმიის დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, გერმანიის სამხედრო მანქანა წარმატებით მიიწევდა აღმოსავლეთის მიმართულებით და ქალაქს ქალაქზე იღებდა.

ქ. როსტოვის შემდეგ, ნაცისტური გერმანიის შეიარაღებულმა ძალებმა პრაქტიკულად უპრობლემოდ დაიკავეს ქალაქები: სტავროპოლი, კრასნოდარი, მაიკოპი, პიატიგორსკი, მინვოდი, მოზდოკი. მათ კონტროლს დაექვემდებარა სანჭაროს, ქლუხორისა და მარუხის უღელტეხილები. იალბუზზე გერმანელებმა სვასტიკიანი დროშა აღმართეს. ნოვოროსიისკი და ტამანის ნახევარკუნძული გერმანელთა ხელში იყო. გერმანიის საარმიო შენაერთები საქართველოს ადმინისტრაციულ საზღვრებთან იმყოფებოდნენ. ისინი უკვე გუდაუთის სიახლოვეს იდგნენ.

შექმნილ ვითარებას თვალყურს ადევნებდა გერმანიის მოკავშირე თურქეთი, რომელმაც საქართველოს სამხრეთი საზღვრების სიახლოვეს დიდძალ ტექნიკასა და სამხედრო ძალას (26 დივიზია) მოუყარა თავი. ძირითად მიზნამდე, ბაქომდე, რომ იტყვიან, ერთი ხელის გაწვდენა იყო დარჩენილი. ადგილობრივი პარტიული ორგანოები და „შინსახკომი" ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ მოსახლეობაში არ შექმნილიყო პანიკა. ამავდროულად ატარებდნენ შესაბამის მოსამზადებელ სამუშაოებს, საქართველოს დაპყრობის შემთხვევაში, გერმანელთა წინააღმდეგ პარტიზანული და დივერსიული ომის გასაჩაღებლად.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კავკასიის ფრონტზე შექმნილი ურთულესი ვითარების განეიტრალება, თავდაცვითი და შეტევითი ოპერაციების დაგეგმვა და სწრაფად განხორციელება, აგრეთვე ოპერატიულ-სადაზვერვო პროცესის ორგანიზება ი. სტალინმა ლავრენტი ბერიას დაავალა და ეს უკანასკნელი მაქსიმალური უფლებამოსილებით აღჭურვა.

1942 წლის 5 აგვისტოს რამდენიმე ამერიკული „C-47" ტიპის თვითმფრინავი, რომლებშიც იმყოფებოდნენ ლავრენტი ბერია, ვსევოლოდ მერკულოვი, ვალერიან ბაქრაძე, პავლე სუდოპლატოვი და სხვა პარტიული თუ სამხედრო მუშაკები, 150 კაციან ალპინისტთა ჯგუფთან ერთად მოსკოვიდან, შუა აზიის გამოვლით, თბილისისაკენ დაიძრა.

ალპინისტთა ჯგუფს, რომელსაც პ. სუდოპლატოვი ხელმძღვანელობდა, დავალებული ჰქონდა კავკასიის მთიან რაიონებში საბრძოლო ოპერაციების წარმოება, მტრის ზურგში დივერსიული აქტების მოწყობა და მოწინააღმდეგისათვის ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფაში ხელისშეშლა.

გენერალ პ. სუდოპლატოვს ლ. ბერიასგან სხვა მითითებებიც ჰქონდა მიღებული: „Опасения, что Тбилиси да и весь Кавказ могут быть захвачены врагом, были реальны. В мою задачу входило создание подпольной агентурной сети на случай, если Тбилиси оказался бы под немцами. Профессор Константин Гамсахурдия (отец Звиада Гамсахурдия) был одним из кандидатов на пост руководителя агентурной сети в Грузии. Он являлся старейшим осведомителем

НКВД. К сотрудничеству его привлек еще Берия после нескольких арестов в связи с инкриминировавшимися ему антисоветскими заявлениями и националистическим сепаратизмом. По иронии судьбы перед войной он был известен своими прогерманскими настроениями: он всегда давал понять, что процветание Грузии будет зависеть от сотрудничества с Германией. Мне захотелось проверить эти слухи, и я, заручившись согласием Берии, вместе с Саджая провел в гостинице «Интурист» беседу с профессором Гамсахурдия. Мне он показался не слишком надежным человеком. К тому же весь его предшествующий опыт осведомителя сводился к тому, чтобы доносить на людей, а не оказывать на них влияние. И еще: он был слишком занят своим творчеством. (Кстати, он написал биографию Сталина на грузинском языке.) В целом это был человек, склонный к интригам и всячески пытавшийся использовать в своих интересах расположение Берии: оба были мегрелы.

Посовещавшись с местными работниками, мы пришли к выводу, что Гамсахурдия лучше использовать в другой роли. Главная же роль отводилась Мачавариани, драматургу, пользовавшемуся в Тбилиси репутацией солидного человека. Он был известен как безукоризненно честный человек, и мы спокойно доверили ему крупные суммы денег, а также золотые и серебряные изделия, которые в случае надобности можно было использовать на нужды подполья.

Много позже один из моих сокамерников, академик Шария, помощник Берии, отвечавший за партийную пропаганду в Грузии, рассказал мне, что в последствии Берия потерял к Гамсахурдия всякий интерес. Тот, однако, оставался в Грузии весьма влиятельной фигурой – своего рода иконой в мире культуры. Известно, что Сталин лично запретил его арестовывать. В 1954 году, когда Берия был уже расстрелян, грузинские власти захотели отделаться от Гамсахурдия, и местный КГБ обратился в Москву за санкцией на его арест как пособника Берии, который сделал себе политический капитал на личных связях с врагом народа. Как мне рассказывал писатель Кирилл Столяров, изучавший события 1953-1954 годов, Гамсахурдия хотели обвинить в том, что по указанию Берии он шантажировал представителей грузинской интеллигенции, принуждая их устанавливать тайные связи с немецкой спецслужбой. Именно за это, утверждали его обвинители, он получил в годы войны от Берии и Микояна крупные денежные суммы и американский «виллис».

По словам Шария, в конце-концов Гамсахурдия оставили в покое*.[73]

---

* „საშიშროება იმისა, რომ თბილისსა და მთელ კავკასიას მტერი ჩაიგდებდა ხელში, რეალური იყო. ჩემს ამოცანას შეადგენდა იატაკქვეშა აგენტთა ქსელის შექმნა იმ შემთხვევისათვის, თუკი თბილისი გერმანელთა ხელში აღმოჩნდებოდა. პროფესორი კონსტანტინე გამსახურდია (ზვიად გამსახურდიას მამა) საქართველოში აგენტთა ქსელის ხელმძღვანელობის ერთ-ერთი კანდიდატი იყო. ის იყო შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისთვის ცნობების უძველესი მიმწოდებელი. თანამშრომლობაზე ის დაითანხმა ჯერ კიდევ ბერიამ რამდენჯერმე დაპატიმრების და მისთვის ანტისაბჭოთა განცხადებებისა და ნაციონალური სეპარატიზმის ინკრიმინირების (დაბრალების) შემდეგ. ბედის ირონიით, ომის წინ ის ცნობილი იყო თავისი პროგერმანული განწყობილებით: ყოველთვის მიახვედრებდა, რომ საქართველოს აყვავება დამოკიდებული იქნება გერმანიასთან თანამშრომლობაზე. მე მინდოდა შემემოწმებინა ეს ხმები და, ბერიას ნებართვით, საჯაიასთან ერთად, სასტუმრო „ინტურისტში" მოვაწყვე შეხვედრა და საუბარი პროფესორ გამსახურდიასთან. მე ის მომეწვენა არცთუ ისე სანდო ადამიანად. ამასთან, მთელი მისი წარსული საქმიანობის გამოცდილება, ცნობების მომწოდებლის რანგში, დაყვანილი იყო ადამიანთა დასმენაზე და არა მათზე ზეგავლენის

1942 წლის 19 აგვისტოს პროხლადნაიას რაიონში საბჭოთა მხარეს საკუთარი ნებით ჩაბარდა გერმანელთა 23-ე სატანკო დივიზიის ჯარისკაცი, ერთ-ერთი ოფიცრის მძღოლი. დაკითხვაზე მან განაცხადა, რომ ვინაიდან ბაქოს მიმართულებით რკინიგზის ხაზი საკმარისად დაცული იყო საბჭოთა ჯარების მიერ, გერმანიის სარდლობას გადაწყვეტილი ჰქონდა იერიშის მიტანა საბჭოთა საქართველოს დედაქალაქ თბილისზე.[325] თბილისის თავზე მართლაც გამოჩნდა გერმანული თვითმფრინავები. დაიბომბა თბილისის ხორცკომბინატის შენობა და ჭურვების დამამზადებელი ქარხანა, რის შედეგადაც დაიღუპა 8 ადამიანი.

1942 წლის ივლის-სექტემბერში ჩრდილოეთ კავკასიაში გამართული უმძიმესი ბრძოლების შედეგად გერმანელებმა ვერ მოახერხეს ნავთობისა და ნავთობის ჭაბურღილების გამოყენება, რამაც მათ ბრძოლისუნარიანობაზე დიდად იმოქმედა.

საბჭოთა არმიისა და ზოგადად საბჭოთა კავშირის გამარჯვებით გამოწვეული ეიფორია იმდენად დიდი იყო, რომ წლების მანძილზე მხოლოდ დადებით მოვლენებზე ამახვილებდა ყურადღებას და საზოგადოებას წითელი არმიის გმირულ ამბებზე მოუთხრობდა. არადა, რეალობა სხვაგვარი იყო. შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივებში შემონახულია ნაწილი იმ ანგარიშებისა, რომლებშიც ცალსახად იკითხება, თუ რა უმსგავსობებს ჩადიოდა კავკასიის ფრონტზე და საქართველოს ტერიტორიაზე დისლოცირებული სამხედრო ნაწილების ზოგიერთი სამხედრო მოსამსახურე, როგორ ექცეოდნენ ისინი მშვიდობიან მოსახლეობას და რა დანაშაულებრივ ქმედებებს ჩადიოდნენ. მაგალითად:

1. 1942 წლის 30 იანვარს ონის რაიონის სოფელ ონჭევსა და პიპილეთში მცხოვრებმა ქალებმა წერილობით მიმართეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ონის რაიონიდან, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ვალერიან ბაქრაძეს. მიმართვაში გამახვილებული იყო ყურადღება ზემოაღნიშნულ სოფლებში, აგრეთვე სოფელ ირსა და მიმდებარე დასახლების

---

მოხდენაზე. და კიდევ: ის ძალიან იყო დაკავებული თავისი შემოქმედებით (სხვათა შორის, მან დაწერა სტალინის ბიოგრაფია ქართულ ენაზე). მთლიანობაში ეს იყო ადამიანი, რომელსაც მიდრეკილება ჰქონდა ინტრიგებისკენ და რომელიც ყველანაირად ცდილობდა საკუთარი ინტერესებისათვის მის მიმართ ბერიას კეთილი განწყობის გამოყენებას: ორივე მეგრელი იყო.

ადგილობრივ თანამშრომლებთან მოთათბირების შემდეგ, იმ დასკვნამდე მივედით, რომ სჯობდა გამსახურდიას გამოყენება სხვა როლისთვის. მთავარი როლი კი უნდა დაკისრებოდა მაჭავარიანს, დრამატურგს, რომელიც თბილისში სარგებლობდა სოლიდური პიროვნების რეპუტაციით. ის ცნობილი იყო, როგორც უზადოდ პატიოსანი ადამიანი, და ჩვენ თავისუფლად ვანდეთ მას საკმაოდ სოლიდური თანხა, აგრეთვე ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობები, რომლებიც აუცილებლობის შემთხვევაში, შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო იატაკქვეშა საქმიანობის საჭიროებისათვის.

მოგვიანებით, ჩემი ერთ-ერთი თანამესაკნე, აკადემიკოსი შარია, ბერიას თანაშემწე, რომელიც პასუხს აგებდა საქართველოში პარტიულ პროპაგანდაზე, მომიყვა, რომ შემდგომში ბერიამ გამსახურდიას მიმართ ყველანაირი ინტერესი დაკარგა. თუმცა, ის რჩებოდა საქართველოში ერთ-ერთ გაელენიან ფიგურად - თავისებურ ხატად კულტურის სამყაროში.

ცნობილია, რომ მისი დაპატიმრება პირადად სტალინმა აკრძალა. 1954 წელს, როდესაც ბერია უკვე დახვრეტილი იყო, საქართველოს ხელისუფლებას უნდოდა გამსახურდიას თავიდან მოცილება და ადგილობრივმა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა მოსკოვს მიმართა მისი, როგორც ბერიას მხარდამჭერის დაპატიმრებისათვის სანქციის მიღების თაობაზე, ადამიანი, რომელმაც თავისი პოლიტიკური კარიერა გაიკეთა ხალხის მტერთან პირადი კავშირების წყალობით. როგორც მომიყვა მწერალი კირილ სტოლიაროვი, რომელიც სწავლობდა 1953-1954 წლების მოვლენებს, გამსახურდიას დადანაშაულება უნდოდათ იმაში, რომ ის, ბერიას დავალებით, აშანტაჟებდა ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებს, აიძულებდა რა მათ გერმანიის სპეცსამსახურებთან საიდუმლო კავშირის დამყარებას.

სწორედ ამის გამო, ამტკიცებდნენ მისი ბრალმდებლები, ომის წლებში ბერიასგან და მიქოიანისაგან მიიღო მსხვილი ფულადი სახსრები და ამერიკული „ვილისი".

შარიას სიტყვებით, ბოლოს და ბოლოს, გამსახურდიას თავი დაანებეს".

მაცხოვრებელთა ოჯახებში განთავსებული წითელი არმიის მუშათა ბატალიონის ჯარისკაცთა მხრიდან ულირს ქმედებებზე, განსაკუთრებით არაფხიზელ მდგომარეობაში ყოფნისას („დათვრებიან რუსები და ქალებისკენ ძალით მიიწევენ") და სასწრაფოდ ითხოვდნენ სათანადო რეაგირებას.[333]

2. 1942 წლის 23 იანვარს საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა ა. რაფავამ საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს კანდიდ ჩარკვიანს აცნობა, რომ მე-13 მოტომსროლელთა დივიზიის წითელარმიელებმა (დეზერტირებმა) ა. გ. ნეკრასოვმა, ნ. ს. მანკომ და ნ. დ. ტრუნოვმა, სხვა სამ წითელარმიელთან ერთად, ბლაგვი იარაღით სიცოცხლეს გამოასალმეს დუშეთის რაიონის სოფელ ბანცურში მცხოვრები ალექსი ვეშაგურის ოჯახი (თავად ა. ვეშაგური, მისი მეუღლე, ორი ქალიშვილი და ერთი ვაჟიშვილი).[332]

3. საქართველოს შინსახკომის უშიშროების სამმართველოს აბაშის რაიონული განყოფილების უფროსმა, სახელმწიფო უშიშროების ლეიტენანტმა ალასანიამ, 1942 წელის 28 სექტემბერს წერილობით მიმართა საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს თოფურიძეს იმ არაჯანსაღ ქმედებებზე, რასაც ამჟღავნებდნენ აბაშის რაიონში განთავსებული საბჭოთა არმიის ნაწილების ზოგიერთი წარმომადგენელი (როგორც ჯარისკაცი, ისე ოფიცერი), განსაკუთრებით არაფხიზელ მდგომარეობაში ყოფნისას. სამხედრო მოსამსახურეები ხულიგნობდნენ, დებოშს ტეხდნენ, არამართლზომიერად იყენებდნენ იარაღს და სხვა. ხულიგნური საქციელისათვის დაკავებული ყოფილან: მფრინავი ფიოდოროვი, ლეიტენანტი კირინი, სერჟანტი ბონდარენკო, უმცროსი მეთაური პიროგოვი და სხვები. მიმართვაში ასევე აღნიშნული იყო, რომ წითელარმიელები არ ემორჩილებოდნენ ადგილობრივ მილიციას და თავხედობდნენ. აქედან გამომდინარე, წერილის ავტორი ზემდგომი ინსტანციებისაგან აბაშის რაიონში სამხედრო კომენდანტისა და გარნიზონის უფროსის სასწრაფო წესით დანიშვნას მოითხოვდა.[327]

4. საქართველოს შინსახკომში 1942 წლის 28 დეკემბერს მიღებული შეტყობინების თანახმად, სამი დღე ილოთეს ჩხარის რაიონის სოფელ სიქთარვაში სტუმრად მყოფმა შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურებმა: ა. მ. პერეპელიატკინმა, გ. ა. კოლოტეშკინმა და წითელარმიელმა პ. ვ. ვარენიკმა, რის შემდეგაც ადგილობრივ სამართალდამცავებთან ურთიერთობის გარკვევის პროცესში დაიჭრა ერთ-ერთი მათგანი – პერეპელიატკინი.[333]

5. 1943 წლის 5 მაისის მონაცემებით, აფხაზეთში, ბაბუშერის საშუალო სკოლის შენობაში დისლოცირებული შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურები სისტემატურად, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფნი, მუდმივად ტეხდნენ დებოშს დრანდის საკოლმეურნეო ბაზარში. შედიოდნენ კოლმეურნეთა სახლებში და მოითხოვდნენ სპირტიან სასმელებს. წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში ძალადობდნენ. მიჰყავდათ პირუტყვი და მიჰქონდათ პროდუქტი. მათი მხრიდან იყო გაუპატიურების მცდელობებიც. მოსახლეობა შავი ზღვის ფლოტელების მიმართ გადამჭრელი ზომების მიღებას ითხოვდა.[333]

6. 1942 წლის 6 ოქტომბერს საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა თოფურიძემ ხუთგვერდიანი ნაბეჭდი, სრულიად საიდუმლო გრიფის მქონე წერილით მიმართა საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს კ. ჩარკვიანს. წერილში აღწერილი იყო ის უამრავი სამართალდარღვევა,

რაც მოხდა წითელფლოტელების მხრიდან ფოთსა და სოხუმს შორის პატრულირებისას. ისინი მოროდიორობდნენ და დებოშიორობდნენ. წითელფლოტელები იჭრებოდნენ რაიონული და საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეების კაბინეტებში და იარაღის მუქარით ითხოვდნენ მათთვის პურის მიცემას. იყო შემთხვევები, როდესაც პურის მაღაზიიდან წითელფლოტელები ძალით იღებდნენ პურს და მის საფასურს არ იხდიდნენ. როგორც წესი, პური სპირტიან სასმელებზე იცვლებოდა, ხოლო უგონოდ მთვრალი წითელარმიელები დებოშიორობდნენ. იყო შემთხვევები, როდესაც მთვრალმა ჯარისკაცებმა ერთერთ მოქალაქეს საათი წაართვეს და სასტიკად სცემეს მილიციელი. დაკავებულ დებოშიორებს სოლიდარობა გამოუცხადეს მეგობრებმა, რომლებიც შინსახკომის ცხაკაიას რაიონულ განყოფილებაში მიიჭრნენ და მუქარითა და შანტაჟით შეეცადნენ მათ განთავისუფლებას.

1942 წლის 14 სექტემბერს სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეზღვაურები შეიჭრნენ ღვინის ერთ-ერთ საცავში და სროლა ატეხეს. უგონოდ მთვრალებმა ღვინით სავსე კასრები დაცხრილეს. მომხდარ ფაქტს შეესწრო იქვე მყოფი ბატალიონის კომისარი დოროფეევი, რომელიც იძულებული იყო, იარაღის გამოყენებით შეეჩერებინა გონებააბნეული ჯარისკაცები და სხვა.[327]

7. 1945 წლის 19 თებერვალს ამიერკავკასიის ფრონტის კონტრდაზვერვის სამმართველოს „სმერშის" უფროსმა გენერალ-ლეიტენანტმა ნ. რუხაძემ 13 ნაბეჭდ გვერდზე შესრულებული „სრულიად საიდუმლო" გრიფის მქონე წერილით მიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს კანდიდ ჩარკვიანს. დოკუმენტი ასეა დასათაურებული: "Специальное сообщение об аморальных явлениях в частях Закавказского фронта"*.[326]

8. 1945 წლის 13 აპრილს, 13.00 საათზე შავ ზღვაში დისლოცირებული წყალქვეშა გემიდან, რომელიც ატარებდა სასწავლო წვრთნებს, მოხდა გასროლა მდინარე კოდორის მიმართულებით, რის შედეგადაც დაიღუპნენ ოჩამჩირის რაიონის სოფელ ადიუბჟას მცხოვრებლები ირატ ბერია, შალვა ვეკუა, ვერა კიკიანი; მძიმედ დაიჭრნენ დავით ჭერჟიანი, ფიფია, დარასელია, ლუბოვ ფიფია და ბიჭიკო ბერია.[326]

9. 1945 წლის სექტემბერში დუშეთში განთავსდა ლენინისა და კუტუზოვის ორდენების კავალერი, პირველი მოტომსროლელთა გვარდიული პოლკი, რომელსაც პოლკოვნიკი სტაროდუბცევი ხელმძღვანელობდა. მიუხედავად იმისა, რომ დუშეთის რაიონის, განსაკუთრებით თვით დუშეთის მოსახლეობამ რუსი სამხედრო მოსამსახურეები თბილად მიიღო (ოფიცერთათვის გამოიყო საცხოვრებელი სახლები, დამყარდა საქმიანი კონტაქტები და სხვა), ეს უკანასკნელნი თავხედურად იქცეოდნენ და ადგილობრივ მოსახლეობას სისტემატურად აწიოკებდნენ. იმდენად სამარცხვინო იყო მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებული წითელარმიელების ქცევები, რაც ძირითადად ლოთობასთან, დებოშიორობასთან, ქურდობასთან და აქედან გამომდინარე შედეგებთან იყო დაკავშირებული (ფაქტები საკმარისზე მეტი იყო), რომ ზემოაღნიშნულ ბრიგადაში შექმნილი ვითარება სასწრაფო წესით იქნა შესწავლილი საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამხედრო განყოფილებისა და ამიერკავკასიის ოლქის პარტიული კომისიის მიერ. დადგინდა,

* სპეციალური შეტყობინება ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ნაწილებში ამორალური ქმედებების შესახებ.

რომ „38% всех нарушении воинской дисциплины и аморальных явлении падает на коммунистов и комсомольцев, а 23% на офицерский состав полка*". საკითხის შესწავლასა და ანალიზს შესაბამისი რეაგირება მოჰყვა. თანამდებობიდან გათავისუფლდა პოლკის მეთაური პოლკოვნიკი სტაროდუბცევი, კონკრეტულ დანაშაულებრივ ფაქტებზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმეები.[326]

10. 1945 წლის 12 დეკემბერს კონტრდაზვერვა „სმერშის" თბილისის სამხედრო ოლქის სამმართველოს უფროსის მოადგილემ პოლკოვნიკმა ხეჩუმოვმა სრულიად საიდუმლო გრიფის სამ ნაბეჭდ ფურცელზე შესრულებული სპეციალური შეტყობინება გაუგზავნა საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს კ. ჩარკვიანს. წერილში აღნიშნული იყო: „...к нам поступили данные об аморальных проявлениях, связанных с ограблением местных жителей отдельными военнослужащими I механизированной дивизии, занятых на работе по лесозаготовке в Ахметском районе Грузинской ССР"**.[326]

არქივში შემონახულია მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისა და შემდგომ პერიოდში ამიერკავკასიაში, კერძოდ საქართველოში დისლოცირებული საბჭოთა წითელი არმიის ქვედანაყოფების ცალკეულ სამხედრო მოსამსახურეთა უღირსი საქციელისა და დანაშაულებრივი ქმედებების ამსახველი სხვა მაგალითებიც.

როდესაც 1942 წლის ზაფხულ-შემოდგომაზე კავკასიის ფრონტზე დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია, ქ. სტავროპოლში გაგზავნილ იქნენ ქართული პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენლები: ალ. ასათიანი, ალ. ცომაია და დ. სინჯიკაშვილი. ისინი იქიდან ნალჩიკში, ხოლო შემდეგ სვანეთის გავლით არალეგალური, ანტისაბჭოთა საქმიანობისათვის საქართველოში უნდა გამგზავრებულიყვნენ. ალ. ასათიანის დედა წარმოშობით სვანი იყო და საქართველოს ამ მშვენიერ კუთხეში გადასვლა მას არ უნდა გასჭირვებოდა. აღნიშნული ღონისძიება ვერ განხორციელდა კავკასიის ფრონტზე ვითარების შეცვლის გამო. 1942 წლის ზაფხულში, მთელი კავკასიის მასშტაბით დაიწყო „დივერსანტ-პარაშუტისტთა" გადაგზავნა ამ რეგიონში. პატარა ჯგუფები თვითმფრინავებით გადასროლილ იქნენ საქართველოშიც. ძირითადი ასაფრენი ბაზა მდებარეობდა ყირიმში. ჯგუფის წევრები კარგად ეკიპირებული იყვნენ. ზოგიერთ ჯგუფში ჩართეს გერმანელი ინსტრუქტორებიც. „ერთ უკუნეთ ღამეში ყველანი პლანერებით გადაგვისროლეს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში", – იგონებს მათე კერესელიძე. არადა, არც ერთი ქართველი ადრე პარაშუტით არ გადაფრენილა. მათ ამისათვის მხოლოდ თეორიული მომზადება ჰქონდათ გავლილი.[225]

ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საქართველოში გადასროლილ „დივერსანტ-პარაშუტისტებს" საქართველოს შინსახკომი სასტიკად უსწორდებოდა, სწრაფად გახდა ცნობილი როგორც გერმანიის სარდლობის, ისე ქართველი ემიგრანტებისათვის. მიუხედავად ამისა, გერმანელთა გეგმის რეალიზაცია შეუფერხებლად ხორციელდებოდა. საბჭოთა გამანადგურებელი ბატალიონები კი „დივერსანტ-პარაშუტისტებს" არ ინდობდნენ და მათ სასტიკად უსწორდებოდნენ. არ ინ-

* სამხედრო დისციპლინის დარღვევის ფაქტებისა და ამორალური ქმედებების 38% მოდის კომუნისტებსა და კომკავშირლებზე, ხოლო 23% პოლკის ოფიცერთა შემადგენლობაზე.

** ჩვენამდე მოაღწიეს ცნობებმა, საქართველოს სსრ ახმეტის რაიონის ხის დამზადებაზე დაკავებული პირველი მექანიზებული დივიზიის ცალკეული სამხედრო მოსამსახურის მხრიდან ადგილობრივი მოსახლეობის გაქურდვის ფაქტებთან დაკავშირებით.

დობდნენ მათაც, ვინც ნებაყოფლობით ბარდებოდა სამართალდამცავ ორგანოებს. ეს უკანასკნელები მცირედ წინააღმდეგობას მხოლოდ ქართველი ემიგრანტებისაგან ანყდებოდნენ. რაც შეეხებოდა ყოფილ წითელარმიელ ტყვე ქართველებს, მათი დიდი უმეტესობა საკუთარი ნებით ბარდებოდა. მიუხედავად ამისა, სასტიკი რეპრესიები არც მათ ასცდათ. იყო შემთხვევები, როდესაც ტყვეებისგან ჰაერში დაცხრილული პარაშუტისტები დიდხანს ეკიდნენ ხეებზე.

მათე კერესელიძის ნაამბობის თანახმად, საქართველოში მასთან ერთად გადასროლილი ყოფილან: დათიკო ხარისჭილაშვილი (ტყვედ ბარდებოდა, მაგრამ გამანადგურებელი ბატალიონის წევრებს მაინც დაუხვრეტიათ ადგილზე), ბურძგლა, შალიკო მაღლაკელიძე, კუკური ქოჩაკიძე და ალექსანდრე კანკავა. მათთან ერთად ყოფილან გერმანელი ინსტრუქტორები: უნტეროფიცერი ბუღოლცი და გერმან მიულერი (ეს უკანასკნელნი დახვრეტილები ხეებზე უპოვიათ). მ. კერესელიძის ინფორმაციით, „ალექსანდრე კანკავას თურქეთის საზღვრებისაკენ მოუხერხებია გაქცევა (ალბათ, საამისოდ ვინმემ შეუწყო ხელი), შ. მაღლაკელიძე კი თითქოს ჩაუქვავებიათ და ისე მოუკლავთ. დანარჩენები სხვადასხვა კუთხეში ტყეებში დაუხოციათ....“ კ. კოჩაკიძისა და ბურძგლას ბედი, კერესელიძის გადმოცემით, საქართველოში მათი შეპყრობის შემდეგ უცნობია. საფრანგეთში შემდგომში ცხოვრობდნენ და ამ ქვეყანაში აღესრულნენ: ა. დადიანი, გ. ჩხეიძე, კ. ჩიხლაძე, მ. გრიგოლია, გ. ბერძენიშვილი, მ. ბახტაძე, მ. კერესელიძე, მ. გოგოლიშვილი და ო. ბეგაშვილი. ლ. კაკულია საფრანგეთში უკვალოდ გამქრალა. ვიქტორ მონიავა საფრანგეთის განთავისუფლებისას ფრანგ რეზისტანტებს, გაუგებრობით, მეუღლესთან ერთად ლევილში დაუხვრეტიათ და ლევილშივე დაუსაფლავებიათ. ი. ბეგიაშვილი თავის მოგონებაში ასახელებს „თამარ-1“-ის კიდევ რამდენიმე წევრს. ესენი არიან: ალექსანდრე ფაშალიშვილი, შოთა თაქთაქიშვილი, ლადო დარაშვილი, შალვა დუღაშვილი, შალვა ნებიერიძე და გიორგი თუხარელი. მას შემდეგ, რაც შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი მასობრივი სისასტიკით გაუსწორდა „დივერსანტ-პარაშუტისტებს“, გერმანელებმა აღნიშნული ჩანაფიქრის გაგრძელებაზე დროებით უარი განაცხადეს. ამით დასრულდა გერმანელ „დივერსანტ-პარაშუტისტთა“ საქართველოში არალეგალური შეგზავნის პირველი ეტაპი (1942 წლის ზაფხული).

გერმანია – სსრ კავშირის საომარ ფრონტსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე შექმნილი რთული ვითარების გამო, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1942 წლის 9 სექტემბერს გამოსცა „ბრძანებულება საქართველოს სსრ, აზერბაიჯანის სსრ, სომხეთის სსრ, სარატოვისა და ტამბოვის ოლქებში სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების თაობაზე“. ზემოაღნიშნული ბრძანებულება სამოქმედოდ გაეგზავნა ამიერკავკასიის სამხედრო საბჭოს მეორე დღესვე – 10 სექტემბერს.[325]

მომავალი გადმოსროლებისათვის გაცილებით უკეთ დახვედრისა და კონტრღონისძიებების ეფექტურად გატარების მიზნით, აუცილებელი გახდა მიღებულიყო საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცკ-ის 1942 წლის 14 სექტემბრის ერთობლივი დადგენილება „გერმანელ პარაშუტისტ-დივერსანტებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ", რომელიც გულისხმობდა მთელი რიგი იდეოლოგიურ-პოლიტიკურ და ოპერატიულ ღონისძიებათა გატარებას.

გერმანელ დივერსანტ-პარაშუტისტთა წინააღმდეგ ნარმატებული ბრძოლის

ორგანიზების მიზნით კომკავშირული და პარტიული ორგანოების, აგრეთვე მოსახლეობის სიფხიზლისათვის მასობრივი პოლიტიკური საქმიანობის გაძლიერებისა და დაცვითი ღონისძიებების დროულად გატარების უზრუნველსაყოფად დაისახა მთელი რიგი ღონისძიებებისა, კერძოდ:

1. ერთი თვით საქართველოს რაიონებში, რეგიონების მიხედვით, მივლენილ იქნენ უმაღლესი პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელები, რომელთაც დაევალათ ხუთ დღეში ერთხელ წერილობითი ანგარიშის წარდგენა შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით.

2. მიმაგრებულ პირებს, ადგილობრივ ხელმძღვანელებთან და შინსახკომის მუშაკებთან ერთად უნდა უზრუნველეყოთ: დივერსანტ-პარაშუტისტთა უსწრაფესი დაკავება; სადღეღამისო საჰაერო მეთვალყურეობა; სამხედრო წარმოებებისა და ტრანსპორტის დაცვა; შინსახკომის ორგანოებთან ერთად ქართველ ემიგრანტთა ნათესავებსა და ახლობლებზე მეთვალყურეობის დაწესება, განსაკუთრებით მათზე, რომლებიც მალავდნენ პარაშუტისტებს; დაცვითი ღონისძიებების გაძლიერება წარმოება-დანესებულებებსა და ფაბრიკებში; მოსახლეობაში მასობრივი იდეოლოგიური საქმიანობის გაუმჯობესება, რათა ამაღლებულიყო პარტიული ორგანიზაციების, კომკავშირლებისა და მოსახლეობის აქტიურობა „ყოველგვარი აგენტებისა და სხვა ანტისაბჭოური ელემენტების წინააღმდეგ საბრძოლველად".

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულია რამდენიმე დოკუმენტი, რომელიც შედგენილია საქართველოს კპ (ბ) და შინსახკომის პასუხისმგებელი პირების მიერ. ანგარიშებში საუბარია იმაზე, თუ როგორ ხორციელდებოდა „გერმანელ დივერსანტ-პარაშუტისტებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ" „საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცკ-ის 1942 წლის 14 სექტემბრის დადგენილების" რეალიზაცია პარტიული და სამართალდამცავი ორგანოების მიერ, როგორ იყო ორგანიზებული საქართველოს ტერიტორიაზე გამანადგურებელი ბატალიონების საქმიანობა, რა პრობლემები იყო ამ თვალსაზრისით. ეს ანგარიშები გარკვეულ ინფორმაციას შეიცავენ 1942 წლის შემოდგომაზე „აბვერის" მიერ ორგანიზებულ დივერსანტ-პარაშუტისტთა გადმოსროლებზე. მკითხველს ვთავაზობთ ამონარიდებს ამ ანგარიშებიდან (სტილი დაცულია).– «В селе Джвари Цаленджихского района вражеским самолётом были высажены парашютисты, количество их не удалось установить. В результате совместных действии бойцов войск НКВД и истребительного батальона был задержан один из главарей раньше высаженных парашютистов, о чём Вам было сообщено шифровкой*». (1942 წლის 22 სექტემბერი);

– «Не менее участие принимало население в задержке 4-х немецких парашютистов, высаженных в районе Пасанаури 18 сентября 9 часов вечера»** (1942 წლის 23 სექტემბერი);

---

* წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯვარში მტრის თვითმფრინავის მიერ გადმოსხმულ იქნენ პარაშუტისტები. მათი რაოდენობის დადგენა ვერ მოხერხდა. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა და გამანადგურებელი ბატალიონების მებრძოლთა ერთობლივი ქმედებების შედეგად, დაკავებულ იქნა ადრე გადმოსხმული პარაშუტისტების ერთი მეთაურთაგანი, რის თაობაზეც თქვენ გეცნობათ შიფროგრამით.

** არცთუ ისე მცირე მონაწილეობას ღებულობდა მოსახლეობა ფასანაურის რაიონში 18 სექტემბრის 9 საათზე გადმოსხმული 4 პარაშუტისტის დაკავებაში.

– „1942 წლის 12 სექტემბერს თიანეთის რაიონის სოფ. შალების ხევის კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან, არაბულთან, გამოცხადდა საბჭოთა სამხედრო ფორმაში ჩაცმული (კაპიტნის ჩინით) პარაშუტისტი, წარუდგინა საბუთები და მოსთხოვა სასწრაფოდ თბილისში გადაყვანა. საღამოს ის შინსახკომში იყო დაკითხვაზე. მან განაცხადა, რომ იყო პარტიის წევრი და ტყვედ იყო ჩავარდნილი დასავლეთ უკრაინის ტერიტორიაზე. შემდეგ მას გერმანელები კარგა ხანს ამზადებდნენ. თიანეთის ტერიტორიაზე ის მარტო ყოფილა გადმოსროლილი. დივერსიულ ჯგუფში სულ 9 კაცი ყოფილა, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში გადმოუსხამთ“ (1942 წლის 28 სექტემბერი);

– «27/IX – в 2 часа ночи в Телавское РО НКВД явились двое неизвестных и назвали себя членами группы диверсантов, сброшенных вражеским самолётом 17/IX в районе Гомборского перевала. Они же сообщили местонахождения остальных 3-х скрывавшихся в лесу диверсантов.

– Принятыми Телавским РО НКВД мерами группа диверсантов была полностью изъята.

Среди изъятых оказались:

1. Чиракадзе Григорий, груз. эмигрант, майор германской армии, руководитель указанной группы диверсантов.

2. Дурглишвили Григорий, военврач 3 ранга, военнопленный.

3. Бацацашвили Илья, б/красноармеец, военнопленный.

4. Эбаноидзе Варлам, б/красноармеец, военнопленный.

5. Пицхелаури Григорий, б/красноармеец, военнопленный.

При диверсантах обнаружены и изъяты радиопередатчик немецкого образца, парашюты, оружие – два автомата «ППШ», взрывчатые вещества и др. вещи»* (1942 წლის 29 სექტემბერი);

– „აბაშის რაიონის სოფ. ზანათში დაპატიმრებულ იქნა ძალიან საეჭვო პიროვნება ასათიანი. მას არავითარი საბუთი არ გააჩნია და ვერც მოწმეებს ასახელებს, რომ დაადასტუროს საქართველოში მისი პიროვნება. ჩვენ ეჭვი გვეპარება ეს ტიპი უნდა იყოს ოჩამჩირეში გადმოსროლილი დივერსანტი-პარაშუტისტი გვარად ასათიშვილი, რომელიც გადავაგზავნეთ საქართველოს შინსახკომში“. (1942 წლის 25 სექტემბერი);

– „როგორც თქვენთვის ცნობილია ცხაკაიას რაიონის პირველი მაისის სახელობის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე (სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე – საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. გ. შარტავა) შეპყრობილ იქნენ ოთხი გერმანელი დივერსანტ-პარაშუტისტები, რომლებიც იქვე დახვრეტილ იქნენ, ხოლო გეგეჭკორის

* „27/IX ღამის ორ საათზე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის თელავის რაიონულ განყოფილებაში გამოცხადდა ორი უცნობი, რომლებმაც განაცხადეს, რომ იყვნენ 17 სექტემბერს გომბორის გადასასვლელთან მტრის თვითმფრინავიდან გადმოსხმული დივერსანტების ჯგუფის წევრები. მათვე შეგვატყობინეს ადგილსამყოფელი დარჩენილი სამი დივერსანტისა, რომლებიც ტყეში იმალებოდნენ. შსსკ-ის თელავის რაიონული განყოფილების მიერ გატარებული ზომების შედეგად, დივერსანტთა ჯგუფი სრული შემადგენლობით იქნა დაკავებული. დაკავებულთა შორის არიან: 1. ჭარაქაძე გრიგოლი, ქართველი, ემიგრანტი, გერმანიის არმიის მაიორი, დივერსანტთა აღნიშნული ჯგუფის ხელმძღვანელი; 2. დურგლიშვილი გრიგოლი, მესამე რანგის სამხედრო ექიმი, სამხედრო ტყვე; 3. ბაცაცაშვილი ილია, ყოფილი წითელარმიელი, სამხედრო ტყვე; 4. ებანოიძე ვარლამი, ყოფილი წითელარმიელი, სამხედრო ტყვე; 5. ფიცხელაური გრიგოლი, ყოფილი წითელარმიელი, სამხედრო ტყვე. დივერსანტებს თან ჰქონდათ და ამოღებულია გერმანული წარმოშობის რადიოგადამცემი, პარაშუტები, ორი ცალი ავტომატური იარაღი „პპშ“, ასაფეთქებელი ნივთიერებები და სხვ.“

რაიონის სოფ. ხუნწში ერთი გერმანელი დივერსანტ-პარაშუტისტი, რომელიც ამჟამად საქართველოს შინსახკომში იმყოფება". (1942 წლის 20 სექტემბერი);– „გეგეჭკორის რაიონის სოფ. ხუნწში გერმანელი დივერსანტ-პარაშუტისტი მოსულიყო შვებულებაში მყოფ წითელარმიელ-კომკავშირელის, შალვა გოგაიას სახლში. დივერსანტს გოგაიასათვის უთხოვია საჭმელი. ამბ. გოგაია ისე მოხერხებულად მიუდგა, რომ დივერსანტი ასადილა და თავის სახლში დააძინა, ხოლო ეს ამბავი შინსახკომს აცნობა და თვითონაც მიიღო აქტიური მონაწილეობა დივერსანტის შეპყრობაში.

მე რაიკომის მდივანს ურჩიე ამბ. გოგაია დააჯილდოონ, ხოლო ჩემის აზრით კარგი იქნებოდა ასეთი ამხანაგების მიმართ დაწესებული ყოფილიყო რაიმე ჯილდო შინსახკომის ხაზით და გაეცნოს მოსახლეობას". (1942 წლის 20 სექტემბერი);

– „სექტემბრის თვის განმავლობაში რაიონში შეპყრობილი იქნა ორი დივერსანტი, რომლებიც ონის რაიონიდან დიდი ხნის წასულები არიან, როგორც დაპატიმრებული ჩიკვილაძე აცხადებს, მან ბერლინში სპეციალური კურსებიც კი გაიარა საქართველოში დივერსიის მოწყობისათვის, მაგრამ საქართველოში ჩამოსვლისას გადავიფიქრე და ცუდი არაფერი გამიკეთებიაო. აღნიშნული ჩიკვილაძე ჯერ ონის შინსახკომის გამოძიებაში იმყოფება, ასეთივე სახის დავალება ჰქონდა თითქოს მეორე დივერსანტსაც, რომელიც ღების სოფლის საბჭოს ტერიტორიაზე იქნა შეპყრობილი შინსახკომის სპეციალური განყოფილების მიერ". (1942 წლის 29 სექტემბერი);

– «...В Маяковском и Цхалтубском районах были задержаны два парашютиста перешедших из других районов, один из них по национальности русский, а другой грузин, конечно сюда не входят диверсанты ликвидированные до нашего приезда.

На сегодняшний день по данным РО НКВД скрывается в Цхалтубском районе один парашютист (Грузин) и по моему предположению должны скрываться 1-2 диверсанта в Цулукидзевском районе. Предположение это исходит из того, что в Цулукидзевском районе был найден груз, выброшенный с самолёта без парашюта, один парашют ист и был задержан в Гегечкорском районе. Парашютист по национальности Немец высаженный в в Цулукидзевском районе. Надо полагать, что немец был не один»*. (1942 წლის 3 ოქტომბერი);

– «...По показаниям вылавленных парашютистов-диверсантов, противником должны были быть высажены 4 парашютиста – в Горском, Хашурском и Каспским районах»**. (1942 წლის 29 სექტემბერი);

– «Амбролаурским РО НКВД и райкомом партии были приняты срочные меры – преследование продолжалось до 23 сентября с/г. С 23-го сентября местность «Тхморис-Тке» где должны скрываться парашютисты находится в

---

* „მაიაკოვსკისა და წყალტუბოს რაიონებში დაკავებულ იქნა ორი პარაშუტისტი, რომლებიც გადმოსული იყვნენ სხვა რაიონებიდან. ერთი მათგანი ეროვნებით რუსია, მეორე კი – ქართველი. რა თქმა უნდა, აქ არ შედიან დივერსანტები, რომლებიც ლიკვიდირებულ იქნენ ჩვენს მოსვლამდე. შსსკ-ის რაიონული განყოფილების დღევანდელი მონაცემებით, წყალტუბოს რაიონში იმალება ერთი პარაშუტისტი (ქართველი) და ჩემი ვარაუდით, 1-2 დივერსანტი უნდა იმალებოდეს წულუკიძის რაიონში. ეს ვარაუდი კეთდება იმიტომ, რომ წულუკიძის რაიონში ნაპოვნია თვითმფრინავიდან უპარაშუტოდ გადმოგდებული ერთი ბარგი, ხოლო ერთი პარაშუტისტი დაკავებულ იქნა გეგეჭკორის რაიონში. გერმანელი პარაშუტისტი ჩამოსხმულია წულუკიძის რაიონში. სავარაუდოა, რომ გერმანელი მარტო არ იყო".

** „დაკავებული დივერსანტ-პარაშუტისტების ჩვენებით, მოწინააღმდეგეს უნდა გადმოესხა ოთხი პარაშუტისტი გორის, ხაშურისა და კასპის რაიონებში."

полном окружении опер составом Амбролаурского батальона под руководством Нач. РО... По данным, среди четырёх два немецких офицера»* (1942 წლის 25 სექტემბერი);

– „ა.წ. 20 სექტემბერს ამბროლაურის რაიონის სოფ. თხმორის ტყეში აღმოჩენილი 4 საეჭვო პირი, რომელთაგან, როგორც დასტურდება, ერთი გერმანელი ოფიცერი უნდა იყოს გადმოსული ტყიბულის რაიონიდან და არის ნაწილი ტყიბულის რაიონის ტერიტორიაზე ჩამოსხმული პარაშუტისტების. აღმოჩენილი პირები გადმოვიდნენ ამბროლაურის ტერიტორიაზე 15 დღის განმავლობაში ტყიბულის რაიონის ტერიტორიაზე ყოფნის შემდეგ". – „... ა.წ. 27 სექტემბრის დილას გამოირკვა, რომ დამნაშავეები 26 სექტემბერს საღამოს ან ღამით გადავიდნენ ქუთაისის ტერიტორიაზე სოფელ დღნორისის გზით..." (1942 წლის 30 სექტემბერი);

– „როგორც შინსახკომის ტყიბულის რ/განყოფილების მიერ 27 სექტემბერს მიღებული ცნობით დასტურდება, რაიონში უნდა იყოს ჩამოსული სოფ. ბობოთში მცხოვრები ემიგრანტი – მენშევიკი დიმიტრი (დიტოლოს) ამბაკოს ძე უგრეხელიძე, რომელიც 1931 წელს გაიქცა საზღვარგარეთ. შინსახკომის მიერ მიღებულია ზომები მის დასაპატიმრებლად". (1942 წლის 29 სექტემბერი);

– «30/ IX с/г в 5 часов утра группа парашютистов (грузин) во главе с неким Догонадзе в составе 4-х человек наткнулась на секретную засаду Кутаисского истребительного батальона.

– Парашютисты были задержаны в Кутаисское городское отделение НКВД.

Следствием установлено, что эта группа парашютистов была высажена в ночь с 20-го на 21 сентября с/г. в районе горы Накерала»** (1942 წლის 3 ოქტომბერი);

– „5 ოქტომბერს ნახულია სოფელ მუხურაში კიმოთე კირკიტაძის სახლში ორი ცალი პარაშუტი და ტარას ბარბაქაძის სახლში ერთი ცალი. როგორც გამოირკვა, ეს პარაშუტები ეკუთვნის პარაშუტისტ დოღონაძის ჯგუფს, რომელიც ა.წ. 20 სექტემბერს იყო გადმოსხმული სოფელ მუხურის ტერიტორიაზე";

„...დაპატიმრებულ დივერსანტ დოღონაძის ჯგუფის ჩვენებით გამოირკვა, რომ მათი ტყიბულის რაიონში ყოფნა იცოდნენ სოფელ მუხურაში და ცუცხვათში მცხოვრებთა რამოდენიმე პირმა, რომლებმაც ამის შესახებ არ აცნობეს ხელისუფლების ორგანოებს. ამის გამო ამჟამად დაპატიმრებულ არიან: მცხოვრებნი სოფელ მუხურაში კირკიტაძე კიმოთე სიმონის ძე, ბარბაქაძე ტარასი ანტონის ძე, კირკიტაძე ალექსანდრე კიმოთეს ძე (კირკიტაძე ალექსანდრე არის წითელი არმიიდან დაბრუნებული დაჭრის გამო). პარაშუტისტები აღნიშნულ პირებს ჩამოფრენისთანავე დაუკავშირდნენ, რომლებმაც მოათავსეს დივერსანტები ფერმაში,

* შსს-ის ამბროლაურის რაიგანყოფილებისა და პარტიის რაიონული ორგანიზაციის მიერ მიღებულ იქნა სასწრაფო ზომები – დევნა გაგრძელდა ამა წლის 23 სექტემბრამდე. 23 სექტემბრიდან დასახლება „თხმორის ტყე", სადაც უნდა იმალებოდნენ პარაშუტისტები, იმყოფება სრულ ალყაში ამბროლაურის ბატალიონის ოპერშეშადგენლობის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობს რაიონული ორგანიზაციის უფროსი. არსებული მონაცემებით, ოთხი მათგანიდან ორი გერმანელი ოფიცერია.

** ამა წლის 30 სექტემბერს, დილის ხუთ საათზე, ქართველ პარაშუტისტთა ოთხკაციანი ჯგუფი, ვინმე დოღონაძის მეთაურობით, შეეჩეხა ქუთაისის გამანადგურებელი ბატალიონის საიდუმლო ჩასაფრებას. პარაშუტისტები დაპატიმრებულ იქნენ შსს-ის ქუთაისის საქალაქო განყოფილებაში. გამოძიებით დადგინდა, რომ პარაშუტისტთა ეს ჯგუფი გადმოსხმულ იქნა ა.წ. 20-21 სექტემბრის ღამეს ნაქერალას მთის რაიონში.

მისცეს მათ საჭმელი, ხოლო კიმოთე კირკიტაძე გაჰყვა მათ, სამი დღის განმავლობაში ტყეში ატარა ფარულად და გადაიყვანა სოფელ სასირეთში. ბარბაქაძემ და კირკიტაძემ ნაცვლათ აიღეს პარაშუტები და ფულადი ჯილდო.

შინსახკომის მიერ დაპატიმრებულ იქნენ ის პირებიც, სოფლის მაცხოვრებლები, რომლებმაც იცოდნენ პარაშუტისტთა საქართველოში არალეგალურად ყოფნა. ესენი არიან: ქასრაშვილი გაიოზ იოსების ძე, ჭელიშვილი სამსონ სიმონის ძე, იამანიძე ევგენი იოსების ძე და დოლონაძე ვასილ დავითის ძე".

„მოსახლეობაზე მეტი ზეგავლენის მოხდენისათვის, საჭიროთ მიმაჩნია, რომ დაპატიმრებული პირები, რომლებმაც დახმარება აღმოუჩინეს დივერსანტებს, გასამართლებულ იქნენ ადგილზე და აგრეთვე გარდა ამისა დაპატიმრებულთა ოჯახის წევრები გადასახლებულ იქნას და მათი ქონება გადაეცეს კოლმეურნეობებს". (1942 წლის 11 ოქტომბერი);

– „...გარდა ამისა, ჭიათურის რაიონის ჩრდილოეთით მდებარე ტყეებში სოფელ ვანთან ახლოს შეპყრობილია ა/წ. 18 ოქტომებრს ერთი პარაშუტისტ-დივერსანტი, ქართველი, ემიგრანტი, გვარად ბურძგლა, რომელიც ჩამოშვებულ იყო მტრის თვითმფრინავიდან პარაშუტით ა/წ. 5 სექტემბერს". „დივერსანტი ბურძგლა უკვე ჩამოყვანილია თბილისში – შინსახკომში. დანარჩენი პარაშუტისტ-დივერსანტების ძებნა გრძელდება" . (1942 წლის 22 ოქტომბერი);

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პარტიული, თუ შინსახკომის მუშაკების მოხსენებებში მუდმივად ფიგურირებენ დეზერტირთა ჯგუფები, რომლებიც ტყეში გასულები ადგილობრივ ხელისუფლებას ემალებოდნენ.1942 წლის სექტემბერ-ოქტომბერში გერმანელ დივერსანტ-პარაშუტისტთა გადმოსროლა არ დაფიქსირებულა მახარაძის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ზემო სვანეთის, ბოგდანოვკის, ასპინძის, ახალქალაქის, ცხაკაიას, აბაშის, გეგეჭკორის, ბაშკირეთის, ლუქსენბურგის, ბორჩალოს, წალკის, ყაზბეგის, ჭიათურის და ჩხოროწყუს რაიონებში.[332]

1942 წლის აგვისტო-სექტემბერში გერმანელ დივერსანტ-პარაშუტისტთა ჯგუფის გადმოსროლასთან დაკავშირებით ჩვენ მიერ მოძიებულ იქნა სხვა ინფორმაციაც, კერძოდ:

1942 წლის 16 აგვისტოს, ღამით წალენჯიხის რაიონის ტერიტორიაზე გადმოსხმულ იქნენ დივერსანტ-პარაშუტისტები, რომლებიც საქ. სსრ „შინსახკომის" წალენჯიხის რაიგანყოფილების მიერ სწრაფად იქნენ დაპატიმრებულები. ისინი აღმოჩნდნენ ბახტაძე შალვა სოლომონის ძე და ბაკურაძე ვლასა გრიგორის ძე.[330]

აფხაზეთის შინსახკომის მონაცემებით, 1942 წლის 1 სექტემბერს გალის რაიონში დაკავებულ იქნა „გერმანელი" დივერსანტ-პარაშუტისტი, ოჩამჩირის რაიონის სოფელ კინდღის მცხოვრები, 1910 წელს დაბადებული, კიუტი შამილ ხასანის ძე, რომელიც გადმოსროლილ იქნა 25 აგვისტოს გალის რაიონში ნერსეს სარიანთან ერთად. მეორე დღეს კიუტი დაუკავშირდა გალში მცხოვრებ კვეკვესკირს, რათა ამ უკანასკნელს დახმარება აღმოეჩინა სარიანის მოძებნაში. დაპატიმრებული კიუტის მონაცემებით ის და სარიანი, სხვა სამხედრო ტყვეთა მსგავსად, გერმანიის სასარგებლო საქმიანობაში გადმობირებულ იქნა ცნობილი დაშნაკის ДРО-ს მიერ. კიუტის და სარიანის ამოცანას წარმოადგენდა სოხუმში მყოფი გერმანელი რადისტისათვის სათადარიგო ბატარეის (კვების წყაროს)

გადაცემა და გერმანელთა აგენტებთან ამბარცუმიანთან, კოჩკანიანთან და სხვებთან კავშირის დამყარება.

იმავე წლის 3 სექტემბერს დრანდის მახლობლად დაპატიმრებულ იქნა სარიანიც, რომელიც აღმოჩნდა ომამდე კრასნოდარის მხარის ტუაფსეს რაიონის მცხოვრები. სარიანი და კიუტი გადმოსროლილ იქნენ ყირიმიდან იმ დივერსანტ-პარაშუტისტებთან ერთად, რომლებიც შემდგომ დაპატიმრებულ და გასამართლებულ იქნენ ცხაკაიას რაიონში.[331]

დივერსანტ-პარაშუტისტთა გადმოსროლის გარდა, ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა გერმანელთა მიერ ტყვედ ჩავარდნილი ყოფილი საბჭოთა მოქალაქეების გადმობირებისა და საქართველოს ტერიტორიაზე შემოგზავნის ფაქტებს. 1942 წლის 6 სექტემბერს „კონტრრევოლუციური აგიტაციისათვის" დახვრეტილ იქნა კაპიკიანი ბაბკენ ალექსანის ძე, დაბ. 1917 წელს აფხაზეთში, გაგრის რაიონში, გლეხის ოჯახში, მცირედგანათლებული. კაპიკიანი 1941 წელს ტყვედ ჩავარდა, რის შემდეგაც გერმანიის დაზვერვის მიერ გადმობირებულ და ანტისაბჭოთა საქმიანობისათვის შეგზავნილ იქნა აფხაზეთის ტერიტორიაზე.[356] იმავე წლის 12 სექტემბერს საქართველოს სსკ-ის 58-1-ბ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, ჯაშუშური საქმიანობისათვის, სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მიესაჯა ლევონ ხაჩიკის ძე გოჩიანსაც.[357]

საქ. სსრ შინსხკომის ჭიათურის რაიგანყოფილების მონაცემებით, 1942 წლის 5-6 სექტემბრის ღამით დასახლებების ვაჩევის, კაცხისა და ქვაციხეს მიდამოებში გადმოსხმულ იქნა გერმანელ დივერსანტ-პარაშუტისტთა ჯგუფი. გატარებული ღონისძიებების შედეგად აღმოჩენილ იქნა: სამი პარაშუტი; 6 ზურგჩანთა სურსათ-სანოვაგით, ტყვია-წამლითა და იარაღით; დამტვრეული რადიოგადამცემი; ქართულ ენაზე შესრულებული სააგიტაციო ფურცლები და ჭიათურის რაიონის სამხედრო რუკა.[6] სექტემბერს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში გამოცხადდა ერთ-ერთი დივერსანტ-პარაშუტისტის, გიორგი ანტონის ძე გოგოლაშვილის და, რომელმაც განაცხადა, რომ მისი ძმა იმყოფებოდა მასთან სახლში და სურდა ხელისუფლების ორგანოებს საკუთარი ნებით ჩაბარებოდა. გ. ა. გოგოლაშვილი, დაბადებული 1910 წელს მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანში, უპარტიო, ყოფილი სტუდენტი, ადრე მკვლელობისთვის გასამართლებული, მართლაც ჩაბარდა შინსახკომს. დაკითხვაზე მან აჩვენა, რომ მასთან ერთად ამ რაიონში გადმოსროლილ იქნა შალვა ლაითაძე, რომელიც შემდგომში გაემგზავრა მახარაძის რაიონში დედის მოსანახულებლად. დადასტურდა, რომ გოგოლაშვილი და ლაითაძე ეკუთვნოდნენ იმ დივერსანტ-პარაშუტისტთა ჯგუფს, რომელიც გადმოსროლილ, ხოლო შემდგომ დაკავებულ და გასამართლებულ იქნენ ცაგერის რაიონში 1942 წლის 17 აგვისტოს.[333]

1942 წლის 9 სექტემბერს წყალტუბოს რაიონის სოფ. ცხუნკურში გამანადგურებელი ბატალიონის წევრების მიერ მოკლულ იქნა გერმანელი დივერსანტ-პარაშუტისტი, რომელსაც აღმოაჩნდა ჯარისკაცის პირადი წიგნაკი გრიუნეის ალფონსის სახელზე. წიგნაკის მიხედვით, ის 1921 წელს იყო დაბადებული ქ. კოპფინგში. მისი სამხედრო ნაწილის ნომერი იყო – N 47257. ამავე სამხედრო ნაწილზე ჰქონდა მიწერილობა ადრე მოკლულ გერმანელ დივერსანტ-პარაშუტისტს გერმან ედვარდს.

ზემოაღნიშნულ სამხედრო ნაწილში ირიცხებოდა კიდევ ერთი გერმანელი

პარაშუტისტი ფრანც ბრანდნერი, რომლის პირადობის დამადასტურებელი წიგნაკი, პირადი ნივთები (წერილი ვენაში მცხოვრები ვინმე ჟოზეფინასაგან), რუკები და სხვა აღმოჩენილ იქნა ჭიათურის რაიონის სოფელ ქვაციხეს მახლობლად. როგორც დადგინდა, ბრანდნერ ფრანცი იყო სწორედ ის უცხოელი, რომელმაც წასვლის წინ კოლმეურნე ბრეგვაძის მცირეწლოვან შვილებს, მადლიერების ნიშნად, გერმანული წარმოების ტკბილეულობა გადასცა.

1942 წლის 10 სექტემბერს, დილის 10 საათზე წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯვარზენში გამანადგურებელი ბატალიონის მებრძოლების მიერ მოკლულ იქნა ერთი დივერსანტ-პარაშუტისტი, რომელიც იყო 7 სექტემბერს სოფ. ჯვარის მიდამოებში გადმოსროლილი ჯგუფის წევრი. მას პირადობის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი არ აღმოაჩნდა, თუმცა იერსახით ეტყობოდა, რომ ქართველი იყო. მასთან შეიარაღებული შეტაკებისას გარდაიცვალა გამანადგურებელი ბატალიონის წევრი, კოლმეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე სარდიონ გერგედავა.[333]

როგორც ზემოთ აღინიშნა, 1942 წლის 17 სექტემბერს თელავის რაიონში მართლაც გადმოსხმულ იქნა ხუთკაციანი დივერსანტ-პარაშუტისტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით (მონაცემები დაფიქსირებულია დაპატიმრების მომენტში):

1. ჭირაქაძე გრიგოლ სოლომონის ძე, დაბ. 1909 წელს თბილისში, ქართველი ემიგრანტი, მძღოლი, 1932 წლიდან საზღვარგარეთის საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, 1930 წელს ემიგრირებულ იქნა საფრანგეთში, მსახურობდა საფრანგეთის არმიაში, ჯგუფის უფროსი;

2. ებანოიძე ვარლამ დავითის ძე, დაბ. 1914 წელს, საკ (ბ) ყოფილი წევრი, გლეხის ოჯახიდან, მცირედგანათლებული, დაუოჯახებელი, რადისტი, ყოფილი წითელარმიელი;

3. ფიცხელაური გიორგი ბესარიონის ძე, დაბ. 1901 წელს ქ. ორჯონიკიძეში, უპარტიო, გლეხის ოჯახიდან, მცირედგანათლებული, ყოფილი წითელარმიელი, გერმანელებთან ტყვედ ჩავარდა 1942 წლის ივნისში;

4. დურგლიშვილი გრიგოლ ასლანის ძე, დაბ. 1913 წელს ქ. თბილისში, მუშის ოჯახიდან, უმაღლესი განათლებით, სამხედრო ექიმი, გერმანელებთან ტყვედ ჩავარდა 1942 წლის იელისში;

5. ბაცაცაშვილი ილო ვარდენის ძე, დაბ. 1912 წელს წითელწყაროს რაიონის სოფ. არბოშიკში, გლეხის ოჯახიდან, უპარტიო, მძღოლი, მცირედგანათლებული, ყოფილი წითელარმიელი, გერმანელებთან ტყვედ ჩავარდა 1942 წლის 15 მაისს;

ჯგუფის წევრები აღჭურვილი იყვნენ პისტოლეტებით, ყუმბარებით, ავტომატებითა და რადიოაპარატურით.

ებანოიძემ, დურგლიშვილმა, ფიცხელაურმა და ბაცაცაშვილმა ჯერ კიდევ გერმანელთა სიმფეროპოლის ბანაკში ყოფნისას მოილაპარაკეს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე დაშვებისთანავე ჩაბარდებოდნენ ადგილობრივ ორგანოებს და მასვე ჩააბარებდნენ დატყვევებულ ემიგრანტ-ემისარს ჭირაქაძეს.

1942 წლის 26 სექტემბერს ფიცხელაური და ბაცაცაშვილი საკუთარი ნებით გამოცხადდნენ საქ. სსრ შსკ-ის თელავის რაიონულ განყოფილებაში და გარდა იმისა, რომ ისინი არ აპირებდნენ გერმანელთა დავალების შესრულებას, გამოთქვეს ჭირაქაძის დაკავებაში დახმარების აღმოჩენის სურვილი.

1942 წლის 27 სექტემბერს ზემოაღნიშნული ოთხი ქართველი პარაშუტისტის უშუალო დახმარებით ემიგრანტი ჭირაქაძე დაპატიმრებულ იქნა.

სწორედ გამოძიებასთან თანამშრომლობისათვის ებანოიძეს, ფიცხელაურს, დურგლიშვილს და ბაცაცაშვილს მიესაჯათ თითოეულს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა ვადის შრომა-გასწორების ბანაკში მოხდით, ხოლო გრიგოლ ჭირაქაძე დახვრეტილ იქნა.

ამიერკავკასიის „სმერშის" წარდგინებით, ებანოიძე, ფიცხელაური, დურგლიშვილი და ბაცაცაშვილი სსრკ შს სახალხო კომისარიატის განსაკუთრებულმა სათათბირომ თავისი 1944 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილებით გაათავისუფლა პატიმრობიდან. „სმერშის" ამ გადაწყვეტილების მოტივაცია უცნობია, ისევე როგორც უცნობია ზემოაღნიშნულ პირთა შემდგომი ბედი.[341]

1942 წლის 19-20 სექტემბრის ღამეს, დაახლოებით 7500 მ სიმაღლიდან ტყიბულის რაიონში, მუხურის თავზე გერმანელთა მიერ გადმოსხმულ იქნა დივერსანტ-პარაშუტისტთა ოთხკაციანი ჯგუფი. ჯგუფის შემადგენლობაში იყვნენ: დოღონაძე ივანე დავითის ძე, ხვედელიძე ნოე ილიას ძე (რადისტი), ფურცხვანიძე გიორგი ვასილის ძე და კვანტალიანი ალექსანდრე დიმიტრის ძე. 10.00 საათისათვის ჯგუფის წევრებს ერთმანეთი უკვე მოძებნილი ჰყავდათ. იქვე შეშას ჭრიდა ადგილობრივი მცხოვრები კიმოთე კირკიტაძე, რომელსაც ჯგუფის წევრებმა სოფელ ცუცხვათის მიმართულებით გაყოლა სთხოვეს. მათ ნაქერალის მთიდან დაშვებას ორი დღე მოანდომეს და სოფ. ცუცხვათში ჩავიდნენ. როგორც ჩანს, ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს სწორედ აქ ჩაბარდნენ.

როგორც საქართველოს კპ (ბ) ცკ-ის პასუხისმგებელი მუშაკების ანგარიშებშია მითითებული, ზემოაღნიშნულ დივერსანტ-პარაშუტისტთა ჯგუფის დაპატიმრებას მოჰყვა დაკავება იმ ადგილობრივი მოსახლეობისა, რომელთაც თუნდაც რაღაც შეხება ჰქონდათ ქართველ „დივერსანტებთან". ზემოაღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, 1942 წლის 24 დეკემბერს ქ. ტყიბულის პროკურორმა შემდეგი დასკვნა მოამზადა: „საქმე ბრალდების გამო კირკიტაძე კიმოთე სიმონის ძის, კირკიტაძე ალექსანდრე კიმოთეს ძის, ქასრაშვილი გაიოზ იოსების ძის, ჭელიშვილი სამსონ სიმონის ძის, იამანიძე ევგენი იოსების ძის, ბარბაქაძე ტარასი ანტონის ძის, დოღონაძე ვასილ დავითის ძის, კირკიტაძე ლიდა იოსების ასულის, კირკიტაძე ოლღა კიმოთეს ასულის და ბარბაქაძე ბაბილინა ივანეს ასულის მიმართ საქმის წინასწარი გამოძიება ჩაითვალა დამთავრებულად და მათზე წარდგენილი ბრალდება პირველი ოთხის მიმართ ს.ს.კ. 58-1-ბ და მეორე ექვსის მიმართ ს.ს.კ. 58-1-ბ მუხლი ჩაითვალა დამტკიცებულად და სწორად. საქმე განსახილველად გადაეგზავნოს შინსახკომის ჯარების სამხედრო ტრიბუნალს ქვემდებარეობისამებრ". 1943 წლის გაზაფხულისათვის მსჯავრდებულები ოლღა კირკიტაძე და გაიოზ კასრაშვილი გამართლებულ და პატიმრობიდან განთავისუფლებულ იქნენ. სხვათა ბედი უცნობია.[342] ქართველ „დივერსანტ-პარაშუტისტთა" თემა იმდენად საინტერესო აღმოჩნდა, რომ გადავწყვიტეთ მეორე მსოფლიო ომის დროს საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსროლილ პარაშუტისტთა თვითმხილველების, მათი ნათესავების და ამ ამბების მცოდნეთა მოძიება.

თავდაპირველად მივაკვლიეთ ვანის რაიონის სოფელ დიხაშხოში მცხოვრებლებს ოლეგ დვალიშვილსა და სიმონ ჯიჯავაძეს, აგრეთვე ამავე რაიონის

სოფელ სულორში დაბადებულ, ქ. სამტრედიაში მცხოვრებ ბატონ ზურაბ ხელაძეს. ეს უკანასკნელი ყმანვილობიდან ყოფილა დაინტერესებული ვანის რაიონში გადმოსროლილი „გერმანიის დაზვერვის აგენტ-პარაშუტისტების" ბედით. მათი მონათხრობის თანახმად, ვანის რაიონის სოფელ სულორში უცხოვრია ადგილობრივი სკოლის უცხო ენების მასწავლებელს ერისტო დვალიშვილს. ომის დაწყების წინ ის გაუწვევიათ წითელი არმიის რიგებში, თუმცა მალე ტყვედ ჩავარდნილა. გერმანელთა დავალებით, ერისტოს მონაწილეობა მიუღია ქართველი ტყვეებისაგან შემდგარ 8 კაციან პარაშუტისტთა ჯგუფის საქართველოში გადმოსხმაში.

თვითმფრინავი, რომელშიც პარაშუტისტები იმყოფებოდნენ, საქართველოში თურქეთის მხრიდან შემოსულა. პარაშუტისტები სულორის საზაფხულო საძოვრებზე დაშვებულან. გამოფრენის წინ ე. დვალიშვილს თანამემამულეებისათვის უთქვამს, რომ საქართველოში ჩასვლისთანავე ჩაბარებულიყვნენ ადგილობრივ ხელისუფლებას. ამ გზით ერისტოს, თითქოსდა, სხვა ქართველი ტყვეებიც გადაურჩენია. ზემოაღნიშნული 8 პარაშუტისტი სოფ. სულორის მიმართულებით წასულა. გზად მიმავლებს მონადირე ივანე (ვანიჩკა) დვალიშვილი შეხვედრიათ. ამ უკანაკნელს წამოუყვანია ისინი სულორში. ქართველი „დივერსანტები" მცირე დროით სოფლის მცხოვრების, აკაკი ხელაძის სახლის ზევით კაკოურეს გორაზე შეჩერებულან, მათ მშობლიური მიწისთვის უკოცნიათ, მონადირისთვის ფული მიუციათ, ცოტაოდენი ღვინო და პურ-მარილი მოგვიტანეო. სიხარულისგან ცეცხლსასროლი იარაღიდანაც კი გაუსვრიათ. ხმაზე სოფლიდან ხალხი ამოსულა, შეუხედავთ – ქართველი პარაშუტისტები ქეიფობენ. ჯგუფის მეთაური წარმოშობით კახელი ყოფილა. მას უთქვამს, რომ გერმანელებთან ტყვედ ჩავარდნილი ქართველები იყვნენ და დავალებული ჰქონდათ საჯავახოში ხიდების აფეთქება, რასაც ისინი არ გააკეთებდნენ და ბარდებოდნენ ადგილობრივ ხელისუფლებას. მართლაც, ისინი ერთად წასულან სულორის სასოფლო საბჭოში, ჩაუბარებიათ იარაღი, ტყვია-წამალი და სხვა აღჭურვილობა.

მომხდარის თაობაზე სწრაფად შეუტყვია თბილისს, შემდეგ კი – მოსკოვს. პარაშუტისტების დასჯის (დახვრეტის) გადაწყვეტილება მაშინდელ ხელისუფლებას ოპერატიულად მიუღია. ამ ამბების თვითმხილველი სიმონ ჯიჯავაძე იგონებს, რომ ქართველი პარაშუტისტები, განაჩენის სისრულეში მოყვანის დღეს, ჩაუყვანიათ სულორში, გამოუყვანიათ სოფლის მოსახლეობა, ჩამოუტარებიათ ისინი მათ წინაშე ღია საბარგო ავტომანქანით („პალტარატონკით") და მიუყვანიათ „დაკავების" (დაშვების) ადგილზე, ა. ხელაძის სახლის უკან მიმდებარე ტერიტორიაზე. აქვე მოუწვევიათ მეზობელი სოფლების მცხოვრებლებიც. განსაკუთრებული სათათბიროს მიერ გამოტანილი დახვრეტის განაჩენი საზოგადოების წინაშე წაუკითხავს საქართველოს კომპარტიის (ბ) ვანის რაიონული კომიტეტის მდივანს. ს. ჯიჯავაძის გადმოცემით, დასახვრეტად მიყვანილი ადამიანების რაოდენობა ერთით აღემატებოდა განაჩენის შემსრულებელთა რაოდენობას. ვინაიდან თითო სიკვდილმისჯილისთვის თითო მსროლელი იყო გათვლილი (გასროლა უნდა განეხორციელებინათ ცალ მუხლზე დაჩოქილებს), დახვრეტის პროცესი ოდნავ შეფერხებულა, თუმცა შემდეგ დამხვრეტის ფუნქცია „დროულად" უკისრია ადგილობრივი მილიციის უფროსის მოადგილეს. მიცვა-

ლებულები იქვე, დახვრეტის ადგილას დაუმარხავთ. ზ. ხელაძის განმარტებით, დახვრეტილთა საფლავებს სამი თვის მანძილზე დარაჯობდნენ შეიარაღებული სამხედროები, რათა პატრონებს გვამები არ გადაესვენებინათ. ეს შემთხვევა სულორის მცხოვრებთათვის დღემდე მძიმე მოგონებადაა დარჩენილი. საბედნიეროდ, პარაშუტისტთა ცხედრების „დასაფლავება“ მოსახლეობას მაინც მოუხერხებია. იმ ადგილზე დროდადრო ბავშვები ყვავილებს რგავდნენ, მოჰქონდათ აღდგომის კვერცხები.

მოგვიანებით, როდესაც აკაკი ხელაძის ვაჟი ზურაბ ხელაძე აღმოსავლეთ გერმანიაში დისლოცირებული საბჭოთა არმიის რიგებიდან დაბრუნებულა, იქაური შთაბეჭდილებებიდან გამომდინარე, გადაუწყვეტია სულორში ქართველ პარაშუტისტთა დახვრეტისა და დასაფლავების ადგილის საგულდაგულოდ მოვლა და ძმათა სასაფლაოდ ქცევა, რაც გაუკეთებია კიდეც. დიდი მცდელობის მიუხედავად, მას მხოლოდ ხუთი ქართველი პარაშუტისტის ვინაობა დაუდგენია. ესენი არიან: ბოხუა, ვაჩეიშვილი, დუნდუა, ნადირაძე და გაბუნია.

„ჩეკისტური ისტორიოგრაფიის“ მიხედვით, „ცეპელინმა“ პარაშუტისტთა ჯგუფების გაგზავნა საქართველოში განახორციელა 1943 წლის ზაფხულში. არადა, როგორც ზემოთ ვნახეთ, ეს პროცესი დაიწყო ჯერ კიდევ 1942 წლის ზაფხულში.

შსს-ის არქივში დაცულია 14-ფურცლიანი საარქივო საქმე – N 479, რომელშიც თავმოყრილია სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის განსაკუთრებული სათათბიროს 1942 წლის 30 აგვისტოს, 10, 11 და 17 სექტემბრის სხდომების ოქმების ასლები. ამ დოკუმენტების მიხედვით, მათში ჩამოთვლილი პირები იყვნენ გერმანიის დაზვერვის აგენტ-პარაშუტისტები და ყველა მათგანს, როგორც გერმანიის დაზვერვის ჯაშუშებსა და დივერსანტებს, მიესაჯათ სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა. იქვე, თითოეულ მათგანზე მინიშნებულია: – „Приговор привести в исполнение публично, на месте задержания. Лично принадлежащее ему имущество – конфисковать“*.[355]

ოქმებს ხელს აწერენ განსაკუთრებული სათათბიროს თავმჯდომარე ლ. ბერია, წევრი ბ. ქობულოვი და საქართველოს სსრ პროკურორი ტალახაძე, ამიერკავკასიის ფრონტის სარდალი, არმიის გენერალი ი. ტიულენევი.

თუ სისხლის სამართლის საქმეში დაფიქსირებულ ბრალდებულთა ჩამონათვალის მიხედვით ვიმსჯელებთ, სავარაუდოა, რომ „პარაშუტისტ-დივერსანტები“ ქვემოთჩამოთვლილ მცირე ჯგუფებად იყვნენ დაკომპლექტებულები (მონაცემები ეკუთვნის დაპატიმრების მომენტს).

სსს 3037:

1. ბახტაძე შალვა სოლომონის ძე (სხვა მონაცემებით – კუხალაშვილი უჩა გერასიმეს ძე), დაბადებული 1920 წელს ცაგერის რაიონის სოფ. ისუნდერში, საშუალო განათლებით, ალკკ ყოფილი წევრი, წითელი არმიის ყოფილი უმცროსი ლეიტენანტი;
2. ბაკურაძე ვლასა გრიგორის ძე, დაბადებული ცაგერის რაიონის სოფ. სურმუშში, უპარტიო, წითელი არმიის სატანკო დივიზიის ყოფილი უმცროსი ლეიტენანტი (მათზე ინფორმაციას მკითხველი ზემოთ უკვე გაეცნო).

* განაჩენი მოყვანილ იქნას სისრულეში სახალხოდ, დაპატიმრების ადგილზე. მოხდეს მის საკუთრებაში არსებული ქონების კონფისკაცია.

სსს N 3039:

1. გოგიტიძე გური ვარლამის ძე, დაბადებული 1916 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ საჭამიასერში, საბჭოთა არმიაში გაწვევამდე მცხოვრები ყირიმის ასსრ ქ. ევპატორიაში, პროფესიით ბუღალტერი, საშუალო განათლებით;
2. მანჩხაშვილი ალექსანდრე ილიას ძე, დაბადებული 1912 წელს ხაშურის რაიონის სოფელ კუჩხეთში, უმაღლესი განათლებით, პროფესიით ეკონომისტ-ფინანსისტი;
3. გამცემლიძე ბიჭიკო სავლეს ძე, დაბადებული 1916 წელს ჭიათურის რაიონის სოფ. გუნდაეთში, წითელ არმიაში გაწვევამდე მცხოვრები ყირიმის ასსრ ქ. ევპატორიაში, უპარტიო;
4. პერანიძე დავით სიმონის ძე, დაბადებული 1915 წელს ზესტაფონის რაიონის სოფ. დილიკაურში, წითელ არმიაში გაწვევამდე მცხოვრები ყირიმის ასსრ ქ. ევპატორიაში, აგრონომი;
5. გიორგობიანი ზურაბ იასონის ძე, დაბადებული 1914 წელს ქ. თბილისში, პროფესიით ეკონომისტი.

სსს 3040:

1. ტარაკანოვი ალექსი მირონის ძე, დაბადებული 1909 წელს იაროსლავის ოლქის კოსროვის რაიონის სოფ. სონინოში, უპარტიო, დაოჯახებული, ქ. სევასტოპოლის წყალქვეშა ნავების მე-2 ბრიგადის რადისტი;
2. სემიამეტოვი არიფ მამედის ძე, დაბადებული 1896 წელს ყირიმის ასსრ ქ. ბახჩიში, საბჭოთა არმიის რიგებში გაწვევამდე მცხოვრები ქ. იალტაში, დაოჯახებული, ყირიმის თამბაქოს ფაბრიკის სამეურნეო მუშაკი, დეზერტირობისათვის ორგზის ნასამართლევი;
3. ლაგუტინი თევდორე ტრიფონის ძე, დაბადებული 1907 წელს მოსკოვის ოლქის ქ. კურსოვკაში, საბჭოთა არმიის რიგებში გაწვევამდე მცხოვრები ქ. ფოთში, გემის უფროსი პოლიტხელი;
4. მარტიროსიანი ნიკოლოზ ამბარცუმის ძე, დაბადებული 1904 წელს ახალქალაქის რაიონის სოფ. მამზარაში, საბჭოთა არმიის რიგებში გაწვევამდე მცხოვრები ყირიმის ასსრ, იალტის რაიონის სოფ. ჯეროფეაში, ქ. იალტაში მანქანა ტრაქტორთა სადგურის ყოფილი დირექტორის მოადგილე პოლიტდარგში, დაუოჯახებელი.

სსს N 3038:

1. თანდაშვილი ილია ვასილის ძე, დაბადებული 1915 წელს სიღნაღის რაიონის სოფ. ანაგაში, საბჭოთა არმიის რიგებში გაწვევამდე მცხოვრები ყირიმის ასსრ ქ. ევპატორიაში, უმაღლესი განათლებით;
2. დონდუა ბენია სევერიანეს ძე, დაბადებული 1918 წელს აბაშის რაიონის სოფელ მარანში, საბჭოთა არმიის რიგებში გაწვევამდე მცხოვრები ქ. თბილისში, ტექნიკოსი;
3. ნადირაძე ივანე გიორგი ძე, დაბადებული 1915 წელს, საბჭოთა არმიის რიგებში გაწვევამდე მცხოვრები ქ.თბილისში, უპარტიო, პედაგოგი;
4. კროხებაშვილი ირაკლი ბესარიონის ძე, დაბადებული 1922 წელს ყაზბეგის რაიონის სოფ. პხელშეში, უპარტიო, წითელი არმიის ყოფილი სერჟანტი;

5. ვარდიაშვილი გიორგი იოსების ძე, დაბადებული 1901 წელს დუშეთის რაიონის სოფ. შატილში, საშუალო განათლებით, უპარტიო, ადრე სამართალში მიცემული საქართველოს სსრ სსკ-ის 144 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, წითელი არმიის ყოფილი სამხედრო ტექნიკოსი;
6. ღუდუშაური ვახტანგ მიხეილის ძე, დაბადებული 1917 წელს ყაზბეგის რაიონის სოფ. სნოში, მცხოვრები ქ. ორჯონიკიძეში, მძღოლი;
7. ვაჩეიშვილი ვარლამ პეტრეს ძე, დაბადებული 1918 წელს აბაშის რაიონის სოფ. მარანში, უპარტიო, სერჟანტი;
8. ბოხუა კარლო პროკოფის ძე, დაბადებული 1921 წელს, საბჭოთა არმიაში გაწვევამდე მცხოვრები აბაშის რაიონის სოფ. გუგუნოკოთში, საშუალო განათლებით.

აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე შემდეგ „გერმანიის დაზვერვის აგენტ-პარაშუტისტებზე“:

1. ჯახია სერაფიონ ლევანის ძე, დაბადებული 1916 წელს, საბჭოთა არმიაში გაწვევამდე მცხოვრები ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში, უპარტიო, საშუალო განათლებით, უცოლშვილო, საბჭოთა წითელი არმიის ყოფილი ლეიტენანტი;
2. კვარაცხელია ვალენტინ იოსების ძე, დაბადებული 1917 წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ კერცხელში, საშუალო განათლებით, უცოლშვილო, საბჭოთა არმიის ყოფილი უმცროსი მეთაური;
3. შელია ვლადიმერ ალექსის ძე, დაბადებული 1917 წელს წალენჯიხის რაიონის სოფელ საჩინოში, საშუალო განათლებით, დაუოჯახებელი, პედაგოგი, საბჭოთა არმიის ყოფილი უმცროსი მეთაური;
4. ელიავა მიხეილ იორდანეს ძე, დაბადებული 1914 წელს, საბჭოთა არმიაში გაწვევამდე მცხოვრები ხობის რაიონის სოფელ ხობში, საშუალო განათლებით, დაუოჯახებელი, საბჭოთა არმიის ყოფილი სერჟანტი;
5. ჯიქია უჩა თომას ძე, დაბადებული 1920 წელს, ჯარში გაწვევამდე მცხოვრები ზუგდიდის რაიონის სოფელ ჯუმაში, საშუალო განათლებით, დაუოჯახებელი.

სსს N 7778:

1. ანდრიანი კონსტანტინე კარპეს ძე, დაბადებული 1917 წელს ქ. თბილისში, საბჭოთა არმიაში გაწვევამდე მცხოვრები უკრაინის სსრ ქ. ნიკოლაევში, საშუალო განათლებით, დაოჯახებული, დაპატიმრების მომენტში ცხოვრობდა არალეგალურად;
2. კოჩკონიანი სამველ ოვანესის ძე, დაბადებული 1916 წელს აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის რაიონის სოფ. აჟარაში, უპარტიო, ყოფილი სამხედრო ტყვე, დაოჯახებული, დაპატიმრების მომენტში ცხოვრობდა არალეგალურად.

სსს N 7870:

1. კიუტი შამილ ხასანის ძე, დაბადებული 1910 წელს აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის რაიონის სოფ. კინშში, უპარტიო, საშუალო განათლებით, დაუო-

ჯახებელი, იმყოფებოდა ტყვედ გერმანელებთან 1941 წლის ოქტომბრიდან 1942 წლის 25 აგვისტომდე.

2. სარიანი ნერსეს მესროპის ძე, დაბადებული 1910 წელს კრასნოდარის მხარის სოფელ იშხუმნიანში, უპარტიო, მცირედგანათლებული, დაოჯახებული, 1941 წლის ოქტომბრიდან 1942 წლის 25 აგვისტომდე იმყოფებოდა ტყვედ გერმანელებთან (ზემოაღნიშნულ პირებზე ინფორმაცია მკითხველს უკვე მივაწოდეთ).

სსს N 7870:

1. ლოლაძე ანდრო გიორგის ძე, დაბადებული 1913 წელს ჭიათურის რაიონის სოფელ კვაციხეში, მცხოვრები ჭიათურაში, საშუალო განათლებით, დაოჯახებული, საბჭოთა არმიის ყოფილი პოლიტხელი, დაპატიმრებულ იქნა 1942 წლის 8 სექტემბერს;
2. აბესაძე კარპე ალექსანდრეს ძე, დაბადებული 1918 წელს ტყიბულის რაიონის სოფელ მუხურაში, გლეხის ოჯახიდან, საბჭოთა არმიის ყოფილი სერჟანტი, დაპატიმრებულ იქნა 1942 წლის 9 სექტემბერს;
3. ლომთაძე ვარლამ არტემის ძე, დაბადებული 1913 წელს ქუთაისის რაიონის სოფელ დღნორისაში, საბჭოთა არმიის ბატარეის ყოფილი უფროსი, დაპატიმრებულ იქნა 1942 წლის 8 სექტემბერს.
4. პლახოტნიკოვი ივანე მაქსიმეს ძე, დაბადებული 1913 წელს ქ. ზესტაფონში, საშუალო განათლებით, წითელ არმიაში მსახურობდა კორექტორად, დაპატიმრებულ იქნა 1942 წლის 8 სექტემბერს.
5. მიქაუტაძე გრიგოლ ნიკიფორეს ძე, დაბადებული 1907 წელს ქუთაისის რაიონის სოფელ დღნორისაში, საშუალო განათლებით, საბჭოთა არმიის ყოფილი ბატალიონის უფროსი, კაპიტანი, დაპატიმრებულ იქნა 1942 წლის 8 სექტემბერს.
6. ხარშილაძე ევგენი ეგორის ძე, დაბადებული 1915 წელს საჩხერის რაიონის სოფ. კორბოულში, უმაღლესი განათლებით, უცოლშვილო, წითელი არმიის ყოფილი ოცეულის უფროსის თანაშემწე, დაპატიმრებულ იქნა 1942 წლის 8 სექტემბერს.

შსს-N 4005:

1. გოგოლაშვილი გიორგი ანტონის ძე, დაბადებული 1910 წელს მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანში, გლეხის ოჯახიდან, დაუმთავრებელი უმაღლესი განათლებით, უპარტიო, ადრე სამართალში მიცემული (10 წელი) მკვლელობისათვის, იმყოფებოდა ტყვედ გერმანელებთან, დაპატიმრებამდე ცხოვრობდა არალეგალურად, დაპატიმრებულ იქნა 1942 წლის 25 აგვისტოს. (ინფორმაცია მასზე იხ. ზემოთ).

ზემოაღნიშნული საქმეების მიხედვით, ა. ლოლაძის, ვ. ლომთაძის, ი. პლახოტნიკოვის, გ. მიქაუტაძის, ე. ხარშილაძის, გ. გოგოლაშვილის მიმართ განსაკუთრებული სათათბიროს მიერ გამოტანილი განაჩენი – დახვრეტა, სისრულეში ყოფილა მოყვანილი 1942 წლის 18 სექტემბერს.

შ. ბახტაძის, ვ. ბაკურაძის, კ. ბოხუას, გ. ვარდიაშვილის, ვ. ვაჩეიშვილის, ზ. გიორგობიანის, ვ. ღუდუშაურის, ბ. დონდუას, ი. კროხებაშვილის, ი. ნადირაძის, ვ. თანდაშვილის მიმართ გამოტანილი განაჩენი – დახვრეტა – სისრულეში ყოფილა მოყვანილი 1942 წლის 30 აგვისტოს.

გ. გოგიტიძის, ვ. გამცემლიძის, ს. ჯაკიას, უ. ჯიქიას, ვ. კვარაცხელიას, ფ. ლაგუტინის, ა. მანჩხაშვილის, ნ. მარტიროსიანის, დ. პერანიძის, ა. სემიამეტოვის, ა. ტარაკანოვის, ვ. შელიას, მ. ელიავას მიმართ გამოტანილი განაჩენი – დახვრეტა – სისრულეში ყოფილა მოყვანილი 1942 წლის 31 აგვისტოს. რაც შეეხება კ. ანდრიანს, ს. კოჩკონიანს, შ. კიუტს, ნ. სარიანსა და კ. აბესაძეს, მათ მიმართ გამოტანილი განაჩენის სისრულეში მოყვანის დამადასტურებელი დოკუმენტი ვერ იქნა მოძიებული.

იმდენად დიდი იყო დაინტერესება საქართველოში გადმოსროლილ „დივერსანტ-პარაშუტისტთა" თემატიკით და იმდენად მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ საბჭოთა პერიოდის კიდევ ერთი ტრაგიკული ისტორიული პერიოდის საზოგადოებისათვის ჩვენება, რომ გადავწყვიტეთ მოგვეძებნა დახვრეტილთა შთამომავლობა და მათი მეშვეობით მეტი სიცხადე შეგვეტანა „დივერსანტ-პარაშუტისტთა" საქმეში.

მოპოვებული ინფორმაცია, ძირითადად, ეფუძნება „დივერსანტ-პარაშუტისტთა" დაბადებისა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ნათესავთა და ადგილობრივ მცხოვრებთა გამოკითხვის შედეგებს. ამ უკანასკნელთა ნაწილმა იცოდა პარაშუტისტთა დახვრეტის თაობაზე, ნაწილმა კი ამის შესახებ, ნახევარი საუკუნის შემდეგ, ჩვენგან შეიტყო (მონაცემები მიეკუთვნება 2003 წელს).

1. მანჩხაშვილი ალექსანდრე ილიას ძე, 1912 წელს დაბადებული ხაშურის რაიონის სოფელ ქვიშხეთში. 1938 წლისათვის იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი. წითელი არმიის რიგებში გაიწვიეს დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე. მხოლოდ 1959 წელს გამხდარა ა. მანჩხაშვილის ოჯახისათვის ცნობილი ამ უკანასკნელის დახვრეტისა და შემდგომი რეაბილიტაციის თაობაზე;

2. კორხიბაშვილი ირაკლი ბესარიონის ძე, დაბადებული 1922 წელს ყაზბეგის რაიონის სოფელ ფხელშეში. დღეისათვის ამავე სოფელში ცხოვრობენ მისი ძმის შთამომავლები;

3. ღუდუშაური ვახტანგ მიხეილის ძე, 1917 წელს დაბადებული ყაზბეგის რაიონის სოფელ სნოში. საბჭოთა არმიის რიგებში გაწვევამდე იყო დაოჯახებული. მისი ახლო ნათესავები: მეუღლე, ვაჟიშვილი, ასევე სამი დედმამიშვილი გარდაცვლილები არიან. ყაზბეგის რაიონის სოფელ კარკუჩაში ამჟამად ცხოვრობს ვ. ღუდუშაურის და – თამარი;

4. თანდაშვილი ილია ვასილის ძე, სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაუწვევიათ 1939 წელს. 1942 წელს ი. თანდაშვილის ოჯახს მიუღია ცნობა ფრონტზე მისი დაღუპვის თაობაზე. მას ჰყავდა მეუღლე – თანდაშვილი ანა გიორგის ასული და ვაჟიშვილი ზაური, რომელიც ამჟამად ცხოვრობს სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგაში;

5. გოგოლაშვილი გრიშა (გიორგი) ესტატეს ძე 1938 წელს გაწვეული ყოფილა ფინეთის ომში. ოჯახს 1942 წელს მიუღია ცნობა მისი დახვრეტის თაობაზე. ამჟამად მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანში ცხოვრობს გ. გოგოლაშვილის ბიძაშვილი ზინაიდა გოგოლაშვილი შვილებთან ერთად;

6. პლახოტნიკოვი ივანე მაქსიმეს ძე – 1913 წელს დაბადებული ქალაქ ზესტაფონში. მისი მამა მაქსიმე პლახოტნიკი (შემდგომში პლახოტნიკოვი) მსახურობდა ქალაქ ჭიათურაში და საცხოვრებლად იქვე დარჩენილა. ი. პლახოტნიკოვის ძმები: ნიკოლოზი, ვასილი და გიორგი მონაწილეობდნენ მეორე მსოფლიო ომში. ნიკოლოზი და ვასილი დაიღუპნენ. გიორგი 1947 წელს დაბრუნდა ზესტაფონში. ივანე პლახოტნიკოვი იყო ოჯახის უმცროსი შვილი. ის სწავლობდა სევასტოპოლის სამხედრო-საზღვაო აკადემიაში, რომლის დამთავრების შემდეგ მსახურობდა ქალაქ ტალინში. ამის შემდგომ მასზე ინფორმაცია ოჯახს აღარ მიუღია;

7. კუხალაშვილი უჩა გერასიმეს ძე, 1920 წელს დაბადებული ცაგერის რაიონის სოფელ ისუნდერში, ომის დაწყებისთანავე გაწვეულ იქნა საბჭოთა არმიის რიგებში. ამჟამად, სოფელ ისუნდერში ცხოვრობს მისი ძმიშვილი – კახა კუხალაშვილი ცოლ-შვილთან და დედასთან ერთად, რომლებმაც დაგვიდასტურეს უ. კუხალაშვილთან დაკავშირებით ჩვენს მიერ მოძიებული ინფორმაცია;

8. ბაკურაძე ვლასი გრიგოლის ძე, დაბადებული ცაგერის რაიონის სოფელ სურმუშში. ომის დაწყებამდე ცხოვრობდა მეუღლესთან ერთად. ვ. ბაკურაძის დახვრეტის შემდეგ მისი მეუღლე 5 წლით იქნა გადასახლებული ქალაქ ნოვოსიბირსკში. სოფელ სურმუშში ამჟამად ცხოვრობს ვ. ბაკურაძის ძმა – შოთა ოჯახთან ერთად;

9. გოგიტიძე გური ვარლამის ძე, 1916 წელს დაბადებული ჩოხატაურის რაიონის სოფელ საჭამიასერში. მისი ძმის ცოლი – მარი გოგიტიძე ამჟამად ცხოვრობს ქალაქ თბილისში შვილთან – შორენა გულუხიასთან ერთად;

10. გამცემლიძე ბიჭიკო სავლეს ძე, 1916 წელს დაბადებული ჭიათურის რაიონის სოფელ გუნდაეთში. არსებული მონაცემებით, ამჟამად თბილისში ცხოვრობენ მისი შვილიშვილები. სოფელ გუნდაეთში ბ. გამცემლიძეს ახლო ნათესავებიდან არავინ დარჩა;

11. აბესაძე კარპე ალექსანდრეს ძე, 1918 წელს დაბადებული ტყიბულის რაიონის სოფელ მუხურაში, 1939 წელს გაწვეულ იქნა საბჭოთა არმიის რიგებში. ბოლო მონაცემებით, ის მსახურობდა ქ. ხარკოვში, სადაც საბრძოლო მოქმედებების დროს ტყვედ ჩავარდნილა. ოჯახს მიღებული აქვს ცნობა მისი უგზო-უკვლოდ დაკარგვის თაობაზე;

კ. აბესაძეს, საქართველოში გადმოსროლისთანავე ყველა დოკუმენტი დაუმალია მდინარე წყალწითელას მიდამოებში და გეზი სოფელ მუხურისაკენ აუღია, მაგრამ სახლამდე ვერ მიუღწევია. თავშავის მთასთან იგი დაუპატიმრებიათ და დაუხვრეტიათ.

ომის დამთავრების შემდეგ, საგამოძიებო მასალების ხელმეორედ განხილვისას, კ. აბესაძე გაუმართლებიათ, მისი ახლო ნათესავებისათვის კი დაუბრუნებიათ ჩამორთმეული ქონება. შემდგომში, კ. აბესაძის დედისთვის, ნატალია სოფრომაძისთვის, პენსიაც კი დაუნიშნავთ.

სოფელ მუხურაში ამჟამად ცხოვრობს კ. აბესაძის ძმა ლევან აბესაძე.

12. ლომთაძე ვარლამ არტემის ძე, 1913 წელს დაბადებული წყალტუბოს რაიონის სოფელ დღნორისაში. სამხედრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მას უმსახურია კავალერიაში, მონაწილეობა მიუღია საბრძოლო მოქმედებებში ფინეთის ფრონტზე, რამდენჯერმე დაუჯილდოებიათ. დიდი სამამულო ომის პერიოდში იმყოფებოდა დასავლეთის ფრონტზე, სადაც ტყვედ ჩავარდნილა.

1942 წელს ვ. ლომთაძე სხვებთან ერთად საქართველოში არალეგალურად შეუგზავნიათ ტყიბულის რაიონის ტერიტორიაზე. სამშობლოში დაბრუნებისთანავე, იგი ნებაყოფილობით ჩაბარებია საბჭოთა ხელისუფლებას. ვ. ლომთაძეს ჰყოლია ცოლ-შვილი რუსეთში. საქართველოში ამჟამად ცხოვრობს ვ. ლომთაძის 5 დედმამიშვილი;

13. მიქაუტაძე გრიგოლ ნიკიფორეს ძე, 1907 წელს დაბადებული წყალტუბოს რაიონის სოფელ დღნორისაში, საბჭოთა არმიის მაიორი, ვ. ლომთაძესთან ერთად არალეგალურად იქნა შეგზავნილი საქართველოს ტერიტორიაზე 1942 წელს. ისიც ნებაყოფილობით ჩაბარებია საბჭოთა ხელისუფლებას. ამჟამად ქუთაისში ცხოვრობენ მისი ძმისშვილები. გ. მიქაუტაძის მამაპაპისეული სახლი ამჟამადაც დგას სოფელ დღნორისაში. სოფელ დღნორისას მკვიდრნი დღესაც დიდ პატივს მიაგებენ თანასოფლელების, ვ. ლომთაძისა და გ. მიქაუტაძის ხსოვნას და მათ ყოველთვის მოიხსენიებენ სამშობლოსათვის თავგანწირულ ვაჟკაცებად. სოფელ დღნორისას მკვიდრთა გადმოცემით, ისინიც კი, ვინც იმ პერიოდში ბრალმდებლის როლში გამოდიოდნენ, საკმაოდ შეწუხებულნი ყოფილან გ. მიქაუტაძისა და ვ. ლომთაძის დახვრეტის გამო და მუდმივად სინანულს გამოთქვამდნენ;

14. ხარშილაძე ევგენი ეგორის ძე, 1915 წელს დაბადებული საჩხერის რაიონის სოფელ კორბოულში. მისი ძმიშვილი – ევგენი ხარშილაძე – ცხოვრობს ქ. თბილისში. ე. ხარშილაძეს სოფელ კორბოულში ახლო ნათესავები არ ჰყავს.

მინიშნებული დაბადებისა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით არ ფიქსირდებიან: ვარდიაშვილი გიორგი იოსების ძე, პერანიძე დავით სიმონის ძე და ლოლაძე ანდრო გიორგის ძე.

1942 წლის მაისში საქართველოში, კერძოდ, ოჩამჩირის რაიონში, გადმოსხმული იქნა დივერსანტ-პარაშუტისტთა კიდევ ერთი ოთხკაციანი ჯგუფი ემიგრანტ ასადაშვილის (ინფორმაცია მასზე ოდნავ ზემოთ ვიხილეთ) მეთაურობით. ეს უკანასკნელი გასული საუკუნის 30-იან წლებში საქართველოდან იქნა ემიგრირებული, იყო ორგანიზაცია „თეთრი გიორგის“ წევრი. დაშვებისას ორი პარაშუტისტი გამანადგურებელი ბატალიონის წევრებმა ადგილზე მოკლეს, ერთი ტყვედ ჩავარდა, ხოლო თვით ჯგუფის უფროსი მიიმალა. ის ცდილობდა თანამოაზრეების შემოკრებას და მათში ანტისაბჭოთა აგიტაციის წარმოებას, აჯანყებისათვის დასაყრდენი ჯგუფების შექმნას და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შესაბამისი ღონისძიებების გატარებას. ასადაშვილმა საქართველოს ტერიტორიაზე არალეგალურ მდგომარეობაში დიდხანს ვერ გაძლო. ჩეკისტებმა ის დააპატიმრეს.

სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს არქივში დაცულია ერთი თხელყდიანი საარქივო საქმე, გრიფით „სრულიად საიდუმლოდ“. საქმის გარეკანზე ოთხი გერმანელის სახელი და გვარია გამოტანილი: ანტონ ვებერი, გეინც კეტნერი, მიხეილ მილერი და ქსავერ შტრეცი. ამ ოთხი გერმანელი ჯარისკაცის ბედი დღემდე უცნობია და ინფორმაცია მათ შესახებ ასევე პირველად ქვეყნდება.[251]

ანტონ ვებერი, დაბადებული 1920 წელს ბავარიის მხარეში, გლეხის ოჯახში და მიხეილ მილერი, დაბადებული 1922 წელს ქ. კუნცბიურგში ასევე გლეხის ოჯახში იყვნენ გერმანიის არმიის მე-4 ალპინისტური დივიზიის, 91-ე ალპინისტური პოლკის, მე-2 ბატალიონის მებრძოლები (ა. ვებერი რიგითი, ხოლო მ. მილერი – მზარეული).

აღნიშნული დივიზია 1942 წლის აგვისტოს კავკასიონის ქედს მოადგა. იმის გამო, რომ ამ შენაერთმა 2800 კილომეტრი პრაქტიკულად მარშით (თუ არ ჩავთვლით მცირე შეტაკებებს) გაიარა, მისი სურსათ-სანოვაგით მომარაგება ძალზე გაჭირდა ზურგის სამსახურის სუსტად ორგანიზების გამო. მებრძოლები, ძირითადად, ადგილობრივი მოსახლეობის ხარჯზე იკვებებოდნენ. ხშირი იყო ქურდობის შემთხვევები. მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა ერთ-ერთ უღელტეხილზე მდგარი გერმანელ ალპინისტთა პოლკი. შიმშილობის მესამე დღეს, როდესაც გაუსაძლისი ვითარება შეიქმნა, ოთხმა გერმანელმა ჯარისკაცმა გადაწყვიტა 8 კმ მანძილით დაშორებულ ქართულ სოფელში ჩასულიყო და იქ სურსათი ეშოვა. მართლაც, მოახერხეს ერთი ტომარა კარტოფილის მოპოვება. მეორე დღეს საფლის „სტუმრობა“ ახლა უკვე ა. ვებერსა და მ. მილერს დაევალათ, თუმცა გზად მომავლებს წითელარმიელები დახვდნენ ჩასაფრებულები და ისინი დააპატიმრეს. გერმანელებს დაკავების მომენტში წინააღმდეგობა არ გაუწევიათ.

კეტნერი გეიცი-პაული, დაბადებული 1918 წელს საქსონიაში, ქ. ბაუნცერში, მოსამსახურის ოჯახში, პროფესიით კულინარი, გერმანიის არმიის მე-4 საჰაერო ფლოტის, მე-4 კორპუსის, 51-ე ესკადრილიის, „იუნკერს-88“-ის ეკიპაჟის რადისტი, ეკიპაჟის სხვა წევრებთან ერთად, საბჭოთა მფრინავებმა ტუაფსედან 60 კილომეტრის დაშორებით ზღვაში ჩამოაგდეს.

ქსაველ შტრეცი, დაბადებული 1923 წელს, მიუნხენის მახლობლად, მოსამსახურის ოჯახიდან, გერმანიის არმიის 1-ლი სამთო-გამანადგურებელი დივიზიის, 98-ე პოლკის, მე-2 ბატალიონის, მე-10 ასეულის გამნაღმველი, ფრონტზე გაწვეულ იქნა 1942 წლის 15 აპრილს. მისი დაპატიმრების დრო და ადგილი საარქივო საქმეში მითითებული არ არის, თუმცა დაფიქსირებულია, რომ ის ორჯერ – 6 და 26 სექტემბერს დაიკითხა.

ოთხივე გერმანელი საქართველოს სსრ შინსახკომის შიდა ციხეში მოათავსეს. ისინი სულ ორჯერ თუ სამჯერ დაიკითხნენ. გამომძიებელი ბოლო დაკითხვის ოქმებში იძლევა გერმანელთა მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის მათი დახვრეტის რეკომენდაციას. გამომძიებლის ამ მოსაზრებას რეზოლუციით ვამტკიცებ საქართველოს სსრ შსს კომისარი, სახელმწიფო უშიშროების მე-3 რანგის კომისარი ა. რაფავა.

საინტერესოა ის გარემოება, რომ გერმანელი ტყვეების დახვრეტის გადაწყვეტილება მიიღო არა თუნდაც საველე სასამართლომ, არამედ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა, თანაც არა ჩადენილი კონკრეტული დანაშაულის, არამედ სულ სხვა მოსაზრების გამო, რაც გამომძიებლის დასკვნაში აისახა: „...пришел к заключению, что пребывание военнопленного Вебер А.И. в советском лагере для военнопленных солдат германской армии после его нахождения во внутренней тюрьме НКВД и после прохождения им процесса следствия в КРО НКВД ГССР, может привести к разглашению среди немецких военнопленных режим в тюрьме НКВД и о ведении следствия органами НКВД, а поэтому считаю необходимым военнопленного Вебер Антона – расстрелять*“ (ანალოგიური

* მივედი იმ დასკვნამდე, რომ სამხედრო ტყვის ა.ი.ვებერის გადაყვანამ გერმანიის არმიის სამხედრო ტყვეთათვის განკუთვნილ საბჭოთა ბანაკში, მისი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის შიდა ციხეში ყოფნისა და საქართველოს სსრ შსკ-ის კონტრდაზვერვის განყოფილებაში საგამოძიებო პროცესის გავლის შემდეგ, შესაძლებელია გერმანელ სამხედრო ტყვეთა შორის გამოიწვიოს შინაგან

გადაწყვეტილება გამოტანილია მილერისა და კეტნერის მიმართ).განაჩენი მ. მილერის, ა. ვებერის და ჰ. კეტნერის მიმართ სისრულეში იქნა მოყვანილი 1942 წლის 28-29 სექტემბრის ღამეს. რაც შეეხება ქ. შტრეცს, შინაგანი ციხის სამედიცინო სამსახურის მიერ გაკეთებულ სამედიცინო აქტის თანახმად, ის 1942 წლის 2 ოქტომბერს გულის შეტევით გარდაცვლილა.

მიუხედავად განცდილი მარცხისა, გერმანიის სარდლობა და მისი სადაზვერვო სტრუქტურები მიიჩნევდნენ, რომ ომში წარმატების მისაღწევად აუცილებელი იყო საბჭოთა კავშირის ზურგში დივერსიული და ანტისაბჭოთა პროპაგანდისტული საქმიანობის წარმართვა, რაც შესაძლებელი იყო გერმანულ სადაზვერვო სკოლებში სპეცმომზადებაგამოვლილი კონტინგენტის გამოყენებით.

საბჭოთა დაზვერვა სისტემატურად იტყობინებოდა გერმანულ სპეცსკოლებში ემიგრანტთა და ყოფილ საბჭოთა სამხედრო ტყვეთა ინტენსიური მზადებისა და მცირე ჯგუფებად სსრკ-ის ზურგში შემოგზავნის გეგმების თაობაზე.

„ცეპელინმა“ სსრ კავშირის, კერძოდ, საქართველოს ზურგში „დივერსანტ-პარაშუტისტთა“ გადაგზავნის მეორე ეტაპი დაიწყო 1943 წლის ზაფხულში, თუმცა მოსამზადებელ სამუშაოებს ის რამდენიმე თვით ადრე შეუდგა.

მცირე ჯგუფების საქართველოში შეგზავნისათვის მზადება დაიწყო 1943 წლის იანვარში. დასაწყისში დაგეგმილი იყო მომზადება ქართველ ტყვეთა ოთხკაციანი ჯგუფისა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ყოფილი წითელარმიელები ვეფხვაძე, დიმიტრი მანჭარაული და ხელაძე. მეოთხე პიროვნების შერჩევა იმ პერიოდში ვერ მოხერხებულა. იგეგმებოდა აღნიშნული ჯგუფის წყალქვეშა ნავით გუდაუთის მისადგომებთან გადასროლა, იქიდან კი ავტომობილით თბილისში გამგზავრება. მანჭარაულს უნდა შეესრულებინა სანიტრის, ხელაძეს – დაჭრილი მეთაურის, ხოლო ვეფხვაძეს გამყოლი ექიმის ფუნქცია. აღნიშნულ ჯგუფს, ვეფხვაძის ახლო კავშირების მეშვეობით, ხელთ უნდა ეგდო თბილისის პურით მომარაგება და წითელი არმიის უკან დახევისა და თბილისის დატოვების შემთხვევაში, არ დაეშვა ქალაქის ნგრევა.

იმის გამო, რომ 1943 წლის მარტში ბერლინში „საქართველოს ნაციონალური კომიტეტის“ სხდომაზე ვერ იქნა მიღებული კონკრეტული გადაწყვეტილებები სსრკ-ის ზურგში დივერსიული საქმიანობისათვის ქართველების გამოყენების თაობაზე, ზემოაღნიშნული ჯგუფის გამგზავრება საქართველოში ვერ განხორციელდა. ოდნავ მოგვიანებით ჩამოყალიბდა ექვსი ძირითადი ჯგუფი, რომელთაც ხელმძღვანელობდნენ ყოფილი წითელარმიელები: ხინიკაძე, აკაკი ბუაძე, შოთა ხოჯავა, შოთა პარკაია, გიორგი ინაძე და ვინმე ბიცაევი. ჯგუფების დაკომპლექტება ხდებოდა თავისუფალი სისტემით, პირადი ურთიერთობების საფუძველზე, სწავლებაც და მომზადებაც ინდივიდუალური იყო. სპეცსკოლაში, სადაც მომზადებას გადიოდნენ მომავალი პარაშუტისტები, ლექციების წასაკითხად ხშირად იმყოფებოდნენ ქართველი პროპაგანდისტები: ვალიკო ინწკირველი, ტარიელ წულაძე, ტარასი ნოზაძე და სხვები.

---

საქმეთა სახალხო კომისარიატის ციხის რეჟიმისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოების მიერ წარმოებული საგამოძიებო პროცესის გამჟღავნება. ამიტომ აუცილებლად ვთვლი სამხედრო ტყვის ანტონ ვებერის დახვრეტას.

ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე საბჭოთა სპეცსამსახურებმა შექმნეს წინაპირობები გერმანიის დაზვერვასთან ოპერატიული თამაშებისათვის. მისი არსი მდგომარეობდა საბჭოთა კავშირის ზურგში, საბჭოთა აგენტებისა და კონტრდაზვერვის მუშაკთა უშუალო მონაწილეობით, ანტისაბჭოთა, იატაკქვეშა, პროგერმანული ორგანიზაციების იმიტაციაში, რომელსაც რაც შეიძლება მეტი ანტისაბჭოთა და პროგერმანული განწყობის მოქალაქე და გერმანელი მზვერავი მოეზიდა, შემდგომში მათ გასანეიტრალებლად. ოპერატიული კომბინაციებისა და რადიოთამაშების მიზანი, ასევე, მონინააღმდეგის დეზინფორმირება და საომარი აქცენტების კონტროლირებადი მიმართულებით გადატანა იყო.

თავისი მნიშვნელობით ყველაზე მსხვილი რადიოთამაში გახლდათ ოპერაციები „ბერეზინო" და „მონასტერი", რომლებიც, პროფესიონალური დონის თვალსაზრისით, უნაკლო იყო. ამის გამო ისინი შეტანილია საბჭოთა სპეცსამსახურების სასწავლო ლიტერატურაში. ამ ოპერაციების მიმდინარეობა ვრცლად არის აღწერილი სხვადასხვა მემუარულ თუ პუბლიცისტურ ნაწარმოებში.

ოპერაცია „მონასტერის" მთავარი მოქმედი ფიგურები გახლდნენ საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის აგენტი ალექსანდრე დემიანოვი („გეინე-მაკსი"), მეფის რუსეთის დიდგვაროვანი ოჯახის წარმომადგენელი და მისი მეუღლე, ასევე საბჭოთა სპეცსამსახურის აგენტი.

საბჭოთა სპეცსამსახურებმა ოპერაცია „მონასტერის" გარდა, „აბვერისა" და „გესტაპოს" საწინააღმდეგო ოთხმოცამდე რადიოთამაში განახორციელეს.

რადიოთამაშების წარმატება უპირველესად განპირობებული იყო იმით, რომ საბჭოთა სპეცსამსახურებმა მოახერხეს საიდუმლოდ შეღწევა „აბვერის" დივერსანტ-პარაშუტისტთა სკოლებში, საიდანაც მუდმივად ღებულობდნენ ინფორმაციას გადმოსროლილ მზვერავებზე, რომლებსაც ან აპატიმრებდნენ, ანდა საბჭოთა სპეცსამსახურებთან თანამშრომლობას აიძულებდნენ.[41]

ზემოაღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებით არსებულ მასალებზე დაყრდნობით, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში, ვასილ არდამატსკის მოთხრობის, „გრანტი" უხმობს მოსკოვს" მიხედვით, გადაღებულ იქნა მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „სატურნი" თითქმის არ ჩანს". საბჭოთა სპეცსამსახურებმა წარმატებული რადიოთამაშები განახორციელეს შუა აზიაში, უზბეკეთსა და თურქმენეთში.

მას შემდეგ, რაც 1943 წლის დასაწყისში ფაშისტური გერმანიის სამხედრო მანქანამ სტალინგრადთან მწარე დამარცხება იწვნია, ყველა მიხვდა, რომ მეორე მსოფლიო ომში გარდამტეხი მომენტი დადგა, თუმცა გერმანიის დაზვერვა მაინც აგრძელებდა საბჭოთა ზურგში ახალ-ახალი დივერსიული ჯგუფების შეგზავნას, ხოლო საბჭოთა სპეცსამსახურები წარმატებით ახორციელებდნენ რადიოთამაშებს. ერთ-ერთი ასეთი რადიოთამაში კონტრდაზვერვა „სმერშმა" კოდური დასახელებით „განადგურება" განახორციელა საქართველოშიც.

1943 წლის 9 ივნისს, ღამით, ამბროლაურისა და ჭიათურის რაიონების ტერიტორიაზე დაეშვა „ცეპელინის" მიერ აუშვიცის სკოლაში სპეცმომზადებაგავლილ პარაშუტისტთა შვიდკაციანი ჯგუფი. ჯგუფის დაშიფრული სახელწოდება იყო

„ვერა-1". დაშვების შემდეგ ჯგუფის ყველა წევრი, გარდა ერთისა, საკუთარი ნებით ჩაბარდა შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს.

ჯგუფის შემადგენლობაში იყვნენ:

1. ხოჯავა შოთა ალექსანდრეს ძე (ჯგუფის უფროსი), დაბადებული 1913 წელს ქ. ქუთაისში, 952-ე საარტილერიო პოლკის კავშირგაბმულობის უფროსის თანაშემწე. ტყვედ ჩავარდა 1942 წლის 1 ივლისს სევასტოპოლის რაიონში. იმყოფებოდა სიმფეროპოლის, ბუხენვალდისა და ბრესლაუს ტყვეთა ბანაკებში;

2. დარახველიძე დავით ივლიანეს ძე, დაბადებული 1922 წელს ტყიბულის რაიონის სოფელ გურნაში. წითელ არმიაში მსახურობდა რადისტად. გერმანელებთან ტყვედ ჩავარდა 1942 წლის 15 მაისს ქერჩის მიდამოებში. იმყოფებოდა სიმფეროპოლის ტყვეთა ბანაკში;

3. სტეპანოვი იოსებ მიხეილის ძე, დაბადებული 1923 წელს ქ. თბილისში. 382-ე საარტილერიო პოლკის 952-ე ბატარეის უფროსის თანაშემწე, ჯგუფის სათადარიგო რადისტი. ტყვედ ჩავარდა 1942 წლის 2 ივლისს სევასტოპოლის მახლობლად. იმყოფებოდა სიმფეროპოლის ტყვეთა ბანაკში;

4. ობოლაძე მიხეილ კონსტანტინეს ძე, დაბადებული 1918 წელს ამბროლაურის რაიონის სოფელ სხვავაში, 643-ე სპეციალური პოლკის 404-ე სპეციალური დივიზიის სამეურნეო ოცეულის ყოფილი უფროსი. ტყვედ ჩავარდა 1942 წლის მაისში ქერჩის რაიონში. იმყოფებოდა ფეოდოსიის, სიმფეროპოლის, ბერდიანსკის, ჟიტომირის, სემის-იალტის სამხედრო ტყვეთა ბანაკებში, აგრეთვე ქალაქების: ზარდბერგენის, აუშვიცის, ბრესლაველისა და ვაიმარის საკონცენტრაციო ბანაკებში.

5. ჩხიკვაძე მიხეილ ივანეს ძე, დაბადებული 1916 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ შუა-ფარცხმაში, 510-ე საზენიტო-საარტილერიო დივიზიის სამხედრო ტექნიკოს-მძღოლი. ტყვედ ჩავარდა 1942 წლის მაისში ქერჩის მახლობლად. იმყოფებოდა სიმფეროპოლისა და ბუხენვალდის სამხედრო ტყვეთა ბანაკებში;

6. ბახსოლიანი ნიკოლოზ დიმიტრის ძე, დაბადებული 1912 წელს ცაგერის რაიონის სოფელ ორბელში, 25-ე სპეცდივიზიის საარტილერიო ოცეულის მეთაური. გერმანელების მიერ ტყვედ იქნა აყვანილი 1942 წლის 27 ივნისს სევასტოპოლის რაიონში;

7. კანდელაკი გრიგოლ სოლომონის ძე, დაბადებული 1901 წელს სამტრედიის რაიონის სოფელ ჭოგნარში, 772-ე სპეცდანაყოფის 386-ე სპეცდივიზიის რიგითი. ტყვედ ჩავარდა 1942 წლის 27 ივნისს სევასტოპოლის რაიონში. იმყოფებოდა სიმფეროპოლის სამხედრო ტყვეთა ბანაკში. ის არ ჩაბარდა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, დაპატიმრებულ იქნა და ამიერკავკასიის სამხედრო ტრიბუნალმა განუსაზღვრა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა.

„აბვერის" გეგმის მიხედვით, ჯგუფს, გარდა სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვებისა, აქტიური მონაწილეობა უნდა მიეღო საქართველოში შეიარაღებული ამბოხების მოწყობაში. მისი უმთავრესი ამოცანა იყო თბილისში ჩაღწევა და იქ მტკიცედ დამკვიდრება, ადგილობრივ მოსახლეობაში ანტისაბჭოთა საქმიანობის გაშლა, ნაციონალისტურად განწყობილი მოსახლეობის გაერთიანება. ჯგუფის წინაშე იდგა აგრეთვე წითელი არმიის ნაწილების განლაგებისა, მათი რაოდენობის, ტაქტიკისა და სტრატეგიის შესახებ ინფორმაციის მოპოვება. „ვერა-1" სპეციალურად დაკომპლექტდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარ-

მომადგენლებისგან, რათა ის უფრო მანევრირებადი და ეფექტური ყოფილიყო. ჯგუფი კარგად იყო გაწვრთნილი და შეიარაღებული (რადიოსადგური, შიფრები, იარაღი, ფიქტიური დოკუმენტები, საბჭოთა ფული და სხვ.).

„ვერა-1"-ს „აბვერი" იმთავითვე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა, ვინაიდან მისი მოქმედება უნდა განხორციელებულიყო 1943 წლის ზაფხულში კურსკის რკალზე და კავკასიისათვის გამართული ბრძოლების ფონზე.

ჯგუფის წევრებმა, ბანაკში იატაკქვეშა წინააღმდეგობის მოძრაობის ზეგავლენით, ჯერ კიდევ აუშვიცის სკოლაში ყოფნისას მოილაპარაკეს, რომ საქართველოში ჩამოსვლისთანავე ჩაბარებულიყვნენ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს. უშიშროების ვეტერანი მუშაკები იხსენებდნენ, რომ „ვერა-1" ჯგუფის წევრების ამ განწყობასა და მათი საქართველოში გადმოსროლის სავარაუდო პერიოდზე იტყობინებოდნენ აუშვიცის ბანაკში მყოფი საბჭოთა საგარეო დაზვერვის ოპერატიული წყაროები.

აუშვიცის სკოლაში ყოფნისას იმ ქართველმა ემიგრანტებმა, რომლებიც ჯგუფის მომზადებაში მონაწილეობდნენ, „ვერა-1"-ის ხელმძღვანელს დაავალეს შეხვედრა თბილისში ერთ-ერთ პროფესორთან, რომელიც ადრე აქტიურად თანაუგრძნობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას და რომელიც, სავარაუდოდ, დაეხმარებოდა ჯგუფს დასმული ამოცანების გადაწყვეტაში.

საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ კარგად იქნა აწონილ-დაწონილი შექმნილი ვითარება და წინა, 1942 წლის გადმოსროლებზე მომხდარი მწვავე რეაგირებისაგან განსხვავებით, გადაწყდა მოწინააღმდეგესთან რადიოთამაშის გამართვა. აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ამიერკავკასიის ფრონტის კონტრდაზვერვის სამმართველოს „СМЕРШ*"-ის მიერ საკავშირო კონტრდაზვერვის მთავარი სამმართველოს ნებართვით. რადიოთამაშს მიეცა კოდური დასახელება „Разгром".**

რადიოთამაშის რეალიზაცია დაიწყო 1943 წლის 23 ივლისს. ოპერატიულ თამაშში უშუალოდ მონაწილეობდნენ ხოჯავა, დარახველიძე და სტეპანოვი, ხოლო დანარჩენებს ამომცნობის ფუნქცია დაეკისრათ.

რადიოთამაშის უმთავრესი მიზანი იყო მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანა, დეზინფორმირება, საქართველოს ტერიტორიაზე წარმატებული დივერსიულ-ჯაშუშური საქმიანობის იმიტაცია და ამით გერმანელთა ახალ-ახალი ჯგუფების შემოტყუება. ანუ, ამ ჯგუფს საბჭოთა კონტრდაზვერვის მეთვალყურეობითა და ხელმძღვანელობით, უნდა „გაეგრძელებინა მის წინაშე „ცეპელინის" მიერ დასახული ამოცანის შესრულება" და ამის თაობაზე პერიოდულად ეცნობებინა გერმანელთა „ცენტრისათვის".

ოპერატიულ ჩანაფიქრში ცენტრალური ფიგურა იყო თბილისში მცხოვრები ერთ-ერთი ცნობილი ექიმი, პროფესორი – ს. ხ., რომელთანაც აპირებდა დაკავშირებას ჯგუფის ერთ-ერთი წევრი. სასწრაფოდ მოხდა სპეცსამსახურების მიერ ამ უკანასკნელის შესწავლა, რის შედეგადაც დადგინდა, რომ ის საბჭოთა ხელისუფლების მიმართ ლოიალურად იყო განწყობილი და შესაძლებელი იყო მასთან

* Смерть фашистам – სიკვდილი ფაშისტებს

** განადგურება

კონფიდენციალური საკითხების გადაწყვეტა. დათანხმდა რა ს.ხ. ჩეკისტებთან თანამშრომლობას, ოპერაცია „განადგურებამ" სტარტი აიღო.

პირველ რადიოგრამაში ჯგუფის წევრებმა გერმანელებს შეატყობინეს, რომ დაეშვნენ დათქმულ ადგილას, ოღონდ კლდოვან მხარეს, რის შედეგადაც თითქოს ორი მათგანი დაიჭრა, ერთი დაილუპა, ხოლო დანარჩენის ბედი უცნობი იყო. ეს შეტყობინება, ერთი მხრივ, ამართლებდა 15-დღიან პაუზას, მეორე მხრივ კი იძლეოდა გერმანიის სადაზვერვო ცენტრიდან ახალი ძალების მოთხოვნის საშუალებას. საპასუხო რადიოგრამაში გერმანიის სადაზვერვო ორგანოებმა თვითონ იკითხეს, თუ რა სახის დახმარების გაწევა იყო მათი მხრიდან საჭირო. „ჩეკისტებმა" უპასუხეს, რომ აუცილებელი იყო ფიზიკური ძალის მოშველიება. ამავდროულად, შეატყობინეს, რომ მათ მიერ დამყარებულ იქნა დაგეგმილი კონტაქტი მეკავშირესთან, პროფესორთან, რომელმაც გამოთქვა მზადყოფნა და „დივერსანტ-პარაშუტისტებისათვის" დახმარების აღმოჩენის სურვილი.

გერმანელებს ოპერაციის წარმატებით დაწყებაში ეჭვი არ შეპპარვიათ, რასაც რადიოკონტრდაზვერვის მიერ გაშიფრული რადიოგრამები მოწმობდა. აქედან გამომდინარე, „აბვერმა" გადაწყვიტა საქართველოში ახალ-ახალი ჯგუფების გაგზავნა.

1943 წლის 27 აგვისტოს, დაახლოებით 22.00 – 23.00 საათზე აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის რაიონში, სოფელ ჟღერდასთან, გადმოსროლილ იქნა ჯგუფი შოთა პარკაიას მეთაურობით. ამ ჯგუფის წევრები იყვნენ სერგო გომარელი (რადისტი), გრიგოლ გოგოხია, ვლადიმერ არახამია, ამირან მექვაბიშვილი. პარაშუტისტები დაგეგმილი 100-200 მეტრის ნაცვლად, ერთმანეთს საკმაოდ დიდი მანძილით დაშორდნენ და ორგანიზებულად გამოცხადება ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში გოგოხიამ, გომარელმა, პარკაიამ და არახამიამ ვერ მოახერხეს. გოგოხიამ, გრძნობდა რა თავს შეუძლოდ, მიწაზე გაუნძრევლად გაატარა თითქმის ერთი საათი. შემდეგ დაკეცა პარაშუტი, მიმალა იგი ბუჩქებში და გავიდა სოფლის გზაზე. გზად მიმავალს შემოხვდა ადგილობრივი მკვიდრი, რომელსაც აუხსნა, რომ იყო „გერმანელი პარაშუტისტი" და ეძებდა ხელისუფლების ორგანოებს. გლეხმა ის მართლაც მიიყვანა კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან, მეჯიდ ქეცბასთან. ქეცბა გოგოხიასთან ერთად სასოფლო საბჭოში წავიდა და მომხდარზე სწრაფად შეატყობინა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში.

მოგვიანებით ხელისუფლების ორგანოებს საკუთარი სურვილით ჩაბარდნენ პარკაია, არახამია და გომარელიც. რაც შეეხება მექვაბიშვილს, ის სამართალდამცავებს არ დანებდა და დაკავებისას შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია.

1943 წლის 23 სექტემბერს, სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სასაზღვრო ჯარების საქართველოს ოლქის უფროსმა, გენერალ-მაიორმა ლაბაძემ სრულიად საიდუმლო სპეციალური შეტყობინება გაუგზავნა საქართველოს კპ (ბ) ცკ-ის მდივანს კ. ჩარკვიანს. წარმოდგენილი დოკუმენტიდან ირკვევა, რომ 1943 წლის 27 აგვისტოს, სოხუმის სასაზღვრო რაზმს დასახლება ჟღერდასთან, ქ. ოჩამჩირის ჩრდილო-დასავლეთიდან დაახლოებით 22 კმ მანძილზე, დაუფიქსირებია 5 გერმანელ დივერსანტ-პარაშუტისტის გადმოსხმის ფაქტი. მათ შესაპყრობად მობილიზებული ყოფილა 150-კაციანი გამანადგურებელი ბატალიონი. 28 აგვისტოს, მაძებარი ძაღლების მეშვეობით, დაუპატიმრებიათ ოთხი დივერსანტ-პარ-

აშუტისტი. უფრო სწორად, ისინი წინააღმდეგობის გაწევის გარეშე ჩაბარებიან ხელისუფლებას, ერთ-ერთს კი შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწევია. ოთხიე მათგანი ყოფილი წითელარმიელი აღმოჩენილა. ისინი საქართველოს სხვადასხვა რაიონის მკვიდრნი იყვნენ. პარაშუტისტებს, სხვათა მსგავსად, სპეციალური მომზადება ჰქონდათ გავლილი გერმანელთა სპეცსკოლებში. სულ მალე დაუპატიმრებიათ მეხუთე დივერსანტ-პარაშუტისტიც. ის აღმოჩნდა ადრე ქ. ფოთის მკვიდრი, ვინმე მიქვაბიშვილი ან მექვაბიშვილი. ეს უკანასკნელი შინსახკომის ორგანოების მიერ 1935 წელს ყოფილა დაპატიმრებული კონტრრევოლუციური ფურცლების გავრცელებისათვის, რისთვისაც იხდიდა სასჯელს, თუმცა 1936 წელს გაქცეულა საპატიმრო ადგილიდან და წასულა ემიგრაციაში. ჯერ უცხოერია თურქეთში, შემდეგ საფრანგეთში, ბოლოს კი გერმანიაში. დაპატიმრებულებს თან ჰქონდათ: თოთხმეტტყვიიანი 5 პისტოლეტი, სამამულო წარმოების ავტომატ-პისტოლეტი და რადიოსადგური.[334]

დავუბრუნდეთ ისევ რადიოთამაშს.

გერმანიის სადაზვერვო ცენტრმა სულ მალე მიიღო გადაწყვეტილება საქართველოში ახალი დივერსიულ-სადაზვერვო ჯგუფის „ვერა-3"-ის გაგზავნის თაობაზე. იმისათვის, რომ დაჩქარებულიყო ახალი ჯგუფის საქართველოში შეგზავნა, ჩეკისტებმა გერმანელთა მხარეს შეატყობინეს, რომ „ვერა-1"-ის გადმოსროლისას მწყობრიდან იქნა გამოსული მეორე საკომუნიკაციო სადგური („რაცია") და სათადარიგო კვების წყაროები. მათვე აცნობეს, რომ ახლადგადმოსროლილი ჯგუფის „ვერა-1"-ის ხელმძღვანელი უნდა შეხვედროდა თბილისელ „მეკავშირეს" სახლში პაციენტების მიღების საათებში. შეხვედრის პაროლი იყო „სულიკო".

1943 წლის 31 აგვისტოს საქართველოში გადმოსროლილ იქნა დივერსანტ-პარაშუტისტთა მორიგი ექვსკაციანი ჯგუფი „ვერა-3".

ჯგუფის წევრები იყვნენ (მონაცემები ეკუთვნის დაპატიმრების მომენტს):

1. ბაბალაშვილი შიო მიხეილის ძე, დაბადებული 1905 წელს აზერბაიჯანის სსრ, კახის რაიონის სოფ. კოტოპლოში, უპარტიო, თბილისის კონსერვატორიის კურსდამთავრებული, ჯარში გაწვევამდე მცხოვრები ქ. თბილისში, 70-ე ცხენოსანთა დივიზიის, 189-ე კავალერისტთა პოლკის ოცეულის მეთაური, უმცროსი ლეიტენენტი. შ. ბაბალაშვილი წითელ არმიაში გაიწვიეს 1941 წლის აგვისტოში. გერმანელთა მიერ ტყვედ იქნა აყვანილი 1942 წლის მაისში;

2. ელაშვილი ფორე სიმონის ძე, დაბადებული 1919 წელს, სიღნაღის რაიონის სოფ. ჯუგაანში, საშუალო განათლებით, ადრე სამართალში არმიცემული, უცოლშვილო, სპეციალობით რადიოტექნიკოსი, ჯარში გაწვევამდე მცხოვრები ქ. თბილისში, რაკოვსკის შესახვევი ბ. N 5–ში, საბჭოთა არმიაში გაწვეულ იქნა 1942 წლის იანვარში, მე-20 ხიდების აღმდგენი ბატალიონის წითელარმიელი. გერმანელთა მიერ ტყვედ იქნა აყვანილი სევასტოპოლის მისადგომებთან 1942 წლის 2 ივნისს.

3. ინაძე გიორგი ილიას ძე, დაბადებული 1911 წელს ქ. თბილისში, დაოჯახებული, დაუმთავრებელი უმაღლესი განათლებით, ჯარში გაწვევამდე ორთქმავალშემკეთებელი ქარხნის ოსტატი, მცხოვრები ვახუშტის ქ. N 22-ში. წითელ არმიაში გაწვეულ იქნა 1942 წლის იანვარში, მე-20 ხიდების აღმდგენი ბატალიონის წითელარმიელი. ტყვედ ჩავარდა 1942 წლის ივლისში.

4. მანჭარაული დიმიტრი გიორგის ძე, დაბადებული 1920 წელს თელავის რაიონის სოფ. ზემო ალვანში, ქართველი, საშუალო განათლებით, უცოლშვილო, ჯარში გაწვევამდე მცხოვრები ქ. თელავში, წითელ არმიაში 1939 წლიდან, მე-16 მოტომსროლელთა დივიზიის შტაბის დაცვის ოცეულის მეთაურის თანაშემწე, უმცროსი სერჟანტი. გერმანელთა მიერ ტყვედ იქნა აყვანილი 1941 წლის აგვისტოში.

5. ანდიაშვილი შალვა ნიკოლოზის ძე, დაბადებული 1916 წელს, ბაშკიჩეთის (მარნეულის) რაიონის სოფ. მიჯაში, დაოჯახებული, ჯარში გაწვევამდე მცხოვრები ქ. თბილისში კლარა ცეტკინის ქ. N 75-ში, წითელ არმიაში გაწვეული 1941 წლის ივნისში, 63-ე მოტომსროლელთა დივიზიის წითელარმიელი. გერმანელთა მიერ ტყვედ იქნა აყვანილი სევასტოპოლის რაიონში 1942 წლის მაისში.

6. ბერძენიშვილი თომა ერმილეს ძე, დაბადებული 1920 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფ. გოგოლესუბანში, ჯარში გაწვევამდე მცხოვრები ქ. თბილისში, კომაროვსკის ქ. N 11-ში, 1941 წელს გასამართლებული საქ. სსრ სსკ-ის 185-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. წითელ არმიაში გაწვეულ იქნა 1941 წლის აგვისტოში, შავი ზღვის ფლოტის მე-8 საზღვაო ბრიგადის ოცეულის უფროსი. გერმანელთა მიერ ტყვედ იქნა აყვანილი სევასტოპოლის რაიონში 1942 წლის ივლისში.

ეს ჯგუფიც, ისევე როგორც სხვა მომდევნო ჯგუფებიც, მომზადებას გადიოდნენ გერმანიის სადაზვერვო სკოლებში ქართველი ემიგრანტების უშუალო მონაწილეობით. ჯგუფს თან ჰქონდა სამოქალაქო დოკუმენტების ნიმუშები, პისტოლეტები, ავტომატები, შაშხანები, პორტატული მოკლეტალღიანი რადიოსადგური, საბჭოთა ფული და პირველადი მოხმარების სხვადასხვა ნივთი.

დასაწყისში იგეგმებოდა აღნიშნული ჯგუფის გადასროლა ჯერ თელავის, შემდეგ თეთრიწყაროს რაიონებში, თუმცა საბოლოოდ შეირჩა ბოლნისის რაიონი. ჯგუფს უნდა ემოქმედა არალეგალურად, რისთვისაც მისი დისლოკაციის ადგილად შეირჩა გაუვალი ტყეები. მათ სხვა მითითება გერმანელებისაგან არ მიუღიათ. გართულების შემთხვევაში ჯგუფი უნდა გადასულიყო კახეთში.

„ვერა-3"-ს, თბილისში იმავე „მეკავშირის" მეშვეობით, „ვერა-1"-ის ჯგუფის უფროსისათვის უნდა გადაეცა ფული, რაცია და კვების წყაროები, რის შემდეგაც დამოუკიდებლად ეწარმოებინა საქმიანობა.

გამგზავრების წინ, ქართველი ემიგრანტების, ქართველიშვილისა და ვაჩნაძისგან ჯგუფმა მიიღო პირდაპირი დავალება, მოეწყოთ საქართველოში სახალხო ამბოხება. ჯგუფის ხელმძღვანელი უნდა შეხვედროდა თელავის რაიონის სოფელ მატანში ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმის ერთ-ერთ ყოფილ წევრს.

1943 წლის 30 აგვისტოს ექვსკაციანი ჯგუფი ბერდიანსკიდან მარიუპოლში გაემგზავრა. მას თან ახლდნენ ბანაკის კომენდანტი ჰუკი და გერმანელი რადისტი. 1 სექტემბერს ბერლინის დროით 6 სთ-სა და 30 წუთზე შავი ფერის ორმოტორიანი თვითმფრინავი, ამოსაცნობი ნიშნების გარეშე, მარიუპოლის აეროდრომიდან საქართველოს მიმართულებით გაემართა. დაგეგმილი იყო ზემოაღნიშნული დესანტის გადმოსხმა სოფელ ფახრალოში ბოლნისისა და ბაშკიჩეთის რაიონების ტერიტორიის მიმდებარედ, ხოლო შეკრება უნდა მომხდარიყო სოფელ სარიალში.

თვითმფრინავიდან პირველი გადახტა ელაშვილი, რომელსაც თან ჰქონდა

რაცია, მას მიჰყვა ჯგუფის უფროსი გოგი ინაძე, რამდენიმე წუთში გადასროლილ იქნა სამი შეკერა (საკვები, შეიარაღება, თანხა და სხვა) ბარგი. ამის შემდეგ გადახტნენ ბაბალაშვილი, მანჭარაული, ბერძენიშვილი და ანდიაშვილი. ელაშვილი დაეშვა დასახლება სადახლოს (ბაშკიჩეთის რ-ნი) ცენტრში. იქვე მიმალა პარაშუტი და რაცია და ტყისკენ გაემართა. შემდგომ გადაწყვიტა უკან მობრუნება, მაგრამ ძაღლების ყეფის ხმაზე მოსახლეობა გამოვიდა და ის იძულებული იყო, უკან გაბრუნებულიყო. ელაშვილი, როდესაც დარწმუნდა, რომ რაცია დაკარგა, რადიოკოდი გაანადგურა. ინაძე დაეშვა სიმინდის ყანაში. დაახლოებით 50 მეტრის გავლის შემდეგ შეხვდა მანჭარაულს. მათ მალევე შეუერთდა ბერძენიშვილი. იმ დღეს ისინი ვერ შეხვდნენ ბაბალაშვილსა და ანდიაშვილს. ეს უკანასკნელნი 5 სექტემბერს აღმოჩნდნენ სოფ. ულიანოვკაში. ინაძეს სურდა ჯერ მოენახულებინა თავისი დიდი ხნის მონატრებული ოჯახი, ხოლო შემდეგ ჩაბარებოდა ხელისუფლებას, ვინაიდან შიშობდა, რომ დახვრეტდნენ და ცოლ-შვილის ხილვას ვერ მოესწრებოდა. სწორედ ამ მიზნით გაემართა სოფ. წითელსოფლისკენ. რაც შეეხება შ. ბაბალაშვილს, ის მიწაზე მშვიდობიანად დაეშვა, დაათვალიერა გარემო და მიხვდა, რომ იმყოფებოდა პატარა მთაზე. ქვევით მოჩანდა გზა, მის ბოლოში კი სოფელი. პარაშუტი და აღჭურვილობა იქვე დამალა, თვითონ კი გათენებას დაელოდა, რათა ხელისუფლების ორგანოებში გამოცხადებულიყო.

დ. მანჭარაულმა, ინაძემ, ბერძენიშვილმა და ანდიაშვილმა სწრაფად მოძებნეს ერთმანეთი და მოგროვდნენ ტყის განაპირას, სოფლიდან ერთი კმ-ის დაშორებით. ანდიაშვილი მალე გაემართა ბარგის მოსაძებნად. დილის 8 საათისთვის დესანტი გადაანყდა ადგილობრივ მოსახლეს – მოხუც კაცს, რომელმაც აუწყა, რომ ხელისუფლება პარაშუტისტებს ინტენსიურად ეძებდა. ჯგუფის წევრებმა არ დაუცადეს ანდიაშვილის მოსვლას და ტყეში გაუჩინარდნენ. ისინი 5 დღის მანძილზე იმალებოდნენ.

ზემოაღნიშნული ჯგუფის დაპატიმრება ჩეკისტებისათვის პრობლემას აღარ წარმოადგენდა. 1942 წლის 1-6 სექტემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ადგილობრივ ორგანოებს საკუთარი ნებით ჩაბარდნენ შ. ბაბალაშვილი, გ. ინაძე, დ. მანჭარაული და შ. ანდიაშვილი. 6 და 7 სექტემბერს დაკავებულ იქნენ თ. ბერძენიშვილი და ფ. ელაშვილი. ჯგუფის დაშვებისას დაიკარგა „ვერა-3"-ის შიფრი, კოდი და რადიოკავშირისათვის საჭირო მონაცემები, რის გამოც ამ რადიოსადგურის გამოყენება ოპერატიულ თამაშში ვერ მოხერხდა. ვინაიდან, მიღებული სადაზვერვო მონაცემების თანახმად, „ცეპელინის" გეგმა წარმატებით ხორციელდებოდა, გადაწყდა „ვერა-3"-ის გამოყენება „ვერა-1" ჯგუფის რადიოსადგურის მეშვეობით და იმავე „მეკავშირის" მონაწილეობით.

გამოძიება ზემოაღნიშნულ პირთა მიმართ დიდხანს გაგრძელდა. ის 1943 წლის 14 სექტემბერს დროებით შეწყდა ოპერატული მოსაზრებებიდან გამომდინარე, ხოლო კვლავ განახლდა იმავე წლის 2 ნოემბერს. საბოლოოდ ამ ჯგუფის წევრების ბრალეულობის საკითხი განიხილა ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალმა სასამართლო სხდომაზე 1944 წლის 26 ივნისს. მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებულები საკუთარი სურვილით ჩაბარდნენ ადგილობრივ ხელისუფლებას, მათ მიმართ ძირითად ბრალდებად (ბერძენიშვილის გარდა) დარჩა ჯგუფის წევრების ქცევა ტყვეთა ბანაკში. მაგალითად, ისინი თითქოსდა უარყ-

ოფითად იყვნენ განწყობილნი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, ზეიმობდნენ 26 მაისს და სხვა. აღსანიშნავია, რომ შიო ბაბალაშვილს, რომელსაც დამთავრებული ჰქონდა თბილისის კონსერვატორია, ბანაკში ყოფნისას გრ. ორბელიანის ლექსზე დაუწერია სიმღერა „თამარის დროშა“, რომელსაც მარშირებისას ასრულებდნენ ქართველი ლეგიონერები. შ. ბაბალაშვილს ქართველ ტყვეთაგან ასევე ჩამოუყალიბებია ქართული ხალხური სიმღერების შემსრულებელთა ჯგუფი. ეს ყოველივე გამოძიებამ შ. ბაბალაშვილს დანაშაულად ჩაუთვალა.

ბაბალაშვილი, ელაშვილი, ინაძე, მანჭარაული და ანდიაშვილი დამნაშავედ იქნენ ცნობილნი საქართველოს სსრ სსკ-ის 58-1-ბ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და მათ მიესაჯათ სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა ქონების კონფისკაციით. რაც შეეხება ბერძენიშვილს, სასამართლომ გაითვალისწინა მისი დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლების მიმართ და ის, თუ როგორ იქცეოდა აუშვიცის ბანაკში და სასჯელის ზომად განუსაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, ქონების კონფისკაციით, საპატიმრო ვადის შრომა-გასწორების ბანაკში მოხდით. განაჩენი ბაბალაშვილის, ელაშვილის, ინაძის, მანჭარაულის და ანდიაშვილის მიმართ სისრულეში იქნა მოყვანილი 1944 წლის 3 ივნისს.

დ. მანჭარაულის ძმისშვილის, ახმეტის რაიონის სოფელ ალვანში მცხოვრები ლევან მანჭარაულის ოჯახში ინახება 1957 წლის 21 მარტით დათარიღებული წერილი. წერილი განკუთვნილია დ. მანჭარაულის მშობლებისთვის და დანერილია ვინმე „კეთილისმსურველი მიტოს მეგობრის მიერ“. წერილში სიტყვასიტყვით მითითებულია შემდეგი:

„ძვირფას მეგობრის მშობლებს!

ძვირფასო მშობლებო! ჩემი სიხარული დაუშრობელია თქვენი ბარათის მიღების შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ მრავალმა წლებმა განვლო ჩემი და თქვენი შვილის მიტოს დაშორების შემდეგ, ერთი წუთითაც არ დამვიწყებია ჩემი ვალი გადმომეცა თქვენთვის თქვენი შვილის ჯანმრთელობის ამბავი. დამერწმუნეთ, რომ ამ მხრივ დამნაშავეა შექმნილი მდგომარეობა ჩემს გარშემო. დამერწმუნეთ, რომ პირადი საუბარი მეტ ინტერესს გამოიწვევდა თქვენთვის, მაგრამ არაუშავს, მდგომარეობა ქმნის ყოველივეს. რამდენადაც საშუალება მაქვს წერილობით გადმოგცემთ ჭეშმარიტ სინამდვილეს თქვენი შვილის ირგვლივ. მიტოს შევხვდი 1941 წლის აგვისტო-სექტემბერში. ჩვენმა მეგობრობამ გასტანა 1943 წლის ნოემბრამდე. დავშორდით ქ. ვარშავაში ყოველმხრივ ჯანმრთელ, ნორმალურ მდგომარეობაში, მისი განასახიერება ჩემში წაუშლელია. 1947 წლის იანვარში ვხვდები (როდესაც მე უკვე პატიმარი ვიყავი) ერთ-ერთ მის კარგ ამხანაგს, რომელიც ჯერ კიდევ მიტომ გამაცნო სამხედრო ტყვეობაში ყოფნის დროს (ჩრდილო კავკასიელ ოსს) – დუდაევი. საუბრის დროს მომიყვა ყოველივე დანერილებით მიტოს ირგვლივ, რომ ისინი დაშორდნენ ერთმანეთს 1945-46 წლის დასაწყისში გერმანიის ერთ-ერთ ქალაქ მიუნხენში. დასტოვა ყოველმხრივ ჯანმრთელ და კარგ მდგომარეობაში. მრავალჯერ იგონებდა და შენატროდა მიტოს მდგომარეობას... პატივცემულო მშობლებო, ვიმედოვნებ ჩემი მოკლე ბარათი თქვენი შვილის მიტოს ირგვლივ ვერ დააკმაყოფილებს სრულად თქვენს სურვილებს, მაგრამ დამერწმუნეთ რომ როდესაც კი მომეცემა საშუალება თქვენი შეხვედრისა უფრო დანერილებით დაგმოგცემთ ყველა ნერილმანს. ჩვენი ყოფილი ცხოვრების ირგვლივ მაშინ ნათლად

დარწმუნდებით რომ თქვენი შვილი ცოცხალია და კარგად არის. იყავით კარგად და ჯანმრთელად. ვიმედოვნებ არ გამკიცხავთ რომ ძალიან მოკლედ გწერთ.

თქვენი კეთილის მსურველი მიტოს მეგობარი

21.03.57.

პასუხს, წერილის მიღებისას, თუ არ დაიზარებთ კარგია".

იმ პერიოდში, რომელზეც „კეთილისმსურველი" მიუთითებს, დ. მანჭარაული და სხვა „დივერსანტ-პარაშუტისტები" უკვე დიდი ხნის დახვრეტილები იყვნენ და მისი ნახვა, მით უმეტეს საზღვარგარეთ, არავის შეეძლო. ძნელია იმის მტკიცება, თუ რა მიზანს ისახავდა ზემოაღნიშნული წერილის ავტორი (თუკი ის კერძო პირი იყო) და რისთვის დასჭირდა მას ოჯახისათვის ცრუ ინფორმაციის მიწოდება. არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ ადგილი ჰქონდა საბჭოთა სპეცსამსახურების ოპერატიულ ჩანაფიქრს, რომელიც ერთჯერადი ეფექტის მიღწევაზე იყო გათვლილი.

ოპერაციის დაწყების პირველი დღეებიდანვე „ვერა-1"-ისა და „ვერა-3"-ის ჯგუფების ხელმძღვანელების მეშვეობით გერმანიის სადაზვერვო ცენტრი ღებულობდა ცნობებს ამ ჯგუფების „წარმატებული" საქმიანობის, ამბოხების მონყობის პერსპექტივებისა და მათ მიერ საგადმომბირებლო საქმიანობის შესახებ. გერმანელებს სისტემატურად მიეწოდებოდათ დეზინფორმაციული ხასიათის სამხედრო-პოლიტიკური ინფორმაცია, რომელსაც უშუალოდ ამუშავებდნენ გერმანული სადაზვერვო ორგანოს „ცეპელინის" შტაბის უფროსი მაიორი რერიხი და პროგრამის ხელმძღვანელი ობერშტურმფიურერი ჰუნი.

1944 წლის 12 მაისს, ღამით, გერმანელებმა მორიგი 4 კაციანი სადაზვერვო-დივერსიული ჯგუფი გადმოსხეს. ამ ჯგუფის ამოცანა ადგილობრივ მოსახლეობას შორის ფარული თანამშრომლობისთვის სათანადო პიროვნებების შერჩევა და „ვერა-1"-ის ჯგუფის წევრების იმედიანობაში დარწმუნება იყო. ზემოაღნიშნული ჯგუფის წევრებმა დაპატიმრებისას განაცხადეს, იმის გამო, რომ ფრონტის ხაზი დიდი მანძილით იყო დაშორებული კავკასიიდან, ქართული პოლიტიკური, ანტისაბჭოთა ემიგრაციის წარმომადგენელთა უმეტესობა მიიჩნევდა, რომ დივერსიული ჯგუფების შემდგომი გაგზავნა საქართველოში უპერსპექტივო და არაეფექტური იყო და ისინი დასაღუპად იყვნენ განწირულნი.

რადიოთამაში გაგრძელდა 1944 წლის ივნისამდე. მისი განხორციელების პირველ პერიოდში სულ გამოვლენილ და გაუვნებელყოფილ იქნა 5 დივერსიული ჯგუფი („ვერა-1" – „ვერა-5", შესაბამისად, გადმოსროლილნი ამბროლაურის, ჭიათურის, დუშეთის, ბორჩალოს და ხარაგაულის რაიონებში) 26 კაცის შემადგენლობით. მათ ჩამოერთვათ: 1 080 800 საბჭოთა მანეთი, სამი რადიოსადგური, 20 პისტოლეტი, 12 ავტომატი, 4 პოლონური შაშხანა, 5 კარაბინი, 30 ხელყუმბარა, 3 000 ცალი ტყვია, აგრეთვე სხვადასხვა ფიქტიური დოკუმენტის დიდი რაოდენობა, აღჭურვილობა და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთი.

ჩვენ მიერ მოკვლეული მასალების თანახმად, ოპერაცია „განადგურება" ამით არ დასრულებულა და მას ჰქონდა გაგრძელება მთელი 1944 წლის ზაფხულის პერიოდში. გერმანელებმა ამ ოპერაციას კოდური დასახელება „გიორგი" მიანიჭეს.

სადაზვერვო-დივერსიული ღონისძიება „გიორგი-1" დაიგეგმა ზანდბერგის ბანაკში. ზანდბერგში ხდებოდა დივერსანტ-პარაშუტისტთა შერჩევა, ხოლო შერჩეული კონტინგენტი სწავლებასა და მომზადებას გადიოდნენ კრუნზრუხში

(კავკასიელებისათვის), ბრიუკენდორფსა (რუსებისათვის) და ტეიხვალდში (შუა აზიელებისათვის).

1944 წლის ზაფხულის ერთ ცხელ დღეს ზანდბერგის სპეცსკოლაში გერმანელთა და ქართველი ემიგრანტების მონაწილეობით გამართულ შეხვედრაზე გადაწყდა სადაზვერვო ოპერაციის (კოდური დასახელებით – „გიორგი-1"-ის) დაწყება.

ჯგუფი 5 კაცის შემადგენლობით უნდა გადაესროლათ საქართველოში, კერძოდ, ქვემო ქართლში, კონკრეტულად კი – ბოლნისის რაიონში.

ჯგუფში ირიცხებოდნენ:

1. იანქოშვილი ამირანი, ჯგუფის რადისტი, დაბ. 1923 წელს ქუთაისში კოლმეურნის ოჯახში. 1941 წელს გაწვეულ იქნა წითელი არმიის რიგებში. ტყვედ ჩავარდა ქერჩში, ჯგუფის რადისტი.

2. ბრეგვაძე ბახჩო, დაბ. 1910 წელს. მამა ემიგრირებულ იყო საფრანგეთში 1927 წელს, სადაც 1939 წელს გარდაიცვალა. საბჭოთა არმიის რიგებში გაწვევამდე ბრეგვაძე მუშაობდა მძღოლად ზესტაფონში. საქართველოში ჰყავდა 2 მცირეწლოვანი შვილი. ოჯახისათვის ის ითვლებოდა უგზო-უკვლოდ დაკარგულად.

3. ჯაფარიძე ანდრო, დაბ. 1915 წელს მუშის ოჯახში, საბჭოთა არმიის ყოფილი ოფიცერი (ბატალიონის მეთაური), მძიმედ დაიჭრა კიევის მახლობლად და მოთავსებულ იქნა ჰოსპიტალში. საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოებული იყო წითელი დროშის ორდენით.

ზემოაღნიშნული ჯგუფის წევრები იყვნენ აგრეთვე ქართველი ემიგრანტები ყუფარაძე და სულავა.

ჯგუფის უმთავრესი ამოცანა იყო თითქოსდა საქართველოში არსებულ იატაკქვეშა არალეგალურ ორგანიზაციასთან დაკავშირება და საბჭოთა ზურგში ამბოხების ორგანიზებისათვის ხელშეწყობა, აგრეთვე სადაზვერვო ხასიათის სამხედრო-სტრატეგიული ინფორმაციის მოპოვება. გადაწყვეტილების მიღების დღესვე ზემოაღნიშნული 5-კაციანი ჯგუფი შესაბამისი ეკიპირებითა და აღჭურვილობით გამოცხადდა რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტიდან 100 კილომეტრით დაშორებული ქალაქის რაშო-რიდე-ვიდე-ს აეროდრომზე. ბერლინის დროით 23:00 სთ-ზე თვითმფრინავი „Ю-192" პარაშუტისტებთან ერთად ცაში აფრინდა და თურქეთისაკენ გაემართა. სულ მალე ქართველი პარაშუტისტები უკვე ბოლნისის რაიონის ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ. „ცეპელინის" ცენტრალურმა რადიოსადგურმა, რომელიც ქ. გალცში იყო განთავსებული, პირველი რადიოგრამა მიიღო, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ ოპერაცია „გიორგი-1" დაიწყო. რამდენიმე საათში ჯგუფის წევრებმა მოძებნეს სპეცსამსახურების მიერ ინსპირირებული „იატაკქვეშეთის" ერთ-ერთი წევრი – მასწავლებელი სოსო იფანიძე და დაიწყო ჩეკისტების მორიგი ოპერატიული თამაში „ცეპელინთან".

ზემოაღნიშნულ ტყვეთა ბანაკში, საბჭოთა დაზვერვის ეგიდით, მოქმედებდა იატაკქვეშა ანტიფაშისტური ჯგუფი წითელი არმიის ყოფილი კაპიტნის ევსტეგნეევის მეთაურობით. ეს უკანასკნელი მსახურობდა ბანაკის ადმინისტრაციაში და კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა გერმანელთა შორის. სწორედ მან შეარჩია და რადისტთა კურსებისათვის რეკომენდაცია გაუწია 5 პიროვნებას, მათ შორის ანდრო ჯაფარიძეს, რომელსაც კატეგორიულად არ უნდოდა გერმანელთა სამსახურში ჩადგომა, თუმცა ევსტიგნეევმა დაარწმუნა, რომ მხოლოდ ამ გზით იყო

შესაძლებელი ტყვეობიდან თავის დაღწევა და სამშობლოში დაბრუნება. მართლაც, უკვე სამშობლოში მყოფმა ა. ჯაფარიძემ ქმედითი მონაწილეობა მიიღო ოპერაცია „განადგურების“ რეალიზაციაში. „ცეპელინი“ კი მორიგ დეზინფორმაციებს იღებდა ყუფარაძის ჯგუფისაგან, რომელიც თითქოსდა წარმატებით მოქმედებდა საბჭოთა საქართველოში. აქედან გამომდინარე, გადაწყდა საქართველოში მორიგი ჯგუფის, „გიორგი–2“-ის გაგზავნა.

ჯგუფი შედგებოდა 7 პარაშუტისტისაგან. მათგან 4 ზემოაღნიშნული ანტიფაშისტური იატაკქვეშა ორგანიზაციის წევრი იყო. მოხვდნენ რა ისინი სამშობლოში, სასწრაფოდ გამოცხადნენ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში და მას მნიშვნელოვანი ოპერატიული ინფორმაცია მიაწოდეს.

აღნიშნული პერიოდისათვის ყუფარაძე, სულავა და ჯაფარიძე კვლავ კაზრეთის მახლობლად მდებარე გამოქვაბულში ცხოვრობდნენ და უცდიდნენ მორიგი ჯგუფის, „გიორგი-3“-ის გამოჩენას. ჩეკისტები ვარაუდობდნენ, რომ „ცეპელინი“ შეეცდებოდა ინფორმაციის გადამოწმებას და ახალი შიფრის დანერგვას, რისთვისაც საქართველოში მიავლენდა მათთვის სანდო პირს. ვარაუდი გამართლდა. „გიორგი-3“-ს, რომელიც სწრაფადვე იქნა გადმოსროლილი, ხელმძღვანელობდა ემიგრანტი ფანცულაია. ეს უკანასკნელი, დარწმუნდა რა ოპერაციის წარმატებით მიმდინარეობაში, აღნიშნულის თაობაზე უპატაკა „ცენტრს“. მომდევნო ჯგუფმა („გიორგი-4“) „გიორგი-1“-ს იარაღის, ფულის, რაციისა და ელექტროკვებისწყაროს გარდა, ჩამოუტანა წერილი დრესლერისაგან, რომელიც დადებითად აფასებდა „დივერსანტების“ მუშაობას და მადლობას უხდიდა გაწეული საქმიანობისათვის.

ოპერაციამ „გიორგი – 1, 2, 3, 4“-მა სულ სამ თვეს გასტანა. ამ ხნის მანძილზე გერმანელებმა 30-მდე პარაშუტისტი გადმოისროლეს, შემოაგზავნეს 3 მილიონი მანეთი, იარაღისა და საბრძოლო მასალის დიდი რაოდენობა. „წარმატებული საქმიანობისათვის“ ყუფარაძე და ჯაფარიძე დაჯილდოვდნენ რკინის ჯვრის მეორე ხარისხის ორდენით.

ამით დასრულდა „ცეპელინის“ საქმიანობის ბოლო ეტაპი საქართველოში.

რადიოთამაშის დასრულების შემდეგ, 1944 წლის 28 ივლისს ხოჯავა, სტეპანოვი, დარახველიძე, ბახსოლიანი, ობოლაძე და ჩხიკვაძე პატიმრობიდან განთავისუფლებულ იქნენ. დავალების კეთილსინდისიერად და წარმატებით შესრულებისათვის ხოჯავა, სტეპანოვი და დარახველიძე დააჯილდოვეს „წითელი ვარსკვლავის“ ორდენით. მოგვიანებით სტეპანოვი, დარახველიძე და ბახსოლიანი აღდგენილ იქნენ სკკპ და ალკკ რიგებში, მათვე დაუბრუნდათ სამხედრო წოდება. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ „ვერა-1“ ჯგუფის წევრები გერმანულმა მხარემ „გამოჩენილი მამაცობისთვის“ დააჯილდოვა მედლით „მამაცობისთვის“.

საბჭოთა არმიის მიერ წარმატებით განხორციელებული ოპერაციების შედეგად ფრონტის ხაზმა შორს, დასავლეთისკენ, გადაიწია. დრეზდენში გადაინაცვლა გერმანიის სადაზვერვო ცენტრმაც. მაშინდელი ტექნიკური საშუალებები არ იძლეოდა შორ მანძილზე რადიოკავშირის დამყარების საშუალებას და „დივერსანტ-პარაშუტისტთა“ კავშირი „ცეპელინთან“ გაწყდა. ამით დასრულდა კავკასიაში საბჭოთა კონტრდაზვერვის ერთ-ერთი საინტერესო ოპერაცია მეორე მსოფლიო ომის ისტორიაში. მსგავსი რადიოთამაშები წარმატებით განხორციელდა საბჭოთა კავშირის სხვა რეგიონებშიც ფრონტის სხვადასხვა მიმართულებით.[30]

1941 წლის 16 ივნისს, ლ. ბერიას პირადი განკარგულებით სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში შეიქმნა სპეციალური სადაზვერვო-დივერსიული ქვედანაყოფი – განსაკუთრებული ჯგუფი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა უშიშროების მაიორი პავლე სუდოპლატოვი. მისი დანიშნულება გერმანელთა მხრიდან შესაძლო პროვოკაციების არდაშვება იყო.

მეორე დღეს, ანუ 17 ივნისს, საგარეო დაზვერვის ხელმძღვანელმა პ. ფიტინმა მოახსენა ი. სტალინს იმის თაობაზე, რომ სსრ კავშირზე შეიარაღებული თავდასხმისათვის ყველა სამხედრო ღონისძიება გერმანელებს უკვე დასრულებული ჰქონდათ და შეტევა მოსალოდნელი იყო ნებისმიერ დროს. დაზვერვამ ასევე დაადგინა თავდასხმის ზუსტი პერიოდი – 1941 წლის 22 ივნისი.

1941 წლის 5 ივლისს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში შეიქმნა განსაკუთრებულ დავალებათა განყოფილება, რომელსაც ასევე სათავეში ჩაუდგა პ. სუდოპლატოვი. განყოფილების დანიშნულება იყო სადაზვერვო-დივერსიული საქმიანობის ორგანიზება მტრის ზურგში. მტრის მიერ მოსკოვის დაპყრობის შემთხვევაში განყოფილებას უნდა შეემუშავებინა და განეხორციელებინა ჰიტლერული ხელმძღვანელობის ლიკვიდაცია. ამ დანაყოფის ძირითადი ბირთვი შედგებოდა საგარეო დაზვერვის გამოცდილი მუშაკებისაგან.

1941 წლის 3 ოქტომბერს განყოფილება გადაკეთდა „შინსახკომის“ მე-2 განყოფილებად, ხოლო 1942 წლის 18 იანვრიდან მას ეწოდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მე-4 სამმართველო. სამმართველოს სათავეში ჩაუდგა უკვე უფროსი მაიორი პ. სუდოპლატოვი, რომელიც ამავდროულად იყო საგარეო დაზვერვის უფროსის მოადგილე. პ. სუდოპლატოვის მოადგილეები გახდნენ უშიშროების უფროსი მაიორი ნ. მელნიკოვი და ლ. ბერიას ფავორიტი ვ. ა. კაკუჩაია. ეს უკანასკნელი 1942 წლის აგვისტოში შეცვალა ნაუმ ეიტინგონმა.[5] მე-4 სამმართველოს მთავარი დანიშნულება სადაზვერვო-დივერსიული ჯგუფების (რაზმების) მომზადება და მტრის ზურგში შეგზავნა იყო. მე-4 სამმართველოს ანალოგიური მე-4 განყოფილებები შეიქმნა ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატებში, მათ შორის საქართველოს შინსახკომში.

1942 წლის დეკემბრამდე, ვიდრე კავკასიის მისადგომებთან ქართული ეროვნული ლეგიონი იდგა, ტყვედ ჩავარდნილი ანდა საბჭოთა არმიის მხარეს გადმოსული ქართველების მეშვეობით საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს მუდმივად ჰქონდა ინფორმაცია ქართულ ეროვნულ ფორმირებებში მიმდინარე პროცესებსა და მათში ქართველი ემიგრანტების მონაწილეობაზე. მას შემდეგ, რაც ზემოაღნიშნული სამხედრო შენაერთი პერედისლოცირებულ იქნა პოლონეთში, ოპერატიულმა ინფორმაციამ იკლო. ამას დაემატა ისიც, რომ გარკვეული პერიოდი შეწყდა საქართველოს ტერიტორიაზე პარაშუტისტთა და ემისართა შეგზავნა, რაც იმის მიმანიშნებელი იყო, რომ გერმანიის მთავარსარდლობა კავკასიაში ახალი სადაზვერვო ღონისძიებების გასატარებლად ემზადებოდა. აქედან გამომდინარე, საჭირო იყო კონტრზომების მიღება, უფრო სწორად, გერმანიის დაზვერვის ზრახვებზე წინმსწრები ინფორმაციის მოპოვება. შესაბამისად, საბჭოთა დაზვერვის წინაშე მთელი სიცხადით დაისვა გერმანიაში არსებულ ქართულ

ანტისაბჭოთა ემიგრანტულ ორგანიზაციებში შეღწევა და კავკასიასთან (საქართველოსთან) დაკავშირებით გერმანიის დაზვერვის მიზნების გამოაშკარავება და შესაბამისი კონტრღონისძიებების შემუშავება. იმ ეტაპზე ამ ამოცანის გადაჭრა შესაძლებელი იყო კარგად მომზადებული და შესაბამისი უნარ-ჩვევებით აღჭურვილი საბჭოთა საქართველოს პატრიოტი და უშიშარი პიროვნების მეშვეობით, რომელიც მოსალოდნელ პრობლემებსა და ურთულეს ფათერაკებს არ შეუშინდებოდა და მოახერხებდა ანტისაბჭოთა ქართულ ემიგრაციაში შეღწევას.

ამ მიზნით, საქართველოს შინსახკომის მე-4 განყოფილების მიერ შერჩეულ იქნა პიროვნება, რომელიც აკმაყოფილებდა მზვერავის მიერ წამოყენებულ მოთხოვნებს და რომლისთვისაც ლეგალიზება საზღვარგარეთ ქართველ ემიგრანტებს შორის განსაკუთრებულ სირთულეს არ წარმოადგენდა. სპეცსამსახურებმა ზემოაღნიშნულ პიროვნებას ოპერატიულ ფსევდონიმად „შახოვსკი“* შეურჩია.[265]

ოპერატიული ჩანაფიქრი ასეთი იყო: საქართველოში, თითქოსდა, არსებობდნენ საკმაოდ კარგად ორგანიზებული იატაკქვეშა ანტისაბჭოთა ორგანიზაციები, რომლებიც საზღვარგარეთიდან მიღებული ინსტრუქციებით, იარაღით, ფულითა და ცოცხალი ძალით დახმარების შემთხვევაში შეძლებდნენ ანტისაბჭოთა საქმიანობის გააქტიურებას და საბჭოთა ზურგში ამბოხების მოწყობას. სწორედ „შახოვსკი“ უნდა ყოფილიყო შუამავალი საქართველოს იატაკქვეშა ორგანიზაციებსა და ქართულ ანტისაბჭოთა ემიგრაციას შორის.

ერთ-ერთი მიზეზთაგანი, რამაც საბჭოთა დაზვერვის ინტერესებისათვის „შახოვსკის“ შერჩევა განაპირობა, იყო ის, რომ მას ნიუ-იორკში ჰყავდა შეძლებული ახლობელი მიტო ჯორჯაძე. მისი ახლო ნათესავი იყო მანია მაჩაბელიც, რომლის მეუღლეც გახლდათ იტალიელი დიპლომატი ფრანზონი.

„შახოვსკის“ ინდივიდუალური სწავლება და მომზადება დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობდა. დამუშავდა ანტისაბჭოთა ქართულ ემიგრაციაში შეღწევის რამდენიმე ვარიანტი. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა საზღვარგარეთ „შახოვსკის“ არალეგალური გადასვლის მოტივაციასა და სამომავლო გეგმებზე. დამუშავდა ის ინფორმაცია, რომელიც ქართველ მზვერავს გერმანელებისათვის უნდა მიეწოდებინა (მოთხოვნის შემთხვევაში), განხილულ იქნა სავარაუდო კომბინაციები, რასაც გერმანელები მიმართავდნენ „შახოვსკის“ შესამოწმებლად. მთელ ამ პროცესში ერთ-ერთი ყველაზე მთავარი საკითხი მაინც იყო „ცენტრთან“ ოპერატიული კავშირის დამყარება და მოპოვებული ინფორმაციის გადმოცემა. ამ მიზნით, „შახოვსკი“ შესაბამის ნაბიჯებს გადადგამდა უკვე ბერლინში ყოფნისას. 1943 წლის ზაფხულისათვის „შახოვსკი“ უკვე მზად იყო მის წინაშე მდგარი ურთულესი ამოცანის გადასაწყვეტად. მისი გადაყვანა უნდა მომხდარიყო არალეგალურად, საომარი ფრონტის სიახლოვეს.

1943 წლის 9 აგვისტოს, დაახლოებით 18.00 საათზე, „შახოვსკიმ“ გადაკვეთა საბჭოთა არმიის 690-ე პოლკის თავდაცვის ხაზი, რომელიც გადიოდა მდინარე მიუსის შორიახლოს და მალულად გერმანელთა მხარეს გაემართა. ხანგრძლივი

*. ჯორჯაძე პავლე ვასილის ძე, დაბადებული 1913 წელს, მეფის რუსეთის არმიის პოლკოვნიკის ოჯახიდან, უმაღლესი განათლებით, სპეციალობით ინჟინერი, უპარტიო, 1935 წელს დაპატიმრებულ იქნა „ნაციონალ-სოციალისტების“ ახალგაზრდულ ორგანიზაციაში მონაწილეობისათვის და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, გადასახლებიდან დაბრუნებული გადმობირებულ იქნა 1939 წელს.[51]

ორმხრივი სროლების პირობებში „შახოვსკიმ", როგორც იქნა, მიაღწია მოწინააღმდეგის პოზიციებამდე და დილის 4 საათისათვის, როგორც „პერებეჟჩიკი", გერმანელებს ჩაბარდა. შტაბში ის არაერთგზის დაიკითხა. მოგვიანებით „შახოვსკი" გადაიყვანეს ქალაქ ახალ დონბასში განთავსებულ ტყვეთა ბანაკში, სადაც 5 დღის განმავლობაში გერმანელების მხრიდან ინტენსიურად მოწმდებოდა. მეხუთე დღეს „შახოვსკი" ჯერ გადაიყვანეს ქ. ჩისტიაკოვოში, სადაც რამდენიმე დღე „გესტაპოში" გაატარა, ხოლო შემდეგ ქ. სტალინოში საარმიო კორპუსის შტაბში გაამგზავრეს. რამდენიმედღიანი დაკითხვის შემდეგ „შახოვსკი" მოათავსეს ტყვეთა სპეცბანაკში. აქ მან გაიცნო პირველი ქართველი – ლეიტენანტი იოსებ კვერცხიშვილი, რომელიც ადრე მუშაობდა ნაფარეულის მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობაში და კარგად იცნობდა „შახოვსკის" სიძეს – მეურნეობის დირექტორს.

სტალინოს ტყვეთა ბანაკში „შახოვსკი" ინახულა „საქენერგოდან" მისმა ყოფილმა თანამშრომელმა 1930-1931 წლებში ნიკოლოზ დადეშქელიანმა, რომელიც იმ პერიოდში გერმანელებთან აქტიურად თანამშრომლობდა. ნ. დადეშქელიანს, როგორც ჩანს, ეჭვი შეეპარა ლეგენდაში, რომლის მიხედვითაც მოქმედებდა „შახოვსკი" და ფარულად დაიწყო მისი შემოწმება.

1943 წლის 1 ნოემბრისათვის „შახოვსკი" გადაიყვანეს გერმანიაში, ლამსდორფის ტყვეთა გამანაწილებელ ბანაკში. იქ „შახოვსკი" არაერთგზის დაკითხა „გესტაპომ", რომელიც ძირითადად ინტერესდებოდა ახალი ევროპისა და ებრაელების მიმართ მისი დამოკიდებულებით. „შახოვსკი" შეეცადა მაქსიმალურად დადებითად წარმოეჩინა საკუთარი თავი, რისი შედეგიც ნაწილობრივ იყო ის, რომ სხვეებთან ერთად ჩარიცხეს „სს"-ის განსაკუთრებულ ჯგუფში, რომელიც დაკომპლექტებული იყო სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისგან, რომელთაც სსრ კავშირში საქმიანობის გამოცდილება გააჩნდათ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „აბვერის" ხელმძღვანელი ვალტერ ვილჰელმ კანარისი ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა გერმანელების ინტერესთა სფეროში მოქცეული ამა თუ იმ ქვეყნის თუ რეგიონის ეკონომიკური ხასიათის ინფორმაციის მოპოვებას. ეს პროცესი განსაკუთრებულად გააქტიურეს გერმანელებმა სსრ კავშირის წინააღმდეგ ომის დაწყების წინა პერიოდში. მიუხედავად იმისა, რომ დეტალურად შეისწავლებოდა აღმოსავლეთიდან მოწოდებული ინფორმაციები და მიმდინარეობდა სკრუპულოზური გამოკითხვები იმ პირებისა, ვისაც რაიმე შეხება ჰქონდა სსრ კავშირთან, სრულყოფილი ინფორმაცია საბჭოთა ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალზე გერმანიის დაზვერვას მაინც არ გააჩნდა. ამიტომ იყო, რომ სსრ კავშირზე გერმანიის თავდასხმისთანავე, კანარისის ბრძანებით, შეიქმნა სპეციალური სადაზვერვო ჯგუფები (ზოგჯერ მას განსაკუთრებულ ჯგუფადაც მოიხსენიებდნენ), რომლებიც წითელი არმიის ტყვე-ჯარისკაცებისა და ოფიცრებისაგან ცდილობდნენ სსრ კავშირის ეკონომიკური პოტენციალის თაობაზე ინფორმაციის მოპოვებას. ამ გზით იქნა დადგენილი მრავალი სასიცოცხლო მნიშვნელობისა და სამხედრო დანიშნულების ობიექტი და მათი ადგილმდებარეობა. სწორედ ერთ-ერთ ასეთ ჯგუფში მოხვდა „შახოვსკიც".

განსაკუთრებული ჯგუფის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის სამრეწველო-ეკონომიკური პოტენციალის კვლევა და ანალიტიკური ხასიათის მასალების მომზადება. ჯგუფი შედგებოდა სხვადასხვა განყოფილებისა-

გან. პირველს ეწოდებოდა გამსვლელი განყოფილება. ამ განყოფილების მუშაკები პერიოდულად სტუმრობდნენ ტყვეთა ბანაკებს, ხვდებოდნენ და ესაუბრებოდნენ იმ პირებს, რომლებიც ადრე მუშაობდნენ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ორგანიზაციასა და წარმოება-დაწესებულებაში და ღებულობდნენ მათგან ინფორმაციას სსრ კავშირის ეკონომიკურ პოტენციალზე.

განსაკუთრებულ ჯგუფში ჩარიცხული ყოველი „ახალი მოხალისე" ვალდებული იყო წარედგინა სრული ტექნიკური ანგარიში იმ საწარმოსი, სადაც ის მუშაობდა სსრ კავშირში ცხოვრების პერიოდში. მოპოვებული ინფორმაცია თავს იყრიდა ეგრეთ წოდებულ დამუშავების განყოფილებაში, სადაც ხდებოდა მისი დამუშავება, ანალიზი და კატალოგირება.

დამუშავების განყოფილებაში შემოსული ნებისმიერი ინფორმაცია დეტალურად მოწმდებოდა სხვადასხვა წყაროს მეშვეობით, კეთდებოდა შედარებითი ანალიზი და შესაბამისი დასკვნები.

ინფორმაციის მოპოვების გარდა, განსაკუთრებული ჯგუფი ამუშავებდა ყველა სახის საბჭოთა ბეჭდვით გამოცემას, განაკუთრებით ტექნიკური ხასიათის ლიტერატურას (წიგნები, ჟურნალები, სამეცნიერო ნაშრომები და სხვ.).

ერთ-ერთ ბანაკში ორგანიზებული იყო ბიბლიოთეკა, სადაც თავმოყრილი იყო ხარკოვისა და კიევის, აგრეთვე მათი უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკები.

„შახოვსკიმ" საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატში წინასწარ შემუშავებული გეგმის თანახმად, გერმანელებს მიაწოდა „საქენერგოსთან" დაკავშირებული ინფორმაცია, რომელშიც განსაკუთრებული აქცენტი გამახვილდა მისი საქმიანობის, თითქოსდა, სუსტ მხარეებზე, კერძოდ, იმაზე, რომ საქართველოს სამრეწველო ობიექტებს არ ჰყოფნიდა ელექტროენერგია. ამ ინფორმაციამ გერმანელები განსაკუთრებით დააინტერესა.

„შახოვსკის" მიერ „საქენერგოსთან" დაკავშირებული ინფორმაცია, როგორც ჩანს, იმდენად კარგად იყო გათვლილი და შენილბული, რომ გერმანელებს მის რეალობაში ეჭვი არ შეჰპარვიათ. აქედან გამომდინარე, „შახოვსკის" მიმართ ნდობით განეწყვნენ.

განსაკუთრებულ ჯგუფს ხელმძღვანელობდა საბჭოთა არმიის ყოფილი პოლკოვნიკი, წარმოშობით ვოლგისპირელი გერმანელი ლემანი, რომელიც 1941 წელს ტყვედ ჩავარდა კიევთან. იგი სრულყოფილად ფლობდა გერმანულ ენას.

განსაკუთრებული ჯგუფის რიგითი თანამშრომლებისა და განყოფილების ხელმძღვანელების უმეტესობა ყოფილი სამხედრო მოსამსახურე იყო, გამონაკლისს წარმოადგენდნენ გერმანელი თარჯმნები და „სდ"-ის ოფიცრები, რომლებიც თან ახლდნენ გამსვლელ ჯგუფებს მივლინებებში.

ჯგუფის უზრუნველყოფა და სამეურნეო ოცეული, ხოლო ბანაკს საყარაულო ოცეული იცავდა, რომელიც ძირითადად ყოფილი საბჭოთა სამხედრო მოსამსახურეებისგან შედგებოდა. მათ ეცვათ „სს"-ის რიგითთა სამხედრო ფორმა (1944 წელს განსაკუთრებული ჯგუფის წევრებს მიენიჭათ „სს"-ის ლეიტენანტის სამხედრო წოდება) და ჰქონდათ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა; მოწმობები ინახებოდა ცენტრალიზებულად და გაიცემოდა მხოლოდ მივლინების, შვებულების ან შაბათ-კვირას ქალაქში გადაადგილებისას.

მას შემდეგ, რაც „შახოვსკიმ" ტყვეთა ბანაკში თავი საიმედოდ იგრძნო, დაიწყო

იმაზე ფიქრი, თუ ვინ გამოადგებოდა ტყვეთაგან მის წინაშე დასმული ამოცანების გადასაჭრელად. პირველი ასეთი პიროვნება, რომელსაც „თვალი დაადგა“, იყო აკაკი ბერიშვილი, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილის (1941 წ.), კონსტანტინე ბერიშვილის ძმა. ხანმოკლე დაკვირვებისა და შესწავლის შემდეგ, „შახოვსკიმ“ ა. ბერიშვილი გადმოიბირა და საკუთარი რეალური მიზნები და ამოცანები ზოგადად გაანდო. ა. ბერიშვილის მეშვეობით „შახოვსკიმ“ შეისწავლა ყოფილი წითელარმიელი ტყვე ამაიაკ გაზაროვი, რომელიც ასევე გადმოიბირა. „შახოვსკიმ“ ა. ბერიშვილსა და ა. გაზაროვს მთავარ ამოცანად დაუსახა პროსაბჭოთა განწყობის ტყვეების, ტყვეთა შორის გერმანელთა აგენტების გამოვლენა და შესწავლა, აგრეთვე ისეთი საქმიანობის წარმართვა, რომელიც ხელს შეუწყობდა ბანაკის დეგრადაციას, გახრწნას, აქედან გამომდინარე შედეგებით.

ვინაიდან „შახოვსკის“ მთავარი ამოცანა იყო საზღვარგარეთ ქართულ ანტისაბჭოთა ემიგრაციაში დამკვიდრება და ანტისაბჭოთა ორგანიზაციებისა და ცალკეული ანტისაბჭოთა განწყობის პირების მიზნებისა და ამოცანების გამოვლენა, განსაკუთრებულ ჯგუფში თავისი მისიის დასრულების შემდეგ, 1944 წლის აპრილში მან თხოვნით მიმართა ჯგუფის ხელმძღვანელს, მიეცა მისთვის ბერლინში გამგზავრების ნებართვა, რაც მიიღო კიდეც.

1944 წლის 12 აპრილს „შახოვსკი“ ბერლინში ჩავიდა და მივიდა საქართველოს ნაციონალურ კომიტეტში, რომელიც ლიუდენდორფ-შტრასის პირველ ნომერში მდებარეობდა.

კომიტეტში „შახოვსკის“ დიდი პატივით შეხვდა ცნობილი ქართველი მენშევიკის – 1937 წელს რეპრესირებული ეგნატე გაბლიანის შვილი, ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი გავლენიანი პიროვნება გივი გაბლიანი. ამ უკანასკნელს „შახოვსკი“ 1933 წელს ასწავლიდა თბილისის ინდუსტრიულ ტექნიკუმში (შემდგომში გ. გაბლიანმა დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი). გ. გაბლიანისათვის „შახოვსკიზე“ ბევრი რამ იყო ცნობილი, მათ შორის ისიც, რომ ეს უკანასკნელი 1935-1939 წლებში იმყოფებოდა პატიმრობაში.

გ. გაბლიანმა განსაკუთრებული კეთილგანწყობით წარადგინა „შახოვსკი“ იქ მყოფი ქართველი ემიგრანტების წინაშე და სთხოვა, მის მიმართ ყოფილიყვნენ მაქსიმალურად ნდობით განმსჭვალულნი. მიუხედავად დიდი მცდელობისა, იმ პერიოდში გ. გაბლიანმა ვერ მოახერხა „შახოვსკის“ ტყვეთა ბანაკიდან განთავისუფლება.

1944 წლის 10 აგვისტოს „შახოვსკი“ დაბრუნდა ბრესლაუს ბანაკში განთავისუფლების პროცედურების მოსაგვარებლად. იმავე დღეს ბრესლაუში გაემგზავრნენ ემიგრანტი ა. ცომაია და „სს“-ის ლეიტენანტი ინზერი, რომელთა მიზანიც იყო ქართველ ტყვეთა შერჩევა ზამბერგის ბანაკისათვის, სადაც ხდებოდა ნაციონალური ლეგიონებისა და სპეციალური დანიშნულების რაზმების ფორმირება. ზამბერგში აღმოჩნდა ქართველი სამხედრო ტყვე იოსებ კვერცხიშვილიც. ის შემდგომში ჩარიცხულ იქნა სპეცსკოლა „აინზად“-ში, რომლის დანიშნულება იყო საბჭოთა ზურგში სპეციალური დანიშნულების მცირე ფორმირებების შეგზავნა.

ზამბერგის სკოლა 1944 წლის ბოლოს გადატანილ იქნა ჩეხოსლოვაკიის საზღვართან, ქ. ტემპელგოფში. ზემოაღნიშნულ სკოლაში ი. კვერცხიშვილთან ერ-

თად იმყოფებოდა სსრ კავშირში ერთ დროს ცნობილი ტანმოვარჯიშე პავლე რომანიშვილი. ზამბერგის ტყვეთა ბანაკი და დესანტ-პარაშუტისტთა ჯგუფები იმთავითვე „შახოვსკის“ მხედველობის არეში მოხვდნენ, თუმცა მათი შერჩევისა და მომზადების პროცესში უშუალო მონაწილეობის საშუალება მას არ ჰქონდა. ასეთ ვითარებაში ის შეეცადა გამოეყენებინა ა. გაზაროვი, რომელიც გერმანელთა შორის ნდობით სარგებლობდა და გააჩნდა კარგი ურთიერთობები სკოლის უფროსთან, მაიორ კურეკთან.

„შახოვსკიმ“ გაზაროვს დაუსახა შემდეგი ამოცანები:

1. დაედგინა სსრკ-ის ზურგში ადრე გადასროლილი ჯგუფების შემადგენლობა, მათი გადასხმისა და მოქმედების რაიონი.

2. გაერკვია ჩამოყალიბებისა და მომზადების სტადიაში მყოფი ჯგუფების რაოდენობა და შემადგენლობა, სსრკ-ის ზურგში მათი გადასხმის სავარაუდო რაიონი.

3. პირადად ჩართულიყო რომელიმე დესანტ-პარაშუტისტთა ჯგუფში. გადასროლის შემთხვევაში, მთელი ჯგუფი უვნებლად ჩაებარებინა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისათვის, ხოლო თვითონ მისულიყო სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში „შახოვსკის“ სახელით.

1944 წლის მაისის მეორე ნახევარში გაზაროვი ბერლინიდან ბრესლაუში დაბრუნდა, სადაც მას „შახოვსკი“ ელოდებოდა. ამ უკანასკნელმა კიდევ ერთხელ დააზუსტა მისთვის მიცემული დავალების შინაარსი და მიუთითა ბერლინის მისამართი, სადაც საბჭოთა დაზვერვას შეეძლო მისი მოძებნა.

რაც შეეხება აკაკი ბერიშვილს, „შახოვსკიმ“ ვერ შეძლო მისი აქტიური გამოყენება აშკარა პროსაბჭოთა პოზიციისა და ანტიფაშისტური გამონათქვამების გამო. მართალია, ტყვეთა ბანაკის დემორალიზებისათვის ბერიშვილმა და გაზაროვმა გარკვეული სამუშაოები ჩაატარეს, თუმცა იქ, მათგან დამოუკიდებლად, მოქმედებდა სხვა იატაკქვეშა ორგანიზაცია, რომლის ორგანიზებითაც მოხდა ბანაკიდან რამდენიმე პატიმარი გაიქცა.

1944 წლის 20 მაისიდან „შახოვსკი“ საბოლოოდ განთავისუფლდა ბრესლაუს ტყვეთა ბანაკიდან და ბერლინში გაემგზავრა. ბერლინში მას, თავი რომ ერჩინა, სხვადასხვა წვრილმანი სამუშაოს შესრულება უწევდა. კვირაობით დაჰქონდა სიგარეტი და გაზეთები ბერლინის მახლობლად ტყვეთა ბანაკში ბაბიგბერგერში. ამ შესაძლებლობას „შახოვსკი“ იყენებდა „ოსტორბაიტერებს“ (აღმოსავლეთის მუშები) შორის ფარული ანტიჰიტლერული პროპაგანდისათვის.

ბერლინში „შახოვსკიმ“ გაიცნო კიდევ ერთი თანამემამულე, ვართანეზოვის ახლო მეგობარი გიორგი რაჟდენის ძე ჩხარტიშვილი, რომლის მამაც სოხუმში ცნობილი ექიმი იყო. საბჭოთა არმიაში რ. ჩხარტიშვილს საინჟინრო ნაწილის კაპიტნის სამხედრო ჩინი ჰქონდა. ის ტყვედ ჩავარდა ტალინის მახლობლად. ჩხარტიშვილი გერმანელთა სამსახურში ჩადგა და თანამემამულესთან, ექიმ ვეფხვაძესთან ერთად ითავა აუშვიცის ბანაკის კომენდანტობა. ვეფხვაძე შემდეგ იყო დესანტ-პარაშუტისტთა ერთ-ერთი ჯგუფის უფროსი.

1944 წლის ივლისში ტყვეთა ბანაკიდან განთავისუფლებულ იქნა აკაკი ბერიშვილიც. სულ მალე გაირკვა, რომ გიორგი ჩხარტიშვილს კარგი სადაზვერვო შესაძლებლობები გააჩნდა. თუმცა, პოლიტიკური ორიენტაციის თვალსაზრისით, იმდენად

პროდასავლური აღმოჩნდა, რომ მისი საბჭოთა იდეოლოგიისაკენ შემობრუნება შეუძლებელი იყო. პრობლემები შექმნა ბერიშვილმაც. მიუხედავად „შახოვსკის“ კატეგორიული მოთხოვნისა, ბერიშვილი არ იცავდა კონსპირაციის ელემენტარულ წესებს და ყველასთან ამტკიცებდა ჰიტლერის აღსასრულის მოახლოებას, ამასთან, ლანძღავდა ქართველ ემიგრანტებსა და „ნაციონალურ კომიტეტს“.

„შახოვსკის“ სხვა გზა აღარ დარჩენოდა და, ოპერატიული კავშირი ბერიშვილთან გაწყვიტა, თუმცა პროსაბჭოთა განწყობის პიროვნებების გამოსავლენად მას მაინც იყენებდა.

ბერლინში ჩასვლისთანავე „შახოვსკიმ“ მის წინაშე დასმულ მთავარ ამოცანად „ნაციონალურ შტაბში“ შეღწევა და იქ მტკიცედ დამკვიდრება დაისახა მიზნად, თუმცა შტატით გათვალისწინებული ყველა თანამდებობა დაკავებული იყო. შტაბი მიხ. კედიას ხალხით ისედაც გადატენილი იყო. გ. გაბლიანმა „შახოვსკის“ გერმანიის არმიის სამსახურში ჩადგომა, ხოლო შემდეგ გერმანიის სამხედრო სასწავლებელში ჩარიცხვა ურჩია.

მოგვიანებით „შახოვსკის“ პიროვნებით დაინტერესდა „ნაციონალური შტაბის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი გიორგი მაღალაშვილი. ამ უკანასკნელმა „შახოვსკი“ მიიწვია ბერლინის ერთ-ერთ სასტუმროში, სადაც ის და ქართველი ემიგრანტი, პოლკოვნიკი ფრიდონ წულუკიძე ცხოვრობდნენ. მათ „შახოვსკის“ შესთავაზეს ქართული „სს“-ის სამხედრო პოლკის გამნაღმველი ასეულის უფროსის თანამდებობა, რაზეც ამ უკანასკნელმა დელიკატური უარით უპასუხა.

„შახოვსკი“ დროს არ კარგავდა და სადაზვერვო ინფორმაციას აგროვებდა. მან დაადგინა, რომ „საქართველოს სამოკავშირეო შტაბის“ ყოველთვიური ბიუჯეტი შეადგენდა დაახლოებით 30 000 გერმანულ მარკას. მთლიანობაში, კავკასიის საკითხებზე იხარჯებოდა 120-150 ათასი მარკა თვეში. ამაში იგულისხმებოდა მომსახურე პერსონალის ხელფასები და საკანცელარიო ხარჯები. ამას გარდა, „ნაციონალურ კომიტეტში“ შედიოდა ფინანსური შენაწირები კერძო პირებისაგან – ემიგრანტებისაგან. ეს თანხები განკუთვნილი იყო სამხედრო ტყვეებისა და ტყვეობიდან ახლადდახსნილი პირების სოციალური პრობლემების მოგვარებისათვის, თუმცა ხშირ შემთხვევაში, შემოწირული თანხები არამიზნობრივად იხარჯებოდა და ისინი ძირითადად ხმარდებოდა კომერციულ მიზნებს, გარკვეული სახსრები კი – ბერლინში მყოფ ემიგრანტებს. სწორედ ზემოაღნიშნული დაედო საფუძვლად უთანხმოებას ძველ და ეგრეთ წოდებულ ახალ ემიგრაციას შორის. ძველი თაობის ემიგრაცია ემიგრანტთა ახალ ნაკადს ქედმაღლურად უყურებდა და ყველა თვალსაზრისით საკუთარი როლის უპირატესობის დემონსტრირებას ცდილობდა.

„შახოვსკი“ ბერლინში ყოფნისას დაუმეგობრდა გოგი დიასამიძეს, ანდრონიკაშვილს, ელიზბარ ვაჩნაძეს, გრიგოლ აბულაძეს, ლუკა მაზმიშვილს, სოსო გვარამაძეს, ვლადიმერ ცხომელიძეს, ზურაბ ციციშვილსა და გიორგი ჯაყელს.

ყველაზე მნიშვნელოვან ცნობებს „შახოვსკის“ „თეთრი გიორგის“ ერთ-ერთი დამაარსებელი გ. ჯაყელი აწვდიდა. ეს შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც „შახოვსკიმ“ ზედმიწევნით ზუსტად ითამაშა ნაციონალურ-სოციალიზმის იდეების მგზნებარე მიმდევრის როლი, რითაც ჯაყელის აბსოლუტური ნდობა დაიმსახურა.

როგორც აღინიშნა, „შახოვსკი“ ბერლინში კარგად მიიღო მიხ. კედიამ. ისინი

ერთმანეთს ხშირად არ ხვდებოდნენ, თუმცა როცა ამის საშუალება ეძლეოდათ, გულწრფელად საუბრობდნენ, განსაკუთრებით – პოლიტიკურ თემებზე.

მიხ. კედიამ „შახოვსკისთან“ ერთ-ერთ საუბარში განაცხადა, რომ ის არ იყო საქართველოს პარტიული ნიშნით დაყოფის მომხრე და არ იზიარებდა ნაციონალურ-სოციალიზმის იდეებს, როგორც საქართველოსათვის მიუღებელ იდეოლოგიას.

„შახოვსკის“ მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, 1944 წლის მარტის ბოლოს თუ აპრილის დასაწყისში საქართველოში თურქეთიდან არალეგალურად იქნა შეგზავნილი ზანდსბერგის სკოლაში მომზადებული დივერსანტ-პარაშუტისტთა ჯგუფი. მის შემადგენლობაში იყვნენ ხოშტარია, ჯაბუა, ზამბახიძე და მანველიშვილი. თურქეთის საზღვრის გადაკვეთით იგეგმებოდა საქართველოში მიხეილ ჩხატარაშვილის გაგზავნაც. ზამბერგის სკოლიდან „შახოვსკისთვის“ ცნობილი იყო გრიგოლ აბესაძე, გრიგოლ ბუაძე, გიორგი ლაცაბიძე და სხვები.

მეკავშირეთა მიერ მეორე ფრონტის გახსნის შემდეგ მიხ. კედია ხვდებოდა, რომ ნაცისტური გერმანიის დასასრული ახლოვდებოდა. მიუხედავად ამისა, ის თვლიდა, რომ ინგლის-ამერიკის ალიანსი საბჭოთა კავშირთან დროებითი მოვლენა იყო და მათი იდეური დაპირისპირება უახლოეს მომავალში გარდაუვალი იქნებოდა. აქედან გამომდინარე, მიხ. კედიას მიაჩნდა, რომ საჭირო იყო ქართული, ანტისაბჭოთა პოლიტიკური ემიგრაციისა და ანტისაბჭოთა ცალკეული ემიგრანტების გაფრთხილება, ვინაიდან ისინი დასავლეთს მომავალშიც გამოადგებოდნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლაში. ანალოგიურად ფიქრობდა ა. ცომაიაც. გერმანელთა ბოლომდე ერთგული რჩებოდა გ. მაღალაშვილი, თუმცა ვიწრო წრეში ის აცხადებდა, რომ გერმანიის დამარცხების შემთხვევაში ყველა ანტისაბჭოთა ძალა სათანამშრომლოდ ინგლისელების მხარეს გადავიდოდა და იქ გააგრძელებდა საქმიანობას.

გ. მაღალაშვილს მიაჩნდა, რომ შექმნილ ვითარებაში საჭირო იყო ანტისაბჭოთა საქმიანობის გააქტიურება, მისი უფრო მაღალ საფეხურზე აყვანა. იმ პერიოდში ამის გაკეთება შესაძლებელი იყო რომელიმე ქართული ანტისაბჭოთა პოლიტიკური გაერთიანების გააქტიურებით. ასეთად მას „თეთრი გიორგი“ მიაჩნდა, თუმცა მისი ულტრაფაშისტური იდეოლოგია სამომავლოდ აღარ გამოდგებოდა, აუცილებელი იყო ორგანიზაციის წესდების სასწრაფოდ შეცვლა და „გადემოკრატიულება“.

ნორმანდიაში მოკავშირეთა ჯარების გადასხმის შემდეგ მიხ. კედია და გ. მაღალაშვილი მაქსიმალურად ცდილობდნენ, რომ ქართული სამხედრო ფორმირებები არ ყოფილიყვნენ აქტიურად ჩართული გერმანიის სასარგებლო ბრძოლებში და ისინი ინგლის-ამერიკის სამოქმედო ტერიტორიის სიახლოვეს განეთავსებინათ.

ბერლინში გ. მაღალაშვილის ინიციატივით ჩამოყალიბება დაიწყო „სს“-ის ქართულმა დივიზიამ. თავდაპირველად ის ოფიცერთა შემადგენლობით, ხოლო შემდეგ რიგითებით დაკომპლექტდა. დივიზიის ფორმირებაში მონაწილეობდნენ ასევე ემიგრანტები წულუკიძე, ცხომელიძე და ნაკაშიძე.

თავიდანვე ცხადი იყო, რომ დივიზიის შევსება „მოხალისეებით“ შეუძლებელი იყო, ჯერ ერთი, მებრძოლთა სიმცირის გამო და მეორეც – ქართველებს არ სურდათ პრაქტიკულად წაგებული გერმანიის სასარგებლოდ სისხლისღვრა. ამიტომ გ. მაღალაშვილმა გადაწყვიტა არა დივიზიის, არამედ პოლკის ფორმირება, რისთ-

ვისაც ის ხალხის გადმოსაბირებლად სახსრებს არ იშურებდა. პოლკის ჩამოყალიბების მცდელობამ ძალზე გააღიზიანა ყოფილი სამხედრო ტყვე-ქართველები, რომლებმაც გ. მაღალაშვილს „ქართველების სისხლით მოვაჭრე“ უწოდეს. მიუხედავად ამისა, გ. მაღალაშვილმა „სს“-ის პოლკი ქართველთა მონაწილეობით მაინც შექმნა, რითაც კომიტეტში პოზიციები გაიმყარა და კიდევ უფრო აიმაღლა ავტორიტეტი გერმანელთა თვალში.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული პოლკი სრულად ვერ დაკომპლექტდა, ის გერმანელთა მიერ გაგზავნილ იქნა უნგრეთში, სადაც შეივსო დამარცხებული ქართული ლეგიონერებისა და ტყვე ქართველებისაგან.

გ. მაღალაშვილის მუდმივი აქტიურობა, გერმანელებისათვის დაემტკიცებინა ერთგულება, მტკიცების გამოხატვის თვალსაზრისით, ძალზე აღიზიანებდა მიხ. კედიას, რაც მათ შორის მუდმივი ღია თუ ფარული ქიშპობის საფუძველი იყო. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ურთიერთდაპირისპირებაში მაღალაშვილი თითქმის ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა.

1945 წლის დასაწყისში ზემოაღნიშნული პოლკი 100 კაცის შემადგენლობით გადაყვანილ იქნა ჩრდილოეთ იტალიაში და განთავსდა ალპებიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით ერთ-ერთ სოფელში, ქალაქ ნალუცადან 14 კმ-ის დაშორებით. პოლკი იქ დარჩა 1945 წლის 3 აპრილამდე.

მართალია, „შახოვსკიმ“ გ. მაღალაშვილს უარი უთხრა „სს“-ის პოლკში ჩარიცხვაზე, მაგრამ ქართულ ემიგრანტებთან და ქართულ კომიტეტთან ურთიერთობას კვლავ აგრძელებდა. ამავდროულად, საბჭოთა დაზვერვისაგან მეკავშირის გამოჩენას ელოდებოდა, თანახმად წინასწარ მიღწეული შეთანხმებისა. პარალელურად თვალყურს ადევნებდა ბრესლაუს ტყვეთა ბანაკში მის მიერ გადმობირებული ამაიკ გაზაროვის საქმიანობას, რომლის ძირითადი დანიშნულებაც საბჭოთა ზურგში შესაგზავნად დივერსანტ-პარაშუტისტთა ჯგუფების მომზადებისათვის თვალყურის დევნება და ამასთან დაკავშირებით შესაბამისი ინფორმაციის მოწოდება იყო.

ინფორმაცია კი „შახოვსკის“ არცთუ ისე დამაიმედებელი მოსდიოდა. კერძოდ, კავკასიისათვის გაწვრთნილ სადესანტო ჯგუფებს გერმანელები ნელ-ნელა შლიდნენ და მებრძოლებს გერმანიის არმიაში აბრუნებდნენ. ანუ, დასავლეთისკენ ფრონტის ხაზის გადანაცვლების გამო, გერმანიის უმაღლესმა მთავარსარდლობამ და დაზვერვამ სსრ კავშირის წინააღმდეგ ბრძოლის ამ მეთოდზე თანდათან უარი თქვეს.

ვინაიდან „განსაკუთრებული ჯგუფის“ ხელმძღვანელს, პოლკოვნიკ ლემანს არ მოეწონა ა. გაზაროვის აქტიურობა და მის ქმედებებს ეჭვის თვალით დაუწყო ყურება, „შახოვსკი“ იძულებული გახდა ის ბერლინში გადმოეყვანა და ქართული კომიტეტის საქმიანობაში ჩაერთო. ბერლინშივე ჩამოიყვანა ბერიშვილიც. ა. გაზაროვმა ნაწილობრივ მაინც მოახერხა „შახოვსკის“ დავალებების შესრულება და სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვება, თუმცა აუცილებელი იყო მოპოვებული მასალის მიწოდება საბჭოთა დაზვერვის ცენტრისათვის, არადა მეკავშირე არ ჩანდა.

„შახოვსკიმ“ ერთი პერიოდი პოლონეთში გამგზავრება და პოლონელი პარტიზანების მეშვეობით საბჭოთა სპეცსამსახურებთან კონტაქტების დამყარება გადაწყვიტა, მაგრამ ვიზა ვერ მიიღო და მისი გეგმები ჩაიფუშა.

„შახოვსკი“ ყურადღებით აკვირდებოდა ბერლინში გამოჩენილ ყველა ახალჩასულს, რომელთა შორის ცდილობდა მეკავშირის გამოცნობას, თუმცა უშედეგოდ. ერთ-ერთ ასეთ სავარაუდო საკონტაქტო პირად „შახოვსკიმ“ მიიჩნია არჩილ თვალჭრელიძე, ინსტიტუტის მეგობარი, საბჭოთა არმიის ყოფილი მაიორი, რომელიც 1944 წლის ზამთარში ტყვედ ჩავარდა ლიტვაში. შემდგომ ეს უკანასკნელი ჩარიცხულ იქნა ზამბერგენის ტყვეთა ბანაკში. სულ მალე ა. თვალჭრელიძე გერმანელებმა დააპატიმრეს, როგორც საბჭოთა სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაში ეჭვმიტანილი, თუმცა მალევე გაათავისუფლეს. ასე იყო, თუ ისე, ა. თვალჭრელიძე არ აღმოჩნდა „შახოვსკის“ მეკავშირე და ეს უკანასკნელი იძულებული იყო თვითონ ეპოვა გზები და საშუალებები საბჭოთა დაზვერვასთან კონტაქტის დასამყარებლად.

1944 წლის სექტემბერში „შახოვსკის“ შეუწყდა დახმარება საქართველოს ნაციონალური კომიტეტიდან და იძულებული გახდა სასწრაფოდ სამსახური მოეძებნა. ის, ჩხარტიშვილის რეკომენდაციით, ელექტრომექანიკოსად მოეწყო ერთ-ერთ ფირმაში. ფირმის მფლობელი იყო მეფის რუსეთის არმიის ყოფილი ოფიცერი ვასილ ვასილის ძე ივანოვი. „შახოვსკის“ ყოველთვიური ხელფასი 100-120 გერმანულ მარკას შეადგენდა. ეს იმ პერიოდისათვის საკმაოდ მცირე ანაზღაურება იყო, თუმცა ასეთი მდგომარეობა ხელს აძლევდა, ვინაიდან ბევრი თავისუფალი დრო რჩებოდა ნაციონალურ კომიტეტთან და ქართულ ემიგრაციასთან კონტაქტის გაღრმავებისათვის. „შახოვსკისთან“ ერთად მონტიორებად მუშაობდნენ ბერიშვილი და ჩხარტიშვილი.

„შახოვსკიმ“ სულ ერთი თვე იმუშავა, შემდეგ, ცომაიას დახმარებით, ბოლოს და ბოლოს, ქართულ კომიტეტში, გ. მაღალაშვილთან დაიწყო მუშაობა.

„შახოვსკისათვის“ ყოფილი საბჭოთა სამხედრო მოსამსახურეს, არკადი გორგაშიძისაგან, ცნობილი გახდა, რომ, თითქოსდა, კავკასიაში არსებობდა არალეგალური ორგანიზაცია „კავკასიის ნაციონალისტური პარტია“, რომლის წევრებიც იყვნენ ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთკავკასიის რესპუბლიკების ცნობილი პარტიული და სამეურნეო მუშაკები. მიზანი ამ ორგანიზაციისა, რომელსაც პარტიზანული რაზმებიც ჰყოლია, იყო გერმანელთა მოახლოებისთანავე ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამხობა, თუმცა, სტალინგრადთან გერმანელების მარცხის შემდეგ ზემოაღნიშნული ორგანიზაციის გეგმები ჩაშლილა.

ა. გორგაშიძე ინტენსიურად ცდილობდა დაერწმუნებინა გ. მაღალაშვილი და მიხ. კედია ემიგრაციაში კავკასიის ნაციონალ-სოციალისტური პარტიის შექმნის იდეის მართებულობაში. ამავდროულად მოითხოვდა, ნაციონალ-სოციალისტურ ყაიდაზე გადასულიყო ორგანიზაცია „თეთრი გიორგი“. აღნიშნული იდეა გრ. მაღალაშვილმა მოიწონა და პარტიის წესდებისა და პროგრამის შესამუშავებლად შექმნა კომისია შემდეგი შემადგენლობით: გორგაშიძე, კუჭუხიძე, რიჟამაძე, ვანო ახმეტელი, ცხომელიძე (თავმჯდომარე) და „შახოვსკი“ . კომისიის კონსულტანტად დაინიშნა „თეთრი გიორგის“ ვეტერანი გიორგი ჯაყელი. მომავალი პარტიის, ანუ სახეშეცვლილი „თეთრი გიორგის“ პროგრამის შედგენა დაევალა კუჭუხიძეს, ხოლო სტრუქტურისა და წესდების – „შახოვსკის“.

ორგანიზაციას სათაურში გ. მაღალაშვილი ჩაუდგა. მისი სრული დასახელება იყო – „საქართველოს ეროვნული ერთობის მოძრაობა – თეთრი გიორგი“, ხოლო დევიზი „საქართველო უპირველეს ყოვლისა“.

პარტიის წესდებაზე და პროგრამაზე მუშაობა დასრულდა ზალცბურგში, სადაც ისინი ხელისმოწერით დაამტკიცა გ. მაღალაშვილმა.

მას შემდეგ, რაც საბჭოთა ჯარები ბერლინს მიუახლოვდნენ, ქართულმა კომიტეტმა, გერმანელთა თანხმობით, 1945 წლის იანვარში გამოაცხადა ბერლინში მყოფი ქართველების ევაკუაცია. ქართველების პირველი ორი ნაკადი გაგზავნილ იქნა ვენის მახლობლად ქ. რორბახში, ხოლო შემდეგი – 1945 წლის თებერვლის შუა რიცხვებში ქ. ზალცბურგში გაემართა. ზალცბურგში აღმოჩნდა „შახოვსკიც“.

ზალცბურგში გამგზავრებამდე „შახოვსკიმ“ თავის საცხოვრებელ ბინაში შეკრიბა: აკაკი ბერიშვილი, ამაიაკ გაზაროვი და ვასილ მდივანი, რომელთაც გააცნო მის ხელთ არსებული ინფორმაცია ქართული კომიტეტისა და ქართული ემიგრანტების საქმიანობასთან დაკავშირებით (სტრუქტურა, შემადგენლობა, მიზნები, ამოცანები, პერსპექტივები და სხვა) და დაავალა, რომ ესარგებლათ შექმნილი არეულობით და მოეხდინათ როგორც ქართული, ისე სხვა ანტისაბჭოთა პოლიტიკური ემიგრაციის ლიდერების: მიხ. კედიას, მაღალაშვილის, გაბლიანის, ცომაიას, მაღლაკელიძის, აგამალიანისა და ზარგარიანის ლიკვიდაცია. მათვე თვალყური უნდა ედევნებინათ იმ პირებისათვის, რომელთაც დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი და პირველივე შემთხვევაში გადაეცათ ისინი საბჭოთა მხარისათვის. „შახოვსკიმ“ ზემოაღნიშნულ პირებს გააცნო საბჭოთა სპეცსამსახურებთან კავშირის დამყარებისათვის შესაბამისი პაროლი. ამასთან, სთხოვა, როგორღაც ხმა მიეწვდინათ საბჭოთა დაზვერვისათვის და გადაეცათ, რომ თვითონ ქართველ ემიგრანტებს იტალიაში მიჰყვებოდა და შესაძლებელი იყო ინგლისელთა მხარეს აღმოჩენილიყო, რითაც მათ სადაზვერვო ქსელში ჩართვის შესაძლებლობა ეძლეოდა. ამავდროულად, „შახოვსკიმ“ გადასცა მათ საზღვარგარეთ მყოფი თავისი ნათესავების საცხოვრებელი მისამართები, სადაც მომავალში შესაძლებელი იქნებოდა მისი მოძებნა.

ზალცბურგში მგზავრობისას „შახოვსკიმ“ გაიცნო ქართული ანტისაბჭოთა პოლიტიკური ემიგრაციის ცნობილი წარმომადგენლის, „თეთრი გიორგის“ დამაარსებლის, ლეო კერესელიძის ერთადერთი ქალიშვილი მარიამ კერესელიძე.

მ. კერესელიძე დაიბადა 1922 წლის 13 ივლისს თურქეთში. ყრმობა პარიზში გაატარა. მამა მას, როგორც მხოლოდშობილს, მამაკაცურად ზრდიდა, ცდილობდა, მისთვის გამოემუშავებინა ისეთი თვისებები, რომლებიც რთულ ვითარებაში გამოადგებოდა. ლ. კერესელიძე თავის ქალიშვილს უნერგავდა აზრს, რომ ის უნდა ყოფილიყო მისი პოლიტიკური კურსის გამგრძელებელი და „თამარ მეფე“ თუ არა, ქართველი „ჟანა დარკი“ მაინც.

მარიამ კერესელიძემ საშუალო განათლება რომში „წმინდა მარიამის“ სახელობის მონასტერში მიიღო. კარგად ფლობდა თითქმის ყველა ევროპულ, აგრეთვე არაბულ ენებს. ქართული სრულყოფილად შეისწავლა 1943-1944 წლებში, როდესაც ვუსტრაუს ტყვეთა ბანაკში იმყოფებოდა.

„წმინდა მარიამის“ სახელობის სასწავლებლის დასრულების შემდეგ, მ. კერესელიძე მშობლებთან ერთად საცხოვრებლად ჩრდილოეთ მაროკოში, ქალაქ ნავსადგურ ტანჟერიში გადავიდა. ლეო კერესელიძეს მაროკოში ბევრი წმინდა სისხლის ცხენი ჰყავდა. მარიამი კარგად დაეუფლა ცხენოსნობას და არაერთი სპორტული შეჯიბრი მოიგო, გატაცებული იყო ჟურნალისტიკითა და სიძველეთა

კვლევით. სპორტულმა წარმატებებმა, კარგი ჟურნალისტის რეპუტაციამ და მომხიბლველობამ მარიამს დადებითი იმიჯი შეუქმნა და ტანჟერიში მყოფ დიპლომატიურ წრეებში ავტორიტეტი მოუხვეჭა. მის თაყვანისცემლებს შორის იყვნენ ფრანკოს ხელისუფლების ერთ-ერთი მინისტრი, ესპანეთის მაროკოს მმართველი, აგრეთვე ესპანეთისა და იტალიის ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები. მარიამ კერესელიძის ახლო მეგობარი – გვარად ბაგრატიონი გახლდათ ცნობილი ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწის, ლორდ ენტონი იდენის მეუღლის სკოლის ამხანაგი.

მ. კერესელიძე დაინიშნა ტანჟერიში შვეიცარიის დესპანზე, თუმცა მათ ურთიერთობას მალე ბზარი გაუჩნდა. შემდეგ მარიამ კერესელიძე ცოლად გაჰყვა ერთ-ერთ მსხვილ ინგლისელ ჩინოვნიკს, რომელიც გიბრალტარში საქმიანობდა. არც ეს კავშირი აღმოჩნდა მტკიცე.

1940 წელს ლეო კერესელიძემ მარტომ დატოვა ტანჟერი და ჯერ საფრანგეთში, იქიდან კი გერმანიაში გაემგზავრა. ამ პერიოდიდან მოყოლებული, მარიამ კერესელიძემ თანამშრომლობა დაიწყო ტანჟერიში და ესპანეთის მაროკოში მოქმედ გერმანიის დაზვერვასთან, რომელსაც ფაშისტური გერმანიის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურის გერინგის ბიძაშვილი ხელმძღვანელობდა. მ. კერესელიძის სამსახურებრივ მოვალეობაში შედიოდა გერმანიის დაზვერვისათვის საინტერესო პირთა გადმობირება და მასთან კავშირზე მყოფი აგენტების მეშვეობით სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვება. სწორედ მ. კერესელიძის მონაცემებზე დაყრდნობით გერმანიის ავიაციის მიერ სამი წლის მანძილზე იბომბებოდა გიბრალტარი, მისი „დამსახურების" ნუსხაში იყო აგრეთვე ტანჟერიში აკრედიტებულ ამერიკელ და პორტუგალიელ ელჩებს შორის წარმოებული საიდუმლო მოლაპარაკებების გამჟღავნება.

მ. კერესელიძემ უპრობლემოდ მიიღო გერმანიის ვიზა და 1942 წელს ის, დედასთან ერთად, ბერლინში გაემგზავრა. გერმანიაში, მამის დაჟინებული მოთხოვნით, მ. კერესელიძე საქმიანობას იწყებს ვუსტრაუს ტყვეთა ბანაკში აგიტატორად და მამის ინტერესების გამტარებლად. ამავდროულად, ეწერება ბანაკში ორგანიზებულ ქართული სიმღერისა და ცეკვის გუნდში, რომელსაც პავლე მაღრაძე ხელმძღვანელობდა. გუნდში მარიამ კერესელიძე მღეროდა, ასრულებდა კავკასიურ ცეკვებს, რაც უბადლოდ გამოსდიოდა. მან სწრაფად მოიპოვა ავტორიტეტი ბანაკში და ბევრი ერთგული მეგობარიც შეიძინა.

გუნდი, რომელშიც მ. კერესელიძე მღეროდა, ბევრს მოგზაურობდა როგორც მთელ გერმანიაში, ასევე ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

თავდაპირველად მ. კერესელიძის ქმედებას, ქცევასა და საზოგადოებასთან ურთიერთობებს კონტროლს უწევდა მისი მამა, ხოლო ლ. კერესელიძის გარდაცვალების შემდეგ საკუთარ იმიჯზე თვით მარიამი ზრუნავდა. მ. კერესელიძე ტანად მაღალი იყო, გრძელი სახითა და მოგრძო ცხვირით, მუქ-თაფლისფერი თვალებით, შავი და გრძელი თმებით. ის საკმაოდ საინტერესო პიროვნება გახლდათ. სწორედ ამიტომ იყო, რომ მას თაყვანისმცემლები არ აკლდა. მ. კერესელიძე ცდილობდა ახლო ურთიერთობები ჰქონოდა იმ პირებთან, რომლებიც დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდნენ ქართველ ლეგიონერთა შორის. თავისი ქალურობით ის ანდამატივით იზიდავდა მამაკაცებს.

სანამ ახლოს გაიცნობდა, „შახოვსკის" უკვე ჰქონდა მ. კერესელიძეზე გარკვეული ინფორმაცია. განსაკუთრებულ ინტერესს მ. კერესელიძის კავშირები იწვევდა, თუმცა „შახოვსკი" მარიამის, როგორც ქალის მიმართაც არ დარჩენილა გულგრილი. „შახოვსკიმ" მიზნად დაისახა მ. კერესელიძესთან დაახლოება და დამეგობრება. თავისი ქცევითა და ადამიანური ხიბლით „შახოვსკიმ" დააინტერესა მარიამ კერესელიძე და მათი პირველი კონტაქტიც შედგა. თავდაპირველად საუბარი შეეხო პოლიტიკას, საქართველოს ისტორიას, მის წარსულს, აწმყოსა და მომავალს, რაშიც მ. კერესელიძე ასე თუ ისე გათვითცნობიერებული აღმოჩნდა. საუბარი გაგრძელდა ლეო კერესელიძეზე, მის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ საქმიანობაზე.

მოკლე პერიოდში მოვლენები ისე განვითარდა, რომ ზალცბურგში ჩასვლისათვის მარიამ კერესელიძე და „შახოვსკი" უკვე კარგი მეგობრები იყვნენ, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ მათი ურთიერთობები მგზნებარე სიყვარულში გადაიზარდა. ამის შემდეგ მ. კერესელიძემ მთლიანად გადაუშალა გული „შახოვსკის" და მას ბევრი საინტერესო რამ მოუთხრო მის ახლო კავშირებსა და გერმანიის დაზვერვაში გაწეულ საქმიანობაზე. მარიამს ძალიან უყვარდა მამა და მას საკუთარ მასწავლებლად და პოლიტიკურ ხელმძღვანელად თვლიდა. ღანძღავდა ქართული კომიტეტის წევრებს, „თეთრი გიორგის" ხელმძღვანელებს და მათ ლეო კერესელიძის იდეების დამკნინებლებად მოიხსენიებდა. მ. კერესელიძე მიიჩნევდა, რომ მისი მამა ბერლინის დაბომბვის შედეგად კი არ გარდაიცვალა, როგორც ამას ქართულ ემიგრაციაში აცხადებდნენ, არამედ მოკლულ იქნა მიხ. კედიას ორგანიზებით და მოჰყავდა ამის დამადასტურებელი ირიბი მტკიცებულებები. მ. კერესელიძე აცხადებდა, რომ ყველა ღონეს იხმარდა, რათა სამაგიერო გადაეხადა მიხ. კედიასათვის და თვალებზე ცრემლმოგვრილი „შახოვსკის" სთხოვდა დახმარებას.

დროთა განმავლობაში მ. კერესელიძე სულ უფრო და უფრო მიენდო „შახოვსკის". მას მიაჩნდა, რომ გერმანელთა საქმე წასული იყო და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საქმეში ფსონს ინგლის-ამერიკის ალიანსზე აკეთებდა, თუმცა მას არაფრით არ სურდა დაეშვა, რომ მომავალში ქართული საქმეებით კვლავ მიხ. კედია და გ. მაღალაშვილი ყოფილიყვნენ დაკავებულნი. ამ უკანასკნელთა მიმართ მ. კერესელიძე იმდენად აგრესიულად იყო განწყობილი, რომ არაფერზე უკან დახევას არ აპირებდა და „შახოვსკის" მათი ფიზიკური ლიკვიდაციის სხვადასხვა გეგმას სთავაზობდა.

საკუთარი გეგმის სისრულეში მოყვანას მ. კერესელიძე ვარაუდობდა ჩრდილოეთ იტალიაში, სადაც იგეგმებოდა ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაციის ელიტის თავმოყრა. მიხ. კედიასა და გ. მაღალაშვილის ფიზიკური ლიკვიდაციის საქმეში მ. კერესელიძეს დახმარების იმედი ჰქონდა მისი მომხრეებისა, რომლებიც ქართველ „ესესელთა" პოლკში (მეთაური წულუკიძე) მსახურობდნენ. ამასთან, მ. კერესელიძეს, თავისი დედის ნათესავებისა და ბიძის მხარდაჭერით სურდა შვეცარიაში წინასწარ გამგზავრება და ინგლის-ამერიკის წარმომადგენლებთან საკუთარი თავის, „შახოვსკისა" და რამდენიმე მისი ახლო მეგობრის, როგორც ქართული პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენლების წარდგენა.

მ. კერესელიძის გეგმა იმდენად რთული და პრაქტიკული თვალსაზრისით ძნელად განსახორციელებელი იყო, რომ მას ასრულება არ ეწერა. მიუხედავად

ამისა, „შახოვსკი“ ცდილობდა საბჭოთა დაზვერვის ინტერესებისათვის მ. კერესელიძის და მისი კავშირების გამოყენებას და მასზე ზეგავლენის მოხდენას.

„შახოვსკი“ მხარს უჭერდა მ. კერესელიძის ქართული ანტისაბჭოთა ემიგრანტი ლიდერების ლიკვიდაციის იდეას, ამავდროულად აფრთხილებდა, არ გადაედგა გაუაზრებელი ნაბიჯები, აძლევდა შესაბამის რჩევა-დარიგებებს. „შახოვსკი“ იმ პერიოდში კარგად თამაშობდა „ქართველი ერის მგზნებარე განმანთავისუფლებლის“ როლს, რაც მ. კერესელიძესთან კიდევ უფრო აახლოებდა.

ერთ დღეს, მოულოდნელად მ. კერესელიძემ გადაწყვიტა თავისი ერთ-ერთი თაყვანისმცემლის, იტალიელი კაპიტნის, ფერდინანდო ლაფრედოს მონახულება. ლაფრედოს საკმაოდ კარგი კავშირები გააჩნდა არამარტო იტალიაში, არამედ ბალკანეთის ქვეყნებსა და გერმანიაში. ზალცბურგში ფ. ლაფრედო იყო იტალიის წარმომადგენელი სამოკავშირეო შტაბში და გააჩნდა საკმაოდ დიდი უფლებები. მ. კერესელიძემ გადაწყვიტა ლაფრედოს მეშვეობით ჩრდილოეთ იტალიაში ინგლის-ამერიკის წარმომადგენლებთან შეხვედრა. თუკი ასეთი შეხვედრა შესაძლებელი იქნებოდა, მ. კერესელიძე ლაფრედოს წარუდგენდა „შახოვსკის“, როგორც მისი ნდობით აღჭურვილ პირს, რომელიც ქართველთა სახელით უფლებამოსილი იქნებოდა ინგლისელებთან მოლაპარაკებების საწარმოებლად. მ. კერესელიძე, მართლაც, შეხვდა ლაფრედოს. მან რამდენიმე მისამართი გადასცა იმ პიროვნებებისა, რომელთაც ჰქონდათ კონტაქტი ინგლის-ამერიკის წარმომადგენლებთან. თვით ლაფრედო საბჭოთა სისტემას თანაუგრძნობდა და თვლიდა, რომ კომუნისტური წყობა იტალიისათვის საუსებით მისაღები საზოგადოებრივი ფორმაცია იყო. მიუხედავად ამისა, მან „ქართველი ჟანა დარკისათვის“ ყოველმხრივი დახმარების აღმოჩენის სურვილი გამოთქვა.

აღნიშნული პერიოდისათვის „შახოვსკის“ საქმიანობაში გარდამტეხი მომენტი დადგა. საბჭოთა დაზვერვასთან კავშირის არქონის პირობებში მას რაღაც უნდა ეღონა და დამოუკიდებლად აქტიურ ქმედებებზე გადასულიყო. „შახოვსკიმ“ გადაწყვიტა, მ. კერესელიძისათვის მიენიშნებინა საბჭოთა დაზვერვასთან კონტაქტის დამყარებისა და ამ საქმეში ლაფრედოს გამოყენების აუცილებლობაზე.

აღნიშნულ თემაზე საუბარი „შახოვსკიმ“ ფრთხილად დაიწყო. თავდაპირველად აუგად მოიხსენია მიხ. კედია, დააბრალა რა მას ერთდროულად გერმანიის, ინგლისისა და საბჭოთა კავშირის სადაზვერვო სამსახურებთან თანამშრომლობა. მ. კერესელიძემ ამ მოსაზრებაში მხარი დაუჭირა „შახოვსკის“ და მორიგი ბოღმა დაანთხია მიხ. კედიას, რომელმაც, მისივე სიტყვებით, „ქართველების სისხლი ბოლშევიკებს მიჰყიდა“. შემდგომ იმსჯელეს იმაზე, თუ რა ხერხი მოჰქონდა მიხ. კედიასათვის ერთდროულად საბჭოთა და ინგლის-ამერიკულ სადაზვერვო სამსახურებთან ორმაგ თამაშს. მ. კერესელიძემ მოულოდნელად წამოაყენა იდეა – თვითონ მათაც იგივე ხომ არ მოემოქმედებინათ, რასაც მიხ. კედია აკეთებდა. „შახოვსკიმ“ იმ პერიოდში რთულ საქმედ მიიჩნია ისეთი პიროვნების მოძებნა, რომელიც საბჭოთა დაზვერვასთან მათ კავშირს უზრუნველყოფდა, თუმცა მ. კერესელიძემ მიანიშნა, რომ არ უნდა ყოფილიყო რთული პროსაბჭოთა განწყობის პიროვნების მოძებნა, მათთვის საბჭოთა დაზვერვისათვის საინტერესო ინფორმაციის გადაცემა და ამ გზით მათი ნდობის მოპოვება. ვინაიდან მ. კერესელიძე

აშკარად ანტისაბჭოთა განწყობაზე იდგა, პროსაბჭოთა პიროვნების მოძებნა და მთელი ამ კომბინაციის ორგანიზება „შახოვსკის“ დაავალა.

1945 წლის 26 მარტს „შახოვსკიმ“ მ. კერესელიძე და მისი დედა, სხვა ქართველებთან ერთად, ჩრდილოეთ იტალიაში გააცილა, წასვლამდე მ. კერესელიძემ „შახოვსკის“ ბერლინში შვეიცარიის საკონსულოში მისთვის და დედისთვის ვიზების მიღების დაჩქარებაში დახმარების აღმოჩენა სთხოვა.

„შახოვსკი“ ბერლინში ჩავიდა 1945 წლის 2 აპრილს. იქ მას მხოლოდ გაზაროვი დახვდა. ბერიშვილი და მდივანი იმ ფირმასთან ერთად, სადაც ისინი მუშაობდნენ, ზალცბურგში გამგზავრებულიყვნენ.

სიტუაცია დღითიდღე რთულდებოდა. „შახოვსკის“ სისხლხორცეულად სჭირდებოდა საბჭოთა დაზვერვასთან კონტაქტი და მათგან დავალების მიღება. მას სხვა გზა აღარ დარჩენოდა და გადაწყვიტა პარტიზანებთან კავშირის დამყარება, რაშიც ლაფრედოს იმედი ჰქონდა.

1945 წლის 14 აპრილს „შახოვსკი“ ქ. ვანდენში მ. კერესელიძის სახელით შეხვდა ლაფრედოს. ლაფრედო სიფრთხილითა და ნაწილობრივ ეჭვით მოეკიდა „შახოვსკის“ გამოჩენას, თუმცა მიანიშნა პარტიზანების სავარაუდო ადგილსამყოფელზე და გადასცა სარეკომენდაციო წერილი.

15 აპრილს „შახოვსკი“ კვლავ ზალცბურგში ჩავიდა. ზალცბურგში უკვე იმყოფებოდნენ მისი ნდობით აღჭურვილ პირები: მდივანი, ბერიშვილი, ჩაჩანიძე, ჩხარტიშვილი, ვართანეზოვი, ალიოშა გრძელიშვილი და ვასო მერმანიშვილი. ზალცბურგში „შახოვსკიმ“ ორი დღე დაჰყო. ზემოაღნიშნულ პირებს მან დამატებითი დავალებები მისცა.

1945 წლის 17 აპრილს ქართველ ემიგრანტთა ჯგუფი ცხომელიძის მეთაურობით ჩრდილოეთ იტალიისაკენ გაემართა. მათ შორის იყო „შახოვსკიც“. 19 აპრილისათვის ჯგუფი ჩავიდა ქართველთათვის განკუთვნილ რაიონში ქ. ტოლმეცოდან 8-10 კილომეტრის დაშორებით, სადაც უკვე იმყოფებოდა 150 იძულებით გადაადგილებული თანამემამულე. ჩრდილოეთ იტალიაში „შახოვსკი“ დაბინავდა დასახლება ჩედარკიოში, იმ სახლში, სადაც ცხოვრობდნენ მ. კერესელიძე და მისი დედა.

პრაქტიკულად სახეზე იყო ქართველთა სათვისტომო, რომელსაც მიხედვა სჭირდებოდა. გ. მაღალაშვილის განკარგულებით, ქართული სათვისტომოს მართვისათვის შეიქმნა გამგეობა. კომენდანტად დაინიშნა მაიორი ფავლენიშვილი, პოლონეთის არმიის ყოფილი ოფიცერი, რომელიც ემიგრირებულ იქნა საქართველოდან 1921 წელს. კომუნალური, სასურსათო და სამეურნეო საკითხები „შახოვსკის“ ჩაბარდა. ადმინისტრაციულ საქმიანობაზე პასუხისმგებლობა დაეკისრა მენშევიკური მთავრობის ყოფილ ოფიცერს, ემიგრაციაში, ვარშავაში მცხოვრებ აბაშიძეს. მასვე უნდა შეეკრიბა მოხალისეები და უზრუნველეყო კოლონიის დაცვა. ფინანსურ ნაწილს ხელმძღვანელობდა ავთანდილ მერაბიშვილი. ეს ის პიროვნება იყო, რომელმაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, 1926 წელს ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეს გრ. ვეშაპელს მოუსწრაფა სიცოცხლე. აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილებას სათაოში ჩაუდგა პარიზში მცხოვრები ქართველი მენშევიკი ჟღენტი. მხატვრულ თვითშემოქმედებას განაგებდა პავლე მაღრაძე. კანცელარიის უფროსად დაინიშნა დავით კლიმიაშვილი, მეფის რუსეთის არმიის ყოფილი ოფიცერი, ემიგრაციაში ვარშავაში მცხოვრები. საკონტროლო-სარევიზიო კომისიას ხელმძღვანელობდა

ვასილ ელიზბარიშვილი (ველი), მეფის რუსეთისა და შემდგომში საბჭოთა არმიის ყოფილი ოფიცერი.

ქართული სათვისტომოს მმართველი ორგანოების ჩამოყალიბებისა და მათი ხელმძღვანელების დანიშვნის განცხადება გაკეთდა საერთო კრებაზე. ამავე კრებაზე ჩრდილოეთ იტალიაში დროებით თავმოყრილი ქართული კოლონიის ხელმძღვანელად გ. მაღალაშვილი დასახელდა. აქ კვლავ იჩინა თავი მიხ. კედიას ამბიციებმა და ფარული ბრძოლა მასა და გ. მაღალაშვილს შორის განახლდა. ამ შემთხვევაშიც მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ის, თუ ვინ და როგორ მიაწოდებდა „ქართულ საქმეს" ახლა უკვე ინგლის-ამერიკის წარმომადგენლებს და რა მიმართულებით განვითარდებოდა მომავალი ანტისაბჭოთა საქმიანობა.

იმ პერიოდისათვის გ. მაღალაშვილის ავტორიტეტი ქართული ემიგრაციის ამ დაჯგუფებაში საკმაოდ მაღალი იყო, მით უმეტეს, რომ მას მხარს უმაგრებდა „ესეს"-ის ქართული ცხენოსანი პოლკი წულუკიძის მეთაურობით. ასეთ ვითარებას ვერ ეგუებოდა მიხ. კედია, რომელიც თავისი ხალხის მეშვეობით აგიტაციას ეწეოდა პოლკში, რათა ქართველ მებრძოლებს შეეწყვიტათ გერმანელთა სასარგებლო სამსახური და შინ დაბრუნებულიყვნენ. აქედან გამომდინარე, რაც დრო გადიოდა, „ესეს"-ის ქართული პოლკი საშიში ხდებოდა როგორც გერმანელთათვის, ისე ქართველი ემიგრანტებისათვის. ამას ემატებოდა ადგილობრივი ხასიათის უარყოფითი მოვლენები. გ. მაღალაშვილის ავტორიტეტი შეირყა.

მიუხედავად იმისა, რომ „შახოვსკი" სათვისტომოს საქმეებით იყო დაკავებული, იმთავითვე შეეცადა იტალიელ პარტიზანებთან დაკავშირებას. მისთვის ცნობილი გახდა, რომ იმ რაიონის სიახლოვეს მოქმედებდა ჯუზეპე გარიბალდის სახელობის პარტიზანული რაზმი. პარტიზანთა მოძიებაში „შახოვსკის" დახმარებას უწევდა მ. კერესელიძე, რომელთან ერთადაც მთა-ბარი მოიარა, თუმცა უშედეგოდ.

ჩრდილოეთ იტალიაში ყოფნის პერიოდში მარიამ კერესელიძემ მოახერხა კონტაქტის დამყარება „სს"-ის ქართული პოლკის მებრძოლებთან, ძველ ნაცნობებთან. ისინი ძირითადად იყვნენ ყოფილი „ბერგმანელები", რომლებიც საკუთარი თავის გადარჩენის ყველაზე კარგ საშუალებად ინგლის-ამერიკულ ალიანსთან დაახლოებას მიიჩნევდნენ. ამ განწყობით სარგებლობდა „შახოვსკი" და მ. კერესელიძეს დღენიადაგ აქეზებდა, რათა მეგობრების მეშვეობით განხორციელებულიყო ქართული, ანტისაბჭოთა ემიგრაციის ლიდერების ფიზიკური ლიკვიდაცია. მ. კერესელიძის თხოვნის მიუხედავად, ქართველმა მებრძოლებმა თანამემამულეთა მიმართ ძალადობრივი ქმედებებისგან თავი შეიკავეს იმ მიზეზით, რომ იმ პერიოდში ამის აუცილებლობა ჯერ არ იყო დამდგარი, ვინაიდან ტერორი გამოიწვევდა გერმანელთა მხრიდან ადეკვატურ რეაქციას, რაც, საბოლოო ჯამში, ქართველი ემიგრანტებისათვის სავალალოდ დამთავრდებოდა.

„შახოვსკიმ" მ. კერესელიძის მხარდამჭერ მეგობართა შორის შეარჩია ფელდფებელი ვასო აბაშიძე და სულ მალე ახლო ურთიერთობებიც დაამყარა. ვ. აბაშიძეს, მართალია „სს"-ის პოლკში თანამდებობა არ ეკავა, მაგრამ თანამებრძოლთა შორის ავტორიტეტით სარგებლობდა. ვ. აბაშიძეს სურვილი გაუჩნდა თავის თანამზრახველებთან ერთად პოლკი მიეტოვებინა და პარტიზანების მხარეს გადასულიყო. მან დახმარებისათვის „შახოვსკის" მიმართა, ვინაიდან ხედებოდა, რომ ეს უკანასკნელი პარტიზანებთან კავშირის დამყარებას ცდილობდა.

აპრილის პირველ ნახევარში, როგორც იქნა, გაჩნდა პარტიზანებთან შეხვედრის შესაძლებლობა. ამის თაობაზე მ. კერესელიძემ არცთუ ისე კმაყოფილმა აუწყა „შახოვსკის“, რომელმაც აღფრთოვანება ვეღარ დამალა ამ შეტყობინების გამო. აქედან მოყოლებული, მარიამ კერესელიძემ დაიწყო „შახოვსკის“ ანტისაბჭოთა, ანტიკომუნისტურ განწყობაში ეჭვის შეტანა, რაც სულ მალე მის მიმართ უნდობლობაში გადაიზარდა.

მ. კერესელიძე „შახოვსკისგან“ გულწრფელობას ითხოვდა და სურდა, რომ, მათი პირადი გრძნობებიდან გამომდინარე, ამ უკანასკნელს სიმართლე ეთქვა, თუმცა საბჭოთა მზვერავი ყველა საეჭვო არგუმენტს უარყოფდა და ერთგულების მტკიცებას განაგრძობდა.

გაჭიანურებულ ურთიერთობებს მ. კერესელიძესა და „შახოვსკის“ შორის, ბოლოს და ბოლოს, წერტილი დაესვა. ემოციებით გაჯერებულ საუბარში მ. კერესელიძემ განაცხადა, რომ მისთვის სავსებით ნათელი იყო, თუ რომელი ქვეყნის დაზვერვაზე მუშაობდა პიროვნება, რომელსაც ის პატივს სცემდა, უყვარდა და აფასებდა, თუმცა არასოდეს აპატიებდა „შახოვსკის“ იმას, თუ როგორ თამაშობდა ეს უკანასკნელი მის გულწრფელ გრძნობებზე და როგორ ცდილობდა მის გამოყენებას საკუთარი მიზნებისათვის. თავის მართლებას აზრი აღარ ჰქონდა და „შახოვსკი“ ბედს დამორჩილდა.

ამ მძიმე და უსიამოვნო საუბრის მიუხედავად, მ. კერესელიძე და „შახოვსკი“, როგორც მეგობრები, ისე დასცილდნენ ერთმანეთს. დამშვიდობების წინ „შახოვსკიმ“ მ. კერესელიძეს გამოართვა შვეიცარიაში მისი საცხოვრებელი მისამართი.

ამ ამბების შემდეგ „შახოვსკი“ ქ. უდინეში კიდევ რამდენიმე დღეს დარჩა, შემდეგ კი უკან გაბრუნდა. ამ პერიოდისათვის მ. კერესელიძეს „სს“-ის ქართული პოლკის იმ მებრძოლებზე, რომლებიც პროსაბჭოთა განწყობით გამოირჩეოდნენ, უკვე მოესწრო ზეგავლენის მოხდენა და ეს უკანასკნელები გადარჩენის იმედს მხოლოდ ინგლისელებზე ამყარებდნენ. „შახოვსკი“ მარტოდმარტო დარჩა. სხვა გზა აღარ ჰქონდა, უნდა მოეძებნა პიროვნება, რომლის მეშვეობითაც მოახერხებდა კავშირის დამყარებას პარტიზანებთან. ამ მიზნისათვის შეარჩია თანამებრძოლი გიორგი ლილუაშვილი, რომელსაც მიენდო და სთხოვა პარტიზანებთან დაკავშირებაში ხელშეწყობა, თუმცა, მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ ლილუაშვილი მ. კერესელიძის „კაცი“ იყო და აქედან გამომდინარე, პარტიზანებთან დაკავშირების ეს მცდელობაც ჩაიშალა.

მალე ზალცბურგიდან ქართველთა ახალი ნაკადი ჩავიდა. მათ შორის იყო „შახოვსკის“ სიძის, მაქსიმე ბერძენიშვილის ნათესავი კონსტანტინე დავითაშვილი, რომელიც ვერ იტანდა ქართველ ემიგრანტებს და დღენიადაგ მათ ლანძღვაში იყო. „შახოვსკიმ“ სთხოვა კ. დავითაშვილს, შეერჩია ორი სანდო პიროვნება, რომლებსაც შემდგომ გააგზავნიდა პარტიზანებთან შესაბამისი დავალებით.

მოულოდნელად ვერონიდან დაბრუნდა მარიამ კერესელიძე, რომელმაც ქართულ სათვისტომოში აქტიური ანტისაბჭოთა საქმიანობა გააჩაღა. „შახოვსკისათვის“ ნათელი გახდა, რომ მ. კერესელიძეს დამყარებული ჰქონდა კონტაქტი ინგლისელებთან და ცდილობდა ქართველების გადაყვანას მათ მხარეზე. „შახოვსკი“ კიდევ ერთხელ შეეცადა მ. კერესელიძის დარწმუნებას, რომ გაცილებით უკეთესი იქნებოდა, თუკი ის და ყოფილი ქართველი სამხედრო ტყვეები საბჭოთა და არა

ინგლისელთა მხარეს გადავიდოდნენ, თუმცა წარუმატებლად – კერესელიძე თავის აზრზე მყარად იდგა.

დღითიდღე იგრძნობოდა ფაშისტური გერმანიის აღსასრული. „შახოვსკი" თვლიდა, რომ სწორედ ახლა დგებოდა ქართული ანტისაბჭოთა პოლიტიკური ემიგრაციის ხელმძღვანელობის ლიკვიდაციისათვის ხელსაყრელი მომენტი, რისთვისაც ერთგული ხალხი სჭირდებოდა. ამ მიზნით მან სანდო კაცი აფრინა ზალცბურგში ბერიშვილთან და მდივანთან, რათა ისინი ჩრდილოეთ იტალიაში ჩასულიყვნენ, მაგრამ უკვე გვიანი იყო – ისინი იქ აღარ იმყოფებოდნენ.

1945 წლის 29 აპრილს, გამთენიისას „შახოვსკისათვის" ცნობილი გახდა, რომ ღამით პარტიზანთა მხარეს გადასვლის მცდელობისათვის „სს"-ის ქართული პოლკის მებრძოლებს დაუპატიმრებიათ მარიამ კერესელიძე. ქართველი „ესესელების" აზრით, იმდენად დიდი იყო ლეო კერესელიძის ავტორიტეტი ანტისაბჭოთა ემიგრაციაში, რომ მის ქალიშვილს ფაშისტებისათვის არ გაიმეტებდნენ და მარიამ კერესელიძეს გაქცევას მაინც მოუწყობდნენ.

ქართული კოლონიის განთავსების რაიონთან პარტიზანების მოახლოებისთანავე, ემიგრანტები და ყოფილი სამხედრო ტყვეები პანიკამ მოიცვა. ისინი დაიძრნენ ჯგუფ-ჯგუფად ქ. ტოლმეცოსაკენ, იქიდან კი ქ. უდინეში გადასვლას და იქ მიმალვას გეგმავდნენ. „შახოვსკიმ" გადაწყვიტა მათ კვალს დასდგომოდა, რათა მხედველობიდან არ გამორჩენოდა ქართველი ლიდერები, რომელთა ფიზიკური ლიკვიდაციის ან დაკავებისა და პარტიზანებისათვის გადაცემის გეგმა მისთვის კვლავ აქტუალური იყო. ის ასევე მზად იყო ქართველ ემიგრანტებთან ერთად ინგლისელებს ჩაბარებოდა, რითაც დიდი შანსი ეძლეოდა ინგლისის დაზვერვის ინტერესთა სფეროში მოხვედრილიყო.

დასახლება, სადაც ქართული კოლონია იყო განთავსებული, 3 საათისათვის უკანასკნელებმა დატოვეს „შახოვსკიმ", ცხომელიძემ და ზურაბ ციციშვილმა.

დევნილების 23-კაციანი ჯგუფი, რომელშიც „შახოვსკიც" იმყოფებოდა, ჯერ ქ. ტოლმეცოში, ხოლო შემდეგ ავტოტრანსპორტით ქ. უდინეში გაემგზავრა.

უდინეში ზემოაღნიშნული ჯგუფი ორად გაიყო. ნაწილი ქართველი დევნილებისა შვეიცარიის საზღვრებისკენ წასვლას, ნაწილი კი იტალიაში დარჩენას გეგმავდა.

ამ მომენტისათვის დევნილებს შორის გავრცელდა ხმები, რომ „შახოვსკი" კავშირს ეძებდა „წითელ პარტიზანებთან" და მას ღალატში დასდეს ბრალი.

1 მაისს ქალაქი პარტიზანებმა დაიკავეს. ეჭვი „შახოვსკის" მიმართ კიდევ უფრო გაძლიერდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ მას ფიზიკურადაც შეეხნენ და იარაღიც კი უტრიალეს ცხვირწინ, მაგრამ ცხომელიძე და ციციშვილი, რომელთაც არ სჯეროდათ „შახოვსკის" მზვერავობის, წინ აღუდგნენ ამ ძალადობრივ ქმედებებს. იმისათვის, რომ ეჭვები გაქარწყლებულიყო, „შახოვსკიმ" გადაწყვიტა, არ გაქცეულიყო პარტიზანებთან და სასტუმროში სხვებთან ერთად დარჩენილიყო. ის პრაქტიკულად შინაპატიმრობაში იმყოფებოდა.

15.00 საათისათვის ქალაქში ინგლისელთა სამხედრო ნაწილებმა იწყეს შესვლა. ქართველი ემიგრანტები სინჯიკაშვილი და ელიზბარაშვილი „შახოვსკის" მოკვლით იმუქრებოდნენ, მაგრამ ვინაიდან ეს უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში სასტუმროდან არ გამოსულა, მის მიმართ აგრესია ჩაცხრა.

3 სექტემბერს, 15.00 საათზე, „შახოვსკიმ" დატოვა სასტუმრო და იქვე მდებარე

კაფესკენ გაეშურა. მოულოდნელად მას შემოხვდა ნაცნობი აზერბაიჯანელი, ყოფილი სამხედრო ტყვე, რომელიც ჯუზეპე გარიბალდის სახელობის პარტიზანული რაზმის წევრი აღმოჩნდა. მისი მეშვეობით „შახოვსკი“ შეხვდა პარტიზანთა ერთ-ერთი შენაერთის უფროსს, რომელიც ვათარებაში ვერ გაერკვა და „შახოვსკი“ რამდენიმე დღით პატიმრობაში ამყოფა. არცთუ ისე სასიამოვნო დაკითხვების შემდეგ „შახოვსკი“ გაათავისუფლეს და 1945 წლის 7 მაისს ქ. უდინეში დისლოცირებულ სლოვენიის სამხედრო მისიაში გააგზავნეს. მიიღო რა შესაბამისი საბუთები, „შახოვსკი“ გაეშურა ქ. გორიცეში, იუგოსლავიის არმიის მე-9 კორპუსის სამხედრო შტაბში, რათა მათი მეშვეობით მოეძებნა საბჭოთა სპეცსამსახურების წარმომადგენლობა. „შახოვსკი“ იმავე დღეს შეხვდა საბჭოთა არმიის პოდპოლკოვნიკს რიბალჩენკოს, რომელმაც მიასწავლა, თუ სად და რომელ ნაწილში შეიძლება ყოფილიყო საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი.

1945 წლის 9 მაისს „შახოვსკი“ ქ. გორიცედან გაემგზავრა ქ. ტრიესტში და იმავე დღეს ეწვია საბჭოთა სამხედრო მისიას, სადაც შეხვდა ვიცე-პოლკოვნიკ ბოგომოლოვს და საბჭოთა სახელმწიფო უშიშროების ორგანოების წარმომადგენელს ჟავორონკოვს. ჟავორონკოვი „შახოვსკის“ პიროვნებაში დაეჭვდა და მას ყველა საკითხთან დაკავშირებით წერილობითი ახსნა-განმარტებები მოსთხოვა, რაზეც ამ უკანასკნელმა უარით უპასუხა. 10 დღე დასჭირდა „შახოვსკის“, რომ ბოლოს და ბოლოს მისთვის სერიოზულად მოესმინათ.

1945 წლის 1 ივნისს „შახოვსკი“ ქ. ლიუბლიანიდან ბელგრადში გადააფრინეს. იქ მას დახვდა მაიორი გავრიკოვი, რომელმაც რამდენიმე დღეში „შახოვსკი“ მოსკოვში გაამგზავრა. მოსკოვში „შახოვსკი“ ჩაფრინდა 1945 წლის 7 ივნისს, იქიდან კი თბილისს მიაშურა.[265]

იუგოსლავიის განმათავისუფლებელი არმიის ფორმაში გამოწყობილი „შახოვსკი“ გაოცებულ და იმავდროულად გახარებულ ჩეკისტებს კონსპირაციულ ბინაზე ესტუმრა. მეორე დღეს ის კვლავ მოსკოვში იყო. სათანადო პირობებში მყოფი საბჭოთა მზვერავი ერთი კვირის განმავლობაში წერილობით აღწერდა თავს გადახდენილ ამბებს. ყველა კმაყოფილი იყო მისი სადაზვერვო საქმიანობით. თუმცა, წუხდნენ იმის გამო, რომ საბჭოთა დაზვერვამ მასთან კონტაქტები ვერ დაამყარა და მოპოვებული სადაზვერვო ინფორმაცია „ცენტრს“ ვერ მიაწოდა, შესაბამისად, ამ უკანასკნელმა მისგან ვერ მიიღო სათანადო დავალებები. მიუხედავად ამისა, საქართველოს სპეცსამსახურებმა „შახოვსკის“ გაყვანა საზღვარგარეთ, მტრის ზურგში, საკმაოდ წარმატებულ ღონისძიებად ჩათვალეს და მისი დამსახურება მორალური და საკმაოდ სოლიდური მატერიალური წახალისებით გამოხატეს.

თავი IX

# ქართული ეროვნული ფასეულობა საფრანგეთში და სპეცსამსახურები

...საზღვარგარეთ გაქცევისას მენშევიკურმა მთავრობამ აშკარა ქურდობა ჩაიდინა და თან გაიტაცა ქართული ეროვნული კულტურის ძეგლები და სხვა სამუზეუმო ფასეულობები...[47]

## ეროვნული საგანძურის იძულებით გატანა საფრანგეთში

საქართველოს უახლესი ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენად ითვლება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1921 წელს საზღვარგარეთ იძულებით გატანილი ეროვნული განძეულობის საქართველოში დაბრუნება. არც ამ პროცესს ჩაუვლია სპეცსამსახურების მონაწილეობის გარეშე.

სათანადო საარქივო მასალის უქონლობის გამო, შეუძლებელია პრობლემის ამ კუთხით სრულყოფილად დანახვა, თუმცა, თემის წამოწევა, ვფიქრობთ, მკითხველისათვის საინტერესო იქნება.

ათეული წლების მანძილზე, საბჭოთა პროპაგანდა მიმართული იყო საქართველოს დევნილი მთავრობისა და, ზოგადად, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის დისკრედიტაციისაკენ. ამ კამპანიაში არცთუ ისე ხშირად ქართული განძის საკითხიც ფიგურირებდა.

საზოგადოებისათვის კარგად არის ცნობილი ეროვნული ფასეულობების დაცვისა და ზრუნვის საქმეში გამოჩენილი ქართველი მამულიშვილისა და მეცნიერის, ექვთიმე თაყაიშვილის დამსახურების თაობაზე. მის მოღვაწეობას საინტერესო ნაშრომები მიუძღვნეს ქართველმა მეცნიერებმა, ისტორიკოსებმა (შ. ამირანაშვილმა, გ. ურდანიამ, გ. შარაძემ და სხვ.), თუმცა იდეოლოგიური მოსაზრებების გამო, ექვთიმე თაყაიშვილის მოღვაწეობასა და ქართული კულტურული მემკვიდრეობის დაბრუნებასთან დაკავშირებით საბჭოთა პერიოდში ბევრი რამ ვერ ითქვა, ანდა ითქვა, ოღონდ დროისა და შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების შესატყვისად.

ქართველი ერის კულტურული მემკვიდრეობა, როგორც უძველესი და ღრმად საისტორიო მნიშვნელობის მოვლენა, მსოფლიო ცივილიზაციის განუყოფელი ნაწილი იყო, არის და იქნება. ამის ერთ-ერთი დასტურია ექვთიმე თაყაიშვილის მიერ საქართველოს მთა-ბარში ძველ ციხესიმაგრეებსა და ეკლესიის ნანგრევებში, მთელ საქართველოში გაფანტული ეროვნული მარგალიტების მოძიება და თავმოყრა. ეს ეროვნული საგანძური შემდეგ ივანე ჯავახიშვილის, კორნელი

კეკელიძის, სიმონ ჯანაშიას, ნიკოლოზ ბერძენიშვილის, გიორგი ჩუბინაშვილის, შალვა ამირანაშვილის, გიორგი ჩიტაიასა და სხვათა სამეცნიერო შემოქმედებაში ნათლად აისახა.

თუკი შედარებისათვის საქართველოს ისტორიის ბოლო ორასწლიან პერიოდს ავიღებთ, საქართველოს ეროვნული საგანძურის გატაცება-მითვისებაში საქართველოში რუსეთის იმპერიის ბატონობის პერიოდმა (1801-1917 წწ.) განსაკუთრებული ზიანი მიაყენა ქართულ კულტურულ ფასეულობებს. ამ მხრივ ყველაზე გამორჩეული აღმოჩნდა ქუთაისის გუბერნატორი ლევაშოვი, რომელმაც 1856 წელს გელათის მონასტრიდან წაიღო და მითვისა შუა საუკუნეების ქართული ჭედური ხელოვნების მნიშვნელოვანი ძეგლი – ღვთისმშობლის ვედრების მინანქრის ხატი (X საუკუნის ქმნილება – ხახულის ხატის ძირითადი ნაწილი).

საქართველოს ეგზარქოსის დახმარებით, ერთ-ერთმა პეტერბურგელმა ავანტიურისტმა ჯუმათისა და შემოქმედის მონასტრებიდან უნიკალური ქართული მინანქრები, ვერცხლით ნაჭედი ხატები და სხვა ნივთები გაიტაცა. სამწუხაროდ, სხვა უამრავი ასეთი მაგალითი არსებობს.

რუსეთის იმპერიის ეს ცოდვები საბჭოთა ხელისუფლებამაც აღიარა, რაც აისახა კიდეც განათლების სახალხო კომისრის ა. ვ. ლუნაჩარსკის განცხადებაში: „მეფის ხელისუფლება ავიწროებდა საქართველოს – ითვისებდა და იტაცებდა ერის კულტურის განძს. საბჭოთა ხელისუფლებამ უნდა გამოასწოროს ეს შეცდომა და განამტკიცოს რუსი და ქართველი ხალხის მეგობრობა“.[60] ამასთან დაკავშირებით, 1922 წლის 20 ივნისს საბჭოთა რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ გამოტანილ იქნა დადგენილება, რომლის საფუძველზეც საბჭოთა საქართველოს გადაეცა რუსეთის იმპერიის მიერ წაღებული და 1922 წლისათვის რუსეთის ფედერაციის საცავებში შენახული ქართული სამუზეუმო და საარქივო კოლექციები. აღსანიშნავია, რომ რუსეთში არსებული ქართული ფასეულობების დაბრუნების წინააღმდეგ გამოვიდნენ რუსეთის ფედერაციის სამეცნიერო წრეები და განსაკუთრებით სამეცნიერო აკადემია, რომელიც კატეგორიულად არ ცნობდა საქართველოს უფლებას სიძველეთა და ისტორიულ ფასეულობათა უკან დაბრუნებაზე, თუმცა, ბოლოს იძულებული გახდა, დამორჩილებოდა ცაკ-ის დადგენილებას.

რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ, რევოლუციის სხვა მონაპოვრის დაცვასთან ერთად, დაისვა რუსეთის ისტორიული და სამუზეუმო ფასეულობების მოვლა-პატრონობის, საზღვარგარეთიდან მათი დაბრუნების და მუზეუმებში თავმოყრის საკითხი. ანალოგიური ამოცანა 1921 წლიდან დაისვა საბჭოთა საქართველოს ხელისუფლების წინაშეც, ვინაიდან ქართული ეროვნული საგანძურიც საზღვარგარეთ აღმოჩნდა გატანილი. აი, როგორ მოხდა ყოველივე ეს:

1921 წლის თებერვლის შუა პერიოდი იდგა. საბჭოთა რუსეთის მეთერთმეტე არმიის ნაწილები საქართველოს საზღვრებს სამხრეთიდან, სომხეთისა და აზერბაიჯანის საზღვრებიდან მოადგა; ბოლშევიკებმა პროვოკაციის გზით ბორჩალოში აჯანყება მოაწყვეს. დამოუკიდებელი საქართველო საბჭოთა რუსეთის, ძალით გასაბჭოებული სომხეთისა და აზერბაიჯანის გარემოცვაში აღმოჩნდა. თბილისში ბოლშევიკები აჯანყების ორგანიზებისთვის ფარულად ემზადებოდნენ. აქტიურობდა საქართველოში საბჭოთა რუსეთის საელჩო და პირადად ელჩი

შეინმანი. საზღვარგარეთის ქვეყნების დახმარება არსაიდან ჩანდა. სასწრაფოდ შეკრებილ მთავრობის საგანგებო სხდომაზე იმსჯელეს შექმნილ რთულ ვითარებაზე. სხდომის მიმდინარეობის პროცესში ვერ მოხერხდა ნ. ჟორდანიას საუბარი მოსკოვთან, თითქოსდა, სატელეფონო კავშირის გაწყვეტის გამო. თავხედური გამოსვლისათვის სხდომის მონაწილე – რუსეთის ელჩი შეინმანი შენობიდან გამოსვლისას, მიუხედავად მისი დიპლომატიური იმუნიტეტისა, დაპატიმრებულ იქნა თბილისის გუბერნატორის, შ. მაღლაკელიძის მიერ. ცალკე საგანგებო თათბირზე ნ. ჟორდანიამ და მისმა თანამოაზრეებმა (ვ. ჯუღელი, ნ. რამიშვილი, აკ. ჩხენკელი, ბ. ჩხიკვიშვილი) გადაწყვიტეს სტუდენტთა, მილიციისა და დაცვის თანამშრომელთა მობილიზაცია, ფრონტზე გაგზავნა და სასწრაფოდ დამფუძნებელი კრების მოწვევა.

დამფუძნებელი კრება იმავე ღამეს გაიმართა. კრების წევრები უკვე დარწმუნებული იყვნენ, რომ საქართველოს ოკუპაცია გარდაუვალი იყო. ნ. ჟორდანიას არაოპტიმისტური მოხსენებაც ამას ადასტურებდა. ანტანტის ქვეყნების დახმარების იმედი პრაქტიკულად აღარ არსებობდა. ბრძოლა წაგებული იყო. სოციალ-დემოკრატები იძულებული იყვნენ, ხელისუფლება დაეთმოთ. საქართველოს მთავრობა და ქართული ინტელიგენციის ნაწილი მიიჩნევდა, რომ ეროვნული საგანძურის გადარჩენა ბოლშევიკებისაგან მხოლოდ საზღვარგარეთ მისი გატანით იყო შესაძლებელი. ნ. ჟორდანიამ ბრძანება გასცა, რომ სასწრაფოდ დაეწყოთ საევაკუაციო სამუშაოები და ეზრუნათ საქართველოს საეკლესიო და სამუზეუმო განძეულობის ემიგრაციაში ნაღებაზე. ამასთან დაკავშირებით, დამფუძნებელმა კრებამ შესაბამისი დადგენილება გამოიტანა.

წლების მანძილზე საბჭოთა მკვლევრები ექვთიმე თაყაიშვილისა და ქართული საგანძურის გარშემო საუბრისას აუცილებელად აღნიშნავდნენ, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ე. თაყაიშვილი აიძულა მათ ნებას დაჰყოლოდა, განძი გაიტაცა, მიითვისა და საზღვარგარეთ გაფლანგა.

აი ამის ერთ-ერთი საილუსტრაციო მაგალითი: „საყოველთაოდ ცნობილია, რომ საზღვარგარეთ გაქცევისას მენშევიკურმა მთავრობამ აშკარა ქურდობა ჩაიდინა და თან გაიტაცა ქართული ეროვნული კულტურის ძეგლები და სხვა სამუზეუმო ფასეულობანი. მხოლოდ ფაშისტური გერმანიის განადგურებისა და მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ მიაღწია საბჭოთა კავშირის მთავრობამ ისტორიული სამართლიანობის აღდგენას და ქართველი ერისათვის მისი კუთვნილი ქონების დაბრუნებას. მაგრამ აღმოჩნდა, რომ საფრანგეთის ბანკის მარსელის განყოფილებაში ჩაბარებული 69 ყუთიდან, რომელშიც ეს ქონება იყო ჩალაგებული, ამ დროისათვის უკვე განიავებული იყო 39 ყუთი. ერთი სიტყვით, ქართული ემიგრაციის მესვეურებმა პირველსავე წლებში გაყიდეს ყველაფერი, რისი გაყიდვაც შეიძლებოდა. სწორედ ასეთი სამარცხვინო გზით მიღებული თანხების ხარჯზე შეიძინეს მათ ლევილის სასახლე და მამული, ამ თანხებით ინახავდნენ ისინი ე. წ. „ჟორდანიას მთავრობას". უნდა აღინიშნოს, რომ მენშევიკების მიერ საქართველოდან გატაცებული ქონების ის ნაწილიც, რომელიც შემდეგში დაბრუნებული იქნა, განიავებას და განადგურებას გადაურჩა მხოლოდ ზოგიერთი პატიოსანი ემიგრანტის მეოხებით, რომლებიც არაერთხელ აღუდგნენ წინ „ჟორდანიას მთავრობას" და არ მისცეს მას ამ ქონების გაყიდვის საშუალება".[43]

სამეცნიერო წრეებში დამკვიდრებული აზრის მიხედვით, საქართველოს სამუზეუმო განძეულობის საზღვარგარეთ გატანის ინიციატორი იყო საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია. აკადემიკოს გურამ შარაძის მიერ გამოქვეყნებული, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენლის, ვალიკო ჩუბინიძის ჩანაწერების მიხედვით, ქართული ფასეულობების უცხოეთში წაღების იდეა, თითქოსდა ივანე ჯავახიშვილს ეკუთვნოდა.

„...ივანე ჯავახიშვილი იბარებს ექვთიმე თაყაიშვილს და ეუბნება: ბოლშევიკები დღეს თუ ხვალ დედაქალაქში შემოვლენ და აქედან მთელ საქართველოს მოედებიან. მე მეშინია, რომ ისინი ჩვენს სამუზეუმო განძეულობას გაანადგურებენ, ქვეყანას გაძარცვავენ. გავიგე, რომ საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში მიდის და მინდა, როგორმე ხმა მივაწვდინო ნოე ჟორდანიას, რომ თან წაილონ ჩვენი სამუზეუმო და ეკლესია-მონასტრების განძეულობა. შენ – ჩემო ექვთიმე, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე (ამხანაგი) ხარ და შენთვის ადვილია ნოე ჟორდანიასთან დაკავშირება, რომ ახლავე შეატყობინო ჩემი თხოვნაო.

მართლაც, ექვთიმე თაყაიშვილი იმ დღესვე ეახლა ნოე ჟორდანიას და გადასცა ივანე ჯავახიშვილის თხოვნა. ნოე ჟორდანიამ დაუძახა მდივანს და იქვე უკარნახა ბრძანების ტექსტი სამუზეუმო განძეულობის – ქართველი ხალხის ეროვნული საკუთრების დროებით უცხოეთში გატანისა და მის მეთვალყურედ ექვთიმე თაყაიშვილის დანიშვნის შესახებ. ექვთიმეს უარი განუცხადებია უცხოეთში წასვლაზე, მაგრამ მთავრობის თავმჯდომარეს იგი დაურწმუნებია ამ გადაწყვეტილების სისწორეში.

ამ ბრძანებით დაბრუნდა ექვთიმე უკან, გადასცა ივანე ჯავახიშვილს ეს ყველაფერი – რის შემდეგაც დაიწყო სამუზეუმო და საეკლესიო განძეულობის სასწრაფოდ ყუთებში ჩალაგება-დალუქვა“.[82]

აი, როგორ აღწერს განძის საზღვარგარეთ გატანის ფაქტს თვით ექვთიმე თაყაიშვილი:

„ტფილისის დატოვებამდე ორი დღით ადრე მენშევიკური მთავრობის თავმჯდომარემ საღამოს გამომიცხადა, ხვალ დილით ჩვენ ხაზინის ქონებას ევაკუაციას ეუშვრებით და ქუთაისში ვგზავნითო; საჭიროა მუზეუმების უძვირფასესი ნივთებიც გავხიზნოთო...

შევატყობინე ეს ამბავი ყველა მუზეუმის გამგეებს... მთელი ღამე დაუცხრომლად იმუშავეს და დილას ყუთები მზად იყო. გამოვითხოვეთ „გრუზავიკი“ – ჩამოვუარეთ ყველა მუზეუმს და ყუთები გაიგზავნა ქუთაისში. სამუზეუმო ნივთების მეთვალყურედ ნ. ყიფიანმა – საქართველოს (ყოფ. კავკასიის) მუზეუმის გამგემ, გააყოლა ჩვენთვის კარგად ცნობილი იონათამაშვილი, რომელმაც მოგვიტანა წერილობითი დამოწმება, რომ ქუთაისის ხაზინამ უკლებლად მიიღო გაგზავნილი სამუზეუმო ნივთები. ის დამოწმება ყიფიანმა მე მაჩვენა.

როდესაც შემდეგ ჩვენ, დამფუძნებელი კრების ყველა წევრი ჩავედით ქუთაისში, ფინანსთა მინისტრმა კ. კანდელაკმა მთხოვა გადამერჩია იქაურ ხაზინაში აგრეთვე შენახული, გელათის მონასტრის ნივთები და გამომეყო, თუ რა იყო იქიდან სამუზეუმო და რა – არა. ამის მუშაობას რამდენიმე დღე მოუნდა. ბოლოს, როდესაც წითელი არმია ქუთაისს მიუახლოვდა, მთავრობისა და პარტიათა წარმომადგენლების დადგენილებით, გადაწყდა ქონება ჩატანილიყო ბათუმში,

იქ მოთავსებულიყო საფრანგეთის კრეისერზე, ხოლო შემდეგ, თუ აუცილებელი გახდებოდა, საზღვარგარეთ ყოფილიყო წაღებული. დამფუძნებელი კრების მიერ მეთვალყურედ დავინიშნე მე, ხოლო მთავრობის მიერ – ფინანსთა მინისტრის თანაშემწე იოსებ ელიგულაშვილი".[61]

რამდენად ეფექტურად და ადეკვატურად მომზადდა ქართული ეროვნული ფასეულობის საზღვარგარეთ ევაკუაციისათვის სამართლებრივი საფუძვლები, ცალკე საუბრის თემაა, თუმცა საინტერესოა, ვინ მოახდინა ნ. ჟორდანიასა და ქართული ეროვნული ფასეულობის საქართველოდან გატანის გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენა.

ზემოაღნიშნული თემატიკით დაინტერესებულ მკვლევართა ნაწილი ნებსით თუ უნებლიეთ გვერდს უვლის იმ ფაქტს, რომ დამფუძნებელი კრების სხდომის მეორე დღეს ნ. ჟორდანიამ საკუთარ სამუშაო კაბინეტში მიიღო საფრანგეთის ელჩი ამიერკავკასიაში აბელ შევალიე, რომელმაც გადასცა მას საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის არისტიდ ბრიანის წინადადება საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების საფრანგეთში ემიგრაციაში გამგზავრების, მხარდაჭერისა და მზადყოფნის შესახებ და თან დასძინა, რომ ის, რაც ხდებოდა საქართველოში, იყო საქართველოს ხელისუფლების „დროებითი კრიზისი". იქვე ა. შევალიეს წინადადებით გადაწყდა, რომ მთავრობას თან უნდა წაეღო საქართველოს ხაზინა, საეკლესიო და სამუზეუმო განძეული. ნ. ჟორდანიასა და ა. შევალიეს შორის საუბარს ესწრებოდა ე. თაყაიშვილიც. ჯანმრთელობაშეზღუდულ პროფესორს (ის ბავშვობიდან კოჭლობდა) არავითარი სურვილი არ ჰქონდა, ემიგრაციაში წასულიყო, თუმცა ნ. ჟორდანიას ხათრი ვეღარ გაუტეხა და საფრანგეთში მეუღლესთან ერთად წასვლას დათანხმდა, მხოლოდ იმ პირობით, რომ საქართველოს მთავრობისაგან, განძთან დაკავშირებით, ყველა უფლებით იქნებოდა აღჭურვილი, რაზეც თანხმობა მიიღო. ე. თაყაიშვილთან ერთად, ეროვნული ფასეულობების დაცვაზე გარკვეული პასუხისმგებლობა დაეკისრა ფინანსთა მინისტრის მოადგილეს ელიგულაშვილსაც.

საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ აღნიშნული გადაწყვეტილება მსოფლიოში და განსაკუთრებით ევროპაში არსებული რთული პოლიტიკური ვითარების ფონზე მიიღო.

1921 წლის იანვარში საფრანგეთში პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე პუანკარეს მოსვლის შემდეგ, ხელისუფლებამ ფართოდ გაუხსნა გზა რუსეთის იმპერიაში სამოქალაქო ომის დროს აღმოცენებულ ანტიბოლშევიკურ, ანტისაბჭოთა ორგანიზაციებსა და მათ ლიდერებს, აგრეთვე იმპერიის დაშლის შედეგად აღმოცენებული დამოუკიდებელი სახელმწიფოების დევნილ ხელისუფლებებსა და მთლიანად ემიგრაციას.

ახალგაზრდა ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობის შენარჩუნება 1918-1921 წლებში დიდად იყო დამოკიდებული ჯერ გერმანიის, შემდგომ ინგლისისა და საფრანგეთის სახელმწიფოთა პოლიტიკურ ნებასა და სამომავლო სტრატეგიულ მიზნებზე. იმ ისტორიულ პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩნდა დისლოცირებული მსხვილი საჯარისო შენაერთები, რომლებიც თავიანთი ქვეყნების ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდნენ. სწორი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მისაღებად აუცილებელი იყო უტყუარი ინფორმაციის

მოპოვება როგორც სამხედრო-სტრატეგიულ, ისე სხვა საკითხებთან მიმართებით. სწორედ ამ მიზნებს ემსახურებოდნენ სპეციალური სამსახურები, რომლებიც სადაზვერვო მიზნებისათვის იყენებდნენ საკუთარი ქვეყნის სახელმწიფო თუ კომერციული წარმომადგენლობების ლეგალურ შესაძლებლობებს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ სამხედრო დაზვერვის სტრუქტურები. ისინი ფიგურირებდნენ პრაქტიკულად ყველგან – ოფიციალურ მოლაპარაკებებში თუ ფრონტის წინა ხაზზე, სამხედრო, სტრატეგიულ თუ სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებზე და სხვა. თავისი ტრადიციებით, მიზანსწრაფულობითა და პრაგმატიზმით გამორჩეული იყო საფრანგეთის სპეცსამსახურიც.

იმ პერიოდში საფრანგეთის დაზვერვა კარგად ფლობდა სიტუაციას ამიერკავკასიაში და კერძოდ, საქართველოში არსებული ვითარების თაობაზე. საფრანგეთის სპეცსამსახურების მიერ ამიერკავკასიასთან დაკავშირებული სადაზვერვო ინფორმაცია მიეწოდებოდა ამიერკავკასიაში საფრანგეთის დიპლომატიურ წარმომადგენელს, პოლკოვნიკ აბელ შევალიეს (ზოგიერთი შევალიედაც მოიხსენიებს). საფრანგეთის დაზვერვას მხედველობიდან არ გამორჩენია საქართველოსათვის დიდი ისტორიული მნიშვნელობის ეროვნული განძეულობა. სწორედ ა. შევალიეს მიერ იქნა ორგანიზებული ქართული ეროვნული საგანძურის საზღვარგარეთ გატანა.

საქართველოს გასაბჭოება დიდად არ გაკვირვებია საფრანგეთის მაშინდელ პრემიერ-მინისტრს, არისტიდ ბრიანს, რომლის ბრძანებითაც, ფრანგული კრეისერები, რომელთაც ადმირალი დიუმენინი მეთაურობდა, საქართველოს ანექსიამდე რამდენიმე ხნით ადრე დადგნენ რეიდზე ბათუმში. ქართული საგანძურის გატანის საკითხი მხედველობის არიდან არც საბჭოთა რუსეთის სპეცსამსახურებს გამორჩენიათ. ამიერკავკასიის ოკუპაციის დღეებში თბილისში, რტიშევის ქუჩაზე მდებარე რუსეთის საელჩო საგანგებო მდგომარეობაში ფუნქციონირებდა. ს. კიროვის შემდეგ საქართველოში რუსეთის ელჩად დანიშნული „ასტრახანელი მეთევზე-ვაჭრის შვილი“ შეინმანი დაპატიმრებული იყო. რუსეთის ელჩის მოვალეობას სერგო ქავთარაძე ასრულებდა. აქტიურობდნენ საელჩოს პასუხისმგებელი მუშაკები იურევიჩი და ლებედევი. საქართველოს გასაბჭოებამდე რამდენიმე ხნით ადრე ს. ქავთარაძე, იურევიჩი და ლებედევი ასევე დაპატიმრებულ იქნენ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საგანგებო რაზმის მიერ. საბჭოთა რუსეთის საელჩოს კარგა ხნით ადრე ჰქონდა ინფორმაცია, რომ შევალიე დიდად იყო დაინტერესებული ქართული ეროვნული ფასეულობით, თუმცა განძის საზღვარგარეთ გატანის პროცესზე რაიმე გავლენა ვერ მოახდინა.

ქართული ეროვნული ფასეულობების ევაკუაციის საქმეში ა. შევალიე რომ ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა იყო, მიანიშნებს ე. თაყაიშვილიც 1935 წლის 9 აპრილს ვუკოლ ბერიძის მისამართით გაგზავნილ წერილში: „ახლა მე საფრანგეთის მთავრობას მოხსენებას ვუდგენ, რომელშიაც ახსნილია ყოფილი გარემოება ამ ნივთებისა, ესე იგი: 1) რომ ის ნივთები ევაკუაცია ქმნილია საფრანგეთის ყოფილი ელჩის შევალიეს რჩევითა და დახმარებით...“[61]

ა. შევალიეს როლზე განძის საკითხში მიანიშნებს პროფესორი გივი ჟორდანიაც: „სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ქუთაისში ამ გადაწყვეტილების მიღებისას მენშევიკებზე დიდი გავლენა მოახდინა საფრანგეთის მთავრობის „სრუ-

ლუფლებიანმა მინისტრმა" (დესპანმა) და „უზენაესმა კომისარმა ამიერკავკასიაში" აბელ შევალიემ, რომელმაც, ალბათ, თავისი მთავრობის სახელით დაარწმუნა მენშევიკების მთავრობა ესარგებლა საფრანგეთის მთავრობის „სტუმართმოყვარეობით" და ფრანგულიე კრეისერით გაეტანა საუნჯე ბათუმიდან საფრანგეთში.

როგორც იმდროინდელ თბილისურ გაზეთებში მოთავსებული ცნობებიდან ირკვევა, აბელ შევალიე გამოცდილი, 50 წლის ასაკს მიღწეული დიპლომატი ყოფილა. დიპლომატიური მოღვაწეობის დაწყებამდე იგი პარიზის უნივერსიტეტის პროფესორი ყოფილა და გამოქვეყნებული ჰქონია გამოკვლევები ისტორიასა და ლიტერატურაში".[61]

საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ა. შევალიეზე გენერალი შალვა მაღლაკელიძეც:

„შევალიე ყოველ 26 მაისს გამოდიოდა სიტყვით – საქართველო უნდა აღსდგესო. მე მოტყუებული დავრჩიო და ორდენები დაუბრუნა საფრანგეთის მთავრობას. შევალიე იყო პირველი ელჩი საფრანგეთიდან საქართველოში, რომელმაც ჩათვალა, რომ მოტყუებული დარჩა საქართველოს გაცემისათვის და ამ ნიადაგზე თავისი ორდენები დაუბრუნა საფრანგეთის მთავრობას, პატარა ერი რომ გავეცით, მე ასეთი ორდენები არ მინდაო, თუ სცანით საქართველო, იარაღითაც უნდა დაეხმაროთო. ერთადერთი კაცი, რაც კი შეეძლო ელჩს გაეკეთებია კეთილშობილური, რაინდული დიდ სახელმწიფოს შეფერის პატარა სახელმწიფოსადმი, ასეთ კაცად შეიძლება ჩაითვალოს შევალიე..."[64]

აბელ შევალიე შემდგომშიც დიდ დახმარებას უწევდა დევნილ ქართველებს. ის 1928 წლის 25 თებერვალს სათაეში ჩაუდგა „საქართველოს მეგობართა ასოციაციას". ა. შევალიეს მოადგილედ არჩეულ იქნა პრინცესა აშილ მიურატი (სალომე დადიანი). ასოციაციამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული კულტურისა და პოლიტიკური საქმიანობის ევროპული საზოგადოებისათვის გაცნობ-პოპულარიზაციის თვალსაზრისით.[19]

საქართველოს სამუზეუმო და სახაზინო ქონება თბილისიდან მატარებლით ქუთაისისაკენ დაიძრა 1921 წლის 21 თებერვალს, 11.00 საათზე. ყოველივე ეროვნული განძი მოთავსებულ იქნა ქუთაისის ხაზინის შენობაში. ქუთაისში ე. თაყაიშვილმა გაატარა 5 დღე. ქუთაისში დაიკარგა ერთი ყუთი სახაზინო ფასეულობებისა, რამაც ე. თაყაიშვილი ძალიან დაამწუხრა. 3 მარტს განძთან ერთად ის უკვე ბათუმში იყო. დაცვის უზრუნველსაყოფად განძს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ბათუმამდე გააყოლა დამოუკიდებელი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო რაზმის ექვსი თანამშრომელი. ე. თაყაიშვილის გადმოცემით, იმავე პერიოდში ბათუმში ჩასულა კიდევ რამდენიმე ვაგონი, დატვირთული ბორჯომისა და ლიკანის სასახლეების ქონებით.[61]

საქართველოს მთავრობას და თვით ე. თაყაიშვილსაც იმედი ჰქონდათ, რომ განძეულობის საზღვარგარეთ გატანის საჭიროება არ დადგებოდა, მაგრამ საქართველოს უკვე ყოფილმა ხელისუფლებამ ბოლშევიკების მხრიდან განძის შესაძლო განიავების თავიდან აცილების მიზნით, გადაწყვიტა განძის ემიგრაციაში – საფრანგეთში წაღება.

აბელ შევალიეს განკარგულებითა და უშუალო მეთვალყურეობით ქართული განძეულობა და მთავრობის ქონება 1921 წლის 5 მარტს განთავსდა ფრანგულ

კრეისერ „ერნესტ რენანზე“. განძით დატვირთული გემი ბათუმიდან 11 მარტს გავიდა.

ექვთიმე თაყაიშვილი და რ. ელიგულაშვილი კაპიტანმა კრეისერზე არ აუშვა იმ მოტივით, რომ ის იყო სამხედრო დანიშნულების, შეეძლო მოძრაობა მხოლოდ შავი ზღვის აკვატორიაში და მასზე სამოქალაქო პირები არ დაიშვებოდნენ. ე. თაყაიშვილმა დახმარებისათვის ნ. ჟორდანიას მიმართა, ამ უკანასკნელმა კი – ა. შევალიეს. მიუხედავად დაპირებისა, ე. თაყაიშვილი კრეისერზე ვერ მოხვდა. ეს უკანასკნელი იძულებული იყო იმავე დღეს პატარა იუგოსლავური გემით, რ. ელიგულაშვილთან და მეუღლესთან ერთად, კონსტანტინოპოლისკენ მიმავალ „ერნესტ რენანს“ გამოჰკიდებოდა.

დამქანცველი და ურთულესი მგზავრობის მიუხედავად, გემი სტამბოლში ჩავიდა 14 მარტს. წინა დღით იქ უკვე ჩასული იყო „ერნესტ რენანი“. 20 მარტს საქართველოს ქონება კონსტანტინოპოლში კრეისერიდან გადაიტვირთა სამოქალაქო-სამგზავრო გემ „ბიენ-ჰოა“-ზე. გემმა ექვთიმე თაყაიშვილთან და მის თანმხლებ პირებთან ერთად გეზი საფრანგეთის ქალაქ მარსელისკენ აიღო. ექვთიმეს არქივმა შემოგვინახა საყურადღებო დოკუმენტი – ბიენ-ჰოას კაპიტნის, პიერ ვანდიეს 1921 წლის 18 მარტით დათარიღებული ბრძანება, ფრანგულად, საბეჭდ მანქანაზე აკრეფილი, შტამპიან ქაღალდზე. კაპიტნის ბრძანებაში ჩაწერილია: „კავკასიაში საფრანგეთის უზენაესი კომისრის (ე.ი. ა. შევალიეს – გ. ს.) შუამდგომლობით ბატონები თაყაიშვილი – საქართველოს დამფუძნებელი კრების ამხანაგი, მეუღლითურთ, და ელიგულაშვილი – საქართველოს ფინანსთა მინისტრის ამხანაგი, გაემგზავრებიან „ბიენ-ჰოათი“ ქართული განძის თანხლებისათვის. მათი მოგზაურობის ხარჯებს კისრულობს საგარეო საქმეთა უწყება. ისინი დაიშვებიან მეთაურის სუფრაზე. „ბიენ-ჰოას“ გამგზავრება დანიშნულია კვირას, 1921 წლის 20 მარტს“. ბრძანების ასლები მიეცათ ე. თაყაიშვილს, რ. ელიგულაშვილს და ა. შევალიეს“.[60]

გემს საკმაოდ რთული გზა ჰქონდა გასავლელი. მას უნდა შემოევლო მცირე აზიის, ეგვიპტისა და ჩრდილო აფრიკის ნავსადგურები და იქიდან დაჭრილები და ავადმყოფები წამოეყვანა. გემის კაპიტანი პიერ ვანდიე ე. თაყაიშვილს, მისდამი გამოჩენილი ყურადღების ფარგლებში, საშუალებას აძლევდა, ნავსადგურებში დგომის პერიოდში, კატერით გადასულიყო სანაპიროზე და დაეთვალიერებინა ქალაქის ღირშესანიშნაობები.

მწერალი ელიზბარ უბილავა აღნიშნავს: „სტამბოლში ყოფნის დროს ექვთიმეს ჩაუსწრო ბორჯომიდან, დიდი მთავრის სასახლიდან წამოღებულმა ნივთებმა, ფერწერულმა სურათებმა და ირმის რქებმა. ირმის რქები დატოვეს ქართველ კათოლიკეთა მონასტერში, ხოლო სურათები წაიღეს. დიდი იყო ექვთიმეს სიხარული, როცა დაკარგული ყუთის პოვნის ამბავიც შეატყობინეს“.[78]

აბელ შევალიესა და გემის კაპიტნის წინასწარი ინფორმირების წყალობით, 1921 წლის 10 აპრილს მარსელში ჩასულ „ბიენ-ჰოას“ და საქართველოს განძეულობას საფრანგეთის ხელისუფლება მომზადებული დახვდა და დიდი სიფრთხილით მოეკიდა ამ საქმეს.

ე. თაყაიშვილის მოთხოვნით, მარსელში სასწრაფოდ იქნენ მივლინებულნი ცნობილი მეცნიერი და დიპლომატი ზურაბ ავალიშვილი და მთავრობის საქმეთა

რწმუნებული ანდრია დეკანოზიშვილი. ამრიგად, განძის გადაბარებასთან დაკავშირებით, შეიქმნა კომისია, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ: ე. თაყაიშვილი, რ. ელიგულაშვილი, ზ. ავალიშვილი და ა. დეკანოზიშვილი.

განძეულის ტრანსპორტირებისა და შენახვის პროცესის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საფრანგეთის ხელისუფლებამ მოიხმო ცნობილი სენეგალის პოლკი. თვით საფრანგეთის ქონების გადაადგილებაც კი ამ შენაერთს ევალებოდა. ზემოაღნიშნული სამხედრო დანაყოფის მიერ ქართული ნივთების გემიდან მარსელის ბანკში გადატანისთანავე კომისია მუშაობას შეუდგა. კომისიის საქმიანობამ ერთ თვეს გასტანა.

გადმოტანილ ყუთებში მოთავსებული ეროვნული ფასეულობის ნაწილი ჩაბარდა საფრანგეთის ბანკის მარსელის განყოფილებას, ნაწილი მოთავსდა პარიზის ბანკ „გარდმებლში". თავდაპირველად, ე. თაყაიშვილი მეუღლესთან ერთად დაბინავდა ვ. ჰიუგოს პროსპექტზე მდებარე სასტუმროში, სადაც დროებით ცხოვრობდნენ საქართველოს დევნილი მთავრობის წევრები და თვით ნ. ჟორდანია.

საფრანგეთში ჩასულ ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას დახმარების ხელი კვლავ აბელ შევალიემ გაუწოდა. ამ უკანასკნელმა ნ. ჟორდანია და აკ. ჩხენკელი საფრანგეთის პრემიერ-მინისტრს, ბრიანს შეახვედრა. პრემიერმა ქართველები გულღიად მიიღო და ყველანაირი დახმარების, მათ შორის ფინანსურის, აღმოჩენას დაჰპირდა. ბრიანი ასევე დიდად დაინტერესდა ქართული ეროვნული საგანძურის ხილვით. შეხვედრაზე გადაწყდა ქართველ ემიგრანტთათვის პარიზიდან ოციოდე კილომეტრში ლევილის მამულის მიყიდვა. საფრანგეთის ფინანსთა მინისტრთან ერთად, აღნიშნული საკითხის მოგვარება ბრიანმა ისევ აბელ შევალიეს დაავალა.

მამულის ქართველთათვის გადაცემის შემდეგ ე. თაყაიშვილი მეუღლესთან და სხვა ქართველ ემიგრანტებთან ერთად სასტუმროში თითქმის ერთწლიანი ცხოვრების შემდეგ ლევილში გადაბარგდა.

1922 წლის დასაწყისში ე. თაყაიშვილი ჯერ ფრანგ ნუმიზმატთა საზოგადოების, ხოლო შემდგომ საარიო საზოგადოების წევრად აირჩიეს. ამან ე. თაყაიშვილი სამეცნიერო საქმიანობის მიმართ მეტი შემართებით განაწყო. პროფესორი იოსებ მეგრელიძე, ქართული ეროვნული ფასეულობის შემდგომ ბედზე მიანიშნებს:

„1921-24 წლებში საგანგებო კომისიის მიერ „სარეალიზაციოდ" მიჩნეული 128 ყუთი „საბანკო ვერცხლეულობა" (ზოდები) გადაუდნიათ და გაუყიდიათ 1 200 000 მანეთად. თანხის ნაწილით 1922 წელს შეუძენიათ პარიზიდან 26 კილომეტრზე მდებარე სოფელ ლევილში მამული და სახლი.

ამ სახლის მეორე სართულზე 2 ოთახი მიუჩენიათ ე. თაყაიშვილისა და მისი მეუღლისათვის. ამავე ოთახში დაუწყვიათ 15 ყუთი საეკლესიო ნივთებითა და არქეოლოგიური მასალებით, კედლებზე კი 7 ყუთით მიტანილი 91 სურათი დაუკიდიათ".[50] ამას გარდა, დევნილმა მთავრობამ განძის შენახვისათვის შეიტანა ყოველწლიური გადასახადი ორი ათას ხუთასი ფრანკის ოდენობით.

ქართული საგანძურის თაობაზე ინფორმაცია სათანადო წრეებში სწრაფად გავრცელდა. ქართული ფასეულობით დიდად დაინტერესდა ნიუ-იორკის ხელოვნების მუზეუმის, „მეტროპოლიტენ მუზეუმის“ დირექტორი პერბერტ ჯონსონი. მის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენდა მინანქრიანი ხატები და მედალიონები. მის მიერ შემოთავაზებული წინადადებები საკმაოდ მიმზიდველი იყო უსახსროდ დარჩენილი ქართველი ემიგრანტებისათვის. შემდეგ განძის თაობაზე ბრიტანეთის მუზეუმმა დაიწყო დევნილ მთავრობასთან მოლაპარაკება, რისთვისაც პარიზში მიავლინა ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსი, ქართველოლოგი ალენი. ორივე მცდელობა ე. თაყაიშვილის შეუვალი პოზიციის გამო, უშედეგოდ დამთავრდა. ე. თაყაიშვილს, შემდგომ წლებში, ქართული საგანძურის გამოფენის მიზნით, არაერთი მოწვევა ჰქონდა ნიუ-იორკიდან, ფილადელფიიდან, ლონდონიდან, მაგრამ ყველა ამ წინადადებას უარით უპასუხა.

ქართული განძის კუთვნილების თაობაზე სასამართლოში ჩიოდა პარიზში მცხოვრები გრაფ ობოლენსკის ქვრივი, სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის, ნიკო დადიანის ასული, სამეგრელოს დედოფლის, ეკატერინე ჭავჭავაძის შვილიშვილი სალომე.

სალომე ობოლენსკაია საქართველოდან დიდ ხნის წასული იყო. ის მეუღლესთან, პრინც ობოლენსკისთან ერთად ჯერ პეტერბურგში, ხოლო შემდეგ პარიზში ცხოვრობდა. მისი მამა – ნიკო დადიანი, რომელსაც განათლება პეტერბურგსა და პარიზში ჰქონდა მიღებული, საკმაოდ ცნობილი პიროვნება იყო, მას კარგად იცნობდა და აფასებდა ილია ჭავჭავაძე. ნ. დადიანი ცხრაასიანი წლების დამდეგს გარდაიცვალა. მოგვიანებით, მოულოდნელად გარდაიცვალა სალომეს მეუღლე პრინცი ობოლენსკიც.

ს. ობოლენსკაია ძირითადად დავობდა მამამისის – ნიკო დადიანის სასახლიდან – ზუგდიდიდან წამოღებული განძეულობის მისადმი კუთვნილების თაობაზე. მას სასამართლო დავებში ეხმარებოდა ქართველი ემიგრანტი პოლკოვნიკი ვაჩნაძე. ს. ობოლენსკაიას ბევრი ქომაგი გამოუჩნდა საფრანგეთის უმაღლეს წრეებში. შვიდწლიანი სასამართლო პროცესი ს. ობოლენსკაიასათვის წარუმატებელი აღმოჩნდა.

დავუბრუნდეთ ქართული ემიგრაციისა და მასთან ერთად, ექვთიმე თაყაიშვილის საფრანგეთში ჩასვლის პირველ პერიოდს და საქართველოში ბოლშევიკების ქართული საგანძურით დაინტერესების საკითხს. როგორც ზემოთ აღინიშნა, საბჭოთა რუსეთის ცაკ-ის ცნობილი დადგენილების შემდეგ, საქართველოს დაუბრუნდა რუსეთში გაბნეული ქართული საისტორიო ფასეულობები, მაგრამ საქართველოს განძეულის ყველაზე დიდი ნაწილი პარიზში იყო. საბჭოთა მთავრობა მისი დაბრუნების საკითხს საკმაოდ ფაქიზად ეპყრობოდა. ამის დასტურია აკადემიური საკითხების ხაზით რსფსრ-ში მომუშავე საქართველოს სსრ წარმომადგენლის, დამიანე ჯგუშიას ექვთიმე თაყაიშვილისადმი 1923 წლის 15 იანვარს გაგზავნილი წერილიც:

„საქართველოს საბჭოთა მთავრობას განზრახული აქვს ოფიციალური წინადადებით მიმართოს მენშევიკებს სიძველეთა დაბრუნების შესახებ, რათა ტფილი-

სის უნივერსიტეტის ნაყოფიერი მუშაობა შეფერხებული არ იქნეს, მაგრამ ჩვენ გავიგეთ, რომ საქართველოს სიძველენი იქ საიდუმლოთ გქონიათ შენახული და ამისათვის ფართო, ოფიციალურ ლაპარაკს შეუძლია დიდი საშიშროება მიაყენოს მათ უკან დაბრუნებას. რომ საფრანგეთის მთავრობა ამა თუ იმ მიზნის გამო აღნიშნულ სიძველეებს ხელში ჩაიგდებს, ეს თქვენთვისაც ცხადია. ამიტომ სიფრთხილე მეტად საჭირო არის. მიუხედავად ასეთი შესაფერი, საიმედო და კეთილსინდისიერი მეთვალყურისა, როგორც თქვენ ბრძანდებით, დღევანდელ მღელვარე ევროპაში გატანილ ქართულ სიძველეთა სვე-ბედი მცირე რამ შემთხვევაზეა დამოკიდებული".[61]

ამავე წერილში დ. ჯგუშია ექვთიმე თაყაიშვილს სთხოვდა ყველაფერი ეღონა, რათა სასწრაფოდ დაბრუნებულიყო საგანძურითურთ საქართველოში და გაეგრძელებინა საქმიანობა თბილისის უნივერსიტეტის კედლებში და ხელისუფლების მხრიდან ხელშეუხებლობის სრულ გარანტიას ჰპირდებოდა.

1923 წლის მარტში ე. თაყაიშვილს მოსკოვიდან ფოსტით წერილს უგზავნის ახალგაზრდა ხელოვნებათმცოდნე, თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის ერთ-ერთი კურსდამთავრებული შალვა ამირანაშვილი, რომელიც დამიანე ჯგუშიას მიერ იქნა მიწვეული მოსკოვში სათანამშრომლოდ. შ. ამირანაშვილი ატყობინებდა ე. თაყაიშვილს მოსკოვში ფასეულობებთან დაკავშირებით მის მიერ გაწეული სამუშაოს თაობაზე და გამოთქვამდა მასთან პირადი შეხვედრის დიდ სურვილს. აქვე შ. ამირანაშვილი სთხოვდა ე. თაყაიშვილს საფრანგეთში გასამგზავრებლად ვიზის გამოგზავნას შემდგომი სამეცნიერო საქმიანობის გასაგრძელებლად. ე. თაყაიშვილმა შ. ამირანაშვილის წერილს სწრაფად უპასუხა. მისდამი გაგზავნილ წერილში ის მიუთითებდა, რომ საქართველოდან 1921 წელს წაღებული განძი კარგად იყო დაცული და იმედს გამოთქვამდა, რომ ახლო მომავალში განძი უკლებლივ, ქართველ ხალხს დაუბრუნდებოდა.

ის სიფრთხილე, რასაც იჩენდა საბჭოთა მთავრობა ზოგადად საფრანგეთთან ურთიერთობაში, სავსებით გასაგებია იმ პერიოდში ევროპასა და ამ ქვეყანაში არსებული ვითარებიდან გამომდინარე, მით უმეტეს, როდესაც საფრანგეთმა, რადიკალ ედუარ ერიოს მთავრობამ, სსრ კავშირი ცნო მხოლოდ 1924 წლის ოქტომბერში, რის შემდეგაც დამყარდა მათ შორის დიპლომატიური ურთიერთობა.

როგორც უკვე აღინიშნა, დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებასა და პარიზში საბჭოთა წარმომადგენლობის გახსნას მოჰყვა საბჭოთა საგარეო დაზვერვის „ლეგალური" რეზიდენტურების ამოქმედება. სხვა საკითხებთან ერთად, საბჭოთა დაზვერვა და საბჭოთა საქართველოს სპეცსამსახური ქართული ეროვნული საგანძურითაც ინტერესდებოდა.

საქართველოდან გატანილი ეროვნული ფასეულობის თემა, განსაკუთრებით ემიგრაციის პირველ წლებში, არცთუ ისე ხშირად ფიგურირებდა პარიზიდან მოწოდებული საბჭოთა საგარეო დაზვერვისა და საბჭოთა საქართველოს სპეცსამსახურების თანამშრომელთა და ფარულ აგენტთა ანგარიშებში. ერთ-ერთ ასეთ შეტყობინებაში (1924 წ.) მინიშნებულია:

„Как известно в свое время меньшевики вывезли из Грузии ценности, часть которых была реализована в Европе. Но значительная часть церковных ценностей, по нашим сведениям, находится в Марселе и сдана там на хранении

банку. Желательно было бы получить от Вас список увезённых вещей для того, чтобы в нужный и подходящий момент предъявить требование об их возвращении нам. Как Вы помните, в свое время требование о возвращении нам ж.д. имущества в Германии было удовлетворено. Такая же ситуация может сложится в связи с приказом левого блока, и во Франции*".[318]

თუ კონკრეტულად რა დავალება მიიღო ქართულ ეროვნულ ფასეულობასთან დაკავშირებით საბჭოთა საქართველოს სპეცსამსახურმა, სათანადო საარქივო მასალების უქონლობის გამო ჩვენთვის უცნობია. ერთ-ერთმა ვეტერანმა ჩეკისტმა გენერალ შადურის მონათხრობზე დაყრდნობით გაიხსენა, რომ საქართველოს სპეცსამსახურებს ქართული ეროვნული საგანძურის გატანის კვალდაკვალ საფრანგეთში მიუვლენია ტიტე ლორთქიფანიძე, რომლის აქტიური მოღვაწეობა საგანგებო კომისიაში, როგორც ვნახეთ, იწყება 1921 წლის მარტიდან. შესაძლოა, ეს მისი პირველი სერიოზული სადაზვერვო დავალება ყოფილიყო. თუმცა, ჩვენი აზრით, ქართულ ეროვნულ ფასეულობასთან დაკავშირებულ ინფორმაციასთან მას კავშირი აუცილებლად ექნებოდა 1925-1927 წლებში საფრანგეთში ყოფნისას.

საქართველოს დევნილი მთავრობა, ისედაც უამრავი პრობლემით დახუნძლული, სულ უფრო და უფრო ნაკლებ ყურადღებას იჩენდა ქართული ეროვნული ფასეულობის მიმართ და მისი მოვლა-პატრონობა და დაცვა მან მთლიანად ე. თაყაიშვილს შეატოვა. ქართულ ეროვნულ ფასეულობას განიავება დაემუქრა, რითაც ზოგიერთი ქართველი ემიგრანტი იყო დაინტერესებული.

შალვა ბერიშვილის აზრით, გიორგის ჯვარი, რომელიც იყიდებოდა, ქართველ ემიგრანტებს უჩუქებიათ ცნობილი ქართველოლოგის – მარჯორი უორდროპის ქალიშვილისათვის. ამის თაობაზე სცოდნია თვით ე. თაყაიშვილს. შ. ბერიშვილისათვის ეს ფაქტი უცნობებია ბიცოლას – მარო რამიშვილს, რომელიც იყო ცნობილი რევოლუციონერი მხატვრის, არჩილ გოგიაშვილის და. მსგავსი შემთხვევები, შ. ბერიშვილის აზრით, სხვაც ყოფილა.[199]

რაც დრო გადიოდა, ქართული ეროვნული ფასეულობის „სამართლებრივი მდგომარეობა" საფრანგეთში სულ უფრო და უფრო რთულდებოდა. ამის მთავარი მიზეზი იყო ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური ვითარება. საფრანგეთის მთავრობა წამდაუწუმ იცვლებოდა. საქართველოს დევნილი მთავრობისათვის აღარავის ეცალა. საფრანგეთის მთავრობამ აღარ ცნო საქართველოს დევნილი მთავრობა, განძეულობა უპატრონოდ გამოცხადდა და იგი, 1934 წლის 8 მაისის სასამართლოს გადაწყვეტილებით, შესანახად გადაეცა საფრანგეთის საარბიტრაჟო სასამართლოების მუდმივ წევრს, პიერ ჟოდონს. ის ამავდროულად იყო უპატრონოდ დარჩენილი რუსეთის ქონების დროებითი გამგებელი. 1934 წლის 30 ნოემბერს ჟოდონმა და სასამართლოს აღმასრულებელმა, საქართველოს წარმომადგენლების გარეშე, პარიზის ბანკში მოთავსებული ყუთები ქართული

* როგორც ცნობილია, თავის დროზე, მენშევიკებმა საქართველოდან გაიტანეს განძეულობა, რომლის ნახევარიც რეალიზებულ იქნა ევროპაში. თუმცა, საეკლესიო ფასეულობების მნიშვნელოვანი ნაწილი, ჩვენი მონაცემებით, იმყოფება მარსელში და ბანკში ჩაბარებულია შესანახად. სასურველი იქნება, თქვენგან მივიღოთ სია გატანილი ნივთებისა, რათა საჭირო და მოსახერხებელ მომენტში ნამოვაყენოთ ჩვენთვის მათი დაბრუნების მოთხოვნა. გახსოვთ, რომ თავის დროზე გერმანიაში არსებული სარკინიგზო ხაზის ქონების დაბრუნების მოთხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა. ანალოგიური სიტუაცია შეიძლება ჩამოყალიბდეს საფრანგეთშიც მემარცხენე ბლოკის ბრძანებასთან დაკავშირებით.

საგანძურით გახსნეს, აღწერეს და ხელახლა შეინახეს სეიფებში. ექვთიმე თაყაიშვილს, კონია კანდელაკსა და აკაკი ჩხენკელს ამ ყუთების ნახვის უფლება მხოლოდ ერთხელ მიეცათ.

საფრანგეთის პარლამენტის ქვედა პალატის დეპუტატი და საქართველოს დევნილი მთავრობის ყოფილი ადვოკატი შარლ პომარე ირწმუნებოდა, თუკი ე. თაყაიშვილი დაამტკიცებდა, რომ განძი ეკუთვნოდა კერძო საზოგადოებას, საფრანგეთის მთავრობა ვერ შეძლებდა ქართული ეროვნული ფასეულობების მითვისებას. მართლაც, ხანგრძლივი და დაჟინებული თხოვნის შემდეგ, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს საგანგებო სხდომამ (ნოე ჟორდანია, ევგენი გეგეჭკორი, ივანე ზურაბიშვილი, აკაკი ჩხენკელი და კონია კანდელაკი)[368] და მუზეუმთა გამგეობებმა ექვთიმე თაყაიშვილი 1935 წლის 10 აპრილს გამოაცხადეს განძეულის მომვლელ-პატრონად და განძზე პასუხისმგებელ პირად როგორც მუზეუმის, ასევე საქართველოს წინაშე.

ამის შემდეგ, ექვთიმე თაყაიშვილმა განცხადებით მიმართა საფრანგეთის მთავრობას იმის თაობაზე, რომ სამუზეუმო განძეული, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით ჟოდონს ჩაბარდა, არ წარმოადგენდა არც საქართველოს მთავრობის და არც რუსეთის ყოფილი მთავრობის საკუთრებას, იგი ეკუთვნოდა კერძო დაწესებულებებს: „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ და მის მუზეუმს, ე. თაყაიშვილის მიერ დაარსებულ „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფო საზოგადოებას“, საქართველოს „სამღვდელოების საეკლესიო მუზეუმს“ და კერძოდ დაარსებულ „მხატვართა საზოგადოებას“.

მოვლენების შემდგომი განვითარება საქართველოს ეროვნულ ფასეულობასთან დაკავშირებით დამოკიდებული იყო, უპირველეს ყოვლისა, საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ჩამოყალიბებულ ურთიერთობებზე.

1932 წლის 29 ნოემბერს პარიზში ხელი მოეწერა საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის ურთიერთთავდაუსხმელობის პაქტს, რომელიც რატიფიცირებული იქნა 1933 წლის თებერვალში. ეს მოხდა ე. ერიოს მესამე კაბინეტის დროს. ამ დოკუმენტის მეხუთე მუხლის მიხედვით, ორივე სახელმწიფო კისრულობდა პატივი ეცათ ერთმანეთის სუვერენიტეტისათვის და არ ჩარეულიყვნენ ერთმანეთის საშინაო საქმეებში. ორივე მხარე კისრულობდა ვალდებულებას „არ შეექმნა, მხარი არ დაეჭირა, არ მოემარაგებინა, არ მოეხდინა სუბსიდირება და არ დაეშვა თავის ტერიტორიაზე არც სამხედრო ორგანიზაციები, რომელთაც მიზნად ჰქონდათ მეორე მხარის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლა, არც ორგანიზაციები, რომელნიც იჩემებდნენ ყველა მისი ტერიტორიის ან მისი ნაწილის მთავრობის ან წარმომადგენლის როლს“.[93]

1934 წლის დამდეგს საფრანგეთში ადგილი ჰქონდა ფაშისტური გადატრიალების მცდელობას, რომელიც ხალხის მხარდაჭერით ჩაიშალა. მოსახლეობის ზეგავლენით საფრანგეთის მთავრობა იძულებული გახდა 1935 წლის 2 მაისს ხელი მოეწერა სსრ კავშირთან ურთიერთდახმარების ხელშეკრულებაზე.

აღნიშნული პერიოდიდან მოყოლებული, ძალზე გაჭირდა როგორც ცალკეული ემიგრანტი ქართველისგან, მათ შორის სოციალ-დემოკრატებისაგან, ისე უცხოელებისაგან განძის დაცვა. ე. თაყაიშვილი ხვდებოდა, რომ ასეთ რთულ ვითარებაში ის წინააღმდეგობის გაწევას ვეღარ შეძლებდა და ქართული ეროვნული

ფასეულობების შესაძლო დაკარგვა მას დაბრალდებოდა. აქედან გამომდინარე, ყველაზე რეალურ გზად მიიჩნია ისტორიული სიმდიდრის საბჭოთა საქართველოში დაბრუნება. ე. თაყაიშვილის ამ განწყობის თაობაზე ცნობილი გახდა საბჭოთა სპეცსამსახურებისათვის სხვადასხვა წყაროს მეშვეობით.

1935 წლის 9 აპრილს ექვთიმე თაყაიშვილმა პარიზიდან წერილობით მიმართა საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის სამეცნიერო დაწესებულებათა სამმართველოს უფროსს, პროფესორ ვუკოლ ბერიძეს. წერილში იგი დეტალურად აღწერდა ქართული საგანძურის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს, ითხოვდა აღნიშნული საკითხის მოგვარებასთან დაკავშირებით გადამჭრელი ზომების მიღებას და საფრანგეთის ხელისუფლებასთან მოსალაპარაკებლად საქართველოს დეპუტაციის პარიზში მივლინებას.

პროფესორ გ. ჟორდანიას გადმოცემით, ე. თაყაიშვილის 1935 წლის 9 აპრილით დათარიღებული წერილი, მიღებისთანავე, 26 აპრილს, ვუკოლ ბერიძეს გადაუცია საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის, ფილიპე მახარაძისათვის, რომელსაც იმავე დღეს გადაუგზავნია იგი საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტში და მოუთხოვია, სასწრაფოდ ყოფილიყო მიღებული ზომები განძეულობის დასაბრუნებლად. ფილიპე მახარაძეს ამ საკითხის გადაჭრა მართებულად მიაჩნდა მხოლოდ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ჩარევითა და დახმარებით, რისთვისაც იმ მომენტში არსებობდა ხელსაყრელი პოლიტიკური ვითარება.

საქმეს სასწრაფოდ მისცემია მსვლელობა. ქართული საუნჯის დაბრუნებაზე განსაკუთრებული მზრუნველობა გამოუჩენია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს, გერმანე მგალობლიშვილს. არქივში შემონახული ყოფილა განძის თაობაზე გ. მგალობლიშვილის მიმოწერა სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელ მუშაკებთან. ამ მიმოწერიდან ირკვევა, რომ ექვთიმეს 1935 წლის 9 აპრილის წერილის მიღების შემდეგ გ. მგალობლიშვილს მოუმზადებია სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატისადმი მიმართვის დასართავი მასალები: უთარგმნიათ რუსულად ექვთიმეს წერილი და განძეულობის სია, შედგენილი თბილისში 1921 წელს და მის საფუძველზე შედგენილი ვრცელი მოხსენებითი ბარათი საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისრის ხელმოწერით.

ამავე დროს, გ. მგალობლიშვილის დავალებით, სათანადო ცნობები შეუკრებია სსრკ სახბანკის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეს ალ. სვანიძეს, რომელსაც უცნობებია გ. მგალობლიშვილისათვის, რომ საქმის აღძვრისათვის საჭირო იყო საქართველოს სსრ მთავრობის მიერ სათანადო მინდობილობის გაცემა. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს უმსჯელია ამ საკითხზე და, ვინაიდან საქმის აღძვრისათვის პოლიტიკური ვითარება მას ხელსაყრელად უცვნია, შესაბამისი დადგენილების საფუძველზე, თხოვნით მიუმართავს სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატისათვის, რათა მას უახლოეს პერიოდში დაესვა ეს საკითხი საფრანგეთის მთავრობის წინაშე და გაუცია კიდეც რწმუნებულება სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის, ნ. კრესტინსკის სახელზე. გ. მგალობლიშვილის პირველი წერილი ნ. კრესტინსკისადმი დათარიღებულია 1935 წლის 11 სექტემბრით. ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის მუდმივ წარმომად-

გენელთან პირად საუბარში 21 სექტემბერს ნ. კრესტინსკის დაუდასტურებია, რომ „ქართული განძეულობის დაბრუნების თაობაზე მოლაპარაკებისათვის ვითარება ხელსაყრელია". ნ. კრესტინსკის მიუცია სათანადო დავალება საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლობისათვის პარიზში და გადაუგზავნია მისთვის გ. მგალობლიშვილის 11 სექტემბრის წერილისათვის თანდართული მასალა.[61]

საფრანგეთში პრაქტიკულად ალაბედად მიტოვებულ ქართულ ეროვნულ ფასეულობასთან დაკავშირებით წარმოებული მიწერ-მოწერისა და მოლაპარაკების თაობაზე საქმის კურსში იყო საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლავრენტი ბერია. აღნიშნული პრობლემა პერიოდულად მოხსენდებოდა ხოლმე ი. სტალინს, რომელიც ქართული ეროვნული ფასეულობების მიმართ გულგრილი არ იყო.

ი. სტალინის ქართული ეროვნული საგანძურით დაინტერესების თაობაზე, კერძოდ იმაზე, თუ როგორ დაეხმარა იგი მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა მკვლევარს შ. ამირანაშვილს 1923 წლის გაზაფხულზე რუსეთის სახელმწიფო საგანძურში დაცული მ. პ. ბოტკინის კოლექციის საქართველოსათვის გადაცემის საკითხში, მიანიშნებს მეცნიერი თავის მოგონებებში.

სტალინისა და ბერიას ქართული ეროვნული საგანძურით დაინტერესებასა და მის დასაბრუნებლად „კიდევ ერთხელ გაბრძოლებას" მოწმობს ის ფაქტიც, რომ წერილის მიღებიდან უმოკლეს დროში, 1935 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, საფრანგეთში სასწრაფოდ იქნა მივლინებული ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ბიქტორ კვიტაშვილი, კაცი განსწავლული, მაგრამ სიძველეთა საკითხებში არაპროფესიონალი. მან იქ დაახლოებით ორი თვე დაჰყო. სსრკ შინსახკომში არსებული წესის თანახმად, სავარაუდოდ, ბ. კვიტაშვილს პარიზში გამგზავრებამდე, ოპერატიული ვითარების გასაცნობად და შესაბამისი ინსტრუქციების მისაღებად, შეხვედრები ექნებოდა მოსკოვში საბჭოთა საგარეო დაზვერვის შესაბამისი მიმართულების წარმომადგენლებთან.

ბ. კვიტაშვილის საფრანგეთში გამგზავრების თაობაზე ინფორმირებული იყო საბჭოთა საგარეო დაზვერვის პარიზის რეზიდენტურა, რომელმაც ადგილზე მას კარგი სამუშაო პირობები შეუქმნა.

საფრანგეთის ხელისუფლებასთან განძის თაობაზე მოლაპარაკებებზე პასუხისმგებლობა უშუალოდ დაეკისრა საფრანგეთში საბჭოთა კავშირის ელჩს ვლადიმერ პოტიომკინს, ხოლო ექვთიმე თაყაიშვილთან მოლაპარაკებები და სათანადო საბუთების მოკვლევა-მოძიება, ბ. კვიტაშვილთან ერთად, დაევალა საელჩოს მდივანს, საბჭოთა დაზვერვის რეზიდენტურის თანამშრომელს ალექსანდრე ვლადიმერის ძე გირშფელდს. აღნიშნულ პიროვნებაზე მინიშნება გააკეთა ექვთიმე თაყაიშვილმა თავის 1952 წლის მოგონებაში.[60] ა. გირშფელდის პიროვნება ქართულ ეროვნულ ფასეულობასთან დაკავშირებულ არც ერთ მეცნიერულ გამოკვლევაში არ ფიგურირებს. მისი საბჭოთა დაზვერვასთან თანამშრომლობის ფაქტი ექ. თაყაიშვილისათვის ცნობილი არ უნდა ყოფილიყო.

ა. ვ. გირშფელდი (1897-1962 წწ.) გახლდათ საბჭოთა სამხედრო დაზვერვის თანამშრომელი. ის 1931-1938 წლებში იმყოფებოდა საზღვარგარეთ და დიპლომატის საფარქვეშ ეწეოდა სადაზვერვო საქმიანობას. საბჭოთა კავშირში დაბ-

რუნების შემდეგ მუშაობდა ისტორიის ინსტიტუტში, შემდეგ – საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წყნარი ოკეანის ინსტიტუტში. მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში. ომის დამთავრების შემდეგ იყო მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.[22] კვიტაშვილი ექვთიმესთან საკონსულტაციოდ სამჯერ ჩავიდა ლევილში (ე. თაყაიშვილი თავის მოგონებაში წერს, რომ ბ. კვიტაშვილი იყო „კარგი ადამიანი, მაგრამ განძეულობის საქმეში ნაკლებად ჩახედული"). ვ. პოტიომკინმა ე. თაყაიშვილთან ლევილში მიავლინა ა. ვ. გირშფელდიც, რომლის პირითაც სთხოვა ექვთიმეს, გაეცნო მისთვის და ბ. კვიტაშვილსათვის საქმის ვითარება.

ე. თაყაიშვილმა გადასცა ბ. კვიტაშვილს განძის საქმესთან დაკავშირებული ყველა მის ხელთ არსებული მასალა. შემდგომ თვითონაც ჩავიდა პარიზში და თითქმის მთელი თვე (საფიქრებელია, რომ ეს ხდება 1935 წლის დეკემბერს) დარჩა. მან ა. გირშფელდსა და ბიქტორ კვიტაშვილს გააცნო საქმის არსი და საკითხის გადაწყვეტის დაჩქარება ითხოვა.

ე. თაყაიშვილმა ასევე შესთავაზა ბ. კვიტაშვილს და საბჭოთა წარმომადგენლობას, სასწრაფოდ გაეწიათ ორგანიზაცია ბორჯომის სასახლეების ბიბლიოთეკების საბჭოთა მხარისათვის გადაცემისათვის, მაგრამ ბ. კვიტაშვილმა ვერ იკისრა წიგნების გასაგზავნი „ხარჯის გაღება" და საბოლოოდ ამ საქმესთან დაკავშირებით ექვთიმესა და მას შორის შეხვედრა აღარ შემდგარა.

ამ პერიოდში ვერ მოხერხდა საბჭოთა კავშირში განძის დაბრუნებისათვის სამართლებრივი (პოლიტიკური) და ზნეობრივი წინაპირობის შექმნა. ამის უმთავრესი მიზეზი იყო ომამდელი საფრანგეთის ხელისუფლების არასტაბილური, ბევრწილად ნეგატიური დამოკიდებულება საბჭოთა კავშირისადმი და ამ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისადმი. ნაკლებად სავარაუდოა, რომ საბჭოთა კავშირს მიეღო რაიმე გარანტიები საფრანგეთის მხრიდან ქართული ფასეულობების ხელშეუხებლობაზე. მომავალი დიდი პოლიტიკური ბატალიების ფონზე როგორც საფრანგეთისათვის, ისე საბჭოთა კავშირისათვის ქართული ეროვნული ფასეულობის საკითხმა პრაქტიკულად აქტუალობა დაკარგა.

ქართული განძის საკითხი ადგილიდან არ დაძრულა საფრანგეთის მთავრობის სათავეში სოციალისტ ლეონ ბლუმის მოსვლის შემდეგაც, რომელთანაც ქართველ სოციალ-დემოკრატებს საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. ე. თაყაიშვილმა, ახალი მოხსენებითი ბარათით, ლ. ბლუმთან მოსალაპარაკებლად გაგზავნა საქართველოს დევნილი მთავრობის ყოფილი წარმომადგენელი თურქეთში სიმონ მდივანი. ფრანგ სოციალისტთა ლიდერის მხრიდან იყო დაპირება, რომ საკითხს განიხილავდა, მაგრამ დაპირება დაპირებადვე დარჩა.

ე. თაყაიშვილისათვის ერთადერთ იმედად რჩებოდა საქართველოსთან წერილობითი მიმოწერა. მისთვის სასურველ ინფორმაციას ის იღებდა ლენინგრადიდან და თბილისიდან, ძირითადად, პროფესორ იოსებ მეგრელიძისაგან. ამ მიმოწერის თაობაზე საქმის კურსში იყო საბჭოთა საქართველოს სპეცსამსახურიც, რომელმაც ზედმიწევნით ზუსტად იცოდა ქართულ ეროვნულ ფასეულობასთან დაკავშირებული ყველა ნიუანსი. საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის ურთიერთობები მეორე მსოფლიო ომის მოახლოებასთან ერთად სულ უფრო და უფრო იძაბებოდა.

სსრ კავშირთან მეგობრობის ხელშეკრულების დადების მიუხედავად, ე. დალადიეს მთავრობა ნაცისტურ გერმანიასთან აშკარა წამქეზებლური პოლიტიკის გზას დაადგა – ნომერ პირველ მტრად არა გერმანია, არამედ საბჭოთა კავშირი გამოაცხადა.

ე. თაყაიშვილმა პიერ ჟოდონისა და შარლ პომარეს ხელშეწყობით ქართულ ეროვნულ ფასეულობასთან დაკავშირებით ხელახალი საკასაციო საჩივარი შეიტანა პარიზის საარბიტრაჟო სასამართლოში, თუმცა დაიწყო ომი და ეს საკითხი კვლავ გადაიდო.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში მარტოდ დარჩენილი ქართველი მეცნიერი ექვთიმე თაყაიშვილი უმძიმეს პირობებში იმყოფებოდა. მას შემდეგ, რაც საფრანგეთი მეორე მსოფლიო ომში ჩაერთო, ქართულ ეროვნულ ფასეულობაზე რეალურმა პასუხისმგებელმა პირმა პიერ ჟოდონმა პრაგმატულად განჭვრიტა მომავალი, საქართველოს განძეული ვერსალის ბიბლიოთეკის ძნელად მისაწვდომ სარდაფებში დამალა და ე. თაყაიშვილს სთხოვა, ამის თაობაზე კრინტი არსად დაეძრა.

ე. თაყაიშვილმა, თავის მხრივ, ყველაზე ღირებული, რასაც თავის სახლში ინახავდა, სარდაფში ჩაიტანა და გადამალა. პარიზის დაკავებიდან ორ-სამ დღეში მეცნიერს სამი გერმანელი – ერთი სამოქალაქო და ორი სამხედრო პირი „ესტუმრა“. ხანმოკლე გამოკითხვისა და ზოგიერთი ყუთის გასინჯვის შემდეგ, ექვთიმე თაყაიშვილმა შეძლო დაემტკიცებინა, რომ გერმანელთათვის იქ არსებული სიძველეები და დოკუმენტები არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენდა. გერმანელმა „სტუმრებმა“ ეს არგუმენტები რამდენად დაიჯერეს, ძნელი სათქმელია, მაგრამ ფაქტია, რომ ინციდენტი ამით ამოიწურა. თუმცა წინ მორიგი უსიამოვნებები ელოდათ.[76]

ქართული პოლიტიკური ემიგრაციის იმ წარმომადგენლებმა, რომლებსაც კარგი ურთიერთობა ჩამოუყალიბდათ გერმანელ ნაცისტებთან ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე, შესთავაზეს ექვთიმე თაყაიშვილს, გადასულიყო საცხოვრებლად გერმანიაში, რაზეც ამ უკანასკნელმა ცივი უარით უპასუხა.

მას შემდეგ, რაც ნაცისტებმა პარიზში მყარად მოიკიდეს ფეხი, ზოგიერთი, მათთან დაახლოებული ქართველი ემიგრანტის წაქეზებით, მთელი სიმწვავით დაისვა საქართველოს ეროვნული საგანძურის გერმანიაში გადატანის საკითხი. გერმანელებმა დაიწყეს კიდეც მოლაპარაკება საფრანგეთის კაპიტულანტურ ხელისუფლებასთან. ცხადია, გერმანელებს ამ შემთხვევაში საფრანგეთის მთავრობა წინ ვერ აღუდგებოდა. ასეთ რთულ ვითარებაში ისევ პიერ ჟოდონმა იმარჯვა და ე. თაყაიშვილს ურჩია გერმანელებისათვის რომელიმე გავლენიანი ქართველის მიგზავნა და პრობლემის ამ გზით მოგვარება. „ამ გასაჭირში დავიხმარე ერთი დიდი საქმოსანი ქართველი გ.ბ., რომელსაც „დიდი გავლენა“ ჰქონდა. მან მე დამიჭირა მხარი და არ დაეთანხმა ზოგიერთ ემიგრანტს, რომლებიც განძეულის გერმანიაში წაღებას საჭიროდ მიიჩნევდნენ. მევე მომემხრო ზემოხსენებული პროფესორი, რომელიც არწმუნებდა გერმანელებს, ეს განძეული მარტო საქართველოსთვის არის ღირებული, როგორც ისტორიული საბუთები, თორემ სხვებისათვის არაფერი სახარბიელოაო“[76] – წერს ე. თაყაიშვილი. შემდგომში თვით პ. ჟოდონმაც მიუთითა იმ დიდ როლზე, რაც ამ საქმოსანმა ქართველმა ითამაშა საქართველოს ეროვნული

ფასეულობის საფრანგეთში დარჩენის საქმეში. ჩვენი აზრით, ე. თაყაიშვილმა განძის მხსნელი ქართველი ემიგრანტის ვინაობა შეგნებულად დამალა, ვინაიდან მისი ხსენება იმ პერიოდში საბჭოთა ლიტერატურასა თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში საშიში იქნებოდა.

1941-1945 წლებში გერმანიაში მოღვაწე გაელენიან ქართველ ემიგრანტებს შორის ინიციალებით გ.ბ. მხოლოდ პროფესორი გრიგოლ ბერიძე აღმოვაჩინეთ, თუმცა მინიშნებებს მისი პროფესორობის თაობაზე ვერსად მივაკვლიეთ.

გ. ბ.-სთან დაკავშირებით არსებობს სხვა მოსაზრებაც. კერძოდ, თუკი დავუშვებთ, რომ ექვთიმე თაყაიშვილის ამ მინიშნებაში მეორე ასო „ბ"-ს ნაცვლად უნდა იყოს „მ" (შესაძლებელია შეცდომა დაშვებული იყოს ბეჭდვის დროს), ასეთ შემთხვევაში, ინიციალის „გ.მ."-ს ქვეშ შესაძლოა იგულისხმებოდეს დოქტორი გიორგი მაღალაშვილი, რომელსაც ასევე შესწევდა უნარი მოეხდინა ზეგავლენა როგორც გერმანიაში მოღვაწე ქართველ ემიგრანტებზე, ასევე ფაშისტური გერმანიის სპეცსამსახურების წარმომადგენლებზე.

ქართული ეროვნული ფასეულობის დაცვასთან დაკავშირებით წმინდა გრიგოლ ფერაძის საზოგადოების თავმჯდომარე ბატონი ილია ფერაძე განმარტავს, რომ მას შემდეგ, რაც გერმანელებმა პარიზი დაიკავეს, ფაშისტებს გრ. ფერაძე, როგორც ექსპერტი, მიუწვევიათ ქართული საგანძურის შესაფასებლად და შესაბამისი დასკვნის მოსამზადებლად. სწორედ გრ. ფერაძის ლოიალური დასკვნის წყალობით, რაც გულისხმობდა იმას, რომ ე. თაყაიშვილთან თავმოყრილ განძეულობას თითქოსდა ფასი არ ჰქონდა და ეს მხოლოდ ქართველი ერისათვის იყო მნიშვნელოვანი, ქართული ეროვნული საგანძური ნაცისტების ხელში ჩავარდნისაგან გადარჩენილა.[192]

ვინ იყო გრიგოლ ფერაძე და რა კავშირი შეიძლებოდა ჰქონოდა მას საზღვარგარეთ ბედის უკუღმართობით მოხვედრილ ეროვნულ ფასეულობასთან?

გრ. ფერაძე დაიბადა 1899 წლის 31 აგვისტოს სოფელ ბაკურციხეში (გურჯაანის რაიონი) მღვდელმონაზონ რომანოზ ფერაძისა და მარიამ სამადალაშვილის ოჯახში (პროფესორ ი. მეგრელაძის მონაცემებით გრ. ფერაძე დაბადებულა ზემოაღნიშნულ წელსა და თვეს, თუმცა ძველი სტილით, გორის მაზრის სოფელ საქაშეთში).

გრ. ფერაძე ჯერ სასულიერო სასწავლებლის (1913 წ.), ხოლო შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარიის (1918 წ.) დამთავრების შემდეგ მუშაობდა მასწავლებლად სოფლებში ზემო ხანდაკსა და მანავში, პარალელურად სწავლობდა (1918-1921 წწ.) თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე, ამავდროულად თანამშრომლობდა ჟურნალებთან „ჯეჯილთან" და „ნაკადულთან", აქვეყნებდა ლექსებს, წერილებსა და თქმულებებს.

გრ. ფერაძე მონაწილეობდა საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვისათვის ბრძოლებში 1921 წლის თებერვალში.

პროფესორ იოსებ მეგრელიძის აზრით, ნიჭიერი და ბეჯითი ახალგაზრდა გრ. ფერაძე მხედველობიდან არ გამორჩენია საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებას და ის, 1921 წლის დეკემბერში გაუგზავნია გერმანიაში სწავლის გასაგრძელებლად.[204] თავად გრ. ფერაძე თავის ბიოგრაფიაში მიუთითებს: „1921. XI – არ. ლეისტის და კერძო პირების დახმარებით მივემგზავრები ბერლინში. 1922.V – (ბერლინის) უნივერსიტეტში ვიქმენ მიღებული".[84]

გრ. ფერაძე 1922 წლის მაისიდან 1925 წლის აპრილამდე სწავლობდა ბერლინის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტზე. მისივე განცხადებისა (თხოვნის) და თბილისის უნივერსიტეტის რექტორის, ივ. ჯავახიშვილის თანხმობის საფუძველზე, გრ. ფერაძეს სწავლისათვის საბჭოთა ხელისუფლებამ 1924 წლიდან დაუნიშნა სტიპენდია.[84]

უცხო ენებისა და რელიგიის ისტორიის შესწავლით დაინტერესებულმა ახალგაზრდამ საქმიანი და პირადი კონტაქტი დაამყარა იმ დროის ცნობილ მეცნიერებთან და საზოგადო მოღვაწეებთან, აგრეთვე საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან, უპირველეს ყოვლისა: ექვთიმე თაყაიშვილთან, მიხეილ თარხნიშვილთან, მიხეილ წერეთელთან, რაფიელ ინგილოსთან (ივანიცკისთან), ზურაბ ავალიშვილთან, გიორგი გვაზავასთან, ნინო ქურციკიშვილ-სალიასთან, კალისტრატე სალიასთან და სხვებთან.

გრ. ფერაძე ბონში არაერთგზის შეხვდა ნიკო მარს. ხშირი მიმოწერა ჰქონდა კორნელი კეკელიძესთან, ბლეიკთან და აკაკი პაპავასთან ამერიკის შეერთებულ შტატებში, ალენთან და ანდრია გუგუშვილთან ინგლისში და სხვებთან.

გრ. ფერაძე თავისუფლად ფლობდა რამდენიმე უცხო ენას.

გრ. ფერაძემ 1926 წელს სწავლა განაგრძო ბონის უნივერსიტეტში. 1929 წელს, მისი უშუალო მონაწილეობით პარიზში დაარსდა წმინდა ნინოს სახელობის ქართული ეკლესია. გრ. ფერაძე 1931 წელს ლონდონში წმ. სოფიას ბერძნულ საკათედრო ტაძარში ბერად აღიკვეცა, იმავე წლის მაისში მღვდლად ეკურთხა. 31 მაისს შეუდგა მღვდელმსახურებას პარიზის წმინდა ნინოს ეკლესიაში. პროფ. ი. მეგრელიძის ინფორმაციით, გრ. ფერაძე 1929 წელს დაუპატიმრებიათ ბერლინში (მიზეზი უცნობია).[50] გრ. ფერაძეს მინიჭებული ჰქონდა პატროლოგიის პროფესორის წოდება, იყო დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მფლობელი. ის 1932 წელს ქართულ სასულიერო მწერლობასა და ბიბლიის ძველ თარგმანებზე ლექციების წასაკითხად ოქსფორდის უნივერსიტეტში მიიწვიეს. შემდგომში, 1933 წელს, გრ. ფერაძე გაემგზავრა ვარშავაში და დასახლდა ბრუკოვის ქ. N 22-ში. ის მუშაობას იწყებს ვარშავის უნივერსიტეტში მართლმადიდებლური თეოლოგიის ფაკულტეტზე პატროლოგიის პროფესორად და კათედრის გამგედ. გრ. ფერაძე 1934 წელს წმინდა სოფიას ტაძარში არქიმანდრიტად აკურთხეს.

1939 წლიდან ნაცისტური გერმანიის პოლონეთზე თავდასხმისა და შემდგომ პერიოდში გრ. ფერაძე ვარშავაში იმყოფებოდა. ის უვლიდა დაჭრილებს, მარხავდა დახოცილებს, ეხმარებოდა პოლონელებსა და ებრაელებს, რითაც პოლონელი ხალხის დიდი სიყვარული დაიმსახურა.

1942 წლის 4 მაისს ფაშისტებმა გრ. ფერაძე დააპატიმრეს ებრაელი დევნილების დახმარებისა და იატაკქვეშეთთან თანამშრომლობისათვის. ქართულ ემიგრანტულ წრეებში წლების მანძილზე არსებობდა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ გრ. ფერაძის დაპატიმრება მომხდარა ვარშავის გავლენიანი ქართველი ემიგრანტების დაბეზღებით.

გრ. ფერაძე 1942 წლის 6 დეკემბერს აღესრულა მოწამებრივი სიკვდილით ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში. მისი გარდაცვალების რამდენიმე ვერსია არსებობს, თუმცა წმინდა გრიგოლის აღსრულების ზუსტი მიზეზი დღემდე უცნობია. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, ის გაზის კამერაში შევიდა საკუთარი

სურვილით თავისი სტუდენტის, მრავალშვილიანი ებრაელი პატიმრის მაგივრად. მეორე ვერსიის თანახმად კი ერთ-ერთი გერმანელი ჯარისკაცის მკვლელობა სხვის მაგივრად მას აუღია საკუთარ თავზე, რის შემდეგაც მისთვის ბენზინი გადაუსხამთ და დაუწვავთ. გრ. ფერაძის სიმამაცეზე პოლონეთში დღესაც ლეგენდები დადის.

გრ. ფერაძის სახელი და გვარი ამოტვიფრულია ვარშავის უნივერსიტეტის შესასვლელში გამოკრულ მემორიალურ დაფაზე იმ პროფესორ-მასწავლებელთა გვერდით, რომლებიც ნაცისტური გერმანიის ძალადობას ემსხვერპლნენ.

საბჭოთა პერიოდში გრ. ფერაძის სახელი ტაბუირებული იყო. ერთადერთი, რაც მისი დაბადებიდან 70 წლისთავთან დაკავშირებით მოხერხდა, იყო ის, რომ 1969 წლის 16 ნოემბერს, სიონის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ეფრემ მეორემ გრ. ფერაძის (ერთად სწავლობდნენ სასულიერო სემინარიაში) სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა.

მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და საბჭოთა იდეოლოგიის ნგრევის შემდეგ გახდა შესაძლებელი გრ. ფერაძის პიროვნების დაფასება და საზოგადოებისათვის ახლოს გაცნობა. მეტიც, 1995 წელს საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდმა არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე წმინდანად შერაცხა. მისი ხსენების დღედ დაწესდა 6 დეკემბერი. გრ. ფერაძის, როგორც მეცნიერისა და პიროვნების, უკეთ გაცნობის მიზნით შეიქმნა წმინდა მღვდელმონამე გრიგოლ ფერაძის საზოგადოება.

დავუბრუნდეთ წინა თავში მოყვანილ წერილში მინიშნებულ ინფორმაციას (1942 წლის 29 აგვისტოთი დათარიღებულ წერილს ნოე ჟორდანია სტამბოლში უგზავნის შალვა ბერიშვილს. იგი წარმოადგენს ქართულიდან რუსულად იმავე შ. ბერიშვილის მიერ შესრულებულ თარგმანს ოფიციალური დამოწმების გარეშე):

. . .О твоем брате уже выяснено: его и двух других подвел под расстрел священник ПЕРАДЗЕ, он оказался давнишним агентом большевиков и и арестован . . .*"

ამ წერილიდან ჩანს, რომ ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას დიდი ხანია ეჭვი ჰქონდა საბჭოთა დაზვერვასთან გრ. ფერაძის კონტაქტის თაობაზე. ამ უკანასკნელს ბრალდებოდა ასევე ტიტე ბერიშვილის, ი. კეჭაყმაძისა და ვ. ათაბეგაშვილის დაბეზღება, რასაც 1939 წელს მათი დახვრეტა მოჰყვა.

„დაბეზღების თემასთან" დაკავშირებით შალვა ბერიშვილი მოგვიანებით თავის ჩანაწერებში განსხვავებულ მოსაზრებას აფიქსირებს: „...როცა გესტეპოს გაუგია, რომ ის (იგულისხმება ტ. ბერიშვილი – გ.ს.) არ იყო პოლონელი და ქართველი აღმოჩნდა, უკითხავს მის შესახებ ფაშისტის და მათი დიდი ხნის აგენტის და უკვე მათი გესტაპოს თანამშრომლისათვის, ყოვლად დაკარგული ქართველისათვის. მას უთქვამს, რომ ტიტე ბერიშვილი მათი მონინააღმდეგეა და საბჭოების თანამგრძნობიო და ამიტომ ვერ ვიკისრებ მის შესახებ რაიმე შუამდგომლობასო... ასე მუხანათურად გაიმეტა იმ შეჩვენებულმა ის უბედური ჩემი ძმა, როცა კარგად იცოდა, თუ რა ბედი ელოდა მას. ეს საშინელი ამბავი კი მან ჩაიდინა იმის გამო, რომ ჩემმა ძმამ არ შეირთო მისი ქალიშვილი, ან როგორ შეირთავდა, როცა იცოდა, თუ ვინ იყო მისი მამა და მთელი მისი ოჯახი. ისე, რომ შეერთო, გადარჩებოდა. ჩემი ძმა

* ...შენი ძმის თაობაზე უკვე გარკვეულია: ის და სხვა ორი დახვრეტამდე მიიყვანა მღვდელმა ფერაძემ, ის აღმოჩნდა ბოლშევიკების დიდი ხნის აგენტი და დაპატიმრებულ იქნა...

გესტაპომ დააპატიმრა; იმის გარდა იმ ოხერ გესტაპოს აგენტს 11 ქართველის სია ჰქონდა მიცემული გესტაპოსათვის, ვინც მას არ მოსწონდა და ყველანი ისინი დაუხვრეტიათ ჩემ ძმასთან ერთად. იმათში იყვნენ ძველი სოციალ-დემოკრატი, კატორღაში ათი წელი ნამყოფი ვასო ათაბეგაშვილი, სოციფედერალისტი, ფარმაცევტი იესე კეჭაყმაძე (ისინიც მან გამოაცხადა საბჭოების მომხრეებად და მათ მოწინააღმდეგედ), მღვდელი ფერაძე. ის კი პირდაპირ საბჭოეთის ორგანოების აგენტად გაუსაღებია და სხვები ვინ იცის რად..."[199]

გ. ფერაძეზე საუბრობს თავის მემუარებში გენერალი შ. მაღლაკელიძეც: „შემდეგ გრიგოლ ფერაძე ვარშავაში იყო. ერთი პატარა ოთახი ჰქონდა და ამ გარდმოხსნას თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა, არ იშორებდა, ზედ იწვა ხოლმე. კოტე იმნაძემ მითხრა, ვარშავის დაბომბვის დროსო, არტილერიის კონონადაშიო, გავიდა გრიგოლ ფერაძე საშიშ ადგილებზე და დაჭრილებს უვლიდა და მკვდრებს მარხავდაო. ისეთი დაბომბვის დროს მიდიოდა, რომ ჩვენ გვეშინოდა ხოლმეო. და აი ეს კაცი გესტაპომ დააპატიმრა. მე და ჩემი ვაჟი უკვე ფრონტზე ვართ, თუ არ ვცდები, 1941 წელია, და როდესაც მცირე ხნით ვარშავაში დავბრუნდით, გავიგეთ, რომ იგი გესტაპოს ნაუყვანია, დაულუქავთ მისი პატარა ოთახი და აღარც ფერაძე, და აღარც ქართული გარდმოხსნა. როგორც იქ ჩვენმა ქართველებმა ამბავი დაგვახვედრეს, ფერაძის დაჭერაში თავი „უსახელებია" მიშა ალშიბაიას, რომელიც გესტაპოს რწმუნებული იყო ვარშავაში, მათი „ფერტრაუენსმან". დიახ, მამა-შვილი ალშიბაიები იქ იყვნენ მაშინ. მერე, ომის დამთავრების შემდეგ ამერიკაში გადაბარგდნენ გაბლიანთან, ჩხატარაიშვილთან და სხვებთან ერთად". „ხოდა, იმას მოგახსენებდი, რომ უპოვნიათ ამ საწყალი ფერაძისათვის ხუთი დოლარი, რომლის გადახურდავება ვერ მოუსწრია და ვითომც ეს იყო რაღაც საბუთი მისი „საბჭოთა მზვერავობისა". 1953 წელს, როდესაც მე პაკისტანიდან მიუნხენში დავბრუნდი, მეწვია ვინმე დალინი, რუსი ებრაელი, ამერიკიდან. იგი იყო რუსული სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი იქ და მეუბნება, რომ „სოციალისტიჩესკი ვესტნიკში" ვწერ გამოკვლევასო მეორე მსოფლიო ომის საბჭოთა მზვერავებზეო და ერთ-ერთი გამორჩენილი „შეუმჩნეველი აგენტი" გრიგოლ ფერაძეაო, ასე გავიგე მე იქო (ამერიკაში, ალბათ ალშიბაიადან) და თქვენგან მისი უფრო მეტი დახასიათება და წყაროები მინდაო.

მე ვუთხარი: ეს არის უდიდესი ცილისწამება წმინდა, უპატიოსნეს კაცზე და თუ თქვენ ამას დაწერთ, მაშინ მე გიპასუხებთ და ყველაფერს გამოვააშკარავებ მეთქი. თუ მე მოვკვდი, ამას ჩემი შვილი დაწერს მეთქი. შეწუხდა ძალიან და რამდენადაც ვიცი, მერე არაფერი დაუწერია".[64]

ვინმე გიორგი ფერაძესთან დაკავშირებით საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის სახელმწიფო უშიშროების ორგანოების თადარიგის პოლკოვნიკი ბატონი ენზა სოხაძე. მისი მონათხრობის თანახმად, 1940 წლისათვის ვარშავაში მივლინებული ყოფილა ცნობილი საბჭოთა მზვერავი, საბჭოთა სამეცნიერო-ტექნიკური დაზვერვის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელი, 1948-1963 წლებში მისი უცვლელი ხელმძღვანელი, რუსეთის ფედერაციის გმირი (მიენიჭა 1996 წელს, გარდაცვალების შემდეგ), გენერალ-მაიორი ლეონიდ კვასნიკოვი. ის ოფიციალურად იყო ლტოლვილთა საკითხების რეგულირებისათვის მოსკოვში შექმნილი გერმანია-საბჭოთა კავშირის საკონტროლო გამშვები კომისიის წევრი, თუმცა

მისი ძირითადი მოვალეობა სადაზვერვო საქმიანობა იყო. ლ. კვასნიკოვი სპეციალობით ქიმიკოს-მექანიკოსი გახლდათ. სწავლობდა ასპირანტურაში. 1938 წლის სექტემბრიდან ის პირდაპირ მოხვდა საბჭოთა საგარეო დაზვერვის სამეცნიერო-ტექნიკურ ქვედანაყოფში. სადაზვერვო მიზნებისათვის არაერთგზის იმყოფებოდა საზღვარგარეთულ მივლინებებში გერმანიასა და პოლონეთში.[22] ლ. კვასნიკოვის, როგორც საბჭოთა სამეცნიერო-ტექნიკური დაზვერვის ერთ-ერთი ქვედანაყოფის ხელმძღვანელის, უშუალო მონაწილეობით, ჯერ კიდე 1940 წლის ბოლოს ლონდონის, აშშ-ისა და გერმანიის რეზიდენტურებში დაიგზავნა დირექტივები, რომელთა მიხედვითაც უნდა დაწყებულიყო ამ ქვეყნებში ატომური იარაღის შესაძლო შექმნასთან დაკავშირებით შესაბამისი ინფორმაციის მოპოვება.[5] ბ-ნი ე. სოხაძე მიანიშნებს:

„ერთხელ კვასნიკოვს მიმართა უცნობმა, რომელიც ფორმდებოდა სსრკ-ში წამოსასვლელად. მან კონფიდენციალურად შეატყობინა კვასნიკოვს, რომ მასთან სურს შეხვედრა საქართველოს კათალიკოსის წარმომადგენელს. მზვერავისათვის ჩვეულებრივი დაინტერესებით კვასნიკოვმა შეხვედრაზე თანხმობა განაცხადა, რის შემდეგ უცნობმა დაასახელა შეხვედრის ადგილი, დრო და თარიღი.

შეხვედრა არც ისეთი იოლი იყო – კვასნიკოვის მანქანას გამუდმებით დაჰყვებოდა გესტაპო. ამიტომ დათქმულ დღეს კვასნიკოვი იძულებული გახდა ეთხოვა მძღოლისათვის, რომელმაც არაფერი იცოდა მისი გეგმის შესახებ, როგორმე თავი დაეხსნა მდევარი „ხორხისაგან“. იმ მომენტში, როდესაც ეს მოხერხდა, კვასნიკოვი მანქანიდან გადმოვიდა ტრანსპორტის ხალხმრავალ გაჩერებასთან.

დანიშნულ ადგილზე მას დახვდა მაღალი, წარმოსადეგი გარეგნობის კარგად ჩაცმული კავკასიელი ტიპის მამაკაცი. კვასნიკოვი შეფიქრიანდა, უცნობი არ ჰგავდა სამღვდელოების წარმომადგენელს, ის მის კოლეგას უფრო ემსგავსებოდა, მხოლოდ გაუგებარი იყო, რომელი სპეცსამსახურიდან.„მოგზავნილი ხომ არაა?“– გაუელვა მას, მაგრამ მაინც გაეშურა უცნობისაკენ.

– გიორგი ფერაძე, – წარედგინა უცნობი, მაგრად ჩამოართვა ხელი კვასნიკოვს და ფართო ღიმილით პირდაპირ მოჭრა – მაქვს დიდი თხოვნა, გადაეცით თქვენს სახალხო კომისარს, ლავრენტი პავლეს ძეს სალამი...

– მაპატიეთ, მაგრამ ვიღაცაში გეშლებით, – შეაწყვეტინა კვასნიკოვმა, – ჩემი შეფი ვიაჩესლავ მიხაილის ძე მოლოტოვია – დასტურად გულის ჯიბიდან ამოიღო შინდისფერი გარეკნიანი წიგნი – აი ჩემი მოწმობა, შეგიძლიათ ნახოთ, ხელს აწერს მოლოტოვი.

– მე მჯერა თქვენი, – შენიშნა ფერაძემ, – და მაინც, გადაეცით ჩემგან მოკითხვა თქვენს მეორე შეფს, ჩვენ ბავშვობაში მეგობრები ვიყავით. უთხარით, მე კათალიკოსისაგან ვარ.

ამის შემდეგ კვასნიკოვსა და ფერაძეს შორის საუბარი აღარ გაგრძელებულა.

ფერაძემ გაუწოდა კვასნიკოვს პატარა საიზიტო ბარათი და დააყოლა – ოღონდ კათალიკოსის სახელით.

მოსკოვში დაბრუნებისთანავე კვასნიკოვმა ფერაძესთან შეხვედრის ამბავი მოახსენა საბჭოთა დაზვერვის ხელმძღვანელს ფიტინს, ამ უკანასკნელმა კი – ბერიას.

დადგინდა, რომ ფერაძე ფსევდონიმია, თანამშრომლობდა საქართველოს შინა-

გან საქმეთა კომისარიატთან ჯერ კიდევ ბერიას ხელმძღვანელობის დროიდან, ხასიათდებოდა დადებითად, მაგრამ 1938 წელს ურთიერთობა შეწყდა გაურკვეველი მიზეზით.

გადაწყდა ფერაძის პიროვნებისა და მასთან კავშირის აღდგენის მიზანშეწონილობის შესწავლის ორგანიზება...".[238]

ზემოაღნიშნული პიროვნება მართლაც რომ იყო დაკავშირებული საბჭოთა სპეცსამსახურებთან, ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რისი ნიშნებიც აშკარად იკითხება წარმოდგენილ ინფორმაციაში. მაგალითად, გ. ფერაძეს საბჭოთა დაზვერვასთან (რეზიდენტურასთან) დაკარგული ჰქონდა კავშირი და მის აღდგენას ცდილობდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, არ შეეცდებოდა კვასნიკოვთან დაკავშირებას და საკუთარი პიროვნების გამჟღავნებას. ის იცავს კონსპირაციის წესებს და შეხვედრისას ასახელებს პაროლს „კათალიკოსისგან ვარ", რაც „ცენტრისათვის" მისი მზადყოფნის მიმანიშნებელი უნდა ყოფილიყო.

საინტერესოა, არის თუ არა საბჭოთა მზვერავის, ლეონიდ კვასნიკოვის მიერ აღწერილი გიორგი ფერაძე და არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე ერთი და იგივე პიროვნება. უკანასკნელი კარგი აღნაგობის, სანდომიანი იერსახის ქართველთაგან ერთადერთი სასულიერო პირი გახლდათ, რომელიც იმ პერიოდში საზღვარგარეთ ცხოვრობდა. გ. ფერაძე 1939 წლიდან იმყოფებოდა გერმანელთა მიერ ოკუპირებული პოლონეთის ტერიტორიაზე და გაჭირვებულებს ეხმარებოდა. მის მიმართ ქართულ ემიგრაციას და პირადად ნ. ჟორდანიას საბჭოთა სპეცსამსახურებთან მისი თანამშრომლების ფაქტთან დაკავშირებით ეჭვი დიდი ხნის წინ გასჩენოდა. („...он оказался давнишним агентом большевиков*"). გრიგოლ ფერაძე და ლ. ბერია, მართლაც, ერთი თაობის წარმომადგენლები იყვნენ (ორივე 1899 წელს არიან დაბადებულები). მათი ბავშვობის მეგობრობა ნაკლებად რეალურია – ერთი დასავლეთ საქართველოში, სამეგრელოში დაიბადა და გაიზარდა, ხოლო მეორე – აღმოსავლეთში. თუმცა, ფრაზა „ბავშვობის მეგობრები ვიყავით" შესაძლოა ყოფილიყო საიდუმლო კავშირის აღდგენის მიმანიშნებელი „სლოგანი". აღსანიშნავია პროფ. ი. მეგრელიძის მოსაზრება, რომლის თანახმადაც: „...გ. ფერაძე მხედველობიდან არ გამორჩენია საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებას და ის, 1921 წლის დეკემბერში გაუგზავნია გერმანიაში სწავლის გასაგრძელებლად".[50] საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საგანგებო კომისიის შექმნის პირველი დღეებიდან, საბჭოთა საქართველოდან მთავრობის მხარდაჭერით საზღვარგარეთ სასწავლებლად გასაგზავნი „ნიჭიერი და ბეჯითი ახალგაზრდების" კანდიდატურები საგანგებო კომისიაში იხილებოდა და მხოლოდ მისი თანხმობის შემდეგ იგზავნებოდნენ. თუკი გრ. ფერაძე მართლაც იყო დაკავშირებული საბჭოთა დაზვერვასთან, კავშირის აღდგენის მისი სურვილი ამ უწყების წარმომადგენელთან შესაძლოა მხედველობიდან არ გამორჩენოდათ მის მოშურნეთ, მათ შორის ქართველ ემიგრანტებს, ანდა გესტაპოს, რაც მისთვის საბედისწერო აღმოჩნდებოდა.

ჟურნალ „სარკის" 2002 წლის 8-16 იანვრის ნომერში საინტერესო მოსაზრებაა დაფიქსირებული წმინდა გრიგოლ ივერიელზე მისი ძმისშვილის, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტ რომანოზ ფერაძის ერთ-ერთ ინტერვიუში:

* „...ის აღმოჩნდა ბოლშევიკების დიდი ხნის აგენტი".

„პირველი დოკუმენტური ფილმი გრიგოლ ფერაძეზე რეზო თაბუკაშვილმა გადაიღო. ბატონმა რეზომ მითხრა, ოსვენციმის (ბირკენაუს) ოქმებში, რომლებიც საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს არქივში ინახება, ამოხეულია სწორედ ის ადგილი, სადაც მამა გრიგოლის დაკითხვისა და დაღუპვის თაობაზე უნდა ყოფილიყო ჩანაწერები. ჩემი აზრით, ამაში სუკის ხელი ურევია. ფაშისტი როცა რაიმეს აშავებდა, თავისი გასამტყუნებელი ფაქტის დატოვებას არ ერიდებოდა. ბოლშევიკური მეთოდი იყო დოკუმენტური მასალა არ დაეტოვებინათ".[233]

ძნელია იმის მტკიცება, თუ რა იყო გრ. ფერაძის ჯერ დაპატიმრების, ხოლო შემდგომ სიკვდილის რეალური მიზეზი, თუმცა ამ საიდუმლოს უნდა მალავდნენ სწორედ ის ამოხეული ფურცლები, რომლებიც, ჩვენი აზრით, მართლაც, საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ (ან მათი დავალებით) უნდა იყოს განადგურებული.

გრ. ფერაძე თუკი მართლაც იყო დაკავშირებული საბჭოთა დაზვერვასთან, მაშინ მას აუცილებლად ექნებოდა დავალებული ქართულ ეროვნულ ფასეულობებთან დაკავშირებით განვითარებულ პროცესებზე ფარული თვალყურის დევნება.

იქნებ, სწორედ გრ. ფერაძე იყო ქართულ განძზე მთავარი საიდუმლო ზედამხედველი, რომლის წყალობითაც ლ. ბერია და ი. სტალინი ზედმიწევნით ზუსტად ფლობდნენ ქართულ ეროვნულ ფასეულობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

ასე იყო თუ ისე, გერმანელთა მცდელობის მიუხედავად, საბედნიეროდ, ქართული ეროვნული ფასეულობა საფრანგეთში ხელუხლებელი დარჩა.

ყოველივე ზემოაღნიშნული მხოლოდ ჩვენი ვარაუდია. მიუხედავად არცთუ ისე უსაფუძვლო არგუმენტებისა, სათანადო დოკუმენტური მტკიცებულებების არარსებობის პირობებში, შეუძლებელია გადაჭრით ითქვას, რომ გრიგოლ ფერაძე საბჭოთა დაზვერვასთან თანამშრომლობდა, თუმცა, ასეც რომ იყოს, ამაში გასაკვირი და მით უმეტეს, დასაგმობი არაფერია. ასეთი იყო იმ პერიოდის საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესები.

## სტალინის, დე გოლისა და საბჭოთა სპეცსამსახურების როლი ქართული ეროვნული განძეულობის საქართველოში დაბრუნების საქმეში

ვინ იცის, რომ არა გენერალი დე გოლი და იოსებ სტალინი, რა ბედი ეწეოდა ქართულ საგანძურს?

იმისათვის, რომ გავაანალიზოთ, თუ როგორ არის მეოცე საუკუნის ეს ორი ბუმბერაზი პოლიტიკური მოღვაწე დაკავშირებული ქართული ეროვნული საგანძურის საქართველოში დაბრუნებასთან, საჭიროა, ზოგადად მიმოვიხილოთ გერმანელი ნაცისტების მიერ საფრანგეთის ოკუპაციის და შემდგომ წლებში საფრანგეთში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება და საფრანგეთის ნაცისტებისაგან განთავისუფლების საქმეში დე გოლისა და საბჭოთა კავშირის როლი. აღნიშნული თვალსაზრისით, საინტერესო ინფორმაციას გვამცნობს საბჭოთა საგარეო დაზვერვის ისტორია.[59]

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში საფრანგეთის, როგორც ევროპის ერთ-ერთი უძველესი ქვეყნის, სამომავლო სახელმწიფოებრივი ფორმირების პროცესში

აქტიურ როლს თამაშობდნენ ამერიკის, ინგლისისა და საბჭოთა კავშირის დაზვერვები, რომელთა ძალები და საშუალებები, საკუთარი ქვეყნის გეოპოლიტიკური და სტრატეგიული ამბიციებიდან გამომდინარე, მიმართული იყო საფრანგეთის იმ პოლიტიკური, სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწეებისადმი, რომელთაც უნარი შესწევდათ, საკუთარ თავზე აეღოთ საფრანგეთისა და ფრანგი ხალხის მომავალი ლიდერის ფუნქცია.

ასეთებად მეორე მსოფლიო ომის პერიოდში გამოიკვეთნენ გენერალი დე გოლი და გენერალი ჟირო.

ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე დე გოლი ოკუპაციის პერიოდში სათავეში ედგა „საფრანგეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტს“, საფრანგეთის განთავისუფლების შემდეგ კი იყო ქვეყნის დროებითი მთავრობის მეთაური.

გენერალი ჟირო არანაკლებ ავტორიტეტული პიროვნება გახლდათ. სწორედ ის უწევდა ღირსეულ პოლიტიკურ მეტოქეობას გენერალ დე გოლს. გენერალ ჟიროს მხარს უჭერდნენ ამერიკელები, მაშინ, როცა საბჭოთა კავშირი ცნობდა მხოლოდ 1942 წელს დე გოლის ხელმძღვანელობით, ყველა პატრიოტული ძალის მონაწილეობით შექმნილ ორგანიზაციას „თავისუფალ საფრანგეთს“.

გერმანელთა მიერ საფრანგეთის ოკუპაციის შემდეგ გენერალი დე გოლი ლონდონში აღმოჩნდა. ცნობილია მისი ისტორიული გამოსვლა 1940 წლის 18 ივნისს ლონდონის რადიოთი, როდესაც ყველა ფრანგს გაერთიანებისაკენ და გერმანული ნაციზმის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდა. ამის შემდეგ, საბჭოთა საგარეო დაზვერვის ლონდონის რეზიდენტურამ მიიღო დავალება, თვალყური ედევნებინა დე გოლისა და მისი ორგანიზაციისათვის და მოეპოვებინა ინფორმაცია ამ ფაქტის მიმართ ინგლისის ხელისუფალთა დამოკიდებულების თაობაზე.

მიღებული შეტყობინებიდან ირკვეოდა, რომ უ. ჩერჩილს დე გოლთან მიმართებით მართლაც ჰქონდა შორს მიმავალი მიზნები. მისი სურვილი იყო, დე გოლისა და მისი ორგანიზაციის საქმიანობა დაექვემდებარებინა ინგლისის სტრატეგიული მიზნებისათვის. ინგლისს, რომელიც სარგებლობდა იმით, რომ სხვა ემიგრანტული მთავრობებისგან განსხვავებით, დე გოლის ორგანიზაცია არ იყო სამთავრობო სტრუქტურა და მას იურიდიული (ლეგიტიმური) ძალა არ გააჩნდა, შეეძლო მისი საქმიანობის შეზღუდვა, თუ ის არ უპასუხებდა ინგლისის ეროვნულ ინტერესებს. ეს ინტერესები კი იყო ინგლისის სწრაფვა საფრანგეთის კოლონიებისაკენ.

საბჭოთა დაზვერვის ლონდონის რეზიდენტურიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, ჩერჩილი დე გოლის მხრიდან საკმაოდ დიდ წინააღმდეგობას ანყდებოდა.

საბჭოთა დაზვერვისათვის ასევე ცნობილი გახდა, რომ ინგლისელები, ამავდროულად, ფარულად მხარს უჭერდნენ ვიშის მთავრობას, რომელთანაც გააფორმეს საიდუმლო შეთანხმება. ის ძირითადად ეხებოდა ბრიტანელების მიერ საფრანგეთის კოლონიების გერმანელებისათვის გადაცემას. ფაქტობრივად ბრიტანელებმა ცნეს ამ კოლონიებში გერმანიის ხელისუფლება. სწორედ ამ ფაქტორების გამო გართულდა ფრანგულ კოლონიებში დე გოლის „თავისუფალი საფრანგეთის“ საქმიანობის გაშლა, თუმცა, მისი ავტორიტეტი ალჟირში, სირიაში, ტუნისში, მაროკოში, მადაგასკარზე და სხვა კოლონიებში დღითიდღე იზრდებოდა. მიუხედავად ამისა, დე გოლს ჯერჯერობით უჭირდა გამხდარიყო

საერთო-სახალხო ანტიფაშისტური კოალიციის ლიდერი, ვინაიდან მეტროპოლიაში საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობაში, რომელსაც ძირითადად კომუნისტები ხელმძღვანელობდნენ, მას საკმაოდ სუსტი პოზიციები ჰქონდა. დე გოლმა, ამ შორსმჭვრეტელმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, გვერდზე გადადო იდეოლოგიური უთანხმოებები და დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე, 1941 წლის 24 ივნისს, დიპლომატიური არხებით, საბჭოთა კავშირს „თავისუფალი საფრანგეთის" სახელით სოლიდარობა გამოუცხადა და გამოთქვა ანტიფაშისტურ კოალიციაში მონაწილეობის სურვილი. საბჭოთა დაზვერვას კარგად ჰქონდა შესწავლილი სიტუაცია დე გოლის ირგვლივ, თვით გენერლის პიროვნება და აქედან გამომდინარე, 1941 წლის 26 სექტემბერს დე გოლის სახელზე გაგზავნილ ოფიციალურ წერილში საბჭოთა მთავრობამ აღიარა ის „ყველა თავისუფალი ფრანგის" მეთაურად და დე გოლისადმი სრული მხარდაჭერა გამოხატა.

მიუხედავად ამისა, საბჭოთა დაზვერვისათვის კვლავ მნიშვნელოვან მომენტად რჩებოდა დე გოლისადმი ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის დამოკიდებულების გარკვევა.

რუზველტი დე გოლს, მისი ორგანიზაციის შექმნის დღიდან, უარყოფითად უყურებდა და თვლიდა, რომ მისი გამოყენება ამერიკის ინტერესებისათვის, რაც, უპირველეს ყოვლისა, ომისშემდგომ პერიოდში საფრანგეთის ყოფილ კოლონიებზე ზეგავლენით უნდა გამოხატულიყო, შეუძლებელი იყო.

აშშ პრეზიდენტი და სახელმწიფო მდივანი საფრანგეთის კანონიერ ხელისუფლებად განიხილავდნენ ვიშის მთავრობას და მასთან 1942 წლის ნოემბრამდე ინარჩუნებდნენ დიპლომატიურ ურთიერთობებს. ამერიკელებს განზრახული ჰქონდათ, საფრანგეთის განთავისუფლების შემდეგ, საკუთარი დროებითი სამხედრო ადმინისტრაციის მმართველობა შემდგომში გადაეცათ ვიშის „კანონიერი" ხელისუფლებისათვის იმ მიზნით, რომ ეს უკანასკნელი აშშ-ის მიმართ ლოიალურ პოლიტიკას გაატარებდა.

ასე არ ფიქრობდა თვით დე გოლი. ის თვლიდა, რომ ხელისუფლება უნდა გადასცემოდა „თავისუფალ საფრანგეთს", რომელიც გამოდიოდა როგორც საფრანგეთის დროებითი მთავრობა. რაც შეეხება ვიშის მთავრობას, გენერლის აზრით, ის უნდა ყოფილიყო გასამართლებული.

ამერიკის დაზვერვა იმ პერიოდში მიიჩნევდა, რომ დე გოლი ინგლისელთა მიერ იყო ხელდასმული და, მისი ქვეყნის სათავეში მოსვლის შემდეგ, საგრძნობლად გაძლიერდებოდა ბრიტანელთა გავლენა ომისშემდგომ საფრანგეთში. სტრატეგიულ სამსახურთა სამმართველო (ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს წინამორბედი) არსებული ვითარების შესწავლისა და ანალიზის შედეგად იმ დასკვნამდე მივიდა, რომ დე გოლი აშშ-ს სამომავლოდ არ გამოადგებოდა და მან დაიწყო სხვა კანდიდატურის ძებნა.

ამერიკა-ინგლისის ფარულ ურთიერთქიშპობას საფრანგეთისა და ფრანგი ხალხის ლიდერის შერჩევის საკითხში კარგად იყენებდა საბჭოთა დაზვერვა, რომელიც სულ უფრო და უფრო აღრმავებდა კონტაქტს დე გოლთან და მაქსიმალურად ხელს უწყობდა ამ უკანასკნელს, ემოქმედა როგორც საფრანგეთის ერთადერთ მძლავრ ანტიფაშისტურ ლიდერს.

დე გოლის გარშემო ვითარება საგრძნობლად დაიძაბა მას შემდეგ, რაც მოკავ-

შირეებმა ჯარები გადასხეს ჩრდილოეთ აფრიკაში. ეიზენჰაუერმა საფრანგეთის ადმინისტრაციის ხელმძღვანელად დარლანი, ხოლო ჟირო ამ რეგიონში ფრანგული ნაწილების მეთაურად დანიშნა.

ინგლისელები იძულებულნი შეიქნენ, ანგარიში გაეწიათ ამერიკელებისათვის და, რომ არ გაეღიზიანებინათ ისინი, დე გოლს რადიოთი გამოსვლაც კი აუკრძალეს. თუმცა ამერიკელებმა მაინც ვერ შეძლეს საკუთარი გეგმის ბოლომდე მიყვანა. 1942 წლის 24 დეკემბერს, ვიშის პოლიტიკის მოწინააღმდეგე, ოცი წლის რადიკალმა სტუდენტმა ფერნან ბონიე დე ლა შაპელმა ალჟირში ტყვია ესროლა და სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა დარლანს.

დარლანის მკვლელობით ჟიროს გზა გაეხსნა პოლიტიკაში. ამ უკანასკნელმა სწრაფად მიიღო ამერიკელთა მხარდაჭერა დე გოლის საწინააღმდეგოდ. ასეთი ვითარება ხელს არ აძლევდა ინგლისელებს, მათ არ სურდათ შეგუებოდნენ ამერიკელთაგან ხელდასმულ ჟიროს. სულ მალე ჩერჩილმა მოსთხოვა რუზველტს ერთობლივად მოეძებნათ გენერლების, დე გოლისა და ჟიროს ურთიერთდაახლოების გზები, რათა ერთობლივად გადაწყვეტილიყო „საფრანგეთის საკითხი". რაღაც პოზიტიური პროცესები ამ მიმართულებით კიდეც გამოიკვეთა, მაგრამ ინგლისელთა და, განსაკუთრებით, ამერიკელთა ძალისხმევის მიუხედავად, 1943 წლის იანვარში ამასთან დაკავშირებით კასაბლანკაში გამართულ შეხვედრაზე შედეგს ვერ მიაღწიეს. დე გოლი მტკიცედ აფიქსირებდა საკუთარ პოზიციას და ჟიროსთან საფრანგეთის მომავალი ხელისუფლების გაყოფას არ აპირებდა.

ასეთ რთულ ვითარებაში, საბჭოთა მთავრობამ, საბჭოთა დიპლომატიისა და საბჭოთა საგარეო დაზვერვის შესაძლებლობების იმედით, გადაწყვიტა დე გოლისათვის, როგორც შეურიგებელი ანტიფაშისტისათვის, საბოლოოდ მხარის დაჭერა.

ამერიკა-ინგლისი იძულებული იყო ეღიარებინა დე გოლის მზარდი ავტორიტეტი. მას და „თავისუფალ საფრანგეთს" საშუალება მიეცათ ალჟირისაკენ გადაადგილებულიყვნენ და იქიდან წარემართათ ანტიფაშისტური საქმიანობა.

მოგვიანებით, 1943 წლის 3 ივლისს, ჟიროს და დე გოლის ორგანიზაციები გაერთიანდნენ და მას ეწოდა „საფრანგეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტი". გაერთიანების მიუხედავად, ქიშპობა ჟიროსა და დე გოლს შორის უფრო გამწვავდა. ჟიროს მაქსიმალურ დახმარებასა და თანადგომას უწევდა ამერიკის შეერთებული შტატები. მასთან უშუალოდ კონტაქტში იმყოფებოდა ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიულ სამსახურთა სამმართველოს თანამშრომელი, მზვერავი მერფი. დე გოლი ამ მხრივ უფრო „ცუდ მდგომარეობაში" იმყოფებოდა.

ჟიროც და დე გოლიც თვლიდნენ, რომ ძალაუფლების განმტკიცება „საფრანგეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტში" დიდად იყო დამოკიდებული ქვეყნის გარედან გაწეულ დახმარებაზე.

საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა სისხლხორცეულად იყო დაინტერესებული ალჟირში განვითარებული მოვლენების თაობაზე ზუსტი და დროული ინფორმაციის მიღებით. ამისათვის კი საჭირო იყო დე გოლთან უშუალო კონტაქტის დამყარება, რაც საგარეო დაზვერვის ერთ-ერთ სერიოზულ ამოცანად იქცა. საბჭოთა საგარეო დაზვერვის ისტორიის მკვლევართა მონაცემებით, ლონდონში

დე გოლთან ურთიერთობა ჰქონდა სსრ კავშირის ელჩს მეკავშირეთა მთავრობაში ა. ე. ბოგომოლოვს, რომელიც, თავის მხრივ, მჭიდროდ თანამშრომლობდა სსრკ საგარეო დაზვერვის ლონდონის რეზიდენტურასთან და მათთან კონსულტაციებით წყვეტდა მთელ რიგ საკითხებს. მას შემდეგ, რაც გენერალი სამოქმედოდ ალჟირში გადავიდა, საბჭოთა დაზვერვამ მასთან კავშირი დაკარგა. დიპლომატიური არხების მეშვეობით, საბჭოთა ხელმძღვანელობამ აშშ-ის ადმინისტრაციას მიმართა თხოვნით ბოგომოლოვისათვის ალჟირში გამგზავრების ნების დართვის თაობაზე. იმ პერიოდში ჩრდილოეთ აფრიკა მეკავშირეთა მიერ განიხილებოდა როგორც საომარი მოქმედების ადგილი და იმყოფებოდა მეკავშირეთა არმიის მეთვალყურეობის ქვეშ, რომელსაც ეიზენჰაუერი ხელმძღვანელობდა. ამერიკელებმა ამ „მოგზაურობაზე" ა. ბოგომოლოვს უარი განუცხადეს. არადა, ამერიკელებსაც და ინგლისელებსაც ალჟირში ჰყავდათ დიპლომატიური წარმომადგენლები მზვერავების – მერფისა და მაკმილანის სახით.

საბჭოთა საგარეო დაზვერვამ მიიღო გადაწყვეტილება, შენიღბვის უწყებით დე გოლთან კონტაქტის დასამყარებლად სასწრაფოდ მიეელინა დაზვერვის თანამშრომელი. ასეთი შენიღბვის უწყებად შეირჩა რეპატრიაციის კომისია, რომლის წევრი სსრ კავშირიც იყო. ჩრდილოეთ აფრიკაში იმყოფებოდა ბევრი იძულებით გადაადგილებული პირი, მათ შორის სსრ კავშირიდან. ხანმოკლე ყოყმანის შემდეგ, ამერიკელები იძულებული გახდნენ საბჭოთა კავშირის შემოთავაზებას დასთანხმებოდნენ.

საბჭოთა საგარეო დაზვერვამ დე გოლთან ურთიერთობა ანდო ახალგაზრდა, მაგრამ ამ პერიოდისათვის უკვე გამოცდილ მზვერავს ივანე ივანეს ძე აგაიანცს (1911-1968).[22]

ი. აგაიანცმა დე გოლი გაიცნო ჯერ კიდევ თეირანში, სადაც ეს უკანასკნელი „თავისუფალი საფრანგეთის" საქმესთან დაკავშირებით იმყოფებოდა. მან შეძლო გენერალთან ურთიერთობისას ურთიერთპატივისცემის ატმოსფერო შეექმნა. სწორედ ამის გამო იქნა მიღებული გადაწყვეტილება დე გოლთან კონტაქტის გაგრძელებისა. ი. აგაიანცი გენერალ დე გოლთან ურთიერთობისას უნდა გამოსულიყო როგორც საბჭოთა კავშირის დიპლომატიური მისიის წარმომადგენელი, რომელიც შუამავლად სპეციალურად იყო მივლინებული გენერალსა და საბჭოთა მთავრობას შორის.

1943 წლის აგვისტოში აგაიანცი, ავალოვის გვარით, თეირანიდან ალჟირში გაფრინდა.

ი. აგაიანცი და დე გოლი ერთმანეთს ხშირად ხვდებოდნენ და ურთიერთობისას ფართო სპექტრის საკითხებს მიმოიხილავდნენ. სწორედ აგაიანცის მეშვეობით დე გოლმა ოფიციალურად დააყენა მისი და ი. სტალინის შეხვედრის საკითხი.

ი. აგაიანცის მეშვეობით დე გოლი იმ პერიოდში წყვეტდა ისეთი მნიშვნელობის საკითხებს, რომლებიც მისი ავტორიტეტის გაძლიერებასა და განმტკიცებას ემსახურებოდა და ამავდროულა, ასუსტებდა ჟიროს მდგომარეობას.

1943 წლის ოქტომბერში დე გოლს „წამოეშველა" მოკავშირეთა მთავრობაში სსრ კავშირის ყოფილი ელჩი ალექსანდრე ეფრემის ძე ბოგომოლოვიც, რომელიც ალჟირში „საფრანგეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტში" სსრ კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლად იქნა დანიშნული.

სპეცსამსახურების მხარდაჭერითა და მცდელობით ჟიროსა და დე გოლს შორის ღია თუ ფარულმა ბრძოლამ თავისი ასახვა ჰპოვა მოკავშირეთა ლიდერების თეირანის 1943 წლის კონფერენციის პირველსავე დღეს – 28 ნოემბერს. საუბრობდა რა საფრანგეთზე, ამერიკის პრეზიდენტმა მოულოდნელად მიმართა ი. სტალინს და საკუთარი მოსაზრება გამოთქვა გენერალ დე გოლის მიმართ. კერძოდ, თუკი მარშალი სტალინი შეხვდებოდა დე გოლს, ეს უკანასკნელი ვერ მოახდენდა კარგ შთაბეჭდილებას. რუზველტის აზრით, საფრანგეთს სჭირდებოდა აბსოლუტურად ახალი ხელმძღვანელი, დაახლოებით 40 წლის ასაკისა, რომელსაც არ ექნებოდა არანაირი თანამდებობა საფრანგეთის ყოფილ მთავრობაში. ი. სტალინმა უპასუხა რუზველტს, რომ დე გოლს ის არ იცნობდა და ამ უკანასკნელთან დაკავშირებით დაეთანხმა მის მოსაზრებას, თუმცა იქვე მიანიშნა, რომ საკითხისადმი ასეთი მიდგომა დიდ დროს მოითხოვდა. შემდგომ საუბარი ჩამოვარდა გენერალ ჟიროზე. ამასთან დაკავშირებით რუზველტმა აღნიშნა, რომ ამერიკელები იარაღით ამარაგებდნენ საფრანგეთის 11 დივიზიას და რომ ჟირო სიმპათიური და კარგი გენერალი იყო, თუმცა ვერ ერკვეოდა სამოქალაქო ადმინისტრირებისა და, ზოგადად, პოლიტიკურ საკითხებში. სტალინმა გამოხატა უკმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ საფრანგეთის ზოგიერთ მმართველ წრეში ფიქრობდნენ, თითქოს მოკავშირეები მათ საფრანგეთს მიართმევდნენ მზამზარეულად და არ ცდილობდნენ მოკავშირეთა მხარეს ბრძოლას, ამავდროულად, გერმანელებთან თანამშრომლობასაც არ ერიდებოდნენ. მისი აზრით, ასეთი პოლიტიკა ყოვლად მიუღებელი იყო.

ამაღე სხდომაზე ინგლისისა და აშშ-ის ლიდერებმა წამოაყენეს წინადადება ინგლის-ამერიკის ერთობლივი ჯარების საფრანგეთის ჩრდილოეთით ან ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით გადასხმის თაობაზე. სტალინი ამ მოსაზრებას დაეთანხმა, თუმცა დაამატა, რომ საბოლოო გამარჯვებისათვის კარგი იქნებოდა, თუკი თურქეთი მეკავშირეთა ჯარებისათვის გზას გახსნიდა. ამ საკითხთან დაკავშირებით ხანმოკლე დისკუსია გაიმართა. სტალინი თვლიდა, რომ გერმანიისათვის სუსტი წერტილი მაინც საფრანგეთი იყო. ამასთან, საბჭოთა ლიდერი დარწმუნებული იყო, თურქეთი ომში არ ჩაერთვებოდა, რა ზემოქმედებაც არ უნდა განხორციელებულიყო მასზე. ჩერჩილი თავის მოსაზრებაზე რჩებოდა, რომ საჭირო იყო თურქეთზე მაქსიმალური ზეგავლენის მოხდენა.

– „Да, мы должны попытаться заставить Турцию вступить в войну*" – იყო სტალინის პასუხი, ამასთან, მან მიანიშნა, რომ თურქეთი ინგლისის მოკავშირე იყო და მეგობრობდა აშშ-სთან და სსრ კავშირთან. ასე რომ, თუ ზემოქმედება უნდა მომხდარიყო თურქეთზე, ეს, უპირველეს ყოვლისა, ინგლისს უნდა გაეკეთებინა. საჭირო იყო, თურქეთს აღარ ეთამაშა მოკავშირეებსა და გერმანიას შორის და ჩართულიყო მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობის პროცესში. დისკუსია ამ თემაზე ამით დასრულდა.[75]

ამ პერიოდში დე გოლსა და ჟიროს შორის ბრძოლის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. 1943 წლის ნოემბერში ჟირო და მისი მთავარი მომხრეები იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ „საფრანგეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტი". დე გოლი გახდა ამ ორგანიზაციის ერთადერთი ხელმძღვანელი.

* დიახ, ჩვენ უნდა შევეცადოთ, რომ თურქეთი ომში ჩაერთოს.

1944 წლის 6 ივნისს ინგლის-ამერიკის გაერთიანებული დესანტის საფრანგეთის ტერიტორიაზე გადმოსხმის შემდეგ გაიხსნა მეორე ფრონტი. თავდაპირველად საფრანგეთის მმართველობა მოქცეული იყო მოკავშირეთა ჯარების სარდალ ეიზენჰაუერის ხელში, ხოლო შემდგომ, გრანდიოზული აჯანყებებისა და წინააღმდეგობების მოძრაობის ზრდის არნახული ტემპების შედეგად, 1944 წლის ოქტომბერში შეიქმნა დროებითი მთავრობა, რომელსაც სათავეში დე გოლი ჩაუდგა. საფრანგეთის ფაქტობრივი ხელისუფლება აღიარეს აშშ-მა, ინგლისმა და საბჭოთა კავშირმა. 1944 წლის 10 სექტემბერს აღდგენილ იქნა სსრკ საელჩო საფრანგეთში. ელჩად დაინიშნა ალექსანდრე ბოგომოლოვი.

საფრანგეთში სსრ კავშირის საელჩოს აღდგენისთანავე აღდგა სსრკ საგარეო დაზვერვის პარიზის რეზიდენტურაც, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ალექსანდრე გუზოვსკი.

1944 წლის დეკემბერში პარიზში მივლინებულ იქნა საბჭოთა სამხედრო მისიაც, რომლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა საბჭოთა არმიის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს რეზიდენტურის ფორმირება იყო. ქართულ ეროვნულ ფასეულობასთან დაკავშირებით სამხედრო მზვერავები იმთავითვე საქმის კურსში იყვნენ და დამამთავრებელ ეტაპზე, ანუ განძის სსრ კავშირში დაბრუნების ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობაც მიიღეს. იმ ორი რუსი სამხედრო მოსამსახურიდან, რომლებიც ქართულ ეროვნულ ფასეულობას, როგორც მცველები, თან ახლდნენ პარიზიდან თბილისში თვითმფრინავით გადაადგილებისას, ერთ-ერთი იყო საბჭოთა არმიის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომელი, შემდგომში უკვე გენერალ-მაიორი გრიგოლ ვასილის ძე მალიუგა. აღნიშნულის თაობაზე მან განაცხადა 1978 წელს, როდესაც სტუმრად იმყოფებოდა თბილისში, მის მეგობართან და თანამებრძოლთან, გენერალ-ლეიტენანტ ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ჯანჯღავასთან.[20]

საბჭოთა საგარეო დაზვერვა, იმყოფებოდა რა ახლოს გენერალ დე გოლთან, ცდილობდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ევროპის მოწყობისა და მსოფლიოს ხელახალი გადანაწილების პროცესში საფრანგეთის, როგორც დემოკრატიული ქვეყნის მომავლის მჭიდროდ დაკავშირებას საბჭოთა კავშირის საგარეო-პოლიტიკურ კურსთან. საფრანგეთის მომავალი დე გოლს, იმ ეტაპზე, საბჭოთა კავშირთან ახლო მეგობრულ და პარტნიორულ ურთიერთობებში ესახებოდა. აქედან გამომდინარე, ის ყოველმხრივ ცდილობდა საბჭოთა ქვეყნის ლიდერთან, ი. სტალინთან, რომელსაც მეორე მსოფლიო ომის მიჯნაზე კოლოსალური ავტორიტეტი ჰქონდა, დაახლოებას. სწორედ ქართული ეროვნული საგანძურის თემა იქცა ი. სტალინთან გენერალ დე გოლის შეხვედრის ერთ-ერთ წინაპირობად.

საფრანგეთში გამგზავრების წინ ალექსანდრე გუზოვსკი მოსკოვში, სსრკ უშიშროების სახალხო კომისარიატის პირველ მთავარ სამმართველოში (საგარეო დაზვერვაში) გაეცნო ყველა იმ მასალას, რაც დაკავშირებული იყო ოპერატიულ ვითარებასთან და სადაზვერვო საქმიანობის სამომავლო გეგმებთან, მათ შორის ქართული ემიგრაციის პრობლემატიკასაც. აქედან გამომდინარე, პარიზში ჩასვლისთანავე ა. გუზოვსკი ქართული ეროვნული საგანძურის საბჭოთა კავშირში დაბრუნებისა და ამასთან დაკავშირებით კომპლექსური ღონისძიებების გატარების პროცესში იმთავითვე ჩართული აღმოჩნდა.

ე. თაყაიშვილი იგონებს:

„იმ დროს პარიზში ჩამოვიდა სსრკ ელჩი ბოგომოლოვი. მე მაშინვე ვაცნობე, რომ მისი ნახვა მინდა და ვთხოვე დაენიშნა ჩემთვის შეყრის დრო. მან თავისი ავტომანქანა გამომიგზავნა, რაც პირველად მეუხერხულა კიდევაც. ჩემ წასაყვანად იმ მანქანით მოვიდა პოლკოვნიკი ვ., მას პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ გაგონილი მქონდა, რომ ის და მისი მეუღლე მოხერხებული საქმოსნები იყვნენ. გზაში მითხრა, ბოგომოლოვს მე დავპირდი, რომ ევგენი გეგეჭკორსაც მივუყვანდი, მაგრამ გეგეჭკორისათვის ეს არც გამიმხელია, ვინაიდან კარგად ვიცი, ის საბჭოთა ელჩს ვერ ინახულებსო. ამ განცხადებამ კიდევ უფრო დამარწმუნა, რომ პოლკოვნიკი სიყალბეს არ ერიდებოდა. მივედით ბოგომოლოვთან. მან დიდად თავაზიანად მიმიღო, განვუცხადე, რომ განძეულობის საქართველოში დაბრუნების თაობაზე ვიყავი მისული, მან მითხრა, ჯერ ვისაუზმოთ და საქმეზე კი, გინდათ საუზმის დროს ვისაუბროთ, გინდათ შემდეგაო. მე საუზმობისას მოვახსენე ყველაფერი. მან მითხრა, მაგ საქმეში ჩახედული არა ვარო და რასაც მეტყვით, ყველაფერს აგისრულებთო. პოლკოვნიკი ვ. საუზმეზე გვერდით უჯდა ბოგომოლოვს. საუზმის ბოლოს ამოიღო რაღაც დაწერილი და წაუკითხა. კარგად არ მესმოდა, რაში იყო საქმე, მაგრამ ვერც კი მივხვდი: ის თხოულობდა 50 000 ფრანკს, რომელიც ვითომდა დახარჯა განძეულობის საქმეში. ელჩმა ის დაწერილი გამოართვა და უბეში ჩაიდო. აშკარა იყო, ვ. რაღაცა მანქანებით დაახლოვებოდა ბოგომოლოვს, რომელიც მას სიმპათიით ეპყრობოდა. ბოგომოლოვს, გარდა სიტყვიერი განცხადებისა, წერილობითაც წარუდგინე: ვთხოვდი აღეძრა განძეულობის დაბრუნების საკითხი. იმ დროს საფრანგეთის მთავრობის სათავეში ახალი ჩამდგარი იყო გენერალი დე გოლი და ის საკითხიც, რა თქმა უნდა, მას უნდა გადაეწყვიტა. ბოგომოლოვმა მითხრა, პირადად მე ავუხსნი დე გოლს საქმის ვითარებას და ამიტომ კარგი იქნება, თუ მომცემთ ჯეროვან მოხსენებას, რომელშიც ყველაფერი განმარტებული იქნებაო. რა თქმა უნდა, დავწერე და გადავეცი ვრცელი მოხსენება დე გოლის სახელზე. ბოგომოლოვმა იგი მაშინვე წარუდგინა, როდესაც ორივენი უნდა გამოფრენილიყვნენ მოსკოვს, საბჭოთა მთავრობის მეთაურთან. ომი ჯერაც გრძელდებოდა და საფრანგეთის საბოლოო ხსნა და შველა დიდად იყო დამოკიდებული საბჭოთა კავშირზე. რასაკვირველია, დე გოლს უარის თქმა არ შეეძლო და მანაც გასცა განკარგულება, რომ დაუყოვნებლივ დაგვბრუნებოდა განძეულობა, ამ საქმეზე ზრუნვა ბოგომოლოვმა მოგვანდო მე, კონსულ გუზოვსკისა და საელჩოს საქმის მწარმოებელს (იგულისხმება საელჩოს მდივანი – გ.ს.).

მეორე დღეს გუზოვსკი მივიდა ჟოდონთან, რომელსაც ებარა ჩვენი ნივთები და მოსთხოვა დაბრუნება. ჟოდონი ამ თხოვნამ შეაშფოთა და მან განაცხადა: დე გოლს ასეთი განკარგულების უფლება არ ჰქონდა, ეს საკითხი შინაგან საქმეთა მინისტრს უნდა გადაეწყვიტაო. გუზოვსკიმ უპასუხა, რა ნება აქვს მინისტრს, თავმჯდომარის წინააღმდეგ წავიდეს, ის ხომ მას ექვემდებარებაო? თუ ხვალ გადამწყვეტი პასუხი არ გაგიცია, ამის შესახებ ტელეგრამას გავუგზავნი დე გოლს, რომ თქვენ მის ბრძანებას არ ასრულებთო. ამის შემდეგ ჟოდონმა, რაღა თქმა უნდა, ჩაგვაბარა მთელი განძეულობა მე და გუზოვსკის კ. მელაძის და კ. ნიჟარაძის თანდასწრებით. გუზოვსკიმ დიდი ენერგიით და მუყაითობით იმუშავა ამ საქმეში.

უპირველეს ყოვლისა, თავიდან მოვიშორეთ საქმოსანი ვ. გამოირკვა, რომ იგი

დიდ სიყალბეს ჩადიოდა, როცა ცდილობდა დაერწმუნებინა ბოგომოლოვი, რომ განძეულობის დაცვის საქმეს დაახარჯა – 50 000 ფრანკი მისცა ადვოკატს. ბოგომოლოვს ეგონა, რომ იგი ჩვენს საქმეს იცავდა ობოლენსკის ქვრივის წინააღმდეგ. ნამდვილად კი ის ადვოკატი ქვრივს ესარჩლებოდა. ვუთხარი ვ-ს, ეგ დამცველი ჩვენ წინააღმდეგ გიქირავებია, საქმე წააგეთ, ამიტომ სასამართლოს ხარჯის ანაზღაურება დაგეკისრათ და ახლა გინდათ საამისოდ მიიღოთ 50000 ფრანკი-მეთქი?! ეს რომ გუზოვსკიმ გაიგო, მეტად გაუკვირდა და მაშინვე ჩამოიცილა ე... აღარაფერი პასუხი არ გაუცია“.

მთელი ჩვენი ქონება კარგად დაცული და მთლიანი აღმოჩნდა, ერთი ნემსიც კი არ დაგვკლებია“.[76]

ქართული ეროვნული საგანძურის საბჭოთა კავშირში დაბრუნებასთან დაკავშირებით ა. გუზოვსკის სასწრაფოდ ჰქონდა გადასაწყვეტი რამდენიმე საკითხი:

1. ქართული ეროვნული საგანძურის თაობაზე ქართული ემიგრაციის ლიდერებთან მოლაპარაკების წარმოება, რათა მომხდარიყო მათგან თუნდაც ფორმალური თანხმობის მიღება.

2. სამართლებრივ დონეზე ურთიერთობების მოგვარება საფრანგეთის ხელისუფლებასთან და იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც განძის დაცვაზე უშუალოდ აგებდნენ პასუხს.

3. ურთულესი ორგანიზაციული და ოპერატიული ხასიათის ღონისძიებების გატარება, რაც, ჯერ კიდევ საომარ პირობებში, განძის სსრ კავშირში დაბრუნებასთან იყო დაკავშირებული.

საბჭოთა მთავრობა განძის დასაბრუნებლად 1944 წლის ოქტომბრისათვის უკვე მზად იყო, მზადყოფნაში იყვნენ საბჭოთა სპეცსამსახურებიც.

მეორე მსოფლიო ომის მიწურულს, საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის, პირადად ი. სტალინისა და სსრკ საგარეო დაზვერვის ერთ-ერთ გამარჯვებად მიჩნეულია „საფრანგეთის საკითხის“ დარეგულირება, ანტიფაშისტურ მოძრაობაში ფრანგი ერის ჩართვა, გენერალ დე გოლისათვის საფრანგეთის ხელისუფლების სათავეში მოსვლაში ხელის შეწყობა და მისი სსრკ საგარეო პოლიტიკური კურსის მიმართ გულწრფელი პოლიტიკური მხარდაჭერა.

მას შემდეგ, რაც გენერალი დე გოლი ალჟირიდან პარიზში გადავიდა და შეუდგა ქვეყნის მართვის ურთულეს საქმეს, საფრანგეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის თავმჯდომარემ უპირველეს მიზნად დაისახა საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ხელშეკრულების სასწრაფო მომზადება და დადება. აღნიშნულ პროცესში აქტიურად ჩაერთო პარიზში სსრ კავშირის საელჩო და სსრკ საგარეო დეზვერვის რეზიდენტურა.

გენერალი დე გოლი, სისხლხორცეულად დაინტერესებული საბჭოთა კავშირთან მეგობრობისა და სამოკავშირეო ხელშეკრულების რაც შეიძლება დროულად დადებით, თავისი ძველი „მეგობრის“, ბოგომოლოვის მეშვეობით ინტენსიურად ითხოვდა შეხვედრას ი. სტალინთან. პარალელურად, სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა ხელშეკრულების პროექტის ტექსტის მომზადება. ამ მხრივ საკმარისზე მეტი საქმე გაუწნდა ა. გუზოვსკისაც. ქართული ეროვნული საგანძურის საკითხიც რეზიდენტურის მიერ ზემოაღნიშნულ კონტექსტში განიხილებოდა.

საბჭოთა დაზვერვის რეზიდენტურის აღდგენისთანავე, ა. გუზოვსკიმ „ცენტრი-

დან", სხვა უმნიშვნელოვანეს დავალებებთან ერთად, ქართული ეროვნული ფასეულობების საბჭოთა კავშირში დაბრუნების ხელშეწყობისა და ორგანიზების ბრძანება გასცა. ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შემსწავლელი მეცნიერები, ე. თაყაიშვილის მოსაზრებაზე დაყრდნობით, მიანიშნებენ იმ ფაქტზე, რომ ქართული ეროვნული საგანძურის საკითხი დასმულა ჯერ კიდევ სტალინისა და დე გოლის მოსკოვის შეხვედრამდე.

ეს იდეა გენერალ დე გოლისათვის სწორედ საბჭოთა საგარეო დაზვერვას უნდა „ჩაეწვეთებინა", რითაც რამდენიმე საკითხს ერთდროულად გადაწყვეტდა: დე გოლს საშუალება მიეცემოდა ესიამოვნებინა სტალინისათვის, რაც მისი მოსკოვში ვიზიტის წარმატების საწინდარი იქნებოდა. კმაყოფილი დარჩებოდა ი. სტალინიც, რაც საბჭოთა საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის დიდი გამარჯვება იქნებოდა. და კიდევ ერთი – საქართველოში ბრუნდებოდა ოცდახუთი წლის წინ იძულებით გატანილი ეროვნული ფასეულობები, რაც ქართული ემიგრაციისა და თითქმის დაშლილი და დაქუცმაცებული საქართველოს დევნილი მთავრობის საბოლოო დამარცხებას ნიშნავდა. სსრ კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის წინაშე ამ სპეცლონისძიების წარმატებით დასრულებით ღირსეულად წარმოჩინდებოდა სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს პირველი მთავარი სამმართველო – საბჭოთა საგარეო დაზვერვა.

პროფესორი პეტრე შარია იგონებს: „დე გოლმა სხვადასხვა არხებით შეიტყო, თუ რა ჩაეთვლებოდა მას ი. ბ. სტალინთან მოლაპარაკებისას დადებითად, ამიტომ შეეცადა ეს საქმე მოსკოვში წასვლამდე გაეკეთებინა".[61] ამ „სხვადასხვა არხებში" უპირველესად საბჭოთა სპეცსამსახურები, კერძოდ კი საგარეო დაზვერვა უნდა იგულისხმებოდეს.

საფიქრებელია, რომ დე გოლის ქართული ეროვნული ფასეულობის საქართველოში დაბრუნების სურვილზე ნაწილობრივ მაინც უნდა ემოქმედა მისი და ქართველი გენერლის დიმიტრი ამილახვარის („ბაზორკად" წოდებული) მეგობრობას. დე გოლი და „ბაზორკა" ერთად სწავლობდნენ ცნობილი სენ-სირის სამხედრო სასწავლებელში, შემდგომშიც აგრძელებდნენ მეგობრულ ურთიერთობებს და აქტიურად თანამშრომლობდნენ. დ. ამილახვარი მოღვაწეობდა გენერალ დე გოლის მიერ წარმოებულ სამხედრო ოპერაციებში.

გენერალი „ბაზორკა" დიდ პატივს სცემდა ე. თაყაიშვილს. მას ამ უკანასკნელისათვის არაერთგზის უამბნია დე გოლის გმირობასა და სიმამაცეზე.

ნიშანდობლივია ისიც, რომ გენერალმა ბაზორკა ამილახვარმა ორი ათასი ფრანკი შეიტანა ქართველ ემიგრანტთა საერთო ფინანსურ შენატანში, რისი მეშვეობითაც მოხერხდა პარიზში, დიდი ტირაჟით ე. თაყაიშვილის უნიკალური ნაწარმოების „ექსპედიცია კოლა-ოლთისსა და ჩანგლში" და რამდენიმე ბროშურის გამოცემა.[50]

სწორედ იმ პერიოდში შეიქმნა უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე ყველაზე ხელსაყრელი პოლიტიკური ვითარება ქართული ეროვნული საგანძურის სამშობლოში დასაბრუნებლად. ეს კარგად ესმოდა ი. სტალინსაც. აქედან გამომდინარე, დაიწყო ამ საკითხის ფორსირებულად გადაწყვეტა. გუზოვსკიმ, უპირველეს ყოვლისა, მოლაპარაკებები გამართა ჟოდონთან, რომელიც პასუხისმგებელი იყო ქართული განძის დაცვაზე. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, კონსულტაციებს

გადიოდა ქვეყნის სახელისუფლო პირებთან – საფრანგეთის სპეცსამსახურებთან და პოლიციასთან. გუზოვსკი დარწმუნდა, რომ ქართულ ეროვნულ საგანძურთან მიმართებით გარკვეული ხასიათის სამართლებრივი წინააღმდეგობები არსებობდა. მოსაგვარებელი იყო ერთი ფორმალური მხარეც – ქართველი სოციალ-დემოკრატი ლიდერების მხრიდან დასტურის მიღება. ამ მხრივ გუზოვსკის წინააღმდეგობა არ შეხვედრია. პირიქით, ნ. ჟორდანია, ევგ. გეგეჭკორი და სხვა ლიდერები განძის სამშობლოში დაბრუნებას მიესალმნენ, თუმცა იყვნენ მოწინააღმდეგენიც.

პროფესორი გ. ჟორდანია მიიჩნევს, რომ პიერ ჟოდონმა დიდი როლი შეასრულა ქართული ეროვნული ფასეულობის მოვლა-პატრონობის საქმეში და 10 წლის მანძილზე მისი მცველი იყო. ჟოდონი როგორც საკმაოდ გავლენიანი პირი, აღჭურვილი იყო საფრანგეთის მთავრობის დიდი ნდობით. მას იმ პერიოდში ეკავა ორი საპასუხისმგებლო თანამდებობა: ის იყო საფრანგეთის მთავრობის მთავარი წარმომადგენელი შერეულ საერთაშორისო სასამართლოებში და, საფრანგეთში უპატრონოდ მიტოვებულ რუსულ ქონებათა, უფლებათა და ინტერესთა დროებითი გამგებელი.

პიერ ჟოდონი, როგორც ჩანს, გარდა იუსტიციის სამინისტროსი, საგარეო საქმეთა სამინისტროსაც ექვემდებარებოდა. იმ გარემოებაზე, რომ განძის საქმე ექვემდებარებოდა საგარეო საქმეთა სამინისტროს (იუსტიციის სამინისტროსთან ერთად), მიუთითებს ლამპერიერის მიერ 1944 წლის 15 დეკემბერს გუზოვსკისათვის გაგზავნილი წერილი. ამ წერილის შტამპზე აღბეჭდილია: „საფრანგეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს კერძო ქონებათა და ინტერესთა სამმართველო“.[61] მაშასადამე, პიერ ჟოდონიცა და ანრი ლამპერიერიც, რომელიც ქართული განძეულობის თანაგამგებელი იყო, ერთი მხრივ, იყვნენ „სასამართლოს დროებითი გამგებელნი“, ხოლო მეორე მხრივ, ექვემდებარებოდნენ საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ე.წ. „კერძო ქონებათა და ინტერესთა სამმართველოს“ და მოქმედებდნენ ამ დაწესებულების სახელით. ანრი ლამპერიერი და განსაკუთრებით პიერ ჟოდონი, სავარაუდოდ დაკავშირებულნი იყვნენ საფრანგეთის სპეცსამსახურებთან. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ისიც, რომ საფრანგეთის სპეცსამსახურები თავისი სტილით, ფორმებითა და მეთოდებით გარკვეული თავისებურებებით გამოირჩეოდნენ. ისინი ცალკე ერთიან, ორგანიზაციულ სტრუქტურად არ არსებობდნენ და ფუნქციონირებდნენ დანაწევრებული სახით, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში შემავალნი.

„ცენტრის“ მითითებით, ა. გუზოვსკის არა მარტო ეროვნული ფასეულობების დაბრუნება ევალებოდა სსრ კავშირში, არამედ თითქმის ოცდახუთწლიანი განშორების შემდეგ მას სამშობლოში უვნებლად უნდა დაებრუნებინა მხცოვანი მეცნიერი ექვთიმე თაყაიშვილი.

ე. თაყაიშვილის საქართველოში დაბრუნების გადაწყვეტილების მიღებასთან და მოტივაციასთან დაკავშირებით არსებობს სხვადასხვა მოსაზრება.

პროფესორ გ. ჟორდანიას აზრით: „საკითხი გადაწყდა პ. შარიას პარიზში ჩასვლის შემდეგ, როდესაც დაავადებული ექვთიმე იწვა საბჭოთა გენერალურ საკონსულოში. პეტრეს უკითხავს ექვთიმესათვის: ხომ არ მოისურვებდა იგი სამშობლოში დაბრუნებას? მოხუცს უპასუხია, რომ მას ძალიან სწყუროდა დაბრუნება, სურდა მისი ძვლები დამარხულიყო მშობლიურ მიწაში. პეტრეს გაუგზავნია

დეპეშა მოსკოვში ჩვენი მთავრობისათვის და სამ დღეში თანხმობა მიუღია. როცა ეს უხარებია ექვთიმესათვის, შეუმჩნევია, რომ მოხუცის გასხივოსნებულ სახეს მწუხარების ღრუბელმა გადაჰკრა. ექვთიმეს, ისე რომ სხვებს არ გაეგონათ, ჩუმად ყურში უთქვამს პეტრესათვის: შვილო, ტიტველი ვარ, ასე როგორ წავიდე სამშობლოშიო?“.[61]

ეროვნული ფასეულობების საქართველოში გადმოტანასთან დაკავშირებით, თბილისიდან პასუხისმგებელ მუშაკთა საფრანგეთში ჩასვლამდე, ა. გუზოვსკიმ შექმნა ერთობლივი კომისია „პარიტეტულ“ საწყისებზე. ქართული განძის ჩაბარების ოქმის თანახმად, მასში შევიდა საბჭოთა მხარის 5 და ფრანგული მხარის 3 წარმომადგენელი: საელჩოს პირველი მდივანი და გენერალური კონსულის მოვალეობის შემსრულებელი (ასეა მითითებული დოკუმენტში – გ. ს.) ალექსანდრე გუზოვსკი, ექვთიმე თაყაიშვილი, გიორგი გეგელია, აკაკი ნიჟარაძე და კოლა (კოლია – პოლიკარპე) მელაძე. საფრანგეთის მხრიდან: პიერ ჟოდონი, ანრი ლამპერიერი და ლიზერე. კომისიას საწყის ეტაპზე ა. გუზოვსკი ხელმძღვანელობდა. აღსანიშნავია, რომ გეგელიას, ნიჟარაძისა და მელაძის შეყვანა კომისიაში მომხდარა სწორედ ა. გუზოვსკის რეკომენდაციით.

ა. გუზოვსკიმ მხცოვანი მეცნიერის უშუალო მეურვეობა და პატრონობა დაავალა ყოფილ სამხედრო ტყვეებს კ. მელაძესა და თ. შავდიას.

განძთან დაკავშირებული საკითხები მაქსიმალურად გასაიდუმლოებული იყო. ეს პროცესი სახელმწიფო რანგში იყო აყვანილი და მასზე პასუხისმგებლობა საფრანგეთში სსრ კავშირის საელჩოს და პირადად ა. გუზოვსკის ჰქონდათ დაკისრებული. კომისია ყოველდღე იკრიბებოდა და მუშაობდა ვერსალში, მონბორნირის ქუჩაზე მდებარე ნაციონალური ბიბლიოთეკის ქვედა სართულზე.

იმ პერიოდში ექვთიმე თაყაიშვილი ლევილში პატარა ოროთახიან ბინაში აგრძელებდა ცხოვრებას. ძალიან უჭირდა, ხშირად ლუკმა პურიც კი არ ჰქონდა, თავი რომ ერჩინა. ქართველი ემიგრანტების დახმარებით სული მაინც ედგა. გაცრეცილი კოსტიუმით დადიოდა, ხელები უკანკალებდა და წერას ვეღარ ახერხებდა.

ა. გუზოვსკიმ დიდი მზრუნველობა გამოიჩინა ე. თაყაიშვილის მიმართ. დიდი ქართველი მოამაგე მან საცხოვრებლად საბჭოთა საკონსულოში გადაიყვანა. რომ არა საბჭოთა დიპლომატიური მისიისა და პირადად საბჭოთა საგარეო დაზვერვის რეზიდენტის ძალისხმევა და ყურადღება, მხცოვანი მეცნიერი ვერ გადაიტანდა ჯანმრთელობის გაუარესებას, რომელიც მას ბოლო თვეებში აღენიშნებოდა.

ე. თაყაიშვილის მთავარი მომვლელ-პატრონი იყო ა. გუზოვსკის მეუღლე, რომლის ღვაწლს დიდი მადლიერების გრძნობით იხსენებდა მოგვიანებით თვით ექვთიმე თავის მოგონებებში.

გენერალმა დე გოლმა კარგად იცოდა ქართული ეროვნული საგანძურის ტანჯული ისტორია და ის, რომ განძი დიდი ხანია საფრანგეთის სასამართლოს მიერ დაყადაღებული იყო, თუმცა ყადაღის მოხსნას ის არ ჩქარობდა და შესაბამის მომენტს ელოდებოდა, მომენტს, რომელიც ჯერ კიდევ წინ ჰქონდა.

თავდაპირველად, გ. გეგელიას მოგონების თანახმად, ეს უკანასკნელი და ა. გუზოვსკი შეხვდნენ საფრანგეთის იუსტიციის მინისტრს განძის საბჭოთა კავშირისათვის გადაცემასთან დაკავშირებით, რაზედაც სასტიკი უარი მიიღეს.

აღნიშნულის თაობაზე სწრაფად მოხსენდა საბჭოთა ხელმძღვანელობას.

ე. თაყაიშვილსა და ა. ბოგომოლოვს შორის 1944 წლის 22 ნოემბრის შეხვედრის მეორე დღეს, გაიმართა მოლაპარაკებები საბჭოთა ელჩსა და დე გოლს შორის, რის შემდეგაც ა. გუზოვსკიმ მოამზადა სპეციალური წერილი სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოლოტოვის სახელზე, რომელსაც ბოგომოლოვმა მოანერა ხელი და სასწრაფოდ მოსკოვში გააგზავნა. პარალელურად, ა. გუზოვსკიმ ქართულ ეროვნულ საგანძურთან დაკავშირებით შექმნილი სიტუაციის თაობაზე შეატყობინა საბჭოთა კავშირის უშიშროების სახალხო კომისარიატის პირველი სამმართველოს (საგარეო დაზვერვის) ხელმძღვანელობას, რომელმაც, თავის მხრით, აღნიშნულის თაობაზე ამცნო ლ. ბერიას. ი. სტალინის დავალებით, საბჭოა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ქართულ ეროვნულ ფასეულობებთან დაკავშირებით მოამზადა და გააგზავნა სპეციალური მემორანდუმი საფრანგეთის მთავრობის სახელზე. მემორანდუმი გენერალმა დე გოლმა მიიღო მოსკოვში გაფრენამდე რამდენიმე დღით ადრე. მან საკითხის სამართლებრივად დასარეგულირებლად დავალება მისცა იუსტიციის მინისტრს ჟანენეს. „საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის მთავრობისათვის ქართული განძის შემცველი მოძრავი ქონების გადაცემის თაობაზე საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის მთავრობისა და საფრანგეთის რესპუბლიკის დროებით მთავრობას შორის მიღწეული შეთანხმების“ შესაბამისად, სენის დეპარტამენტის სამოქალაქო სასამართლოს თავმჯდომარემ, 1944 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით, გააუქმა თავისი 1934 წლის 8 მაისის დადგენილება ქართული განძის დროებითი გამგებლების – ჟოდონისა და ლამპერიერისათვის გადაცემის შესახებ და ეს უკანასკნელნი გაათავისუფლა ადრე დაკისრებული მოვალეობებისაგან.

1944 წლის 3 დეკემბრიდან 10 დეკემბრამდე მოსკოვში გაიმართა ოფიციალური შეხვედრები საფრანგეთისა და სსრ კავშირის მთავრობებს შორის, რომელთაც აწარმოებდნენ გენერალი დე გოლი და ი. სტალინი. შეხვედრები საკმაოდ წარმატებით მიმდინარეობდა და ისინი დასრულდა საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ხელშეკრულების ხელმოწერით. ხელშეკრულების ტექსტი პრესაში ოფიციალურად გამოქვეყნდა 1944 წლის 19 დეკემბერს. ეს იყო საფრანგეთის დროებითი მთავრობის მიერ დადებული პირველი და წარმატებული ხელშეკრულება სხვა ქვეყანასთან თანასწორუფლებიან საწყისზე. აღნიშნულ შეხვედრებზე საბჭოთა მხარე დე გოლისგან კიდევ ერთ შედეგს ელოდა და ისიც დადგა. გენერალმა, ისარგებლა რა სტალინის მხრიდან კეთილგანწყობით, კიდევ ერთხელ შეეცადა მისი გულის მოგებას და მოახსენა, რომ მაქსიმალურად ხელს შეუწყობდა ქართული საგანძურის სამშობლოში დაბრუნებას. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა მწერალ ელიზბარ უბილავას პროზაული ვარიანტი:

„ხელშეკრულებაზე ხელმოწერის წინა დღეს, ცხრა დეკემბერს, სტალინმა სადილი გამართა კრემლში ფრანგი სტუმრის პატივსაცემად. სუფრას სტალინი თამადობდა. სვამდნენ ქართულ ხვანჭკარას. დე გოლი მოხიბლა ხვანჭკარამ და იკითხა, სად მოდიოდა ასეთი ტკბილი და არომატული ღვინო.

– საქართველოში არის ერთი მთიანი რაიონი – რაჭა, სადაც მოჰყავთ ეს ღვინო, – განუმარტა სტალინმა.

– ასე დეტალურად იცნობთ თქვენი ქვეყნის ყველა მხარეს? – იკითხა დე გოლმა.

– უნდა ვიცნობდე. რაც შეეხება საქართველოს, ჩემს სიჭაბუკეში ფეხით დამიელია მისი მთა-ბარი, რევოლუციური ნათლობაც პირველად საქართველოში მივიღე.

დე გოლმა ბოგომოლოვს გადახედა.

ბოგომოლოვი მიხვდა ამ გამოხედვის მნიშვნელობას. როგორც ჩანდა, დე გოლს საქართველოს განძეული მოაგონდა. მართლაც, მცირე დაყოვნების შემდეგ, დე გოლმა სტალინს ჰკითხა:

– მაშ, თქვენ კარგად გეცოდინებათ საქართველოს განძეულის ისტორია. სწორედ მოსკოვში წამოსვლის წინ გამაცნეს ოფიციალური დოკუმენტები. რამდენედაც გავერკვიე, საქართველო სამართლიანად თხოულობს ამ განძეულის დაბრუნებას და მეც ქართველების მოთხოვნა დავაკმაყოფილე – დე გოლმა კვლავ ბოგომოლოვს გადახედა.

– განკარგულება გაცემულია, ამხანაგო სტალინ, – დაადასტურა ბოგომოლოვმა. ამჟამად ადგილობრივი კომისია იბარებს ამ განძეულს ვერსალის ბიბლიოთეკაში, ოღონდ საჭირო იქნება საბჭოთა კავშირიდან ოფიციალური წარმომადგენლების გაგზავნა, რომლებიც პარიზში ჩაიბარებენ ამ განძეულს და უზრუნველყოფენ მის ჩამოტანას. აქვე ანგარიშგასაწევია ერთი გარემოება: მრავალი ემიგრანტი, რომელიც მიხვდა თავის შეცდომებს და ყოფილი მენშევიკური მთავრობის უგუნურებას, მზად არის მოინანიოს ცოდვები, დაბრუნდეს სამშობლოში. ამ ბოლო დროს ჩვენს საელჩოში მრავალი ემიგრანტი მოდის ასეთი განცხადებით.

– ვიაჩესლავ მიხაილოვიჩ, – მიმართა სტალინმა მოლოტოვს, – როგორც ჩანს, ეს საკითხი მომწიფდა, მოამზადეთ მასალები და მომელაპარაკეთ.

მოლოტოვმა თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა სტალინს და მისი დავალება უბის წიგნაკში ჩაინიშნა".[78]

დაიწყო სსრ კავშირისათვის განძის გადაცემის პროცედურები, უპირველესად, მისი აღწერა, საკონსულოს შენობაში გადატანა და შემდგომ უსაფრთხო ტრანსპორტირება. ქართული ეროვნული სიმდიდრის დაბრუნების ოპერაცია მიმდინარეობდა საბჭოთა სპეცსამსახურების უშუალო მონაწილეობითა და მხარდაჭერით. სწორედ ამ დამამთავრებელ ეტაპზე გადაწყდა საფრანგეთში ოფიციალური პირების წარგზავნა. ესენი იყვნენ: საქართველოს სსრ კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი, პროფესორი პეტრე შარია და ხელოვნებათმცოდნე, პროფესორი შალვა ამირანაშვილი. პეტრე შარიას საფრანგეთში ქართველ ემიგრანტებთან სამუშაოდ და ქართული საგანძურის დასაბრუნებლად გაგზავნის გადაწყვეტილების მიღებას ხელი შეუწყო ლ. ბერიასა და პ. შარიას ახლო ურთიერთობებმა და იმ დიდმა ნდობამ, რასაც ეს უკანასკნელი იმსახურებდა. პეტრე შარია 1938 წლიდან რამდენიმე წლის მანძილზე მუშაობდა საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოებში, ხოლო ერთი პერიოდი იყო ზემოაღნიშნული კომისარიატის პირველი მთავარი სამმართველოს (საგარეო დაზვერვა) უფროსის მოადგილე და კითხულობდა ლექციებს საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის განსაკუთრებული დანიშნულების სკოლის მსმენელებისათვის, მიღებული ჰქონდა გენერალ-ლეიტენანტის წოდება. ის კარგად იყო გათვითცნობიერებული საბჭოთა დაზვერვის საქმიანობასა და იმ ამოცანებში, რომლებიც იმ ეტაპზე იდგა საგარეო დაზვერვის წინაშე. პეტრე შარია პროფესიით იყო მეცნიერ-ფილოსოფოსი და მინიჭებული ჰქონდა ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. ის

სამეცნიერო და პარტიულ წრეებში, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც ავტორიტეტით სარგებლობდა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პ. შარია იყო სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრისაგან (აწ უკვე ყოფილი) ნიკოლოზ ეჟოვისაგან საქმეების ლ. ბერიასათვის გადაბარების კომისიის მდივანი.[362]

პროფესორი შ. ამირანაშვილი იგონებს: „1944 წლის 22 ოქტომბერს, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მორიგ სესიაზე ყოფნისას, მოსკოვში, მოხსენებითი ბარათი წარვუდგინეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ი. ბ. სტალინს. ბარათში ვითხოვდით დაგვხმარებოდა, რათა გარკვეულიყო, თუ რა ბედი ეწია საქართველოს განძეულობას, რომელიც წაღებულ იქნა მენშევიკების მიერ საფრანგეთში 1921 წელს. ვთხოვდით აგრეთვე, რომ სათანადო ზომები მიეღო მისი დაბრუნებისათვის. ბარათი გადაეცა კრემლის კომენდატურის მორიგეს.

იმავე წლის 16 ნოემბერს, როცა კარგა ხნის დაბრუნებული ვიყავი თბილისში, სასწრაფოდ გამომიძახეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, სადაც მაცნობეს, დაუყოვნებლივ გავემგზავრებულიყავი მოსკოვს, იქიდან კი საფრანგეთში საქართველოს განძეულობის მისაღებად და ჩამოსატანად. მე დაუყოვნებლივ გავემგზავრე მოსკოვს. როგორც იქ გავიგე, სსრკ მთავრობას სათანადო დადგენილება მიეღო საფრანგეთიდან საქართველოს განძეულის დაბრუნების შესახებ".[61]

1945 წლის დასაწყისში პ. შარია და შ. ამირანაშვილი სპეციალური რეისით მოსკოვიდან საფრანგეთში თეირანისა და კაიროს გზით გაემგზავრნენ. 21 იანვარს საბჭოთა თვითმფრინავი პარიზის აეროდრომზე დაეშვა.

პარიზში პ. შარია დაბინავდა სასტუმრო „ბრისტოლში", ხოლო შ. ამირანაშვილი – საბჭოთა საელჩოში გრენელის ქუჩაზე.

საფრანგეთში ჩასვლისთანავე პ. შარიამ და შ. ამირანაშვილმა დაიწყეს ინტენსიური მუშაობა. ეროვნული ფასეულობის საქართველოში დაბრუნებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში ალექსანდრე გუზოვსკის, ექვთიმე თაყაიშვილის, პეტრე შარიასა და შალვა ამირანაშვილის გარდა მონაწილეობდნენ ემიგრანტები აკაკი ნიჟარაძე და გიორგი გეგელია, აგრეთვე ყოფილი სამხედრო ტყვეები: აკაკი შავდია და პოლიკარპე (კოლია) მელაძე. ეს უკანასკნელი იგონებს: „ოთხი დღის განმავლობაში ჩვენი კომისია ყოველდღე იკრიბებოდა და მუშაობდა ვერსალში მონბორინის ქუჩაზე მდებარე ნაციონალური ბიბლიოთეკის ქვედა სართულზე. მე მევალებოდა მეთვალყურეობა გამეწია განძის გადატანისათვის ვერსალიდან საკონსულოში. ერთხელაც, ყუთების დახარისხებისას, ისინი მანქანაში ჩავატვირთვინე. თამარ მეფის ქოში კი ქაღალდში გავახვიე და ხელში მეჭირა. მეშინოდა, ყუთში არ დაზიანებულიყო. გზაში ჩვენი მანქანა პოლიციამ გააჩერა. ყოველგვარი ახსნა-განმარტების მიცემაზე უარი ვუთხარი და მოვითხოვე უფროსთან მივეყვანე. ჟანდარმერიიდან კი პირდაპირ საკონსულოში დავრეკე. რამდენიმე წუთში დიპლომატიური წარმომადგენლობა ჟანდარმერიასთან გაჩნდა. გუზოვსკიმ მადლობა გადამიხადა ოპერატიული მუშაობისათვის და სახელმწიფო საიდუმლოების შენახვისათვის". [189] იმ პერიოდში, როდესაც ქართული ეროვნული საგანძურის საბჭოთა კავშირში დაბრუნების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებები

ტარდებოდა, პ. შარიამ რესტორანში მოაწყო სპეციალური წვეულება იმ ფრანგების პატივსაცემად, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს ჩვენი ეროვნული ფასეულობების შენახვა-დაცვის საქმეში. აღნიშნულ სადილს ესწრებოდნენ პ. შარია, ა. გუზოვსკი, ე. თაყაიშვილი, შ. ამირანაშვილი, გ. გეგელია და სამი ფრანგი სტუმარი. მოკლე პერიოდში ფრანგულმა მხარემ, განძის დამცველებმა და სეკვესტორებმა მოაწყვეს საპასუხო სადილი მოკავშირეთა კლუბ „ინტერალიე"-ში. აღნიშნულ ღონისძიებას, ზემოთჩამოთვლილ პირებთან ერთად, ესწრებოდა საფრანგეთში სსრკ საელჩოს თანამშრომელი ალექსეევი.

1945 წლის 15 თებერვლისათვის ქართულ ეროვნულ საგანძურთან დაკავშირებული სამუშაოები დამთავრებული იყო. შექმნილი რთული პოლიტიკური და საომარი ვითარებიდან გამომდინარე, თითქმის თვე-ნახევარზე მეტი დასჭირდა განძის საბჭოთა კავშირში ტრანსპორტირებას.

1945 წლის 5 აპრილს, ორ „დუგლასის" ტიპის ნახევრად საბარგო, მოძველებულ ამერიკულ თვითმფრინავში დატვირთული ქართული ეროვნული საგანძური, თანმხლებ პირებთან ერთად, საბჭოთა კავშირისაკენ გაემართა. ქართული ეროვნული საგანძურის საბჭოთა კავშირში გადატანის პროცესში უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა დაეკისრა ა. გუზოვსკის, რომელიც ე. თაყაიშვილთან, პ. შარიასთან, შ. ამირანაშვილთან და ემიგრანტ პ. შავდიასთან ერთად იმყოფებოდა პირველ თვითმფრინავში, ხოლო მეორეში მოთავსდნენ ყოფილი სამხედრო ტყვე კ. მელაძე და ორი საბჭოთა სამხედრო პირი – საბჭოთა არმიის გენშტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომლები. ფრენის მარშრუტი ასეთი იყო: პარიზი, მარსელი, რომი, ბენგაზი (ჩრდილოეთ აფრიკა), კაირო, თეირანი, თბილისი. თვითმფრინავების მოძრაობის გრაფიკი მკაცრად გასაიდუმლოებული იყო. თითოეულ ქალაქში ჩაფრენისას საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები განძის დაცვის განსაკუთრებულ ზომებს ღებულობდნენ.

ქართული ეროვნული საგანძურის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამდივნოს უფროსის მითითებით, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის კოჭლავაშვილის ხელმძღვანელობით, ირან-სსრკ-ის საზღვარზე, ქ. ჯულფაში, გაიგზავნა ჯარისკაცების მოზრდილი ჯგუფი.

თითქმის ერთკვირიანი მომქანცველი მგზავრობის შემდეგ, 1945 წლის 11 აპრილს, ორივე თვითმფრინავი თბილისის აეროპორტში დაეშვა.

„ცა, ფირუზ, ხმელეთ, ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
სნეული დავბრუნებულვარ,
მკურნალად შემეყარეო!..
დედა-შვილობამ ბევრს არ გთხოვ:
შენს მიწას მიმაბარეო!.. ".[61]

ასეთი იყო მხცოვანი მეცნიერის, ექვთიმე თაყაიშვილის მიერ წარმოთქმული სიტყვები თბილისის მიწაზე ფეხის დადგმისას. იმავე დღეს განძი მოათავსეს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის N 3 სეიფში, რომელიც მაშინ „მეტეხის" მუზეუმის დროებით სარგებლობაში იმყოფებოდა.

ეროვნული საგანძურის საქართველოში დაბრუნებიდან ორიოდე დღეში,

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1945 წლის 14 აპრილის N 439 ბრძანების თანახმად, შეიქმნა საქართველოში პარიზიდან დაბრუნებული ეროვნული საგანძურის მიმღები კომისია შემდეგი შემადგენლობით: აკადემიკოსები: ს. ნ. ჯანაშია (თავმჯდომარე), ვ. გ. მგალობლიშვილი, ა. მ. აფაქიძე, ს. ე. ჭილაია და პროფ. შ. ი. ამირანაშვილი. კომისიამ საკმაოდ რთული და შრომატევადი საქმიანობა გასწია. პროცესს თვალყურს ადევნებდა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი. საქმე ის გახლდათ, რომ განძეულის მიღება-ჩაბარების აქტებში გარკვეული სხვაობის გამო, აუცილებელი იყო ყველა დოკუმენტის დეტალური შესწავლა და დამატებითი ინფორმაციის მოპოვება.

საქართველოს შსს-ის არქივში დაცულია ეროვნულ ფასეულობასთან დაკავშირებული რამდენიმე დოკუმენტი:

1. «Список грузинских исторических ценностей, полученных нами в Париже» (на 47 листах)*; [338]
2. «Список возвращенных комиссией культурных ценностей, вывезенных в 1921 г. из Грузии бывшим меньшевистским правительством и материалы к докладу «Грузинское искусство в дни Великой Отечественной войны»** [335]
3. «Список музейных ценностей, вывезенных меньшевистским правительством из Грузии в 1921 г.»***; [321]
4. «Акт комиссии СНК ГССР по приемке музейных ценностей вывезенных из Грузии бывшим меньшевистским правительством и возвращенных из Парижа в Грузию»****; საბჭოთა სპეცსამსახურები, კერძოდ, სსრკ საგარეო დაზვერვა რომ სისხლხორცეულად იყო დაინტერესებული ქართული ეროვნული საგანძურით და აქტიურად ჩაბმული საბჭოთა კავშირში მისი დაბრუნების ღონისძიებებში, მოწმობს ერთი დოკუმენტიც, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ 1946 წლის 2 თებერვალს (1/9/2406), სრულიად საიდუმლო თანმხლები წერილით (ლიტერი „ა") სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის 1-ლი განყოფილების უფროსს, გენერალ-ლეიტენანტ პავლე ფიტინს საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისრისათვის, გენერალ-ლეიტენანტ ა. რაფავასათვის გაუგზავნია 47 ფურცელზე შესრულებული ქართულ ეროვნულ ფასეულობათა ჩამონათვალი, რომელიც საბჭოთა დაზვერვის მიერ ყოფილა მიღებული: „При этом направляем Вам список грузинских исторических ценностей полученных нами в Париже"*****. 1945 წლის 15 აგვისტოს საქართველო სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნა ქართული ეროვნული საგანძურის გამოფენა, რომელსაც უამრავი დამთვალიერებელი გაეცნო.

---

*„ჩვენს მიერ პარიზში მიღებული ქართული ისტორიული ფასეულობების სია (47 ფურცელზე)";

** „კომისიის მიერ დაბრუნებული 1921 წელს ყოფილი მენშევიკური მთავრობის მიერ საქართველოდან გატანილი კულტურული ფასეულობების სია და მასალები მოხსენებისათვის „ქართული ხელოვნება დიდი სამამულო ომის დღეებში".

*** „1921 წელს მენშევიკური მთავრობის მიერ გატანილი სამუზეუმო ფასეულობების სია".

**** „ყოფილი მენშევიკური მთავრობის მიერ გატანილი და პარიზიდან დაბრუნებული სამუზეუმო ფასეულობების მიმღები საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს კომისიის აქტი".

***** „ამასთან ერთად, გიგზავნით პარიზში მიღებული ქართული ისტორიული ფასეულობების სიას".

## ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა საბჭოთა წნეხის პირობებში

ექვთიმე თაყაიშვილის სამშობლოში დაბრუნება დიდ განცდებთან იყო დაკავშირებული. სამშობლოს ნახვამ მხცოვან მეცნიერს მეტი მხნეობა და სულიერი სიმტკიცე შემატა.

ე. თაყაიშვილი საცხოვრებლად დამკვიდრდა ვერაზე, ბაზრის პირდაპირ მდებარე მათე სხირტლაძის სახლში.

ექვთიმე თაყაიშვილის სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, თითქოსდა, დაფასდა მისი ღვაწლი სამშობლოსა და ერის წინაშე. ის 1946 წლის 28 დეკემბერს არჩეულ იქნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, მანამდე კი, 1945 წლის 15 აპრილს – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორად. გამოიცა მისი ფუნდამენტური ნაშრომები.

დამთავრდა მეორე მსოფლიო ომი. მშვიდობამ სულ მალე ახალი პრობლემები მოიტანა. ე. თაყაიშვილი, ასაკისა და ჯანმრთელობის გაუარესების მიუხედავად, ინტენსიურად შრომობდა, თუმცა „საბჭოთა ხალხის" გამარჯვების ეიფორიის ფონზე მხცოვანი მეცნიერი და ეროვნული საგანძურის დაბრუნების საკითხი ნელ-ნელა დავიწყებას მიეცა.

1947 წელს ე. თაყაიშვილი მძიმედ გახდა ავად. მართალია, ორი თვე ლოგინად ყოფნის შემდეგ უკეთ გრძნობდა თავს, მაგრამ ჯანმრთელობა მთლიანად ვერ აღიდგინა.

XX საუკუნის 40-იანი წლების მიწურულსა და 50-იანი წლების დასაწყისში სსრ კავშირში დატრიალებული პოლიტიკური რეპრესიების გამო მხცოვან მეცნიერს საქართველოს ხელისუფლებასთან პრობლემები შეექმნა. შეუწყდა პროფესორის ხელფასი, რამაც მის მატერიალურ მდგომარეობაზე საგრძნობლად იმოქმედა. დაუპატიმრეს შვილობილი, ავრცელებდნენ ჭორებს მისი შინაპატიმრობის თაობაზე და სხვა. თუკი ადრე მას ხშირად სტუმრობდნენ ძველი მეგობრები: აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, გიორგი ჩუბინაშვილი, შალვა ამირანაშვილი, გიორგი ჩიტაია, ნიკო ბერძენიშვილი, კონსტანტინე გრიგოლია, ცოლ-ქმარი გიორგი და ნინო ლომთათიძეები, ბოლოს მასთან თითქმის აღარავინ მიდიოდა, რასაც მხცოვანი მამულიშვილი მძიმედ განიცდიდა.

ეგრეთ წოდებულ „მეგრელ-ნაციონალისტთა საქმესთან" დაკავშირებით დაიკითხა 89 წელს მიტანებული ექვთიმე თაყაიშვილიც. 1952 წლის 24 თებერვალს ე. თაყაიშვილი მიიყვანეს საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში. დაკითხვას უშუალოდ აწარმოებდნენ საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრი გენერალ-ლეიტენანტი ნ. რუხაძე და საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მეორე განყოფილების უფროსის მოადგილე, ვიცე-პოლკოვნიკი სირაძე. დაკითხვა დაიწყო 13.10 საათზე – დამთავრდა 15.30 საათზე. გამოძიება ძირითადად ინტერესდებოდა პეტრე შარიას ურთიერთობებით ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ლიდერებთან და ცალკეულ ქართველ ემიგრანტებთან; ამ ურთიერთობების ხასიათით, აგრეთვე ქართული, ეროვნული, საგანძურის მიმართ მათი დამოკიდებულებით და იმით, თუ როგორი იყო განძის საქართველოდან გატანისა და სამშობლოში დაბრუნების ისტორია.

ექვთიმე თაყაიშვილის სამარის კარამდე მიყვანა სახელმწიფო უწყებების მხრიდან ფარული ზედამხედველობის ქვეშ რომ იყო, მოწმობს „პ. შარიას საქმეში" დაცული 1952 წლის 21 მარტის აგენტ „ბაგრატიონის" შეტყობინება.

1952 წლის 12 სექტემბერს ე. თაყაიშვილმა წერილობით მიმართა საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ა. მგელაძეს, რომელშიც ის ბოლო პერიოდში მის გარშემო დატრიალებული ბატალიების თაობაზე პასუხისმგებლობას აკისრებდა სახელმწიფო უშიშროების ყოფილ მინისტრს ნ. რუხაძეს და სთხოვდა საქმეში გარკვევას.

განცხადების დასკვნით ნაწილში მინიშნებულია:

„...მე დიდი პატივით მიმიღეს და აღმადგინეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორად და შემდეგ ამირჩიეს აკადემიის წევრად. მე განვაცხადე: მოხუცებულობის გამო ლექციების კითხვა არ შემიძლია-მეთქი. მათ მიპასუხეს: თქვენ იმდენი დამსახურება გაქვთ, რომ ლექციების კითხვა საჭირო არ არისო.

რა თქმა უნდა, მე რომ დარწმუნებული არ ვყოფილიყავი, რომ კაპიტალისტური რეჟიმის მოსპობა შეუძლია მხოლოდ კომუნისტურ რეჟიმს და არა სხვა მიმართულებას, საქართველოში არ დავბრუნდებოდი.

მე ასე პატივცემული ვიყავი ბოლშევიკური მთავრობისაგან მანამ, სანამ ძალაუფლება არ ჩაუვარდა ხელში რუხაძეს, რომელმაც მე მიმიღო უბრალოდ ემიგრანტად და მოინდომა ჩემი მოსპობა. ჯერ დააპატიმრა ჩემი ქალიშვილი ლიდა პოლტორაცკაია, რომელიც იყო ჩემი მომვლელი და გვაქვს ერთი ბინა... ლიდას დაპატიმრება იყო ჩემს წინააღმდეგ.

ამასთანავე ხმა დაყარეს, რომ მე მაქვს სახლში პატიმრობა და ისე დააშინა მეცნიერები, რომ მათ შეწყვიტეს ჩემთან სიარული. ერთმა აკადემიკოსმა პირდაპირ გამომიცხადა: „ვერ მოვდივარ, ვინაიდან თქვენ სახლის პატიმრობა გაქვთო"... ჩემთან მუშაობდა ლია დოლაბერიძე, რომელიც მეხმარებოდა მეცნიერულ მუშაობაში. უცებ მანაც მიმატოვა. ეხლა გამოირკვა, რომ ის დაუბარებია რუხაძეს, არ გაბედო მასთან მუშაობაო".

ამგვარად, ნ. რუხაძე ჩემი სამეცნიერო მუშაობის წინააღმდეგი გახდა. მისი შიშით მომხსნეს უნივერსიტეტის პროფესორობიდან და გამომიცხადეს წერილობით, რომ 15 მარტიდან გავდივარ საპენსიო ანგარიშზე. მას შემდეგ ხუთი თვე გავიდა და ვერაფერი პასუხი ვერ მივიღე ამ პენსიის განხორციელების შესახებ. ეხლა მე თქვენ გთხოვთ, გამოარკვიოთ ჩემი მდგომარეობა. თუ საჭიროა, რომ განვაგრძო მუშაობა, მომცეთ ამის საშუალება.

აგრეთვე გთხოვთ გასცეთ განკარგულება ჩემი პენსიის საკითხის შესახებ და პასუხი წერილობით მაცნობოთ.

უღრმესი პატივისცემით აკად. ე. თაყაიშვილი".[50]

ანალოგიური შინაარსის წერილით ექვთიმე თაყაიშვილის სიძემ ა. პოლტორაცკიმ 1953 წლის 6 მაისს მიმართა სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრს კრუგლოვს და გენერალურ პროკურორ რუდენკოს. მხცოვან მეცნიერს პასუხი არ მიუღია არც ერთ წერილზე.

1953 წლის 21 თებერვალს ე. თაყაიშვილი 90 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ექვთიმე თაყაიშვილის გარდაცვალების თაობაზე ნეკროლოგების ნაწილი დაიბეჭდა 1953 წლის 22 თებერვალს. იმ დღეს იმართებოდა სსრკ ადგილობრივი

საბჭოების არჩევნები და გაზეთი გამოვიდა მხოლოდ 10.00 საათზე. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის სახელით ნეკროლოგი დაიბეჭდა გაზეთებში „კომუნისტი“ და „ზარია ვოსტოკა“ დაკრძალვის დღეს – 24 თებერვალს. ესეც სპეციალურად იყო გათვლილი, რომ პროცესიას ხალხი არ დასწრებოდა. მანამდე კი, პანაშვიდზე მისულებს ურჩევდნენ, გასვენებაზე არ წასულიყვნენ. ასევე აიკრძალა სასაფლაოსკენ მსვლელობისას ცხედრის გაჩერება, თუმცა ორიოდ წუთით პროცესიის შეჩერება თბილისის უნივერსიტეტთან მაინც მოხერხდა.[50] სასიქადულო ქართველი მეცნიერი ექვთიმე თაყაიშვილი მისმა მოწაფეებმა და მეგობრებმა ა. შანიძემ, ალ. ბარამიძემ, ვ. ბერიძემ, ი. მეგრელიძემ, ალ. ჯანელიძემ, კ. კეკელიამ, ს. ყაუხჩიშვილმა გამოასვენეს. პროცესიას რამდენიმე ათეული ჭირისუფალი მიჰყვებოდა. ე. თაყაიშვილი დაიკრძალა ვაკის სასაფლაოზე.

ე. თაყაიშვილის დაბადებიდან 100 წლისთავთან დაკავშირებით, მისი ნეშტი 1963 წლის 10 თებერვალს (სხვა მონაცემებით 10 მარტს) ქართველ მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში, შემდეგ კი დიდუბიდან მთაწმინდაზე, ილიას საფლავის გვერდით გადაასვენეს. მოგვიანებით საფრანგეთიდან გადმოასვენეს ე. თაყაიშვილის მეუღლის – ნინოს ნეშტი და იქვე, მის გვერდით დაკრძალეს, მაშინდელი ხელისუფლება გარკვეულწილად შეეცადა გაექარწყლებინა ის გულისტკივილი, რაც მხცოვან მეცნიერს ბოლო წლებში მიაყენა. 1955 წლის ბოლოს პატიმრობიდან განთავისუფლებულ ლიდიას, ექვთიმეს სახელის პატივსაცემად, 1955 წლის აგვისტოში გარდაცვლილი ქმრის 32 მანეთი პენსიის ნაცვლად, აკადემიკოს მამობილის (96 მან.) პენსია დაუნიშნეს. შემდგომში, წლების მანძილზე, ექვთიმე თაყაიშვილის სახელის უკვდავსაყოფად მრავალი ღონისძიება გატარდა.

რუსთაველის საზოგადოების ინიციატივით, ქართველმა ხალხმა შეკრიბა თანხა და ვერის (ციროვის) ბაღში ძეგლი დაუდგა სახელოვან მამულიშვილს, ხოლო ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ 2002 წელს წმინდანად შერაცხა იგი.

დავუბრუნდეთ ისევ ქართული ეროვნული საგანძურის საქართველოში დაბრუნების თემატიკას და კარგად გავიაზროთ ის, თუ რამ განაპირობა პროცესის ღირსეულად დაგვირგვინება.

ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ ლიტერატურაში, ქართული ეროვნული საგანძურის საქართველოში დაბრუნებასთან დაკავშირებული ერთ-ერთი მოქმედი პირი ა. გუზოვსკი მოხსენიებულია ხან როგორც კონსული, ხან საელჩოს თანამშრომელი, ხანაც იურისკონსულტი. ის, როგორც ზემოთ აღინიშნა, გახლდათ საფრანგეთში საბჭოთა კავშირის საგარეო დაზვერვის რეზიდენტი, რომელსაც უშუალოდ ჰქონდა დავალებული ქართული ფასეულობების საქართველოში დაბრუნების ორგანიზაცია.

პროფესორი გივი ჟორდანია მიანიშნებს ქართული ეროვნული საუნჯის საქართველოში უვნებლად დაბრუნების სამ ძირითად ფაქტორზე, ესენია:

1. „ექვთიმე თაყაიშვილის დიდი სიმტკიცე და თავდადებული პატრიოტიზმი – ნამდვილი გმირობა“;

2. „ჩვენი საუნჯის ფრანგი მცველის, პიერ ჟოდონის დიდი სიმტკიცე და ფრანგული პატრიოტიზმი“;

3. „ის ქართული პატრიოტიზმი, რომელმაც გაიღვიძა სამშობლოდან საფრანგეთს გადახიზნულ ჩვენს თანამემამულეებში".[61]

ზემოაღნიშნულ მიზეზებს უნდა დაემატოს განძის დაბრუნების საკითხში ი. სტალინისა და ლ. ბერიას, აგრეთვე საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ განხორციელებული სპეციალური ღონისძიებებისა და პროცესში მონაწილე საბჭოთა სპეცსამსახურების თანამშრომლებისა და მათთან დაკავშირებული ცალკეული პირების დამსახურება. ეჭვს აღარ უნდა იწვევდეს ის ფაქტი, რომ ქართული ეროვნული განძეულობით დაინტერესებულნი იყვნენ საბჭოთა სპეცსამსახურები და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ფლობდნენ შესაბამის ინფორმაციას ძირითადად საზღვარგარეთ ემიგრანტთა წრეებში არსებული ოპერატიული წყაროების მეშვეობით. შესაბამისად, განძის საქართველოში დაბრუნების კომპანიასაც საბჭოთა დაზვერვა ხელმძღვანელობდა.

როგორც ერთ-ერთმა ვეტერანმა ქართველმა ჩეკისტმა გაიხსენა, ქართული ეროვნული საგანძურის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე ოპერატიული ზედამხედველობა დავალებული ჰქონდა საბჭოთა საგარეო დაზვერვის აგენტს ფსევდონიმით „კირი", რომელიც განძთან დაკავშირებულ ინფორმაციას მუდმივად აწვდიდა როგორც საფრანგეთში საბჭოთა დაზვერვის რეზიდენტურას, ასევე საქართველოს სსრ სპეცსამსახურებს.

და მაინც, რა როლი ეკუთვნის საბჭოთა სპეცსამსახურებს ქართული ეროვნული ფასეულობების საქართველოში დაბრუნების საქმეში? – ვფიქრობთ, საკმაოდ დიდი. ამის საფუძველს გვაძლევს ის, რომ წინამდებარე თავში აღწერილ მოვლენებში მონაწილე პირების დიდი უმეტესობა თანამშრომლობდა საბჭოთა სპეცსამსახურებთან, კერძოდ საგარეო დაზვერვასთან, რაც იძლეოდა განძთან დაკავშირებული მოვლენების თაობაზე ინფორმაციის ზედმიწევნით ზუსტად ფლობის საშუალებას, რომ აღარაფერი ვთქვათ საფრანგეთში საბჭოთა საელჩოს აღდგენის შემდგომ განვითარებულ პროცესებზე და ფასეულობების საქართველოში დაბრუნების საქმეში საბჭოთა დაზვერვის, კერძოდ, პარიზის რეზიდენტურის როლზე.

თავი X

# მეორე მსოფლიო ომის დასასრული და კაცობრიობა ახალი დაპირისპირების წინაშე

Отношение агента с разведслужбой поддерживаются до тех пор, пока обе стороны считают их нужными и полезными для себя.
*Аллен Далес*[*] [20]

## სპეცსამსახურები ცივი ომის ავანგარდში

ბერლინის დაცემამდე დღეები იყო დარჩენილი. მას შემდეგ, რაც საბჭოთა ჯარებმა გერმანიის დედაქალაქზე მასობრივი შეტევა დაიწყეს, მიხ. კედია, ალშიბაია და გაბლიანი ზალცბურგში გაემგზავრნენ, სადაც არაერთი შეხვედრა ჰქონდათ გერმანიის დაზვერვის ხელმძღვანელობასთან. საუბრის ძირითადი მიზანი მოახლოებული საფრთხისგან ქართველი ემიგრანტების დაცვის მექანიზმების შემუშავება იყო. ზალცბურგიდან დაბრუნებულები შვეიცარიაში გადავიდნენ. საზღვრამდე ისინი მიაცილა მიხ. კედიას პირადმა მცველმა ჟორა ქარდავამ, რომელმაც შემდგომ იტალიას შეაფარა თავი.

იძულებულნი იყვნენ შვეიცარიაში გამგზავრებულიყვნენ კავკასიის კომიტეტის ცნობილი წარმომადგენლებიც: აგამალიანი, ზარგარიანი, მირზაბეკოვი, კანტემირი და სხვები.[265]

ყველასათვის ნათელი იყო, რომ ნაცისტური გერმანიის პოლიტიკამ კრახი განიცადა და მეორე მსოფლიო ომი დასასრულს უახლოვდებოდა. მოკავშირეებს ბარდებოდა ერთ დროს ნაცისტური გერმანიის მხარეს მებრძოლი ბევრი მეომარი. მათ შორის იყვნენ ქართველებიც, რომლებიც თავის დროზე სხვადასხვა სამხედრო ფორმირებაში აღმოჩნდნენ და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მოქმედებდნენ. მოკავშირეთა სამოქმედო ტერიტორიებზე დროებით იქმნებოდა საფილტრაციო ბანაკები და გამანაწილებელი პუნქტები.

ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის მთავრობათა მეთაურების იალტის შეხვედრაზე მიღწეული შეთანხმების თანახმად, ინგლისის მხარემ ვალდებულება აიღო, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა კავშირს გადასცემდა მის საოკუპაციო ზონაში მოხვედრილი ის პირი, რომლებიც 1939 წლამდე საბჭოთა კავშირის მოქალაქეები იყვნენ, ანუ, ძირითადად, საბჭოთა არმიის ყოფილი სამხედრო მოსამსახურეები. აღნიშნული შეთანხმების თანახმად, 1945 წლის მაის-ივნისში ბრიტანეთის არმიამ განახორციელა, როგორც სამხედრო ისტორიკოსები მიანიშნებენ, ყოვლად სამარცხვინო

[*] აგენტი და სადაზვერვო სამსახური ურთიერთობას ინარჩუნებენ მანამ, სანამ ორივე მხარე ამას თავისთვის საჭიროდ და სასარგებლოდ მიიჩნევს.

ოპერაცია კოდური დასახელებით „კილხოლი", რის შედეგადაც, თითქმის ორი მილიონი დატყვევებული სამხედრო მოსამსახურე ავსტრიის ტერიტორიიდან იძულებით განდევნა ოკუპაციის საბჭოთა ზონაში. იქ ისინი დააპატიმრეს, უმეტესობა შემდგომ დახვრიტეს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დეპორტირებულთა შორის აღმოჩნდნენ ის პირებიც („ძველი" ემიგრანტები), რომლებიც 1939 წლამდე არ იყვნენ საბჭოთა კავშირის მოქალაქეები.

რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, ამერიკელებმა დანებებული ყოფილი სამხედრო მოსამსახურეები თავდაპირველად ტყვეთა ბანაკებში განათავსეს. მოგვიანებით, 1945 წლის აგვისტოში, ტყვეებს განუცხადეს, რომ მსურველებს შეეძლოთ ან სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ, ანდა პოლიტიკურ ემიგრანტებად დარჩენილიყვნენ. ეს წესი არ ვრცელდებოდა დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილ პირებზე. ამერიკელებმა სულ მალე ტყვეთა ბანაკები საერთოდ დაშალეს. ყოფილი მეომრები, რომლებმაც არ ისურვეს სამშობლოში დაბრუნება, ბედის ანაბარად დარჩნენ. ერთ დროს გერმანელთა მხარეს მებრძოლ ქართველთა დიდმა რაოდენობამ ქალაქ ბადრაიხენგალში მოიყარა თავი.

თავდაპირველად ახალ ქართველ ემიგრანტებს ცხოვრება ძალზე გაუჭირდათ და თავს ძლივძლივობით ირჩენდნენ. უმეტესობას იმ ქართველებისა, რომლებიც დასავლეთ გერმანიაში აღმოჩნდნენ, სურდათ ან მიუნხენში დასახლებულიყვნენ, ანდა სულაც ამერიკის კონტინენტზე, მეტწილად, სამხრეთ ამერიკაში გადასახლებულიყვნენ.

ფაშიზმზე გამარჯვების ეიფორიამ და იმედმა, რომ ბოლოს და ბოლოს, დედამიწაზე საყოველთაო მშვიდობა დამკვიდრდებოდა და საკუთარ სახლ-კარს დაუბრუნდებოდნენ ემიგრანტები და ყოფილი სამხედრო ტყვეები, სწრაფად გაიარა და კატასტროფა კვლავ ორ დაპირისპირებულ ბანაკად გაიყო. დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის დაწყებულ კონფრონტაციას ტონს აძლევდა დამარცხებულ და საოკუპაციო ზონებად დაყოფილ გერმანიაში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება. სიტუაციას ართულებდა ისიც, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დედამიწის სხვადასხვა კუთხეში უამრავმა ყოფილმა სამხედრო მეომარმა, მათ შორის ყოფილმა სამხედრო ტყვეებმა, მოიყარა თავი. გაურკვეველი იყო ბედის უკუღმერთობის გამო მრავალრი იძულებით გადაადგილებულის ბედიც. არსებული მდგომარეობა პრაქტიკულად იდენტური იყო ყველა იმ რეგიონსა თუ ქვეყანაში, რომელთაც მეორე მსოფლიო ომის სიმძიმე საკუთარ თავზე იწვნიეს. კვლავ რთულ ვითარებაში აღმოჩნდნენ სსრ კავშირიდან ერთ დროს ემიგრირებული პირები, რომლებიც რუსეთში ბოლშევიზმის გამარჯვების შემდეგ ემიგრანტებად იქცნენ. მათ შორის იყო ქართული პოლიტიკური ემიგრაცია და საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ დევნილი მთავრობა.

საფრანგეთი ვალდებული იყო შეესრულებინა საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული ვალდებულებები, რაც მდგომარეობდა ნაცისტებთან თანამშრომლობისათვის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებაში საფრანგეთში მცხოვრები ნებისმიერი პირისათვის, განურჩევლად მოქალაქეობისა და ეროვნებისა. ამ კატეგორიის ადამიანთა შორის მოხვდნენ ქართველი ემიგრანტებიც.

გერმანელებისაგან საფრანგეთის განთავისუფლების შემდეგ ქართული პოლიტიკური ემიგრაცია შავ დღეში ჩავარდა. ის პრაქტიკულად კომპრომეტირებული

იყო ნაცისტურ გერმანიასთან თანამშრომლობის გამო. განთავისუფლებული საფრანგეთის ახლადჩამოყალიბებული მთავრობის შემადგენლობაში ექვსი კომუნისტი-მინისტრი იყო და არსებობდა იმის შესაძლებლობა, რომ მინისტრთა კაბინეტი მთლიანად ფრანგი კომუნისტების მიერ ყოფილიყო დაკომპლექტებული.

საფრანგეთის ხელისუფლება ინტენსიურად ეძებდა და შემდგომ აპატიმრებდა ქართული ანტისაბჭოთა პოლიტიკური ემიგრაციის იმ წარმომადგენლებს, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით თანამშრომლობდნენ ნაცისტებთან და მხარს უჭერდნენ გერმანიის პოლიტიკას. მათ შორის იყვნენ ქართველი სოციალ-დემოკრატებიც. ამ უკანასკნელთა მეგობრები, ადრიან მარკე და შარლ სპინასი, საპყრობილეში იმყოფებოდნენ. დააპატიმრეს ნოე ჟორდანიაც. ევგ. გეგეჭკორმა თავი მოივადმყოფა და სამედიცინო ცნობის თანახმად, მისი ადგილიდან დაძვრა არ შეიძლებოდა. 70-მდე ქართველი ციხეში იჯდა, 100-მდე დრაჟეს საკონცენტრაციო ბანაკში იმყოფებოდა, 150 კაცზე გამოცხადებული იყო ძებნა. დახვრეტილ იქნენ: ვიქტორ მონიავა მეუღლესთან ერთად, ალექსანდრე (საშა) გელოვანი და ოთარ ჯავახიშვილი. საფრანგეთის პროკურორის წინაშე, თავის დროზე საქართველოს ემიგრანტული მთავრობის მიერ საფრანგეთის ოკუპაციის დროს გერმანელებისადმი გაკეთებული მიმართვის გამო პასუხის გაცემა მოუწია აკაკი ჩხენკელს, რომელიც პროკურატურაში თავისი შვილის, საფრანგეთის არმიის ოფიცრის (მაიორის) თანხლებით გამოცხადდა. აკ. ჩხენკელმა მომხდარი გერმანელებს გადააბრალა და აღნიშნული დოკუმენტის ხელმოწერა ნაცისტთა დაძალებით ახსნა. პროკურორმა ნათქვამი არ დაიჯერა, თუმცა, შვილის ავტორიტეტის გამო, აკ. ჩხენკელი დაპატიმრებას გადაურჩა.

ციხეში მოათავსეს ალექსანდრე ასათიანიც. ა. ჩხენკელმა, „მწოლიარე" ევგ. გეგეჭკორთან ერთად, ყველა ზომას მიმართა ქართველების ციხეებიდან დასახსნელად. ამ პროცესში უდიდესი როლი ითამაშა საფრანგეთის ებრაელობამ, ქვეყნის ოკუპაციის პირობებში ქართველთა მხრიდან მათ მიმართ გამოჩენილი ყურადღებისა და დახმარების გამო. მთელი სათვისტომო მთავარი რაბინის მეთაურობით, ფეხზე დადგა. საქმეში ჩაერთნენ იმ პერიოდში საფრანგეთში ცნობილი პიროვნებები: საზოგადოებრივ საქმეთა მინისტრის აპარატის უფროსი ჟიულ მოკო, გაზეთ „პოპულარის" მთავარი რედაქტორის მოადგილე ლეონ ბლუმი და საფრანგეთის „ეროვნული წინააღმდეგობის მოძრაობის" ერთ-ერთი გავლენიანი წევრი ვერდიე. ამ უკანასკნელის პირადი ძალისხმევის შედეგად, ორკვირიანი პატიმრობის შემდეგ განთავისუფლებულ იქნა ნ. ჟორდანია (შემდგომ ის კვლავ იქნა დაპატიმრებული ექვსი დღით ახლა უკვე ამერიკელების მიერ). შემდგომ ამისა, ებრაელი ეროვნების ფრანგი სოციალისტი პიკი და ასევე სოციალისტი ვერდიე ესტუმრნენ საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრს ტიკნისისს და გადასცეს 150-კაციანი სია იმ ქართველებისა, რომლებიც იმყოფებოდნენ დრაჟეს საკონცენტრაციო ბანაკში. ასე დაიწყო ქართველთა განთავისუფლება საფრანგეთის ციხეებიდან და საკონცენტრაციო ბანაკებიდან.[279]

აღნიშნული პერიოდისათვის საფრანგეთის ქართული პოლიტიკური ემიგრაცია „უპატრონოდ" დარჩა. თვით საფრანგეთის სოციალისტური პარტიის გარკვეულ ნაწილს კარგად ახსოვდა ქართველი სოციალ-დემოკრატების ნაციონალ-სოციალისტურ გერმანიასთან ურთიერთობა და, განაწყენებულები, ერიდებოდნენ მათ-

თან კონტაქტს. ქართველ სოციალისტებს ინგლისშიც საკმაოდ სუსტი კავშირები ჰქონდათ – ჰენდერსონი გარდაცვლილი იყო, მისი ღრმად მოხუცებული მეუღლე კი საერთაშორისო პოლიტიკაში ვერანაირ როლს ვერ თამაშობდა. რამზეი მაკდონალდიც აღარ იყო ცოცხალი.

ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ნაწილმა (ნ. ჟორდანია და ევგ. გეგეჭკორი) გადაწყვიტა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობების დამყარებისათვის მოესინჯა კბილი, რისი კატეგორიული წინააღმდეგიც იყო აკ. ჩხენკელი.

ხმებმა ნ. ჟორდანიასა და ევგ. გეგეჭკორის სსრ კავშირისადმი ლოალურად განწყობის თაობაზე 1948 წლისათვის გერმანიის ქართულ ემიგრაციამდეც მიაღწია. პროსაბჭოთა განწყობას აბრალებდნენ 64 წლის დაუძლურებულ სპირიდონ კედიასაც. აღნიშნულის თაობაზე გერმანიიდან 1948 წლის 2 იანვრით დათარიღებული წერილით ამცნო ქართველ ეროვნულ-დემოკრატთა ლიდერს ცნობილმა ქართველმა ემიგრანტმა ვიქტორ ნოზაძემ. მოკავშირეებმა ნელ-ნელა იწყეს პოტსდამის შეთანხმებების დარღვევა, რის გამოც თანდათან დაიძაბა მათ შორის ურთიერთობები. შექმნილ ვითარებაში წინა პლანზე წამოიწია ანტიჰიტლერულ კოალიციაში მონაწილე ქვეყნების სპეცსამსახურების საქმიანობამ. მათი ბრძოლის უპირველეს ასპარეზად კვლავ გერმანია და დანაწევრებული ბერლინი იქცა, სადაც თავი მოიყარა საკმაოდ „ჭრელმა“ საზოგადოებამ, მათ შორის გერმანიისა და სხვა ქვეყნების სპეცსამსახურების ყოფილმა თუ მოქმედმა თანამშრომლებმა და აგენტებმა. გერმანიის დასავლეთ ზონაში, დასავლეთ გერმანიის სპეცსამსახურთან ერთად, სსრ კავშირისა და ახლად შექმნილი აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ აქტიურ ფარულ ბრძოლას იწყებენ ამერიკის, ინგლისის და საფრანგეთის სპეცსამსახურები.

ამერიკის შეერთებულ შტატებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლაში სერიოზული დასაყრდენი სჭირდებოდა. ასეთად მას, უპირველეს ყოვლისა, მიაჩნდა დასავლეთ გერმანიის სპეცსამსახური, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დასრულებისას აღარ არსებობდა. აღარ არსებობდა მისი დასაყრდენი ძალაც – სადაზვერვო ქსელი. ამერიკელებმა გადაწყვიტეს მაქსიმალურად შეეწყოთ ხელი 1945 წლის 22 მაისს, გარემოცვასთან ერთად, საკუთარი ნებით ჩაბარებულ, ფაშისტური გერმანიის სამხედრო დაზვერვის (აბვერი) აღმოსავლეთ განყოფილების ყოფილი ხელმძღვანელისათვის, გენერალ-მაიორ რეინჰარდ გელენისთვის, რათა ამ უკანასკნელს, ძველი შესაძლებლობების გამოყენებით, ჩამოეყალიბებინა დასავლეთ გერმანიის თვისობრივად ახალი, დასავლეთზე ორიენტირებული სპეცსამსახური.

თავდაპირველად ამერიკელთა ხელდასმით შექმნილ ორგანიზაციას გელენის ორგანიზაცია ეწოდა და ის დაახლოებით სამას კაცს ითვლიდა. მისი დისლოკაციის ადგილი იყო ცენტრალური გერმანია – შპესარტის მთები. აღნიშნულ ორგანიზაციაში თავი მოიყარა ტყვეთა ბანაკებიდან გათავისუფლებულმა გერმანიის არმიისა და ნაცისტური გერმანიის სპეცსამსახურების ბევრმა ყოფილმა ოფიცერმა.

მალე გელენის ორგანიზაცია საგრძნობლად გაიზარდა და ის სამხრეთ გერმანიაში, დასახლება პულახში გადავიდა. 1956 წელს მის ბაზაზე ჩამოყალიბდა დასავლეთი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სადაზვერვო ორგანო, რომელსაც დაზვერვის ფედერალური სამსახური ეწოდა. რეინჰარდ გელენი იყო

ამ ორგანიზაციის პირველი ხელმძღვანელი. აღნიშნულ თანამდებობაზე ის 1968 წლამდე იმყოფებოდა.

მოგვიანებით, გერმანიის დაზვერვის ფედერალურ სამსახურში ჩატარდა ერთგვარი წმენდა, რომელსაც საფუძვლად დაედო ბუნდესტაგის ზოგიერთი გავლენიანი დეპუტატის ძალისხმევით მიღებული საიდუმლო განკარგულება – გადასინჯულიყო სამსახურის პერსონალი და განთავისუფლებულიყო იგი იმ ყოფილი ნაცისტი თანამშრომლებისაგან, რომლებიც მონაწილეობდნენ მშვიდობიანი მოსახლეობის გენოციდში.[54]

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში და მისი დასრულების შემდგომ, ახალი რეალიების გათვალისწინებით, რეფორმირებას განიცდიდა აშშ-ის სპეცსამსახურებიც, რომლებიც წამყვან ძალად იქცნენ უპირველესად სსრ კავშირის (შემდგომში სოციალისტური ბანაკის ქვეყნების) წინააღმდეგ ბრძოლაში. ამერიკის შეერთებული შტატები აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობაში ჩაერთო ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომის დროს, 1917 წლის 6 აპრილს, ანტანტის მხარეზე. აშშ მონაწილეობდა 1920 წლის პარიზის სამშვიდობო კონფერენციაში, ვერსალის ხელშეკრულების მომზადებაში, ცენტრალურ ევროპაში მშვიდობის დამყარების პროცესსა და სხვა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ხასიათის ღონისძიებებში. კონფერენციის დასრულების შემდეგ გაიხსნა ამერიკის მისია ბერლინში.

გლობალურ პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად ჩართვამ აშშ-ის წინაშე დასვა მძლავრი საინფორმაციო-ანალიტიკური სამსახურის შექმნის აუცილებლობა, რომელიც ქვეყნის ხელისუფლებას მიაწვდიდა პოლიტიკური, სამხედრო, სამეცნიერო-ტექნიკური და ეკონომიკური ხასიათის უტყუარ ინფორმაციას.

1941 წელს, აშშ პრეზიდენტის, ფრანკლინ-დელანო რუზველტის დავალებით, პოლკოვნიკმა უილიამ დონოვანმა (1883-1959 წწ.) შექმნა ფართომასშტაბიანი და განტოტვილი სადაზვერვო სისტემა. მას ეწოდა სტრატეგიული სამსახურების სამმართველო. დონოვანი გახდა ზემოაღნიშნული სამმართველოს პირველი ხელმძღვანელი. პერლ-ჰარბორზე განვითარებული ცნობილი მოვლენების (1941 წლის 7 დეკემბერი) შემდეგ, ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში სამუშაოდ მოწვეულ იქნა არანაკლებ ცნობილი სპეციალისტი ალენ დალესი. დონოვანმა და დალესმა ერთად იმუშავეს გერმანიასთან ომის მთელი პერიოდის განმავლობაში.

1947 წლის ივნისში მიღებული აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოების შესახებ კანონის შესაბამისად, აშშ-ში შეიქმნა ეროვნული უსაფრთხოების საბჭო და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო. ამ უკანასკნელის სტატუსი განისაზღვრა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს შესახებ სპეციალური კანონით (1949 წლის სექტემბერი).[20]

პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტებიდან გამომდინარე, რეფორმირებას განიცდიდნენ ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, აგრეთვე ევროპისა და აზიის სხვა წამყვანი ქვეყნების სპეცსამსახურებიც.

განსაკუთრებული ამოცანების წინაშე იდგნენ საბჭოთა სპეცსამსახურებიც. თუმცა, როდესაც ვსაუბრობთ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებზე, სსრ კავშირში განვითარებულ მოვლენებზე, უნდა გვახსოვდეს, რომ ეს იყო ომის შედეგად მიყენებული ფიზიკური და სულიერი ჭრილობების მოშუშების, დანგრეული ქვეყნის შენების, ფასეულობათა გადაფასების, დასავლეთსა და აღმოსავლეთს

შორის დაწყებული ახალი გლობალური დაპირისპირების პერიოდი.

იდეოლოგიური ბრძოლა და პოლიტიკური სისტემების უპირატესობის დემონსტრირება კაცობრიობის იმ პერიოდის მამოძრავებელ ძალად იქცა. იდეოლოგიურ ბრძოლაში ტონის მიმცემნი იყვნენ დასავლეთი – ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით და სსრ კავშირი, ორი დიამეტრულად განსხვავებული იდეოლოგიის, სხვადასხვა ისტორიული ტრადიციების, სულიერი ფასეულობების მატარებელი და კაცობრიობის მომავალი განვითარების განსხვავებული კონცეფციის მომხრე ქვეყანა. ამ პროცესში ჩართულნი აღმოჩნდნენ სპეციალური სამსახურებიც, რომლებიც მათთვის ჩვეული ფორმებითა და მეთოდებით ცდილობდნენ საკუთარი ქვეყნების ინტერესების გატარებას.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, სსრ კავშირის მმართველ ელიტაში ახალი ძალით დაიწყო ბრძოლა გავლენის მოპოვებისათვის. ძალაუფლებისათვის ბრძოლას, ტოტალიტარული სისტემის არსებობის პირობებში, ყოველთვის უდანაშაულო ადამიანების დიდძალი მსხვერპლი მოჰყვებოდა ხოლმე და ეს ყოველივე კეთდებოდა „ბედნიერი ცხოვრებისა“ და „ბედნიერი კეთილდღეობის“ ავანსად. თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ მსოფლიო ისეთი აღარ იყო, როგორიც 30-იან წლებში, როდესაც საბჭოთა მოქალაქეების ნებისმიერი საქციელი, მიმართული რომელიმე საბჭოთა პარტიული თუ სახელმწიფო მოღვაწის წინააღმდეგ (უპირველეს ყოვლისა, სტალინისა და მისი თანამოაზრეების წინააღმდეგ), აღიქმებოდა როგორც „ხალხის მტრის“ ქმედება. იდეოლოგიური ბრძოლის არეალი კიდევ უფრო გაფართოვდა და საბჭოთა ადამიანის გონებაში მტკიცედ ჩანერგილ მონურ მსოფლმხედველობას დაემატა ბევრად უფრო გლობალური ცნება – „ცივილიზაციის მტრის“ – იმპერიალიზმის ახლებური გააზრება. მკვლევრები ბევრს საუბრობენ იმაზე, თუ რამ გამოიწვია სისტემათა ასეთი შეურიგებელი დაპირისპირება, რომელი ქვეყანა და პოლიტიკური ბანაკი სცოდავდა უფრო მეტს. ერთნი ბოლშევიზმს ფაშიზმთან აიგივებენ, მეორენი, ზოგადად, სისტემათა დაპირისპირებას კაცობრიობის განვითარების აუცილებელ პირობად მიიჩნევენ და ა.შ.

გაახლებული იმპერიის გულში ძალაუფლებისათვის ბრძოლის სიმწვავეს უამრავი ადამიანი ეწირებოდა. დამშვიდებული ცხოვრება არც პოლიტიკური შეკვეთების უშუალო შემსრულებლებს, შინაგან საქმეთა და უშიშროების ორგანოებს ჰქონდათ. როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ დაგეგმილი და რეალიზებული სპეცოპერაციების იდეა, როგორც წესი, უმაღლესი პარტიული და სახელისუფლებო ინსტანციებიდან მოდიოდა. ამას ზოგჯერ საკუთარი ინიციატივებიც ემატებოდა და კრიტიკულ მომენტში, ანუ პოლიტიკური ვექტორების ცვლილებასთან ერთად, უშიშროების და შინაგან საქმეთა ორგანოები განტევების ვაცებად იქცეოდნენ. აღნიშნულ პროცესს, პოლიტიკური და რევოლუციური სიფხიზლის მოდუნებისათვის, ანდა პარტიული კონტროლიდან ამოვარდნის მოტივით, მოჰყვებოდა შინაგან საქმეთა და უშიშროების ორგანოს მუშაკთა (მათ შორის ხელმძღვანელთა) და მათთან კონფიდენციალურ ურთიერთობაში მყოფ პირთა მასობრივი რეპრესიები, რისი მაგალითებიც საბჭოთა ისტორიოგრაფიაში საკმარისზე მეტია.

მსოფლიოს ახლებურად მოწყობისა და მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში საბჭოთა იდეოლოგიის უპირატესობის დემონსტრირების, ერთპარტიული მმართ-

ველობის პირობებში, ქვეყნის წინაშე ახალი მიზნები დაისახა როგორც საშინაო, ისე საგარეო-პოლიტიკური კურსის ფორმირებისა და მისი რეალიზაციის თვალსაზრისით. აღნიშნულ პროცესში კვლავ სერიოზულ დასაყრდენს წარმოადგენდნენ სპეცსამსახურები. მათი საქმიანობის მთავარი მიმართულება იყო ქვეყნის იდეოლოგიური მტრების წინააღმდეგ ბრძოლა, დაზვერვითი და კონტრდაზვერვითი საქმიანობა, აგრეთვე, სამხედრო დამნაშავეთა, მათ შორის ყოფილ სამხედრო ტყვეთა და ნაციონალურ ფორმირებებში მოღვაწე პირთა გამოვლენა, შესწავლა და მათ მიმართ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების გატარება.

ამ ამოცანების ეფექტურად გადაჭრის მიზნით, სისტემურ და სტრუქტურულ რეორგანიზაციას დაექვემდებარნენ საბჭოთა სპეცსამსახურები. მის წინაშე დასმული ამოცანებიდან გამომდინარე, ტრანსფორმირება განიცადა სადაზვერვო სისტემამაც. პარტიზანული მოძრაობის ორგანიზებიდან მისი ძირითადი აქცენტები გადავიდა იმ პოლიტიკური და სამეცნიერო-ტექნიკური ხასიათის ინფორმაციის მოპოვებაზე, რომლებიც დაკავშირებული იყო მსოფლიოს ახალ, სამომავლო მოწყობასთან, ზეგავლენის სფეროების გადანაწილებასთან და ატომური იარაღით მუქარის გაუვნებელყოფასთან. სწორედ ამ მიმართულებით იყვნენ ორიენტირებულნი საბჭოთა საგარეო დაზვერვის რეზიდენტურები მთელ მსოფლიოში. გერმანელი ნაცისტებისაგან ევროპის ქვეყნების განთავისუფლებისა და აზიაში წარმატებული სამხედრო ოპერაციების კვალობაზე, გამარჯვებული საბჭოთა კავშირი მათთან ამყარებდა დიპლომატიურ ურთიერთობებს. ამ ქვეყნებში ძნელად, მაგრამ მიზანმიმართულად ყალიბდებოდა საბჭოთა დაზვერვის რეზიდენტურებიც, რომელთაც სადაზვერვო პროცესის ორგანიზებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

პირველი ასეთი საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლობა ამოქმედდა საფრანგეთში. საბჭოთა საელჩოს აღდგენისთანავე აღდგა საგარეო დაზვერვის რეზიდენტურაც. 1944 წლის 10 სექტემბერს პარიზში საბჭოთა დიპლომატიური მისიის საფარქვეშ ჩავიდა საბჭოთა დაზვერვის რეზიდენტი ა. ა. გუზოვსკი, რომელმაც „ცენტრს" უპატაკა: „Созданная нами перед войной разведывательная сеть во Франции, несмотря на тяжелые потери, не только выжила, но и развилась в организационном отношении"*.[59]

საფრანგეთში საბჭოთა საგარეო დაზვერვის ახლადაღდგენილ რეზიდენტურას ბევრი საქმე გაუჩნდა, რაც დაზვერვის წინაშე იმ პერიოდისათვის მდგარი ამოცანების რეალიზაციასთან იყო დაკავშირებული. პარიზის რეზიდენტურის ფორმირება ამ ქვეყნიდან გერმანელ ნაცისტთა განდევნის პირველ პერიოდში საკმაოდ რთულად მიმდინარეობდა, რისი უმთავრესი მიზეზიც იყო შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ოპერატიული ვითარება.

აღნიშნული პერიოდიდან მოყოლებული, საბჭოთა დაზვერვის ცენტრი დაინტერესებული იყო ისეთი ინფორმაციული მასალის მოპოვებით, როგორიცაა: საფრანგეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკური კურსის გაშუქება; პარიზს, ლონდონსა და ვაშინგტონს შორის ურთიერთობების ფონზე, მათი შეხედულებები მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ევროპის მოწყობის საკითხში; საფრანგე-

* ომის წინ ჩვენ მიერ საფრანგეთში შექმნილი სადაზვერვო ქსელი, მიუხედავად მძიმე დანაკლისისა, არათუ ცოცხლად გადარჩა, არამედ განვითარდა კიდეც ორგანიზაციული თვალსაზრისით.

თის ტერიტორიაზე ინგლისისა და ამერიკის დაზვერვათა საქმიანობა; რუსულ, უკრაინულ, ქართულ და სხვა ემიგრანტულ დაჯგუფებებში შექმნილი ვითარება და მათი ანტისაბჭოთა ქმედებები. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საფრანგეთში სამეცნიერო-ტექნიკური დაზვერვის ორგანიზებასაც.

ანტისაბჭოთა ორგანიზაციების წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად სადაზვერვო საქმიანობის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენდა ყოფილ სამხედრო ტყვეთა საკითხი. ამ უკანასკნელთა შორის იყვნენ ომის შედეგად ევროპაში ალალბედზე დარჩენილი ქართველები, საბჭოთა წითელი არმიის ყოფილი სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც ბედის უკუღმართობისა თუ სიცოცხლის გადარჩენის სურვილის გამო ნაციონალურ ლეგიონებსა და სხვადასხვა სპეციალური დანიშნულების ფორმირებებში მოხვდნენ.

საბჭოთა საგარეო დაზვერვის გააქტიურება მხედველობიდან არ გამორჩენია საფრანგეთის კონტრდაზვერვას, რომლის მიზანი იყო: საფრანგეთში საბჭოთა მზვერავებისა და აგენტების, აგრეთვე, მათი გეგმების, საქმიანობის ფორმებისა და მეთოდების გამოვლენა; საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პირველადი ორგანიზაციების აქტიური შესწავლა-დამუშავება, საბჭოთა წარმომადგენლობებთან მათი კავშირების დადგენა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, საფრანგეთის კომპარტიის დისკრედიტაცია და საბჭოთა კავშირის ავტორიტეტის შელახვა მსოფლიო საზოგადოების თვალში.

## ქართველები კვლავ უცხო ქვეყნების, მათ შორის, საბჭოთა სპეცსამსახურების ინტერესთა სფეროში

სსრ კავშირის საელჩოს აღდგენის ფაქტმა დიდი ინტერესი გამოიწვია როგორც საფრანგეთში, ისე დაინტერესებული ქვეყნების პოლიტიკურ წრეებსა და სპეცსამსახურებში, აგრეთვე, საფრანგეთის საბჭოთა ემიგრანტულ წრეებში. უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები ოპერატიული გზებითა და საშუალებებით ცდილობდნენ საბჭოთა დაზვერვის რეზიდენტურის მიზნების გამოცნობას და აქედან გამომდინარე, საკუთარი ამოცანების გადაწყვეტას. იმ პერიოდისათვის საბჭოთა საგარეო დაზვერვის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად კვლავ რჩებოდა საზღვარგარეთის ქვეყნების სპეცსამსახურების მხარდაჭერით მოქმედი ემიგრანტული, ანტისაბჭოთა ორგანიზაციებისა და ანტისაბჭოთა განწყობის ცალკეული ემიგრანტ-ლიდერების წინააღმდეგ ბრძოლა, მათი ზრახვების გამოაშკარავება და მათ მიმართ სპეციალური ღონისძიებების გატარება. დაზვერვათა დაინტერესების ცენტრში კვლავ მოექცა ანტისაბჭოთა ქართული ემიგრაცია და პირადად მათი ლიდერები ნოე ჟორდანია, ევგენი გეგეჭკორი და სხვები. ქართული ემიგრაციით დიდად იყო დაინტერესებული პირადად ლავრენტი ბერია:

„Берия был весьма озабочен тем, как использовать свои старые личные связи в оперативных целях. По линии жены Нины у Берии были два знаменитых родственника Гегечкори: один – убеждённый большевик, его именем назвали район в Грузии, другой, живший в изгнании в Париже – министр иностранных дел в меньшевитском правительстве Грузии (Позднее это явилось основанием

для обвинения, сфабрикованного против Берии, в том, что он через свою родню связан с империалистическими разведками). Наша резидентура во Франции была буквально завалена его директивами по разработке грузинской эмиграции, в особенности меньшевиков, правительство которых в изгнании находилось в Париже"*.[73]

საბჭოთა საგარეო დაზვერვის რეზიდენტურები, მათ შორის პარიზის რეზიდენტურაც, დირექტივებს სადაზვერვო საქმიანობასთან დაკავშირებით „ცენტრიდან", ანუ საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის (შემდგომში სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს) პირველი მთავარი სამმართველოსგან (საგარეო დაზვერვისგან) იღებდნენ. შესაბამისად, ანგარიშები გატარებული ღონისძიებებისა და საქმიანობის თაობაზე ამ უკანასკნელს ხსენდებოდა. „ცენტრსვე" მიეწოდებოდა ნებისმიერი ხასიათის სადაზვერვო ინფორმაცია.

პირველ მთავარ სამმართველოს საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკებში, უშიშროების ორგანოების ერთიან სისტემაში, გააჩნდა რეგიონული დანაყოფები პირველი განყოფილებების სახით, რომელთა უმთავრესი ფუნქცია იყო „ცენტრისათვის" მაქსიმალური ხელშეწყობის აღმოჩენა როგორც ოპერატიული, ასევე ორგანიზაციულ-საკადრო უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

საქართველოს შინაგან საქმეთა თუ უშიშროების ორგანოების პირველ განყოფილებას XX საუკუნის 50-იან წლებამდე, ოპერატიულ საქმიანობაში, რაც პიროვნებების შერჩევაში, შესწავლაში, მათთან კონტაქტის დამყარებასა და სხვა სპეციფიკური ხასიათის ღონისძიებების დაგეგმვაში (უპირველესად, ქართულ, ანტისაბჭოთა ემიგრაციასთან მიმართებაში) გამოიხატებოდა, ნაკლები დამოუკიდებლობა ჰქონდა. ჩასატარებელი და ჩატარებული სამუშაოების თაობაზე ხსენდებოდა სსრკ სახელმწიფო უშიშრების სამინისტროს პირველ მთავარ სამმართველოს. შემდგომში ეს წესი კიდევ უფრო გამკაცრდა და პირველი განყოფილება მითითებებს ემიგრაციის ხაზით, უშუალოდ ცენტრისგან, ანუ პირველი მთავარი სამმართველოსგან ღებულობდა, მასვე ბარდებოდა ანგარიშები და მისი უშუალო ჩარევით იგეგმებოდა სამომავლო ღონისძიებები. ქართულ ანტისაბჭოთა ემიგრაციასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი სადაზვერვო ოპერაცია თუ კომბინაცია მხოლოდ ცენტრთან შეთანხმებით უნდა წარმართულიყო.

ომისშემდგომი პერიოდისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს პირველი განყოფილების საქმიანობის მთავარ მიმართულებად კვლავ რჩებოდა საზღვარგარეთ ქართულ ანტისაბჭოთა ორგანიზაციებთან ბრძოლა. ძირითადი ძალისხმევა მიმართული იყო საფრანგეთში, გერმანიაში, ირანსა და თურქეთში მოქმედი ანტისაბჭოთა ცენტრებისაკენ. საბჭოთა სპეცსამსახურები თვლიდნენ, რომ ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაციის მხრიდან საფრთხე მაინც დიდი იყო დასავლეთის, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების და ინგლისის სპეცსამსახურების მხრიდან აქტიურად დაინტერესების გამო. ამას ემატებოდა

*. ბერიას ძალზე აწუხებდა ის, თუ როგორ გამოეყენებინა თავისი ძველი კავშირები ოპერატიული მიზნებისათვის. მეუღლის – ნინას – ხაზით ბერიას ჰყავდა ორი ცნობილი ნათესავი: მგზნებარე ბოლშევიკი გეგეჭკორი და მეორე: პარიზში მხცოვრები საქართველოს მენშევიკური მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი (მოგვიანებით ეს გახდა საფუძველი ბერიას წინააღმდეგ შეთხზული ბრალდებისათვის, თითქოს ის თავისი ნათესაური კავშირებით დაახლოებული იყო იმპერიალისტურ დაზვერვასთან). ჩვენი რეზიდენტურა საფრანგეთში უხვად იღებდა მის დირექტივებს ქართველ ემიგრანტების, განსაკუთრებით მენშევიკების დამუშავების შესახებ.

„მტრის ხატის“ ახლებური გააზრება და ქართველი ემიგრანტები კვლავ სპეცსამსახურების სამიზნედ იქცნენ.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა საგარეო დაზვერვის პარიზის რეზიდენტურამ ოდნავ ამოისუნთქა, ვინაიდან სადაზვერვო საქმიანობის მთელი სიმწვავე გადავიდა გერმანიაზე, უფრო სწორად, საოკუპაციო ზონებად დაყოფილ ბერლინზე, სადაც სხვებთან ერთად თავი მოიყარეს ქართველმა ემიგრანტებმა და ყოფილმა სამხედრო ტყვეებმა.

გერმანიაში მოღვაწე ქართული პოლიტიკური ემიგრაციის დიდმა ნაწილმა მეორე მსოფლიო ომში მხარი დაუჭირა ნაცისტური გერმანიის პოლიტიკურ კურსს, ვინაიდან თვლიდა, რომ საქართველოს განთავისუფლება რუსეთისაგან სწორედაც რომ გერმანიის ხელში იყო. ქართველ ემიგრანტთა ასეთი დამოკიდებულება, ცხადია, მტრულ პოზიციად აღიქვა საბჭოთა ხელისუფლებამ, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ეს ნაწილი მტრად გამოაცხადა და მათი ქმედებები ანტისაბჭოთა საქმიანობად ჩათვალა. აქედან გამომდინარე, საბჭოთა სპეცსამსახურებმა ბერლინში დარჩენილ ქართულ ანტისაბჭოთა ემიგრაციაზე ნამდვილი ნადირობა გამოაცხადა.

1945 წლის მეორე ნახევარში, ოპერატიულ-სადაზვერვო საქმიანობის ორგანიზებისათვის ქ. ბერლინში ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო კონტრდაზვერვის „სმერშის“ (ფუნქციონირებდა 1943-1946 წლებში) უფროსის, გენერალ ნიკოლოზ რუხაძის ხელმძღვანელობით გაიგზავნა სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ოპერატიული თანამშრომლებისგან შემდგარი დაახლოებით ოცკაციანი ჯგუფი, რომლის მიზანი იყო:

- ანტისაბჭოთა ემიგრანტული, მათ შორის ქართული ემიგრანტული, ორგანიზაციებისა და ცენტრების საბოლოოდ დაშლა და განადგურება;
  სსრ კავშირის მიმართ მტრულად განწყობილი პიროვნებების გამოვლენა;
  საბჭოთა სპეცსამსახურების აგენტთა დაინტერესებულ ქვეყნებში გაყვანის ორგანიზება;
  ადგილზე ოპერატიული და სამძებრო საქმიანობის წარმართვა.

ზემოაღნიშნული ჯგუფის წევრები იყვნენ სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს პირველი მთავარი სამმართველოს ოპერატიული მუშაკები, მათ შორის ქართველი ოფიცერი დავით მატარაძეც. ი. სტალინის უშუალო მითითებით, ჯგუფის საქმიანობაში ჩართული იყო ცნობილი ქართველი მეცნიერი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე შალვა ნუცუბიძე. ჯგუფმა გერმანიაში 4-5 თვე დაჰყო.[374]

ნიკოლოზ რუხაძესთან დაკავშირებით მკვლევრები ერთმანეთისგან ოდნავ განსხვავებულ ბიოგრაფიულ ცნობებს გვაწვდიან. ვფიქრობთ, ზუსტი უნდა იყოს ის მონაცემები, რომლებიც დაფიქსირებულია შსს-ის არქივში დაცულ ოფიცრის პირად ბარათში. ამ მონაცემებით, ნიკოლოზ მაქსიმეს ძე რუხაძე დაიბადა 1905 წლის 21 სექტემბერს ქ. ბაქოში, რკინიგზის მუშის ოჯახში. 1924 წელს დაამთავრა ბათუმის ტექნიკური სასწავლებელი და მიიღო „პარტიულ-პოლიტიკური“ განათლება. ნ. რუხაძეს პირველი მეუღლისაგან, ანტოლიდა ივანეს ასულ რუხაძე-ლაზაროვასგან 1927 წელს შეეძინა ვაჟიშვილი ვიტალი, ხოლო 1940 წელს – ქალიშვილი ნინა. გასული საუკუნის 30-იან წლებში საბერძნეთში უცხოვრია ნ. რუხაძის ცოლისძმას, რომელიც საზღვარგარეთ გამგზავრებულა 1921 წელს.

პირად ბარათში მინიშნებულია ერთი საინტერესო დეტალიც. კერძოდ, 1928 წელს ბათუმში მუშაობისას ნ. რუხაძეს მიუღია პარტიული სასჯელი ლოთობისათვის. ნიკოლოზ რუხაძე 1934 წლიდან იყო საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ლანჩხუთის, ოზურგეთის, გაგრის რაიონული განყოფილებების უფროსი. 1937 წელს ის დანიშნეს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს საგამოძიებო ნაწილის უფროსად. დიდი სამამულო ომის პერიოდში იყო შსსკ-ის ამიერკავკასიის სამხედრო კონტრდაზვერვის „სმერშ"-ის უფროსი. ნ. რუხაძე 1947 წელს დაინიშნა საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრად.

პირველ მეუღლესთან განშორების შემდეგ (ერთი პერიოდი ცხოვრობდა მარტო 7 წლის ქალიშვილთან ერთად), ნ. რუხაძემ 1948 წელს ცოლად შეირთო ტატიანა დუნენკო, ცნობილი მომღერლის ნადეჟდა ხარაძის აკომპანიატორი. ჟურნალისტისა და პუბლიცისტის ბ-ნ ალეკო ასლანიშვილის მონაცემებით, ტ. დუდკო (ასე მოიხსენიებს) ყოფილა „უშიშროების უშტატო თანამშრომელი", რომელიც ნ. რუხაძემდე გათხოვილი ყოფილა ჯერ საქართველოს სახალხო არტისტ კავსაძეზე, შემდეგ კი უშიშროების ორგანოების ოფიცერზე, 1937 წელს რეპრესირებულ გ. არუთინოვზე. „ნ. რუხაძეს 1948 წელს სპეციალური ახსნა-განმარტება და ცოლის ბიოგრაფია დააწერინა საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა კანდიდ ჩარკვიანმა (ასლი სსრკ სახელმწიფო უშიშროების მინისტრს ვ. ს. აბაკუმოვს გაეგზავნა). მასში რუხაძე იხვეწებოდა, უსიტყვოდ თანახმა ვარ განქორწინებაზეო, მაგრამ მაშინ პარტიამ გადაწყვიტა, არ ჩარეულიყო კომუნისტის პირად ცხოვრებაში. 1953 წელს გამოძიებამ სპეციალურად დაჰკითხა, რა ვითარებაში გაიცანი ეს ქალიო,"[178] – მიანიშნებს ბ-ნი ა. ასლანიშვილი.

ნ. რუხაძეს კარგი ურთიერთობა ჰქონდა 1946-1951 წლებში სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების მინისტრთან გენერალ-პოლკოვნიკ ვიქტორ აბაკუმოვთან, საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანთან კანდიდ ჩარკვიანთან. ითვლებოდა, რომ რუხაძის კარიერა უშიშროების ორგანოებში იმთავითვე იყო დაკავშირებული ვ. აბაკუმოვთან.

მას შემდეგ, რაც ვ. აბაკუმოვის სამსახურებრივი მდგომარეობა კატასტროფულად დაღმავალი გზით დაეშვა და, უფრო მეტიც, გასული საუკუნის 50-იან წლებში სსრ კავშირში განხორციელებული რეპრესიების მთელი პასუხისმგებლობა მას დაეკისრა, ის 1951 წლის 4 ივლისს გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან და მალევე დააპატიმრეს. რუსეთის ფედერაციის სსკ-ის 58-1-„ბ" მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის (სამშობლოს ღალატი) ჩადენისათვის 1954 წლის დეკემბერში ვ. აბაკუმოვის მიმართ გამოტანილი განაჩენი – დახვრეტა – სისრულეში იქნა მოყვანილი. ასეთ ვითარებაში საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრს ხელს აღარ აძლევდა, ყოფილიყო სამშობლოს მოღალატის „კაცი" და ნ. რუხაძემ ინტენსიურად იწყო ხმების გავრცელება იმის თაობაზე, თითქოსდა, კონფლიქტურ სიტუაციაში იმყოფებოდა აბაკუმოვთან, თუმცა, ამან მაინც ვერ უშველა.

1952 წელს ნ. რუხაძე გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან და შემდგომ დააპატიმრეს. 1955 წლის 19 სექტემბერს ნ. რუხაძე გასამართლებულ იქნა საქართველოს სსრ სსკ-ის 58/3 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა.

რაც შეეხება შალვა ნუცუბიძეს, წლების მანძილზე არსებობდა მოარული ხმები, რომ ის იყო „ლ. ბერიას აგენტი, პროვოკატორი, თავის დროზე რეჟიმის მიერ აღზევებული პიროვნება“. შ. ნუცუბიძეს ბრალდებოდა აგრეთვე 1945-1946 წლებში ქართული პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენლების (შემდგომში დახვრეტილების) ტ. მარგველაშვილის, ვ. ტოგონიძისა და ხოშტარიას საზღვარგარეთიდან გამოტყუება. საზოგადოებაში ინტერესდებოდნენ, თუ რატომ „შეეკრა“ ანტისაბჭოთა, ნაციონალისტურ პოზიციაზე მდგომი მეცნიერი ლ. ბერიას.

შალვა ნუცუბიძის მიმართ ჩეკისტური ბრალდებების დოკუმენტურ-ანალიტიკურ კრიტიკას, მეცნიერის 110-ე წლისთავთან დაკავშირებით, საინტერესო ნაშრომი მიუძღვნა პროფესორმა გ. ციციშვილმა.[90] თუმცა, ზოგიერთი მოსაზრება, „პროფესიულ-ჩეკისტური“ თვალსაზრისით, საჭიროებს მცირე განმარტებას.

საბჭოთა სპეცსამსახურებისათვის შ. ნუცუბიძე, როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პატრიოტულად მოაზროვნე ნაწილის ერთ-ერთი ავტორიტეტული წარმომადგენელი, სერიოზული დაინტერესების ობიექტს წარმოადგენდა. მას, როგორც გერმანული ენისა და კულტურის მცოდნეს, კარგი კონტაქტი გააჩნდა სამეცნიერო და დიპლომატიურ წრეებში. შ. ნუცუბიძეს იცნობდნენ და პატივს სცემდნენ საზღვარგარეთ. დასავლეთში გამოცემული ჰქონდა მეცნიერული შრომები. შ. ნუცუბიძეს კარგი ურთიერთობები ჰქონდა გერმანიაში მოღვაწე ქართული, ანტისაბჭოთა განწყობის პოლიტიკური ემიგრაციის ლიდერებთან, რომლებითაც საბჭოთა საგარეო დაზვერვა იმთავითვე სისხლხორცეულად იყო დაინტერესებული, განსაკუთრებით გერმანიის სათავეში ნაციონალ-სოციალისტების მოსვლის შემდეგ.

იმისათვის, რომ შ. ნუცუბიძე ფარულ თანამშრომლობაზე დაეყოლიებინათ, რისი გაკეთებაც ჩვეულებრივ ვითარებაში ძალიან ძნელი იყო, მის მიმართ, ცრუ ბრალდებით, აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. მას ბრალად ედებოდა, თითქოსდა, შ. ნუცუბიძე იყო საქართველოში მოქმედი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ცენტრის ლიდერი, ჯაშუშური საქმიანობის ერთ-ერთი ორგანიზატორი და მისი აქტიური წევრი. ლ. ბერიას განკარგულებით, შ. ნუცუბიძე 1938 წლის 31 აგვისტოს დაპატიმრებულ იქნა. ამ პერიოდისთვის შ. ნუცუბიძე მუშაობდა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ თარგმანზე. შ. ნუცუბიძე საგამოძიებო იზოლატორში უმძიმეს პირობებში იმყოფებოდა და სასტიკ ფიზიკურ და მორალურ ზემოქმედებას განიცდიდა. სასონარკვეთამდე მისულმა თავის მოკვლაც კი გადაწყვიტა, მაგრამ თანასაკნელებმა იხსნეს სიკვდილისაგან.1938 წლის 21 ოქტომბერს, ასევე ლ. ბერიას განკარგულებით, დააპატიმრეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი სიმონ ყაუხჩიშვილი. იგეგმებოდა ამ უკანასკნელის გამოყენება საზღვარგარეთ მცხოვრებ თავის უფროს ძმასთან მიხეილ ყაუხჩიშვილთან დაკავშირებით შესაძლო სადაზვერვო კომბინაციების რეალიზაციაში. მასაც ბრალად ედებოდა გერმანიის სასარგებლოდ ჯაშუშური საქმიანობა.

1938 წლის ბოლოს შ. ნუცუბიძე, ს. ყაუხჩიშვილი და მათთან ერთად პატიმრობაში მყოფი პროფესორი ვუკოლ ბერიძე ეტაპირებულ იქნენ მოსკოვში. 1939 წლის თებერვალში შედგა შ. ნუცუბიძის შეხვედრა ლ. ბერიასთან მისსავე ციხის კაბინეტში. ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად გატეხილი შ. ნუცუბიძე იძულებული

იყო, საბჭოთა სპეცსამსახურებთან ფარულ თანამშრომლობაზე ლ. ბერიას შემოთავაზებულ წინადადებას დათანხმებოდა. შ. ნუცუბიძის გადმობირების საკითხი ლ. ბერიამ და მისმა კოლეგებმა საკუთარი მუნდირის ღირსების დონეზე აიყვანეს და სტალინის წინაშე თავი მოიწონეს. გადაწყდა შ. ნუცუბიძის გამოყენება გერმანიის დაზვერვასთან ოპერატიულ თამაშებში. ოპერატიული კომბინაციის არსი შემდეგში მდგომარეობდა:

წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, შ. ნუცუბიძის ინიციატივით, საქართველოში უნდა შექმნილიყო ლეგენდირებული (ცრუმაგიერი) ორგანიზაცია „საქართველოს ეროვნულ ძალთა გამაერთიანებელი საინიციატივო ჯგუფი", რომელიც თავს მოუყრიდა საქართველოში არსებულ ანტისაბჭოთა ძალებს და დააკავშირებდა მათ საზღვარგარეთ ქართულ ემიგრაციასთან და გერმანიის დაზვერვასთან. იგეგმებოდა ს. ყაუხჩიშვილის კონტაქტი საფოსტო კავშირის მეშვეობით მის ძმასთან მიხეილ ყაუხჩიშვილთან. სამთვიანი მცდელობის მიუხედავად, ვერც შ. ნუცუბიძის („შმიდტის") და ვერც ს. ყაუხჩიშვილის („რაბატი") გამოყენება საბჭოთა საგარეო დაზვერვის ინტერესებისათვის ვერ მოხერხდა. ამის ძირითადი მიზეზი იყო 30-იანი წლების ბოლოს სსრკ-სა და გერმანიას შორის დამყარებული ურთიერთობა.

შ. ნუცუბიძე საქართველოში დააბრუნეს 1940 წლის შემოდგომაზე, მას შემდეგ, რაც დაასრულა „ვეფხისტყაოსნის" რუსულ ენაზე თარგმნა. მოსკოვში ყოფნისას შედგა მისი შეხვედრა ი. სტალინთან.

შ. ნუცუბიძეს საბჭოთა სპეცსამსახურებთან ურთიერთობის პროცესში მათთვის განსაკუთრებულად ფასეული არაფერი გაუკეთებია, თუმცა მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ გერმანიაში ქართული ანტისაბჭოთა პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენლების მოძებნის საკითხში ის მართლაც ერთადერთი იმედი იყო. სპეცსამსახურებმა შ. ნუცუბიძეს მთავარ ამოცანად დაუსახეს ქართული, ანტისაბჭოთა პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენლების მოძიება და მათი დაყოლიება სამშობლოში დაბრუნებაზე. ბერლინის ოპერატიული ჯგუფის წევრმა, საბჭოთა საგარეო დაზვერვის თანამშრომელმა დავით მატარაძემ, უკვე ბრალდებულის რანგში, 1952 წლის მარტში, ერთ-ერთი დაკითხვისას განაცხადა: „В составе нашей оперативной группы находился единственный, вывезенный из Советсткого Союза в Берлин, агент «Шмидт» – профессор, через которого мы должны были начинать работу по выявлению грузинских эмигрантов, и поддерживать лиц для вербовки".* [374] „შმიდტის" საქმიანობის ეფექტურობაზე ძალზე უმოქმედია ნ. რუხაძის უღირს საქციელს: „Возможно это и наложило отпечаток на последующую деятельность «Шмидта», который только спустя месяц дал нам полезную наводку, разыскав грузинского эмигранта, через которого затем устанавливались другие". `Я утверждаю, что почти вся работа проделанная в Берлине исходила от агента «Шмидта» и отдельных работников,

* ჩვენი ოპერატიული ჯგუფის შემადგენლობაში იმყოფებოდა საბჭოთა კავშირიდან ბერლინში მივლენილი ერთადერთი აგენტი „შმიდტი" – პროფესორი, რომლის მეშვეობითაც ჩვენ უნდა დაგვეწყო მუშაობა ქართველი ემიგრანტების გამოსავლენად და მხარი დაგვეჭირა გადმოსაბირებელ პირებისთვის".

но не от пьянствующего Рухадзе"*.[374] შალვა ნუცუბიძე 1956 წლის 10 ოქტომბრის დაკითხვის ოქმში გერმანიაში გამგზავრების სხვა მიზეზსაც ასახელებს, კერძოდ: „1945 წლის აგვისტოში სასწრაფოდ გამომიძახეს მოსკოვში. ჩემს კვალზე ჩამოფრინდნენ რუხაძე და კაკაჩია (უნდა იყოს ვარლამ კაკუჩაია – გ. ს.). მოსკოვში ჩასულს ქობულოვმა (იგულისხმება სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ბოგნად ქობულოვი – გ. ს.) მომცა დავალება, როგორც მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენელი, გავემგზავრო ბერლინს და დავადგინო სტალინის შვილის იაკობ იოსების ძის ბედი, რომელიც ომის დროს გერმანელებთან ტყვედ მოხვდა. ამ დავალებისთვის 1945 წლის სექტემბრის ბოლოს გავფრინდი ბერლინში. ქართველ ემიგრანტებთან ვალიკო ტოგონიძესა და ტიტე მარგველაშვილთან შეხვედრის გზით დავადგინე, რომ სტალინის შვილი, იაკობ იოსების ძე სტალინი, შეურაცხად მდგომარეობაში მოხვდა ტყვეობაში ვიტებსკთან, მოლოტოვის შვილთან ერთად. ამის შესახებ ჩემი თხოვნით პირადად დაწერა ტოგონიძემ, რომელიც ახლოს იყო დაკავშირებული გესტაპოსთან. ტოგონიძე ჩემთან შემოდიოდა ბინაზე, როცა მე ბერლინის აღმოსავლეთ ზონაში ვცხოვრობდი, იქ დაპატიმრებულ იქნა ჩვენი ხელისუფლების მიერ და შემდეგ მიესაჯა შრომა-გასწორების ბანაკი 25 წლით.

თბილისში დაბრუნების შემდეგ მე საგანგებო დავალებები აღარ შემისრულებია. რა ბედი ეწია სტალინის შვილს და მოლოტოვის შვილს, ამის შესახებ არამც თუ არაფერი არ ვიცი, არამედ მას არ შევხვედრივარ გერმანიაში ყოფნის დროსაც".

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „შმიდტი" საბჭოთა სპეცსამსახურებმა „მეგრელ ნაციონალისტთა საქმეშიც" გამოიყენეს.[369]

სამწუხაროდ, შ. ნუცუბიძე ბრმად იქნა გამოყენებული საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ და ის ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაციის სატყუარად იქცა. როგორც საქართველოს სპეცსამსახურების ერთ-ერთმა ცნობილმა წარმომადგენელმა ბატონმა გივი ჯორბენაძემ ამ რამდენიმე წლის წინ ჩემთან საუბარში განაცხადა, შ. ნუცუბიძე გერმანიის ამბებს თურმე მთელი ცხოვრება განიცდიდა და მისთვის კიდეც უთქვამს: „რატომ არ დაიქცა ის დღე, რა დღესაც მე თქვენ დაგიკავშირდითო"...

ასე და ამგვარად, შ. ნუცუბიძე ძალადობის საბჭოური სისტემისა და მისი სპეციალური სამსახურების ტიპური მსხვერპლია. მიუხედავად ამისა, ის საქართველოს ისტორიაში დიდ მეცნიერად და საზოგადო მოღვაწედ დარჩება.

დავუბრუნდეთ ისევ ბერლინის ოპერატიულ ჯგუფს, რომლის მიერ გაწეული საქმიანობა არცთუ ისე ნაყოფიერი გამოდგა. ამ უკანასკნელის მწირ შედეგებად შეიძლება ჩათვლილიყო ორი-სამი მტრულად განწყობილი ემიგრანტის გადმობირება. თუმცა ამ ფაქტმა შემდგომში საზღვარგარეთ ფართო გამოხმაურება ჰპოვა და სკანდალის სახე მიიღო.

ამის ძირითადი მიზეზი იყო ის, რომ ნ. რუხაძემ ვერ შეძლო ერთიანი მეგობრული კოლექტივის ჩამოყალიბება და საქმიანი ატმოსფეროს შექმნა. იმის

* „შესაძლოა, სწორედ ამან დაასვა დაღი „შმიდტის" შემდგომ საქმიანობას, რომელმაც მხოლოდ ერთი თვის გასვლის შემდეგ მოგვცა სასარგებლო მინიშნება, მოძებნა რა ქართველი ემიგრანტი, რომლის მეშვეობითაც შემდგომ დგინდებოდნენ სხვები. ეამტკიცებ, რომ ბერლინში ჩატარებული თითქმის მთელი სამუშაო მოდიოდა აგენტ „შმიდტისგან" და ცალკეული თანამშრომლებისგან და არა ლოთობაში გართული რუხაძისგან".

გამო, რომ მოჭარბებულად ღებულობდა ალკოჰოლს და დებოშიორობდა, მოახდინა საკუთარი თავის კომპრომეტირება არა მარტო თანამშრომლების, არამედ ჯგუფში ჩართული ერთადერთი საიდუმლო პირის, „შმიდტის“ თვალში. ბერლინში ყოფნისას ნ. რუხაძე ცდილობდა ოპერატიულ-საგადმომბირებლო საქმიანობის თვალსაზრისით ჯგუფისათვის პირადი მაგალითი ეჩვენებინა და „წარმატებული შედეგებით" კოლეგებს შორის დამკვიდრებული „კარგი ოპერმუშაკის“ იმიჯი გაემართლებინა. ავანტურისტული ბუნების ნ. რუხაძემ ამჯერად თვალი თავისი ბავშვობის მეგობარს დაადგა. მან დაადგინა, რომ საფრანგეთში, მეუღლესთან ერთად ცხოვრობდა ემიგრანტი ირაკლი ლორთქიფანიძე, რომელიც თავის დროზე გაიქცა სსრ კავშირიდან. ნ. რუხაძემ გადაწყვიტა ლორთქიფანიძის საბჭოთა დაზვერვის ინტერესებისათვის გამოყენება. ამ მიზნით მან წინადადებით მიმართა სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ხელმძღვანელობას, დადგენილიყო ირაკლი ლორთქიფანიძის ადგილ-სამყოფელი პარიზში და მომხდარიყო მისი გადმობირება ნ. რუხაძის სახელით.

საბჭოთა საგარეო დაზვერვისათვის ცნობილი იყო, რომ ი. ლორთქიფანიძე მეორე მსოფლიო ომის დროს თანამშრომლობდა „გესტაპოსთან“ და მასთან ურთიერთობით გარკვეული ქონებაც კი დააგროვა. არსებობდა მონაცემები, რომ ლორთქიფანიძე გერმანელ ნაცისტთა განადგურების შემდეგ იმალებოდა იტალიაში, შემდეგ დაბრუნდა პარიზში და ხელი მიჰყო ბიზნესს. ის ემიგრანტებს შორის გამოირჩეოდა ანტისაბჭოთა განწყობით. არსებობდა ასევე ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ლორთქიფანიძე საქართველოდან საზღვარგარეთ გაქცევამდე იმყოფებოდა ბათუმში და იმალებოდა სწორედ რუხაძის სახლში. ზემოაღნიშნული მოტივების გამო, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების სამინისტრომ უარი განაცხადა ლორთქიფანიძის გადმობირებაზე.

საბჭოთა იდეოლოგიამ ირაკლი ლორთქიფანიძეზე, როგორც ჩანს, მაინც მოახდინა ზეგავლენა და ის 1947 წელს დაბრუნდა საქართველოში. 1951 წლის ნოემბერში იგი დაპატიმრებულ იქნა.

მიუხედავად საბჭოთა სპეცსამსახურების ბერლინის ოპერატიულ ჯგუფში არსებული პრობლემებისა, ამ ჯგუფმა თავის ძირითად მიზანს ნაწილობრივ მაინც მიაღწია – მოიპოვა ოპერატიული ხასიათის მნიშვნელოვანი ინფორმაცია და შექმნა წინაპირობა აღმოსავლეთ ბერლინში სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მუდმივმოქმედი ოპერატიული დანაყოფის შესაქმნელად.

1947 წელს საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრად დაინიშნა ნ. რუხაძე, თუმცა სადაზვერვო საქმიანობა საზღვარგარეთ, რომლის უმთავრესი დასაყრდენიც ქართული ემიგრაცია იყო, არ გაუმჯობესებულა. საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტოს პირველი განყოფილების თანამშრომლებს, თვით განყოფილების უფროსის ჩათვლით, ნ. რუხაძე არადანიშნულებისამებრ იყენებდა. მათი მთავარი ძალები მიმართული იყო არა სადაზვერვო, არამედ სხვადასხვა არასადაზვერვო საქმიანობისაკენ, დაწყებული მოხსენებების შედგენით, დამთავრებული საქართველოს პერიფერიებში წვრილმანი დავალებების შესრულებით. ამას ემატებოდა პირველ განყოფილებაში კადრების, განსაკუთრებით, ხელმძღვანელი მუშაკების, ხშირი ცვლა. ზემოაღნიშნულის შედეგი უნდა იყოს ის, რომ თუმცა პარიზში საბჭოთა დაზვერვის რეზიდენტურამ სხვადასხვა დროს

დროულად აცნობა სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს და მისი მეშვეობით – საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთული ბიუროს წარმომადგენლების პოლიკარპე რუხაძის, კონსტანტინე მგელაძის, ალექსანდრე ტატიშვილის და მამია ბერიშვილის საქართველოში თურქეთის გავლით არალეგალურად შეგზავნის ზუსტი თარიღისა და ამასთან დაკავშირებული სხვა დეტალების (აღწერილობა, მარშრუტები და სხვა) თაობაზე, მათი დაკავების ღონისძიებები ჩაიშალა. აღნიშნულ პერიოდში სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს პირველი მთავარი სამმართველოს არაერთი მითითების მიუხედავად, შეერჩია აგენტები საზღვარგარეთ გასაგზავნად კონკრეტულ ქვეყნებში, კონკრეტული ამოცანების გადასაწყვეტად, ნ. რუხაძეს ცენტრისათვის არ მიუწოდებია ღირებული და სასარგებლო წინადადება. ფორმალურად ნ. რუხაძემ ცენტრს შესთავაზა რამდენიმე შეუსწავლელი და პრაქტიკულ საქმიანობაში შეუმოწმებელი კანდიდატები, ანდა გაშიფრულები და ისეთები, რომელთა პირადი და საქმიანი თვისებები მაინცდამაინც არ პასუხობდნენ წაყენებულ მოთხოვნებს. მის მიერ შემოთავაზებული აგენტები „შილოვი“, „დუნაევი“, „შავიშვილი“, „არაგვი“ და სხვები კარგა ხნის გაშიფრულები და უპერსპექტივოები აღმოჩნდნენ. შედეგიც შესაბამისი იყო.

ნ. რუხაძე წლების განმავლობაში ჯეროვნად არ აფასებდა სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მოთხოვნებს, შეერჩია საზღვარგარეთ საბჭოთა რეზიდენტურებში სამუშაოდ უშიშროების ორგანოების თანამშრომლები და თუკი ის ამას, ფორმალურად მაინც, აკეთებდა, არჩევდა საზღვარგარეთ უკვე გაშიფრულ პიროვნებებს, ანდა ისეთებს, რომლებიც პირადად მისთვის მიუღებელნი იყვნენ და ამ გზით მათ თავიდან იცილებდა.

აღნიშნულ პერიოდში საზღვარგარეთ საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სუსტ მუშაობაზე მიანიშნებს გენერალი პ. სუდოპლატოვიც, რომლის ნაამბობის მიხედვითაც ირკვევა, რომ 50-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა იმპერიული მანქანის მიერ, საბჭოთა სპეცსამსახურების ხელით, იგეგმებოდა გრანდიოზული სპეციალური ოპერაცია, რომლის მიზანი იყო დარჩენილი ქართველი ანტისაბჭოთა განწყობის სოციალ-დემოკრატი ლიდერების პარიზიდან მოტაცება და პროპაგანდისტული მიზნებისათვის მათი გამოყენება. პ. სუდოპლატოვი წერს:

„ახლა უკვე კირილე სტოლიაროვმა გამარკვია სიტუაციაში, რომელშიც მე აღმოვჩნდი საქართველოში 1951 ან 1952 წელს, როდესაც იგნატიევმა მიბრძანა, გავმგზავრებულიყავი თბილისში. მე უნდა შემეფასებინა ადგილობრივი დაზვერვის სამსახურის შესაძლებლობები და დავხმარებოდი პარიზში ქართველ მენშევიკთა ლიდერის, ბერიას მეუღლის – ნინა გეგეჭკორის ნათესავის (იგულისხმება ევგენი გეგეჭკორის – გ.ს.) მოტაცებაში. ყოველივე პირადად უნდა მომეხსენებია იგნატიევისათვის. მე მაცნობეს, რომ აღნიშნული ოპერაციის ჩატარების ინიციატივა მოდიოდა თბილისიდან, გენერალ რუხაძისგან და ის მოინონა პირადად სტალინმა. რუხაძე კატეგორიულად მოითხოვდა, რომ აღნიშნული ოპერაცია საკუთარ თავზე აეღოთ ქართველ აგენტებს. ამ იდეით ის ჩავიდა მოსკოვში და მივიდა მიღებაზე იგნატიევთან. ბრუნდებოდა რა უკან

თბილისში, შემომთავაზა თვითმფრინავით მასთან ერთად გამგზავრება. მე ვარჩიე მატარებლით წასვლა.

იმან, რაც მე ვნახე თბილისში, შინაგანად შემძრა. ერთადერთი გონიერი აგენტი, საფრანგეთში კარგი კავშირებით, გიგელია (უნდა იყოს გეგელია – გ. ს.) იმყოფებოდა ციხეში ჯაშუშობისა და მეგრული ნაციონალიზმის ბრალდებით. არ შეიძლებოდა რუხაძის აგენტების ნდობა, მათ ჩემთან რუსული საუბარიც კი არ ისურვეს. რუხაძის მოადგილე, რომელიც გეგმავდა პარიზში გამგზავრებას, არასოდეს იყო საზღვარგარეთ ნამყოფი. ის დარწმუნებული იყო, რომ თუკი ქართველ ემიგრანტებს ჩაუტანდა მწვადებს და ღვინით სავსე ყუთს, მოუწყობდა ღრეობას პარიზში ყველაზე ცნობილ რესტორანში, ამით დაიმსახურებდა მათ კეთილგანწყობას. გვთავაზობდნენ აგრეთვე კულტურის მოღვაწეთა დელეგაციის გაგზავნას პარიზში, თუმცა ყველას ესმოდა, რომ ეს გრანდიოზული გეგმები ემსახურებოდა რუხაძის რეალურ მიზნებს, გაეგზავნა საკუთარი მეუღლე პარიზში. ეს იყო მოკრძალებული ქალბატონი და კარგი მომღერალი, მაგრამ მას დელეგაციაში შეეძლო წარმოედგინა მხოლოდ თბილისის კონსერვატორია. საკუთარი მეუღლის გეგმების თაობაზე მას არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა".[73] როგორც ჩანს, ქართველ ემიგრანტ-ლიდერთა საფრანგეთიდან მოტაცების გეგმა იმდენად მოუმზადებელი და გაუთვლელი იყო, რომ „ცენტრმა" მასზე დროებით უარი თქვა. ამას დაემატა ისიც, რომ ნ. რუხაძე ამ ამბებიდან მოკლე ხანში გადაყენებულ იქნა დაკავებული თანამდებობიდან. რის შემდეგ, საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოვალეობა დაეკისრა მის ყოფილ მოადგილეს ა. კოჭლავაშვილს. საბჭოთა საქართველოს სპეცსამსახურს ყოფილი მინისტრის იდეების რეალიზაციის არანაირი სურვილი არ ჰქონდა, თუმცა მსგავსი ოპერაციების განხორციელება მაინც „ცენტრის" ნება-სურვილსა და პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზე იყო დამოკიდებული.

ი. სტალინის გარდაცვალებისა და ძალაუფლებისათვის ბრძოლისათვის კრემლში დატრიალებული ბატალიების ფონზე, 1953 წლის 10 აპრილს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა ვლადიმერ გიორგის ძე დეკანოზოვი, ლავრენტი ბერიას ერთგული თანამებრძოლი, რომელიც აღნიშნულ პოსტზე იმყოფებოდა მხოლოდ იმავე წლის 9 ივნისამდე. ივლისში ის ლ. ბერიას საქმესთან დაკავშირებით დააპატიმრეს, ხოლო 1953 წლის 23 დეკემბერს დახვრიტეს.

ვ. დეკანოზოვის საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრობის ხანმოკლე პერიოდის მანძილზე, როგორც მიანიშნებდნენ უშიშროების ორგანოების თანამშრომლები, „საქართველოს დაზვერვა" პრაქტიკულად პარალიზებული იყო, რისი ნათელი დადასტურებაცაა მსოფლიო ომის დროს საქართველოს ზურგში გადმოსროლილი „აბვერის" ერთ-ერთი სადაზვერვო-დივერსიული ჯგუფის ხელმძღვანელის, შტეინერის გარშემო დატრიალებული ბატალიები.

ვიდრე ვლადიმერ დეკანოზოვი მინისტრი გახდებოდა, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს უშიშროების სამსახურის პირველი განყოფილების მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება პატიმრობაში მყოფი შტეინერის გერმანიაში სადაზვერვო საქმიანობისათვის გამოყენების თაობაზე, მით უმეტეს, როგორც ამ უკანასკნელისვე განცხადებიდან ირკვეოდა, ამის წინააღმდეგი თავად არც ის

იყო. შტეინერი, მასთან სათანადო მუშაობის წარმართვისათვის, ციმბირის ბანაკიდან გადმოყვანილ იქნა საქართველოს სსრ უშიშროების სამსახურის შინაგან ციხეში. შტეინერი დაბადებული იყო რიგაში და იზრდებოდა რუსი ეროვნების მოსახლეობის გარემოცვაში. მისი ოპერატიულ-ფსიქოლოგიური დამუშავება საკმაოდ შრომატევადი აღმოჩნდა. როდესაც შედეგი თითქმის უკვე აშკარა იყო, ვ. დეკანოზოვმა დასახული გეგმის რეალიზაციაზე პირველ განყოფილებას უარი განუცხადა. მან ასევე გასცა ბრძანება, შეეწყვიტათ ყოველგვარი საქმიანობა საზღვარგარეთ, გაეწყვიტათ კავშირი უცხოეთში მყოფ აგენტებთან და საერთოდ, აკრძალა ყოველგვარი მუშაობა საზღვარგარეთ „ცენტრის" მითითებებისა და ნებართვის გარეშე. საფიქრებელია, რომ პროფესიული საქმიანობისადმი დეკანოზოვის ასეთი მიდგომა ნაკარნახევი უნდა ყოფილიყო შექმნილი პოლიტიკური ვითარებით, ძალაუფლებისათვის ბრძოლის მასშტაბებით, და ამ ბრძოლის ფორმებითა და მეთოდებით.

საბჭოთა საგარეო დაზვერვა, მიუხედავად საბჭოთა ქვეყნის მმართველ ელიტაში ძალაუფლებისათვის გაჩაღებული სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისა, აგრძელებდა მის წინაშე დასმული ამოცანების გადაწყვეტას. მრავალმხრივი ამოცანებიდან გამომდინარე, დაზვერვის დაინტერესების ობიექტებს წარმოადგენდნენ საზღვარგარეთ მოქმედი უცხო ქვეყნების საელჩოები და მათში მოღვაწე თანამშრომლები, აგრეთვე ხელოვნებისა და კულტურის მუშაკები, განსაკუთრებით ისინი, ვისი ეთნიკური წარმომავლობა სსრ კავშირთან იყო დაკავშირებული და რომელთაც გააჩნდათ პოტენციური სადაზვერვო შესაძლებლობები. ასეთი პიროვნებები ინტენსიური შესწავლის ობიექტები იყვნენ საბჭოთა საგარეო დაზვერვის რეზიდენტურების მიერ. მათ შორის იყვნენ ქართველებიც.

30-იანი წლების მიწურულს პარიზში, ამერიკის საელჩოში მსახურობდა ქართული ემიგრაციის პირველი თაობის წარმომადგენელი თინათინ ჯაფარიძე. ეს უკანასკნელი, საფრანგეთის ოკუპაციის შემდეგ, დაპატიმრებულ იქნა გერმანელთა მიერ. ამ ფაქტმა ქართველ ემიგრანტებში დიდი აღშფოთება გამოიწვია. თ. ჯაფარიძე პატიმრობაში რამდენიმე თვე იმყოფებოდა, თუმცა მოგვიანებით საქმეში ჩაერია შეძლებული ქართველი ემიგრანტი კონსტანტინე კობახიძე და გერმანიის სადაზვერვო სამსახურის წარმომადგენელთან ცუხრისტენთან წარმოებული მოლაპარაკებების შედეგად თ. ჯაფარიძე განთავისუფლებულ იქნა პატიმრობიდან.

საფრანგეთში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოში 1945 წლიდან მსახურობდა კიდევ ერთი ქართველი ქალბატონი მაია დადიანი.[358] მ. დადიანი იყო სამეგრელოს თავადთა ერთ-ერთი შტოს წარმომადგენლის, კოკი დადიანის ქალიშვილი.

50-იან წლებში საბჭოთა საგარეო დაზვერვა დაინტერესებული ყოფილა პარიზში მოღვაწე ქართველი ბალერინათი, რომელსაც კარგი კონტაქტები გააჩნდა ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეებთან. პ. სუდოპლატოვი იგონებს: „Хохлов (იგულისხმება საფარქვეშ მოქმედი საბჭოთა საგარეო დაზვერვის თანამშრომელი – გ. ს.) несколько раз выезжал в Германию, Австрию и Швеицарию. Я хотел, чтобы он, используя свои внешные данные, а также свой артистизм, познакомился

с балериной грузинского происхождения, танцевавшей в парижской опере, которую часто видели в компании с американскими офицерами и персоналом натовской штабквартиры.*" [73]

ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, საუბარი უნდა იყოს პირველი თაობის ერთ-ერთი გამორჩეული ქართველი ემიგრანტის, ლევან ფაღავას შვილზე, ნიჭიერ და იმ დროისათვის საკმაოდ ცნობილ ბალერინაზე ეთერ ფაღავაზე. ეთერ ფაღავამ წარმატებით დაასრულა ცნობილი პედაგოგის, პეტერბურგის საიმპერატორო თეატრის ყოფილი ბალერინას ა. ეგოროვას საბალეტო სკოლა. მისი წარმატებული კარიერა იწყება 1945 წლიდან. მალე ე. ფაღავა მონტე-კარლოში მარკიზ დე კუევის საბალეტო დასში მიიწვიეს. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, საფრანგეთში, ცნობილი ბალეტმაისტერის სერჟ ლიფარის მონაწილეობით, დაიდგა სპექტაკლი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" მიხედვით. მასში ერთ-ერთ წამყვან პარტიას ე. ფაღავა ასრულებდა. სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა წილად მონტე-კარლოსა და ნიცაში. საზოგადოება აღფრთოვანებული იყო ქართველი ბალერინათი. პატივისცემის ნიშნად მას „პრინცესაც" კი შეარქვეს.[82]

სპექტაკლის ჩვენება ნავარაუდევი იყო პარიზშიც. ცნობილი ქართველი პარტიული ფუნქციონერისა და დიპლომატის, სერგო ქავთარაძის (1946 წელს, როგორც საბჭოთა კავშირის ელჩი რუმინეთში, ასრულებდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის „საპასუხისმგებლო დავალებას") მოგონებების თანახმად, საფრანგეთში საბჭოთა კავშირის ელჩისათვის ბოგომოლოვისათვის მიუმართავთ თხოვნით (თუ ვის, მინიშნებული არ არის) – აღმოეჩინა დახმარება პარიზში ამ ბალეტის ჩვენებაში. ეს თხოვნა ელჩს დაუკმაყოფილებია. იმპრესარიოს რეკლამებსა და სხვა ორგანიზაციულ ღონისძიებებზე უკვე ჰქონია დახარჯული 600 ათასი ფრანკი, როდესაც კონტრაქტი მოულოდნელად ჩაშლილა. ამის მიზეზი ყოფილა პროტესტი პარიზის მუშებისა, რომლებიც სპექტაკლის ჩაშლით იმუქრებოდნენ. მიზეზად სახელდებოდა ბალეტმაისტერი ლიფარი, წარმოშობით უკრაინელი, რომელიც თავის დროზე მისალმებია უკრაინის დედაქალაქ კიევის ოკუპაციას და ამის თაობაზე მოლოცვის წერილიც კი გაუგზავნია ჰიტლერისათვის.[223]

ძნელი წარმოსადგენი არ არის, თუ ვინ სთხოვდა საფრანგეთში საბჭოთა კავშირის ელჩს ქართველი ბალერინას მონაწილეობით სპექტაკლის ჩვენებაში დახმარებას, ვინაიდან ეს ფაქტი ე. ფაღავასთან საბჭოთა სპეცსამსახურების თუნდაც შენიღბული კონტაქტის დამყარების საუკეთესო საშუალება იქნებოდა. ეთერ ფაღავას გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს საფრანგეთში ჰქონდა საკუთარი საბალეტო სტუდია. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამავე პერიოდში მილანის „ლა-სკალაში" მოღვაწეობდა კიდევ ერთი ქართველი ბალერინა თამარ თუმანიშვილი.

საბჭოთა დაზვერვა განსაკუთრებით იყო დაინტერესებული შვეიცარიაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტებით, გრიგოლ რობაქიძითა და მიხეილ კედიათი. მიხეილ კედია, გერმანელთა დამარცხების შემდეგ შვეიცარიას შეაფარა თავი.

* ხოხლოვი არაერთგზის იმყოფებოდა გერმანიაში, ავსტრიასა და შვეიცარიაში. მე მინდოდა, მას გამოეყენებინა თავისი გარეგნული მონაცემები, ასევე არტისტიზმი, გაეცნო ქართული წარმოშობის ბალერინა, რომელიც ცეკვავდა პარიზის ოპერაში და რომელსაც ხშირად ხედავდნენ ნატოს შტაბბინის პერსონალის და ამერიკელი ოფიცრების კომპანიაში.

პარიზის განთავისუფლების შემდეგ საფრანგეთის სპეცსამსახური მას აქტიურად ეძებდა, მაგრამ ის დროულად განერიდა საფრთხეს. მიუხედავად ამისა, მიხ. კედიას საქმე მაინც გადასცეს სასამართლოს. დაგეგმილი იყო მისი დაუსწრებელი გასამართლება. მიხ. კედია იმხილებოდა გერმანელებთან თანამშრომლობასა და პარიზის მახლობლად, ორლეანის რაიონში სადაზვერვო-დივერსიული სკოლის ორგანიზებაში. ომის დამთავრების შემდეგ, მიხ. კედიას მეუღლე ვალენტინა კედია-ფაჩულია დაუკავშირდა ცნობილ ადვოკატს ბუდანის, რომელმაც მოახერხა მიხ. კედიას საქმის სასამართლო განხილვის გადადება. ამ შემთხვევაში მთავარი იყო დროის მოგება, რათა „მიხ. კედიას თემას" დაკარგვოდა აქტუალობა. ამის მიუხედავად, საფრანგეთის სპეცსამსახური „სიურტე ჟენერალის" სახით, აგროვებდა ინფორმაციას მიხ. კედიასთან დაკავშირებით, რისთვისაც ხშირად იბარებდა დაკითხვაზე მის მეუღლეს. რაც შეეხება გრ. რობაქიძეს, ის ჟენევაში ცხოვრობდა სხვადასხვა ეროვნების მწერლების და პოეტებისთვის განკუთვნილ ვილაში და იმყოფებოდა შვეიცარიის მთავრობის კმაყოფაზე. მას ეკავა ერთი მცირე ზომის ოთახი და სათავსო ბიბლიოთეკისათვის. საბჭოთა დაზვერვის პარიზის რეზიდენტურამ გადაწყვიტა გრ. რობაქიძესთან და მიხ. კედიასთან კონტაქტის დამყარება და მათზე ზემოქმედების მოხდენა ყოფილი სამხედრო ტყვის, დაზვერვასთან კონფიდენციალურ ურთიერთობაში მყოფი აკაკი მეუნარგიას მეშვეობით. ამ მიზნით, აკ. მეუნარგია 1947 წელს გაემგზავრა შვეიცარიაში. ჟენევაში ის დაბინავდა სასტუმროში და დაუკავშირდა თავის ბიძაშვილს მიხეილ კედიას. აკ. მეუნარგიამ, ემიგრანტ შავიშვილის მეშვეობით, ასევე სწრაფად მოინახულა გრ. რობაქიძე. მათი შეხვედრა საკმაოდ გულთბილი იყო. გრ. რობაქიძემ საუბარში საბჭოთა კავშირში დაბრუნების ვარაუდიც კი გამოთქვა, მაგრამ შიშობდა, რომ სსრ კავშირში მას არ ექნებოდა შემოქმედებითი თავისუფლება.

გრიგოლ რობაქიძით საბჭოთა სპეცსამსახურები მისი სიცოცხლის ბოლო წუთამდე იყვნენ დაინტერესებულები. გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე, 1968 წელს ის ჟენევაში მოინახულა საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის წარმომადგენელმა გივი ჯორბენაძემ (შემდგომში ის გახდა საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, გენერალ-მაიორი). იმ პერიოდში გრ. რობაქიძე მოხუც შემოქმედთა თავშესაფარში მარტო ცხოვრობდა და როგორც სულიერად, ისე მატერიალურად ძალიან უჭირდა. თანამემამულეებმა დიდხანს ისაუბრეს. გრ. რობაქიძე ძალზე უკმაყოფილო იყო იმით, რომ მის პიესა „ლამარას", რომელიც წარმატებით იდგმებოდა ქართულ სცენაზე, მოიხსენიებდნენ როგორც ვაჟა-ფშაველას მოტივებზე შექმნილ დრამატულ ნაწარმოებს. რაც შეეხებოდა ჰიტლერსა და მუსოლინიზე მის ნაწერებს, ამას გრ. რობაქიძე ხსნიდა ამ პიროვნებების, როგორც ზოგადად, დიქტატორების ფენომენით დაინტერესებით.

აკ. მეუნარგია ჟენევაში არაერთგზის შეხვდა მიხ. კედიასაც.

აკ. მეუნარგია შვეიცარიაში სულ სამ დღეს დარჩა, მაგრამ ვერც გრ. რობაქიძის და ვერც მიხ. კედიას დაყოლიება სსრ კავშირში დაბრუნებაზე ვერ მოახერხა. ქართულ ემიგრაციაში ეჭვობდნენ, რომ შვეიცარიაში გარდაცვლილი (სხვა მონაცემებით ის, თითქოსდა, გარდაიცვალა 1954 წელს შვეიცარიაში. დაკრძალვის ადგილი უცნობია) მიხეილ კედია არ იყო თავისით გადმოვარდნილი სასტუმროს

ფანჯრიდან, რომ იმ დროს მის ოთახში ვიღაც იმყოფებოდა. რაც შეეხება გრ. რობაქიძეს, ის 1962 წლის 20 ნოემბერს ჟენევის პოლიციამ საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვა.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ საბჭოურ რეპრესიებს ვერც აკაკი მეუნარგია გადაურჩა. ის 1951 წლის დეკემბერში „მეგრელ ნაციონალისტთა ჯგუფის საქმესთან" დაკავშირებით დააპატიმრეს და გაასამართლეს.

სსრკ საგარეო დაზვერვა დაინტერესებული იყო ქართველი ემიგრანტით, ერეთეოზ რამიშვილითაც, რომელიც გერმანელთა დამარცხების შემდეგ გაიქცა ბერლინიდან და მუშაობდა ოკუპაციის საბჭოთა ზონიდან გამომავალი კორესპონდენციის ამერიკული ცენზურის შეფად.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ანტისაბჭოთა განწყობის ქართველების ნაწილი მიუნხენში დასახლდა. მათ შორის იყვნენ გივი გაბლიანი და მისი ცოლისძმა მიხეილ ალშიბაია (გრიგოლ ალშიბაიას შვილი). ეს უკანასკნელი მიუნხენში ფლობდა ავტოსატრანსპორტო კანტორას.

მიხ. ალშიბაიათი და გ. გაბლიანით იმთავითვე დაინტერესდნენ ამერიკის დაზვერვის წარმომადგენლები, რომელთათვისაც კარგად იყო ცნობილი მათი ანტისაბჭოთა წარსული.

1946 წლის ზაფხულისათვის მიხ. ალშიბაიამ და გ. გაბლიანმა გადაწყვიტეს ჩამოეყალიბებინათ ანტისაბჭოთა ორგანიზაცია დაახლოებით ისეთი ყაიდისა, როგორიც იყო ნაცისტური გერმანიის დროს „ფერბინდუგშტაბი" და მისთვის ეწოდებინათ „საქართველოს ნაციონალური კომიტეტი". მათ სურდათ, ამერიკელებს აღნიშნული ორგანიზაცია ეცნოთ როგორც საქართველოს მომავალი, კანონიერი ხელისუფლება. ამ იდეის რეალიზაციისათვის, მათი აზრით, ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობების გაუარესების ფონზე, იდეოლოგიური საფუძველი უკვე მომზადებული იყო. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კონფიდენციალური მოლაპარაკება ამერიკის დაზვერვის წარმომადგენლებთან უკვე დაწყებული იყო.

„ქართული ნაციონალური კომიტეტის" შექმნასთან დაკავშირებით გ. გაბლიანმა და გრ. ალშიბაიამ სათანამშრომლოდ მოიწვიეს როზენბერგის ყოფილი თანაშემწე დოქტორი მენდე, რომელიც იმ პერიოდში ჰამბურგში ცხოვრობდა. მენდეს ქართველებთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა აკავშირებდა. ის ხშირად იმყოფებოდა გ. გაბლიანთან და გრ. ალშიბაიასთან „ფერბინდუგშტაბში" და მათთან აქტიურად თანამშრომლობდა. მენდე დავალებულიც კი იყო ქართველებისგან. საქმე ის იყო, რომ გრ. ალშიბაია, გ. გაბლიანი და მენდე ომის დასასრულისათვის აღმოჩნდნენ ამერიკელთა საკონცენტრაციო ბანაკში. გ. გაბლიანმა და გრ. ალშიბაიამ მენდე დაიფარეს და ბანაკში ის მეტრეველის გვარით გაატარეს. აღნიშნული სამეულის დახსნა ბანაკიდან შესაძლებელი გახდა გრიგოლ ალშიბაიას ძალისხმევით და საერთაშორისო ორგანიზაცია „წითელი ჯვრის" მეშვეობით.

მენდე შიშობდა, რომ როზენბერგთან დაკავშირებით მას გამოიძახებდნენ და დააპატიმრებდნენ, როგორც სამხედრო დამნაშავეს; ამიტომ ნიურნბერგის პროცესის მიმდინარეობის პერიოდში გრიგოლ ალშიბაიას ბინაზე, ქალაქ ბადრაიხენგალში იმალებოდა, საიდანაც შემდგომ არალეგალურად გაემგზავრა ჰამბურგში და კონსპირაციულად ცხოვრობდა ქართველი ემიგრანტის, ნინა ყაზბეგის სახლში.

1946 წლის აგვისტოს დასაწყისში მენდე გ. გაბლიანსა და გრ. ალშიბაიას და-

თანხმდა თანამშრომლობაზე მომავალ ანტისაბჭოთა საქმიანობაში.

ქართული ნაციონალური კომიტეტის შესაქმნელად საჭირო იყო წინაპირობების შექმნა, რაც, უპირველეს ყოვლისა, ქართველი ემიგრანტების ავტორიტეტის ამაღლებას გულისხმობდა. ამ მიზნით, გ. გაბლიანის მიერ მოწვეულ იქნა ქართული კომიტეტის ყოფილი წევრი ალექსანდრე ნიკურაძე, რომელმაც 1944 წელს, გერმანელთა დავალებით, გამოსცა ანტისაბჭოთა ხასიათის წიგნი „კავკასია". მასში ავტორი ასაბუთებდა გერმანიაში სსრკ-ის წინააღმდეგ მიმართული ქართული კომიტეტისა და ქართული ლეგიონებისა და სპეციალური დანიშნულების დანაყოფების შექმნის აუცილებლობას.

გ. გაბლიანმა შესთავაზა მენდესა და ქართველ ემიგრანტ დ. ვაჩნაძეს, ა. ნიკურაძესთან ერთად ეთარგმნათ ზემოაღნიშნული წიგნი ინგლისურ ენაზე, რათა მას გააცნობოდნენ ამერიკის შესაბამისი წრეები.

ამას გარდა, გ. გაბლიანი დაუკავშირდა ნიურნბერგში ამერიკის დაზვერვის ქართველ ოფიცერს ნიკოლოზ დადეშქელიანს, რომლის გამოყენებასაც გეგმავდა ქართული კომიტეტის შექმნის პროცესში.

ნიკოლოზ დადეშქელიანი, საბჭოთა დაზვერვის ყოფილი მაიორი, 1939 წლამდე მსახურობდა საბჭოთა უშიშროების ორგანოებში, კერძოდ, ჩელიაბინსკის ოლქში. 1939 წელს (მისივე განმარტებით), იყო რა პოლონეთთან სადემარკაციო ხაზის დამდგენი კომისიის წევრი, ნ. დადეშქელიანი გერმანელთა მხარეს გადავიდა. მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობის პერიოდში მუშაობდა ნაცისტური გერმანიის სამხედრო დაზვერვაში – „აბვერში", ეწეოდა ანტისაბჭოთა საქმიანობას. ნ. დადეშქელიანს ჰყავდა მეუღლე, სახელად მარია. თბილისში ცხოვრობდნენ მისი დედა, და, აგრეთვე ძმა, თბილისის სახელმწიფო ცირკის მსახიობი (უხელო), რომლებთანაც ერთი პერიოდი მიმოწერაც კი ჰქონდა.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ნ. დადეშქელიანმა მუშაობა განაგრძო ახლა უკვე ამერიკის დაზვერვაში. ნიურნბერგში ის ცნობილი იყო როგორც „ამერიკელი" სვენ ნიკოლაუსი. გ. გაბლიანის შეხვედრა ნ. დადეშქელიანთან შედგა 1946 წლის სექტემბერში, მიუნხენში, მიხეილ ალშიბაიას საცხოვრებელ სახლში.

გ. გაბლიანიასა და მიხ. ალშიბაიას მოლაპარაკებები ნ. დადეშქელიანთან უშედეგოდ დასრულდა. მაშინ გ. გაბლიანმა სთხოვა ნ. დადეშქელიანს, რომ ამერიკის დაზვერვასთან სათანამშრომლოდ ვინმე მათიანი აეყვანა. ამაზე „სვენი" დათანხმდა, თუმცა ერთი პირობით: თუკი მათ მიერ შერჩეული პიროვნება ამერიკის სპეცსამსახურებში ყოფნას არ გამოიყენებდა ქართული კომიტეტის ინტერესებისათვის. გ. გაბლიანმა ნ. დადეშქელიანს ქართველი ემიგრანტის, შ. ა. ოქროპირიძის კანდიდატურა შესთავაზა.[280]

1946 წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში შედგა შ. ოქროპირიძისა და ნ. დადეშქელიანის შეხვედრა ნიურნბერგში, მისსავე საცხოვრებელ ბინაზე, დადეშქელიანმა აუხსნა შ. ოქროპირიძეს, რომ თავდაპირველად მას მოუწევდა შესრულება ამერიკის დაზვერვის ცალკეული დავალებებისა, რომელთა ხარისხზეც დამოკიდებული იქნებოდა მისი მომავალი. ამის შემდეგ ისინი ესტუმრნენ ამერიკის დაზვერვის ერთ-ერთ ოფიციალურ თანამშრომელს, რომელიც გაეცნო ოქროპირიძის ანკეტას და დაუსვა მას რამდენიმე შეკითხვა. მიიღო რა დაზვერვასთან თანამშრომლობის თანხმობა, დაზვერვის ოფიცერმა სთხოვა შ. ოქროპირიძეს,

მოენერა ხელი მის მიერ შევსებულ ანკეტაზე და დაესვა თითის ანაბეჭდი. ამას გარდა, მას წარედგინა ხელმოსაწერად ვარდისფერ ქაღალდზე შესრულებული რამდენიმეპუნქტიანი საიდუმლო გრიფიანი კონფიდენციალური თანამშრომლობის ვალდებულების დოკუმენტი.

მეორე დღეს შ. ოქროპირიძეს მიეცა დავალება, შეესწავლა მიუნხენში მცხოვრები ქართველები: გოგი ვეფხვაძე, დავით ჩხატარაშვილი და გედეონ ასათიანი, რომლებიც, ამერიკელთა ვარაუდით, თანამშრომლობდნენ საბჭოთა სადაზვერვო ორგანოებთან. ვეფხვაძის მიმართ ასეთი მოსაზრება გასჩენიათ მას შემდეგ, რაც საბჭოთა რეპატრიაციის პუნქტში კარსბადში ის აქტიურად მოუწოდებდა კავკასიელებს (ყოფილ სამხედრო ტყვეებს) საბჭოთა კავშირში დაბრუნებისაკენ, თვითონ კი გერმანიაში დარჩა. ვეფხვაძე ცხოვრობდა მიუნხენში, ხშირად იმყოფებოდა კარსბადში, სადაც რეპატრიაციის პუნქტში ხვდებოდა საბჭოთა ოფიცრებს. 1945 წელს დ. ჩხატარაშვილი და გ. ასათიანი რეპატრირებულ იქნენ საბჭოთა კავშირში, ხოლო 1946 წელს უცნაურ ვითარებაში ისინი კვლავ დასავლეთ გერმანიაში აღმოჩნდნენ.

იმ პერიოდში ამერიკის დაზვერვის საქმიანობის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენდა ამერიკის შეერთებულ შტატებში გამგზავრების მსურველი ებრაელების შესწავლა და მათ შორის საბჭოთა სპეცსამსახურების აგენტთა, პროსაბჭოთა განწყობის პირთა, კომუნისტთა და ყოფილ პარტიზანთა გამოვლენა. ამ მიზნით, ნ. დადეშქელიანის მითითებით, შ. ოქროპირიძის მიერ გადმობირებულ იქნა ფელდოფინგის ბანაკში არკადი ციმერმანი და ლევ გოლდბერგი, ხოლო მიუნხენშვაბინგის ბანაკში – ძმები მოშე და ისაკ ვოზნიაკები. შესრულებული სამუშაოსათვის შ. ოქროპირიძე თითოეულ მათგანს უხდიდა 100 ამერიკულ დოლარს. რაც შეეხება შ. ოქროპირიძის შრომის ანაზღაურებას ამერიკის დაზვერვაში, ის ყოველთვიურად შეადგენდა 1400 გერმანულ მარკას, პლუს საკვები პაკეტი და სიგარეტი.

1948 წლის ივნისში ამერიკის დაზვერვის წინაშე დაისვა გერმანიის საოკუპაციო ზონის საფილტრაციო ბანაკებში მყოფ ბალტიისპირეთის რესპუბლიკების წარმომადგენელთა შორის საგადმობირებლო-ოპერატიული საქმიანობის გააქტიურების საკითხი. ამ მიზნით, ნიკოლოზ დადეშქელიანი თავის რეზიდენციაში, რომელიც მდებარეობდა შვაბახერშტრასეს 52-ში, შეხვდა შალვა ოქროპირიძეს და დეტალური ინსტრუქტაჟი ჩაუტარა მის მომავალ სადაზვერვო დავალებასთან დაკავშირებით. კერძოდ, ოქროპირიძე, როგორც რეპატრიანტი, დასავლეთ გერმანიიდან უნდა გამგზავრებულიყო საფილტრაციო ბანაკში „ბრანდენგურგ-226"-ში, მოწყობილიყო ნებით დაქირავებულად და ეწარმეობინა იმ ესტონელების, ლატვიელებისა და ლიტველების გადმობირება, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის დროს მსახურობდნენ „სს"-ის ნაწილებში.

ამერიკის დაზვერვის სასარგებლო საქმიანობაზე დასტურის მიღების შემთხვევაში, შ. ოქროპირიძეს უნდა დაედგინა მათი საბჭოთა კავშირში მომავალი საცხოვრებელი ადგილის მისამართი, რომლის მიხედვითაც შემდგომში მოხდებოდა მათთან კავშირის დამყარება. იმ ეტაპზე ახლადგადმობირებულებს დავალება არ უნდა მისცემოდათ.

ორი-სამი თვის შემდეგ შალვა ოქროპირიძე არალეგალურად უნდა გადასულიყო ბერლინის ამერიკულ სექტორში, იქიდან კი, ამერიკის დაზვერვის დახმარებით,

ნიურნბერგში უნდა დაბრუნებულიყო. თუკი საბჭოთა სარეპატრიაციო ორგანოები საბჭოთა კავშირში სხვებთან ერთად შ. ოქროპირიძესაც გაამგზავრებდნენ, ეს უკანასკნელი ეშელონიდან უნდა გაქცეულიყო, არალეგალურად თბილისში ჩასულიყო და მისულიყო „საქკინოს“ დირექტორთან, გერმან გოგიტიძესთან. შ. ოქროპირიძეს მოკითხვა უნდა გადაეცა გოგიტიძისათვის მისი შვილისაგან რევაზ გოგიტიძისაგან, რომელიც 1941 წელს ნებაყოფლობით ჩაბარდა გერმანელებს და მსახურობდა პოლკ „ბერგმანში“. გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ ის წავიდა პარიზში და ერთი პერიოდი ცხოვრობდა თავის ემიგრანტ ნათესავთან.

ნ. დადეშქელიანის აზრით, კავშირის დამყარებისას გ. გოგიტიძე მაქსიმალურ სიფრთხილეს გამოიჩენდა, რაც არ უნდა გაჰკვირვებოდა შ. ოქროპირიძეს. უფრო მეტიც, შეხვედრას შედეგი რომ მოჰყოლოდა და ნდობა მტკიცე ყოფილიყო, შ. ოქროპირიძეს გ. გოგიტიძისათვის უნდა წარედგინა ცისფერი ცხვირსახოცი, გვერდებზე განიერი ყავისფერი ზოლებით და ლათინური წარწერით „გ“, რომელიც მას ნ. დადეშქელიანმა გადასცა.

გ. გოგიტიძე შ. ოქროპირიძეს დაეხმარებოდა მატერიალურად და ლეგალიზებისათვის საჭირო დოკუმენტების მოძიებაში. თუკი გ. გოგიტიძე თბილისში არ აღმოჩნდებოდა, მისი ოჯახის მეშვეობით უნდა მოეძებნა ყოფილი ემიგრანტი ჯიბო კონჩელი, რომელიც რეპატრირებულ იქნა 1946 წელს და რომელიც მას ასევე გაუწევდა დახმარებას.

იყვნენ თუ არა გოგიტიძე და კონჩელი ამერიკის დაზვერვასთან ფარულ ურთიერთობაში, ოქროპირიძისათვის უცნობი იყო.

შალვა ოქროპირიძეს არ სურდა აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა, ვინაიდან ფიქრობდა რომ, საფილტრაციო ბანაკში მოხვედრისთანავე საბჭოთა სპეცსამსახურები მას აუცილებლად დააპატიმრებდნენ. მიუხედავად ამისა, შემოთავაზებულ წინადადებას დათანხმდა. პარალელურად დაიწყო ფიქრი იმაზე, თუ როგორ ჩაბარებულიყო საკუთარი ნება-სურვილით საბჭოთა ხელისუფლებას და როგორ ეხსნა თავი.

1948 წლის 28 ივნისს შალვა ოქროპირიძე ჩავიდა მაინის ფრანკფურტში განთავსებულ რეპატრიაციის პუნქტში და განაცხადა, რომ სურდა საბჭოთა კავშირში დაბრუნება. იმავე დღეს ოქროპირიძე მატარებლით გაამგზავრეს გერმანიის საბჭოთა საოკუპაციო ზონაში და მოათავსეს საფილტრაციო ბანაკში „ბრანდენბურგ-226“-ში.

ნ. დადეშქელიანმა შ. ოქროპირიძესთან ერთ-ერთ საუბარში განაცხადა, რომ ინგლისისა და ამერიკის დაზვერვათა ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ანტისაბჭოთა საქმიანობის გააქტიურების მიზნით, შექმნილი იყო გაერთიანებული შტაბი, რომელსაც ეწოდა „ნელსონი“. მისი დისლოკაციის ადგილად შერჩეული იყო ლონდონის მახლობლად ქალაქი ნარვიცი. აღნიშნულ შტაბს ხელმძღვანელობდა ინგლისელი ადმირალი. შტაბი 5 დამოუკიდებელი განყოფილებისაგან შედგებოდა. პირველი განყოფილება საქმიანობდა ფინეთისა და საბჭოთა ბალტიისპირეთის ქვეყნების, მე-2 – ბალკანეთის ქვეყნების, მე-3 – საბერძნეთის, იტალიისა და ალბანეთის მიმართულებით; მე-4 ანარმოებდა სადაზვერვო საქმიანობას მხოლოდ საბჭოთა კავშირთან მიმართებით, ხოლო მე-5 განყოფილება ახორციელებდა შესაბამის სამუშაოებს გერმანიასა და ავსტრიაში.

ნიკოლოზ დადეშქელიანი გახლდათ მე-5 განყოფილების ფილიალის ხელმძღვანელი. მის მოვალეობაში შედიოდა საბჭოთა კავშირის მიმართ მტრულად განწყობილი ცალკეული პირების – ემიგრანტების „ნელსონის" სადაზვერვო სკოლისთვის შერჩევა, ხოლო მომზადების შემდეგ საბჭოთა კავშირში არალეგალურად შეგზავნა. მან მოახერხა ანტისაბჭოთა განწყობის 16 ქართველის შერჩევა „ნელსონის" სკოლისათვის. სადაზვერვო სკოლის დამთავრების შემდეგ მათი ნაწილი გაიგზავნა თურქეთში, ამერიკის დაზვერვის ნდობით აღჭურვილი პირის, ვიქტორ ხომერიკის (ნოე ხომერიკის ვაჟიშვილის) განკარგულებაში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ნარვიცის სადაზვერვო სკოლაში სწავლას გადიოდა ქართველი ემიგრანტი მამია ბერიშვილიც. ამის თაობაზე ამ უკანასკნელმა პირადად განმიცხადა 2000 წელს თბილისში სტუმრობისას. სკოლაში მას ასწავლეს სადაზვერვო საქმიანობის საფუძვლები, იარაღის ხმარება და ტექნიკური საშუალებების გამოყენება.

შ. ოქროპირიძემ ჯერ კიდევ მიუნხენში ყოფნისას დაწერა წერილი, რომელშიც აღწერა ინგლის-ამერიკის სადაზვერვო შტაბის, „ნელსონის" საქმიანობა, მიმართული საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. შ. ოქროპირიძე შეეცადა აღნიშნული წერილი გადაეცა მაინის ფრანკფურტში სარეპატრიაციო პუნქტის თანამშრომლისათვის, მაიორ ბურაშინკოვისათვის, თუმცა ამ უკანასნელმა წერილი არ ჩაიბარა და განუცხადა, რომ დაკავებული იყო მხოლოდ რეპატრიაციის საკითხებით და დაზვერვასთან შეხება არ ჰქონდა, თუმცა ურჩია ოქროპირიძეს, წერილი გადაეცა საბჭოთა უშიშროების ორგანოებისათვის საბჭოთა საოკუპაციო ზონაში მოხვედრისთანავე.

საბოლოოდ, შალვა ოქროპირიძე საბჭოთა მართლმსაჯულების კლანჭებში მაინც მოხვდა.[280]

სპეცსამსახურების მხედველობის არეში იყო მოხვედრილი საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველი – მიხეილ ახმეტელი, ფილოსოფოსი და პოლიტოლოგი, პროფესორი, რომელმაც ყურადღება მიიქცია როგორც საბჭოთა კავშირისა და კავკასიის საკითხების მკვლევარმა – მეცნიერმა და ანტისაბჭოთა თეორეტიკოსმა.[281]

მიხეილ კონსტანტინეს ძე ახმეტელი დაიბადა 1895 წელს საქართველოში. სწავლობდა თბილისის ერთ-ერთ გიმნაზიაში, დამთავრებული ჰქონდა ხარკოვის უნივერსიტეტი. 1918 წელს იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროპაგანდისტი კახეთში. მიხ. ახმეტელი 1919 წელს, ნ. ჟორდანიას მთავრობის რეკომენდაციით, სხვებთან ერთად, მივლინებულ იქნა ევროპაში სწავლის გასაგრძელებლად. იმ პერიოდისათვის მისი ბიძა – ლადო ახმეტელი – გახლდათ დამოუკიდებელი საქართველოს დესპანი გერმანიაში და ცხოვრობდა ბერლინში. მიხ. ახმეტელმაც სწავლის გასაგრძელებლად გოტინგენის, ჰალეს, მიუნხენისა და ბერლინის უნივერსიტეტები აირჩია. ამ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის შედეგად მან მიიღო ფილოსოფოსისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორის დიპლომი და სამეცნიერო ხარისხი.

მიხ. ახმეტელის საქმიანობის დაწყება დაემთხვა გერმანიის პოლიტიკურ არენაზე ადოლფ ჰიტლერის გამოჩენას.

სამეცნიერო ზესვლა მიხ. ახმეტელისათვის ადვილი არ აღმოჩნდა. თუმცა, შრომისმოყვარეობა, მიზანდასახულობა და სიბეჯითე იმის გარანტიას იძლეოდა,

რომ მისგან საინტერესო მკვლევარი უნდა დამდგარიყო. ის პოლიტიკურ საქმიანობაში ჩააბა მისმა მეგობარმა, ნაცისტური გერმანიის მომავალმა მინისტრმა როზენბერგმა ომამდე რამდენიმე წლით ადრე, როდესაც ის ჯერ კიდევ ემიგრანტი იყო.

მიხ. ახმეტელი, როგორც მეცნიერი და ორგანიზატორი, უფრო მეტად წარმოჩინდა ომის დაწყების წინა პერიოდში, როდესაც მას საშუალება მიეცა ბერლინში სათავეში ჩასდგომოდა „აღმოსავლეთის ინსტიტუტს“. ამ მომენტიდან მიხ. ახმეტელი გახდა ნაციონალ-სოციალისტური გერმანიის სრულუფლებიანი მოქალაქე და ახალი იდეოლოგიის ერთგული მიმდევარი, უფრო სწორად, მან თავისი ორთოდოქსულ-მარქსისტული შეხედულებები ნაცისტური მრწამსით ჩაანაცვლა.

მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობის პერიოდში ა. როზენბერგმა მიხ. ახმეტელი თავის უწყებაში – აღმოსავლეთ საქმეთა სამინისტროში მიიწვია სათანამშრომლოდ და ამ უკანასკნელს სამოცკაციან მეცნიერთა ჯგუფი ჩააბარა. როგორც „აღმოსავლეთის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელმა, დიდი სამუშაოები ჩაატარა საბჭოთა კავშირის, განსაკუთრებით მისი სამეურნეო-ეკონომიკური მიმართულებების შესასწავლად.

მიხ. ახმეტელმა, როგორც ნაცისტური პარტიის იდეოლოგიის მიმდევარმა, სამსახურიდან დაითხოვა ებრაელი მეცნიერები, რომლებიც წლების მანძილზე „რუსეთის პრობლემატიკის“ შემსწავლელებად ითვლებოდნენ. მათ ნაცვლად კი რუსები და ბალტიისპირელი გერმანელები მიიწვია. ამით ნაცისტებში საგრძნობლად გაიმაგრა პოზიციები და ანგარიშგასაწევი პიროვნება გახდა არამარტო როზენბერგის, არამედ თვით ჰიტლერის გარემოცვაშიც კი.

ცნობილია, რომ მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობის პერიოდში გერმანიის არმიის უმაღლეს სარდლობას და ნაციონალ-სოციალისტთა იდეოლოგებს სსრ კავშირისა და დაპყრობილი ტერიტორიების მიმართ განსხვავებული პოზიციები გააჩნდათ. მიხ. ახმეტელი, როგორც მეცნიერი, ცდილობდა დამოუკიდებლად ეაზროვნა. მან გერმანელებს წარუდგინა საბჭოთა კავშირის დაშლის პროექტი, მთავარი აქცენტი დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოების გამოყოფაზე გააკეთა. მიხ. ახმეტელს კავკასია, როგორც კონფედერაციული სახელმწიფო, წარმოდგენილი ჰქონდა რუსეთის იმპერიის პერიოდის ადმინისტრაციულ საზღვრებში. მისი მოსაზრებები შესაბამის უწყებებში ინტერესით განიხილეს, თუმცა ყოველივე განხილვის დონეზე დარჩა. მიუხედავად ამისა, რუსეთის „დეკომპოზიციის“ (ასე უწოდებდა ის ამ გეგმას) იდეის ავტორმა საკუთარი პოზიციები, როგორც მეცნიერმა, კიდევ უფრო გაიმყარა.

მეორე მსოფლიო ომის დროს მიხ. ახმეტელი ორჯერ იმყოფებოდა აღმოსავლეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე. ერთხელ უკრაინაში, ჩერნიგოვსა და კიევში, ხოლო მეორედ – ნალჩიკში. მის მიზანს წარმოადგენდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარების შესწავლა და შედეგების მოხსენება გერმანიის არმიის სარდლობისა და ნაცისტური ხელისუფლების ხელმძღვანელობისათვის.

მიხ. ახმეტელი ოკუპირებულ რეგიონებში ხვდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის ავტორიტეტულ პიროვნებებს და ისმენდა მათ მოსაზრებებს შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, რის შედეგადაც უფრო განუმტკიცდა „დეკომპოზიციის“

მისეული იდეის სისწორე. ის თვლიდა, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მთელი ფორმალური და რეალური ძალაუფლება სასწრაფოდ უნდა გადასცემოდა ბელორუსიის, უკრაინისა და კავკასიის „პროვიზორულ მთავრობებს". აღნიშნულთან დაკავშირებით მისი მოხსენება წარედგინა როგორც როზენბერგს, ისე გერმანიის არმიის სარდლობას. თუმცა, უშედეგოდ, თუ არ ჩავთვლით მიხ. ახმეტელის პიროვნებით „აბვერის" შეფის, ადმირალ კანარისის დაინტერესებას. მიუხედავად ამისა, მიხ. ახმეტელი თავის პოზიციებზე მყარად იდგა და რუსეთის დაშლის მისეული მოსაზრების ერთგული ბოლომდე რჩებოდა.

გლობალურ საკითხებზე მუშაობის გარდა, მიხ. ახმეტელი თანამშრომლებთან ერთად ცდილობდა სასარგებლო ყოფილიყო გერმანიისათვის სხვა თვალსაზრისითაც, კერძოდ, ის სწავლობდა და აანალიზებდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამეურნეო-ეკონომიკურ მდგომარეობას.

მიხ. ახმეტელი ქართულ ლეგიონებთან მიმართებით არ აქტიურობდა, საერთოდ ერიდებოდა ქართველ ემიგრანტებთან ურთიერთობებს და ახლო კონტაქტს, ვინაიდან თავის თავს გერმანიის სრულუფლებიან მოქალაქედ მიიჩნევდა. მან დახმარება არ აღმოუჩინა თავის დისშვილს, ამირან შალამბერიძესაც კი, რომელიც გერმანელებთან მოხალისედ მსახურობდა და 1942 წელს ერთ-ერთი ბრძოლის დროს დაიღუპა.

ომის დამთავრების შემდეგ მიხ. ახმეტელი საკმაოდ უხერხულ სიტუაციაში აღმოჩნდა. მისმა ანტისაბჭოთა საქმიანობამ და „კავკასიის ინსტიტუტიდან" ებრაელ მეცნიერთა განდევნამ თავისი უარყოფითი შედეგი გამოიღო. ის საერთოდ არ დაუშვეს სამუშაოდ ამერიკის, ინგლისისა და საფრანგეთის საოკუპაციო ზონებში, ვინაიდან იქ მსახურობდნენ ებრაელები, რომელთაც კარგად ახსოვდათ ქართველი პროფესორის პოლიტიკური კრედო. ასე გაგრძელდა 1948 წლამდე, სანამ ამერიკის დაზვერვა, ბოლოს და ბოლოს, არ დაინტერესდა მიხ. ახმეტელის პიროვნებით. ვინაიდან მიხ. ახმეტელთან დაახლოებული ჰიტლერის მმართველობის პერიოდის მეცნიერები კარგა ხნის დაპატიმრებულები იყვნენ, ამერიკელებმა ქართველ პროფესორს აგრძნობინეს, რომ პირადად მისთვის სჯობდა, ეთანამშრომლა ამერიკის დაზვერვასთან, რითაც თავიდან აიცილებდა უსიამოვნებებს. მიხ. ახმეტელს სხვა გზა აღარ დარჩენოდა და შემოთავაზებულ წინადადებას დათანხმდა. სულ მალე, მიხ. ახმეტელი ოჯახთან: მეუღლესთან, ქალიშვილთან, სიდედრთან და პირად მოახლესთან ერთად ქ. მაინის ფრანკფურტის შორიახლოს, რკინის ეკალბარდებით შემოღობილ დახურულ ზონაში აღმოჩნდა. ის და მისი ოჯახის წევრები მოათავსეს მშვენიერ ვილაში და შეუქმნეს ყველა პირობა ნაყოფიერი სამეცნიერო საქმიანობისათვის. ამერიკელები მიხ. ახმეტელს დაპირდნენ, რომ 6-7 თვეში მას და მის ოჯახს საცხოვრებლად ამერიკის შეერთებულ შტატებში გაამგზავრებდნენ.

მიხ. ახმეტელს ამერიკის დაზვერვისათვის უნდა წარედგინა მასალები გერმანიაში მისი საქმიანობის შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილებულიყო იმაზე, თუ რას წარმოადგენდა თვით როზენბერგის სამინისტრო და როგორი იყო მისი გეგმები საბჭოთა კავშირთან დაკავშირებით. ამერიკის დაზვერვის წარმომადგენელთა განმარტებით, აღნიშნული ინფორმაცია მათ, თითქოსდა, სჭირდებოდათ ისტორიული კვლევების თვალსაზრისით. მიხ. ახმე-

ტელი მინდობილ საქმის მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდა და, რამდენიმეთვიანი დაუღალავი შრომის შედეგად მოამზადა ერცელი მასალა, რომელშიც დეტალურად ასახა ჰიტლერის პოლიტიკის მარცხის მიზეზები, განსაკუთრებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით დაშვებული შეცდომები. მან ამერიკელებს წარუდგინა საბჭოთა კავშირის დაშლის ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი – სსრკ-ის ტერიტორიაზე დასახლებული ერებისათვის სუვერენიტეტის მინიჭება და დამოუკიდებელ ქვეყნებად აღიარება. მიხ. ახმეტელმა ამერიკელებს მიაწოდა აგრეთვე მასალები, რომლებშიც ასახული იყო ინფორმაცია სსრ კავშირის ეკონომიკურ რესურსებზე, სამეურნეო შესაძლებლობებზე, გეოსტრატეგიულ პოტენციალზე. მანვე ამერიკის დაზვერვას გადასცა მისი ჯერ კიდევ გამოუქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები.

6-7 თვის შემდეგ მიხ. ახმეტელმა შეახსენა ამერიკელებს დანაპირები და აშშ-ში გამგზავრება ითხოვა, თუმცა ამერიკის დაზვერვამ აგრძნობინა, რომ ჯერჯერობით ის საჭირო იყო იქ – ევროპაში. ამის შემდეგ, მან ავადმყოფობა მოიმიზეზა და სამი დღით მიუნხენში გაემგზავრა. იქიდან მაინის-ფრანკფურტში გაგზავნა წერილი, რომელშიც მიუთითა, რომ ის, როგორც მეცნიერი და პოლიტოლოგი, აღარ იყო სასარგებლო ამერიკის დაზვერვისათვის და მოითხოვა სასწრაფოდ მისი განთავისუფლება. იმის გამო, რომ ზემოაღნიშნული საკითხი გახმაურდა და პრაქტიკულად სკანდალის სახე მიიღო, ამერიკელები იძულებული გახდნენ, დაეკმაყოფილებიათ მიხ. ახმეტელის მოთხოვნები.

უმუშევრად დარჩენილმა მიხ. ახმეტელმა ბავარიის მახლობლად, რამდენიმე საათის სავალზე მიაკვლია ძველ ციხესიმაგრეს მეპატრონემ იმის გამო, რომ ვეღარ უვლიდა, სიამოვნებით დაუთმო იგი ქართველ პროფესორს, რომელმაც სოფლის მეურნეობას მიჰყო ხელი. უსახსროდ და უპენსიოდ დარჩენილ პროფესორს ძალზე უჭირდა.

ასე გაგრძელდა 1952 წლამდე. მიხ. ახმეტელს დახმარების ხელი გაუწოდეს ისევ მისმა გერმანელმა მეგობრებმა, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა დისტმანმა და ფონ გერვარდტმა, რომელთა მეშვეობითაც მან გარკვეულწილად მოახდინა საკუთარი თავის რეაბილიტირება ბავარიის ამერიკული ორგანიზაციების თვალში.

1953 წელს „ბოლშევიკებისაგან განთავისუფლების ამერიკის კომიტეტმა“ გადაწყვიტა მიხ. ახმეტელის ჩართვა ამერიკელების მიერ შექმნილ ორგანიზაციაში „სსრ კავშირის შემსწავლელ ინსტიტუტში“, რომლის შტაბ-ბინაც განთავსებული იყო მიუნხენში. მიხ. ახმეტელმა ამასთან დაკავშირებით წამოაყენა თავისი პირობები: ჯერ ერთი, ის უნდა დარწმუნებულიყო ამერიკელთა პოლიტიკაში, რომლის მიზანიც საბჭოთა რუსეთის დაშლა იყო. ამ შემთხვევაში ამერიკელებს უნდა ეცნოთ და მხარი დაეჭირათ სსრკ-ის დაშლის მისეული ვარიანტისათვის, და მეორეც, მათ უნდა ეცნოთ კავკასია სუვერენულ და თავისუფალ სახელმწიფოდ.

მიხ. ახმეტელის მიერ მომზადებული პროექტი, რომელიც წარედგინა ინსტიტუტში მომუშავე რუს თანამშრომლებს, ამერიკელებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა. როდესაც მიხ. ახმეტელს შესთავაზეს, ჩართულიყო „ინსტიტუტის“ ზოგად საქმიანობაში, მან კატეგორიული უარი განაცხადა და მიანიშნა, რომ ამის მიზეზი იყო ინსტიტუტის რუსი ეროვნების ხელმძღვანელი. ამის მიუხედავად, მიხ. ახმ-

ეტელმა „კავკასიის საკითხთა შემსწავლელი ინსტიტუტის“ ხელმძღვანელობის სურვილი მაინც გამოთქვა.

არც ამ მცდელობას მოჰყვა რაიმე შედეგი. მაშინ, მიხ. ახმეტელმა გადაწყვიტა მოეცადა იმ პერიოდისათვის, როდესაც სსრ კავშირთან მიმართებით ადენაუერის მთავრობა ამერიკელებისაგან დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებას დაიწყებდა.

1953-1954 წლებში მიუნხენში ჩამოყალიბდა „კავკასიის დამოუკიდებლობის ინსტიტუტი“. მიუხედავად იმისა, რომ მიხ. ახმეტელი ამ ორგანიზაციის მმართველ ორგანოში არ შედიოდა და მხოლოდ მრჩევლის სტატუსით შემოიფარგლებოდა, მან დიდი როლი ითამაში მის შექმნაში. პირადად შეადგინა „კავკასიის დამოუკიდებლობის ინსტიტუტის „დეკლარაცია“, შეიმუშავა წესდების პროექტი, ამზადებდა წინასწარ მოხსენებებს ამ ორგანიზაციის დამფუძნებელთა მოკლე წრისათვის მომავალი „დამოუკიდებელი კონფედერაციული კავკასიის“ შესაქმნელად ეკონომიკური წანამძღვრებისა და პოლიტიკური მიზანშეწონილობის საკითხებთან დაკავშირებით.

მიხ. ახმეტელი არსად მუშაობდა და საკუთარ პენსიას სჯერდებოდა. მოგვიანებით საცხოვრებლად მიუნხენთან ახლოს გადავიდა. ხშირად ხვდებოდა ძველ თანამშრომლებს და ოცნებობდა დამოუკიდებელი ინსტიტუტის შექმნაზე. მიხ. ახმეტელი აქვეყნებდა სტატიებს ჟურნალ „კავკასიაში“, ფსევდონიმით – „ნოტო“. ის ახლო ურთიერთობებს ინარჩუნებდა გიორგი მაღალაშვილთან, რასულზადესთან, დავით ვაჩნაძესთან. გერმანელთაგან მას განსაკუთრებულად ახლო ურთიერთობა ჰქონდა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პროტოკოლის უფროსთან, ფონ გერვარდტთან.

საბჭოთა საგარეო დაზვერვის მონაცემებით, მიხ. ახმეტელს საქართველოში დაბრუნების სურვილი არასდროს გამოუთქვამს. მისი მშობლები ომამდე გარდაიცვალნენ.

მიხ. ახმეტელს ჰყავდა ერთადერთი ქალიშვილი. ის და მისი მეუღლე შვილის ღირსეულად აღზრდას ცდას არ აკლებდნენ და ზრუნავდნენ მისთვის კარგი განათლების მიცემას, რაც მოახერხეს კიდეც.

მიხეილ ახმეტელი გარდაიცვალა 1963 წელს, დაკრძალულია მიუნხენის სასაფლაოზე. იმავე წელს გარდაიცვალა მისი უახლოესი მეგობარი დავით ვაჩნაძეც.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა საგარეო დაზვერვა აქტიურად სწავლობდა სიტუაციას მიხ. ახმეტელის ირგვლივ, თუმცა რით დასრულდა ყოველივე, უცნობია.

საბჭოთა სპეცსამსახურების (დაზვერვის) მხედველობის არეში იყო მოქცეული ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაციის კიდევ ერთი წარმომადგენელი მერაბ კვიტაშვილი, რომელიც წლების მანძილზე ჯერ დიდი ბრიტანეთის სამხედრო დაზვერვაში, ხოლო შემდეგ „ამერიკის ხმის“ ქართულ რედაქციაში მუშაობდა.

მერაბ კვიტაშვილი დაიბადა 1902 წელს სამბროლაურის რაიონის სოფელ ველევში, ცნობილი საზოგადო მოღვაწის, იურისტისა და ქველმოქმედის სიმონ კვიტაშვილის და მართა (მათიკო) მიქელაძის, ცნობილი მხედართმთავრის, პლატონ მიქელაძის ქალიშვილის ოჯახში. მათ ოთხი შვილი ჰყავდათ: ნინო, მერაბი, თამარი და ვახტანგი.

სიმონ კვიტაშვილი პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე ოჯახით საცხოვრებლად ბაქოში გადასახლდა და სათავეში ჩაუდგა ცნობილი ქართველი მეწარმის აკაკი ხოშტარიას საწარმოს „რუპენტოს“ (Русско-персидское нефтяное товарищество)*.

1919 წლის დეკემბერში მერაბ კვიტაშვილი ოჯახმა სასწავლებლად ინგლისში გაგზავნა. ის ჯერ ოქსფორდის უნივერსიტეტში ჩაირიცხა, ხოლო შემდეგ ბირმინგემის უნივერსიტეტში გადავიდა და დაამთავრა ის სამთამადნო ინჟინრის სპეციალობით. ამ განხრით მ. კვიტაშვილმა თითქმის ოცდახუთი წელი იმუშავა. კარგად ფლობდა რუსულ, ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ ენებს.

მას შემდეგ, რაც ბოლშევიკურმა რუსეთმა ძალით დაიპყრო ამიერკავკასია, მ. კვიტაშვილის მშობლები 1921 წლის მარტში ემიგრაციაში წავიდნენ. ისინი ჯერ გერმანიაში ცხოვრობდნენ, ხოლო შემდეგ საფრანგეთში დამკვიდრდნენ და იქვე აღესრულენ კიდეც. განისვენებენ ლევილის სასაფლაოზე.

მეორე მსოფლიო ომის დაწყების მომენტში მ. კვიტაშვილი აფრიკის კონტინენტზე, კერძოდ, განაში, ერთ-ერთი მეტალურგიული ქარხნის დირექტორის თანამდებობაზე მსახურობდა. მან პროფესიულ საქმიანობას თავი დაანება, ინგლისის ქვეშევრდომობა მიიღო და მოხალისედ ჩაირიცხა ინგლისის არმიაში. მ. კვიტაშვილი ოფიცერთა სასწავლებელში მიავლინეს. ხანმოკლე სამსახურებრივი საქმიანობის შემდეგ ინგლისის დაზვერვის სკოლაში ჩაირიცხა. სპეცსასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ახალგაზრდა მზვერავი, კაპიტანი მ. კვიტაშვილი სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად კაიროში მიავლინეს. შემდეგ მსახურობდა ჩრდილოეთ აფრიკის სხვადასხვა ქვეყნებსა და ქალაქებში: სირიაში, ლიბანში, პალესტინაში, საბერძნეთში, იერუსალიმსა და ბაღდადში. ერთ-ერთი სადაზვერვო დავალების შესრულებისას მძიმედ დაიჭრა. მოგვიანებით მ. კვიტაშვილი მივლინებულ იქნა თეირანში, ირანში დიდი ბრიტანეთის საელჩოში, რეალურად ინგლისის დაზვერვის რეზიდენტურაში. ის დასაწყისში ინგლისის არმიის გენერალური შტაბის მოწინავე სექტორის რიგითი თანამშრომელი იყო, ხოლო შემდგომ სამხედრო დაზვერვის ამ დანაყოფის ხელმძღვანელი გახდა.

მ. კვიტაშვილის მოვალეობას წარმოადგენდა სადაზვერვო საქმიანობის ორგანიზება არამარტო გერმანიასთან, არამედ საბჭოთა კავშირთან მიმართებით, როგორც ამ ქვეყნების შიგნით, ისე ირანის ტერიტორიის გამოყენებით. აღნიშნული თვალსაზრისით, ოპერატიული ვითარება თეირანში არ იყო საბჭოთა კავშირისთვის სასარგებლო. 1942 წლის მარტისათვის საბჭოთა სამხედრო დაზვერვა (ГРУ**) იტყობინებოდა იმის თაობაზე, რომ უკანასკნელ პერიოდში ირანში, განსაკუთრებით, საბჭოთა ჯარების დისლოკაციის ზონაში, ადგილი ჰქონდა სსრ კავშირის წინააღმდეგ მიმართულ რიგ მტრულ ქმედებასა და ანტისაბჭოთა განწყობას, რაც ირანის ხელისუფლების ფარული ხელშეწყობით ხდებოდა. საბჭოთა დაზვერვა მიიჩნევდა, რომ ამაზე დროულ რეაგირებას არ ახდენდა თეირანში განთავსებული საბჭოთა დიპლომატიური კორპუსი, რის თაობაზეც ეცნობა ი. სტალინსა და ამიერკავკასიის სამხედრო საბჭოს წევრებს დ. მ. ბაგიროვსა და კ. ნ. ჩარკვიანს.[34]

* რუსულ-სპარსული ნავთობის ამხანაგობა

** საბჭოთა არმიის გენშტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველო

მ. კვიტაშვილი 1943 წლის 24 ნოემბრიდან აქტიურად ჩაერთო აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და სსრ კავშირის ლიდერების თეირანის უმაღლესი შეხვედრების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მიმდინარე საქმიანობაში, რასაც წარმატებით გაართვა თავი.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პერიოდში მ. კვიტაშვილმა გაიცნო ი. სტალინის პირადი დაცვის უფროსი, გენერალ-მაიორი შალვა წერეთელი, გენერალ-მაიორი ნაჭყებია და უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე მთავარი პასუხისმგებელი პირი ლავრენტი ბერია. ქართველი გენერლების დამოკიდებულება მ. კვიტაშვილისადმი იყო ფრთხილი და მოზომილი. ამ უკანასკნელს ერთ დღეს დიდხანს ესაუბრა ლ. ბერიაც. საუბარი ძირითადად გაცნობით ხასიათს ატარებდა და მას სხვა რაიმე დატვირთვა, გარდა უსაფრთხოების უზრუნველმყოფი ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვისა და რეალიზაციაში მონაწილეობისა, არ გააჩნდა. „დიდი სამეულის" შეხვედრები ინგლისისა და საბჭოთა კავშირის საელჩოებში მიმდინარეობდა და დაცვითი ღონისძიებებიც უპრეცედენტოდ მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული.

მ. კვიტაშვილის მოგონებების თანახმად, სსრ კავშირის პირველი ჩეკისტი ლ. ბერია თეირანში ყოფნისას ძალზე ნერვიულობდა. თავისიანებს მუდმივად ლანძღავდა და უშვერი სიტყვებით მოიხსენიებდა.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ მ. კვიტაშვილი საცხოვრებლად ამერიკის შეერთებულ შტატებში გადავიდა. ის წლების მანძილზე მუშაობდა „ამერიკის ხმის" ქართულ რედაქციაში მისი პირველი დირექტორის, ირაკლი ორბელიანის (ფსევდონიმი „ნიკო რაჭველი") მიწვევით. 1972 წელს მ. კვიტაშვილი პენსიაზე გავიდა.[37]

გაზეთ „სამშობლოს" 1991 წლის თებერვლის ნომერში დაიბეჭდა ნეკროლოგი (ავტორი გ. გაჩეჩილაძე) მერაბ კვიტაშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.[38]

კიდევ ერთი ქართველი მამულიშვილი ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ მშობლიურ მიწაზე ფეხის დადგმა და რაჭაში მამაპაპისეულ ეზოში გავლა არ ღირსებია, თუმცა XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოს სტუმრობდა მ. კვიტაშვილის ქალიშვილი ელისო მეუღლესთან ერთად.

უცხო ქვეყნის სპეცსამსახურში (დაზვერვაში) მოღვაწე კიდევ ერთი ქართველის, იური ჭაფოძის შესახებ ამცნო გაზეთმა „კვირის პალიტრამ" 2009 წლის 9-15 თებერვლის ნომერში (ქართველი „ჯეიმს ბონდი" – უცნობი ბაბუის საიდუმლო მისია... და დაკარგული მილიონები). ავტორის, ქ-ნი ეკა ლომიძის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ეფუძნება ი. ჭაფოძის შვილიშვილის, ბ-ნი იური (უმცროსი) ჭაფოძის ნაამბობს. ეს უკანასკნელი ბოლო წლებია ლონდონში ცხოვრობს და ბაბუის წარსული, უდავოდ საინტერესო ცხოვრების შესწავლას ცდილობს.

მონათხრობის თანახმად, იური ჭაფოძე 1941 წლის ქერჩის ბრძოლების დროს გერმანელებს, სხვა საბჭოთა წითელარმიელებთან ერთად, ტყვედ აუყვანიათ. შემდეგ ის ქართულ ეროვნულ ლეგიონში ჩარიცხულა და ორგანიზაცია „თეთრი გიორგის" წევრიც გამხდარა. საქართველოში ი. ჭაფოძეს მცირეწლოვანი ქალვაჟი და მეუღლე დაუტოვებია. მოგვიანებით, ი. ჭაფოძის ოჯახში ცნობა მოსულა მისი უგზო-უკვლოდ დაკარგვის თაობაზე. მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან რამდენიმე წლის შემდეგ ოჯახს, საიდუმლო ვითარებაში, შეუტყვია ი. ჭაფოძის

ინგლისში ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ.

ი. ჭაფოძის ცხოვრებითა და საქმიანობით იმთავითვე დაინტერესებულა საბჭოთა სპეცსამსახური – უშიშროების კომიტეტი. მათთვის ცნობილი გამხდარა, რომ ომის დამთავრების შემდეგ ი. ჭაფოძე ჯერ ინგლისელთა მხარეს ჩაბარებია, ხოლო მოგვიანებით ჯორჯ ჩაფელის გვარ-სახელით ინგლისის დაზვერვაში დაუწყია მუშაობა.

ჯ. ჩაფელის შესახებ ინფორმაცია მისი ნათესავებისათვის ცნობილი გამხდარა მხოლოდ 1961 წელს. წლების მანძილზე მისი პიროვნება გასაიდუმლოებული ყოფილა. 1970 წელს საბჭოთა პრესა ჯ. ჩაფელზე წერდა, როგორც „სამშობლოს მოღალატეზე, ჯალათზე, რომელმაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეინირა საკონცენტრაციო ბანაკებში". თუმცა, ინგლისურ „თაიმსს" ამ ბრალდებისათვის რუსების მორიგი პროვოკაცია უწოდებია და მეტიც, ჟურნალის გარეკანზე ქართველი მზვერავის ფოტოც კი დაუბეჭდავს.[210]

ინფორმაცია ი. ჭაფოძის შესახებ საქართველოს არქივებში ჩვენ მიერ ვერ იქნა მოძიებული.

ქართველი „ჯეიმს ბონდის", როგორც მას სტატიის ავტორი უწოდებს, ჯორჯ ჩაფელის ცხოვრება და მოღვაწეობა იმდენად საინტერესო ჩანს, რომ მომავალში დანვრილებით მასზე საუბარი და მისი პიროვნების უფრო ღრმად შესწავლა, ვფიქრობთ, აუცილებელია.

## ქართველ ემიგრანტთა მოტაცება-გამოტყუების სპეციალური სადაზვერვო ღონისძიებები

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა სპეცსამსახურების საქმიანობის ერთ-ერთ ამოცანად კვლავ რჩებოდა ბრძოლა საზღვარგარეთული ანტისაბჭოთა, ემიგრანტული ორგანიზაციებისა და მათი ცალკეული წევრების, განსაკუთრებით მათ წინააღმდეგ, ვინც ფაშისტურ გერმანიასთან თანამშრომლობდა. გასატარებელ სპეცღონისძიებათა კომპლექსში შედიოდა დასავლეთ ბერლინსა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში გაფანტულ, გერმანელთა მხარეზე მებრძოლ ყოფილ სამხედრო ტყვეთა და მტრულად განწყობილ ცალკეულ ემიგრანტთა მოძიება, ფარული მოტაცება და საბჭოთა მართლმსაჯულებისათვის გადაცემა.

ოპერატიულ-სამძებრო და სპეცღონისძიებების ორგანიზებისათვის აღმოსავლეთ ბერლინში მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე ჩამოყალიბდა სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ქ. ბერლინის ოპერატიული სექტორი, რომელიც ძირითადად საბჭოთა საგარეო დაზვერვის თანამშრომლებით იყო დაკომპლექტებული. ქ. ბერლინის ოპერატიული სექტორის უფროსად დაინიშნა გენერალ-მაიორი ა. მ. სიდნიოვი. ის იმთავითვე ითვლებოდა „სმერშის" მაღალჩინოსნის, ი. ა. სეროვის „კაცად". ამ უკანასკნელს კი საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჰქონდა მარშალ ჟუკოვთან. მოგვიანებით მას ბერლინში „მოღვაწეობა" ძვირად დაუჯდა.

ა. მ. სედნიოვი თათრეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უშიშროების მინისტრობის დროს, 1948 წლის 6 თებერვალს დაპატიმრებულ

იქნა. მას ბრალი ედებოდა ქ. ბერლინში ყოფნისას ქურდობისა და მოროდიორობის ხელშეწყობაში და საბჭოთა უმაღლესი სამხედრო ელიტისათვის, კერძოდ ჟუკოვისათვის ძვირფასი ნადავლის გადაცემა-მითვისებაში. [194] სწორედ ამ სექტორის მიერ იქნა ორგანიზებული ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ცნობილი წარმომდგენლების ტიტე მარგველაშვილის, კორნელი ხოშტარიასა და ვალერიან ტოგონიძის დაპატიმრება-მოტაცება დასავლეთ ბერლინიდან. აღნიშნული ფაქტი დაადასტურა პატიმრობაში მყოფმა დ. მატარაძემაც.[374]

საზღვარგარეთ სპეცსამსახურების მიერ განხორციელებულ სპეცოპერაციას ზემოაღნიშნულ ქართველ ემიგრანტთა ჯგუფიდან ერთ-ერთი პირველი ემსხვერპლა ვალერიან ტოგონიძე.

ვ. ტოგონიძემ საქართველო დატოვა 1926 წელს. ის იყო ორგანიზაცია „თეთრი გიორგის" წევრი, აქტიურად მონაწილეობდა ქართული ლეგიონების ფორმირებაში, თანამშრომლობდა გაზეთ „საქართველოსთან" და ჟურნალ „ქართველ ერთან".

ვ. ტოგონიძე მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ დარჩა ბერლინში. საბჭოთა სპეცსამსახურებმა ის დააპატიმრეს (მოიტაცეს) 1945 წლის 21 დეკემბერს. ვ. ტოგონიძე ჯერ მოსკოვში, ხოლო შემდეგ თბილისში იქნა ეტაპირებული. თითქმის ერთწლიანი გამოძიების შემდეგ ვ. ტოგონიძეს საბჭოთა მართლმსაჯულებამ გამოუტანა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა. განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი 1946 წლის 23 დეკემბერს. რაც შეეხება ტ. მარგველაშვილს და ა. ხოშტარიას, ისინი დაპატიმრებულ იქნენ 1946 წლის 21 თებერვალსა და 4 ივნისს.

1946 წლის 1 მარტს ოპერატიული სექტორის უფროსმა გენერალ-მაიორმა სიდნიოვმა წერილობით მიმართა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარს, არმიის გენერალ ვსევოლოდ ნიკოლოზის ძე მერკულოვს:

„Согласно Вашему телеграфному распоряжению от 21-го февраля 1946 года, направляется секретно изъятый эмигрант Маргвелашвили Тите.

Одновременно сообщаю, что совместно с Маргвелашвили Т. был изъят его 18-ти летний сын Гиви. Это мероприятие проведено в целях создания впечатления в среде эмиграции о временном выезде Маргвелашвили с сыном из гор. Берлина.

Других членов семьи Маргвелашвили в Германии не имеет.

Сын Маргвелашвили будет направлен в Ваше распоряжение отделным спецконвоем»*.[354]

წერილი მერკულოვმა გადაუგზავნა სსრკ შსკ-ის პირველი სამმართველოს (საგარეო დაზვერვის) უფროსს გენერალ ლეიტენანტ პავლე მიხეილის ძე ფიტინს (1907-1971). ეს უკანასკნელი მიღებულ დოკუმენტს აწერს საგარეო დაზვერვის ემიგრაციის განყოფილების უფროსს გუკასოვს, გუკასოვი კი თავის თანამშრომელს, დავით მატარაძეს, რომელიც მუშაობდა ქართული ემიგრაციის ოპერატიული დამუშავების მიმართულებაზე.

---

* „თანახმად თქვენი 1946 წლის 21 თებერვლის სატელეგრაფო განკარგულებისა, გეგზავნებათ საიდუმლოდ აყვანილი ემიგრანტი ტიტე მარგველაშვილი. ამავდროულად, გაცნობებთ, რომ ტ. მარგველაშვილთან ერთად აყვანილ იქნა მისი 18 წლის ვაჟიშვილი გივი. ეს ღონისძიება ჩატარდა იმ მიზნით, რომ ემიგრანტთა შორის ჩამოყალიბებულიყო აზრი ვაჟიშვილთან ერთად ტ. მარგველაშვილის ბერლინიდან დროებით გამგზავრების თაობაზე. მარგველაშვილს ოჯახის სხვა წევრები გერმანიაში არ ჰყავს. თვითონ მარგველაშვილის ვაჟიშვილი თქვენს განკარგულებაში გადმოცემულ იქნება ცალკე სპეცბადრაგით".

1946 წლის 7 მარტს პ. ფიტინმა შემდეგი შინაარსის პატაკით მიმართა ვ. მერკულოვს:

„Прошу Вашего распоряжения за следственной частью по Особо-Важным Делам НКГБ СССР арестованного в Берлине грузинского эмигранта Маргвелашвили Тите Федосеевича, для ведения следствия по его делу»*.[354]

1946 წლის 15 მარტს ტიტე მარგველაშვილის დაპატიმრებაზე სანქცია გასცა სსრკ პროკურორის მოადგილემ, იუსტიციის გენერალ-ლეიტენანტმა ვავილოვმა, ხოლო დადგენილება დაპატიმრების თაობაზე დაამტკიცა სსრკ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარმა, გენერალ-ლეიტენენტმა სერგეი ივანეს ძე ოგოლცოვმა. იმავე დღეს სსრკ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის მიერ გაიცა ორდერი N 2714 ვინმე ი. ი. სტაროვოიტოვზე, „ადგილზე ყოფნის მიხედვით", ტ. მარგველაშვილის დაპატიმრებასა და ჩხრეკაზე.

დაპატიმრების ანკეტაში მითითებულია, რომ ტ. მარგველაშვილი დაკავებული ყოფილა 1946 წლის 28 თებერვალს, არადა როგორც სიდნიოვის წერილიდან ჩანს, ის დაკავებულ იქნა 21 თებერვალს.

ტ. მარგველაშვილი ეტაპირებულ იქნა ბერლინიდან 1946 წლის 3 მარტს. იმავე დღეს ის მოათავსეს სსრკ სუს-ს შინაგან ციხეში. ტ. მარგველაშვილი საქართველოს სსრ სუს-ში გადმოიყვანეს 1946 წლის 1 ივლისს. ის პირველად დაიკითხა 1946 წლის 13 მარტს. ბრალი ტ. მარგველაშვილს წაეყენა 1946 წლის 31 მარტს სსრკ სსკ-ის 58-4, 58-6 (შემდეგში მოეხსნა), 58-10-2 და 58-11 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

1946 წლის 21 აგვისტოს დამტკიცებული საბრალდებო დასკვნის მიხედვით, ტ. მარგველაშვილს ბრალი ედებოდა შემდეგში:

„1. იყო რა ემიგრაციაში ბერლინში, წლების მანძილზე აქვეყნებდა თავის ანტისაბჭოთა სტატიებს ბეჭდვით ორგანოებში, გამოდიოდა ანტისაბჭოთა მოხსენებებით და კავშირი ქონდა ქართული ემიგრაციის ანტისაბჭოთა დაჯგუფებებთან;

2. იყო „ქართველ ნაციონალისტთა ორგანიზაციის" ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი პირველი თავმჯდომარე;

3. მეორე მსოფლიო ომის დროს მუშაობდა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში, თარგმნიდა ანტისაბჭოთა ფურცლებს და სტატიებს, აგრეთვე სამჯერ გამოვიდა რადიოთი ანტისაბჭოთა მოხსენებით".

საქმესთან დაკავშირებით არ არსებობდა ნივთიერი მტკიცებულებები.

ტ. მარგველაშვილის ბრალეულობის საკითხი განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ 1946 წლის 7 სექტემბრის სხდომაზე.

სასამართლოზე მოიყვანეს ტოგონიძე და ხოშტარია, ხოლო აბულაძის მოყვანა ვერ მოხერხდა, ვინაიდან ის, თურმე არ აღმოჩნდა N 1 ციხეში (?).

ტიტე მარგველაშვილს როგორც წინასწარი, ისე სასამართლო გამოძიების დროს თავი ღირსეულად ეჭირა და სასამართლოს თავმჯდომარის ერთ-ერთ შეკითხვას ასე უპასუხა:

„მე ვარ მარქსიზმის წინააღმდეგი და ყოველთვის ვებრძოდი მარქსიზმის იდეებს".

---

* გთხოვთ მისცეთ განკარგულება სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის განსაკუთრებულ საქმეთა საგამოძიებო ნაწილს, ბერლინში დაპატიმრებული ქართველი ემიგრანტის ტიტე ფედოსის ძე მარგველაშვილის საქმეზე გამოძიების სანარმოებლად.

9 სექტემბერს გამოქვეყნდა განაჩენი. ტ. მარგველაშვილს მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა პირადი ქონების კონფისფაციით. განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი 1946 წლის 17 ოქტომბერს.

საინტერესოა ერთი „სრულიად საიდუმლო" გრიფის დოკუმენტი, საიდანაც ნათლად ჩანს, თუ რა მძიმე ვითარებაში იმყოფებოდნენ იმ დროს პატიმრები. საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო განყოფილების უფროსი, პოლკოვნიკი მანია 1946 წლის 17 ივლისით დათარიღებული წერილით მიმართავს სამინისტროს ერთ-ერთი განყოფილების უფროსს, ვიცე-პოლკოვნიკ მოროზოვს:

„Согласно распоряжения Министра Госбезопасности ГССР генерал-лейтенанта т. Рапава, прошу дать указание Нач-ку Внутренной тюрмы МГБ ГССР Т. Тестову о запрешении выдачи каких-либо справок и приема-передач на известных Вам заключенных, прибывших из МГБ СССР. Тогонидзе В.Д., Хоштария К.М., Маргвелашвили Т. Ф., Одишария, Павлиашвили, Элиава.

По всем возникающим по существу вопросам просьба информировать След. отдел МГБ ГССР.

Одновременно сообщаем, что аналогичное распоряжение будет касаться и остальных 7 чел., которые должны прибыть также из МГБ СССР, по след. делу №8243»*.[354]

რაც შეეხება კ. ხოშტარიას, მან საქართველო არალეგალურად დატოვა 1929 წელს, საზღვარგარეთ აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას ეწეოდა გასული საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისიდან, როდესაც სათავეში ჩაუდგა „ქართველ ნაციონალისტთა ორგანიზაციის" მიერ 1934 წელს ივნისში დაარსებულ გაზეთ „კლდეს". გაზეთი გამოდიოდა ქართულ და გერმანულ ენებზე და ვრცელდებოდა საქართველოშიც – ირანიდან. მიუხედავად აქტიური ანტისაბჭოთა საქმიანობისა, კ. ხოშტარია 1936 წელს „ბოლშევიკობის" ბრალდებით გესტაპოს მიერ დაპატიმრებულ იქნა ათი დღით. 1937-39 წლებში კ. ხოშტარია არსად არ მუშაობდა და ცხოვრობდა შრომის ბირჟიდან მიღებული სახსრებით. 1941 წლის 22 ივნისს კ. ხოშტარია, იმყოფებოდა რა ჰამბურგში, გერმანელებმა დააკავეს და ბერლინში დააბრუნეს. ერთ თვეში ის კვლავ დააპატიმრეს და მოათავსეს პოტსდამის ციხეში. ქართველი ემიგრანტების თანადგომით, კ. ხოშტარია ციხიდან გამოუშვეს, თუმცა იმყოფებოდა პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ. 1942 წლის მარტში კ. ხოშტარია მუშაობას იწყებს ბერლინის უცხო ენათა ევროპულ ინსტიტუტში პედაგოგად, იმავე პერიოდში ამთავრებს უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტს და იცავს დოქტორის სამეცნიერო ხარისხს. კ. ხოშტარია პრაქტიკულად უკვე ჩამოცილებული იყო აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას. მან 1944 წლის ნოემბერში იქორწინა

* თანახმად საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრის, გენერალ-მაიორ ამხ. რაფავას განკარგულებისა, გთხოვთ, გასცეთ განკარგულება საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს შიდა ციხის უფროს ამხ. ტესტოვზე, თქვენთვის ცნობილი პატიმრებისთვის, რომლებიც გადმოყვანილნი არიან სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროდან – ვ. დ. ტოგონიძეზე, კ.მ. ხოშტარიაზე, ტ.ფ. მარგველაშვილზე, ოდიშარიაზე, პავლიაშვილზე, ელიავაზე რაიმე ცნობის გაცემისა და მათთვის გზავნილის გაცემის აკრძალვის თაობაზე. წამოჭრილ ყველა მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით, გთხოვთ შეატყობინოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო განყოფილებას. ამავდროულად გაცნობებთ, რომ ანალოგიური განკარგულება შეეხება დარჩენილ 7 კაცს, რომლებიც ასევე გადმოყვანილნი იქნებიან სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროდან №8243 საგამოძიებო საქმესთან დაკავშირებით.

გერმანელ ტიმან ინგებორგზე, შვილები არ შეძენიათ.

კ. ხოშტარიამ 1945 წლის 1 ივნისს მუშაობა დაიწყო რუსულის მასწავლებლად ოკუპირებული ბერლინის ერთ-ერთი რაიონის ბურგომისტრთან. სამი დღის შემდეგ, 4 ივნისს, ის საბჭოთა სპეცსამსახურებმა დააპატიმრეს და მოსკოვის გავლით თბილისში იქნა ეტაპირებული. სასამართლომ კ. ხოშტარია დამნაშავედ ცნო საზღვარგარეთ ანტისაბჭოთა საქმიანობისათვის და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. გარდაიცვალა პატიმრობაში.

როგორც აღინიშნა, ვალერიან ტოგონიძე დაპატიმრებულ იქნა 1945 წლის 21 დეკემბერს. როგორც ჩანს, აღნიშნულის თაობაზე არ იცოდა ტ. მარგველაშვილმა, ნინააღმდეგ შემთხვევაში არ მიენდობოდა მის წასაყვანად მისულ „სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილ უცნობ ქართველს, რომელმაც აღმოსავლეთ ზონაში მცხოვრები მეგობრის მინვევა გადასცა". ვ. ტოგონიძისა და ტ. მარგველაშვილის მოტაცების ფონზე, გაუგებარია, თუ როგორ ვერ მიიღო უსაფრთხოების ზომები კ. ხოშტარიამ, რომელიც იმავე წლის 4 ივნისს იქნა დაპატიმრებული.

ასე დასრულდა სამშობლოდან გადახვეწილი კიდევ სამი ქართველი პატრიოტის ტრაგიკული ისტორია. ვფიქრობთ, საზღვარგარეთიდან მათ დაპატიმრება-მოტაცებას უფრო საბჭოთა იდეოლოგიისათვის დამახასიათებელი პროპაგანდისტული მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე სამართლებრივი. ამ ფაქტმა, მართლაც, სერიოზული შეშფოთება გამოინვია ქართველ ემიგრანტებში. შიშმა და უნდობლობამ დაისადგურა მათ შორის. კ. ხოშტარიას, ტ. მარგველაშვილისა და ვ. ტოგონიძის მოტაცება, სამწუხაროდ, არ იყო ქართველ ემიგრანტთა მიმართ საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ განხორციელებული ბოლო სპეცოპერაცია.

წინა თავში აღნიშნული ერთ-ერთი „დივერსანტ-პარაშუტისტის" ნიკოლოზ ბახსოლიანის ვაჟიშვილმა, ბატონმა დიმიტრი ბახსოლიანმა, ჩემთან საუბარში გაიხსენა, რომ მამასთან, ლეჩხუმში, ცაგერის რაიონის სოფელ ორბელში რამდენჯერმე სტუმრად იმყოფებოდა ამ უკანასკნელის ახლო მეგობარი კოლია ონიანი, ტანადი, ახოვანი და ვაჟკაცური სულის ადამიანი. ისინი ჯერ კიდევ გერმანელთა მიერ ორგანიზებულ ტყვეთა ბანაკში დამეგობრებულან. მათ შორის გამართულ ერთ-ერთ საუბარს ბატონი დიმიტრიც დასწრებია. კ. ონიანის მონაყოლის თანახმად, მეორე მსოფლიო ომის დასრულებისანავე, ის საქართველოში დაბრუნებულა, თუმცა საბჭოთა ხელისუფლებას მალევე დაუპატიმრებია. მოგვიანებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სახალსო კომისარიატს ის, სათანადო მომზადების შემდეგ, სპეციალური სადაზვერვო დავალებით დასავლეთ გერმანიაში მიუვლენია. მისი ამოცანა ცნობილი ქართველი ემიგრანტისა და ანტისაბჭოთა მოღვაწის, გივი გაბლიანის გერმანიიდან ფარულად მოტაცების საქმეში საბჭოთა საგარეო დაზვერვის რეზიდენტურისათვის ხელშეწყობაში მდგომარეობდა. პატრონი დიმიტრის გადმოცემით, კ. ონიანი მართლაც შეხვედრია გ. გაბლიანს გერმანიის ერთ-ერთი ქალაქის გარეუბნის მყუდრო რესტორანში. თავისი მეგობრის ბედით უზომოდ გახარებულ გ. გაბლიანს კ. ონიანი გულწრფელად გაუზიარებია, რომ მისთვის კარგად იყო ცნობილი კ. ონიანის დასაელეთ გერმანიაში ჩასვლის და მათი შეხვედრის რეალური მიზანი და უთხოვია ამ უკანასკნელისათვის ადვილად გასცლოდა იქაურობას. კერძოდ, შესულიყო რესტორანის საპირფარეშოში, ესარგებლა სპეციალურად ღიად დატოვებული სარკმლით და [illegible]

ბარე დასახლებაში გაუჩინარებულიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში დაპატიმრება არ ასცდებოდა. დაახლოებით 7-10 წუთში რესტორანი, რომლის ერთ-ერთ მაგიდასთან გივი გაბლიანი მარტოდმარტო იმყოფებოდა, სპეცრაზმელებით გაესეხებულა, თუმცა მათი დაინტერესების ობიექტი უკვე გაუჩინარებული იყო. ასე გადაურჩენია საზღვარგარეთ დაპატიმრებას ქართველი ქართველს, მიუხედავად მათი მსოფლმხედველობითი განსხვავებისა. საბჭოთა კავშირში დაბრუნებული კ. ონიანი, დავალების შეუსრულებლობისათვის ხელახლა დაუპატიმრებიათ. გაუთავისუფლებიათ 50-იანი წლების ბოლოს. ბატონმა დიმიტრიმ ისიც დასძინა, რომ კ. ონიანზე მას საზოგადოებაში გავრცელებული არაერთი ლეგენდა სმენია.

2007 წლის (N12) 19-25 მარტის ჟურნალ „თბილისელებში" გამოქვეყნდა ჟურნალისტ თამუნა სამადაშვილის ინტერვიუ ბატონ გრიშა ონიანთან („რა ურთიერთობა ჰქონდა გრიშა ონიანის ძმას გებელსთან და რიბენტროპთან"). ინტერვიუდან ირკვევა, რომ კოლია (ნიკოლოზ) ონიანი ბატონი გრიშას უფროსი ძმა ყოფილა. კ. ონიანს დამთავრებული ჰქონია სახელმწიფო უშიშროების ხარკოვის სადაზვერვო სკოლა. ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას ალჟირსა და ტუნისში, საიდანაც გერმანიაში მოხვედრილა. თუმცა მალევე დაუპატიმრებიათ. მისი მეგობრის გ. გაბლიანის წყალობით კ. ონიანი გერმანელთა სამსახურში ჩამდგარა. სწავლობდა კონტრდაზვერვის სასწავლო კურსებზე. ორ წელიწადში ის უკვე ხარკოვში მიუვლენიათ, თუმცა გერმანელთა ზურგში მოქმედი საბჭოთა მზვერავის წყალობით კ. ონიანი მალევე დაუპატიმრებიათ. პატიმრობის შემდეგ მამაპაპისეულ კერას დაბრუნებია, შეურთავს მეუღლე, გასჩენია ორი შვილი. ღრმად მოხუცებული გარდაცვლილა.

სსრ კავშირისათვის მთელი მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობის პერიოდი შორეულ აღმოსავლეთში საკმაოდ რთული და ფეთქებადსაშიში იყო, თუმცა აღნიშნულ რეგიონში სერიოზული სამხედრო კონფლიქტები არ მომხდარა.

შორეულ აღმოსავლეთში მეორე მსოფლიო ომის დამაგვირგვინებელი ეტაპი იყო მანჯურიის ოპერაცია, რომელიც ითვლება სსრკ-იაპონიის 1945 წლის 9-19 აგვისტოს ომის სტრატეგიულ, შეტევით ოპერაციად. მასში საბჭოთა შეიარაღებულ ძალებთან ერთად მონაწილეობდნენ მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური არმიის ნაწილებიც. ამ ოპერაციის მიზანი იყო იაპონიის კვანტუნის არმიის განადგურება, ჩრდილო-აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი პროვინციებისა (მანჯურია, შიდა მონღოლეთი) და კორეის განთავისუფლება და აზიის კონტინენტზე აგრესიის პლაცდარმის მოსპობა. წარმატებული ბრძოლების შედეგად, საბჭოთა ჯარებმა 20 აგვისტოს ხარბინი დაიკავეს. მოწინააღმდეგემ თითქმის ყველგან იწყო ტყვედ დანებება. ამით დასრულდა მეორე მსოფლიო ომი.[93]

XX საუკუნის დასაწყისში ქ. ხარბინი ეკონომიკური თვალსაზრისით იყო ერთ-ერთი საინტერესო ქალაქი, რომელიც რუსეთმა ააგო აღმოსავლეთის მიმართულებით რკინიგზის მშენებლობისას. ხარბინი საინტერესო იყო სადაზვერვო თვალსაზრისითაც. ხარბინის მოსახლეობა არაერთგვაროვანი იყო. ჩინელების გარდა, იქ სახლობდნენ რუსები, უკრაინელები, პოლონელები, ქართველები, სომხები, თათრები, ებრაელები.

1905-1906 წლებში ხარბინში ქართველები საკმაოდ მრავალრიცხოვანნი (3-4

ათასი) იყვნენ – ძირითადად, 1898 წელს რუსების მიერ აშენებული რკინიგზის მომსახურე პერსონალი, 1905 წლის რევოლუციის შემდეგ გადასახლებულები ანდა რეპრესიებს გარიდებულნი. შემდგომში მათ რიცხვს დაემატა რუსეთის მიერ საქართველოს 1921 წლის ოკუპაციისა და 1924 წლის აჯანყების ჩახშობის შედეგად საქართველოდან დევნილ პატრიოტთა ნაწილი. ქართველები, არსებული ვითარებიდან გამომდინარე, მაქსიმალურად ცდილობდნენ ეროვნული ადათ-წესების შენარჩუნებასა და ერთმანეთის მხარდაჭერას. აქაური ქართული კოლონია მატერიალურ დახმარებას უწევდა ევროპის ქვეყნებსა და აშშ-ში მცხოვრებ თანამემამულეებს. ქართული კოლონიის იმ პერიოდის ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნება იყო დავით ნიჟარაძე, კაცი მეცენატი, საქმიანი და ყურადღებიანი. მას სახლ-კარი და ეზო-მიდამოც ქართულ-თავადურად ჰქონდა მოწყობილი.[92]

1908 წელს, მეფის რუსეთის არმიის ყოფილი ოფიცრების, ნიკოლოზ წულუკიძისა და ივლიანე ხაინდრავას ინიციატივით შეიქმნა „ქართველთა ნაციონალური საზოგადოება". 1920 წლამდე „ქართველთა ნაციონალური საზოგადოების" წინაშე იდგა საქველმოქმედო მიზნები – დახმარება გაეწია მანჯურიაში რუსეთ-იაპონიის ომის შემდეგ დარჩენილი ქართველებისათვის. შემდგომში მისი ფუნქციები გაფართოვდა.

„ქართველთა ნაციონალურ საზოგადოებას" წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ივლიანე ხაინდრავა (გარდაიცვალა 1938 წელს). ცოტა ხანს ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ყოფილი გენერალური კონსული ხარბინში ჯიშკარიანი. ხარბინის ქართველთა კოლონია ერთ-ერთი ძლიერი გაერთიანება იყო მთელ ქართულ ემიგრანტულ სპექტრში.

ხარბინში მცხოვრები ქართველები დიდი ენთუზიაზმით გამოეხმაურნენ რუსეთში ცარიზმის დამხობის შემდეგ საქართველოში განვითარებულ მოვლენებს. ქართული სათვისტომოს კრებამ 1921 წლის 31 მარტს მისასალმებელი წერილით მიმართა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს, ნოე ჟორდანიას. მასში, კერძოდ, ნათქვამია:

„ხარბინის ქართველი საზოგადოება, შეკრებილი თავის წლიურ კრებაზე მოგესალმებათ თქვენ, საქართველოს კანონიერი მთავრობის თავმჯდომარეს და მის ეროვნულ გმირსა და ერის სინდისს, გისურვებთ დაუშრეტელ ძალ-ღონესა და მხნეობას, რათა შეუდრეკლად განაგრძოთ ვერაგი მტრისაგან დროებით დაპყრობილი სამშობლოს განთავისუფლებისა და მისი დამოუკიდებლობის აღდგენის საქმე.

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს და მის კანონიერ მთავრობას".[222]

შექმნილი პოლიტიკური ვითარებით ისარგებლა იაპონიამ და 1931 წელს ხარბინი დაიკავა. ხარბინელ ქართველთა ნაწილი ქ. შანხაიში გადაბარგდა.

1934 წელს მანჯურიაში შეიქმნა ანტისაბჭოთა ყაიდის ორგანიზაცია „მანჯურიის იმპერიაში რუსეთის ემიგრანტთა საქმეთა ბიურო". მას ჯერ ხელმძღვანელობდა თეთრი არმიის ყოფილი გენერალი ვ. კისლიცინი, ხოლო შემდეგ ყოფილი გენერალი ლ. ვლასიევსკი. მის შემადგენლობაში შევიდა „ქართველთა ნაციონალური საზოგადოებაც", რომელსაც ჰყავდა თავისი წარმომადგენელი – ლეონტი ხავთასი, მეფის რუსეთის არმიის ყოფილი ოფიცერი, ხარბინში არყისა და სპირტის მსხვილი ქარხნის მეპატრონე.

1939 წლიდან „ქ. ნ. ს.“-ს სათავეში ჩაუდგა გიორგი ხუნდაძე.[352]

„რუსეთის ემიგრანტთა საქმეთა ბიურო“ შეიქმნა მანჯურიის ემიგრანტებით დასახლებულ ყველა პუნქტში. იქ, სადაც კონტინგენტი მცირე იყო, ემიგრანტებთან მუშაობას ახორციელებდნენ რ.ე.ს.ბ.-ის დაქვემდებარებული ქვედანაყოფები ან წარმომადგენლები. რ.ე.ს.ბ.-ს ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელობისა და იაპონიის ხელისუფლებასთან ურთიერთობისათვის სსრკ-ის წინააღმდეგ საბრძოლველად შეიქმნა „რუსეთის ემიგრანტთა საქმეთა მთავარი ბიურო“. ის ექვსი განყოფილებისაგან შედგებოდა:

საერთო განყოფილება – პროფკავშირების მართვა და საქმის წარმოება. მას ხელმძღვანელობდა სერგეი დოლოვი;

სამეურნეო განყოფილება – ფინანსური უზრუნველყოფა. ხელმძღვანელობდა ყოფილი თეთრგვარდიელი ოფიცერი სერგეი კუდრიავცევი;

საქველმოქმედო განყოფილება – ხელმძღვანელობდა დემიშხანი;

პირველი განყოფილება – ემიგრანტული სკოლების მართვა და აღმზრდელობითი საქმიანობა. ხელმძღვანელობდა ანტისაბჭოთა ფაშისტური ორგანიზაციის „რუსეთის ფაშისტთა კავშირის“ თავმჯდომარე კონსტანტინ როდზაევსკი.

მეორე განყოფილება – სამხედრო მოსამსახურეთა აღწერა, ახალგაზრდობის მომზადება სსრკ-ს წინააღმდაგ შეიარაღებული ბრძოლისა და იაპონიის არმიის სამხედრო რაზმებში „მანჩჟოუ-Ди-Го“ სამსახურისათვის. ხელმძღვანელობდა კოსოვი;

მესამე განყოფილება – (ემიგრანტთა აღრიცხვა და რეგისტრაცია) იაპონელთა დავალებით ახორციელებდა სსრკ-ის წინააღმდეგ სადაზვერვო საქმიანობას. მას ხელმძღვანელობდა მიხეილ მატკოვსკი.

ზემოაღნიშნული ბიურო ეწეოდა ფართომასშტაბიან ანტისაბჭოთა საქმიანობას. მათ მიერ გამოშვებულ იქნა გაზეთი „Голос эмигрантов“*, ჟურნალი „Луч Азии“**, ბევრი ბროშურა და პროკლამაცია. „საქართველოს ნაციონალური საზოგადოება“ შედიოდა „მანჯურიის იმპერიაში რუსეთის ემიგრანტთა საქმეთა ბიუროს“ შემადგენლობაში. ის აწარმოებდა ქართველთა სამხედრო მომზადებას სსრკ-ის წინააღმდეგ ომის დაწყების შემთხვევაში. იბეჭდებოდა ანტისაბჭოთა სტატიები, კეთდებოდა მოხსენებები და სხვა.

ქართული ნაციონალური საზოგადოების აქტიური წევრები იყვნენ: ლეჟავა პროკოფი, ღლონტი შიო, მასხულია გრიგოლ, კილოსანიძე როსტევან.

ყოველწლიურად, 1 მაისის, ოქტომბრის რევოლუციისა და სხვა საბჭოთა დღესასწაულების აღნიშვნის დღეს, ხარბინში მცხოვრები ემიგრანტები ნაციონალური დროშებით ხელში მიემართებოდნენ დაღუპულ მებრძოლთა საფლავებისკენ, ატარებდნენ წირვა-ლოცვებს, შემდეგ გამოდიოდნენ სიტყვებით, ულოცავდნენ იაპონელებს გამარჯვებას და ა.შ.

მანჯურიაში ქართველი ემიგრანტები მძიმე პირობებში იმყოფებოდნენ. აკრძალული ჰქონდა მშობლიურ ენაზე საუბარი, ყველა მათგანს ეჭვის თვალით უყურებდნენ და კომუნისტობაში ადანაშაულებდნენ. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, საბჭოთა მართლმსაჯულება და სპეცსამსახურები ქართველ

* ემიგრანტთა ხმა

** აზიის სხივი

ემიგრანტებს შორეულ ხარბინშიც მისწვდნენ. ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი გ. ხუნდაძე იყო. გიორგი ხუნდაძე 1945 წლის 22 აგვისტოს დაკავებულ იქნა ხარბინში შორეული აღმოსავლეთის ფრონტის კონტრდაზვერვა „სმერშის" მიერ. ის იმავე დღეს იქნა დაკითხული. დაკითხვა გაგრძელდა 23 აგვისტოსაც. 3 სექტემბერს ხუნდაძე ქ. ვოროშილოვში გადაიყვანეს. გ. ხუნდაძის დაპატიმრება ოფიციალურად გაფორმდა 1945 წლის 13 სექტემბერს იმავე „სმერშის" მიერ რსფსრ სსკ-ის 58-4 და 58-13 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. 27 სექტემბერს, ბრალის წარდგენამდე, გ. ხუნდაძე კიდევ ორჯერ დაიკითხა. 1946 წლის 18 აპრილს გ. ხუნდაძის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე წარმოებაში მიიღო სსრკ კონტრდაზვერვა „სმერშის" მთავარი სამმართველოს საგამოძიებო ნაწილმა. გ. ხუნდაძის დაკითხვა გაგრძელდა მოსკოვში, ლეფერტოვოს ციხეში. 1946 წლის 19 აპრილს მას დამატებით წაეყენა ბრალი რსფსრ სსკ-ის 58-11 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის. ამის შემდეგ ის კიდევ სამჯერ დაიკითხა. 1946 წლის 6 მაისს მომზადდა საბრალდებო დასკვნა. იმავე წლის 12 ივნისს ცენტრალური ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა თავის დახურულ სასამართლო სხდომაზე ქ. მოსკოვში გ. ხუნდაძეს სასჯელის ზომად განუსაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა ვადის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით, ქონების კონფისკაციის გარეშე. სასამართლო სხდომაზე გ. ხუნდაძემ თავი დამნაშავედ არ ცნო.[352] მისი შემდგომი ბედი უცნობია.

### ანტისაბჭოთა და სადაზვერვო საქმიანობის ორგანიზაცია თურქეთის ტერიტორიიდან და საბჭოთა სპეცსამსახურების კონტრღონისძიებები

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ მსოფლიო პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით პერსპექტიული შესაძლებლობების მქონე ქვეყანა – თურქეთი.

1922 წლის 1 ნოემბერს, დიდი ეროვნული კრების მიერ მიღებული კანონის თანახმად, გაუქმდა სასულთნო და 1923 წლის 29 ოქტომბერს თურქეთი რესპუბლიკად გამოცხადდა. ამას მოჰყვა 1924 წლის 3 მარტს სახალიფოს გაუქმება და მიღებულ იქნა თურქეთის კონსტიტუცია, ქვეყანამ დაიწყო პროგრესული რეფორმების გატარება ყველა მიმართულებით, განსაკუთრებით, ეკონომიკური დამოუკიდებლობის თვალსაზრისით. დასაწყისში, თურქეთს დიდი დახმარება გაუწია სსრ კავშირმა, რომელმაც 1922 წელს მას ხელსაყრელი პირობებით მისცა გრძელვადიანი სესხი და ტექნიკური დახმარება აღმოუჩინა რამდენიმე საწარმოს მშენებლობაში. მას შემდეგ, რაც 1925 წელს სსრკ-სა და თურქეთს შორის დაიდო ახალი ხელშეკრულება მეგობრობისა და ნეიტრალიტეტის შესახებ, ამ უკანასკნელის საერთაშორისო მდგომარეობა უფრო განმტკიცდა, რაც ხელს არ აძლევდა ამ პოლიტიკის მომხრეებს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. განსაკუთრებით აქტიურობდა თურქეთის ბურჟუაზია, რომელმაც, მართალია, ხელში აიღო ძალაუფლება, მაგრამ ხალხის მასების ინტერესები ვერ დააკმაყოფილა. ამას კი მოჰყვა ადამიანის უფლებათა დამცველების დევნა და პროგრესული რეფორმების შეჩერება. 30-იანი წლების

მეორე ნახევარში თურქეთის საგარეო პოლიტიკა ნელ-ნელა ცვლილებას განიცდის, რაც დასავლეთთან, კერძოდ, ინგლისთან და ნაცისტურ გერმანიასთან დაახლოებაში გამოიხატა.

თურქეთმა მეორე მსოფლიო ომის წინ და მისი მიმდინარეობის დროს, მართალია, ოფიციალურად, საომარი თვალსაზრისით, შეინარჩუნა ნეიტრალიტეტი, თუმცა, გერმანიის მეკავშირედ ითვლებოდა. ამის მიუხედავად, თურქეთმა 1945 წლის თებერვალში ომი გამოუცხადა გერმანიასა და იაპონიას. საბჭოთა კავშირმა, დარწმუნდა რა, რომ თურქეთი მისთვის აღარ წარმოადგენდა მეგობარ ქვეყანას, 1945 წლის 19 მარტს გააუქმა საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის 1925 წელს დადებული ხელშეკრულება.[93]

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი არ მონაწილეობდა საომარ მოქმედებებში, მუდმივად ანახლებდა და ზრდიდა სამხედრო შეიარაღებას. ეს პოლიტიკა დასავლეთის, კერძოდ, აშშ-ის მხარდაჭერით, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგაც გაგრძელდა. 40-იანი წლების დასასრულსა და 50-იანი წლების დასაწყისში თურქეთმა აშშ-სგან მიიღო დიდძალი ფინანსური დახმარება სამხედრო-სტრატეგიული მშენებლობისათვის. 1952 წელს თურქეთი გახდა ნატო-ს წევრი ქვეყანა და აშშ-ის პოლიტიკის აქტიური გამტარებელი, განსაკუთრებით, სსრკ-ის წინააღმდეგ ძირგამომთხრელ საქმიანობაში. შესაბამისად, მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ სტამბოლი იქცა მთავარ დასაყრდენ ძალად საბჭოთა კავშირის, ბალკანეთისა და აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ ფარული ომის საწარმოებლად. თურქეთის ამ დიდ და ლამაზ ქალაქში კონცენტრირებული იყო მსოფლიოს ბევრი ქვეყნის დაზვერვათა ინტერესები. მზვერავები, ძირითადად, დიპლომატიური წარმომადგენლობის საფარქვეშ მოქმედებდნენ. მათი მიზანი, სადაზვერვო ხასიათის ინფორმაციის მოპოვების გარდა სპეციალური ღონისძიებების გატარება, კერძოდ, საბჭოთა კავშირის საზღვრისპირა რეგიონებში ემისრების შეგზავნა და იქ ძირგამომთხრელი საქმიანობის წარმოება იყო. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აქტიურობდნენ ინგლისის და თვით თურქეთის სპეცსამსახურები, რომელთაც ზურგს აშშ უმაგრებდა.

სადაზვერვო საქმიანობის გასააქტიურებლად 1946 წლის ბოლოს თურქეთში ინგლისის დაზვერვის (СИС – Сикрет Интелидженс Сервис*) რეზიდენტად დაინიშნა ჰაროლდ ადრიან რასსელ ფილბი – საბჭოთა საგარეო დაზვერვის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ღირებული და გამოცდილი აგენტი, რომელმაც ჯაშუშური საქმიანობით უდიდესი ზიანი მიაყენა ინგლისის დაზვერვას. თუმცა, ამის თაობაზე მოგვიანებით, გასული საუკუნის 60-იან წლებში გახდა ცნობილი, მას შემდეგ, რაც გამოიცა კ. ფილბის მემუარები, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი საბჭოთა დაზვერვასთან მისი თანამშრომლობა და მისი შედეგები.[94]

სპეციალური კურსების გავლის შემდეგ, კიმ ფილბი 1947 წლის ზაფხულში, ბრიტანეთის დაზვერვის რეზიდენტის რანგში გაემგზავრა სტამბოლში. მას ოფიციალურად ეკავა ინგლისის საელჩოს პირველი მდივნის თანამდებობა. კ. ფილბი თურქეთში ინგლისის დაზვერვის რეზიდენტად მსახურობდა 1949 წლამდე. 1949-1951 წლებში ის იმყოფებოდა ვაშინგტონში და ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსა და ბრიტანეთის დაზვერვას შორის

* საიდუმლო სადაზვერვო მომსახურება

მეკავშირის ფუნქციას ასრულებდა.[5] ოფიციალურ კავშირს ინგლისის დაზვერვა თურქ კოლეგებთან ახორციელებდა СИС-ის ოფიცრის, თურქეთისა და თურქულის კარგი მცოდნის, უიტოლის მეშვეობით.

იმ პერიოდში თურქეთის სპეცსამსახურები იწოდებოდა უშიშროების ინსპექციად. სწორედ მათთან ურთიერთობის ხელოვნებაზე იყო დამოკიდებული თურქეთში ამა თუ იმ ქვეყნის სადაზვერვო საქმიანობის ეფექტურობა. თურქებმა კარგად იცოდნენ, თუ რას საქმიანობდნენ ინგლისელები და სხვა ქვეყნების მზვერავები, მაგრამ თვალს ხუჭავდნენ იმ პირობით, თუკი უცხო ქვეყნის დაზვერვის ეექტორები მიმართული იქნებოდა სსრ კავშირისა და სოციალისტური ქვეყნების და არა თურქეთისაკენ და გაუმჯობესდებოდა მათი მატერიალური მდგომარეობა. თუმცა, ეს პირობა ხშირად ირღვეოდა.

„Чтобы заручиться благожелательным отношением инспекции, мы выдавали ее стамбульскому отделению ежемесячные дотации под видом платы за наведение справок по нашим просьбам. Поскольку с точки зрения разведывательной информации мы почти ничего не получали взамен, совершенно ясно, что наши дотации просто шли на увеличение жалованья старшим инспекторам в Стамбуле. Однако игра стоила свеч: она заставляла турок молчать"* – მიანიშნებს კიმ ფილბი.[79]

თურქეთის უშიშროების ინსპექციის ცენტრალური ორგანო მდებარეობდა ანკარაში. მის ხელმძღვანელობასა და ინგლისის დაზვერვის რეზიდენტურას შორის ხშირი იყო უთანხმოება. ინსპექციის ხელმძღვანელი ითხოვდა, ინგლისელებს მისთვის გადაეცათ სსრ კავშირის სამხრეთ რეგიონებში, მათ შორის საქართველოში შესაგზავნად მომზადებული ემისრები და ამ მიზნისათვის გამოყოფილი თანხა, რის შემდეგაც საზღვრის იქით მათ გადაყვანაზე პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე აიღებდნენ. ასეთი მიდგომა ინგლისის დაზვერვას ხელს არ აძლევდა, ვინაიდან თურქები ცდილობდნენ ინგლისელთა მიერ მომზადებული მზვერავების თავიანთ სასარგებლოდ გამოყენებას, რაც ხშირ შემთხვევაში კრახით მთავრდებოდა.

კიმ ფილბის მოსაზრებით: „...службы безопасности небольших стран испытывали недостаток в средствах и опыте для эффективных действий. Даже Тефик-бей из Эрзурума, пожалуй лучший из офицеров инспекции безопасности, безнадежно завалил единственную операцию, которую я доверил ему. И, тем не менее считалось, что у турок одна из лучших разведывательных сил"**.[79]

ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე ამერიკელები თურქეთში ფეხს მყარად მოიკიდებდნენ, „ინტელიჯენს სერვისმა" მიიღო დავალება თურქეთის საზღვრისპირა რაიონების ტოპოგრაფიული გადაღებების თაობაზე. ტოპოგადაღებები ინგლისს სჭირდ-

---

* „ინსპექციის მხრიდან კეთილგანწყობის მოსაპოვებლად ჩვენ ვაძლევდით მის სტამბულის განყოფილებას ყოველთვიურ დოტაციას, თითქოსდა ჩვენი თხოვნით შეგროვილი ცნობების საფასურად. ვინაიდან სადაზვერვო ინფორმაციის თვალსაზრისით, მის სანაცვლოდ თითქმის არაფერს ვღებულობდით, სავსებით ნათელია, რომ ჩვენი დოტაციები უბრალოდ მიდიოდა სტამბოლში უფროსი ინსპექტორების შრომის ანაზღაურების გაზრდაზე. თუმცა „ჩიტი ბრდღვნად ღირდა" – ეს აიძულებდა თურქებს, ჩუმად ყოფილიყვნენ".

** არცთუ ისე დიდი ქვეყნების უსაფრთხოების სამსახურები განიცდიდნენ სახსრებისა და ეფექტური ქმედებებისთვის გამოცდილების უკმარისობას. თვით ტეფიკ-ბეიმ, ერზრუმიდან, რომელიც ერთერთი საუკეთესო იყო უსაფრთხოების ინსპექციის ოფიცერთა შორის, უიმედოდ ჩააგდო ერთადერთი ოპერაცია, რომელიც მას მივანდე. და, მიუხედავად ამისა, ითვლებოდა, რომ თურქებს ერთი საუკეთესო სადაზვერვო ძალები გააჩნდათ".

ებოდა შორს მიმავალი მიზნებისათვის, კერძოდ, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ შესაძლო საომარი მოქმედებების შემთხვევაში სამხედრო დაგეგმვისათვის ანუ სადაზვერვო პლაცდარმის, სსრკ-ზე მოულოდნელი დარტყმებისათვის სპეციალური ბაზების შესაქმნელად.

ინგლისის დაზვერვა ცდილობდა, მისი რეალური მიზნები თურქეთისათვის არ გამხდარიყო ცნობილი, ვინაიდან, თუკი თურქეთის ხელისუფლება იგრძნობდა, რომ ამერიკა და ინგლისი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებში მას აღარ ენდობოდნენ და დამოუკიდებლად მოქმედებდნენ, ამ ქვეყნის პოლიტიკური კურსი რადიკალურად შეიცვლებოდა და თურქები შეეცდებოდნენ საბჭოთა კავშირთან დაახლოების გზების ძებნას.

მას შემდეგ, რაც ინგლისის რეზიდენტურამ ძირფესვიანად შეისწავლა შექმნილი ოპერატიული ვითარება, რაშიც მას ერზრუმში თურქეთის უშიშროების ინსპექციის წარმომადგენელმა, საკმაოდ გამოცდილმა და გავლენიანი ტეფიკ-ბეი დაეხმარა, გადაწყდა, რომ თურქი ეროვნების ემისრების არალეგალური შეგზავნა საქართველოსა და სომხეთში, აგრეთვე შავიზღვისპირა რეგიონებში არაეფექტური იყო. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად ჩაითვალა სადაზვერვო საქმიანობაში ეთნიკური ქართველებისა და სომხების გამოყენება. ამ მიზნით, დაზვერვის რეზიდენტმა მოხსენებით მიმართა ლონდონს, СИС-ის ცენტრალურ დანაყოფს, რათა ამ უკანასკნელს დავალება მიეცა თავისი რეზიდენტურებისათვის პარიზში, ბეირუთში, ვაშინგტონსა და სხვა ქალაქებში, რათა შერჩეულიყო შესაბამისი კადრები სსრკ-ში შესაგზავნად.

ამ მიზნით, ლონდონიდან პარიზში გაიგზავნა სპეციალური წარმომადგენელი ნოე ჟორდანიასთან შესახვედრად. ნ. ჟორდანია, მიუხედავად საზღვარგარეთ ქართულ ემიგრაციაში შექმნილი არაერთგვაროვანი ვითარებისა, მაინც ითვლებოდა ქართველთა აღიარებულ ლიდერად და მისი ნებართვისა და მხარდაჭერის გარეშე ინგლისის დაზვერვისათვის ძალზე ძნელი იყო საქართველოში არალეგალურ შეგზავნაზე ქართველ ემიგრანტთა ან ყოფილ სამხედრო ტყვეთა დაყოლიება. ინგლისელთა თხოვნამ ჟორდანია რთულ მდგომარეობაში ჩააყენა, ვინაიდან ეს უკანასკნელი დარწმუნებული არ იყო, თუ როგორ მიიღებდა საქართველო, მეორე მსოფლიო ომის გამარჯვების ეიფორიის ფონზე, ქართველ ემიგრანტ-ემისრებს და როგორ შეასრულებდნენ ისინი მათ წინაშე დასმულ ამოცანებს.

ნ. ჟორდანიასთან კონტაქტის დამყარებას და საკუთარი სადაზვერვო მიზნებისათვის ქართული ემიგრაციის შესაძლო გამოყენებას ცდილობდა ამერიკის დაზვერვაც. თუმცა, ქართველ სოციალ-დემოკრატთა ჭარმაგ ლიდერს იმ ისტორიულ პერიოდში გააჩნდა საკუთარი შეხედულებები და მოსაზრებები საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენასთან დაკავშირებით. ხანმოკლე ფიქრის შემდეგ ნოე ჟორდანიამ ამჯერად გადაწყვიტა ინგლისის დაზვერვის წარმომადგენლის წინადადებას დასთანხმებოდა. თუმცა, ეს უკანასკნელი იძულებული იყო გარკვეულ სიფრთხილით მოკიდებოდა ქართველ ემიგრანტთა ლიდერთან ურთიერთობას, სხვადასხვა მოსაზრებათა, უპირველესად, ნდობის ფაქტორის გათვალისწინებით.

მას შემდეგ, რაც გამოიკვეთა „ინტელიჯენს სერვისის“ ძირითადი ამოცანა – განეხორციელებინა სსრკ-თურქეთის საზღვრის მიმდებარე ტერიტორიების

ტოპოგრაფიული გადაღებები, მათ მიერ შემუშავდა სპეციალური ოპერაცია სახელწოდებით „სპაიგლასსი“ (ჯაშუშის თვალი), რომლის ამოქმედებასაც გარკვეული წინაპირობა სჭირდებოდა.

ინგლისის რეზიდენტურას თურქეთში გადაწყვეტილი ჰქონდა ემოქმედა შემდეგი გეგმის მიხედვით: თავდაპირველად საქართველოს ტერიტორიაზე უნდა შეგზავნილიყო რამდენიმე ემისარი ხანმოკლე პერიოდით, ერთ კვირამდე ვადით, რათა ადგილზე შეესწავლათ საქართველოში არალეგალურად ცხოვრების პირობები და შესაძლებლობები. კერძოდ: შეიძლებოდა თუ არა უსაფრთხო თავშესაფრის შოვნა; მოხერხდებოდა თუ არა პიროვნების „ლეგალიზება“ სხვადასხვა დოკუმენტის მოპოვებით თუ სხვა საშუალებებით; როგორ მოხდებოდა „ცენტრთან“ საიმედო კავშირის დამყარება და სხვა. თუკი საცდელი გადასვლა შედეგიანი აღმოჩნდებოდა, დროთა განმავლობაში უკვე შესაძლებელი იქნებოდა მუდმივი საინფორმაციო ქსელის შექმნა და განისაზღვრებოდა სადაზვერვო პროცესის ორგანიზაციული მხარე, საქმიანობის ფორმები და მეთოდები.

ინგლისის დაზვერვას თავდაპირველად გაუჭირდა ნოე ჟორდანიას მიზნების გამოცნობა საქართველოში არალეგალურ საქმიანობასთან დაკავშირებით, მაგრამ საბოლოოდ მაინც მიხვდა, რომ დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს სურდა ქართველი ემისრების მეშვეობით სამშობლოში არალეგალური ლიტერატურისა და პროკლამაციების შეგზავნა და იქ ანტისაბჭოთა საქმიანობის დამოუკიდებლად ორგანიზება. აქედან გამომდინარე, ინგლისის დაზვერვა იძულებული იყო, მაქსიმალურად დელიკატურად მოპყრობოდა ნოე ჟორდანიას, წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოში არალეგალურად შეგზავნის კანდიდატებს ისინი ვერ მოძებნიდნენ. თავის მხრივ, ნ. ჟორდანიამაც კარგად იცოდა, რომ ინგლისელთა დახმარების გარეშე შეუძლებელი იყო საკუთარი მიზნების განხორციელება.

„ინტელიჯენს სერვისს“ მთელი 1947 წლის ზამთარი-1948 წლის გაზაფხული დასჭირდა სპეცოპერაცია „სპაიგლასის“ მოსამზადებლად. ინგლისის სტამბოლის რეზიდენტურამ, მის წინაშე დასმული სადაზვერვო ამოცანების გადასაწყვეტად, „ცენტრიდან“ მიიღო შესაბამისი ტექნიკური საშუალებები: ფოტოკამერები, მსუბუქი კარვები, სხვადასხვა საველე საშუალებები, კომპასები და სხვა.

კ. ფილბის აზრით, აღნიშნული პერიოდისათვის, „ინტელიჯენს სერვისის“ სტამბოლის რეზიდენტურა შედეგიანობის თვალსაზრისით მაინცდამაინც ვერ გამოირჩეოდა და აქედან გამომდინარე, მთელი ძალისხმევა გადატანილ იქნა საბჭოთა საქართველოს მიმართ სადაზვერვო საქმიანობის ორგანიზებაზე, რითაც სურდა საკუთარი პრესტიჟის აღდგენა.

ინგლისის დაზვერვის გასაოცრად, ნოე ჟორდანიამ სიტყვა შეასრულა და სულ მალე სტამბოლში ინგლისის დაზვერვის რეზიდენტს შეატყობინეს, რომ საქართველოში არალეგალურად შესაღწევად ლონდონში მომზადებას გადიოდა ორი ქართველი ემიგრანტი.

საქართველოში ქართველ ემისართა არალეგალური შეღწევით საკუთარი მიზნების მიღწევა სურდათ თურქეთის სპეცსამსახურებსაც. ინგლისელები და თურქები შეთანხმდნენ, რომ მომზადებულ ქართველ ემისრებს მიიღებდნენ სტამბოლში, ხოლო შემდეგ გადაიყვანდნენ ერზრუმში. ერზრუმში მთელი ოპ-

ერაცია საკუთარ თავზე უნდა აეღო ტეფიკ-ბეის, მასვე უნდა გაეწია ორგანიზება საზღვრის იქით ემისრების არალეგალური გადაყვანისათვის.

თავდაპირველად, თურქეთის სპეცსამსახურებმა გადაწყვიტეს, რომ საქართველოს მიმართულებით ემისრების არალეგალურად გაგზავნის დამამთავრებელ ეტაპზე, თითქოსდა ამ უკანასკნელების უსაფრთხოების მიზნით, არ დაეშვათ ინგლისის დაზვერვის მონაწილეობა, რითაც სურდათ მოეგოთ რამდენიმე დღე და ემისრებისათვის, თურქეთის სადაზვერვო ინტერესებიდან გამომდინარე, მიეცათ შესაბამისი დავალება. კიმ ფილბი იგონებს: „В результате бедным грузинам предстояло пересечь границу с одним заданием от Жордания, с другим – от нас и с третьим от турок. Каждый старался склонить чашу весов в свою сторону"*.[79]

საბოლოოდ ერზრუმში შეიკრიბნენ: ტეფიკ-ბეი, კიმ ფელბი და სპეცმომზადებაგავლილი ორი ქართველი. ეს უკანასკნელნი ენერგიულად გამოიყურებოდნენ, თუმცა დაძაბულობა მაინც ემჩნეოდათ.

ქართველ ემიგრანტებს თურქეთ-სსრკ საზღვარი უნდა გადაეკვეთათ ერთერთი განაპირა თურქული სოფლის ტერიტორიიდან ქალაქ ახალციხის მიმართულებით. დადგინდა არალეგალურად გადასვლის დრო, შემოწმდა სპეცეკიპირება, რომელიც მათ ლონდონში მიიღეს.

მაშ ასე, ორი ქართველი ემისარი, თურქი ოფიცრის თანხლებით, გაემართა არტაანისაკენ, იქიდან კი, საქართველოს საზღვრებისაკენ. გარკვეული დროის შემდეგ არტაანში მივიდა შემდეგი შინაარსის დეპეშა: „Два агента переброшены через границу в такое-то время. Через столько-то минут послышалась автоматная очередь, и один из агентов упал. Другого видели в последний раз, когда он широко шагал через редкий лес, удаляясь от турецкой границы"**.[79] მათ შესახებ სხვა ინფორმაცია ინგლისისა და თურქეთის სპეცსამსახურებს აღარ მიუღიათ.

ამ არალეგალური გადასროლის შემდეგ ინგლისის დაზვერვამ აამოქმედა ოპერაცია „სპაიგლასი".

არსებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „бедные грузины***" იყვნენ პოლიკარპე რუხაძე და კონსტანტინე მგელაძე, რომლებმაც 1948 წლის 25 ივნისს გადაკვეთეს თურქეთ-სსრკ-ის საზღვარი უკანონოდ. კ. მგელაძე მოკლულ იქნა საზღვრის გადაკვეთისას. პ. რუხაძე კი დააპატიმრეს და 1950 წელს სსრკ სუს-თან არსებულმა განსაკუთრებულმა სათათბირომ 25 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ინგლის-ამერიკის სპეცსამსახურების ფინანსური და ორგანიზაციული მხარდაჭერით, ასევე თურქული მხარის ხელშეწყობით, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ქართველ სოციალ-დემოკრატთა საზღვარგარეთის ბიურო ახალი ძალით შეეცადა თურქეთის ტერიტორიიდან ანტისაბჭოთა საქმიანობის წარ-

---

* შედეგად, საწყალ ქართველებს უნდა გადაელახათ საზღვარი, ერთი მხრივ, ჟორდანიასგან, მეორე მხრივ, ჩვენგან და მესამე, თურქებისგან მიღებული დავალებით. თითოეული მათგანი ცდილობდა სასწორის თავის მხარეს გადანონას.

** „ორი აგენტი გადასროლილ იქნა საზღვარს იქით ამა და ამ დროს. ამა და ამ წუთის შემდეგ, მოისმა ავტომატის ხმა და ერთ-ერთი აგენტი დაეცა. მეორე იხილეს ბოლოს, როდესაც ის ფართოდ მიაბიჯებდა მეჩხერ ტყეში, შორდებოდა რა თურქეთის საზღვარს".

*** საწყალი ქართველები

მართვას. 1946-1947 წელს ჯერ სირიაში, ხოლო შემდეგ თურქეთში ანტისაბჭოთა საქმიანობის ორგანიზებისათვის, მივლენილ იქნა სანდრო მენაღარიშვილი. ამავე მიზნით, მენშევიკთა საზღვარგარეთის ბიუროს გადაწყვეტილებით, თურქეთში იმყოფებოდა ასევე ცნობილი მენშევიკი ვიქტორ ხომერიკი. 1946-1947 წლებში იგეგმებოდა ემიგრანტ მამია ბერიშვილის არალეგალური შეგზავნა საქართველოში, რაც ვერ განხორციელდა გაურკვეველი მიზეზების გამო.

მამია ბერიშვილმა აღარ დაუცადა „ოფიციალურად" სპეცსამსახურების მიერ მისი საქართველოში შეგზავნის ორგანიზებას და დამოუკიდებლად სცადა არალეგალურად საქართველოში შეღწევა, ვინაიდან უპირველესად სურდა ოჯახის, განსაკუთრებით ძმის – შალვას შემდგომი ბედის გაგება.

თავისი განზრახვა მან ნოე ჟორდანიას გაანდო. ამ უკანასკნელმა მისი გადაწყვეტილება არ მოიწონა და უფრო მეტიც, კატეგორიულად აუკრძალა ოფიციალური გადაწყვეტილების მიღების გარეშე საქართველოში გადასვლა. მ. ბერიშვილმა მაინც არ დაიშალა თავისი და განზრახვის სისრულეში მოსაყვანად 1949 წლის ზაფხულში სტამბოლში გაემგზავრა. თვალის ასახვევად თან მეუღლეც წაიყვანა და ნაქირავებ ბინაში დროებით დაბინავდა. მალე ორი გამყოლი იშოვა, თურქეთ-სსრკ-ის საზღვარი მალულად გადაკვეთა და მშობლიურ სოფელში მივიდა. მ. ბერიშვილს შინ მოხუცი, დიდი ხნის უნახავი დედა და თბილისიდან ჩასული და – ნინო დახვდნენ. აქვე შეიტყო, რომ მისი ძმა ცოცხალი იყო და ხელისუფლებას პატიმრობაში ჰყავდა.

მამია ბერიშვილი დღეს მეგობრებთან ერთად ტყეში ატარებდა, ხოლო ღამეს შინ ათევდა. ორი-სამი დღის შემდეგ ისინი გაბრუნებას აპირებდნენ. ერთ-ერთი მეტყევის მეშვეობით ხელისუფლებამ შეიტყო მ. ბერიშვილის საქართველოში ყოფნის ამბავი და ღამით სახლთან ჩასაფრება მოუწყო. მ. ბერიშვილი და მისი გამყოლები სასწაულებრივად გადაურჩნენ ჩეკისტთა სპეციალურ დანაყოფს და თურქეთში უვნებლად დაბრუნდნენ. სამაგიეროდ ცუდ დღეში ჩაცვივდნენ მ. ბერიშვილის მოხუცი დედა და და. ისინი ჯერ დააპატიმრეს, შემდეგ კი დედა ყაზახეთში გადაასახლეს, ხოლო და – ნინო „ენკავედეს" შინაგან ციხეში გარდაიცვალა – ოფიციალური ვერსიით – თავი ჩამოიხრჩო.

შალვა ბერიშვილის განმარტებით, მამია ბერიშვილი საქართველოში არალეგალურად შემოსულა მომდევნო 1950 წელსაც, რათა შური ეძია მის დამბეზღებელ მეზობელზე, თუმცა ბოლო მომენტში ამ უკანასკნელის სახლში ხელყუმბარის შეგდებაზე ხელი აუღია, ვინაიდან სახლში ჩვილი ბავშვი ყოფილა.[199]

შ. ბერიშვილის ვაჟიშვილის, ბატონი ტიტე ბერიშვილის, საფრანგეთ-საქართველოს კულტურული ასოციაციის „გაუმარჯოს საქართველოს!" პრეზიდენტის (გავეცანი თბილისში 2011 წლის მაისის ბოლოს) ინფორმაციით, მისი მამა ემიგრანტ გრიშა კერესელიძესთან ერთად (ცხოვრობდა არპაჟონში) ინგლისის საიდუმლო სამსახურებში სპეციალური მომზადების შემდეგ საქართველოში სამჯერ ყოფილა არალეგალურად გადმოსული: 1949, 1951 და 1953 წლებში.

1945 წლის აგვისტოში საქართველოში ასევე არალეგალურად შეგზავნილ იყვნენ ქართველი ემისრები ჩიკაშუა და მეგრელაძე. მათი შემდგომი ბედი უცნობია.

## საბჭოთა ხელისუფლებას და მის სპეცსამსახურებს ზვარაკად შეწირული ქართველები

ანტისაბჭოთა ემიგრანტული ორგანიზაციებით, მათ შორის ქართული ანტისაბჭოთა პოლიტიკური ემიგრაციით ყოველთვის იყო დაინტერესებული ი. სტალინი, იმისდა მიხედვით, თუ რა პოლიტიკური დივიდენდების მოტანა შეეძლო საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებთან ოპერატიულ თუ პოლიტიკურ თამაშებს. საბჭოთა ხელისუფლებისათვის მთავარ საფრთხედ კვლავ რჩებოდა ის კავშირები, რომლებიც შესაძლოა არსებულიყო საქართველოში ანტისაბჭოთა ორგანიზაციებსა და საზღვარგარეთ ქართულ ანტისაბჭოთა ემიგრაციას შორის. აქედან გამომდინარე, შესაბამისი მითითებები ეძლეოდათ საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს. სადაზვერვო საქმიანობის ძირითადი პრინციპებიდან გამომდინარე, მასში მთავარ როლს თამაშობდნენ ადამიანები, რომელთა კისერზეც გადადიოდა ამ ურთულესი პროცესის სიმწვავე. ფარული ურთიერთობები უშიშროების ორგანოებთან, ძირითადად, გულწრფელ, იდეურ საფუძველზე იყო დამყარებული. კონფიდენციალური თანამშრომლობის მისაღწევად გამოიყენებოდა ფსიქოლოგიური და არცთუ ისე იშვიათად ფიზიკური ზემოქმედების მეთოდებიც. იმისდა მიხედვით, თუ ვინ და რომელი სახელისუფლებო დაჯგუფების წარმომადგენელი ხდებოდა საქართველოს სპეცსამსახურის თავკაცი, შესაბამისად, აღმავლობასა და დაცემას განიცდიდნენ მის პერიოდში კონფიდენციალურად მოღვაწე პირებიც. თუკი ამ ცვლილებებს რეპრესიებიც მოჰყვებოდა, რეპრესიის ქარცეცხლში ატარებდნენ მათივე მოღვაწეობის პერიოდში მოქმედ აგენტებსაც. ასეთი იყო, სამწუხაროდ, იმ წლების ოპერატიული საქმიანობის პრაქტიკა.

საბჭოთა საქართველოს სპეცსამსახურებთან კონფიდენციალურ ურთიერთობაში მყოფი პირები განსაკუთრებულად დაზარალდნენ ლ. ბერიას მიმართ წამოწყებული პოლიტიკური ინტრიგებისა და სახელისუფლებო ოლიმპიდან მისი საბოლოო ჩამოცილების პერიოდში. ლ. ბერია თითქმის სამი ათეული წელი მსახურობდა საბჭოთა უშიშროებისა და შინაგან საქმეთა ორგანოებში. პირადად ჰყავდა გადმობირებული ბევრი პიროვნება და უმეტესობას პირადად მასთან ჰქონდა ურთიერთობა. ლ. ბერია, ი. სტალინთან შეთანხმებით, თავად გეგმავდა და შემდგომ რეალიზაციას უწევდა მთელ რიგ ოპერატიულ ჩანაფიქრს. საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის პირველი განყოფილების (დაზვერვის) არქივში (დღეისათვის ის აღარ არსებობს) თავის დროზე წავაწყდი ერთ-ერთი საიდუმლო გრიფის დოკუმენტს ბერიასეული რეზოლუციით. მასში პუნქტების სახით იყო ჩამოყალიბებული ერთ-ერთი ოპერატიული კომბინაციის გეგმა. გასატარებელი ღონისძიებები, პროფესიული თვალსაზრისით, პრაქტიკულად უნაკლო იყო და ოპერატიულ მუშაკს მხოლოდ მისი კვალიფიციურად შესრულება ევალებოდა.

ლ. ბერიას დაპატიმრება, მისი სიცოცხლის ხელყოფა და საყოველთაო გაკიცხვა ძვირად დაუჯდათ შემდგომში საბჭოთა სპეცსამსახურებს, ვინაიდან მსოფლიოს მასშტაბით ბევრი უცხოელი აგენტი, რომლებიც თავიანთ ქვეყნებში საკმაოდ დიდ სახელისუფლებო და პარტიულ პოსტებზე იმყოფებოდნენ, უშუალოდ ლ. ბერიას მიერ იმართებოდნენ. ამ უკანასკნელის რეპრესირების შემდეგ, უცხოელ აგენ-

ტებთან ფარული ურთიერთობები საკმაოდ გართულდა. ლ. ბერიას სიკვდილით დასჯის შემდეგ ცუდ დღეში აღმოჩნდნენ მისი ნათესავები, მეგობრები და თანამებრძოლები. ერთ-ერთი მათგანია თეიმურაზ შავდია.

დაეუბრუნდეთ გენერალ პ. სუდოპლატოვის მონათხრობს: „მე ასე ვიცოდი, რომ ბერიას მეუღლის დისწული, ვინმე შავდია, გერმანელების მიერ ტყვედ იქნა აყვანილი და მოქმედებდა როგორც ჩვენი აგენტი-ორეული, თანამშრომლობდა რა პარიზში გესტაპოსთან. თ. შავდია 1945 წელს დაბრუნდა მოსკოვში, ხოლო შემდეგ გაემგზავრა თბილისში. ნაცისტებთან თანამშრომლობისთვის და როგორც ერთ-ერთი მეგრელი ნაციონალისტი, 1951 წელს ი. სტალინის განკარგულების თანახმად, დაპატიმრებულ იქნა. ის გაასამართლეს და მიუსაჯეს ოცდახუთი წლით თავისუფლების აღკვეთა ვადის მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით. თ. შავდია ლ. ბერიამ პატიმრობიდან არ გაათავისუფლა, როდესაც ის სათავეში ჩაუდგა სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს, მაგრამ სამართალში მიცემულ დამნაშავეესთან ნათესაური კავშირი მის ბიოგრაფიაში შავ ლაქად რჩებოდა და ეს კავშირი საკუთარ თავში მალავდა პოტენციურ საშიშროებას".[73]

შავდია თეიმურაზ ნიკოლოზის ძე 1941 წლის ივნისში ქ. სმოლენსკთან გერმანელების მიერ ტყვედ იქნა აყვანილი. 1942 წლის აპრილში თ. შავდია ჩაირიცხა დაბა კრუშინაში განლაგებულ გერმანული არმიის ქართულ ნაციონალურ ლეგიონში.

1942 წლის სექტემბერში ბატალიონი, რომელშიც თ. შავდია იმყოფებოდა, გაგზავნილ იქნა ფრონტზე. იმის გამო, რომ აღნიშნული ბატალიონის ორი ოცეული გადავიდა საბჭოთა არმიის მხარეს, თ. შავდია სხვებთან ერთად განაიარაღეს და ის შემდგომში გამოიყენებოდა მხოლოდ წინა ხაზზე მყოფი გერმანელებისათვის ტყვია-წამლითა და სურსათით უზრუნველყოფის პროცესში.

1943 წლის თებერვალში თ. შავდია კელცის ტყვეთა ბანაკიდან საფრანგეთში განლაგებულ „ესესის" ნაწილებში იქნა მივლენილი.

1944 წელს, საფრანგეთიდან გერმანელთა ნაწილების უკან დახევისას თ. შავდია ფრანგმა პატრიოტებმა დააპატიმრეს. პატიმრობიდან ის გაათავისუფლა „ანტივლასოვურმა კომიტეტმა" და გააგზავნა საბჭოთა სამხედრო ტყვეების ვერსალის ბანაკში. თ. შავდიამ, გ. გეგელიას ხელშეწყობით, ერთ-ერთმა პირველმა მიიღო „ანტივლასოვური კომიტეტის" მოწმობა, რაც იმაზე მიუთუთებდა, რომ მისი მფლობელი მონაწილეობდა პარტიზანულ ბრძოლებში გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ. ბანაკში თ. შავდიამ გაიცნო ყოფილი საბჭოთა სამხედრო ტყვე პოლიკარპე მელაძე. ისინი შემდგომში უკავშირდებიან პარიზში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტ კობახიძეს, რომელსაც ხშირად ხვდებოდნენ.

თ. შავდია მალე დაუკავშირდა თავის ნათესავს ევგენი გეგეჭკორს.

თ. შავდიას მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა საფრანგეთში საბჭოთა დაზვერვის რეზიდენტი გუზოვსკი. ეს უკანასკნელი აქტიურად იყო დაინტერესებული მისი სსრ კავშირში დაბრუნების პროცედურების მოგვარებით.

1945 წელს თ. შავდია პარიზში შეხვდა თბილისიდან საგანგებო მისიით ჩასულ პროფესორ პეტრე შარიას. ამ უკანასკნელს არ დაუმალავს, რომ სსრ კავშირში მისი დაბრუნების თაობაზე მითითება მოსკოვიდან ჰქონდა მიღებული. ცხადი იყო, ეს მითითება უშუალოდ ლ. ბერიასგან მოდიოდა.

1945 წლის 5 აპრილს თ. შავდია, რომელიც პ. შარიამ გააფორმა ქართულ ეროვნულ ფასეულობათა მცველად (დაცვად), ექვთიმე თაყაიშვილთან, ქართულ საგანძურთან და სხვა ოფიციალურ პირებთან ერთად გაემგზავრა სამშობლოში.

თ. შავდია, ისე როგორც ი. ნამიჭეიშვილი და სხვები, საბჭოთა პარტიულ ელიტაში ძალაუფლებისათვის ბრძოლას შეეწირნენ. ლ. ბერიასთან ახლობლობამ განაპირობა უმეტესწილად თ. შავდიას და სხვათა დაპატიმრება საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მიერ 1952 წლის (და არა 1951 წელს, როგორც ამას გენერალი სუდოპლატოვი მიუთითებს) თებერვალში. მასაც „მეგრელ ნაციონალისტთა საქმესთან" აკავშირებდნენ და მთელი სიმკაცრით ექცეოდნენ.

თ. შავდია გამოძიების პროცესში ინტენსიურად იკითხებოდა ევგ. გეგეჭკორთან „დანაშაულებრივი კავშირის" დამადასტურებელი ჩვენების მოსაპოვებლად. თ. შავდიასგან მოითხოვდნენ ეღიარებინა, თითქოს ევგ. გეგეჭკორი მას აძლევდა სადაზვერვო ხასიათის დავალებებს. თ. შავდიამ, მიუხედავად დიდი ზეწოლისა, წამებას გაუძლო და „დანაშაული" არ აღიარა.[374]

იმ პერიოდში სპეცსამსახურების მიერ უკვე წესად ქცეულ, ამა თუ იმ პიროვნების „დიადი მიზნებისათვის" გამოყენების და შემდგომ, მათი ზვარაკად შეწირვის მავნე პრაქტიკას მრავალი პიროვნება ემსხვერპლა. ამის ნათელი მაგალითია ალექსანდრე კანკავას ტრაგიკული ისტორიაც.

ქართველი ემიგრანტის, მათე კერესელიძის ნაამბობის თანახმად, ა. კანკავა „თამარ-1"-ის ჯგუფის წევრი იყო და საქართველოში არალეგალურად გადასროლის შემდეგ „ვიღაცის" ხელშეწყობით თურქეთში გაქცეულა, იქიდან კი სირიაში გადასულა, სადაც გარდაცვლილა. ასეთივე აზრი მუსირებდა წლების მანძილზე ქართველ ემიგრანტებს შორისაც. სინამდვილეში კი აი რა მოხდა:

ალექსანდრე სიმონის ძე კანკავა, 1929 წელს არალეგალურად დატოვა საქართველო და გაემგზავრა საფრანგეთში. პარიზში თავისი ნათესავის, ევგენი გეგეჭკორის გავლენით, შევიდა მენშევიკურ პარტიაში.

სადაზვერვო ჯგუფ „თამარ-1"-ის შექმნისთანავე ა. კანკავა ამ ჯგუფის აქტიური წევრი გახდა.

1942 წლის ზაფხულში პარაშუტისტთა ჯგუფი, რომელშიც ა. კანკავა იმყოფებოდა, გადასროლილ იქნა ზუგდიდის რაიონში. ის სხვებთან ერთად მალე დააპატიმრეს. კანკავას 1943 წლის 11 სექტემბერს, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს გადაწყვეტილებით, მიესაჯა 20 წლით თავისუფლების აღკვეთა ვადის მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.

1944 წლის ნოემბერში საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება სადაზვერვო საქმიანობისათვის ა. კანკავას გამოყენების თაობაზე. ა. კანკავას პირადად იცნობდა ლავრენტი ბერია და, ამდენად, საბჭოთა სპეცსამსახურებთან (დაზვერვასთან) ფარულ თანამშრომლობაზე, მით უმეტეს, საპატიმრო ვადის შემცირების ხარჯზე, ის უპრობლემოდ დათანხმდებოდა. მოხდა მისი შესწავლა-დამუშავება და სპეციალური მომზადება. დასაწყისში ა. კანკავას წინაშე დაისვა კონკრეტული ამოცანა – საზღვარგარეთ, კერძოდ, თურქეთში ლეგალიზება და საცხოვრებლად სტამბოლში დამკვიდრება. შემდგომ ეტაპზე ის უნდა დაახლოებოდა ქართული პოლიტიკური ემიგრაციის

წარმომადგენლებს, განსაკუთრებით თურქეთში ქართველ მენშევიკთა საზღვარგარეთული ბიუროს რწმუნებულს სანდრო მენაღარიშვილს. მისი უმთავრესი ამოცანა იყო იმ ქართველი ემისრების გამოვლენა, რომლებიც ემზადებოდნენ საქართველოში არალეგალურად შესაგზავნად. კონკრეტული დავალებები ა. კანკავას თურქეთში საბჭოთა საგარეო დაზვერვის რეზიდენტურისგან უნდა მიეღო. შემუშავდა ამ უკანასკნელთან კავშირის დამყარების ვარიანტები.

1945 წლის ნოემბერში ა. კანკავა თურქეთში არალეგალურად გადასვლისას დაკავებულ იქნა თურქი მესაზღვრეების მიერ. ტრაპიზონის ციხეში მძიმე პირობებში რვათვიანი პატიმრობის შემდეგ, თურქები დარწმუნდნენ კანკავას ანტისაბჭოთა განწყობაში და გადაწყვიტეს მისი გამოყენება თურქეთის დაზვერვის ინტერესებისათვის.

1946 წლის ივლისში ა. კანკავა თურქებმა გაათავისუფლეს პატიმრობიდან და, პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ, ქალაქ ადანაში ცხოვრების ნებართვა მისცეს. მასთან მუდმივად ჰქონდა კონტაქტი თურქეთის სპეცსამსახურის თანამშრომელ ომარ-ბეის. ამ დროისათვის კანკავამ მოახერხა ევგ. გეგეჭკორთან დაკავშირება, რომელმაც ანტისაბჭოთა საქმიანობაში მხარდაჭერა აღუთქვა. აღსანიშნავია, რომ ქართულ ემიგრაციაში იმთავითვე მუსირებდა აზრი იმის თაობაზე, რომ ა. კანკავა დაკავშირებული იყო საბჭოთა დაზვერვასთან და ემიგრანტები მასთან ურთიერთობაში მაქსიმალურ სიფრთხილეს იჩენდნენ. აღნიშნულის თაობაზე 1946 წელს ყოფილი სამხედრო ტყვისათვის, ა. მეუნარგიასათვის უცნობებია მიხ. კედიას მეუღლეს ვალენტინა ფაჩულიას. მიუხედავად ამისა, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის ბიურომ მაინც გადაწყვიტა ა. კანკავას ხელახალი შეგზავნა საქართველოში და ანტისაბჭოთა საქმიანობაში მისი გამოყენება.

საქმე ის გახლდათ, რომ საზღვარგარეთის მენშევიკური ბიუროს ინტენსიური მცდელობის მიუხედავად, არადა არ აეწყო საქართველოში იატაკქვეშა საქმიანობა. გაძნელებული იყო არალეგალური მუშაობისათვის შესაბამისი კანდიდატების შერჩევა.

საქართველოში არალეგალური საქმიანობის უმთავრესი მიზანი იყო სადაზვერვო ხასიათის ინფორმაციის შეგროვება და თურქეთში მენშევიკური მთავრობის საზღვარგარეთული ბიუროს წარმომადგენლის, ს. მენაღარიშვილისათვის მიწოდება. ამისათვის ა. კანკავას საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, თურქეთის საზღვართან (იგულისხმება თურქეთ-საქართველოს სსრ საზღვრის მონაკვეთი) სპეციალური გასაიდუმლოებული პუნქტის შექმნა უნდა მოეხერხებინა. მასვე შემდგომი არალეგალური საქმიანობისათვის დაევალა საქართველოში სათანადო პიროვნების მოძებნა, შესწავლა და გადმობირება. მიუხედავად ასეთი სერიოზული მზადებისა, ქართველ მენშევიკთა საზღვარგარეთული ბიუროს არც ამ გეგმას ეწერა ასრულება.

დაახლოებით 1947 წლის მიწურულს, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მთავრობის საზღვარგარეთის ბიურომ დაადგინა, რომ საქართველოში ემისრების არალეგალური შეგზავნა სტამბოლის გავლით არაეფექტური იყო, ვინაიდან ადვილად ხდებოდა მათი გაშიფრვა. თურქეთ-საქართველოს სსრ საზღვრის გადაკვეთამდე უშიშროების ორგანოებისათვის ცნობილი ხდებოდა პრაქტიკულად

ყველა ემისრის მომზადებისა და საქართველოში მათი არალეგალურად შეგზავნის დეტალები, რაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, არამარტო საბჭოთა საგარეო დაზვერვის პარიზის რეზიდენტურის დამსახურება იყო. აქედან გამომდინარე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სადაზვერვო საქმიანობის სხვა სადაზვერვო პუნქტების მეშვეობით ორგანიზების თაობაზე. ასეთი იყო ქალაქ იზმითში ორგანიზებული პუნქტი. ამავე მიზნებისათვის გამოყენებული უნდა ყოფილიყო სირიის ტერიტორიაც.

1947 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში ა. კანკავა ემიგრანტ ხინიკაძესთან ერთად სტამბოლიდან ადანაში გაემგზავრა. ადანაში ჩასვლისას ისინი მიიღო ადანის პოლიციის უფროსის მოადგილემ, რომელმაც ორგანიზაცია გაუწია კანკავასა და ხინიკაძის მიერ თურქეთ-სირიის საზღვრის გადაკვეთას.

ბეირუთში ყოფნისას ა. კანკავამ მიიღო დამოუკიდებელი გადაწყვეტილება, დაკავშირებოდა ამერიკის დაზვერვას და ამ გზით საბჭოთა დაზვერვის ინტერესების სასარგებლოდ ემოქმედა, კერძოდ, გაეხანგრძლივებინა თურქეთში საკუთარი ყოფნა, ვინაიდან თურქები მას უკვე ქვეყნიდან გაძევებით ემუქრებოდნენ. ა. კანკავამ მართლაც მოახერხა შეხვედრა სტამბოლში ამერიკის საელჩოს სამხედრო ატაშესთან. რამდენიმე დღის შემდეგ ამ უკანასკნელისაგან შემდეგი პასუხი მიიღო: „ჩვენი მეგობარი თურქები თქვენით დაინტერესებულები არიან, მიაკითხეთ მათ."

ა. კანკავას პირველი კონტაქტი ამერიკელებთან არ იყო შეთანხმებული საბჭოთა დაზვერვასთან, თუმცა მისი შემდგომი ნაბიჯების თაობაზე საბჭოთა რეზიდენტურამ დამასკოში ყველაფერი იცოდა.

ა. კანკავას ქმედებებიდან გამომდინარე, საბჭოთა დაზვერვამ ეჭვი შეიტანა მის კეთილსინდისიერებაში და ჩათვალა, რომ მან ვერ გადაჭრა მის წინაშე დასმული ამოცანები. კანკავას სადაზვერვო საქმიანობით უკმაყოფილო იყვნენ თურქებიც.

1949 წლის მარტში საბჭოთა სპეცსამსახურებმა ა. კანკავა ერაყში გაიყვანეს, იქიდან კი მოსკოვში გადააფრინეს და ხელახლა დააპატიმრეს. გამოძიების დამთავრებისთანავე, ის დააბრუნეს შრომა-გასწორების კოლონიაში და დაუტოვეს მოსახდელი ადრე მისჯილ წელთა რაოდენობა.[375]

ა. კანკავას გარშემო დატრიალებული ბატალიები ამით არ დასრულებულა. ის, 1952 წლის იანვარში „მეგრელ ნაციონალისტთა ჯგუფის საქმესთან" დაკავშირებით, გადმოიყვანეს საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს შინაგან ციხეში. მას შემდეგ, რაც დაპატიმრებულ იქნა საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრი ნ. რუხაძე, ა. კანკავა კიდევ ერთხელ დაიკითხა.[278]

გადმოცემით, ა. კანკავა 1952 წელს მოთავსებულ იქნა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ. მისი შემდგომი ბედი უცნობია.

რადგან იმ პერიოდში თურქეთის სპეცსამსახურებმა ქართველ ემისრებთან განსაკუთრებულ შედეგებს ვერ მიაღწიეს, შეეცადნენ ქართველი ემიგრანტების გამოეყენებინათ ძირითადად ანტისაბჭოთა პროპაგანდისტული მიზნებისათვის. მაგალითად, თურქული გაზეთის, „ვათანის" 1948 წლის ოქტომბერ-ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა ქ. ადანის ადგილობრივი კორესპონდენტის სტატია, რომელშიც საუბარი იყო ორ ქართველ ემიგრანტზე – გიორგი გოგოლაშვილსა და ჭოლა

რუსიძეზე, რომელთაც თავშესაფარი უპოვიათ ქ. ადანაში, როგორც ემიგრანტებს. ამ ახალგაზრდებს საშუალო განათლება საბჭოთა კავშირში მიუღიათ და შემდგომ გაწვეულები ყოფილან საბჭოთა არმიაში. ისინი, თითქოსდა, აცხადებდნენ, რომ ნამდვილი თავისუფლება თურქეთში, ემიგრაციის პირობებში მოუპოვებიათ. გაზეთის კორესპონდენტის მინიშნებით, გოგოლაშვილსა და რუსიძეს განცხადებაც კი გაუკეთებიათ „წითელ სამოთხეზე“.

ნაცისტურ გერმანიაზე ანტიჰიტლერულ კოალიციაში შემავალი ქვეყნების, უპირველესად, სსრ კავშირის შთამბეჭდავი გამარჯვების შემდეგ, ბრძოლა-დაპირისპირება ორ ბანაკად გაყოფილ საზოგადოებრივ სისტემებს შორის არ ცხრებოდა. ამ ბრძოლაში ძალისხმევას არ იშურებდნენ სპეცსამსახურებიც, განსაკუთრებით სადაზვერვო სტრუქტურები, რომლებიც თავიანთი მიზნების მიღწევას ანტისაბჭოთა განწყობის ემიგრაციის გამოყენებით ცდილობდა. თავის მხრივ საკუთარი მიზნები ამოძრავებდა ანტისაბჭოთა ემიგრანტულ ორგანიზაციებსა და ცენტრებს, რომლებიც სუბსიდიებს და ტექნიკურ დახმარებას უცხო ქვეყნებისაგან იღებდნენ.

საქართველოს მენშევიკური მთავრობის საზღვარგარეთული ბიუროს კიდევ ერთ მცდელობაზე – მოეგვარებინა საქართველოში ანტისაბჭოთა იატაკქვეშა საქმიანობა და უზრუნველეყო მისი მყარი კავშირი პარიზთან თურქეთში თავისი წარმომადგენლობის მეშვეობით – მიუთითებს ემიგრანტ სპირიდონ ჟღენტთან დაკავშირებული ისტორია.

ს. ჟღენტი 1922 წელს გააძევეს საქართველოდან ანტისაბჭოთა საქმიანობისათვის. ემიგრაციაში აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოს მენშევიკურ მთავრობასთან. ის ქართველ რეემიგრანტებთან ერთად საქართველოში დაბრუნდა 1947 წლის 18 სექტემბერს.

დაბრუნების წინ ს. ჟღენტი პარიზში შეხვდა ემიგრანტ გიორგი ერაძეს. ამ უკანასკნელმა გადასცა ნოე ჟორდანიას სადირექტივო წერილი, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოში ანტისაბჭოთა, იატაკქვეშა საქმიანობის აღორძინებას. ს. ჟღენტი თბილისში უნდა შეხვედროდა ექიმ ცხომელიძეს, ნ. ჟორდანიას ყოფილ თანაპარტიელს და მისი მეშვეობით დაკავშირებოდა, თითქოსდა, საქართველოში არსებული იატაკქვეშა მოძრაობის სხვა წევრებს. მას, ასევე, უნდა შეერჩია კონკრეტული პიროვნება, რომელიც მეკავშირის ფუნქციას შეასრულებდა იატაკქვეშელებსა და თურქეთში მყოფ მენშევიკთა საზღვარგარეთული ბიუროს წარმომადგენელს, ს. მენაღარიშვილს შორის.

წინასწარ მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, სპირიდონ ჟღენტი სამშობლოში დაბრუნებისთანავე საქართველოს სსრ სახელმწიფოს უშიშროების სამინისტროს მიერ აყვანილ იქნა აქტიურ ოპერატიულ დამუშავებაში. ოპერატიული გეგმის თანახმად, ს. ჟღენტის შესწავლა საწყის ეტაპზე უნდა მომხდარიყო ყოფილი მენშევიკის, საქართველოს სუს-ს აგენტის, „ცარიოვის“ მეშვეობით, რომელიც დაუკავშირდა ს. ჟღენტს და დაინტერესდა საფრანგეთში მყოფი ძმის ბედით. ურთიერთობებმა ს. ჟღენტსა და „ცარიოვს“ შორის იმდენად სანდო ხასიათი მიიღო, რომ ს. ჟღენტმა ამ უკანასკნელს გაანდო თავისი რეალური მიზნები.

შექმნილი ვითარებიდან, აგრეთვე, ს. ჟღენტის პირადი და საქმიანი თვისებები-

დან გამომდინარე, გადაწყდა მისი გამოყენება აქტიურ ოპერატიულ კომბინაციაში, რომლის ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა უნდა ყოფილიყო აგენტი „სოხუმელი". ოპერატიული ჩანაფიქრის მიზანი იყო საქართველოში ანტისაბჭოთა იატაკქვეშა ორგანიზაციის არსებობის იმიტაცია. ორგანიზაციას თითქოსდა „სოხუმელი" ხელმძღვანელობდა. ამ გზით საქართველოს სპეცსამსახურებს სურდათ სულ უფრო და უფრო მეტი ანტისაბჭოთა განწყობის პიროვნების გამოვლენა.

მას შემდეგ, რაც ს. ჟღენტმა მტკიცე უარი მიიღო ექიმ ცხომელიძის შემოთავაზებულ წინადადებაზე, ეთანამშრომლა იატაკქვეშა, ანტისაბჭოთა მოძრაობასთან, ის ადვილად ებმება საქართველოს სსრ უშიშროების სამინისტროს კონტრდაზვერვის მიერ დაგებულ მახეში და იძულებული ხდება, ურთიერთობა იქონიოს სპეცსამსახურის მიერ კონტროლირებად პიროვნებასთან, „სოხუმელთან". ამ იძულებითი ნაბიჯის თაობაზე ს. ჟღენტმა წერილობით, გარკვეული მინიშნებებით, მისწერა ნ. ჟორდანიასაც.

მიღებული დავალების თანახმად, საზღვარგარეთთან მუდმივი კონტაქტის დასამყარებლად სპირიდონ ჟღენტმა შეარჩია ჩოხატაურის რაიონის სოფელ სამებაში მცხოვრები, 1925 წელს დაბადებული ვარდენ ჟღენტი.

საქართველოს სპეცსამსახურებმა ვ. ჟღენტი უპრობლემოდ დაითანხმეს ფარულ თანამშრომლობაზე და ხანმოკლე მომზადების შემდეგ, ის თურქეთში „არალეგალურად" შეაგზავნეს. ვარდენ ჟღენტი ათი დღის განმავლობაში თურქეთის სპეცსამსახურების დაკითხვა-გამოკითხვის ობიექტი იყო. ამის შემდეგ ვ. ჟღენტი თურქებმა სტამბოლში შეახვედრეს ს. მენაღარიშვილს. ამ უკანასკნელმა ვარდენ ჟღენტს დასაზეპირებლად გადასცა საზღვარგარეთ მენშევიკური მთავრობის დირექტივა. მასში მითითებული იყო, რომ დევნილი მთავრობის უმთავრეს მიზნად კვლავ რჩებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის, სსრკ-დან საქართველოს გამოყოფის საკითხი. ამ მიზნით, საჭირო იყო ახალი სტრატეგიული მეკავშირეების ძებნა. ასეთებად ისინი თვლიდნენ ამერიკა-ინგლისის ალიანსს.

დირექტივაში მითითებული იყო, რომ მომავალი ომის შემთხვევაში, საქართველოს უნდა შეენარჩუნებინა სიმშვიდე და ღირსეულად დახვედროდა ალიანსის სამხედრო კონტინგენტის შესვლას საქართველოში. თუკი გაერთიანებული სამხედრო ძალით ვერ მოხერხდებოდა საქართველოს გათავისუფლება, ქართველები უნდა გადასულიყვნენ ბრძოლის იმ მეთოდებზე, რომლებსაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაღვივებისათვის თავის დროზე იყენებდნენ ცარიზმის წინააღმდეგ. მენაღარიშვილმა ს. ჟღენტს გადასცა მენშევიკური ლიტერატურა.

ჟღენტის თურქეთში ყოფნით ისარგებლა ამ ქვეყნის დაზვერვის სამსახურმაც და, ს. მენაღარიშვილთან შეთანხმებით, მას შესაბამისი სადაზვერვო დავალებაც მისცა. ამით დასრულდა საქართველოს სპეცსამსახურების მიერ დაგეგმილი ოპერატიული ჩანაფიქრის პირველი ეტაპი და ვ. ჟღენტი, ასევე „არალეგალურად", საქართველოში დაბრუნდა.

საქართველოს სპეცსამსახურების გეგმის თანახმად, თურქეთში ვ. ჟღენტი მეორედ გადავიდა 1950 წლის 2-3 სექტემბრის ღამით. ს. მენაღარიშვილი საქართველოში ვარდენ ჟღენტის „იატაკქვეშა მოღვაწეობით" უკმაყოფილო იყო და განაცხადა: „ასეთი საქმიანობა არავის ჭირდება, და თუკი შედეგები არ იქნება,

უკეთესია არავინ იქნენ თურქეთში გამოგზავნილნი." ს. მენაღარიშვილმა კატეგორიულად მოითხოვა თურქეთში სპირიდონ ჟღენტის ჩასვლა და შექმნილ ვითარებაში კარგად გარკვევა. ამჯერად, ს. ჟღენტმა თურქეთში დაახლოებით ორ თვეს დაყო, რის შემდეგაც, 1950 წლის 4 ნოემბერს, ის საქართველოში დაბრუნდა.

ამით დასრულდა კიდევ ერთი ოპერატიული ჩანაფიქრი, რომელმაც საქართველოს სპეცსამსახურებისათვის გარკვეული შედეგი გამოიღო, ყოველ შემთხვევაში ასე ფიქრობდნენ ისინი. კერძოდ, ქართველ მენშევიკთა საზღვარგარეთული ბიურო დარწმუნდა, რომ საქართველოში ანტისაბჭოთა იატაკქვეშა საქმიანობის ორგანიზება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საკმაოდ ძნელი და პრაქტიკულად მიუღწეველი იყო; ნაწილობრივ მოხერხდა თურქეთში ქართველ მენშევიკთა საზღვარგარეთული ბიუროს წარმომადგენლის, ს. მენაღარიშვილისა და მისი საქმიანობის კომპრომეტირება ნ. ჟორდანიასა და მის მომხრეთა თვალში; გარკვეული ინფორმაცია იქნა მოპოვებული საზღვარგარეთის ქართველ მენშევიკთა და თურქეთის დაზვერვის მიზნების შესახებ; გაირკვა მათი სადაზვერვო საქმიანობის პრაქტიკული და სტრატეგიული ხედვა რიგ საკითხებთან დაკავშირებით და სხვა.

კაცობრიობის ისტორიაში ნებისმიერი ომის თუ სამხედრო კონფლიქტის მიმდინარეობის პროცესში ყოველთვის ჩნდებიან ავანტურისტი პიროვნებები, რომლებიც შექმნილ ვითარებასა და ომით გამოწვეულ ქაოსს საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ იყენებენ. ისინი არ თაკილობენ ერთდროულად სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურებთან ფარულ თანამშრომლობასაც კი, პირიქით, ამით ამაყობენ კიდეც და ამ კავშირით მაქსიმალური პირადი სარგებლის მიღებას ცდილობენ. სამწუხაროდ, ეს კატეგორია საკუთარი მიზნების მისაღწევად სულ უფრო და უფრო მეტ ადამიანს, განსაკუთრებით, პატრიოტულად განწყობილ ახალგაზრდობას ითრევს ავანტურაში, ზემოქმედებს რა მათ გულწრფელ ნაციონალურ გრძნობებზე. შედეგი კი, საბოლოოდ სავალალოა.

პიროვნების სხვადასხვა სპეცსამსახურთან მრავალწლიანი და, ამავდროულად, ტრაგიკული ფარული ურთიერთობების ერთ-ერთი საინტერესო მაგალითია ემიგრანტი შალვა ოდიშარია, რომელმაც, როგორც ვნახეთ, თავისი ავანტურიზმით თავი „გამოიჩინა" ჯერ კიდევ 30-იან წლებში. შ. ოდიშარიას არც შემდგომ უღალატია პრინციპებისათვის.

გერმანია-სსრ კავშირს შორის ომის დაწყებისთანავე შ. ოდიშარია ჯერ სადაზვერვო ჯგუფ „თამარ-1"-ში ჩაირიცხა, შემდეგ კი გადავიდა მიხეილ კედიას სიმამრის, ა. ფაჩულიას მიერ ორგანიზებულ სპეციალური დანიშნულების რაზმში. საფრანგეთის ოკუპაციის შემდეგ, შ. ოდიშარია გერმანელთა მიერ დაპატიმრებულ იქნა მცირე ხნით ჯერ 1941 წლის ნოემბერში, ხოლო შემდეგ – 1942 წლის მაისში. გერმანელები ინტერესდებოდნენ მისი წარსულით, განსაკუთრებით, კონფიდენციალური ურთიერთობებით საფრანგეთისა და იაპონიის სპეცსამსახურებთან.

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, შ. ოდიშარიამ უყოყმანოდ გადაწყვიტა ახლა უკვე გერმანიის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობა და მათი მფარველობის ქვეშ ყოფნა. გერმანელთა მხარდაჭერითა და უშუალო მონაწილეობით შ. ოდიშარიამ შექმნა „შემსყიდველი ბიურო", რომელიც რეალურად წარმოადგენდა გერმანიის სპეცსამსახურის ცრუმაგიერ ორგანიზაციას, „გესტაპოს" ერთ-ერთ დანაყოფს. ზემოაღნიშნულ ორგანიზაციასთან აქტიურად თანამშრომლობდნენ

ქართველი ემიგრანტებიც. საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, მიხ. კედიამ და გერმანიის დაზვერვის მაიორმა ცუკრისტიანმა არაერთგზის დააყენეს ზემოაღნიშნული „შემსყიდველი ბიუროს" ლიკვიდაციის საკითხი, თუმცა წარუმატებლად. პირიქით, გერმანიის დავალებით, შ. ოდიშარიამ შექმნა ახალი სადაზვერვო ჯგუფი N 301, რომლის რაოდენობა მერყეობდა 15-დან 40 კაცამდე. აღნიშნული ჯგუფის დანიშნულება იყო მთელი საფრანგეთის მასშტაბით ანტიფაშისტური და კომუნისტური ორგანიზაციების გამოვლენა. ჯგუფი ძირითადად შედგებოდა ფრანგი მებრძოლებისაგან. მისი გამოყენება ნავარაუდევი იყო აგრეთვე საფრანგეთის ჩრდილოეთით მეკავშირეთა სამხედრო ნაწილების გადმოსხმის მომენტისათვის. 1944 წლის თებერვალში, პარიზში, „სს"-ის მაიორ ბესტის დავალებით, შ. ოდიშარიამ ახლა უკვე ქართველებისგან შეადგინა „Группа французской защиты"*. ეს ჯგუფი სამხედრო მომზადების გავლის შემდეგ იცავდა გერმანელთა სამხედრო ობიექტებს ფრანგი პარტიზანებისაგან ქალაქებში: ლიონში, ტულუზაში, რენსა და მონპელიეში. ჯგუფი ასევე მონაწილეობას იღებდა ანტიფაშისტურ საქმიანობაში ეჭვმიტანილი ფრანგი მოსახლეობის დაპატიმრებებსა და მათი საცხოვრებელი სახლების ჩხრეკაში. ზემოაღნიშნულ ჯგუფში სულ 30-ზე მეტი კაცი იყო.

1944 წლის აგვისტოს დასაწყისში, მას შემდეგ, რაც ინგლის-ამერიკის სამხედრო ნაწილები პარიზს მიუახლოვდნენ, შ. ოდიშარიას ჯგუფი დაიშალა და მისი მებრძოლები დაბრუნდნენ პარიზში. იმავე წლის 17 აგვისტოს ზემოაღნიშნული ჯგუფის წევრები, საფრანგეთის ხელისუფლების მხრიდან შესაძლო რეპრესიების შიშით, პარიზიდან გაიქცნენ. სექტემბერში შ. ოდიშარიამ მასთან ერთად გაქცეული ქართველებისაგან, გერმანელთა მხარდაჭერით, შეადგინა მორიგი რაზმი სამხრეთ საფრანგეთში პარტიზანებისა და ინგლის-ამერიკული სამხედრო ნაწილების წინააღმდეგ საბრძოლველად. რაზმი დისლოცირებული იყო ქ. რეცეში და მონაწილეობდა სადამსჯელო ღონისძიებებში. მასში ირიცხებოდნენ: ელიავა ბონდო, ნადირაძე ირაკლი, ინჯია შალვა, ჯავრიშვილი შალვა, ჯავრიშვილი ლევანი, მჭედლიშვილი აბრამი, სხირტლაძე დიმიტრი, შელია იოსები, მახარაშვილი დიმიტრი, გუნია ვარლამი, ჟორდანია დავითი და სხვები. შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, შ. ოდიშარიას ჯგუფი უკონტროლოდ და უფუნქციოდ დარჩა. ამიტომ, 1944 წლის სექტემბერში შ. ოდიშარია გაემგზავრა ბერლინში, რათა გაერკვია მისი ჯგუფის შემდგომი ბედი. 1945 წლის იანვრის ბოლოს ბერლინში ჩავიდნენ შ. ოდიშარიას ჯგუფის წევრებიც.

შ. ოდიშარია 1945 წლის მარტში ბერლინში, სასტუმრო „ფიუსტენგოფში" შეხვდა გერმანიაში არსებულ „საფრანგეთის განთავისუფლების კომიტეტის" ხელმძღვანელს და საფრანგეთის სახალხო პარტიის ყოფილ ლიდერს დორიოს, რომელსაც მოახსენა თავისი საქმიანობის შესახებ „ესდესა" და „აბვერში". დორიომ შ. ოდიშარიას განუცხადა, მიუხედავად იმისა, რომ მეკავშირეთა წარმატება მეორე მსოფლიო ომში გარდაუვალი იყო, ბრძოლა მაინც გრძელდებოდა და შესთავაზა მას და მის ჯგუფს საფრანგეთში არალეგალური საქმიანობა, რისთვისაც დაჰპირდა ყველა პირობის შექმნას. შ ოდიშარიასთან ერთად საფრანგეთში უნდა ყოფილიყვნენ გადასროლილები პავლიაშვილი გიორგი, ნადირაძე ირაკლი, მჭედლიშვილი აბრაამი, ინჯია შალვა, ელიავა ბონდო, ზარიძე ლეონი, სხირტლაძე

* ფრანგული დაცვის ჯგუფი

დიმიტრი, ჯავრიშვილი შალვა, ჯავრიშვილი ლეონი, მახარაძე დიმიტრი, შელია იოსები, კაკულია და ვორონკოვი.

ამ ჯგუფს შესაბამისი მომზადებისა და წვრთნის შემდეგ უნდა განეხორციელებინა ტერორისტული აქტი გენერალ დე-გოლზე. მოულოდნელად, ქ. კონსტანცას მახლობლად, მოკლულ იქნა დორიო და შ. ოდიშარიას ჯგუფის საფრანგეთში გაგზავნა არ შედგა. მიუხედავად ამისა, დე-გოლზე ტერორისტული აქტის განხორციელების სურვილი ახლა უკვე პარიზში ვიშის მთავრობის ყოფილ წარმომადგენელს დებრიონს გაუჩნდა, რისთვისაც მან შ. ოდიშარიასათვის 5 მილიონი ფრანკის გამოყოფის გადაწყვეტილება მიიღო.

1945 წლის აპრილში შ. ოდიშარია, მიხვდა რა, რომ მისი მდგომარეობა უკიდურესად მძიმე იყო, გადაწყვიტა ქ. იუბერლინგერში სახის პლასტიკური ოპერაციის გაკეთება. სამი კვირის მანძილზე მისი სახის შეცვლით დაკავებული იყო ცნობილი პროფესორი რუდნევი. ის იყო შ. ოდიშარია იტალიაში უნდა გამგზავრებულიყო ჯგუფთან ერთად, რომ მეკავშირეთა არმიამ მათ ინსბრუკში მოუსწრო და ისინი იძულებული იყვნენ 1945 წლის 2 მაისს ავსტრიაში, კერძოდ, ზალცბურგისკენ გადაადგილებულიყვნენ. 4 მაისს ზალცბურგი დაიკავეს ამერიკულმა სამხედრო ნაწილებმა და დაიწყეს იქ მყოფი მოქალაქეების აღრიცხვა და ფილტრაცია.

შ. ოდიშარია საკმაოდ ფრთხილობდა, შიშობდა, ფრანგებს შური არ ეძიათ მასზე და მისი რაზმის წევრებზე. აქედან გამომდინარე, მოქმედებდა სხვა გვარ-სახელით.

ამ პერიოდისათვის ზალცბურგში ცხოვრობდა ცნობილი ქართველი ემიგრანტი რევაზ გაბაშვილი. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ყოფილ საბჭოთა სამხედრო მოსამსახურესთან, რომელიც ადრე ტყვედ იყო ჩავარდნილი გერმანელებთან, ნინა ქიქოძესთან. ქართველ ემიგრანტებში მუსირებდა აზრი, რომ ნ. ქიქოძეს კარგი ურთიერთობები ჰქონდა ამერიკის დაზვერვის ოფიცრებთან. ზალცბურგში იმ პერიოდში ასევე ცხოვრობდა ქართველი ემიგრანტი ალექსანდრე შენგელია. ამ უკანასკნელმა მოახერხა და შ. ოდიშარიას გაუკეთა პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ცაკოევის გვარზე და ურჩია, თუკი თავის გადარჩენა სურდა, ამერიკელებს დაკავშირებოდა. ვიდრე შ. ოდიშარია ამერიკის დაზვერვის წარმომადგენელს დაუკავშირდებოდა, ის შეეცადა საბჭოთა დაზვერვის გამოყენებასაც. ამ მიზნით შ. ოდიშარია 1945 წლის 12 ივლისს საბჭოთა რეპატრიაციის წარმომადგენელთან, უფროს ლეიტენანტ დუშანოვთან ერთად გაემგზავრა ქ. ვისბადენში თავისი და ქართველ ემიგრანტთა ჯგუფის ბედ-იღბლის გასარკვევად.

ქ. ვისბადენში საბჭოთა სამხედრო მოსამსახურეებთან, მაიორებთან, ხროშოვთან და ორლოვთან მოლაპარაკებისას გადაწყდა, რომ შ. ოდიშარიას და მის ჯგუფს სსრ კავშირში გამგზავრებამდე მოათავსებდნენ რომელიმე საბჭოთა ბანაკში. ზალცბურგში დაბრუნებისას შ. ოდიშარია შეხვდა იტალიიდან ჩასულ საბჭოთა დაზვერვის წარმომადგენელს რუმიანცევს, რომელმაც ყველაფერი იცოდა. მასთან საუბარში შ. ოდიშარიამ აღნიშნა, რომ შენგელიას მეშვეობით შესაძლებელი იყო კონტაქტის დამყარება ამერიკის დაზვერვის წარმომადგენლებთან. ამით ის შეეცადა უფრო მეტი ნდობა დაემსახურებინა საბჭოთა წარმომადგენელთა თვალში. რუმიანცევი ამ წინადადებას დათანხმდა. ამავდროულად, შ. ოდიშარიამ საბჭოთა მზვერავს წარუდგინა გეგმა იმისა, თუ როგორ უნდა შეექმნათ ზალცბურგში საბჭოთა დაზვერვის კონტროლს დაქვემდებარებული ეგრეთ წო-

დებული „საქართველოს კომიტეტი“, თითქოსდა ანტისაბჭოთა საქმიანობისათვის. რუმიანცევმა ეს წინადადებაც მოიწონა, ვინაიდან როგორც ისინი ვარაუდობდნენ, ამით ინიციატივას წაართმევდნენ და სერიოზულ დარტყმას მიაყენებდნენ ნოე ჟორდანიასა და მიხეილ კედიას.

შ. ოდიშარიამ კონტაქტი ამერიკის დაზვერვასთან მართლაც დაამყარა 1945 წლის იელისის ბოლოს შენგელიასა და რუსი ემიგრანტის, ვინმე სტახოვიჩის მეშვეობით. მოლაპარაკებებმა ოთხ დღეს გასტანა. შ. ოდიშარიამ საკმაოდ გააზვიადა საკუთარი და ჯგუფის შესაძლებლობები, რითაც სურდა დაემსახურებინა ამერიკელთა კეთილგანწყობა. ძირითადი აქცენტი მაინც გადატანილი იყო შ. ოდიშარიას ანტისაბჭოთა საქმიანობის პერსპექტივაზე. ამ შემთხვევაშიც, იმისათვის, რომ კიდევ უფრო განემტკიცებინა ამერიკელთა თვალში ნდობა, შ. ოდიშარიამ მათ წარუდგინა რუმიანცევისათვის გადაცემული გეგმის ასლი.

1945 წლის სექტემბერში ზალცბურგში ჩავიდა საფრანგეთის სამხედრო მოსამსახურეთა ჯგუფი, რომელიც ინტენსიურად ეძებდა შ. ოდიშარიას და მისი რაზმის წევრებს. შ. ოდიშარია იძულებული შეიქნა, გადასულიყო არალეგალურ მდგომარეობაზე და გამგზავრებულიყო ზალცბურგიდან 60-70 კმ-ის დაშორებით დასახლება მარკ-პონგაუში. სიტუაცია იმდენად დაიძაბა (როგორც ჩანს, საფრანგეთის დაზვერვამ შეიტყო შ. ოდიშარიას და მისი ჯგუფის ადგილსამყოფელი), რომ ამერიკის დაზვერვა მათ დაცვაზე პასუხისმგებლობას თავის თავზე ვეღარ იღებდა. ასეთ რთულ ვითარებაში შ. ოდიშარია კვლავ რუმიანცევს მიენდო. ეს უკანასკნელი კი შეჰპირდა, რომ მას და მისი ჯგუფის წევრებს დროებით გადაიყვანდა საბჭოთა საოკუპაციო ზონაში. ამ მომენტის გამოყენებას შეეცადა ბრენტიც, რომელმაც შ. ოდიშარიას მისცა ქ. ვენის კონსპირაციული ბინის მისამართი (ქ. ვენა, სასტუმრო რეგინა ნ.ფ. ბრენტი) და შეთანხმდნენ კავშირზე ზალცბურგიდან დაბრუნების შემდეგ. შეტყობინებაზე შ. ოდიშარიას ხელი უნდა მოეწერა ფსევდონიმით „ნორბერტი“.

იმისათვის, რომ საკუთარი თავი და ჯგუფის წევრები მოსალოდნელი რეპრესიებისაგან გადაერჩინა, შ. ოდიშარია ზალცბურგში შეხვდა საბჭოთა არმიის წარმომადგენელს გიორგი ჩხარტიშვილსა და მის მოადგილეს, ვასილ მდივანს. ამავე პერიოდში ქართველ ემიგრანტთა შორის გავრცელდა ხმები იმის თაობაზე, თითქოსდა ამერიკელებმა პარიზში მყოფ ემიგრანტ ერეთეოზ რამიშვილისგან მიიღეს იმ ქართველ ემიგრანტთა სია, რომლებიც ფაშისტური გერმანიის სასარგებლო საქმიანობას ეწეოდნენ. ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა. საბჭოთა მზვერავები ორლოვი და ხრომოვი შ. ოდიშარიას და მის ჯგუფს, სადაზვერვო პერსპექტივების თვალსაზრისით, უკვე ეჭვის თვალით უყურებდნენ, თუმცა მაინც გადაწყდა, რომ ჯგუფის წევრებს შ. ოდიშარია ზალცბურგიდან გადაიყვანდა ვისბადენში საბჭოთა საოკუპაციო ზონაში, ხოლო თვითონ, უფროსი ლეიტენანტის დუშანოვის თანხლებით, გაემგზავრებოდა პარიზში და ჩაიყვანდა ჯგუფის დანარჩენ წევრებსაც. ზალცბურგში დაბრუნებისას შ. ოდიშარიამ არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით საქმის კურსში ჩააყენა ჯგუფის წევრები, რომლებიც საბჭოთა მხრისგან ხელშეუხებლობის გარანტიებს ითხოვდნენ. ამდენი პასუხისმგებლობა შ. ოდიშარიამ თავის თავზე ვეღარ აიღო და ქართველმა ემიგრანტებმა ჯგუფებად (4-5 კაცის შემადგენლობით) დაიწყეს შეხვედრები საბჭოთა წარმომადგენლებთან.

კაპიტან კომაროვთან და უფროს ლეიტენანტ დუშანოვთან საუბრები შ. ოდიშარიას დანაპირების ანალოგიური იყო.

საბჭოთა სპეცსამსახურები დარწმუნდნენ შ. ოდიშარიას ავანტურისტულ ქმედებებში, რომლის მთავარი მიზანიც საკუთარი და ჯგუფის წევრების მართლმსაჯულების კლანჭებიდან დაღწევა იყო, მიხვდნენ, რომ მას არ გააჩნდა სადაზვერვო პერსპექტივები და გადაწყვიტეს მოვლენებისთვის დაესწროთ (რათა შ. ოდიშარია და მისი ჯგუფი არ ჩავარდნოდათ მოკავშირეებს, განსაკუთრებით ფრანგულ მხარეს) და ქართველი ემიგრანტები, რომლებიც უკვე საბჭოთა საოკუპაციო ზონაში იმყოფებოდნენ, ჯერ მიიტყუეს, ხოლო შემდეგ დააპატიმრეს. ეს მოხდა 1945 წლის 12 ოქტომბერს. პატიმრები ჯერ „ბუტირსკის" ციხეში მოათავსეს, ხოლო მოგვიანებით თბილისში, საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს შინაგან ციხეში გადაიყვანეს. გამოძიება თითქმის ერთ წელიწადს გაგრძელდა. „ოდიშარიას" ჯგუფის ბედი ტრაგიკული აღმოჩნდა.

1946 წლის 7-10 ოქტომბერს გაიმართა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის სხდომა. განსასჯელის სკამზე ისხდნენ:

ოდიშარია შალვა კონსტანტინეს ძე, ჯავრიშვილი შალვა დავითის ძე, ჯავრიშვილი ლევან დიმიტრის ძე, პაველიაშვილი გიორგი მარკოზის ძე, ელიავა ბონდო თომას ძე, ზარიძე ლევანი პეტრეს ძე, ნადირაძე ირაკლი ილიას ძე, მჭედლიშვილი აბრამ დიმიტრის ძე, სხირტლაძე დიმიტრი იასონის ძე, ინჯია შალვა ილიას ძე.

ზემოაღნიშნულ პირებს სასამართლომ მრავალ დანაშაულში დასდო ბრალი. საბოლოოდ შ. ოდიშარიას, ბ. ელიავას, ი. ნადირაძეს, ა. მჭედლიშვილს მიესაჯათ სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა. განაჩენი მათ მიმართ სისრულეში იქნა მოყვანილი 1947 წლის 14 იანვარს.

შ. ჯავრიშვილსა და ლ. ჯავრიშვილს მიესაჯათ 25 წლით თავისუფლების აღკვეთა, ვადის მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით, ქონების კონფისკაციით.

გ. პაველიაშვილს მიესაჯა 20 წლით თავისუფლების აღკვეთა, ვადის მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.

ლ. ზარიძეს, დ. სხირტლაძესა და შ. ინჯიას მიესაჯათ 15 წლით თავისუფლების აღკვეთა ვადის მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით, პირადი ქონების კონფისკაციით.

ზემოაღნიშნული პირების რეაბილიტაცია საბჭოთა პერიოდში არ მომხდარა.

რაც შეეხება „შემსყიდველ ბიუროსა" და შ. ოდიშარიას ჯგუფის საფრანგეთში დარჩენილი წევრების ბედს, ისინი საფრანგეთის მართლმსაჯულებამ საკმაოდ ხმაურიან სასამართლო პროცესზე, რომელსაც საფრანგეთის მედიამ „ქართული გესტაპოს" პროცესი უწოდა, გაასამართლა 21 ბრალდებული, „6 კაცს მიესაჯა დახვრეტა (ორ მათგანს კულჩენკოს და იუბერს – სასჯელი შემდეგ შეუცვალეს მუდმივი პატიმრობით), 2 კაცს – 20 წლის კატორღა, 3 კაცს – 15 წლის კატორღა, ხოლო დანარჩენებს – 10-დან 18 თვემდე ციხე. ბრალდებულთაგან მხოლოდ ერთი კაცი იქნა გამართლებული".[47]

შ. ოდიშარიასა და მისი ჯგუფის წევრების დაპატიმრების შესახებ ინფორმაცია მათი ოჯახებისთვის მოგვიანებით გახდა ცნობილი, თუმცა ბრალდებულთა

მიმართ განაჩენის გამოტანის ფაქტს და სასჯელის უმაღლეს ზომას ქართული სპეცსამსახურები წლების მანძილზე გულდასმით მალავდნენ.

იმ ისტორიულ ეპოქაში ომით განამებული ადამიანების სულიერი მდგომარების გამომხატველია დახვრეტილ ირაკლი ნადირაძის მოხუცი დედის – თეკლე ნადირაძის წერილი, გაგზავნილი ი. სტალინისადმი:

„ძვირფასო სოსო! მოგმართავთ თქვენი გასაოცარი გულისყურისა და მეხსიერების მოიმედე ღრმად მოხუცებული, ნახევრად უსინათლო გამწარებული დედა!

გახლავართ ილია პავლეს ძე ნადირაძის (გარდაიცვალა 1942 წ.) ქვრივი თეკლე ნადირაძე ქ. გორიდან (თქვენი ძია გიოს მეუღლის, სოფიოს დისწული). წილად მხვდა ბედნიერება მქონოდა გარკვეული ურთიერთობა თქვენს ოჯახთან. გორის ცნობილი მიწისძვრის შემდგომ განსვენებული დედათქვენი ჩამოვიყვანე გორიდან და გასაბჭოებამდე ჩემს ოჯახში მყავდა. ჩემს წამებულ ცხოვრებაში ყველაზე საამაყოა თქვენთან შეხვედრა ბაქოს ბაილოვის ციხეში 1908 წ. (ი. სტალინი ზაქარ გრიგორ-მელიქიანცის გვარით დაპატიმრებულ იქნა ბაქოში. მოათავსეს ბაილოვის ციხეში. განაჩენის მიხედვით ი. სტალინს აეკრძალა 5 წლით კავკასიაში ყოფნა – გ. ს.), სადაც თქვენთან, ანდრია ვიშინსკისთან, სერგო ორჯონიკიძესთან, პავლე საყვარელიძესთან და სხვებთან ერთად ჩემი ილიაც იმყოფებოდა პატიმრად. თუ გაგახსენდებათ, თქვენი პირადი დავალებით, მე სისტემატურად გამქონდა ციხიდან ბარათები მახლობელ ქარხანასა და სასადილოში ადრესატებისათვის გადასაცემად.

გეხსომებათ აგრეთვე, რომ იმავ ბაილოვის ციხეში ყოფნისას, როდესაც თქვენი თქმით: „...ვინ იცის საით გამგზავნონ და დედა ველარ ვნახო"-ო, – მე უდიდესი სიხარულით ვიკისრე დედათქვენის გორიდან ჩამოყვანა (მე და კეკე ბავშვობიდანვე ვიცნობდით ერთმანეთს) და ჩამოგიყვანეთ კიდეც. მაშინ მე და კეკე ორ კვირას დავრჩით ბაქოში (გავჩერდით საცხოვრებლად ანიკო ჯოხაძის ოჯახში) და ამ ხნის განმავლობაში ყოველდღე გნახულობდით. ამაზე შეწყდა ჩვენი ურთიერთობა...

ჩემი მეუღლე – ილია ნადირაძე მეფის სატრაპებმა სამუდამოდ გადაკარგეს ციმბირში. დავრჩი მე და ჩემი ერთადერთი ვაჟი ირაკლი, რომელიც 1926 წლამდე მძიმე შრომით გამოვზარდე. 1926 წელს კი ჩემი ირაკლი დაუკითხავად, თვითნებურად წავიდა საზღვარგარეთ – საფრანგეთში უმაღლესი ცოდნის მისაღებად. იქ დაამთავრა საფეიქრო-საინჟინრო ინსტიტუტი და იქვე დარჩა სამუშაოდ.

1946 წ. სექტემბერში საქართველოს შინსახკომმა მოულოდნელად მაცნობა, რომ ჩემი ირაკლი მათ უწყებაში იმყოფება – ქ. ტფილისში. 1947 წ. იანვრიდან ირაკლის შესახებ აღარაფერი ვიცი.

პერსონალური პენსიის დანიშვნით მთავრობამ დამიფასა ჩემი პატარა წვლილი (რაც დედათქვენმაც დამიმოწმა) ჩვენი ერის რევოლუციონურ წარსულში. მაგრამ ჩემმა უბედურმა შვილმა სამუდამოდ გამიუკუღმართა არსებობა. დღეს ცალი ფეხი სამარეში მიდგას და ჩემს უკანასკნელ სანუკვარ ოცნებას ჩემი ირაკლის ნახვა შეადგენს... ჩემო სოსო, ოცი წლის უნახავი შვილის განცდა მძაფრია დედისათვის, რომელსაც შვილი ცოცხალი არც კი ეგულება!.. გაიხსენეთ დედათქვენის შეხვედრა ბაილოვის ციხეში თქვენთან და მაჩვენეთ ჩემი უბედური ირაკლი, გამაგებინეთ მაინც ცოცხალი თუ არის და სად იმყოფება!...

ქ. ტფილისი, ვერხარნის ქ. N 5 3.III.48 წ. თეკლე ნადირაძე".[379]

## საბჭოთა დაზვერვის როლი და მნიშვნელობა რეემიგრაციულ პროცესებში. საბჭოთა მზვერავები, ცოლ-ქმარი ვარდო მაქსიმელიშვილი და დავით მატარაძე. ილია თავაძე. პეტრე შარია

მსოფლიოს ახლებურად მოწყობის საკითხი ჯერ კიდევ მოკავშირეთა ლიდერების 1943 წლის თეირანის კონფერენციაზე დაისვა. მომწიფებული იყო აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ აუცილებელი იყო მოკავშირე სახელმწიფოების (აშშ, ინგლისი, სსრ კავშირი) და ასევე ჩინეთის მონაწილეობით ჩამოყალიბება ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციისა, რომელიც უზრუნველყოფდა მსოფლიოში გრძელვადიან მშვიდობას. სტალინის აზრით, ეს უნდა ყოფილიყო: „...орган, который принуждает"*. ასე ჩაეყარა საფუძველი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნის იდეას. ამ ორგანიზაციის შექმნაზე ისაუბრეს სტალინმა და ჩერჩილმა 1944 წლის ოქტომბერში მოსკოვის კონფერენციაზე. ამ შეხვედრაზე სერიოზული მსჯელობის საგანი იყო: გერმანიის უპირობო კაპიტულაცია, გერმანიის დაყოფა ზონებად, რეპარაცია, კონტროლის დაწესება გერმანიის ეკონომიკაზე, პოლონეთის ემიგრანტული მთავრობისა და იუგოსლავიის საკითხი.

ახალი მსოფლიო წესრიგის დამკვიდრების საქმეში ერთ-ერთი გარდამტეხი სიტყვა ითქვა მოკავშირეთა ლიდერების მიერ 1945 წლის თებერვლის იალტის (ყირიმის) კონფერენციაზე. ამავე კონფერენციაზე გაიმართა ასევე მოლაპარაკებები ბრიტანეთის, აშშ-ისა და საბჭოთა დელეგატებს შორის დიდი ბრიტანეთის, საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ტყვეებისა და სამოქალაქო პირების, რომლებიც განთავისუფლებულ იქნენ მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების მიერ, დაცვის, შენახვისა და რეპატრიაციისათვის სრულყოფილი ხელშეკრულების მოსამზადებლად. სულ მალე ეს ხელშეკრულება ხელის მოსაწერად მზად იყო. ხელშეკრულება დიდ ბრიტანეთსა და სსრ კავშირს შორის ხელმოწერილ იქნა საგარეო საქმეთა მინისტრების, ვ. მ. მოლოტოვისა და იდენის მიერ, ხოლო ხელშეკრულება სსრ კავშირსა და აშშ-ს შორის ხელმოწერილ იქნა მათი წარმომადგენლების, გენერალ-ლეიტენანტ გრიზლოვისა და გენერალ დინის მიერ. სამივე მხარემ, ხელმოწერილი დოკუმენტების თანახმად, იკისრა ურთიერთდახმარებისა და მხარდაჭერის ვალდებულება.

სამხედრო ტყვეების, სამოქალაქო პირებისა და, განსაკუთრებით, სამხედრო დამნაშავეთა საკითხი კიდევ ერთხელ დაისვა მოკავშირეების 1945 წლის ივლის-აგვისტოს პოტსდამის კონფერენციაზე. როგორც ჩანს, ეს პრობლემა იმდენად მწვავედ იდგა, რომ სტალინს შემდეგი სიტყვები ათქმევინა: „Мы обязаны в этих случаях, по договору оказывать друг другу помощь и не мешать гражданам возвращаться на родину, а наоборот, помогать им возвращаться домой"**. აქედან გამომდინარე, საბჭოთა დელეგაციამ აშშ-ის პრეზიდენტსა და ინგლისის პრემიერ-მინისტრს გადასცა მემორანდუმი იმასთან დაკავშირებით, რომ ავსტრია და გერმანია სამშობლოში დასაბრუნებლად წინააღმდეგობებს უქმნიდა საბჭოთა მოქალაქეებს.[75]

* ორგანო, რომელიც აიძულებს

** ასეთ შემთხვევაში ჩვენ ვალდებულები ვართ, ხელშეკრულების საფუძველზე, გავუწიოთ ერთმანეთს დახმარება და არ შევუშალოთ ხელი მოქალაქეებს სამშობლოში დაბრუნებაში, პირიქით, ხელი უნდა შეუწყოთ მათ დაბრუნებას.

ყოფილ სამხედრო ტყვეთა და საბჭოთა კავშირიდან ერთ დროს ემიგრირებულ პირთა სამშობლოში დაბრუნებასთნ დაკავშირებით სსრ კავშირმა დაიწყო სათანადო წინაპირობების მომზადება და, პროცესის უზრუნველსაყოფად, შესაბამისი იდეოლოგიური და პროპაგანდისტული საქმიანობა. საბჭოთა კავშირში დაბრუნებას დაექვემდებარნენ ის პირები, რომელთაც იარაღით ხელში არ უბრძოლიათ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და რომელთა საქმიანობაც არ იყო დაკავშირებული უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებთან.

რეემიგრაციის პროცესის დაჩქარებაზე დიდად იმოქმედა მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვებამ. მასში განსაკუთრებული როლი ითამაშეს საბჭოთა კავშირის დიპლომატიურმა მისიებმა საზღვარგარეთ და საბჭოთა საგარეო დაზვერვამ. ამ უკანასკნელის წინაშე დასმულ ამოცანათა შორის მნიშვნელოვანი იყო რეემიგრაციის პროცესისათვის ხელის შეწყობა და, ოპერატიული თვალსაზრისით, საინტერესო გარემოში, სპეცსამსახურისათვის დამახასიათებელი ფორმებითა და მეთოდებით, ოპერატიული (სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო) საქმიანობის ორგანიზება.

ომის შემდეგ ემიგრანტთა თავშეყრის მთავარ ადგილად კვლავ საფრანგეთი რჩებოდა. აქედან გამომდინარე, ოპერატიული საქმიანობის თვალსაზრისით, საბჭოთა დაზვერვის რეზიდენტურის ერთ-ერთ სამოქმედო არეალად იქცა პარიზში კონცენტრირებული, ეგრეთ წოდებული, საბჭოთა ემიგრაცია, მათ შორის ქართული ემიგრაცია.

საფრანგეთში, გერმანიის განდევნის შემდეგ, განსაკუთრებით მის დედაქალაქ პარიზში თავი მოიყარეს საბჭოთა არმიის ყოფილმა ტყვე-ქართველებმა, რომელთა ნაწილიც, საკუთარი ბედ-იღბლის გასარკვევად ქართველ ემიგრანტ-ლიდერებთან ცდილობდა დაკავშირებას, ნაწილს კი საბჭოთა დიპლომატიური წარმომადგენლობების იმედი ჰქონდა.

თავდაპირველად, საფრანგეთში მყოფ საბჭოთა წითელი არმიის ყოფილ სამხედრო ტყვე-ქართველებს ნ. ჟორდანია და ზოგიერთი სხვა ემიგრანტი ევედრებოდნენ, რომ არ აჰყოლოდნენ საფრანგეთის მთავრობის პროპაგანდას და სსრ კავშირში დაბრუნებულიყვნენ. ისინი თვლიდნენ, რომ ი. სტალინი და საბჭოთა ხელისუფლება ქართველებს უახლოეს 3-4 წელიწადს ხელს არ ახლებდა. ამ დროს კი ყოფილი ტყვეები დაოჯახებასა და გამრავლებას მოასწრებდნენ, რაც აგრეთვე სჭირდებოდა საქართველოს. მოგვიანებით, ქართველი ემიგრანტი-ლიდერების შეხედულებები რეემიგრაციის პროცესებისადმი რადიკალურად შეიცვალა.

შექმნილი რთული ოპერატიული ვითარებიდან გამომდინარე, საბჭოთა დაზვერვის წინაშე მდგარი ამოცანების გადასაწყვეტად, აუცილებელი იყო ოპერატიული ძალებისა და საშუალებების კონცენტრაცია და მათი ეფექტურად მართვა, რაც არ იყო იოლი საკითხი. ოპერატიულ-საინფორმაციო ბაზა ფარული საქმიანობისათვის – იგულისხმება ადამიანთა კონტინგენტი, მრავალფეროვანი იყო. მათთან ოპერატიული ურთიერთობების აღსადგენად ან დასამყარებლად და სათანადო სამუშაოების საწარმოებლად მიზანშეწონილი იყო სსრკ საგარეო დაზვერვის პარიზის რეზიდენტურაში ეროვნებით ქართველების, სსრკ საგარეო დაზვერვასთან კონფიდენციალურ ურთიერთობაში მყოფი პირებისა და კადრის მზვერავების მივლინება.

პარიზში 1945 წლის დასაწყისში მივლინებული პირველი ასეთი პიროვნება გახლდათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი პეტრე შარია. მას, გარდა იმისა, რომ უნდა მოეგვარებინა ქართული ეროვნული ფასეულობებისა და თვით ქართული განძის მეჭურჭლეთუხუცესის, ექვთიმე თაყაიშვილის საბჭოთა კავშირში დაბრუნებასთან დაკავშირებული საკითხები, გარკვეული სამუშაოები უნდა ეწარმოებინა რეპატრიაციის პროცესის იდეოლოგიური უზრუნველყოფის მიმართულებითაც. ამ თვალსაზრისით, მისი ძირითადი ყურადღება გადატანილ იქნა ქართველ ემიგრანტ-ლიდერებზე. მას უნდა დაერწმუნებინა ისინი, რომ საბჭოთა ხელისუფლება საზღვარგარეთ სხვადასხვა დროს გადახვეწილი ქართველებისა და ემიგრანტული მთავრობის ლიდერების მიმართ ლოიალურად იყო განწყობილი და გულწრფელად სურდა მათი სამშობლოში დაბრუნება.

პ. შარია ქართველ ემიგრანტებთან კავშირს, ძირითადად, საფრანგეთში სსრ კავშირის საელჩოს შენობაში ამყარებდა, თუმცა კონფიდენციალური შეხვედრებიც ჰქონდა ცალკეულ ემიგრანტებთან პარიზის რესტორნებში, მათ საცხოვრებელ ბინებსა და ლევილშიც კი. პ. შარიას ეხმარებოდა საფრანგეთში სსრკ საგარეო დაზვერვის რეზიდენტურა, პირადად რეზიდენტი ა. გუზოვსკი, სსრ კავშირის ელჩი საფრანგეთში ა. ბოგომოლოვი, აგრეთვე ემიგრანტები გ. გეგელია, ნ. ნიჟარაძე, შ. კობახიძე და სხვები.

ანტისაბჭოთა განწყობის ქართველი ემიგრანტები პ. შარიას პარიზში გამოჩენას დიდი ენთუზიაზმით არ შეხვედრიან, ვინაიდან ის მათთვის ავტორიტეტს არ წარმოადგენდა. უფრო მეტიც – მათი უმეტესობა ცდილობდა, პ. შარიასგან შორს ყოფილიყო.

გიორგი გეგელიას შუამავლობით, პარიზის განაპირა უბანში პეტრე შარია შეხვდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთ ლიდერს, სპირიდონ კედიას. შეხვედრამდე გ. გეგელია არწმუნებდა პ. შარიას, რომ ძველმა ეროვნულ-დემოკრატმა, თითქოსდა, შეიცვალა პოლიტიკური ორიენტაცია და დადებითად იყო განწყობილი საბჭოთა კავშირის მიმართ. სპ. კედიასთან ხანმოკლე საუბრის შემდეგ, რომელიც ეხებოდა ქართულ ემიგრაციაში შექმნილ ვითარებას და ემიგრანტთა განწყობას მეორე მსოფლიო ომის მიჯნაზე, პ. შარია დარწმუნდა, რომ სპ. კედია საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგედ რჩებოდა.

პ. შარიას საფრანგეთში ორი შეხვედრა ჰქონდა სოციალ-ფედერალისტთა ერთ-ერთ ლიდერთან, სამსონ ფირცხალავასთან. შეხვედრებს ორგანიზება გაუწია ემიგრანტმა მეუნარგიამ.

პ. შარიას სასტუმროში რამდენჯერმე ეწვია ქართველი ემიგრანტი, სოციალ-ფედერალისტი გოგოლაშვილი, თუმცა ეს კონტაქტიც უპერსპექტივო აღმოჩნდა.

იყო სხვა შეხვედრებიც, კერძოდ, ემიგრანტებთან, გობეჩიასთან და წერეთელთან. აკაკი ნიჟარაძემ პ. შარიას გაიცნო ქართველი ემიგრანტი, იმხანად საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის ა. რაფავას ცოლისძმა და ამავდროულად ნოე ჟორდანიას ძმისშვილი – გოგი ჟორდანია. ეს უკანასკნელი 30-იანი წლების მიწურულს მკვლელობისათვის საქართველოდან არალეგალურად იყო გაქცეული. შემდგომში აქტიურად თანამშრომლობდა გერმანელ ნაცისტთა სადაზვერვო ორგანოებთან, ენეოდა ქართველი ტყვეების გადაბირებას ქართულ ლეგიონებში.

ალექსანდრ გუზოვსკის ინიციატივით, პ. შარიას გააცნეს პარიზის კონსერვატორიის სტუდენტი, შემდგომში ცნობილი პიანისტი ეთერ რუხაძეც, რომელმაც მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

პ. შარიას შეხვედრებს ქართული ემიგრაციის წარმომდგენლებთან დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს ნ. ჟორდანია და ევგ. გეგეჭკორი. ამ უკანასკნელებით აქტიურად იყო დაინტერესებული საფრანგეთში სსრ კავშირის საგარეო დაზვერვის რეზიდენტურა. ა. გუზოვსკი ცდილობდა პირადად შეხვედროდა ნ. ჟორდანიასა და ევგ. გეგეჭკორს, რომლებიც, მისი აზრით, კვლავ რჩებოდნენ საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველთა ლიდერებად და ავტორიტეტულ პიროვნებებად. საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებთან კონტაქტების წინააღმდეგი არც ნ. ჟორდანია და ევგ. გეგეჭკორი იყვნენ, პირიქით, პ. შარიას საბჭოთა საქართველოსთან ურთიერთობა მათი ინტერესის სფეროშიც შედიოდა. ევგ. გეგეჭკორის შეხვედრა პ. შარიასთან ა. გუზოვსკის უშუალო ხელშეწყობითა და მხარდაჭერით შედგა პარიზის მახლობლად, ფონტენებელოს ტყეში სახელდახელოდ ორგანიზებულ ქართულ სუფრასთან. ევგ. გეგეჭკორს არ დაუმალავს, რომ ქართული ემიგრაცია, როგორც ერთიანი და მონოლითური ორგანიზაცია, უკვე აღარ არსებობდა და რომ იგი იმ პერიოდისათვის წარმოდგენილი იყო დაქსაქსული ჯგუფების სახით. ამავე დროს, ევგ. გეგეჭკორმა შარია-გუზოვსკის აგრძნობინა, რომ კარგი ურთიერთობები ჰქონდა დამყარებული აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებთან და საქმის კურსში იყო მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ სსრ კავშირთან მიმართებით მათი გეგმების თაობაზე. შემდგომი დისკუსია ამ მიმართულებით აღარ გაგრძელებულა.

ზემოაღნიშნული შეხვედრით ორივე მხარეს საკუთარი მიზნების მიღწევა სურდა. ევგ. გეგეჭკორი შეეცადა გარკვეულიყო ომის დასრულების მიჯნაზე საბჭოთა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის არსში, რათა, აქედან გამომდინარე, ქართული ემიგრაციისათვის განსაზღვრულიყო ანტისაბჭოთა საქმიანობის ტაქტიკურ-სტრატეგიული ამოცანები, ხოლო ა. გუზოვსკი და პ. შარია ცდილობდნენ ქართველ სოციალ-დემოკრატთა ლიდერებზე „დადებითი ზეგავლენის მოხდენას", რათა ამ უკანასკნელთ ხელი აეღოთ შესაძლო ანტისაბჭოთა ღონისძიებებში ქართველების მონაწილეობაზე. აღნიშნული შეხვედრა უფრო გაცნობითი ხასიათისა იყო და მას რაიმე კონკრეტული შედეგი არ მოუტანია არც ერთი მხარისათვის.

შემდგომ ეტაპზე ერთმანეთს შეხვდნენ ნ. ჟორდანია და პ. შარია. პირველი შეხვედრის ორგანიზატორი, პ. შარიას თხოვნით, იყო ემიგრანტი ნიკოლოზ ბარნაბის ძე ნიჟარაძე. ერთი შეხვედრა შედგა პარიზში 1945 წლის თებერვალში სსრ კავშირის საკონსულოში, ხოლო მეორე – მოგვიანებით ნ. ნიჟარაძის ბინაში, ლევილში.

პეტრე შარია და ნოე ჟორდანია კიდევ ერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს, ამჯერად რესტორანში, რათა საბოლოოდ გარკვეულიყო ქართველ ემიგრანტთა გარკვეული ნაწილის სამშობლოში დაბრუნების საკითხი. აღნიშნული შეხვედრა კონფლიქტით დასრულდა, ვინაიდან შეზარხოშებულმა პ. შარიამ ქართველ ემიგრანტებს ნაძირლები უწოდა.

ქართველ ემიგრანტებთან და, განსაკუთრებით, ემიგრანტ-ლიდერებთან შეხვედრის შედეგად, პ. შარიას რატომღაც ჩამოუყალიბდა აზრი, რომ იმ პერიოდში

ნ. ჟორდანია და ეგგ. გეგეჭკორი ქართველი ემიგრანტების მონაწილეობით არ გეგმავდნენ ანტისაბჭოთა ღონისძიებებს. ანალოგიური მოსაზრება ასახა ანგარიშიც, რომელიც მან საფრანგეთში მივლინების შემდეგ წარუდგინა საკავშირო კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს.

პ. შარიასა და ა. გუზოვსკის ძალისხმევის შედეგი უნდა იყოს, რომ 1945 წლის მიწურულს საფრანგეთში ქართველ ემიგრანტთა ერთი ნაწილის (ა. მეუნარგია, ბ. სამხარაძე, ს. ჯანჯღავა, ო. ჩიჯავაძე, გ. გეგელია, ი. ენუქიძე, კ. კობახიძე, ვ. ფალავა) ინიციატივით შეიქმნა „ქართველ პატრიოტთა კავშირი". აღნიშნულის თაობაზე 1946 წლის 12 მარტით დათარიღებული სრულიად საიდუმლო გრიფის წერილით სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის პირველმა სამმართველომ (საბჭოთა საგარეო დაზვერვა) შეატყობინა საქართველოს სსრ სახელმწიფო უშუშროების სახალხო კომისარს, გენერალ-ლეიტენანტ ა. რაფავას.

„ქართველ პატრიოტთა კავშირის" ამოცანას წარმოადგენდა:

1. სსრ კავშირის კულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ მიღწევებზე ქართველი ემიგრაციის ინფორმირება;
2. ქართველი ემიგრანტების, წესიერი პატრიოტების სამშობლოში დასაბრუნებლად შესაბამისი პირობების მომზადება;
3. ქართულ ემიგრაციაში ანტისაბჭოთა ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლა და მათ მიმართ შესაბამისი ღონისძიებების გატარება;
4. პროსაბჭოთა პოზიციაზე მდგარ ემიგრანტულ წრეებთან კონტაქტის დამყარება.

„ქართველ პატრიოტთა კავშირის" დროებით მმართველობაში შედიოდნენ: სერგო ჯანჯღავა (თავმჯდომარე), ბაგრატ სამხარაძე (ვიცე-თავმჯდომარე), კონსტანტინე კობახიძე (ხაზინადარი), სიმონ კეკელიძე და გიორგი გეგელია.

კავშირი უშვებდა გაზეთ „ქართულ საქმეს", რომელსაც სარედაქციო კოლეგია (მეუნარგია – რედაქტორი, კობახიძე, გეგელია) ხელმძღვანელობდა. გამოიცა გაზეთის პირველი ნომერი.

1946 წლის 10 იანვარს „ქართველ პატრიოტთა კავშირმა" თბილისში დახმარებისათვის მიმართა საქართველოს კპ (ბ) ცკ-ის მდივანს პეტრე შარიას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საბჭოთა საგარეო დაზვერვამ აიღო ინიციატივა და შემდეგი შინაარსის მითითება მისცა საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატს:

„В письме правления Союза, адресованном тов. Шария (которое при этом прилагается) видно, что для выполнения поставленных задач Союзу необходимо получить помощь от Грузинской ССР в снабжении литературой, кино-фильмами и грузинского шрифта.

Просим Вас совместно с соответствующими органами и все необходимые материалы выслать нам для отправки в Париж.

О принятых Вами мерах просьба сообщить"*.[336]

---

* ამხანაგ შარიასთვის კავშირის გამგეობის მიერ გაგზავნილი წერილიდან (რომელიც თან ერთვის) ჩანს, რომ დასმული ამოცანების გადასაწყვეტად საჭიროა კავშირმა დახმარება მიიღოს საქართველოს სსრ-იდან, რაც ლიტერატურით, კინოფილმებითა და ქართული შრიფტით მომარაგებაში გამოიხატება. გთხოვთ, შესაბამის ორგანოებთან ერთად გამოგვიგზავნოთ ყველა აუცილებელი მასალა პარიზში

სამშობლოში დაბრუნებულმა პ. შარიამ პარტიულ-სამეურნეო საქმიანობა გააგრძელა. თუმცა, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ საბჭოურ რეპრესიებსა და ტოტალიტარული მმართველობისათვის დამახასიათებელ, სახელისუფლებო ინტრიგებს ვერც ის გადაურჩა. 1952 წლის 21 თებერვალს პ. შარია დააპატიმრეს „მეგრელ ნაციონალისტთა საქმესთან" დაკავშირებით.

ი. სტალინის გარდაცვალების შემდეგ პ. შარია გაათავისუფლეს და ის 1953 წლის აპრილში დაინიშნა სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ლ. ბერიას თანაშემწედ. ამ უკანასკნელის დაპატიმრების შემდეგ, 1953 წლის ივნისში პ. შარია ხელახლა დააპატიმრეს, ხოლო იმავე წლის სექტემბერში, სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის გადაწყვეტილებით, მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა საპატიმრო ვადის ვლადიმირის ციხეში მოხდით. პ. სუდოპლატოვი იგონებს:

„სტალინურ პრაქტიკას, მთელი ცხოვრება ციხეში ჰყოლოდა და არ გაეთავისუფლებინა მნიშვნელოვანი მოწმეები, თითქოსდა ბოლო მოეღო.

ამის პირველი დადასტურება იყო აკადემიკოს შარიას განთავისუფლება. მისი საპატიმრო ვადა მთავრდებოდა 1963 წლის 26 ივნისს. ის დაკავებულ იქნა იმავე დღეს, რომელ დღესაც დააპატიმრეს ლ. ბერია, ათი წლის წინ. ჩვენ შევთანხმდით, რომ ის, თუკი მას გამოუშვებდნენ, დაუკავშირდებოდა ეიტინგონის ან ჩემს ოჯახს და წარმოთქვამდა ფრაზას: „მე გადაწყვეტილი მაქვს დავიწყო ახალი ცხოვრება".

ჩვენ სულმოუთქმელად ველოდებოდით მისგან სიგნალს. მიუხედავად დიდი იმედისა, ჩვენ მაინც ვეჭვობდით, რომ მას გამოუშვებდნენ და სახლში, თბილისში დაბრუნების საშუალებას მისცემდნენ. ორი კვირის შემდეგ, მეუღლისაგან მოვიდა დადასტურება – პროფესორი შარია მოკლე ვიზიტით ესტუმრა ჩემს მეუღლეს. ეს უკანასკნელი მას იცნობდა ჯერ კიდევ სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სკოლიდან, მაშინ, როცა პ. შარია იყო წარმოსადეგი, საკუთარ თავში დარწმუნებული, ფილოსოფიის პროფესორი. ეხლა კი მან ის იხილა ღრმად მოხუცებული. თუმცა შარია თავისი სიცოცხლის ბოლომდე რჩებოდა საღ აზრზე, მტკიცე მახსოვრობით და დაკავებული იყო ფილოსოფიით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში. პ. შარია გარდაიცვალა 1983 წელს".[73]

ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაციის ლიდერებისადმი საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან, თუ შეიძლება ითქვას, კბილის მოსინჯვის პროცესი გაგრძელდა 1946 წლის მიწურულამდე.

1946 წლის ბოლოს, ქართველ სოციალ-დემოკრატთა საზღვარგარეთის ბიუროს ხელახლა არჩეული თავმჯდომარის, ვალიკო ჩუბინიძის სახელზე კონსტანტინოპოლიდან მოვიდა წერილი სარდიონ (სანდრო) მენაღარიშვილისგან, რომელიც ჯერ კიდევ იმყოფებოდა თურქეთში. წერილში მითითებული იყო, რომ სსრ კავშირთან მიმართებით ნ. ჟორდანიასა და ევგ. გეგეჭკორის პოზიციას და საბჭოთა ხელისუფლებასთან წარმოებული მოლაპარაკების პროცესს კატეგორიულად არ ეთანხმებოდნენ სტამბოლში, მეტიც, მათი ასეთი დამოკიდებულება მომავალ ანტისაბჭოთა საქმიანობას ძალზე ვნებდა და მოითხოვდა, რომ ნებისმიერი კონტაქტი საბჭოთა მხარესთან შეწყვეტილიყო, ხოლო ნ. ჟორდანია ჩამოეცილებინათ ამ პროცესიდან.

---

გასაგზავნად.გთხოვთ, შეგვატყობინოთ თქვენ მიერ მიღებული ზომების შესახებ.

ქართველ სოციალ-დემოკრატთა შეკრებაზე ნ. ჟორდანია შეეცადა საბჭოთა კავშირის მიმართ თავისი პოზიციის დასაბუთებას, თუმცა, აშკარა უმცირესობაში აღმოჩნდა. ნ. ჟორდანიას წინააღმდეგ გაილაშქრა აკ. ჩხენკელმა და მას შემდეგი სიტყვებით მიმართა: „Лучше было бы, если мы оба умерли бы, чем дожить до этого позора"*.

აღნიშნული პერიოდისათვის უკვე შეიმჩნეოდა გარკვეული ანტისაბჭოთა საქმიანობის გააქტიურება ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ერთი ფრთიდან. ჟორდანია-გეგეჭკორის ჯგუფი ჯერჯერობით ჩრდილში რჩებოდა. წინა პლანზე წამოიწია ნოე ცინცაძემ თავისი მხარდამჭერებითურთ, რომლებმაც მოინდომეს ირაკლი წერეთლის დაბრუნება პოლიტიკურ ასპარეზზე, თუმცა ამ უკანასკნელმა შემოთავაზებულ წინადადებაზე უარი განაცხადა.

1947 წლის აპრილში პარიზში გაიმართა ქართული სათვისტომოს კრება, რომელმაც აირჩია გამგეობა აშკარად ანტისაბჭოთა განწყობის ქართველებისაგან (შ. სკამკოჩაშვილი, ლევან ზურაბიშვილი, ვასო გაბელაშვილი, ალექსანდრე ჯინჭარაძე და სხვები).

1947 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღესთან დაკავშირებით, მიხეილ არსენიძის თავკაცობით მოეწყო ლიტერატურული საღამო, რომელიც პრაქტიკულად ანტისაბჭოთა ხასიათს ატარებდა.

გადიოდა დრო და სულ უფრო ცხადი ხდებოდა, რომ ნ. ჟორდანიას შეპირება – მისი მხრიდან რეემიგრაციის პროცესის მხარდაჭერა – ფიქცია იყო. ეს კარგად ესმოდა საბჭოთა დაზვერვას.

ომის შემდგომ პერიოდში საბჭოთა სპეცსამსახურები ასევე დიდ დაინტერესებას იჩენდნენ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის, სპირიდონ კედიას მიმართ. ამ უკანასკნელის სსრ კავშირში დაბრუნებაზე დაყოლიების ერთ-ერთ სადაზვერვო-ოპერატიულ კომბინაციაში მონაწილეობდნენ ილია თავაძე (მასზე ცალკე გვექნება საუბარი), ემიგრანტები გიორგი გეგელია და კონსტანტინე კობახიძე. კ. კობახიძემ სპ. კედიას მეუღლე და ქალიშვილი პარიზში ჯერ ერთ-ერთ კონცერტზე, ხოლო მისი დასრულების შემდეგ რესტორანში მიიპატიჟა. კ. კობახიძის ამოცანას წარმოადგენდა სპ. კედიას ოჯახის წევრების რაც შეიძლება დიდხანს შეყოვნება და პარალელურად მათზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების მოხდენა იმ მოტივით, თითქოსდა, ნიჭიერი პიანისტისათვის დასავლეთში ადგილი არ იყო და სპ. კედიას ქალიშვილის უნარი და შესაძლებლობები სრულად მხოლოდ საბჭოთა კავშირში გამოვლინდებოდა.

პარალელურად, ი. თავაძე და გ. გეგელია სპირიდონ კედიას თავის საცხოვრებელ სახლში – კალმარში ეახლნენ. ამ მარტივი ჩანაფიქრის მიზანი ის გახლდათ, რომ შინ მარტოდ დარჩენილი ასაკოვანი და ჯანმრთელობაშერყეული სპ. კედია ზემოქმედებას ვეღარ გაუძლებდა და საბჭოთა კავშირში დაბრუნებაზე დათანხმდებოდა, როგორც მათ ეს ზოგიერთ სხვა ემიგრანტებთან მიმართებაში მოახერხეს, თუმცა ეს მცდელობაც წარუმატებლად დასრულდა. „დააბრუნეთ ციმბირიდან გადასახლებული ქართველები, გაიყვანეთ რუსული ჯარი, გააბატონეთ სიტყვისა და პრესის თავისუფლება, მაშინ მთელი ემიგრაცია დაბრუნდებაო," – მოკლედ მიუგო სპ. კედიამ. მოგვიანებით გ. გეგელია კიდევ ერთხელ ესტუმრა სპ. კედიას

* უკეთესი იქნებოდა, თუკი ორივე დავიხოცებით, სანამ ამ სირცხვილს მოვესწრებოდით.

ახლა უკვე საბჭოთა საგარეო დაზვერვის რეზიდენტის, ა. გუზოვსკის თანხლებით. ვერც ამ შეხვედრამ და საუბარმა მოუტანა წარმატება საბჭოთა დაზვერვას.

სპ. კედიაზე პროსაბჭოური ზემოქმედების მოხდენას ეცადნენ აგრეთვე ემიგრანტები მარგო მაყაშვილი, რომელიც ტროცკისტი იყო და წლების მანძილზე ცხოვრობდა ჯერ ირანში, ხოლო შემდეგ – საფრანგეთში, და ვერა ფაღავა. სპ. კედიას დაყოლიების პროცესში აქტიურობდა ემიგრანტი იოსებ გოგოლაშვილიც.

სპ. კედიას მეუღლე ქ-ნი სოფიო ჩიჯავაძე-კედია მიიჩნევს, რომ ქართველი ემიგრანტების სამშობლოში დაბრუნებაზე დაყოლიების პროპაგანდისტულ ღონისძიებებში საბჭოთა სპეცსამსახურებმა გამოიყენეს ცნობილი ქართველი მსახიობი ნატო ვაჩნაძეც, რომელიც 1946 წელს ესტუმრა კედიების ოჯახს ვინმე სლოვიცკისთან, თითქოსდა მის ნათესავთან (სინამდვილეში მეთვალყურესთან) ერთად. „აშკარა იყო ჩემთვის, რომ ნატა იყო ჩეკის კლანჭებში მომწყვდეული...“ – წერს ქ-ნი სოფიო თავის მემუარებში. ამ უკანასკნელთან საუბარში რამდენიმე წლის შემდეგ მსახიობ ცაცა ამირეჯიბს გამოუთქვამს ვარაუდი იმასთან დაკავშირებით, რომ 1953 წლის ივნისში ავიაკატასტროფაში ნ. ვაჩნაძის დაღუპვის მიზეზი სწორედ სპ. კედიას ოჯახთან და სხვა ცნობილ ემიგრანტებთან წარუმატებელი სტუმრობა ყოფილა. „ნატას აქ, ევროპაში ყოფნამ კარგი შედეგი არ იქონია, ცაცას ნათქვამი მე ისე გავიგე, რომ დანაშაულად მას ეს ჩაუთვალეს,“ – აღნიშნავს ქ-ნი სოფიო. ეს უკანასკნელი ასევე მიუთითებს იმხანად სპ. კედიას „მახეში“ გასაბმელ ღონისძიებებში გ. გეგელიას განსაკუთრებულ გააქტიურებაზე.[89]

მიუხედავად იმისა, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატი ლიდერები სსრ კავშირისათვის თითქოსდა საფრთხეს არ წარმოადგენდნენ, საბჭოთა ხელისუფლება, საბჭოთა საგარეო დაზვერვის მეშვეობით, მაინც ცდილობდა ნოე ჟორდანიაზე ზემოქმედების მოხდენას და სამშობლოში დაბრუნებაზე მის დაყოლიებას. ასე მაგალითად: 1947 წლის მარტში, მოსკოვში, სასტუმრო „ევროპაში“, ცნობილმა ექიმ-სტომატოლოგმა, პროფესორმა, ყოფილმა სოციალ-დემოკრატმა აპოლონ ურუშაძემ, რომელსაც თავის დროზე ახლო ურთიერთობები ჰქონდა ნოე ჟორდანიასთან, ამ უკანასკნელისათვის განკუთვნილი წერილი გადასცა რეემიგრანტ აკაკი ნიკოლოზის ძე ნიჟარაძეს (დაბ. 1909 წ. ქ. ფოთში), საბჭოთა საგარეო დაზვერვის პარიზის რეზიდენტურის საიდუმლო პირს, რომელიც საფრანგეთში ბრუნდებოდა. წერილში ა. ურუშაძე მოუწოდებდა ნოე ჟორდანიას, შეეწყვიტა ანტისაბჭოთა საქმიანობა საზღვარგარეთ და თავისი ძალისხმევა მიემართა საბჭოთა საქართველოს საკეთილდღეოდ.

პ. შარია, სსრკ საგარეო დაზვერვის პარიზის რეზიდენტურა, პირადად რეზიდენტი ა. გუზოვსკი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ნ. ჟორდანიას და სხვა ქართველ ემიგრანტ-ლიდერებს გარკვეული კონტაქტი ჰქონდათ ამერიკელებთან. ამის დამამტკიცებლად მათ მოჰყავდათ ის ფაქტი, თუ როგორ გადაარჩინეს ნ. ჟორდანია ამერიკელი სამხედროების მეშვეობით ემიგრანტებმა გაბელაშვილმა და ტარასაშვილმა გერმანელი ნაცისტებისაგან პარიზის განთავისუფლების შემდეგ, რათა ფრანგებს მასზე შური არ ეძიათ.[368]

ამერიკელთა და ინგლისელთა დაინტერესება ქართული პოლიტიკური ემიგრაციით, განსაკუთრებით ემიგრანტი-ლიდერებით, უფრო აშკარა გახდა, როდესაც ყოფილი მოკავშირეები ერთმანეთის მიმართ კონფრონტაციის გზას დაადგნენ.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან სულ მოკლე ხანში, არამარტო საბჭოთა საქართველოში, არამედ მეზობელ რესპუბლიკებშიც საინტერესო მოვლენა მოხდა – ხელისუფლების დონეზე აქტიურად დაიწყო საუბარი თურქეთის შემადგენლობაში არსებული ძირძველი ქართული მიწების სსრ კავშირისათვის (საქართველოს სსრ ადმინიტრაციულ-ტერიტორიული ერთეულისათვის) შემოერთების თაობაზე. ამასთან დაკავშირებით 1945 წლის 4 სექტემბერს საქართველოდან მოსკოვში სრულიად საიდუმლო გრიფის წერილიც კი გაიგზავნა. მასში მეცნიერულად იყო დასაბუთებული საქართველოს ისტორიული ტერიტორიების საქართველოსთვის გადმოცემის აუცილებლობა. წერილი ასე იყო დასათაურებული: „თურქეთის შემადგენლობაში არსებული საქართველოს ტერიტორიების საკითხთან დაკავშირებით". ბუნებრივია, ეს იდეა მოდიოდა საბჭოთა მთავრობის უმაღლესი ინსტანციებიდან და პირადად ი. სტალინიდან. ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით,. 1945 წლის 14 დეკემბერს გაზეთ „კომუნისტში" და 15 დეკემბერს „ზარია ვოსტოკაში", აგრეთვე მოსკოვის ცენტრალურ გაზეთებში გამოქვეყნდა ქართველი მეცნიერების, აკადემიკოსების სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის ერცელი სტატია-წერილი რედაქციის მიმართ „თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ".[169] ტერიტორიული პრეტენზიები თურქეთის მიმართ სომხეთსაც გაუჩნდა. ამ თემაზე ალაპარაკდნენ საბჭოთა აზერბაიჯანშიც. ამ უკანასკნელს ანალოგიური მოთხოვნები გაუჩნდა ირანის მიმართ.

ქართველ მეცნიერთა ზემოაღნიშნულ წერილს დიდი გამოხმაურება მოჰყვა თურქეთში. ქართველთა მოთხოვნას მოჰყვა საპასუხო წერილები, რომლებიც თურქეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში იბეჭდებოდა. საკითხი იმდენად იყო გამწვავებული, რომ ტერიტორიული პრეტენზიების საკითხი თურქეთის პარლამენტმაც კი განიხილა და აღნიშნული თემა ომისა და მშვიდობის რანგში აიყვანა. თურქეთის ინტერესები აქტიურად დაიცვა აშშ-მა და, ზოგადად, დასავლეთმა. საბჭოთა მხარეს ტერიტორიული პრეტენზიების საკითხი თურქეთის მიმართ, ორგანიზაციული თვალსაზრისით, იმდენად მაღალ დონეზე ჰქონდა აყვანილი, რომ მოთხოვნილი ტერიტორიების შესაძლო შემოერთების შემთხვევაში, ადმინისტრაციული ერთეულების ხელმძღვანელებიც კი იყვნენ დანიშნულები.

ზემოაღნიშნული იდეის მხარდაჭერისათვის, რაც საკავშირო ხელისუფლების უმაღლესი ელიტის დონეზე წყდებოდა, აუცილებელი იყო, თუნდაც ფორმალურად ქართული ემიგრანტული მთავრობის დასტური. საკითხი მეტად კონფიდენციალური იყო, თუმცა, როგორც ჩანს, ეს თანხმობა საბჭოთა ხელისუფლებამ ჯერ კიდევ დე-ფაქტო საქართველოს დევნილი მთავრობისაგან მაინც მიიღო.

საბოლოოდ, ძირითადად მსოფლიოში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოსთვის ამ მეტად მნიშვნელოვანი იდეის რეალიზაცია ვერ მოხერხდა.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და ემიგრანტილიდერები თითქოსდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საფრთხეს არ წარმოადგენდნენ, 1946 წლისათვის, საბჭოთა საგარეო დაზვერვის პარიზის რეზიდენტურას მიაჩნდა, რომ ნ. ჟორდანიამ და ევგ. გეგეჭკორმა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ გარკვეული მტრული საქმიანობა მაინც აწარმოეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. დაზვერვა თვლიდა, რომ ანტისაბჭოთა საქმიანობა იგეგმებოდა და ხორციელდებოდა ამერიკის სპეცსამსახურის რეკომენდაციით.

პრობლემის სიმწვავიდან გამომდინარე, „ცენტრმა" ჩათვალა, რომ აუცილებელი იყო ქართულ ემიგრანტულ წრეებში, როგორც საბჭოთა საგარეო დაზვერვის მნიშვნელოვან სადაზვერვო გარემოში, ოპერატიული საქმიანობის გააქტიურება.

მას შემდეგ, რაც პროფესორი პეტრე შარია დაბრუნდა საქართველოში საზღვარგარეთული მივლინებიდან და გაწეული საქმიანობის თაობაზე წერილობითი ანგარიში ჩააბარა როგორც საკავშირო კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, ასევე სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საფრანგეთში ქართულ ემიგრაციასთან მიმართებით დიპლომატიური და ოპერატიული საქმიანობის გააქტიურებისათვის პარიზში მოქმედ საბჭოთა წარმომადგენლობაში, ორი წლით მივლინებული ყოფილიყო ილია თავაძე, რომელიც ამ მიზნით, საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის მინისტრის თანამდებობიდან გადაყვანილ იქნა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ბეჭდვითი განყოფილების უფროსის მოადგილედ. ი. თავაძის, როგორც საბჭოთა დიპლომატის, ძირითადი მოვალეობა რეემიგრაციის პროცესისათვის მაქსიმალური ხელშეწყობა იყო, თუმცა საზღვარგარეთ მის გამგზავრებას სხვა მიზანიც ჰქონდა.

საფრანგეთში გამგზავრებაზე ი. თავაძის კანდიდატურას მხარი დაუჭირა სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს პირველმა მთავარმა სამმართველომ – საგარეო დაზვერვამ, რომლისგანაც მან, როგორც საბჭოთა საგარეო დაზვერვის აგენტმა – „გიორგიმ"[372] მიიღო სპეციალური დავალებები. სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს პირველ მთავარ სამმართველოში ი. თავაძე გაეცნო საფრანგეთში შექმნილ ოპერატიულ ვითარებას, ქართულ ემიგრაციასთან დაკავშირებულ მასალებს და მიმართულების ხელმძღვანელებთან ერთად შეადგინა სამომავლო გეგმები. ი. თავაძეს განემარტა, რომ ემიგრანტებთან მას კონტაქტი უნდა ჰქონოდა როგორც საბჭოთა დიპლომატს – ოფიციალურ პირს და არა დაზვერვის წარმომადგენელს. რაც შეეხება ოპერატიულ საქმიანობაში საბჭოთა სპეცსამსახურებისათვის მხარდაჭერას, ი. თავაძეს განუმარტეს, რომ საფრანგეთში მცხოვრები საბჭოთა საგარეო დაზვერვის ერთ-ერთი ყველაზე ღირებული და გამოცდილი აგენტი იყო გიორგი გეგელია, რომელიც ქართველ ემიგრანტებს შორის სათანადო სამუშაოების საწარმოებლად ჯერ კიდევ 20-იანი წლების დასაწყისში იქნა გაგზავნილი საზღვარგარეთ და რომელიც გამოადგებოდა მას ფარული საქმიანობისათვის. ი. თავაძეს გააცნეს მონაცემები სხვა ქართველებისაც, რომლებთან ურთიერთობებსაც სიფრთხილით უნდა მოჰკიდებოდა.

ხანმოკლე მომზადების შემდეგ ი. თავაძე 1946 წლის თებერვალში გაემგზავრა საფრანგეთში და დაიკავა სსრკ-ის საელჩოს მდივნის თანამდებობა. თავაძემ საბჭოთა საკონსულოში გაიცნო კონსული (ამავდროულად საბჭოთა საგარეო დაზვერვის რეზიდენტი) ა. გუზოვსკი, რომელთანაც მას შემდგომში ნორმალური ურთიერთობები ჩამოუყალიბდა. ი. თავაძე ადამიანური ხიბლით გამორჩეული პიროვნება იყო. ის სწრაფად ახდენდა დადებით ზეგავლენას მოსაუბრეზე თავისი ერუდიციითა და კომუნიკაბელურობით.

1946 წლის 11 ივნისს ი. თავაძემ საქართველოს კპ (ბ) ცკ-ის მდივანს კანდიდ ჩარკვიანს მიმართა წერილით, რომელშიც მოკლედ აღწერა საფრანგეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობაში არსებული სირთულეები. უპირველეს პრობლემას წარმოადგენდა ის, რომ 1937 წლიდან არ იყო საფრანგეთში ქართული

გაზეთები. საერთოდ შეწყვეტილი იყო კულტურული ურთიერთობები. არაფერი ისმოდა ორი წლის წინ საქართველოში გამგზავრებული ექვთიმე თაყაიშვილისაგან, რომელიც დაჰპირდა ემიგრანტებს, რომ ყველაფერს შეატყობინებდა წერილობით, თუმცა დანაპირები არ ჩანდა. პირიქით, საფრანგეთში გავრცელებული იყო ხმები, რომ ის და იმ პერიოდში სამშობლოში დაბრუნებული სხვა რეპატრიანტები დიდი ხნის დაპატიმრებულები იყვნენ.

ყველაზე დიდ პრობლემად ი. თავაძეს მაინც მიაჩნდა კულტურული კავშირების არარსებობა და ამ თვალსაზრისით გაწეული სუსტი მუშაობა. იყო სხვა პრობლემებიც.[337]

ი. თავაძემ არსებულ რთულ სიტუაციას სწრაფად აუღო ალღო და აქტიურ საქმიანობას შეუდგა. მისი მთავარი დასაყრდენი მართლაც გ. გეგელია აღმოჩნდა. ამ უკანასკნელის გარდა, ის სისტემატურად ხვდებოდა ქართველ ემიგრანტებს: კობახიძეს, მეუნარგიას, რომანიშვილს და სხვებს.

შეხვედრები ემიგრანტებთან ტარდებოდა საფრანგეთის საბჭოთა წარმომადგენლობებში, აგრეთვე რესტორნებში, ემიგრანტთა და საკუთრივ ი. თავაძის ბინაში. კონტაქტის დამყარება ქართველ ემიგრანტებთან არ იყო მარტივი საქმე, ვინაიდან საბჭოთა წარმომადგენლებთან ღია ურთიერთობები ყოველთვის გარკვეულ ეჭვს ბადებდა, ამიტომ უმეტესობა ემიგრანტებისა ამ შეხვედრებს გაურბოდა. სიტუაციის არაორდინალურობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ წლების მანძილზე საბჭოთა სპეცსამსახურებთან კონფიდენციალურ ურთიერთობაში მყოფი პირები, რომლებიც შემდგომ საფრანგეთში აღმოჩნდნენ, ზოგჯერ საკუთარი ინიციატივითაც გადიოდნენ კონტაქტზე საბჭოთა წარმომადგენლებთან და თავს ახსენებდნენ. მაგალითად, ემიგრანტი მეუნარგია ერთ-ერთ შეხვედრაზე გაეცნო ი. თავაძეს და აუწყა, რომ ომამდე თანამშრომლობდა საბჭოთა სპეცსამსახურებთან (მასთან სხვადასხვა დროს ურთიერთობა ჰქონდათ ოპერატიული მუშაკებს: მალანიას, ქავთარაძეს, ჯორბენაძეს) და გამოთქვა უკმაყოფილება იმის თაობაზე, რომ საბჭოთა საელჩო მას არ ენდობოდა და არ აძლევდა შესაბამის დავალებებს.

ი. თავაძე ხშირად სტუმრობდა ქართული ემიგრაციის ლიდერებს ნ. ჟორდანიასა და ევგ. გეგეჭკორს და ცდილობდა საქართველოში დაბრუნებაზე მათ დაყოლიებას. ის ქართველ ემიგრანტთა ლიდერებს ყურადღებას არ აკლებდა, პერიოდულად უგზავნიდა ქართულ ღვინოს, სხვადასხვა პროდუქტებს, ეხმარებოდა მატერიალურად. რაღაც მომენტში ი. თავაძეს თითქოს მოეჩვენა კიდეც, რომ ჟორდანია-გეგეჭკორი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ ლოიალურად განეწყვნენ და არ აპირებდნენ, ხელი შეეშალათ რეემიგრაციის პროცესისათვის. თუმცა, ი. თავაძემ, დიდი მცდელობის მიუხედავად, ნ. ჟორდანია და ევგ. გეგეჭკორი საქართველოში დაბრუნებაზე ვერ დაიყოლია.

ი. თავაძემ მიაღწია ქართული ემიგრაციის ლიდერებთან შეთანხმებას და მოამზადა ცნობილი დეკლარაცია: «Руководителей всех политических групп эммиграции»* – ემიგრანტების სამშობლოში დაბრუნებისა და ანტისაბჭოთა საქმიანობის მიზანშეუწონლობის შესახებ. აღნიშნულ დოკუმენტს ხელი მოაწერეს ქართული ემიგრაციის ლიდერებმა ალ. ასათიანმა, ალ. ქორქიამ, თ. კერესელიძემ და სხვებმა. აღსანიშნავია, რომ არც ერთი ზემოთ ნახსენები ემიგრანტი სამშობ-

* „ემიგრაციის ყველა პოლიტიკური ჯგუფის ხელმძღვანელს"

ლოში არ დაბრუნებულა. დოკუმენტადეე დარჩა აღნიშნული დეკლარაციაც.

ი. თავაძემ, გ. გეგელიას დახმარებით, შეძლო პარიზის ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის წინამძღვრის, ნიკოლოზ ზამბახიძის დაყოლიება და ეს უკანასკნელი ჩართო ქართველი ემიგრანტების სამშობლოში დაბრუნების პროპაგანდისტულ ღონისძიებებში. მანვე მოუწოდა ყოფილ სამხედრო ტყვეებსა და ანტისაბჭოთა განწყობის ემიგრანტებს, ხელი აეღოთ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ მტრულ საქმიანობაზე. ი. თავაძემ, მართალია, არცთუ ისე ეფექტურად, მაგრამ ნაწილობრივ მაინც მოახერხა რაჟდენ არსენიძის ნოე ჟორდანიას მიმართ კიდეე უფრო ოპოზიციურად განწყობა, უფრო სწორად, რაჟდენ არსენიძის ნ. ჟორდანიასთან წაკიდება.

ი. თავაძე სადაზვერვო საქმიანობაში დიდ დახმარებას უწევდა ა. გუზოვსკის. მისი ხელშეწყობით ა. გუზოვსკი ხშირად ხვდებოდა ქართველ ემიგრანტებს. მაგალითად, მან პ. შარიასთან ერთად მონაწილეობა მიიღო პარიზში ვახტანგ ღამბაშიძესთან და ქ. ტულუზაში პარტიზანული პოლკის მეთაურ ოთარ იშხნელთან შეხვედრაში. ა. გუზოვსკის დაუახლოვდა ყოფილი სამხედრო ტყვე ალექსანდრე ხეთაგური, რომელმაც ისარგებლა ამ დამოკიდებულებით და დაიყოლია ო. იშხნელი საბჭოთა არმიის ყოფილი პოლკოვნიკის, შარაბიძის პატიმრობიდან განთავისუფლებაზე. შარაბიძემ შემდგომში ისარგებლა ევგ. გეგეჭკორის ცოლის ძმის, საფრანგეთის არმიის ოფიცრის, გრიგოლ მგალობლიშვილის თანადგომით და მალულად დატოვა საფრანგეთის საზღვრები.

ი. თავაძის უშუალო მონაწილეობით, ემიგრანტების მეუნარგიას, კობახიძისა და გეგელიას ხელშეწყობით, პარიზში 1946-1947 წლებში გამოდიოდა პატრიოტული ყაიდის გაზეთი „ქართული საქმე", რომლის თითოეული ნომრის გამოშვება საბჭოთა დაზვერვას 35 ათასი ფრანკი უჯდებოდა.

რეპატრიაციის ფართომასშტაბიან პროცესში, როგორც აღინიშნა, აქტიურად მონაწილეობდა საბჭოთა დიპლომატია და პარტიული ნომენკლატურა, რომელთა უპირველესი ამოცანა, მეორე მსოფლიო ომში მიღწეული წარმატების ფონზე, ემიგრანტების და ყოფილი სამხედრო ტყვეების საბჭოთა კავშირში დაბრუნება და ამ პროცესის საბჭოთა იდეოლოგიის სასარგებლოდ გამოყენება იყო. ამ თვალსაზრისით, შესაბამისი დავალება მიიღო ცნობილმა ბოლშევიკმა და საბჭოთა პარტიულმა მოღვაწემ, 1921 წელს საქართველოში რუსეთის ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა, 1937 წლის სტალინურ რეპრესიებს გადარჩენილმა სერგო (სერიოჟა) ქავთარაძემ, რომელიც 1946 წლის ივლის-ოქტომბერში მონაწილეობდა პარიზის საზავო კონფერენციაში.

სწორედ ს. ქავთარაძე გააგზავნეს 1921 წლის 17 მარტს ბათუმში ქართველმა ბოლშევიკებმა, საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, საქართველოს მთავრობის მეთაურთან ნოე ჟორდანიასთან მოლაპარაკებების საწარმოებლად. მოსკოვის დავალებით ქართველი ბოლშევიკი ნოე ჟორდანიას სთხოვდა ხელი მოეწერა საქართველოს მთავრობის გადადგომის განცხადებაზე. ამის შემდეგ საქართველოში რევოლუციური კომიტეტის (რევკომის) მიერ ხელისუფლების აღება ლეგიტიმაციის ნიშნებს იძენდა. ნოე ჟორდანიამ ს. ქავთარაძეს კატეგორიული უარი უთხრა და განუცხადა: მე ხელს არ მოვაწერ განცხადებას მთავრობის გადადგომის თაობაზე და თქვენ საქართველოში მუდამ იქნებით ოკუპანტები. ს.

ქავთარაძის მისიის ჩაშლა იმას ნიშნავდა, რომ საქართველოში ხელისუფლების გადაცემა არ შედგა, რევკომი კანონიერი ხელისუფლების ადგილზე მოსულ უზურპატორად დარჩა. მოლაპარაკებები, რომლებიც ერთ პატარა ვაგონში მიმდინარეობდა, უშედეგოდ დამთავრდა, ხოლო სერიოჟა ქავთარაძეს რამდენიმე დღე პატიმრობაში მოუწია ყოფნა.

იმ პერიოდში პარიზში თავი მოიყარა მრავალმა დიპლომატმა. წარმომადგენლობითი იყო სსრ კავშირის დელეგაცია. თავის მოვალეობებს ასრულებდნენ დიპლომატიურ საფარქვეშ მოქმედი სხვადასხვა ქვეყნის მზვერავები. ს. ქავთარაძეს, კონფერენციაში მონაწილეობის გარდა, დავალებული ჰქონდა ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ლიდერებთან შეხვედრა და სამშობლოში დაბრუნებაზე მათი დაყოლიება. ამაში მას აქტიურად ეხმარებოდნენ საფრანგეთში სსრ კავშირის ელჩი ბოგომოლოვი, საგარეო დაზვერვის რეზიდენტურა და საბჭოთა დაზვერვასთან კონფიდენციალურ ურთიერთობაში მყოფი პირები.

ნოე ჟორდანიას შეხვედრას ს. ქავთარაძესთან ორგანიზება გაუწია ილია თავაძემ. ამ უკანასკნელმა გაუგზავნა საქართველოს დევნილი მთავრობის მეთაურს მსუბუქი ავტომანქანა და თანმხლები პირი. შეხვედრა შედგა ი. თავაძის საცხოვრებელ ბინაში. ს. ქავთარაძე შეეცადა სამშობლოში დაბრუნებაზე ნ. ჟორდანიას დაყოლიებას, თუმცა უშედეგოდ. მიზეზად ძველმა სოციალ-დემოკრატმა ასაკი და საქართველოში მისი ყოფნის აუცილებლობის არარსებობა („მეტ ბარგად ყოფნა") მოიმიზეზა. ს. ქავთარაძისთვის შეხვედრები ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ვერც სხვა წარმომადგენლებთან აღმოჩნდა შედეგიანი: ევგენი გეგეჭკორმა განაცხადა, რომ ვერ მიატოვებდა ვაჟის საფლავს; ალექსანდრე ასათიანმა მიზეზად ის მოიდო, რომ ომის დროს გერმანიის მთავრობასთან თანამშრომლობდა და „თქვენ იქ ხეირს არ დამაყრითო"; სპირიდონ კედიამ, რომელიც იმ პერიოდში მძიმედ დაავადებული იყო გულით, კატეგორიული უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ „საქართველოში თავისუფლება არ არსებობს და ამიტომ იქ ცხოვრება ჩემთვის შეუძლებელიაო...".[223]

პარიზის საზავო კონფერენციის მსვლელობისას ს. ქავთარაძეს მეტი შეხვედრები ქართული ემიგრაციის წარმომადგენლებთან აღარ ჰქონია.

ქართულ ემიგრაციასთან ოპერატიულ-სადაზვერვო საქმიანობის გააქტიურების მიზნით, ი. თავაძის საფრანგეთში ჩასვლიდან რამდენიმე თვეში, 1946 წლის მაისში, პარიზში, საბჭოთა დაზვერვის რეზიდენტურაში, შესაბამის საფარქვეშ, მივლინებულ იქნენ საბჭოთა საგარეო დაზვერვის გამოცდილი თანამშრომლები, ცოლ-ქმარი დავით მატარაძე და ვარდო მაქსიმელიშვილი, რომელთაც როგორც წინა თავებში ვიხილეთ, თურქეთში საბჭოთა საგარეო დაზვერვის სტამბულის რეზიდენტურაში საქმიანობით კარგი გამოცდილება შეიძინეს. სადაზვერვო საქმიანობის საწარმოებლად მათ საკმაოდ რთული ოპერატიული ვითარება დახვდათ.

ვარდო მაქსიმელიშვილი და დავით მატარაძე პარიზში იმყოფებოდნენ 1951 წლის აგვისტომდე. ამ დროისათვის ვ. მაქსიმელიშვილს საბჭოთა საგარეო დაზვერვაში მუშაობის რვაწლიანი სტაჟი ჰქონდა და უფროსი ოპერატიული თანამშრომლის თანამდებობა ეკავა. ვარდო მაქსიმელიშვილის საფრანგეთში გამგზავრება განაპირობა მისმა პირადმა და პროფესიულმა თვისებებმა, ფრანგული ენის კარგმა ცოდნამ და „ცენტრში" საზღვარგარეთ ქართული ემიგრაციის

მიმართულებით ოპერატიული საქმიანობის გამოცდილებამ, აგრეთვე ლ. ბერიას რეკომენდაციამ.

ვარდო მაქსიმელიშვილს, მისი პირველ მთავარ სამმართველოში მუშაობის პერიოდში, ძირითადად, ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაციის ოპერატიული დამუშავება ევალებოდა. აქედან გამომდინარე, ის საქმის კურსში იყო ამ მიმართულებით განხორციელებული თითქმის ყველა ღონისძიების თაობაზე.

ცოლ-ქმარ მატარაძეების მიელინების კონკრეტული მიზანი იყო: ოპერატიული საქმიანობის გააქტიურებით ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაციის, როგორც ორგანიზაციული ერთობის დაშლა; ანტისაბჭოთა საქმიანობით დაკავებული ცალკეული ქართველი ემიგრანტების დისკრედიტაცია; ქართველი ემიგრანტების საბჭოთა კავშირში დაბრუნების პროცესის ოპერატიული უზრუნველყოფა; ქართველ ემიგრანტებს შორის საგადმომბირებლო საქმიანობის წარმოება; პოლიტიკური და სამეცნიერო-ტექნიკური ხასიათის ინფორმაციის მოპოვება.

მათ წინაშე დასმული ამოცანებიდან გამომდინარე, უმთავრესი იყო ოპერატიულ-სადაზვერვო ინფორმაციის მოსაპოვებლად და სპეციალური ღონისძიებების გასატარებლად ფარული საქმიანობის წარმოება – შეძლებისდაგვარად ძველი კონტაქტების აღდგენა და ახლის „შეძენა“. ერთ-ერთი პირველი, ვისთანაც ვ. მაქსიმელიშვილმა და დ. მატარიძემ ოპერატიული კონტაქტი დაამყარეს, იყო გიორგი გეგელია. ეს მოხდა 1946 წლის ივლისში. კარგი ოპერატიული მუშაობის შედეგი იყო თუნდაც ის, რომ დ. მატარაძემ საბჭოთა საგარეო დაზვერვის ერთ-ერთი აგენტიდან მიიღო შეტყობინება იმის თაობაზე, რომ ქართველი ემიგრანტი-ემისრები მამია ბერიშვილი და ალექსანდრე ტატიშვილი ემზადებოდნენ სსრ კავშირის საზღვრის გადაკვეთისათვის, თუმცა საბჭოთა სპეცსამსახურებმა ზემოაღნიშნულ პირთა საქრათველოში ფარულად შეღწევა ვერ აღკვეთეს. ვ. მაქსიმელიშვილმა და დ. მატარაძემ 1946 წლის ბოლომდე დარჩენილი პერიოდი ოპერატიული ვითარების შესწავლასა და ოპერატიულ-სადაზვერვო ბაზის მომზადებას მოანდომეს, რაც მათი საქმიანობის გეგმის ნაწილი იყო.[372]

დასაწყისში, სუბიექტურ თუ ობიექტურ მიზეზთა გამო, ოპერატიულ-სადაზვერვო საქმიანობა საფრანგეთში ქართულ ანტისაბჭოთა ემიგრაციასთან მიმართებით არცთუ ისე ეფექტური აღმოჩნდა, თუმცა შემდგომ წლებში ვითარება საგრძნობლად შეიცვალა.

ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში წარმატებებთან ერთად საბჭოთა საგარეო დაზვერვის პარიზის რეზიდენტურას პრობლემებიც საკმარისზე მეტი ჰქონდა.

1946–1948 წლებში ქართველ ემიგრანტებს შორის საგადამომბირებლო საქმიანობა სერიოზულად ჩავარდა. სხვადასხვა მიზეზთა გამო ვერ მოხერხდა საბჭოთა დაზვერვის მიერ ემიგრანტების ზ. ჩუბინიძის, რ. არსენიძის, ვ. წულაძის – ნოე ჟორდანიას ტექნიკური მდივნის ა. ჯინჭარაძისა და კ. სალიას გადმობირება. პირველმა ორმა მტკიცე უარი განაცხადა საბჭოთა დაზვერვასთან თანამშრომლობაზე, არადა, შესწავლის პროცესში მიღებული იყო ინფორმაცია საბჭოთა წყობილების მიმართ მათი ლოიალური დამოკიდებულების თაობაზე. ჯინჭარაძემ მართალია გადმობირებაზე თანხმობა განაცხადა, მაგრამ იმ დღესვე აღნიშნულის თაობაზე მოახსენა საფრანგეთის კონტრდაზვერვას, რასაც სკანდალი მოჰყვა.

საინტერესოა კ. სალიასთან დაკავშირებული ისტორია. ის ი. თავაძის საგადმომბირებლო წინადადებას დათანხმდა, რის შემდეგაც საბჭოთა რეზიდენტურას გამოართვა სოლიდური ოდენობის თანხა უცხოურ ვალუტაში, თითქოსდა გერმანიაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტის, მიხაკო წერეთლის საბჭოთა კავშირში დაბრუნებაზე დაყოლიებისათვის. კ. სალიამ თანხა მიიღო, შემდეგ კი გაუჩინარდა.[376]

ცხადია, ასეთი წარუმატებლობის გამო საბჭოთა საგარეო დაზვერვა უკმაყოფილო იყო, უპირველეს ყოვლისა, პარიზის რეზიდენტურით და მისი თანამშრომლებით. აქედან გამომდინარე, „ცენტრი" ცდილობდა ვითარების შეცვლას ძირითადად საკადრო-საორგანიზაციო გადაწყვეტილებებით. სწორედ ამას ემსახურებოდა რეზიდენტ გუზოვსკის ცნობილი საბჭოთა მზვერავით, ა. აგაიანცით შეცვლა.

1946 წლის ნოემბერში, მოსკოვში დაბრუნების შემდეგ, ა. გუზოვსკის ბედის ბორბალი უკუღმა დატრიალდა. ჩამოსვლისთანავე ის დაითხოვეს უშიშროების ორგანოებიდან. ოფიციალურ მიზეზად დასახელდა ადრეულ წლებში მისი მამის ესერთა პარტიის წევრობა. ცოტა ხანს გუზოვსკი უმუშევარი დარჩა. შემდეგ ერთ-ერთ გამომცემლობაში დაიწყო მუშაობა.

სიურპრიზი ი. თავაძესაც ელოდა. 1948 წლის 21 ივლისით დათარიღებული პირადი წერილით ი. თავაძემ მიმართა საქართველოს კპ (ბ) ცკ-ის მდივანს კ. ჩარკვიანს, რომელთანაც მეგობრული ურთიერთობები აკავშირებდა. იგი ითხოვდა მატერიალურ დახმარებას ემიგრანტების ვ. ვაჩნაძის, გ. მაყაშვილისა და გ. დავითაშვილის სამშობლოში დასაბრუნებელი ხარჯებისათვის. წერილში მითითებული იყო ისიც, რომ გასულ წელს ღებულობდნენ (იგულისხმება ალბათ, საბჭოთა საელჩო ან საკონსულო საფრანგეთში) ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, რაც მიმდინარე წელს ვერ ხერხდებოდა. „ჩემს აქ ყოფნას ანი აზრი არ აქვს, ამის შესახებ მოსკოვს მოვახსენე განმეორებით და ველოდები პასუხს," – აღნიშნავს ი. თავაძე წერილის ბოლოში.[377] ის 1948 წლის შემოდგომაზე გამოიძახეს მოსკოვში და დანიშნეს საშუალო დონის თანამდებობაზე – სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროს ბეჭდვის განყოფილების უფროსის მოადგილედ, ხოლო 1951 წელს სსრკ დესპანად სირიასა და ლიბანში, თუმცა მისი გამგზავრება ამ ქვეყნებში არ შედგა. სსრ კავშირში დაბრუნების შემდეგ მასთან კონტაქტს არ წყვეტდნენ ქართველი რემიგრანტები.

ი. თავაძე აშკარად გრძნობდა თავზე შავი ღრუბლების მოახლოებას და ფიქრობდა, რომ დაპატიმრება არ ასცდებოდა. მეგობრები ჩუმად ატყობინებდნენ, რომ „ცენტრის" ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი მისი პარიზული საქმიანობით უკმაყოფილო იყო და, აქედან გამომდინარე, მოსალოდნელი იყო უსიამოვნებები. დაპატიმრება ი. თავაძეს მართლაც არ ასცდა. ეს მოხდა „მეგრელ ნაციონალისტთა საქმესთან" დაკავშირებით.

რამდენიმეთვიანი პატიმრობის შემდეგ, ი. თავაძე 1953 წლის აპრილში გაათავისუფლეს, 1953 წლის აპრილ-ივნისში ის იყო თბილისის პარტსკოლის დირექტორი. ივლისში კვლავ დააპატიმრეს. 1955 წლის მარტში საბოლოოდ გაათავისუფლეს. მოხდა მისი სრული რეაბილიტაცია. 1955 წლის მაისში ი. თავაძე დაინიშნა საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის რექტორის თანამდებობაზე. ამ თანამდებობაზე მან დიდხანს დაჰყო.

ი. თავაძე იყო ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, იკვლევდა მატერიალისტური დიალექტიკისა და მარქსისტული ესთეტიკის პრობლემებს. დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლებით. გამოცემული ჰქონდა სამეცნიერო შრომები.

პარიზში, 1944–48 წლებში, რეზიდენტების ა. გუზოვსკის, ა. აგაიანცის, აგრეთვე პ. შარიას, ი. თავაძის, ვ. მაქსიმელიშვილისა და დ. მატარაძის საქმიანობის შედეგად საბჭოთა კავშირის საგარეო დაზვერვის პარიზის რეზიდენტურამ საერთო ჯამში გადაწყვიტა მათ წინაშე მდგარი ძირითადი ამოცანები. ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია საფრანგეთში, როგორც ერთიანი ორგანიზაცია პრაქტიკულად დაიშალა და იმ ეტაპზე იგი საბჭოთა ქვეყნისათვის საშიშ პოლიტიკურ ძალას აღარ წარმოადგენდა. მენშევიკური, ემიგრანტული მთავრობა მთლიანად დისკრედიტირებულ იქნა. გამოვლინდა ქართველ ემიგრანტთა ის ნაწილი, რომელიც აქტიურად თანამშრომლობდა გერმანელ ფაშისტებთან. რეზიდენტურამ მიიღო ინფორმაცია საქართველოში საზღვარგარეთის ემისრების არალეგალურად შეგზავნის თაობაზე. განხორციელდა სხვა სპეცოპერაციები, რომელთაგანაც აღსანიშნავია ქართული ეროვნული საგანძურისა და მისი მეჭურჭლეთუხუცესის, ექვთიმე თაყაიშვილის სამშობლოში დაბრუნება. წარმატებით მიმდინარეობდა ცალკეულ ემიგრანტთა გადმობირება და საბჭოთა ქვეყნის სასარგებლოდ მათ სამომავლო საქმიანობაში ჩართვის ღონისძიებები.

მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დავალებას საბჭოთა სპეცსამსახურებმა წარმატებით გაართვეს თავი და მათი ძალისხმევის შედეგად საზღვარგარეთის ანტისაბჭოთა ემიგრანტული ცენტრები და ცალკეული პირები საშიშნი აღარ იყვნენ, საბჭოთა იდეოლოგიურ მანქანას მაინც სურდა საბოლოოდ გაენადგურებინა ანტისაბჭოთა ემიგრაცია და მოტყუებით ან მოტაცების გზით დაებრუნებინა მათი ლიდერები საქართველოში. საბჭოთა მთავრობის მიერ სერიოზულად იგეგმებოდა ქართული ემიგრაციის ლიდერების მოტაცება პარიზიდან. ამ ღონისძიების ჩატარებისათვის თითქოს თავის დროზე ხელი შეუშლია ლ. ბერიას, რომლის მიმართ წაყენებულ ბრალდებებში ეს ფაქტიც ფიგურირებდა (ვინაიდან ეევგ. გეგეჭკორი მისი მეუღლის ბიძა იყო), თუმცა ბერიას დაპატიმრების შემდეგ, სკკპ ცკ პრეზიდიუმის 1953 წლის 5 აგვისტოს სხდომაზე უშიშროების მინისტრ კრუგლოვის მიერ გაკეთებული მოხსენებიდან გარკვეულა, რომ ქართული ემიგრაციის ლიდერთა პარიზიდან მოტაცების იდეა და შემდგომ ამ სპეცოპერაციის ჩატარებაზე უარის თქმა მოდიოდა არა ლ. ბერიადან, არამედ საბჭოთა ხელმძღვანელობის უმაღლესი ელიტიდან.[73]

თავი XI

# ომისშემდგომი პერიოდი და მორიგი საბჭოთა ტერორი

„საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ისევ აღიმართება, როგორც რუსის ხიშტი დატოვებს ქვეყანას; ის ხელახლა დაიწყებს თავის არსებობას, მხოლოდ გამდიდრებული, მართალია, მხოლოდ ულევეელი სამწუხარო გამოცდილებით . . .“

კარლ კაუცკი[12]

## „ემისრისა და ამერიკის დაზვერვის აგენტის“ გ. გაბინაშვილის მხარდამჭერთა საქმე“

1946 წლის 5 მარტს ფულტონში, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის, უინსტონ ჩერჩილის ისტორიული გამოსვლის შემდეგ, დაიწყო „ცივი ომის“ პერიოდი ორ განსხვავებულ საზოგადოებრივ სისტემას, ზოგადად დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, რომელიც ათეული წლები გაგრძელდა.

პროცესმა თავისი ასახვა ჰპოვა ადამიანთა ყოფა-ცხოვრებაზეც. გლობალურ დაპირისპირებას აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა ტოტალიტალური ქვეყნის შიგნით „მტრული ელემენტების“, „ჯაშუშების“, „ხალხის მტრების“ გამოაშკარავებისა და მწვავე სოციალური პრობლემების მათზე გადაბრალების მცდელობა. „მტრული ელემენტების“ მოძებნა კი ყველაზე იოლი რეემიგრანტებს, ყოფილ სამხედრო ტყვეებსა და მათ ახლო ნათესავებს შორის იყო.

სსრკ-ის პროპაგანდისტული მანქანის ძალისხმევითა და საბჭოთა სპეცსამსახურების აქტიური მხარდაჭერით, საბჭოთა კავშირში და მათ შორის საქართველოში დაბრუნება იწყეს ემიგრანტებმა, რომლებმაც თითქმის სამი ათეული წლის წინ იძულებით დატოვეს სამშობლო. მათთან ერთად ბრუნდებოდნენ ყოფილი საბჭოთა სამხედრო ტყვეები.

ემიგრანტთა პირველი ნაკადი საქართველოში ჩამოვიდა 1947 წლის 18 სექტემბერს.[365] თავდაპირველად რეემიგრაციული პროცესები, თითქოსდა, ნორმალურად ვითარდებოდა. საბჭოთა საქართველოს იმჟამინდელმა ხელისუფლებამ გაატარა რიგი ღონისძიებებისა მათი შრომითი მოწყობისა და ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობებით უზრუნველყოფისათვის, თუმცა სხვაგვარად ფიქრობდნენ საბჭოთა ქვეყნის უმაღლეს ეშელონებში.

ემიგრანტებისა და ყოფილი საბჭოთა სამხედრო ტყვეების დაბრუნებამ სამშობლოში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. მათით ინტერესდებოდნენ არა მარტო წლობით უნახავი ნათესავები და ახლობლები, არამედ უბრალო ადამიანები, რომლებიც მოკლებული იყვნენ საზღვარგარეთული ცხოვრების ამსახველ ინფორ-

მაციას. მოსახლეობის ერთი ნაწილი, რეემიგრანტების მეშვეობით, ცდილობდა მსოფლიო ომებში უგზო-უკლოდ დაკარგული ან საზღვარგარეთ მცხოვრები ახლობლების მოძიებას. მათ აგრეთვე სურდათ ომის შემდგომ დასავლეთში განვითარებულ მოვლენებთან და ჩვეულებრივ ყოფით საკითხებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის მიღება. რეემიგრანტები დაუფარავად ყვებოდნენ იმაზე, თუ როგორ ცხოვრობდა ხალხი საზღვარგარეთ და ადარებდნენ მას საბჭოთა საქართველოში არსებულ ვითარებას.

ცხადია, ადრეულ პერიოდში გადახვეწილ და შემდგომ რეემიგრირებული ქართველების ნაწილს სამშობლოში ცხოვრება გაუჭირდა, თუნდაც იმიტომ, რომ სხვა საზოგადოებრივ ფორმაციაში მოხვდნენ, თუმცა არსებულ რეალობასთან შეგუება მაინც უწევდათ. იყვნენ დაბრუნების მსურველებიც.

სამშობლოს ხილვით გამოწვეულმა განცდებმა სწრაფად გაიარა და რეემიგრანტები საბჭოთა ცხოვრების სინამდვილის პირისპირ აღმოჩნდნენ. აქედან გამომდინარე, ნელ-ნელა გაჩნდა უკმაყოფილება, რის თაობაზეც ისინი ხშირად და დაუფარავად საუბრობდნენ.

საბჭოთა საქართველოს სპეცსამსახურები რეემიგრაციის პროცესს მეტნაკლებად მომზადებულები შეხვდნენ. ემიგრანტთა დაბრუნების პროცესი დაემთხვა საქართველოს სპეცსამსახურების მორიგ რეორგანიზაციას. საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ამიერკავკასიის სამხედრო კონტრდაზვერვა „სმერშის“ უფროსობიდან (1942 წლის 25 მაისისათვის ის იყო начальник особого отдела НКВД СССР Закфронта – старший майор*), გენერალი ნიკოლოზ რუხაძე, საქართველოს კპ (ბ) ცკ-ს პირველი მდივნის კ. ჩარკვიანის რეკომენდაციით, 1948 წლის 11 იანვარს დაინიშნა საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრად. ამ პოსტზე მან შეცვალა ლ. ბერიას უახლოესი გარემოცვის ერთ-ერთი წარმომადგენელი აექსენტი რაფავა. აღნიშნული საკითხი შეთანხმდა პირადად ი. სტალინთან. ნ. რუხაძეს თვალისდასანახად ვერ იტანდა ლ. ბერია და მისი გარემოცვა. მოხდა სამინისტროს სტრუქტურული ცვლილებები და საკადრო გადაადგილებები.

მას შემდეგ, რაც ნ. რუხაძე სახელმწიფო უშიშროების მინისტრად დაინიშნა, ყველა მოწინააღმდეგე და მასზე განაწყენებულები გზიდან ჩამოიშორა და სამინისტრო პირადი ერთგულების ნიშნით დააკომპლექტა.

ნ. რუხაძის, მსუბუქად რომ ითქვას, არაეთიკურ საქციელზე პარტიული ელიტის კულუარებში ბევრს საუბრობდნენ, თუმცა ყოველივე ლაპარაკის დონეზე რჩებოდა, ვინაიდან უშიშროების მინისტრს თვით პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ჩარკვიანი მფარველობდა. ამბობდნენ იმასაც, რომ 1945 წლის შემოდგომაზე ბერლინში ყოფნისას ნ. რუხაძემ საკმაო ნადავლი მოაგროვა და რკინიგზის ვაგონებით თბილისში გამოაგზავნა (ასაღებდა როგორც სახელმწიფო მნიშვნელობის ტვირთს). „ნადავლის“ საქართველოში გამოგზავნის საქმეში ნ. რუხაძეს დახმარებას უწევდა საბჭოთა სპეცსამსახურების ბერლინის ოპერატიული ჯგუფის უფროსი, გენერალ-მაიორი სიდნიოვი. ნ. რუხაძეს უყურადღებოდ არც თავისი მფარველების ოჯახები დაუტოვებია. 1950 წელს საქართველოდან გასახ-

* სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ამიერკავკასიის ფრონტის განსაკუთრებული განყოფილების უფროსი – უფროსი მაიორი.

ლებული ერთ-ერთი „არასაიმედო“ ოჯახის ბინაში თავისი ვაჟიშვილი ჩაასახლა, ეზო ბეტონის გალავნით შემოუღობა და შიგ ავტოფარეხიც ჩაუდგა.

ნ. რუხაძემ გამინისტრების პირველსავე დღეებში სამინისტროს არქივიდან ამოიღო მის მეორე მეუღლესა და ცოლის ძმაზე არსებული მაკომპრომეტირებელი მასალები და გაანადგურა. ოპერატიული დამუშავების მასალების განადგურება ბრძანა პირველ მეუღლეზეც, წარმოშობით ბერძენზე, რომელიც თურქეთის სპეცსამსახურებთან კონტაქტში იყო შემჩნეული.

ერთ-ერთ თათბირზე ნ. რუხაძე მისმა მოადგილემ ნიბლაძემ გააკრიტიკა, სანაცვლოდ კი სამსახურიდან გათავისუფლება მიიღო.[370]

ტოტალიტარული მართვის პრინციპებიდან გამომდინარე, ისეთი მნიშვნელოვანი სტრუქტურის, როგორიც იყო სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო, ხელმძღვანელს უნდა გაემართლებინა ის დიდი ნდობა, რომელიც მის მიმართ გამოხატეს კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა მთავრობამ და პირადად ი. სტალინმა და დაემტკიცებინა, თუ როგორ შეეძლო ბრძოლა ხალხის მტრების წინააღმდეგ. აქედან გამომდინარე, მინისტრმა ნ. რუხაძემ მთელი უსაფრთხოების სისტემა ამ პრინციპზე ააგო.

კომუნისტურმა პარტიამ განსაკუთრებული ამოცანები დაუსახა კონტრდაზვერვის სამსახურს, რომლის ძალები და საშუალებები ძირითადად მიმართული იყო რეემიგრანტთა იმ ნაწილის მიმართ, რომლებიც ჯერ კიდევ საზღვარგარეთ ცხოვრების პერიოდში იყვნენ შემჩნეულები ანტისაბჭოთა საქმიანობასა და საზღვარგარეთის სპეცსამსახურებთან კონტაქტში. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა იმ პირთა მიმართ, რომლებიც უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ საბჭოთა კავშირში ცხოვრების პირობებისა და პიროვნული თავისუფლების ხარისხის გამო. საბჭოთა საქართველოს სპეცსამსახურში იქმნებოდა ოპერატიული დამუშავების საქმეები, რომელთა წარმატებით დასრულება დიდად იყო დამოკიდებული ოპერატიული ძალებისა და საშუალებების გონივრულ განლაგებაზე, მათში ფარული საქმიანობისათვის აგენტთა გადმობირებასა და ტექნიკური საშუალებების ეფექტურად გამოყენებაზე. სპეცსამსახურების მიერ ისმინებოდა ქვეყნის გარეთ განხორციელებული პრაქტიკულად ყველა სატელეფონო საუბარი, ასევე მუდმივად კონტროლდებოდა საზღვარგარეთის ქვეყნებთან საფოსტო მიმოწერა. სპეცსამსახურების მთავარი ამოცანა იმ პერიოდში იყო უცხოეთის ქართულ ანტისაბჭოთა ცენტრებსა და საქართველოში არალეგალურად მოქმედი ანტისაბჭოთა ორგანიზაციებისა და ანტისაბჭოთა განწყობის ცალკეულ პირთა შორის კავშირის დადგენა და, ამასთან დაკავშირებით, შესაბამისი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების გატარება. ამისათვის ოპერატიული დანაყოფები ამყარებდნენ კონფიდენციალურ ურთიერთობებს როგორც ცალკეულ რეემიგრანტებთან, ისე მათ ახლო გარემოცვასთან. ტარდებოდა შემოწმებითი ხასიათის ოპერატიული კომბინაციები და სხვადასხვა ოპერატიული ჩანაფიქრი.

მიუხედავად სპეცსამსახურების ინტენსიური მცდელობისა, მნიშვნელოვანი შედეგები ზემოაღნიშნული თვალსაზრისით მაინც არ ჩანდა. არადა, რეემიგრანტებთან მიმართებით მინისტრ ნ. რუხაძეს გახმაურებული საქმე სჭირდებოდა, რადგან საბჭოთა ქვეყნის უმაღლეს ეშელონებში ძალაუფლებისათვის ბრძოლამ ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ საჭირო იყო მსხვერპლშენირვა და ეს მისია იმ

ისტორიულ პერიოდში სხვებთან ერთად ბედმა რეემიგრანტებსაც არგუნა. ამას კი სსრ კავშირში და, მათ შორის საქართველოში რეპრესიების ახალი ტალღა მოჰყვა, რისი დამაგვირგვინებელიც იყო ეგრეთ წოდებული „მეგრელ ნაციონალისტთა ჯგუფის საქმე". თუმცა, ვიდრე „მეგრელთა საქმე" ძალას მოიკრებდა და სახელისუფლებო ბრძოლის ფონზე არნახულ მასშტაბებს მიაღწევდა, კარიერისტული მიზნების მისაღწევად და თავის წარმოსაჩენად ნ. რუხაძემ დაიწყო „მოთელვითი" ხასიათის, ხმაურიანი ოპერატიულ-საგამოძიებო საქმის შეკონწიება. სწორედ ასეთად იქცა „გიორგი გაბინაშვილისა და მის მხარდამჭერთა საქმე".

ნ. რუხაძე ახალი დანიშნული იყო საქართველოს უშიშროების მინისტრის პოსტზე, როცა სასწრაფოდ მოწვეულ თათბირზე ოპერატიული სამსახურების უფროსებს, საიდუმლოების დაცვის მკაცრი მოთხოვნით, ნაუკითხა მიღებული დეპეშა იმის შესახებ, რომ თურქეთის რადიოს ცნობით, მათი მესაზღვრეების მიერ დაკავებული ყოფილა ვინმე ნიკო (სავარაუდოდ ეს გამოგონილი სახელი იყო), ეროვნებით ქართველი, დაახლოებით 30 წლის, საშუალო ტანის, რომელსაც აღმოაჩნდა დიდი რაოდენობით რუსული ფული. ნიკოს განცხადებით, იგი თურქეთში გადავიდა საბჭოთა ორგანოების მხრივ დევნის გამო.

შეკრებილთ ნ. რუხაძემ უბრძანა, დაუყოვნებლივ მიეღოთ ზომები ნიკოს ვინაობისა და მისი თურქეთში გადასვლის მიზეზების დასადგენად.

შესაბამისად, „მანქანა" ამუშავდა... და საოცრად მოკლე დროში დადგინდა ნიკოს პიროვნებაც და საზღვარგარეთ გაქცევის მიზეზებიც. ამაში გადამწყვეტი როლი თავად მინისტრმა რუხაძემ შეასრულა. საქმე შემდეგში მდგომარეობდა:

1948 წლის 12 მაისს ქ. გორის პროკურატურის მიერ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ქ. გორის სამშენებლო კანტორის „გრუზმშენის" მთავარი ბუღალტრის გიორგი გარსევანის ძე გაბინაშვილის მიმართ სახელმწიფო სახსრების მითვისებისა და „საშტატო-ფინანსური დარღვევებისთვის". გ. გაბინაშვილი მეორე მსოფლიო ომის დროს, 1942 წელს ტყვედ ჩავარდა, მსახურობდა ქართულ ნაციონალურ ლეგიონში, ომის დასრულების შემდეგ საქართველოში დაბრუნდა, თუმცა რეპრესირებული არ ყოფილა. გ. გაბინაშვილმა გამოძიების საწყის ეტაპზევე მოახერხა მიმალვა, მოგვიანებით კი სსრკ თურქეთის საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის გზით საფრანგეთში გამგზავრება. გ. გაბინაშვილის ძებნასთან დაკავშირებით შესაბამისი მითითებები მიიღეს სსრკ საგარეო დაზვერვის გერმანიის, თურქეთისა და საფრანგეთის რეზიდენტურებმა. 1948 წლის 10 დეკემბერს საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მიერ პარიზის რეზიდენტურიდან მიღებული შეტყობინების თანახმად, საქართველოში მიმდინარე რეპრესიების თაობაზე საზღვარგარეთ ინფორმაციის გავრცელების წყარო იყო საქართველოდან გაქცეული ყოფილი სამხედრო ტყვე, ვინმე გაბინაშვილი.

1948 წლის დეკემბრის ბოლოს, გ. გაბინაშვილთან დაკავშირებული ინფორმაცია სოციალ-დემოკრატთა საზღვარგარეთის ბიუროს წარმომადგენელმა თურქეთში სანდრო მენაღარიშვილმა ასევე მიაწოდა ნ. ჟორდანიას.

საბჭოთა სპეცსამსახურების მხრიდან გ. გაბინაშვილის ძებნას აფერხებდა ის გარემოებაც, რომ 1948 წელს საქართველოს საზღვარი არალეგალურად გადაკვეთა ორმა ერთი და იმავე გვარის პიროვნებამ. ორივე მცხეთის რაიონის სოფელ ძეგვიდან იყო. ერთი ზემოთ მოხსენიებული გაბინაშვილი გიორგი გარსევანის

ძე, ხოლო მეორე – გაბინაშვილი მიხეილ ლუკას ძე.

სამართლებრივი ლოგიკის თანახმად, გაბინაშვილის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე ამით უნდა დასრულებულიყო და, როგორც ჩანს, გამოძიებაც აქეთ მიდიოდა, მაგრამ დაახლოებით ორწელიწად-ნახევრის შემდეგ, 1950 წლის დეკემბრის პირველ რიცხვებში, საქართველოს სსრ უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო განყოფილება იღებს გადაწყვეტილებას ახლა უკვე „ემისარის და ამერიკის დაზვერვის აგენტის გ. გაბინაშვილის მხარდამჭერთა" მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის თაობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ორი წლის მანძილზე გამოძიებამ ვერ დაადგინა გ. გაბინაშვილის დანაშაულებრივი კავშირი როგორც ანტისაბჭოთა ემიგრანტულ ორგანიზაციებთან და ცენტრებთან, ისე უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებთან, მას, შემდგომ ეტაპზე, მოიხსენიებდნენ როგორც ამერიკის დაზვერვის აგენტს. საინტერესოა ისიც, რომ საქართველოს სპეცსამსახურებს რატომღაც ორი წლის შემდეგ გაახსენდათ გ. გაბინაშვილის „მხარდამჭერები", რომლებიც მანამდე არცერთხელ არ დაკითხულან. მოვლენების ასეთი განვითარება უნებურად ბადებდა ეჭვს, რომ ყველაფერი წინასწარ იყო გათვალისწინებული და დადგმული. ამ ეჭვს კიდევ უფრო აღვივებდა გ. გაბინაშილის ბინიდან ამოღებული ძველი, უმოქმედო რადიომიმღები, რომელიც, „ექსპერტების დასკვნით", შესაძლოა გამოიყენებოდა რადიოგადამცემად.

ეს „ნივთიერი მტკიცება", დასავლეთ ევროპაში ტყვედ ყოფნა, ფულის უზომო ხარჯვა და პასუხისმგებელ მესაზღვრესთან ნათესაური კავშირი, ნ. რუხაძისათვის გახდა საფუძველი, რომ გ. გაბინაშვილი მიჩნეულიყო უცხო ქვეყნის ჯაშუშად, რომელმაც საქართველოში შექმნა არალეგალური ჯაშუშური ჯგუფი და დავალებების შესრულების შემდეგ დაუბრუნდა თავის პატრონებს. ძალაუნებურად ჩნდება მოსაზრება, რომ გ. გაბინაშვილი საზღვარგარეთ სპეცსამსახურების, უფრო სწორედ ნ. რუხაძის მიერ ხომ არ იყო გაგზავნილი საკუთარი ავანტურისტული და კარიერისტული მიზნებისათვის, როგორც „საბჭოთა სისტემისგან დევნილი პიროვნება". ამ მოსაზრების საფუძველს გვაძლევს ისიც, რომ გ. გაბინაშვილი ქართულ ნაციონალურ ლეგიონში ყოფნისათვის არ ყოფილა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული, ის არ ფიგურირებს შემდგომ არც ემიგრანტულ წრეებში და არც სხვა საგამოძიებო საქმეში. მალე დაიწყო გ. გაბინაშვილის ნათესავების, მეგობრების, ნაცნობების, ე.წ. თანამზრახველთა დაპატიმრება.

1950 წლის დეკემბრიდან 1951 წლის მაისამდე გ. გაბინაშვილის საქმესთან დაკავშირებით დაპატიმრებულ იქნა 76 ადამიანი.

„გაბინაშვილის მხარდამჭერთა საქმე" დაიწყო ბათუმის სასაზღვრო რაზმის უფროსის, პოლკოვნიკ დავით ფერაძისა და მისი მეუღლის – ვერა ფერაძის დაპატიმრებით. ეს მოხდა 1950 წლის დეკემბერში. ვერა ფერაძე დააპატიმრეს ბათუმი-თბილისის მატარებელში – მწვანე კონცხთან, ხოლო დავით ფერაძე – გაგრის აეროპორტში. დ. ფერაძის დაპატიმრების დოკუმენტები გაფორმდა მხოლოდ 10-12 დღის შემდეგ. მანამდე მას, როგორც სამხედრო მოსამსახურეს, პასუხისმგებლობა დაეკისრა დისციპლინური გადაცდომისათვის. რამდენიმე დღის შემდეგ ჩატარდა გაბინაშვილის მეუღლის – გაბინაშვილი ნინა გიორგის ასულის ბინის ჩხრეკა, სადაც აღმოჩენილ იქნა „გაფუჭებული რადიოგადამცემი და უცხოური

ვალუტა". მოგვიანებით საქმეში, როგორც მტკიცებულება, გაჩნდა პისტოლეტიც, რომელიც გაბინაშვილს თითქოსდა გადაუცია ერთ-ერთი მოწმისათვის.

საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრის ნ. რუხაძის მითითებით, შეიქმნა სპეციალური საგამოძიებო ჯგუფი 20 კაცის შემადგენლობით. ჯგუფში რუხაძემ ჩართო მხოლოდ სამი გამომძიებელი (კუციავა, ლეჟავა, ოკუჯავა), ხოლო დანარჩენები ოპერატიული ქვედანაყოფების თანამშრომლები იყვნენ, უპირატესად პერიფერიული დანაყოფებიდან.

ნ. რუხაძე სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში გაგზავნილ მოხსენებით ბარათში მიუთითებდა, რომ ზემოაღნიშნული საგამოძიებო ჯგუფის ხელმძღვანელი იყო მისი პირველი მოადგილე ირაკლი ნიბლაძე, თუმცა რეალურად ხალხის დაპატიმრებებსა და გამოძიების მსვლელობას უშუალოდ თვითონ წარმართავდა. ნ. რუხაძე თვლიდა, რომ საქმე თავისი მნიშვნელობით იყო „не обычное дело"* და აქედან გამომდინარე, გამოძიება უნდა წარმართულიყო „по необычной практике"**.

გამოძიების დაწყების პირველსავე დღეებში, თათბირზე მინისტრმა ნ. რუხაძემ, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, დასვა დაპატიმრებულთა ძირითადი ჯგუფის მიმართ ფიზიკური ზემოქმედების გამოყენების აუცილებლობის საკითხი. ი. ნიბლაძემ განაცხადა, რომ საჭირო იყო აღნიშნულის თაობაზე სანქციის მიღება მოსკოვიდან. ორ-სამ დღეში ასეთი ნებართვა მართლაც მოვიდა სსრკ სახელმწიფო უშიშროების მინისტრ აბაკუმოვისგან. მკაცრი ფიზიკური ზემოქმედების პირველი მსხვერპლი შეიქნა დავით ფერაძე, რომელიც იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ დაეხმარა თავის ცოლისძმას თურქეთში არალეგალურად გადასვლაში.

ზემოაღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით გამოძიებისა და დაკითხვების პროცესში აქტიურად მონაწილეობდა სსრკ სუს-ს სპეციალური წარმომადგენელი, გენერალ-ლეიტენანტი პეტროვი. მისი და საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკების თანდასწრებით არაერთგზის იქნენ ნაცემნი პატიმრები: დ. ფერაძე, ლ. ნ. ტურაშვილი და ა. გ. კარსანიშვილი. ნ. რუხაძის უშუალო მითითებით, საგამოძიებო ჯგუფის ცალკეული წევრები რეპრესიულ მეთოდებს იყენებდნენ სხვა პატიმრების მიმართაც.

სასტიკად უსწორდებოდნენ დ. ფერაძის მეუღლეს ვ. ფერაძეს. ფიზიკურ ზემოქმედებას ახდენდნენ რეზინის და მავთულის მათრახებით. სასტიკად უსწორდებოდნენ ტურაშვილს, ნ. გაბინაშვილს, ლევან კახიანს და სხვებს. ნ. რუხაძე ხელქვეითებისადმი მიმართულ წერილობით მითითებებში არ მალავს საკუთარ რეპრესიულ განწყობას პატიმართა მიმართ. ასე მაგალითად:

– «Тов. Гургенидзе. Активно допросите Гогичаишвили Ивана, он это заслуживает. Н. Рухадзе, 25 января 1951 года».*** [379]

– «т. т. Нибладзе, Куциава и Гучмазашвили. Перейдите на активный допрос. Больше тянуть мы не можем. Тов. Гучмазашвили проявляет непонятную

---

* განსხვავებული საქმე

** განსხვავებული პრაქტიკით

*** ამხ. გურგენიძე. აქტიურად დაეკითხეთ ივანე გოგიჩაიშვილი. ის ამას იმსახურებს. ნ. რუხაძე, 25 იანვარი, 1951 წ.

медлительность. [31] декабря 1950 года»* და სხვა.[379]

დაკითხვების პროცესში აქტიურად იყო ჩართული საქართველოს სსრ სუს-ს ჯარების სამხედრო პროკურორი დ. ესაკია, რომელიც კარგად იყო ინფორმირებული სსრკ სუს-ს ხელმძღვანელობის მიერ პატიმართა მიერ რეპრესიული მეთოდების გამოყენების თაობაზე.

ნ. რუხაძის მკაცრი მითითების თანახმად, მთელი დღის განმავლობაში, ყველა პატიმრის დაკითხვის ოქმები მასთან იყრიდა თავს. როგორც კი ოქმებში ახალი პიროვნებები ჩნდებოდნენ, ნ. რუხაძის როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი მითითებების საფუძველზე ხდებოდა მათი დაპატიმრება.

1951 წელს ნ. რუხაძემ კატეგორიულად მოითხოვა რამდენიმე პატიმრის მიმართ ფიზიკური ზემოქმედების უმკაცრესი ღონისძიებების გატარება (აღნიშნულის თაობაზე საგამოძიებო განყოფილების ყოფილმა უფროსმა კუციავამ შემდეგში ზეპირად მოახსენა საქართველოს სსრ სუს პარტიული კონტროლის კომისიას). გასათვალისწინებელი იყო რა საქმის ხასიათი, კუციავამ და მინისტრის მოადგილემ თავდიშვილმა რუხაძეს ურჩიეს, საკითხი შეეთანხმებინა სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში. ასეთივე აზრისა იყო „ცენტრიდან" მოვლენილი პოლკოვნიკი ცეპკოვიც. რუხაძე აღნიშნულის თაობაზე მართლაც დაუკავშირდა ტელეფონით სსრკ სუს-ს ხელმძღვანელობას. ამავე დროს, მან და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო პროკურორმა, იუსტიციის გენერალ-მაიორმა ლიხოვიდოვმა დაშიფრული ტელეგრამით თხოვნით მიმართეს სსრკ სუს-ს და სსრკ გენერალურ პროკურატურას დაერთოთ მათთვის ნება პატიმართა ამ ერთი ჯგუფის მიმართ რეპრესიული ღონისძიებების გამოყენების თაობაზე. სანქცია აღნიშნულის თაობაზე მიღებული არ ყოფილა.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ისეთი პიროვნების უშიშროების სამინისტროს სათავეში ყოფნა, როგორიც ნ. რუხაძე იყო, რა თქმა უნდა, ხელქვეითებს შორისაც წარმოშობდა „თანამდებობის მოყვარულებს", ასეთი „შეხმატკბილებული ძალა" კი სარგებლობდა შექმნილი მდგომარეობით, ან თავად ქმნიდა ისეთ სიტუაციას, რომლის დროსაც შესაძლებელი ხდებოდა რეალური ვითარების არაობიექტური შეფასება, მონაცემების დამახინჯება, ინფორმაციის წარდგენა ზემდგომ ინსტანციებში მათ საამებლად, აგრეთვე, თავის დაცვისა და წარმოჩენის მიზნით. ყოველივე ამას კი თან სდევდა უდანაშაულო ადამიანების მსხვერპლი, საზოგადოების დეზინფორმირება, შიშისა და მორჩილების სინდრომის გაღვივება.

მიუხედავად დიდი მცდელობისა, „გაბინაშვილისა და მისი მხარდამჭერების" საქმემ დიდ – საკავშირო მნიშვნელობის მასშტაბებს ვერ მიაღწია, თუმცა პირადად ნ. რუხაძეს, რეპრესიების ორგანიზების თვალსაზრისით, „დიდი გამოცდილება" შესძინა.

გ. გაბინაშვილის საქმის სიყალბესა და ქართულ ემიგრაციასთან დანაშაულებრივად დაკავშირების წარუმატებელ მცდელობაზე მიუთითებს საარქივო საქმეში დაცული ერთი დოკუმენტიც: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს სსრ უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოად-

* ამხანაგებს – ნიბლაძეს, კუციავას დაგუჩმაზაშვილს: გადადით აქტიურ დაკითხვაზე. მეტს ვეღარ გავწელავთ. ამხ. გუჩმაზაშვილი ამჟღავნებს გაუგებარ სიდინჯეს. 1950 წლის 31 დეკემბერი.

გილის, პოლკოვნიკ მ. შვირკოვის სსრკ მთავარი სამხედრო პროკურორის, ბ. პლეხანოვისადმი გაგზავნილი 1955 წლის 9 ივლისით დათარიღებული წერილი, რომელშიც მითითებულია შემდეგი:„Сообщаю, что радиопередатчик, проходящий по делу Габинашвили и других в качестве вещественного доказательства, в Комитете госбезопасности при СМ ГССР не установлен, местонахождение его не известно и принятыми мерами розыска обнаружить его не удалось"*.[379]

„გ. გაბინაშვილის მხარდამჭერთა" და სხვა ჯგუფების მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმის მონაწილეთა მიმართ განხორციელებული ძალადობისა და უკანონობის თაობაზე ცნობილი გახდა მოგვიანებით, როდესაც დაპატიმრებულ იქნენ თვით უშიშროების მინისტრი ნ. რუხაძე და ამ სამინისტროს სხვა პასუხისმგებელი პირები.

„გ. გაბინაშვილის მხარდამჭერ პირთა" საქმესთან დაკავშირებით არსებული სამართალდარღვევების თაობაზე, პრაქტიკულად ყველაფერი დაადასტურა სასამართლო სხდომაზე ნ. რუხაძემ. მან აღიარა პატიმართა რეპრესიებში საკუთარი მონაწილეობაც. ნ. რუხაძემ ისიც აღნიშნა, რომ პატიმართა მიმართ ფიზიკური ზემოქმედების თაობაზე ის საქმის კურსში აყენებდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილ პირველ მდივანს, კ. ჩარკვიანს.

ერთ-ერთ საარქივო დოკუმენტში დაფიქსირებულია საგულისხმო მოსაზრება: მართალია, დ. ფერაძის საქმის გამოძიება არ წარმართულა ლ. ბერიასთან მისი ახლობლობის დადასტურების კუთხით, მაგრამ ნ. რუხაძის აზრით, ვინაიდან ფერაძე დიდხანს მუშაობდა საქართველოს სასაზღვრო ოლქის საქართველოს მონაკვეთის კომისრად და არაერთგზის მონაწილეობდა თურქეთთან სასაზღვრო კონფლიქტების დარეგულირებაში, და ასევე სასაზღვრო კომისრის დანიშვნა ხდებოდა მხოლოდ და მხოლოდ სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ბრძანებით, ლ. ბერიასა და დ. ფერაძეს კარგი ნაცნობობა უნდა ჰქონოდათ.

როგორც ჩანს, ლ. ბერიას კომპრომეტირებისათვის „მეგრელთა საქმის" შეთხზვამდე რამდენიმე ხნით ადრე, საქართველოს სსრ უშიშროების მინისტრი ქმნის იმის თეორიულ პრეცენდენტს, რომ ლავრენტი ბერიას რეკომენდაციით დანიშნული მაღალი თანამდებობის სამხედრო ჩინოვნიკი დ. ფერაძე პრაქტიკულად თავისი ქვეყნის მოღალატეა. აქედან გამომდინარე, ამ უკანასკნელთა ურთიერთობებიც, შესაძლოა, მოღალატური ყოფილიყო. თუკი გავითვალისწინებთ საბჭოთა ტოტალიტარული სისტემის იერარქიულ სისასტიკეს, საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი მოკავშირე რესპუბლიკის სპეცსამსახურის ხელმძღვანელი ზემოაღნიშნულ მოსაზრებას გონებაშიც კი ვერ გაივლებდა (თუკი პირწავარდნილი ავანტურისტი არ იყო), რომ არა წინასწარი მინიშნებები საბჭოთა ქვეყნის უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელობიდან ან სპეცსამსახურების ელიტიდან. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ლ. ბერიას მიმართ უარყოფითად იყო განწყობილი საქართველოს კომუნისტთა მაშინდელი ლიდერი კ. ჩარკვიანი, რომელიც თვალნათლივ გრძნობდა ლ. ბერიას ხილულ თუ უხილავ გავლენას საქართველოს პარტიულ ორგანიზაციაზე, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში. საქართ-

* გაცნობებთ, რომ არსებობა რადიოგადამცემის, რომელიც ფიგურირებს გაბინაშვილის და სხვათა საქმეში როგორც ნივთიერი მტკიცებულება, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში ვერ დადგინდა. მისი ადგილმდებარეობა უცნობია და სამძებრო ღონისძიებების შედეგად ვერ მოხერხდა მისი აღმოჩენა.

ველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი მ. ბარამია ხომ ლ. ბერიას ფავორიტი იყო. არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ ისეთ ამბიციურ პიროვნებას, როგორიც ნ. რუხაძე იყო, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, აღარ დააკმაყოფილებდა სახელმწიფო უშიშროების მინისტრის პოსტი და მას, როგორც ყველაზე ინფორმირებულ პიროვნებას, მონდომებოდა უფრო მეტი თანამდებობა. თუმცა ფაქტია, რომ არა მარტო ამ, არამედ „მეგრელ ნაციონალისტთა საქმის“ გამოძიების მთელი პერიოდის მანძილზეც კი ლ. ბერიას პიროვნება არცერთ ოფიციალურ დოკუმენტში არ მოიხსენიებოდა.

„ემისრისა და ამერიკის დაზვერვის აგენტის, გ. გაბინაშვილისა და მის მხარდამჭერთა საქმის“ გამოძიების პროცესში მოხდა ერთი შემთხვევა, რამაც ნ. რუხაძე და „ცენტრი“ ძალიან გააღიზიანა. საქმე ეხებოდა ემიგრანტ მამია ბერიშვილის საქართველოში არალეგალურად შემოსვლას, რის თაობაზეც წინა თავში ვიტყობინებოდით. მას შემდეგ, რაც ვერ მოხერხდა საქართველოს ტერიტორიაზე მ. ბერიშვილის დაკავება, საქართველოს სსრ სუს-ს მიერ 1949 წლის 8 სექტემბერს დაპატიმრებულ იქნა მისი და ნინო ბერიშვილი, რომლის მიმართაც გამოყენებულ იქნა ფიზიკური ზემოქმედების უმკაცრესი მეთოდები. ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა თბილისში, სპეციალურად მამია ბერიშვილის მოსაძებნად და დასაპატიმრებლად ჩამოსული სსრკ სუს-ს სპეციალური წარმომადგენლის, რაიხმანის მიერ. რუხაძემ ნინო ბერიშვილის არაერთგზის ცემის მოტივად დაასახელა ის, რომ «Вела она себя плохо, все скрывала, являлась фанатичной меньшевичкой, а вся семья – от родителей до 3-х братьев враги Советской власти»*.[379] რაიხმანთან და რუხაძესთან, ამ უკანასკნელის კაბინეტში, ერთ-ერთი ბოლო შეხვედრიდან მეორე დღეს, 1949 წლის 4 ოქტომბერს, ნინო ბერიშვილმა ტანჯვა-წამებასა და დამცირებას ვეღარ გაუძლო და საკანში თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. ასეთია ოფიციალური ვერსია, თუმცა არც სხვა ვარიანტია გამორიცხული. თვით მამია ბერიშვილის ძმა შალვა ბერიშვილი მიანიშნებს, რომ მათი და უშუალოდ ნ. რუხაძის ძალადობრივ ქმედებას ემსხვერპლა (პირადად დაუხრჩვია).

აღსანიშნავია ერთი საინტერესო ფაქტიც. 1952 წლამდე, თითქმის სამი წლის მანძილზე, საქართველოს სსრ სუს შინაგან ციხეში პატიმრობაში იმყოფებოდა პიროვნება, რომელიც საკნიდან პრაქტიკულად არ გამოჰყავდათ და რომლის ვინაობა მკაცრად გასაიდუმლოებული იყო. 1952 წლის შემოდგომაზე აღნიშნული პატიმარი შეეცადა სიცოცხლის თვითმკვლელობით დასრულებას – გადმოხტა მეორე სართულიდან კიბეებს შორის არსებულ სივრცეში, თუმცა სიკვდილს გადაურჩა. ამ ამბიდან ცოტა ხნის შემდეგ, მასთან საკანში ერთსაათიანი საუბარი ჰქონია თვით მინისტრ ნ. რუხაძეს. ამ უკანასკნელის დაპატიმრების შემდეგ უცნობი პატიმარი ციხიდან სადღაც გაქრა. ციხის მომსახურე პერსონალს შორის გავრცელდა ხმა, რომ უცნობი პატიმარი ნ. რუხაძის მოგვარე და მისი ახლობელი იყო. ეს პიროვნება უნდა ყოფილიყო კიმ ფილბისა და შესაბამისად, საბჭოთა დაზვერვისათვის ცნობილი ერთ-ერთი იმ „ბედნი გრუზინთაგანი“, პოლიკარპე რუხაძე, რომელიც საზღვრის უკანონო გადაკვეთისას 1948 წლის 25 ივნისს იქნა დაპატიმრებული.

* ის იქცეოდა ცუდად, ყველაფერს მალავდა, იყო ფანატიკური მენშევიკი, ხოლო მთელი ოჯახი, მშობლებიდან დაწყებული სამი ძმით დამთავრებული, საბჭოთა ხელისუფლების მტრები არიან.

გ. გაბინაშვილის საქმის გამოძიების მსვლელობის პროცესში მომზადდა სტატისტიკური ხასიათის ცნობა, რომელსაც ხელს აწერს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო განყოფილების უფროსი. დოკუმენტი დათარიღებულია 1951 წლის 14 დეკემბრით. მასში ნათქვამია:

„მენშევიკთა საზღვარგარეთული ბიუროს ემისრისა და თურქეთის დაზვერვის აგენტის, გიორგი გარსევანის ძე გაბინაშვილის საქმესთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მიერ დაპატიმრებულ და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ იქნა 76 ადამიანი, ხოლო სსრკ სუს მიერ – ერთი ადამიანი. მათ შორის:

1. 45 ადამიანზე გამოძიება დამთავრებულია და საქმე განსახილველად გადაეგზავნა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალს;

2. 9 კაცზე (გაბინაშვილის ნათესავები და ახლო კავშირები) მასალები გამოიყო ცალკე წარმოებისათვის და საქმე გაფორმდა სსრკ სუს განსაკუთრებულ სათათბიროში გადასაგზავნად და განსახილველად;

3. ორ ადამიანზე მასალები გამოიყო ცალკე წარმოებისათვის და საქმე გადაიგზავნა საქართველოს სსრ პროკურატურაში ქვემდებარეობის მიხედვით;

4. ასევე ერთ ადამიანზე მასალები გამოიყო და საქმე განსახილველად გადაეგზავნა ამიერკავკასიის სამხედრო ტრიბუნალს;

5. 1 ადამიანზე მასალები გამოყოფილია ავადმყოფობის გამო და საქმე შეჩერებულია;

6. 17 ადამიანი სისხლის სამართლის პასუხისგებისგან განთავისუფლდა ოპერატიული მოსაზრებიდან გამომდინარე და იმის გამო, რომ არ დაუმტკიცდათ მათ მიმართ წაყენებული ბრალდებები;

7. ერთ ადამიანზე გამოძიება შეწყდა მისი გარდაცვალების გამო;

8. გ. გაბინაშვილის საქმესთან დაკავშირებით სსრკ სუს მიერ დაპატიმრებულ, ხოლო შემდგომ განთავისუფლებულ იქნა 1 ადამიანი“.[379]

ზემოაღნიშნული დოკუმენტიდან ირკვევა, რომ 1951 წლის 14 დეკემბრისათვის „გ. გაბინაშვილის საქმესთან“ დაკავშირებით გამოძიება უკვე დასრულებული იყო. მართალია, გ. გაბინაშვილი ხან ამერიკის და ხან თურქეთის ჯაშუშად იქნა გამოცხადებული, მაგრამ ქართულ ემიგრაციასთან მისი დანაშაულებრივი დაკავშირების მცდელობაც კი ძალზე უსუსური და არადამაჯერებელი იყო.

საქმის დასრულების აუცილებლობა ნაკარნახევი იყო იმითაც, რომ 1951 წლის დეკემბრის შუა რეცხვებიდან დაიწყო მასობრივი დაპატიმრებები „მეგრელ ნაციონალისტთა ჯგუფის საქმესთან“ დაკავშირებით.

„გ. გაბინაშვილის საქმის“ მონაწილეთა – პატიმრობაში მყოფ პირთა საბოლოო ბრალეულობის საკითხი მოგვიანებით, 1952 წლის ზაფხულში გადაწყდა.

1952 წლის 18 ივნისით დათარიღებული ცნობის თანახმად, საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტრომ სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს განსაკუთრებულ სათათბიროს შესთავაზა „გ. გაბინაშვილის მხარდამჭერთა საქმესთან“ დაკავშირებულ ბრალდებულთა მიმართ შემდეგი სახის სასჯელის გამოტანა:

ფერაძეს, ტურაშვილს, კახიანს, გ. სამხარაძეს, მარქარაშვილს, გოგიჩაიშვილს, კილასონიას და სხვებს (სულ 18 კაცი) – სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა;

თორმეტ ბრალდებულს – 25 წლით თავისუფლების აღკვეთა; ექვს ბრალდებულს – 15 წლით თავისუფლების აღკვეთა; ოცდარვა ბრალდებულს – 10 წლით თავისუფლების აღკვეთა; შვიდ ბრალდებულს – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მოგვიანებით, როდესაც სიმართლეს ფარდა აეხადა, მოხდა „გ. გაბინაშვილის საქმესთან" დაკავშირებით პატიმრობაში მყოფ პირთა საპატიმრო ვადების ეტაპობრივი შემცირება, საპატიმრო ადგილებიდან მათი განთავისუფლება და რეაბილიტაცია.

1955 წელს, საქართველოს სსრ სუს-ში 40-იანი წლების ბოლოს და 50-იანი წლების დასაწყისში არსებულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით აღძრულ სისხლის სამართლის საქმეში, უკვე როგორც მოწმეები, დაკითხულ იქნენ ყოფილი ბრალდებულები: ფერაძე ვერა გარსევანის ასული, გაბინაშვილი ნინა გიორგის ასული, ტურაშვილი ნინა იოსების ასული, გოგიჩაშვილი გიორგი ედიშერის ძე, რიკრიკაძე გიორგი მიხეილის ძე და სხვები. მათი დაკითხვის ოქმების გაცნობით კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, თუ რა სისასტიკით ექცეოდა საბჭოთა მართლმსაჯულება ნ. რუხაძისა და მისნაირი კარიერიზმითა და კომუნისტური პარტიისადმი ყალბი ერთგულებით თვალებდაბინდული ჩინოვნიკების ხელით უდანაშაულოდ პატიმრობაში მყოფ პირებს. არადა, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, საბჭოთა პარტიულ-ნომენკლატურულ ელიტაში ძალაუფლებისათვის გაჩაღებულ ბრძოლას მართლაც რომ ბევრი უდანაშაულო ადამიანი შეეწირა. ამ ამბების ამსახველი მასალების გაცნობა გულგრილს ვერც ერთ საღად მოაზროვნე ადამიანს ვერ დატოვებს. მათში აღწერილი სისასტიკის ამბები კი იმ პერიოდისა და ცალკეულ პირთა მიმართ ზიზღსა და შინაგანი პროტესტის გრძნობას იწვევს. პატიმართა უმძიმეს მდგომარეობაში ყოფნა განპირობებული იყო როგორც გამოძიების მსვლელობის სისასტიკით, ასევე სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს შინაგან ციხეში იმ პერიოდში შექმნილი ვითარებით.

1949 წლამდე საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს შინაგან ციხეში მკაცრად იცავდნენ შინაგანაწესს. შემდგომ ციხის რეჟიმი უხეშად ირღვეოდა. დაპატიმრებულებს შეუწყდათ გასეირნებები, მოესპოთ ციხის მაღაზიით, ბიბლიოთეკით, ჭადრაკით სარგებლობის უფლება. აეკრძალათ ახლობლებისაგან ამანათის მიღება. ამას გარდა, დაპატიმრებულთა მიმართ მუდმივად იყენებდნენ რეპრესიულ მეთოდებს. მათ არ აძინებდნენ, დაკითხვები მიმდინარეობდა ღამის საათებში, ურჩ პატიმრებს ათავსებდნენ „კარცერში", ხელბორკილებს ადებდნენ და მას მხოლოდ ჭამის დროს ხსნიდნენ, აცვამდნენ სპეციალურ „მოსათვინიერებელ პერანგებს" და, რაც მთავარია, პატიმრებს მხოლოდ თავიანთ საკნებში უტარებდნენ პირველად სამედიცინო დახმარებას, ვინაიდან 1949 წელს ნ. რუხაძისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს შინაგანი ციხის უფროსის ბრძანებით, აიკრძალა ავადმყოფი, უპირველეს ყოვლისა, ნაცემი პატიმრების ციხის საავადმყოფოში გადაყვანა და იქ მკურნალობა, აგრეთვე ავადმყოფთა რეგისტრაციისათვის განკუთვნილ სპეციალურ ჟურნალში პატიმართა ნამდვილი დიაგნოზის დაფიქსირება.

სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს შინაგან ციხეს გააჩნდა 12 ერთადგილიანი საკანი. პატიმრებს თავთავიანთი ნუმერაცია გააჩნდათ, რათა მომსახურე პერსონალისათვის მათი ვინაობა ცნობილი არ ყოფილიყო. აღნიშნულ საკნებს

მუდმივად დარაჯობდნენ სპეციალური ზედამხედველები, რომლებიც სამედიცინო პერსონალს პატიმრებისათვის დახმარების აღმოჩენის საშუალებას არ აძლევდნენ.

სწორედ ასეთ საკნებში 1949-1950 წლებში მოათავსეს „გ. გაბინაშვილის საქმესთან" დაკავშირებით დაპატიმრებული პირები, რომელთაც სასტიკად ექცეოდნენ. მაგალითად, გ. გაბინაშვილის მეუღლე გაბინაშვილი ნინა გიორგის ასული ერთხელ იმდენად იყო ნაცემი, რომ არ შეეძლო დამოუკიდებლად გადაადგილება. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა პატიმარი ქარელი, რომელსაც დაკითხვების პროცესში სისტემატურად ცემდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ის გულით ავადმყოფი იყო.

პატიმრები უმძიმესი ფიზიკური ზემოქმედების ქვეშ რომ იმყოფებოდნენ, მოწმობს საქართველოს სსრ შსს-ს სამედიცინო ნაწილის ამბულატორიული ჟურნალის ჩანაწერების დათვალიერების ოქმები, რომელთა თანახმადაც, 1950 წლის იანვრიდან 1951 წლის 7 ოქტომბრამდე, ანუ 10 თვის მანძილზე, დაპატიმრებულები საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს შინაგან ციხეში ცემის შედეგად მიყენებული ტრავმების მოსაშუშებლად იძულებით მკურნალობას დაექვემდებარნენ 350 შემთხვევაში. ოდნავ შენელებული რეპრესიები სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს შინაგან ციხეში კვლავ გაგრძელდა 1952 წლის ბოლომდე იმ პირების მიმართ, რომლებიც „მეგრელ ნაციონალისტთა საქმესთან" იყვნენ დაკავშირებულნი. ამ შემთხვევაშიც ბრძანება კვლავ „ზემოდან" მოდიოდა, ამჟამად საქართველოს კომპარტიის მაშინდელი პირველი მდივნის ა.კ. მგელაძისაგან და საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის, ალ. კოჭლავაშვილისგან.

### სისხლიანი შოუ – „მეგრელ ნაციონალისტთა ჯგუფის საქმე"

„ემისრისა და ამერიკის დაზვერვის აგენტის, გ. გ. გაბინაშვილის მხარდამჭერთა" საქმემ ვერც თეორიულად და ვერც პრაქტიკულად, მთელ რიგ მიზეზთა გამო, პოლიტიკური გადაწყვეტილების მისაღებად დაგეგმილ მასშტაბებს ვერ მიაღწია. თუკი სახელისუფლებო ოლიმპიდან ლ. ბერიას ჩამოცილება გარკვეული პოლიტიკური ჯგუფისათვის, ი. სტალინისთვის გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენდა, მიზეზად ბევრად უფრო ეფექტური და საბჭოთა ხალხისათვის ადვილად გასაგები თემატიკა უნდა მოფიქრებულიყო. ასეთად ლ. ბერიას კუთხური წარმომავლობა და ქართულ ანტისაბჭოთა ემიგრაციასთან (მეგრული წარმოშობის ლიდერებთან) მისი კავშირები გამოდგებოდა. ასე დაიწყო ეგრეთ წოდებული „მეგრელ ნაციონალისტთა საქმის" შეკოწიწება.

1951-1953 წლებში საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტრომ დააპატიმრა მთელი რიგი ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, აგრეთვე, სამშობლოში დაბრუნებული რამდენიმე ემიგრანტი. მათ ბრალი დასდეს „მეგრელი ნაციონალისტების ანტიპარტიულ, ანტისაბჭოთა დაჯგუფებაში მონაწილეობასა და უცხო ქვეყნის დაზვერვასთან კავშირში".

ყველა ბრალდებულს წარუდგინეს სისხლის სამართლის საქმის აღძრისა და დაპატიმრების დადგენილებები, რომლებშიც მოკლედ იყო აღნიშნული დანაშაუ-

ლის არსი და დაპატიმრების მოტივები.

შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა წამოჭრა უამრავი კითხვა, მათ შორის ის, თუ რამდენად საფუძვლიანი იყო სისხლის სამართლის საქმის აღძვრა და მრავალი ადამიანის დადანაშაულება ესოდენ მძიმე ბრალდებით.

სანამ ამ და სხვა კითხვებზე პასუხის გაცემას შევეცდებით, უნდა აღვნიშნოთ, რომ საგამოძიებო საქმე „მეგრელ ნაციონალისტებზე" ინახება რუსეთის სახელმწიფო უშიშროების ფედერალური სამსახურის არქივში. ჩვენს განკარგულებაში იყო მხოლოდ ძიების საქმეზე ოცდაექვსტომიანი ე.წ. საკონტროლო-სამეთვალყურეო წარმოების საქმე, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ოპერატიული და გამოძიების მასალის უმეტესად დაუმოწმებელ ასლებს, მათ შორის, ამა თუ იმ პირზე ან ჯგუფზე განზოგადოებულ ცნობებს, ბრალდებულებისა და მოწმეების დაკითხვის ოქმებს, ძიების მსვლელობის შესახებ მოხსენებით ბარათებს, მიმოწერებს და სხვა დოკუმენტებს. ამდენად, მხოლოდ მათზე დაყრდნობით საფუძვლიანი, დასაბუთებული აზრისა და დასკვნების გამოტანა რთულია, მაგრამ, იმ პერიოდში რესპუბლიკაში, მმართველ კომუნისტურ პარტიასა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში შექმნილი ვითარების, სხვა შემონახული საქმეებისა და დოკუმენტური მასალების ანალიზი ობიექტური დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა.

„მეგრელ ნაციონალისტთა საქმის" ოპერატიულ-ანალიტიკურ კვლევას არაერთმა მკვლევარმა მოჰკიდა ხელი და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა თუ ლიტერატურულ ნაწარმოებებში მეტ-ნაკლებად ობიექტურად ასახა იმ ავბედითი პერიოდის მოვლენები. ჩვენი დაინტერესება ზემოაღნიშნული თემატიკით მეტწილად განპირობებულია ქართულ, ანტისაბჭოთა პოლიტიკურ ემიგრაციასთან მიმართებით საბჭოთა ხელისუფლებისა და მისი სადამსჯელო აპარატის (სპეცსამსახურების სახით) დამოკიდებულების ობიექტურად შეფასების სურვილით და საზოგადოებისათვის სწორი დასკვნების მიწოდებით.

უცხოელ მკვლევართა უმეტესობა ვარაუდობს, რომ „ანტიპარტიულ მეგრელ ნაციონალისტთა ჯგუფის" „გამოაშკარავებით" პირადად იყო დაინტერესებული ი. სტალინი, რომელმაც იმ პერიოდში რისხვა მიმართა თავისი გარემოცვის (მალენკოვი, ბულგანინი, ხრუშჩოვი, ბერია) ერთ-ერთი წევრის – ლავრენტი ბერიასკენ. მიზანი ერთი იყო – ლ. ბერიას თავიდან მოცილება, ვინაიდან ეს უკანასკნელი თავისი დიდი ძალაუფლებით, ინფორმირებულობითა და მრავალრიცხოვანი მხარდამჭერით ძალზე საშიში ხდებოდა პირველობისათვის ბრძოლაში.

ასეთივე მოსაზრება აქვს გენერალ პ. სუდოპლატოვს. ის იგონებს: „სტალინმა ისარგებლა რა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ა. მგელაძის ნეგატიური დამოკიდებულებით ბერიას მიმართ, პირდაპირ დაავალა 1948 წელს საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრად დანიშნულ, ფავორიტად მოხსენიებულ, რუხაძეს და სსრკ სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილეს პოლკოვნიკ რიუმინს განეხორციელებინათ ბერიას მიმართ სხვადასხვა ხასიათის ოპერატიული ღონისძიებები. უპირველეს ყოვლისა, კონტროლდებოდა ბერიას ახლო ნათესავების სატელეფონო საუბრები და მისი კონტაქტები თბილისში. ამას მოჰყვა საზღვარგარეთ ქართველ მენშევიკებთან „დანაშაულებრივი კავშირის" და „ანტიპარტიული საქმიანობის" ეგიდით სისხლის სამართლის საქმის შეთხზვა და საქართველოში ცალკეულ პარტიულ და სახელმ-

წიფო მოღვაწეთა, ლ. ბერიასთან ახლო მყოფ პიროვნებათა დაპატიმრებები. ი. სტალინის მიზანს წარმოადგენდა, ამ უკანასკნელის ხელით, მისივე ყველაზე ერთგული მეგობრების განადგურება, რითაც საბოლოო ჯამში კომპრომეტირებული იქნებოდა თვით ლ. ბერია. აღსანიშნავია, რომ არსებული ვითარების მიუხედავად, ი. სტალინი ქმნიდა აზრს, რომ ბერიას კვლავაც ენდობოდა. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ იმ პერიოდში, როდესაც ი. სტალინმა ლ. ბერიას პატივი დასდო და წილად არგუნა გამოსულიყო მისალოცი სიტყვით პარტიული აქტივის წინაშე 1951 წელს, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების 34-ე წლისთავის აღსანიშნავ შეხვედრაზე, თბილისში, ი. სტალინის მითითებით, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილე რიუმინი აგზავნის გამომძიებელთა სპეციალურ ჯგუფს, რომლის მიზანიც იყო ბერიას და მისი მეუღლის მიმართ მაკომპრომეტირებელი მასალების მოპოვება.

თბილისში დაპატიმრებულთა პირველ ნაკადში მოხვდნენ საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების ყოფილი მინისტრი რაფავა, გენერალური პროკურორი შონია და სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისიის წევრი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი პ. შარია.[7] გენერალ პ. სუდოპლატოვის ამ მოსაზრებებში რამდენიმე უზუსტობაა დაშვებული, თუმცა არსი ამით არ იცვლება.

და მაინც, იყო კი რაიმე საფუძველი, თუნდაც ირიბი იმისათვის, რომ საქართველოს პარტიული და სახელმწიფო მუშაკების დაპატიმრების მიზეზი გამხდარიყო?

იმ პერიოდში საბჭოთა პარტიულ ელიტაში ძალაუფლებისათვის ბრძოლამ თითქმის მთელი სახელისუფლო ვერტიკალი მოიცვა. სამოც წელს გადაცილებული ბელადი, ომში დახარჯული ტიტანური ენერგიის გამო, გადაღლილი ჩანდა და მუდმივად დასვენებასა და მკურნალობას საჭიროებდა.

ი. სტალინის ძველი პარტიული ამხანაგები წარმატებით აგრძელებდნენ ერთგული თანამებრძოლების როლის თამაშს, რისი წყალობითაც კვლავაც სერიოზულ სახელისუფლებო ბერკეტებს ინარჩუნებდნენ. ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტამ კრემლიდან მოშორებით, კუნცევოს აგარაკზე გადაინაცვლა. იმ პერიოდისათვის სერიოზულ ძალას წარმოადგენდა სამხედრო ელიტა, რომელიც ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებული ხშირად ჩნდებოდა სხვადასხვა პარტიულ ფორუმებსა, თუ კულტურულ ღონისძიებებზე. ხელისუფლების მწვერვალზე მყოფნი ხვდებოდნენ, რომ საბჭოთა იმპერიას, ერთ მშვენიერ დღეს, არსებობა უნდა გაეგრძელებინა სტალინის გარეშე, რაოდენ მწარეც არ უნდა ყოფილიყო ეს პროცესი, ვინაიდან ბელადის ავტორიტეტი და სიყვარული უბრალო მშრომელ მასებში განუზომლად დიდი იყო.

ხელისუფლებისათვის ბრძოლაში გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ ომისშემდგომი საშინაო თუ საგარეო პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, საბჭოთა ქვეყანა სერიოზულ გარდაქმნებს საჭიროებდა როგორც იდეოლოგიური, ისევე ეკონომიკის მოდერნიზაციის თვალსაზრისით. ცხოვრება ახალი აზროვნების დამკვიდრებას და ქვეყნის ახლებურად მართვას მოითხოვდა, რაც მობერებულ პარტიულ ელიტას კატეგორიულად არ სურდა. ახალი, პროგრესული იდეების დაუფარავი დემონსტრირებით გამორჩეული იყო ი. სტალინის ახლო გარემოცვის შედარებით ახალგაზრდა წარმომადგენელი ლ. ბერია, რომელსაც საკუთარი

შეხედულებები გააჩნდა როგორც, მაგალითად, გერმანიის გაყოფის, ისე ატომური ენერგიის გამოყენებისა და ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებთან დაკავშირებით. ამას ემატებოდა ისიც, რომ მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ლ. ბერიას ხელში კვლავ დიდი ძალაუფლება იყო კონცენტრირებული, რაც მის მოწინააღმდეგეებს და მოშურნეთ ძალზე აღიზიანებდა და ქმნიდა მის მიმართ ნეგატიური განწყობის წინაპირობებს.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ პერიოდში საბჭოთა სახელისუფლო ელიტაში სერიოზულად დაიწყეს ფიქრი სტალინის შემცვლელზე. ბელადი მემკვიდრის დასახელებას არ ჩქარობდა. ერთი პერიოდი სტალინის შემცვლელად ჟდანოვი განიხილებოდა, თუმცა 1948 წელს ის საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა. შემდგომში მომავალ ლიდერად მოლოტოვი დასახელდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა მეორე პლანზე გადაინაცვლა და მუდამჟამს ჩრდილში ყოფნას ამჯობინებდა. პირველკაცობის პრეტენზია ჰქონდა ჟუკოვსაც, თუმცა მას „სალდაფონად" მიიჩნევდნენ და სერიოზულ პოლიტიკურ მოწინააღმდეგედ არ აღიქვამდნენ.[91] ყველაზე რეალურ კანდიდატად ი. სტალინის მემკვიდრისა მაინც ლავრენტი ბერია შეიძლება ჩათვლილიყო. საინტერესოა ისიც, რომ, როგორც ქართველ ემიგრანტთა წრეებში საუბრობდნენ, ლ. ბერიას პიროვნებით ამერიკელებიც იყვნენ დაინტერესებულები და მასთან კონტაქტების დამყარების სურვილსაც გამოთქვამდნენ. ყველა ზემოაღნიშნული ვერსიის ფონზე, ვფიქრობთ, ყურადსაღებია ი. სტალინის მომავალ მემკვიდრესთან დაკავშირებით შალვა ბერიშვილის მოსაზრებები, რომლებიც მან დააფიქსირა 1986 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში ბატონი გურამ შარაძისადმი გაგზავნილ წერილში.

შ. ბერიშვილი მიანიშნებს 1938 წელს პარიზში ლ. ბერიას ცოლისძმის კონსტანტინე გეგეჭკორის სტუმრობის ფაქტზე და აღნიშნავს, რომ ეს უკანასკნელი „...ყველა მეგრელს იქ მყოფთ, და უპირველესად თეთრგიორგელს მოუწოდებდა მხარი დაეჭირათ ბერიასათვის, რომელიც მალე გადავა მოსკოვში და სტალინის შემდეგ, ის დაიკავებს მის ადგილსო".

აღნიშნული ფაქტის თაობაზე სცოდნიათ არამარტო ქართულ ემიგრაციაში, არამედ დასავლეთის დიპლომატიურ წრეებშიც. სსრ კავშირში დაბრუნებული კ. გეგეჭკორი ჯერ დაუპატიმრებიათ, შემდეგ კი დაუხვრეტიათ. რეპრესიების ერთერთი მიზეზი, შესაძლოა, მისი პარიზული წარუმატებელი ვოიაჟიც ყოფილიყო.

შ. ბერიშვილი აღნიშნავს, რომ მოსკოვში ყოფნისას, 1943 წლის დამდეგისათვის, მისთვის ბ. ქობულოვს რამდენჯერმე უკითხავს, თუ როგორ უყურებდა ის ი. სტალინის შემდეგ ქვეყნის სათავეში ლ. ბერიასა და მისი გუნდის მოსვლის იდეას. ამავდროულად, შ. ბერიშვილისთვის ქობულოვს უთხოვია ამ საქმეში აქტიური მონაწილეობის მილება, თუმცა რაში უნდა გამოხატულიყო ეს მხარდაჭერა, მას არ დაუკონკრეტებია. შ. ბერიშვილის პასუხი ყოველთვის ცალსახად უარყოფითი ყოფილა და მეტიც, გაუბედავს და ურჩევია ქობულოვისა და მისი თანამზრახველებისათვის, რომ ხელი აეღოთ ამ გადაწყვეტილებაზე, ვინაიდან მათი განზრახვა არამარტო პირადად მათთვის, არამედ თვით საქართველოსათვის დიდად სახიფათო იყო. შ. ბერიშვილს მიაჩნდა, რომ „სტალინის შემდეგ სასურველია მის პოსტზე რუსი დაჯდეს, რადგანაც არ იქნეს შელახული მათი ნაციონალური თავმოყვარეობა და არ მოხდეს ისე, რომ თითქოს ქართველებს

მემკვიდრეობით ჰქონდეთ იმ პოსტის დაჭერის უფლება". შ. ბერიშვილის თქმით, „ქობულოვი მაინც თავისას განაგრძობდა და ის საქმე გადაწყვეტილად მიაჩნდა".

ბ. ქობულოვმა შ. ბერიშვილის მოსაზრებები და უარი შეთავაზებულ წინადადებაზე შეაფასა როგორც ლ. ბერიას და მისი გუნდის წინააღმდეგ წასვლა და მათთვის დახმარებაზე უარის თქმა. მიუხედავად ამისა, შ. ბერიშვილი თავის პოზიციაზე მტკიცედ დარჩენილა, რის შედეგადაც ოცდახუთწლიანი პატიმრობა მიუღია.[199]

1946 წელს ლ. ბერიას სკპ (ბ) ცკ პოლიტბიუროს (პრეზიდიუმის) წევრად ირჩევენ. იმავე წლიდან ის სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეა (1953 წლის 15 მარტიდან იმავე წლის 26 ივნისამდე – პირველი მოადგილე) და აღმასრულებელ ხელისუფლებაში კურირებს ძალოვან უწყებებს, თუმცა მას ჩვეული გავლენა უშიშროებისა და შინაგან საქმეთა ორგანოებზე აღარ გააჩნდა. ამ უწყებათა ხელმძღვანელები პირდაპირ დაქვემდებარებაში იყვნენ ი. სტალინთან და ასრულებდნენ მის უშუალო მითითებებს. ამავდროულად, ის რჩებოდა 1944 წლიდან თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ. ი. სტალინის გარდაცვალების შემდეგ, 1953 წლის მარტ-ივნისში, ლ. ბერია ამავდროულად სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი (მინისტრი) იყო.

ძნელია იმის მტკიცება, თუ რას ემსახურებოდა ლ. ბერიას მიმართ ზემოაღნიშნული თანამდებობრივი გადაადგილებები – მისი ავტორიტეტის ამაღლებას და ძალაუფლების გაძლიერებას თუ პირიქით. თუმცა ფაქტია, რომ საბჭოთა ხალხის ბელადს ახალი, გრანდიოზული პოლიტიკური შოუ ჰქონდა ჩაფიქრებული. მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის არნახულმა გამარჯვებამ დიდი სიხარული და ოპტიმიზმი გამოიწვია მთელ საბჭოეთში და მათ შორის საქართველოში. სამეურნეო-ეკონომიკური მაჩვენებლები და ხალხის კეთილდღეობა წლიდან წლამდე უმჯობესდებოდა, ქვეყანა რეალური აღმშენებლობის გზას დაადგა. გამარჯვების ეიფორიამ შეიპყრო საქართველოს პარტიული ელიტაც, რომელთა ნაწილშიც იმძლავრა კარიერიზმმა, კორუფციული ურთიერთობებისადმი სწრაფვამ, პროტექციონიზმმა, კუთხურობამ, სამეურნეო ხასიათის დანაშაულმა. განსაკუთრებით ეს ნეგატიური პროცესები თვალშისაცემი აღმოჩნდა საქართველოს ძირძველ და უმშვენიერეს კუთხეში – სამეგრელოში, სადაც სამეგრელოს ავტონომიის შექმნაზეც კი ალაპარაკდნენ. განუზომლად დიდი იყო სამეგრელოს რაიონულ პარტიულ ორგანიზაციებში ლ. ბერიას ავტორიტეტი. მიუხედავად იდეოლოგიური და მსოფლმხედველობითი დაპირისპირებისა, ლ. ბერიას მიმართ სიმპათიით იყვნენ განწყობილნი მეგრული წარმოშობის ქართული პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენლები, რომლებიც მას ი. სტალინის მემკვიდრედაც კი მიიჩნევდნენ.

სამეგრელოს რეგიონის პარტიულ ელიტაში შექმნილი ვითარების გამო, სულ უფრო და უფრო მეტ უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ უბრალო მშრომელი ადამიანები. ინფორმაცია აღნიშნულის თაობაზე მუდმივად მისდიოდათ ი. სტალინსა და საბჭოთა უშიშროების ორგანოებს. ზემოაღნიშნულზე ზედმიწევნით ზუსტად იყვნენ ინფორმირებულნი ლ. ბერია და მისი ჩეკისტი მეგობრები „ცენტრში".

როგორც აღვნიშნეთ, ნ. რუხაძის საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრად დანიშვნა მოხდა კ. ჩარკვიანის მხარდაჭერითა და ი. სტალინის უშუალო მითითებით ისე, რომ საკავშირო სახელმწიფო უშიშროების მინისტრი აბაკუმოვი ამის თაობაზე საქმის კურსში არავის ჩაუყენებია.

ჩამოქვეითებამ თვით ა. რაფავა ძალზე გააღიზიანა. საქართველოს კპ (ბ) ცკ მეორე მდივანი და ლ. ბერიას ფავორიტი მ. ბარამია ა. რაფავას აშკარად მხარს უჭერდა და ნ. რუხაძის წინააღმდეგ ილაშქრებდა. სულ მალე გამოიკვეთა ხელისუფლებისათვის მებრძოლი ორი მოწინააღმდეგე მხარე: ჩარკვიანი-რუხაძე და ბარამია-რაფავა. პირველს ი. სტალინი უჭერდა (დროებით, იმ პერიოდის ინტერესებიდან გამომდინარე) მხარს, ხოლო მეორეს (ფარულად) – ლ. ბერია.

ჩარკვიანი-რუხაძის ტანდემი ძალასა და ენერგიას არ იშურებდა მოწინააღმდეგის გზიდან ჩამოსაშორებლად. თავისთავად ცხადია, ისმის კითხვა, თუ რით იყო გამოწვეული რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელობისა და სახელმწიფო უშიშროების მინისტრის ასეთი გახელება? თუ გავითვალისწინებთ ნ. რუხაძის დაუოკებელ კარიერისტულ მისწრაფებებს, შურიანობასა და ამბიციებს, კ. ჩარკვიანის ავადმყოფურ ეჭვიანობას, გარემოცვისადმი უნდობლობას, რაც გამოწვეული იყო თანამდებობის დაკარგვის შიშით, აგრეთვე შექმნილ ვითარებას და ყველაფერ ამას გავაანალიზებთ საქმის მასალებთან ერთად, მივიღებთ საკმაოდ მკაფიო პასუხს ჩვენთვის საინტერესო კითხვაზე.

მკითხველის ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ერთ გარემოებაზე, რომელმაც, ჩვენი აზრით, გადამწყვეტი როლი ითამაშა ა. რაფავასა და მისი ძმის დაპატიმრებაში.

1938-1947 წლებში უშიშროების მინისტრად ყოფნის დროს ა. რაფავას ახლო ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს კომპარტიის ჯერ წალენჯიხის რაიკომის, შემდეგ აფხაზეთის საოლქო და ბოლოს – საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანთან მ. ბარამიასთან. ეს უკანასკნელი უკვე „მიჩვეული იყო შედარებით სწრაფ თანამდებობრივ წინსვლას“ და შორს არ იყო შესაძლებლობისაგან, გამხდარიყო პირველი მდივანი, რის შესახებაც უკვე ღიად საუბრობდნენ პარტიულ წრეებში, განსაკუთრებით – სამეგრელოში. თვით ა. რაფავა უშიშროების მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შემდეგ საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, კ. ჩარკვიანის მიმართ განაწყენებას არ მალავდა. ამასთან, არც ა. რაფავას აკლდა კარიერისტული ამბიციები, მასაც სურდა რესპუბლიკის ხელმძღვანელის პოსტი.

კ. ჩარკვიანისათვის ყოველივე ზემოაღნიშნული კარგად იყო ცნობილი. უეჭველია, რომ ეს და სხვა ამგვარი ფაქტები იცოდა ნ. რუხაძემაც, რომლის მიმართაც სერიოზულ უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ მ. ბარამია და ა. რაფავა.

ნიშანდობლივია ერთი ფაქტი: 1941-1945 წლებში ნ. რუხაძე ხელმძღვანელობდა სახელმწიფო უშიშროების საკავშირო სამინისტროს ამიერკავკასიის ფრონტის, ომის დამთავრების შემდეგ კი – სამხედრო ოლქის განსაკუთრებულ განყოფილებას. ამ თანამდებობაზე ყოფნისას ის სისტემატურად უპირისპირდებოდა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ოპერატიულ ინტერესებსა და კომპეტენციებს, პირადად მინისტრ ა. რაფავას. ზოგჯერ არ ემორჩილებოდა, უარს ამბობდა გადაწყვეტილებების ერთობლივად შესრულებაზე და ა. შ. ამას თავისებურად ხელს უწყობდა იმდროინდელი უშიშროების სამინისტროს სტრუქტურაც. კერძოდ, მაშინ მოქმედი სტრუქტურის შესაბამისად, ნ. რუხაძის თანამდებობრივი უფლებები ვრცელდებოდა ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკის ტერიტორიაზე და პრაქტიკულად, არა თუ უშიშროების მინისტრებს, რესპუბლიკების არც ერთ

ხელმძღვანელს არ ემორჩილებოდა. იგი უფლებრივად მათი თანასწორი წევრი იყო ამიერკავკასიის ფრონტის (შემდგომში სამხედრო ოლქის) საბჭოში.

აღსანიშნავია ისიც, რომ ომის პერიოდში უწყებამ, რომელსაც ნ. რუხაძე ხელმძღვანელობდა, უშუალოდ საკავშირო სამინიტროსთან შეთანხმებით, საქართველოს ტერიტორიაზე ჩაატარა რამდენიმე ოპერატიული ღონისძიება გერმანიის დაზვერვის წინააღმდეგ, რამაც ნ. რუხაძეს აღიარება და ავტორიტეტი მოუტანა (თუმცა, რიგი მოსაზრებებით, უშიშროების სამინისტროსთან ერთობლივად ჩატარებული ოპერაციები შეიძლებოდა გაცილებით ეფექტური ყოფილიყო). წარმატებული შედეგების გამო ნ. რუხაძეს მიანიჭეს გენერალ-ლეიტენანტის წოდებაც და სახელმწიფოს უმაღლესი ჯილდოები. შედეგად, საზოგადოებაში, სახელმწიფო ინსტანციებში, განსაკუთრებით, ჩეკისტურ კოლექტივში, დაიწყო მითქმა-მოთქმა ნ. რუხაძის დანინაურების, კერძოდ, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრად დანიშვნის ან მოსკოვში მაღალ თანამდებობაზე გადაყვანის შესახებ. რასაკვირველია, ასეთი ხმები სასიამოვნო არ იყო უშიშროების მინისტრ ა. რაფავასათვის. ა. რაფავა არ მალავდა თავის უკმაყოფილებას ნ. რუხაძის ქცევით, დაუფარავად ამჟღავნებდა მისადმი სიძულვილსაც კი. ზემოხსენებული და რიგი სხვა მომენტები ძალზე უარყოფით გავლენას ახდენდა ნ. რუხაძისა და ა. რაფავას ურთიერთობაზე, რაც, შეიძლება ითქვას, პირადი მტრული დამოკიდებულებების ზღვრამდე იყო მისული.

როგორც ნინა თავში აღვნიშნეთ, საქართველოს უშიშროების მინისტრის პოსტზე მოსვლისთანავე ნ. რუხაძემ თავისი მოღვაწეობა იმით დაიწყო, რომ უნდობლობა გამოუცხადა და სამსახურიდან დაითხოვა რაფავას მიერ დანიშნული თითქმის ყველა მეგრული წარმოშობის ხელმძღვანელი თუ რიგითი მუშაკი. ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ გააღიზიანა მ. ბარამია. იმ დროისათვის მ. ბარამია იქცა ბევრისათვის, განსაკუთრებით, სამეგრელოს რეგიონში, თითქმის ფეტიშად. უმაღლეს ორგანოებთან შეუთანხმებლად ზუგდიდის ერთ-ერთ ქუჩას მიეკუთვნა ბარამიას სახელი, წალენჯიხაში საშუალო სკოლა გახდა მისი სახელობის, ფირნიშებსა და დაწესებულებების კედლებზე გაჩნდა გადიდებული პორტრეტები, ცენტრალურ კომიტეტში უკვე მის სახელზე მიდიოდა წერილობითი საჩივრები თუ თხოვნები და ა.შ.

ნ. რუხაძესა და მ. ბარამიას ურთიერთობა უკიდურესად დაძაბა ბარამიას ინიციატივით ჩატარებულმა რესპუბლიკურმა თათბირმა, რომელზეც ბარამიამ მკაცრად გააკრიტიკა უშიშროების სამინისტროს საქმიანობა, ნ. რუხაძის მუშაობის სტილი და ქცევები. ამგვარი კრიტიკული ხასიათი ჰქონდა თათბირის ზოგიერთი მონაწილის გამოსვლასაც. თათბირზე შეიქმნა ნ. რუხაძისათვის მეტად არასახარბიელო სიტუაცია. შემდგომ ნ. რუხაძემ მოხერხებულად დაიყოლია კ. ჩარკვიანი და პირადი ზრახვების განსახორციელებლად ოსტატურად გამოიყენა პარტიულ და მმართველ ორგანოებში კუთხურობის ნიშნით მუშაკთა კონცენტრაცია, რაც, ერთი შეხედვით, დაჯგუფების სახეს ატარებდა და საფრთხეს უქმნიდა საქართველოს კომპარტიის მთლიანობას.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ იმ დროს მიმდინარე პროცესები მართლაც არ გამორიცხავდა და რეალურად ქმნიდა პირობებს მიხეილ ბარამიასა და მისი მხარდამჭერების რესპუბლიკის სათავეში მოსვლისას, თუ მხედველობაში

მივიღებთ მათ სწრაფვას, ამბიციებსა და პრაქტიკულ საქმიანობას, რაც აშკარად ისახებოდა მათივე ქცევებში, მიკერძოებულ მხარდაჭერაში, პროტექციისა და სხვა ანგარების ნიადაგზე ზოგიერთების დანაშაულებრივი ქმედების დაფარვასა და მიჩქმალვაში.

კ. ჩარკვიანმა და ნ. რუხაძემ, შეაფასეს რა შექმნილი ვითარება, მ. ბარამიას და მისი თანამზრახველების ხელისუფლების სათავეში მოსვლის საფრთხე, განიზრახეს მათი გზიდან ჩამოშორება.

ჩანაფიქრის განხორციელების დასაჩქარებლად საჭიროდ მიიჩნიეს ვითარების კიდევ უფრო გამწვავება, რისთვისაც ნ. რუხაძემ მოიშველია მის მიერ ზოგიერთი ქართველი რეემიგრანტისა და საბჭოთა დაზვერვის თანამშრომლის მეშვეობით „მოძიებული" საეჭვო ინფორმაციები მ. ბარამიას ხელმძღვანელობით „მეგრელი ნაციონალისტების ანტიპარტიული დაჯგუფებების" არსებობის, აგრეთვე ემიგრაციის ლიდერებთან და უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან მათი კავშირის შესახებ.

ბუნებრივია, ამ ავანტურისტულ ჩანაფიქრს ჩარკვიანი-რუხაძე დამოუკიდებლად ფრთებს ვერ შეასხამდნენ. ამისათვის მათ ბიძგის მიცემა სჭირდებოდათ უმაღლესი სახელისუფლებო ინსტანციებიდან. ამის დროც დადგა.

ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, 1951 წლის 26 სექტემბერს კ. ჩარკვიანი და ნ. რუხაძე ეწვივნენ წყალტუბოში დასასვენებლად რამდენიმე დღით მყოფ ი. სტალინს. ეს იყო ბელადთან ნ. რუხაძის პირველი შეხვედრა. როგორც ამ უკანასკნელის დაკითხვის მასალებიდან ჩანს, ი. სტალინი დაინტერესებული იყო ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაციით და საქართველოში მოქმედი ანტისაბჭოთა ცენტრების საქმიანობით, აგრეთვე მათ შორის არსებული კავშირების ხასიათითა და ინტენსივობით. ი. სტალინს ისიც აღუნიშნავს, რომ სათანადო ინფორმაციის მოსაპოვებლად საჭირო იყო, საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ჰყოლოდა საიდუმლო პირები – აგენტები თურქეთში, ირანსა და საფრანგეთში და ემოქმედათ „ცენტრისაგან" დამოუკიდებლად. მართალია, ჩვენთვის უცნობია, თუ სხვა რა თემებზე ჰქონდათ საუბარი კ. ჩარკვიანსა და ნ. რუხაძეს ი. სტალინთან, მაგრამ ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ იგი შეეხებოდა „ბარამიას ანტიპარტიულ დაჯგუფებასაც".[178] სტალინს საქართველოს პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში, განსაკუთრებით აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში იმ პერიოდში არსებულ ვითარებაზე მოახსენა აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ა. მგელაძემ, რომელსაც ი. სტალინი სულ უფრო და უფრო იახლოებდა. ეს კი ლ. ბერიას ძალზე აღიზიანებდა. სავარაუდოა, სწორედ ამ შეხვედრების შემდეგ საქართველოს პარტიულ ორგანიზაციაში შექმნილი ვითარების შესწავლა ი. სტალინმა დაავალა უშუალოდ სახელმწიფო უშიშროების მინისტრ ნ. რუხაძეს.

ძნელია იმის თქმა, თუ ვინ უფრო მეტად იყო „მეგრელთა საქმის" შეკონწიებით დაინტერესებული – რუხაძე-ჩარკვიანის ტანდემი თუ ა. მგელაძე, მაგრამ ფაქტია, სამივე ამ ბინძური თამაშის თანამონაწილე აღმოჩნდა.

საფიქრებელია, სწორედ ამ „შესწავლის" შედეგებიდან გამომდინარე მიღებულ იქნა საკავშირო კპ (ბ) ცკ 1951 წლის 9 ნოემბრის დადგენილება „საქართველოში მექრთამეობისა და ამხ. ბარამიას ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ". დადგენილება მომზადდა ი. სტალინის აგარაკზე ახალ ათონში. მის თაობაზე საქმის კურსში არ

იყვნენ სკპ (ბ) ცკ-ში. დადგენილება არ უნახავთ გ. მალენკოვსა და ლ. ბერიას (ჩემ მიერ მინიშნებული დადგენილების ტექსტი ვერ იქნა მოძიებული).

9 ნოემბრის დადგენილებაში, გარდა მექრთამეობისა, ხაზინის ქურდობისა და სოციალისტური საკუთრების დატაცებისა, ხაზგასმით იყო საუბარი იმაზე, რომ „ქართული ემიგრაცია პარიზში (ჟორდანია-გეგეჭკორი) თავისი ჯაშუშური ინფორმაციებით საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ, ამერიკის დაზვერვას ემსახურება და ამისათვის დოლარებს იღებს. ბოლო დროს ამერიკის დაზვერვა უპირატესობას აძლევს გეგეჭკორის ჯაშუშურ ინფორმაციას ჟორდანიას ინფორმაციასთან შედარებით. გეგეჭკორის სადაზვერვო ორგანიზაცია მხოლოდ მეგრელებისაგან შედგება, არსებობს მეგრელთა მთელი ჯგუფი, რომელიც გეგეჭკორის დაზვერვას ემსახურება".[177]

ანალოგიურ საკითხზე დადგენილება ასევე მიღებულ იქნა 1952 წლის 27 მარტს – „მეგრული ნაციონალისტური ორგანიზაციის არსებობის შესახებ საქართველოს კპ (ბ) ცკ-ის ყოფილი მეორე მდივნის გ. ბარამიას ხელმძღვანელობით". 9 ნოემბერს მოჰყვა 1951 წლის 16 ნოემბრისა და 29 ნოემბრის სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები – „საქართველოს სსრ ტერიტორიიდან მტრული ელემენტების გასახლების შესახებ".

ზემოაღნიშნული დადგენილებების განუხრელად შესრულება დაევალა საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროსა და მის ხელმძღვანელს ნ. რუხაძეს, რომელსაც აქტიურ ოპერატიულ დამუშავებაში ჰყავდა აყვანილი „მეგრელ ნაციონალისტთა ჯგუფის საქმის" მომავალი მონაწილენი. თუმცა, ცალკეულ „დამნაშავეთა" დასაპატიმრებლად საჭირო იყო „ფაქტობრივი მასალები". სახელმწიფო უშიშროების მინისტრის ნ. რუხაძის „გამჭრიახობამ" და „ოპერატიულმა ალღომაც" არ დააყოვნა. ნ. რუხაძემ პირველად მიზანში ძმები რაფავები ამოიღო.

საარქივო საქმეში დაცულია ერთი ნაბეჭდი დოკუმენტის მეორე პირი, თუმცა მასზე მითითებულია, რომ ის არის ერთადერთი. დოკუმენტი შესრულებულია ორ ფურცლად, გრიფით „სრულიად საიდუმლო – მხოლოდ პირადად" და მიმართულია საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, კანდიდ ჩარკვიანისადმი. მას ხელს აწერს საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრი ნ. რუხაძე. დოკუმენტი (N 0135) დათარიღებულია 1951 წლის 9 ნოემბრით. მოგვყავს ტექსტის შინაარსი უცვლელად: „Докладываю о материалах, имеющихся в МГБ Грузинской ССР на брата и шурина Министра Юстиции Грузинской ССР т. РАПАВА А.Н.

Брат т. РАПАВА А.Н. – РАПАВА Капитон Нарикиевич, будучи на фронте в звании полковника, в должности начальника отдела химзащиты полевого управления 13-й армии, 27 июля 1941 г. был пленен немецкими войсками и направлен в лагерь для военнопленных в г.Хаммельбург (Германия), где содержались офицеры и генералы Советской Армии.

Органами «Гестапо» в этом лагере был создан «Комитет» так называемой «Русской трудовой народной партии» (РТНП), членом которой являлся РАПАВА К.Н.

По показанию арестованного МГБ СССР – ШИЛОВА Е.Н., находившегося в

том же лагере и являвшегося участником той же антисоветской организации, известно, что комитет РТНП обрабатывал бывших военнопленных Советской Армии для вовлечения в свою организацию, готовил кадры для «Русской добровольческой армии» и отбирал из числа офицеров-военнопленных людей для немецкой разведывательной школы в Праге. Кроме того, были выделены 4 офицера (ШИЛОВ Е.Н., РАПАВА К.Н. и два других офицера), которые по поручению офицера генштаба немецкой армии составляли «Историю германо-советской войны» в антисоветско-клеветническом духе.

Из трофейных документов захваченных частями Советской Армии, в штабе группы немецких армий «Центр», видно, что РАПАВА К.Н. в немецком разведоргане «Абвергруппа-1» дал подробный обзор о состоянии химической службы Советской Армии.

Пребывание РАПАВА К.Н. в Хаммельбургском лагере подтверждается трофейными документами.

РАПАВА К.Н. в прошлом являлся начальником химических войск ЗакВО, проходит по показаниям врагов народа – ЛЕВАНДОВСКОГО М.К. от 28 мая 1938 г. и ЧАШНИЦКОГО К.В. от 21-23 апреля 1938 г.

Об изложенном выше нам стало известно в конце октября 1951 г.

Шурин т. РАПАВА А.Н. – ЖОРДАНИЯ Георгий Кондратьевич – 1906 г. рожд., родственник Ноя ЖОРДАНИЯ, как известно, в 1926 году нелегально ушел в Турцию, а затем во Францию, где и обосновался в городе Париже.

Во Франции ЖОРДАНИЯ Г.К. примкнул к меньшевикам.

В годы Великой Отечественной войны ЖОРДАНИЯ Г.К., в числе других эммигрантов, вел активную антисоветскую работу в составе созданного немецкой разведкой ортяда, под названием «Тамара-2».

В 1942-43 г.г. вместе с немецкими войсками, в качестве офицера немецкой разведки и представителя антисоветской грузинской эммиграции, ЖОРДАНИЯ Г.К. дошел до Пятигорска и проводил активную вербовочную работу среди бывших военнопленных Советской Армии. (см. 045 от 20 марта 1950 г.).

По ориентировке МГБ СССР нам известно, что загранбюро меньшевиков намеревается забросить для нелегальной антисоветской работы в Грузии эммигранта ЖОРДАНИЯ Давида Константиновича (также родственника Ноя ЖОРДАНИЯ) и что последний дал свое согласие на нелегальный переход в Грузию в том случае, если совместно с ним будет направлен второй человек, назвав при этом ЖОРДАНИЯ Георгия Кондратьевича. В связи с изложенными данными, на наш взгляд, следует рассмотреть вопрос о т. РАПАВА А.Н.»

п.п. Н. РУХАДЗЕ *

---

* „მოგახსენებთ, საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის ამხ. ა. ნ. რაფავას ძმაზე და ცოლისძმაზე არსებული მასალების შესახებ. ამხ. ა. ნ. რაფავას ძმა – რაფავა კაპიტონ ნარიკის ძე, იმყოფებოდა რა ფრონტზე პოლკოვნიკის ნოდებაში, მე-13 არმიის საველე სამმართველოს ქიმიური დაცვის განყოფილების უფროსი, 1941 წლის 27 იულისს დაპატიმრებულ იქნა გერმანელთა ნაწილების მიერ და გადაყვანილ იქნა ტყვეთა ბანაკში ქ. ხამელბურგში (გერმანია), სადაც იმყოფებოდნენ საბჭოთა არმიის ოფიცრები და გენერლები. ამ ბანაკში „გესტაპოს“ ორგანოების მიერ შეიქმნა ეგრეთ წოდებული „რუსეთის მშრომელი სახალხო პარტიის“ (რმსპ) „კომიტეტი“, რომლის წევრიც იყო კ.ნ. რაფავა.
სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მიერ დაპატიმრებული ე.ნ. შილოეის ჩვენებით,

აღნიშნულ დოკუმენტს ადევს კ. ჩარკვიანის ამავე 10 ნოემბრით დათარიღებული რეზოლუცია:

„тов. РУХАДЗЕ.

РАПАВА А.Н. необходимо арестовать немедленно, как члена антипартийной группы и близкого родственника изменников Родины.

Следует арестовать также его брата РАПАВА Ивана.

К. ЧАРКВИАНИ

10.XI.51 г.»[362]

რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელის მითითების თანახმად, მეორე დღესვე, 11 ნოემბერს იქნა აღძრული სისხლის სამართლის საქმე „ანტიპარტიული ჯგუფის" სახელწოდებით და ძმები რაფავები დააპატიმრეს, მიუხედავად იმისა, რომ წერილში მათ მიმართ რაიმე მაკომპრომეტირებელი ინფორმაცია არ ყოფილა მითითებული, ივანე რაფავა კი მასში საერთოდ არ მოიხსენიებოდა. არც ის იყო აღნიშნული, რომ კაპიტონ რაფავა ტყვედ ყოფნისას, 1943 წლის 24 აგვისტოს გარდაიცვალა.

შემდგომ ძიებასთან დაკავშირებული მასალები აშკარად მოწმობენ იმაზე, რომ ძმები რაფავების დაპატიმრება მიზნად ისახავდა მიეღოთ ჩვენებები მათ მონაწილეობაზე „მეგრელ ნაციონალისტთა ორგანიზაციაში", რომელსაც თითქოსდა ხელმძღვანელობდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ბარამია.

---

რომელიც იმყოფებოდა იმავე ბანაკში და იყო იმავე ანტისაბჭოთა ორგანიზაციის წევრი, ცნობილია, რომ რმსჰ-ის კომიტეტი ამუშავებდა საბჭოთა არმიის ყოფილ სამხედრო მოსამსახურეებს თავის ორგანიზაციაში ჩასართავად, ამზადებდა „რუსეთის ნებაყოფლობითი არმიისთვის" კადრებს და ტყვე-ოფიცრებისგან არჩევდა ადამიანებს გერმანიისა და პრაღის სადაზვერვო სკოლისათვის. ამას გარდა, შერჩეულ იქნა 4 ოფიცერი (ე.წ. შილოვი, კ.ნ. რაფავა და ორი სხვა ოფიცერი), რომლებიც, გერმანიის არმიის გენშტაბის ოფიცრის დავალებით, ადგენდნენ „გერმანია – საბჭოთა კავშირის ომის ისტორიას" ანტისაბჭოთა ცილისმწამებლური ალმაფრენით.

გერმანიის არმიის „ცენტრის" დაჯგუფების იმ დოკუმენტებიდან, რომლებიც საბჭოთა არმიის ნაწილებს ხელში ჩაუვარდათ, ჩანს, რომ კ.ნ. რაფავამ გერმანიის სადაზვერვო ორგანოს „აბვერჯგუფი 1"-ს მისცა დანერილებითი მიმოხილვა საბჭოთა არმიის ქიმიური სამსახურის შესახებ. კ. ნ. რაფავას ყოფნა ხამელბურგის ბანაკში დასტურდება მოპოვებული დოკუმენტებით. რაფავა კ.ნ. ადრე იყო ამიერკავკასიის ქიმიური ნაწილების უფროსი, ფიგურირებს ხალხის მტრების – მ.კ.ლევანდოვსკის 1938 წლის 28 მაისის და კ.ვ. ჩაშნიცკის 1938 წლის 21-23 აპრილის ჩვენებებში.

ზემოაღნიშნულის თაობაზე ჩვენთვის ცნობილი გახდა 1951 წლის ოქტომბრის ბოლოს.

ა.ნ. რაფავას ცოლისძმა ჟორდანია გიორგი კონდრატის ძე, 1906 წელს დაბადებული, ნოე ჟორდანიას ნათესავი, როგორც ცნობილია, 1926 წელს არალეგალურად გადავიდა თურქეთში, ხოლო შემდეგ საფრანგეთში, სადაც დაფუძნდა კიდეც პარიზში.

გ.კ. ჟორდანია საფრანგეთში მიეკედლა მენშევიკებს. გ.კ. ჟორდანია დიდი სამამულო ომის წლებში, სხვა ემიგრანტებთან ერთად, ეწეოდა აქტიურ ანტისაბჭოთა საქმიანობას გერმანიის დაზვერვის მიერ შექმნილი რაზმის „თამარა-2"-ის შემადგენლობაში.

გ.კ. ჟორდანიამ 1942-44 წლებში გერმანულ ნაწილებთან ერთად, როგორც გერმანიის დაზვერვის ოფიცერმა და ანტისაბჭოთა ქართული ემიგრაციის წარმომადგენელმა, პიატიგორსკამდე ჩააღწია, სადაც ეწეოდა აქტიურ გადმობირებით საქმიანობას საბჭოთა არმიის ყოფილ სამხედრო მოსამსახურეთა შორის (იხ. 045, 1950 წ. 20 მარტი).

სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ორიენტირებიდან ცნობილია, რომ მენშევიკთა საზღვარგარეთის ბიუროს განზრახული აქვს დავით კონსტანტინეს ძე ჟორდანიას (ასევე ნოე ჟორდანიას ნათესავი) საქართველოში შემოგზავნა არალეგალური ანტისაბჭოთა საქმიანობისათვის და რომ ამ უკანასკნელმა თანხმობა განაცხადა საქართველოში არალეგალური გადასვლის თაობაზე, თუკი მასთან ერთად იქნება მეორე ადამიანი, დაასახელა რა ამასთან ერთად ჟორდანია გიორგი კონდრატეს ძე. ზემოაღნიშნულ მონაცემებთან დაკავშირებით, ჩვენი აზრით, საჭიროა ამხ. ნ. რაფავას საკითხის განხილვა. ნ. რუხაძე"

* ამხ. რუხაძეს

აუცილებელია, სასწრაფოდ იქნეს დაპატიმრებული ა.ნ. რაფავა, როგორც ანტიპარტიული ჯგუფის წევრი და სამშობლოს მოღალატეთა ახლო ნათესავი. საჭიროა ასევე მისი ძმის, ივანე რაფავას დაპატიმრებაც. კ. ჩარკვიანი. 10.XI.51 წ.

1951 წლის 10 ნოემბერს გაიმართა საქართველოს კომპარტიის (ბ) ცკ ბიუროს დახურული სხდომა, რომელზეც კ. ჩარკვიანმა დამსწრეთ გააცნო 9 ნოემბრის დადგენილება. როგორც თვითმხილველები აღნიშნავენ, კ. ჩარკვიანი თავისი მისიის შესრულების პროცესში თავს ძალიან ცუდად გრძნობდა.

1951 წლის 11 და 12 ნოემბერს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პირველ დღეს სიტყვით გამოვიდა ნ. რუხაძე, რომელიც დამსწრეთ მოუყვა იმ დანაშაულებრივ ქმედებებზე, რასაც ჩადიოდა მ. ბარამიას „ანტიპარტიული ჯგუფი". პლენუმზე მგზნებარე სიტყვით გამოვიდა ა. მგელაძე, რომელმაც ქვა ქვაზე არ დატოვა.[179] პლენუმმა დაადგინა შემდეგი:

„1. დაიგმოს ამხ. ბარამიას ჯგუფის ანტიპარტიული და ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა;

2. მოიხსნას მიხ. ბარამია საქართველოს კპ (ბ) ცკ-ის მეორე მდივნის პოსტიდან და გამოყვანილ იქნეს ცკ-ის წევრთა შემადგენლობიდან;

3. მოიხსნას სამუშაოდან ავქსენტი რაფავა და გამოყვანილ იქნეს საქართველოს კომპარტიის (ბ) ცკ-ის წევრთა შემადგენლობიდან;

4. მოიხსნას ვლადიმერ შონია საქართველოს პროკურორის თანამდებობიდან და მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მთელი რიგი სისხლის სამართლის საქმის უკანონოდ შეწყვეტისათვის. სარევიზიო კომისიის წინაშე დადგეს საკითხი მისი პარტიის რიგებიდან გარიცხვის შესახებ;

5. მოიხსნან ცენტრალურ კომიტეტში სამსახურიდან:

კონსტანტინე ჭიჭინაძე – პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების განყოფილების გამგე. მიტროფანე კუჭავა – ადმინისტრაციული განყოფილების გამგე და ვახტანგ კუპრავა – ყოფილი ადმინისტრაციული განყოფილების გამგე. კ. ჭიჭინაძე და ვ. კუპრავა გამოყვანილ იქნენ საქართველოს კპ (ბ) ცკ-ის წევრთა შემადგენლობიდან".

12 ნოემბერს დააპატიმრეს საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ავქსენტი რაფავა, რესპუბლიკის პროკურორი ვლადიმერ შონია და მისი მოადგილე კადრების დარგში, ავქსენტი რაფავას ძმა ივანე, 1951 წლის 16 და 17 ნოემბერს – რეემიგრანტები აკაკი მეუნარგია და გიორგი გეგელია, 9 დეკემბერს კი თვით მიხეილ ბარამია. მანამდე, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამ უკანასკნელს ჯერ „სასტიკი საყვედური" გამოუცხადა კუთხური ნიშნით კადრების შერჩევისა, დანაშაულის ჩამდენთა მხარდაჭერისა და თავდებობისათვის, პარტიული ეთიკისა და მოთხოვნილებების დარღვევისათვის, შემდეგ კი საქართველოს კპ (ბ) ცკ-მა იგი თანამდებობიდან გაანთავისუფლა და პარტიიდან გარიცხა. მ. ბარამიამ დაპატიმრებამდე მოახერხა მოსკოვში მალულად გამგზავრება, თუმცა მან ვერ შეძლო ვერც გ. მალენკოვის და ვერც ლ. ბერიას ნახვა, რათა საკუთარი სიმართლე დაემტკიცებინა. მ. ბარამიას მოსკოვური ვოიაჟები მხედველობიდან არ გამორჩენიათ საბჭოთა სპეცსამსახურებს, რომლებმაც მასზე ფარული ზედამხედველობა დააწესეს. მისი გადაადგილებისა და კონტაქტების ამსახველი ოპერატიული და ფოტომასალა კი თბილისში გადმოაგზავნეს.[371]

ზემოაღნიშნულ პლენუმზე საკითხის განხილვის შემდეგ, 1951 წლის 15 ნოემბერს მომზადდა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის დახურული წერილი ადგილობრივი პარტიული ორგანოებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებას მოჰყვა საქართველოში მოქმედი და ყოფილი პარტიული და სამეურნეო მუშაკების მასობრივი დაპატიმრებები. პარტიული ორგანოების იდეოლოგიური მხარდაჭერით ფრთაშესხმული სამართალდამცავი ორგანოები, ძირითადად, სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო და პროკურატურა, ყოველად დაუსაბუთებელი ბრალდებებისა და სამართლებრივი გადაწყვეტილებების საფუძველზე აკავებდნენ და ციხის საკნებში ათავსებდნენ გ. ბარამიას მითიურ შეთქმულთა ჯგუფთან დაახლოებულ პირებს.

მთელი ამ ვაკხანალიის პროცესში მინისტრი ნ. რუხაძე ხელმძღვანელობდა არა კანონიერებით, არამედ პოლიტიკური კონიუნქტურით, რაც საბოლოოდ, მისთვის დამღუპველი აღმოჩნდა.

ი. სტალინის მხარდაჭერით შეთამამებული მინისტრი ნ. რუხაძე აშკარად ლ. ბერიას გუნდის წინააღმდეგ მოქმედებდა.

1951 წლის 13 დეკემბერს საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ბიუროსა და საქართველოს სსრ პროკურატურის გადაწყვეტილებით, დააპატიმრეს საქართველოს კპ (ბ) ზუგდიდის რაიკომის ყოფილი პირველი მდივანი გ. დ. ჩაჩიბაია და რაიონული საბჭოს თავმჯდომარე გუგა გობეჩია. მანამდე, 9 დეკემბერს – ვ. გ. ჭიჭინაძე.

1951 წლის 20 დეკემბერს გაიმართა საქართველოს კპ (ბ) ცკ-ის პლენუმი, რომელსაც კ. ჩარკვიანი უძღვებოდა. პლენუმმა განიხილა „საკავშირო (ბ) ცკ-ს 1951 წლის 9 ნოემბრის დადგენილების „საქართველოში მექრთამეობისა და ბარამიას ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ“ შესრულების მიმდინარეობა“ და საორგანიზაციო საკითხები.[181] როგორც ჩანს, მანამდე დაპატიმრებულთა რაოდენობა საკმარისი არ იყო და 1952 წლის დასაწყისიდან კვლავ გაჩაღდა ხელახალი რეპრესიები.

1952 წლის 19 თებერვალს ნ. რუხაძემ დაამტკიცა რეემიგრანტებთან და „მეგრელ ნაციონალისტებთან“ დაკავშირებით „საგამოძიებო გეგმა“ (9 ფურცლად სრულიად საიდუმლო, ორიგინალი), რომელსაც ხელს აწერდნენ სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილე მ. თავდიშვილი და სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილე განსაკუთრებულ საქმეთა საკითხებში პოლკოვნიკი ვ. ცეპკოვი.[372]

1952 წლის 20 თებერვალს, რუხაძის წინადადებით, დაპატიმრებულ იქნა შსს მინისტრი გრ. კარანაძე;

21 თებერვალის დააპატიმრეს პროფ. პეტრე შარია, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცხაკაიას რაიკომის ყოფილი მდივანი ალექსანდრე კვარაცხელია, საქართველოს კომპარტიის (ბ) წალენჯიხის რაიკომის ყოფილი მდივანი მ. კვარაცხელია და საქართველოს კომპარტიის (ბ) ხობის რაიკომის ყოფილი მდივანი მიხეილ სიორდია. 23 თებერვალს – საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი მარიამ ჭკადუა; 6 მარტს – ტრესტ „საქტორფის“ მმართველი, საკავშირო (ბ) ცკ-ის ყოფილი ინსპექტორი ალექსანდრე მირცხულავა; 20 მარტს – საქართველოს კომპარტიის (ბ) ქუთაისის საოლქო კომიტეტის ყოფილი მდივანი გიორგი კოკაია.

4 აპრილს, რუხაძის მითითების თანახმად, დააპატიმრეს საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მილიციის სამმართველოს უფროსის ყოფილი მოადგილე ილარიონ მალანია;

6 აპრილს, რუხაძის უშუალო მითითებით, აპატიმრებენ საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ზუგდიდის რაიონული განყოფილების უფროსს ლაზარე გაბისონიას; 1952 წლის აპრილ-მაისში გამოძიების მასალების მიხედვით შედგენილი ცნობების საფუძველზე დააპატიმრეს:

პარმენ კორთხოჯია – საქართველოს კომპარტიის (ბ) გეგეჭკორის რაიკომის ყოფილი მდივანი, დაპატიმრების მომენტში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განყოფილების უფროსი; ვალერიან გუგუნავა – საქართველოს კომპარტიის (ბ) ცხაკაიას რაიკომის ყოფილი მდივანი; მამანტი პაჭკორია – საქართველოს კომპარტიის (ბ) ჩხოროწყუს რაიკომის ყოფილი მდივანი; ს. ებრალიძე – საქართველოს კომპარტიის (ბ) აბაშის რაიკომის ყოფილი მდივანი; ალექსანდრა იოსავა – მ. ბარამიას მეუღლე; ვლადიმერ სიჭინავა – საქართველოს კომპარტიის (ბ) ზემო სვანეთის რაიკომის ყოფილი მდივანი; კირილე ბეჭვაია – საქართველოს კომპარტიის (ბ) აჭარის რაიკომის ყოფილი მდივანი.

ზემოაღნიშნული პირების დაპატიმრებასთან დაკავშირებით არსებობდა საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის შესაბამისი წერილობითი მითითებები.

1952 წლის 18 მაისს, რუხაძის მიერ ხელმოწერილი ცნობის საფუძველზე, რომელიც მიეწოდათ სტალინს, იგნატიევსა და აკ. მგელაძეს, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითების თანახმად, აპატიმრებენ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის კონტრდაზვერვის სამმართველოს უფროსს გენერალ კონსტანტინე ბზიავას. 1952 წლის 13 მაისს, სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ტრანსპორტის უსაფრთხოების სამმართველოს წინადადებით და საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებით, დააპატიმრეს ფოთის ნავსადგურის ყოფილი უფროსი კონსტანტინე რეყვავა.

1952 წლის 26 მაისს გაიმართა საქართველოს კპ (ბ) ცკ-ის IX პლენუმი, დღის წესრიგით „სკკპ (ბ) ცკ-ს 27 მარტის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი ქონების დატაცების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში". პლენუმზე კვლავ აქტუალური იყო „ანტიპარტიული ჯგუფის" წევრების საქმიანობის მხილება. პლენუმმა საფუძველი ჩაუყარა რეპრესიების ახალ ტალღას.

1952 წლის 6 ივლისს, საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში შედგენილი ცნობისა და საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითების საფუძველზე, დაპატიმრებულ იქნენ: მამია ზოდელავა – საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ყოფილი მდივანი, დაპატიმრების მომენტში თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის განყოფილების უფროსი და ლიდია ბარამია – მ. ბარამიას და; 7 ივლისს – ანტიპო ჭეჟია – საქართველოს კომპარტიის (ბ) გალის რაიკომის ყოფილი მდივანი და ვარლამ მზარელუა – ქ. ცხაკაიას ერთ-ერთი ქარხნის დირექტორი. დაპატიმრებულთა შორის იყვნენ სხვა პარტიული თუ სამეურნეო მუშაკები: გოზია შალვა, კილასონია აკაკი, კალანდია ვალიკო, ჯიქია ეფრემი, პაპასკუა გრიგოლი, კვირკველია რაფიელი, ქეცბა თემური და სხვები.[361]

საქართველოს ყოფილი და მოქმედი პარტიული და სამეურნეო მუშაკების გარდა – „მეგრელ ნაციონალისტთა ჯგუფის საქმის" მონაწილენი იყვნენ ყოფილი

სამხედრო ტყვეები და რეემიგრანტები, რომლებიც სამშობლოში დაბრუნდნენ გასული საუკუნის 40-იანი წლების მიწურულს.

„მეგრელ ნაციონალისტთა ჯგუფის საქმის“ შექმნის იდეის ავტორებისა და შემსრულებლების სურვილი იყო რეემიგრანტების დანაშაულებრივად დაკავშირება საზღვარგარეთ დარჩენილ ანტისაბჭოთა განწყობის ქართულ ემიგრაციასთან და ემიგრანტ-ლიდერებთან და ამ კავშირების სულისჩამდგმელად ლ. ბერიას გამოცხადება. 1951 წლის ნოემბერ-დეკემბერში საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრომ დააპატიმრა რეემიგრანტთა დიდი ჯგუფი. საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს შინაგან ციხეში ციმბირის ბანაკიდან გადმოიყვანეს 1948–1950 წლებში დაპატიმრებული სხვა რეემიგრანტებიც, რომლებიც დაექვემდებარნენ დამატებით დაკითხვებს. შესაბამისად, მათ მიმართ შეკონწიებულ იქნა ახალი ბრალდებები. დაპატიმრებიდან დაახლოებით ორ კვირაში, მათ „საქმიანობასთან“ დაკავშირებით შედგა ცნობები, რომელთაც ხელი მოაწერეს საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრმა – გენერალ-ლეიტენანტმა ნ. რუხაძემ და საგამოძიებო განყოფილების უფროსმა მაიორმა კუციავამ. აღნიშნული ცნობები შემდგომ გადაეგზავნა სსრკ სუს-ს ხელმძღვანელობასა და თვით ი. სტალინს.

დაპატიმრებული რეემიგრანტები იყვნენ: ჭავჭავაძე სპირიდონ მიხეილის ძე, ციციშვილი სიმონ არჩილის ძე, ციციშვილი-ლორთქიფანიძე ელენე სიმონის ასული, ლორთქიფანიძე ირაკლი დავითის ძე, ჭავჭავაძე მიხეილ ნიკოლოზის ძე, მეუნერგია აკაკი (ბაჯგუ) ბეგლარის ძე, ზედგენიძე ვლადიმერ ნიკოლოზის ძე, ქარელი ალექსანდრე სიმონის ძე, ლუდუშაური (იგივე აკიაშვილი) იასონ სოლომონის ძე, სკვარცოვი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე, გიორგაძე ბეჟან გიორგის ძე, გიგოლაშვილი გრიგოლ იოსების ძე, ათოშვილი პანჩო (იგივე „ფრანცი“) იოსების ძე, რუხაძე პოლიკარპე პორფირის ძე, ციხისთავი დიმიტრი კონსტანტინეს ძე, ფრუიძე კოსტანტინე ალექსის ძე, მუზაშვილი ვლადიმერ დიმიტრის ძე, გეგელია გიორგი დიმიტრის ძე, გეგელია სან-რიემი ლუსეტი, ჟღენტი სპირიდონ გიორგის ძე, ჟღენტი ვარდენ შიოს ძე, ჟღენტი შიო რომანოზის ძე, კახიაშვილი ლევან დავითის ძე, სამხარაძე ბაგრატ გიორგის ძე, სამხარაძე გიორგი გიორგის ძე, ტურაშვილი ლეონტი ნიკოლოზის ძე, ორაგველიძე გრიგოლ ექვთიმეს ძე.

დაპატიმრებულ რეემიგრანტთა ზემოაღნიშნულ ჩამონათვალს დაემატნენ: რუსიძე ჭოლა, ფარჯაკია ალექსანდრე, შამუგია ვლადიმერი, ნიჟარაძე ნიკოლოზი, ნიჟარაძე აკაკი, ოქრომელიძე ვლადიმერი, ჟუჟუნაძე გიორგი, მაისურაძე გიორგი, ქურდაძე ივანე, ყიფიანი ტერენტი, თათევოსიანი არმენაკი, თათევოსიანი ცოვიკი, თათევოსიანი ევგენია, მხითარიანი ალექსანდრე, ეგიაზარიანი გიორგი და სხვები. რეემიგრანტთა აღნიშნულ 43 კაციან სიაში მითითებულნი არიან ლიდია პოლტორაცკაია (ექვთიმე თაყაიშვილის შვილობილი) და ნანა ლუდუშაური-ტოკმანჯიანი.

მკითხველს მოკლედ გვინდა მოვუთხროთ პუბლიცისტისა და გამომცემელ-რედაქტორის, სოციალ-ფედერალისტთა პარტიის ყოფილი ლიდერის, ერთ-ერთი ცნობილი ქართველი ემიგრანტის, სამსონ ფირცხალავას შესახებ.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, სამსონ ფირცხალავა წამოეგო საბჭოთა პროპაგანდას და 1947 წელს, სხვებთან ერთად, დაბრუნდა საქართველოში.

თბილისში ის მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიბლიოთეკის გამგედ, ცხოვრობდა საჯაიას ქუჩაზე, ბინა 23-ში.

სამსონ ფირცხალავა სხვა რეემიგრანტებთან ერთად დაპატიმრებულ იქნა 1951 წლის 24 დეკემბერს. იმავე დღეს მოხდა ს. ფირცხალავას საცხოვრებელი ბინისა და სამუშაო ადგილების ჩხრეკა.

ს. ფირცხალავას ბრალი ჩადენილი დანაშაულისათვის წარედგინა 1952 წლის 7 იანვარს, საბრალდებო დასკვნას კი გაეცნო 15 მარტს. მისი ბრალეულობის საკითხი განიხილა საქართველოს სსრ სუს სამხედრო ნაწილის სამხედრო ტრიბუნალმა 1952 წლის 5 ივლისს და მას მიესაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა ვადის მკაცრი შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.

ამ პერიოდისათვის სამსონ ფირცხალავა 79 წლის დაუძლურებული მოხუცი იყო.

საკუთარი ხელით შესრულებულ ერთ-ერთ უთარიღო ჩანაწერში „ჩემი ანდერძი", ჭირისუფალს შესთხოვს:

„დამასაფლავეთ რაც შეიძლება უბრალოდ, ნუ იქნება პანაშვიდი, ნურც გვირგვინები და თაიგულები. ნურავის შეაწუხებთ გასვენებაზე დასასწრებად, საფლავამდის გამაცილეთ მხოლოდ ჩემიანებმა. კუბო დახურული გაიტანეთ სახლიდან. გულზე დამადევით სულიკოს გურამის სურათი (ჩემ მაგიდაზედ რომ მაქვს). განცხადება გაზეთში დაბეჭდეთ დასაფლავების შემდეგ, რომ ამა და ამ რიცხვში გარდავიცვალე. საფლავზე თუ მოახერხოთ, პატარა ქვა დადევით, ჩემი სახელის და გვარის წარწერით. ყველას ვთხოვ, რომ ეს ანდერძი უცვლელად შესრულდეს". ს. ფ.

სამსონ ფირცხალავას ამ ანდერძს აღსრულება არ ეწერა. მხცოვანი ქართველი, დამოუკიდებელი საქართველოსა და ქართული ემიგრაციის ცნობილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, 1952 წელს პატიმრობაში გარდაიცვალა. მისი დასაფლავების ადგილი უცნობია.

რეპრესირებულთა შორის აღმოჩნდნენ ყოფილი ემიგრანტები, მამა-შვილი ნიკოლოზ ბარნაბის ძე და აკაკი ნიკოლოზის ძე ნიჟარაძეებიც. ნოე ჟორდანიას თანამოაზრე და ახლო მეგობარი ნიკოლოზ ნიჟარაძე ათეული წლების მანძილზე საბჭოთა კავშირის აშკარა მოწინააღმდეგე, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებას შეურიგდა და დაბრუნდა საქართველოში. საბჭოთა დაზვერვამ მისი დაბრუნება საკუთარ წარმატებად ჩათვალა და ამის აღსანიშნავად 1948 წლის აპრილის შუა რიცხვებში ნიკოლოზ ნიჟარაძისადმი „პატივისცემის" ნიშნად მოსკოვში, რესტორან „არაგვში" გამართა შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ დაზვერვის მაღალჩინოსნები, პოლკოვნიკები: ა. გუკასოვი, მ. ნაცვლიშვილი, ი. მარტიროსოვი და კიდევ ორი ოფიცერი. ნიკოლოზ ნიჟარაძისათვის მისი შვილის, აკაკი ნიჟარაძისგან (საბჭოთა საგარეო დაზვერვის აგენტისაგან) წინასწარ იყო ცნობილი, რომ მას შეხვედრას უწყობდნენ სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები. შეხვედრაზე, რომელმაც დაახლოებით ერთ საათს გასტანა, ძირითადად, საუბარი იყო იმაზე, თუ რა ღირსეულად მოიქცა ნ. ნიჟარაძე, როდესაც მან თავისი ერისა და საბჭოთა ქვეყნის საკეთილდღეოდ გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი – ხელი აიღო ანტისაბჭოთა საქმიანობაზე და დაუბრუნდა თავის სამშობლოს – მიუხედავად დასავლეთში წარმოებული ანტისაბჭოთა პროპაგანდისა.

ნიკოლოზ ნიჟარაძეს საბჭოთა სპეცსამსახურები მუდმივად აკონტროლებდნენ და ოპერატიული თვალსაზრისით მის გამოყენებას ცდილობდნენ. 1950 წლის 27 იანვარს საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს პირველი განყოფილების (დაზვერვა) უფროსმა პოლკოვნიკმა მენაბდემ ნიკოლოზ ნიჟარაძე დაიყოლია საბჭოთა სპეცსამსახურებთან კონფიდენციალურ თანამშრომლობაზე („თევზაძე") და ის ქ. ბათუმში მიავლინა ოპერატიული თვალსაზრისით საინტერესო პიროვნების შესასწავლად, თუმცა ნიკოლოზ ნიჟარაძემ დავალება, სხვადასხვა მიზეზთა გამო, ვერ შეასრულა, რისთვისაც ის 1950 წლის 1 მაისს დააპატიმრეს.

საინტერესოა ნიკოლოზ ნიჟარაძის ვაჟიშვილის, აკაკი ნიჟარაძის ბედ-იღბალიც. ა. ნიჟარაძე გასული საუკუნის 30-იან წლებში იყო ერთ-ერთი რაიონული გაზეთის რედაქტორი. 1929 წლიდან კონფიდენციალურ ურთიერთობაში იმყოფებოდა გაერთიანებულ პოლიტიკურ სამმართველოსთან. მეორე მსოფლიო ომის დროს გაიწვიეს ჯარში, ჩავარდა ტყვედ, სავარაუდოდ, თანამშრომლობდა გერმანელებთან, თუმცა ა. ნიჟარაძემ ტყვედ ყოფნისას მოახერხა საბჭოთა სპეცსამსახურებთან კავშირის დამყარებაც. ომის დამთავრების შემდეგ ის დაბრუნდა საქართველოში. 1949 წელს ა. ნიჟარაძესთან საბჭოთა საქართველოს სპეცსამსახურებმა კავშირი აღადგინეს. იმის გამო, რომ ა. ნიჟარაძეს თითქოსდა სპეცსამსახურისათვის ხეირი არ მოუტანია, ის 1950 წლის 30 აპრილს დააპატიმრეს.

აკაკი ნიჟარაძის ერთ-ერთი დაკითხვის ოქმის თანახმად,[365] 1945 წლის დასაწყისში, თითქოსდა, ნოე ჟორდანიასთვის ამერიკელებს უთხოვიათ ანტისაბჭოთა საქმიანობის გააქტიურება და, შესაბამისად, შეუთავაზებიათ ანტისაბჭოთა ხასიათის წიგნის გამოცემა. ამერიკელთა მხარდაჭერით ანტისაბჭოთა საქმიანობის გააქტიურების მომხრენი ყოფილან ცნობილი ქართველი ემიგრანტი-მოღვაწეები კ. გვარჯალაძე და აკ. ჩხენკელი.

ინტენსიური დაკითხვების მიუხედავად, გამოძიება მთავარ შედეგს ვერ აღწევდა: ვერ ხერხდებოდა „მეგრელ ნაციონალისტთა ჯგუფის" ჯაშუშური კავშირის დადგენა საზღვარგარეთ მოქმედ ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციასთან და მათ თავკაცებთან. თუმცა, გამოძიების პროცესში იყო ამის რამდენიმე მცდელობა, მაგრამ წარუმატებელი. მაგალითად, გამოძიება შეეცადა პრაღაში 1945 წლის 26 მაისს საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ დაპატიმრებული დამოუკიდებელი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრთან არსებული განსაკუთრებულ დავალებათა ყოფილი მოხელის, ემელიანე ანანიას ძე ლომთათიძის (დაიბადა 1884 წელს) გამოყენებას. ამ უკანასკნელს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის განსაკუთრებული სათათბიროს მიერ მისჯილი ჰქონდა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა და, როგორც ჩანს, გამოძიებასთან გარიგებაზე წავიდა. მან „აღიარა", რომ ქართულ ანტისაბჭოთა პოლიტიკურ ემიგრაციასთან კონტაქტი ჰქონდა საბჭოთა საქართველოს ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელს. შემდგომში ე. ლომთათიძე შეწყალების თაობაზე არაერთგზის წერილობითი თხოვნით მიმართავდა უმაღლეს საბჭოთა ინსტანციებს მისი განთავისუფლების თაობაზე, თუმცა წარუმატებლად. ის 1955 წელს ვლადიმირის ციხეში გარდაიცვალა.[185] „მეგრელ ნაციონალისტთა ჯგუფის საქმის" მსვლელობას ინტენსიურად თვალყურს ადევნებდნენ სტალინი და სსრკ სახელმწიფო უშიშროების მინისტრი. დაკითხვის ოქმებიც კი მუდმივად მათ ეგზავნებოდათ, რის შემდეგაც გამოძიება

ღებულობდა კონკრეტულ მითითებებს. მთლიანად მთელი საქმე შეკონიწდა წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით, რაც თვალნათლივ ჩანს დაკითხვის ოქმებიდანაც.

საქმის მიმდინარეობის პროცესში „ცენტრი" სისტემატურად იძლეოდა შენიშვნებსა და წინადადებებს. მათი მხრიდან ხშირად გამოითქმებოდა უკმაყოფილება იმის გამო, რომ ბევრ შემთხვევაში არ ხერხდებოდა პატიმრებისაგან აღიარებითი ჩვენებების მიღება, ვერ დასტურდებოდა დაპატიმრებულთა „დანაშაულებრივი კავშირი" საზღვარგარეთ ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაციის ლიდერებთან და სხვ.

„ანტიპარტიულ მეგრელ-ნაციონალისტთა ჯგუფის" წევრებზე უდიდესი ფსიქოლოგიური ზეწოლა და ფიზიკური ზემოქმედება რომ ხორციელდებოდა, მოწმობს შემდეგი საარქივო დოკუმენტები: 1951 წლის 30 დეკემბერს ნ. რუხაძემ წერილობით მიმართა ციხის უფროსს კაპიტან კნიაზევსა და ციხის ოპერატიული ჯგუფის ხელმძღვანელს (სრულიად საიდუმლოდ, ხელმოუწერელი ასლი, ერთ ფურცლად): „Содержащихся во внутренней тюрьме МГБ ГССР арестованных: Рапава А. Н.; Рапава И. Н; Шония В. Я; Барамия М. И; Чичинадзе К. Г; Чачибая Г. Д; Гобечия Г. В. круглосуточно держать под особым наблюдением"*.[372]

საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრი გენერალ-ლეიტენანტი ნ. რუხაძე 1952 წლის 16 იანვარს წერილობით მიმართავს შიდა ციხის უფროსს კაპიტან კნიაზევს და აძლევს მითითებებს (ხელმოუწერელი ასლი, ორ ფურცლად, სრულიად საიდუმლოდ) ქვემოთ ჩამოთვლილი პატიმრების მიმართ ზემოქმედების სხვადასხვა ზომის გამოყენების თაობაზე. დოკუმენტში დასახელებულია 43 პატიმარი: ბარამია მიხეილი, რაფავა აქვსენტი, შონია ვლადიმერი, რაფავა ივანე, ჭიჭინაძე კონსტანტინე, ჩაჩიბაია გრიგოლი, გობეჩია გუჩუ, მეუნარგია აკაკი, ჟღენტი სპირიდონი, ჟღენტი შიო, ჟღენტი ვარდენი, ქარელი ალექსანდრე, ჭავჭავაძე მიხეილი, გეგელია გიორგი, გეგელია სან-რემი-ლუსეტი, ღუდუშაური-აკიაშვილი იასონი, ღუდუშაური-ტოკმაჯიანი ნინა, სკვორცოვი ალექსანდრე, პოლტორაცკაია ლიდია, ჭავჭავაძე სპირიდონი, ფირცხალავა სამსონი, კანკავა ალექსანდრე, რაფავა დიმიტრი, მუზაშვილი ვლადიმერი, ფრუიძე კონსტანტინე, ნატროშვილი მოსე, ციციშვილი სიმონი, ციციშვილი-ლორთქიფანიძე ელენე, ლორთქიფანიძე ირაკლი, ნამიჭეიშვილი იონა (ჭიჭიკო), შველიძე-ომიაძე გრიგოლი, ზედგენიძე ვლადიმერი, გიგოშვილი გრიგოლი, ათოშვილი პანჩო, გიორგაძე ბეჟანი, პატიმარი N 25, ფერაძე დავითი, სამხარაძე გიორგი, სამხარაძე ბაგრატი, ტურაშვილი ლეონტი, კილასონია გრიგოლი, კახიაშვილი ლევანი, ორაგველიძე გრიგოლი. პირველი შვიდი (მ. ბარამია, ა. რაფავა, ვ. შონია, ი. რაფავა, კ. ჭიჭინაძე, გ. ჩაჩიბაია და გ. გობეჩია) „მეგრელ ნაციონალისტთა ჯგუფის" საქმესთან დაკავშირებით იყვნენ დაპატიმრებულები, ხოლო დანარჩენები რეემიგრანტები იყვნენ. ზემოაღნიშნული პირების მკაცრ იზოლაციაში ყოფნას გამოძიებისათვის „განსაკუთრებული მნიშვნელობა" ჰქონია.

ნ. რუხაძე პირდაპირ მიუთითებს:

„За содержащимися по внутренней тюрьме МГБ Грузинской ССР заключенными установить строгий режим, лишить прогулок, пользования

* საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს შინაგან ციხეში პატიმრობაში მყოფი პირები: ა.ნ. რაფავა, ი.ნ. რაფავა, ვ.ი. შონია, მ.ი. ბარამია, კ.გ. ჭიჭინაძე, გ.დ. ჩაჩიბაია, გ.ვ. გობეჩია ამყოფეთ განსაკუთრებულ დღეღამურ ზედამხედველობაში.

тюремной библиотекой и услугами тюремного ларька.

Перечисленных выше заключенных в камерах держать под особым наблюдением, а за камерами, в которых содержатся заключенные Барамия М.И., Рапава А.Н. и Рапава И.Б. выставить специальные посты надзирателей"*.

ნ. რუხაძემ იმავე კნიაზევს კიდევ ერთხელ წერილობით მიმართა 1952 წლის 11 აპრილს: „За содержащимися во внутренней тюрьме МГБ ГР. ССР заключёнными установите строгий режим содержания, лишить прогулок, пользования тюремной библиотекой и услугами тюремного ларька (в каждом отдельном случае, разрешить по запискам следователя).

Перечисленных выше заключённых в камерах держать под особым наблюдением"**.[373]

„მეგრელ ნაციონალისტთა ჯგუფის საქმეზე" თავდაპირველად მუშაობდა გამომძიებელთა სამი ჯგუფი: ბოლხოვიტინის, მაკლაკოვისა და კუციავას ხელმძღვანელობით. ბოლხოვიტინის ჯგუფში შედიოდნენ: გოგლიძე, ჯაფარიძე, აბაიმოვი, გოლუბკოვი, სტეპანოვი, შარაშიძე, ბლუდოვი, ნეფედოვი, მაღრაძე, ზაიცევი და მიროშნიჩენკო. მაკლაკოვს ექვემდებარებოდნენ: ლოლაევი, ციკალოვი, ჯიოევი, შავგულიძე და ბოლტნიოვი. კუციავას განკარგულებაში იყვნენ: ციკინი, ქესანაშვილი, ლელაშვილი, გეგელია, ლეჟავა, მოლოდცოვი, დერბინიანი, ელბაქიძე, ბარინოვი, ჟულიდოვი, შევრაგინი და მაკარენკო.

საგამოძიებო პროცესის გასაძლიერებლად საჭირო გახდა დამატებითი ძალების მობილიზება. 1952 წლის იანვარში საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში რუსეთის ფედერაციიდან მოვლინებულები იყვნენ: ვარკოვი, კუკუშკინი, ნოზდრიაჩევი, დემენჩენკო, სიდოროვი, ვიშნევსკი. ცალკე ჩამოყალიბდა ჭავჭანიძის საგამოძიებო ჯგუფი, რომელშიც მივლინებულ იყვნენ უფროსი გამომძიებლები ოსმანოვი, დრიაბინი, მილანოვი და უსტოვი.

მას შემდეგ, რაც მოსკოვიდან თბილისში „მეგრელთა საქმის" ეფექტურად წარმართვის მიზნით მივლინებულ იქნა სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილე განსაკუთრებულ საქმეთა საკითხებში პოლკოვნიკი ვ. ცეპკოვი, ნ. რუხაძის მიერ 1952 წლის 19 თებერვალს დამტკიცებული საგამოძიებო გეგმის თანახმად, ჩამოყალიბდა საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილის მ. თავდიშვილისა და პოლკოვნიკ ვ. ცეპკოვის ჯგუფი (ქესანაშვილი, ჯაფარიძე, მაღრაძე, დერბინიანი და მილიდოვი); ცვეტკოვის ჯგუფი (ცვეტაევი, ლოლაძე, გეგელია, ვიშნევსკი და ბაქრაძე) და სტეპანოვის ჯგუფი (შარაშიძე, სირაძე, ციკინი, ლალიაშვილი, გოგლიძე, შავგულიძე და დემენჩენკო).[366] თბილისში პოლკოვნიკ ცეპკოვის ბრიგადის ჩამოსვლის შემდეგ უზომოდ გამკაცრდა „მეგრელი ნაციონალისტების" ციხეში ყოფნის ისედაც მძიმე

* საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს შინაგან ციხეში მყოფ პატიმრებზე დაწესდეს მკაცრი რეჟიმი, აერკძალოთ გასეირნება, ციხის ბიბლიოთეკით და ციხის ჯიხურით სარგებლობა.
ზემოჩამოთვლილი პატიმრები საკანში იყვნენ განსაკუთრებული ზედამხედველობის ქვეშ, ხოლო საკნებთან, რომლებშიც იმყოფებიან პატიმრები მ.ი. ბარამია, ა.ნ. რაფავა და ი.ბ. რაფავა, განთავსდეს ზედამხედველობის სპეციალური პოსტები.

** საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს შინაგან ციხეში მყოფ პატიმრებზე დაწესდეს მკაცრი რეჟიმი, აუკრძალეთ გასეირნება, ციხის ბიბლიოთეკით და ციხის ჯიხურით სარგებლობა (ცალკეულ შემთხვევაში, ნება დართეთ გამომძიებლის მინერილობის საფუძველზე). ზემოაღნიშნული პატიმრები საკნებში ამყოფეთ განსაკუთრებული ზედამხედველობის ქვეშ.

რეჟიმი. მათ აღარ უშვებდნენ ეზოში, აღარ აძლევდნენ წიგნებს, დაჰკითხავდნენ უპირატესად ღამით... სცემდნენ წინანდელზე გაცილებით ენერგიულად...[183] დიდი მცდელობის მიუხედავად, იმ ეტაპზე გამოძიებამ მაინც ვერ მოახერხა „მეგრელ ნაციონალისტთა“ საქმის მონანილეთა დაკავშირება ქართველ მენშევიკთა ლიდერებთან და ამ მიმართებით აღიარებითი ჩვენებების მიღება. აღნიშნულს ადასტურებს ამონარიდი ქვემოთ მოყვანილი კიდევ ერთი დოკუმენტიდან:

„С основной задачей постъвленной перед нами ЦК ВКП (б) и лично товарищем Сталиным – вскрыть каналы связи вражеской группы Барамия с закордоном, в частности со шпионской организацией Гегечкори, мы пока не смогли справиться. Хотя и предпринимали целый ряд мероприятий в этом направлении, тшательно проверяя отдельные зацепки.*»[373] სწორედ ამ „ზაცეპკისათვის“ დააპატიმრეს ყოფილი ემიგრანტები: შ. ბერიშვილი, მეუნარგია, გეგელია, ნიჟარაძე; ეტაპირებულ იქნა პატიმრობაში მყოფი კანკავა.

მოსკოვიდან მოვლენილმა ზემოაღნიშნულმა საგამოძიებო ჯგუფმა დეტალურად შეისწავლა „მეგრელთა საქმის“ მიმდინარეობა და მოამზადა შესაბამისი დასკვნა – რეკომენდაციები. საიდუმლო გრიფის დოკუმენტში პირდაპირ იყო მითითებული იმ „ნაკლოვანებების“ თაობაზე, რომლებიც დაშვებულ იქნა „მეგრელ ნაციონალისტთა ჯგუფის საქმის“ გამოძიების პროცესში. კერძოდ, პატიმართა მკაცრი რეჟიმის პირობებში არასრულფასოვნად ხორციელდებოდა საკანშიდა დამუშავება; სათანადო დონეზე არ მიმდინარეობდა „აგენტურული“ მუშაობა და არ ხდებოდა გამოძიების პროცესთან მისი შეხამება. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ოპერატიული ქვედანაყოფების წინაშე დაისვა ახალი ამოცანები:

1. აქტიურ ოპერატიულ დამუშავებაში უნდა ყოფილიყვნენ აყვანილნი პირველ რიგში მეგრული წარმომავლობის ის პირები, რომლებიც გამოხატავდნენ „ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ“ განწყობებს, მათ შორის გამოვლენილი უნდა ყოფილიყვნენ უცხოეთის და „ემიგრანტ გეგეჭკორის დაზვერვის აგენტები“, აგრეთვე ისინი, ვინც ბარამიას დანაშაულებრივ ჯგუფთან იყვნენ დაკავშირებულნი;
2. აქტიურად უნდა ყოფილიყვნენ დამუშავებულნი საკავშირო კპ (ბ) რიგებიდან გარიცხული პირები, რომლებიც ამჟღავნებდნენ ნაციონალისტურ გამოვლინებებს;
3. ზემოაღნიშნული კატეგორიის ადამიანების აქტიური დამუშავების მიზნით, მათგან უნდა შერჩეულიყვნენ პირები, რომლებიც კონფიდენციალურად ითანამშრომლებდნენ საბჭოთა სპეცსამსახურებთან.
4. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილებულიყო ევგენი გეგეჭკორისა და სხვა ანტისაბჭოთა განწყობის ემიგრანტების ნათესავების შესწავლაზე; მათგან აქტიურ ოპერატიულ დამუშავებაში უნდა ყოფილიყვნენ აყვანილნი საზღვარგარეთთან საეჭვო კავშირების მქონე პირები;

* საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის და პირადად სტალინის მიერ ჩვენ წინაშე დასმულ ძირითად საკითხს – ბარამიას მტრული ჯგუფის საზღვარგარეთთან, კერძოდ, გეგეჭკორის ჯაშუშურ ორგანიზაციასთან კავშირის არხების გამოვლენას, ჯერჯერობით თავი ვერ გავართვით. თუმცა ამ მიმართულებით ვღებულობდით მთელ რიგ ზომებს, გულდასმით ვამონმებდით რა თითოეულ ხელმოსაჭიდს.

5. ნაციონალისტური და ანტისაბჭოთა განწყობილების შესაძლო გამოვლენის მიზნით, უნდა შესწავლილიყო „ბარამიას დანაშაულებრივი ჯგუფის“ წევრების ახლო კავშირები და მომხდარიყო მათი აქტიური დამუშავება;
6. საგამოძიებო პროცესის სრულყოფილად წარმართვის მიზნით, ოპერატიულ დანაყოფებს ოპერატიული თვალსაზრისით საინტერესო მონაცემებისა და ოპერატიულად მნიშვნელოვანი შეტყობინებების თაობაზე, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობებინათ საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროსათვის.

„მეგრელ ნაციონალისტთა ჯგუფის საქმის“ დაწყებიდან, ანუ ყოფილი და მოქმედი პარტიული და სამეურნეო მუშაკებისა და რეემიგრანტების მასობრივი დაპატიმრებებიდან დაახლოებით ოთხი თვის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ არ იყო გამოძიების მიერ გამოკვეთილი საქართველოში „მეგრელ ნაციონალისტთა ორგანიზაციის“ არსებობა, მით უმეტეს, ამ უკანასკნელის „დანაშაულებრივი კავშირი“ ქართულ ანტისაბჭოთა ემიგრაციასთან, ი. სტალინმა გადაწყვიტა სკკპ (ბ) ცკ-ს 1951 წლის 9 ნოემბრის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის საკითხის განხილვა.

1952 წლის 27 მარტს, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სრული შემადგენლობის მონაწილეობით, მოსკოვში გაიმართა საკავშირო კპ (ბ) ცკ-ის პრეზიდიუმის სხდომა, რომელზეც მოსმენილ იქნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, კანდიდ ჩარკვიანის მოხსენება 1951 წლის 9 ნოემბრის დადგენილების „მეგრელ ნაციონალისტთა ორგანიზაციის არსებობის შესახებ საქართველოს კპ (ბ) ცკ-ს ყოფილი მეორე მდივნის გ. ბარამიას ხელმძღვანელობით“ შესრულების მიმდინარეობასთან დაკავშირებით. სხდომა გახსნა მალენკოვმა. სიტყვით გამოვიდნენ კ. ჩარკვიანი (ისაუბრა თითქმის ერთი საათი), საქართველოს კპ (ბ) ცკ-ის ბიუროს წევრები და საკავშირო კპ (ბ) ცკ-ის პრეზიდიუმის წევრები. სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა ლავრენტი ბერიამ, რომელმაც მკაცრად დაგმო „ანტიპარტიული ჯგუფის“ საქმიანობა და დააყენა კ. ჩარკვიანის დაკავებული თანამდებობიდან გადაყენების საკითხი. საბოლოო სიტყვით გამოვიდა ი. სტალინი, რომელმაც მხარი დაუჭირა გამომსვლელთა მიერ გამოთქმულ წინადადებას საქართველოს კპ (ბ) ცკ-ის პირველი მდივნის კ. ჩარკვიანის თანამდებობიდან განთავისუფლების წინადადებას და მის ადგილზე აკაკი მგელაძის დანიშვნის იდეას.

1952 წლის აპრილის დასაწყისში ზემოაღნიშნულ საკითხს მიეძღვნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობდა ლავრენტი ბერია. პლენუმმა „მთლიანად მოიწონა საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მარტის დადგენილება საქართველოს კომპარტიაში არსებული მდგომარეობის შესახებ“, მიიღო იგი განუხრელი შესრულებისათვის, აირჩია ახალი ხელმძღვანელობა და ცკ-ის ბიუროს დაავალა დახურული წერილის შედგენა პარტიულ ორგანიზაციებში დასაგზავნად. აღნიშნული პლენუმით დასრულდა კ. ჩარკვიანის რამდენიმეწლიანი ხელმძღვანელობა საქართველოში და დაიწყო აკაკი მგელაძის ერთწლიანი მმართველობის პერიოდი. პლენუმის „წარმატებით“ დასრულება ლ. ბერიამ ტელეფონით ოპერატიულად მოახსენა ი. სტალინს.[184]

როგორც ჩანს, კ. ჩარკვიანის უმაღლესი პარტიული პოსტიდან გადაყენების შემდეგ, გამოძიებამ ახლა უკვე მას დაადგა თვალი. თუმცა, იმ ეტაპზე ჯერჯერობით მოკრძალებული ფორმით, კერძოდ – 1952 წლის 15 მაისით დათარიღებულ პატიმარ ჭიჭინაძისა და შონიას დაკითხვის ოქმების მიხედვით შედგენილ დასაკითხ პირთა სიაში შეყვანილია კანდიდ ჩარკვიანიც.[367] იმის გამო, რომ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში მუშაობდა მ. ბარამიას მეუღლე შურა იოსავა, საეჭვო (შემდგომში ალბად დასაკითხ და დასაპატიმრებელ) ხალხთა სიაში აღმოჩნდა მისი რექტორი (1950-1953 წწ.), მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ქართული მედიცინის ისტორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი მიხეილ საყაშვილი.[373]

საქართველოს პარტიულ ელიტაში მომხდარი საკადრო ცვლილებების მიუხედავად, რეპრესიების ტალღა არ შეწყვეტილა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ საბჭოთა ქვეყნის უმაღლეს ეშელონებში, ანდა ერთი კაცის მიერ დადგმული სცენარი – „მეგრელთა საქმე“ „ლოგიკურ“ დასასრულამდე უნდა მისულიყო. აღნიშნული პერიოდისათვის ჯერ კიდევ ინარჩუნებდა თანამდებობას სახელმწიფო უშიშროების მინისტრი ნ. რუხაძე. განკარგულებებს საქართველოს პარტიული ელიტიდან ახალი ენერგიით უკვე ა. მგელაძე იძლეოდა. ნ. რუხაძე ცდილობდა საქართველოს კომპარტიის ახალი ლიდერისათვის დაემტკიცებინა კომუნისტური პარტიისადმი თავისი ერთგულება, თუმცა, როგორც შემდგომმა მოვლენებმა დაადასტურეს – ის სულ ტყუილად ირჯებოდა. ნიკოლოზ რუხაძის ბედი გადაწყვეტილი იყო. ტოტალიტარულ სისტემას მორიგი განტევების ვაცი სჭირდებოდა და ეს სწორედ ნ. რუხაძე აღმოჩნდა.

ნ. რუხაძის მიერ 1952 წლის აპრილის თვეში მოსკოვში რიუმინისათვის გაგზავნილ „სრულიად საიდუმლო“ შიფროგრამაში მინიშნებულია, რომ მიღებული მითითების თანახმად (თუ ვისგან გაუგებარია) დაწყებული იყო მიხ. ბარამიას ხელახალი დაკითხვა. სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს შიდა ციხეში რამდენიმეთვიანი ყოფნის შემდეგ გაწამებული მიხ. ბარამიას (1952 წლის 12 თებერვალს ორჯერ ჰქონდა გულის მწვავე შეტევა) მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. ციხეში არსებული გაუსაძლისი ვითარებისა და გაუარესებული ჯანმრთელობის თაობაზე მიხ. ბარამიამ 1952 წლის 1 ივლისს წერილობით მიმართა 1951-1953 წლებში საკავშირო სახელმწიფო უშიშროების მინისტრს სიმონ იგნატიევს და საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრს ნიკოლოზ რუხაძეს. აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით მან იმავე წლის 3 ნოემბერს წერილობით მიმართა ი. სტალინსაც.[370]

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად უნდა გარკვეულიყო ბარამიას ჯგუფის მიერ თითქოსდა „ახალი პარტიის“ შექმნის მცდელობასთან დაკავშირებული საკითხები. შიფროგრამაში ასევე მინიშნებულია, რომ 1952 წლის 7 აპრილს გულის შეტევით მოულოდნელად გარდაცვლილა პატიმარი ი. ნამიჭეიშვილი, ხოლო პატიმარ კუკუტარიას აუცილებლად ესაჭიროებოდა სასწრაფო სამედიცინო – ფსიქიატრიული ექსპერტიზა.

1952 წლის ივლისის ბოლოს დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებულ, ხოლო შემდეგ დაპატიმრებულ იქნა საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრი ნ. რუხაძე. მინისტრის მოვალეობას 1952 წლის აგვისტოდან 1953 წლის 5 მარტამდე ასრულებდა ნ. რუხაძის ყოფილი მოადგილე ა. კოჭლავაშვილი. არც

ამ ცვლილებების მიუხედავად შენელებულა გამოძიების ტემპები და უკანონო ქმედებები „მეგრელთა საქმესთან" დაკავშირებით.

1952 წლის ოქტომბრიდან 1953 წლის თებერვლამდე პერიოდში საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრის ა. კოჭლავაშვილის წინადადებით და გამოძიების მასალებზე დაყრდნობით, შედგა ცნობები, რომელთა საფუძველზე საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებით დააპატიმრეს:

ა. კილასონია – საქართველოს კომპარტიის (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის განყოფილების ყოფილი უფროსი; ვ. კალანდია – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პარტიის საოლქო კომიტეტის (ბ) განყოფილების ყოფილი უფროსი; ე. ჯიქია – ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე; გ. პაპასკუა – აფხაზეთის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის ყოფილი მინისტრი; რ. კვირკველია – საქართველოს კომპარტიის (ბ) ცკ-ის ყოფილი მდივანი, დაპატიმრების მომენტში აგარის შაქრის ქარხნის დირექტორი. ნ. რუხაძე ლეფერტოვოს ციხეში სამი წლის მანძილზე იმყოფებოდა და თავის მართლებას ცდილობდა. 1955 წლის სექტემბერში ის გასამართლებულ იქნა და მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა. სასამართლო პროცესი რუხაძისა და სხვა მაღალი თანამდებობის პირების მიმართ (ავქსენტი რაფავა, შალვა წერეთელი და სხვ.) გაიმართა ქ. თბილისში, რკინიგზის კლუბში და ის რამდენიმე დღე მიმდინარეობდა. ეს იყო პრაქტიკულად ხრუშჩოვის მიერ ორგანიზებული საჩვენებელი პროცესი, რომლითაც სურდა საზოგადოებრიობისათვის დაემტკიცებინა, რომ საბჭოური რეპრესიების მთავარი ორგანიზატორები სტალინი და ბერია იყვნენ. ნ. რუხაძე სასჯელის აღსრულებას ველარ მოესწრო, ვინაიდან ეტაპირებისას, მოულოდნელად გარდაიცვალა გულის შეტევით – ასეთია ოფიციალური ვერსია.

ვეტერან ჩეკისტთა შორის წლების მანძილზე მუსირებდა აზრი, რომ ნ. რუხაძე გულის შეტევით კი არ გარდაიცვალა, არამედ ეტაპირების დროს ის მოკლა, დაახრჩო ავქსენტი რაფავამ, რომლის ვაჟიც ემსხვერპლა ნ. რუხაძის მიერ მოწყობილ ავტოკატასტროფას, როდესაც ეს უკანასკნელი იყო ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის საგანგებო განყოფილების უფროსი.

დოკუმენტიდან, რომელსაც ხელს აწერს საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილე ა. კოჭლავაშვილი, ირკვევა, რომ მ. ბარამიას ჯგუფის საქმესთან დაკავშირებული გამომძიებლები სისტემატურად ეცნობოდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დახურულ წერილებს და საქართველოს კომპარტიის პლენუმების გადაწყვეტილებებს. სწორედ ეს დოკუმენტები ედებოდა საფუძვლად სისხლის სამართლის საქმეთა აღძვრას.

დაპატიმრებათა საწყის ეტაპზე არ არსებობდა პატიმართა და მთლიანად ამ პროცესის აღრიცხვის ერთიანი სისტემა.

ზოგიერთ დოკუმენტში გაკეთებულია მინიშნება ამა თუ იმ პიროვნების მიმართ გამოჩენილი სამართლებრივი ლოიალურობის თაობაზე „ოპერატიული მოსაზრებებიდან გამომდინარე", რაც სხვა არაფერია, თუ არა ის, რომ ისინი სპეცსამსახურებმა უბრალოდ დაიყოლიეს ფარულ თანამშრომლობაზე.

უმაღლეს პარტიულ ინსტანციებში განხილვით და რიგი საკადრო-საორგანიზაციო გადაწყვეტილებებით პრაქტიკულად მოწონებულ და დადასტურებულ იქნა

„მეგრელ ნაციონალისტთა ჯგუფის საქმის“ შექმნისა და აუცილებლობის იდეა, რაც დაკავშირებული იყო საქართველოს პარტიული და სამეურნეო მუშაკების მხრიდან სამეურნეო ხასიათის კანონდარღვევებთან.

1952 წლის მარტის ზემოაღნიშნულ პარტიულ ფორუმებზე, ი. სტალინის მხრიდან, ხაზი გაესვა იმას, რომ ლ. ბერიას, თითქოსდა, არანაირი კავშირი არ ჰქონდა საქართველოს (სამეგრელოს რეგიონის) პარტიულ ორგანიზაციაში შექმნილ ნეგატიურ მოვლენებთან და რომ ნდობა მის მიმართ კვლავ მაღალი იყო. თუმცა, ჯერჯერობით ღიად რჩებოდა „მეგრელთა საქმის“ მეორე ნაწილი – „მ. ბარამიას ანტიპარტიული ჯგუფის“ დანაშაულებრივი დაკავშირება ქართულ ანტისაბჭოთა ემიგრაციასთან. ამ მიმართებით, გამოძიებას შედეგები, პრაქტიკულად, არ გააჩნდა. აქედან გამომდინარე, აუცილებელი გახდა ომისშემდეგომ პერიოდში საფრანგეთში საბჭოთა დიპლომატიურ უწყებებში მოღვაწე ქართველი დიპლომატების და საფარქვეშ მოღვაწე მზვერავების, რომელთაც პირდაპირი თუ ირიბი კონტაქტები გააჩნდათ ნ. ჟორდანიასა და ევგ. გეგეჭკორთან, დაპატიმრება და მათგან, როგორც „შუამავლებისაგან“, „მეკავშირეებისაგან“ სასურველი ჩვენებების მიღება. 1952 წლის 6 მარტს, ქ. მოსკოვში სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მიერ სსრკ სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 (ბ) მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დააპატიმრეს: დავით ალექსანდრეს ძე მატარაძე, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს პირველი მთავარი სამმართველოს ქვეგანყოფილების უფროსის მოადგილე, ვიცე-პოლკოვნიკი და მისი მეუღლე, ერთადერთი ქართველი მზვერავი ქალი, ვარდო მიხეილის ასული მაქსიმელიშვილი, სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს პირველი მთავარი სამმართველოს ქვეგანყოფილების უფროსის მოადგილე, მაიორი. მოგვიანებით, მარტის ბოლოს – აპრილის დასაწყისში ისინი გადმოიყვანეს თბილისში და მოათავსეს საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს შინაგან ციხეში.

„1952 წლის 7 მარტს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილემ მ. თავდიშვილმა დაამტკიცა „План оперативно-следственных мероприятий по делу обвиняемого Тавадзе И. К. – бывшего заместителя заведующего отделом печати министерства иностранных дел СССР и его связей по антисоветской работе – арестованных Максимелишвили В. М. и Матарадзе Д. А. (бывшие сотрудники МГБ СССР)“*.[372] შესაბამისად, ზემოაღნიშნულ პირთა მიმართ მკაცრი სადამსჯელო სისტემა სწრაფად ამოქმედდა.

საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს არქივში შემორჩენილი მწირი ინფორმაციის მიუხედავად, ნათელი წარმოდგენა გვექმნება იმაზე, თუ ვის და რატომ დასჭირდა ამ ორი პიროვნების სისხლის სამართლებრივი დევნა და რატომ იქნა შეთხზული მათ მიმართ წაყენებული ბრალდებები. სამწუხაროდ, მატარაძე და მაქსიმელიშვილი აღმოჩნდნენ ხელისუფლების უმაღლეს მწვერვალზე მოხვედრის მსურველი ძალების მიერ ორგანიზებული ანტიბერიასეული კამპანიის მსხვერპლნი.[374]

---

* სსრკ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროს ბეჭდვითი განყოფილების ყოფილი უფროსის მოადგილის, ბრალდებულ ი.კ. თავაძის და ანტისაბჭოთა საქმიანობაში მისი კავშირების – დაპატიმრებულების ე.მ. მექსიმელიშვილისა და დ. ა. მატარაძის (სსრკ სუს ყოფილი თანამშრომლები) მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმეზე ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების გეგმა.

საარქივო დოკუმენტებიდან ნათლად ჩანს, რომ მაქსიმელიშვილისა და მატარაძის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე მთლიანად ფალსიფიცირებულია. არსებული მასალები მიუთითებს, თუ რა მძიმე ვითარებაში და აუტანელი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზემოქმედების პირობებში აღმოჩნდა ცოლ-ქმარი, რომლებიც საზღვარგარეთ მრავალწლიანი სადაზვერვო საქმიანობით წლების მანძილზე ღირსეულად ემსახურებოდნენ საბჭოთა კავშირის ძლევამოსილებას. ძნელია პატიმართა მიერ სიფრიფანა ქაღალდზე ფანქრით დაწერილი წერილების უემოციოდ წაკითხვა.

ცოლ-ქმარი მატარაძეები სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს შინაგან ციხეში განათავსეს – დ. მატარაძე N 51-ე, ხოლო ვ. მაქსიმელიშვილი N 44-ე საკანში. მასთან ერთად საკანში პერიოდულად იმყოფებოდნენ „მეგრელ ნაციონალისტთა საქმესთან" დაკავშირებით დაპატიმრებული ქალბატონები ლიდია ბარამია და მ. ჭკადუა. ისინი გარე სამყაროსგან და ერთმანეთისგან მკაცრად იზოლირებულნი იყვნენ, ვერაფერს იგებდნენ ორი მცირენლოვანი შვილისა და მოხუცი მშობლების შესახებ. გამოძიების პროცესში აშკარად ირღვეოდა საპროცესო ნორმები, პირველ რიგში, საპროცესო ვადები.

საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრი ა. კოჭლავაშვილი ი. სტალინსა და სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების მინისტრს ს. დ. იგნატიევს (1951 წელს შეცვალა აბაკუმოვი) 1952 წლის აგვისტოში უგზავნის საინფორმაციო ხასიათის წერილს. მკითხველს ვთავაზობთ ცალკეულ ამონარიდებს ამ დოკუმენტიდან: „იმყოფებოდნენ რა მატარაძე და მაქსიმელიშვილი 1946 წლიდან საფრანგეთში ქართულ ემიგრაციაში აგენტურული საქმიანობის ორგანიზებისათვის და მენშევიკების საზღვარგარეთული ბიუროს ემისრების სსრ კავშირის ტერიტორიაზე შემოღწევის არხების გამოსაველენად, ჩაიდინეს სხვადასხვა ხასიათის თანამდებობრივი დანაშაული, რითაც ჩაშალეს დავალების შესრულება.

1946 წლის მარტში მატარაძემ და მაქსიმელიშვილმა დაამყარეს კავშირი საზღვარგარეთ მყოფ აგენტ გ. დ. გეგელიასთან (წარდგა სასამართლოს წინაშე), ამავდროულად, ნაწილობრივ გაშიფრულები, ხვდებოდნენ მას სრულიად ღიად, უგულებელყოფდნენ რა კონსპირაციის ელემენტარულ წესებს, რითაც გ. გეგელია მთლიანად გაშიფრეს ემიგრაციის და საფრანგეთის კონტრდაზვერვის წინაშე.

შეეიდნენ რა ამავე აგენტთან ფამილარულ დამოკიდებულებაში, მატარაძემ და მაქსიმელიშვილმა გამოიყენეს ის ანგარებითი მიზნებისათვის, იქამდეც, რომ მისი მეშვეობით შეიძინეს და სსრ კავშირში გადააგზავნეს პირადი ნივთები. ისინი ასევე გაშიფრულ აგენტ გეგელიას იყენებდნენ გადმობირებისათვის კანდიდატების შესარჩევად და შემდგომ მათ გადმოსაბირებლად. ამის შედეგად და აგრეთვე მატარაძის და მაქსიმელიშვილის უპასუხისმგებლო და გულგრილი დამოკიდებულების გამო, კანდიდატთა შერჩევისა და გადმობირებისას ადგილი ჰქონდა ჩავარდნებს".

„იყვნენ რა კავშირებში განურჩეველები, მატარაძე და მაქსიმელიშვილი საფრანგეთში მცხოვრები ემიგრანტებისაგან იღებდნენ წერილებს და ამანათებს და ცენზურისა და საბაჟოს გვერდის ავლით გადასცემდნენ მათ რეემიგრანტებს, რომლებიც ბრუნდებოდნენ სსრკ-ში, კერძოდ ა. ბ. მეუნარგიას და სხვებს, ამჟამად ანტისაბჭოთა საქმიანობისათვის სასამართლოს წინაშე წარდგენილებს.

ვ. მაქსიმელიშვილი ასევე საქმის კურსში იყო ი. თავაძის ცილისმწამებლური

გამონათქვამების თაობაზე სკპ (ბ) ცკ-ის, პარტიის და მთავრობის ცალკეული ხელმძღვანელების და საბჭოთა სინამდვილის მიმართ, თუმცა ეს ფაქტი დაუმალა პარტიასა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს.

მაქსიმელიშვილი შემდგომში აფრთხილებდა ი. თავაძეს, რომ ამ უკანასკნელზე სუს ორგანოებს გააჩნდათ მაკომპრომეტირებელი მასალები და აგრძნობინა მის მიმართ ოპერატიულ-ჩეკისტური ღონისძიებების შესაძლო ჩატარების თაობაზე" და სხვა.

მზვერავი წყვილის მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე დაიკითხნენ: პატიმრობაში მყოფნი ილია თავაძე და პეტრე შარია, აგრეთვე საფრანგეთში საბჭოთა დაზვერვის ყოფილი რეზიდენტი ალექსანდრე გუზოვსკი, რეემიგრანტები გ. გეგელია და გ. კობახიძე.

ძალზე მძიმე იყო პატიმრობაში მყოფი დ. მატარაძისა და ვ. მაქსიმელიშვილისათვის შინაგან ციხეში ყოფნის პირველი თვეები. პრაქტიკულად გამოსაძიებელი და გამოსარკვევი არაფერი იყო. მათი სამართალში მიცემის საკითხი დიდი ხნის გადაწყვეტილი იყო.

შვიდთვიანი პატიმრობის შემდეგ, მაქსიმელიშვილმა წერილობით მიმართა სტალინს, მალენკოვსა და ბერიას. გთავაზობთ ამ მიმართვის ზოგიერთ ნაწყვეტს:

„6 марта 1952 года я была арестована и обвинена по ст.58-1 «б». Мне не известно на основании каких данных было предъявленно это обвинение, но полагаю, что бывшему министру гозбезопасности Грузинской ССР РУХАДЗЕ удалось ввести в заблуждение руководство министерства, т. к. РУХАДЗЕ я разоблочила еще до своего ареста в преступных действиях и ставила вопрос перед комиссией ЦК ВКП (б) по МГБ заняться изучением его личности.Видимо, за это я и поплатилась. Впоследствии это обвинение, как безусловно не имеющее ко мне никакого отношения было снято».

„Я заявляю, что преступлений перед партией и провительством я не совершала, преступна я только перед своими двумя малолетними детьми, которые из-за моего необдуманного действия лишены отца и матери.

Я до сих пор не обращалась к Вам, т. к. надеялась, что руководство министерства и соответствующие органы объективно разберутся в моем деле и будет принято справедливое решение. Однако следствие закончено в конце июня с. г., а решения по неизвестным мне причинам всё нет.

Обращаюсь к Вам с просьбой вмешаться в мое дело и ускорить решение. Заверяю Вас, что я не лишний и не случаинный человек для партии и советской разведки.Прошу дать мне возможность использовать приобретенные мной за 14 лет работы в органах знания и опыт агентурно– чекистской работы (тюрьма также дала мне большой урок) и делом, а если нужно будет и жизнью доказать свою преданность партии и правительству.»*

* „1952 წლის 6 მარტს მე დაპატიმრებულ და სამართალში მიცემულ ვიქენ 58-1 „ბ" მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. ჩემთვის უცნობია, თუ რა მონაცემების საფუძველზე მოხდა ჩემთვის ამ ბრალდების წაყენება, თუმცა ვვარაუდობ, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრმა რუხაძემ მოახერხა სამინისტროს ხელმძღვანელობის შეცდომაში შეყვანა, ვინაიდან მე ჯერ კიდევ მის დაპატიმრებამდე გამოვააშკარავე რუხაძის დანაშაულებრივი ქმედებები და ეაყენებდი სუს-სთან მიმართებაში არსებულ საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) კომისიის წინაშე მისი პიროვნების შესწავლის საკითხს. სწორედ ამის გამო ვინვნიე. შემდგომში ეს ბრალდება,

1953 წლის 16 იანვარს დავით მატარაძემ წერილობით მიმართა სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროსთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს თავმჯდომარეს. მასში კერძოდ მითითებულია, რომ გამოძიება მის მიმართ დასრულებული იყო ჯერ კიდევ 1952 წლის 30 ივნისს და მისი საქმე გადაგზავნილ იქნა სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში, თუმცა 7 თვის განმავლობაში არანაირი პასუხი არ მიუღია. არადა ის უმძიმეს ვითარებაში იმყოფებოდა, ხოლო მისი ჯანმრთელობა, ციხეში არსებული სასტიკი პირობების გამო, დღითიდღე უარესდებოდა.

დ. მატარაძის განცხადება იმავე წლის 14 თებერვალს გადაეგზავნა სსრკ სახელმწიფო უშიშროების მინისტრს, ხოლო ასლი სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ჯარების სამხედრო პროკურორს. სამწუხაროდ, ვ. მაქსიმელაშვილისა და მისი მეუღლის ამ და სხვა მიმართვებზე რეაგირება არ მომხდარა.

პატიმრობაში მყოფ დ. მატარაძის მართლაც მძიმე ჯანმრთელობაზე მიუთითებს შემდეგი საარქივო დოკუმენტი: 1952 წლის 18/VII, საქართველოს სსრ სუს შიდა ციხის მდივანი ლ. ჯაფარიძე პატაკით (შესრულებულია ნაბეჭდ ფურცელზე) მიმართავს ციხის უფროსს ამბ. კნიაზევს:

„Настоящим доношу, что 18/VII-52 года з/к Матарадзе Д. А., перевели из 48 камеры в 33 камеру, после чего он упал в обморок. Вызвали фельдшерицу и была оказана помощь, после этого мотался по камере, кусал себе руки, лез под койку и т. д. по причине того, что его привели в плохую камеру, просил перевода в другую камеру.“*

მიუხედავად შექმნილი მძიმე ვითარებისა, მატარაძე-მაქსიმელიშვილის ოჯახის ახლობლები იმედს არ კარგავდნენ და ფიქრობდნენ, რომ სიმართლე გაირკვეოდა და უდანაშაულო ადამიანებს საბჭოთა მართლმსაჯულება გაათავისუფლებდა.

საქმეში დაცულია მატარაძისა და მაქსიმელიშვილის ნათესავების – თამარ მიხეილის ასული მაქსიმელიშვილის, ლიდა ალექსანდრეს ასული მატარაძისა და ზ. მ. მაქსიმელიშვილის წერილობითი მიმართვები საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრისადმი. ამაღელვებელია მაქსიმელიშვილის ერთ-ერთი დის, სსრკ სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილის ს. გოგლიძისადმი

---

რომელსაც, რა თქმა უნდა, ჩემთან არანაირი კავშირი არ გააჩნდა, მომეხსნა“.

„ვაცხადებ, რომ პარტიისა და მთავრობის წინაშე დანაშაული არ ჩამიდენია, დამნაშავე ვარ მხოლოდ ჩემი ორი მცირენლოვანი შვილის წინაშე, რომლებმაც ჩემი დაუფიქრებელი ქმედებების შედეგად დაკარგეს მამა და დედა.

მე თქვენთვის აქამდე არ მომიმართავს, ვინაიდან ვიმედოვნებდი, რომ სამინისტროს ხელმძღვანელობა და შესაბამისი ორგანოები ობიექტურად გაერკვეოდნენ ჩემს საქმეში და მიღებულ იქნებოდა სამართლიანი გადაწყვეტილება. თუმცა, გამოძიება დამთავრდა ა.წ. ივნისის ბოლოს, მაგრამ ჩემთვის უცნობი მიზეზების გამო, გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

მოგმართავთ თხოვნით, ჩაერიეთ ჩემს საქმეში და დააჩქარეთ გადაწყვეტილება. ვადასტურებ, რომ მე არ ვარ ზედმეტი და შემთხვევითი ადამიანი პარტიისა და საბჭოთა მთავრობისათვის. გთხოვთ, მომცეთ შესაძლებლობა, გამოვიყენო ორგანოებში 14-წლიანი საქმიანობის შედეგად მიღებული და აგენტურულ-ჩეკისტური საქმიანობის ცოდნა და გამოცდილება (ციხემაც მომცა დიდი გაკვეთილი) და საქმით, და თუ საჭირო იქნება, სიცოცხლით დავამტკიცო ერთგულება პარტიისა და მთავრობის წინაშე“.

* გატყობინებთ, რომ 18/VII-52 პატიმარი დ.ა. მატარაძე 48-ე საკნიდან გადაიყვანეს 33-ში, რის შემდეგაც მას გული წაუვიდა. გამოიძახეს ექთანი და აღმოუჩინეს დახმარება. ამის შემდეგ მიმოდიოდა კამერაში, ხელებს იკვნეტდა, მიძვრებოდა სანოლის ქვეშ და ა.შ. იმ მოტივით, რომ ის შეეყვანეს ცუდ საკანში, ითხოვდა სხვა საკანში გადაყვანას.

გაგზავნილი წერილის შინაარსი:

„Как мне стало известно в марте месяце тек. года была арестована в г. Москве моя сестра Вардо Максимелишвили – работавшая последнее время в МГБ СССР.

Нас было 7 сестер, выросли мы в нужде без матери, все стали на ноги благодаря Советской Власти и создали настоящие Коммунистические Семьи, а Вардо попала в особые условия, ей дали все возможности, оказано большое доверие и она всегда была предана нашей Родине – Советской Стране. В этих условиях трудно себе представить, чтобы она сознательно вершила какое-нибудь преступление против нашего народа, против нашего Великого государства.

Отец неоднократно подавал заявление, но умер так, что не дождался ответа. Я в годы Великой Отечественной Войны мужа потеряла на фронте и осталась с двумя сиротами. Единственной надеждой для моей семьи была она, а сейчас лишилась этого.

Должна также довести до Вашего сведения, что, как ее дети в Москве, также наши остальные семейства здесь со стороны МГБ испытывают ограничения, я бы сказала притеснения.

Если она виновна, конечно, должна понести соответствующее наказание, но меня все мучает мысль – не является ли ее арест результатом какого-нибудь недорозумения, и по-этому прошу Вас дать указание о тщательном пересмотре дела Максимелишвили В.М. и если возможно поставить меня в известность.

Прощу также выделить пять минут и принять меня для личной беседы – если вы найдете возможность“*

საინტერესოა ლ. ბერიას ერთგული თანამოაზრის, სერგო გოგლიძის რეზოლუცია წერილზე: „тов. Кочлавашвили А.Ч. – Учесть в следствии“**. არადა, ვინ, თუ არა ს. გოგლიძემ ბრწყინვალედ იცოდა ლ. ბერიას ახლო ურთიერთობის თაობაზე მატარაძე-მაქსიმელიშვილის ოჯახთან. ვარდო მაქსიმელიშვილის დაპატიმრებით, ეფიქრობთ, ლ. ბერია საბოლოოდ დარწმუნდა, რომ „მეგრელთა საქმე“ გათვლილი

---

* როგორც ჩემთვის გახდა ცნობილი, ამა წლის მარტის თვეში მოსკოვში დაპატიმრებულ იქნა ჩემი და ვარდო მაქსიმელიშვილი, რომელიც ბოლო დროს მუშაობდა სსრკ-ის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში.

ჩვენ ვიყავით შვიდნი და, ვიზრდებოდით გაჭირვებაში, დედის გარეშე, ყველანი ფეხზე დავდექით საბჭოთა ხელისუფლების წყალობით და შევქმენით ნამდვილი კომუნისტური ოჯახები, ხოლო ვარდო აღმოჩნდა განსაკუთრებულ პირობებში, მას მისცეს ყველა შესაძლებლობა, გამოუცხადეს დიდი ნდობა და ის ყოველთვის იყო ჩვენი – საბჭოთა ქვეყნის ერთგული. ასეთ ვითარებაში ძნელია წარმოიდგინო, რომ ის შეგნებულად სჩადიოდა რაიმე დანაშაულს ჩვენი ხალხისა და ჩვენი დიადი სახელმწიფოს წინაშე.

მამამ არაერთგზის მიმართა განცხადებით, მაგრამ გარდაიცვალა ისე, რომ პასუხი არ ღირსებია. მე დიდი სამამულო ომის პერიოდში ფრონტზე დავკარგე მეუღლე და დავრჩი ორ ობოლთან ერთად. ერთადერთი იმედი ჩემი ოჯახისთვის იყო ვარდო, თუმცა უკვე ამასაც მოკლებული ვარ.

ასევე მინდა გაცნობოთ, რომ როგორც მისი შვილები მოსკოვში, აგრეთვე ჩვენი დანარჩენი ოჯახის წევრები სუს მხრიდან განიცდიან შეზღუდვებს, მე ვიტყოდი – შევინროებას.

თუკი ის დამნაშავეა, რა თქმა უნდა, მან უნდა მიიღოს შესაბამისი სასჯელის ზომა, მაგრამ მე მანუხებს აზრი, ხომ არ არის მისი დაპატიმრება რაღაც გაუგებრობის შედეგი და ამიტომ გთხოვთ, თქვენს განკარგულებას ვ.მ.მაქსიმელიშვილის საქმის ძირფესვიანად გადახედვის თაობაზე და თუკი შესაძლებელია, ჩამაყენოთ საქმის კურსში.

გამომიყოთ ხუთი წუთი და მიმიღოთ პირადი საუბრისათვის, თუკი გამოძებნით შესაძლებლობას.

** ამხანაგ ა.ჩ.კოჭლავაშვილს – გამოძიების პროცესში მიიღეთ მხედველობაში

იყო მისი კომპრომეტირებისა და სახელისუფლო ოლიმპოდან ჩამოცილებისათვის, თუმცა ამ ეტაპზე სხვა გზა, გარდა ბელადის „დიდი თამაშის“ თმენისა, არ გააჩნდა.

გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში რეპრესიების ახალმა ტალღამ გადაუარა საბჭოთა საქართველოს „ძველ ინტელიგენციასაც“.

საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის აზრით, ომისშემდგომ პერიოდში საქართველოს უმსხვილეს სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მეცნიერებათა აკადემიაში და სხვა. ხელმძღვანელ თანამდებობებზე უმეტესწილად აღმოჩნდნენ ძველი, ანტისაბჭოთა აზროვნების ინტელიგენციის წარმომადგენლები. იქ პროფესორთა შემადგენლობა, თითქოსდა, ძირითადად, არასაიმედო პიროვნებებით ყოფილა დაკომპლექტებული: ყოფილი აქტიური მენშევიკები, ესერები, სოციალ-ფედერალისტები და სხვა ანტისაბჭოთა პარტიებისა და ორგანიზაციების ყოფილი წარმომადგენლები, რომლებიც ნაციონალიზმის იდეით წამლავდნენ ქართველ ახალგაზრდობას. ასეთებად ითვლებოდნენ: შალვა ნუცუბიძე – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ხელმძღვანელობდა დასავლეთ-ევროპული ლიტერატურის კათედრას, წარსულში სოციალ-ფედერალისტთა ერთ-ერთი ლიდერი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი. თავის ბოლო ნაშრომში „რუსთაველი და აღმოსავლეთის რენესანსი“, რომელიც გამოიცა 1947 წელს, შ. ნუცუბიძე, თითქოსდა, საზოგადოებას თავს ახვევდა უცხო იდეოლოგიურ და ნაციონალისტურ შეხედულებებს; კონსტანტინე ბაქრაძე – ფილოსოფიის კათედრის ყოფილი გამგე, პროფესორი, იმჟამად თბილისის უნივერსიტეტის ლოგიკის კათედრის გამგე; სიმონ ყაუხჩიშვილი – თბილისის უნივერსიტეტის ლიტერატურის კათედრის გამგე, პროფესორი; დიმიტრი მგელაძე – თსუ-ს რუსული ენის კათედრის გამგე, პროფესორი; ნიკო ბერძენიშვილი – მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი; მიხეილ ზანდუკელი – თსუ-ს ლიტერატურიის ისტორიის კათედრის პროფესორი; ალექსანდრე ნამორაძე – თსუ-ს ზოგადი ისტორიის კათედრის გამგე, პროფესორი; გიორგი გოზალიშვილი – თსუ-ს პროფესორი, ისტორიკოსი.

დაუმორჩილებელი ინტელიგენცია დაიბარეს საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტში და ცკ-ს პირველი მდივნის, ჩარკვიანის, ცკ-ს სხვა მდივნებისა და სახელმწიფო უშიშროების მინისტრის რაფავას თანდასწრებით მკაცრი ახსნა-განმარტებითი საუბრები ჩაუტარეს. დაბარებულები იყვნენ სათითაოდ მწერლები: პავლე ინგოროყვა და გერონტი ქიქოძე, პროფესორი ალექსანდრე ნამორაძე და აკადემიკოსი გიორგი წერეთელი. ჩარკვიანთან სასაუბროდ აყვანილი ჰყავდთ პატიმარი პროფესორი გიორგი გოზალიშვილი. ამ უკანასკნელებმა უარყვეს მათ მიმართ წაყენებული ბრალდებები. ჩარკვიანმა ისინი მკაცრად გააფრთხილა, რომ პარტია და საბჭოთა მთავრობა ყველაფერს პატიობდა (იგულისხმება არარსებულ შეთქმულებაში მონაწილეობა) და შესაბამისად, მათ უნდა გამოეტანათ აქედან სათანადო დასკვნები. ინტელიგენციასთან საუბრების დასრულების შემდეგ ჩარკვიანმა გამოთქვა სურვილი დასატუსად გამოეძახებინათ პროფესორები შ. ნუცუბიძე და ა. ჩიქობავა. აღნიშნული შეხვედრებისა და საუბრების შემდეგ, პატიმრობიდან გაათავისუფლეს პროფესორი გოზალიშვილი. შემდგომში ურჩ პროფესორებს კიდევ ერთი დაუმორჩილებელი ინტელიგენტი ვუკოლ ბერიძე დაემატა.

მეორე მსოფლიო ომში მიღწეული წარმატებების ეიფორიის ფონზე საბჭოთა ქვეყანაში ტოტალიტარული მმართველობა მძვინვარებდა. ნებისმიერ კრიტიკა, საღი აზრის გამოთქმა, დასავლური ცხოვრების წესზე ობიექტური საუბრები, თუ ზოგადად განსხვავებული აზრის გამოხატვა „მტრულ ქცევად“ აღიქმებოდა და სისხლის სამართლებრივად ისჯებოდა. ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ მოსახლეობის ნაწილი მას კომუნიზმის მშენებლობის დიადი მიზნების მიღწევაში საკუთარი შეხედულებებით ხელს უშლიდა და გადაწყვიტა მათი თავიდან მოცილება, იმჟამად შედარებით „ჰუმანური“ გზით – შუა აზიის დაუსახლებელ სტეპებში მათი გადასახლებით. მალე შესაბამისი სამართლებრივი ბაზაც მომზადდა.

1951 წლის 16 ნოემბერს მიღებულ იქნა საკავშირო კპ (ბ) ცკ-ს დადგენილება „საქართველოს სსრ ტერიტორიიდან მტრული ელემენტების გასახლების შესახებ“. იმავე წლის 29 ნოემბერს იმავე თემაზე შესაბამისი N 4893-2113 სნ დადგენილება მიიღო სსრკ მინისტრთა საბჭომ, რომლის თანახმადაც სსრკ უშიშროების სამინისტროს დაევალა გასახლების პირობებისა და წესების შემუშავება და პროცესის პრაქტიკული რეალიზაცია-ორგანიზაცია.

გადასახლებას ექვემდებარებოდნენ „ქართველი ემიგრანტების, ხალხის მოღალატეების, აგრეთვე, იმ პირთა ახლო ნათესავები, რომლებიც არ დაბრუნდნენ სამშობლოში, ცხოვრობდნენ საზღვარგარეთ და აქტიურად ეწეოდნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ ძირგამომთხრელ საქმიანობას (მეუღლე და მშობლები, ვაჟიშვილები და მათი ოჯახები, მათთან მცხოვრები ქალიშვილები, ძმები და დები, აგრეთვე ცალკე მცხოვრები ქალიშვილები, ძმები და დები, რომლებზეც არსებობდა მაკომპრომეტირებელი მასალები); თურქეთში მცხოვრები აჭარული წარმოშობის ქართველ ემიგრანტთა და სამშობლოს მოღალატეთა ახლო ნათესავები; საქართველოს მუსულმანური მოსახლეობით დასახლებული რეგიონებიდან გამოსულ, თურქეთში მცხოვრებ და სამშობლოში ნათესაური კავშირის მქონე ემიგრანტთა და სამშობლოს მოღალატეთა ნათესავები; რეემიგრანტები, რომლებიც 1946-1949 წლებში საქართველოში დაბრუნდნენ საფრანგეთიდან, ირანიდან, ჩინეთიდან; ყოფილი სამხედრო ტყვეები, რომლებიც ირიცხებოდნენ ფაშისტური არმიის ნაციონალურ ფორმირებებში; აგრეთვე თურქეთის დაზვერვასთან კავშირში ეჭვმიტანილი ე.წ. „საზღვარს მიღმა მოსიარულენი“ (закордонные ходоки) და მათი ოჯახები.

თავიანთ ნათესავებთან ერთად უნდა გადაესახლებინათ თითოეული ოჯახის შრომისუუნარო და არასრულწლოვანი წევრებიც. გადასახლებულთ ნება ეძლეოდათ, თან წაეღოთ თავიანთი პირადი და სხვა ნივთები (ტანისამოსი, ჭურჭელი, სასოფლო-სამეურნეო და საოჯახო ინვენტარი, ფული, ძვირფასეულობა, საკვების მარაგი), ოჯახზე არაუმეტეს 1,5 ტონისა. დანარჩენი ქონება ექვემდებარებოდა კონფისკაციას“.

სპეცგადასახლების მოტივაცია და სპეცგადასახლების უზრუნველყოფისათვის შემუშავებული წინადადებები დეტალურად იქნა ჩამოყალიბებული საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის კ. ჩარკვიანის იოსებ სტალინისადმი გაგზავნილ 1951 წლის 12 ნოემბრის N 0141 წერილში.

„ზემოაღნიშნული დადგენილების საფუძველზე სპეცგადასახლებულ იქნა 2 5 81 ოჯახი 11 458 სულის შემადგენლობით.

მათ შორის: ქართული ემიგრაციის ნათესაური კავშირები – 148 ოჯახი, 433 სული; აჭარული წარმომავლობის ქართული ემიგრაციის ნათესაური კავშირები – 254 ოჯახი, 1 381 სული; აზერბაიჯანული ემიგრაციის ნათესაური კავშირები – 172 ოჯახი, 303 სული; ყოფილი „საზღვარმიღმა მოსიარულენი", კონტრაბანდისტები და არალეგალთა შემფარებლები – 436 ოჯახი, 2644 სული; საფრანგეთიდან, ირანსა და ჩინეთიდან საქართველოში 1946-1949 წლებში დაბრუნებული რეემიგრანტები – 75 ოჯახი, 190 სული; საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ყოფილი სამხედრო ტყვეები, რომლებიც ადრე მსახურობდნენ ფაშისტური გერმანიის არმიის ნაციონალურ ფორმირებებში – 1496 ოჯახი, 5897 სული.

„ლეგიონერები" გადასახლებულ იქნენ რიგი დირექტიული დოკუმენტების საფუძველზე. ესენია: 1946 წლის 20 აპრილის სსრკ შსს N 97 მითითება, აგრეთვე სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის N 9871ს და სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროსთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროების დადგენილებები.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გერმანული არმიის ნაციონალური ლეგიონების რიგებში მებრძოლთა საქართველოდან 6 წლით გადასახლების შესახებ 1946 წლის 20 აპრილის სსრკ შსს N 97 დირექტივას იმ დროისათვის უკვე დაკარგული ჰქონდა იურიდიული ძალა, ხოლო თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის N 9871ს დადგენილება კი, რომლის საფუძველზეც განხორციელდა „ლეგიონერთა" სპეცგადასახლება, მათი ოჯახის წევრთა გადასახლებასა და ქონების კონფისკაციას არ ითვალისწინებდა.

ამასთან დაკავშირებით, სსრკ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის N 1007-430სს დადგენილებით, აღნიშნული სპეცგადასახლება გაუქმდა და კონტიგენტი თავიანთ საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნებულ იქნა კონფისკირებული ქონების ანაზღაურებით".[243]

საქართველოს უახლესი ისტორიის ეს ურთულესი პერიოდი მკვლევრების მიერ სათანადოდ არ არის შესწავლილი.

იმ ავბედითი 1951 წლის 25 დეკემბერს საქართველოში მოხდა ყოვლად შემაძრწუნებელი ფაქტი, რომელიც თავისი მასშტაბებით ფერეიდანში (ირანში) ქართველთა გადასახლებას თუ შეედრება. იმ პერიოდში არ დარჩენილა საქართველოს კუთხე, რომელსაც სპეცგადასახლების სიმწვავე არ შეხებოდა. სპეცგადასახლებასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის (ბ) და საბჭოთა მთავრობის დადგენილებების შესრულების ორგანიზაციას ადგილებზე შინსახკომის მუშაკებისა და კაზაკებისაგან შემდგარი 4-5 კაციანი ჯგუფები უწევდნენ. გასახლების პროცედურები, ძირითადად, ღამის საათებში ხორციელდებოდა. დევნილობისათვის განწირულებს მომზადებისათვის მხოლოდ ორი საათი ეძლეოდათ. მშობლიური მიწა-წყლიდან აყრილთა დანიშნულების ადგილამდე ჩაყვანა საბარგო ვაგონებით ხდებოდა. ვაგონებში იდგა შეშის ღუმლები, საძინებლად კი ფიცრის თაროები, ეგრეთ წოდებული, „ნარები" გამოიყენებოდა. ასეთი ვაგონებისაგან შემდგარ ეშელონებს გამკაცრებული შეიარაღებული ბადრაგი იცავდა. მგზავრობა თითქმის ორ კვირას გრძელდებოდა. ეშელონები გზადაგზა პერიოდულად ჩერდებოდნენ და შეშასა და საკვებს („ბალანდას") იმარაგებდნენ.

გადასახლებულებმა ისიც კი არ იცოდნენ, საით მიემგზავრებოდნენ და საბოლოოდ რას უმზადებდა მათ საბჭოთა ხელისუფლება. მგზავრობის დროს ბევრი დაავადდა და გარდაიცვალა. ადგილი ჰქონდა მშობიარობის ფაქტებსაც. საბოლოოდ რეპრესირებულები სამხრეთ ყაზახეთის სხვადასხვა ოლქში აღმოჩნდნენ. გადასახლებულები რკინიგზის სადგურიდან დანიშნულების ადგილამდე ღია ტიპის საბარგო ავტომანქანებით ჩაიყვანეს. საქართველოდან გასახლებულები კიროვის სახელობის რაიონის, ეგრეთ წოდებული, მშიერი ტრამალის ტერიტორიაზე, ყიზილუმის უდაბნოდან 30-40 კმ-ის დაშორებით დაასახლეს. იქ მათ ელოდნენ 1940 წელს გადასახლებული გერმანელები – საბჭოთა მოქალაქეები, აგრეთვე, მეორე მსოფლიო ომის დროს საკუთარი კარ-მიდამოდან აყრილი ჩეჩნები, ადიღეელები, ბერძნები და სხვა ერების წარმომადგენლები. გადასახლებულები ალიზის აგურით ნაშენებ, მიწურ სახლებში უმძიმეს პირობებში განათავსეს. თითოეულ სახლში 3-4 ერთმანეთისათვის უცნობი ოჯახი ჩაასახლეს. დასაწყისში მწვავედ იდგა საკვების, წყლით უზრუნველყოფის, სამედიცინო მომსახურებისა და ხალხის დასაქმების საკითხი. საქართველოდან დევნილებს მაქსიმალური დახმარება აღმოუჩინეს უკვე გადასახლებას შეგუებულმა ჩრდილოკავკასიელებმა, გერმანელებმა და სხვა ერების წარმომადგენლებმა. მოგვიანებით პრობლემებმა ნელ-ნელა იკლო. ხალხი შეეჩვია დუხჭირ ცხოვრებას, დევნილები ასე თუ ისე დასაქმდნენ, ძირითადად ბამბის მოვლა-პატრონობაზე, თუმცა ზოგიერთმა მათგანმა სპეციალობითაც კი იშოვა სამსახური, ბავშვები სკოლებში ჩაირიცხნენ, ცხოვრება თითქოს თავის კალაპოტში ჩადგა, საქართველოდან გადასახლებულებისათვის ამანათები შეუზღუდავად იგზავნებოდა, თუმცა მშობლიურ კუთხე-მიდამოს და ნათესავ-მეგობრებს მოწყვეტილ ქართველებს არაფერი ახარებდა.

მიუხედავად უმძიმესი ვითარებისა, გადასახლებაში მყოფმა ქართველმა ერმა კიდევ ერთხელ გამოამჟღავნა გაჭირვების ჟამს გენეტიკური ერთობის, ერთმანეთის დახმარებისა და მხარდაჭერის სულისკვეთება.

ი. სტალინის გარდაცვალების შემდეგ სწრაფად გაიცა სამთავრობო ბრძანება და გადასახლებულთა დაბრუნების პროცედურებიც დაიწყო, თუმცა ლ. ბერიას დაპატიმრებამ და საბჭოთა ხელისუფლების ელიტაში ხელისუფლებისათვის ბრძოლამ ეს პროცესი დროებით შეაჩერა. საბოლოოდ გადასახლებულთა ბოლო ნაკადი მშობლიურ სახლ-კარს 1954-1955 წლებში დაუბრუნდა.

არავინ იცის, რით დასრულდებოდა „მეგრელ ნაციონალისტთა ჯგუფის საქმე“ და კიდევ რამდენი უდანაშაულო ადამიანი შეეწირებოდა საბჭოთა სახელისუფლებო ინტრიგებს, რომ არა 1953 წლის 5 მარტი, როდესაც სამი ათეული წლის შემდეგ საბჭოთა იმპერიამ და საბჭოთა ხალხმა იოსებ სტალინის გარეშე გააგრძელა ცხოვრება. დღემდე საიდუმლოებით არის მოცული ი. სტალინის გარდაცვალების გარემოებები.

ოფიციალური ვერსიით, ი. სტალინის სიკვდილის მთავარ მიზეზად ცერებრალური დამბლა სახელდება, თუმცა ბევრ მკვლევარს მიაჩნია, რომ ბელადი მოწამლეს.

2003 წლის მარტის დასაწყისში გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ გამოაქვეყნა იელის უნივერსიტეტის პროფესორის ბრენტის და რუსი ისტორიკოსის ნაუმოვის წიგნის „სტალინის უკანასკნელი დანაშაულის“ ანონსი. გავრცელებული

ინფორმაციის თანახმად, ნაშრომში ავტორები ცდილობენ იმის მტკიცებას, რომ სტალინი ტვინში სისხლის ჩაქცევით კი არ გარდაიცვალა, არამედ მოწამლულ იქნა (გამოიყენეს ვირთხის საწამლავი) მისივე თანამზრახველების მიერ. ამ ბინძური ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანის ყველაზე რეალურ „აქტორად" კი მკვლევრები ლ. ბერიას ასახელებენ. მათი მოსაზრებები, თითქოსდა, ეფუძნება ი. სტალინის პირადი ექიმების გასაიდუმლოებული სამედიცინო ანგარიშების ანალიზს და იმ ცნობილ ფრაზას, რაც ბელადის სიკვდილის შემდეგ ლ. ბერიას უთქვამს მოლოტოვისათვის: „მე მოვკალი ის და ამით ყველანი გადაგარჩინეთ".

ბრენტი და ნაუმოვი ი. სტალინის მკვლელობის ძირითად მოტივად ასახელებენ იმ ფაქტს, თითქოსდა ის, ქმნიდა ყველა წინაპირობას ამერიკის შეერთებულ შტატებთან ომის დასაწყებად, რასაც უმაღლესი პარტიული და სახელისუფლებო ელიტა ენინააღმდეგებოდა.[215]

რამდენად სარწმუნოა ამერიკელი და რუსი მკვლევრების მოსაზრებები, ძნელი სათქმელია, პირადად მე კატეგორიულად არ ვეთანხმები, თუმცა ფაქტია, რომ საზოგადოებამ დღემდე ვერ მიიღო ზუსტი და ამომწურავი პასუხი მეოცე საუკუნის ერთ-ერთი გამორჩეული და დღემდე ამოუცნობი პიროვნების – ზოგისთვის ტირანის, ზოგისთვის გენიოსის – იოსებ სტალინის გარდაცვალების ზუსტ მიზეზებთან დაკავშირებით.

ი. სტალინის გარდაცვალებამ კიდევ უფრო გაამძაფრა ხელისუფლებისათვის ბრძოლა. გარდაცვალების დღესვე სასწრაფოდ გაიმართა სკკპ ცკ-ს, სსრკ მინისტრთა საბჭოსა და სსრკ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ერთობლივი სხდომა. მასზე ლ. ბერია არჩეულ იქნა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ და ამავდროულად შინაგან საქმეთა მინისტრად. საბჭოთა პარტიულ ელიტას დროებით სათავეში ჩაუდგა ი. სტალინის ძველი თანამებრძოლი და ლ. ბერიას მეგობარი გიორგი მალენკოვი. აშკარად ჩანდა, რომ მალენკოვ-ბერიას ჯგუფი გამარჯვებას ზეიმობდა, თუმცა დროებით. ლ. ბერიას უმთავრეს ამოცანას იმ მოკლე პერიოდში წარმოდგენდა „მეგრელთა საქმის" სასწრაფოდ გადახედვა, შესწავლა და შეფასება. მას სურდა რაც შეიძლება სწრაფად ჩამოსცილებოდა მოცხებული ჩირქი.[186]

გენერალი პ. სუდოპლატოვი მიიჩნევს, რომ თავდაპირველად ლ. ბერიას მიმართ მაქსიმალური პარტიული მხარდაჭერა და თანადგომა გამოხატა სკკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნიკიტა ხრუშჩოვმა, რომელმაც აქტიური მონაწილეობა მიიღო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის შესაბამისი დადგენილებების შემუშავებასა და ცხოვრებაში გატარებაში.[73]

ლ. ბერიამ ერთგული ხალხისაგან სასწრაფოდ შექმნა სპეციალური საგამოძიებო კომისია (გენერალ-პოლკოვნიკი ბახჩო ქობულოვი, გენერალ-ლეიტენანტი ლ. ვ. ვლოძიმორსკი და სხვები) და უკვე 8 აპრილს წერილობით მიმართა სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმს „ე.წ. მეგრული ნაციონალისტური ჯგუფის საქმის არასწორი წარმოების შესახებ". დოკუმენტში დაგმობილ იქნა 1951 წლის 9 ნოემბრისა და 1952 წლის 27 მარტის დადგენილებები და მომხდარი რეპრესიების თაობაზე პასუხისმგებლობა მთლიანად ყოფილ მინისტრს ნ. რუხაძეს დააკისრა. რუსეთის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საპროცესო კოდექსის

მე-4 და მე-5 მუხლების თანახმად, სისხლის სამართლი საქმე N 4294 მ. ბარამიას, ა. რაფავას, ვ. შონიას და სხვათა მამართ სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 1953 წლის 8 აპრილის დადგენილებით, შეწყდა მასში მონაწილე პირების სრული რეაბილიტაციით.

ზუსტად ორი დღის შემდეგ, 1953 წლის 10 აპრილს სკკპ ცკ-ს პრეზიდიუმს გამოაქვს დადგენილება ე.წ. მეგრული ნაციონალისტური ჯგუფის საქმის ფალსიფიკაციის შესახებ. დოკუმენტზე დასმულია გრიფი „სრულიად საიდუმლოდ“.

„პ 5/1 სსრკ და საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროების მიერ საბჭოთა კანონების დარღვევების შესახებ (ამხ. ბერია, ვოროშილოვი, ხრუშჩოვი, პერვუხინი, მიქოიანი, ბულგანინი, მოლოტოვი, მალენკოვი).

როგორც სკპ (ბ) ცკ-ს 1951 წლის 9 ნოემბრისა და 1952 წლის 27 მარტის დადგენილებებით ცნობილია, საქართველოში ვითომდა მოქმედებდა მეგრული ნაციონალისტური ორგანიზაცია საქართველოს კპ (ბ) ცკ-ის ყოფილი მეორე მდივნის მ. ბარამიას მეთაურობით, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ლიკვიდაციას იმპერიალისტური სახელმწიფოების დახმარებით. ამასთან დაკავშირებით, უშიშროების ორგანოებმა დააპატიმრეს საქართველოს სსრ პასუხისმგებელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, რომლებიც გამოძიებაში იმყოფებოდნენ წელიწადზე მეტ ხანს.

გამოძიების დაუშვებელი გაჭიანურების გამო, რომელიც 15 თვეზე მეტ ხანს გრძელდებოდა, აგრეთვე დაპატიმრებულთა მიმართ გამომძიებლების თვითნებობისა და უკანონობის შესახებ მიღებული შეტყობინების გამო, სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეამოწმა ამ საქმეზე არსებული ყველა საგამოძიებო მასალა. შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ სინამდვილეში არანაირი მეგრული ნაციონალისტური ჯგუფი არ ყოფილა და არ არის, რომ მთელი ეს უაზრო ვერსია საქართველოში მეგრულ-ნაციონალისტური ჯგუფის შესახებ წარმოადგენს საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების ყოფილი მინისტრის ნ. რუხაძის პროვოკაციულ გამონაგონს.

დიდხანს ისახავდა რა დანაშაულებრივ კარიერისტულ მიზნებს, რუხაძემ ისარგებლა იმით, რომ ბოლო პერიოდში საქართველოში პარტიული და სამეურნეო ორგანოების მუშაობაში ადგილი ჰქონდა ნაკლოვანებებს.

რუხაძე არ შემოიფარგლა პროვოკაციული მცდელობებით, ერთმანეთისათვის შეეჯახებინა ხელმძღვანელი პარტიული და სამეურნეო მუშაკები და ი. ბ. სტალინს წარუდგინა განზრახ მცდარი ინფორმაცია საქართველოში მეგრულ-ნაციონალისტური ჯგუფის არსებობის შესახებ.

რუხაძემ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ერთგული ხალხი სკპ(ბ) ცკის წინაშე გამცემებად და სამშობლოს მოღალატეებად წარმოადგინა და სსრკ სახელმწიფო უშიშროების ყოფილი მინისტრის მოადგილის, რიუმინის ხელშეწყობით ი. ბ. სტალინისაგან მიაღწია მათი დაპატიმრების სანქციას და ქმედების თავისუფლება გაინაღდა მათგან იმ დანაშაულებათა აღიარების გამოძალვისთვის, რომლებიც მათ საერთოდ არ ჩაუდენიათ. სსრკ სუს-დან საქართველოში გაიგზავნა სპეციალურად ინსტრუქტირებული გამომძიებელთა ბრიგადა 10 კაცის შემადგენლობით განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილე ცეპკოვის ხელმძღვანელობით. დაპატიმრებულებს სცემ-

დნენ, ხელბორკილებს ადებდნენ, დიდი ხნით უსპობდნენ ძილის საშუალებას, იყენებდნენ ძალდატანების სხვა მეთოდებსაც, მკაცრად აკრძალულს საბჭოთა კანონებით, მოითხოვდნენ ჯაშუშურ-ძირგამომთხრელი მუშაობის „აღიარებას“. ამასთან, გამომძიებელები დაპატიმრებულებს პროვოკაციულად უცხადებდნენ, რომ გამოძიების ამგვარ ხერხებსა და მეთოდებს იყენებდნენ სკკპ(ბ) ცკ-ის პირდაპირი დავალებით.

რიუმინი, რუხაძე და მათი თანამზრახველები ასეთი გზით ცდილობდნენ მათ მიერ წამოწყებული ე.წ. „მეგრულ-ნაციონალისტური ჯგუფის“ შესახებ პროვოკაციული საქმის დადასტურების მიღწევას. სსრკ სახელმწიფო უშიშროების ყოფილი მინისტრი ამხ. იგნატიევი კი აღმოჩნდა ამ ნაძირალების გავლენის ქვეშ, სრულიად მიანდო მათ გამოძიება ამ საქმეზე და არანაირად არ რეაგირებდა დაპატიმრებულთა მრავალრიცხოვან საჩივრებზე იმის შესახებ, რომ მათ მიმართ გამოძიება დანაშაულებრივ მეთოდებს იყენებდა.

საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის ყოფილ პირველ მდივანს კ. ნ. ჩარკვიანს, შემდეგ მის შემცვლელს ამ პოსტზე ამხ. ა. ი. მგელაძეს არამარტო არავითარი ელემენტარულად კრიტიკული დამოკიდებულება არ გამოუვლენიათ რუხაძის მიერ შეთითხნილი ცრუ მონაცემების მიმართ, არამედ თავადაც მნიშვნელოვანწილად ხელს უწყობდნენ მას ამ საქმეში.

ა. მგელაძეს, იმის მაგივრად, რომ გარკვეულიყო შექმნილ ვითარებაში და მიეღწია სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს თვითნებობის შეწყვეტისათვის, თვითონ გამოავლინა აქტიურობა ამ პროვოკაციული საქმის გაბერვასა და ყოვლად უდანაშაულო ადამიანების შემდგომ უკანონო დაპატიმრებაში.

საქართველოს კპ (ბ) ცკ-ის წინადადების საფუძველზე, 1951 წლის ნოემბერში მიიღეს სკპ (ბ) ცკ-ისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები საქართველოს სსრ ტერიტორიიდან მტრული ელემენტების გადასახლების შესახებ. როგორც სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაადგინა, ეს დადგენილებები მიიღეს საქართველოს კპ (ბ) ცკ-ისა და საქართველოს სსრ უშიშროების სამინისტროს მიერ სკპ (ბ) ცკ-ის მცდარი ინფორმირების საფუძველზე. ამას გარდა, თვით ამ დადგენილებებით სსრკ-ისა და საქართველოს სუს-ს მხრიდან დაშვებული იყო აშკარა თვითნებობა და საბჭოთა კანონების უხეში დარღვევები. ათასობით სრულიად უდანაშაულო საბჭოთა მოქალაქე გახდა ამ თვითნებობისა და უკანონობის მსხვერპლი.

სადამსჯელო ორგანოების მუშაობაში მსგავსი თვითნებობა და საბჭოთა კანონების დანაშაულებრივი დარღვევა სერიოზულ ზიანს აყენებს პარტიის საქმეს, საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესებს.

სკკპ ცკ ადგენს:

1. სკპ(ბ) ცკ-ის 1951 წლის 9 ნოემბრის და 1952 წლის 27 მარტის დადგენილებების შესაცვლელად ვაღიაროთ, რომ საქმე ე.წ. „მეგრული ნაციონალისტური ორგანიზაციის არსებობის შესახებ საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის ყოფილი მეორე მდივნის მ. ბარამიას ხელმძღვანელობით“, გამოგონილია და დანაშაულებრივი, კარიერისტული მიზნებით შეთითხნილია საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების ყოფილი მინისტრის რუხაძის მიერ, ყოფილი სსრკ სუს-ს ხელმძღვანელი მუშაკების ხელის შეწყობით.

2. ე.წ. „მეგრული ნაციონალისტური ჯგუფის“ საქმეზე ყველა დაპატიმრებული – მ. ი. ბარამია, ა. ნ. რაფავა, პ. ა. შარია, ი. ს. ზოდელავა, ა. ი. მირცხულავა, ვ. ი. შონია, გ. ტ. კარანაძე და სხვები, 37 კაცის რაოდენობით, პატიმრობიდან გათავისუფლებულ იქნენ სრული რეაბილიტაციით, ხოლო მათ მიმართ წარმოებული საქმე შეწყდეს.

3. ცნობად იქნას მიღებული ამხ. ლ. პ. ბერიას განცხადება იმის შესახებ, რომ ე.წ. „მეგრული ნაციონალისტური ჯგუფის“ საქმეზე საგამოძიებო მასალების ფალსიფიკაციისათვის, აგრეთვე გამოძიების მეთოდების დამახინჯებისა და საბჭოთა კანონების უხეში დარღვევებისათვის უკვე პატიმრობაში მყოფი რუხაძისა და რიუმინის გარდა, სსრკ შსს-ს მიერ დაპატიმრებული არიან და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცნენ ყოფილი სსრკ სუს-ს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა საგამოძიებლო ნაწილის უფროსის მოადგილე ცეპკოვი, საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრის ყოფილი მოადგილე თავდიშვილი, ამავე სამინისტროს უფროსი გამომძიებელი ქესონაშვილი და სხვა.

4. გაუქმდეს სკპ(ბ) ცკ-ის 1951 წლის 16 ნოემბრის დადგენილება და 1951 წლის 29 ნოემბრის სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილება „საქართველოს სსრ ტერიტორიიდან მტრული ელემენტების გასახლების შესახებ“ როგორც არასწორი, მიღებული საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის საქართველოს სსრ სუს-ს და სსრკ სუს-ს მიერ სკპ(ბ) ცკ-ის და სსრკ მინისტრთა საბჭოს შეცდომაში შეყვანის შედეგად.

5. დაევალოს სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ გადახედოს ყველა დაპატიმრებული მოქალაქის საქმეს, რომლებიც გასახლებულნი იყვნენ საქართველოს სსრ ტერიტორიიდან სსრკ სუს-ს განსაკუთრებული სათათბიროს მიერ სსრკ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 29 ნოემბრის დადგენილების საფუძველზე და ყველა უკანონოდ გასახლებული მოქალაქე დაბრუნდეს ადრინდელ საცხოვრებელ ადგილას.

6. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რომ სპეცგადასახლებებიდან გათავისუფლებულ მოქალაქეებს დაუბრუნოს ის ქონება, რის კონფისკაციაც განხორციელდა მათი დაპატიმრების დროს.

სკპ (ბ) ცკ აღნიშნავს, რომ ცალკეული დამნაშავეებისა და ვიგინდარების ბოროტგანზრახული პროვოკაციის შედეგად ცილისწამების მსხვერპლი აღმოჩნდა საქართველოს კომუნისტური პარტია – ჩვენი პარტიის ერთ-ერთი უძველესი ორგანიზაციათაგანი, რომელიც ბოლშევიკთა პარტიისათვის ყოველთვის ერთგული დასაყრდენი იყო და თანმიმდევრულად ატარებდა ლენინურ ხაზს, როგორც სოციალისტურ რევოლუციამდე, ისე საბჭოთა მმართველობის წლებში. ავანტიურისტებმა რუხაძემ, რიუმინმა და მათმა დამქაშებმა ჩრდილი მიაყენეს ქართველ ხალხს, რომელიც საუკუნეების მანძილზე მჭიდროდაა დაკავშირებული დიდ რუს ხალხთან და ჩვენს ქვეყანაში მთელი სოციალისტური მშენებლობის განმავლობაში დაამტკიცა თავისი ურყევი ერთგულება საბჭოთა კავშირის ხალხების ურღვევი მეგობრობისადმი. სკკპ ცკ აფრთხილებს, რომ არავის მისცემს უფლებას, ცილი დასწამოს ჩვენი ქვეყნის ერებსა და ეროვნებებს და ამით ძირი გამოუთხაროს ხალხთა შორის ურთიერთნდობას და მეგობრობას, რაც ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს სიძლიერის უმნიშვნელოვანეს საყრდენს წარმოადგენს.

სკპ (ბ) ცკ შეახსენებს პარტიულ ორგანიზაციებს, რომ საბჭოთა სოციალისტური კანონიერების ხელშეუხებლობა არის ჩვენი ქვეყნის შემდგომი გაძლიერების და კომუნიზმის წარმატებული მშენებლობის ერთ-ერთი მთავარი პირობა და პარტიული ორგანიზაციების ყველა ხელმძღვანელს ავალდებულებს ფხიზლად დადგნენ საბჭოთა კანონების დაცვის სადარაჯოზე, ყოველგვარი ხელყოფისაგან დაიცვან სახელმწიფოს ინტერესები და საბჭოთა მოქალაქეების ის უფლებები, რომლებიც ჩაწერილია სსრკ კონსტიტუციაში. სკპ (ბ) ცკ დადგენილება „სსრკ და საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროების მიერ საბჭოთა კანონების დარღვევების შესახებ", ამხ. ლ. პ. ბერიას ბარათთან ერთად, სსრკ შსს-ს საგამოძიებო კომისიის დადგენილების დართვით დაეგზავნოს სკკპ ცკ-ის წევრებს, სკკპ ცკ-ის წევრობის კანდიდატებს და მოკავშირე რესპუბლიკების ცკ-ების, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების პირველ მდივნებს.

მოკავშირე რესპუბლიკების ცკ-ებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების პირველ მდივნებს დაევალათ, რომ სკკპ ცკ-ის დადგენილება და მასალები ამ საკითხზე გააცნონ მოკავშირე რესპუბლიკების ცკ-ების, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების ბიუროს წევრებს".*

ზემოაღნიშნული დადგენილების მიღების შემდეგ სწრაფად დაიწყო პატიმართა გათავისუფლების პროცედურების მოგვარება. 1952 წლის 16 აპრილს „მეგრელ ნაციონალისტთა საქმესთან" დაკავშირებულ პატიმართა ერთი ნაწილი ეტაპით მოსკოვში გაამგზავრეს და სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს შინაგან ციხეში მოათავსეს. განთავისუფლების პროცესში ლ. ბერია აწ უკვე ყოფილ პატიმრებს ციხეში პირადად ხვდებოდა და მათთან ხანმოკლე საუბრებს მართავდა. პატიმრობიდან განთავისუფლდა ავქსენტი რაფავაც, რომელიც 1953 წლის აპრილ-ივნისში იყო საქართველოს სახელმწიფო კონტროლის მინისტრი. 1954 წელს ის ხელახლა იქნა დაპატიმრებული. მას ძირითად ბრალდებად წაუყენეს ჩინეთის რესპუბლიკაში სსრკ-ის ელჩის მკვლელობაში მონაწილეობა და სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის გადაწყვეტილებით მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა.[185]

მას შემდეგ, რაც საქართველოს კომპარტიას მოეხსნა ნაციონალიზმის ბრალდება, საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პოსტიდან გათავისუფლდა აკაკი მგელაძე, ლ. ბერიას ერთ-ერთი მთავარი მოწინააღმდეგე კადრების დარგში, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნად დაინიშნა გ. მამულოვი – ლ. ბერიას სამდივნოს ყოფილი უფროსი. საბჭოთა საქართველოს პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში სწრაფად დაიწყო მსხვილმასშტაბიანი საკადრო ცვლილებები. გენერალი პ. სუდოპლატოვი მიანიშნებს, რომ იმავე გ. მამულოვის გადმოცემით, საქართველოში დაპატიმრებების გარეშე საკადრო ცვლილებების გატარების მოთხოვნა არა ლ. ბერიადან, არამედ ნ. ხრუშჩოვიდან მოდიოდა.[73] საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცკ-ის პირველ მდივნად დაინიშნა ალექსანდრე მირცხულავა, რომელმაც აღნიშნულ პოსტზე სულ რამდენიმე თვე დაჰყო. 1953 წლის მიწურულს, მას შემდეგ, რაც საჭოთა კავშირის სათავეში მოექცა ნიკიტა ხრუშჩოვი, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველ

* დოკუმენტი გადმობეჭდილია ბ-ნი ასლანიშვილის გამოკვლევიდან

მდივნად დაინიშნა პროფესიონალი სამხედრო, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, გენერალ-ლეიტენანტი ვასილ მჟავანაძე, რომელიც ამ პოსტზე იმყოფებოდა 1972 წლამდე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა „მეგრელ ნაციონალისტთა ჯგუფის საქმის" შეწყვეტის დადგენილება (ამონაწერი), არაერთი წერილობითი მოთხოვნის შემდეგ, მოსკოვიდან მიიღო მხოლოდ 1961 წლის აპრილში. ის დაერთო 22 ტომიან საკონტროლო-სადამკვირვებლო საქმეს და ჩაბარდა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის არქივს. „მეგრელ ნაციონალისტთა ჯგუფის საქმესთან" დაკავშირებულ რეაბილიტირებულ პირთა სია (სულ 36 კაცი) ასეთია: მიხეილ ბარამია, ავქსენტი რაფავა, პეტრე შარია, ვლადიმერ შონია, გიორგი კარანაძე, ალექსანდრე მირცხულავა, რაფაელ კვირკველია, ილია თავაძე, ივანე რაფავა, კონსტანტინე ჭიჭინაძე, კირილე ბეჭვაია, გრიგოლ კოკაია, ივლიანე (მამია) ზოდელავა, ნინა ჟვანია, კონსტანტინე ბზიავა, მარიამ ჭკადუა, ანთიმოზ ჭეჟია, აკაკი კილასონია, გრიგოლ პაპასკუა, ვასილ კალანდია, ეფრემ ჯიქია, გიორგი ჩაჩიბაია, ალექსანდრე კვარაცხელია, მიხეილ სიორდია, ვალერიან გუგუნავა, პარმენ კორთხონჯია, მამანტი პაჭკორია, სევერიანი ებრალიძე, ვლადიმერ სიჭინავა, ვარლამ მზარელუა, ლაზარე გაბისონია, კონსტანტინე რეყვავა, ალექსანდრე იოსავა, ლიდია ბარამია, დავით მატარიძე, ვარდო მაქსიმელიშვილი.

ამონაწერის დასკვნით ნაწილში ჩამოთვლილ სიაში გადახაზულია ავქსენტი რაფავასა და პეტრე შარიას გვარები. საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში დადგენილების ამონაწერის გამოგზავნის დაგვიანების მიზეზიც სწორად ეს უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ამ ჩამონათვალში მინიშნებული ზოგიერთი პიროვნება, აღნიშნული დადგენილების შემდეგ, ხელახლა დააპატიმრეს. ეს უკვე ნიკიტა ხრუშჩოვის „გამეფების" შემდგომ მოხდა. ხელმეორედ დააპატიმრეს პ. შარია, ა. რაფავა და ვ. მაქსიმელიშვილი. ეს უკანასკნელი მალე გაათავისუფლეს. პ. შარიამ სასჯელი (10 წელი) სრულად მოიხადა.[375]

50-იანი წლების პოლიტიკური კატაკლიზმების შემდეგ, ვითარება სსრ კავშირში შედარებით მშვიდი გახდა. ქ-ნ ვარდო მაქსიმელიშვილს საგარეო დაზვერვის პასუხისმგებელი მუშაკები ეწვივნენ, მის გარშემო დატრიალებული ბატალიების გამო ბოდიში მოუხადეს და საბჭოთა დაზვერვაში დაბრუნება სთხოვეს. ვ. მაქსიმელიშვილმა შემოთავაზებულ წინადადებაზე კატეგორიული უარი განაცხადა.

აღნიშნული პერიოდისათვის ქ-ნ ვარდოს დამთავრებული ჰქონდა მოსკოვის მეორე სამედიცინო ინსტიტუტი და სპეცსამსახურებს საბოლოოდ იყო ჩამოცილებული. სულ მალე ის მუშაობას იწყებს მოსკოვის კრასნოპრესნიას რაიონის 112-ე პოლიკლინიკის უბნის ექიმად. პიროვნული ხიბლით გამორჩეული და ნიჭიერი პროფესიონალი სულ მალე ცნობილი მკურნალი ხდება. პარალელურად საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწევა. 1962 წელს ვ. მაქსიმელიშვილი დაინიშნა მოსკოვის 112-ე პოლიკლინიკის მთავარ ექიმად და ამ თანამდებობაზე პენსიაზე გასვლამდე მუშაობდა. მაქსიმელიშვილს კონტაქტი არც საქართველოსთან გაუწყვეტია, სადაც მისი ახლო ნათესავები დღემდე ცხოვრობენ. მასთან კარგ ურთიერთობაში იყვნენ ის ქართველი რეემიგრანტებიც, რომელთა დაბრუნება სამშობლოში ქალბატონი ვარდოს „დამსახურება" იყო. მისი ქალიშვილებიც – გურანდა და რუსუდანი დედის

კვალს გაჰყვნენ და პროფესიად ექიმობა აირჩიეს – საკმაოდ წარმატებითაც.[228]

წიგნზე მუშაობის პერიოდში ვ. მაქსიმელიშვილი 90 წელს მიტანებული ქალბატონი გახლდათ და ქ. მოსკოვში ცხოვრობდა. სასწრაფოდ მოვამზადე წერილი და ჩემი მეგობრის მეშვეობით მასთან ვაფრინე, თუმცა გართულებული ჯანმრთელობის გამო, ქ-ნ ვარდოსთან შეხვედრა და საუბარი ვერ მოხერხდა, არადა რამდენი საინტერესო და მნიშვნელოვანი რამის მოყოლა შეეძლო...

უახლესი ისტორიის მკვლევრები საზოგადოებას სხვადასხვა ვერსიას სთავაზობენ იმ მიზეზების თაობაზე, რამაც განაპირობა საბჭოთა ქვეყნის სათავეში, სახელისუფლებო გადატრიალების გზით, ნიკიტა ხრუშჩოვისა და მის მხარდამჭერთა მოსვლა. საბჭოთა ხალხის საყვარელი ბელადი ისე ნავიდა ამ ქვეყნიდან, რომ მემკვიდრე არ დაუსახელებია და არც მინიშნებები გაუკეთებია ამის თაობაზე – ალბათ შეგნებულად. თუმცა, არის ერთი რადიკალურად განსხვავებული ვერსია. 50-60-იან წლებში არსებობდა აზრი, რომ ი. სტალინი მემკვიდრედ სწორედ ლ. ბერიას ამზადებდა. ამიტომ იყო, რომ ომისშემდგომ პერიოდში აშკარად თამამი და რეფორმატორული წინადადებები სწორედ ლ. ბერიასგან მოდიოდა, რისი გაკეთება ი. სტალინთან შეთანხმების გარეშე შეუძლებელი იყო, „მეგრელთა საქმეც“ თითქოსდა სწორედ იმიტომ ყოფილა მოგონილი, რომ დაფიქსირებულიყო ი. სტალინის „არაჯანსაღი“ დამოკიდებულება ლ. ბერიას მიმართ და რომ ეს უკანასკნელი ი. სტალინის ფავორიტებს შორის აღარ ყოფილიყო მოხსენიებული და ამით მის მოწინააღმდეგეთა ყურადღება სხვა მიმართულებით გადატანილიყო. სწორედ ამიტომ იყო, რომ „მეგრელ ნაციონალისტთა საქმის“ გამოძიების არცერთ ეტაპზე არც ერთი გამომძიებლის მიერ დაკითხვის ოქმებსა და ცნობებში არ დაფიქსირებულა ლ. ბერიას სახელი და გვარი, რისი გაკეთებაც თავისუფლად შეიძლებოდა ნებისმიერ მომენტში. ეს იმ პირობებში, როდესაც მისი ნათესავები რეპრესიულ წნეხში იმყოფებოდნენ. „მეგრელთა საქმე“ – ეს, თითქოსდა ლ. ბერიას გამოცდის საქმე იყო და მის გარშემო მოტრიალე ოდიოზური ფიგურების ჩამოცილებას ემსახურებოდა. თუ რამდენად შეესაბამება ზემოაღნიშნული ვერსია სიმართლეს, ძნელი სათქმელია, მაგრამ ფაქტია, რომ ეს მოსაზრება იმ პერიოდის ჩეკისტთა ვიწრო წრეში მყარად იყო დამკვიდრებული. თუმცა, იმდენად დიდი იყო ხრუშჩოვისა და მის მხარდამჭერთა (პარტიული ელიტის) ზიზღი ი. სტალინის მიმართ, რომელიც მათთვის უპირველესად ქართულ (კავკასიურ) ფენომენს წარმოადგენდა, რომ საბჭოთა იმპერიის სათავეში მეორე (თუ მესამე არა...) ქართველის მოსვლას ისინი აღარ დაუშვებდნენ და აკი ერთ მუშტადაც შეიკრნენ მის წინააღმდეგ, მათ შორის ისინიც, ვინც ლ. ბერიას წლების მანძილზე მეგობრობასა და ერთგულებას ეფიცებოდა. კომპარტიის ცნობილი იდეოლოგი და ოდიოზური პიროვნება, სკკპ ცკ-ის ერთ-ერთი მდივანი სუსლოვი მოგვიანებით დაუფარავად იტყვის: „Кацо в Кремле больше не будет“*.

ი. სტალინის გარეშე პრაქტიკულად მარტოდ დარჩენილ ლ. ბერიას, რომლის გვერდით აღარ იდგა საბჭოთა იმპერიის ერთ-ერთი მთავარი არქიტექტორი და მსოფლიო მასშტაბის სახელმწიფო მოღვაწე, ალღომ უმტყუნა. მოწინააღმდეგეებმა ლ. ბერია არათუ ჩამოაცილეს საბჭოთა სახელისუფლებო მწვერვალებს, არამედ საცოცხლეც კი დააკარგვინეს, თანაც ისე, რომ სიმართლე ბოლომდე

* „კაცო კრემლში აღარასდროს იქნება“.

დღესაც ცნობილი არ არის. უფრო მეტიც – მკვლევართა უმეტესობა, მათ შორის უცხოელებიც, მიიჩნევენ, რომ ი. სტალინი სწორედ ლ. ბერიამ მოწამლა, რათა მისი ადგილი დაეკავებინა.

ოფიციალური ვერსიით, ლ. ბერია დაპატიმრებულ იქნა 1953 წლის 26 ივნისს. მას ერთ-ერთ ბრალდებად „კონტრრევოლუციურ, ქართულ ემიგრაციასთან დანაშაულებრივი კავშირი" წაუყენეს. ამას მოჰყვა შინაგან საქმეთა სამინისტროს ბევრი გენერლისა და უფროს ოფიცერთა შემადგენლობის სამსახურიდან დათხოვნა და დაპატიმრება როგორც ცენტრალურ აპარატში, ასევე რეგიონებში. დაპატიმრებულთა შორის აღმოჩნდნენ საბჭოთა სადაზვერვო საქმიანობის გამოჩენილი მოღვაწეებიც პაველ სუდოპლატოვი და ლეონიდ ეიტინგონი. დააპატიმრეს ლეონიდ რაიხმანიც. პირველმა ორმა საპატიმრო ვადა თავიდან ბოლომდე მოიხადა. შემდგომში ორივე რეაბილიტირებულ იქნენ ეიტინგონი სიკვდილის შემდეგ, სუდოპლატოვი სიცოცხლის პერიოდში. რეიხი საერთოდ სასამართლოს გარეშე იმყოფებოდა პატიმრობაში მრავალი წლის მანძილზე. შემდგომში გაათავისუფლეს, მაგრამ არ იქნა რეაბილიტირებული, ვინაიდან არ იყო გასამართლებული. დაპატიმრებულნი აღმოჩნდნენ ქართველი გენერლებიც: გოგლიძე, ცანავა, რუხაძე, წერეთელი, კაკუჩაია. 1953 წლის 16-23 დეკემბერს ქ. მოსკოვში მარშალ ივანე კონევის თავმჯდომარეობით გაიმართა სსრკ უმაღლესი სასამართლოს სპეციალური „Судебное присутствие", რომელიც შეიქმნა სპეციალურად ლავრენტი ბერიას, ბოგდან ქობულოვის, ვსევოლოდ მერკუროვის, ვლადიმერ დეკანოზოვის, პავლე მეშიკის, ლევ ვლოდზიმირსკისა და სერგო გოგლიძის საქმის განხილვასთან დაკავშირებით.

აღნიშნული პირები სასამართლომ ძირითადად დაადანაშაულა სამშობლოს ღალატსა და უცხო ქვეყნის სასარგებლოდ ჯაშუშობაში. ეს ბრალდებები საბჭოთა სპეცსამსახურების ვეტერანმა თანამშრომლებმა, რომლებმაც იცოდნენ, თუ რას ნიშნავდა დაზვერვა და კონტრდაზვერვა, დიდ უაზრობად მონათლეს. ამის მიუხედავად, ყველა ბრალდებული დამნაშავედ იქნა ცნობილნი და მათ მიმართ გამოტანილ იქნა სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი 1953 წლის 23 დეკემბერს, 21 საათსა და 20 წუთზე. ასეთია ოფიციალური ვერსია ლ. ბერიასა და მისი თანამებრძოლების დაპატიმრება-დახვრეტისა, თუმცა ეს მოვლენა თავის თავში ჯერ კიდევ ბევრ საიდუმლოს ინახავს.

დღემდე ბევრი რუსი და უცხოელი მკვლევარი ცდილობს შეისწავლოს ლ. ბერიას დაპატიმრების, სასამართლო პროცესისა და განაჩენის სისრულეში მოყვანის დეტალები და, აქედან გამომდინარე, დაადგინოს სიმართლე, თუმცა უმეტესობის მოსაზრებები ჭეშმარიტებისაგან შორს არის. საბჭოთა პერიოდის ცნობილი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწეების მემუარულ ნაწარმოებებშიც კი ლ. ბერიას ცხოვრების უკანასკნელი პერიოდის უამრავი ურთიერთგამომრიცხავი ფაქტია დაფიქსირებული. ზოგიერთი თანამედროვე მკვლევარი ვარაუდობს, რომ „ლ. ბერიას საქმე" (40 თუ 50 ტომი – სხვადასხვა წყარო სხვადასხვა რაოდენობას ასახელებს) საერთოდ არ არსებობდა, ვინაიდან ის თვალით არავის უნახავს. ზოგიერთი პუბლიცისტი იმასაც კი ამტკიცებს, რომ ლ. ბერია არც დაუპატიმრებიათ და არც გაუსამართლებიათ, სასამართლო პროცესზე კი განსასჯელის სკამზე მისი ორეული იმყოფებოდაო...

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ 2000 წლის გაზაფხულზე თითქოსდა „ლ. ბერიას საქმე" განიხილა რუსეთის ფედერაციის უზენაესმა სასამართლომ დახურულ სხდომაზე და მის რეაბილიტაციაზე უარი თქვა. ამის თაობაზე რუსეთის ტელეარხის „ერ-ტე-ერის" ერთ-ერთი გადაცემის წამყვანს განუცხადა რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის თავმჯდომარემ.

რამდენიმე თვის შემდეგ, როდესაც გამოვიდა ისტორიკოს იური მუხინის ნიგნი „სტალინისა და ბერიას მკვლელობები", რომელშიც ავტორი პირდაპირ სვამს შეკითხვას, ბოლოს და ბოლოს, რამდენ ტომს მოიცავს „ლ. ბერიას საქმე", რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ საზოგადოებას ამცნო, რომ „ლ. ბერიას საქმე" გენერალური პროკურატურის არქივებიდან მოუპარავთ.[240]

რაც შეეხება ლ. ბერიას ცხედრისა და მისი დაკრძალვის ადგილის თემას, ამაზე თითქმის აღარ საუბრობენ, თუმცა 2002 წლისათვის გამოჩნდა პიროვნება, 82 წელს მიტანებული ყოფილი ჩეკისტი, ტულის ოლქის სოფელ უბოინის მკვიდრი ვ. ი. პროსტეცოვი, რომელმაც რუსეთის ფედერაციის ქ. ტულის ადგილობრივ გაზეთ „სოლნცე ჩერნოზემიეში" სენსაციური „აღიარებითი" ინტერვიუ დაბეჭდა. ის ამტკიცებს, რომ 1953 წლის სექტემბრის ერთ ღამეს ის ლეფორტოვოს ციხეში საიდუმლო ვითარებაში იქნა გამოძახებული თავისი კატაფალკით და „განსაკუთრებული მისიის" შესრულება დაევალა. მას შემდეგ, რაც ციხიდან გამოვიდა რამდენიმეკაციანი ჯგუფი პოლკოვნიკ ბატიცკის მეთაურობით, ბრეზენტში გახვეული შვიდი გვამი მას და მის უფროსს ლეიტენანტ დუნდუკოვს კატაფალკის ძარაზე დაუწყვიათ და გეზი სასაფლაოსკენ აუღიათ. რესპოდენტი ამტკიცებს, რომ მან მოახერხა გზაში ლ. ბერიას ცხედრის გადმოგდება და მეორე დღეს მალულად მამის, ივანე ანტონის ძე პროსტეცოვის გვერდით დასაფლავება იმ მოტივით, რომ მოვიდოდა დრო და ლ. ბერიას დასაფლავების ადგილის შენარჩუნებისათვის სამშობლო და პარტია მადლობას ეტყოდა, თუმცა არ გაუმართლა. ინტერვიუს ბოლოში ის აცხადებს, რომ ლ. ბერიას საფლავის ადგილსამყოფელით იქნებ ქართველები მაინც დაინტერესებულიყვნენ.[231] ლ. ბერიას დაპატიმრებისა და შემდგომში განვითარებული მოვლენების თაობაზე ერთ-ერთი ვერსია მეც მაქვს მოსმენილი ამ ოცი წლის წინ, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის უმაღლეს სკოლაში სწავლის პერიოდში. კერძოდ, ერთ-ერთი პედაგოგი, ოთხმოც წელს მიტანებული, იუსტიციის თადარიგის პოლკოვნიკი ამტკიცებდა, რომ ლ. ბერიას დაპატიმრება განხორციელებულა კრემლში, მისსავე სამუშაო კაბინეტში, მას შემდეგ, რაც მომხდარა ერთგული დაცვის უმტკივნეულოდ შეცვლა. დაპატიმრების დროს ლ. ბერიას წინააღმდეგობა არ გაუწევია. ის სწრაფადვე მოუთავსებიათ ლეფერტოვოს ციხეში მკაცრი დაცვისა და ზედამხედველობის ქვეშ.

მისივე აზრით, ლ. ბერიას დაპატიმრების შემდეგ ამ პროცესის ორგანიზატორებს სასწრაფოდ გაუვრცელებიათ ხმები მისი, თითქოსდა, ადგილზე ლიკვიდაციის თაობაზე, ვინაიდან ხელისუფლება შიშობდა, რომ ლ. ბერიას თანამოაზრეებს შესაძლოა ანტისახელმწიფოებრივი გამოსვლები დაეწყოთ. მას სხვა სამ მოსამართლესთან ერთად მონაწილეობა მიუღია ლ. ბერიას არაოფიციალურ სასამართლო პროცესშიც, რომელიც უფრო დაკითხვა-გამოკითხვის სახეს ატარებდა, ვიდრე სასამართლო სხდომისა. ამ ოთხეულის მთავარ ამოცანა ყოფილა ლ.

ბერიასაგან მაქსიმალური ინფორმაციის მიღება მათთვის მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით, თუმცა მისი ბედი უკვე განსაზღვრული იყო – ლ. ბერიას დახვრეტა არ ასცდებოდა. რაც შეეხება „ლ. ბერიას საქმესთან“ დაკავშირებით გამართულ „ოფიციალურ“ სასამართლო სხდომას, მასზე ბრალდებულის სახით წარმოდგენილი ყოფილა ლ. ბერიას ორეული.

სტალინ-ბერიას საბჭოთა სახელისუფლებო ოლიმპოდან ჩამოცილებას საკრალურად დაემთხვა ერთსა და იმავე პერიოდში ქართული ანტისაბჭოთა პოლიტიკური ემიგრაციის ცნობილი წარმომადგენლების ევგ. გეგეჭკორის, ის. მანწკავასა და ა. ცომაიას გარდაცვალება.

ლავრენტი ბერიას დაპატიმრების დღესვე სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა სერგეი კრუგლოვი. საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ორგანოების საქმიანობა შეისწავლა პარტიული კონტროლის კომისიამ, რომლის დასკვნის თანახმად მოხდა ამ უწყების სრული რეორგანიზაცია.

როგორც იქნა, 1953 წლის 1 სექტემბერს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, გაუქმდა ყოველად სამარცხვინო სსრკ შსს-სთან არსებული საგანგებო სათათბირო.

სულ მალე საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა მიხვდა, რომ შინაგან საქმეთა და უშიშროების ორგანოების ერთ ორგანიზაციულ სტრუქტურაში ყოფნა ყოველად გაუმართლებელი იყო. ეს მოსაზრება გაჩნდა არა იმდენად პრაგმატიზმიდან გამომდინარე, არამედ შიშის გამო – ეს მონსტრი ხელში არ ჩავარდნოდათ ძალაუფლების მოყვარულ მორიგ ამბიციურ პიროვნებებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 1954 წლის 10 თებერვალს სკკპ ცკ-მა მიიღო გადაწყვეტილება სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ცალკე, დამოუკიდებელ სტრუქტურად გამოყოფის თაობაზე. 1954 წლის 13 მარტს სსრკ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, სსრკ მინისტრთა საბჭოსთან შეიქმნა სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი.

სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრად დატოვებულ იქნა ს. კრუგლოვი, ხოლო სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა გენერალ-პოლკოვნიკი ივანე სეროვი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ დამტკიცებულ იქნა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ცენტრალური აპარატის სტრუქტურა. საბჭოთა საგარეო დაზვერვა შევიდა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის შემადგენლობაში როგორც პირველი მთავარი სამმართველო (Первое главное управление – ПГУ). საბჭოთა საგარეო დაზვერვის უფროსად დაინიშნა გენერალ-მაიორი ალექსანდრე სიმონის ძე პანიუშკინი. ამის შემდეგ მოხდა საბჭოთა საგარეო დაზვერვის სტრუქტურული რეორგანიზაცია და ახალი კადრებით უზრუნველყოფა. ოთხ ძირითად ფუნქციონალურ დანაყოფს შორის კვლავ წამყვანი ადგილი დაიკავა ემიგრაციისა და სპეციალური ოპერაციების განყოფილებამ. სწორედ ამ უკანასკნელის მიერ იქნა ორგანიზებული 1959 წლის 15 ოქტომებრს მიუნხენში უკრაინელ ნაციონალისტთა ლიდერის სტეპან ბანდერას მკვლელობა (კალიუმის ციანიდით), მსგავსად კონოვალეცისა (1926 წ. – პარიზში) და პეტლიურასი (1938 წ. – როტერდამში). საგარეო დაზვერვის მხედველობის არეში უკრაინელ და ბალტიისპირელ ნაციონალისტებთან ერთად

კვლავ უკვე მობერებული ქართული ანტისაბჭოთა პოლიტიკური ემიგრაცია მოექცა. შესაბამისი დავალებები მიიღო სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის პირველმა განყოფილებამ, რომელიც პასუხისმგებელი იყო ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაციის მიმართ გასატარებელ სადაზვერვო ღონისძიებებზე.

შესაბამისი ცვლილებები განხორციელდა მოკავშირე რესპუბლიკებშიც. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის რანგში (1953 წლის აგვისტოდან ის საქართველოს სსრ შს მინისტრი იყო) 1954 წლის 13 მარტიდან იწყება ალექსი ნიკოლოზის ძე ინაურის (1908-1993 წწ.) ოცდათოთხმეტწლიანი ეპოპეა, რომელიც, საბჭოთა ხელისუფლებისადმი ერთგული და მისი გულწრფელი მოდარაჯისათვის სრული იმედგაცრუებით დასრულდა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1955 წლის 17 სექტემბერს მიღებული დადგენილების: „Об амнистии советских граждан, сотрудничавших с оккупантами в период Великой Отечественной Войны 1941-1945 гг.“* შემდეგ, შვება მიეცათ საბჭოთა ციხეებში მყოფ ყოფილ საბჭოთა სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც ოჯახებს დაუბრუნდნენ.

ალექსი ინაურს მოღვაწეობის დაწყება საკმაოდ რთულ ვითარებაში მოუწია, რაც, ძირითადად, კრემლის სახელისუფლებო ინტრიგებთან და წარსულის მძიმე პრაქტიკასთან იყო დაკავშირებული. თუმცა, სწორად განჭვრეტილი პოლიტიკური სტრატეგიის წყალობით მან, პროფესიული თვალსაზრისით, სსრ კავშირში ერთერთი მოწინავე სამსახური შექმნა. სწორედ რომ კარგად ანონილ-დაწონილი და გათვლილი გადაწყვეტილებებისა და საბჭოთა ხელისუფლებისადმი მისი ერთგული დამოკიდებულების გამო ა. ინაურმა შეძლო სამი ათეული წლის მანძილზე საბჭოთა საქართველოს უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის პოსტის შენარჩუნება. პარტიამ და მთავრობამ დააფასა მისი ღვაწლი. ა. ინაურს უმაღლესი ჩინი – უშიშროების გენერალ-პოლკოვნიკის წოდება უბოძეს, ხოლო მოგვიანებით – საბჭოთა კავშირის გმირობა მიენიჭა. ა. ინაური საკმაოდ საინტერესო პიროვნება გახლდათ. ის მეორე მსოფლიო ომის მონაწილე იყო და ცხენოსანთა პოლკს ხელმძღვანელობდა. მისი და შემდგომი თაობის ოპერატიული მუშაკები – ხელმძღვანელები თვლიდნენ, რომ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის, როგორც „ხელოვნების“ თვალსაზრისით, ის ვერ იყო გამორჩეული, თუმცა „ჩეკისტური“ საქმიანობის კარგ ორგანიზატორად მიიჩნეოდა და, როგორც პატიოსანი და პრინციპული ხასიათის პიროვნება, პარტიულ ელიტაში დიდად დაფასებული იყო. სწორედ ამის გამო არ მოსწონდა იგი გასული საუკუნის 80-იან წლებში საბჭოთა საქართველოს მაშინდელ, გახრწნის პირას მისულ პარტიულ ნომენკლატურას და ა. ინაურის „კულტურულად“ მოცილება გადაწყვიტა.

საქართველოს პირველ ჩეკისტს ალღომ არც ამ შემთხვევაში უმტყუნა და სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროსა და საკავშირო უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით პოსტი შეინარჩუნა და ხელშეუხებელი ფიგურის იმიჯი მტკიცედ დაიმკვიდრა. როდესაც მიწერებისა და ქაღალდზე სამეურნეო მაჩვენებლების ფიქსაციისა და საბჭოთა მოქალაქეების კეთილდღეობის ზრდის იმიტაციამ

* საბჭოთა მოქალაქეების, რომლებიც თანამშრომლობდნენ ოკუპანტებთან დიდი სამამულო ომის პერიოდში 1941-45 წლებში, ამნისტიის შესახებ

პიკს მიაღწია, მაშინ, როცა უშიშროების კომიტეტის რეალურ ინფორმაციაზე, საქმიან შენიშვნებსა და წინადადებებზე საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა აღარ რეაგირებდა, წონასწორობიდან გამოსულმა (რაც იშვიათად ხდებოდა) ა. ინაურმა საქართველოს კპ ცკ-ის ბიუროს მორიგი სხდომის დაწყების წინ მაგიდაზე დაყარა წინა დღეს საქართველოს ერთ-ერთი რაიონის ჩაის ფაბრიკიდან საკუთარი ხელით მოკრეფილი ვითომდა ჩაის საუკეთესო ხარისხის ფოთლების, სინამდვილეში კი ჩაის ბუჩქის რტოებისა და ყლორტების ნიმუშები, რითაც თავისებური პროტესტი გამოხატა იქ მსხდომთა, განსაკუთრებით ცკ-ის პირველი მდივნის მიმართ.

როგორც ჩანს, ისტორიას თავის კანონზომიერება გააჩნია და მარტო ერთი ალექსი ინაური, თუნდაც რამდენიმე ათეულ ანდა ასეულ თანამოაზრესთან ერთად ვეღარ გადაარჩენდა იმ საზოგადოებრივ სისტემას, რომელმაც ტოტალიტარული და დიქტატორული მმართველობა შვა. ყველაფერი მართლაც რომ „მომპალი იყო“.

1987 წელს საქართველოში ბიძგი მიეცა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ახალ ტალღას. მიტინგები, მანიფესტაციები, გაფიცვები ნელ-ნელა ძალას იკრებდა. სტუდენტების, ინტელიგენციის, უბრალო ადამიანების საპროტესტო გამოსვლებში აშკარად გაისმოდა დემოკრატიული რეფორმების გატარებისა და საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების აუცილებლობის მოწოდებები.

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი საბჭოთა ხელისუფლებისათვის არასასიამოვნო პროგნოზებს აკეთებდა. გორბაჩოვისეული „პერესტროიკის“ იდეოლოგიის პირობებში ვითარება ქვეყანაში ფეთქებადსაშიში გახდა.

1988 წლის ნოემბერში დისიდენტურმა მოძრაობამ საქართველოში პიკს მიაღწია. ამის ნათელი დადასტურება იყო თბილისის იპოდრომის ტერიტორიაზე მრავალათასიანი მიტინგის გამართვა და შემდგომ სახალხო სვლა შოთა რუსთაველის პროსპექტისაკენ. საზოგადოებრივი აზრი დუღდა თვით რუსეთშიც და საბჭოთა კავშირის სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში. 1988 წლის ბოლოს ქ. მოსკოვში, საკავშირო უშიშროების კომიტეტში გაიმართა კოლეგიის გაფართოებული თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ სკკპ ცკ-ის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი და პოლიტბიუროს სხვა წევრები. შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით სიტყვით გამოსულთა შორის გახლდათ ალექსი ინაური. მისი სიტყვა იყო მოკლე და გულწრფელი. მან განაცხადა, რომ საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში საფრთხეში იყო და საჭირო იყო დისიდენტური მოძრაობის ლიდერების პასუხისგებაში მიცემა იმ პერიოდისათვის ჯერ კიდევ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, წინააღმდეგ შემთხვევაში, რესპუბლიკაში დაიწყებოდა უმართავი პროცესები. იმ შემთხვევაში, თუკი მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდებოდა, პასუხისმგებლობას მოიხსნიდა სამომავლო შედეგებზე და დატოვებდა თანამდებობას.

შემაჯამებელი სიტყვით გამოსული მ. გორბაჩოვი, მისთვის ჩვეული მჭევრმეტყველებით, შეეცადა „პერესტროიკისა“ და „ახალი აზროვნების“ პრინციპებიდან გამომდინარე, საბჭოთა კავშირში საბჭოთა მოქალაქეთათვის სიტყვის თავისუფლების მნიშვნელობის დასაბუთებას, თუმცა კვლავ სსრ კავშირში ერთიანი ძმური თანაარსებობის პირობებში და არ დაეთანხმა გამომსვლელებს და პირადად ა.

ინაურს თავისუფალი სიტყვისათვის, თუნდაც ანტისაბჭოთა გამონათქვამებისათვის ამა თუ იმ პიროვნების პასუხისგებაში მიცემის მოთხოვნას.

მოსკოვიდან დაბრუნებული ა. ინაური უკვე საქართველოს უშიშროების კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე იყო. მისი სკამი სწრაფად დაიკავა საბჭოთა საქართველოს პარტიული ნომენკლატურის, პოლიტიკური თვალსაზრისით, უსახურმა წარმომადგენელმა გივი გრიგოლის ძე გუმბარიძემ, რომელმაც ამ პოსტზე მხოლოდ ოთხი თვე გაძლო. მოგვიანებით, როდესაც 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ მომაკვდავ მდგომარეობაში მყოფი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გახდა, მან ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში განაცხადა, რომ მის ბიოგრაფიაში საქართველოს უშიშროების კომიტეტში ოთხთვიანი მოღვაწეობა შავი ლაქა იყო...

მსოფლიოში განვითარებული მოვლენებისა და ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის აზვირთების შედეგად, საბჭოთა კავშირი დაიშალა და საქართველო კვლავ დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა. სანუკვარი ოცნების ასრულებას ზეიმობდა მთელი საქართველო. ზეიმობდა ქართული ემიგრაციის შთამომავლობაც, რომელთა წინაპრები, დევნილობაში მყოფნი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის სურვილით ცხოვრობდნენ, მოღვაწეობდნენ და უცხოეთში ამ მოლოდინით აღესრულნენ კიდეც.

წიგნზე მუშაობას ვასრულებდი, რომ მოულოდნელად, მსოფლიო შეძრა საქართველოს მიმართ განხორციელებულმა რუსეთის აგრესიულმა პოლიტიკამ. ამ ქვეყნის შეიარაღებულმა ძალებმა საქართველოს სახელმწიფოებრიობაზე, სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობაზე მძლავრი სამხედრო-პოლიტიკური შეტევა განახორციელეს. დაიღუპა მშვიდობიანი მოსახლეობა, მრავალი ჩვენი მოქალაქე უსახლკაროდ დარჩა, განადგურდა სამოქალაქო თუ სამხედრო ინფრასტრუქტურა. ყოველივე ეს რუსეთის ხელისუფლებამ ცხინვალის რეგიონში „თავისი ქვეყნის მოქალაქეების" ინტერესების დაცვით ახსნა. არადა, შემდგომმა მოვლენებმა აჩვენა, რომ მისი მიზანი საქართველოს – როგორც სახელმწიფოს – მიმართ სულ სხვა იყო.

რუსეთის ხელისუფლებამ თავისი ქმედებით ხაზი გადაუსვა რუსეთ-საქართველოს ორასწლიანი ურთიერთობის იმ ნათელ ფურცლებსაც, რომლებიც ორივე ერის მიერ ურთიერთპატივისცემის სულისკვეთებით წლების მანძილზე იწერებოდა, რაც, სამწუხაროდ, იმ ეტაპზე მისი ისტორიული არჩევანი აღმოჩნდა.

ისევ გამახსენდა სიტყვები, რომლებიც ძველმა ბიზანტიელმა ისტორიკოსმა ათქმევინა ორატორ აიეტს ერთ-ერთ საიდუმლო, სახალხო შეკრებაზე ქრისტეშობიდან დაახლოებით 554 წელს: „მე ვისურვებდი, რომ საქართველოს დაჰბრუნებოდეს ძველი ძლიერება; არ დასჭირვებოდეს უცხო ქვეყნების დახმარება და სავსებით დამოუკიდებელი იყოს მშვიდობისას და ომიანობის ჟამსაც...

მაგრამ რახან დროთა მდინარებით, ანდა ბედის ტრიალით, ეგებ ორივეს გამოცდით ისე დავუძლურდით, რომ სხვებს უნდა დავემორჩილოთ, მე ყველაზე გონივრულად მიმაჩნია, იმათ ნებას დავყვეთ, ვინც უფრო ზომიერი და სამართლიანია, და ვინც არასოდეს ღალატობს თავისი მოკავშირეების მეგობრობას".[1]



საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლისთავთან დაკავშირებით რუსეთის იმპერატორისათვის მადლიერების გამოსახატად პეტერბურგში ჩასული ქართველი თავადაზნაურების დეპუტაცია



დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო სამინისტროს თანამშრომლები (1918-1919 წწ). ცენტრში მინისტრი გრიგოლ გიორგაძე



საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები; ცენტრში ნოე ჟორდანია.



საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკთა) თბილისის გარნიზონის სამხედრო იატაკქვეშა ორგანიზაციის 1918-1919 წლების შემადგენლობა. მარცხნიდან მეექვსე ზის ტიტე ლორთქიფანიძე.



ნითელი არმია თბილისში, 1921 წლის თებერვალი



ნითელი არმიის აღლუმი თბილისში, 1921 წლის თებერვალი





ПРИКАЗ № 2

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის 1921 წლის 25 თებერვლის სხდომის ოქმი N1 და 1921 წლის 26 თებერვლის ბრძანება N2 საგანგებო კომისიის შექმნის შესახებ



განსაკუთრებული რაზმის თანამშრომლის მოწმობა (1918-1921 წწ.)




ნითელგვარდიელის მოწმობა



ალექსანდრე გრიბოედოვი



ფელიქს ძერჟინსკი



გიორგი ათარბეგოვი



ლავრენტი ბერია



ტიტე ლორთქიფანიძე



იოსებ სტარსკი



ნიკოლოზ ეჟოვი



ბოგდან ქობულოვი



ივანე სეროვი



სიმონ იგნატიევი



სერგეი კრუგლოვი



ჰენრიხ იაგოდა



პავლე სუდოპლატოვი



ივანე აგაიანცი



ვსევოლოდ მერკუროვი



ვიქტორ აბაკუმოვი



პავლე ფიტინი



ლეონიდ კვასნიკოვი



კიმ ფილბი



ვლადიმერ შარმაზანაშვილი



სოლომონ მოგილევსკი



ალექსანდრე ობოლაძე



გიორგი ელისაბედაშვილი



დავით კილაძე



ეპიფანე კვანტალიანი



ლ. ნიკოლსკი (ორლოვი) – შინსახკომის რეზიდენტი ესპანეთში ქალიშვილთან ერთად



ნოე ჟორდანია



ნოე რამიშვილი



ევგენი გეგეჭკორი



კარლო ჩხეიძე



კონსტანტინე
კანდელაკი



კონსტანტინე
გვარჯალაძე



აკაკი ჩხენკელი



ზურაბ ავალიშვილი



გიორგი გვაზავა



რაჟდენ არსენიძე



ალექსანდრე ასათიანი



ივანე ზურაბიშვილი



სამსონ ფირცხალავა



გრიგოლ ფერაძე



მიხაკო წერეთელი



ვიქტორ ნოზაძე



სიმონ მდივანი



დავით ვაჩნაძე



ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი



ვალიკო ჯუღელი



გიორგი მაზნიაშვილი



გიორგი კვინიტაძე



დიმიტრი ამილახვარი



შალვა ამირეჯიბი



გოგიტა ფალავა



კოკი დადიანი



ირაკლი წერეთელი



ვლადიმერ ახმეტელი



შალვა ბერიძე



ივლიანე ხაინდრავა



ირაკლი ბაგრატიონი



აკაკი ხოშტარია



იოსებ ელიგულაშვილი



გრიგოლ რობაქიძე



გრაფი შულენბურგი



შალვა მაღლაკელიძე



მიხეილ კედია



სოფიო ჩიჯავაძე-კედია



სპირიდონ კედია



ნიკოლო მიწიშვილი



გიორგი მაღალაშვილი



ლეო კერესელიძე



ალექსანდრე ჩხეიძე



ალექსანდრე ზაქარიაძე



მიხეილ ყაუხჩიშვილი



მიხეილ ლაშქარაშვილი



შალვა ნუცუბიძე



ჰეიდარ ბამატი



ალექსანდრე ცომაია



შალვა ვარდიძე



მიხეილ ახმეტელი



გრიგოლ ვეშაპელი



სიმონ ფირუმოვი



ლევან ღოღობერიძე



ტიტე და ლიზა მარგველაშვილები



ტიტე მარგველაშვილი



ს. ჭავჭავაძე



ს. ზალდასტანაშვილი



ვანო ალიხანაშვილი



გრიგოლ ალშიბაია



ნინო პოლტორაცკაია



ექვთიმე თაყაიშვილი



მარიამ კერესელიძე



ალექსანდრე ნიკურაძე



ილია ოდიშელიძე



კალისტრატე სალია



იოსებ ცინცაძე



იოსებ ცინცაძის საფლავი
ლევილში




ბოლშევიკების მიერ მეტეხის ციხეში დატყვევებული და 1922 წელს ქვეყნიდან გაძევებული ქართველი სოციალ-დემოკრატები, ეროვნულ-დემოკრატები და ანტიბოლშევიკური წინააღმდეგობის სხვა წევრები



ქართული ლეგიონის ნევრები თურქეთში. ცენტრში ლეო კერესელიძე



ნყალქვეშა ნავი, რომლითაც უნდა გადმოესხათ ქართველი ლეგიონერები



ქაქუცა ჩოლოყაშვილი თანამებრძოლებთან ერთად



ქართველ სტუდენტთა ერთი ჯგუფი გერმანიაში 1927 წელს. მარცხნიდან: ზურაბ ელიავა, ბიძინა რამიშვილი, ეკატერინე ქიქოძე, ძმები კოტე და გიო ბაქრაძეები, მოსე გოგიბერიძე, ვანო ქიქოძე, გიორგი მგელაძე და დავით ვირსალაძე





ნ. მიწიშვილის საზღვარგარეთის პასპორტის ფრაგმენტები











კარლო ჩხეიძის დაკრძალვის ამსახველი ფოტოები





В.

Литер «

Вх. № на № от 192

При ответах ссылаться на № ... и Отдел.

ЗАПИСКА

тов. ПАВЛУНОВСКОМУ

При сем препровождаются вам снимки

похорон ЧХЕИДЗЕ.

ПРИЛОЖЕНИЕ: упомянутое

НАЧ. ИНО ОГПУ

/Трилиссер/

дарственное
правление
коме.

ованный
1926

Лубянка, 2.
коммутатор.

жание:

Г. И. П.
150

19/VIII

კარლო ჩხეიძის დაკრძალვის ამსახველი ფოტო და თანმხლები წერილი, გამოგზავნილი საბჭოთა საგარეო დაზვერვიდან (1926 წლის ივლისი)



ლევ ტროცკი საქართველოში



იუზეფ პილსუდსკი



შალვა ქარუმაძე



შალვა ქარუმიძე და ჰეიდარ ბამატი.
1935 წლის 13 მაისი



ს. ბანდერა



ს. პეტლიურა



ა.პ. კუტეპოვი



ლ. ტროცკის შვილი ლევ სედოვი



ი. გრიგულევიჩი



ნ. ეიტინგონი



ლ. ტროცკის მკვლელი რამონ მერკადერი



ლევ ტროცკი ემიგრაციაში



დ. ხორბალაძე



დ. გურჯიშვილი



ა. ქაჯაია



ნ. აჩხარაშვილი



ნ. ცომაია



დ. ბოლქვაძე



დ. ბლაგიძე



სულთანოვი



ი. დოლიძე



ა. გოგოლაშვილი



კ. ხოშტარია



შ. ერგემლიძე



ა. მიქელაძე



გ. ნოდია

პირები, რომლებიც
ემზადებოდნენ
საზღვარგარეთ საბჭოთა
წარმომადგენლობებში
მისავლინებლად



„თეთრი გიორგის“ I ყრილობა, პარიზი, 1926 წელი



„თეთრი გიორგის“ II ყრილობა, მონბელარი, 1931 წელი



ალ. მანველიშვილი, მარიამ კერესელიძე,
სანდრო ჯიღაური



ქართველ ემიგრანტთა ერთი ჯგუფი



სპ. კედია, ზ. ავალიშვილი,
შ. ამირეჯიბი და ვ. დუმბაძე



მარჯვნივ ბერლინში იაპონიის საელჩოს სამხედრო ატაშეს მოადგილე,
ვიცე პოლკოვნიკი შიგეკი უსუი,
მარცხნივ გენერალი გ. კვინიტაძე



სპირიდონ და სოფიო კედიები




სპირიდონ კედიას საზღვარგარეთ
გამგზავრების ნებართვის
დამადასტურებელი დოკუმენტი



პარმენ ჭანუყვაძე



პ. ჭანუყვაძე (მარჯვნივ) და მისი ძმა პახუში



Nino RAMICHVILI

ფრანგული პრესის გამოხმაურება ნოე რამიშვილის მკვლელობასთან დაკავშირებით



ნ. რამიშვილის შვილიშვილი მიშელ რამიშვილი (მარჯვნივ) და მისი შვილი ქეთევან რამიშვილი.
2010 წლის აგვისტო



ქართული მონასტერი კონსტანტინოპოლში



ცენტრში შალვა ბერიშვილი ქართველ ემიგრანტებთან და
მათი ოჯახის წევრებთან ერთად



ვარდო მაქსიმელიშვილი
და დავით მატარაძე



ვარდო მაქსიმელიშვილი
(ფოტო გადაღებულია
პატიმრობაში ყოფნის
დროს. 1951 წელი)



ჰერაბ კვიტაშვილი



დიმიტრი ნამგალაძე



იური ჭაფოძე
(ჯორჯ ჩაფელი)



ლ. ბერია ერთ-ერთ პარტიულ ფორუმზე



სიმონ გოგიბერიძე



შალვა კალანდაძე



შალვა ბერიშვილი



სარდიონ (სანდრო) მენაღარიშვილი



სერგო მათითაიშვილი ემიგრაციაში



მიხეილ ალშიბაია, გივი გაბლიანი, მიხეილ კედია



გრაფი შულენბურგი



გივი გაბლიანი



სოფლის სკოლის წინ აღმართული დიდი სამამულო ომიდან შინმოუსვლელთა საპატიო სტენდი, რომელზეც ერისტო დვალიშვილი მოღალატედ იყო შერაცხილი საბჭოთა ხელისუფლების მიერ.



ერისტო დვალიშვილი



კარპე აბესაძე (დგას) თანამებრძოლებთან ერთად



უჩა კუხალაშვილი



კარპე აბესაძე




გიორგი ხუნდაძის სავიზიტო ბარათი





გიორგი და ილია შენგელიები (რეპრესირებულები)



ნიკოლოზ რუხაძე



ნიკოლოზ რუხაძე



სიკოლოზ რუხაძე და
ტატიანა დუნენკო



იონა ნამიჭეიშვილი



იონა ნამიჭეიშვილი (შუაში) მეგობრებთან ერთად



ელენე ციციშვილი-
ლორთქიფანიძე (1951წ.)



მიხა ბარამია
ფოტო გადაღებულია
მოსკოვში 1951 წელს



პეტრე შარია



მარცხნიდან პირველი: კანდიდ ჩარკვიანი, მიხეილ კალინინი, ილია თავაძე



ილია თავაძე საზღვარგარეთ, 1965 წელი



შალვა ოდიშარია



ოდიშარიას, ელიავას, მჭედლიშვილისა და ნადირაძის დახვრეტის ცნობა



თეკლე ნადირაძის მიერ სტალისადმი მიწერილი წერილი



მარცხნიდან: კირილე გურგენიძე, ნიკოლოზ ამილახვარი, სპირიდონ კედია, ვასილ დუმბაძე და დიმიტრი კორნიენკო



ნინა გეგეჭკორი და თეიმურაზ შავდიას მამა – ნიკოლოზ შავდია



დედა-შვილი – ნინა გეგეჭკორი და სერგო ბერია. მოსკოვი, 1947 წელი



შუააზიაში გადასახლებულთა ერთი ჯგუფი: თენგიზ ყანჩელი, ციალა კანდელაკი და ბარამ ბარამიძე



სიმონ (სერგო) ნინუა



ჩემი ანდერძი

დამასაფლავეთ სადაც შეიძლება უბრალოდ. ნუ იქნება პომპეზური, ნურც გვირგვინები და თაიგულები. ნურავის შეაწუხებთ გასვენებაზე დასასწრებად, საფლავამდის გამაცილოთ(?) მხოლოდ ჩემიანებმა [illegible]

[illegible]

[illegible] ჩემი სახელი და გვარის წარწერით(?).

[illegible]

ს. ფ.

სამსონ ფირცხალავას ანდერძი



ალექსი ინაური, საქართველოს სუკ-ის თავმჯდომარე 1954-1988 წლებში. გენერალ-პოლკოვნიკი, სსრ კავშირის გმირი



მარცხნივ სუკ-ის გენერალი გივი ჯორბენაძე, მარჯვნივ გელა სულაძე



მამია ბერიშვილი და გელა სულაძე, თბილისი

საარქივო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის მიმოწერა ინსტანციებში →



## ბიბლიოგრაფია

### წიგნები და კრებულები


1. ავალიშვილი ზ. „საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში (1924 წ.) თბილისი, 1990
2. ალიხანაშვილი ვ. „რამ დაგვღუპა და რა გვიხსნის?", სტამბოლი, 1923 (საგაზეთო ვარიანტი)
3. აბაშმაძე ვ. ქართული ინტელექტუალური ფენომენი, თბ.. 1992
4. ამირეჯიბი შ. მოგონებები, წიგნი მეორე, გამომცემლობა „დიოგენე" და გამომცემლობა „არსი", 1998
5. Антонов В., Карпов В. Тайные информаторы Кремля- 2, Москва, 2003 г.
6. ბიბლია, საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა, თბილისი, 1989
7. ბენიძე ვ. „1924 წლის აჯანყება საქართველოში", თბილისი, 1991
8. ბენი ი. „უხილავი ფრონტი", თბილისი 1971
9. Беглов С. «Мир прессы и пресса мира», Киев, 1975 г., изд. «Политическая литература»;
10. Беглов С. «Внешнеполитическая пропаганда – Очерки теории и практики», Москва, 1984
11. გოგიბერიძე ს. „ბრძოლა სამშობლოსათვის", პარიზი, 1938
12. გვარჯალაძე კ. „საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში", თბილისი, 1991 (შესრულებულია 1935 წ. აგვისტოს ქ. სენ-კლუში)
13. გაბლიანი გ. „ჩემი მოგონებანი (მეორე მსოფლიო ომი)", ტ. I, თბილისი, 1998
14. გურული ვ. „საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა და რუსეთის მეხუთე კოლონა (1917-1921)", თბილისი, 1990
15. Гладков Т. «Король нелегалов», Москва, 2000
16. Григорьев Б. «Найти и завербовать», Москва, «Олма-Пресс», 2003
17. Гиорхелидзе Ш., Немирова М. «Пятьсот шагов до Родины», Тбилиси, 1970 г. (ქართული ვარიანტი – „სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია", თბილისი, 1969)
18. ГРУ – Дела и люди «Россия в лицах», Москва, 2003
19. დაუშვილი რ. „ქართული ემიგრაცია 1921-1939 წლებში", თბილისი, 2007
20. Далес А. «ЦРУ против КГБ – Искусство шпионажа», Москва, 2000
21. ენდელაძე თ. „ტრაგიკული 1924 წელი", თბილისი, 2004
22. Энциклопедический словарь российских спецслужб «Разведка и Контрразведка в лицах», Москва, 2002
23. ვაჩნაძე მ., გურული ვ. დოკუმენტები და მასალები (XX საუკუნის 20-30-იანი წლები) - „ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე", „არტანუჯი", თბილისი, 2004

24. ვეშაპელი გრ. „ახალი საქართველო“ (წერილების კრებული), 1924-1926, თბილისი, 1928
25. Вопросы истории, №5 «Советские органы государственной безопасности в годы Великой Отечественной войны», Москва, 1965 г. Авантюра грузинских «паритетчиков»
26. ზაქარაია ვლ. „დავით აღმაშენებლის სადაზვერვო სამსახური“, ზუგდიდი, 1994
27. ზალდასტანიშვილი ს. „საქართველოს 1924 წლის ამბოხება (პარიზი-თბილისი)“, თბილისი, „მერანი“, 1989
28. ზურაბაშვილი ი. „კარგ ქართველთა ხსოვნისათვის“, პარიზი, 1962
29. История Второй мировой войны, 1939-1945гг. т.VII, Москва, 1976 - Карательные и разведывательные органы - орудие укрепления фашистской диктатуры.
30. ინაური ა, ბენი ი. „ფარი საიმედო, მახვილი ბასრი (საქართველოს ჩეკისტები დიდი ოქტომბრის მონაპოვრის სადარაჯოზე)“, თბილისი, 1987
31. «История шпионажа», Издательство «Олма-Пресс», Москва, 2003
32. კახიანი მიხ. „კიდევ ქართული ემიგრაციის შესახებ“, თბილისი, 1927
33. კირთაძე ნ. (ელისაბედ) „1924 წლის აჯანყება საქართველოში“, ქუთაისი, 1996
34. კოვანოვი პ. „სიტყვაც იარაღია“, თბილისი, 1975
35. კრებული საქართველოს უახლესი ისტორიის საკითხები, 1976
36. კარგარეთელი ალ. „ქაქუცა ჩოლოყაშვილი“, პარიზი, 1981
37. კვიტაშვილი მ. „თეირანის კონფერენცია – ფიქრები საქართველოს მომავალზე (მასალები ამერიკის დღიურიდან)“, თბილისი, 1991
38. Колпакиди А., Прохоров Д. «Все о внешней разведке», Москва, 2002
39. Колпакиди А., Прохоров Д. «КГБ - Спецоперации советской разведки, Москва, 2000
40. Квиринг Э. «Уроки грузинского восстания», издательство «Пролетариат», 1925
41. Коровин В.В., Шебалин В.И, «Гимлеровский абвер терпит порожение – Новая и новейшая история», Москва, №5, 1968
42. Каландадзе Э., Ткешелашвили Р. «Стая обреченных», Тбилиси, 1987
43. Карпов В. «Рассекречено внешней разведкой», Москва, 2003
44. კედია სპ. „მასალები პირადი არქივიდან“, თბილისი, 2007
45. კუხალაშვილი დ. „უცხო ქვეყნების მტრული საქმიანობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ“, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს აკადემია, თბილისი, 2002
46. ლენინი ვ. თხზ. მეოთხე ტომი, გვ. 189-190
47. ლომაშვილი ფ. ქართული ემიგრაციის ისტორიიდან, თბილისი, 1965
48. Ленин В. Полное собрание сочинений, т. 51.
49. მგელაძე ვ. „რუსეთის მობრუნება საქართველოში“ (1936 წ., პარიზი), ქართული ემიგრაციის არქივიდან, თბილისი, 1991

50. მეგრელაძე ი. „ექვთიმე თაყაიშვილი - ცხოვრება და მოღვაწეობა“, თბილისი „მეცნიერება“, 1989
51. Мамулиа Г. «Грузинский легион в борьбе за свободу и независимость Грузии в годы второй мировой войны», Тбилиси, 2003
52. ნუცუბიძე თ. „შ. ნუცუბიძე – მეცნიერების გზა“, თბილისი, 1988
53. Немирова М., Каландадзе Э. «Во имя жизни», Тбилиси, 1967, «Литература да хеловнеба»
54. ნემიროვა მ. კალანდაძე ე. „ვერმახტის საიდუმლო საქმე", თბილისი, 1970
55. Нишнианидзе Г. «Преса и радиовещание Грузии», Тбилиси 1984
56. ორჯონიკიძე ს. „მენშევიკების ავანტურა საქართველოში“, თბილისი, 1924
57. ორბელიანი სულხან-საბა „ლექსიკონი ქართული“, თბილისი, 1993
58. Окупация и фактическая аннексия Грузии «О политической и правовой оценке нарушения договора между Грузией и Советской Россией от 7 мая 1920 года», издательство «Сакартвело», Тбилиси, 1990
59. Очерки истории российской внешней разведки Москва,1999, т. I, т. IV
60. პაპავა თ. „გაბნეული საფლავები“, თბილისი, 1990წ. გამ. „მეცნიერება“
61. ჟორდანია გ. „დაბრუნებული საუნჯე“, თბილისი, 1983
62. ჟორდანია ნ. „ჩემი წარსული“, თბილისი, 1990
63. ჟღენტი თ. „გურიის მოძრაობა 1905 წელში“, გამოც. 1927 წ; 1932 წ. – მესამე გამოცემა
64. რცხილაძე ვ. „ქართველები გერმანული დროშის ქვეშ“, თბილისი, 1994
65. რამიშვილი აკ. „ჩვენი შეცდომები – 1918-1921 წწ.“, თბილისი, 1999
66. Рубен Э. «Развал грузинской жиронды», Второй интернационал, 1925
67. სურგულაძე ა. „ექვთიმე თაყაიშვილი (არსებობა და მოღვაწეობა)", თსუ, თბილისი 1977 წ.
68. სულხანიშვილი ალ. „ჩემი მოგონებანი“, სან-ფრანცისკო, 1981, ქ. ჩოლოყაშვილი, გამომცემლობა „მერანი“
69. სურგულაძე ა. „ქართველები ევროპის ხალხთა წინააღმდეგობის მოძრაობაში (1939-1945)“, სადისერტაციო ნაშრომი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად (07.00.01), ბათუმი, 1998
70. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918-1921 წწ., თბილისი, 1990
71. Свердин С. «Капитан не спускает флаг», Тбилиси, 1969
72. Столяров К. «Палачи и жертвы», Москва, 1997
73. Судоплатов П. «Спецоперации – Любянка и Кремль – 1930-1950 годы», Москва, 1998
74. ტაბაღუა ი. „საქართველოს საგარეო ურთიერთობების ისტორია (ლექციების კურსი)“, თბილისი, 1992
75. Тегеран-Потсдам-Ялта ,Сборник документов Издание 3-ее, Москва, 1971
76. თავბერიძე ი. ღვთისკაცი ექვთიმე თაყაიშვილი (კრებული)
77. ურჯუმელაშვილი ვ. „ჯვარცმა“, 1978, თბილისი, „მერანი“
78. უბილავა ე. „განძეულის გუშაგი“, „მერანი“, თბილისი, 1990

79. Филби К. «Моя тайная война», Москва, 1989
80. შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1966
81. შენგელია გ., ტოლიაშვილი ი. „ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ისტორიიდან (ზოგადი მიმოხილვა)“, თბილისი, 2004
82. შარაძე გ. „ერის ისტორიული მეხსიერების დაბრუნება“, თბილისი, 1998
83. შარაძე გ. „უცხოეთის ცის ქვეშ“ (წიგნი პირველი), თბილისი, 1991
84. შარაძე გ. „უცხოეთის ცის ქვეშ“ (წიგნი მეორე), თბილისი 1993
85. შარაძე გ. ფრანგული დღიური, თბილისი 1990
86. შარაძე გ., გვერდწითელი გ. „ქაქუცა ჩოლოყაშვილი“, თბილისი, „მერანი“, 1989
87. Широнин В. «КГБ-ЦРУ - секретные пружины перестройки», Москва. 1997
88. ჩერნიაკი ე. „ხუთასწლიანი ფარული ომი (დაზვერვის ისტორიიდან)“, თბილისი, 1969
89. ჩიჯავაძე-კედია ს. „ნასმენ-ნახული“, გამომცემლობა „ლეგა“, თბილისი, 2001
90. ციციშვილი გ. „ჩეკისტური ბრალდებები შალვა ნუცუბიძის მიმართ და მათი დოკუმენტურ–ანალიტიკური კომენტარები“, თბილისი, 1998
91. ცხოვრებაძე გ. „ქართული პოლიტიკური ემიგრაცია და საქართველოს დამოუკიდებლობა“
92. ხაინდრავა ლ. „მოკრძალებული მოწმე“, თბილისი, 1980
93. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია 1984 წ., ტ 5 (თ). ტ. 8 (პ). ტ 9. ტ 11 (ჩ).

**გაზეთები**

94. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ., 26 ივლისი, ორიენტაციის აღება გერმანიაზე
95. ———, 1918 წ., 28 ივლისი, საქართველოში ფარული საზოგადოების დაარსების შესახებ
96. ———, 1918 წ., 30 ივლისი, მრჩევლებად გერმანელთა მოწვევა
97. ———, 1918 წ., 30, 31 ივლისი,1, 2, 3, 11, 13 აგვისტო ინფორმაციები საგანგებო რაზმის დაარსების შესახებ
98. ———, 1918 წ., 11 ოქტომბერი, ეწოდა საქართველოს პარლამენტი
99. ———, 1919 წ., 29 ოქტომბერი, მოსკოვიდან თბილისში აგენტების შემოსვლის შესახებ;
100. ———, 1919 წ., 18 თებერვალი, განსაკუთრებული რაზმის განცხადება
101. ———, 1920 წ., 4 იანვარი, „შინაგან საქმეთა სამინისტროსთან დაარსებულ რაზმის განგრძობის შესახებ“
102. ———, 1920 წ., 30 იანვარი, ივ. ქარცივაძე – შსს-ის ადმინისტრაციული ნაწილის ინსპექტორის თანაშემწე; კ. საბახტარაშვილი შსს-ის კანცელარიის საქმის მწარმოებლის თანაშემწე

103. ———, 1920 წ., 28 თებერვალი, ნ. რამიშვილი აუქმებს თავის 1919 წლის 14 ნოემბრის დადგენილებას
104. ———, 1920 წ., 5 ივნისი, ემელიანე ლომთათიძის დანიშვნა თანამდებობაზე
105. ———, 1920 წ., 17 სექტემბერი, კ. კაუცკი და სხვები საქართველოში.
106. ———, 1921 წ., 11 იანვარი. პ. ზ. ფაჩულია სისხლის სამართლის მილიციის უფროსი. გერმანიის მთავრობის სრულუფლებიან წარმომადგენლად მ. რაუშერის წარდგენა
107. ———, 1921 წ., 6 თებერვალი, რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის გრ. ლორთქიფანიძის სიტყვა
108. ———, 1921 წ., 15 თებერვალი, გენერალური შტაბის განცხადება
109. „კომუნისტი“ 1922 წ., 18 ივლისი, მთელი ნომერი მიეძღვნა კამოს გარდაცვალებას.
110. ———, 1922 წ., 10 სექტემბერი, პარიზში მყოფი რუსეთის ემიგრაციის საიდუმლოებანი
111. ———, 1922 წ., 13 სექტემბერი, საქ. სსრ საგანგებო კომისიისაგან (დახვრეტილ იქნენ...)
112. ———, 1922 წ., 10 დეკემბერი, ნაწყვეტები ნოე ხომერიკის დღიურებიდან. რას უმალავდნენ მენშევიკები მშრომელებს
113. ———, 1923 წ., 16 თებერვალი, მენშევიკური ბანდიტიზმის მსხვერპლნი (ობოლაძის, ჩუბინიშვილის და სანიკიძის მკვლელობა)
114. ———, 1923 წ., 18 თებერვალი, საქართველოს საგანგებო კომისიის მიმართვა.
115. ———, 1923 წ., 21 თებერვალი, ანტისარწმუნოებრივი კამპანია.
116. ———, 1923 წ., 24 თებერვალი, ვანო ალიხანიშვილის ბროშურა („რამ დაგვღუპა და რა გვიხსნის“)
117. ———, 1923 წ. 1 მარტი, გარბიან მენშევიკური პარტიიდან (წერილები რედაქციის მიმართ)
118. ———, 1923 წ., 2 მარტი, მენშევიკური პარტიის ცნობილი მოღვაწეების ბიქტორ თევზაიასა და პეტრე გელეიშვილის განცხადებანი. რღვევის პროცესი.
119. ———, 1923 წ., 7 მარტი, გახრწნილი მენშევიკური პარტიის „საიდუმლოებანი“. რედაქციას წერილით მიმართავს ა. ბენდელიანი.
120. ———, 1923 წ., 15 მარტი, გარბიან მენშევიკური პარტიიდან (წერილები რედაქციის მიმართ)
121. ———, 1923 წ., 17 მარტი, შრომის შვილნი ისევ უბრუნდებიან მშრომელთა რევოლუციონურ ოჯახს. მენშევიკ მუშებისა და გლეხების განცხადება
122. ———, 1923 წ., 21 მარტი, მენშევიკების განცხადება (გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას)
123. ———, 1923 წ., 23 მარტი, მენშევიკ მუშებისა და გლეხების განცხადება
124. ———, 1923 წ., 28 მარტი, მენშევიკების განცხადება (წერილი რედაქციის მიმართ)

125. ———, 1923 წ., 30 მარტი, მენშევიკ მუშების განცხადება
126. ———, 1923 წ., 10 აპრილი, სოციალ-დემოკრატთა დაპატიმრება
127. ———, 1923 წ., 5 მაისი, რუსეთის კომუნისტური პარტიის XII ყრილობა. ნაციონალური მომენტები პარტიულ და სახელმწიფო მშენებლობაში. ამხ. სტალინის განცხადება
128. ———, 1923 წ., 11 მაისი, საქართველოს საგანგებო კომისიის (ჩეკა) განცხადება (გადასახლებულთა შესახებ)
129. ———, 1923 წ., 26 მაისი, ვინღა დარჩა მენშევიკურ პარტიაში – ტრამვაის მუშებისაგან
130. ———, 1923 წ., 29 ივნისი, მენშევიკური პარტიის ყოფილ წევრთა კრება ახალ სენაკში
131. ———, 1923 წ., 7 ივლისი, კ. გოგოლაძის წერილი
132. ———, 1923 წ., 5 აგვისტო, მენშევიკური პარტიის აღსასრულის წინ (ქ. ფოთის ყოფილი მენშევიკების კონფერენცია)
133. ———, 1923 წ., 8 აგვისტო, ანტისაბჭოთა პარტიების დაშლა – ნაციონალ-დემოკრატებისა და რადიკალ-დემოკრატების დაშლა
134. ———, 1923 წ., 24 აგვისტო, მენშევიკური პარტიის დაშლა – ყოფილი მენშევიკების შორაპნის სამაზრო კონფერენცია
135. ———, 1923 წ., 1 სექტემბერი, მენშევიკური პარტიის ლიკვიდაცია (დეკლარაცია); საქართველოს სოციალ-დემოკრატიის თვითლიკვიდაცია
136. ———, 1923 წ., 7 ოქტომბერი, ახალგაზრდა მარქსისტების დაშლა
137. ———, 1923 წ., 9 ოქტომბერი, დემოკრატიული პარტიის დაშლა
138. ———, 1923 წ., 20 ივლისი, მენშევიკური პარტია აღსასრულის წინ (დეკლარაცია)
139. ———, 1923 წ., 30 ივლისი, ქ. გორის ყოფილი მენშევიკების კრება
140. ———, 1923 წ., 31 აგვისტო, საქართველოს სოციალ-დემოკრატიის თვითლიკვიდაცია
141. ———, 1924 წ., 16 მარტი, განხეთქილება მენშევიკებს შორის
142. ———, 1925 წ., 11 მარტი, „ახალი საქართველო“ - შემოკლებით იბეჭდება „ახალი საქართველოს“ მე-3 ნომრის სტატიები
143. ———, 1925 წ., 17 ივლისი, გერმანიაში მცხოვრები ქართველი სტუდენტების განცხადება (ივ. კაჩუხაშვილი)
144. ———, 1925 წ., 19 ივლისი, ქართული კონტრრევოლუციონური ემიგრაციის დაშლა
145. ———, 1925 წ., 23 ივლისი, თეთრგვარდიელთა ემიგრაციაში მიმდინარე პროცესები
146. ———, 1925 წ., 26 ივლისი, „მენშევიზმის“ წინააღმდეგობანი
147. ———, 1925 წ., 7-16 ივლისი, პარიტეტული კომიტეტის საქმის სტენოგრაფიული ჩანაწერები
148. ———, 1925 წ., 19 აგვისტო, გრ. ვეშაპელი, კაფე „ვოლტერში“ განვითარებული მოვლენები
149. ———, 1925 წ., 4 ოქტომბერი, ვ. ალიხანაშვილის მიმართვის შემოკლებული ვარიანტი

150. ———, 1925 წ., 9 ოქტომბერი, რა მოხდა აგვისტოს აჯანყების შემდეგ (წერილები საფრანგეთიდან), ივ. კაჩუხაშვილი
151. ———, 1925 წ., 12 ნოემბერი, წერილები უცხოეთიდან, ივ. კაჩუხაშვილი
152. ———, 1925 წ., 2 დეკემბერი, ლ. ღოღობერიძე, მოქალაქეობის მიღების მსურველთა რეგისტრაცია
153. ———, 1926 წ., 17 იანვარი, დ. მხეიძის განცხადება
154. ———, 1926 წ., 12 მარტი, შეტყობინება ოდენკურის ამბებთან დაკავშირებით
155. ———, 1926 წ., 21 მარტი, შ. ელიავას მოგონება კამოზე
156. ———, 1926 წ., 26 მარტი, ნ. ღამბაშიძის სტატია
157. ———, 1926 წ., 3 ივლისი, რა ხდება ქართულ ემიგრაციაში
158. ———, 1926 წ., 15 ივლისი, ქართული ემიგრაციის დაშლა - მიხ. კახიანი
159. ———, 1926 წ., 17 ივლისი, ქართული ემიგრაციის დაშლა.
160. ———, 1926 წ., 29 ივლისი, ევგენია სოლოღაშვილის წერილი ისიდორე რამიშვილისადმი
161. ———, 1926 წ., 21 ნოემბერი, ამხ. ბაგრატ ილურიძის თვითმკვლელობა და მენშევიკები
162. ———, 1927 წ., 19, 26 ივნისი, ქარციევაძისთვის ჩამორთმეული დოკუმენტები
163. ———, 1927 წ., 29 ივნისი, მსოფლიო ამბები და ქართველი ხალხი – თედო ღლონტი (ბერლინი)
164. ———, 1927 წ., 31 ივლისი, ქართველი მენშევიკების გასამართლება ხარკოვში (მე-15 დღე)
165. ———, 1927 წ., 27 ოქტომბერი, შ. შვარცბალდის გამართლება
166. ———, 1927 წ., 11 ნოემბერი, ალ. ასათიანის წერილი
167. ———, 1928 წ., 15 დეკემბერი, დაშიფრული წერილების ასლები
168. ———, 1929 წ., 2 თებერვალი, კუზიანს სამარე გაასწორებს
169. ———, 1945 წ., 14 დეკემბერი, ქართველ მეცნიერთა წერილი რედაქციის მიმართ
170. ———, 1953 წ., 24 თებერვალი, ე. თაყაიშვილის ნეკროლოგი
171. ———, 1954 წ., 9 დეკემბერი, წერილი რედაქციას – შ. მაღლაკელიძე
172. ———, 1961 წ., 10 მაისი, ნ. ხრუშჩოვი საქართველოში, შ. ბერიშვილი
173. ———, 1989 წ., 3 ივნისი, ისტორიის ფურცლები – რუსეთ-საქართველოს 1920 წ. 7 მაისის ხელშეკრულება
174. ———, 1989 წ., 15 აგვისტო, სამი წერილი ოციანი წლების საქართველოზე (ვ. გურული)
175. „ახალი საქართველო“, 1925 წ., 1 ნოემბერი, ინფორმაცია საგარეო ურთიერთობებზე
176. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1998 წ., 27 მაისი, მოგონება ნოე რამიშვილზე, ა. რამიშვილი.
177. ———, 2002 წ., 18 დეკემბერი, „მეგრელთა საქმე“ - ა. ასლანიშვილი
178. ———, 2002 წ., 21 დეკემბერი, „მეგრელთა საქმე“ - ა. ასლანიშვილი
179. ———, 2002 წ., (315) „მეგრელთა საქმე“ - ა. ასლანიშვილი

180. ———, 2002 წ,. 27 დეკემბერი „მეგრელთა საქმე“ - ა. ასლანიშვილი
181. ———, 2002 წ. 29 დეკემბერი „მეგრელთა საქმე“ - ა. ასლანიშვილი
182. ———, 2002 წ., 14 მაისი „მეგრელთა საქმე" - ა. ასლანიშვილი
183. ———, 2003 წ., 5 იანვარი „მეგრელთა საქმე" - ა. ასლანიშვილი
184. ———, 2003 წ., 7 იანვარი „მეგრელთა საქმე“ - ა. ასლანიშვილი
185. ———, 2003 წ., 12 იანვარი „მეგრელთა საქმე" - ა. ასლანიშვილი
186. ———, 2003 წ., 17 იანვარი „მეგრელთა საქმე“ - ა. ასლანიშვილი
187. „ასავალ-დასავალი“, 2001 წ., 22-28 ოქტომბერი გ. ბეზირგანი, მერხეულიდან კრემლამდე
188. ———, 2001 წ., 3-9 დეკემბერი ინფორმაცია ნ. მიწიშვილზე
189. ———, 2001 წ., 10-15 დეკემბერი ინტერვიუ კ. მელაძესთან.
190. ———, 2002 წ., 28 იანვარი, 5 თებერვალი
191. ———, 2007 წ., 23-29 აპრილი, სტალინი „LIV“
192. ———, 2007 წ. დეკემბერი-2008 წ. იანვარი, ინტერვიუ ი. ფერაძესთან
193. ———, 2008 წ. 10-16 ნოემბერი, ა. მარტიროსიანი, 200 მითი სტალინზე – სტალინი და დიდი სამამულო ომი
194. ———, 2009 წ. 23 თებერვალი, 2 მარტი, ი. მუხინი, სტალინის მკვლელები
195. ———, 2009 წ. 29 ივნისი, 5 ივლისი, ინტერვიუ ლ. თაქთაქიშვილთან
196. „ზარია ვოსტოკა“, 1924 წ. 31 აგვისტო, 21 სექტემბერი, აგვისტოს აჯანყების მონაწილეთა დახვრეტის ინფორმაცია
197. ———, 1954 წ. 291, 9 დეკემბერი, შ. მაღლაკელიძის განცხადება
198. „თბილისი“, 1989 წ. 12 ივლისი, ი. ტაბაღუა, საქართველო და ევროპის სახელმწიფოები
199. ———, 1993 წ., 30 ივნისი, 5, 6, 7, 13, 14, 15, 19, 20 ივლისი, შ. ბერიშვილი, შეულამაზებელი ფურცლები (გ. შარაძის რედაქციით)
200. ———, 1990 წ., 20-21 აგვისტო, რუსეთი და საქართველო, ნ. რამიშვილი
201. «Вечерний Тбилиси» 1978 г. №182 (10178) «Как это было», ინტერვიუ გენერალ გ. მალიუგასთან
202. „სამშობლო“, 1991 წ., თებერვალი 3-4 (776-777), მ. კვიტაშვილის ნეკროლოგი (გ. გაჩეჩილაძე)
203. ———, 1970 წ., 10 აპრილი, დამსხვრეული ილუზიები – გიგლა ჯანგველაძე
204. ———, 1969 წ., 24 ოქტომბერი, ი. მეგრელაძე, გრ. ფერაძის დაბადების 70 წლისთავის გამო
205. ———, 1991 წ., თებერვალი, გ. გაჩეჩილაძე
206. „სამშობლოს ხმა“, 1962 წ., N 3, ლ. პატარიძის სტატია
207. „ვერსია“, 2008 წ., 4-5 აგვისტო, რ. შატაკიშვილი, დარეჯან დედოფალი – ანტირუსული მოძრაობის პირველი ლიდერი...
208. „ლიტერატურული საქართველო“, 1990 წ., 25 მაისი, 1924 წლის აჯანყების მონაწილეთა დახვრეტის შესახებ
209. „კვირის პალიტრა“, 2009 წ., 12-18 და 19-25 იანვარი, ვ. გავაშელი – შქმერში გადმოსხმული შვიდი ქართველი „დივერსანტი“
210. ———, 2009 წ., 9-15 თებერვალი, ე. ლომიძე - „ქართველი ჯეიმს ბონდი“

211. „დამოუკიდებელი საქართველო“ 1929 წ., ივნისი
212. „რევოლუციური დროშა“, 1918 წ., 15 ივნისი, ოსების მიმართვა შულენბურგისადმი
213. „სამშობლო ფორტე“, 1997 წ., N 9 (58), გ. ციციშვილი, უცნობი ივანე ჯავახიშვილი
214. „ვერსია“, 2005 წ., 24-25 აგვისტო, ქართველები ბენდერელების შემადგენლობაში
215. „რეზონანსი“, 2003 წ., 6 მარტი, სტალინი მოწამლეს, რათა აშშ-სთან ომი თავიდან აეცილებინათ
216. «Правда», 1936 წ., აგვისტო, ლ. ბერია, გავაცამტვეროთ ხალხის მტრები.
217. „კაბადონი-88“, 1990 წ., 27 მაისი, აკ. გაწერელია, უპასუხოდ დატოვებული შეკითხვები

**ჟურნალები**

218.. „სამშობლო“, 1930 წ., ოქტომბერი, N 8, ალ. ასათიანის სტატია
219.. „გუშაგი“, 1934 წ., N 3, პარიზი, ს. ზალდასტანიშვილი, გ. წერეთელი აგვისტოს აჯანყებაზე
220. „თავისუფალი ტრიბუნა“, 1980 წ., 31, დეკემბერი, მოგონებები ნ. რამიშვილზე
221. „ჩვენი დროშა“, 1981 წ., N 96 (1990, 4), ნომერი მთლიანად ეძღვნება ნ. რამიშვილის ხსოვნას
222. „დამოუკიდებელი საქართველო“, 1921 წ., N 41, პარიზი ქართველები ხარბინში
223. „მნათობი“, 1966 წ., N44, ს. ქავთარაძე, დღეები პარიზში
224. „პოლიტიკა“, 1999 წ., N 3, დ. ლაზარაშვილი, ისევ ქართველის ტყვიით
225. „მხედარი“, 1991 წ., N 3, როგორ დაიბადა „თამარ I“ ჯგუფი და როგორ დასრულდა მისი არსებობა
226. „საისტორიო მაცნე“, 1995 წ., N1, (7 – 1988 წ.)
227. „საისტორიო მოამბე“, თბილისი, შინსახკომის საარქივო სამმართველო
228. „საქართველოს ქალი“, 1994 წ., N 7, ბ. ბერიაშვილი, მოსკოვი – გორკის ქუჩა
229. „ჩვენი დროშა“, 1990 წ., მაისი, ნ. რამიშვილის მკვლელობის 60 წლისთავი – კ. ინასარიძე
230. „კავკასიონი“, 1971 წ., N 15, ნ. რამიშვილის სიკვდილის გამო – ჩვენი მწუხარება
231. „თბილისელები“, 2002 წ., N 37, აღმოჩენილია ბერიას საფლავი
232. ————, 2006 წ., 22-28 მაისი, მოკლა თუ არა ნოე ჟორდანიამ ილია ჭავჭავაძე, ნ. უტიაშვილი
233. „სარკე“, 2002 წ., 5-15 იანვარი, ი. მჭედლიძე, ოსვენციმში დაღუპული ქართველი მოძღვარი წმინდანად შერაცხეს
234. ————, 2002 წ., 2-8 ოქტომბერი, ინტერვიუ გ. ჩარკვიანთან

235. ———, 2003 წ., იანვარი, გმირი გენერალი „თეთრებმაც" მოკლეს და „წითლებმაც"
236. „ომეგა", 2000 წ., N 10
237. „აფრა", 1997 წ., N 2, ნ. გელაშვილი, სტატია მიძღვნილი ტ. მარგველაშვილისადმი
238. „სპეცსამსახურების სეიფებიდან", 2004 წ., N1, ი. მირონოვი, ქართველი მზვერავი ქალები; ე. სოხაძე, ვინ იყო გიორგი ფერაძე; ბ. ბიბილაშვილი, დაფანტული ფურცლები; კ. კაციაშვილი, პირველი ნაბიჯი
239. „გზა", 2001 წ., 28 ივნისი, კ. მაისურაძე, ეპიზოდები ქართველ ემიგრანტთა პირველი ტალღის ცხოვრებიდან
240. „გზა", 21.06.2007-12.07.2007 (25), სტალინის მკვლელები, XX საუკუნის მთავარი საიდუმლო
241. „იმიჯი", 2003 წ. ივლისი, ლევ ტროცკის მკვლელობა.
242. „ეხო პლანეტი", 2002 წ., N 14, ანრი ბარბიუსზე
243. „საარქივო მოამბე", 2008 წ. აპრილი, N 1, ამბროსი ხელაიას წერილი. კოტე აფხაზი. ბარბიუსი.

**საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი**

244. ფონდი 1863 ა.1, ს. N 3, ბოლშევიკების დაპატიმრება თბილისში
245. ფონდი 1863 ა.1, ს. N 17, სომეხი ახალგაზრდების მობილიზაცია
246. ფონდი 1863 ა.1, ს. N 51, შს მინისტრის მითითებები
247. ფონდი 1863 ა.1, ს. N 107, პასტრულინის, დურნოვის, იგნატიევის დაპატიმრება
248. ფონდი 1863 ა.1, ს. N 475 შს მინისტრის ანგარიში
249. ფონდი 1863 ა.1, ს. N 607 ს. ორჯონიკიძის დეპეშა
250. ფონდი 1863 ა.1, ს. N 1398 განსაკუთრებული რაზმის შემადგენლობა
251. ფონდი 1863 ა.1, ს. N 1506 პოლიტიკურ დამნაშავეთა გააქტიურება
252. ფონდი 1861 ა.1, ს. N 54 საგანგებო რაზმის შემადგენლობა
253. ფონდი 1861 ა.1, ს. N 330 შსს სისხლის სამართლის მილიციის დაარსება
254. ფონდი 281 ა.1, ს. N 201
255. ფონდი 600 ა.2, ს. N 125 ვ. ალიხანაშვილი ქართულ ემიგრაციაზე
256. საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) მთავრობის არქივი (II ჰარვარდული ნაწილი) ყუთი 74 გრ. ვეშაპელისა და ნ. რამიშვილის მკვლელობა

**პირადი არქივი**

257. Тов. Виктору от Коки, 1941, საბჭოთა საგარეო დაზვერვის შეტყობინება აგენტ „ომერისთან" შეხვედრის თაობაზე

258. Тезисы донесения агента «Дадиани» от 7/IV-1938, Руководящий состав организации «Картлоси»
259. Процесс Чануквадзе, ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს უცხოეთის განყოფილების ანგარიში
260. Общее собрание оппозиционной части грузинской коллонии в Париже, ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს უცხოეთის განყოფილების ანგარიში
261. Грузинская эмиграция в Париже и её организации, ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს უცხოეთის განყოფილების ანგარიში
262. О закрытии грузинской легации, ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს უცხოეთის განყოფილების ანგარიში
263. Что мне известно о меньшевистском деятеле Александре Менагаришвили, он же Сандро Менагари, შ. მ.-ის ანგარიში
264. შ. მაღლაკელიძე
265. Доклад о результатах пребывания в тылу у немцев по заданию НКВД ГССР
266. Обзорная справка по материалам архивно-следственного дела №969865 по обвинению Киладзе Д. С. (НП №50430-54)
267. «Дорогой Шалва!», ნ. ჟორდანიას წერილი, მიწერილი შ. ბერიშვილისადმი. 1942 წლის 25 თებერვალი. ქართულიდან ნათარგმნი, 3 ფურცლად
268. «Омери» было дано следующее задание....»
269. Моя миссия в Турции, შ. ბერიშვილის ანგარიში
270. Организация нашей переброски за кордон (გიორგაძე, ვარდიაშვილი, ნიკოლაიშვილი), მიხ. ნიკოლაიშვილის ანგარიში
271. Нацдемократы, ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს 1927 წლის 23 აგვისტოს ანგარიში
272. ერთმანეთისა (და ათასების) მსგავსი ორი ბედი, ინფორმაცია ნ. მიწიშვილზე, საბეჭდ მანქანაზე შესრულებული ერთ-ერთი ჩასწორებული ვარიანტი
273. Протокол допроса арестованного Патаридзе, Л. И. от 30 мая 1944
274. Задание турецкой разведки для «Омери»
275. Протоколы допроса, Ш. Одишария от 22-го мая и от 25 мая 1946
276. Докладная записка товарищу Берия
277. Показания на з/к Гогиберидзе, С. Л. и другие вопросы, связанные с этим;
278. Протокол допроса Канкава А. С. от 29 мая 1952
279. Объявление независимости Грузии, ნაბეჭდი, 23 ფურცელი, უავტორო, შინაარსიდან გამომდინარე, შესრულებულია საბჭოთა პერიოდში
280. Протоколы допроса обвиняемого Окропиридзе Шалвы Александровича от 11 и 25 августа 1944 г. и 3 января 1949
281. უცნობი აგენტურული შეტყობინება პროფესორ მიხეილ კონსტანტინეს ძე ახმეტელზე

282. Обзорная справка по материалам архивного дела №957791, о самоубийстве Штэпа А. С.
283. ნოე რამიშვილის წერილთან დაკავშირებით ეროვნულ-დემოკრატების შეკრების მოკლე ანგარიში, შესრულებული რუსულ ენაზე და მოპოვებული საგარეო დაზვერვის პარიზის რეზიდენტურიდან
284. Меньшевики и национал-демократы, приезд в Париж из Америки Думбадзе, ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს უცხოეთის განყოფილების 1927 წლის 19 აგვისტოს შეტყობინება
285. Свидание А. Чхенкели с представителем оппозиции Георгием Гегелия, ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს უცხოეთის განყოფილების ანგარიში
286. Грузинская эмиграция сегодня, გუკასოვის მიერ ქართულიდან 1941 წლის 7 ოქტომბერს ნათარგმნი ცნობა, 7 ფურცელი; ქ. პოტსდამის არქივში დაცული მასალების ასლები
287. Арест Челокаева, ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს უცხოეთის განყოფილების 1927 წლის 1 მარტის შეტყობინება
288. შ. ბერიშვილის ხელნაწერი მოხსენება შესრულებული რუსულ ენაზე, 20 ფურცელი
289. «Народному комиссару Внутренных дел СССР Л. Берия, 6 сентября 1940 года, от номера 59», 14 ნაბეჭდი ფურცელი, ქართულიდან ნათარგმნი;

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი**

290. კოლექცია 01 ა. N1, ს. 23 ზ. ავალიშვილზე
291. კოლექცია 8 ა. N 1, ს. 158. გვ. 38, მექი კედიას წერილი რსფსრ-ის სრულუფლებიან წარმომადგენელს
292. ფონდი 93 ა.2, ს. N 1153, ვანო ალიხანაშვილის შესახებ
293. ფონდი 8 ა. 6, ს. N 57, «Старая и новая Грузия в картинках». 1927, 4 июля
294. ფონდი 8 ა. 3, ს. N 276, ბრძოლა ქართული ეკლესიის წინააღმდეგ
295. ფონდი 13 ა. 1, ს. N 28, ამბროსი ხელაიას მოწოდება
296. ფონდი 13 ა. 1, ს. N 737, 1922, ს. პირუმოვის ინფორმაცია ბერლინიდან
297. ფონდი 13 ა. 2, ს. N 96, 1923, ს. პირუმოვის ხელმოწერილი დოკუმენტები
298. ფონდი 13 ა. 2, ს. N 98,1924, არალეგალური კომიტეტის მებრძოლი ფრთის დეპეშები, წერილები
299. ფონდი 13 ა. 3, ს. N 79, 1925, კ. ხელაძე, ქართული ემიგრაცია
300. ფონდი 13 ა. 3, ს. N 82, 1925, ქართული ემიგრაცია
301. ფონდი 13 ა. 4, ს. N 94, 1926, ს. პირუმოვის წერილი, კ. ჩხეიძის სამგლოვიარო მიტინგის ფოტოები
302. ფონდი 13 ა. 5, ს. N 60, 1927, ქართული ემიგრაცია
303. ფონდი 13 ა. 5, ს. N 94, 1927, ტროცკი

304. ფონდი 13 ა. 5, ს. N 170, 1927, კავკასიის სტუდენტები გერმანიაში, დეტერდინგი
305. ფონდი 13 ა. 6, ს. N 70, 1928, ყანდარელი, მიქაელიანი
306. ფონდი 13 ა. 10, ს. N 66, 1932, განცხადებები საზღვარგარეთ წასვლაზე.
307. ფონდი 13 ა. 10, ს. N 274, 1932, საზღვარგარეთ მყოფი ქართველი სტუდენტების მატერიალურ დახმრებასთან დაკავშირებით
308. ფონდი 14 ა. 1, ს. N 36, 1921, ჩეკას პრეზიდიუმის სხდომების მიმოწერა
309. ფონდი 14 ა. 1, ს. N 2, 1920, ქართველი კომუნისტების შეკრება ბაქოში
310. ფონდი 14 ა. 1, ს. N 54, 1921, ჩეკას ანგარიშები
311. ფონდი 14 ა. 1, ს. N 196, 1922, ანტისაბჭოთა პარტიები
312. ფონდი 14 ა. 1, ს. N 221, 1922, მენშევიკები
313. ფონდი 14 ა. 2, ს. N 28, 1924, ჩეკა ემიგრაციაზე
314. ფონდი 14 ა. 2, ს. N 37, 1924, აგვისტოს აჯანყება
315. ფონდი 14 ა. 2, ს. N 40, 1924, აგვისტოს აჯანყება
316. ფონდი 14 ა. 2, ს. N 94, 1924, ანგარიშები
317. ფონდი 14 ა. 2, ს. N 423, 1925, დეპეშები
318. ფონდი 14 ა. 2, ს. N 437, 1924, შეტყობინებები ეროვნულ ფასეულობებზე
319. ფონდი 14 ა. 2, ს. N 617, 1925, დაპატიმრებული მენშევიკების სია
320. ფონდი 14 ა. 3, ს. N 228,1926, ყოფილი მენშევიკები
321. ფონდი 14 ა. 14, ს. N 370, 1940, სამუზეუმო ფასეულობების ჩამონათვალი
322. ფონდი 14 ა. 15, ს. N 250, 1941, გამანადგურებელი ბატალიონები
323. ფონდი 14 ა. 15, ს. N 252, 1941, სტალინის დეპეშები. სსრკ საინფორმაციო ბიუროს შექმნა
324.. ფონდი 14 ა. 16, ს. N 169, 1942, სოციალურად საშიში ელემენტების გასახლება
325. ფონდი 14 ა. 16, ს. N 168, 1942, სამხედრო მდგომარეობის გამოცხადება
326. ფონდი 14 ა. 1, ს. N 20, 1921, გერმანული თვითმფრინავები
327. ფონდი 14 ა. 16, ს. N 181, 1942, შინსახკომის ანგარიშები, სარიანი, კიუტი.
328. ფონდი 14 ა. 16, ს. N 185, 1942, გერმანელთა თვითმფრინავები
329. ფონდი 14 ა. 16, ს. N 186, 1942, გერმანელთა თვითმფრინავები
330. ფონდი 14 ა. 16, ს. N 189, 1942, გერმანელთა თვითმფრინავები, შ. ბახტაძე, ვ. ბაკურაძე
331. ფონდი 14 ა. 16, ს. N 190, 1942, გერმანელთა თვითმფრინავები, სარიანი, კიუტი
332. ფონდი 14 ა. 16, ს. N 183, ს. 165, 1942, შინსახკომის ანგარიშები
333. ფონდი 14 ა. 16, ს. N 192, ს. 174, 1942, წალენჯიხაში მოკლული დივერსანტ-პარაშუტისტი: გოგოლაშვილი, ლაითაძე. წითელარმიელთა ძალმომრეობა
334. ფონდი 14 ა. 17, ს. N 189-ა, 1943, დივერსანტ-პარაშუტისტი მექვაბიშვილი
335. ფონდი 14 ა. 19, ს. N 328, 1945, დაბრუნებული ფასეულობების ჩამონათვალი
336. ფონდი 14 ა. 20, ს. N 198, 1946, დეპეშები
337. ფონდი 14 ა. 20, ს. N 252, 1946, ი. თავაძის წერილი კ. ჩარკვიანს

338. ფონდი 14 ა. 20, ს. N 269, 1946, ქართული ფასეულობების ჩამონათვალი
339. ფონდი 14 ა. 20, ს. N 352, 1946, კომისიის აქტი
340. ფონდი 14 ა. 25, ს. N 245, 1951, საქართველოს ცკ-ის მიმოწერა შსს-სა და სუს-ს შორის
341. ფონდი 6, ს. N 18700-60, ჭირაქაძე, დურგლიშვილი, ებანოიძე, ბაცაცაშვილი
342. ფონდი 6, ს. N 36049, გ. მაზნიაშვილის შესახებ
343. ფონდი 6, ს. N 18577-60, უგრეხელიძე, კირკიტაძე, დოლონაძე და სხვები
344. ფონდი 6, ს. N 2221, სპ. კედიას შესახებ
345. ფონდი 6, ს. N 13981-60, 1933 წ., საქართველოში არალეგალურად შემოსული მანწკავასა და მგელაძის შესახებ
346. ფონდი 6, ს. N 7263-59, გ. გეგელია და პოლკოვნიკი რუსი
347. ფონდი 6, ს. N 4682, საგანგებო რაზმის წევრი – გალაჯევი
348. ფონდი 6, ს. N 22961-61, დაპატიმრებულ მენშევიკთა სიები (1923 წ.)
349. ფონდი 6, ს. N 22393-62, განსაკუთრებული რაზმის წევრები: ებრალიძე და ჩაუჩიძე
350. ფონდი 6, ს. N 247466, (მ-148) ი. ჭანტურიას მიმართ აღძრული სს საარქივო საქმე
351. ფონდი 6, ს. N 421909 გერმანელები: ა. ვებერი, გ. კეტნერი, მ. მილერი, ქ. შტრეცი
352. ფონდი 6, ს. N 28428, გიორგი ხუნდაძის შესახებ
353. ფონდი 6, ს. N 957791, ტ. ლორთქიფანიძე, შტეპა
354. ფონდი 6, ს. N 46144, (23478) ვ. ტოგონიძე, ტ. მარგველაშვილი
355. ფონდი 6, 479 სსრკ შინსახკომის განსაკუთრებული სათათბიროს ოქმები
356. ფონდი 6, ს. N 18179-60, გოჩიანი ოშან ხაჩიკის ძე
357. ფონდი 6, ს. N 18200-60, კაპიკიანი ბაბკენ ალექსანდრეს ძე
358. ფონდი 6, ს. N 7335-59, „შალვა ბერი“, მაია დადიანი, თინა ჯაფარიძე
359. ფონდი 6, ს. N 5710-55, ა. ურუშაძე, აკაკი ნიჟარაძე
360. ფონდი 6, ს. N 31736, ნიკოლოზ ნიჟარაძე
361. ფონდი 6, N 29443, ტ. 1, ნ. ბარამიას დაკითხვის ოქმები
362. ფონდი 6, N 29443, ტ. 2, პ. შარიას, ა. რაფავას დაპატიმრების მასალები ცნობა, თუ რის საფუძველზე ხდებოდა დაპატიმრებები
363. ფონდი 6, N 29443, ტ. 3, ჭიჭინაძის დაკითხვის ოქმები (შ. ბერიშვილი, ანჯაფარიძე, პ. ფირცხალაიშვილი, ა. ლორდელი, რ. თალაკვაძე, ივ. ქარცივაძე, გ. ჭელიძე)
364. ფონდი 6, N 29443, ტ. 4, ი. თავაძის დაკითხვის ოქმები. ი. სტალინისადმი გაგზავნილი წერილები
365. ფონდი 6, N 29443, ტ. 5, ა. ნიჟარაძის დაკითხვის ოქმები. ემიგრანტთა პირველი ნაკადი საქართველოში
366. ფონდი 6, N 29443, ტ. 6, „მეგრელთა საქმეზე“ მომუშავე გამომძიებლები.
367. ფონდი 6, N 29443, ტ. 7, გამოძიების შედეგებთან დაკავშირებული ცნობები

368. ფონდი 6, N 29443, ტ. 9, ე. თაყაიშვილის დაკითხვის ოქმი, „ბაგრატიონის“ შეტყობინება
369. ფონდი 6, N 29443, ტ. 10, ტ. 11, „შმიდტის“ დაკითხვის ოქმი. მ. ბარამიას ჯანმრთელობის მდგომარეობა
370. ფონდი 6, N 29443, ტ. 12, ციხეში არსებული მძიმე მდგომარეობა, მ. ბარამიას წერილები ი. სტალინისადმი და იგნატიევისადმი
371. ფონდი 6, N 29443, ტ. 14, მ. ბარამიას მოსკოვში ყოფნის ოპერატიული მასალა
372. ფონდი 6, N 29443, ტ. 17, ნ. რუხაძის წერილი ციხის უფროსისადმი, პატიმართა მიმართ გამოჩენილი სისასტიკე
373. ფონდი 6, N 29443, ტ. 18, 13 პატიმრის მიმართ მკაცრი ზომების გატარება
374. ფონდი 6, N 29443, ტ. 20, მატარაძისა და მაქსიმელიშვილის კონტაქტები გ. გეგელიასთან. ინფორმაცია „შმიდტზე“
375. ფონდი 6, N 29443, ტ. 21, ნამიჭეიშვილი, თავაძე, მიწიშვილი, კანკავა, ნ. ნიჟარაძე. რეაბილიტაციის დადგენილების ამონაწერი
376. ფონდი 6, N 29443, ტ. 22, მატარაძე-მაქსიმელიშვილი პარიზში, ჩავარდნები ოპერატიულ საქმიანობაში
377. ფონდი 6, N 28335-62, მიხეილ ლაშქარაშვილის მიმართ აღძრული სსს (საარქივო).
378. ფონდი 6, შ. ოდიშარიას და სხვათა მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე.
379. ფონდი 6 გ. გაბინაშვილის მიმართ აღძრული სს საარქივო საქმე.

ა
აბაიმოვი 548
აბაკუმოვი ვიქტორ 454, 524, 534, 554
აბაშიძე 395
აბაშიძე ვასილ (ვასო) 396
აბაშიძე ზურაბ 318, 340
აბდულა ალი ემირ-ჯანი 140
აბესაძე გრიგოლ 388
აბესაძე კარპე 364-366, 610
აბრამიანცი ტერენიკ 39, 42
აბულაძე გრიგოლ 387, 477
აგაიანცი ა. 517-518
აგაიანცი ივანე 427
აგამალიანი 391, 444
ადონცი ივანე 39
ავალიშვილი ზურაბ 35, 99, 116, 137, 193, 269, 311-312, 408, 418
ათარბეგოვი გიორგი (გეორქ) 582
ათოშვილი პანჩო 544, 547
აკოფოვი არუსიაკ 43
ალანია ალექსანდრე 259, 319
ალასანია 348
ალაჯანოვა ნინა 43
ალენი 409, 418
ალესკეროვი ქერიმ 331
ალექსანდერი 301
ალექსანდრიანცი გიორგი 39
ალექსეევი 438
ალიმბარაშვილი ირაკლი 331
ალიმბარაშვილი სიკო 161
ალიშიკრი 281
ალიხანაშვილი ვ. 61, 64, 95, 103, 116
ალიხანაშვილი ვანო 126, 128, 129
ალიხანოვ-ავარსკი 126
ალშიბაია აკაკი 313
ალშიბაია გრიგოლ 312, 464, 591
ალშიბაია მიხეილ 314, 420, 444, 464-465, 609
ამბარცუმიანი 357
ამბროსი-I (ხელაია) 63, 628
ამილახვარი ალეკო 171, 176, 216
ამილახვარი დიმიტრი 432, 587
ამირანაშვილი შალვა 400-401, 410, 414, 436-440
ამირეჯიბი შალვა 69-70, 86, 88, 138-139, 143-144, 148, 161, 169-170, 189, 258, 269, 306
ამირეჯიბი ცაცა 510
ანდიაშვილი შალვა 375-377
ანდრიანი კონსტანტინე 363, 365
ანდრონიკაშვილი ალექსანდრე 79
ანდრონიკაშვილი კოტე 86, 87
ანდღულაძე სოლომონ 286
ანტონოვი 42
ანჯაფარიძე კაპიტონ 61, 141, 277
არაბული ვლადიმერ 337, 353
არავიაშვილი არ. 103
არახამია ვლადიმერ 373
არსენიძე მიხეილ 63, 267, 318, 509
არსენიძე რაჟდენ 199, 201, 203, 242, 245, 267, 514, 516, 586
არუთინოვი ბახჩო 39
ასადაშვილი 367
ასათიანი ალექსანდრე 67, 88, 116, 137, 138-147, 169, 204, 216, 231, 318, 350, 353, 446, 513, 515
ასათიანი გედეონ 466
ასათიანი ვლადიმერ 39
ასათიანი (კომისარი) 38
ასათიანი სოსიპატრე (ჭიჭიკო) 244
აფხაზი კოტე 67, 69, 78-80, 628
აღნიევი 43
აჩხარაშვილი ნიკოლოზ 156, 601
ახმეტელი ვანო 390
ახმეტელი ვლადიმერ 36, 77, 257, 258, 305, 306, 588
ახმეტელი მიხეილ 468-469, 470-472, 590, 629
აჯამოვი 202, 222, 242
ნიკოლოზ ამილახვარი 614

ბ
ბაბალაშვილი შიო 374-377
ბაგრატიონ-დავიდოვი 41
ბაგრატიონი ირაკლი 311, 588
ბაგრატიონ-მიწიშვილი თამარ 121
ბადურაშვილმა ალექსანდრე 161
ბათმანაშვილი გ. 302
ბაირამოვი ნაგი 294
ბაირამოვი ყურბან 293
ბაკურაძე ვლასა 356, 361, 365-366, 631
ბალაძე პიო 62, 286, 297
ბალიაშვილი მიხეილ 70
ბამატი ჰეიდარ 258, 269, 311, 590, 599
ბანდერა სტეპან 571, 600
ბარათაშვილი დიმიტრი 340
ბარამია ლიდია 554, 567
ბარამია მიხეილ (მიხა) 526, 534, 535-553, 563-564, 567, 611, 632
ბარბაქაძე აკაკი 337
ბარბაქაძე ბაბილინა 359
ბარბაქაძე ტარას 355, 359
ბარბიუსი ანრი 235, 628
ბარინოვი 548
ბარნო ბ. 218
ბარხუდარიანი ალექსანდრე 38
ბატაი ვიქტორ 111, 168
ბაქრაძე 329, 548
ბაქრაძე ვალერიან 345-347
ბაქრაძე ვლადიმერ 63, 110, 207, 208, 213, 220
ბაქრაძე კონსტანტინე 558, 596
ბაღათური (ბიბინეიშვილი) იუსუფ 62
ბაღდასაროვი 88
ბაცაცაშვილი ილია 353, 358-359, 632
ბახსოლიანი ნიკოლოზ 371, 380, 479
ბახტაძე მიხეილ 340, 351
ბახტაძე შალვა 337, 356, 361, 365, 631
ბეგიაშვილი იროდიონ 339, 351
ბელთაძე ლ. 82
ბენდელიანი ა.ე. 73, 623
ბერბიჭაშვილი გაბო 161
ბერგერი ერნსტ 268
ბერეჟიანი სიმონიკა 111, 216, 231
ბერეჟიანი შოთა 313
ბერია ბიჭიკო 349
ბერია გერასიმე 225
ბერია ირატ 349
ბერია ლავრენტი 47, 59, 70-71, 74, 80-81, 84- 86, 92, 112, 119, 120- 121, 136, 150, 153-155, 160, 180, 181-185, 191-192, 205, 225, 228, 231-232, 249-253, 255, 261-262, 283-286, 288, 298, 341, 345-346, 361, 381, 414, 421,-423, 435-437, 443, 451-452, 455-456, 459- 460, 474, 490- 492, 508, 516, 518, 520, 526, 530-537, 541-544, 550, 552, 555, 557, 561-570, 582, 608, 627
ბერია სერგო 614
ბერიშვილი აკაკი 385-391, 395, 398
ბერიშვილი კონსტანტინე 385
ბერიშვილი მამია 150, 232, 300, 459, 468, 489, 516, 527, 616
ბერიშვილი ნესტორ 196
ბერიშვილი ნინო 527
ბერიშვილი ტიტე 299, 419, 489
ბერიშვილი შალვა 61, 132, 149-152, 188-190, 207, 216, 220, 225, 227, 229, 230, 232, 234, 244, 271, 275, 277-291, 295-302, 317, 411, 419, 489, 533, 549, 606, 608
ბერიძე გრიგოლ 417
ბერიძე ვუკოლ 405, 413, 442, 455, 558
ბერიძე შალვა 204, 239, 588
ბერუაშვილი 141
ბერძენიშვილი გოგია 340, 351
ბერძენიშვილი დავით 258
ბერძენიშვილი თომა 375, 376, 377
ბერძენიშვილი მაქსიმე 397
ბერძენიშვილი ნიკოლოზ 401, 440, 511, 558
ბექაური თომა 161, 217
ბეჭვაია კირილე 543, 567
ბზიავა კონსტანტინე 543, 567

ბიბინეიშვილი ომერ 62, 280
ბლაგიძე დავით 156, 601
ბლუდოვი 548
ბლუმი ლეონ 415, 446
ბოგომოლოვი ალექსანდრე 399, 427, 429-431, 435-436, 462, 505, 515
ბოდრიარი (კარდინალი) 111
ბოლტნიოვი 548
ბოლქვაძე 109, 317
ბოლქვაძე დავით 156, 601
ბოლქვაძე მათე 209
ბოლხოვიტინი 548
ბონდარენკო 348
ბონკური პოლ 124, 216, 218
ბოსტიაშვილი იროდიონ 70
ბოჭორიშვილი მიხეილ 87
ბოხუა კარლო 361, 363, 365
ბრაიტნერი 328
ბრანდნერი ფრანცი 358
ბრეგვაძე ბახჩო 358, 379
ბრიანი არისტიდ 243, 404-405, 408
ბუაძე აკაკი 369
ბუაძე გრიგოლ 388
ბურძგლა მიხეილ 340, 351, 356
ბუღოლცი 351
ბუჯიაშვილი ალექსანდრე 43

გ

გაბელაშვილი ვასილ (ვასო) 107, 509, 510
გაბინაშვილი გიორგი გარსევანის ძე 519, 522-523, 525-530, 633
გაბინაშვილი მიხეილ 523
გაბინაშვილი ნინა 523-524, 529
გაბისონია ლაზარე 542, 567
გაბლიანი გივი 312, 325, 331, 336, 337, 339, 385, 387, 391, 420, 444, 464-465, 479-480, 609, 619
გაბლიანი ეგნატე 385
გაბუნია გიორგი 340, 361
გაბუნია მიხეილ 313, 337
გაგრენაშვილი ნიკოლოზ 70
გაზაროვი ამაიაკ 385-386, 389, 391, 395
გალაჯევი გიორგი ალექსანდრეს ძე 34, 632
გამრეკელი 307
გამსახურდია აკაკი 313
გამსახურდია კონსტანტინე 236, 346
გამყრელიძე ალიოშა 266
გამყრელიძე გუგული (გოგი) 233, 266, 267, 268
გამცემლიძე ბიჭიკო 362, 366
განჯიანცი ამასპა 39
გახოკია 43
გაჯინსკი ანუშევანი 156
გეგელია გიორგი 61, 167, 204, 217, 220, 228, 231-239, 243, 267, 287, 434, 437-438, 460, 491, 505, 507, 509-516, 541, 544, 547-549, 554-555, 632-633
გეგელია სან-რიემი ლუსეტი 544, 47
გეგელია ფარნაოზ 235
გეგენავა იოსებ 301
გეგეჭკორი გერასიმე 109
გეგეჭკორი ევგენი 98, 139, 150, 166, 180-183, 201-203, 222, 227-233, 242, 244, 253, 254, 264, 267, 275-276, 297, 305, 315, 317, 318, 322, 324-325, 335, 343, 345, 353, 412, 430, 433, 446-447, 451-452, 459, 491-493, 506, 508-511, 513-515, 518, 538, 549, 553, 571, 585
გეგეჭკორი კონსტანტინე 533
გეგეჭკორი ნინა 253, 459, 614
გედევანიშვილი არჩილ 213
გელაშვილი ალექსანდრე 70
გელეზანია გელა 258
გელეიშვილი პეტრე 72-73, 623
გელოვანი ალექსანდრე 446
გერგედავა სარდიონ 358
გერენი ალენ 237
გვარამაძე სოსო 306, 315, 319, 387
გვარჯალაძე კონსტანტინე 64, 265, 305, 546, 585, 619

გიგოლაშვილი გრიგოლ 544
გიგოშვილი გრიგოლ 547
გიორგაძე ბეჟან 270, 307, 544, 547
გიორგაძე გრიგოლ 27, 76, 577
გიორგაძე მიხეილი 195
გიორგობიანი ზურაბ 362, 365
გლახოიანი სარგის 129
გლინსკი 146, 147
გობეჩია გუგა 542
გობეჩია გუჩუ 547
გობეჩია იოსებ 36, 68, 144, 505
გოგაია შალვა 354
გოგიაშვილი არჩილ 411
გოგიბერიძე მოსე 596
გოგიბერიძე სიმონ 188, 288, 290, 293, 301-303, 317, 608, 619
გოგითაური სიმონ 293, 297
გოგინაშვილი სოსო 129
გოგიტიძე გერმან 467
გოგიტიძე გური 362, 366-467
გოგიტიძე მარი 366
გოგიშვილი სიმონ 39
გოგიჩაიშვილი ივანე 528
გოგიჩაშვილი გიორგი 529
გოგლიჩიძე 141
გოგლიძე სერგო 548, 557, 569
გოგოლაშვილი არსენ 156, 601
გოგოლაშვილი გიორგი 357, 364, 494, 505
გოგოლაშვილი გრიშა (გიორგი) 365, 495
გოგოლაშვილი ზინაიდა 365
გოგოლაშვილი იოსებ 510
გოგოლაძე კ. 74
გოგორიშვილი 141
გოგორიშვილი მ. 340
გოგოხია გრიგოლ 373
გოგუაძე ვლადიმერ 63
გოზალიშვილი გიორგი 558
გოზია შალვა 543
გოლდბერგი ლევ 466
გოლუბკოვი 548
გოლუვკო თადეუშ 137, 139
გოლცი 313
გომარელი სერგო 373
გომართელი არჩილ 156, 259
გომელაური ალექსანდრე 71
გორბაჩოვი მიხეილ 573
გორგაშიძე არკადი 390
გორდონი ბორის 262
გოჩიანი ლევონ 357
გოჩიანი ოშან 632
გრიბოედოვი ალექსანდრე 13, 582
გრიგოლია 109, 317
გრიგოლია კონსტანტინე 440
გრიგოლია მიხეილ 340, 351
გრიუნეი ალფონს 357
გუბელი 50
გუგუნავა ვალერიან 543, 567
გუზოვსკი ალექსანდრე 429-438, 442, 450, 491, 505-507, 510, 512, 514, 517- 518, 555
გუკასოვი ა. 275-476, 545, 630
გულისაშვილი ელიზბარ 79
გუნია ვარლამი 498
გურჯიშვილი დავით 156, 601

## დ

დადეშქელიანი ნიკოლოზ 383, 465- 467
დადიანი ა. 340, 351
დადიანი კოკი 461, 587
დადიანი მაია 461, 632
დადიანი ნიკო 409
დადიანი სალომე 406
დადიანი ჯორჯი 161
დავითაშვილი გ. 517
დავითაშვილი კონსტანტინე 397
დარასელია 349
დარაშვილი ლადო 351
დარახველიძე დავით 371-372, 380
დარლანი 426
დარსი 218
დგებუაძე ნიკოლოზ 108, 111, 227, 320
დე ბრუკერი 36
დედერერი ერიხ 156

დევდარიანი სეით 80, 81
დეკანოზიშვილი ანდრია 408
დეკანოზოვი ვლადიმერ 460-461, 569
დე ლა გარსია 297
დელატრი გაბრიელ 204, 218, 221-223, 234
დემენჩენკო 548
დემიდოვი 233, 266-267
დენიკინი ა. 42, 44, 46
დერბინიანი 548
დეფო დანიელი 14
დვალიშვილი ერისტო 360, 610
დვალიშვილი ივანე (ვანიჩკა) 360
დვალიშვილი ოლეგ 359
დიასამიძე არჩილ 156
დიასამიძე გოგი 387
დოლაბერიძე ლია 441
დოლიძე აკაკი 293
დოლიძე იოსებ 156, 601
დომბროვსკი 147
დონდუა ბენია 362, 365
დოღონაძე ვასილ 355, 356, 359, 632
დოღონაძე ივანე 359
დრიაბინი 548
დუბუა 281, 282
დუმბაძე დ. 148
დუმბაძე ევგენი 154
დუმბაძე ვასილ 154, 157-172, 604, 614
დურგლიშვილი გრიგოლ 353, 358, 359, 632
დურნოვი სერგო 39
დუღაშვილი შალვა 351
გოლი შარლ დე 298, 423-436

ე

ებანოიძე ვარლამ 353, 358-359, 632
ებრალიძე სევერიანი 567
ებრალიძე სიმონ სიმონისძე 34, 543, 632
ეგიაზარიანი გიორგი 544
ედვარდს გერმან 357
ეიტინგონი 249, 252, 381, 508, 569, 600
ეკბერი ნერმინ 280
ელაშვილი ფორე 374-377
ელბაქიძე 548
ელიავა ბონდო 498, 501, 613
ელიავა ზურაბ 123, 596
ელიავა მიხეილ 363, 365
ელიავა ნ. 162
ელიავა შალვა 124, 125, 180, 625
ელიგულაშვილი იოსებ 291, 314, 404, 588
ელიგულაშვილი რ. 407, 408
ელიზბარიშვილი ვასილ (ველი) 396
ელინსკი გ. 98
ელისაბედაშვილი გიორგი 54, 584
ემინ-ბეი 281, 290-291
ენუქიძე ალექსანდრე 47
ენუქიძე ი. 507
ეჟოვი ნიკოლოზ 437, 582
ერაძე გიორგი 63, 103, 116, 305, 495
ერგემლიძე შალვა 156, 601
ერისთავი ნესტორ 167, 168
ერისთავი რაფიელ 161
ერქომაიშვილი დავით 99, 149, 189, 283-284, 287, 291, 293-294, 300-304
ესაკია დ. 525
ეფრემ მეორე 419

ვ

ვავლიძე ილია 43
ვარდიაშვილი გიორგი 307, 363, 365, 367, 629
ვარდიძე შალვა 62-63, 239, 254, 302, 320, 590
ვარდოშვილი გიორგი 270
ვარენიკი პ. ვ. 348
ვარკოვი 548
ვასან გირეი 140
ვაშაძე სერგო 34
ვაჩეიშვილი ვარლამ 361, 363, 365
ვაჩნაძე 409
ვაჩნაძე არჩილ 70
ვაჩნაძე დათა 69, 140, 143-144, 189, 306, 311, 465, 472, 586
ვაჩნაძე ელიზბარ 138, 161, 387

ვაჩნაძე ზაქარია 70
ვაჩნაძე მ. 619
ვაჩნაძე ნატო 510
ვებერი ანტონ 295, 297, 315, 367-369, 632
ვეიგანი 276-282
ვეკუა მაქსიმე 123
ვეკუა შალვა 349
ველიგოტნი 297
ვეფხვაძე 369, 386
ვეფხვაძე გოგი 466
ვექირ-ოღლი სულეიმან 283
ვეშაგური ალექსი 348
ვეშაპელი გრიგოლ 98, 103, 106, 108-120, 129, 159, 174, 186, 195, 223, 227, 395, 590, 620, 624, 628
ვიდმანი 327
ვილსონი ჰენრი 52
ვიში 425, 426
ვიშნევსკი 548
ვლასოვი ანდრეი 325, 491
ველოდზიმირსკი ლევ 569
ვოზნიაკი ისაკ 466
ვოზნიაკი მოშე 466
ვოლლენბერგი რაულ 324
ვორონკოვი 499
ვრანგელი პეტრე 248, 285- 287

ზ

ზაიცევი 548
ზალდასტანიშვილი ირაკლი 251
ზალდასტანიშვილი სოლომონ 82, 88, 117, 620, 627
ზალევსკი 291
ზალპატერი 82
ზამბახიძე ნიკოლოზ 109, 388
ზანდუკელი მიხეილ 80, 558
ზარგარიანი 391, 444
ზარიძე ლეონი 498, 501
ზაქარაია ვლადიმერ 620
ზაქარაია ილია 244, 277
ზაქარიაძე ალესანდრე (სანდრო) 139, 141, 589
ზახარკევიჩი ტ. 147
ზედგენიძე ვლადიმერ 544, 547
ზილე 88
ზოდელავა ივლიანე (მამია) 543, 565, 567
ზონოვი 70
ზუბკოვი ივანე 39
ზუბოვი პეტრე 47, 153
ზურაბიშვილი ივანე 241, 305, 412, 586
ზურაბიშვილი ილია 242
ზურაბიშვილი ლევან 509

თ

თავაძე ილია 503, 509, 512-517, 554-567, 612, 633
თავდიშვილი მირიან 525, 548, 553, 565
თათევოსიანი არმენაკი 544
თათევოსიანი ევგენია 544
თათევოსიანი ცოვიკი 544
თათეიში ხორიო 291
თალაკვაძე როლანდ 277, 632
თამაზაშვილი ტრიფონ 71
თანდაშვილი ვ. 365
თანდაშვილი ილია 362, 365
თარხნიშვილი მიხეილ 418
თაქთაქიშვილი ლევან 113, 626
თაქთაქიშვილი შოთა 351
თაქთაქოვი დიმიტრი 39
თაყაიშვილი ექვთიმე 67, 189, 230, 305, 400-417, 430, 432-442, 492, 505, 513, 518, 544, 592, 621, 625, 632
თაყაიშვილი შალვა 299
თედეევი თევდორე 337
თედორაძე ოსმან 62
თევზაია ვიქტორ (ბიქტორ) 72-73, 114, 623
თვალჭრელიძე არჩილ 390
თურქია ალექსანდრე 301
თუხარელი გიორგი 351

## ი

იაკიმოვი ანატოლი 156
იამანიძე ევგენი 356, 359
იანქოშვილი ამირან 379
იგნატიევი ივანე 39, 459, 460, 543
იგნატიევი სიმონ 551, 554, 564, 583, 633
ივანიძე გიორგი 340
ივანოვი ვასილ 390
ილურიძე ბაგრატ 114
იმნაიშვილი მოსე 123
იმნაიშვილი ნიკო 258, 261, 285, 306
იმნაძე ვანო 129
იმნაძე კოტე 141, 306, 420
ინასარიძე კარლო 198, 627
ინასარიძე ნიკო 114
ინაური ალექსი 335, 337, 572-573, 616, 620
ინაძე გიორგი 369, 374, 376-377
ინგილო (ივანიცკი) რაფიელ 63, 258, 418
ინწკირველი ვალიკო 215, 296, 369
ინწკირველი პოლიკარპე 215
ინჯია შალვა 498, 501
იოსავა ალექსანდრა 543, 551, 567
ისლამ-ზადე შეიხულ 140
იურევიჩი 405
იუსტი კ. 97
იფანიძე სოსო 379
იშხნელი მიხეილ 87
იშხნელი ოთარ 514

## კ

კაკულია ლ. 340, 351, 499
კაკუჩაია ვარლამ 341, 381, 457, 569
კალანდაძე გიორგი 42
კალანდაძე ელიზბარ 42, 621
კალანდაძე ვარდენ 45
კალანდაძე თედორე 45, 62
კალანდაძე იესე 156
კალანდაძე სილოვან 123
კალანდაძე შალვა 62, 213, 283-284, 287, 302, 608
კალანდია ვალიკო 543, 552, 567
კალაძე რაჟდენ 42
კამბინი ჟიულ 52
კანარისი ვალტერ 256, 308, 328-329, 333, 338, 383, 470
კანდელაკი გრიგოლ 371
კანდელაკი დავით 253, 262-263
კანდელაკი კონსტანტინე (კოწია) 242, 305-306, 403, 412, 585
კანდელაკი (ქორიძე) ვასილ 43
კანდელაკი შ. 79
კანდელაკი ციალა 615
კანკავა ალექსანდრე 233, 317, 351, 492-494, 547, 549, 633
კანოიანი დრასტომატ მარტიროსის ძე 342
კანტემირი ალიხან 140, 311, 444
კაპანაძე 301
კაპელაშვილი ნიკოლოზ 70
კაპიკიანი ბაბკენ 357, 632
კარანაძე გიორგი 565, 567
კარანაძე გრ. 542
კარგარეთელი ალ. 161, 172, 620
კარდენახიშვილი ივანე 156
კარსანიშვილი ა. გ. 524
კასპარიანი ბარტკემოს 70
კაჩუხაშვილი ივანე 93, 109, 114, 117-119, 123, 129, 624, 625
კახელიძე-თაყაიშვილი თამარ 193
კახიანი ლევან 524, 528
კახიანი მიხეილ (მიხაკო) 61, 89-90, 93, 98, 101, 119, 180-181, 195, 620, 625
კახიანი ნაპოლეონი 69, 82
კახიაშვილი ლევან 544, 547
კახიძე მევლუდ 294
კახიძე მემედ 62
კახიძე ოსმან 62, 294, 301
კედია მელქისედეკ 32, 34, 46, 51, 52, 230, 630
კედია მიხეილ 32, 38, 93, 108, 111, 210, 227, 229, 269, 295, 297- 298, 305, 312-327, 337-339, 387-391, 393, 394, 396, 444, 462-463, 493, 497-498, 500, 589, 609

კედია სპირიდონ 35, 58, 68, 76, 79, 105, 115, 136-139, 143-145, 147, 150, 158, 164, 166, 167, 169-171, 182, 189, 204, 216, 217, 220-222, 231, 235, 239, 243, 251-252, 264, 266-267, 310, 312, 314-315, 318, 447, 505, 509, 510, 515, 589, 604, 614, 620, 632
კეკელიძე კორნელი 418
კეკელიძე სიმონ 507
კერესელიძე გიორგი 108
კერესელიძე გრიშა 489
კერესელიძე ი. 80
კერესელიძე ლეო 143, 169, 227, 231, 311, 313-314, 319-320, 391-393, 398, 589, 595
კერესელიძე მათე 350-351, 492
კერესელიძე მარიამ 391-398, 592
კერესელიძე მიტო 320
კერზონი 52
კეტნერი გეინც 367-369, 632
კეცხოველი ნიკო 78
კეჭაყმაძე იესე 66, 141, 299, 419, 420
კვანტალიანი ალექსანდრე 359
კვანტალიანი ეპიფანე 59, 60, 70, 71, 74, 86, 89, 181, 584
კვანტალიანი ვასილ 45
კვარაცხელია ალექსანდრე 542, 567
კვარაცხელია ვალენტინ 363, 365
კვასნიკოვი ლეონიდ 420-422, 583
კვერცხიშვილი იოსებ 383, 385
კვიატოვსკი 249
კვინიტაძე გიორგი 84, 99, 143, 164, 231, 269, 306, 587
კვირკველია რაფიელ 543, 552, 567
კვიტაშვილი ბიქტორ 414-415
კვიტაშვილი მერაბ 472-474, 607, 620, 626
კიზირია კ. 306
კიკიანი ვერა 349
კიკნაძე ანდრია 70
კილასონია აკაკი 543, 552, 567
კილასონია გრიგოლ 547
კილასონია ვასილ 43
კილაძე დავით 82, 153, 584
კილოსანიძე როსტევან 482
კირინი 348
კირკიტაძე ალექსანდრე 359
კირკიტაძე კიმოთე 355, 359, 632
კირკიტაძე ლიდა 359
კირკიტაძე ოლღა 359
კიროვი სერგო 41, 48, 50, 405
კიურალიანი 42
კიუტი შამილ 356, 363, 365, 631
კილურაძე ალექსანდრე 319
კლარდოვი (ელერდაშვილი) 42
კლემანსო ჟორჟ 52
კლიმიაშვილი დავით 395
კლიმიაშვილი ლ. 80
კნაბე 328
კნიაზევი 547-548, 556
კობალაძე იური 155
კობახიძე არისტოტელი 43
კობახიძე გ. 143-144, 507, 555
კობახიძე კონსტანტინე 315, 461, 507, 509, 513, 514
კობახიძე შ. 505
კოკაია გიორგი 542, 567
კოკე (პოლკოვნიკი) 111, 206
კოლოტეშკინი გ. ა. 348
კომახიძე კოტე 143
კონიაშვილი 306
კონჩელი ჯიბო 467
კორენშტეინი დიმიტრი 43
კორთხოჯია პარმენ 543
კოროტკოვი ალექსანდრე 235
კორძაია ალექსანდრე 258
კოს-ოღლი ჰუსეინ 283, 304
კოღონაშვილი 141
კოჩკანიანი სამველ 357
კოჭლავაშვილი ა. ჩ. 438, 460, 530, 551-552, 554, 557
კრესტინსკი ნ. 413, 414
კროხებაშვილი ირაკლი 362, 365

კრუგლოვი სერგეი 441, 518, 571, 583
კუბანი 281
კუზმინი 249
კუზნეცოვი ნ.ი. 7, 35
კუთალაძე პავლე 43
კუკ-კოლისი 37
კუკუშკინი 548
კუპრავა ვახტანგ 541
კუტალაძე გ. 303
კუტეპოვი ა.პ. 191, 249, 600
კუჩერიანცი 42
კუციავა 524, 525, 544, 548
კუჭავა მიტროფანე 541
კუჭავა სარდიონ 161
კუჭუხიძე 390

## ლ

ლაგუტინი თევდორე 362, 365
ლაითაძე შალვა 357, 631
ლალიაშვილი 548
ლამპერიერი ანრი 433-435
ლაპარტია 38
ლაპიაშვილი გიგო 71
ლასხიშვილი გიორგი 27
ლაფაჩიძე ანდრო 39
ლაფრედო ფერდინანდი 394-395
ლაღიძე 306
ლაშქარაშვილი ვასილ 39
ლაშქარაშვილი მიშა 127
ლაშქარაშვილი მიხეილ 161-162, 590, 633
ლაცაბიძე გიორგი 388
ლებედევი 405
ლელაშვილი 548
ლელე 278, 280, 281, 291, 301, 302
ლენინი ვ.ი. 47-50, 54, 130, 136, 154, 185, 196, 198-200, 250, 349, 620
ლეონიდი(კათალიკოს-პატრიარქი) 55
ლეჟავა პროკოფი 482, 524, 548
ლიანოვი ბეკმარად 330
ლიზერე 434
ლიოკრელი 281
ლიპარტია 109
ლისტენგურტი 88
ლიფარი სერუ 462
ლიხოვიდოვი 525
ლოიდ ჯორჯი 52
ლოლაევი 548
ლოლაძე ანდრო 364, 367, 548
ლომთათიძე ალექსანდრე 31
ლომთათიძე გიორგი 440
ლომთათიძე ემელიანე 546, 623
ლომთათიძე ნინო 440
ლომთაძე ვარლამ 364, 366, 367
ლომინაძე 70
ლომიძე სერაფიონ 43
ლორდელი ალექსანდრე 108, 145, 146, 188, 277, 632
ლორთქიფანიძე 43
ლორთქიფანიძე გრიგოლ 199, 623
ლორთქიფანიძე დ. 50
ლორთქიფანიძე ივანე 27
ლორთქიფანიძე ირაკლი 458, 544, 547
ლორთქიფანიძე ტიტე 39, 153, 180-181, 233, 411, 578, 582, 632
ლორთქიფანიძე შ. 284

## მ

მაზმიშვილი ლუკა 387
მაზნიაშვილი გიორგი 117, 175-177, 180, 587, 632
მათითაიშვილი სერგო 138-139, 608
მათითაშვილი შალვა 43
მაისურაძე გიორგი 544
მაისურაძე ვალერი 155
მაისურაძე კ. 628
მაისურაძე ნოდარ 155, 334
მაისურაძე სერგი 161
მაკარენკო 548
მაკდონალდი რამზეი 36, 77-78, 128, 447
მაკლაკოვი 548
მაკმილანი 427
მალანია ილარიონ 513, 542
მამდი იბრაგიმ აკა-ოღლი 43

მამულია გიორგი 9, 333
მამულია სამსონ 184, 191
მანველიშვილი ალექსანდრე 318, 388, 592
მანკო ნ. ს. 348
მანჩხაშვილი ალექსანდრე 362, 365
მანწკავა ისიდორე 201, 305, 307, 319, 571, 632
მანჭარაული დიმიტრი 369, 375-378
მანჭარაული ლევან 377
მარგველაშვილი ლიზა 313, 591
მარგველაშვილი ტიტე 258, 266, 313, 455,-479, 591, 628, 632
მარიავსკაია ანნა 43
მარი ნიკო 13, 418
მარკე ანდრიან 36, 112, 219, 221, 275, 277, 305, 446
მარტიროსიანი არსენ 260, 263, 341, 626
მარტიროსიანი ნიკოლოზ 362, 365
მარტიროსოვი ი. 545
მარქარაშვილი 528
მარჯანიშვილი ვასო 161
მასლენიკოვი 88
მასხულია გრიგოლ 482
მატარაძე დავით 287-291, 453, 456, 476, 503, 515, 518, 553, 555- 557, 607, 633
მატიცი ანდრო 43
მაქსიმელიშვილი ვარდო 287, 288-290, 295, 503, 515, 518, 553-567, 633
მაღალაშვილი გიორგი 311-312, 321, 387-391, 393, 395-396, 417, 472, 589
მაღალაშვილი ნესტორ 138, 144
მაღალაშვილი ქეთევან 129
მაღლაკელიძე გაიოზ 334
მაღლაკელიძე შალვა 77, 105, 112, 114, 169, 172-173, 183, 242, 311, 316, 327-328, 332-336, 340, 351, 391, 402, 406, 420, 588, 625-626, 629
მაღრაძე პავლე 392, 395, 548
მაყაშვილი გ. 517
მაყაშვილი ელიზბარ 161
მაყაშვილი მარგო 510
მაჩაბელი გიორგი 159, 169, 171, 311
მაჩაბელი ვახტანგ 204, 239
მაჩაბელი მანია 382
მაძგარაშვილი ქარუმ 70
მაჭავარიანი 347
მაჭავარიანი ალექსანდრე 79
მაჭავარიანი ვახტანგ 62
მახარაშვილი დიმიტრი 498
მახარაშვილი მარო 93, 94
მახარაძე დიმიტრი 499
მახარაძე სანდრო 50
მახარაძე ფილიპე 46, 50, 88, 180, 181, 213, 218, 413
მახნოვსკი 70
მგალობლიშვილი გერმანე 413, 414
მგალობლიშვილი გრიგოლ 45, 123, 514
მგალობლიშვილი ვ.გ. 439
მგელაძე აკაკი 441, 530-531, 537, 541, 543, 550-551, 564, 566
მგელაძე გიორგი 596
მგელაძე დიმიტრი 558
მგელაძე ვლასა 83, 103, 110, 305, 620
მგელაძე კონსტანტინე 297, 459, 488, 632
მგელაძე მიხეილ 123
მდივანი ბუდუ 103, 105
მდივანი გიორგი 156
მდივანი ვასილ 391, 395, 398, 403, 500
მდივანი იოსებ 68
მდივანი სიმონ (სოსიკო) 139, 149, 220, 415, 586
მეგრელიძე 126
მეგრელიძე იოსებ 408, 415, 417-418, 422, 442
მეიერხოლდი ვსევოლოდ 289
მეკონიანცი გასპარ 39
მელაძე პოლიკარპე (კოლია) 430, 434, 437-438, 491, 626
მელიქ-გაიკიაზოვი 42
მენაბდე ნიკოლოზ 545

მენაღარაშვილი სანდრო 214, 216, 218, 233
მენდე 313, 324, 464- 465
მენთეშაშვილი არსენ 71
მერაბიშვილი ავთანდილ 106-113, 223, 395
მერკადერი კარიდად 252
მერკადერი რამონ 252, 600
მერკულოვი ვსევოლოდ 287, 345, 476
მერფი 426, 427
მესხიშვილი შალვა 27
მეუნარგია აკაკი (ბაჯგუ) 58, 463-464, 493, 505, 507, 513-514, 541, 547, 549, 554
მეუნერგია აკაკი 109
მექვაბიშვილი ამირან 373-374, 631
მეშიკი პავლე 569
მზარელუა ვარლამ 543, 567
მთიული ზურაბ 70
მიასნიკოვი (მიასნიკიანი) ალექსანდრე 91-92, 98
მილანოვი 548
მილერი მიხეილ 249, 254, 367-369, 632
მილიდოვი 548
მიროშნიჩენკო 548
მირცხულავა ალექსანდრე 542, 565-567
მისაბიშვილი კალე 78- 79
მიტოევი ალი 79
მიულერი გერმან 261, 316, 351
მიურატი აშილ 406
მიქაუტაძე გრიგოლ 364, 367
მიქაძე ა. 50, 88
მიქელაძე არდალიონ 156, 601
მიქელაძე ვარლამ 70-71, 74
მიქელაძე მართა 472
მიქელაძე პლატონ 472
მიწიშვილი ნიკოლო 61, 105, 109, 119, 121, 127, 254, 626, 629, 633
მკურნალი რომან 258
მოგილევსკი სოლომონ 70, 82, 91-92, 584
მოლოდცოვი 548
მონიავა ვიქტორ 340, 351, 446
მონკევიცი ნიკოლოზ 249
მორო დე ჯიაფერი 218- 221
მოსიძე 109
მოსულიშვილი ალექსი 71
მოსულიშვილი ქრისტეფორე 71
მუავანაძე ვასილ 567
მუზაშვილი ვლადიმერ 544, 547
მუჟანიანცი სარქის 39
მუსხელიშვილი მიხეილ 219
მუსხელიშვილი როსტომ 79
მუხრან-ბატონიშვილი სიმონ 79
მუჯირი დავით 214, 215
მჭედლიშვილი აბრაამი 498, 501, 613
მხითარიანი ალექსანდრე 544

**ნ**

ნადირაძე თეკლე 502, 613
ნადირაძე ივანე 361-362, 365
ნადირაძე ილია 502
ნადირაძე ირაკლი 498, 501-502
ნაზარეთიანცი 50
ნაკაშიძე 388
ნაკაშიძე გიორგი 306
ნაკაშიძე ლევან 156
ნაკაშიძე ნიკო 258
ნამიჭეიშვილი იონა 150, 253-255, 492, 547, 551, 611, 633
ნამიჭეიშვილი რევაზ 253-254
ნამორაძე ალექსანდრე 558
ნარიკელაძე 69
ნარსია ი. პ. 123
ნასარიძე 71
ნატროშვილი მოსე 547
ნაცვლიშვილი ვანო 129
ნაცვლიშვილი მ. 545
ნაჭყებია 474
ნაჯიბეი 281
ნებიერიძე შალვა 161, 316, 351
ნეკრასოვი ა. გ. 348
ნესტეროვიჩი 248
ნეფედოვი 548

ნიბლაძე ირაკლი 284, 287-288, 521, 524
ნიკიშინი 88
ნიკოლაიშვილი ზაქარია 244
ნიკოლაიშვილი კონსტანტინე 123
ნიკოლაიშვილი მიხეილ 244, 270, 307, 629
ნიკოლაძე ნიკო 35, 68-69, 311
ნიკურაძე ალექსანდრე 123, 259, 261, 306, 465, 593
ნინიკაშვილი გიორგი 337
ნინუა სიმონ (სერგო) 123, 615
ნიჟარაძე აკაკი 434, 437, 505, 510, 544-546, 632
ნიჟარაძე დავით 481
ნიჟარაძე ნიკოლოზ 430, 505-506, 544,-546, 549, 632
ნიტი ფრანჩესკო 52
ნოდია გიორგი ,156, 179-187, 601
ნოდია ვასილ 56, 83, 87
ნოვაჩეკი 277
ნოვიკოვა ვერა 43
ნოზაძე გიორგი 111, 319
ნოზაძე ვიქტორ 113-114, 116, 201, 203, 242, 267, 319, 336-337, 447, 586
ნოზაძე ტარას 330, 369
ნოზდრიაჩევი 548
ნონიკაშვილი ნასყიდა 39
ნუცუბიძე ილია 241
ნუცუბიძე შალვა 252, 264, 453, 455-590, 621-622

## ო

ობოლაძე ალექსანდრე 584
ობოლაძე მიხეილ 371, 380
ობოლაძე ს. 71, 623
ობოლენსკაია სალომე 409
ობოლენსკი 409, 431
ოგოლცოვი სერგეი 477
ოდიშარია შალვა 265-268, 478-500, 613, 633
ოკუჯავა კოლია 45, 77, 181, 524
ონიანი გრიშა 480
ონიანი ნიკოლოზ (კოლია) 479, 480
ონიაშვილი ლ. 86
ორაგველიძე გრიგოლ 214, 544, 547
ორახელაშვილი მამია 45, 85, 88, 96, 180
ორლოვი 252, 499-500, 584
ორლოვი ვ. გ. 155
ორჯონიკიძე სერგო 41, 48-50, 53-54, 88, 128, 175, 180, 264, 502, 621, 628
ორჯონიკიძე შაქრო 123
ოსიპოვი სიმონი 39
ოსმანოვი 548
ოქრომელიძე ვლადიმერ 544
ოქროპირიძე შალვა 330-331, 465-468

## პ

პავლიაშვილი გიორგი 478, 498, 501
პავლიაშვილი გოლა 161
პანკრატოვი 70, 71
პაპავა აკაკი 306-307, 418
პაპავა ედუარდ 201, 301, 307
პაპავა თამარ 61, 174, 304, 621
პაპასკუა გრიგოლ 543, 552, 567
პარკაია შოთა 369, 373
პასტრიულინი ივანე 39
პატარიძე დ. 293, 294
პატარიძე ელისე 78, 291, 318
პატარიძე ლეო 293, 299-303, 317, 626
პაჭკორია მამანტი 543, 567
პენკოვ-პოლოჟნი კონსტანტინე 141
პერანიძე დავით 362, 367
პერეპელიატკინი ა. მ. 348
პეტლიურა სიმონ 223, 227, 237-249, 571, 600
პეტროვი 524
პილსუდსკი იუზუფ 132, 137, 139-140, 150, 197, 224, 599
პირენო ანდრეი 111
პიროგოვი 348
პლახოტნიკოვი ივანე 364, 366
პლევიცკაია ოლგა 249
პოლიონი 219
პოლტორაცკაია ლიდია 441, 544, 547

პომარე შარლ 412, 416
პოპოვი 88
პრუევალსკი ნიკოლოზ 13

ჟ

ჟორდანია გივი 400, 405, 413, 433, 442, 621
ჟორდანია გიორგი 505, 540
ჟორდანია დავით 498, 540
ჟორდანია ნოე 26, 47, 53-54, 61-62, 66-69, 75-79, 83-84, 89, 93-94, 99, 104, 112, 128, 133, 136, 139, 142-144, 147, 150, 152, 171-172, 176, 179, 183, 188, 190, 194, 196, 197, 200, 202-203, 225, 230-231, 238, 241, 244-246, 254, 259, 264-267, 276-279, 282, 285-286, 291, 295-296, 301, 305, 315, 317, 321, 335, 402-404, 407-408, 412, 419, 422, 433, 446-447, 451, 468, 481, 486-489, 495-497, 500, 504-511, 513-514, 522, 538, 540, 545-546, 553, 578, 585, 621, 627, 629
ჟღენტი ვარდენ 496, 544, 547
ჟღენტი ვასილ 301
ჟღენტი თენგიზ 46, 199, 621
ჟღენტი სიმონ 62, 301
ჟღენტი სპირიდონ 495, 497, 544, 547
ჟღენტი შიო 544, 547

რ

რაიხმანი ლეონიდ 527, 569
რაკოვსკი 242, 374
რამიშვილი აკაკი 33, 155, 223, 621, 625
რამიშვილი ანანია 156
რამიშვილი ბესარიონ 196
რამიშვილი ბიძინა 596
რამიშვილი ერეთეოზ 58, 93, 94, 119, 126, 128, 285, 464, 500
რამიშვილი ვასილ 150
რამიშვილი ისიდორე 625
რამიშვილი მარიამ 210, 218
რამიშვილი მარო 411
რამიშვილი მიშელ 605
რამიშვილი ნოე 26-30, 33, 45, 63, 68, 76, 83, 93-94, 101, 107-114, 119, 124, 126, 128, 133, 136, 138-144, 151-152, 157, 166, 168, 171-172, 175, 179-180, 186, 188, 190, 192-233, 237-241, 244-245, 267, 277, 285-286, 297, 402, 585, 605, 622, 625-628, 630
რამიშვილი ქეთევან 605
რანტელი 329
რასულ-ზადე ემინ 311, 472
რაფავა ავქსენტი 284, 333, 348, 368-439, 478, 505, 507, 520, 532, 534-541, 547-548, 552, 558, 563, 565-567, 632
რაფავა დიმიტრი 547
რაფავა ივანე 540-541, 547-548, 567
რევაზიშვილი დავით 161
რეისი ნათანი 262
რენოდელი პიერ 36, 112, 124, 128, 195
რერიკო 277
რეყვავა კონსტანტინე 543, 567
რიბკინა ზოია 324
რიბკინი ბორის 323-324
რიჟამაძე 390
რობაქიძე გრიგოლ 252, 262, 462-464, 588
როზენბერგი ალფრედ 256, 307-308, 311, 321, 326, 333, 464, 469-470
როკუა ვასილ 154, 293
რომანიშვილი პავლე 386, 513
როყვა ვასილ 62
როშარი 277
რუბენაუ ბ. ბ. 39
რუდენკო 441
რუმიანცევი 499-500
რუსიაშვილი 306
რუსიძე ჭოლა 495, 544
რუხაძე ანტოლიდა 453
რუხაძე გიორგი 156
რუხაძე დავით 43
რუხაძე ეთერ 506

რუხაძე ნიკოლოზ 168, 255, 349-441, 453-460, 494, 520-529, 531, 534-538, 540, 542-544, 547-548, 551-552, 555, 562-565, 569, 611, 633
რუხაძე პოლიკარპე 34, 297, 459, 488, 527, 544

## ს

სააკაშვილი მიხეილ 551
საბახტარაშვილი კონსტანტინე 30, 62, 214, 622
სალაყაია იოსებ 141, 145, 305-306
სალია კალისტრატე 58, 227-229, 242, 297, 318, 320, 418, 516, 593
სამხარაძე ბაგრატ 507, 544, 547
სამხარაძე გიორგი 528, 544, 547
სანიკიძე პ. 71, 623
სან-რემი ლუსეტ 235-236, 547
სარალიძე 38
სარიანი ნერსეს 356, 364-365, 631
საფარიანცი ნერსეს 39
საღარაძე 91, 92
საღირაშვილი დავით 107, 269
საყვარელიძე გრიშა 301
საყვარელიძე პავლე 502
საჯაია გიორგი 92, 160, 258, 346
სედოვი (ტროცკი) ლევ 248, 250, 600
სემიამეტოვი არიფ 362, 365
სეროვი ივანე 475, 571, 582
სერტელო 52
სვანიძე ალექსანდრე 77, 105, 413
სიდნიოვი ა. მ. 475-476, 477, 520
სიდოროვი 548
სიმანოვიჩი 167, 168
სინჯიკაშვილი დიმიტრი 217, 239, 251, 315, 318-319, 350, 398
სიორდია მიხეილ 542, 567
სირანი ბ. 218
სირაძე აკაკი 293, 440, 548
სიროტკინა მარინა 275
სიჭინავა ვლადიმერ 543, 567
სკამკოჩაშვილი შ. 509
სკვარცოვი ალექსანდრე 544
სკილოჯა 52
სკობლინი (სახოვი) ნიკოლოზ 249
სკობოლევი 34
სკოტი 277
სმოტრიკოვი ლავრენტი 39
სნოუდენი 36
სობესტიანსკი ედმუნდ 156
სტალინი იოსებ 14, 49, 53-56, 74, 77-78, 85, 91, 105, 127, 134, 151, 155, 195, 199-200, 224-225, 228, 232, 247-255, 262-263, 275, 289, 297-298, 304, 314, 323, 325-326, 334, 341, 345, 347, 370, 381, 383, 390, 414, 423, 427-429, 431-432, 435-437, 443, 449, 453, 456-457, 459- 460, 473- 474, 490-491, 502-504, 508, 511, 514, 520-521, 530-534, 537, 542-544, 546, 549-555, 559, 561-563, 568, 570-571, 624, 626-628, 631-632
სტახოვიჩი 500
სტეპანოვი იოსებ 371-372, 380, 548
სტიუარტ პოინტცი ჯულიეტა 248
სტურუა ვანო 45, 88
სუდოპლატოვი პავლე 154, 234, 249, 252, 271, 287, 289, 333, 345, 381, 459, 461, 491-492, 508, 531-532, 562, 566, 569, 583
სულავა 379, 380
სულაქველიძე გიორგი 123
სულაქველიძე კონსტანტინე 49-50, 61, 66
სულთანოვი ხოსროვ-ბეგ 101, 138, 140, 294, 601
სულხანიშვილი ალექსანდრე (საშა) 161, 172, 306, 621
სურგულაძე ა. 621
სურგულაძე გერონტი 215, 621
სხირტლაძე დიმიტრი 498, 501
სხირტლაძე მათე 440

ტ
ტაბიძე შალვა 337
ტარაიანი 88
ტარაკანოვი ალექსი 362, 365
ტარიაშვილი 109
ტატიშვილი ალექსანდრე 459, 516
ტერ-აბრამიანცი 42
ტერ-აზარიანცი აიკ 39
ტერ-პეტროსიანი სიმონ (კამო) 43, 77, 91
ტერ-სააკოვ ნაპოლეონ 47
ტიჟოიანცი ვარდკეს 39
ტოგონიძე ვალერიან 258, 261, 319, 455, 457, 476-479, 632
ტორესი ჰენრიხ 109, 111, 204, 216, 218, 220-222, 234
ტროცკი ლევ 92, 133, 151, 185, 250, 252, 304, 510, 599-600, 628, 630
ტრუნოვი ნ. დ. 348
ტურაშვილი ლეონტი 524, 528, 544, 547
ტურაშვილი ნინა 529
ტუღუში 107

უ
უგრეხელიძე დიმიტრი 355, 632
უილიამსი 281
უროტაძე გრიგოლ 203, 305
ურუშაძე ავთანდილ 213-214, 632
ურუშაძე აკაკი 34, 45, 82
ურუშაძე აპოლონ 510
ურუშაძე ირაკლი 123
ურუშაძე ნიკოლოზ 229, 239, 249, 318
უსტოვი 548

ღ
ღოღობერიძე ლევან 99-101, 116, 122, 124, 127, 164, 590, 625
ღოღობერიძე ნ. 109

ყ
ყალიჩავა კონსტანტინე 313
ყანდარელი 123, 125, 631
ყარალაშვილი ფ. 80
ყარანგოზაშვილი ვ. 79
ყაუხჩიშვილი მიხეილ 258, 261-264, 268, 455, 456, 589
ყაუხჩიშვილი სიმონ 264, 442, 455, 456, 558
ყიფიანი ნ. 403
ყიფიანი რუბენ 203, 227
ყიფიანი ტერენტი 544
ყიფშიძე გაიოზ 156
ყრუაშვილი სამსონ 137-138, 306, 316
ყუფარაძე 379, 380

შ
შტეინერი 460, 461

ძ
ძევალტოვსკი 248
ძერჟინსკი ფელიქს 22, 154, 247, 582
ძინძიბაძე 123-125

წ
წერეთელი გიორგი 558, 627
წერეთელი გრიგოლ 197, 198
წერეთელი დათიკო 258
წერეთელი ირაკლი 68, 136, 142, 188, 190, 242, 245, 318, 587
წერეთელი მიხეილ 137, 140, 143, 239, 259, 261, 306, 311-313, 320, 418, 586
წერეთელი ოთარ 259
წერეთელი სოლომონ 116, 258
წერეთელი შალვა 249, 342, 474, 552, 569
წიკლაური გიორგი 70
წიკლაური სიმონ 336
წინამძღვრიშვილი გიორგი 69, 78, 82-83, 87, 187
წულაძე ბორის 301
წულაძე ვასილ (ვასო) 65, 141, 145, 148, 203, 242, 516
წულაძე ტარიელ 296, 369
წულაძე ფრიდონ 305
წულუკიძე ვარდენ 78-79

წულუკიძე მიხეილ 258, 261
წულუკიძე ნიკოლოზ 481
წულუკიძე ფრიდონ 320, 387-388, 393, 396

ჭ

ჭავჭავაძე ეკატერინე 409
ჭავჭავაძე ივანე 203
ჭავჭავაძე ილია 239, 409, 603, 627
ჭავჭავაძე მიხეილ 544, 547
ჭავჭავაძე სპირიდონ 86, 138, 161, 544, 547, 591
ჭაჭიაშვილი გიორგი 305
ჭეიშვილი ალექსანდრე 319
ჭეიშვილი ლეონიდ 156, 259
ჭელიშვილი სამსონ 356, 359
ჭელიძე გიორგი 244, 246, 277, 632
ჭეჟია ანთიმოზ 567
ჭეჟია ანტიპო 543
ჭერჟიანი დავით 349
ჭიაბრიშვილი ს. 80, 225
ჭირაქაძე გრიგოლ 317, 353, 358, 632
ჭირაქაძე სევერიან 79
ჭიჭინაძე ვიქტორ 337, 542
ჭიჭინაძე კონსტანტინე 541, 547, 551, 567, 632
ჭიჭინაძე პარმენ 33, 57
ჭკადუა ევგენი 34
ჭკადუა მარიამ 542, 554, 567
ჭოლაძე 306

ხ

ხავთასი ივანე (ვანო) 244, 245
ხავთასი ლეონტი 481
ხაინდრავა ივლიანე 481, 588
ხაინდრავა ლ. 622
ხარისჭილაშვილი დათიკო 351
ხარშილაძე ევგენი 364, 367
ხატისოვი გიორგი 39
ხაჩიძე ლ. 107, 111
ხელაძე აკაკი 360, 361
ხელაძე ალფეზ 58, 117-119, 123
ხელაძე ზურაბ 360-361, 369
ხელაძე კ. 630
ხვედელიანი აფრასიონ 319
ხვედელიძე ნოე 359
ხიმშიაშვილი გიორგი (გოგი) 70, 79
ხირხორიანი ჰაიკ 39
ხმელიძე გრიგოლ 337
ხომერიკი ვიქტორ 468, 489
ხომერიკი ნოე 27, 80, 83, 87, 89, 468, 623
ხორბალაძე დავით 156, 601
ხოსროვ სულთან-ზადე 101, 138, 140
ხოშტარია აკაკი 203, 222-223, 267, 297, 388, 455, 473, 476-477, 588
ხოშტარია კირილე 156
ხოშტარია კორნელი 258, 476, 478, 479, 601
ხოჯავა შოთა 369, 371- 372, 380
ხრომოვი 499-500
ხრუშჩოვი ნიკიტა 150, 298, 531, 552, 562-563, 566, 568, 625
ხუნდაძე გიორგი 481, 483, 610, 632
ხუხუნია 242
ხუხუნი შ. 129

ჯ

ჯორჯაძე მერაბ 161
ჯორჯაძე მიტო 382
ჯორჯაძე პავლე 382

ჰ

ჰენდერსონი არტურ 36, 447